

სარჩევი

მოქმედი პირები

ავაჯია, თაებერიკა, დასტის უსტაბაში, მოურავი დათო.
ქაქუცა, აზნაურობადათმობილი, „ივერიის“ სტამბაში ნამუშევარი, ილიას სახის წამკითხველი.
ცუნცრუკა, 40 წლის საგურამოელი გლეხი, ბერიკა, ლუარსაბი.
თამთამო, ცუნცრუკას დედაკაცი, ღაღი, თამამი, 41 წლის დარეჯანი.
ზუცუკა, საგურამოელი გლეხი, ბერიკა.
ჩარუქა, საგურამოელი გლეხი, ბერიკა.
ხუნჯა, საგურამოელი გლეხი, ბერიკა.
ცუცა, ახალგაზრდა გლეხის ქალი, ბაბალე.
ნუცა, ელისაბედი.
ხახალა, თავისუფლებასმონატრებული საგურამოელი გოგო, ლამაზისუელი.

მოქმედების დრო და ადგილი:

საგურამოელ გლეხბერიკათა დასტა ჩამოდის თბილისში, ისპაჰანობის სახალხო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად და სათაყვანებელი თანამემამულის, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ თავისებურ, თავისუფალ, ბერიკულ ყაიდაზე განსასახიერებლად, ილიას პატივსაცემად.

მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულია.

მოქმედება პირველი

დახეულ-დანაკერები, ძონძითა და კონკით, გოდრითა და მამლით, თუნგით, შანდლით, საგზლის გუდა-კუდებით, უშველებელი თათქარიძიანთ ხმლითა და თავბუნიკიანი ძველი დროშის ტარით, დროშის ტარზე შერჩენილი მცირე ნაფლეთიღა ხელსახოცად რომ ფრიალებს, დაფხავებული დიდი ფარით. აი, ასეთი რეკვიზიტით შემოდიან საგურამოელი ბერიკები დარბაზში. ფარი ტახტად ივარგებს ალბათ, დროშის ტარი კი ლუარსაბ-დარეჯანის სადილ-ვახშმის მენიუდ. დიდი სურგიელი. ჩალაღაჯის ვეება ნაჭერი, დიდი სუკი ქონში გახვეული, გალა — ნივრისა, ხახვისა ზედ ჰკიდია. დროშის ბენიკზე დაცმულია მრგვალი დედალი და სხვა სიკეთე. ისპაჰანობის მონაწილეთა მუყაოს გვირგვინებს თვითონაც იხურავენ ბერიკები თავზე და მაყურებელსაც ურიგებენ. ზოგს, პატივისცემის ნიშნად თავზე თავისი ხელით მოარგებენ. მღერიან იმხანად გავრცელებულ კალამბურს:

დუნდუკოვი-კორსაკოვი,
დუნდუკოვი-კორსაკოვი,
ალიხანოვ-ავარსკი,
ალიხანოვ-ავარსკი,
თავზე ლაფი დავასხი,
თავზე ლაფი დავასხი.

ადიან სცენაზე. აწყობენ იქაურობას, სათამაშო მოედანს, უკანა კედლად დგამენ ისპაჰანობის ერთ-ერთი ასეთი დღესასწაულის ფოტოსტენდს, რომლის შუაგულში, ისპაჰანობის მონაწილის გვირგვინით შემკული ილია ჭავჭავაძის სახე მოჩანს.

ავყია. (დ ა რ ბ ა ზ ს). ამ კონკილეჭია მასხარების დასტისთავი ვარ. ავყია მქვია, საგურამოდან გეახელით დედაქალაქში, საისპაჰანო-საჯამბაზოდ, „ლუარსაბ-დარეჯანიანით“ უნდა მოგალხინოთ დღეობა-დღესა. „კაცია-ადამიანით?!“ აგერ, პატრონიც თავზე დაგვყურებს, დიდი ილია, ისპაჰანობის გვირგვინი მოსავს, სხვაც ბევრი მოჩანს შემოგარენში, დიდი თუ მცირე ღვაწლმოსილი მამულიშვილი, ყველა აქა ხართ და ჩვენც თქვენთან ერთად ნახირ-ნახირ გავწევთ ჭაპანსა, ვიტყვით მართალსა, დავფქვავთ საფქვავსა.

ქაქუცა (ხ ა ლ ხ ს). აზნაურობა დამითმია და ნაქაიხოსრალს ქაქუცა მქვია. დიდი ილიას ჩილამს ვატარებ, რაკიღა ერთ დროს სტამბაში გახლდით „ივერიის“ ასოთამწყობად. ზოგი რამ მახსოვს ქართველი ხალხის უგვირგვინო პატარა კა-[illegible], ზოგსაც გზადაგზა გავიხსენებ, თუ შემეშლება, თქვენ შემ-შველეთ...

ცუნცრუკა. ცუნცრუკა ვარ, საიმისო ლიპი არ მაქვს, წნელის ლასტის მუ-ცელით დავალ... პერანგს პურითი გავივსებ, ლიპად ვიქევ, თავში, ისეც ჩუჩო მიძევს, მე ლუარსაბს წარმოგიდგენთ... (თ ა მ თ ა მ ო ზ ე ა ნ ი შ ნ ე ბ ს). ჩემი ვაჟის ნახევარი, ბერწი ძროხა გინახიათ? ძუძუმშრალი დიაცია, დედობა ვერ გასწია, სახელად თამთამო ჰქვია, მეტსახელად — დარეჯანი.

თამთამო. (გ ა მ ო ა ჯ ა ვ რ ე ბ ს). ენა მოკლედ დაიჭირე, ენაყბედო, ყანყრა-ტში გაიჩხირე, თორემ გაგადარეჯანებ! აზირ შენს ჯანს დააბრალო უშვილობა, ჭირიანო! დღეს-ხვალ უნდა გაგეყარო, წვირიანო! სამურაბე ბადრიჯანის იმედით რომ დაჯანჯალებ, უჯილაგო, გაიგე, რომ საჩანახე ბადრიჯანი უნდა საქმეს, სა-ჩანახე! (წ ა უ მ უ ჯ ლ უ გ უ ნ ე ბ ს).

ცუნცრუკა. (ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ს ა ხ ე ს ი ღ ე ბ ს, პ ე რ ა ნ გ ს თ ი ვ ი თ ი ვ ს ე ბ ს). გაქრი, შენა! ვინმეს მართლა ეგონება... მოდი, ჭიაფერი მომცხე ლოყებზედა, დარეჯანო, მომიხდება, საჩანახე ბადრიჯანით კი არა და აჯაფსანდ-ლით ვერ გაგაძღო ამ მიწაზე დიამბეგმა. შენ არ იყავ, ლვდელი რომ წამოაქციე, მაზლი ერდოში გაჩხირე, კიდევ გითხრა?!

ხუცუკა. (გ ა ა ზ ა ვ ე ბ ს). ამათ იმდენი იყბედეს, ცოლ-ქმარმა, რომ მე რა-ღა ვთქვა?! მოკლედ გეტყვით, ხუცუკა ვარ, საგურამოელი გლეხი.

ჩარექა. ჩარექა ვარ, მესამე გილდეის გლეხი, სიმღერა კარგი ვიცი და ახლავე გეტყვით: (ი წ ყ ე ბ ს დ ი დ ი ი ლ ი ა ს ს ა ყ ვ ა რ ე ლ ს ი მ ღ ე რ ა ს „ბერი კაცი ვარ“... ს ი მ ღ ე რ ი ს ფ ო ნ ზ ე დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი ბ ე რ ი კ ე ბ ი ც ა ც ხ ა დ ე ბ ე ნ თ ა ვ ი ა ნ თ ვ ი ნ ა ო ბ ა ს).

ხუნჯა. ხუნჯა — ჟანდარმმაისტერი, საგურამოელი გლეხი.

ცუცა. ცუცა მქვია, ბაბალე ვარ...

ნუცა. ნუცა ვარ, ელისაბედი...

ხახალა. ქალის მოდგმისა გახლავართ, ხახალა ვარ, ლამაზისეული.

ქაქუცა. (ლ უ ა რ ს ა ბ ს ა დ ა დ ა რ ე ჯ ა ნ ზ ე ი წ ყ ე ბ ს ს ი ტ ყ ვ ა ს). „თუმცა ჩვენმა ლუარსაბმა ძალადობით დაიწერა ჯვარი, თუმცა მზითევშიც მოატყუეს და მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს, მაგრამ, — შუბლზედ ეგ მეწერაო, — იფიქრა და დაემორჩილა ბედისწერას. ბოლოს ხომ ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ. (ს ა ბ ა ნ ს გ ა დ ა ა ფ ა რ ე ბ ე ნ ლ უ ა რ ს ა ბ ს დ ა დ ა რ ე ჯ ა ნ ს). ამათ კი ესე ეგონათ, რომ უყვართ ერთმანეთი და სხვისა კი არა ვიცი რა, „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო“ — ნათქვამია, ფერი ფერს შეხვდა და ერთმანეთი შეიფერეს. ეს შეფერება ჩვენში განა ცოტასა აქვს მიღე-ბული სიყვარულად? „კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც

თანასწორად ემორჩილება ხოლმე; არც ერთისათვის გაიხეთქავს თავს და არც მეორისათვის დაიწყებს ბრძოლასა, — და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობასა და შეუპოვრობას კმაყოფილებად ადიდებენ, კმაყოფილება კიდევ -— ვიღაცამა თქვა — ბედნიერება არისო... უმადლონი სჯერდებიან მას, რაც არის, იმიტომაც იმათში ბევრია ბედნიერი, მადლიანში კი ძნელად“...

ავყია. (ქაჭუცას). რატომ შესავლით არ დაიწყე, „რიტორიკაში“ წერია: „ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო“. შესავლით უნდა დაგეწყო.

ქაჭუცა. (ილიას მიმსგავსებია ჩაცმა-დახურვით, ვარცხნილობით). ბაშუსტად, აგრე იყოს, შესავლით დავიწყოთ: „ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზე დაწერილს თავის თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. დაე კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ, პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჰირზე ვწერთ. სხვამ რაც უნდა თქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

ავყია. „სადა ხარ ეხლა ამ გონიერი სიტყვის მთქმელო?.. (პაუზა). ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხის გენიას გეძახიან... ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულისტკივილსა... რა ვუყოთ? ზოგი გულისტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხს — რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულისტკივილი და სიყვარული აქვს — ეს თვითონ მკითხველმა გამოიცნოს“.

(ლუარსაბ-დარეჯანის ტახტი წინა პლანზე გამოდგეს ბერიკებმა. ლუარსაბი გრძელტარა ყალიონს ტვლეპს და ბოლს ცაში გზავნის, ცოლ-ქმარი თვალის აცრემლებამდე ადევნებენ მზერას ზეამავალ ბოლს).

ლუარსაბი. დრო გამოიცვალა, რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჰამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სვამენ, რა კაცები არიან?! (წამოიწევს, ლოყებს დაბერავს საჩვენებლად).

დარეჯანი. ოღონდაც, ჩემო ლუარსაბ, ოღონდაც, რა უნდა იყვნენ უჭმელ-უსმელნი (დაწვენს).

ლუარსაბი. (კვლავ წამოიწევს). წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, ფიე, ეგ ხომ ქალის საქმეა (ქალებს გამოაჯავრებს). დათვი ხეზე როგორ გავა, იავ-ნანი-ნააო... (მეორე ხმას დარეჯანი შეუერთებს).

ლუარსაბი. (წამოიწევს აღტაცებით). ვენაცვალე უწინდელ დროს, ყველაფერი მაშინ თავის დონეზე იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქ-

ში იყო, ვენაცვალე... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი!.. დაღესტნამდე წვდებოდა ჩვენი გვარი და ხმალი, დაღესტნამდე!

დარეჯანი (დააწვენს, დაამშვიდებს). ოღონდაც, ჩემო ლუარსაბ, ოღონდაც, „დათვი ხეზე როგორ გავა, იავ-ნანი-ნაო“.

ღიღინში ლუარსაბს ჩაეძინება. დარეჯანი საბნიდან გამოძვრება, ღიღინით შეხლსაფენსა და ჩითმერდინს წაიკრავს, ჩითის კაბას უკუღმა მოირგებს სიჩქარისაგან, შიშველ ფეხებს სტუცავს და ფეხაკრეფით მიეპარება შინა გოგო-ბიჭებს „დასაწიოკებლად“. გოგო-ბიჭები „ბებია-ქალობანას თამაშობენ, ხუცუკა და ჩარექა მიწაზე დამსხდარან ერთმანეთის პირისპირ, თავისებური მაკრატელი გაუკეთებიათ ურთიერთის ხელ-ფეხით, ამ მაკრატელში მოფოფხავს ხახალა, იგივე „ლამაზისეული“. ბიჭები ფეხებშუა წურავენ ხახალას, თავის დახსნის ნებას არ აძლევენ.

ხახალა. (ყვირის). ვიწვი, ვიწვი, გამიშვით! (ხელებს წინ იწვდის, მიწას ებღაჭიალება, წინ მოიწევს).

ხუცუკა. (ჩარექას). დამეხსენ, ჩარექავ, ხახალა მიყვარს, თუ უარს მეტყვის, თავს მოვიკლავ!

ჩარექა. მეც მიყვარს და მადლობას გეტყვი, თუ თავს მოიკლავ.

ხახალა. სიყვარულსა მალვა უნდა, ჯორაკუდებო, გამიშვით, ვიწვი!

ხუცუკა. (ჩარექას). მოდი, ჩარექავ, გავხერხოთ!

ჩარექა. გავხერხოთ, ზემო შენა, ქვემო მენა!

ხუცუკა. ზემო — შენა, ქვემო — მენა, ნახერხიც შენა, კარგი?

ჩარექა. ზემო — შენა, ქვემო — მენა, ნახერხიც შენა (ხერხავენ).

ხახალა. ვიწვი, ვიწვი, გამიშვით!

დარეჯანი. (თმებში ჩაიფრინდება). ეს გლეხები არიან, გლეხები! (დასდევს ქოშითა და ქოშინით). გაქირ ვირსავით თუ ერთი შესდგა, მერე თუნდა შინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ მოაცვლევინებ... თუ ადრევე დატუქსული არა გყავს!.. (დააწიოკ და ლუარსაბს დაუბრუნდა).

ლუარსაბი. (გადმობრუნდება დარეჯანისაკენ). სად იყავ, შენი ჭირიმე, რომ ეგრე დაიღალე?

დარეჯანი. როგორ თუ სადა, შენი ჭირიმე! ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალყურის ჭერა უნდა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!..

ლუარსაბი. ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე, გეთაყვანე! დედაკაცობაც ეგ არის და!

დარეჯანი. მაშ... ასე უნდა, თვალგაფაციცებული, ასი თვალი-ასი ყურით დასტრიალებდე მოსამსახურესა, რომ გასაქანი არ მისცე, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებენ, ბიჭებს მოვლა უნდა... (თავსაკრავს წაიძრობს, ჩითის კაბასაც და საბანქვეშ შეუგორდება).

ლუარსაბი. ეგრე, მაშა, ეგრე!

დარეჯანი. ბევრმა არ იცის, როგორ მოეპყრას.

ლუარსაბი. მაშ, არ იცის, თორემ, რომ იცოდეს, კარგია, მაშ!..

დარეჯანი. ხანდახან ტყუილუბრალოდაც უნდა დატუქსო, რომ გამოლანძღო, ცუდი არ იქნება. აი, მე გავლანძღავ კიდეც, გავუჯავრდები, დავტუქსავ. დავწყეველი. სულ რისთვის? იმისათვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს. თორემ შენი მტერი!..

ლუარსაბი. ოღონდაც, შენი მტერი! ოღონდაც!

დარეჯანი. ეს გლეხები არიან, გლეხები, გაქირ ვირსავით თუ ერთი შესდგნენ, განა ჩამოვლენ, თუნდა შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ მოაცვლევინებ... თუ ადრევე დატუქსული არა გყავს... აი ახლაც ლამაზისეულზედ ისხდნენ.

ხუნჯა. (გაძოჯავრებს). აბდა-უბდა, გადასკუპდა, მეფე გადგა, ქურქი დარჩა. ორჯერ თქვი, თამთამო, ეგ სიტყვები შეგეშალა, შეგეშალა!

თამთამო. (განჩხლდება). რა შემეშალა, მითხარი, აბა?

ჩარექა. (თამთამოს). ვერ მოაწყე მაგაზეო, ჩამოაგე ბაგაზეო, ბაგრატი აკი მომკვდარა, გაიგებდი...

თამთამო (მეტის ბრაზით). ქავილავ, ჯღიბავ!.. განა ჟინს ვიკლავ, აბა რა გითხრათ, არა გესმით რა... განმეორებით მე ძალას ვაძლევ სათქმელს. ენას ნუ იფხანთ...

ხუცუკა. (დაუყვავებს). დაცხრი, თამთამო! ერთიც ენახოთ, გაგანიერდე სიცხარითა და ეპოლეტებიანი დაპბადო, იმღამ, ჩაიზე რომ მიგიპატიჟა ბრჭყვიალებიანმა ჩინოვნიკმა, ბუზმენტიჩი არ გამოაგორო ემანდა, ლუარსაბიჩის ნაცვლად, თამთამ!

თამთამო. (ნახევრად შიშველი წამოუხტება). მძრახავთ კიდეცა?.. ამ ჩემის გოდრის წყალობით გიხსენით იმ დღესაც ქილვაშებიანი ჟანდარმმაისტერის რისხვისაგან, უმადურებო, სიმბირი აქეთ დაგრჩებოდათ!.. კიდევ დამპატიჟებს ის თქვენი ვერმწყალობელი წკლიპურტიან ჩაიზე და მერე ნახეთ თქვენი ფეხშიშველი სიარული ყინულის გორებზე!

ავყია. (დასჭყივლებს ბერიკებს). ისპაჰანობა ძალაში შედის, ზღვა ხალხი გვისმენს, შარაზე ხართ, განა, გვერდები გქავთ! (ფრაზას აწვდის თამთამოს, ანუ დარეჯანს). „ეს გლეხები არიან, გლეხები! გაქირ ვირსავით თუ ერთი შესდგნენ, თუნდა შვინდის სახრე უტყაპუნე“...

თამთამო. (კმაყოფილი). ე, სიმბირის ხსენებაზე კი კარგა გაილურსნენ და...

ავყია. დიდი ძალაა, შვილოსან, სიმბირი, დიდს შეღავათს აძლევს რუსთბელმწიფესა!

ჩარექა. იმპერიისა ბეღელია, ეგ დალოცვილი, მადანია, სწორედ მადანი!.

ქაქუცა. მადანია და მერე როგორი! რაც მაგ ყინულოვან მიწაში სიმართლის შთქმელთა თვალ-მარგალიტია ჩათესილი, მარტო ის მარგალიტები, ის ჭკუით სავსე მამალი ბიჭები, რუსეთისა გნებავთ თუ ჩვენი, მარტო ისინი ააშენებდნენ უძალადო ქვეყანასა!..

ავყია. (დაჰკივლებს ყველას). მორჩით და პირები გაილოკეთ,

თქვე ძაღლისეულნო, თქვენა!.. ვერა ხედავთ, რომ ხალხი ღრედა დგას. ისპაჰანობა დღეა დღესა და სანახაობა უნდა ხალხსა, პრანჭვა და გრეხვა, განა ტვინის ჭყლეტვაა!.. (დარეჯანს მოუბრუნდება და სათამაშო რეპლიკას მისცემს). არა, გეთაყვა, ეს რაცა ვთქვი, ტყუილია?

დარეჯანი. (საბანქვეშ შეუწვება ლუარსაბს). არა, გეთაყვა, ეს რაც ვთქვი...

ლუარსაბი. ტყუილი რად იქნება? მართალია. შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერაბა (გავაზე გადაუსვამს ხელს.)

ავყია. (დასტას არიგებს). მეფისმოხელე ჩინოვნიკებს ნუ შეურაცხყოფთ, ნურც იმპერატორს შეეხებით ესე, სახალხოდ. ჩვენი საქმე პატარა არის, ბუზები ვთვალოთ, ბუზები, ხალხნო!.. ბზზზ... (ნიშანს აძლევს, ბერიკებიც აბზუვლდებიან).

ლუარსაბი. დარეჯან, გესმის, დარეჯან? აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, აიმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?..

დარეჯანი. აბა, სადა?

ლუარსაბი. აი, ჭერის ფიცარზედ.

დარეჯანი. რამდენია? მოიცა, ჯერ დავთვალო.

ლუარსაბი. ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ, აბა ისე გამოიცან, კაცობა ის იქნება.

ხუცუა. ჩვენც რომ დავთვალოთ, უბრალო ხალხმა, ბუზი, ბატონო, ნება გვეძლევა?

ლუარსაბი. თქვენ-თქვენი ბუზები თვალეთ! მანდ, თქვენს მხარეს!..

ჩარექა. თქვენსა და ჩვენს ბუზებშიც არის სხვაობა?

ლუარსაბი. ბზუილითა, თქვენიცა ბზუის, მაგრამ, ჩვენთან ისიცა სტყუის.. (დარეჯანს). ხომ კარგად მოვაწყვე, ჩემო დარეჯან?..

დარეჯანი. მე უფრო მოვაწყობ, მისმინე: (გოგო-ბიჭებს). თქვენი ბუზი, თქვენი ბუზი წვრილია და ხსილიანი, ჩვენი კიდევ მსხვილი გახლავთ, მომწვახო გადაჰკრავს (ლუარსაბს). მე უფრო კარგად არ მოვაწყვე, შენი გულისა?!

ლუარსაბი. კარგი იყო, კარგი, მაგრამ ის რომ არ გითქვამს, ჭერის ბუზების სათვალავი!

დარეჯანი. ოცდაათი იქნება, ჩემო ლუარსაბ...

ლუარსაბი. ოლოლო შენ, ვერ გამოიცან! (უხარია). დედაკაცის ტვინი, ხალხნო, რაც არ უნდა დიდი კაცის დედაკაციც გახლდეთ, ნედლი საპონივითა არის, მოყვითალო, ზედ, ამ საპონზე, შუბლის ქინძისთავივით ან გული გახლავთ ამოყვანილი, თუ გულიანი დედაკაცია დარეჯანსავით, თუ არა და ეშმაკია ზედ შემჯდარი, თუ დედაკაცი ეშმაკეულია ჩემს რძალსავით.

დარეჯანი. რამდენია? (ჭერში იხედება).

ლუარსაბი. (ეშმაკურად). რამდენია? გითხრა? არა, არ გეტყვი.

დარეჯანი. სთქვი, თუ იცი, რაღა.

ლუარსაბი. თუ კაცი ვარ, ორშოცი უნდა იყოს, ოლოლო შენ, მე გამოვიცანი

დარეჯანი. დიახ, გამოიცან — დაგითვლია, როგორც იმ დღესა ჰქენი, ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ.

ლუარსაბი. შენც არ მომიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია.

დარეჯანი. მაშ საიდან იცი, რომ ორმოცია?

ლუარსაბი. საიდან? იქიდან, რომ გონება მაქვს...

დარეჯანი. (ა ნ ჩ ხ ლ ო ბ ს). განა მე კი არა მაქვს გონება?

ლუარსაბი. შენცა გაქვს; მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა. მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

დარეჯანი. (ფ ა რ უ ლ ი ს ი კ ა პ ა ს ი თ). რომ არ იყოს ორმოცი?

ლუარსაბი. ჯარიმა გადამახდევინე, ბიჭი მაჩუქე, ჩემმა ძმამ დავითმა არ გაიხაროს და ჩემს მამულებზედ არ ინავარდოს! მომეცი შვილი, ქალი არა ხარ, ერთი შვილი რა, ჩემო დარეჯან? დარეჯან... შენი მაზლი, დავითი ცოცხალი და მეფე ერეკლე — მკვდარი?! დაგელოცოს, ღმერთო, სამართალი!.. შობე!..

დარეჯანი. ჯერ ბუზებსა ვთვლი და ბუზი დავთვალოთ, ოხრადამც დარჩეს ჩემი მაზლი, შენი ძმა დავით, შვილსაც გავაჩენ, თვალს დავუყენებ ელისაბედსაც, ორივეს ერთად მოვთხრი თვალებსა...

ლუარსაბი. ოღონდა, ჩემო დარეჯან, ოღონდაც.. დავთვალოთ?..

დარეჯანი. დავთვალოთ. (ი თ ვ ლ ი ა ნ). ერთანა, ორანა, სამანა, ოთხანა, ხუთანა, ექვსანა, შვიდანა, რვანა, ცხრანა, ათანა. (თ ი თ ს მ ო კ ე ც ა ვ ს, მ ე ო რ ე ა თ ე უ ლ ს ი თ ვ ლ ი ს). ერთანა, ორანა, სამანა,... გამოიცნო?! დიახ, გამოიცნო, გამოიცნო, გონება აქვს ბატონს და იმიტომ გამოიცნო (დ ა მ ც ი ნ ა ვ ი ს ა ხ ი თ).

ლუარსაბი. გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, სწორედ გაფრენილან.

დარეჯანი. კი, უფრო კარგი, თუ გაფრენილან, უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო? მანდ ორმოცდაათზედაც მეტი არის ეხლა.

ლუარსაბი. ეს რა წამოვროშე, ჰა?.. დალახვრა ღმერთმა, ეგ ვეღარ მოვიფიქრე, ბიჭოს, თითქო ოთხჯერ დავთვალე...

დარეჯანი. აკი არ დამითვლიაო? ჰო!

ლუარსაბი. შენგან არ მიკვირს! რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არ ვიყავ, ისე გამომეცნო, როგორ არ დავთვალე, დალახვროს ღმერთმა! შევმცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი. (ტ კ ბ ი ლ ა დ მ ი უ გ ო ლ უ ა რ ს ა ბ მ ა მ ე უ ღ ლ ე ს).

დარეჯანი. ჰო, აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა! (ღ ი მ ი ლ ი თ).

ლუარსაბი. ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?

დარეჯანი. შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა.

ლუარსაბი. (მორცხვად, გულნატკენად). დარეჯან!... დარეჯან!... თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი.

დარეჯანი. რატომ, შენი ჭირიმე? რატომ?

ლუარსაბი. ნუ რა, ნუ მეძახი, შენი ჭირიმე! (გულწრფელად შეწუხებულია).

დარეჯანი. რატომ, ჩემო... რატომ?

ლუარსაბი. რატომ და... ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე. ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა, რა კაცის საკადრისია ეგ, სახელი? ტურფა...

დარეჯანი. (მეტისმეტად გულნატკენი, ცრემლმორეული). მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ, განა არა? მე შენგან ეგ პირველად მესმის.

ლუარსაბი. (ცდილობს დამშვიდებას). ჰო, გეთაყვა, ჰო, შენი გოშია ვარ, მაშ არა ვარ? ავ-ავ-ავ (ნაზად შეჰყეფს).

დარეჯანი. მეც გოშია და შენც გოშია, გეთაყვა — ავ! (ნაზად შეჰყეფს).

ლუარსაბი. (შეჰყეფს და პირს წაატანს ცუგრიასავით). ავ-ავ!

დარეჯანი. (ეანცება ცუგოსავით). ავ-ავ-ავ. ლუარსაბ.

ლუარსაბი. (ნაზად). შენ იცი, ჩემი რა ხარ? ავ-ავ-ავ!

დარეჯანი. რაო, ჩემო გოშია? ავ-ავ-ავ?

ლუარსაბი. სულის წიწმატი... ავ!

დარეჯანი. კიდევ?

ლუარსაბი. გულის ტარხუნა (ბალიშზე დააგორებს დრუნჩიხ წაკვრით.) ავ!

დარეჯანი. კიდევ, კიდევ რა ვარ, მითხარი?! ავ!..

ლუარსაბი. გონების, გონების აბა რა ვთქვა? თუნდა მარილი იყოს... კარგად არა ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგიწყდება? კარგი მოწყობა არ იყო?

დარეჯანი. მე შენი მარილი, შენა ჩემი კიტრი, მეც ხომ კარგად მოვაწყე.

ლუარსაბი (ალერსით). შენ დადნები ჩემზედა, რომ მე მოვალ შენზედა!

დარეჯანი. (მიამღერებს). შენა კიდევ შენზედა, როცა მოხვალ ჩემზედა!.. (საბანქვეშ შეძვრებიან ორივენი).

ავყია. (ხალხს მიმართავს). აგერა, ხალხნო, ვინა გორავს მამა-პაპის სისხლით ნაპოხ მამულზე. ხმალი ქარქაშში დაჟანგდა, ტვინი — ქალაში. ფეხებზე ჰკიდია ხვნა და თესვა, აქაო და მტერი არ გვესხმის არსაიდანო, ა, ესე გორავს მხართეძოზედა, ჭამს, სვამს, ხვრეპს და გაიძახის, მამულის პატრონი ვარ, მამულიშვილი, სახელოვანი თაოქარიძე გახლავართო!.. (ისმის ფაეტონის თქარათქური, შოლტის ხმა, მეეტლეს შეძახილთან შე-

რწყმული ხმები მიჩუმდება ავყია გადის და ქაიხოსროს დაუთმობს ადგილს).

ჭაჭუცა. (ილიას ნიღბით, თავზე ყვენობის საპატიო მონაწილის დიდი თეთრი მუყაოს გვირგვინი ხურავს, ფრაკი აცვია, ტროსტი და „კატილოკი" ხელში უპყრია. დინჯად დაიწყებს: „მამული! — ამ სიტყვის ყოვლად მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, სადაც ხალხობა დარღვეული არ არის და განთავისუფლება — ეგ ჭირთა ჭირი არა მეფობს, იქ, მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიშებელი სულია, მთელი ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაქრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ პფიქრობს და ყველა თითოეულისათვის... სადღაა მამული?! ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც თან მოსდევს. განვთვითეულდით და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დიფეყებულ და შევიწროვებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებელი აზრი დიდებელი სიტყვისა?!

მამულის ხსენებაზედ ეხლანდელის ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარშია. მამულისათვის ძლევამოსილება — მოგებული საქმის განაჩენის პარია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყურუშელი ღობეა, ვენახგარშემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულიშვილობა — მხვნელისა და მთესველის სახელიღაა... მამული!"... (ამ სიტყვებთან ერთად ილია ლუარსაბის ტახტს გადაავლებს თვალს ნაღვლიანი ღიმილით და დინჯად გადის. ფიჯტონის ხმები თანდათან განშორდება და მიწყდება.

დეზების წკარუნით, შემოდის საიდუმლო სამსახურის ბაკენბარდებიანი ჩინოვნიკი, ხელში დავთარი უპყრია. დავთარს გადაშლის იგი და იწყებს თავისი „საქმის" კითხვას).

ჩინოვნიკი. (იგივე ბერიკა ხუნჯა).

«Уверенно можно утверждать, что главным руководителем направления ставящего своей целью углубление национального движения является князь Илья Чавчавадзе, председатель Тифлисского дворянского банка.

Князь Илья Чавчавадзе обладает замечательным умом и положением, пользуется большим авторитетом среди грузин и вообще среди свободомыслящих в особенности. Ходят слухи, что у него время от времени устраиваются тайные собрания, на которых обсуждаются различные общественные и социальные вопросы».

(ჩანდარმი დავთარს დაკეცავს, ილიაში ამოიდებს, ჯერ მაყურებელს მოავლებს თვალს აუჩქარებლად, დაკვირვებით, მერე ზურგს შეაქცევს და სცენას ათვალიერებს. სცენის სიღრმიდან ატეხილი სასტვენების ხმები, როგორც მარეკების საყვირები ნადირს, ისე გამოდენის წინა.

პლანზე აჭა-იქ შეყუჟულ ბერიკებს, წინ თამთამო მოდის ნაძალადევი მხიარულებით, სხეულის რხეით, უკან ავყია და დანარჩენები მოჰყვებიან. ტახტზე მწოლარე ლუარსაბი მოჰყავთ ბიჭებს).

ჩინოვნიკი. ჩტო ზა ზბორიშჩე, ჩტო ზა ბალაგან?! ალი უბილი კავო? ჭტო ლეჭიტ? (ლ უ ა რ ს ა ბ ს გ ა ა ნ ჯ ღ რ ე ვ ს).

თამთამო (შ ე ხ ვ ა ნ ხ ვ ა ლ დ ე ბ ა). პაკა ჟივოი, ვაშე სიატელსტვო, პორფირი ფილიპიჩ...

ჩინოვნიკი. (ხ ე ლ ი თ ა ნ ი შ ნ ე ბ ს, ა რ ა მ ც ა ლ ი ა ო). კტო გლოვარ ეტოგო ბალაგანა?

ავყია. (წ ი ნ წ ა მ ო დ გ ე ბ ა). ვაშ-ვაშ-ვაშ ბლოღოროდიე, ეტო პროსტოი სკომოროში გრაპ-ტრუპ, სბროდ, განჟუინ, პაიომ, ნაროდ სმეიოტსია, ვინო დაიოტ, ი ხლებ ტოჟე, ვინო პიომ, ხლებ ჟრიომ ი, ჟივიომ...

ჩინოვნიკი. დოკუმენტი!

ავყია. (ს ა ბ უ თ ს ქ ე ქ ა ვ ს, თ ა ნ დ ა ს ს უ ბ რ ძ ა ნ ე ბ ს). ადე, ლუარსაბ, ტახტი დაცალე; თამთამო, შენ კი ტახტზე დაჯექ შენებურად და ბარკალი გადაშალე, აჩვენე ედეში. (ბ ე რ ი კ ე ბ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს შ ე ა ს რ უ ლ ე ბ ე ნ, ა ვ ყ ი ა ს ა ბ უ თ ს ა წ ვ დ ი ს ჩ ი ნ ო ვ ნ ი კ ს, თ ა ნ ი ღ რ ი ჭ ე ბ ა, უ ნ დ ა, რ ო მ ა ა მ ო ს).

ავყია. ა ვოივალ ნა რუსო-იაპონსკიმ ვოინუ, კურაპატკინ გენერალ მნე კრესტუ დავალ ზა ტო, შტო ეგო კაროვუ სპას...

ჩინოვნიკი. (ს ა ბ უ თ ს ს ი ნ ჯ ა ვ ს). კაკ ეტო ტაკ, კოროვუ სპას! კურაპატკინ ტებია ნაგრადილ ზა ტო შტო ტი ეგო კაროვუ სპას? შტო ზა ჩუშ!

ავყია. ვოტ, პოჟალუსტა, დოკუმენტ, ზა სპასენიე კაროვი კაკ მნე კრესტ დავალი (თ ი თ ს ა დ ე ბ ს ს ა ბ უ თ ს, რ ო მ ე ლ ს ა ც ჩ ი ნ ო ვ ნ ი კ ი ს ი ნ ჯ ა ვ ს).

ჩინოვნიკი. (ს ი ც ი ლ ი თ). ვოტ ჩუდაკ! აკაზივაეტსია ტი გენერალსკუიუ კოროვუ პას, ა ნე სპას; კორმილ, პოილ, დოილ... სკაჟიკა ჩესტნო; მოლოკო ნე ვოროვალ, ნე პილ?

ავყია. (ღ რ ე ჭ ი თ). კაკოი გრუზინ პიოტ მოლოკო, ნაშე დელო პიტ ვინო!

ჩინოვნიკი. (მ წ ყ ა კ უ ნ ი თ). წინანდალი და! ა, სიუეტ კაკოი, ვ ვაშემ ბალაგანე, ვო შტო იგრაიტე? (თ ა ნ თ ა მ თ ა მ ო ს გ ა დ ა ხ ე დ ა ვ ს, ს ა ყ ვ ა ვ ი ლ ე ზ ე თ ვ ა ლ ს გ ა დ ა უ ვ ლ ე ბ ს).

თამთამო (ჩ ა ე რ ე ვ ა). კაკ სტარი მუჟ-ჟენა, ბოგუ სინა პრასილი, ატოტ ნი დალ, ნიეტუ ჰი.. (მ უ ხ ლ ე ბ ს მ ო ი შ ი შ ვ ლ ე ბ ს).

ჩინოვნიკი. (ს ა ბ უ თ ს უ ბ რ უ ნ ე ბ ს ა ვ ყ ი ა ს). ხოროშო, ხოროშო. (ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ს დ ა ს ი ს წ ე ვ რ ე ბ ს, შ ე ა ჩ ე რ ე ბ ს მ ზ ე რ ა ს ქ ა ქ უ ც ა ზ ე. ი გ ი უ კ ვ ე გ ა დ ა ც მ უ ლ ი ა, ფ რ ა კ ი, „კ ა ტ ი ლ ო კ ი“ დ ა ტ რ ო ს ტ ი დ ა უ შ ა ლ ი ა. ჩ ი ნ ო ვ ნ ი კ ი ა ხ ლ ო ს მ ი ვ ა, დ ა ა კ ვ ი რ დ ე ბ ა). კაკიე უმნიე, ვირაზიტელნიე გლაზა უ ეტოგო სკომოროხა... ვი-

სოკი ლობ, პრიბორ, უველენო მოენო უტვერუდატ, შტო... (აღარ დაამთავრებს). ტამტამო, ნა ჩაი ნე ზაბუდ პრიწი ვეჩერკომ, კაკაია სკუკა... კაკ მალო უ ვას დევუშეკ ხოროშიხ! (წასვლას აპირებს). მნოგო ნე შუმიტე... ი ბეზ ტოგო ვეს გოროდ ბალაგანომ სტალ, კეენობა, ისპაჰანობა... ჩორტ ბი ვას პადრალ! (გადის).

თამთამო. (მიაძახებს). სახარნიკ კრუშკუ ხარაშო ზაკროი, შტო მუხი რანშე ვრემენი ნე ვილეტელი, ატო დენშიკ ბუდეტ ვოროვატ ვაშ სახარ, ი, ვი ვაშ სიატელსტოე, ნე უზნაიტე, სკოლკო კუსოკ ვზიალ დენშიკ, ი სკოლკო ვი!.. ჰი-ჰი! (ქოლას მიაყრის.) აი, მეხი კი დაგაყარე, შე ფაფის თეთრო მატლო, მანამ არა ჭამო რა, სანამ მე შენ საიმრიგოდ არ გეახლო (ცუნცრუკას მიეფერება). აი, ჩემი ცუნცრუკა ქმარი, აქ არა მყავს, ამას ენაცვალოს თავისი თამთამო-დარეჯანი!..

ავყია. (ტრაბახით). ძაან კი გვიხსნა ფათერაკისაგან კურაპატკინისეულ ჯვარმა და! (საბუთს უბეში ინახავს).

თამთამო. (გავაზე დაისვამს ხელს). შენმა ჯვარმა კი არა და, აი ამან გიხსნათ, ამან, ამან-ამაან-ამან-ამაან, აი-აი, ამაან, აი, ამააან, (ბაიათის ხმაზე გააბამს.) ამან გვიხსნა ჩვენ და მადლობის ღირსად არ გავხადეთ! (ლუარსაბს მიმართავს.) არა, გეთაყვა, ეს რაცა ვთქვი, ტყუილია, განა? ამან აი, ამაან-ამაან...

ლუარსაბი. (მიეფერება გავაზე). შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება, ტყუილი რად იქნება. თორემ, მაგ კეთილს, ჯვრების მეტი რა უნახია, ბარე სამჯვრიანიც იქნება!.. (ტახტზე დაიგორებს ლუარსაბი დარეჯახს. გოგო-ბიჭები ავანსცენაზე გადგამენ ტახტს, თვითონ კი სცენის სიღრმეში წეღანდელ ღლაბუცს განაგრძობენ).

ლუარსაბი. საჭმელი რომ არ იყოს, ხალხო, აღარც დღე იქნებოდა. მარტო დიდი ღამე, დიდი ძილი და დიდი ამბები იქნებოდა, დი-ტირამტები რამტი-რიმტები... ხალხი ისე გამრავლდებოდა, რომა, დედამიწა ჩაინგრეოდა და ხარის რქებზე დავეგებოდით სუყველანი...

დარეჯანი. უი, შენი კუჭისა, ეგ რა კარგად მოაწყე, შენ გენაცვალოს შენი დარეჯანი, სოლომონ ბრძენს პირდაპირ თავში ჩასცხე და ეგ არის...

ლუარსაბი. ყველა სიბრძნე სტომაქიდან ამოდის, შენ შემოგევლე. სოლომონ ბრძენი განა მშიერი გახლდათ, არა! აბა, სოლომონმა იცოდა კარგი ხმა-ჭამა, თუ იცოდა! არც ერთი მეფე შიმშილისაგან არ მომკვდარა, გენაკვალე, არა. სოლომონმაც კარგი სვა და კარგი ჭამა. არც ქალი დაიკლო და ბრაზ კაცი მურე სუყველაფრით რომ არ გასივდა და ასი წელი რომ გადააგორა. ეჰეუ ბრძანა ეს ცხოვრება ამაოა და არარააო. აი, ახლაც რაკიღა სტომაქმა დამიძახა კარგი ნიშანია. მე ახლა იმ ჩვენს მოურავს, დათოს, გავძახებ, ყოველისფერს საუკეთესოს მოვაზიდინებ, დოშ-ხიზილალიდან მოყოლებული, ხეკით დამთავრებუ-

ლი და მერე ვთქოთ, ღირს თუ არა ცხოვრება (მოურავს გასძახებს.). დათო, ჰოი, დათო!..

დათო. (აფუსფუსდება). გისმენ, ბატონო, გეახლები!.. (ბიჭებს), ტარი რა იქნება, ტარი, ბიჭებო? (ჩიჩილაკს ეძებს).

ხუცუკა. რა ტარი, რი ტარი?

ჩარექა. ბარისტარი თუ თოხისტარი?

ცუცა. ტარი, თუ სატარე, რას ეძებთ?

დათო. (დაუტევს)., სატარეს მოგცემ, დროზე, გავდივარ, სად არის?

ლუარსაბი. დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ?

დათო. ჩამოვიტანე, უმი გახლავთ, ახლავ შევესანსლავთ... ხუნჯა!

ნუცა. ჩიჩილაკს ეძებ, გეთაყვა, ხუნჯას თუ გაჰყვა.

დათო. სად ჯანდაბაში წაეთრა?

ხახალა. გოდფრუას ცირკის ბილეთი ჰქონდა, იქ მიდიოდა და მგონი დრო-შაც მიჰქონდა...

დათო. ცირკი და დროშა?! ხომ არ გაგიჟდა, მეზეუმში მაინც წაეღო...

ქაქუცა. დიდ ბატონს — კატკოვს უბრძანებია, პეტერბურღელს, გოდფრუას ცირკში ჩააბარეთ ქართველებმა ეგ თქვენი დროშა, მაინც სცენაზე ხმარობთო და... აზირ გოდფრუას ჩააბაროთო...

დათო. გაგიჟებულა ის ოხერი! სანოვაგე მაინც მოეხსნა; სუკი, არტალა... ტარი ჯანდაბას, ეგ რა მიჰქარა!

ლუარსაბი. დათო, ხორციი!..

ხუცუკა. აბა თუ დროშას მოიკითხავს...

ქაქუცა. დროშა რად უნდა ლომს, ლეში უნდა!.. (შემოდის ხუნჯა, ბაზრიდან დაბრუნებული, ჩიჩილაკი სავსეა სუკებით).

ხუნჯა. უმად იქმევა, ისეთი რამ არის. (ჩიჩილაკს აძლევს ავყიას).

დათო. (ჩამოართმევს). სად დაიკარგე, სად იყავ აქამდე?

ხუნჯა. თათარი, ათარი, თათარი, თათარი, სავსეა ბაზარი, განა თუ ფარხმალით მობრძანებულან, ხორცით, ერბოთი, ყველით, ქათმით... ჩვენ მარტო ვქაქანებთ, ვქაქანებთ, ვქაქანებთ, თათარი, თათარი, თათარი, ჰა!

ლუარსაბი. მორჩით, გაათავეთ... დროზე შემოიტანეთ ეგ ჯალამბარია თუ ჩიჩილაკი, თუ ეშმაკის ტარი (მოურავს). ბარაქალა, ჩემო დათო, ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მაგარი მკლავი! (ჩიჩილაკს სინჯავს).

დარეჯანი. ძვირფასი კაცია, სწორედ ძვირფასი!..

(დათო მორცხვად დახრის თავს).

ლუარსაბი. პირდაპირ ბარაქალაზე გადავალ, დათო, სანოვაგეს ნუღარ ჩამომითვლი, კარგი?

დათო. გადადი, გადადი...

ლუარსაბი. მაშ სახლი სავსე ყოფილა, ჩემო დათო...

დათო. როდისა გხლებიათ ნაკლული, შენი ჭირიმე, რომ ეხლა იყოს?

ლუარსაბი. ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს, ბარაქალა!

დათო. დიახ, ბატონო!

ლუარსაბი. თუნდ ნაკლული იყოს, უნდა თქვა, რომ სავსეაო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, ეს ყველაფერი იცი.

დათო. ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ და როგორ არ მეცოდინება, შენი ჭირიმე!.. მაგისთანების მეტი რა ვიცით!

ლუარსაბი. ეგ კარგი, დათო! ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, ურმები გაისტუმრე?

დათო. გავისტუმრე, მოუსავალში, შენი ჭირიმე.

ლუარსაბი. რაო, ვეჟო?

დათო. მოუსავალში, მოსავლის ასაღებად, გავისტუმრე, ეხლა თუნდა ჩვენს დამპალ ორღობეებს იქნებიან გაცილებულნი.

ლუარსაბი. რასა, რასაო?

დათო. ჩემი ურგები ქოთანი — ქვასაო და შეჭამადი — გოშიასაო. (ბერიკებს). თქვენცა თქვით რამე, ხმა ამოიღეთ, გაჭირ ვირებო! ამ უგზო გზებზე-ლაფით საცხე ორღობეებში, გალაყებული მოსავლის თესვა არ გეზარებათ, თქვე ოხრებო, ცხოველები ხართ?! აღრიალდით, დაღრიალდით, როდემდის უნდა იგორავოს ამ დამპალ ტახტზე ფუნიგორგალმა და კბეინამ მისმა, ამ მყრალმა ქალმა?!

ხახალა. დარეჯნობა მოიწყინდაო, ნესტან-დარეჯან მიხმე მისამარას, თორემ, მაგ წილიანი თმებით გითრევო, ასე მითხრა...

ავყია. ახია ჩვენზე, სწორეც იქცევა! ხელმწიფისათვის პეტერბურღში ბომბი უსვრიათ... თქვენ კი ტილი გჯამთ!

ქაქუცა. ალექსანდრე მეორისათვის?.. იქ არ ვიყავი, ხუთეული რომ ჩამოარჩევს მოედანზე.

ხუცუკა. მერე, გვითხარი, ერთსა კიბალჩიჩს, ამბობენ, თურმე საფრენ ბანქანას, რაღაც ცათმავალს იგონებდა სტუდენტი ბიჭი, ანგარიშის დასრულებაც არ დააცადეს, სხვებთან ერთად ისიც დაარჩვეს...

ჩარექა. მიხაილოვი იყო თურმე, მეორე, ქარხნის მუშა, ტანად მაღალი...

ქაქუცა. აკი გითხარით, ამასწინაზეც, განმეორებით, აკი გიამბეთ... კიბალჩიჩზეცა და სხვებზეც გიამბეთ.

ნუცა. კიდევ გვითხარი, ამ ბნელში ყრას, სინათლეზე გამოგვიყვანე...

ქაქუცა. მაშინ იქ გახლდით, სემიონოვის მოედანზე, პეტერბურღში, შავ ეტლით ჩამოატარეს, უბედურები... ალექსანდრე მეორე კი დაასამარეს, მაგრამ, მესამე დაჯდა ალექსანდრე და თავისი მამის ჯავრი იყარა...

ცუნცრუკა. (ტახტიდან). მე რას მიბრძანებ, დასტის თავო, მიხაილოვი და კიბალჩიჩი ვიტირო, თუ ლუარსაბი?

თამთამო. (გაჩუმებს ქმარს). ჩვენი თავი უნდა ვიტიროთ, ჩვენი!.. (ქაქუცა). პეროვსკაიაზეც გვითხარი რამე, იმ ლამაზ ქალზე, ქაიხოსრო, დარეჯანს თუნდა ჯანიც გავარდეს, გვითხარი...

ქაქუცა. ექელიაპოვის გვერდით, შავ ფაეტონში პეროვსკაია იჯდა, დიდი არისტოკრატული ოჯახის შვილი, პაპა იმისი — მინისტრი გახლდათ...

ხახალა. ეგ ვერ გამიგია და თუნდა მომკალი...

ქაქუცა. რა?

ხახალა. რამ გააგიჟა. ის საბრალო, ქა, დიდკაცისა და მდიდრიშვილმა მეფის საძრახი სიტყვა როგორ თქვა?! დედაჩემი, კარგად მახსოვს, პირს ჩასადები რომ არა გექონდა, წვრილშვილი ქალი ქვას ჩაადგავდა ხოლმე ქვაბში მოსახარშავად... ჩვენ რომ ბუნტი ვქნათ, ხალხო, გასაგებია, მაგრამ, იმან, დიდკაცის შვილმან, მაძღარმა და თანაც ლამაზმა, მეფის საძრახი სიტყვა როგორ თქვა?!

ქაქუცა. გონიერი ვინც იყო, ყველამ ნახა, რომ ქვეყანა დალპა, რომ იმპერია ჰაობში ჩადგა, მდიდრებიც გახლდნენ ჭკვიანები და ღარიბებიც. მიხაილოვი, ქარხნის მუშა და პეროვსკაია, გუბერნატორის ქალიშვილი, ერთ გზას დაადგნენ სახელმწიფოს გადასარჩენად... უვიცები, თქვენ რომ იცოდეთ, ღარიბთა შორისაც ბევრი იყო. მაგალითს გეტყვით: მიხაილოვი მაინც ახერხებდა ტანის გადმოხრას შავი ეტლიდან, ხალხისაკენ. მაღალი ტანის იყო... რაღაცას ამბობდა, მაგრამ, გარჩევით არა ისმოდა რა... ყური მოვკარი მხოლოდ, ერთმა უბრალოდ ჩაცმულმა დედაკაცმა, — ან მოსამსახურე, ან ბაზარში მოვაჭრე უნდა ყოფილიყო, — წამოიძახა: „იშ პროკლიატი, ეშჩო პროშჩენია პროსიტ“. გულში ეკლად მომხვდა ეს სიტყვები.

ქაქანა. (ბრაზით). იქა ვმდგარიყავ, მე ვაჩვენებდი იმ მყრალ დედაკაცს!

ავყია. ლაპარაკი-ლაპარაკსაო, ცოლი გაჰყვა ამხანაგსაო, ჩვენ-ჩვენი საქმე გვაბარია და ამას მოვხედოთ. ჩვენს ლუარსაბსაც დამარხვა უნდა, როცა მოკვდება...

თამთამო. (ეხვეწება ავყიას). ცოტა კიდევ რა, ავყიავ, გესმის, ცოტა კიდევ ვაამბობინოთ, ჰკუაში თითქოს სინათლე ჩადგა.

ავყია. სად თეკლე და სად ისპაჰანი, დღეობა დღეა, მილეთის ხალხი ირევა, გართობა უნდათ, თორემ, ერთიც იქნება წამოდგება და გეტყვის: „იშ პროკლიატის“!

ქაქუცა. მართალსა უბნობს უსტაბაში, ჩვენი ავყია. ვიდრე ლუარსაბს შევუდგებით, მოდით, მოვგროვდეთ, მხარი-მხარს დავდგეთ. მცირე დუმილით პატივი ვცეთ ჩვენს წინამორბედთ, ხალხის ბედნიერებას ვინც ზვარაკად დაუდო თავი!

თამთამო. იმპერატორის მოკვლა რომ გინდოდეს, პეტერბურგს უნდა ჩახვიდეკაცი! (მოგროვდებიან. თამთამო და ცუნცრუკაც წამოდგებიან ტახტიდან. მდუმარედ დგანან დაგლეჯილ-

დაფლეთილები, შუაში ჩიჩილაკი უდგათ. მერე, დუმილის შემდეგ ერთხმად იტყვიან ნაწყვეტს აჩრდილიდან):

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება!..
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჰაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს“...

ლუარსაბი. (ერთბაშად იყვირებს). ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჭო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, როგორ იქნება? (დარბის-დაგორავს). ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარა ვყოფილვარ! გაგონილა! ფიე!.. ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან!

ხუნჯა. (დაბნეულ ავყიას, მოურავს). ოცი იყო-თქო, ოცი უთხარი, რა გენაღვლება! ეს ქვეყანა ეგრე ბრუნავს!

დათო. (ლუარსაბს). რამდენი გნებავთ, რომ გიბრძანოთ, ბატონო!

ლუარსაბი. (ბრაზით). ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ხუთმეტი, ვეჭო!

დათო. ხუთმეტი ერთი გავისტუმრე, ათიც მეორედ, სულ ოცდა ხუთზედ მეტიც კი გახლავდათ, ბარე ორმოცი იქნებოდა.

ლუარსაბი. (ქმაყოფილი). ბარაქალა, ჩემო დათო, ბარაქალა, აი, ეს მესმის! მაგისი ნახევარიც არ ეყოლებოდა ჩემს ძმა დავითსა!.. ბარაქალა! გასწი, დათო!

ჭაჭუცა. ხუთმა რევოლუციამ გადაიქუხა საფრანგეთის თავს და ჩვენ კვლავ ლუარსაბ-დარეჯანიანის ხვნეშით ვითვლით წამს გონიერი ჟამთასვლის ნაცვლად,

ავყია. მე მოურავად მაინცა ვყავარ, თქვენი მითხარით, შვილოსა, თქვენი, ხამპალის წვენიც სანატრელი გაგიხადათ მესაქონლე და მიწათმოქმედ ხალხს!..

ჭაჭუცა. კარგად დაუგდეთ ყური, ხალხო, მწოლიარე გვამს, არაფერი გამოგეპაროთ...

ლუარსაბი. (ქმაყოფილი, გორვით, დარეჯანს). გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონი!.. ეგრე უნდა, რომ ყოველ ცისმარე დღეს ეშინოდეს, თორემ ღორის მკბენარსავით რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდება, მაშ! (დარეჯანს). შიში შეიქმს სიყვარულსა!..

დარეჯანი. ოღონდაც, ჩემო, ლუარსაბ, ოღონდაც! შიში შეიქმს...

ლუარსაბი. (მცოდნედ, მეცნიერსავით). გლეხის ეს დაწიოკება აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის ისევე, როგორც სმა-ჭაშა კაცისათვის!.. (ბერიკებს მიმართავს ახლა უკვე ბერიკულად). კიბალჩი-

ჩის გამოგონილი თვითმფრინავი რუსთ ხელმწიფის ტახტს სათადარიგო ფეხად არ გამოადგებოდა, სამაგიეროდ დიდმპყრობელის მყუდროებას ააფეთქებდა და ხალხსაც ტყუილად ააბუნტებდა, აამტუტებდა!.. რევოლუცია მოვარდნილ წყალს ჰგავს, რომელ წყალშიაც თევზიც, მეთევზეც ისევ ხალხია, ერთმანეთს ვიჭერთ... ათასში ერთხელ დიდი ღლავიც მოხვდება ხოლმე, ისიც დროებით, სულ მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მღვრიე წყალში სანუკვარ თევზებს ყველა ვერ იჭერს, ხელებს ის ითბობს, ვინც ხელის თბობა იცის საერთოდ!..

ავყიო. (ნათქვამს ჩაეძიება). შენი აზრია, ეგა, ცუნცრუკ, თუ თათქარიძისა?.. ჭავჭავაძის ნაწარმოები კარგად არ მახსოვს და იქნება აგვიხსნა!..

ცუნცრუკა. (შეეჭვებულ-შეფიქრიანებული). ხომ არ მაშინებ, დასტისთავო? ჩემი აზრია!..

ავყიო. (დაემუქრება). რევოლუციას ნუ აქიაქებ, მისამარას, კბილით შოჰკვნიტე ენა შენს პირში, ცუნცრუკა, თორემა... ნასავ შენის თვალით ერთ მშვენიერ დღეს რა თევზს დაიჭერ, მოვარდნილ წყალში, ორაგულოვანს!..

ცუნცრუკა. აი, ხომ ხედავ, დასტისთავო, ძალა არ გაქვს ჯერა, მაგრამ, მაინც გვაშინებ და თანაც რითი, ლუარსაბის საყვარელ სიტყვით „შიში შეიქმსო სიყვარულსა“... ღმერთმა ნუ ქნას, რომ ძალა ჰპოვო, თორემ, იქნება, სანატრელიც კი გაგვიხადო ამ მუცლიღორა ლუარსაბის დამპალი ტახტი...

ქაქუცა. (ავყიას). ამ კამათში, დასტისთავო, შენ დამარცხდი, რას გვიბრძანებ, აქ მოგართვათ ცივი წყალი თუ გახვალ და დალევ...

ავყიო. (ქაქუცას შეუტევს). ამ ლიბერალს დამიხედეთ, ამ ბურთივით მრგვალს, ნაიერიალს, ნაქაიხოსრალს, იმ დიდ ლიბერალს რა მაგრათა ჰგავს, როგორა ბაძავს!

ბუცუკა. რა, ცუდ ვინმესა ჰგავს, ცუდ კაცსა ბაძავს?

ავყიო. კარგით, გავალ... სიტყვას ჯერ კაცი არ მოუკლავს, ნათქვამი გახლავთ... ბოლო სიტყვა კი ჩემზე იქნება.

ცუნცრუკა. რას ავყიაობ, რასა ჰყირაობ, არ გაათავებ?!

ავყიო. ჰო, კარგით, გავალ, წყალსაც დავლევ და მწვადსაც შევჭამ... ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! (გადის).

ხუნჯა. არ გააჭირა ამ ოხერმა, ძლივს არ მოგვეშვა... ლიბერალიო, ბურთივით მრგვალიო... არ გაგვიხდა ორბელიანი!

ჩარექა. აზირ ისა, რომ ტოლნი ვიყავით სუყველანი, ხან შენ იყავი დასტისთავი, ხან მე, რიგრიგობით ყველა ვიყავით!..

ბუცუკა. ან საიდან ჩამოგვესახლა საგურამოში, ეგ ავყია, ეგ შავი ჭია. ომში ვიყავიო, იაპონიის, ჩემი ჯვარი და ჩემი მედალიო არ გაჰყვირის და არ გაიძახის ეგ ყიამყრალი!..

თამთამო. ომში, თორემა, ეგ არ მოუკვდეს ჩემს გოდორასა, კრწანისის ომში ახლდა სწორედ მეფე-ერეკლეს... კურაპატკინის ძროხებს მწყემსავდა და ნახევარზე მეტ რძეს თვითონა სვამდა...

ქაქუცა (ბერიკებს). რაც იყო-იყო. მოდით, დავიწყოთ!..

ცუნცრუკა. რით დავიწყოთ?

თამთამო. აღარც მე ვიცი... ისე ამრია მაგ ავყიამ! ესე ერთბაშად რამ გადარია?!

ქაქუცა. (ცუნცრუკას უთითებს). ურმების შემდეგ წაიკითხე. გესმის, ლუარსაბ!

ლუარსაბი. (ტახტზე ჩამოჯდება დარეჯანთან). ძლივს არ გავისტუმრე ურმები, ძლივსა! დალახვროს ღმერთმა გლეხკაცი! ვეჟო, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დასჭყივლებ, ხელს კი არ გაანძრევს და, გაგონილა!

დარეჯანი. ბეღერმა არ იცის, როგორ მოეპყრას...

ლუარსაბი. მე რომ არა ვყოფილიყავ, ყანა მინდორში დაგვილპებოდა.

დარეჯანი. ეგრე, შენი ჭირიმე, ეგრე უნდა. მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბრძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ.

ლუარსაბი. (საკმაოდ ორაზროვნად). ეგ თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლეხებზედ არის ნათქვამი, გლეხებზედ!

დარეჯანი. მაშინ თავადები სად იქნებოდნენ?!

ლუარსაბი. როგორ არ იყვნენ, ვეჟო, ჩვენი გვარი მაშინდელია.

დარეჯანი. რას ამბობ? ისე ლაპარაკობ, ასე გგონია, არა იცოდე რაო... მაშინ ადამის და ევას მეტი არავინა ყოფილა და ადამი თავის თავზედ თავადი ხომ არ იქნებოდა?

ლუარსაბი. მართლა, ეგ კი ველარ მოვიფიქრე... (გვერდზე). ისე ამირია ტვინი იმ შავყიამ, იმანა... (განაგრძობს ლუარსაბობას). არა, გეთაყვანე, ის რა ხე იყო, იმათ რომ ხილი მოიპარეს?

დარეჯანი. (დაბნევით). ჩიჩილაკის ხე... ჩიჩილაკის... (გვერდზე). მეც დავიბენი, ავირიე და... (ქაქუცას), რა ხე იყო ის ხე?

ქაქუცა. (კარნახობს). ხე ბოროტისა და ხე კეთილისა.

ლუარსაბი. ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?

დარეჯანი. ეხლა ტყე არის უსიერი, იმისთანა ხის, ერთიათასადო, მუშანახევარა რომ იტყოდა, ის საცოდავი, ყოველ ოჯახში თითო ეგეთი ხე დგას და ჰყვავის...

ლუარსაბი. ნუღარ დამაბნევ ამაზე მეტად, ტექსტი მითხარი... ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?..

დარეჯანი. როგორ არა; ამბობენ რუსთ ხელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიაო, იმ ოთახში დგას, სულ იაგუნდის ფოთლები სხმია.

ლუარსაბი. ზურმუხტისა იქნება.

დარეჯანი. ჰო, მართლა, ზურმუხტისაა, სულ ალმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგივრად.

ლუარსაბი. ნეტავი მაჭამა, აბა გემო იმაში იქნება...

დარეჯანი. ძალიან კი მიგიშვებენ. ქვეშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე.

ლუარსაბი. მაშ ხონთქარს როგორ მოუპარვინებია?..

დარეჯანი. (ბ ე რ ი კ ე ბ ს). ახლოს მოდით, გოგო-ბიჭებო, შორიდან გატყობთ პირწყალი მოგდით, მოდით, გიამბობთ იმა ხის ამბავს... (ბ ე რ ი კ ე ბ ი დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს გ ა რ შ ე მ ო შ ე მ ო კ რ ე ბ ე ბ ი ა ნ.)

ხახალა. მეფე ერეკლეს არა ჰქონდა ისეთი ხე?

ქაქუცა. ჰქონდა, მაგრამ, განა ჰამდა, ინახავდა...

ნუცა. ვის უნახავდა, აზირ ეჭამა...

ქაქუცა. ვისა და ლუარსაბს უნახავდა...

ლუარსაბი. დარეჯან, გვითხარი, ხონთქარს როგორ მოუპარვინებია?

დარეჯანი. (ი წ ყ ე ბ ს). აი, როგორ: ერთი ფერია ყოფილა, ფერია არწივად გადაქცეულა. შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი ალმასი, ჩაუყლაპია და ისე გამოპარულა.

ლუარსაბი. წაუღია! წაუღია! რა ეშმაკი ყოფილა!..

ხუცუა. ნეტავი ჩემი ყოფილიყო ის არწივი!

ჩარექა. გლეხკაცს ნატვრის შნოც არა გაქვს... აზირ ის ფერია ყოფილიყო შენი! ჯერ მიეფერ-მოეფერებოდი, სწვნევდი და აწვნევინებდი, მერე კი არწივად გადააქცევდი, გააფრენდი და იმ ალმასს მოაპარვინებდი, ალმასიც გექნებოდა და მზეთუნახავიც...

ქაქანა. (ჩ ა რ ე ქ ა ს). დიდი ნატვრის თავი არც შენა გბმია, ჩარექავ ჩვენო, თუ კი ნატვრაა აზირ ძირფესვიანად ინატრო ის ხე, ერთი ალმასი რა ბედენაა...

ხახალა. მაშ შერჩა, განა, ხონთქარს რუსული ალმასი?!

დარეჯანი. წაღებით წაუღია, მერე დედოფალი შებრძანებულა, უნახავს, რომ ერთი დიდი ალმასი აკლია, მაშინვე რუსთხელმწიფისათვის შეუტყობინებია, რუსთხელმწიფე მაშინვე მიმხვდარა, რომ ეს ხონთქრის საქმეა და ომი დაუწყია...

თამთამო. დიდი გუმანი ჰქონია რუსთხელმწიფესა.

ლუარსაბი. ნეტავი მე მომეპარა.

დარეჯანი. ხომ დაგახრჩობდნენ.

ლუარსაბი. რომ არ შევატყობინებდი: ჩავყლაპავდი და მუცელს ხომ ვერ გამიჭრიდნენ.

დარეჯანი. გაგიჭრიდნენ კი არა, მეტსაც გიზამდნენ.

ლუარსაბი. რა ეცოდინებოდათ, რომ მე მაქვს?

დარეჯანი. იქ რა ნაკლები მკითხავები ჰყავთ? ამკითხვინებდნენ...

ლუარსაბი. მკითხაობით არი ეს ქვეყანა მართლა, ეგ აღარ მომაგონდა. დაიცა, რა გითხრა: ადამმა რომ შეჭამა, ის რაღა იქნა?

დარეჯანი. კუნძულელ ხელმწიფეს ზღვაში ეპოვნა თურმე და იმასა აქვს.

ლუარსაბი. აბა, დახე, ღვთის სამართალსა! მე მეპოვნა, უფრო მადლი არ იქნებოდა?

დარეჯანი. მერე ვინ შეგარჩენდა? ორასი წელიწადია თურმე მაშ, რიყ-მაღრიბის ხელმწიფე სულ იმისათვის ებრძვის კუნძულელსა.

ლუარსაბი. აქამდინ ვერ წაართო?

დარეჯანი. ვერა.

ლუარსაბი. (ო ხ ვ რ ი თ). ერეკლე მეფე რომ ყოფილიყო ეხლა, ის კი უთუოდ წაართმევდა, დიდ ვაჟკაცს ამბობენ...

დარეჯანი. ის, რასაკვირველია, წაართმევდა, მაგრამ სად არის!

ცუნცრუკა. რაც ეხლა ქვეყნად იარაღია, იმის ჩიჩქი, ბეწვის-ბეწვი რომ ჰქონოდა სვედოელათიანს, უბატონოდ ის დაკოდილი ყაჯარი, აღა-მაჰმადი, ხმას ვერ გასცემდა...

ხუნჯა. საზამთროს თესლით გატენილი ხაბურზაკებით ატყვევებდა სულთან ფაშებს და, ნამდვილი ქვემეხი რომ ჰქონოდა, ხმას ვინ გასცემდა.

ქაქუცა. კიბალჩიჩი მაინც ჰყოლოდა ის მეამბოხე მეცნიერი პატარა კახსა. სუკსა და არტალას არ მოაკლებდა, განა მოჰკლავდა.

(შემოვარდება აჭაფებული, აქოშინებული ავყია).

ავყია. (ღ ე ლ ა ვ ს). შავრაზმელების, ყაზახების დიდი რაზმი მდევს. ჟანდარმეისტრის მეთაურობით... შუქი გააქრეთ, აქეთ-იქით მიმოიმალეთ. ვიდრე დაცხრება ეს ამბავი... მაპატიეთ, წეღანდელი თუ რამ გეწყინათ. უცებ ავფეთქდი, სიტყვას ავყევი მეცა და თქვენცა... ყველა გაიქეთ, მიმოიმალეთ, ბარგიც დამალეთ. ისპაჰანობის ფოტოსტენდსაც ფალასი რამე ჩამოაფარეთ!..

მირბი-მორბიან, იმალებიან ბერიკები და რეკვიზიტსაც მალავენ შეძლების მიხედვით, ფოტოსტენდს ძველ ჰილოფს ჩამოაფარებენ.

ავყია (მ ა რ ტ ო დ დ ა რ ჩ ე ნ ი ლ თ ა მ თ ა მ ო ს ჩ ა ვ ლ ე ბ ს ხ ე ლ ს). წამო, თამთამო, მომყევი, ქალო! საფარი ვიცი უტყუარი და იქ ჩაეიმალოთ!..

თამთამო. (მ ო ი შ ო რ ე ბ ს ე ნ ე რ გ ი უ ლ ა დ). იქით გამეცა, მაბეზღარავ, მსუნაგო შენა! ისა სთქვი, აზირ, იმდღევანდელი ჩემი ნაკბენიც ჭდესავით გაზის, ვერ კი მოგართვი!.. სულ რომ ქლიავად მესხას ტანზე იაგუნდები, შენ ერთ ცალსაც არ გაღირსებ!.. ისევ ავდგები და ჟანდარმეისტერს, იმა ოხერს ჩავუგორდები... ჰა-ჰა-და დიჰი!.. თუ პეროვსკაიად არ გამოვდგები, თამთამოვსკაიად მაინც ვივარგებ, სამაგიეროდ, აღარ დაგვხურავს, მეორე სურათსაც გვათამაშებს... (ა ვ ყ ი ა გ ა რ ბ ი ს ს ა მ ა ლ ა ვ შ ი).

ტახტი მომართვით ნესტან-დარეჯანის თავისი საბნით, ქვეშაგ-ლეიბით, ჩემი მზითევი, ძველი სარკეც შემომიტანეთ... სიყვარულისათვის მოვემზადები!.. (ჩ ა რ ე ქ ა ს დ ა ხ უ ც უ კ ა ს შ ე მ ო ა ქ ვ თ ტ ა ხ ტ ი.)

ხუნჯა. (გ ა ქ ც ე ვ ი ს წ ი ნ). ერთი გემოზედ წაუყაურმე ჟანდარმეისტერს, სვავი დაუცხრე! (გ ა რ ბ ი ს). აბა, შენ იცი!

თამთამო. (ტახტზე ჩამოჯდება, სარკეში ჩაიხედავს). ჟელიაბოვის გვერდით პეროვსკაია იჯდა, შავებში იყო ჩაცმული, ტანთ ესხა შავი მანტოს მაგვარი სამოსელი; თავს ეხურა შავი მანდილი, ყაბალახის მაგვარი, მხოლოდ ცოტათი ზემოთ აწოწილი, მანდილი ცოტა უკან ჰქონდა გადავარდნილი და ძოქერო თმა ჩამოშლოდა მაღალ, თეთრ შუბლზე... (ტანზე იხდის ნელ-ნელა). მზეთუნახავი ყოფილა! (თავის გარეგნობას შეაფასებს და კვლავ განაგრძობს პეროვსკაიას გარეგნობის აღწერას). ღაწვებზე მუქი წითელი ლაქები გადაჰკრავდა. უნებლიე ყურადღებას იქცევდა ის, რომ ლაქები ხან მიკრთებოდა, ხან უფრო მუქად შეიღებებოდა. ტანგაშლილი იჯდა და სახეზე სრული სიმშვიდე ეტყობოდა. როგორც ჟელიაბოვს, ისე პეროვსკაიას ერთხელაც არ გადმოუვლიათ თვალი ხალხისათვის, თითქოს ამ ქვეყნისანი აღარ იყვნენ, ხალხის ჟრიამული მათ ყურს სრულებით არ წვდებოდა...

(ფეხთ გაიხდის და საბანქვეშ შეწვება. მარშის ხმები მიწყდება. შემოდის მოხდენილი ქანდარმმაისტერი, შოტლანდიელი პოეტის, ბერნსის სიტყვებით ჩამოუჯდება იგი თამთამოს, მოეფერება).

И сколько нет теперь в живых
Тогда веселых, молодых,
И крепок их могильный сон...!

(საბანქვეშ შეუწვება პრიალა, დეზებიანი ჩექმებით).

ცუნცრუკა ლუარსაბ თათქარიძის ხმალს გაიდებს მხარზე და როგორც ყარაულში, ისე მოჰყვება წინ და უკან სიარულს.

მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

თენდება. დარეჯანი თვალს ახელს და მცირე ხანს მდუმარედაა. დარეჯანის გვერდით, საბანქვეშიდან, წყვილი კარგად გაპრიალებული, დეზებიანი ჩექმები ბზინავს. ლუარსაბი სადღაც შორეულ კუთხეში წევს, კაკლის ჩეროში სძინავს. სინათლე ტახტზე მატულობს დარეჯანის გამოღვიძებასთან ერთად. ჯერ ჩურჩულით, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა, მაგრამ მზარდად ისმის დარეჯანის ხმა.

დარეჯანი. (ჩ უ რ ჩ უ ლ ი თ). გაიჩუჩუნა, ლუი!

დარეჯანი. (უ ფ რ ო ხ მ ა მ ა ღ ლ ა, ჩ უ რ ჩ უ ლ ი თ). გაიჩუჩუნა ლუა, გაიჩუჩუნა! (პ ა ს უ ხ ი ი გ ვ ი ა ნ ე ბ ს. ლ უ ა რ ს ა ბ ს ჯ ე რ კ ი დ ე ვ ს ძ ი ნ ა ვ ს ჩ ე რ ო შ ი).

დარეჯანი (უ კ ვ ე, შ ე დ ა რ ე ბ ი თ ხ მ ა მ ა ღ ლ ა). გაიჩუჩუნა ლუარ, გაიჩუჩუნა!

(ლუარსაბი ძილში შეინძრევა, გვერდს იცვლის).

(უ კ ვ ე ხ მ ა მ ა ღ ლ ა). გაიჩუჩუნა, ლუარსაბ, გაიჩუჩუნა!

(ლუარსაბი თავს წამოსწევს ბალიშიდან, მიაყურებს უმისამართოდ).

(თ ი თ ქ მ ი ს ყ ვ ი რ ი ლ ი თ). გაიჩუჩუნა, ლუარსაბ, გაიჩუჩუნა... გესმის, ლუარსაბ, გესმის?!

ლუარსაბი. რამ გაიჩუჩუნა, სად გაიჩუჩუნა?! (ყ ა ლ ი ო ნ ს დ ა ა ვ ლ ე ბ ს ხ ე ლ ს, თ ვ ა ლ ზ ე დ მ ი ი დ ე ბ ს რ ო გ ო რ ც ჰ ო გ რ ი ტ ს დ ა ე ზ ო კ ა რ ს მ ო ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ს კ ა რ გ ი მ ზ ვ ე რ ა ვ ი ვ ი თ).

დარეჯანი. (ძ ა ლ ზ ე ხ მ ა მ ა ღ ლ ა). აქა, გოშია, აქა, ლუარსაბ, გაიჩუჩუნა!

ლუარსაბი. (ტ ა ხ ტ ი ს ა კ ე ნ მ ი ფ ო ფ ხ ა ვ ს ო თ ხ ი თ, ჰ ო გ რ ი ტ ი თ). რამა, რამ გაიჩუჩუნა, დარეჯანს შემოეველე?! სად გაიჩუჩუნა? (ტ ა ხ ტ ი ს ქ ვ ე შ შ ე ძ ვ რ ე ბ ა ჰ ო გ რ ი ტ ი თ, მ ე ო რ ე მ ხ რ ი დ ა ნ გ ა მ ო ძ ვ რ ე ბ ა).

დარეჯანი. აქა, ჩემო ლუარსაბ, გაიჩუჩუნა, გაიჩუჩუნა!..

ლუარსაბი. (წ ა მ ო დ გ ე ბ ა, დ ა რ ე ჯ ა ნ ს ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ს). სადა? რამა? ჩემო დარეჯან?!

დარეჯანი. (მუცელზე ანიშნებს). აქა, აქ გაიჩუჩუნა, თავშემოგევლე, ლუარსაბ, ბიჭმა, ლუარსაბ, ბალღმა გაიჩუჩუნა, ჩვენმა მემკვიდრემ, შენი ჭირიმე, ისეთი შეხტა!..

ლუარსაბი. (შეხტება). გაიჩუჩუნა?! შეხტა კიდეცა?! გაიჩუჩუნა! გაიჩუჩუნა! (აყვირდება. საბანს გადახდის, მუცელზე ყურს დაადებს).

დარეჯანი. არ გესმის, გოშო, რა ამბავშია?! ჰი, აი, კიდევ შეხტა, კიდევ..

ლუარსაბი. (სიხარულით). მეც გავიგონე, მეცა, დარეჯან, რა მაგრად შეხტა, შენი გულისა!.. (ხტის, კუნტრუშებს)...

დარეჯანი. ხომ გაიგონე, ჩემო გოშიავ, შენი გულისა, ხომ გაიგონე!

ლუარსაბი. გავიგონე-მეთქი, შენ გენაცვალე დედაკაცობაში, გავიგონე, მაშ. შობე, ბარეღამ, ჩემო დარეჯან, ბარეღამ შობე, გააჩინე, რა! ერთი დავითს გული გაუხეთქოთ, ჩემს ძმა დავითს, ჩემს მამულებს რომ ეპოტინება! შობე რა, შობე იმათს ჯიბრზედა, ჩემო სულიკო, იმათი! (ფოგრს დადებს ტახტზე, სასწრაფოდ იცვამს პრიალა დეზებიან ჩექმებს).

დარეჯანი. ისეთი შეხტა წეღან, ლუარსაბ, ისეთი, რომ კინაღამ მეც შემახტუნა, ეს დარბაისელი დედაკაცი!..

ლუარსაბი. (ღელვით, ჩექმების ჭრაჭუნით). კიდევ კარგი, შენც რომ არ შეხტი, შენი გულისავ, ღმერთსა მადლი თორემ, დაეცემოდი და წაგიხდებოდა (ყურს დაადებს მუცელზე.) უიმე, უი, როგორა ხტის და რა ამბებშია, შენი გულისა!..

დარეჯანი. შენც გაიგონე?! კიდევ მოგესმა?! ჩემო ლუარსაბ!

ლუარსაბი. (გაგორდ-გამოგორდება, ფეხებს აფართხალებს). აი, ესე შვება, ესე დახტის. რა ამბავშია, არ აჰყვე, არა, შენ შემოგეცლოს შენი ლუარსაბ, შენი ქალობის ჭირიმე, შენი, ჩემო დარეჯან!.. მე ვიგორავებ, ისევ ისე, მე ვიხტუნებ, ოღონდ შენ არა, ჩემო სულიკო! შენ არა-მეთქი, ემანდ რამე არ დაგემართოს!

(გორავს. კუნტრუშებს, მერე შეჩერდება).

დარეჯანი. (აწუნარებს). არაფერი იტკინო, ემანდ, ეგრე ნუ ხტიხარ, ჩემო ლუარსაბ, ოცი წლის წინათ რომ იყავი, თავსშემოგევლოს, შენი დარეჯან, განა ისა ხარ, ერთბაშად რამე არ დაგემართოს!!

ლუარსაბი. (დახტის). რას ამბობს, ქალო, ქალთამზევ, დარეჯან ჩემო, ეხლა რა უნდა დამემართოს, ეს ჭრაჭუნებიც ფეხზე მაცვია, დეზებიანი, ბიჭიც ძნად არის, ემანდ, სტომაქში, ხტომა რას მიზამს, რას დამაკლებს?! შენ არც კი იცი, ჩემს ბიჭობაში გაჭენებულ ცხენზე ვდგებოდი, შენ შემოგევლე, დარეჯან ჩემო, და დავაქროლებდი, აი, ასე, დავჭენაობდი! (ჩიბუხზე გადაჯდება, დახტის ჭენებით).

დარეჯანი. ეგ არა მჯერა და გინდა მომკალი, ფეხდგომით, ცხენზე ეჭენაობდიო... მომკალი თუ გინდა!..

ლუარსაბი. არა გჯერავს და ნუ დაიჯერებ, შენი გულისავ, მართალივით ტყუილი გითხარ, შენი ჭირიმე... შვილი ჩუჩუნებს, რაც მთავარია, მალაყს გადადის... ხალხო, გენაცვალეთ, განა შვილი მისთვის მინდა, რომ შვილი მყავდეს? ჩემი ძმის, იმ სულძაღლი დავითის გამოჯავრება მინდა, ჩემზე რომ უთქმის: ჩემი ძმა როდის გადაშენდება უშვილო-უძიროდ, რომ მე მის მამულებზედ ვინავარდო და გავიხაროვო! ეგრე არ არის, ჩემო დარეჯან?! ეგრე არა თქვა ცოლმაცა და ქმარმაც! ეს ჯავრი რომ არ იყოს, ეს რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლებდი, რომ შვილი არა მყავს. არ ვინაღვლებდი... ცოტანი არიან უშვილონი, განა? მეც იმათში ვიქნებოდი... ღმერთო, ღმერთო!.. დაგელოცოს სამართალი, მაგრამ, ჩემი ძმა დავით ცოცხალი უნდა დაბოგინებდეს და მეფე ერეკლე კიდევ მიწას ამოფარებული უნდა იყოს?! უფსუსი არ არის!..

დარეჯანი. ან შენი რძალი, ელისაბედ მზეს უყურებდეს და მზეთამზე თამარ დედოფალი კი მიწაში იწვეს, სამართალია, განა?!

ლუარსაბი (დარეჯანს). შენ ნუ, დარეჯან, ნუ ფორიაქობ, შენ შემოგევლე, შენ მარტო მაგას უგდე ყური, მაგ. პაწ-პაწინა, მაგ ნიგვზის ტოტსა, ეგა, დარეჯან, ეგ უნდა ჰშობო დავითისა და ჩემი რძლის ჯიბრზე, ჯავრი ვაჭამო იმ მუქთახორა-გაუმაძღრებს და მერე თუნდ მოკვდე, არად ჩევაგდებ, შენი ჭირიმე, შენი დედაკაცობის ჭირიმე! შობე, თუ გიყვარდე, შობე შვილი, დარეჯან!..

დარეჯანი. შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ, ვშობამ, რაკი ეგრეა; ელისაბედი გამოჩნდეს ჯერა. ფეხი შემოსდგას და მაშინვე ვშობამ, ჩემო ლუარსაბ. იმ ჭორის დედას უნდა ვაყურებინო, ზედ იმის თვალში უნდა დავბადო, რომ ვულიც გაუსკდეს, ფეხი გასჭიმოს, შენი და ჩემი ჭირი წაიღოს... ვშობამ, მაშ, ფიქრი არ არის...

ლუარსაბი. (ცნის). მოდი, დარეჯან, ეგ მარწყვის ტუჩები ამოგწუწნო მაგ სიტყვებისთვის, შენი გულისა, მაშ, შობავ, ხომა, შენ ეს მითხარი როგორა შობავ, შენ გენაცვალე, ერთი მითხარი, გული საგულეს რომ ვიგულო!

დარეჯანი. როგორც ჯერ არს, ჩემო ლუარსაბ: ერთს დავიყვირებ, იქნება ორიც დავიყვირო, ან იქნებ მეტიც. მუცელს ავიტკივებ, და ბიჭს შიგ კალთაში ჩავუგორებ იმ, იმ სავარმესა, იმ კუდიანსა, იმ ჭორიანსა...

ლუარსაბ. ბიჭი იქნება თუ გოგო, ნეტა ვიცოდე. ვერაფერს ატყობ, ჰა, დარეჯან?!

დარეჯანი. ეს საქმე ჯერ შესწავლილი არ არის ქვეყანაზე, მაგრამ ღვთის ნებით, მე როგორც ვატყობ, ბიჭი იქნება... მგონი, რომ ბიჭი უნდა იყოს...

ლუარსაბი. (ყალიონს თავზე მიიდებს, უკან დაიხევს, დარბაზისაკენ დააპირისპირებს ჰოგრიტს). ღმერთო, მიშველე, გამაგებინე, შენი კვნესამე, ბიჭი იქნება? მე ბიჭი მინდა... (მუხლზე იჩოქებს, თან ლოცულობს, თან ჰოგრში გასცქერის).

დარეჯანი. გული მითქვამს, რომ ბიჭი იქნება, წუხელის ისეთი სიზმარი ვნახე, რომ...

ლუარსაბი. შენ სიზმარი თქვი, ჩემო დარეჯან, მე კი ვეცდები, ღვთის განგებით, აძის შეწევნით, რამე გავიგო... (ჩიბუხს გახედავს). დიდი რამ მოსჩანს, გოლიათური, სიზმარი მოჰყევ, შენ შემოგევლე, გამოცნობაში დამეხმარება. (ჭვრეტს, თან დარეჯანის სიზმარს ისმენს).

დარეჯანი. წუხელის სიზმარში... ერთმა თეთრმა და სპეტაკმა მოხუცებულმა კაცმა...

ლუარსაბი. (თან უთვალთვალებს). მოხუცებული ეთქმოდა, თეთრი ნამდვილად იყო, მერე, რა მოხდა?.. ფუი, ეშმაკსა, ე, ცხენის ბუზი აქ როგორ გაჩნდა? (ყალიონს შეუბერავს). ჰა, ბუზა, გაქრი!.. მერე, გეთაყვა, სიზმარი მოჰყევ. თეთრი, სპეტაკი, შუახნის კაცი, მერე?

დარეჯანი. (განაგრძობს სიზმარს). ფეხებამდინ უმტვერო ქაღალდივით წვერი ჰქონდა...

ლუარსაბი. შეგვეწია და წვერს რას დავეძებ! მერე, რა მოხდა? (ჩიბუხს ჩაბერავს, ბუზს დააფრთხობს).

დარეჯანი. ერთი წამალი დამალევინა თეთრწვეროსანმა და მითხრა: „გამრავლდი, ვითარცა იაკობიო“.

ლუარსაბი. (ცოგრში მამზირალი). მაშ გადაჰკარით, არა, გეთაყვა?

დარეჯანი. წამალი იყო, შენ შემოგევლე... წამალი მასვა...

ლუარსაბი. ჭაჭის არაყი იქნებოდა, ჩინოვნიკების ამბავი ვიცი. ღმერთმა შეგარგოთ, მგონი ბიჭია... მგონი, გენაცვა... კარგად ვერა სჩანს, ე, ჭვარტლი უშლის, მოურავს გამოვუძახებ ცოტა ხნის მერე და გავაწმენდინებ... (გასცქერის ჭოგრიტს). გამრავლოთ ვითარცა იაკობ, ე მანდ გაჩერდი, წამლის შემდეგ მერე რა გითხრა იმ კაიკაცმა?..

დარეჯანი. მე მაშინვე მუხლზედ ვემთხვიე... ეგ სიტყვები როგორც კი მითხრა.

ლუარსაბი. მუხლზე ემთხვიე? სპეტაკმა გითხრა, მემთხვიეო თუ შენ მოინდომე?.. ბიჭი კი იყოს და მაგას დავეძებ!..

დარეჯანი. მე მოვინდომე, შენ შემოგევლე, ჩემო ლუარსაბ, მე... მადლობის ნიშნად მუხლზე ვემთხვიე. ჩემს მაგივრადაც ვემთხვიე და შენს მაგივრადაც, მაშა გეთაყვა.

ლუარსაბი. მაშ, ორჯერ ემთხვიე, განა, დარეჯან... ე, მთხვევაც, რაღაც ახალი რამ შემოვიდა, როგორც ვხედავ...

დარეჯანი. ხომ არა ეჭვობ, შენ შემოგევლოს დარეჯანი?! სიზმარი იყო, სიზმარი, ქა!.. აბასწინაზე შენც ხომ მიამბე, თითქოს საფლავში ვიწექიო, ცოცხალი კაცი შენი ძმა დავით როგორ ხარობდა, როგორა ხტოდა საფლავზე და ჩაძოგძახოდა: „შენი მაძული მე უნდა დამრჩესო“. შეშლილსავით რომ დაენარცხე სიზმრის მერე აგურფენილზე, კინაღამ მეც ხომ გამაგიჟე. აღარ გახსოვს?

ლუარსაბი. მახსოვს, გენაცვალე, თავს გაუფრთხილდი, თავის მამულსაც

ოხრად დაეურჩენ. რაკი იმ წმინდანს ორჯერ ემთხვიე, იმ სპეტაკ მოხუცს... ეგრე იყავ დამშვიდებული... ჰო-ჰო-ჰო, ყოჩაღ... ეხლა კი მოსჩანს, მოსჩანს, თქმა რად უნდა... ბიჭია! ბიჭი!..

(ამ დროს შემოდის გლეხის კოხტა პატარძალი ბაბალე, ღამაზად მოყვანილი პატარძალი რაღაცის თხოვნით ეახლა იგი ქალბატონს. მუხლებზე დაჩოქილ ლუარსაბს ვერ შენიშნავს, წინ ჩაუდგება და ტახტზე მწოლიარე ქალბატონს მოწიწებით, თავის დაბლა დაკვრით მიესალმება).

ბაბალე. ქალბატონი ადღეგრძელა ღმერთმა! (თ ა ვ ს დ ა უ კ რ ა ვ ს).

ლუარსაბი. (შ ე ო გ რ შ ი გ ა ხ ე დ ა ვ ს). ტყუპია, ტყუპი!. (თ ა ვ ს ა ი ღ ე ბ ს, შ ე ნ ი შ ნ ა ვ ს ბ ა ბ ა ლ ე ს). რა დროს გამოტყვრა ეს გომბიო! მე განა მსოფლიოს აღძრიცხველი ვარ, არ მომაფარა ე, ზედადგარი, იქით გამეცა...

დარეჯანი. (ჩ ქ ა რ-ჩ ქ ა რ ა). აი, ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ბაბალე! რასა იქმ, როგორა ხარ?.. ცოტა ჩქარა თქვი, ჩემო ბაბალე, შენი სათქმელი, ხელს ნუ შეგვიშლი, მიკითხე-მოკითხვას თავი ანებე, მთავარი მითხარ!

ბაბალე. (ა ა ჩ ქ ა რ ე ბ ს). ჩქარ-ჩქარა გეტყვით (ი წ ყ ე ბ ს ტ ე ქ ს ტ ს). შენი კვნესამე! ჩვენებიანთ ვენახში ჩვენი კამეჩი შეპარულა.

დარეჯანი. ბუივოლი-თქო!.. მერე, რა მოხდა?

ბაბალე. მეველეებს დაუჭერიათ, ბუივოლი, დიახ, ეხლა ორი დღეა ბაკში ჰყავთ დაჭერილი... ეხლა შენი სახელის ჭირიმე, ამას გემუდარები, გეაპატიე-ბინოთ, აგრემც ჩვენი ნათელ-მირონობა დღეგრძელობას მოგიმატებს, შენი კვნესამე!..

დარეჯანი. რა? მითამ ოტპუსკი ვუქნათ, გამოვაშვებინოთ?

ბაბალე. ჰო, შენმა მზემ, ეხლა ჩვენი ვედრება ეგ არის, ქალბატონო.

დარეჯანი. როგორ იქნება, ჩემო ბაბალე? ეხლა, მართალია, შენ ჩემი ნათელმირონი ხარ, მაგრამ, სოფელი აყაყანდება, ყველა მაგას მოჰყვება.

ბაბალე. უფრო იტყვიან პირის იქითა, რომა გლეხობას ესარჩლებაო, აგრეც ბატონის თავსა და ახალს მეისტერს, ახალ ჩქმებს გიდღეგრძელებს ღმერთი, და მაშინ, როგორც გნებავთ დამსაქმეთ. აი, ეხლაც, შენი კვნესამე...

ლუარსაბი. (რ ო გ ო რ ც მ ს ა ხ ი ო ბ ი). დროზე ჩაფარცხე, გოგო, სათქმელი, რამდენს ქაქანებ?! (ყ ა ლ ი ო ნ ი ს ტ ა რ ს უ ბ ი ძ გ ე ბ ს ც უ ც ა ს, ბ ა ბ ა ლ ე ს რ ო ლ ი ს შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ს).

ბაბალე. (ხ ე ლ ი თ მ ო ი შ ო რ ე ბ ს ყ ა ლ ი ო ნ ს დ ა გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს). აი, ეხლაც, შენი კვნესამე, ქალბატონო, ერთი გაბმა აბრეშუმი მოგართვი, ღმერთი და თქვენი წყალობა თუ კიდევ შეგვაძლებინებს, კიდევ თქვენი ყურმოჭრილი ყმანი ვართ...

დარეჯანი. (შ ე ა ფ ა ს ე ბ ს ა ბ რ ე შ უ მ ს). რა დრო გახლდათ, ის ბედნიერი. ერთი გაბმა აბრეშუმი რომ ძღვნად ითვლებოდა!..

ლუარსაბი. (თ ა მ თ ა მ ო ს, ი გ ი ვ ე დ ა რ ე ჯ ა ნ ს). ათას რამეს ნუ მოედები, თამთამო, გესმის, გახურებული თონე გვიჭრება შვილის გაჩენის, დრო-ითა-მეთქი!

დარეჯანი. (განაგრძობს ტექსტს). ეგ ძღვენი რომ არ ყოფილიყო, განა ისე კი, რაც შემიძლიან, არ გაგირიგებდი! ლუარსაბ! ქა! ბაბალეს ბუივოლი მეველეებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება, გამოაშვებინო.

ლუარსაბი. (ძოულოდნელად ჩასძახებს ზურგიდან). ბუივოლიო?! (თან ჩიბუხს დააბოლებს ბაბალეს. ბაბალე შეხტება, ბატონისაკენ შეტრიალდება და ჩაჯდება შიშნაჭამივით, ჭრაჭუნა ჩექმებს შორის).

ლუარსაბი. (უბეში ჩასცქერის მსუნაგად). კამეჩი, გოგოვ, თუ ბუივოლი?

ბაბალე. ბუივოლი, ბატონო აი, ერთი გაბმა აბრეშუმიც მოგართვით. (ჩექმებს გადაუპრიალებს აბრეშუმის ძაფით).

ლუარსაბი. (ვნებამოწოლილი). მაშ, აბრუშუმში გააბი, გოგო?

ბაბალე. თავნება გახლავთ, თქვენი კვნესამე, ი ბუივოლი, თვითონ გაება, ბაკში ჰყავთ ახლა, ორი დღე გახლავთ...

ლუარსაბი. (მსუნაგად დასცქერის). რა ბაკი-ბუკი და ბურგნაობა ატყდებოდა?! თუ ზაქი იყო, ქორფა, პატარა, მით უკეთესი, იმის სუკები! იმის გულძკერდი!... იმისი... ზაქს როგორ მეტყვი რუსულადა, მითხარი და გავაშვებინებ?

ბაბალე. (ეშმაკური პრანჭვით). ზაქი — ზაქუშკა, ქათამი — ქათმუშკა, ინდაური — ინდუშკა...

ლუარსაბი. გცოდნია, გოგო, და რა გიყო... ერთი ფაქიზად დაიყოყინე! „ნოე“ — მითხარ და გავაშვებინებ მეველეებს იმ შენს კამეჩსა. დაიყოყინე, „ნოე“-თქო, მითხარ!

ბაბალე. (ნაზად ყოყინებს). ნო-ეე.

ლუარსაბი. (თვალებს მილულავს). კიდევ თქვი, კიდევ, გაიმეორე, ნო-ეე!

ბაბალე. ნოეე... ნოე... (ცდილობს ასიამოვნოს სიტყვით).

ლუარსაბი. (ოცნებით). ნოე... ნეტავი ნოე ვიყო, შენ ჩემი ზაქი...

დარეჯანი. ცოტა ჩქარა, შე ბებერო კახპავ, შენა, მე მაჩქარებდი წელანა და ზედ კი ადნები... ნოე შენა და დარდუბალა შენ! წარღვნა-ღა გინდა!

ლუარსაბი. (ჩურჩულით). მოვა კიდეცა... რა გგონია რო... ნოეე! ნოე.

ბაბალე. (კვლავ მიაზმუვლებს). ნოე... (ესიყვარულებიან ამ ხერხით).

ლუარსაბი. (დარეჯანს). უწარღვნოდ განა არ შეიძლება კიდობანში, ჩემო თამთამო, რომ შევიყვანო ეს ქორფა ზაქი, ეს-ეს-ეს, რძიანა ზაქი, ეჰ, კარგი რბილი, ბორბლებიანი კიდობანი სადმე, გოგჩის ტბის პირზე მეგულებოდეს! ვისაც შნო აქვს, ჩემო თამთამო, თანაც ქონება ერბოსავით თავზე ადნება, ეგრე შეება?! ეს დაგლეჯილი ბერიკები ერთმანეთს ეჩქმეტავთ და ჩვენი ნოეები ჩვე-

ნზე აშვერენ ათიოდე თითს: რაებს სჩადიანო, იმ კიდობანში შემამწყვდევინა, რაც ქვეყანაზედ ნოე გახლავთ, და გამაშვებინა გოგჩის ტალღებში (*გამოერკვევა ბურანიდან*). დათო, ჰოი, დათო, დათო, მოურავო!... (*ბაბალე წამოდგება*).

(ავყიას ნაცვლად, რომელიც სახიობაში ერთთავად მოურავს თამაშობდა, შემოდის ხუცუკა, ერთ-ერთი ბერიკა).

ხუცუკა. (*ლუარსაბს, როგორც ბერიკას*). ნება მიბოძეთ, ბატონო ჩემო, მოურავობა მე ვიკისრო ავყიას ნაცვლად... მომილოცნია ახალი ჩექმები. ჩვენი დასტის ფირმანი ეგ იქნება დღეის იქით, ჟანდარმეისტერის ჩექმების შიშით ხმას ვიღა გაგვცემს!... არც არავინ!... სულ თავისუფლად ვინავარდებთ, თუნდ მეფის ნაცვლის სასახლის წინ გავითამაშებთ...

ლუარსაბი. მაშ, მიგვატოვა ავყიამ, განა?!

ცუნცრუკა-ხუცუკა. იმ დავის მერე, რაკი წავიდა, მას აქეთ აღარ დაბრუნებულა, ახალი დასტა შეუდგენია; რეტროღრადებში ვერ დავდგებიო, შემოუთვლია, სამი სტატიაც გამოუცხვია ჩვენს შესახებ: „ლუარსაბი ფუნასავით მრგვალია და სუნიც ასდისო“. ეს მიუცია სათაურადა...

ცუნცრუკა. გაზრდილო, ვის უზამ მოგვერდოს და — გამზრდელსაო!.. რა უნდა ეთქვა?! უმადური შეარქვა და თავი დაანება, მეტად აღარ უხსენებია.

ლუარსაბი. მოურავო! ჩადი და უზბაშს უთხარი, ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას, თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ!

დათო. მესმის, ბატონო!

ბაბალე. (*ფეხებში ჩაუვარდება. ჩექმებზე ემთხვევა*). აი, აგრემც ღმერთი მაგაზედ უფრო მეტს დიდებას და პატივს მოგცემს, აგრემც გაგაპატიოსნოს ღმერთმა, და ერთი კაი ვაჟიშვილი მოგცეს და მე ძუძუ შეგწოვებინოს.

ლუარსაბი. (*წამოაყენებს*). მალე მტერი მოუკვდეს შენს ლუარსაბს, მალე დაგვეჭირდეს ეგ შენი რძიანი კვერები, ჩემო ბაბალე, რამდენს იწველი, ბაბალე ჩემო?...

ბაბალე. კამეჩის ოდენას ვერა, მაგრამ, ღალიანობით ჩემი რძე სჯობნის... ჯაცვა დიდი მაქვს, ჩემო ბატონო, თქვენი კვნესამე, ვენახი, ყანა, თოხნა და მარგვლა, და თანაც ათი სული მყავს მაწოვარი ორ ძუძუზედა.

ლუარსაბი. ოთხნახევარი მოდის თითოზე. მეათე ვიღა ოხერი არის?!

ბაბალე. მეათე კიდევ, მაამებელი გახლავთ ჩემო, ჩემი ქმარია, უქნარაა და რა უნდა ვქნა, ლოთი, ოხერი.

დარეჯანი. დაეხსენ, ლუარსაბ, ელისაბედი, ის გასაწყვეტი უნდა გვესტუმრის სადაც არის და მუცელი მგვრემს, ველარ ვითმენ მეტს...

ლუარსაბი. დამაცა, ქალო, შე ძუძუმშრალო, ე, ვერ მიყურებ, რომ ნამდვილი ძროხის რძე შევიგულე! (*ბაბალეს ეფერება*). შორს არ წახვიდე, ახლოს იყავი, შენი რძიანა ძუძუს ჭირიმე, შვილი უნდა შვას ჩემმა დარეჯან,

ჯიბრისთვის გვინდა, განა შვილად რო... ჩემს ძმა დავითს და რძალს, ელისაბედს უნდა ჩავცხოთ.

ბაბალე. თქვენი ჭირიმე, შვილი უნდა სცეთ?

ლუარსაბი. ვაჟიშვილი რომ მეყოლება, დავითი ვეღარ შემეცილება მამულსა-მეთქი, იქით წაართმევს ჩემი მემკვიდრე. პირდაპირ სუკით და დოშ-ხიზილალით დავაწყებინო ჰამა და ღვინოც ვასვა გაუგებარ ბალღს, ეგრეც არ მინდა... ხალხი რას იტყვის...

ბაბალე. მიეხვდი, ბატონო, ჩემი რძით გინდათ შვილი გაზარდოთ?! მე თანახმა ვარ, თქვენი კვნესამე, ამოვაგორო? (უბეში ჩაიყოფს ხელს).

დარეჯანი. (ბაბალეს). არა, ჯერ არა, მზად კი იყავი, ახლოს სადმე წყაროზე გადი და ჩაიბანე. კამეჩებში და ჭინჭრებში გძინავს დაბანაპირალი ან დასუსხული რო აღმოგაჩნდეს, არ ივარგებს, საქმე-საქმეზე მისულია და ნუ გვიღალატებ... ხომ იცი, ჩემო ბაბალე, რომ უჩვენოდ არც თქვენ ვარგიხართ... ეს კამეჩის გამოშვებინება, ეს ისაოო, ესაო...

ბაბალე. მართალია, გლეხები ვართ, მაგრამ, ჩვენც გვესმის მაგისთანები, ოხრათამც დარჩეს დავითიცა და ელისაბედიც, რაკი კამეჩები გამომიშვით, აღარა მიჭირს. შინ აღარ წავალ. ახლა კამეჩმა უდედოვოს ჩემს მუქთახორებს, მე ბატონიშვილს მოვაწოვებ, თქვენ შემოგევლეთ, ისეთსას გავხდი, მამას აჯობოს სულ მოკლე ხანში, ვინც წლით იზრდებოდეს, ეს დღისა სჯობდეს... გავალ წყაროზე თქვენის ნებართვით... (გადის).

ლუარსაბი. (გულმხურვალედ). ღმერთო, შენი დიდებული სახელის ჭირიმე, ოღონდ ეხლა, დავითის ჯიბრზედ მომეცი შვილი და მერე მე ვიცი შენი დიდების პატივისცემა; რაც რომ ქართლ-კახეთს სალოცავი გაქვს, შიშველი ფეხით შემოვივლი, ღმერთო! აბა, ღმერთო, ჩვენს მღვდელსა ჰკითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე, ჰკითხე, ღმერთო!... ჩემს ძმა დავითზეც ჰკითხე, ჩვენს მღვდელსა, რაც იმას ქვეყანაზედ ცოდვა ჩაუდენია, ვინ მოსთვლის? შარშან, ივანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს ხორცი უჭამია!.. (მოურავის მეთაურობით, მოწიწებით შემოდიან შინამოსამსახურე გლეხკაცები და დედაკაცები).

(ჭოგრიტს ჩამოართმევს დათო, დარბაზისაკენ მიმართავს და თვალზე მიიდებს, დანარჩენები ჯურგში ამოუდგებიან, ხმაგატვრენილნი... ლუარსაბი ღმერთთან საუბარს განაგრძობს).

ლუარსაბი. (განაგრძობს). პურის ნატეხს რომ მიწაზედ ჰხედავს, ჩემი ძმა დავით, ღმერთო ჩემო, კი არ აიღებს და არ ემთხვევა, ფეხს დაადგამს და ზედაც შესდგება, საქმეა ეგა?.. სად ისა და სად მე... სანამ არ ავიღებ. ძირდავარდნილს პურს, არ შევუბერავ, არ ვემთხვევი, ვერ მოვისვენებ.

დათო. (ჭოგრიტით იხედება). რა ბუმბერაზი, რა დიდთავა, რა დიდმუცელა მოსჩანს, ხალხნო, თქვენი ჭირიმეთ, რა გვეშველება?! ვაის გავეყარეო და ვუის შევეყარეო, (დარეჯანისკენ გადაილაპარკებს). რა ნუგბარი, რა გონიერი, უმანკო სახის არსება მოსჩანს, ქალბატონო, ცრემლები მახრჩობს სიხარულის, ვიტიროთ, ხალხნო! (ცრემლს იხოცავს,

ჭოგრიტს ხახალას, ლამაზისეულ გოგოს გადასცემს).

ლუარსაბი (შენიშვნას მისცემს მოურავს). ხმაძაღლა ნუ თქო, აკი გითხარი! (განაგრძობს ძმის დასმენას ღმერთთან.) უკურთხეველ ყურძენსა სჭამს, ჩემი ძმა დავით, ღმერთო, ხომ მისმენ, ფერიცვალებამდის განა მოიცდის?! არა, შენი სახელის ჭირიმე, ღმერთო, დიდებულო... აღდგომა დღეს მღვდელს არ მოუცდის, რომ სუფრა უკურთხოს, ისე მივარდება ხორცეულსა, როგორც რომ დათვი... მსუნაგია და მერე როგორი!..

ხახალა. (ჭოგრიტით მოათვალიერებს დარბაზს, ერთ წერტილზე შეაჩერებს).

ლამაზისეული. რაღაცა ბზუის, ბატონო ჩემო, ხილვას მიკარგავს და თქვენის ნებართვით, რომ შევუბერო, ხომ შეიძლება?

ლუარსაბი. ბუზანკალია ეგ ოხერი! შეუბერევი, მაგრამ სატუჩეს პირს ნუ დაადებ, თამბაქოვანი გახლავს და ერთი და ერთი თუ მიეჩვევი ნაყარ-ნუყარი თუთუნის წევას, ვერაგზით ვეღარ გადაეჩვევი; სულ გაოხრდები. (ხახალა უბერავს ყალიონს. ლუარსაბი კი ღმერთთან საუბარს განაგრძობს).

ზიარებით კი ეზიარება ხოლმე, ღმერთო, მაგრამ რა გამოვიდა? სამი დღე ემზადება, მარტო სამი დღე... მე კიდევ, ღმერთო, სამ-სამკვირაობით უპმელი დავალ ზიარების წინ!... (დარეჯანს). დათო გავგზავნოთ, ჩემო დარეჯან, წითელი ღვინო მოვახდევინოთ, წითელ ღვინოში ვაჭყუმპალაოთ ჩვენი მემკვიდრე, სუფრაც გავმართოთ ძეობისათვის, ქუდი ჭერსა ვკრათ და „ურა“ ვიძახოთ. დროს ნუღარ ვკარგავთ, გოგო-ბიჭებმა თუკი გაიგეს ბედნიერების ჩვენის ამბავი, დავითიანთანაც მივიდოდა ხმა...

დარეჯანი. კარგი სიტყვა თქვი, ჭკვიანური, ჩემო ლუარსაბ! (მოურავს). ხომ გაიგონე ბატონის ნება, დათო, გაიქე, შენ არაფერი შეგეშლება, არ დაზოგო რა, ჩვენო დათო, სასმელ-საჭმელი.

დათო. (მიდის). შესმის, ბატონო, თქვენ ხელში აკი მოვიყარე და აბა მე რაღა მესწავლება რო! ჩიჩილაკებით შემოვღობავ აქაურობას, დოშ-ხიზილალას, სუკსა და კალმახს გორებად დავდგამ, ისეთსას გავშლი სუფრასა რომ, გამჩენი ღმერთიც სტუმრად გვეწვიოს!.. (გარბის).

ხახალა. (ჭოგრში იყურება). ვაიმე, ხალხო, რა აბრეშუმის, ფარჩების იქით რაებსა ვხედავ, თქვენი ჭირიმეთ, ვაიმე, დედავ, ნეტავ რა უნდა დაიბადოს, რომ ამ ჭაობიდან ამოგვიყვანოს?! მე ვერას ვხედავ საიმედოსა!.. (ჭოგრს გადასცემს შემდეგს, თვითონ ქალბატონს მიუბრუნდება). თქვენი გომბიოს, თქვენის ფეხთამტვრის სიტყვა თუ გჯერათ, ქალბატონო, მგონი ღვთისშვილი უნდა ჰშობოთ, სწორედ რომ ღვთისა, სხვა არავისი, იქნება ღვთისო დაგერქმიათ, სახელადაც... უიმე! ეგ რომ გაბედნიერდება და ქალს მოგგვრით, თქვენი ჭირიმე, თხოვნა მაქვს, მაგათაც მე მიმსახურონ...

დარეჯანი. გამსახურებთ, ქა, მაგაზე უარს როგორ გეტყვით...

ლუარსაბი. (ღ მ ე რ თ ს). ჰო, მართლა, ღმერთო, კინაღამ დამავიწყდა: ერთი მწევარი ჰყავს ჩემს ძმას, თავის თეფშში აჰმევს ხოლმე, ქრისტიანი კაცი კია! მე ხომ ამისთანას არაფერსა ვცოდავ!.. მერცხალი გინდა, იმას დასდევს ხოლმე, უღვინოთა ხვდება პირველი მერცხლის მოსვლასა! ოფოფმაც ბევრჯერ დასძლია, გუგულმაც, კვიცმაც!.. ყველაფერი ბოროტი იმაშია! გადმოგეხედე და შეგვეწიე, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!

(მოსამსახურენი სუფრას შლიან ამასობაში. სანოვაგით სავსე ჩინილაკებით შემორაგავენ საქეიფო მოედანს. საიდანღაც შემოიპარება ელისაბედი, გველანასავით შემოცურდება და შინაყმას ჯიგრს გამოსტაცებს, ლუარსაბი არ დაიბნევა, გორავს იწყებს ფეხშიშველი და „ურას“ იძახის).

ბიჭია, ბიჭი, ურაა!

დათო. ბატონიშვილსა, ურაა, ბიჭებო! (ღ ვ ი ნ ო ს უ ს ხ ა მ ს ლ უ ა რ ს ა ბ ს ა და დ ა რ ე ჯ ა ნ ს, ჰ ი ქ ე ბ ს მ ი ა წ ვ დ ი ს).

ლუარსაბი. (დ ა რ ე ჯ ა ნ ს)..დალიე-მეთქი! ეხლა ქეიფს ნუ წამიხდენ, შენ შემოგევლოს ლუარსაბი.

დარეჯანი. (ე ლ ი ს ა ბ ე დ ი ს გ ა ს ა გ ო ნ ა დ). გულნაქცევად ვარ, შენ გენაცვალე, ნახევართუნგი გამოვცალე და მეტს ვეღარ დავლევ!

ლუარსაბი. (დ ა ა ძ ა ლ ე ბ ს). ჩემი შვილის სადღეგრძელოს როგორ არა სომ, ჩემო დარეჯან? თუ მე და შენ არ დავლევთ, მაშ ვინ უნდა დალიოს? ღმერთი გვიწყენს, იტყვის: მე შვილი მივეცი და ისინი სადღეგრძელოსაც არა სმენო. ნუ აწყენინებ მოწყალე ღმერთსა, ძლივს კაი თვალით არის ჩვენზედა. ქეიფს ნუ წამიხდენ, დალიე, გეთაყვანე! (დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს ვ ა მ ს).

დათო. (ყ ვ ე ლ ა ს ე რ თ ა დ დ ა ა ძ ა ხ ე ბ ი ნ ე ბ ს). ურა, ბატონიშვილსა, ურაა!

ლუარსაბი. (მ თ ვ რ ა ლ ი ა). ჩუპარიკი და ჩუპრიკი დარეჯანსა!
ჩუპრი-ჩუპარ-ჩუპრი-ჩუპარ-დარეჯანსა!

(დარეჯანის გარშემო იწყებს ცეკვას).

ელისაბედი. (გ ა ჰ კ ი ვ ი ს). კუდიანობაა, ხალხნო, კუდიანობაა!..

დათო. (დ ა ი ჭ ე რ ს ე ლ ი ს ა ბ ე დ ს, ჩ ი ბ უ ხ ს წ ა ა რ თ მ ე ვ ს). კუდიანობას მოგცემ მე შენა! ბატონი ხედავს, ქალბატონიცა, ბიჭი რომ ჩნდება, ჩვენცა ვხედავთ, ძეობას ვიხდით, მალე ქორწილსაც ზედ მიაყოლებს ჩვენი პატონი, შენ ეინღა წევხარ და ჭორს აკვნესებ! (ყ ა ლ ი ო ნ ს ჩ ა ს ც ე მ ს თ ა ვ ში ე ლ ი ს ა ბ ე დ ს და გ უ ლ შ ე მ ო ყ რ ი ლ ს ტ ა ხ ტ ქ ვ ე შ ე ა გ დ ე ბ ს. ყ ა ლ ი ო ნ ს ი ქ ა ც უ თ ა ვ ა ზ ე ბ ს დ ზ ე დ მ ი ა გ დ ე ბ ს)...

(კახური მრავალჟამიერი იქუხებს სუფრაზე. მთვრალი ლუარსაბი სუფრაზე შედგება და სიტყვას ამბობს, დარეჯანიც ნაყლურწია და თავს უკანტუნებს).

ლუარსაბი. (მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ ი ს ფ ო ნ ზ ე). ვენაცვალე კახეთსა, ვენაცვალე! ეგ რომ არა ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა, ეს დალოცვილი! (ჩ ი ქ ა ს გ ა ხ ე დ ა ვ ს). ჩემს განთქმულ სახელსა მაშინ ვიღა მოიგონებდა?

დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენიება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო!

დარეჯანი. (თ ა ვ ი ს კ ა ნ ტ უ რ ი თ). შენი განთქმული პურმარილისაც, ჩემო ლუარსაბ, ეგ როგორ დაგავიწყდა?!

ლუარსაბი. (მ ი ი ღ ე ბ ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა ს). პურმარილისაცა, დიახ!... ღვინოსა და პურმარილს მოაქვს სახელი და დიდება!..

ბერიკები. ღვინოს მოაქვს დიდება და ჩინ-მენდალი, ღვინოსა და პურ-მარილსა! ურაა!

ლუარსაბი. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი, ამ შავის ყურძნის წვენითა ვარ კაცი!

დათო. შავი ყურძნის წვენით გვაფასებენ ქართლ-კახეთსა! გაუმარჯოს ყურძნის წვენსა, საფერავსა და თავკვერსა!

ლუარსაბი. (გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს). ჩემოდენას საქართველოში ორიც არ დალევს, დიდი მსმელი ვარ, დიდი, დიდი!.. ერთი ეგ არის სიმღერა:

„თუნდ ოთხი ჩაფი ღვინო ჩაშასხით, აიტანს ფაშვი“!..

ბერიკები. აიტანს ფაშვი!

ლუარსაბი. ის იმერელი გახსოვს, დარეჯან, რომ შემეჯიბრა... რა დღე ვაყარე?!

დარეჯანი. მახსოვს, გეთაყვა, აკი დაარჩვე?!

ლუარსაბი. არა, დარჩობით არ დამირჩენია, კაცის ცოდოს როგორ დავიღებ, დადიანის „პოვერნია“ ვარო, რომ იძახოდა, „პოვერნია“ კი არა, შენც არ მოშოვკვდე. ის ძალად გამოგზავნეს იმერლებმა, თან დაავალეს: — კახეთში ერთი დევი კაცი არის, ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის დაგვითვრე და ნახევარ იმერეთს შენ დაგიმტკიცებთო!..

დათო. ვერ მივართვით იმერელსა, ვერაა!

ლუარსაბი. მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე ის იმერელი მიხვდა რა კაციცა ვარ, იმიტომ „პოვერნიობა“ დაირქვა, სახელი არ წამიხდესო... ასე გაგიხადეთ ის ფხიკიანი რომა, სულ ჩემი მზე ვაფიცვებინე: ბაყბაყ დევი ხარო, მითხრა, თითი მომიკაკვა და ჩამჩურჩულა: ნახევარი იმერეთი შენი იყოსო.

დათო. ურა ბატონებსა და ბატონიშვილსა! ურაა!

(იწყებენ სიმღერას, რომლის ჰანგზეც ცეკვავენ).

იმერელო და ფხიკიანო,
ჰეი-ჰეი-ჰეი-ჰურრა,
ღორმა კოპზე გიკბინაო,
ჰეი-ჰეი-ჰეი-ჰურრა,
იმერელო და ქაცვიაო.
ჰეი-ჰეი-ჰეი-ჰურრა,
ტანზე არა გაცვიაო.
ჰეი-ჰეი-ჰეი-ჰურრა,

ლუარსაბი. (დაბლა ჩამობობღდება, დარეჯანს კოცნის). ყიდევ უნდა ამოგწუწნო ეგ, ეგ ნაზი ტუჩები, შენი პირიმე!

ბერიკები. გორკა, ნეფე-დედოფალსა, გორკაა!

ლუარსაბი. იცი, რა ვქნათ? მითამ ეხლა ქორწილია, ძეობაზე ზედ გადავაბათ! ჩემო დარეჯან, მე ჩემებურს „განდიდურს“ გეტყვი და შენ „დიდოური“, ძოძაძახე, ჩაძოუარე შეხებურადა, აი, ასე (ცეკვას იწყებს დარეჯანთან ერთად).

(თან ცეკვავს). განდიდური და რამდიდური, რამდიდური და რამდიდური.

დარეჯანი. (ეცეკვება). დიდოური და დოურიდიდო, რამდიდოური — რიმდიდოური, რიმდიდოური — რამდიდოური...

(ამ დროს ტახტის ქვეშიდან გამობობღდება გონმოსული ელისაბედი, გრძელი ყალიონი ჰოგრივით მიუდგია თვალზე).

ელისაბედი. (დაჰკივლებს). მიჩვენეთ-მეთქი, მემკვიდრე თქვენი, კუდიანებო, ეშმაკეულებო! ან პატარძალი დამანახეთ, თქვე ოხრებო, თქვენა, რა ქორწილს იხდით, ერთი მითხარით, უშვილოებო, უძიროებო!

(მოურავი დათო ეცემა უკნიდან და ხელებს გადაუგრეხს, დააკავებს ელისაბედს).

თუნდაც ჩამქოლეთ, ჩამაქვავეთ, ქვა დამაყარეთ, მაგრამ, მიჩვენეთ შვილი და ძირი, მიჩვენეთ-მეთქი!..

ლუარსაბი. (სავსებით ფხიზელი). რა შვილი გნებავს, ჩემო რძალო, რას ჩაგვაცივდი?! შვილები გინდათ, იყოლიეთ, მე ხომ არ გიშლით, მე ლუარსაბი გახლავართ, თათქარიძე, ესეც კნეინა დარეჯანია, ჩვენ არა გვაკლია რა და თუ ვინმეს რამე გაკლდეთ, შეიმატეთ, გიშლით ვინმე?! შვილი არა გყავთო, ელისაბედი რომ მოგვჩხავის, მაშ ამოდენა ხალხი რა არის, შვილი არ არის?! თუნდ ბაბალე ვთქვათ, ცხრა შვილის დედა, ძუძუ-რძიანა, ოციოდე წლის თუ იქნება, ჰა და ჰა, მაგრამ ხუთ ჩარექაზე მეტს იწველება; ჭინჭარი, მხალი, ნაცარქათამა, ბალბა, დანდური, დოშეჭამადი... დასჭირდება და უფრო მეტსაც მოიწველება. ეგრე არ არის, ჩემო ბაბალევ, ნათლიდედავ, ჰა?!

ბაბალე. (მორცხვად). ეგრე კი გახლავთ და...

ლუარსაბი. (ყანდარმაისტრის მუნდირს ჩაიცმევს). ოქროს ქორწილი გადავიხადეთ დღეს ჩვენის ჩინის, ჩემის დიდების. განა ისეთი, ჩემმა ძმამ დავითმა რომ გადმიხადა. არა, გეთაყვათ, ჩინის ქორწილი გახლდათ, ახალი ჩინის, პურით და ღვინით, სუკით, არტალით, დოშ-ხიზილალით, ჩახოხბილით და კაკბის ტაბაკით, თქვენც დაგისწარით აკი, არა დაგაკლეთ. ჩემო ხალხო, აგრე არ არის?!

ელისაბედი. მერე რა მოხდა, ჩემს ქმარს, ახალი მიმინო ჰყავს სამაგიეროდ, მერე რა მოხდა, დიდი ამბავი?!

ლუარსაბი. (დათარს გადაშლის). ფრთხილად იყავით! მიმინოები თქვენა გყავდეთ, ისევ-ისე, ფარიც და ხმალიც თქვენი იყოს. ჩინი მაქვს-

მეთქი, დიდი ჩინი და მომშამეთ ჭირი დავითებმა, ლევანებმა, ნიკოლოზებმა და ილიებმა!.. მიყარეთ კაკალი და მიკბინეთ ბარკალზე, თუნდ ორივეზე, გნებავთ ცალ-ცალზე!..

(სტუმრები ნელ-ნელა მიიპარებიან დარბაზიდან. სუფრას ტოვებენ, ზოგი საჭმელს უბით მიათრევს, ზოგი ვერ ბედავს. დარეჯანი დგას ახლოს ლუარსაბთან, თუმცა არც ისე ახლოს, როგორც აქამდე იყო ხოლმე... უფრო იქით, შორს, ბაბალეს ეხედავთ).

(ბრძანებით). ყველანი წახვალთ!

დარეჯანი (წყენით). მეცა, ლუარსაბ?

ლუარსაბი. შენცა, გეთაყვა; დროებით შენცა, ჩალურში გახვალ, გოგობიჭებს დააწიოკებ შენებურადა, ძველებურად... მცირე სიტყვა მაქვს კიდევ სათქმელი უზენაესთან...

(დავთარს გადაშლის დარეჯანი, ცოტას კიდევ შეაყოვნებს. ლუარსაბი სათვალეს ზემოდან გადმოხედავს და დარეჯანიც მიდის).

(ბაბალეს უხმობს). ბაბალე, შესდექ!!

(პირკატანაცემივით შეეყინება ბაბალე ადგილს, ელოდება ლუარსაბის განკარგულებას).

ლუარსაბისთვის იქნება მეტიც იყოს ეს ხერხი, მაგრამ... ჰერცოგი ალბათ მოხუცობის ჟამს, ქალის რძეს სვამდა. ესეც უნდა გავითამაშოთ. — ღვინო ყელს აშრობს სინამდვილეში, ჩემო ბაბალე, რძე კიდევ ალბობს, ჰიქას გამივსებ და მომაწვდი შენს ღალიან რძეს, ხმის ჩახლეჩვას როცა შემატყობ.

(დავთარს გადაშლის საჭირო გვერდზე, ფეხს ფეხზე მიიდგამს დეზების წკარუნით და საიდუმლო ტექსტის კითხვას იწყებს:

«Входящая в Тифлисе под предварительной цензурой и под редакторством князья Ильи Григорьевича Чавчавадзе грузинская газета «Иверия» возбудила в октябре 1893 года по поводу съезда духовенства вопрос о реорганизации Тифлисской духовной семинарии и о введении в ней преподавание на грузинском языке. Статья эта, признанная высокопреосвященным экзархом Грузии крайне тенденциозной, была задержана Комитетом...

Ввиду изложенных обстоятельств, Канцелярия главноначальствующего, находя распространение приведенных в фельетонах газеты «Иверия» идей среди учащейся молодежи крайне вредным, и принимая во внимание, что в случае вредного направления какого-либо периодического в крае издания на туземных языках, главноначальствующему предоставляется налагать на повременное издание взыскания — прекращать таковое издание на срок не далее восьми месяцев, — по предворительном обсуждении сего вопроса в Совете Главноуправляющего, имею честь о вышеизложенном, в исполнение приказания ген. ад'ютанта Шереметьева, представить на обсуждение Совета Главноначальствующего».

ნუცა. (ბაბალე). (ლუარსაბს ანუ ცუნცრუკას). ხომ შენი და-

წერილი არ არის ეგ დანოსი ილიაზე, ვიცი, მაგრამ, მეჯავრები, მაგას რომ კითხულობ!

(ეტყვის აღელვებული ბერიკა ნუცა ცუნცრუკას და ჰქონა რძეს თვალებში შეაქცევს.).

ცუნცრუკა. (გ ა ე მ ა ს ხ რ ე ბ ა).

„ციკი-ციკი მე,
ჩემო ბაბალე,
პირით ბალახი დაგაქვს,
ძუძუებით — რძე“.

მოქმედება მესამე

სცენაზე რიჟრაჟია. საიდანღაციდან შემორბის საბანმოსხმული ლუარსაბი ყვირილით. ყალიონს პოკრიტივით ხმარობს. ტახტზე მძინარე დარეჯანს შემოურბენს და კვლავ გაიქრება. ისევ შერბი-გაწირბის ყვირილით. საცვალი აცვია და დეზებიანი ჩექმებიც.

ლუარსაბი. ფალია ხრჩოლავს, ნედლი ალი მწვავს! გესმის, დარეჯან?! ჩიბუხიცა ჰყარს, სუყველაფერს დენთის სუნი აქვს! (გ ა რ ბ ი ს, დ ა რ ე ჯ ა ნ ი შ ე ი შ მ უ შ ნ ე ბ ა).

(კ ვ ლ ა ვ შ ე მ ო რ ბ ი ს). რაღაც ოხრობა დგას იმ კუთხეში, არყის სახდელ ჰგავს, ჰგავს და არცა ჰგავს! ბორბლებზედ ჰგორავს... ქვა-ქვაზემც იქნეს დადუღებული, მე თუ არ ვიქმენ, მე, ლუარსაბი, თათქარიძე... ქვაქვაზემც იქნეს!.. ადე, დარეჯან, რაები ხდება, შენ შემოგევლე, გამაგებინე, ფეხებში მწვდება ცეცხლის ალი!

დარეჯანი. (ი ღ ვ ი ძ ე ბ ს). აბა ვინ მოგდევს, შენი გულისა, არც არავინ სჩანს, რაზედ დარბიხარ? (გ ა დ ა ე ღ ო ბ ე ბ ა).

ლუარსაბი. რვათავიანი, ცხრათავიანი ვიღაცა დამდევს, ოხრადამც დარჩეს!

დარეჯანი. შენი ლეიბი გახლავს სველი, შენი ჰირიმე, სიზმრად თუ ნახე ცეცხლის ალი და ჩაქრობა სცადე. გავფენ, გეთაყვა, ახლავე გავფენ!

ლუარსაბი. (დ ა რ ბ ი ს). ვიღაცას უნდა ჩემი მოკვლა, აზირ ეგა ვსთქვათ!.. რათა და რისთვის?! მე ჩემი ფეხით, ჩემი ნებით, სიკვდილს რად მიშლით?! იმ მაბეზღარამ, იმ ცრუ თავადმა როგორცა ბრძანა, კალმახის ლიტრით, არტალის კანჭით, კახური შოთით, წითელი ღვინით!.. რათა და რისთვის?!

დარეჯანი. ძილ-ბურანში ხარ, სიზმარში ხედავ, სიზმარში ხდება, რასაცა ხედავ. ცეცხლი თუ გწვავდა, აკი ჩააქრე. ახლა გრილად ხარ... ეგ არაფერი, შენ შემოგევლე თუ რომ ლეიბი დაასველე. ვის არ მოსვლია დიდკაცთაგანს მარცხი ეგეთი?! რაც ქალაქში ვართ, მაგის მეტი განა რა გვესმის?! კვირაში ორჯერ, უფრო ხშირადაც, გაფენილი აქვთ ხელმწიფის კაცებს ლოგინები გასაშრობად...

ლუარსაბი. მაშ ქალაქში ვართ და თან სიზმარს ვხედავ?.. რისთვის ჩამოვედით? გონს ველარ მოველ?!

დარეჯანი. დიდ ნავზდნიკს ვორონცოვ-დაშკოვს უნდა ვეახლოთ დანოსისათვის, შენი ახალი ადგილისათვის, შენ შეშოგეველოს დარეჯანი, როგორ არ გახსოვს?

ლუარსაბი. ჰო, ჰო, ჰო, იმ ილიამა, იმ ბილიამა, ეშმაკის კერძომ, იმ ცრუ თავადმა, ჯვარს რომ მაცვა და სახალხოდ გამსვა... ცხრათავიანმა... რამდენი მოვჭერ?

დარეჯანი. ერთიღა დაგრჩა, შენ შემოგეველე...

ლუარსაბი. ეგრეა განა?

დარეჯანი. შიში ნუღარ გაქვს! ეგ ჭრაჭუნები, ეგ ბჭყვრიალები, ზედ რომ გასხია, განა ბევრს აქვს?.. ეგ ყველაფერი, ჩემო ლუარსაბ, თავისუფალი მოქმედების ამანი გახლავს!

ლუარსაბი. (იგონებს). ცეცხლში ვიყავი, ვიწვოდი და ჩაქრობა ვცადე, დამშრალი იყო მტკვარი და ხერხი ვიხმარე, მარტომ ჩავაქრე...

დარეჯანი. მაგ გმირობისთვის ჯვარიც მიიღე — ვორონცოვისაგან, დაშკოვის ხელით, ვერ გაიხსენე?!

ლუარსაბი. შენ ეს მიბრძანე, თუ ქალაქში ვართ, ქალაქს რად არ ჰგავს ეს ადგილები.

დარეჯანი. ქალაქის გარეთ დავდგით კარავი, როგორც გვითხარი, ქალაქი ჰყარსო, აღარ გახსოვს. ქალაქგარეთ დავბანაკდეთო, ისეთს ადგილზე, საიდანაც მეფის ნაცვალის სასახლე მოჩანსო.

ლუარსაბი. შენ ეს მითხარი, ა იქ რაღა დგას ოჩოფეხებზე, მოგრძო, მომრგვალო? არყის სახდელს ჰგავს, ერთის შეხედვით, რაღაც სასროლის, ზამბურაკის ლულასაცა ჰგავს, ეგ ხომ არა ჰყარს ეგრე საშიშად?... ეგეთი რამე დანადგარი ჯერ არ მინახავს...

დარეჯანი. ფოტო-ღრაფინსკის აპარატია, შენ გენაცვალე, არყის სახდელ ქვაბს აბა რა უგავს? ის ხომ მრგვალია, ზედადგარიც უფრო მოკლე აქვს. ეს სხვანაირი გახლავს, მოგრძო, ვერ ხედავ?

ლუარსაბი. ვინ ოხერია, მაგის პარტონი, ვინ მოათრია სადარბაზოსთან, მგონი ეგა ჰყარს!... ან მოურავი სად იყო, ვიღაც ოხერმა მოიპაროს, მერე ჩვენა ვზღოთ?!

დარეჯანი. არა, გენაცვა, საგანგებოდ გამოგვიგზავნეს, სურათს გადაგვიღებს, ჩაგვაკარტიჩკებს, ჩვენ ფულს გადვიხდით მცირეოდენს, მერე ჩვენც მოგვფენენ, როგორც დიდკაცებს, ისპაჰანობის მონაწილეებს. დიდ მოედანზე ქარვასლებთან გამოგვკიდებენ...

ლუარსაბი. (შეშინებული). ჩამოგვარჩობენ? რათა, გენაცვა, რა დავაშავეთ? ჭაბა-სბა მიყვარს, ერთი ეგ არის, სხვა დანარჩენი წმინდანისა მაქვს, შვილი მე არ მყავს, მარხვას ვინახავ, ზიარებაზეც ორი კვირის მშიერი დავალ...

დარეჯანი. სურათს გადგვიღებენ, სურათსა, გესმის?!

ლუარსაბი. გავიგე, მივხვდი, ხატისკაცებად გადაგვაქცევენ, რომ აღარ ვიქნებით. ჯანიმც გავარდეთ! მე თუ არ ვიქენ, ისემც უქმნიათ, ვირი დაჰკიდონ

უკლესიაში ჩემსა მაგივრად... თანაც ფულიო!.. აზირ არტალა ვიყიდოთ ფულით, ღორის სუკები, დოშ-ხიზილალა... ქრისტემ რა ფული გადაიხადა, ან მარიამმა, თუ გინდა სხვამა... უფულოდ თუკი ჩაგვაკარტიჩკებს, მე თანახმა ვარ...

დარეჯანი. დამშვიდდი ხომა, შენ გენაცვა! იქნება სცადო გამოღვიძება, ჰა!!

ლუარსაბი. არა, ჯერ ვერა, ისევ იქა ვარ, ისევა ვღელავ (არყის ქვაბთან ძივა, ფრთხილად შეეხება). წინათ სად იყო ამისთანები?.. რაღაც ვერა ვცნობ... მოურავი სად ჭირში გაქრა?! ვკითხავდი მაინც... სიზმრადა ვართ, თუ ყოველივე ცხადში არის... (შეხტება). ისევა მწვდება ცეცხლის ალი, ფეხის გულსა მწვავს. დარეჯან, რა ვქნა?!

დარეჯანი. ისევ ის ხერხი იხმარე. რაკი ეგრეა, კიდევ ჩააქრე, შენ გენაცვალე. (ეხმარება). ჩააქრო, ჩაქრო, შშშ, ფშშ, ჰო, ეგრე, ეგრე შენ შემოგევლე...

ლუარსაბი. (გააძაგძაგებს). მოვრჩი, გეთაყვა, წელანდებურზედ უკეთ ახლა ვარ, მოვჯობინდი.

დარეჯანი. (წასახალისებლად). ცეცხლი ქრება, გუბე დგება, ჩემს ლუარსაბს ე-ღვი-ძე-ბა!

ლუარსაბი. არა, გენაცვა, მამა ზაალ ნუ წამიწყდება, არ მეღვიძება, გული მისკდება, მოდი, მიკბინე, შენი ჭირიმე, თუ სიზმარში ვართ და სიზმარს ვხედავთ, მეტკინება და გამეღვიძება... (საკბენ ადგილს მიუშვერს).

დარეჯანი. ეგ მართლა კარგი გამოიგონე, შენ შემოგეველე, ახლავე გიკბენ, ნელ-ნელა გიკბენ, ჯერ რბილზე... აააამ, აააამ!..

ლუარსაბი. მიკბინე, რაღა, შენი გულისა, რატო არ მკბენ?

დარეჯანი. როგორ თუ არა, ორჯერ გიკბინე, შენი ჭირიმე, რბილზე.

ლუარსაბი. ხმელზეცა სცადე, ძარღვიანზე, რომ იქნებ ტანში დამიაროს და გამომეღვიძოს...

დარეჯანი. (კბენს და ყვირის). ვაიმე, ხალხო, შე ქოფაკო ჩემო თავო, კბენას ვეღარ გრძნობს ჩემი ლუარსაბ, სიზმრად კი არა, გიჟად გამხდარა, ქმარი გამიგიჟდა, ვაი, ვაიმე, (სხეულს დაიკბენს. თვითონაც ვეღარ გრძნობს ტკივილს).

ლუარსაბი. რა გაყვირებს, ქა, არა მტკივა და ტყუილადა ვთქვა?!

დარეჯანი. აღარც მე მტკივა, ჩემო ლუარსაბ, გავგიჟებულვართ ორივენი, რაღა უნდა ვქმნათ?!

ლუარსაბი. როგორ თუ რა ვქმნათ? არცა არაფერი, შენ გენაცვალე, ჩემო დარეჯან. ვინ რას გაგვიგებს, შენი ჭირიმე? აბა თუ გიჟი გახსოვს ხელმწიფე... გინდა თავადი? გახსოვს? არ გახსოვს.

დარეჯანი. არა, გენაცვა, დიდკაცი გიჟი, სად გაგონილა?! ეგ რა კარგი რამ გამოიგონე, გონიერების ჭირიმე შენი!.. თუ არას ვეტყვით ჩვენის პირით, მეფის ნაცვალიც ვერას გაგვიგებს...

ლუარსაბი. განა იმას კი, მეფის ნაცვალს რამეს გაუგებთ? ვერც შენ, ვერცა მე. დიდი კაცის ნაკლს, თუნდაც სიგიჟეს, განა ამბობენ, შენ გენაცვალე,

თუნდაც ხედავდნენ, ვერ გაბედავენ... იციან, მაგრამ პირში წყალი აქვთ... ღარიბი კაცი, თავად იძახის, საუბედურო თუ კი რამა სჭირს.

დარეჯანი. რა ჰკვიანი ხარ, შენი ჭირიმე, ჩემო ლუარსაბ, რა ჰკვიანი!.. ერთხელაც გიკბენ, ჩემო გოში-ავ, ავ-ავ-ავ-ავ! (კ ბ ე ნ ს.)

ლუარსაბი. ვირეშმაკობით ცხოვრობს ქვეყანა, ჩემო დარეჯან... ვისაც კი უნდა ის იფიქროს, მე კი ვერავინ ვერ შემომბედავს, მე ჩემსას დავფქვამ და ჩემს გამასხრებას არ შევარჩენ იმ ცრუ თავადსა... ჯერ დამაცადოს, რა დღეს დავაყრი!.. იმის სამშობლოს შავებს ჩავაცმევ!.. ჩვენს ბოზბაშობას, გოგო-ბიჭობას გამოვუძახებ, ქალაქის ამბებს მოვუყვები, მიამიტობის ბურანში გავხვევ... (ს ა მ ო ს ე ლ ს ი ც მ ე ვ ს. მ ო უ რ ა ვ ს უ ხ მ ო ბ ს.) დათო, ჰაი დათო, მოურავო!..

დათო. გისმენ, ბატონო!

ლუარსაბი. გისმენო, გესმით, რას მეუბნევა... ადალუენიას ხომ არ მიკეთებ?!

დათო. ადალუენიეს ვერა, მაგრამ, ჩვენებურს, კახურ მრავალუამიერს კი კარგს მოგახსენებთ...

ლუარსაბი. მრავალუამიერ კი არა და „შაშვი-კაკაბი“. მე ის გითხარ, რომ მე კი ნუ მისმენ-მეთქი, სხვას მოუსმინე, მოწინააღმდეგეს, ჩემს მტერსა. გესმის?! ქალაქში რისთვის ჩამოგიყვანეთ. ბუნტი არ მოხდეს ჩემ წინააღმდეგ. ყურცქვეტით იყავ!

დათო. გოგო-ბიჭები დამწყვდეული მყავს, ცხრაკლიტურის ქვითკირში ვკეტავ მზის ჩასვლის მერე, მალე იბუდებენ, მეც იქვე ვკრუხავ: არსად არ ეშვებ. მეტი რაღა ვქნა?

დარეჯანი. ქვა უნდა ჰქმნა და კბილით ამტვრიო! როგორ თუ რა ჰქმნა?! მარტო დამწყვდევა და კენჭის ყლაპვა რომ არა კმარა, ვერ მიხვდი, განა?! გართობაც უნდათ, სანახაობა!..

ლუარსაბი. (დ ა რ ე ჯ ა ნ ს). კარგი. დარეჯან! ჩემს მოურავს, ჩემს ძვირფას კაცს აგრე ნუ სჩაგრავ!.. (დ ა თ ო ს.) ბოზბაშებს უხმე, ჩემო დათო, გოგო-ბიჭებს დამიძახე. ქალაქს ვაჩვენებ შორიახლოდან, ნელად მივაჩვევ... ცოტა ხმას გავცემ. (დ ა თ ო გ ა დ ი ს დ ა ბ ე რ ი კ ე ბ ს შ ე მ ო უ ძ ღ ე ბ ა.)

გამარჯობათ, გოგოებო და ბიჭებო, ბოზბაშებო და ჩიხირთმებო, ქალაქსა სედავთ?

ბუნჯა. ბუნდად, ბატონო, სათოფურიდან რასაც დავლანდავთ, ეგ არის და ეგა.

ლუარსაბი. აჰა, საჭყეტი გამომართვით, გაგიორკეცებთ, უკეთ შებედავთ, რიგრიგობით მოიმოქმედეთ, ყველამ გახედეთ, ზედახორას ნუკი გამართავთ. მე სიტყვის ძალით დაგეხმარებით. (იწ ყ ე ბ ს ქ ა ლ ა ქ ი ს დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა ს.) პირველად როცა ჩამომიყვანეს, მოგეხსენებათ, ბალღი ვიყავი და ქალაქს რომ არ დავეცადე, კენჭები ჩამაყლაპეს.

ბაბალე (საჭუეტელში იმზირება). მსხვილები იყო ის კენჭები, რომ ჩაგაყლაპეს?

ზომის მიხედვით დაგვირიგეს, კარგად გაგვსინჯეს. ბალღი ვიყავი, გითხარით: დიდი მინდა-მეთქი, ავიხირე და სამი ისეთი ქვა ჩამაყლაპეს, რომ ძლივს მოვინელე, ძლივას დავბადე! თავს სინანული სჯობიაო, ამაზედ გახლავთ სწორედ ნათქვამი, ბოლო ჟამს დანანებასაო... გარეჯელ მკითხავს შეალოცვინა მამაჩემმა. თანაც გაახვრეტინა თვალის ჭვრეტითა და გულზე დამკიდა სამახსოვროდ და იღბლისათვისა!

დარეჯანი. პირველად მესმის მაგისთანები, ჩემო ლუარსაბ! მე დამიმალე?!

ლუარსაბი. იდუმალი რამ უნდა ჰქონდეს კაცს, შენი ჰირიმე... ახლა გიჩვენებთ... (კისერს გადაიღეღავს და უჩვენებს ქვებს ყელზე დაკიდებულს.)

დარეჯანი. ჩვენთვისაც გეთქვა, ჩავყლაპავდით და ქალაქი აღარ დაგვცდიდა...

ლუარსაბი. ქალზედ არა სჭრის კენჭების ძალი, დაუცდომელი ქალი სად არის?! (გოგოებს მიუბრუნდება). ეგრე არ არის, ბოზბაშებო?

ხახალა. სოღანლუღს ვიყათ მოტანებული, ბატონო ჩვენო, რომ მოურავმა წინდაწინვე გადაგვაყლაპა. დაგვამწკრივა და ძერასავით ჩამოგვიარა, მაშ რაღათა ჰქმნა, თუკი არა სჭრის კენჭი ქალებზე?!

დათო. ცრუობს, ბატონო, რიყეზე ისე გამოვიარეთ, კენჭი თვალითაც არ მინახია, საშენი ქვა ეყარა ყველგან, თვითონ თუ რამე იხიმანდრეს, ჩემი რა ბრალია?!

ლუარსაბი. (განაგრძობს). დაუცდომელი ქალი ქვეყანაზე იშვიათზე იშვიათია. ისიცა ჰნანობს, მაგრამ რაღა დროს... სოფელმაც იცის დაცდომინება. ქალაქმა ხომ, რაღა... ერთი სიტყვით, ქალაქი არა, სოფელი დასცდის, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დასცდიან... თუ უქეიფოდ იქმნა თავადი, მოურავი სცდის, ბოლოს ყმაცა სცდის და თავისად გახდის... ჰი-ჰი-ჰი!..

დარეჯანი. (საჭუეტელში იხედება). ის მართალია, ქალაქში, თურმე, კაცს რომ თავს სჭრიან და ისევ აბმიან?

ლუარსაბი. თუკი ასტკივა, მოაჭრიან და ახალს აბმიან, აუტკივარ თავს ზედ უტოვებენ, მართალია, მაშ!..

დარეჯანი. არა, მართლა?!

ლუარსაბი. შენს თაესა ვფიცავ, სწორედ ეგრეა...

დარეჯანი. თვალთმაქცობით სჩადიან თუ დასტაქრობითა?

ლუარსაბი. თვალთმაქცობითაც ბევრი რამ ხდება, დასტაქრობითაც... თავისთავად რომ ხერხავს ფიცრებს გაგიგონიათ?

ხუნდა. სასწაულს ბრძანებთ?!

დარეჯანი. უბირდაბიროდ, თქვენი ჰირიმე!..

ლუარსაბი. უბირდაბიროდ!..

ხახალა. თუნდა მომკალით, ვერ დავიჯერებ...

დარეჯანი. მაშ, ხერხი, ხერხი ვიღას უჭირავს?

ლუარსაბი. რუსთხელმწიფესა, (გაიღიმებს.)... თავისთავადა ხერხავს– მეთქი, ბრუნავს და ხერხავს...

დარეჯანი. რუსების მოგონილი იქნება...

ლუარსაბი. მაშ არა და შენი მაზლის, დავითისა!

თამთამო. იმ საწყალ ყმაწვილს, კიბალჩიჩს გამოგონება კი არ დააცადეს, ისე დაარჩვეს, გარბოდა სადმე?..

ნუცა. სწორედ დაებათ და ისე ჰყოლოდათ, რა მოხდებოდა?!

თამთამო. რა იქნებოდა და ლუარსაბობა არ იქნებოდა, მუქთახორა და ბოროტი კაცი ამოწყდებოდა, მართალი სული აღზევდებოდა. მუცლის სახეთქად მოძმის გაყიდვა არ იქნებოდა... მგელი და ცხვარი ერთად მოსძოვდნენ და საყოველთაო შრომის სუფევა გამეფდებოდა, ეგრე არ არის, ქაქუცავ ჩვენო?..

ქაქუცა. სწორესა ბრძანებთ, ნაწილობრივ, მაგრამ სიავე და ბოროტება ქვეყანაზე მეფედ თუ არა მეფის ნაცვლად მაინც დარჩება. ეგრე ერთბაშად კიბალჩიჩებით ქვეყნიერება ვერ გასწორდება, სრული შეგნება ვიდრე თანაბრად არ განეფინება ყოველ მოკვდავზე, ლუარსაბობა კვლავაც იქნება დედამიწაზე... ლუარსაბი, ჩემო ხალხო, და ლუარსაბობა ერთის შეხედვით უწყინარი სჩანს, მაგრამ ცარიელი კუბოსავით უწყინარია იგი: იყო, არის და კვლავაც იქნება გარინდული და გატვრენილი შიგ ჩამწოლის, ხალხისათვის თავგანწირული მამულიშვილის მოლოდინში. ისეთი მამულიშვილისა, რომლისთვისაც ყველაზე წმინდა, ყველაზე დიდი ჩინი — მამულისათვის სიკვდილი არის!.. ქართველი კაცის მუცელშია ჩაბუდებული ქართველობის ის დიდი ფერიჭამია. უწყინარი ღიმილითა სჭამს, სვამს, ხრავს და ანიავებს ყოველსა წმინდას!.. რაკი მოშივა ამ უსულო სულს, განა მოითმენს, წავა და ჩვენს მტერს უძირო გვამის ხახას დაუღებს: — შენ მაჭამე, გამაძღე და შენი ვიქნებიო, აი, რას ეტყვის იგი ჩვენს ვერმოყვარესა... ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს ქართველი კაცი წარსაწყმედელად!..

ბერიკები. და მრავალი ელიან მას ზედა!..

ქაქუცა. თუ ყველამ მუცლის, გემრიელი ლუკმის მონაბერ კვალზე ვიარეთ, უმთავრესი, რაც კი რამა გვაქვს, ჩვენი სამშობლო, კომბლეს დარჩება...

ცუნცრუკა. (ჩიბუხს გადასცემს). ხალხი იცინის, ლუარსაბიო რომ გაიგონებს, რომ შემომხედავენ, მე კი სიცოცხლეს ვათავებ ხოლმე ამ სახის შექმნით. უშვილოა, ჰამა-სმა უყვარს ლუარსაბს და რაღას ვერჩითო, მე დამიჯერეთ, ნუ შეიცოდებთ! განა თუ თესლით მრავლდება იგი, ანუ კვირტით, ანდა ნაყოფით, როგორც ხე-კეთილი, არა, პირით მრავლდება იგი, პირის ფერებით, პირფერებით, პირფერობით, ხელმოუწერელი „დანოსი“ შხამიან თესლით!.. თბილისის მომთხრელ აღა-მაჰმად ხანს, ცვედანთა-ცვედანს, იმ ოხერ ყაჯარს, დამიჯერეთ, რომ უთვალავი თხოვნა მიართვა, ამ მუცლის ჭიამ, მარტოკა გვამ-

მა, რომელიც მაშინ, სამეფო კარზე მეტად გამრავლდა... ქართლის, კახეთის მიუვალებში ჰგორავდა ტახტზე, არტალა ეპყრა მარჯვენაში და მარცხენა ხელით შეზღობას სწევდა, ათჯერ უთვალავ მტერთან შებმულს პატარა კახზე: — მოდი, მობრძანდი, აღა-მაჰმადჯან, მეფე ერეკლეს ჯარი აღარ ჰყავს!.. — მობრძანდა კვლავ, შინ მიმავალი აღა-მაჰმად-ხან და დედაქალაქი ისე გადაწვა, რომ ჩვენის ქველობის საბუთიც კი აღარა დარჩა...

ქაქუცა. მერეც გაკეთდა ლუარსაბი, იმავე ბარკლით, ყალიონის კვამლითა და შავი კალმით ცაციაში; — ვიწრო ჭკუისა გახლდათო მეფე, მერყეობდაო, დრო გაჰყავდაო, მართლმორწმუნე ქვეყანასთან შეერთება მაინცდამაინც არ ეწადაო... ახლოს მხედველი შორით ვერ ჭვრეტდა, ახლოს ხედავდაო... ასე გასინჯეთ, დარეჯანს თურმე, უცხო ტომის სოვდაგარი უხედნიდა და ვერც ამას ხედავდაო. გიორგის ცოლსაც, ერეკლეს რძალსა, ვიღაც ვაჭარი, სიღნაღელი, ხელს ადებდა და მამაკაცობას უბედავდაო... — აი, რა იცის მუცლის აყოლამ:

ბერიკები. სულაის გაქრობა, საყვავ-ყორნე ლეშად გახდომა...

ლუარსაბი. (აყვირდება, თვალს გააყოლებს ბერიკებს). თქვენი იძახეთ, თქვენი იძახეთ, თქვენი ბრძანეთ! მე კი ვიცი, რომ მუცელმა უნდა აჯობოს თავსა, სულ ბოლო ჟამსა! ტერტერების კარაბადინში ჩაწერილია... სოლომონ ბრძენიც ვიდრე არ გაძღა ამა ქვეყნის ყოველისფერით, ქალით, ქაცით და საუკეთესო სასმელ-საჭმელით, მანამ არა სთქვა — ამაო არის წუთისოფელი, სიცოცხლე არ ღირსო... (დარეჯანს). ამაღამ ვახშმად რა გვაქვს, დარეჯან? ქალაქად ვართ ჩამოსულები და შევფიქრიანდი, ვაითუ იკლო ღვთის წყალობამა!

დარეჯანი. იკლო კი არა, კიდეც იმატა! ვორონცოვიანთ კუხნაზედა ვართ, რამ უნდა იკლოს, შენი ჭირიმე?! რაც იმასა აქვს, ხელმწიფის კაცს, ისიც ჩვენა გვაქვს! შენ მარტო ბრძანე, სულო თუ გულო!..

ლუარსაბი. მაინც?

დარეჯანი. სადილიდად დარჩომილი კაი ძროხა გვაქვს, ცივად, ბატონი ბრძანდები, ღორის სუკები...

ლუარსაბი. უჰ! უჰ! უჰ! ღორის სუკები, შენმა მზემ, რადაც უნდა ჰღირს! სხვა? მე ამაღამ მადაზედა ვარ!..

დარეჯანი. ზურგიელი გვაქვს, რომ ქონები გასდის, ფეშქაში გახლავს... ყველი, პური და კეთილი გული...

ლუარსაბი. ეგეც კარგია!.. სხვაც ჩამოთვალე, ხვალისაცა ვთქვათ, რა გვენაღვლება, რაკი ვახშამი ასე ხვთის მადლით გადავაგორეთ?!

დარეჯანი. (სიაში იხედება). ხვალის ნუსხაში არტალა გვიზის, ხომ კარგადა ხარ არტალაზედ?

ლუარსაბი. ვაცივითა ვარ, შენ გენაცვალე, არტალაზე, სწორედ ვაცივითა!.. ერთი მსუქანი არტალა, სახელმწიფოდ ჰღირს. სხვა?

დარეჯანი. (მ ა ც დ უ რ ი ღ ი მ ი ლ ი თ). მრგვალი დედალი ცალმხარეზე და კარგიც ჩიხირთმა, კიდევ რა გინდა?..

ლუარსაბი. ჩიხირთმა?.. ბოზბაში გეთქვა, აჯობებდა, მე და ჩემმა ღმერთმა.

დარეჯანი. ფი! მითამ რითი რომ... როდის იყო კარგს ჩიხირთმას ბოზბაში სჯობდა.

ლუარსაბი. ვა!.. ტყემლის მჟავით გაკეთებული ბოზბაში?!

დარეჯანი. შენც არ მომიკვდე, მაგან ჩიხირთმას ვერ აჯობოს!

ლუარსაბი. ვა!.. შენს ჭკუაზედ ხარ, დედაკაცო, ბოზბაში ტყემლით! რას ამბობ, რასა?! მსუქან ბოზბაშში ამოვლებული პურის ლუკმა ჩიხირთმისას ზღვას მირჩევნია, გორისციხისოდენა ქვაბით მორთმეულს!.. მაშ კაცი აღარ ვყოფილვარ, ქუდი არა მხურებია!..

დარეჯანი. ახირებული კაცის ჭკვაზედ ხარ, ჩემო ლუარსაბ, და რა უნდა გითხრა.

ლუარსაბი. კაცი სწორედ რომ ეგეთი მიყვარს.. მაშ დღეს ერთი ვსთქვა, ხვალ კიდევ სხვა?! ეგე ხომ ჩიხირთმობა იქნება!

დარეჯანი. ბოზბაში გნებავს, მაშ?

ლუარსაბი. სწორედ ბოზბაში! სწორედ ბოზბაში!..

დარეჯანი. ბოზბაში, განა?! ზაფხულის ამ პაპანაქებაში!.. ჩიხირთმა როგორ უმწიკვლოდ ჟღერს, ყური დაუგდე: ჩიხ-ირ-თმა, ჩი-ხირ-თმა, ნერწყვი არ მოგდის?

ლუარსაბი. ბოზბაში!.. ბოზბაში!.. მამაკაცური საჭმელია, ომახიანი, თან ტყემლის მყავით, მომჟავო ღვინით, კარგი ბოზბაში, შენი გულისა, ჩაუუ-უუ-უუ-ნებული! სწორედ კაცური საჭმელი გახლავთ, ჩიხირთმა, ისე, პახმელიაზე, ბოზბაშს რომ გადააგორებ, მერე კიდევ ჰო!.. თვითონ ბოზბაში თუკი მოგიხოვს, აბა ჩიხირთმა დავაყოლოთო... ძალიან კარგი. არა და არა, არა და არა! (ბ ო ლ თ ა ს შ ო ჰ ყ ვ ე ბ ა გ ა ჯ ი უ ტ ე ბ უ ლ ი ლ უ ა რ ს ა ბ ი).

დარეჯანი. როდის აქეთი გახდი ეგრე მიზეზიანი, შენი ჭირიმე? (ს ი ბ რ ა ზ ე ე რ ე ვ ა.)

ლუარსაბი. რაც ქალაქში ვართ, მაგ ჭკუაზედ ვარ, ჩიხირთმა არც კი გამხსენებია, თუ დამიჯერებ. ქალაქს თავისი ნირისგემო აქვს, ჩემო დარეჯან, თუ არ გაუგე, თუ არ აჰყევი, არა გამოვა, არა და არა! მამაკაცობა, დიდკაცობა, ჩიხირთმის ჭამით აღარ გამოდის, ჩიხირთმაზე მე ჯვარს ვერ დავიწერ!.. (ყ ა ლ ი ო ნ ს მ ო უ კ ი დ ე ბ ს, მ ო ქ ა ჩ ა ვ ს).

დარეჯანი. (კ ი დ ე ვ ე ც დ ე ბ ა). შენ სიზმარში ხარ, ჩემო ლუარსაბ!..

ლუარსაბი. მოდი, მიკბინე, შენი ჭირიმე, გამეღვიძება!! (ს ა კ ბ ე ნ ა დ გ ი ლ ს მ ი უ შ ვ ე რ ს).

დარეჯანი. (ა ხ ლ ო ს მ ი ვ ა). ჯერ შენ მიკბინე, გენაცვალე, მერე მეც გიკბენ.. თან ისე გიკბენ, ისე რომ, ეგ ჩინ-მედლები, ეგ ბრჭყვრიალები, ძირს დავცვივდება და ის ლუარსაბი იქნები კვლავ, რაც რომ იყავ, შენ რა გგონია,

ტყეილად ვეწთხვეი და თანაც ორგზის, იმ სპეტაკ მოხუცს, თეთრს, დიდს ჩინოსანს, სიზმარია-მეთქი, რომ აგიხსენი... მას აქეთიდან ამისთანა ამბებში მყევხარ და მაგას მიბედავ. რაღაც ბოზბაში გირჩევნია ამ ჩემს ჩიხირთმას?!

ლუარსაბი. (შ ე მ კ რ თ ა ლ ი). არა, გეთაყვა, ის დიდებული სიზმარი მახსოვს, შენ შემოგეევლე, ჩემო დარეჯან. არ დამვიწყნია. გიჟი ხომ არა ვარ?!. აბა, ბოზბაში ჩიხირთმასთან როგორ მოვა-რო!.. სულ ჩიხირთმაზე ვიქნები, როგორც შენ მეტყვი, ისე ვიქნები, ოღონდ!..

დარეჯანი. ვორონცოვის კარს აბა ვინ გვიღებს დაუკითხავად, უსაბუთოდ, თვითონ იღება? ჰა? ეგებ მითხრა?!

ლუარსაბი. (შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ი). ჩიხირთმა, ჩემო, ჩიხირთმა-მეთქი! მუხლზედ დავდგები შენს წინაშე, დედაკაცობის ჭირიმე შენი... ოღონდ კი ჩი-ჩი-ჩი... ოღონდ, ჩუ-ჩუ-ჩუ!

დარეჯანი. მგონი რომ გონსა ხარ, ჩემი კბენა არ დაგჭირდება, ხომა, ლუარსაბ?

ლუარსაბი. გონსა ვარ, გონსა, მერე როგორსას! ცხვირი პირისგან ვინ მოაშორა, შენი ჭირიმე, ჩუპარიკი-ჩუპჩიკი დარეჯან-დარეჯან წ ა უ მ ღ ე რ-წ ა უ ც ე კ ვ ა.)

დარეჯანი. (ე ც ე კ ვ ე ბ ა). დიდოური და რამდიდოური, რიმდიდოური-რამდიდოური...

ლუარსაბი. განდიდური და რამდიდური, რიმდიდური-რამდიდური (ც ე კ ვ ა ვ ს.) ქართლი-კახეთს მივუმატე, იმერეთიცა, „პოვერნია“ დავამარცხე ოთხი ჩაფითა!..

(შემოდიან ბერიკები. ცეკვით წრეს შეკრავენ. წრეში ლუარსაბს და დარეჯანს მოიქცევენ.)

ბერიკები.

იმერელო კრიკინაო,
ჰეი-ჰეი-ჰეი-ჰურრა,
გოჭმა კოჭში გიკბინაო,
ჰეი-ჰეი-ჰეი-ჰურრა,
იმერელო ქაცვიაო,
ჰეი-ჰეი-ჰეი-ჰურრა,
ტანზე არა გაცვიაო.
ჰეი,-ჰეი-ჰეი-ჰურრა!

შემოდის ელისაბედი. ტაშს ააყოლებს.

ელისაბედი. მე ბანი-ბანად გეძებდით, თქვენ ბაღი-ბაღჩად გეძინათ?! რა ამბებში ხართ, ქა, რა ყოფაში?! დიდება გაქვთ და რა გენაღვლებათ! თქვენი ჭირიმე, ჩემო მაზლო, დიდო ლუარსაბ, ჩემო რძალო, ჩემო დარეჯან. მთელი ქალაქი გადავაქოთე, ვერსადა გნახეთ...

ლუარსაბი. ელისაბედი გვეახლა, დარეჯან, გველის ნაკბენი, კახეთიდან გვესტუმრა ძღვენითა და მიმიხედე!..

დარეჯანი. (ცეკვას შეწყვეტს). როგორ მოგვაგნო, მაგ კუდიანმა! მობრძანდი, ჩემო რძალო!..

ელისაბედი. ყარდა, ყარდა, რომა, ჰა! კიდევ კარგი ნაპირას დგახართ, შიგ რო არა ხართ, ბურიაყი დგას, კომლი და ჭვარტლი... ერთი კრწანისთან ჩავისუნთქე, მოვკუმე პირი და ახლაღა ამოვისუნთქე. აფსუს ცივგომბორო! როგორა სუფევთ, ხომ კარგად სუფევთ, ჩემო მაზლო?

ლუარსაბი. რა დაგიმალოთ, ქვეშაფსიობა დამჩემდა რძალო, ქვეშსაფენს მიფენს დარეჯანი და ასე ვსუფევთ... სულ სურნელსა ვფენთ. თქვენ როგორ სუფევთ, ღვთის წყალობით, კარგად თუ სუფევთ.

ელისაბედი. ჩვენც ეგრე ვსუფევთ, თქვენს ძმა დავითსაც ეგრე გაზდის და იმასაც ვუფენთ... ბატონ-ყმობის გადავარდნის ხმები დადის, მოგეხსენებათ, დიდი ამბები სუფევს ყველგან და თავადები, განსაკუთრებით გვარიშვილობის შემარცხვენლები, ზაქარიები, ლევან, ნიკოლოზ, ისე სუფევენ, რომ ორმაგს უფენენ...

ლუარსაბი. ნიკოლოზიო? ეგ რა გვიბრძანეთ?! (შეკრთება.)

ელისაბედი. განა თუ დიდი ნიკოლოვოზი, ჩვენს ნიკოლოზზე მოგახსენებთ, თავადიშვილზე. კარგად გამიგეთ.

ლუარსაბი. კარგი, გავიგე... ყანაში ვიღა დაუდის ჩემს ძმა დავითს, რაკიღა უფენთ?

დარეჯანი. ალბათ შვილები...

ელისაბედი. შვილებმა ჩრდილები მოითხოვეს კალოებამდის, ჩვენი მინდვრები მხურვალე გახლავთ, მოგეხსენებათ, და მზემ რომ არ დაჭკრასთ, თვითონ დავითი უძღვება საქმეს.

ლუარსაბი. თუ დაატბორებს, რაღას გალეწავს, ღმერთი არა გწამთ?

ელისაბედი. შორიახლოს დევს, ხერხიანია, უძღვება საქმეს, დიდს რჩევებს აძლევს ყანის მკელებს... თანაც ნადირობს, მაგასაც ასწრებს... კარგად ნაგები მიმინო უზის მკლავზე, თავისის ხელით ნანადირევი ორი აბგა მწყერი მოგართვით მე ჩემის ხელით.

ლუარსაბი. მწყრები კარგია, თუნდ შილაფლავად, გნებავთ შემწვარი... დათო, გაბრდღვენით! (თანაც განკარგულებას გასცა მოურავს.)

დარეჯანი. (ერთგვარი წუენით). ყანა და ყანა... ვისაც რომ კაცი არ აბადია მამულებზედ რომ თავმდგომად დასვას, იმწყერავებს და გალეწავს, მარა!.. ჩემი ლუარსაბ მაგას ვერ იზამს, ეგრე ვერ ივლის... ყანა და ყანა. მერე, ქვეყანა ვის ჩააბაროს?!

ელისაბედი. მე განა მასზე, ჩვენს ლუარსაბზე მოგახსენებდით! ჩვენი მაზლი მაგას როგორ იქმს!..

დარეჯანი. (შესჩივის ელისაბედს). აქაც და იქაც მოურავი გვყავს, ჩემი ლუარსაბ მუცელს ქვემორედ ვეღარას ხედავს. მე კი ქალი ვარ, ბოლოს-დაბოლოს ორმოცდა რამის...

ლამაზისეული. ჩინ-ჯვრების პრიალს ვეღარ ავდივართ!

ლუარსაბი. (ელისაბედს). რა დაგიმალო, ჩემო რძალო, მეფურად ვცხოვრობ, სწორედ, მეფურად!.. ზღაპრად თქმული ჩიტის რძე მე ცხადადა მაქვს... ლევანსავით, ზაქარიასა და ნიკოლოზსავით ან სომეხსავით ურმებს ქირაზედ როგორ გავგზავნი?! ვაი არა აქვს თქვენს ლუარსაბს, ვაჭრობას არ ვწევ. ადლით არ დავალ, მეფურადა ვარ, აკი გითხარი. შემოსავალი თავზედ გადამდის... ქართლშიც, კახეთშიც, სამს არ მოუვა, თუნდ იმერეთში ის მოსავალი, მე რომ მომიდის პური და ღვინო, რაც მთავარია, ზღვასავითა მაქვს. სხვაც მრავალი მაქვს, ყველა იქიდან გამომავალი, თვალი და ლალი.

ელისაბედი. ოხრადამც დარჩეს... (პაუზა. შეფასებ.) ზაქარიაც, ლევანიცა და ნიკოლოზიც ერთ დღეს რომ გაწყდნენ სამივენი და სხვანიც ბევრნი, წმინდა სისხლის ტალახში მრეველნი, თეთრებს ჩავიცვამ. მაგათი და მაგისთანების წყალობით არის ბატონყმობის გაუქმების ხმები რომ დადის, უფრო მაგიტომ გეახელით, ჩემო მაზლო, თქვენ უნდა გკითხოთ, უნდა გავიგო, რამე რომ მოხდეს, როგორც ამბობენ, რა გვეშველება ჩვენც მათთან ერთად ჩამოგვერთმევა ჩვენი ყმები, თუ გამორჩევით იქნება?

ლუარსაბი. ფერიცვალება თუ მოხდება, ჩემო რძალო, ჩვენი მამული ჩვენვე დაგვრჩება, თათქარიძობას ვინ ჩამოართმევს, ორი თავი აქვთ?! ყმაც გვეყოლება ჩვენი სამყოფი, უმიწაწყლო ყმას, ცხრაპირტყავგამძვრალს, რა გზა ექნება? ჩვენ მოგვადგება და ტყავის გაძრობა მერე ნახე შენ, ტვინზე გადაკრულ აპსკსაც შევაფცქვნით, ესე იქნება!.. ჯერჯერობით კი რუსთხელმწიფეს უბრძანებია, ეს კარგად ვიცი, ასეთი საქმე მე მაბარია, ჯვარზედ გავაკრავ, ძელზედ გავსვამ ბატონყმობის გაუქმებაზედ ვინც რომ კრინტს დასძრავსო, სხვა რა გახარო?

ელისაბედი. მაგასაც ვიკმარებ, ჩემო მაზლო, შენ გაიხარე და გაძლიერდი ერთიათასად!

ლუარსაბი. (ხუთთითს გაპარჭყავს). მოდით აქ, ხალხო, ჯამაათო, ბოზბაშებო და ჩიხირთმებო, შენც, ჩემო რძალო! ამას ხომ ხედავთ, ჩემს გაშლილ ხელსა?

ელისაბედი. კინაღამ თვალიც გამომთხარე, ჩემო მაზლო, ეგრე ანაზდად რომ გამიშალე, ვხედავთ, გენაცვა, სიტყვა ბრძანეთ...

ლუარსაბი. რამდენი თითი მაქვს?

ხუნჯა. ცალზე, ბატონო, თუ?..

ლუარსაბი. ცალ ხელზე ვბრძანებ. აი, ამაზე...

ბერიკები. სწორედ რომ ხუთი თითი გაქვთ...

ლუარსაბი. თანაბარია ყოველი თითი, თუ?

დათო. არა... ზოგი დიდია, ჩემო ბატონო, ზოგიც პატარა (საკუთარ თითებზე დაიხედავს).

ლუარსაბი. სახელმწიფოც ასე გახლავთ აგებული, გამჩენი ღმერთის ხუთის თითით დაწესებული. ეს შუა თითი, ყველაზე დიდი...

ბაბალე. ხელმწიფე გახლავთ, იმპერატორი...

ლუარსაბი. მართალი ბრძანა ჩვენმა ბაბალემ, ყველამ გაშალეთ, წინ გაშოშალეთ, თუ შეგეშლებათ, მე ჩამოგითვლით... შუა თითს გვერდით, მარცხნიდან მარჯვნივ, რომელი თითია ყველაზე გრძელი?

ჩარექა. არათითია, ბატონო ჩვენო, არარას მაქნისი. ვცდები ეგებ, მაგრამ, მგონი რომ დედოფლობა ამას ერგება.

ლუარსაბი. არათითი მდაბიური სახელი გახლავთ, დედოფალი არც იშვიათად მეფესაც სჯაბნის... შემდეგი თითი, ხელმწიფისაკენ გადაზნექილი?

ხახალა. სატლეკი თითი გახლავთ, ბატონო, ანუ სალოკი თქვენებურადა. მაგან გახვრიტა ხელმწიფის ჯამი, სინათლე გასდის...

დარეჯანი. ამას დაეხსენ, ჩემს გომბიოს, ყინულის ლოლო უდევს სწორედ, ტვინის მაგივრად. (ჩაჰკრავს ლამაზი ეულს).

ლუარსაბი. სალოკს რომ ვამბობთ, აი, ეს თითი, ნამესტნიკია ჩვენი, მეფის ნაცვალი. უერთგულესი ხელმწიფის კაცი. სწორედ ეს არის... მეოთხე თითი, მოკლე, კოტიტი, აბა ვინ იტყვის, კარგად ჩაფიქრდით.

ხუნჯა. ცერი თითია, ჩემო ბატონო, გვერდელადა დგას ხელის გულზე, არავისა ჰგავს დანარჩენ თითებს, პირში შესცქერის ხელმწიფის ნაცვალს, მგონი თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ, ნაცვლის-ნაცვალი, სწორი არ არი?

ლუარსაბი. ტაკიმასხარავ, გამოიცანი, არჩევანი და არადანი ამითი მორჩეს.

ჩარექა. ნეკი თითი დაგავიწყდათ, ნეკი — ყმა-გლეხი, ჩვენ აკი ვართ, დიდო ბატონო. სათვალავში კი არა ვყრივართ, მაგრამ სამშობლოს მაინც ვარგივართ...

ლუარსაბი. ყოჩაღ, ჩარექავ, ნეკიც საქმეა, ნეკი — ყმა გლეხი, გამწევი ხარი კარგი რამ არის... ჰოდა, გახსოვდეთ, ნეკა-ნუკებო, ბოზბაშებო და ჩიხირთმებო, რომ ბატონყმობა და დიდ-პატარობა არასდიდებით არ შეიცვლება, ზევიდან მოდის და ღმერთის ხელით შექმნილსა და დაწესებულს კი, ღმერთი არ მოშლის! იყო, არის და ასეჱც იქნება!

დათო. თქვენის ნებართვით, ბატონო ჩვენო, ნეკებს წავასჩავთ ცხრაკლიტურში და ბეჭდებს ჩავაცმევ...

ლუარსაბი. დღეს მე როგორღაც მეტყველების მადაზედაც ვარ, ჩემო დათო, და ცოტა კიდევ რომ გავისაუბროთ ამგვარს რასმეზედ, მგონი არ გაწყენთ.

ბერიკები. გვარგებს, ბატონო, არაფერს გვაწყენს!

ლუარსაბი. აბა, რა კარგი იქნებოდა, ჩემო ხალხო, ჩვენ რომ არ გყავდეთ?

დათო. (ბერიკებთან ერთად). შენი მტერი, რომ ჩვენ ვიქნებოდით, შენი ჭირიმე!

ლუარსაბი. რაც არ უნდა იყოს, მამასავით აკი გეპყრობით?!

დათო. (ბერიკებთან ერთად). მამა ბრძანდებით, ჩვენ შვილები

ვართ. ხანდახან თუკი გაგვიწყრებით, დაგვაწიოკებთ, სარჩოს წაგვართმევთ, ეგ არაფერი, ჩვენთვისა შვრებით. ჩვენი კარგისთვის, მრავალტანჯული ჩვენის ხალხისთვის. მამა შვილს როგორ არ გაუწყრება?!

ლუარსაბი. მაგრამა, მამა კვლავ მამად რჩება, შვილი-შვილადა!

დათო. ზოგსა ჰგონია, უბრალო ხალხსა, სარჩოს რომ გვართმევთ, გვაწიოკებთ და შიმშილითა გვკლავთ, თქვენთვისა სჩადით და ჩვენთვის სიკეთე არ გწადდეთ. ჩემი — ჩემია, ბატონს რად მიაქვსო, უგუნურები გაიძახიან.

დარეჯანი. (ღ ი მ ი ლ ი თ). თქვენც რომ ჩვენი ხართ, ჩემო დათო და ჩვენო ხალხო, ჩვენ კი თქვენი ვართ, საკუთარი, ღვიძლი ბატონი. მამა-შვილობა რომ არ იყოს, სად გაგონილა?!

დათო. არსად, ბატონო, თქვენი ჰირიმე, სხვები უბნობენ, აბდაუბდობენ. განა თუ ჩვენა!

ლუარსაბი. მე დამიჯერეთ, ჩემო შვილებო, ცრუ ხმას არ აჰყვეთ. სახარებაში ჩაწერილია: უფლისა — უფალს და კეისარს კიდევ -- კეისრისაო. მორჩა, გათავდა! (ხ ე ლ ი ს თ ი თ ე ბ ს ა ხ ლ ო ს მ ი ი ტ ა ნ ს). აბა ვინ მეტყვის საბოლოოდ, ამ სამი თითით, მეფით, თავადით და მეფის ნაცვლით რასა ვმოქმედებთ და რაებსა ვსჩადით? (თ ვ ა ლ ს მ ო ა ვ ლ ე ბ ს დ ა ფ ი ქ რ ე ბ უ ლ ბ ე რ ი კ ე ბ ს). ილიაობის მაძიებელო, ივერიელო ქაქუცავ, ბრძანე...

ქაქუცა. მაგ სამი თითით თქვენ რასა იქმთ, მაგას ვერ ვიტყვი, მაგრამ, ვიტყვი რომ, ათას ხუთასი წლის ცოტა იქით, მეფე მირიან, საქართველოში პირველმა ქრისტიანული პირჯვარი გამოისახა, ამას გვამცნობს ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ და ამის შემდეგ მეფე მირიანს ბევრმა მიბაძა:

„ხოლო გეწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი

პირჯვარს გამოისახავს. ბერიკები გარშემოერტყმიან ლუარსაბს დიდი იღიას სიტყვებით:

„ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი.

(პირჯვარს იწერს ბერიკა ხუნჯაც ამ ტაეპის შემდეგ).

ხახალა. (გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს ლ ე ქ ს ს).
ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრებისათვის ქვეყნად ჯვარცმული
ძლიერთ დამბმელი.
უძლურთ ამხსნელი....

(პირჯვარს ისახავს. ლუარსაბსა და დარეჯანს ტახტზე დააყორებენ ბერიკები, ზედ მუნდირს გადააფარებენ).

თამთამო (ტახტზე მწოლიარე).

ორგულობისა,
ორპირობისა,
ძირს დამცემი და დამთრგუნველი.

ცუნცრუკა.

(პირჯვარს გამოისახავს. იგიეე ლუარსაბი მუნდირს ორი თითით აწევს):

„ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამაკიცხველი და გამდევნელი

ნუცა.

(პირჯვარს ისახავს. ბერიკები ტახტზე გაფენენ ჩინ-ჯვრებით მოჭედილ სამოსს. ტახტთან წარმოსთქვამს):

„მან კუბოს მორთულს
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრი კაცი არ დაადარა?!“

ცუცა.

„ზაკვით სავსენო,
ავმორწმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გწამთ
და საქმით არა“

ქაქუცა.

(ლუარსაბად გადააქცევს ცუნცრუკას, მუნდირს მოასხამს.)

„გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი,
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება“.

ლუარსაბი. (აყვირდება). ვინა ყრიხართ, რომ მაგას მიბედავთ? ვირები ხართ, თქვენ, სწორედ ვირები!..

ჩარექა. დიდო ბატონო, ეგ რა გვითხარით? მაგ თქვენს ზრდილობას ეგ ეკადრება? მაგრამ, 'მოთამ სთქვა, — რაც კოკაში სდგა, იგივე თურმე წარმოსდინდება!..

ლუარსაბი. ელისაბედ, ბოზბაშებო და ჩიხირთმებო, თქვენ მანდ დასხედით. ახალი აღთქმის ნაწილი დამრჩა, გადავიკითხავ და მეც გეახლებით. ამ ობრის თრევით წელი მომწყდეს, ლამის არის, მეც დავისვენებ...

(მუნდირს ბოლო ღილამდე შეიკრავს, დარეჯანს დიდ დავთარს გამოართმევს, ავანსცენაზე გავა. დავთარს საჭირო გვერდზე გადაშლის და კითხვას იწყებს):

(კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს). «Вполне игнорируя цензурные указания, князь Чавчавадзе продолжает с упорством и настойчивостью проставлять в цензуру статьи, к возбуждению крайне восприимчивой местной молодежи. Допущенная в его, Ильи Чавчавадзе, газета недостойная пропаганда может иметь весьма пагубные и непоправимые духовной семинарии... 10 мая дело это будет рассматриваться в совете Главноуправляющего при моем участии».

(დაამთავრა კითხვა ლუარსაბმა-ცუნცრუკამ, ზედა სამოსი გაიხადა და ხალვათად ჩაჯდა ბერიკათა შორის. საჯდომქვეშ დავთარი ამოიდო და ელისაბედის ჭორების მსმენელად გადაიქცა).

ელისაბედი. იმ წუწკ ნიკოლოზს, თავისი შინა მოახლისათვის, იცით რა უქნია?

ლუარსაბი. რომელ ნიკოლოზს, ელისაბედ, მაგას რას ამბობ?

ელისაბედი. განა თუ დიდსა ვგულისხმობდი ნიკოლოვოზსა, არა, პატარას, ჩვენს თავადისშვილს, გვარი-სახელის შემარცხვენელს, თურმე ჯერ არშიყობა დაუწყვია თავისი შინა მოახლისათვის... მერე, ერთხელაც, ბინდი ყოფილა... (დარეჯანს გადაუჩურჩულებს რაღაც საიდუმლო დეტალს, დარეჯანი — ლუარსაბს, ლუარსაბი — ქაქუცას, ქაქუცა — ხუნჯას და ბოლოს ხახალა კვლავ ელისაბედს წასჩურჩულებს.)

დარეჯანი. მერე რა მოხდა, ჩემო რძალო, ცოტა ჩქარა თქვი!

ელისაბედი. ბიჭებს დაუნახიათ... (დანარჩენს დარეჯანს წაუჩურჩულებს, დარეჯანი — ლუარსაბს, ლუარსაბი — ქაქუცას და ასე, წრიულად გადაივლის ნაჩურჩულები).

ლუარსაბი. მაშ, ბიჭებსაც დაანახვა, იმ მუდრეგმა?! განა ისეთს რას სჩადიოდა, რომ ვეღარ დამალა?! (კ ვ ლ ა ვ ჩ უ რ ჩ უ ლ ს მ ი ა ყ უ რ ე ბ ს).

ელისაბედი. ბიჭებს, კიდევა, არც უცივებიათ, არც უცხელებიათ, გაქცეულან და ქალბატონისთვის უცნობებიათ, რომაო... (დარეჯანს გადაუჩურჩულებს, დარეჯანი ლუარსაბს და ჩურჩულის წრედი კვლავ ელისაბედით იკვრება, თან სიცილ-ხარხარი სდევს ამ ჩურჩულს).

ის საწყალი ქალიც გულგახეთქილი გამოქცეულა და დაუნახავს (კ ვ ლ ა ვ ჩ უ რ ჩ უ ლ ი ს წ რ ე).

ლუარსაბი. მაშ იმასაც დაუნახავს, იმ საწყალსაცა?.. მერე რა უთქვამს, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმაო?! (ჩ უ რ ჩ უ ლ ს წ ა მ ო ი წ ყ ე ბ ს).

ელისაბედი. ეს ამბავი რომ უნახია საწყალ ქალს, გულს შემოჰყრია, გადავარდნილა (ჩ უ რ ჩ უ ლ ი).

ლუარსაბი. შემოეყრებოდა, ვეჟო, შემოეყრებოდა...

დარეჯანი. არ შემოვიყრიდი, არა! ავდგებოდი და მდუღარას გადავავლებდი ორივეს ერთად, მე ამას ვიზამდი.

ლუარსაბი. ჩააჩიხირთმებდი, ეგრე გამოდის, იმ ბოზბაშებსა, პაპაპა!

ნუცა. თუ იქავ აადუღებდი, თორემ, შინიდან გამოყოლილი მდუღარე გაუგრილდებოდა გზა-გზა და კიდევაც ეამებოდათ ნელთბილი წყალი მუდრეგებსა...

ელისაბედი. მე ის საწყალი ქალი მეცოდება, თორემ, ნიკოლოზ, თუნდა თავშიაც ქვა უხლია!

ლუარსაბი. მერე რაც მოხდა, ვინ გამოიცნობს, ორღობეობა რითი დამთავრდა?

ჭაჭუა. არ დამთავრებულა, ცუნცრუკავ, არა, ნიკოლოვოზი შინა მოახლეს ორღობეში მისდევს და აწვალებს, იმ დროს კი, ორღობიდან გამოქცეული ცხენის ქურდი, გრიშკა რასპუტინ, მთელს იმპერიას აქანავებს დედაბუდიანად, ჩვენი პატარა კაკლის ნაჭიანად...

ხუნჯა. რომ არა ვცვივით აქეთ-იქით ამ ნაჭუჭიდან, ხალხნო, არ გიკვირთ?

ლუარსაბი. რაებს მიჰქარავთ, ცოდვიშვილებო, გინდათ, რომ გაგვჭრან, დაგვიჭირონ და მუცლებზე გაგვჭრან?!

ცუცა. აზირ ის გაჭრან, იმ ძვირფასი ხის, ჩვენს ზურგზედ მდგარის ნაყოფს ვინცა ჰამს, თვალ-მარგალიტებს ვინც რომა სანსლავს!.. კიდეც რომ გაგვჭრან, რას გვიპოვნიან, ნაცრიკუტებს, ჭინჭარს და ბალბას... აბა სხვას რასა?!. ორი ისეთი გემი ჩაძირა ამასწინაზე იაპონიამ პორტარტურშია, რომ, მშვენიერები, ჩვენი მშიერი მუცლით ნაგები. „ვარიაგი და ცესარევიჩი“. ვეებერთელა კრეისერებით, თითოეული აი, ამ ჩვენი ხინკლისოდენა ქვეყანდა ღირდა!

ხუნჯა. საქანელადან რომ არა ვცვივით, ბოზბაშებო, როგორ არ გიკვირთ... (იწყებს ცეკვა-სიმღერას). პუტინ-პუტინ-რასპუტინ, ჩიმჩაირა-ჩაირა, პუტინ-პუტინ-პუტ-პუტინ, ჩიმჩაირა-ჩაირა... (ყვლანი ცეკვავენ.).

ლუარსაბი. (შეწყვეტს ცეკვას). საშინელ დროებას შევესწარით, თქვენი ჭირიმეთ! სწორედ მეორედ მოსვლა მოახლოვდა: ვეჟო, ქალს ქალობა აღარ ეტყობა, კაცს — კაცობა. ტყუილად კი არ მოგვეჩვენებიან ეს კუდიანი ვარსკვლავები?! ერთი ღვთის რისხვა უნდა მოვიდეს!.. არ გაგონილა, ქალისაგან ვაჟკაცის ძალით გალახვა და ქმრისაგან ეგრე აშკარად მაგისთანა ამბები!.. სირცხვილი აღარ არის ეხლანდელ დროში! უწინაც იყვნენ ხორციელები, მაგრამ ფარულად და გონივრულად შვრებოდნენ, ვეჟო! ახლა, ბატონო, არაფრისა აღარ ჰრცხვენიათ, წახდა ქვეყანა, რა გვეშველება! სულ ჩვენის ცოდვებისაგან უნდა ძოხდეს, რაც უნდა მოხდეს (იწყებს სირბილს, თან ყვირის). მამა ზაალ ნუ წამიწყდება, წავალ, წავალ.

დარეჯანი. სად წახვალ, სადა, შენი ჭირიმე, გაგვაგებინე? (ბერიკები დასდევენ დასაჭერად).

ლუარსაბი. გამიშვით, წავალ, მამა ზაალ ნუ წამიწყდება, არ გავჩერდები, არა... ლევანის ცოლსაც, ზაქარიასაც, ნიკოლოზისაც, ფეხქვეშ გავიგდებ, ზედ შევადგები!..

დარეჯანი. ქალებში მიდის ეგ სულძაღლი და არ გაუშვათ, არა!

ლუარსაბი. (დარბის). ქვა-ქვაზეც იქნეს დადუღებული, მე თუ არ ვიქენ, მე ლუარსაბი, თათქარიძე, ქვა-ქვაზეც იქნეს. უნდა წავიდე, არ გავჩერდები! (ტანზე იხდის, გზა-გზა ყრის სამოსს).

ხახალა. ძონძებს ჩვენ გვიტოვებს, თვალს გვიხვევს, ხალხნო, ხელი არ ახლოთ მყრალი ბატონის ჯუჯუიან სამოსს!..

(ლუარსაბი ერთბაშად რაღაცის ძალით შედგება და მიწას მიეყინება თავისი მისტერებით, საცვლების ამარა. ბერიკებიც, ლუარსაბის მოულოდნელი შეჩერების გამო ზედ მიეჯრებიან მჭიდროდ და მდუმარენი მიაშტერდებიან ჯერ ქვაღქცეულ ლუარსაბს და შემდეგ კი იქით წარმართავენ მზერას, საითაც ლუარსაბი იხედება შიშჩამდგარი თვალებით. დარეჯანის მიერ შერჩეულ „ფოტო-ღრაფიმსკის" უცნაურ, ოჩოფეხებზე შემდგარ, გრძელლულიანი აპარატის უკან ვიღაც უცნობი შავთავსაფრიანი კაცი აღიმართება. შავი თავსაფარი მას სახეს უბურავს, მისი სახე წყვდიადშია. ფოტოგრაფიენით გადააფარებს იგი თავსაფრის ნაწილს უცხო აპარატს და მომართვას იწყებს. გაშეშებული ბერიკების უკან ისპაჰანობის დიდი ფოტო-პანორამაა აღმართული. ბერიკები მონუსხულივით შეჯგუფული დგანან ისევ ისე, პირველად რომ შეჯგუფდნენ. არც არავინ ინძრევა. ხმასაც არავინ იღებს. ფოტო-კადრივით გაშეშებულან).

უცხო. (აპარატს მოცილდება). არავინ გაინძრეს, დაიმახსოვრეთ. ისპაჰანობა მთავრდება, საშვილიშვილოდ, სამახსოვროდ აღგბეჭდავთ. შენ რომელი ხარ მანდ, მუცელგაბერილო, ლუარსაბი ხარ?..

ცუნცრუკა. მე?.. მე... მხოლოდ შემსრულებელი გახლავართ. სახის, როლისა, რაღა... (ძლივს ამოილუღლუღა).

უცხო. ძაშ შენ იქნები ლუარსაბი, შუაში რომ დგახარ! (ქაქუცას მიუშვირა აპარატი უცხომ.)

ქაქუცა. მე ილია ვარ... (მოკლედ მიუგო ქაქუცამ. აღარაფერი არ განუმარტა აპარატის უკან მდგარს, შავლეჩაქიან „ფოტო-ღრაფინსკის". ამაყად აღიმართა და ილიასებურად გადაივარცხნა თმა. საყელოც შეისწორა და ძეგლივით დადგა.)

უცხო. მაშ, ილია ბრძანდებით, თუ მიმბაძველი?

ქაქუცა. მე ილია ვარ! მიმბაძველი კი თქვენა ბრძანდებით. თქვენ, ფოტოგრაფი არა ხართ, თქვენა ხართ... (უცნაური ზამბარაკის ლულიდან ცეცხლი გამოიბრა და საშინელი ტყვიის ზუზუნი და პახპახი არტყდა. ყველა ბერიკა მიწას გაერთხა ქაქუცას გარდა. იგი მცირე, მაგრამ მტკიცე ძეგლივით იდგა ისევ ისე, როგორც თავდაპირველად... უცხომ სასწრაფოდ დაავლო ხელი „ფოტო-ღრაფინსკის" ტყვიის მსროლელ დანადგარს და თვალს მიეფარა. ილიას სახე გაქრა სტენდიდან. ცარიელ ჩარჩოში ლუარსაბის სახის შემქმნელმა, ცუნცრუკა-ბერიკამ გამოყო თავი).

ცუნცრუკა. 1907 წლის ოცდაათ აგვისტოს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის ორის ნახევარზე, საგურამოს მახლობლად, ამ სოფლიდან ხუთიოდე ვერსის მანძილზე, ტყის პირიდან მოულოდნელად გამოცვენილ შეიარაღებულ მხეცებს შინ მიმავალი ილიას ეტლი გაუჩერებიათ. ილიასათვის სამჯერ დაუხლიათ იარაღი. ორი ტყვია მოხვედრია შუბლში, ერთი გულში. დაჭრილს ხმის ამოღებაც კი ვერ მოუსწრია, იქვე დაულევია სული.

ცოცხლად დარჩენილ ერთადერთ მოწმეს ამ მკვლელობისას, მეეტლეს, ჯერ განუცხადებია, რომ არ მახსოვს რა სახის ხალხი იყოო, მერე კი უთქვამს, შავგვრემნები იყვნენო. იმისავე სიტყვით, ოთხივეს „ტუჟურკები“ და შავი შარვლები სცმიათ...

ილია ჭავჭავაძის შუბლი „ბერდანის“ ტყვიით არის ჩანგრეული, ის შუბლი, რომლის ნაფიქრსაც არა ერთისა და ორი თაობისათვის ახალი ფიქრები აღუძვრია. „ბერდანის“ ტყვიით არის განგმირული ილია ჭავჭავაძის გულიც, რომლის ნაგრძნობსაც ქართველთა მრავალი თაობისათვის გული აუძგერებია და თვალთაგან ცრემლი უღვრეინებია. და ამის ჩამდენი საბედისწერო ტყვია ქართველის გამოსროლილია!

(ამთავრებს სიტყვას. „ბერი კაცი ვარ“ — ის სიმღერით გამოდის კისერზე შავჩარჩოჩამოცმული ცუნცრუკა. ბერიკები ფეხზე დგებიან. შავ ჩარჩოებს ურიგებს მათ ცუნცრუკა. ქაქუცას ძველ, უშველებელ ფარზე დაასვენებენ, მხარზე გაიდებენ, ისპაჰანობის გვირგვინებს თავებიდან მოიხდიან და სიმღერით, რომელიც მხცოვან ილიას ძალიან უყვარდა „ბერიკაცი ვარ“-ით დარბაზში ჩამოდიან. სიმღერითა და ნელის ნაბიჯით გადიან ბერიკები დარბაზიდან. გზად ისინი მაყურებლებს ართმევენ ისპაჰანობის მონაწილეს თეთრი მეყაოს გვირგვინებს და ახე ტოვებენ დარბაზს.)

المقدمة

მოქმედი პირები

ერეკლე, ჯარისკაცი.
ერეკლეს დედა.
ნინო.
ანიკო, ნინოს დედა.
ფიდო, ნინოს მამა.
ვაჟა ლეკიშვილი.
ბარბარე, ვაჟას დედა.
შაქრო, ვაჟას მამა.
თენგო გოდგელიშვილი.
თედო, თენგოს მამა.
ელისაბედი, თენგოს დედა.
თავმჯდომარე.
დორე ცურტაველი, სოფლის სიმღერის გუნდის ხელმძღვანელი.
ნიკალა, ხვთისო — მოხუცი მონადირეები, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერები.
ალექსა.
ვანო პანტიაშვილი, მონკავშირის მაღაზიის ნოქარი.
გიჰები, გოგიები, სოფლის ხალხი.
მილიციელი.

მოქმედება პირველი

სამშობლო, სამშობლო,
ჩემო ლამაზო.
ზურმუხტო, ზურმუხტო
ანუ ალმასო...

კახეთის ერთ-ერთი უმდიდრესი სოფლის კლუბის ფარდა ნელ-ნელა იხსნება. სცენაზე შავჩოხიანთა ანსამბლი დგას. პირველ მწკრივად ტანწერწეტა ქალიშვილები დგანან ხალხური საკრავებით, თეთრად მოქარგულები. გუნდის წინ სოლისტების წყვილი დგას, ქალიშვილი და ვაჟი, საუკეთესოთა შორის საუკეთესო.

ვიდრე შენ, შენ ზურგზე
დავდივარ... გთხოვ მწარე რამ
არ მასო, გთხოვ მწარე რამ არ მასო...

გუნდისაკენ მბარშექცევით მდგარი გუნდის ხელმძღვანელი, შუახნის დორე ცურტაველი თავმომწონედ, დამაჯერებლად დირიჟორობს. მას ცალი თვალი ლოჟაში გადამხარბეჭებულ თაქმჯდომარისაკენ უჭირავს.

მიუხედავად პეწიანი ტანსაცმლისა, მრავალ ოლიმპიადაში გამარჯვებული ანსამბლი საკმაოდ მოთენთილად გალობს. დაკვირვებული თვალი უმოქმედო შემსრულებლებსაც კი შენიშნავს. სიმღერის ბოლო ტაეპს ცეკვით აგვირგვინებს გუნდის წინ მდგარი წყვილი:

ამოდუღდი, მარგალიტო,
ნაგუბარში ჩადექ წყალო,
არც ისეთი ლამაზი ხარ,
როგორც ინაზები, ჭალო.

სოლისტი ქალ-ვაჟი ტაშის გრიალში უკრავს თავს მაყურებელს, უკან-უკან იხევს და თავის ადგილს მიაშურებს.

დორე თავს მდაბლად უკრავს მაყურებელს, თან თაიგულებს კრეფს, გულზე იხუტებს. მხარბეჭიანი, ვაჟკაცური გარეგნობის ვაჟა ლეკიშვილი გადასერავს სცენას, შეუფერხებლად მოუახლოვდება იგი გუნდის სოლისტს, თენგო ბოდბელიშვილს, ერთბაშად წამოიკიდებს და ორივე

ბეჭზე დასცემს. შემდეგ სოლისტ ქალიშვილთან, ნინოსთან მოვა ვაჟა და დაუკითხავად გაიყვანს სცენიდან. წამოხტება თენგო, ქალ-ვაჟისაკენ გაიწევს, გუნდის წევრები დააკავებენ, აირევა იქაურობა. ფარდა ეშვება.

თენგო. (იმუქრება). დამაცა, რა გიყო! დამაცა!

დორე. (ყველას). დალაგდით! დაწყნარდით! თენგო, დამშვიდდი, გენაცვა! ვაჟა, შემოგეცლე, რა მიყავი? დალაგდით! დაწყნარდით!

(აღელვებული თავმჯდომარე შემოდის).

თავმჯდომარე. (დორეს). ეს კაი დასკვნით-საჩვენებელი მომიწყეთ. გმადლობთ!

დორე. გაუთვალისწინებული რამ მოხდა, გაუგებრობაა... აღარ განმეორდება. ბოდიშს ვიხდი! ყველას სახელით ვიხდი!..

თავმჯდომარე. არა, ერთიც ვნახოთ და ზემოდან ვინმე დაგვსწრებოდა?..

(მაღლა შემართა ხელი).

დორე. მე თვითონაც არ ვიცი, რატომ? რისთვის?..

თავმჯდომარე. იცი, რა გითხრა, ვირისა და აქლემისა არ იყოს! დამაცათ! თეთრი ცხვარი რომ გასუქდა და.... დამაცათ!

დორე. ბოდიშს ვიხდი. ყველას სახელით ვიხდი!

თავმჯდომარე. არა, რომ ვინმე დაგვსწრებოდა ზევიდანა, მერე?! მერე?! ჰაი, იმ ვირისა არ იყოს, მარილის საპალნით რომ ჩაწვა წყალში... ეგრე, განა?! ასვი! ჩააცვი! დაახურე!.. არც შრომადღე! არც არაფერი!..

დორე. მსგავსი რამ აღარ განმეორდება, პატიოსან სიტყვას გაძლევთ... დღე და მოსწრება ამ საქმეს ვადგივარ... რადიო! ტელევიზია! გაზეთი! სოფლისა და ხალხის წინაშე ვალში არა ვართ!.. რესპუბლიკურზე გავიმარჯვეთ...

თავმჯდომარე. წინ საკავშიროებია, იცით ხომა?! მერე?.. გავსუქდით და სული დაგვავიწყდა, განა?! გასწი! საქმეს მიხედე!

დორე. რა ეცა, რა მოუვიდა?! ეგრე რამ გადარია რომ... (თავს იმართლებს. თავმჯდომარე გადის, დორეც მიჰყვება. ვაჟა და ნინო შემოდიან).

ვაჟა.

ეჭთხელც იქნება, მოვკვდები,
მივებარები მიწასა.
გულსა და გრიონბას შაურევ,
ცივის სამარის ქვიშასა...

ნინო. მოვკვდები! მოვკვდები! მოვკვდები! შენ კი არა და მე მოვკვდები. მე უნდა მოვკვდე! ჯობია! ვის შევხედო? როგორღა შევხედო? გუნდში როგორღა ჩავდგე?!

ვაჟა. რა ვქნა? მივქარე!.. ჩამქოლე! ლექსის თქმა მინდოდა, რომ ცეკვავდით... ვიღაცამ რაღაც წაიჩურჩულა, ბრაზი მომედო, მეც არ ვიცი, როგორ ამოვვარდი სცენაზე და...

ნინო. მოვკვდე ჯობია, რომ აღარ ვიყო! (პაუზა, მერე ერთბაშად). მაინც რა ქენი, რომ ამოტოპე და ერთი ამბავი დაატრიალე?!. ვინმე მართლა რამეს იფიქრებს ამის შემდეგ და მოვკვდე, ისა ჯობია! მოვკვდები! მოვკვდები!..

ვაჟა. ჩამესმა!.. მე არაფერი ვიცი! წამჩურჩულა თუ როგორღაც იყო, ჩამესმა, ჩამესმა და მორჩა!.. ერთი სილაქი ბევრი არაფერია ბოლოს და ბოლოს. მაპატიე!.. ოჰ, მე, მაშ სამართალია ქვეყანაზე?! მე სიმღერა არ უნდა შემეძლოს?! მე?!. რომ

მკვდარნი ნურვისა გგონივართ,
გრძნობამიხდილი ღეშია,
კიდევაც მიდუღს ვაჟასა
მთიური სისხლი ყელშია!..

მე სიმღერა უნდა მიჭირდეს?!

ნინო. მოვკვდე, მოვკვდე და აღარ ვიყო, მოვკვდე!..

ვაჟა. გაჩე რა? მაპატიე რა! მე ვარ და შენა! ჩემი ქვეყანა ეს არის და თუ არ გაჩერდები, ეგე, ამ ხეებს დავდღლეზ და დავუშენ და დავუშენ! ისე დავუშენ! ისე დავუშენ, რომა, ერთმანეთს ნახეთქვებ ხეებს სულ ცეცხლი მოედოს! არც სიმღერა მინდა, არც არაფერი! არც ქართული და არც რუსული! აი ეგრე! მეტი არაფერი და მაინც მაპატიე, თუ როგორც არი. მაპატიე, თორემ მოგეხვევი და გაგწურავ (მოეხვევა). ისე გაგწურავ რომ... ისე რომა! (ხელში აიყვანს ნინოს, ხის ტოტზე ჩამოსვამს. პაუზა). შენ ერთი ეს მითხარი, საბაბი ხო არსაიდან არაა, ჰა?

ნინო. ვაიმე, ღმერთო! არა! არა! არა! არა! არა! არა! (მაღალ ტოტზე ადის ნინო). ვაიმე, ღმერთო! მაინც რა ქენი, ჰა?!

ვაჟა. შემინდე! მაპატიე! მივქარე! აღარ ვიზამ! (ხეს მოეხვევა).

ნინო. არა! არა! არა! მოვკვდე! მოვკვდები! მოვკვდები!

ვაჟა. გადმოხტი გენაცვა! (ხელებს გაშლის ნინოს დასაჭერად).

ნინო. არა! არა! არა!

ვაჟა. კიდევაც მიდუღს ვაჟასა მთიური სისხლი ყელშია...
მეც უნდა მოვიდე გუნდში, რაც არის არის! დორეს უნდა ვთხოვო, მიმიღოს. შემიძლია თუ არა, მაინც უნდა მოვიდე გუნდში!..

ნინო. ჯერ პატიება სთხოვე და მერე... ღმერთო?!

ვაჟა. გადმოხტი! (ხელებს გაიშვერს დასაჭერად).

ნინო. არა! არა! არა!

ვაჟა. გადმოხტი, თორემ ამ ხეს ამოვაძრობ, შინ წავიღებ, ეზოში დავრგავ. მერე ჯაჭვს მოვიბავ ყელზე, ხეზე მივებმები და... (პაუზა). ჩამოხტი, ნინო...

რომ დავიხოცნეთ, იქაცა
კიდევ გიპოვნი მკვდრებშია...

იცოდე!

(მკლავებგაშლილი დგას ხის ქვეშ).

ნინო. (რბილად). არა!

ვაჟა. გადმოხტი, თორემ მეც მანდ ამოვალ და ვიქნები... ბუდეს დავწვნავ და ვიქნებით, ვიქნებით.

ნინო. ჩიტები საკენკს მოგვიტანენ, არა? (ოდნავი ირონიით).

ვაჟა. ჩიტები კი არა და ფასკუნჯები! არწივები ირმის ხორცს მოგვიზიდავენ.

სიჩუმე, პაუზა, ნინო ფიქრობს.

ვაჟა. თუ გახსოვს, პირველად როდის ვიყავით ამ ჭალაში?

ნინო. (მცირე პაუზის შემდეგ). მონღოლები რომ შემოგვესიენენ, აგერ იმ ფუღუროში აკი დამმალე

ვაჟა. გადმოხტი რა! მონღოლებიც ხომ ვიფრინე...

ნინო. უი, წყალი დაწყდა! ნახე, ნახე, როგორ იკლო ნაკადმა! წყდება! მალე სულაც დაიკურება! (გადმოხტება, ვაჟა დაიჭერს).

ვაჟა. ვიხელავებ! თევზს დავიჭერთ! ზოგი თქვენებს მივართვათ, ზოგი დორეს, ზოგიც თავმჯდომარეს შევუშიშხინოთ! ყველანი მოლბებიან. (ხელს გაუშვებს გოგოს, ხალათს გაიძრობს, ნინოს დააჭერინებს, ფეხთ იხდის, შარვალს იკაპიწებს). ისეთი კალმახები ამოვაწყო, რო!

ნინო. აგერ! აგერ! ზურგი უჩანს! ქვის ქვეშ შედის! ჩქარა!

ვაჟა. (თვალით მოზომავს ადგილს, ნინოს გაწვდილ ხელზე აკოცებს და თევზაობას იწყებს). ახლავე! ჩვენ მაგას გავთანგავთ! ისე ამოვუჩულო გასაძრომ-გამოსაძრომი, რომ გვეხვეწებოდეს, მარილწყალში გამიშვითო. ჰაიტ-ჰაი-ჰაიტ, არის! არა, ცოტა კიდევ, ჰაიტ, ბოლო ხელში მაქვს! ახლა, თავიც მოუძებნო... თანდათან თათებს ზევით-ზევით ვუნაცვლებ... ვიწროა, ქვათა შუა ხელის შეყოფა მიჭირს. ახლავე. არის, აჰა,

(ამ სიტყვებთან ერთად გათანგული კალმახი გაუწოდა ვაჟამ ნინოს).

ერთბაშად დადუმდა ვაჟა, ნინოს აარიდა მზერა, ნინომაც იქით გაიხედა, საითაც ვაჟა იხედებოდა; ორივემ დაინახა თენგო, რომელიც წყალ-წყალ მოტოპავდა. მანეულზე ასხმული ბლომად თევზი ეჭირა კბილით თენგოს, თან ხელაობდა დაკაპიწებული, გოგო-ბიჭის დანახვაზე თენგომ თევზაობა შეწყვიტა და ნახევრად მოხრილი გაშეშდა. ერთხანს იდგა ასე, ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო. ერთბაშად გასწორდა, აღმართა, ნინოსა და ვაჟასაკენ გამოეშურა ღიმილით. მოდიოდა, თან უხერხულობას ებრძოდა.

თენგო. ძმებო! დებო! ალალი იყოს!... ერთად მოვხარშოთ!... (ვაჟას).

დორესა ჰკითხე, ძმაო! ხალხს შეეკითხე! თუ მე... იოტის ოდენა ბრალი რამეში მედოს. დაიჭირეთ რამე?.. ერთად მოვხარშოთ! შე კაი კაცო, ძმები ვართ!... ერთი უპატრონო ბულდოზერი ჩამოვიყვანე და იმითი დავწყვიტე, მდინარე...

ვაჟა. მიკვარე და!.. (დ ა რ ც ხ ვ ე ნ ი ლ ი). მაინ რა იყო? ფუი! ეჰ, თავი მომეჭრა!

ვაჟა თავს დახრის, თენგო გადაახტება ზურგზე და თავდახრილი დგება. ახლა ვაჟა გადაახტება თენგოს, შეერიგების ნიშნად.

თენგო. მორჩა! მორჩა! სად შევექცეთ? ვაჟა, ნინო?!

ნინო. არ ვიცი, სულ ერთია... (გ უ ლ წ რ ფ ე ლ ა დ უ ხ ა რ ი ა ბ ი ჭ ე ბ ი ს შ ე რ ი გ ე ბ ა).

ვაჟა. ჰო, აქ იყოს, წყალიც არი, მწვანეც...

შორიდან ისმის გუნდის სიმღერა:

„არაგვო, უყარაულე ომში მიმავალ ვაჟკაცსა“.

სიმღერის ხმები თანდათან ახლოვდება.

ნინო. ვაიმე, მგონი მოდიან (ღ ე ლ ა ვ ს, ვ ა ჟ ა ს ა მ ო ე ფ ა რ ე ბ ა).

თენგო. მაინც უნდა დაგვეძახა... ამოდენა თევზს შეჭმა არ უნდა?!

ვაჟა. (ხ ე ლ ს ჩ ა ი ქ ნ ე ვ ს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ა დ). ქვის ქვეშ მაინც ვერ დავიმალებით, ხალხნი ვართ! რაც იყო-იყო, უნდა შევხვდეთ! (ხ ა ლ ა თ ს ჩ ა ი ც ვ ა მ ს).

დორე. (პ ი რ ვ ე ლ ი შ ე მ ო დ ი ს). თითო ყველას გვეპატიოს! გაუგებრობა იყო და... გვეპატიოს!... (ვ ა ჟ ა ს ა და თ ე ნ გ ო ს გ ა დ ა ხ ვ ე ვ ს ხ ე ლ ს) გული საგულეში ჩამიდგა, ბიჭებო, რაკი ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

ვაჟა. ქვაბსა და პურ-მარილზე გავვარდები, წუთში აქა ვარ. (წ ა ს ვ ლ ა ს დ ა ა პ ი რ ე ბ ს.)

დორე. (შ ე ა ჩ ე რ ე ბ ს). ყველაფერი თანა გვაქვს, თადარიგის ხალხნი ვართ. (ი ღ ი მ ე ბ ა). აბა, ბიჭებო! დაფაცურდით, ნუღარ აყოვნებთ! (შ ე მ დ ე გ ვ ა ჟ ა ს, ნ ი ნ ო ს ა და თ ე ნ გ ო ს მ ი მ ა რ თ ა ვ ს შ ი ნ ა უ რ უ ლ ა დ). გამწურა თავმჯდომარემ, გამწურა რო!.. ეგ არაფერი!.. „ვინა თქვა საქართველოზე, რა დიდი ლომი კვდებაო...“ (წ ა ი მ ღ ე რ ა დ ო რ ე მ.) მოიტათ ღვინო, ვიდრე თევზი იქნება, ყელი გავისველოთ, თითო გადავკრათ!

(მკლავი მკლავში გაუყარა დორემ ვაჟასა და თენგოს. ჭიქები მოართვეს, გადაჰკრეს. დორემ ვაჟას აკოცა, მერე ბიჭებმა გაბედეს კოცნა. ამასობაში, სიღრმეში ცეცხლი აგიზგიზდა, ცეკვა-სიმღერა გახურდა. ცეცხლის ალი პარპალებს დაბინდულ ჭალაში. შოთები, თევზი, ნათალი ჭიქები, სასმელით აპრიალებული ჩოხიანი ტლუ ბიჭები, ანსამბლის მოქარგული, აკეწკეწებული ქალიშვილები. სუფრას გამოეყოფიან ვაჟა, ნინო, დორე და თენგო).

ვაჟა. (გ ა უ ბ ე დ ა ვ ა დ). დორე მასწავლებელო, იქნებ ღმერთი გამიწყრეს და ვიეარგო, უნდა გამსინჯოთ.

დორე. გაგსინჯოვო! რაზე! გასასინჯი შენა არა გჭირს რა, ძმობილო, „ყმასა გუდანის ჯვრისასა“. (წ ა ი ღ ი ღ ი ნ ე ბ ს).

ვაჟა. არა, მართლა, გუნდში მინდა მოსვლა, უნდა გამსინჯოთ.

დორე. გუნდშიო? დორე თავს შემოგევლოთ. ოღონდაც კია და... მა რა მოხელეები ვართ, ადვილია ეგ ამბავი. (ს ი მ ღ ე რ ა ს წ ა მ ო ი წ ყ ე ბ ს). ამყე! ამყე! ადვილია-მეთქი!

ვაჟა. (ვ ე რ ბ ე დ ა ვ ს). შიგნიდან მემღერება და გარეთ კი ვერ ამომაქვს.

დორე. (გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს ს ი მ ღ ე რ ა ს). ამყე! ამყე!

ვაჟა. (ს ი ც ი ლ ი თ). თურმე... თურმე, მეც რომ პატარა ვიყავი, ჩვილი, თურმე, წყაროსთან მაყვალს წაეტოტა დედაჩემი, ჰოდა, ერთი წუთით მწვანეზე დამაგორა... სად იყო და სად არა, დათვი გამობაჯბაჯდა ბუჩქებიდან თურმე, და ზედ ყურზე კი დამადგა თათი. (ი ც ი ნ ი ს, თ ე ნ გ ო, დ ო რ ე დ ა ნ ი ნ ო ც ი ც ი ნ ი ა ნ).

დორე. (ს ი ც ი ლ ი თ). დათვიო, ჰა?! ჰა-ჰა-ჰა! ეგ რა თქვი, ჰა, ბიჭო? ჰა-ჰა-ჰა! ეგ არაფერი ნაკლი არ არის, ვაჟიკო, გენაცვა! მაგის გამო ჯერ ვაჟკაცი არავის დაუწუნია. შენ მაგას ნუ დარდობ! მოდი ხოლმე, იარე გუნდში, ერთიც ვნახოთ და თანდათანობით ჰა?! იარე, იარე!

თენგო. მოდით ერთი, ბიჭებო, დორე მასწ! ერთი სიტყვა რა! მოდით აი, ამ დაბინდულ ჭალას გაუმარჯოს! ამ მიწას, წყალსა, ჩვენ დანთებულ ცეცხლს გაუმარჯოს! ამ ენით უთქმელ სილამაზეს გაუმარჯოს! დანარჩენი თქვენ დაუმატეთ. (თ ე ნ გ ო მ ჰ ი ქ ა ა ს წ ი ა).

ვაჟა. (ლ ე ქ ს ა დ ი ლ ო ც ე ბ ა).

ადგილო, კურუმ-კურუმო,
ველიან-ჭალიანაო,
სამოთხესავით ლამაზო,
მიყვარხარ ძალიანაო.

დორე. (მ ხ ა რ ზ ე ე მ თ ხ ვ ე ვ ა ვ ა ჟ ა ს). გენაცვალე გამოთქმაში! (მ ე რ ე ნ ი ნ ო ს მ ო ხ ვ ე ვ ს ხ ე ლ ს). ნინო, ნინიკო, მოიხვიე რამე გენაცვა, არ გამიცივდე. (თ ა ვ ი ს შ ა რ ფ ს მ ო ა ხ ვ ე ვ ს უ ე ლ ზ ე). ზაფხულივით კი თბილა, მაგრამა, მაინც შემოდგომაა, ჭალა, მდინარის პირი. ნესტი იცის. მოდი და სულაც წავიდეთ... საკავშირო გვაქ წინა, ათასი საქმე. ხვალ თბილის ქალაქს ფხაჭა უნდა გავიღო; იქაც არ მეშვებიან, დორე და დორეო...

თენგო. დორე მასწ! მოიცათ, დორე მასწ! ეს ამოდონა თევზი! გემო მაინც გასინჯეთ... ვაჟა, ნინო. მოიცათ, თქვე კაი ხალხნო. (დ ო რ ე ს). დორე მასწ! ეგენი წავიდნენ, თუკი არ მოუშლიათ, თქვენ დარჩით, შევექცეთ...

დორე. შენ უხელმძღვანელე, თენგო!.. დიდხანს კი ნურც თქვენ გაჩერდებით, აბა, ჰე, აბა, ჰო! (ვ ა ჟ ა დ ა ნ ი ნ ო მ ი ჰ ყ ა ვ ს დ ო რ ე ს).

ვაჟა. (თ ე ნ გ ო ს). ჩვენი წილი თევზი ემანდ რო ფუღუროა, მანდ შეგვი-

ნახეთ, ამდენ ხალხს თუ კი რამე გადაგრჩათ. (დორესა და ნინოს მისდევს ვაჟა, თენგო ადგილზე რჩება).

თენგო. ცანგალა და გოგონა და, ცანგალა გოგონაა... (ცეკვა-სიმღერით, ტაშის დაკვრით შეუერთდება ლიკა).

საღამოვდება. მონკავშირის მაღაზიის წინ სამი მოხუცი მონადირე ზის: ნიკალა, ღვთისო და ალექსა. ნოქარი ვანო პანტიაშვილი დახლზეა გადმოყუდებული, ამთქნარებს. მოხუცების წინ ხელადა დგას, ჭიქები, პური, ყველი.

ვანო. (დამცინავად). აფსუს, ირანიდან გადმოხვეწილი, ტახებს გამოდევნებული ვეფხვი, ბებრებო!

დამცინავად იღიმება დახლიდარი, თან ზეაწეული ცერა თითით დარაბისაკენ უთითებს. დარაბაზე ირანიდან გადმოხვეწილი ნატურალური ზომის მკვდარი ვეფხვია დახატული. ვეფხვის გვერდით სამი ყმაწვილი ვაჟკაცი მონადირეა, თოფ-იარაღზე დაყუდებული).

ნიკალა. (ნოქარს). მაშინ, შენზე ჯეელები ვიყავით...

ხვთისო. (მოგონებით გაბრწყინებული). ჰაი, დედასა! ტყვიის თვალი ჩავუსვით, ი დავლატიანსა, იმასა!

ალექსა. მერე და მერე დაენანა კიდეცა, ხო იცი, ბიჭო, დედასა!..

ვანო. (ეშმაკურად). მაინც რა ქენით, თქვე კაი ხალხო?! ამ კეთილი „ვეფხისტყაოსნის“ სამშობლოში ერთადერთი, დედისერთა ვეფხვიც რომ სიცოცხლეს გამოასალმეთ! აბა, თქვენა ხართ, აი!..

ნიკალა. რას იზამ, შვილოსა, დრო იყო, ჯეელობა!..

ვანო. არა, ეგ მაინც არ უნდა გექნათ! ერთი ვეფხვი უნდა შეგენახათ, არ უნდა მოგეკლათ. ევლო და ელაწუნა!.. არა ხართ კაი ხალხი! მამულიშვილობის ანგარიშია, განა სხვა რამე?!

ნიკალა. პირს ხომ არ გაისველებ? (ჭიქა ღვინოს შესთავაზებს ნოქარს).

ვანო. თუ მინდა, აქ არა მაქვს. ეჰ, მორჩით, უნდა დავკეტო, მორჩით!

ვაჟა და ნინო გამოჩნდებიან

ვაჟა. (მელექსეობს).

სხივნი არ დაუგზავნია,
პირის საბანად წყალზედა.

გამარჯობათ, პაპებო, ვანო, შე ჩალიჩ-ვანო! უჩვენოდ ქეიფობთ, განა?!

მოხუცები ტკბილად მიესალმებიან ვაჟასა და ნინოს.

ვანო. ნინო, გამარჯობა, ვაჟია, გენაცვა! შემიკლეს ხელში! აქაო და ადამჟამს რაღაც ჩაუდენიათ. გავაღებ, სკამებს გამოგიტანთ, პატარა ხანს ვიჭუკჭუკოთ.

ვაჟა. შიგნიდან მემღერება და გარეთ კი ვერა და ვერ გამომაქ, პაპებო, თქვენ გათხლაშულ ვეფხეს გაუმარჯოს! (ჭიქა ასწია ვაჟამ).

ნიკალა. დაილოცე, ოქროს შვილო! ლერწამ-ქალი გიდღეგრძელოს, ღმერთმა!

ვაჟა. გმადლობთ! (ვანოს ეხუმრება) თვალებში მიყურე და ისე თქვი, რომელი ბოჭკისა არი?

ვანო. მომეცი, მე დავლევ, შენ თუ ჩემი არა გჯერა და, მოიტა! (ჭიქას ხელს წაატანს, ვაჟა არ დაანებებს, გადაჰკრავს).

ვაჟა. კარგია! მაგრამ, უკეთესი მეგულება, ზედაშეს მოვიტან, ფეხი არ მოიცვალოთ! (ნინოსთან ერთად გადის).

ნიკალა. (აღტაცებული). არ ვიცი, ჩაცმულობის ბრალი იყო, არ ვიცი, სხვისა, მაგრამა, ჩვენს ყმაწვილობაში ასეთი მზეთუნახავები არა და არა, არ დადიოდნენ, თვალით არავის გვინახავს!

ღვთისო. მაშინ, შვილოსა, ქვეყანა ჩვენი ქალის მტერი იყო და ხალხიც მალავდა ეშხსა და სილამაზესა, თორე...

ვანო. კარგით, გეყოფათ, ადექით, მე აქ ღვინის მარანი კი არა მაქვს, მონკავშირის მაღაზიაა. აქაოდა როდისღაც რაღაც დაგიჩხაკუნებიათ, მომეწყინება, ყოველ ღამე ლიტანიობა გამიმართოთ!

ალექსა. ვაჟამ აკი თქვა, მოვალო, ხო არ გავეპარებით?

ვანო. მოვა არა და ოხრახუში, სიყვარულის ალმურშია ჩამწვარ-ჩაფერფლილი (ჩამოჯდება). ქვეყანა ჩემიაო, მაგან უნდა დაიტრაბახოს!..

ნიკალა. (თავისას განაგრძობს). არა და არა, აქვე რომ ამკაფოთ, მაინც ვიტყვი, რომა ჩვენს ყმაწვილობაში ესეთი მზეთუნახავები ტყუილია, არ დადიოდნენ! არავის გვინახავს! გაუმარჯოთ! (ჭიქა გამოცალა).

ვანო. ჰა, ჰა, გაგიგებენ, ბებერო, გაგიგებენ!

ნიკალა. რასა, შვილოსა? აბა რას გამიგებენ?

ვანო. გაგიგებენ-მეთქი და აჰა!

ნიკალა. თორე, მეცა, პალატები არ ჩამომართვან! გამიგებენ და გამიგონ! მითქვამს და ვიტყვი! ეგ კი არა და მეტსაც ვიტყვი, ჰო, ვიტყვი!

ღვთისო. აბა, აბა, მეტ-მეტობა არ იყოს, ნიკალ!

ნიკალა. მითქვამს და ვიტყვი! ქვეყანა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავის დროზე კაცი კვდებოდეს, ამ ქვეყნიდან მიდიოდეს... იმისი ორი კაკალი თვალი კი ზეზე, მიწის ზემოთ უნდა რჩებოდეს, ამ სილამაზის საცქერლათა. არც ადგილს დაიჭერს, არც არა საჭმელ-სასმელს მოსთხოვს ვინმესა... თავისთვის დარჩება, დასტკბება, იქნება და იქნება, აი, აგრე! ეხლა კი წავიდეთ!

ალექსა. (ხუმრობით). არა, ერთიც ვნახოთ და გაგიგონ გულის ჩივილი, ნიკალ, ჰო და, წინასწარ მოგაკითხონ, თვალები მოგვეო. (იცინიან).

ნიკალა. კარგით, გვეყოფა, წავიდეთ!

ღვთისო. იქნება მოვიდეს, ცოტა შევიცადოთ.

ალექსა. ვარსკვლავს ეთამაშება, ჩვენთვისა სცხელა? არ მოვა. (წამოიწევს ასადგომად).

ვაჟა. (ლექსით).

თუ გინდავ, ეხლავ გავიყოთ,
როგორც ამხანაგთ, ორადა,
ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი,
გავინაწილოთ სწორადა.

ღვინო და სანოვაგე მოხუცების ფეხთით დააწყო, თვითონაც ჩამოჯდა. წამოშლილი მოხუცებიც დასხდნენ.

ალექსა. (თითქოს თავისთვის). მე კი მეგონა, არ მოხვიდოდი.

ვაჟა. აი რომ გეგონათ,
იმიტომაც მოვედი.
მოვედი და მოვედი,
მოვიტანე ზედაშე,
მოვიტანე ზედაშე.

ცოტა მენა, ცოტაც შენ...

ვანო. (ვაჟას). მე რაღას მერჩოდი, სხვა რომ არა, დაგეძინა, სიზმარს მაინცა ნახავდი. ეხლა, აი, ამ კლერტებს უნდა უყურო.

ნიკალა. მართალია, ჩვენ კლერტები ვართ, თქვენა, შვილებო, ჩვენი ოქროს მტევნები ხართ, აბა, თქვენ იცით, იდღეგრძელეთ! იხარეთ!

ვაჟა. თქვენ გათხლაშულ ვეფხვს გაუმარჯოს, პაპებო! ერთხელაც იქნება, მაგისი ცალი შემომეყრება და ხელდახელ დავაშოშმინებ!.. (ჩიქას ასწევს, გადაჰკრავს).

ერთბაშად შემოიჭრება ცხენთა ფლოქვთა თქარა-თქური და ერთიანად დაახშობს ყურთასმენას. ბუღში გაეხვევა იქაურობა.

ნიკალა. რა ამბავია? ოსმალო ხომ არ დაგვეცა? ფუჰ! (მტვრის გასაფანტავად მიმოაქნევს ხელს).

ვაჟა. დოღია, დიდი დოღი იწყება ხვალიდან, პაპებო, მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთი ჩამოდის, თუშ-ფშავ-ხევსურნიც ჩამოაგელვებენ. ყველა აქ იქნება!

ალექსა. ჰაი, დედასა! რა დრო დადგა!.. ერთი ღიჭინი და ხვეწნა ჰქონდა ერეკლესა, რო ხუთი-ათი კაცი ვისმე, საიდანმე მოეწოდებინა და ქვეყნის ხალხი იკრიბება ეხლა.

ვანო. ჰაი, და-და-და, რა დოღები გაიჭიმება, რა სანახაობა! რა ამბები! „ვეფხისტყაოსანს" წაიკითხავენ სახალხო-საჯაროთა, თურმე...

ღვთისო. თუ ეგრეა, ჩვენც დაგვიძახებენ, დავჭირდებით...

ვანო. მაგდენი აღარ ვიცი.. წავიდეთ, ხალხნო, დავიშალოთ! თავად, ისედაც... აქაო და ერთი ვეფხვი გაგიგორებიათ, თქვენი მუზეუმი ხო არა გგონიათ აქა?! (წამოდგება და მაღაზიას კეტავს). ერთი ქართული ვეფხვი არ უნდა გვყოლოდა? სუფთა თუ არა, გაქართველებული მაინცა. (შედის მაღაზიაში).

ნიკალა. თუკი ეგეთი სამამულო კითხვა იქნება „ვეფხისტყაოსნისა“, არა მგონია, რომ ჩვენც არ დაგვისწრონ.

შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა;
სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თვალისა...

ლვთისო. (გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს ტ ა ე პ ს).

ჯამი და ჭიქა ყველაი ფირუზისა და ლალისა,
არვისი ბრძანა მეფემან, არცა გაშვება მთვრალისა.

ალექსა.

ახლოს დამისვეს ადგილსა, მუნ სადა მეამებოდა.
პირისპირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა ჰკვდებოდა.

ნიკალა.

ვარდსა ჰკითხეს, ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანადი...

ვანო. (თ ო ფ ს დ ა ც ლ ი ს ზ ე დ ი ზ ე დ). წადით! დაიშალეთ!

ვაჟა. ეხლა მოგინდა რჯულძაღლო, მუცალი ეუბნებოდა... დაიცა. ტაეპი ჩაათავოს.

ვანო. ჩაითავოს რა, ის ხომ არა გგონია, წინა კვირასა აქვთ დაწყებული.

ნიკალა. ნახე, რა ამბავია, ბიჭო, თქარა-თქურია, ცხენებს ხომ არ გავეთელინებით! დაგვაცა, რემამ ჩაიაროს!...

ვანო. მე რომ ვიბადებოდი, არა, ეგენი მაშინ შუა კითხვაში იყვნენ... „ვეფხისტყაოსნისა“.. ჰოდა... ბოლო რა იქნება, კაცმა არ იცის... იმდენს იზამენ რო... მერე, გინდა დაამთავრონ და გინდა იერუსალიმი!... ხვალიდან განცხადებასა ვწერ, აგერა კლუბია და წადით იქა, ანდა სულაც იერუსალიმში!.. მერე რა?! წახვალ წამოხვალთ, რა?.. მე ვიკითხო, რომ ნახევარი ჰექტარი საკარმიდამო მოსავალი მოსაველელი მაქვს! არც მონკავშირი მინდა და არც არა!..

(მეორე თოფს დაცლის და მაღაზიას კეტავს).

თანდათან მისუსტდა ცხენთა თქარა-თქური და აჭარულ-გურულ-მეგრულ-იმერული და ოსური მხედრული, ჭყივილ-შეძახილები. მონკავშირთან კი ჩამოწვა სიჩუმე, მაგრამ ახლა რაღაც შორეული ჩოჩქოლი და ძახილი გაისმა. წასასვლელად აწლილი მოხუცი მონადირეები შედგნენ. ვაჟამ უურები ცქვიტა.

ვაჟა. (ღ ე ლ ა ვ ს, ვ ა ნ ო ს). ვიღაცა დარბის გამწარებული, ვერ კი ვიცანი!

ვანო. ყური გიბჟუის, ცხენების თქარა-თქურის მერე გეჩვენება.

ვაჟა. (ვ ა ნ ო ს). მოიცა! არ დაკეტო! გესმის, რაღაცა ამბავია! (გ ა ვ ა რ დ ე ბ ა).

ვანო. (მ ო ხ უ ც ე ბ ს). აი, ამ გასაღებს ხომ ხედავთ. (მ ო ი ქ ნ ე ვ ს და გ ა ი ს ვ რ ი ს). ვინც იპოვნის იმისი იყოს! (წ ა ს ვ ლ ა ს ა პ ი რ ე ბ ს, შ ე მ ო ვ ა რ დ ე ბ ა ფ ი დ ო მ ჭ ე დ ე ლ ი, ნ ი ნ ო ს მ ა მ ა).

ფიდო. (ფუთიან უროს ატრიალებს ჰაერში). ვაჟა! ბიჭო! არ გესმის, ბიჭო! სადა ხარ?

ვანო. ეს-ეს არის, გავიდა, მოვა, რა იყო?

ფიდო. მარტო იყო თუ?!

ნიკალა. რა იყო, ფიდო? რა მოხდა?

ფიდო. ნინო, შვილო! გამოდით, თქვე!..

ვაჟა. (შემოვარდება). რა ამბავია? ფიდო?! ჰა?!

ფიდო. ჩოჰრომსა, ჩემ უბედურ თავსა! ნინო, ნინო სად არი? (ფიდო უროს წაართმევს ვაჟას). არ გესმის, ბიჭო? მეგონა, შენთან იყო, შენ კი მარტო ხარ... ნინო! ნინიკო! ვაი, შვილო! (ფიდო უროს ტრიალით გავარდა სიბნელეში).

ვაჟა. ჰო, ჩემთან იყო. მომყავდა. ორი ნაბიჯიღა დამრჩა. აქეთ შემოვბრუნდი. ვაიმე, ნინიკო! ვაიმე! (დაიღრიალა და ჩაიკეცა გამწარებულმა).

ვანო. (აღელვებული). თითქო გული მიგებდაო, თითქო!.. წადით-მეთქი, ხომ გეუბნებოდით! (მოხუცებს შეუტევს).

ნიკალა. (ვაჟას ამშვიდებს). ადექი, ვაჟკაცი არა ხარ?! ადექი! გაიხედ-გამოიხედე, ვაჟია, ბიჭო!

ვაჟა. (ვანოს). გააღე დროზე მაღაზია! (მონკავშირის მაღაზიისაკენ დაიძრება).

ვანო. გასაღები გადავაგდე, აგე მოწმეები, არ დამღუპო! ვაჟია! (გასაღებს ეძებს).

ვაჟა გაჭანდება, მონკავშირის მაღაზიას დაეტაკება ბეჭით, შეანგრევს და შევა. თვალის დახამხამებაზე თოფ-იარაღში ჩამჯდარი გამოხტება გარეთ.

ვანო. (ვაჟას გადაეღობება). არ დამღუპო! ვაჟია! გაუფორმებელი იარაღია. შენ კენაცვა! სხვაფრივ დავტრიალდეთ! (ევედრება ვანო მეგობარს).

ვაჟა. (ფულს მიაყრის ვანოს). აჰა, ფული და გააფორმე! ნინო! ნინიკო!.. დამაცა, თენგო! დამაცა!.. (ვანოს). მათრახი გამოიტანე, დროზე! საანამ რემას არ ჩაუვლია!..

ვანო. ვაიმე! ვაჟა! გენაცვალე, ძმაო! ვაი! (შერბის, მათრახი გამოაქვს).

ნიკალა. ვაჟიკო! ჩვენ თავს გაფიცებ! ტყუილად ნუ გაისვრი, შვილო! ქვეყანა არეულია, იქნება თენგო არაფერ შუაშია, შვილო, სხვადასხვა კუთხე-კუნჭულის ხალხია ჩამოსული.

ღვთისო. ვაჟა, შვილო, ცუდ-უბრალოდ, ყმაწვილობით, ნურც თავს ავნებ და ნურც სხვასა!

ვაჟა. ვაი! რას ამბობ, ბერიკაცო! ვაი!

ალექსა. თავს შემოგევლეთ, ბიჭო, ვაჟიკო! ოღონდ კი მოგვიგონე, ოღონდ კი ცუდ-უბრალოდ არა დააშავო რა!

ვაჟა. ეჰ, თქვენცა, ერთი! (*მოხუცებს ჩამოიბერტყავს, გაქანდება. ცხენის ჭიხვინი და ფრუტუნი გვამცნობს, რომ ამხედრებული ვაჟა გაიჭრება ნინოს კვალის საპოვნელად*).

ვანო. (*მოხუცებს შეუტევს*). სულ თქვენი ბრალია, ბებრებო! დამსხდარხართ აქა და ფეხს აღარ იცვლით! წაიღეთ, მომაშორეთ ეს ოხერი თქვენი ვეფხვის დარაბა და დავიდარაბა... თავი დამანებეთ! არც ავი მინდა თქვენი და არც კარგი! არც ტყავი მინდა და არც ხორცი! არც პაპა მინდა და არც მამა! (*დარაბას მივარდება ჩამოსახსნელად. მერე გადაიფიქრებს*). აქ შეიძლება დიდი ამბები დატრიალდეს! (*თავისთვის*). ეს მაღაზიაც შელეწილია, ამოდონა თოფ-იარაღი გაღნიოშებულია. (*მოხუცებს*). პაპებო! მოდით, აი, აქა, კარებში ჩასხედით და თვალი გეჭიროთ, არავინ შეიარაღდეს! თქვენ გაგიგონებენ. მე... მე წავალ. ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი... წავალ, თქვენ იცით.

შემოვარდება შაქრო, ვაჟას მამა. ორი ბიჭი ახლავს თან.

შაქრო. (*ვანოს მოეხვევა*). ვანო! შვილო! გენაცვა! უნდა გვიშველო. შენ ყველაფერი იცი! შეგიძლია, გენაცვა! ვაჟამ თავს არაფერი მოუწიოს და! ცხენებზე, ბიჭებო, დედისერთაზე ნუ გვატირებთ, დედმამიშვილებო! (*ლამის ატირდეს კაცი*).

ვანო. (*ხელს ჩაიქნევს*). ეგრეც ვიცოდი, გეგონება შვიდი ჰყავდეს მამაჩემსა. დედისერთაა საქართველოცა და მაშ აღარ დავაყენოთ!.. დაგვარიგეთ მაინცა, რომ ახალი თავშისაცემი არა გამოგვიტყვრეს რა, როგორ მოვიქცეთ?..

შაქრო. უნდა დაედევნოთ, ვითომ შველა გინდათ... უნდა უხელთოთ, შეკრათ, დააბათ!

ვანო. რა შეკრავს? ვინ შეკრავს? სამი კი არა და ათი კაციც ვერას გახდება, ემაგ გიჟ-გადარეულთანა, ვაი! (*თავში იცემს*).

ვანო მაღაზიაში შერბის, სამი ხვეული თოკი გამოაქვს. თითოს ბიჭებს მიუყრის, ერთსაც თვითონაც დაიჭერს. წინ გაიწევენ ბიჭები, ქამანდებს ისვრიან, გარბიან, შაქროც მათ გაჰყვება. მოთოკილი ცხენების ფრუტუნი და ჭიხვინი გაისმის, ცოტაც და ბიჭები გაქრნენ.

ბარბარე. (*ვაჟას დედა ქმარს გაჰყვა ვიშ-ვიშით, მერე უკან შემოვარდა*). აი, მეხი რომ დაგვეცეს და აღარ ვიყოთ ჩვენცა და ბოდბელიანთ თენგოცა! ძმაკაცობა-მეგობრობის ვერცხლს აჰმევდნენ ერთმანეთსა და ერთბაშად რა დაეცა, რომა ეს უბედურება დაგვმართა? ლამის ყელები გამოვიჭრათ, ლამისა! (*მოხუცებს მიუბრუნდება*). მაშ თქვენა ნახეთ, პაპებო, ჩვენი გიჟი შვილი? რაო, რა გითხრათ? იმ დამწვარმა დედ-მამიშვილმა, რაო?

ღვთისო. თაფლი და შაქარი, მეტი არაფერი. (ჩამოსხდებიან).

შაქრო შემობრუნდება.

ბარბარე. (შაქროს). რა ქენით შენა და ფიდომ, რა მოიმოქმედეთ? ვაიმე, ვაჟია, ვაიმე, შვილო!

შაქრო. (პასუხად). შავი ქვა და ბნელი ნაცარი! ფიდო გადარეულივით არი, ის უბედური, სამჭედლო ერთიანად დასცხო და დაშალა. ბოდბელიანთ დაესხა. არავინ დახვდა თორე, ვინ იცის!..

ბარბარე. თუ დაღუპვაა, ჩვენ ერთიორად დავნელდით: ცალკე ვაჟი დავკარგეთ, ცალკე ქალი, ცალკე ეს ამოდონა სამზადისი!..

შემოდის თავმჯდომარე, ერეკლე ყოჩიაშვილი, მას მოჰყვება მილიციის რწმუნებული — დათო ჭარბიაშვილი.

თავმჯდომარე. (ხმამაღლა, გაცხარებული). ეს მეცხვარის დღეო და!.. ეს ცხვრის გადარეკვაო და!.. მერე ეს დოღები და... ეს „ვეფხისტყაოსნის“ სახალხო კითხვაო და... ეს ყველაფერი როგორ ერთმანეთს დაემთხვა, დაეხვა, რომა!..

მილიციელი. სანქცია თუ არ მექნა პროკურორისაგანა, მე ისე ვერავის დავაპატიმრებ! თავად, ისედაც, მომჩივან-ბრალდებულიანად ჩემი ნათესავები არიან. ზოგი სისხლით ნათესავია, ზოგიც ცოლის მხრიდანა, ჰოდა... სისხლის სამართალი დაამყარე, თუ ბიჭი ხარ!

თავმჯდომარე. გააჩერეთ ეს ცხენების თქარა-თქური, თქვენი!..

მილიციელი. დოღია, ერეკლე ბატონო, ქვეყნის მხედრები არიან ჩამოსული. რაღა დროს გაჩერებაა?! კარუსელი ხო არ არის, რო გამოვთიშო და ჩავაქვავო! ცხენებია და რა ცხენებია, მერე... (აზარტით). ვარსკვლავებსა სძოვენ ცაზედა... ხევსურთა რემაში შვიდი ისეთი ულაყი დანავარდობს რომა... ნუღარ იკითხავთ!..

თავმჯდომარე. (მაღაზიას შეხედავს). ეს მაღაზიაც ასე გაღნიოშებულია, სადა გდია პანტიაშვილი, ჰა?!

შაქრო. ვაჟიას დავადევნეთ. ორიც სხვა ახლავს ტოლი-ბიჭი...

ნიკალა. (წამოდგება). აქ ჩვენა ვართ, ჩვენ გვაბარია, დარდი ნურაფრისა გექნებათ.

დორე. (შემოდის, თავისას მოთქვამს). რესპუბლიკურზე გამარჯვებულები ვართ, საკავშიროზე უნდა წავსულიყავით დღე-დღეზე და ორი წამყვანი სოლისტის დამკარგავმა რა თავში ქვა უნდა ვიცე... სულაც დავშლი გუნდსა და ეგ იქნება! (თან თითქოს დირიჟორობსო, ხელებს იქნევს ნათქვამის გასამძაფრებლად).

თავმჯდომარე. (შეუტევს). დააყენე ხელები, ნუ აქნევ! „დავშლი“!.. დაშლა არ გამაგონო თორე, ისე დაგშლი მე შენა, რო... როგორც შეგპირდი! გასუქდით განა? აათამთამეთ განა? ნახევარ-ნახევარი ჰექტარი საკარმიდამო მამუ-

ლი დაგიტოვეთ თითოსა, შრომადღე იყო და თქვენთვის არავის მოუთხოვია. როგორ თუ ბოლოს და ბოლოს!.. გააჩერეთ ეს თქრიალი და ჭიხვინი!

მილიციელი. სანამ არ დამთავრდება, მე არაფერი შემიძლია, გაჭენებულს ხო არ გადავეღობები?

თავმჯდომარე. საპყარსა და დავრდომილს რა შენი გაჩერება უნდა? გაჭენებული უნდა მოთოკო, მაგის ვალდებული ხარ!

მილიციელი. ერთი და ორი რომ იყოს, კიდევ ჰო, ათასებს მე როგორ გავწვდე... სანამ არ ჩათავდება...

თავმჯდომარე. ი მჭედელი ფიდო მაინც შაკარი, რო დადის და გააქნევს უროსა, გესმის? გასწი!

მილიციელი. (ფ ი ქ რ ო ბ ს). მჭედელი ერთი გვყავს სოფელშია და, თანაც კეთილი კაცია, ბოროტს არაფერს იზამს...

თავმჯდომარე. ერთი ამას დამიხედეთ, სამგლე გოჭივით რომ მეანგლება! შენ რა, ბიჭო, ერთ ვარსკვლავს შესცქერი და მაგეებს მიბედავ, მერე რაღას იზამ?

დორე. არც იმ თაელაფდასხმულ თენგო ბოდბელიშვილსა ჰქონდა გადასაგდები ხმა და რისგან რას უნდა გავხდე... სულაც დავშლი და... (ც ვ ლ ა ვ ა ქ ნ ე ვ ს ხ ე ლ ს).

თავმჯდომარე. დააყენე და ნუ აქნევ მაგ ხელ-ფეხსა, თორე, აკი გითხარი...

დორე. ხომ იცით, რომ ჩვეულება მაქვს ეგეთი და მოვიჭრა თუ? უწინ თავის დღეში შენიშვნა არ გითქვამთ: (ჯ ი ბ ე შ ი ჩ ა ი ყ ო ფ ს ხ ე ლ ე ბ ს)

მწყემსური მოძახილები მოიცავს იქაურობას. შემორბის მწყემსი.

მწყემსი. (თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს). ცხვრის გადარეკვა დავიწყეთ და რა ვქნათ?

თავმჯდომარე. დაგიწყვიათ და რაღა გინდათ მეტი? უნდა მიჰყვეთ, როგორც უწინა.

მწყემსი. რავი, მეცხვარის დღე იქნებაო, ცეკვა-სიმღერაო...

თავმჯდომარე. (დ ო რ ე ს, ბ რ ა ზ ი თ). აგერა, ხედავ რა ამბავია? მაგნიტოფონი მაინც ჩართეთ, თქვე ოჯახქორებო? (მ წ ყ ე მ ს ს). ან შენა, რო დაშიკრიკობ, წინ და უკანა, ე ფანდურ-სპიდოლა ზედა გკიდია და ჩამოჰკა, დაამღერე! მა როგორა რა, ხმა აღარ ამოვიღოთ?! დამაცა თენგიზა, დამაცა, თუ ცხრაპირი ტყავი არ გადაგაძრო, მაშ მე... დამაცა, დორე!

ამ დროს, თითქოს განგებ შეურჩევია მწყემსს, ისეთი უცხო და გაურკვეველი მუსიკა მიმოაფრქვია სპიდოლამ, რომ სულ არიე-დარია აზრი და ფიქრი.

თავმჯდომარე. ჩააქრეთ, გამოთიშეთ! ჰაიტ, თქვე!.. მასხარადაც მიგდებთ, განა? (დ ო რ ე ს). გასწი ჩქარა და ნინოს ჩანაწერები გადმოეცი დროზე! სადა გაქვს?

დორე. (უბეში აფათურებს ხელებს). ახლავე, ახლავე, მივდივარ! (გადის).

მალე ნინოს სიმღერის ხმები მოეფინება იქაურობას. მილიციელ დათოს ხელშეკრული მჭედელი ფიდო შემოჰყავს, მას მეუღლე, ანიკოც შემოჰყვება.

მილიციელი. აკი ვამბობდი, უბოროტოა-მეთქი. თავის ნებით შემაბორკინა თავი.

თავმჯდომარე. გაუხსენ, ბიჭო, ხელები, აუშვი... რო დაგიბამს რა! აუშვი-მეთქი!

ფიდო. შემკარით განა?! ორი ფანჯარა გავტეხე და ერთიც კრამიტი!! ვინც თავი გაგვიპო და ლაფი ჩაგვასხა, იმაზე რა ღონე იხმარეთ, ჰა?! მე შემკარით განა?!

მილიციელი. ყველას თავისას მივუზღვავთ, ხალხი გაგზავნილი გვყავს. წეროს რომ აეკრა ცაშია, იქაც ვერ დაგვემალები, თენგო ბოდბელიშვილო!.. სულ კისრის ტეხვით ჩამოვათრევეთ და კარგა მაგრათაც დავსჯით...

თავმჯდომარე. (მილიციელს). საქმეს შეუდექ! ფიდო კი არა და იმ თენგოს მამა, თედო უნდა შეგეკრა. საქმეს შეუდექ! მე ცოტა ხნით გავალ, ზემოდან არიან ჩამოსულები, მივხედავ. (მიდის, მერე მობრუნდება). ისე ჩამთვალეთ, რომ მეც აქა ვარ, თქვენთანა (გადის).

ანიკო. ვაიმე, შვილო, და რა შვილო?

მილიციელი. (დედებს). ბარემ ყველაფერი ვიცი, დედებო, მაგრამ თქვენც უნდა დამეხმაროთ, რომა მეტი ნათელი მოეფინოს საქმესა.

ანიკო. (მილიციელს). რა დროს ეს არის, ადამიანო, იცი რა მოხდა? გაიგე?! წადი, მიხედე საქმესა, თორემ!..

მილიციელი. (ანიკოს). ხომ ნამდვილად უყვარდა ნინოს ვაჟია ლეკი-შვილი?..

ანიკო. მთელმა სოფელმა იცის და ჩემი დასტური რაღა საჭიროა, უყვარდათ, მაშა, ვაიმე! არ იქნა და არ დაიდუღა, არ დაღვინდა წლის მოსავალი, თორემა, ქორწილიც ჩათავებული გვექნებოდა, ვაიმე, შვილებო? მზეო და მზეთუნახავო!... ადე, საქმეს მიხედე, თორემა!..

მილიციელი. თქვენ ერთი ესა ბრძანეთ, დედი, ვაჟასაცა ხომ უყვარდა ნინო, ან იქნებ ბოლო ხანებში, როგორღაც გაუგრილდა, დაუცხრა ყმაწვილკაცური გატაცება!

ბარბარე. ვაიმე, შვილო, სოფლის თვალო შვილო! დაუცხრა კი არა და მეტისმეტად გაუცხოველდა, რამდენჯერაც ნინოს სახელი უბოდებია ძილში, იმდენი ღმერთმა თქვენც გიშველოთ და ჩვენცა, რას ამბობს, შვილო?! ვაიმე!..

მილიციელი. ან იქნება თქვენ ეწინააღმდეგებოდით. იქნებ მამები დადგნენ უარზე... იქნება...

ბარბარე. არა, გენაცვალე, არა! თავს შემოგევლე! ყველაფერი საერთო ნება-სურვილითა ხდებოდა. მაშ ოთხი უშობელი ტყუილად ბღავის ჩვენს ეზოში?

დღე-დღეზე ქორწილს ვეპირებოდით. არ იქნა და არ დაღვინდა ჩვენის ცოდვითა!

შემოდის თენგოს დედა, ელისაბედი.

ელისაბედი. ვაი, რომ დავმიწდე და აღარ ვიყო ამ ქვეყანაზე! ვაი, რა ტკბილი მეზობლობა გვქონდა, მე უბედურსა! რა პირით შემოგბედოთ?! რა თვალით შემოგხედოთ?! დედებო! განუყრელებო! ეს რა დაგვეცა?! რა მოგვივიდა?!

მილიციელი. დეიდა ელისაბედ, ერთი მიბრძანეთ, განა ისე როგორ მოხდა, რომ თენგოს გულისნადებისა დღევანდლამდე თქვენ არა იცოდით რა?

ელისაბედი. აბა, რა უნდა მცოდნიყო, თავს შემოგევლე, რომა, ჩვენი აზრი და გუმანი სულ სხვაზე გვქონდა გადაგებული, ქვეყანამ იცის, რომ სულ სხვა გვყავდა შეგულებული, მშობლებთანაც პირი გვქონდა შეკრული, ამ ზაფხულს აკი გვესტუმრნენ, ქვეყანამ იცის, სულ სხვა გვყავდა დაბეებული, ნიშანიც მივეცით.

მილიციელი. ბოდიში კია, დეიდა ელისაბედ, მაგრამ მარტო ძუძუს პირში ჩადება არ უნდა იყოს დედა-შვილობა! შვილმა დედისა უნდა იცოდეს, და დედამ შვილისა!

ელისაბედი. დედისერთა გვყავს, დედა შემოევლოს და!..

მილიციელი. მით უმეტეს, რომ დედისერთაა, აბა რა ვქნა, ჩავწერო, დედისერთა ბიჭია, მეთქი?!

ელისაბედი. მანდა, შვილო, ჯერ ნურაფერს ჩაწერ, ერთი სოფლისანი ვართ, ერთი ოჯახისანები, ლამისა, თითო შვილს შევცქერივართ... და ჯერ ეს ამბავი საავკარგოდ დაცხრეს. ეგებ ჩვენმა დედურმა გულებმა ერთმანეთს მიაგნონ. ჯერ დაგვაცა, დათიკო. იქნებ ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდეს და წინდაწინ რაზე ვიდაოთ? ზედმეტად რად დაიჩაგროს ისედაც დამწვარი ჩვენი გულები?!

მილიციელი. თქვენ იცით, მე აქ შორიახლოს ვიტრიალებ, სხვა საქმეებიცა ქვეყნისა მაქვს, დოღებია, მიმსვლელ-მომსვლელი, ათასი ირევა, ქვეყნის საქმე მოზღვავდა ერთბაშად. ერთი სიტყვით, შემატყობინეთ... კი არა და, მოვალ! მოვალ! როდის ჩათავდება ეს დოღები და ცხენის ჭიხვინი, პირდაპირ გასაქანი აღარ არი!..

ნიკალა. ჩვენი ამბავი გადაიდო, მაშა...

ღვთისო. სიყვარული თავისას იზამს, სადღაც ამოხეთქავს...

ნიკალა. ამაზე მეტი რაღა უნდა ამოხეთქოს.

ალექსა. ეს ეგება ის არ არის.

ელისაბედი. რა ვქნათ, დებო, დედებო?

ანიკო. ახლა რაღა უნდა ვქნა, საითაც გაიწიოს, იქით წავიდეს. მაინც რა ელდა გვეცა. ეს რა მიქენი, ელისაბედ?!

ბარბარე. ეს რა გვიქენი, დაო ელისაბედ?

ელისაბედი. მოდით, ბარელამ მიწა დაგვაყარეთ, მეცა და ჩემ უბედურ თედოსაცა, სხვა რა ვთქვათ?!

ანიკო. განა საქმესა გთხოვთ, საქციელი გვინდა. ადამიანური საქციელი!..

ელისაბედი. ახლა რაღა ვქნა? რა ვისაქციელო?

ბარბარე. (ღ მ ე რ თ ს ე ხ ვ ე წ ე ბ ა). თოფი არ გავარდეს და სხვას არა ვჩივი, ღმერთო!..

ანიკო. შენცა, ბარბარე?! მეტს არა სჩივი, განა?!

ბარბარე. მეტი რომ არავინა მყავს, რაღა ვქნა? თოფი რომ გავარდეს, მერე ხომ მთლად მიწას უნდა ამოვეფაროთ მეცა და ჩემი უბედური შაქრიაცა!..

ანიკო. და რომ არ გავარდეს? ჩვენთვის მაინც გავარდნილია, აგრეა, ხომ დებო?!

ელისაბედი. აგრე კია, დაო ანიკო, მაგრამ ერთს რომ ზედ მეორეც მოჰყვეს, მაშინ უკეთესი იქნება თუ უარესი?

ანიკო. ჩემთვის ასი ერთად გავარდა! უკვე მიწიდან გელაპარაკებით. ჩემი ნინოს სულიდან გელაპარაკებით... რომა, ჩვენი ყველა ტოტი გახმა, ყველა, და ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით!..

ელისაბედი. წლების განმავლობაში ერთ გუნდში მღერიან ჩვენი შვილები, ჩემო ანიკო, და ნურც აგრე გაიპარტახებ თავსა! განა ბევრია ალაზანგამოღმა თენგოსთანა ბიჭი? იქნებ იწვოდა ის ჩემი ცოდვით საცეე! ეს კი აღარასა ნიშნავს?!

ანიკო. ჩემთვის აღარც არაფერს. იქნებ იწვოდაო! ჰეჰ, მე კი დამწვა და დამანელა!

ბარბარე. რატომ მე აღარაფერსა მკითხავ, დაო? იქნება იწვოდაო, რომ ამბობ, ჩემს გულში აღარ ჩაიხედავ, რა ცეცხლიცა ტრიალებს?! იქნება იწვოდაო... ჰეჰ! მგლობაა და მეტი არც არაფერი!

ანიკო. ახლა გინდა იწვოდა იყოს, გინდა მგლობა დაარქვით, ჩვენთვის ყველაფერი მორჩა! ჩემი ნინო მოკალით! სოფელს თვალი გამოსთხარეთ! ჩვენ აქ აღარ გვედგომება! ეს კი ვიცი! მიწა-მიწა უნდა გავძვრეთ სხვაგან, სხვა ქვეყანაში! ეგ არი და ეგა!..

ბარბარე. ასე ყველაფერი როგორ გაგვიჭრა ხელთაშუა, დაო?!

ელისაბედი. მე მაინც მგონია, რომ სიყვარულის ჩვენკენ მობრუნება შეიძლება და ეგ იქნება კარგი! რაო, დაო ანიკო, რას გვიწუნებ, ასეც რომ მოხდეს?!

ანიკო. მოსახდენი მოხდა და მიწაში მაინც დაგვაყენეთ, თუ მეზობლობის ღირსნი არ ვიყავით, მიწაში მაინც დაგვეხსენით, დაგვეხსენით!.. მაინც რა გინდა, დაო ელისაბედ, ჩემი უბედურების მაჭანკალი გავხდე შენს ბედნიერ ოჯახში? ჯერ არც კი ვიცი, იქნებ დააცხრა მგელი შენი ოჯახისა?! იქნებ, სახვეწარიც გაგვიხადოს შენმა მხარ-მკლავიანმა ვაჟკაცმა შვილმა?! შენც გეკადრება ერთი სიტყვა, დაო ბარბარე! სამ-სამი მდევარი რომ დაადევნეთ ვაჟიას, განა მაღალი სიმართლე არ მოითხოვდა, რომ ვაჟა საქმეს დასწეოდა და იქ ეთქვა თავისი ვაჟკაცური სიტყვა, თუნდაც რომ იარაღში მჯდომსა! თქვენა, ჩემო დაო,

თუ საქმის მოთოკვა და დაბმა გენებათ, ადრე უნდა გაფაციცებულიყავით... ჩემ დედობას არ გიქებ, ნუ შეშფოთდებით. ბუნებამ ერთი დაბადა ჩვენს სოფელში ნინოსთანა ქალი და, სოფლის ხელყოფას რომ უდრიდა ნინოს გაწბილება, ეს იმთავითვე უნდა გცოდნოდათ და თოკი ადრე უნდა გეხმარათ. გასაგებია, დებო, მიწიდან ნათქვამი ჩვენი მართალი?! ახლა, ყველაფერი ისე მოხდება, როგორც მოხდება. ჩემი ნინოს სული ჩემზედაც მაღლა დგას და სხვებზედაცა. ხორცისა თუ რამე მოგინდეთ, მიწაში ჩამოგვძახეთ!..

ბარბარე. მოიცა დაო, ისე მაინც დაჰყავი ჩვენთან, დათიკომაც აკი დაიბარა, ნურსად წახვალთო.

ანიკო. (ფიქრში). დათიკო?

ელისაბედი. ჩვენი დათიკო, ჩვენი მილიციელი.

ანიკო. ჰო, აბა, თავსატეხი ხომ უნდა ამოხსნას, რომ შემდეგში აღარ გაიმეორონ! ეჰ! (ხელს ჩაიქნევს).

ბარბარე. მაინც ვერ გახვალ, ამოდენა ჰიხვინი და თქარა-თქურია, რემა რემაზე დის.

ანიკო. რით ვეღარ გათავდა ეს დოღი და დარდუბალა, რომ ვეღარ გაგვივლია ხალხსა, ლამის წაგვლეკოს, მოდის და მოდის! მოდის და მოდის! ყურთასმენა აღარ არის. (ჩამოჯდება თავის ადგილზე.)

სინათლე კლებულობს. ისმის მხოლოდ ცხენთა ფლოქვთა თქარა-თქური. ეს მდევარია, ვანო პანტიაშვილი და ბიჭები.

ვანო. უცხო მხედარი ხომ არ გინახავს, ძმობილო?

მოპასუხე. როგორი შესახედი იყო?

ვანო. შავგვრემანი ვაჟკაცია, მაღალი, მხარბეჭიანი!...

მოპასუხე. ალაზნი პირზე ვნახე... რავი, თუ ის არი... ჭანდრის ჭალაში კვნესოდა, თავპირს იხოკავდა. იქვე, შორიახლო, უბელო, შავი ულაყი ძოვდა ბალახსა... აქა მე შეშას ვამზადებ და ერთი კი შევშინდი, მეტყევე მეგონა, უბილეთოდ ვამზადებ... მაგრამ, მერე.

ვანო. (შეაწყვეტინებს). სად არი? ისევ იქ არი? წამო ერთი, გვაჩვენე, თუ ძმა ხარ!

მოპასუხე. იქ რაღა უნდა, წავიდა, გოგო-ბიჭი ხომ არ გინახავსო, დამკითხა. მინახავს და მეტიც არი-მეთქი, ერთბაშად ცხენს მოახტა და გაღმა გაიჭრა. ეს ამოდენა ალაზანი ისე გააპო, გეგონება, ივრის ნაწრეტიაო, ფონი არც უკითხავს, ისე გაიჭრა.

ვანო. როდის იყო? დავეწევით, ჰა?

მოპასუხე. თუკი იმარჯვებთ, ეგება კიდეც წამოეწიოთ... თქვენც ისე ნუკი გადაირევით, აგერა ფონი! (მიუთითა).

ვანო. (გასძახებს). ვაჟა, ჰაი! ვაჟიაა! (ბიჭებს). გამოსწით, ვიჩქაროთ! (მდევარი კვლავ გაიჭრა).

თარზე უკრავს ვიღაცა, წელავს ხმას.

ვანოს ხმა. ას-ასალამ ალაიქუმ, ყარდაშ! უცხო მხედარი ხომ არ გინახავთ, უბელო, შავ, გაუხედნავ ულაყზე ამხედრებული?! მხარბეჭიანი, ხუჭუჭთმიანი?!

მოპასუხე. ალაიქუმ, ას-სალამ, გურჯებო! ეი ბოგუ; ორ ზაათით დაგვიან-და, სივგომბორიზ პერევალში ნახეთ. აბრეკ ხომ არ იყო, თოფი ქონდა, იარაღი!..

ვანო. არა, სატრფო მოსტაცეს... ვერ დავეწევით?

მოპასუხე. სატირიფო ზალიან ბევრია, ვაჟკაც ერთია! ბუხარა ემირას სამას სატირიფო ყავდა. სიბილი არ ვარგა ზმოო. მოდი, ქაბაბი, ფითი ჭამო, ძმაო, მერე ზავიდეს!..

მდევარი. ეგენი მერე, ჯერ არა გვცალია! (ცხენებიმიჭრიან, თარიკვლავაღერდა, ბაიათიგაიჭიმა).

ცხენების თქარა-თქური თანდათან ნარნარი ოსური მელოდიით იფარება.

მდევარი. სალამ, ირადთა! მხედარი ხომ არ გინახავთ, უბელო, შავ ულაყზე ამხედრებული?

მოპასუხე. სალამ გურძიაგთა! ერთი დროს ჩვენც მხედრები ვიყავით!.. ახლომახლო აულებში დააგელვებდა, კაცმა ვერ გაიგო რას ეძებდა. არს-თო! ტიმ და იმტამ-ტამ და რამ ტამ ტაამ-ტამ არშთო! ტიმ-ტამ-ტიირაამტა-ტამ-ტამ-რაა, რა! (საცეკვაოს მღერის სიტყვასა და სიტყვას შუა ოსი).

მდევარი. მიჯნური მოსტაცეს და იმას დაეძებს, საით იქნება?

მოპასუხე. არიან კიდევ ეგეთი მიჯნურები? ტაამტა-რიამ-ტა, ტიარა რამტა რაა, რა, არშ-თო?!

მდევარი. არიან! იქნება გზა გვასწავლო, დავიხოცეთ უგონო რბოლითა!

მოპასუხე. სდეს უ ნას ზანიატიე ანსამბლი პეშნი ი პლიაშკი, სეევერ ოსეტინსოი ავტონომნოიჰ რესპუბლიკი... ვსეეტაკი, თითო არაყ გადაჰკარით, ვასტირჯი ადღეგრძელეთ, გზებს ისა მფარველობს, არშ-თო!

მდევარი. ვასტირჯის გაუმარჯოს!

მოპასუხე. არშთ-თო! სტავროპოლსკი კრაიში წადით, მერე თქვენ იცით, იქით ჰქონდა გეზი. ტიამ-ტარამ-ტამ-ტიამ, ტარამ ტამ ტაამ, ტამ, არშ-თო!

მიქრიან მდევრები სტავროპოლის მხარეს, ქალების საამო გუნდი მღერის სიმღერას.

ზა რეკოი, ზა რეჩკოი,
სოლნიშკო სადილა...

მდევართ თქარა-თქური ნაწილობრივ ფარავს გუნდის ხმებს. თანდათან სუსტდება სიმღერა.

ვანო. გვეშველა, მგონი, გვეშველა! აქ უნდა იყოს, აგერ, შავი ცხენი, ველზე ბალახობს. (ამხანაგს). გაიქე, ცხენი დაბორკე, რამე იყოს, ვერ გაგვასწრებს!

I ამხანაგი. რამოდონა ველია ეს კეთილი! (აღტაცებით).

ვანო. გაიქე დროზე, ჩვენ აქ თოკებს შევამზადებთ.

ამხანაგი მიდის.

II ამხანაგი. (თან თოკს ხსნის). ნეტავი ერთი ტანი დამაბანინა, მერე თუნდა მომკლა, ტყავზე ტყავი გადამეკრა.

ვანო. შენ აქა მექისეც არ მომთხოვო. დროზე! გესმის, სანამ გაიღვიძებს! თოკები გამართეს. პირველი ამხანაგიც მოვიდა.

I ამხანაგი. აქაცა სცოდნია კვრინჩხი.

ვანო. დროზე! ბევრს ნუ ლაპარაკობთ! წავეპაროთ! შენ ფეხებში ეცი, ჩვენ ორნი ხელებს გავუკრავთ (ეპარებიან, თოკებს იმარჯვებენ). ჰოი, რა გულიანადა სძინავს, დედის ლოგინი მოგონილია! ნახე ერთი, თოფი რა დღეში ჩაუგდია! ჟანგად არის ქცეული!

I ამხანაგი. თოფის ფული აკი მოგცა, რა გადარდებს?

ვანო. (ბურტყუნებს). ფული, რა ფული გაგიძლებთ, მგლებივითა ხართ! აბა ჰა, ერთად დავესხათ! ერთაა-თა! (დაიძახებს ვანო და ვაჟას ეცემა სამივე, შეკრავენ).

ვაჟა. (სუსტად გაიბრძოლებს). გამიშვით, თქვენი, ვანო, შენა ხარ?! იმ თოფს გამოეტირე განა, შე მუდრეგო შენა!

ვანო. ოხრად დარჩეს თოფიცა და ჩემი თავიცა, ძმაო, რაკიღა შენ საღ-სალამათი ხარ!..

ვაჟა. განა რა ღირდა ეგ ჟანგიანი თოფი, რომ თან გამოჰყევი? ფუი, შენ კაცობა-ვაჟკაცობასა! ჩემი ძუძუმტე მაინც არ იყო, შე დორბლიანო, შენა!.. ჰაი, ის ძუძუ რატომ არ გაუხმება დედაჩემსა, რომელმაც შენზე ტყუილი ამაგი გასწია!..

ვანო. რაც გინდა, თქვი, ჩემთვის სულ ერთია. (ბიჭებს). აბა, ცხენზე, ბიჭებო! (ბიჭები ვაჟას ხელში აიყვანენ). ესეც ესეე! (ამოსთქვა ვანომ და ხელები დაიბერტყა).

საქორწილო ზურნა ხსნის ფარდას. ბოდბელიანთ ოჯახი საქორწილო სუფრას შლის. მთელი სახლი და ეზო-კარი სუფრას უპყრია. გაზიმზიმებული სუფრის თავზე მთელ-მთელი საკლავია დაკიდებული. სუფრა დიდებულია, მაგრამ სტუმარი ნაკლები ჩანს. ისმის ხმადაბალი მუსიკა. ხალხი ჯერ არ დამსხდარა — განკარგულებას ელიან.

ელისაბედი. (სუფრას ჩამოუვლის). გამომცხვარი, ბადრიჯანი ნიგვზით, ლობიო ნიგვზით, ჯონჯოლი ზეთის ხილით, დანდური კახურად, ღორის თავფეხის მუჟუჟი, სულო და გულო. თამარ მეფის საკადრისი სუფრა გვაქ! ცივად შეზავებული ძროხის ტვინი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ესეც კალმახი გელაქნური, შინდის ჩურჩათი, დეკეულის ხაშლამა, შინაური ფრინველის ჩახოხბილი, გარეული ფრინველის ჩახოხბილი!..

თენგო. (გაფითრებული შემოდის). ვაიმე, დედი! (შეჩერდება მაგიდასთან).

ელისაბედი. რა ვაიმე, შვილო? გარეული ფრინველის ფასინჯანი, ცხვრის მწვადი მწყემსურათა, შვილო! ბატკნის ჩაქაფული, ბადრიჯანი ნიგვზით, ჯონჯოლი ზეთისხილით...

თენგო. წავიდა, დედი!

ელისაბედი. არავინაც არ წასულა, ყველანი აქა ვართ, ვინც მოსასვლელია მოვა, შვილო, ვაიმე!.. ცივად შეზავებული ძროხის ტვინი, წავიდაო?! წავიდაო?! რაღა დროს! ქვეყანა აქეთ მოდის... თამარ მეფის საკადრისი... ვაიმე, წავიდაო! წავიდაო?! სად წავიდა?

თენგო. არ ვიცი, წავიდა, აქ აღარა ჩანს, წავიდა, ჰო, წავიდა!

გამწარებული თენგო მოიხრება, მოიკუნტება, დაეხვევა, გაიშხლართება და სხეულზე იკბენს რამდენჯერმე ზედიზედ.

თედო. (ფიქრობს, შემდეგ ხმამაღლა). დაჭრილი ირემი შორს ვერსად წავა!..

ხალხი აწრიალდა, სცენაზე ბნელდება. ხალხის სირბილი და შეძახილები იპყრობს სცენას.

მილიციელი. მდინარისაკენ შეკარით გზები! მდინარისაკენ!

თენგოს ძმაკაცი. მაშხალები აანთეთ, მაშხალები!

ხმები. ორღობეები ჩაკეტეთ, ორღობეები ჩაკეტეთ!

ახლა ანთებული მაშხალებით მირბი-მორბის ხალხი, ხალხის შეძახილები თანდათან შორეული ხდება. გამოჩნდება ლეკიშვილების სახლი. ეკა ლეკიშვილი საწოლზეა დაბმული. მშობლები თავთით უდგანან.

ნინო. (შემორბის, საწოლს უახლოვდება). ვაჟა! ვაჟიკო! მოვედი, ვაჟიკო! მე ვარ, ნინო! მოვედი!

ნინო მუხლებზე ჩაიჩოქებს და თოკების გახსნას იწყებს. მშობლები ოთახიდან გადიან.

ვაჟა. (წამოჯდება, მოეხვევა). მოხვედი?

ნინო. ჰო, მოვედი, მაინც მოვედი, ვაჟიკო, გენაცვალე. (თვითონ ნინო ეხვევა ვაჟას, კოცნის, ვაჟაც კოცნის).

ვაჟა. (ჩურჩულით). ნინო, მზეო. ვაი!

სინათლე კლებულობს, შემდეგ კვლავ ნათდება ვაჟას ოთახი. ნინო ვაჟას საწოლში წევს, ვაჟა ოთახში ბოლთას სცემს.

ვაჟა. რა ყვირილი და რა დევნა იყო?!

ნინო ეგონათ თავს დავიხრჩობდი!..

ვაჟა. არ გიფიქრია?

ნინო. დაჭერისა მეშინოდა.

ვაჟა. ფიქრით, არაფერზე არ გიფიქრია?

ნინო. სულ შენზე ვფიქრობდი.

ვაჟა. მაშინაც?

ნინო. მაშინაც, ყოველთვის, მხოლოდ დაჭერისა მეშინოდა... როგორ ყვიროდნენ!..

ვაჟა. (მ ი უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა, ს ა წ ო ლ ზ ე ჩ ა მ ო ჯ დ ე ბ ა). რა გაუგონარი ამბავი მოხდა. შენ კი მარტო ჩემზე ფიქრობდი?!

ნინო. მარტო შენზე, ჰო, და მაგით გავიმარჯვე... ვაჯობე ყველას, ყველას!

ვაჟა. მაშ მოტაცება ტყუილი იყო, არაფერი იყო?! (ღ ე ლ ა ვ ს).

ნინო. მე მარტო შენ მახსოვდი, იმ წუთშიაც შენა გხედავდი, ყოველთვის!

ვაჟა. მართლა, სიყვარულო?! იომე, ვაიმე!

ვაჟა ნინოს ტუჩებზე დაეწაფა, სინათლე ჩაბნელდა.

სინათლე მატულობს ვაჟას ოთახში.

ვაჟა. გძინავს, ნინიკო?

სიჩუმეა, ნინოს ჩასძინებია. ვაჟა სასწრაფოდ იღებს თოკს და მარყუჟს ამზადებს.

ვაჟა. (ღ ე ლ ვ ი თ ა დ ა ჩ უ რ ჩ უ ლ ი თ). მორჩა, გათავდა, გაიღვიძებს და მკვდარი დავხვდები, აღარ ვიქნები, აღარა! მე ამას ვერ ავიტან! მერე? მერე რა მოხდება? ჰა? საქორწინო სუფრა ჯერ კიდევ ძალაშია ბოდბელიანთა, მიიყვანენ და...

თოკი გამართა, ჩამოაბა, აიწია მკლავებზე თოკს დაკიდებულმა, თოკი გაწყდა. ვაჟამ თოკი მიმალა.

ნინო. (შ ე მ კ რ თ ა ლ ი). რად მიმატოვე? მოდი, მოდი და სულ ასე ვიყოთ! მაშინაც შენს სახესა ვხედავდი, მხოლოდ შენ გხედავდი! აქაც, ყოველთვის! ერთად უნდა ვიყოთ! ჩემო ვაჟკაცო! მომეხვიე, სული ამომხადე! მოდი, სულ ასე ვიყოთ. წელიწადი, ორი, სამი, ათი! არც საჭმელი! არც სასმელი! არც არაფერი!.. სადამდეც სიცოცხლე გაგვწვდება! ბოლოს წაგვიღებენ როგორც წმინდანებს, ისე. სუფთა თეთრ ზეწრებს გადაგვაფენენ და გონებ ჩემზე, მე კიდევ შენზე დავწერ ლექსებს. ვივლით ას წელიწადს! ათას წელიწადს! მოდი! რათა ხარ ცივი?! შეგცივდა? ვიწვი! ისეთი ცხელი ვარ! იქნებ სიცხეცა მაქვს?

ვაჟა. თუ სიცხე გაქვს, წამალს მოგცემ...

ნინო. არა, მინდა, რომ მქონდეს დიდი სიცხე! ორმოცი! ასი! მეტი! ერთად დავიწვათ!..

ვაჟა. (კ ო ც ნ ი ს). რა ცხელი ხარ!

ნინო. შენც, შენც ხომ ცხელი ხარ? მითხარი, მითხარი ჰო-თქო!

სინათლე მატულობს, ვაჟა თოკს გადაკრის, კუთხეში მიაგდებს. ნინოს სძინავს.

ვაჟა. მოვკლავ! დავახრჩობ! დავწვავ! მთელ ბოდბელიანთ გადავბუგავ! ჰოი, მაგათი! არა, გავლახავ! სიკვდილის პირას მივიყვან, ისე ვცემ! სისხლს ამოვანთხევინებ! იმ სისხლსაც და ყველა სისხლსა! მე ასე არ შემიძლია!.. მე ასე არაფერი მჯერა!.. ორი კაცი დგას, ორი კაცის ლანდი თუ სახე დგას შენს თვალებში, ნინო, ორი! ორი! გაიღვიძე! გაიღვიძე! გაიღვიძე! ვერც თავი ჩამოვიხრჩვე

და ვერც ვერაფერი! ასი წელია წინ! რათ უნდა მოვკვდე! რათა?! გაიღვიძე! გესმის, ნინო?! გაიღვიძე!

შეანძრია საწოლი, ნინო წამოჯდა.

ნინო. რა მოხდა, რა იყო?!

ვაჟა. არ იცი განა, რა მოხდა?! რომ მოგიტაცეს! წაგიყვანეს! ჩემი იყავი და მაინც წაგიყვანეს! ეხლა ორნი ვართ, მე და სხვა! ორი კაცის ლანდი დგას შენს თვალებში! ვაიმე, ნინო!.. (მუხლებზე დაეცა, მერე თავი ასწია და მშრალად, მკაფიოდ: მიმართა). მე, მე კი ამ ორომლობას ვერ ავიტან, ვერა, ვერა!

ნინო. ვაიმე, ღმერთო! (ამოიოხრა სოფლის თვალმა გოგომ, ისეთი გულუბრყვილო და ისეთი უბრალო სახე ჰქონდა ნინოს, რომ მისი ალალმართლობის დასტურად მეტი აღარავინ და აღარაფერი იყო საჭირო. ერთი კი შეაკრთო ქალის ამ ხმამ თუ ამ გამოხედვამ ვაჟა, რაღაც დაფიქრდა. საწოლიდან გადმოვიდა, თეთრი და სპეტაკი). ვაიმე, ღმერთო!..

ვაჟა. (დაემხო). ვაიმე, ნინო! (ურომდაკრული კამეჩივით ბღაოდა, იატაკზე იჩეჩქვავდა პირისახეს, მოთქვამდა). მოვკლავ! დავხოცავ! ამოვჟლეტ! მე გამიბედეს, განა?! გადავწვავ, გადავბუგავ, ჩვენი სიყვარულის ხეს ვინც მარილწყალი ჩაასხა ფესვებში! არ გავახარებ! არა! არა! (წამოდგა, თვალებში ჩახედა). რა ვქნა? ნინო! ნინიკო, შენ გენაცვალე! ბილწი ვარ, მათხოვარი! მამაც... პაპაც... ას წლამდე უნდა ყველას სიცოცხლე! მე რა შუაში ვარ? ორი ნაბიჯიღა იყო შენს სახლამდე, რომ მცოდნოდა, ხელში აყვანილს მიგიყვანდი შენს საწოლამდე... არ ვიცოდი! რა ვიცოდი!.. არც ახლა ვიცი არაფერი! რაღაცა ვიცი თითქო! რაღაც არ ვიცი! არა, ვერ გავიგებ! მოვკლავ! ნეტა სახლამდე მოგყოლოდი, ახლა, ვერა! ორნი იცქირებიან შენი თვალებიდან! ერთი მე და მეორე კი სხვა არის! სხვა! და მოვკვდები! მერე მიტირე! მიწა მომაყარე! ახლა კი ვერა, გააგდე ის მეორე! გააგდე, ვერა! ვერა! ცოტაღა დამაკლდა, ნაბიჯი, ორი ნაბიჯი. ვერა!..

ნინო. (გაცებული დასცქერის თეთრში მოსილი ნინო მის ფეხთით დამხობილ ვაჟას). ვაიმე, ღმერთო! (ჩურჩულებს ნინო და ოთახიდან გადის).

შემოდიან ვაჟას დედ-მამა.

ვაჟა. (ღრიალით შესჩივლებს მშობლებს). ორი კაცი დგას ნინოს თვალებში! მე კი ამ გაორებას ვერ გავუძლებ, ვერა, დედი! ვერა, მამი! ვერა! (დედა მივარდება, ჩაიხუტებს).

ბარბარე. შენი რა ბრალია, დედა გენაცვალოს?! ღმერთმა გაგვიმეტა! ღმერთმა ამოგვთაქა!

შაქრო. ჰო! ჰო! ღმერთმა! ბუნებამ! და არც ბოდბელიანი არიან უბრალონი ამ საქმეში!..

ვაჟა. (კარებს ეცემა, გამოაღებს). ვაიმე, მზეო, ნინო!.. (შემობრუნდება). დავხოცავ! მოვკლავ! გადავბუგავ!

ლოგინზე დაემხობა, მშობლები თავს ადგანან.

ბარბარე. დამშვიდდი, შვილო, შენი სამიწე დედა გენაცვალოს, შენ შემოგევლე!..

ვაჟა. (პაუზის შემდეგ თავს წამოსწევს). ერთი... კამეჩის მაწონი მომიტა... დედი, ლამის ამომეწვას გულმუცელი... (სვენებ-სვენებით წარმოთქვა ვაჟამ და საწოლის თავს მიეყრდნო ბეჭებით).

დედა გავიდა. მამაც გაჰყვა.

მოქმედება მეორე

დილის ბინდ-ბუნდი, ტყე, თეთრკაბიანი ქალიშვილის ლანდი ოდნავ გამოიკვეთა. მას დედა მიჰყვება გვერდით. ჯერ მხოლოდ სილუეტები მოჩანს.

ანიკო. (ნაზად, დაყვავებით). იქნებ აქ შეგვესვენა, ნინიკო? ანდა, სულაც ნუღარ წავალთ უღრანში. ამ წვრიმალაში ვიაროთ.

(ნინოს ხმა არ გაუცია. წყაროსთან შეჩერდა, დაიხარა, ხელი გაიბანა, პეშვი შეავსო და სახეზე, თმაზე მიმოისვა სველი ხელი).

ანიკო. მოდი აქ ჩამოვსხდეთ, ნინიკო, წავიხემსოთ, მერე აქვე, განაპირას სოკო დავძებნოთ, თეთრი, ქათქათა სოკოებია ამოჩენილი, გაიხედე, შვილო! აი, შენი პატარა კალათი... დობილებმა მოგაკითხეს კიდევაც; ცმაცუნამ, ციცინომ, ბაჭიამ. (შოთი გაუწოდა დედამ შვილს).

ნინო. ჰო? (არაფერს ნიშნავდა ეს „ჰო“. შოთს მხოლოდ ყუა წააცქნა ნინომ, უხმოდ აცმაცუნებდა მშრალ ტუჩებს).

მარბენალი კაცის მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა შორს, ფეხის ხმა და შრიალი მოჭლოდა. თეთრპერანგიანმა ლანდმა ჩაუქროლა. წამით შეიფერხეს დედა-შვილმა. მერე ფრთხილად გადადგა ნაბიჯი ნინომ.

ანიკო. (შემკრთალი). დღეს ნახირი აღარ გაურეკიათ, აღარც ბალახია იმდენი და ტყუილი ხიფათიაო.

ნინო. ალბათ, დედი. (თქვა ნინომ და კვლავ წააცქნა შოთს ლუკმა).

ანიკო. (შვილის საქციელით გამხნევებული). ჰო, შვილო, ჰო, დედა გენაცვალოს! ტუჩებს რომ აცმაცუნებ, ასე მგონია, ჯერ ისევ ძუძუზე მყავხარო... (ჩაითუთქა დედა და უფრო მიეგურგურა შვილსა).... ისედაც აღარა ვართ, შვილო! ე ტყე-ტყე შენი სიარული გულ-ღვიძლს გვიღრღნის! უნდა მოგვხედო, თავს შემოგევლეთ! აგრემც დავმიწდებით!.. სად შენა და სად ტყეი, შვილო?!

ნინო დედას მოშორდა. მიდის.

Შვილო! (ფრთხილად შეეხმაურებაანიკო).

ნინო. მოვალ, დედი!..

ანიკო. შვილო ნინო!.. ნინიკო! გოგონა! ცმაცუნა!.. შვილო! ბაჭია, სოკოები, ბარტყები, შვილო! ნინიკო, გოგონა! ცანგალები, შვილო! პაწაწები, ბზეწვიები, გოგონა და ცანგალები! ცანგალა და გოგონა და ცანგალები, გოგონები, ცანგალა და გოგონა! (აცეკვდა დედა, შვილისაკენ ცეკვა-ცეკვით მოდის, ფრთხილ ტაშს უკრავს, მღერის, ბრუნავს, სულ მთლად ყმაწვილ ქალად გადაიქცა. შვილს რომ მიუახლოვდა, მაშინ მთლად ყმაწვილად იქცა. მამაკაცური ცეკვა გაახურა შვილის გარშემო). ცანგალები-გოგონები, ბაჭიები-ბარტყები! ცანგალა და გოგონა და ცაანგალა-გოგონა! ცანგალა და გოგონა და ცაანგალა-გოგონა! ბაჭიები, მზეწვიები, ცაანგალები, გოგონი! გოგლი-გოგლი-გოგლი-გოგლი, გოგლი-გოგლი-გოგონა... ცანგალა და გოგონა და, ცანგალა და გოგონა!..

ბოლოს მოეშვა ანიკო, ერთბაშად მოწყდა, შვილის წინ შედგა, შუბლზე აკოცა. ტუჩები არც მოუცილებია ისე, ერთი გრძელი კოცნით ჩამოუხაზა გულ-მკერდ-სხეული და ჩაჯდა, შვილის ფეხებს შემოხვეულმა ჩაიკეცა. ნინოც დაეშვა დედის გვერდით.

ნინო. (ჩურჩულით). მოვალ, დედი! მოვალ!..

კვლავ ჩამოუქროლა მარბენალმა თეთრმა ლანდმა დედა-შვილს. თვალი გააყოლეს ლანდს.

ჯარისკაცი. დილა მშვიდობისა, ხალხნო! ჰო-ჰოი, თქვე სახე-მახეებო! ჰო-ჰო-ჰოი, დედულებო! მამულებო! ტროყიებოო! ვანუებო!

ლანდი გაუჩინარდა, შორიდან მოესმათ დედა-შვილს ეს ძახილი და კიდევ სხვა შეძახილები.

ანიკო. (შვილს მიეხუტება). დორეა ის უბედური და ლამის ჩვენს კარებთან დაღაფოს სული. მოთქმით არა ტირის, ერთი ეგ არის, თორემ, კაცად აღარ ვარგა, ისეა გამოღამებული...

ნინო. მოვალ დედა...

ანიკო. ჯერჯერობით ესა, შვილო, გენაცვა! მერე სახლს გავყიდით და შეღავათია... ცანგალა და გოგონა და, ცაანგალა-გოგონა. (წაუღიღინა შვილს ანიკომ, დაიკვანწა).

ნინო. მოვალ დედი, წადი!

ნინო წამოდგა, დედაც ადგა. შვილს თვალებში ჩახედა.

მოვალ-მეთქი, დედი, წადი!

ანიკო. ცანგალა და გოგონა და, ცაანგალა-გოგონა! ცანგალები, გოგონები, ცაანგალა გოგონა!.. მზეწვიები, კოდალები, გუგულები, შვილები!

ადგილზე იკვანწება დედა. ნინო ნელ-ნელა შორდება დედას. კვლავ ჩამოურბინა წელაწდელმა თეთრპერანგიანმა ლანდმა. კაცი იყო, ჯარისკაცი, წაღებში ჩატანებული სალდათური ხაკის შარვალი ეცვა, ხალათი ხელში ეჭირა, ვეფხვივით ბიჭი ჩანდა.

ჯარისკაცი. დილა მშვიდობისა, ხალხნო!

ანიკო. (შემკრთალი). მშვიდობა მოგცეს! (შეჩერდა).

ჯარისკაცი. რას გაჩერდი?! აბა, ჰა, ცანგალა და გოგონა და ცანგალა-გოგონა! (წაიმღერა ჯარისკაცმა და ტაში ააყოლა). რას გაჩერდით? რა იყო? მოდი, მოდი! (აღარ ეშვება ჯარისკაცი, მკლავებს გააშლევინებს ანიკოს ძალით, აცეკვებს), აბა, ჰე, აბა, ჰო! ცანგალა და გოგონა და ცანგალა და გოგონა! (ცეკვა-ცეკვით წრე გაადიდა ჯარისკაცმა და ნინოს წინ გაუსვ-გამოუსვა). დილა მშვიდობისა, გოგო, რა გქვია, ჰა?! ცანგალა და გოგონა და ცანგალა და გოგონა. დილა მშვიდობისა-მეთქი, რა გქვია?!

ჯარისკაცი ნინოს წინ შედგა სილამაზით გათანგული; ნინო უხმოდ მოსცილდა, წავიდა, ჯარისკაცმა გოგოს თვალი გააყოლა.

ჯარისკაცი. დილა მშვიდობისა-მეთქი, რა გქვია, ჰა?! (პასუხი არიყო). რა გქვია? დილა მშვიდობისა! (ერთხანს იდგა. მერე კვლავ ფეხი გაუსვა, მკლავი გაშალა, ანიკოს შემოუარა ცეკვით). ცანგალა და გოგონა და ცანგალა და გოგონა! რა გქვია, მზეო, დილა მშვიდობისა, ჯარისკაცი ვარ, ერეკლეი, ზაუტაანთი! არ მოგეშვები, იცოდე! დილა მშვიდობისა, რა გქვია, ჰა! ცანგალა და გოგონა და ტაი-ტაში-ტაშიო! (ხელებზე წაავლო ანიკოს და ძალით ტაში გაახურებინა. მერე თვალს მიფარებულ ნინოს გაჰყვა ცეკვით. მიეფარა).

ანიკო. (ანგარიშმიუცემლად განაგრძობს ტაშის დაკვრას). სოფელი შვილო, მძიმეა, დიდია!.. ხან კი ისეთი პატარა არი, რო გაკვირდები! წინ გასწრება არ უყვარს სოფელსა. მძიმეა. მძიმე ფეხის დადგმა იცის. ბიჭები, კოდალები, გუგულები, ბარტყები!

თანდათან ჩაანელა ტაში ანიკომ. სუსტადღა აჩაკენებს ხელის გულებს, ნელ-ნელა გადის, შემოდის ჯარისკაცი. ღიღინებს.

ან მე მოვკვდები ამაღამ,
ან ცხვარს მოუვა ზიანი...

ჯარისკაცი. დილა მშვიდობისა! რა გქვია, გოო?! (ხეზე ავარდება. ტოტზე ცეკვავს). გოგლი-გოგლი-გოგონა! (ცოტა წაიცეკვა). დილა მშვიდობისა, ხალხნო, რა გქვიათ? ჰა! ჰეი!.. დედულებო, მამულებო! ცანგალებო-გოგონებო!..

ჯარისკაცის ხმა მოულოდნელად გავარნილმა ტყვიამ გაჰკვეთა. ჯარისკაცი შედგა.

შვებულებაში ვარ, ხალხნო, ეგენები მერე!.. (ხიდან ჩამოხტა, ხის ძირას ჩასაფრებულ თავმჯდომარეს წააწყდა ანაზდად). რა მოხდა, ხომ არ დაშავდით? (ჰკითხა ჯარისკაცმა).

თავმჯდომარე. არაფერია, ისე, გატენვისას გამივარდა. კიდევ კარგი, ტყვიის სატენით არა ვტენიდი, უბრალო ჩხირი მეჭირა, თორე არ ამაგლეჯავდა თავსა!

ჯარისკაცი. სულ ერთია, რითი ტენიდით, სიტყვა გატენვაც არაა სწორი. მუყაოს პატარა საცობი ძალდაუტანებლად, ერთი, თანაბარი მოძრაობით უნდა დავიყუანოთ ფრთხილად დენთამდე. არავითარი ზედმეტი დაწოლა, მით უმეტეს, ორჯერ, სამჯერ... არავითარი! დილა მშვიდობისა, რა გქვიათ (გაიღიმა ჯარისკაცმა და იქით გაიხედა, საითაც გოგო გაუჩინარდა).

თავმჯდომარე. (ღიმილით). სადაური ხარ, ვაჟკაცო, ასე დაწვრილებით რომ დამარიგე? (გაუღიმა თავმჯდომარემ და თვალებში შეხედა).

ჯარისკაცი. აქაური ვარ, აქაური, ცანგალა და გოგონა და! (წაიმღერა).

თავმჯდომარე. (ღიმილით). რომლისა ხარ?

ჯარისკაცი. (ჩაიმუხლა, ვაზნების გატენვაში წაეშველა). ბეგოსი ვარ, ზაუტაშვილისა, რომ დაიკარგა. ცანგალა და გოგონა და...

თავმჯდომარე. (აღტაცებული). რას ამბობ?! მეტსახელად პროკლოანთ რომ ეძახდნენ?

ჯარისკაცი. ჰო, იმისი. ა, ქალო, ვაშლი წითელი...

თავმჯდომარე. ბეგოსიო?! დედასა! იცი, რა ქნა კავკასიონთან მამაშენმა, ბიჭო?!

ჯარისკაცი. (მორცხვად). ვიცი...

შირაქის ველზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ჭარიო,
წინ ამიფრინდა, პეპელა... (მღერის, თან ტენის).

თავმჯდომარე. დედასა! ერთ ნაწილში ვიყავით, მაშ, პროკლოანთ ბეგოსი ხარ, რომელი ხარ?.. რაღა რომელი, ერთი ბიჭი ჰყავდა... ერეკლე, შვილო!.. არსადა ჩანდი, ბიჭო! აღარც დედათქვენი შემხვედრია კარგა ხანია, დედასა! რა ფიცი გვქონდა, ასე და ასე ვუპატრონებთ ერთმანეთის ოჯახებსო! ფუი, კაცი კაცად აღარ ვარგა! მე მოგიკვდე, შვილო! ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია!.. განა იძიტომ ვამბობ ამასა, შენ რომ დაგინახე. არა, სხვა დროსაც ბევრჯერ ღავფიქრებულვარ, შვილო, ამაზე, მაგრამ ეს ამოდენა საქმე, ცხოვრება. ეეჰ, არ ვიცი, არა!.. საიდან?! როგორ?!

ჯარისკაცი. ნაწილიდან გეახელით, შვებულებაში.

თავმჯდომარე. მოზრდილი ჩანხარ და ჯერ არ გაგივლია სავალდებულო სამსახური?

ჯარისკაცი. ოფიცრის თანამდებობაზე დამტოვეს, ფარიკაობაშიაც გამოვედი-

ვარ ხოლმე და უფრო იმიტომა. (ჯარისკაცი სახრეს მისწვდა, ჰაერში ააშხივლა საფარიკაოდ, ოსტატურად ირჯებოდა).

თავმჯდომარე. ზეზეულა მიგვიძღვებოდა, შვილო, შეტევაზე მამაშენი. არც თავსა ზოგავს და არც სხვასაო, ხალხი ჩიოდა. რა ქნა, ბიჭო, კავკასიონთანა! მაშ, ჩემი სეხნია ხარ! მეც ერეკლე, შენც ერეკლე! კიდევ ვინ იყო ერეკლე, ხომ არ დაგავიწყდა?

(იღიმება თავმჯდომარე).

ჯარისკაცი. მახსოვს, უფრო მაშინ მაგონდება, როცა ძნელი მოსაგები ბრძოლა მაქვს.

თავმჯდომარე. ყოჩაღ, ბიჭო! (სამკერდე ნიშნები შეუთვალიერა).

ჯარისკაცი. ა, ქალო, ვაშლი წითელი და... ცანგალა და გოგონა და... უბეს ნადები, ნასეტყვი... (წამოდგა ჯარისკაცი).

თავმჯდომარე. დიდი ზარალი მოგვცა ნადირმა, დათვი მოგვაწყდა, მერე ერთი და ორი კი არა, ნუღარ იტყვი! ოცდაათამდე მარტო ჩამოსული მონადირე გვყავს. რესპუბლიკის მონკავშირსა ვთხოვე და ოღონდ კი მაგათ რამე მოაკვლევინე და!.. პატარა ხანში, ორ-სამ დღეში იქნება ავლაგმოთ ეს თარეში. მერე მოდი და ერთი რიგიანად დავილაპარაკოთ მე და შენა...

ზედიზედ გაეარდა თოფი, მერე თანდათან უფრო გახშირდა სროლა ირგვლივ და მერე ჩაჩუმდა.

თავმჯდომარე. ხედავ რა ამბავია?!.. ახლა, შვილოსა, ის დრო კი აღარ არის, ხუთი კაცით რომ დახვდა შავნაბადაზე. ახლა, ძმაო, ახლა... ეჰ, როგორც არის... შენ უკეთ იცი, რა ძალაცა გვაქ... (დაფიქრდება). ერთი დაზგის ტყვიამფრქვევი რომ ჰქონოდა, მაშინ, იმ დროს, შავნაბადაზე, ჰა?!

ჯარისკაცი (სხვათაშორის). ხელის ტყვიამფრქვევიც საკმარისი იქნებოდა (ღიმილით). ფრთხილად გატენეთ!.. (შორიდან ისმის უამრავი ძაღლის ყეფა).

თავმჯდომარე. მაშ, ბეგო ზაუტაშვილისა ხარ, ჰა?! ზეზეულა მიგვიძღოდა იმ უბედურებაში!

უამრავი ძაღლი წკავწკავ-გნიასით თანდათან ალყად შემოერტყმევათ თავმჯდომარესა და ჯარისკაცს. ჯარისკაცი აქეთ-იქით მიმოიხედავს.

ჯარისკაცი. (თავმჯდომარეს). რა ამბავია? რა არის? (ღიმილით). არ შეგეშამონ, კაცო! ვანუებო! ტროყიებო! დედულებო!..

თავმჯდომარე რაღაცას ეუბნება ჯარისკაცს, მაგრამ ყეფა-წკავწკავი ფარავს მის სიტყვებს. მერე უცბად გაბრაზდება ჯარისკაცი, თოფს დაცლის, კეტს დააელებს ხელს და თითქოს ძაღლების ხროვას გადაერიაო, ისე დაატრიალებს კეტს. აქეთ ეცემა, იქით მიაწყდება, ბოლოს თანდათან გარეკავს ძაღლებს. მათი ყეფა ახლა შორიდან ისმის.

თავმჯდომარე. (მ ძ ი მ ე დ ს უ ნ თ ქ ა ვ ს). ოჰ, თენგიზა! ოჰ, დამაცა!.. კიდევ კარგი შემოდგომის გასულია, თორემ ზაფხულში რას აუვიდოდი. დოღები, სტუმარი... მერე ეს ყეფა და მამაძაღლობა! სულ გავტყიურდი, სოფლისათვის ვეღარ მიმიხედია, რომა ცხრაპირი ტყავი გადავაძრო ერთსაცა და მეორესაც! მწყემსის კომბალი ავკიდო და ტკეპნონ დედამიწა! მაშინ გაიგებენ, ქალი რა არის! სოფელს მაშინ დააფასებენ ეგ მაჩვები, ეგა! (ჩ ა მ ო ჯ დ ე ბ ა). დაჯექი! გეტყვი და მითხარი, ბეგოს ერეკლევ! იქნებ შენ უფრო ნაღდი თქვა... მითხარი. გოგო გვყავდა — სოფელსა ჯობდა, ბიჭი ეტრფოდა, რომ შეხედო — ვაჟი და ვაჟკაცია. უყვარდათ ერთმანეთი. ვინ იცის, შენცა გსმენია ჯარში. ხმა ჰქონდა ქალსა, რომა!.. ბიჭმა მოიტაცა, ამან კი არა, მეორემ, ჩვენივე სოფლელმა, ერთ გუნდში მღეროდნენ ეს მეორე ბიჭი და ეს ჩვენი ნატვრის თვალი. ჰოდა, მოსახდენი მოხდა. გოგო სუფთა სულისა იყო და ისევ მიჯნურს დაუბრუნდა. ამან კი ძილოკ-მოლოკა თაფლსავსე სკა დაეზოს გარეთ გადგა. დედაფუტკარმა სკა მიატოვა და სადღასაც დაბზუის, დაბზუის, დაბზუის და აი, რა დღეში ვართ. ეს ძაღლებიც ხომ ნახე, ვისი რომელია, ვეღარ გაიგებ, ჩამოსული მონადირეების მდევრები ადგილობრივში აირია, გაიგე ეხლა, რომელია ცოფიანი, რომელია ჯმუშა-მდევარი. ახლა შინაურმა ქოფაკებმაც თავი გამოიდეს და ისინიც აქა ყრიან, სისხლიანსა ჭამენ და სულ გადაირივნენ. დათო! ჰაი, დათო! ეს ძაღლები მოაშორე, ყურთასმენა ნუ დაგვიხშეს, თორემ მე ვიცი, მე შენა! (გ ა ს ძ ა ხ ა თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე მ. ა ხ ლ ა ი ქ დ ა ე რ ი ვ ნ ე ნ ძ ა ღ ლ ე ბ ს. გ ა ყ ა რ გ ა მ ო ყ ა რ ე ს დ ა თ ა ნ დ ა თ ა ნ მ ი ი ფ რ ი ნ-მ ო ი ფ რ ი ნ ე ს). წადი შვილო, წადი! დაისვენე! შენ შენი ფიქრიც გეყოფა, ქვეყნის ბედი გაბარია, იქნებ როგორმე მოვრჩე ამ ოხრობა-მამაძაღლობასა და მერე ერთი რიგიანად დავსხდებით. ჯერ მოვიცალო, მაგას არ ეღალატება.

ჯარისკაცი. (ჩ ა ფ ი ქ რ დ ა, მ ე რ ე გ ა ი ღ ი მ ა). ქალო, ვაშლი წითელი და, უბეს ნადები, ნასეტყვი. (წ ა ი ღ ი ღ ი ნ ა). ორივეს მიუქარია, ბოდიში კია, მაგრამ, გოგო ყოფილა ვაჟკაცი... რა მაგის პასუხია „იქნება გაგეცინოთ, სამხმიანი სიმღერა მომენატრა!.. ცალლულიანს იქაცა ვჭექავთ... „ზამთარია“, „შავლეგო“, „არალალი“, „თამარ ქალი“...

თავმჯდომარე. მოვიცლით, დავსხდებით, ყველაფერი იქნება! (გ ა უ ღ ი მ ა ს).

„შავლეგ შენი შავი ჩოხაა, შავლეგო...“ წაიღიღინა თავმჯდომარემ, ჯარისკაციც შეჰყვა, მერე ხელი აუღო, დაემშვიდობა. სიმღერა ორად გაიყო, ერთი ნახევარი ჯარისკაცმა გაიყოლა.

ჯარისკაცი. (ღ ი ღ ი ნ ე ბ ს). შავად შეგიხამებია, შავლეგო... ყაწმები გიხდებაო, შავლეგო. აუ-ავ-ავ-ბიოუ-ბოუ-ბოუ! (შ ე ჰ ყ ე ფ ა წ ა პ ა რ ე ბ ი თ ჯ ა რ ი ს კ ა ც მ ა დ ა ვ ი ღ ა ც მ ო ნ ა დ ი რ ე შ ე ა ხ ტ უ ნ ა).

მონადირე. უი, შენ კი რა გითხრა!

ჯარისკაცი. დილა მშვიდობისა, რა გქვია, ჰა?!

მონადირე. რა ვიცი, ერთი მონადირე ვარ, ძაღლების შესაგროვებლად გა-

მოვედი. ხორბაა! ხორბა! ხორბაა! თოლიაა! თოლიაა! (ატეხა ძახილი მონადირემ).

ჯარისკაცი. (აჰყვა). ზორბაა! ზორბაა! ზორბაა! თოლიაა! თოლიაა! თოლიაა!

მონადირე. წამოდი, დაგვეწვიე, ჯარისკაცო, აქვე, დაბლობში, წყაროს პირასა ვართ, წვადის სუნი მაინც არ მოგდის?

ჯარისკაცი. (ჰაერს შეისუნთქავს). რამდენჯერ მომნატრებია იქა, ენში. სუპიდან ხორცი ამომიღია, ხმალზე ამიგია.

მონადირე. წამოდი, ნამდვილი ნანადირევის მწვადი გაჭამოთ.

ჯარისკაცი. ძაღლებს აღარ დავუძახოთ? ზორბაა! ზორბაა! თარეშა! თოლია! ბროლია! (მიჰყვება მონადირეს). ეგ თქვენი ხალხია? (დაბლობში გადაიხედა ჯარისკაცმა. მონადირემ თავი დაუქნია). აუჰ, ძთელი ჯარი ყოფილხართ! (რიხიანად, ბრძანებით). ატაკოვაც ი უნიჩტოჟიც პროტივნიკა ნა უჩასტკე. ხოდ სოობშენია ორიეტირ-1, ი ვდალნეიშემ პროდოლჟაც ნასტუპლენიე პო ნაპარავლენიუ როშჩი!.. წავიდეთ, წავიდეთ! ვიმღეროთ, ვიმღეროთ! (ღიღინით).

მონადირე. (მოხიბლული ჯარისკაცის რიხით). ბიჭოს, შენა, ძმობილო, კიდევაც არ დაგვიჭირო, ჰა?! (ჩადიან დაბლობში).

კვლავ ტყე, შეზარხოშებული ჯარისკაცი გამოჩნდება. მღერის.

ჯარისკაცი. დავჯექ და კრეფა დავიწყე... დილა მშვიდობისა, ხალხნო! რა გქვია, ჰა!? მეგონა უკაცურიო.

ჯარისკაცი ხედავს ორ ყმაწვილკაცს, რომლებიც დაუზოგავად ეხეთქებიან ერთმანეთს, გამეტებით ურტყამენ, არ ზოგავენ. მიესალმება მოჩხუბრებს.

დილა მშვიდობისა! რა გქვიათ? რა გაჩხუბებთ, ჰა? (ჩხუბი გრძელდება). ოჰო, ჰო! თქვენი ჯანი მომცა და!

ხან ერთი მოჩხუბართაგანი გაიშხლართება ძირს, ხანაც მეორე, ეს თენგო და ვაჟა ურტყამენ ერთმანეთს, კარგა ხანია ჩხუბობენ, ქანცი გამოლეული აქვთ, ძლივს ქოშინებენ.

(თენგოს). შენა, ბიჭო, რას გეტყვი, იცი?!

თენგო. რას მეტყვი? (ქოშინით).

ჯარისკაცი. რა გაჩხუბებთ, ძმებო?! სამხმიანი ვთქვათ, ცალხმიანი მომეწყინა, „შაშვო, ლამაზო“...

თენგო. შაშვო არა, კაკაბო! გამიშვი, თორემა!

ჯარისკაცი. (არიგებს თენგოს). ის რომ გამოქანდება, შენ გამოეცალე. მოდის, გაშოეცალე! გესმის?!

გაბუებულ თენგოს ხელსა ჰკრაეს: თენგო გადავარდება. ვერც ვაჟა შეიკავებს თავს, ისიც დაეცემა.

ჯარისკაცი. დოუნ! აი, ხომ გითხარი! (წაქცეულებს ჩაუჯდება შუაში). რა გქვიათ, ბიჭებო, ჰა?! თქვენი ჯანი მომცა და!

თენგოც და ვაჟაც წამოსხდნენ, ქაქანებენ. მტრული თვალით უყურებენ ერთმანეთს. ჩხუბის თავი არც ერთს არა აქვს, მხოლოდ ფრენენ.

ვაჟა. აუ, შენი!

თენგო. აუ, აუ, შენი!

ვაჟა. აუ, აუ, აუ, შენი!

ჯარისკაცი. ზორბაა! ზორბაა! ზორბაა! თოლიაა! თოლიაა! თოლიაა!

თენგო (ჯარისკაცს). თავი დაგვანებე! ჩვენ ჩვენი ვიც-ით... ანგარიში გვაქ, შენ ვინა ხარ? და-დაგვანებე! (ვაჟას). აუ, მე შენი!

ვაჟა. დედას!.. მამას!.. შენ!.. დაგწვავთ, გადაგბუგავთ! (ჯარისკაცს). ხელთაშუა მომტაცა, დამკლა, მე შენი!

თენგო. აუ, აუ, შენი, აუ! ტყუის! თუ მოგტაცე, სად არი? აუ, აუ, შენი!

ჯარისკაცი. მიეცი, ბიჭო, დაუბრუნე, მეგონა, ვიმღერებდით. (წამოდგება).

ვაჟა. აუ, მაგისი! შენ არაფერი არ იცი, აუ, მაგისი!

ჯარისკაცი. მე ყველაფერი ვიცი, შენ გიყვარდა გოგო. (თენგოს). თუ შენ გიყვარდა გოგო. გოგოსაც უყვარდი. მერე ამან მოიტაცა სკა, სოფლის თაფლსავსე სკა, ტვლიპა, ტვლიპა, მერე სკა შენთან მოფრინდა. შენც ტვლიპე, ტვლიპე და მერე ცარიელი სკა მიატოვე, დედა ფუტკარი გაფრინდა, სკა დაიცალა და თაფლი აღარა გაქვთ. აღარც შენ, აღარც შენ და აღარც არავის! დაბღავიხართ, ღრიალებთ, თაფლი გინდათ, ცუგრუმელებო! ეჰ, წავედი! თქვენ არც ყვავილებისა გეცოდინებათ რამე, არც არაფერი! ის რომ გამოქანდება, შენ გამოეცალე რა გქვიათ, ჰა, ბურდღუნებო?!

მე ქართველი ბუხაიძე — ბუხაიძე.
ბალყარეთის მთებში ვწევარ...

სიმღერით ტოვებს მაჩხუბრებს ჯარისკაცი.

როგორც დაგარიგეთ, ისე... ერთი რომ გამოქანდება ჰა, ჰაი, მეორე უნდა გამოეცალოს, ჰო-ჰოი! ხან შენ იყავი მეორე, ხანაც შენ და, რომ შემეძლოს საფლავიდან ძმებო, მხრების წამოწევა და...

გაჩიმული, სამწუხაროდ ნაბიჯით მიგრიალებს ჯარისკაცი. მღერის. სოფელში შემოდის. გაჩიმული, სამწუხაროდ ნაბიჯით მიუახლოვდება იგი მონკავშირის მაღაზიის წინ ჩამომსხდარ მოხუც მონადირეებს.

დილა მშვიდობისა, პაპებო! რა გქვიათ, ჰა?! თქვე ვეფხისტყაოსნებო! (ფეხს ფეხზე მიირტყამს, გაშეშდება)

ღვთისო. საღამოა, შვილო, მშვიდობა მოგცეს ღმერთმა!

ნიკალა. მშვიდობა მოგცეს, შვილო! მაგრამ ჩვენი ამბავი შენ საიდანღა იცი?

ჯარისკაცი. სამხმიანი სიმღერა მინდა, პაპებო? ვიცი, ყველაფერი ვიცი! სკა რომ დაცარიელდა, ისიც ვიცი, დედა ფუტკარი რომ გაფრინდა, ეგეც ვიცი! ხატვრისთვალი გოგო ბიჭმა სიყვარულს მოსტაცა, გოგო ალალი იყო და სატრფოსთან დაბრუნდა, მოვედიო, სატრფო ამ დროს თათს ილოკავდა, სავსე სკა რომ დაინახა, იფიქრა, თათის ლოკვას განა სავსე სკის ლოკვა არა სჯობიაო?! ჰოდა ლოკა და ლოკა, დააცარიელა და კარებწინ გამოდგა, ორი დათვი ერთ სკას არ უნდა ლოკავდესო! სამხმიანი, პაპებო! ცალხმიანს იქაც ბევრს ვმღერით. „(იაუჯდება, ხელს გადახვევს, სასიმღეროდ განეწყობა). „ზამთარია“, პაპებო, „წინწყაროო“, „შავლეგო“, „თამარ ქალო“, „ა, ქალო, ვაშლი წითელი“, პაპებო, თქვე ვეფხისტყაოსნებო! მოდით, რა!

ალექსა. ჩვენი ამბავი საიდან იცი, ჯარისკაცო?

ჯარისკაცი. ჩიტმა მომიტანა, იქა, ენში, თოფის ლულა რომ ყინულზე უფრო ცივია, იქ მომიტანა, პაპებო, თქვე ვეფხისტყაოსნებო! ვერ დაიჭერს... თქვენ გენაცვალეთ! ჰეი, რომელი ხარ? რამე მოგვიტა! (ჯარისკაცმა სახრე შემართა, დარაბაზე დააკაკუნა).

ღვთისო. საღამოა, შვილო, ნოქარი წასულია, თანაც ესა, მონკავშირის მალაზიაა.

ჯარისკაცი. (წამოიჭრება). შვებულება რომ უთოფოდ გავატარო, არ შეიძლება?! წამო, იქით გადავჯდეთ, ან სულაც ჩვენსა წავიდეთ!

ნიკალა. რომლისა ხარ, შვილო? ან იქნებ, აქაურიც არა ხარ?

ჯარისკაცი. ჯარისკაცი ვარ, აქაური, ბეგოსი, ზაუტაშვილისა, ტყეში ერთი შველი ვნახე, არც სახელი, არც გვარი, არც დილა მშვიდობისა!..

ღვთისო. მეტსახელად პროკლიაანთ რომ ეძახდნენ, იმისა?

ჯარისკაცი. ჰოო, იმისი.

ნიკალა. ჰაი, დედასა, ბეგოს მოგვერდი! ამ ჩვენს მხარეებში, შვილო, სამიც არ იყო ეგეთი.

ალექსა. ჭიდაობა და ცეკვა ერთმანეთში ჰქონდა შეზელილი, დედასა!

მოხუცებმა სიმღერა თქვეს სამ ხმაზე.

ალალო, არალო,
ჰარალალო, ჰარიალალო,
შაშვოო, ლამაზო!

ღვთისო. კი არ გვიწყინო, შვილო, აი სკაზე რომ დაიწყე ლაპარაკი, შენ რას იზამდი? კაცი ხარ, ოჯახიშვილობით გამართული?

ჯარისკაცი. (ჩაფიქრდება, ფიქრობს. მერე ერთბაშად). მე იმ ყვავილს ვემთხვეოდი, საიდანაც იმ ფუტკარმა თაფლი აიღო, წავედი, პა-

პებო! თქვენი ჰირიმე! ფეხდავკრავ, გადავახტები, ბახტრიონს, გალავანსაო. წავედი! ხვალაც მოვალ, ზეგაც მოვალ, ვივლი და ვივლი.

შირაქის ველზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო...

(თავის სახლს უახლოვდება ჯარისკაცი სიმღერით).

წინ ამიფრინდა პეპელა,
წითლად აუჩნდა ფრთანიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო...

(მოლოდინში ჩაფლულ დედას). დილა მშვიდობისა, დედი! რა გქვია, ჰა? (აივანზე ავარდა ჯარისკაცი და დედას გადაეხვია).

დედა. დილა, შვილო, შუადღე, შვილო, საღამო, შვილო, მშვიდობა, შვილო! საღამოები მშვიდობისა!.. რამდენი დილა მშვიდობისაა, შვილო!.. რამდენი მამლის ყივილი, შვილო, რამდენი გარიჟრაჟი, რამდენი დილა!.. ყველა მშვიდობისა, შვილო! (გადაეხვევა). სადა ხარ? დილას გელოდით, ჩამოვწყდით... გაცივდა ყველაფერი და... ბოდბედან ბიძაშენი ითვლეივნება, ნუკრიანიდან დეიდები და დეიდაშვილები, აქეთ მამიდები და მე რაღა ვქნა, შვილო?

ჯარისკაცი. (ხელებს გაშლის და ჩამოუვლის დედას გარშემო, ტრიალებს). ცანგალა და გოგონა და გოგლი, გოგლი გოგონა! (ცვლავ გადაეხვევა დედას).

დედა. რამდენ დღეს უნდა გიყურო, შვილო?

ჯარისკაცი. რამდენიც გაგვეხარდება, დედი.

დედა. ორი კვირა?.. არ გვეყოფა, დედა გენაცვალოს, იქაო, აქაო... შენი შვებულებაც მტრედივით გაგვიფრთხება და... თვალის გახელაც ხომ გინდა, შვილო, დედა გენაცვალოს!..

ჯარისკაცი. მოიცა, დედა, ამოვისუნთქო! თვალიც გამიხელია, ჩიტიც გამიფრენია... ყველაფერი აი, ესე იქნება! (ცერი თითი გაუჭიმა ცხვირწინ).

დედა. ბაქანზე რომ დაგხვდით და არ გამოჩნდი, შვილო? გელოდეთ, გელოდეთ!..

ჯარისკაცი. მოკლეზე მოვჭერი, დედი, აღარ დაველოდე და ხევთან ვისკუპე მატარებლიდანა. ტყე-ტყე გადმოვტოპე... შვლები ვნახე, დედი, ბულბულები, ქურციკები, დედი!.. (მოეხვევა).

დედა. დათვები, შვილო! იმ უღრანში რამ ჩამოგახტუნა?.. ჯიქები, ფოცხვერები! ტურები და ეშმაკები!.. სადგურზე დავწყდით ლოდინითა და... ჯიქები, ფოცხვერები!

ჯარისკაცი. ან მე მოვკვდები ამაღამ, ან ცხვარს მოუვა ზიანი! (აღიღინდა და ფიქრში წავიდა ჯარისკაცი).

დედა. აბა ერთი გული მაჩვენე, შვილო, დედის ნეტარებავ, საითა ხარ, რომელ მხარეს? (გაუღიმა დედამ და მარცხენა ლოყა გულთან მიუტანა შვილს. შვილმა მიიხუტა).

ჯარისკაცი. გოგო ვნახე, დედი, გოგო, რომა! ცანგალა და გოგონა და! ან მე მოვკვდები ამაღამ, ან ცხვარს მოუვა ზიანი... (წაიღიღინა ერეკლემ და მეორე ხელიც მოხვია დედას).

დედა. ჰა? (დაინტერესდა დედა და ტახტის ქიმზე ჩამოუჯდა).

ჯარისკაცი. ჰო, (გაუღიმა შვილმა და გვერდით მიუჯდა).

დედა. თქვი! (მკერდზე დაუსვა დედამ ხელი).

ჯარისკაცი (ერთხანს გაირინდა, თითქოს შესაფერის სიტყვას ეძებსო). ერთბაშად რომ გადაგიტრიალდება ყველაფერი, დედი! ერთბაშად მიწა რომ გამოგეცლება, დედამიწა, დედი! მერე აქ, შიგნით მოგეწურება რაღაც, გაწვრილდება, გაილევა, ერთი სულის შებერვა და აღარ ვიქნები!... შიმშილსა ჰგავს, თითქო დედის ძუძუს მერე (მკერდზე კოცნის) აღარა მიჭამია რა!.. (პაუზა). და... (პაუზა, მუდარა). ნუკრიანში მაზეგა, დედი, ან სულაც მერე. დანარჩენებთანაც მერის, მერის, მერე, დედი! ჰო, რა, დედი! (შეევედრება შვილი, სუფრიდან აიღებს საჭმელს, ხელადას დაავლებს ხელს).

ჯარისკაცი. მოდი, მე ცოტა ხნით მოხუცებთან გავვარდები, რაღაც ისე ძალიან მომინდა, რაღაცეები მომინდა! ათასი რამეები მომინდა! სამხმიანი სიმღერა, დედი! აქ რაღაც სიჩუმეა, არ მიყვარს სიჩუმე! მინდა, რომ ვიღაცა რაღაცას მიამბობდეს, ვიდგე და მიამბობდეს, ალალსა და ნაღდსა, დედი... ვიწვე და მიამბობდეს, რაღაცას ჩამჩურჩულებდეს!

დედა. გასწი, შვილო! გაიარე! გაიხარე! აჰა, შოთები, ყველი!

ჯარისკაცი. „მხედრული“, დედი, „წინწყაროო“, „შაშვი ლამაზი“, მალე მოვალ, დედი! (გარბის).

დედა. (ფიქრში). რაღაც გინდა, შვილო, დედა გენაცვალოს!

კვლავ მონკავშირის მაღაზია, მაღაზიაში სინათლე ანთია. მოისმის ღრავალხმიანი სიმღერა „ესროლა ბერმა პაპამა“...

ვანო. თქვენი ჭირიმე, უნდა დავკეტო, ვა, გამიგონეთ! თქვენი მუზეუმი ხომ არ არის, ვა! ჩამოვხსნი ემაგ დარაბასა და შინ გაგატანთ, ვეფხვიან ურმიანათა. მერე კიდევ ივლით?! წადით, ვა! თვალები მეხუჭება, ჩხირებითღა ვიმაგრებ. წადით!..

ჯარისკაცი. (კარგა ნასვამი). ვანო! ვანო! შენ ერთი ვაშლი დაიდე თავზე და მერე მე ვიცი!..

ალექსა. (ღვთისოს). ნიკ-ნიკ-ნიკალა, გესმის, ბიჭო!..

ღვთისო. (ალექსას). აგე, ნიკ-ნიკ-ნიკალა, მე ალექსა ვარ, ალექსა.

ალექსა. ჰო, აგე, ჩვენი ბეგოს ბიჭი!..

ღვთისო. ვიცი, ვიცი, ჰო... ეგ წინ გაგვიძღვება და ხვალ უნდა დავაყუმბაროო იქა, დათვები! მაშა!..

ვანომ მოულოდნელად დაცალა თოფი, მოხუცები ცოტა გამოფხიზლდნენ. წამოდგნენ.

ვანო. (მაღაზიას კეტავს). ხვალიდან განცხადება უნდა დავწერო. ვინც მიგაჩვიათ აქ ლიტანიობასა, ისევ ის დააყენონ. მაინც ზარალის მეტი აქ არაფერია.

ნიკალა. (ბუტბუტებს). მა როგორა, მა... მა!..

მოდიან, ხელგადახვეულ მოხუცებს შუაში ჯარისკაცი ჩაუყენებიათ.

ღვთისო. მა, მა როგორა? ეს ზარალი იმ ზარალთან არც არაფერია. მა უნდა გაგვეშვა?! ეჰ! (ხელებს ჩაიქნევს).

ოთხივეს ტყვია-წამალი და ათასგვარი ხაფანგები წამოუღია მაღაზიიდან. სულ ჩხარაჩხურით ძობაჯბაჯებენ. ერეკლეს თითბრის ნადირთსარეკი ბუკი უპირავს. დროდადროა შედგება და ჩაბერავს.

ალექსა. ლეკიხევში უნდა ჩავდგეთ, ბუნაგი იქ არი, იქ იჩეკებიან ეგ მძმასულკეტიანები!..

ნიკალა. (ჯარისკაცს). ოღონდ ნელ-ნელა, ბეგოს ბიჭო! სვენებ-სვენებით უნდა ვიაროთ, რაკიღა შენ ჩვენ მოგვიგონე, მორჩაა!

ღვთისო. არც კაცი ვარგაო, როგორღაც როა, შვილო, ჩვენც ეგრე ვართ, ჟანგმა შეგვჭამა, ჟანგმა, ბეგოს ერეკლევ!

ჯარისკაცი. (ერთბაშად). დილა მშვიდობისა, გო! რა გქვია, ჰაჲ! (ისეა ანთებული ჯარისკაცი, რომ თეთრი ქალის ჩრდილი ეჩვენება). აი, ის გოგო ვინ არი, პაპებო? აი, ის გოგო?! აგე!.. (გაურკვეველი მიმართულებით აცეცებს მოფარიკავე ხელს ჯარისკაცი).

ნიკალა. რა ვიცი, შვილო, ვერ დავინახე.

ღვთისო. გოგოები ბიჭებს უნდა ჰკითხო, შვილო.. ჩვენა, შვილო, მეორედ მოზელილი პური რომ გახმება... აი, ჩვენი საქმე ეგრეა...

ჯარისკაცი. ახლა ჩაიარა, ამ წუთში! აგერ! არა, აღარა ჩანს... (ღელავს ჯარისკაცი).

ალექსა. რა ვქნათ, შვილო, დავჟანგდით-მეთქი...

ნიკალა. წუთია წუთისოფელი: ხარ, აღარა ხარ, დაინახე — შენია! ვერა — სხვისია! ეხლა ეგრეა, შვილო... სამოცდაათის იქიდამ გელაპარაკები, შვილო, ოთხმოც წელს თავს ვუხახუნებ, ჰოდა, დათვი რომ ყალყზე წამოდგება, უნდა ესროლო! არადა, გაცდა ის წუთი, გაქრა, მეორე წუთას ნადირი რა ჰკუაზე დადგება არავინ იცის; ან ძაღლს დაგლეჯავს, ან... ერთ კარგ მდევრად არა ღირს

ერთი დათვი, რაც არ უნდა დიდი და ვეებერთელა იყოს. (ფიქრობს). მგონია სახლს გამოვცდი.

ღვთისო. თორე ერთბაშად მდევარი არ დაგვადევნონ... ეჰ, მგონი მეც გამოვცდი.

ალექსა. მოდით, ბარეღამ ბიჭი შინ მივაცილოთ... და... ოჰ, რამდენ რამეს გიამბობთ, შვილო! რამდენსა, ბეგოს ერეკლეო! რომა, ჰა! გავიდეთ ხვალ დეკიხევშია! (მიდიან).

ჯარისკაცი. (სიმღერით ადის აივანზე). ან მე მოვკვდები ამაღამ, ან ცხვარს მოუვა ზიანი.

დედა. (შეწუხებული). შენი მტერი, შვილო, შენი დამაწყევარი! რას აიხირე ეგ სიტყვა?!

ჯარისკაცი. ა, ქალო, ვაშლი წითელი, და, უბეს ნადები ნასეტყვი... გოგო მიყვარს, დედი!

დედა. რომელია, შვილო, რა ჰქვია?

ჯარისკაცი. ტყეში ვნახე, შველსა ჰგავდა, დედი, ვიწვი, დედი! ცეცხლი მიკიდია!

დედა. (შემკრთალი). ვაიმე, შვილო! დაწე, დედა გენაცვალოს! დაიძინე, გამოგინელდება!

ჯარისკაცი. წამო, დედი, დავძებნოთ!..

დედა. გამოგინელდება, შვილო, დაწე, დედა გენაცვალოს! შუა ღამეა, ვის უნდა მივადგეთ?

ჯარისკაცი. ჩირაღდნები ავანთოთ, დავძებნოთ! მე დილამდე ვერ მოვითმენ! ან მე მოვკვდები, ამაღამ, ან ცხვარს მოუვა ზიანი!

დედა. შენი მტერი და შენი დამაწყევარი, შვილო!.. დაიძინე, დედა გენაცვალოს, გამოგინელდება! (შემკრთალია დედა).

ჯარისკაცი. დედი, „შაშვი ლამაზი“, „თამარ ქალო“, „ა, ქალო, ვაშლი წითელი“, „წინ წყარო“, „გიხდება სიმხიარულე“, დედი! ავანთოთ! დავძებნოთ!

(ამ ბორგვა-ბორგვაში ნელ-ნელა დაამშვიდა ჯარისკაცი, ბოლოს ჩაეძინა).

დედა. (ბალიშს უგებს თავთით). ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! ღმერთო, გადაავიწყე! ღმერთო, გაუნელე!

დილა, ჯარისკაცი იარაღს ამზადებს, თოფს წმენდს, ვაზნებს ტენის.

დედა. ნუ წახვალ, შვილო, დედა გენაცვალოს, გული ცუდს მეუბნება! ისევ ჩვენებთან ჩავირბინოთ, ნუკრიანი, დედა გენაცვალოს! ბოდბე — გაიხარებენ.

ჯარისკაცი. (ღიღინებს). საყვარლის კაბას ვამსგავსე, ღმერთო, დამწვრე ჯვარიო.

დედა. ვერ წახვალ, შვილო! ვერსად ვერ წახვალ!..

ჯარისკაცი. (სიყვარულით). წავალ, დედი! ისე წავალ, რომა!... საჯვარლის კაბას ვამსგავსებ, დედი, დამწერე ჯვარიო! (იღიმება).

დედა. ეგ არ მოხდება, შვილო! არა! არა! არა! (ჯარისკაცი შეაფიქრა დედის დაჟინებამ. მაინც გაუღიმა ბოლოს).

ჯარისკაცი. რატომა, დედი? რად გაგულისდი, ჰა?!

დედა. ეგა, შვილო, (ტუჩები აუთრთოლდა). ეგა, ჩვენი ნინოა, შვილო!..

ჯარისკაცი. ჩვენი? ჯერ არ არის, დედი, გახდება კია!..

დედა. ვერა, შვილო, შენი ვერ გახდება! უკვე გამხდარია!.. რომ დავიწვა» და აღარ ვიყოთ! ბოდბედიანთ თენგიზა რომ გასწყალებოდა დედას მუცელშია და, ნურც ვაჟა ლეკიშვილს დაჰყრია უკეთესი დღე! დედა გენაცვალოს! მაგათ ჩაგვიქოლეს და ჩაგვიქრეს, დაგვთხარეს და დაგვაბრმავეს!.. გლოვის ზარი დგას, შვილო, ნინოზედა, იქ მე შენ ვერ გაგიშვებ, დედა შემოგეევლოს! ვერა! ვერა!..

დედა აქვითინდა, ჯარისკაცმა თოფი მიაყუდა.

ეგრეთი ვერ გასაგონი ამბავი მოხდა, შვილო, და ახლა თუ გინდა ჩამქოლე, დედა გენაცვალოს!..

სიჩუმე ჩამოწვა. საშინელი, გაუტეხელი სიჩუმე. ერეკლე ძლივს მოცილდა სვეტს და აივანზე გაიარა, მერე კვლავ აისვეტა, კვლავ სიჩუმე, მძიმე, გაუტეხელი...

მენახირე. (შორიდან). საქონელი გამორეკეთ!

დედა. ძროხა ბაგაზეა, ლევანა, ნუღარ შეწუხდები! თანაც, შემოდგომა ილევა, აღარც რა ბალახია...

მენახირე. რაღას დამატარებთ კარდაკარა, ნეტა ვიცოდე?! აღარ გინდათ, ნუ გინდათ! მოვკვდი ტანტალითა და!.. ბაგაზეა და ბაგაზეო, ყველა ეგრე მეუბნება, პატრონი დედაცა რა! მე რა, ის კი არა ვარ, როგორღაც როა! (ბუზღუნბუზღუნით მოშორდა ცარიელ-ტარიელი მენახირე, შორიდანღაისმოდამისიბუზღუნი).

სიჩუმეა.

ჯარისკაცი. (ერთბაშად). საქონელს აღარ უშვებთ, გეშინიათ და... მზე რომ ტყეში დაგიდით, რატომ ამაზე არას ამბობთ, დედი?! არა გრცხვენია, დედი?! არ იწვი, დედი?! რატომ?! რატომ არ ჩაუვარდები ფეხებში იმ ანგელოზსა და არ შეევედრები, ჰა? დედი?! (დედა დუმს, უხმოდ სდის ცრემლი). რატომა მეთქი, დედი?! შვილი ვარ შენი და პასუხი გამეცი! (მიუაილოვდა, მკლავები მოხვია ჯარისკაცმა დედას და თვალებში ჩახედა).

დედა. (ერთი ხნის სიჩუმის შემდეგ). ჩვენით ხომ არ იწყება

ეს ამოდენა სოფელი, შვილო? (თვალი მოარიდა დედამ ანთებულ შვილსა.).

ჯარისკაცი. და რომ არც ჩვენითა მთავრდება სოფელი, დედი! რაღასა დგეხარ? ვის უცდი? იქნება ჩვენი რიგია, დედი, რას ელოდები, ჰა? (დედა უხმოდ იდგა შვილის წინაშე).

დედა. არ ვიცი, შვილო! (ძლივს ამოთქვა დედამ).

პაუზა.

ჯარისკაცი. არაო? (ხმადაბლა, წყენით წარმოთქვა ჯარისკაცმა და კვლავ აივანს მიეყრდნო გაოგნებული).

დედამ სუფრის გაშლა დაიწყო ფრთხილად.

ღვთისო. (ეზოდან). ერეკლე, ბიჭო, დილა მშვიდობისა!...

ირანიდან გადმოხვეწილი ვეფხვის მკვლელი სამი მოხუცი მონადირე უღიმოდა ჯარისკაცს.

ნიკალა. პირობაზე როგორა ხარ, ბიჭო?! (ამოსძახა ნიკალამ და. იარაღი შეისწორა).

გარდა თოფ-იარაღისა, ხაფანგებიც ბლომად ეკიდათ მოხუცებს. ხანდაზმული, დათვებთან ნაბრძოლი მდევრები მორჩილად ბლიტავდნენ თვალებს.

ჯარისკაცი. (ფიქრობს). დილა მშვიდობისა! (მიესალმა უგემურად, მერე, აივანს მოსცილდა და ტახტზე ჩამოჯდა. მოწყდაო თითქოს, მოეშვა, ზამბარასავით ვაჟკაცი).

დედა. (ფრთხილად). გელოდებიან, რა პასუხი გავცეთ, დედა გენაცვალოს?

ჯარისკაცი. შენ რა პასუხს გამცემ? (თვალები შეანათა დედას).

დედა ჩაფიქრდა, კვლავ სუფრას წაეპოტინა საქმის გასამარტივებლად.

დედა. (ფრთხლად). ნუკრიანი, შვილო?

პაუზა.

ჯარისკაცი. მაშ, მარტო ნუკრიანი, ჰა, დედი?

დედა. ბოდბეცა, შვილო.

ჯარისკაცი. მაშ, ეგ ორი და მეტი არაფერი, ხომა, დედი?! (ჩაფიქრდა. მოეშვა, შემდეგ სახურავს ახედა, გაიზმორა).

დედა. რა ვუთხრა, შვილო?

ჯარისკაცი. (ჭერს შესცქერის). ეს სიძეო, ეს მიძეო და ეს კოჭებიც რომ ჩამომპალა, ხელი ვერავინ წაგახმარა?, (წამოდგა, აივნის ბოლოსაკენ გაიარა). ანდა, აგერ, ის ბებერი ხეხილი რომ გადასახალისებელია, თი-

თო ძირს, თითო ახალი ნამყენი უნდა მიამაგროს კაცმა, თორემ მალე მოცდება ადგილი... აგრონომი ვარო, წერილებში რომ მეტრაბახება სიძე-ბატონი... საქმე¡ქვეყნისაა. იარაღი გვაქ რამე, დედი?

დედა. გვაქ, შვილო, ცოტა გასამართი იქნება. ამათ რა ეუთხრა?

ჯარისკაცი. (გახედავს მოხუცებს). რაღა დროს მაგათი თავის გამოდებაა, კაცმა რომ თქვას? თითოს თითო ცხვარი უნდა მიჰყავდეს ალავერდში, მორჩა და გათავდა!.. ის ბილიკი კიდევ სადაო გაქვს დედი, ვენახის ბოლოზე? მიეცი და გაანებე, ერთი ათი ნაბიჯიც ჩვენკენ გადმოუზომე, სჭირდება ალბათ, გაიმეტე!..

დედა. თავს შემოგევლე, შვილო, აგრე იყოს, მაშ, მე ბილეთებზე ჩავირბენ, თან ამათაც ვეტყვი, რომა...

ჯარისკაცი. ჰო, უთხარი, რომა ეზო-კარი მისახედი გვაქვს და, მამული... კოჭებზე უთხარი დამპალია-თქო, თუ არ დაგრჯერონ, მოიყვანე და ყველაფერს წმინდად ვაჩვენებ. ერთი სიტყვით... რაღაცამ აწყინა-თქო!.. ერთი სიტყვით, კაცი კი არა, ფლავია-თქო! უარესი-თქო, მეტისმეტი ნეხვია-თქო! ნეხვს კიდევ არა უშავს რა, უფრო მეტი უთხარი!.. ერეკლე კი არა და, თეკლეა-თქო! უთხარი!.. შენ რომ მაგეებს ეტყვი, მე აივანზე ყროყინს მოვრთამ და ვირია-თქო, დიდი და დიდყურა-თქო, უთხარი, დედი! უთხარი! მიდი! რაღასა დგეხარ?! მიდი!..

დედა. (შემკრთალი). ვაიმე, შვილო, ე რა თქვი, ჰა?

ჯარისკაცი. ყური მოგჭრა განა, დედი? მიდი! უთხარი!.. სიმართლემ ტკივილი იცის განა, დედი? (პაუზა.) გამიშვი, დედი! წავალ, ვეთრევი, თავქვას მივახლი, გამიშვი, დედი! თორემ ვეღარც იქ გამოვდგები, დედი, ყინულზე უფრო ცივლულიანი თოფი რომ მაქვს სატარებელი, დედი! ჰო და იმის ღალატი კი არ იქნება! (ერთბაშად თავი გააქნია, მძიმე ფიქრები მიმოიფანტა, აიჭიმა, აღიმართა. თოფ-იარაღი და ბუკი ხელთ იგდო და კიბეებზე დაეშვა.)

დედა. (ფრთხილად უფრთხილესად). ნუკრიანი, შვილო?

ჯარისკაცი. (უკანმოუხედავად). ომია, დედი, დიდი ომი! (გარეთ გავარდა.).

ძაღლების გაუთავებელი ყეფა არც ფარდის გახსნის შემდეგ წყდება, ეს მრავალხმიანი ყეფა ხან ახლოვდება, ხანაც შორეული ხდება. უღრანი ტყით დაფარული ხეობის შედარებით ვაკე ადგილას ქოხი დგას. ქოხის წინ მელიისა და კურდღლის ტყავები მიმოჭანაობს ყელთავქვე, ჯარისკაცი გულღმა წევს ქოხის წინ, თიკაზე. შორეული ყეფა თანდათან ახლოვდება. ჯარისკაცი გარინდული წევს, თავქვეშ ხელები ამოუწყვია. ძაღლების ყეფა თანდათან სულ ახლოს იწევს და ბოლოს, თითქოს ჯარისკაცს უყეფნო, ზედ ქოხთან ატყდება ძაღლების ორომტრიალი. სანახაობა არა ჩანს, თორემ სხვაფრივ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჯარისკაცის აყენება, გამოგდება უნდათო ძაღლებს. ჯარისკაცი წამოიწევს, ყურებზე ხელებს მიიფარებს, არის გარინდული. შემდეგ ძაღლების ყეფა თანდათან შორდება იქაურობას. შორეული ხმები დგას

მხოლოდ პაერში. ჯარისკაცი კვლავ გაწვება თივაზე... ქოხის წინ, ცეცხლზე ქვაბი დგას. ქვაბს ხეთისო უჩიჩხვირებს. შემოდის ნიკალა, აბგა ჰკიდია.

ღვთისო. (ნ ი კ ა ლ ა ს, ხ მ ა დ ა ბ ლ ა). რა ქენი, ნიკალა, გასინჯე ხაფანგები? (ე კ ი თ ხ ე ბ ა ც ე ც ხ ლ თ ა ნ მ ყ ო ფ ი მ ო ს უ ლ ს.)

ნიკალა. (ა გ რ ე თ ვ ე ჩ უ რ ჩ უ ლ ი თ). ხაფანგებზე მე როდის ვიყავი.. ხაფანგები ალექსამ დაჩხრიკა, რაღაცას ატყავებს. (ნ ი კ ა ლ ა ჯ ი რ კ ზ ე ჩ ა მ ო ჯ დ ა, ა ბ გ ი დ ა ნ ჰ ი ჰ ნ ა რ ჩ ა ფ ე ნ ი ლ ი რ ა მ დ ე ნ ი მ ე კ ა ლ მ ა ხ ი ა მ ო ა ლ ა გ ა, ბ ო რ ხ ვ ე ნ ა ფ ო თ ო ლ ი დ ა ა ფ ი ნ ა ჯ ი რ კ ვ ს დ ა ზ ე დ დ ა წ ი ნ წ კ ლ უ ლ ი კ ა ლ მ ა ხ ე ბ ი დ ა ა წ ყ ო).

ნიკალა. (ჯ ა რ ი ს კ ა ც ზ ე ა ნ ი შ ნ ე ბ ს ღ ვ თ ი ს ო ს). სძინავს ბიჭსა?

ღვთისო. სძინავს (გ ა ხ ე დ ა ვ ს ჯ ა რ ი ს კ ა ც ს). წელან ბორგავდა.

ნიკალა. ჩამოდნა, აღარ არი. (ნ ა ღ ვ ლ ი ა ნ ა დ თ ქ ვ ა ნ ი კ ა ლ ა მ დ ა თ ე ვ ზ ი ს გ ა მ ო წ ე ლ ვ ა ი წ ყ ო ფ ხ ი ა ნ ი დ ა ნ ი თ).

ღვთისო. შარი კი არ გავხდეთ ამ სიბერეშია და! (თ ქ ვ ა ჩ ა ფ ი ქ რ ე ბ უ ლ მ ა ღ ვ თ ი ს ო მ დ ა ქ ვ ა ბ ი ც ე ც ხ ლ ი დ ა ნ გ ა დ მ ო დ გ ა).

ნიკალა. შარსა და თავსა ჩივი, რა მოგდის?!

ღვთისო. არა მაგრამ. მალე თოვლს ჩამოყრის და...

ნიკალა. ჩამოყრის და ჩამოყაროს! (თ ქ ვ ა ნ ი კ ა ლ ა მ).

შემოდის ალექსა.

ალექსა. (ჯ ა რ ი ს კ ა ც ს გ ა დ ა ხ ე დ ა ვ ს). სძინავს?

ნიკალა. ჰო, შიგადაშიგ ბორგავდა.

ალექსა. (ჩ ა ნ თ ა ს მ ო ი ხ ს ნ ი ს). კურდღელია კიდევ...

ღვთისო. მაშ არა და, ჩვენი კიწა-კუწა ხაფანგებისათვის ატროყდებოდა ნადირი. მე ეგეც მიკვირს, ქოხს ათ ნაბიჯზე არ გავშორებივართ და როგორ გინდა, რომა?! (ხ ე ლ ი ჩ ა ი ქ ნ ი ა, ფ ა ფ ა თ ე ფ შ ზ ე ა მ ო ი ღ ო, ჯ ა რ ი ს კ ა ც ს მ ი უ ტ ა ნ ა, ა ხ ლ ო ს დ ა უ დ ო). (ჯ ა რ ი ს კ ა ც ს დ ა ხ ე დ ა ვ ს). ჩამოდნა საღსალამათი.

ნიკალა. ჩამოდნა და ვერც ვერაფერი ვიღონეთ.

ალექსა. შვებულება კი ტყეში გამოუღამდა! ვინ იცის, როდის უნდა გამოცხადებულიყო? ჯარია, საერთო კრება ხომ არა გგონია.

ღვთისო. ეგ არ შეეშლება, არა მგონია...

მოხუცებმა ჭამა დაამთავრეს და ზოგმა ჯირკზე ჩათვლიმა, ზოგიც თივაზე გაწვა.

ძაღლების შორეული ყეფა თანდათან იზრდება, ქოხისკენ იწევს და ბოლოს, თითქოს ზედ ქოხთან აყეფდაო ათასი მდევარი, ისეთი ამბავი ატყდა. ჯარისკაცმა წამოიწია, მერე სულაც წამოდგა, მთასავით აღიმართა თეთრპერანგიანი. საგრძნობლად შელახული ჩანდა წვერმოშვებული ჯარისკაცი. ერთი მიმოიხედა და ტყეს მისცა თავი.

ჯარისკაცი. დილა მშვიდობისა, გოგო! (ფრთხილად მიესალმანინოს ჯარისკაცი და ბილიკი გადაუკეტა).

ნინო. დილა მშვიდობისა! (თქვა ნინომ და გზა განაგრძო. პატარა წიგნი ედო იღლიაში გოგოს, ხელთ პატარა კალათი ეკავა).

ჯარისკაცი. მოიცადე, გენაცვა! სიტყვა გითხრა! (ტოტი დაღუნა და ახლა ამ საშუალებით სცადა ქალის შეფერხება). შვებულება ტყეში შემომადნა, ნინიკო (გაჰკრვებით ამოთქვა ჯარისკაცმა სამდურავი).

ნინო. დამეხსენ!

ჯარისკაცი. მიყვარხარ, მზეო!. შენ გადავლილ ფოთლებსა ვთვლი ამდენი ხანია.

ნინო. (ნაღვლიანად). ბევრია?! (ნაბიჯი შეანელა ნინომ).

ჯარისკაცი. (წინიდან დაუვლის). თოვლი მოვა და მერე რაღას იზამ?

ნინო. (ნაღვლიანი ღიმილით). ვიგუნდავებ... ვიციგავებ... თოვლის პაპას გავაკეთებ...

ჯარისკაცი. მე რაღა ვქნა, შვებულება შემომადნა-მეთქი.

ნინო. არ ვიცი, წადი, წადით, წადით! (მიდის).

ჯარისკაცი. (ფიქრში). ვეღარსად ვეღარ წავალ, ვეღარაა!

კვლავ ახლოვდება ძაღლების ყეფა-გნიასი, ბოღოს სულ ახლოს ისმის. მერე ზედიზედ გაეარდება თოფი. გახარებული მონადირეები ისე ჩამოურბენენ, რომ ვერც კი შენიშნავენ ჯარისკაცს. გზა-გზა კიდევ ისვრიან.

პირველი მონადირე. არის! შუბლშია!

მეორე მონადირე. ბოლო სროლა ჩემი იყო, ჩემი!

შესამე მონადირე. მთავარი პირველია! პირველი მე დავეცი!

თავმჯდომარე შემოდის, ჯარისკაცს შენიშნავს.

თავმჯდომარე. ერეკლე, გამარჯობა! აქ რა გინდა? (ცოტა შეკრთაო თითქოს).

ჯარისკაცი. ისე, დავდივარ..

თავმჯდომარე. წასული მეგონე, აღარ გამოჩნდი, მეც ვეღარ მოგაკითხე, დათვებს გადავყევით, თითქო ბევრი დავხოცეთ და მაინც ბევრია! აქვეა ჩემი ქოხი, წამო!

კვლავ ტყე, თავმჯდომარის ქოხი ვეებერთელა ბუნაგსა ჰგავს. ყველგან დათვის ტყავებია შიმოფანტული, ძირსაც, კედელზედაც, თავმჯდომარე და ჯარისკაცი ქოხში შედიან. ქოხში ვიღაცეები წვანან ტყავებში გახვეულები.

თავმჯდომარე. ადექით, სტუმარი მოვიდა!

პირველი კაცი, ვინც ფეხზე ადგა, დორე იყო. ბეწვის მოკლე, ბანჯგვლიანი ჯუბა ეცვა, თავზეც ბეწვის ქუდი ეხურა. რომ წამოდგა, თიევის ღერები აჰყვა ტანზე.

დორე. დორე ვარ, ცურტაველი. (ხელი გაუწოდა ჯარისკაცს). სოფლის გუნდი მებარა, საკავშიროზე უნდა წავსულიყავით, რესპუბლიკურზე ყველას ვაჯობებთ, ჰოდა ჩაგვეშალა.

თავმჯდომარე. გეყოფა მოთქმა-წუწუნი. წადი ერთი, ხალხი შეაგროვე, ჯარისკაცს სამხმიანი სიმღერები მონატრებია.

დორე. (აკვირდება ჯარისკაცს). დამაცათ, დამაცათ, დამაცათ. ერეკლე! შვილო! ძმაო! ჯარისკაცო! (გადაეხვევა) „შაშვი-კაკაბი“, „წინ წყარო“, „თამარ ქალო“, „შავლეგო“, „ალალო“, „გუშინ შვიდნი“, საიდან?: როგორ! შენ გენაცვალე! სულ გათვალიერებდი. წითელდროშოვან ანსამბლში რამდენჯერ გავგზავნე შეკითხვა, ვერა და ვერა!..

ჯარისკაცი. დავმალე, არ მინდოდა, საზღვარზე ვარ, შორეულში.

დორე. (დაფაცურდა). ეხლავე, ეხლავე! მოგიკვდეს დორე მასწავლებელი!.. ყველას შევყრი, მოვლალავ. მართალია ის არ იქნება, მაგრამ რაღაცას მოვახერხებთ. (სავალ ტელეფონს ეცა). ალო, ალო! მეშვიდე ბუნაგია? ხალხი მთავარ ქოხში მოიყვანეთ. დაკიდე! დაკიდე! ალო! ალო! მეცხრე ბუნაგია?! (ჯარისკაცს შეხედა ღიმილით). თავმჯდომარე კი მიშლის, მონადირეთა ქოხებს ბუნაგს რომ ვეძახი, მაგრამ აბა, შემომხედე, დათვს რითი ვჯობივარ... ალო! ალო! დანარჩენ ბუნაგებს გადაეცით, რომ თავმჯდომარის ბრძანებაა, აქ უნდა გამოცხადდეს ყველა, მთავარ ბუნაგში ჯარისკაცია. ჰო, აბა, თქვენ იცით! (წამოხტა, ერეკლეს გადაეხვია კიდევ, ჩაიხუტა და გულწრფელად ატირდა). იცი, რა ღმერთი გაგვიწყრა? შენ არ გეცოდინება. შენი წასვლის მერე იყო, აი, რომ მიდიხარ უკუნეთში და რაღაცა ბრწყინავს, თვალსა გჭრის, საიდანღაც, ხის ფესვებიდანა თუ მიწის სიღრმიდან, ერთი სიტყვით, რა ხმა მოვიდა, რა ქალი! ეთერი! ხმა ჰქონდა, ქვესკნელიდან ვარსკვლავებამდე, და... აუ... დავიღუპეთ! აი ხომ ხედავ, რა დღეში ვართ, ახია ჩვენზე. ჩემზე ხომ, ახია კი არა და, ახის ახია!

დაბრუნდა თავმჯდომარე.

დორე. (თავმჯდომარეს). ხელს ნუ აქნევ! ფეხს ნუ აქნევო! თავს ნუ აქნევო! აგერა, ვჭამთ თუ არა ბელებსა! (თავმჯდომარეს შეუტევს).

თავმჯდომარე. გაჩერდი, თორე... იმოდონა დათვის ხორცი მაქვს ნაჭამი რო... თუ ერთი შეედექი ყალყზე!

დორე. ეხლა გინდა ყალყზე შედექი და გინდა ცხენზე შეჯექი. აი, აგერა (ჯარისკაცს მოხვევს ხელს). სად შევხვდით ჩვენ გაზრდილ ვაჟკაცსა, ტყეში! ბუნაგში!

თავმჯდომარე. ვის ვეუბნებოდი და ვის ვაფრთხილებდი, რომ გუნდის წევრებს გულებში ჩახედე, მარტო სიმღერით არა გამოგივა მეთქი, არ გაფრთხილებდი? არ გეუბნებოდი?! გასუქდით და სული დაივიწყეთ მეთქი! რა აღმზრდელობითი სამუშაო გასწიე, რო ეს ამბავი დაგვატეხე თავსა?!

დორე. აღმზრდელობითზე მარტო მე უნდა ვიფიქრო?! სხვანი?! რაო, არ ჩავაკალი თავი ამ საქმესა, ბრძანე ერთი?! შარა-შარა კონცერტებს გვამართვინებდი და ბუდრუგანიდან ბუდრუგანაში გადავდიოდით. კიდევ კარგა მოვატანეთ ამ ბედნიერ დღემდე!

მილიციელი. (შ ე მ ო ი ხ ე დ ა ვ ს). ბოდიში კია, მაგრამა, ეს ამოდენა ტყავის ზვინები რო გვიდგია, არ გაოხრდეს, გოგირდმჟავაც მელევაო, დაბაღი ამბობს, რა ვქნათ, ჰა?

თავმჯდომარე. წადი აღზევანსა, თორე!.. არ გამღერო ურმული მე შენა.

დორე. მე წავალ აღზევანსა. დავუჩოქებ, შევეხვეწები, იქნებ წამომყვეს. ჩემი გაზრდილია და ჩემს გასაჭირს გაიგებს!

თავმჯდომარე. ახლა არა, ხალხს მივხედოთ. ისა ჯობია, დამშვიდდი!..

დორე. ჰაი დედასა! სუფრაზე რომ დავჭექავდი, შვილო, მეორე დღესა კალატოზები მოჰყავდათ, დაბზარული კედლების ამოსალესათა!.. დაბაღიო და მარილიო და გვარჯილაო და!.. ენკენისთვე!..

პაუზა

დორე. ცოტა თუ არ გაიღე შესაწირავი, სამსხვერპლოს ზეციდან არა მიემატება რა.

თავმჯდომარე. მაშ ვისი ძვლები აწყვია კავკასიონთანა და იმას იქითაც კიდევა?!

ქოხში შემოვიდა მილიციელი დათო.

დათო. ხალხი მოგროვდა, დორე ბატონო.

დორე. (ჯ ა რ ი ს კ ა ც ს). ეს ჩვენი მილიციელია, გაიცანი, დათო ჰქვია, დათიკო, სახელიც კარგი აქვს, დათუნიაი.

ჯარისკაცი. (ხ ე ლ ი ჩ ა მ ო ა რ თ ვ ა). გიცანი, დათიკო.

მილიციელი. მეც გიცანი, გახსოვს ალაზნის პირას მტრედის ბუდეებს რომ ვშლიდი, ტოტი რომ მომიტყდა, რომ ვიხრჩობოდი?!

ჯარისკაცი. კამეჩი შემოვაგდე მორევში. მახსოვს...

თავმჯდომარე. ხალხი დაეწყო, წამო უხელმძღვანელე, დორე ბატონო! (მ ი ლ ი ც ი ე ლ ს). ქვაბებს მიხედეთ, ფურნეში ბელები იწვის და მეტი არ მოუვიდეთ. აბა შენ იცი! სამი კაცი მომაგრებული გყავს...

მილიციელი. საკმაზი, სანელებელი, ნიორი, ყველაფერი მიცემული აქ? (ი ღ ი მ ე ბ ა).

დორე. (ჯ ი რ კ ზ ე შ ე დ გ ა. თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ა დ ა ჯ ა რ ი ს კ ა ც ს მ ო ხ ე დ ა). თქვენც უნდა ჩადგეთ გუნდში! მობრძანდითო!

გუნდში მხოლოდ მამაკაცები არიან, მონადირენი.

ჯარისკაცი. მე ვერა, ახლა ვერა... მერე, სხვა დროს...

თავმჯდომარე. (დორეს). კარგი, ვაპატიოთ, მე ჩავდგები. ესა ვარ, ისა ვარო, შენზე ნაკლები ხმა არც მე მქონდა...

დორე. აბა, ჰა, შემჭიდროვდით! შემჭიდროვდით, თქვენ თუ არ მოინდომებთ, ყველას მაგივრად ორი-სამი კაცი ვერ ვიმღერებთ.

ზამთარიო ჰარიალა, ჰო!
ზამთარი ვარდსა დააჭნობს,
ფოთოლი ჩამოსცვივაო, ჰე,
აქა მშვიდობა!

სიმღერა მეორდება. ძაღლების შორეული ყეფა თანდათან ახლოვდება. თანდათან სიმღერას ყეფა ცელის. პირს კი აღებენ გუნდის წევრები, მაგრამ მათ ხმებს ძაღლის ყეფა ახშობს. ჯარისკაცი დგება და მიდის..

ჯარისკაცი. დილა მშვიდობისა, რა გქვია, გოგო? (ჯარისკაცმა კვლავ გადაუღობა ბილიკი ნინოს).

ნინომ გვერდი აუქცია. წავიდა.

ვინ გიყვარს, მზეო? (გაჰყვა ჯარისკაცი).

სიჩუმეა, ნინო მიდის.

მა რა ექნა? (სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაჰკიდა კითხვა ჯარისკაცმა და სუნთქვა შეკრული დაელოდა პასუხს).

ნინო. რა გინდა?

ჯარისკაცი. შენი სიყვარული, მზეო! (ამოაყოლა ყველაფერი).

გოგო მიდის.

(ჯარისკაცი აფეთქდა), მოგკლავ, ეცოდე! (არცა ჰგავდა მუქარას ჯარისკაცის ნათქვამი).

ნინო. მაგიტომ დავდივარ. (ჩურჩულით ამბობს და მიდის).

ჯარისკაცი. მოგკლავ-მეთქი! (ორივე ხელი დაუჭირა ქალს).

ნინო. შეგიძლია...

ჯარისკაცი. ჯარისკაცი ვარ, გოგო! (ცოტახნის სიჩუმის შემდეგ ამოიოხრა და მოწყვეტით დაუშვა მკლავები).

ჯარისკაცი. დილა მშვიდობისა, რა გქვია, გოგო? ნინო ხარ, დილა მშვიდობისა!

პასუხი არ იყო.

არ გახსოვარ?.. აქაური ვარ, ამ სოფლელი. ვისაც გინდა ჰკითხე, ვმღეროდი...

ნინო. რა გინდა, ადამიანო?! კაცო?!..

ჯარისკაცი. შენი სიყვარული-მეთქი... ჯარისკაცი ვარ...

ნინო. წადი, ჯარისკაცო! (თავი გააქნია დადაიძრა).

ჯარისკაცი. (თითქოს ერთბაშად გაახსენდა). წერილები, გოგო! სამკუთხა, სალდათური წერილები!.. (გაჰყვა ჯარისკაცი).

ნინო. (ხმადაბლა). წადი! წადით! წადით! (მიდის).

ჯარისკაცი. ჯერ პატარა, სათამაშო ბარათებს გაჩვენებ, მერე და მერე, უფრო დიდ წერილებსა, გამიგონე!..

ნინო. წადი!..

ჯარისკაცი. გაყვითლდა ბარათები, გოგო! სხვა აღარაფერი მაქ... იცოდე, შალე, თოვლს ჩამოჰყრის.

ნინო უპასუხოდ გაეცალა.

ველარსად ველარ წახვალ, ველარა...

პასუხი არ იყო. პაუზა.

ავეყუდები და ვიქნები... იქნებ როდისმე ჩამოიაროო...
(ჯარისკაცი ხესმიეყუდა).

ნინო მიდის...

პაუზა მარტოობისა. ჯვარცმულივით აეკრა მოთმინების ხეს ჯარისკაცი... ფიქრმა წაიღო... შერე ტუჩები აამოძრავა...

(ხმადაბლა). დილა მშვიდობისა, გოგო! როგორა ხარ?.. ჩემ ამბავს თუ იკითხავ, არა მიშავს რა... გწერს ჯარისკაცი ერეკლე... ზაუტაშვილი.

ძაღლების ყეფა ფარავს ჯარისკაცის ჩურჩულს. ხმები თანდათან ძლიერდება, თოფის გაუთავებელი ბათქა-ბუთქიც თანა სდევს ძაღლების ყეფასა და მონადირეთა ჟივილ-ხივილს. თრევა-თრევით მიაქვთ დახოცილი ნადირი. აღგზნებული და აღტკინებული მონადირენი გზადაგზა ერთმანეთს ეყაყანებიან, ჭურჭებს უსინჯავენ, ტყავებს ცვლიან, იზომავენ... მერე, ყველაფერი ეს ჩაივლის, ჩათავდება, ხეზე აკრული ჯარისკაცი წერილს ხმამაღლა ამბობს.

ერთი უბრალო ქაღალდი მაინც მოკეცე ოთხად და ყუთში ჩამიგდე... შენი ნათითარის სურნელს მაინც მომიტანს... გოგლი-გოგო, რამდენი წლისა ხარ?.. გწერს ჯარისკაცი ერეკლე...

რამდენიმე ხის იქით ნინო გამოჩნდება. ხეს მიეყრდნობა, ხანდახან გამოხედავს ჯარისკაცს

ნინო. ისევ მანდა ხარ? მგონი, რაღაცას ამბობდი?.. რაღაცა გინდოდა... ოცისა ვარ... ნინო...

ჯარისკაცი. შენი დაბადების დღე არ ვიცოდი, თორე მოლოცვა არ დამა-

ვიწყდებოდა... ნოემბერი რომ არის... ვიცი... რიცხვი მომწერე... აქ ეს ორი დღეა, რაც ყინული გაიბზარა და გაზაფხულიაო, უხარიათ. შენი ერეკლე...

პაუზა.

ნინო. (ღელავს, ვერ გადაუწყვეტია თქმა). ისეთი სეტყვა მოვიდა... ტოტი აღარ შერჩა ვაზსა. მიწაზე იწურებოდა მტევანი. მოზვრები დაგიყდნენ და ერთმანეთს დაერივნენ. ხვრეპდნენ წვენსა, თვრებოდნენ და ერთმანეთს ასკდებოდნენ. მუხლამდე თოში იდგა... გწერს ნინო... მეტს ვეღარას მოგწერ...

ჯარისკაცი. შენი წერილი მივიღე და იმ მტევნებივით დამეწურა გული, შენ რო მოჰყევი... მაგ ღრუბლებსაც დაშლიან ალბათა. ცხოვრება წინ მიდის... ჯერ კიდევ გაძლებს, აიტანს სეტყვას ნაჩვევი ვენახი. მერე და მერე კი დაშლიან ღრუბელსა. ცხოვრება წინ მიდის... მე კარგა ვარ, შეჯიბრებისათვის მამზადებენ და სხვა მეცადინეობიდან გათავისუფლებული ვარ. გულ-ანთა ვარ შენი ბარათის მერე. შენს მოწერილს შავსაც თეთრად წავიკითხავ.. თუკი ნებას მომცემ... გკოცნი შენი ერეკლე...

ხეს მოშორდა. ტყეში წავიდა. აღარა ჩანს...

პაუზა

ნინო. მერამდენე წერილსა გწერ... შენ კი არაფერს იტყობინები... მე დასაძალი არაფერი მაქვს, მიყვარხარ და ეგ არი... ქენი სიკეთე და ჩვენსა შეიარე, დედაჩემს უთხარი, კარგად არი-თქო. ისევ ენში დამაბრუნეს... შეჯიბრი გადაიდო. გკოცნი შენი ერეკლე... მომწერე რამე... ერეკლე... დორე მომიკითხე, ვისაც ვახსოვარ — ისინიცა...

ჯარისკაცი. სად არის შენი წერილი, გოგო?! გილოცავ დაბადების დღეს. ოღონდ წერილს ნუ დამიჭერ და!.. თუ გინდა, აღარ ვიყო... შენი ერეკლე! გკოცნი!.. დორე მომიკითხე... ვისაც ვახსოვარ.. რაო... დედაჩემმა... ალბათ მიხვდა ზოგ რამესა, ველი წერილს... ერეკლე...

ნინო. (გამოჩნდება რომელიღაც ხესთან). წერილებს იმიტომ აღარ გწერდი, რომ... ამის შემდეგ რიგზე მოგწერ. ყინული გასკდაო, ეზაფხული დაიწყოო, რომ მწერდი, მერე, როგორ არი?... ნინო...

ჯარისკაცი. ყინულებისას ვეღარას მოგწერ, ახლა უდაბნოში ვარ, ჭასა ვდარაჯობ ჩემი ბიჭებითა, გადამდნარი სიცხეა აქა. ზღაპარში როა. გახსოვს, წყალმა რომ ჩამოატარა... ოქროსფრად რომ ანათებდა... მეფისწულმა რო ნახა?! ეეჰ, ნეტავი როდის გნახავ. შენი ერეკლე... გკოცნი... შენი ერეკლე. ხაზს გაღმა უცხო ჯარისკაცი დგას, ისიც ჭასა დარაჯობს. წყაროზე თუ წახვიდე, ერთი ჩემს მაგივრადაც დაეწაფე და მომიგონე...

მოშორებით კვლავ გამოჩნდებიან მონადირეები. ხან ერთი, ხან ორი, ხან სამი. მოდიან, ტყავებს ერთ ადგილზე აწყობენ, ბეწვეულს იხდიან, აწყობენ. იარაღს ცალკე ალაგებენ. ვანო

პანტიაშვილი უხმოდ თვლის და აწყობს თოფებს, ყველაფერი ეს უხმაუროდ, თანდათან ხდება. დაღლილი ძაღლები უხმოდ მიდი-მოდიან.

ჯარისკაცი. ისევ ენში დამაბრუნეს. შეჯიბრზე გამომიყვანეს. ისეთი მოხდენილი ბიჭები დავაწვინე დაშნის ქვეშა, რო... შემეცოდნენ... მარტო ერთთან გამიჭირდა ბრძოლის მოგება, ჩვენებურსა ჰგავდა, ცეცხლივით თვალები ჰქონდა. ჩვენებურად შევეხმაურე, ხმა არ გამცა. შევუტიე, მა რა უნდა მექნა?! ორჯერ რომ ვაძგერე, კიდევ შევეხმაურე... იღიმებოდა, სიტყვა კი არ შემოუწევია. მივდექი და ავკაფე. კედელს ავაკარი და ავკაფე. ვდარდობ კია, მაგრამ, რა მექნა?.. შენი ერეკლე! ჯარისკაცს წერილს ნუ დაუჭერ!.. შენი ერეკლე!.. იყავ თუ არა ჩვენებთანა?! გკოცნი, გოგო!..

ნინო. დიდი გვალვები ჩამოწვა და წყარო ლამის იყო დაწყდა... აბა, აქ იყო უდაბნო, თუ იყო; წვეთობითღა ივსებდა პეშვს ხალხი. ხარბები და გაუკითხავნი პირდაპირ ღარიდან ხვრეპდნენ.

ჯარისკაცი. ნეტავი მშვიდობა იყოს და ყველაფერს მოევლება... განა რამისა მეშინია! არ მეშინია! არავის გვეშინია! ისეთი იარაღი გვიპყრია ხელთა რომ!.. მშვიდობა იყოს!.. მშვიდობა გამკითხავია, ომი — გაუკითხავი!.. შენი ერეკლე, გკოცნი. შენი ერეკლე!..

ნინო. მეტი გზა აღარა მაქვს, იცოდე... თუ ვერ გაიგე, მე შენ მოგკლავ, იცოდე! მოგკლავ!.. ღამით, როცა გეძინება, მაშინ მოგკლავ! მერე შენს ტანისამოსს ჩავიცვამ და ემაგ გავარვარებულ ჭასთან დავდგები ცივლულიანი თოფით ხელში, როგორც მდგარან ისინი, ვინც იდგნენ... შენი ნინო. დედაშენთან ვიყავი... შენი ნინო...

ჯარისკაცი. შენი ერეკლე! შენი ერეკლე! შენი ერეკლე! შენი! შენი! შენი! შვებულებასა მპირდებიან... დიდი მანევრები გვქონდა... თეთრად იყო მოდებული თევზი ოკეანის ზედაპირზე, გადავხანით იქაურობა... შენი ერეკლე... გკოცნი. შენი ერეკლე!.. ოღონდ კი ჩამოდი და გინდ მოსაკვლელად ჩამოდი!.. შენი ერეკლე!..

პაუზა...

ჯარისკაცი. დიდი შვებულება მოგვცეს დიდი მანევრების მერე... ბევრგან გვეძახიან. რჩეულთა ერთი რაზმი ერთად დავივლით მთელს ჩვენს ქვეყანასა. შენი ერეკლე...

ENGLISH

მ ო ქ მ ე დ ი   პ ი რ ე ბ ი

ბერუა — თავბერიკა, ლალე.

თებრო — ბერიკა ქალი, იანო, ლალეს პარტნიორი, ბერუას ცოლი.

ჯავათა — მღვდელბერიკა.

დოლაბა — ტახბერიკა, კაპა (მეტსახელი)

წიქა — თხაბერიკა, თხაპა (მეტსახელი)

ბექა — ბერიკა, ყაყიჩა (მეტსახელი)

ჯავახა — კურობერი, ჯამბაკური-კურო (მეტსახელი)

ხოსრო — ვირბერიკა, აზნო.

პაქაქოსა — კვახაბერ, კრახამბერგ, კრიჭა (მეტსახელი).

რეკვიზიტი: ზარები, ხუნდები, სასოფლო-სამეურნეო, საოჯახო ინვენტარი: ნაჯახ-წალდუნები, სადღვებელი, ორი ძვირფასი სავარძელი.

გარდერობი: 1. გლეხური სამოსი ბერიკებისა

2. ბერიკული სამოსი

3. მესამე სეირში საჭიროა კვლავ ბერიკული, მაგრამ შეახლებული, გადაბრჭყვიალებულ-განსხვავებული, შეძლებული სამოსი.

სეირი პირველი

სიღრმიდან ჩვენკენ ცხრა გლეხი მოაპოპიალებს საბერიკაო-საგანგებო ჩარდახიან ურემს. ხამის პერანგები და ხვანჯრიანი ხამის შარვლები აცვიათ. ურმის ჭრიალი და ნაღვლიანი ურმული შესაბამისად ძლიერდება. სოფლის წყაროსთან შედგება ურემი. სურას შეავსებენ, ხალვათდებიან. ზოგი ჩამოჯდება, ზოგი ურემს მიეყრდნობა. რაგრიგობით სვამენ წყალს, სურა ხელიდან ხელში გადადის.

ბერუა. ცხრა მთა გადმოვიარეთ! (*ურმის თვალის დასაზეთგასაპოხად გადაინაცვლებს*).

ჯავახა. ცხრაწყარო შევსვით... (*ამხანაგს*). გადი დოლაბავ, ცოტაოდენი მუცლიბოძი მოჩხრიკე სადმე, მშია-რო, ვკვდები! გზაც ნათათრალი შეგვხვდა, აოხრებული, ლუკმა არავინ გაიღო-რა.

დოლაბა. (*თანმიდის*). ცხრა ზღვა დავხვრიპეთ მარილიანი. ცხრა ცალი თეგზი ძლივს დავიჭირეთ.

თებრო. ცხრანიღა დავრჩით.

ბერუა. კუმ რო ფეხი გამოჰყო, აქაოდა ბალახსა ვჭოვ, მეც ნახირ-ნახირაო, ქალი კი არა, ქაჯი ხარ, ქაჯი!.. გამიტუტუცდა დედაკაცი, სწორედ ეს არის! (*თანურემს აწესრიგებს, ფერსოსა ზეთავს*).

თებრო. სწორედ ტუტუცი ქალი გახლავს ჩემო კაცო დღეს თვალწარმტაცი. იმიტომ დაგვდევს ბუზივით ხალხი. თუ არა გჯერავს დავჯდები სახლში. ხახვს დავთესავ და ნიორს დავრგავ. მერე კი ნახავ, საპნის წასმაც რომ აღარ გიშველით და ჭალებიანად დაგეშლებათ ძველი ურემი...

ბექა. სოფელ-სოფელ დავეხეტებით, დავბერიკაობთ, ჩვენც ვერთობით და სხვასაც ვართობთ.

ხოსრო. ხან ჭონას ვამბობთ, ხან ცლაზარეობთ, ხან ცლაზღანდარობთ...

ჯავახა. ჩვენი მორბედი მაჩაბელი ყოფილა. გუნდი ჰყოლია ცხრახმიანი.

ჯამათა. ჭექავდნენ. თანაც ხმალსა ლესავდნენ გმირებთან ერთად.

თებრო. შავნაბადზე გაულეტილა ის გუნდი. ხანი გასულა, ჩვენ გავჩენილვართ.

ბერუა. იმათოდენი ვეღარ შევძელით და ტეტია-ბერიკათა ჭაპანს ვეწევით.

დოლაბა. (აღელვებული შემოდის, გუდაცარიელს დაბერტყავს). ძაღლი მიაკვდეს მამასახლისსა, ჯერ გვასეირნეთ და პურს მერე გაჭმევთო! ხვეწნა-მუდარის თოკზე გაველ-გამოველ, ვიჯამბაზე, როგორა ვთხოვე, არა და არ ქნა. „გაძღებით და გაიპარებითო!“ — არ შეისმინა ჩემი სიტყვა.

თებრო. ეგრეც ვიცოდი, მონესპო მაგის სახსენებელი!

დოლაბა. ადრე და მალე!.

თებრო. (დოლაბას). — ორი ან სამი ხმელი შოთი ვერ გამოართვი ვინმეს, სამადლოდ, ან ძველი ქადა, მარილიანი გეშოვნა სადმე, ჯანი გავარდეს მაგათ ხაშლამას, სულს მოვითქვამდით.

ბექა. (მასხრობით). — ცხელი ნაზუქი აჯობებდა. ციცი ბურვაკი, დოშხიზილალაც არ იქნებოდა ურიგო რამ, მაგრამ, რაკიღა ბოლო კვირაა დიდმარხვისა, წარწყმედად არ ღირს!..

ჯავახა. (ბექას). — პირწყლიანობით კუჭი ვერ ძღება, ჩემო ბექავ! სათქმელი რამ დავროშოთ მალე. ადრე გამოვხნავთ — ადრე გამოვხრავთ... ბერუავ, სად ხარ, გამოჰყე თავი!

ბერუა. (ბორბალს იქიდან გამოიჭვრიტება). — ფერსოს ვუზეთავ ურმის ბორბალს. ისე გახურდა ამდენ ჭრიალში, გახეთქვას ბევრი აღარა უკლდა-რა. დროზე მივუსწარ... ორი თუ სამი საპნიკათხა ზედ შევალიე... დაიწყეთ რამე, გამოაცხადეთ, სეირი ბრძანეთ. მეც აქ არა ვარ... (განაგრძობს საქმეს).

წიჭა. ოხრათამც დარჩეს ეგ ურემი, მათხოვრების მატარებელი, მშიერი ვკვდები!..

თებრო. (ბერუას). — შაჰ-აბასის და თეიმურაზის ამბავს დავიწყებთ...

ბერუა. (მორჩა საქმეს, წინსაფარზე იწმენდს ხელებს). უფრო უბრალო, ხეპრული რამე აჯობებდა, ცოლის ღალატი, დანის დარტყმა, სტანი და ფლანი... თეიმურაზის და შაჰის ამბავი აფსუსი არის... რას იტყვით, ხოსრო, თებრონე, ბექავ?..

ჯავახა. შიმშილი წვეთავს ჩვენს კუჭებში, რაღასა დგეხართ!..

ხოსრო. მეფე-ერეკლეს მასხარ-ლალესი და ჯამბაკურ მუხრან-ბატონის სეირს ვაცხადებ... ჰა, არ ივარგებს?

ბერუა. არა უშავს რა... ზოგს გამოვაკლებთ, ზოგს მივუმატებთ, გამოაცხადე!... (ჯირკზე ჩამოჯდება, ხელებს გაიშვერს).

ხოსრო. (აზნოს სამოსს ირგებს). — ხუნდი დაადეთ, ოხერია, გაქცევა იცის. (ხუნდებს დაადებენ ბერუას, იგივე ლალეს).

ბერუა. (იგივე ლალე — ხოსროს, იგივე აზნოს). არ გამოეწყო, ეს უნიფხვო!.. (პანჩურს უთავაზებს). შესავალი სიმღერა ბრძანე...

მაქაქო. შესავალ სიმღერას მე აკი ვამბობ (დაიწყებს). — „ეო, მეო, ბერიკავ ლალეო“...

ჯამათა. (შეაწყვეტინებს). — ეო შენა და დიდი მთხლეო! სიმღერამდე მე მაქვს სათქმელი, აღარ დამაცდი?! (ჯამბაკურის სამოსს ირგებს და, ისე აცხადებს). „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად. სოფელსა შინა იყო და სოფელი მის მიერ შეიქმნა და სოფელმან იგი ვერ იცნა. თვისთა თანა მოვიდა და თვისთა იგი არ შეიწყნარეს„... (მაქაქოსას). ეხლა იმღერე. მაქაქოსა, მე დავამთავრე.

მაქაქო. (პირველი ხმით).

„ეო, მეო, ბერიკავ ლალეო,
ბედი რაკი არა გქონდა,
რად დაიბადეო“.

თებრო. (იანოდ გამოეწყო). —

„პარალეო, ჰარი-პარალეო,
ლალეს გაჩენის **აშბავი**,
დღესაც მიკვირს მეო“.

ყველა. (სიმღერით). —

„მუხრანისკენ აღარ წავალთ,
ბატონს გაუჩნდეს ჭირი,
ორაბაზად გვახტუნავა,
გუდაც წაგვართვა — სტვირი.
სამოსი გაგვხადეს,
შიშველი გვატარეს,
ქუდების მაგივრად,
ჩალმები დაგვამხეს“.

მაქაქო. (შიამღერებს). — „ლალე დილეგში ჩააგდეს“.

ლალე. (აზნოს). — კი არ ჩამაგდეს, ჩამაბრძანეს... (მოსეირეებს). — დიდთურქობის ჟამს, საქართველოში, თითქმის მომსპარი ქრისტიანობის გადასარჩენად, იტალიიდან თავისი ნებით მოვლენილმა მისიონერმა, თუ არა ვცდები, არქანჯელომ, გვარად ლამბერტიმ, თუ არ მეშლება გვარი-სახელი... ალქაჯთ სახელი ჰქონდა დალოცვილს, თუმც ქრისტიანი გახლდათ დიდი, ფრანცისკანელი, თუ არა ვცდები, ბერი ლამბერტი... თუ არა ვცდები, თელავში შემხვდა, თუ არა ვცდები, რაღა თქმა უნდა... არა, მცხეთაში, მგონი არ ვცდები... მეხსიერებაც გამითახსირდა ამასობაში.... მგონია, გორში, ციხის ნანგრევთან ვნახე ის ბერი... არა, მუხრანში, უფრო მუხრანში... რიგიანად აღარც კი მახსოვს ასეთ ყოფაში... ასი-ორასი-სამას-ოთხასი წლის უფრო უწინ, ცხვირს რომ აჭამდა ლევან დადიან იმერთ მეფის შვილს, ხანაც პირიქით... ასეთ ყოფაში, ჩამოდღლეძილი სახიობა იხილა ჩვენი, ბერმა ლამბერტიმ... ცოტა იტირა თუ ბევრი იცინა, აღარც ეს

მახსოვს... დამადო ხელი, აღარც კი მახსოვს, სად დამადო... მხარზე დამადო ხელი ლამბერტიმ და მითხრა სახელი იმათებური ვინმე მასხარის, ვარსკვლავთმრიცხველის, თანაც ჯამბაზის, თუ არა ვცდები, ყურში ჩამძახა გვარი-სახელი... ჯორდანო ერქვა სახელად თურმე, გვარად ბრუნო, თუ არა ვცდები, რა თქმა უნდა, იმას ჰგეხარო, ჩამაცივდა. განა თუ მჯერა, უბრალოდ ვბერავ სისულელეს... ვბერავ და ვბერავ. რა მენაღვლება, ვბერავ და ვბერავ... იმას ჰგეხარო, იმ ჯორ-ჯორ-დანოს... ე ჩემს ფეხებსა უნდა მეთქვა, ვერ მოვასწარი, მუჯლუგუნი მკრა ვიღაცამ ფერდში, სუნთქი შემეკრა, ხმის გაცემა ვერ მოვასწარი... მას აქეთიდან ამეკვიატა მე ეს სახელი. აღარ მასვენებს, სულ თან დამყვება. ფეხები მიხურს, ცეცხლი მედება რომ მახსენდება... სარკეშიც მხვდება ვით მოჩვენება. ხან პურს წამართმევს, ჩემს ულუფას და მშიერი ვწვები. ხან ფეხზე ვდგევარ მთელი ღამე და ჩემს სასთუმალზე ის ათევს ღამეს. „მრგვალი არისო დედამიწა!“ — მეკამათება მე ის ოხერი! — როგორ თუ მრგვალი! — მეც ავხირდები, — დედამიწა, — რა, საზამთრო არის, თათარო, შენა!.. რატომ არ ვცვივით აქეთ-იქით, თუ კი მრგვალია?!“ — მეც ვეუბნები, — „თანაც ბრუნაესო!“ — რას მეუბნება! — ამდენი ცემით, მრგვალიც რომ იყოს, გაბრტყელდებოდა სუყველაფერი... ზევიდან, კანზე რად არ ასხია საზამთროს კურკა?! შიგნით რად ჰყრია?! — მე ვეკითხები და პასუხს ველი... ტყვილად, ცხადია! ვერა მპასუხობს!.. მაშინ, ვდგები და მე ვეუბნები: — დაიპნეოდა, კურკა-მეთქი, მე ვეუბნები. აი, რატომ... მაგრამ, რაკილა მიწა ბრტყელია, ზევითა ვართ, ზევითა ვყრივართ დამწიფებამდე და მერე უკვე შიგნით შთავდივართ, ქერქის ქვემოთ... არა ვარ ბრძენი?!

ხოსრო. (იგივე აზნო. თან ტანსაცმელს ირგებს). — როგორ თუ არა, ბრძენი ხარ, ბრძენი! (თავისთვის). წავიდე გრემში, აკადემია დავამთავრო დიდი საწნახლის ცარიელ ქვევრში, მერე მიყურე, ვინ არის ბრძენი!

ლალე. (აზნოს). — მე უფრო ვარ, თუ ის ჯორ-ჯორ-დანო, იტალიელი ცრუ-მეცნიერი?..

აზნო. შენა, ბერუკავ, შენა ხარ ბრძენი, პირდაპირ, არსენ იყალთოელი!..

ლალე. მერე და რა ვქნა, არავინ დამრჩა სიბრძნის გამგები... შენს გარდა, ვირო!.. (მღერის). —

„ვინღა შამიკრას კუბოი,
ვინღა დამიწთოს სანთელი,
ვაჰ, რა ძნელია კვდებოდე,
იკარგებოდეს სახელი...
რისთვის მოფრინდი ბეჩავო,
ჩამოგიყრია ფრთანია,
შენთვის არც წაწყმედა არი,
არც-რა ცხონება არია“...

აზნო. (შემპარავად). მერე და ვისი ბრალია, ვისი?..

ლალე. ჩემი გამჩენის ბრალია, დამბადებლის და აკი ვწყევლი...

აზნო. გამჩენს მოეშვი, დამბადებელსაც ტყუილად წყევლი. ყური დამიგდე!..

ლალე. ყური? რომელი? (ყურთან მიტანილ ხელს გავაზე დაიცურებს).

აზნო. (არ აქცევს ყურადღებას მის პოზას). ბერიკა, ბიჭო, მისმენ თუ არა?..

ლალე. (კვლავ გავაზე უდევს ხელი). — კი, როგორ არა!..

აზნო. (მონდომებით). — თუ დამიჯერებ, ბიჭო, ლალე... სამშობლოს მთებზე, თოვლიანებზე, მგლებზე, დათვებზე, ხოხობ-კაკბებზე, მაგ ახირებულ შენეულ კაკანს თუ დაეხსნები, თავადის გმობას, ამაო თრევას, თუ მოეშვები და გაჩუმდები, დაიმახსოვრე შენც აშენდები საშვილიშვილოდ და მეც ავშენდები!..

ლალე. (მიუბრუნდება). მაშ, ავშენდებით ორივენი?

აზნო. (გახარებული). სულ გავკეთდებით...

ლალე. სულ გავკეთდებით და ავშენდებით?!

აზნო. როგორც დედლები, კვერცხისმდებლები...

ლალე. მიეხვდი!... ცივადა მხარშავთ შენ და თავადი, ეგ განგიზრახავთ წყალი მზადა გაქვთ?

აზნო. წამოდი, უნდა გამოგაწყო, ტანზე ჩაგაცვა, გათავისუფლებს ჯამბაკური, ციხიდან გიშვებს, რით ვერ გაიგე?!

ლალე. რა ფერისაა, შენ ეს მითხარი?

აზნო. ვინა? თავადი?

ლალე. არა, უჯიშო, შე ხურმის გოჭო, თავისუფლების ფერს გეკითხები!

აზნო. ოქროსფერია, რაღა თქმა უნდა, წმინდა, ბაჯაღლო ოქროსფერი. თანაც მრგვალია, ანუ ბრტყელ-ბრტყელი, ზედაც მაჰმადი ახატია. მეორე მხარეს ნამგალა მთვარე. ტყვილად ნუ მაცდენ!

ლალე. სისხლისფერია თავისუფლება, სისხლისფერი!.. კუნძი მზადა გაქვთ, დიდი ნაჯახი?!..

აზნო. მიჰქარავ, ბიჭო! დროს ტყვილად ვკარგავთ... წამოდი-მეთქი, შე უნიფხოვ, გათავისუფლებს დიდი თავადი ჯამბაკური, გა-თა-ვი-სუფ-ლებს... გესმის, ქართული?!

ლალე. მე და ქართული?..

აზნო. (ქართულს უხსნის). — აი, ხე! აი, ცხენი! აი, ვირი!... ჰა, აი, ხე-ლი! (ხელს უწვდის, გარიგების ნიშნად).

ლალე. (გაუგებს). — მართლმორწმუნეთა მხსნელი ხელი გვიახლოვდება, როგორცა ვხედავ და ჩალმიანი საჭურისები დედაენაზე ლაპარაკს ბედავთ! (ფიქრს მიეცემა).

აზნო. (ხელი გაწვდილი აქვს კვლავ). — თეთრს შაისაგან ველარა არჩევს ეს ბნელი ხარი, უთხარით რამე!

ლალე. ორი ხმალი, თეთრი და შავი, არ მოთავსდება ერთ ქარქაშში, ერთად ვერ მოსძოვს მგელი და კრავი, წადი, უთხარი!... (ხელს დაჰკრავს ხელზე, მოიკიდებს დადასცემს).

აზნო. ხსნის დღე გიდგება, რით ვერ გაიგე... შენი ნიჭით და შენის შეძლებით, თავადს სჭირდები. წუთს ნუღარ ჰკარგავ, გეწვია ბედი. შენეული, დიდბერიკული ნიჭიერებით ჩვენი წისქვილიც დაატრიალე, არას წააგებ...

ლალე. წმინდა წყარო რომ ტურტლიან წისქვილს ვერ ააბრუნებს, რით ვერ გაიგეთ?!.. (აუშვებს წაქცეულს. განზე გავა).

აზნო. გონებას უხმე, ყური დამიგდე: ბატონის ქვევრი შენ უნდა გახდე ამიერიდან... (ახლოს მივა ლალესთან).

ლალე. რასაც ჩამძახებს — ამოვძახო!!

აზნო. მერე რაა-რო?!

ლალე. გაგისკდათ ქვევრი და ამის გამო მეთათბირებით?!

აზნო. მთელია, მაგრამ, ხელის გემო აქვს. სარცხი ვერ შველის.

ლალე. მე უფრო ვყარავარ სამასი წლის დაუბანელი, ვერც მე ვივარგებ.

აზნო. ქვეყანამ იცის, დიდმა თავადმაც, რომ სუფთა ხარ და სულ სხვა ძალა გაქვს!..

ლალე. რომელი ქვევრი გნებავთ რომ ვიყო, ჭოცო? თაღარი?..

აზნო. პირველი წვენის მიმღები ქვევრი. მგონი თაღარი... უფრო თაღარი!..

ლალე. (ავანსცენისაკენ). სამასი წელი შარბათსა სვამდით—შენც და თავადიც. ახლა დასჭირდა იმ სამგზის ცვედანს ქართული ღვინის, თაღარი ქვევრის უმანკო წვენი...

აზნო. რაებსა ბედავ?!

ლალე. როგორ თუ რასა... (თითებზე ითვლის). ერთხელ ხომ სულტანს წააკვეთინა, მეორედ ლეკთა, ჭარბ-ბელქანელთა ბელადს მიართვა ძმობის ნიშნად. მესამედა კი აღა-მაჰ-მად-ხანს ცვედანთა-ცვედანს უძღვნა ბეჭდად და დად შეეფიცა, ვინაიდანაც საძმო არ შერჩა ამდენ ცდაში მას!.. ოღონდ კი თავი-ტანზე გვებასო, ხორცსა ტკბილობდით სულზე მეტად. აკი შეგრჩათ და აკი გადგიათ განასესხები, განაყიდები, კისრის ძვალების მარგილებზე დანაკიდები ეგ უპირო და უთვალებო თავის ქალები!.. რაც რომ ვიყავი, ისევ ისა ვარ, ლალე მქვია და კვლავ ბერიკა ვარ!.. (ხელს გაუწვდის).

აზნო. (ხელში ხელს ჩაავლებს, წააქცევს). იმდენს ვიზამ, რომ აღარ იქნები. ალაჰსა ვფიცავ, აღარ იქნები!... (ყელში წაუჭერს).

(სად იყო და სად არა თვითონ თავადი ჯამბაკური გაჩნდება).

ჯამბაკური. (ლალეს). — გაწყენინა, ამ ოხერმა, გაწყენინა, ჩემო ლალე?! ხეპრეა და გაუთლელი, უბირი და მოუქნელი!.. დამაცადოს, ნახოს რა ცეცხლი ვაყარო! (აზნოსაკენ მიემართება). შეხეთ, რას ჰგავს ეს ოხერი!.. ვიღას უნდა დავანახო, ულვაშჩამოტყაეებული, ძაღლივით გაავებული!..

აზნო. — რას ბრძანებთ?! წამოყვანას შევეცადე, რას ბრძანებთ?!

ჯამბაკური. ათი ცხელი დამიკარი, შენის ხელით, მაგ შენს ვირაქლემა ტანზე, ამას ვბრძანებ!..

აზნო. (საკუთარივე მათრახით იცემს ტანს). — შაჰ-ჰუსეინ, ვაჰ-ჰუსეინ. შაჰ-ჰუსეინ, ვაჰ-ჰუსეინ!..

ჯამბაკური. (გაცეცხლდება). რა-ჰუსეინ? ვინ-ჰუსეინ?! რა თქვა ხალხო, ამ სულძაღლმა, ეს რა სისულელე დაფქვა?! (აზნოს). მაგ სახელის ხსენებისთვის, ათსაც დედაკაცზე ვბრძანებ, იმ შენს ვითომ კნეინაზე!.. ჩაეხადოს მოედანზე, ათჯერ ზედი-ზედი-ზედა! იდგეს ეგრე უნიფხოთა, სახალხოთა, საჯაროთა!.. აფსუს ჩემო ჯეელობავ, აფსუს, აფსუს!.. (ლალეს). რაღა დროს-რა, რაღა დროს-რა!

ლალე. (ჯამბაკურს). — ქალისაც რომ აზნოს მოხვდეს, არ აჯობებს?

ჯამბაკური. ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ, ლალე!.. ეგ რა კარგად გაიაზრე!...

ლალე. ქალს ნუ აუწ-ჩამოუწევთ, ისევ-ისე აზნოს არგებს, ათი როზგი აზნოს მოხვდეს. ქალი მაინც — ქალია და... ერთიც ვნახოთ რამე მოხდეს!..

ჯამბაკური. (ლალეს). რა-რო მოხდეს?!

ლალე. ვინმე რომ გადაირიოს, შიშველაზე, მოედანი აირიოს!

ჯამბაკური. ჰო, ჰო, ეგრე იყოს, სწორსა ბრძანებ, აზნოს მოხვდეს!..

აზნო. (მორჩილად). — მოვემზადო?..

ჯამბაკური. სამერიოდ მოემზადე, ახლა, ჰაცე!..

ლალე. (აზნოს). — ჰაცე, ვირო, ვერ გაიგე... მერე დაგცხებს!..

(აზნო გადის. ჯამბაკური ლალეს მიეფერება.)

ჯამბაკური. (ლალეს). თავისუფლებას განიჭებ, გაიხარე! მაგრამ, ჯერ ყური დამიგდე, დაიცადე!

ლალე. მამა-პაპის ნათქვამია, „გიჟი — თავისუფალია“, სხვას სუყველას უფალი ჰყავს!.. (დარბის).

ჯამბაკური. ენა რომ ხმალივით გიჭრის, ეგ მახარებს, ჰკუა, კიდევ, უფრო მეტად, ამიტომაც შეგინახე მე აქამდე... დაიცადე!

ლალე. (ირონიით). — სულ შვილივით გამომზარდეთ...

ჯამბაკური. (ფიქრში). — დღევანდელ დღესავით მახსოვს, თელავიდან — მცხეთამდინა მხარზე მჭონდა გადებული მეფის კუბო, მუხიგულის... არავინ არ შევინაცვლე, არავინა, ჩემო ლალე, მარტო ჩემი მხრითა ვზიდე, მარტო ამით. აი, ნახე! (მხარს უჩვენებს).

ლალე. (მტვერს ჩამოაბერტყავს). — მაშინდელი მტვერი გადევთ, რაც არ არი — აღარ არი... ეგ ძველი და სხვა ახალი!..

ჯამბაკური (შეიშნობს). მე შენ გეტყვი, დამიფასა ვინმემ რამე, გინდა ხალხმა, გინდა — სხვამა!..

ლალე. არც ყაჯარმა, იმ ოხერმა მაჰმად-ხანმა!..

ჯამბაკური. ნუ მიჰქარავ, დამაცადე! (შინაურულად). ხელახლა გადაწერილა იმთავიდან დაწერილი, ჩემზე ცუდი ჩაწერილა კირკიტით და დაწვრილებით! უცხო ვინმეს კი არა და ჩემს ძმებსა და ბიძაშვილებს — რამაზ, ვარაზ, არმაზ, ბაკურს, ავი ჰაზრი შეუთითხნავთ სასწრაფოდ და გამალებით, უკუღმა შეუკერიათ ჰორის, ჩმახის ანალები, ჩაიზედ მიურთმევიათ დანოსები — ფოდნოსებით...

ლალე. (თითქოს სწყინს). — პრიკუსკით დაულევიხართ!.. მერე, რა ვქნა. რა გიშველო?

ჯამბაკური. გზები უნდა გადუკეტო ჩემს ძმებს ჩემზე მოსარევი, სიტყვა უნდა შუმიკმაზო დიდი მთვარის მოსასმენი...

ლალე. რა ხერხით და რა ძალებით?..

ჯამბაკური. ბერიკონით, თეატრონით, პირის გაღების უფლება ჩემს მამულში. შენს მეტს არავის ექნება!

ლალე. გასამრჯელო რა იქნება, ერთი შოთი?

ჯამბაკური. ოქრო-ვერცხლი ერთიანად მოგეცემა ამ თავიდან...

ლალე. მაგ თავიდან?..

ჯამბაკური. ჰო, მეთქი, ამ თავიდან მოგეცემა ირანული ოქრო-ვერცხლი, არც მერე შემოგაკლდება, თუ არ შეცდი, თანდათან მოგემატება, ბიჭო, გესმის?!

ლალე. (თავისთვის). — დიდი ამბები იწყება! მერე, მერე?

ჯამბაკური. ბერიკონზე დიდი ჩინი დიდი ღვაწლი დაგჭუხწრება, სახელდობრივ ჯერ არ ვიცით ვინ იქნება, ანდა როდის მობრძანდება, მაგრამ, ეგ შენ არ გეხება. უცხო კაცი დალუბული ვინც სტუმრად მოგეველინება შენი დიდი სახელობით. შენი დასტა-დუმბარისტის, ვერცხლისფერი ცეცხლისფრქვეევით, შენი მჭრელი ენისწვერის ტვინშეღწევის ყვე და ხერხით, ისე უნდა ააცრემლო, ისე უნდა ჩააფიქრო, არც აცივოს, არც აცხელოს, აიღოს და ბერიკონის მეორე დღეს ნამესტნიკის პომოშჩნიკად უეჭველად მე დამნიშნოს! გესმის, გაიგე?!

ლალე. ვერა, ბატონო, ვერა გავიგე! გუშინ ბატის ფრთა ყურში გამირჭეს, თქვენის ბრძანებით, ყური გახვრიტეს, ტვინი წაიღეს და ქარიღა შემდის ცარიელ ხვრელში, აქედან შემდის, — აქედან გამდის, შემდის და გამდის, შემდის და გამდის.

ჯამბაკური. რითი აგივსოთ ეგ ხვრელი, ბიჭო, ეგება მითხრა!..

აზნო. (შორიდან). — მახათებით, სადგისებით, შამფურებით, ნემსებით!.

ჯამბაკური. არამკითხე — მიამბეო, მისტყეპე და მიაგდეო! (აზნოს გაძევებს).

ლალე. გაიგეთ, რომა ყროყინა ვირზე უკუღმა ჯდომის თავი არა მაქვს, დავბერდი-მეთქი, აქ არის ჩემი აკვანიცა და ჭოჭიალაც!..

ჯამბაკური. წალმა დაჯექი, წალმა, ბიჭო, რატომ არ გესმის?!

ლალე. რომ ვერა ვჯდები მე ოხერი, განა არ მინდა!

ჯამბაკური. რასაც დაიტევს თვალმარგალიტებს ყურები შენი, პირი შენი, არც ესა კმარა?!

ლალე. (თითებზე). — კმარა — არ კმარა — კმარა — არ კმარა...

ჯამბაკური. — ეგება ქალმა, ჰა, წაგახალისოს, მზეთუნახავმა ქალმა — ქალწულმა, დალალ დაწნულმა, დაფიქრდი, ბიჭო!

ლალე (სულ შეეკრა). ქა-ქა-ქა-ქალმა?! (აფორიაქდება.)

ჯამბაკური. (აზნოს). — აზნო, ქალი!

ლალე. აბა, ქალი?! სადა, ქალი?! ვისი, ქალი?!

აზნო. (ბრაზით). — არ დაიწყო მათხოვარმა, არჩევანი — არადანი. ვითომ სულ ერთი არ არის ამისათვის „სადა ქალი, ვისი ქალი, რისი ქალი“, საგვარეულო მომთხოვა, ჯიშიანი! ამას უნდა მოვუყვანო?!

ჯამბაკური. (აზნოს). — ჰაცე-მეთქი! (აზნო გადის და ფართლის გორა შემოაქვს დაიღლიავებული, ლალეს წინ დაახვავებს).

აზნო. შუბლის ქინძისთავი არის მთელი სოფლის ჩიხტიკობის, შუაღამის ნადავლია, ნახევარსოფელმა მდია, ქვა და ღორღი დამაწიეს, დამაყარეს. ცალი წარბი და ულვაში იმ ბრძოლებში ამატყავეს.

ჯამბაკური. (ლალეს). — მოხსენი ეგ ფალასები და საქმე ჰქმენი, თან გახსოვდეს: შენი მოდგმის გამრავლების სურვილიც თუ აღარა გაქვს, სასიცოცხლოც აღარა ხარ, დაიხსომე და სხვას ნუღარ დააბრალებ, რაც მოგივა, ჩემო ლალე! (აზნოს) აღწერილობა გვიბრძანე, აზნო, მალე, რამეტისაა?!

აზნო. ცამეტის გახლავთ, დიდო ბატონო; მალემზარდია, ღამე გარდახდება და თვრამეტისა უმალ გახდება... თვალში მაყვალი აქვს, ლოყაზე მარწყვი. ტუჩზე ჯერაც რძე ადგია. ტანი — თლილი, წელი წვრილი.

ჯამბაკური. ხელი არავის უხლია?

აზნო. აღწერილობა ზუსტია...

ჯამბაკური. (ლალეს). — აჰა, ნუსხა ჩაიბარე, ასლი — დედანს შეადარე!.. ნუღარ შიშობ... გაიხსენე ზოგი რამე!.. ჩ. ყ. მ. ყ. წელსა შ. დ. რ. დღესა, მიდი! სიხარულით შეჰყურებს ლალეს.) აფსუს, ჩემო ჯელობავ! აფსუს! აფსუს!..

ხოსრო. (როგორც ხოსრო და არა როგორც აზნო). — დიდი ოხერი იყავი, მახსოვს, მახსოვს!

ჯავახა. (როგორც ჯავახა და არა ჯამბაკური). — აიდოსტად კი არ მითქვამს, ხოსრო, ბიჭო, „მახსოვს, მახსოვსო“ რომ დამაყარე! ისეთი რა გახსოვს მართლა სამახსოვრო? რომელი დიდგორის ომი მე მომიგია, თუ, რუქნადინი გამილახია, თუ... რა ჯანაბა გახსოვს, ბრძანე?!

ხოსრო. მე როგორც ჯამბაკურს, ისე გითხარი, თამაშ-თამაშ კვერი დაგიკარ. რა პაპაც იყავ — ის ყლაპაც გიყავ...

ჯავახა. ეგ სხვა ჯერია!.. ქალი ბერუამ დაიტრაბახოს! რამდენი სახრეც მა-

გისთვის უდვიათ სასიმამროებს, ბულულებში რომ მოუსწრიათ, იმდენი უზალთუნი მომცეს ღმერთმა, ბარემ კაცი ვიქნებოდი, ამდენს აღარ ვეთრეოდი...

ბერუა. უზალთუნი თუნდა ასი, თუნდ ათასი — ფულია და ნაგავია, დაიხსომეთ, ქალი კი სულ სხვა რამეა, ჯავახავ და ჩემო ხოსრო, ორივეს გაგისკდეთ კოსრო! ქალი ცხოვრების კარაბადინია. რამდენი ქალიც უნახავს კაცსა, იმდენი კარაბადინიც წაუკითხავს, იმდენი ცხოვრებითაც უცხოვრია!

იანო. (აყვირდება ფართლის ზვინქვეშ). — როდის მორჩებით... გაგიბიათ ყბედობა და ვეღარ ათავებთ. ლამის დავიხრჩო მტვრიან კონკებში. ან შესვენება გამოაცხადეთ. რაღად მაწვალებთ?! (ისევ შეძვრება ფართლის გორაში).

ბერუა. (აცხადებს სეირს). — აი, ახლა ვიწყებთ ნამდვილ სეირს, ქალის გასინჯვას ფართლის გორაში... თვალუხილავად, ხელის ფათურით! (იწყებს ფართლის სინჯვას).

ლალე. (აღტაცებით). — ატლასები-ზარნაშებით, ბიჭოს, კარგი მზითევია!..

აზნო. ატლასები კი არადა, ირანული ფარჩა გახლავთ!

ლალე. ავშენდები თუ აგრეა. ზედ რაები ახატია, ხალხო, რატომ არ იკითხავთ: წვრილკისერა, თლილთითება, ნეფერტიტა გოგონები! ამან უფრო გადამრია, არა ამან, არა, ეს უფრო კარგია... დავითვერი სიყმაწვილის მოგონებით... ძაგრაძ, ქალი? აბა, ქალი?... ცარიელი ჩვარია და ქალისა არა სცხია-რა... ქალი მინდა, განა ჩვარი. ამდენი ხნის მშიერი ვარ... ჩვარი და მზითევი მერე, პირს რო ჩაიგემრიელებ ხიზილალით, შავი ღვინით, თეთრი კრავით... ქალის ოფლის სუნი ასდის, ღმერთო ჩემო!.. (სულგანაბული ფათურობს ფართალში). ეს თუ მარტო ატლასია, ნაწნავები ვიღასია!.. აბრეშუმის სინაზე აქვს, ღმერთო ჩემო! ჩამოქნილი ყელ-კისერი ვიღასია?! ჰა?! ვიღასია?! ორი, თბილი სეფისკვერი ვიღასია? იმის ქვემოთ, საკურდღლაო დიდი ვაკე ვიღასია, ჰა? უფრო ქვემოთ, უფრო ქვემოთ, ღმერთო ჩემო— მძინარე მოუტაცნიათ და საცვალი არ აცვია! (ჯამბაკურს დააზნოს შეუტევს).

ლალე. რჯულძაღლებო, რა გიქნიათ?!

ჯამბაკური. (აზნოს). ხომ არაფერი გიქნია, ჰა, აზნო?!

აზნო. არაფერიც არ მიქნია! (შეშინებულია).

ლალე. პირში... ბურთი ჩაგიჩრიათ!..

აზნო. წარბ-ულვაში ამატყავა, თავსაც მალე წამაჭამდა, ბურთი რომ არ ჩამეჩარა!

ლალე. ტანზე... შემოგლეჯილი აქვს ხოფთები და ხაფთანები!..

ჯამბაკური. (აზნოს). რაო? შენ შემოაგლიჯე მხეცო, ხოფთები და ხაფთანები?

აზნო. სამი კაცი დავახვიე, ლოგინიდან ავათრიე, ატლასებში გავახვიე... ტანზე როდის ჩაიცვამდა, სად გვეცადა?! თანაც წვერებს მაგლეჯავდა!..

ჯამბაკური (აზნოს). გაიქე და მოუტანე ხოფთები და ხაფთანები, თანაც ახალთ-ახალები!..

აზნო. (ბუზღუნით გადის). ნათლიათაც გამიხადა, მეჯვარეთა, ნათხარშა, ხაცხიარშა! ხოფთები და ხაფთანები, თანაც ახალთ-ახალები!.. (შემოუტანს სამოსს იანოს).

ლალე. (არხეინად). შეიმოსე გოგო, მალე! (ხოფთებს აწვდის ქალს ზვინჭვეშ, ქალი ხელს გამოყოფს ფართლის ზვინიდან, სამოსს შეიმოსავს შიგნით, ჭიცვამს. ფარჩის ზვინი ირხევა მისი მოძრაობისაგან. ტანშემოსილი იანო ჯერ აზნოს გააცამტვერებს, მერე კი ლალეს შეუტევს).

იანო. (აზნოს). — აჰა, შენი წვერ-ულვაში, ციხის ვირთხავ, მუჯში მქონდა, ამიყროლდა. (მიაყრის).

ლალე. (შეკრთება, იცნობს იანოს). ვაი, იავ, ია ყოფილა ჩემი სატრფო, მღვდლიაანთ გოგო, ეს რა მიქნია! (აღარ იცის სად წავიდეს).

იანო. (ლალეს). — ეს შენ იყავი, ვისაც მოჰგვარეს ჩემი თავი?... შენა განატრობდი, შე ბინძურო, ამდენი ხანი?! წაგერთვეს ჯანი ადრე და მალე!

ლალე. (თავს იმართლებს). ბნელს ვიყავ, იავ, მრავალი წელი...

იანო. (შეაწყვეტინებს). — გაგიხმეს ხელი!..

ლალე. წყედიადს ვლესავდი, თვალუხილავი და ქალუხილავი, მე უტიფარი და მე ოხერი! უნდა შემინდო, თუკი მიგქარე!.. (პირჯვარს ისახავს).

იანო. აი, მოგტყდეს ეგ ხელი, პირჯვრის მსახველი.

ლალე. ადრე და მალე, შენ გენაცვალე!.. რას ვიფიქრებდი, მე ტიალი, შენ თუ იყავი?! სხვა მეგონე და ბინძური ხელი ფარჩას ვახელი!..

იანო. ქრისტეს ლახვარი მოგვხდეს მაგ ხელზე, დაუბანელზე!..

ლალე. განა თუ ერთზე, მეორე ხელზეც, შუბლშიაც მომხვდეს! მეტი რაღა ვთქვა, მეტი რაღა ვქნა, ლაფით მაძღარმა?! გავქანდები და კედელს თავს დავკრავ! (გაექანება. იანოს შეეცოდება).

იანო. (ლალეს დაიჭერს). — შენ ეს მითხარი: როცა იქმოდი, რასაც იქმოდი, ჩემზე ჰფიქრობდი, თუ სხვაზე ჰფიქრობდი?.. (ღელვით ელოდება პასუხს).

ლალე. შენზე და შენზე, მხოლოდ შენზე! გითხარი, მაგრამ, არ დამიჯერებ! ახია ჩემზე! რა გზას დავადგე?! რა წყალს მივეცე?!

ჯამბაკური. ვერ გაათავეთ... ამდენი ხანი... თქვენი ამბავი?! (შეუტევს). არ გესმის, ლალე?! შინ წაიყვანე. გზადაგზაც სცადეთ ბალახზე სადმე...

ლალე. ვერა, თავადო, ეს სირცხვილი თუ არ მოვიბანე...

ჯამბაკური. აბანო გინდა მაინცდამაინც? წადი აქედან, ქსანში ჩაწექი, არაგვში, მტკვარში ჯერ უნდა დალბე, ჰუჰყი რომ აგძვრეს, არ დაგავიწყდეს. (ლალე მაინც უარზეა, ჯიუტად დგას).

ლალე. უნდა გამჯობოთ, გამამათრახოთ, ისე არ წავალ...

ჯამბაკური. რასაც შეგპირდი ის არა კმარა?! სხვას რაღასა მთხოვ, ტაკი-მასხარავ?!

აზნო. (გაშიფრავს). — აბანოს ითხოვს, ეს იმას ნიშნავს, მექისეს ითხოვს, მექისეს ითხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქისას ითხოვს, განა თუ სახეხს, ოქროთი სავსეს... ქისა უჩვენეთ... ქისა, ყოველიესთან რაც რომ უთხარით... ნახეთ რა მოხდეს!

ჯამბაკური. (ქისას გადაუგდებს). — ქისა დამიჭი... ქართული თეთრი არ გეგონოს... მტრედის კვერცხებად ჩამოსხმული ასი ოქრო დევს შიგ. ირანული!..

ლალე. (ქისას დაიჭერს, ოქროს უმღერის).

„ვაი, შენ ჩემო ქისაო,
ფერად ნარინჯისაო,
შიგან ნადებო სიმდიდრევ
ფასო ხმელეთისაო“...

იანო. (გაოცებულია მისი საქციელით).

„ბიჭოვ, შენი ქისა,
ბუშტი არის თხისა.
შიგ ნადები საქონელი
კვინწი მარილისა“...

(ლალე არ აქცევს ყურადღებას, ქალის რჩევას, საერთოდ ვეღარც ამჩნევს ნანატრ სატრფოს, თავისას განაგრძობს).

ლალე. (ქისას იხუტებს). სხვა რაღა მინდა, კაცმა რომა თქვას?! ფარა — ბლომად მაქვს, მთავარი ქვევრის, ანუ თაღარის, წოდებაცა მაქვს... ჰაძე, სვი, გასკდი, ენაჭარტალავ, და ნუღარაფერს ნუღარ მიჰქარავ! ეგრე არ არის?!.. უფალმა ბრძანა, ჯამბაკურმა და ათქისიანი ქისა ხელთა მაქვს. ძალაც მომივა ნება-ნებად... ოქრო მექნება აურაცხელი. ახალი ეტლი, მეეტლეთი და თავის ამბებით; დიმტი-რამტებით, რამტი-რიმტებით... (ჩამოუვლის პატარა წრეს იანოს გარშემო). ცოლიც, აგერა, რძეს იწველება, რძეს შევდღვებავ და შვილი მექნება... მექნება-მეთქი, ენა მებმება... ჩინიც მექნება, ცოლი და შვილი, სიცხეში — ჩრდილი!.. სად გაგონილა ამდენი ჰირი, რაც მე გარდამხდა — ერთ კაცს გარდახდეს?! ამიერიდან ჯანდაბას იქით, ტანჯვა და შიში! მარტო კბილები არ კმარა პირში! ამდენი თრევის, ქახჯვა-წვალების ფასად შიხვდები: მიწა — მიწაა, მთები — მთებია, წყლები — წყლებია; აქეთ მოშეაო, იქით — მოტკბო, ბოლოს, სუყველა ერთდებიან, ერთნი ხდებიახ, ხოხობი, ყველგან ხოხობი გახლავთ, აქაც და იქაც, კაკაბი — ყველგან ნაცრისფერია... მწყერი — მწყრისფერი, მგელი — მგლისფერი... აი, ქისები, ოქროს ქისები, ყველაფრისფერი, ყველაფრისმთქმელი!..

იანო. ეს რა თქვა, ხალხო, რჯულგაყიდულმა, ამ გაიძვერამ, ამ უბედურმა?: ეს რა დაროშა, ეს რა იმღერა?! იქნებ წამოსცდა, უნებლიედ, ისე წამოსცდა?: (ლალეს მიუბრუნდება). იქნებ წამოგცდა, ბიჭო, მითხარი?!

ლალე. (ოქროთი გაბრუებული). — რაო, ნიფხავი?! არ მოგცეს მზითვებში? როგორ თუ არა! მე კარგად მახსოვს, ჩემის ხელით შემოგაწოდე, იქნებ მატყუებ? გინდა გაჰყიდო, ფული ჩაჯიბო, მერე, ახალი მაყიდინო და ისიც გაჰყიდო. აბა, მიჩვენე! (ხელით მიწვდება კაბის კალთას). აიწიე და კარგად მიჩვენე!..

იანო. აჰა, გიჩვენებ! (ქისას გამოსტაცებს და თავში დასცხებს. ლალეს გული წაუვა. გადაესვენება. ნიშანი აღარ აქვს სიცოცხლისა. იანო მას ისე ათვალიერებს როგორც რაღაც გასაოცარ არსებას).

იანო. ორი ფეხი აქვს, ხალხო, ამ ოხერს, ოთხის მაგივრად თანაც ქართულად, რა გამართულად გაგვითათრა და გამოგვითათრა! როგორ გვაგინა!.. რა ილაღა და რა გაიხარა, ოქრო რომ ნახა.. ლა-ილლაობდა, ილლა-ლლაობდა... როგორ ბღაოდა! (მღერის).

„სჯლი ვერც იმან მოიგო.
ვინც ოქრო დადგა კერადა,
და ჯალაბს ტაბილი ცხოვრება,
ტაბილად ვერ გაუფერადა“ (გადის სეირიდან).

ლალე. (მოსულიერდება). — ვინა ყოფილა, ეს ორთავიანი და ორბაშიანი, ამ გაქანებულ უთაობაში, ჰა?! რა დღე მაყარა, ლამის ჯვარს მაცვა. (უხმობს იანოს). ტყვილად გარბიხარ. შენ გენაცვალე, ვერ გამექცევი! ოქროზე გაწყერ, ჩემო იავ, ოქროს ქისაზე?! განა რა მოხდა საიმისო-რო?! ცოტა ხანს მეპყრს ეს დაწყეველილი, თუ დალოცვილი, ვიდრე გავიგებ რაები ხდება დედამიწაზე! თუ ყველა ეგრე გასპეტაკდა, შენ როგორც ხატავ, ჩავფლავ მიწაში ამ ყვითელ ეშმას, ანდა გადავყრი... (ფიქრებში). იქნებ მოსწყინდა ეს საზიზღარი, ყვითელი ჭირი ადამიანებს, იქნებ შესჯავრდათ დასანახავად, დაგმო ქვეყანამ და გადაჰყარა! მე კი მიჭირავს!.. ეგებ, თავადმაც გამამასხარა, ოქრო რომ მომცა ნადილეგარს და შარს გადამყარა?! მოდი, დავმალავ, გადავინახავ ჯერჯერობით! (უბეში მალავს ქისას).

შემოდის თებრო, იგივე იანო, პურსა და ყველს გემრიელად მიირთმევს, თან მწვანილს აყოლებს. დანარჩენი ბერიკებიც შემოდიან ჰამით.

ბერუა. (თებროს). — მე აქ ყეფით დავიღალე, თქვენ კიდეე ღეჭვით, ლამის არის ყბა ამოგვარდეთ, იშოვეთ რამე?

თებრო. ყველი და პური — კეთილი გული. (უზიარებს). როგორც იქნა გამოიმეტა მამასახლისმა...

ბერუა. ალბათ სეირი მოეწონა და იმიტომაც გამოიმეტა...

თებრო. მე მოვეწონე... (თ ა ნ ი ლ უ კ მ ე ბ ა).

ბერუა. დუმა მეგონა შორიდან ყველის ნაჭერი. (ა რ გ ა ა მ წ ვ ა ვ ა ლ ა ლ ე მ ნ ა თ ქ ვ ა მ ი).

თებრო. ზემოალვანის გუდისყველია, ერბოს სჯობია!..

ბერუა. გინდა ალვანის იყოს, გინდაც ჩალვანის, სად მლაშე ყველი, სად კიდევ დუმა, ქონდრით ნაზელი, ბოლში ნაკიდი, პირში რომ დნება ცხელ შოთთან ერთად, აბა, შენა ხარ! (გ ე მ რ ი ე ლ ა დ შ ე ე ქ ც ე ვ ა).

თებრო. სწორედ რომ მე ვარ, თორემ, პური და ყველიც არ გვექნებოდა... არ აიხირა დუმა და დუმა!..

ლალე. ახალი ნივრის ფოჩით, აბა, შენა ხარ! ყველსა და პურს არა ჯობია?! (ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ს). ჩემს თებროს ისე მოსდის, ჩემ დედაკაცსა, ერთი სომეხი და ერთი თათარი რომ შეხირდნენ: არა, მახოხი სჯობია, არა, ფლავიო. სომეხმა გააკეთა მახოხი, თათარმა კი ფლავი. დასდეს ერთად რომ დაინახონ — აბა, რომელი სჯობიანო. სომეხი მაინც ხირაობდა: არა, მახოხი უკეთესიაო. გაბრაზებულმა თათარმა უპასუხა: ეს ბრინჯი ჯანდაბას, ქატოში გავაბაროთო და ამ ერბოსი მაინც აღარა გრცხვენიაო?! ეგრე მოგდის, სომეხივით, ჩვენო თებრო...

თებრო. თაფლი კარგია, მაგრამ, ძაღლის გუდაშიო... მე რასაც ვაქებ პურსა და ყველს, ხელთა მაქვს და გეახლები. შენ კიდევა, თათრისა არ იყოს, ფლავი და ფლავიო. დუმა აიხირე და გაიძახი... ფა-ფუ-ფიაი!

ჯავახა. (ბ ე რ ი კ ე ბ ს). პური და ყველის ჭამა კარგია, მაგრამ, განა ბერიკონის დროსა, ანა ვჭამოთ და შევისვენოთ, ან ახალ სეირს გამოვაცხადებ...

ბერუა. შეისვენეთ... მე კიდევ, რაკიღა პური და ყველი შემომათავდა, ერთ ჩვენებურს, ქიზიყში დაბადებულ შაირს ვიტყვი და სეირსაც დავამთავრებთ. (ხ ა ლ ხ ს მ ი მ ა რ თ ა ვ ს):

„ერთი ძველი ქოხი მქონდა,
თავზე არ ეფარა ჩალა.
ნიავმა რომ დაუბერა.
სულ ერთიან დამიშალა.

ერთი ბერი ხარი მყავდა,
იმას არა ჰქონდა ძალა,
ბუზებმა რომ შეაწუხეს,
ისიც ტყეში დამემალა.

ხუთი წლისა ძროხა მყავდა,
იმას არა ჰქონდა ღალა,
ერთი ქილა რძე მოწველე,
ჰკრა წიხლი და დამიღვარა.

ათი ლიტრა პური მქონდა,
ვიყავ იმის ანაბარა.
ჭაგრამ ისიც აღარ შემრჩა,
მოჯამაგირემ მომპარა.

ორი მუჯა ქერი მქონდა,
ისიც ვირმა შემიჭამა,
დახედე უბედურებას,
ვირიც მგელმა შემიჭამა.

ძველებური თოფი მქონდა,
იმას არა ჰქონდა ძალა,
კურდღელს ბეჭებში გავარტყი,
უფრო სწორეთ გაიარა.

(ამთავრებს პირველ სეირს)

სეირი მეოთხე

კვლავ ჩარდახიანი ურემია სცენაზე, თავისი ზარით, ჯალამბარით.

ჯავახა. (აცხადებს). ვაცხადებ ახალ სეირს: მოგეხსენებათ, თავად ჯამბაკურის ნებით, ირანული ოქროს ქისებითა და კეთილი წყურვილით დაბრუნდება ლალე თავის სამშობლოში, თავის მხარე'ში. მოაკითხავს თავის ბერიკონს. თავის ბერიკებსა... ლალეს არყოფნაში, ბერიკონს ლალეს ნაცვალი, კვახაბერი დაჰპატრონებია და მოძალებულ ისლამიანთა ნებით, ჩარდახიანი, ქართული, ბერიკული ურემი ჰარამხანად გადაუკეთებია... გაუდით და გამოუდით ჩარბუზანა... ამას იხილავთ თქვენის ნებითა და ჩვენი შეძლებით. დაიწყე წიქა, ფუტურო კვახი დაიმხე თავზე!

(წიქა კვახს ჩამოიფხატავს და სეირს იწყებს).

კვახაბერ. (იგივე წიქა). —
პირველად საქართველოში,
მრავალტანჯულ ქვეყანაში,
ნისიად და განვადებით,
მოდით, ხალხო, დაგანახოთ
ყველა ქვეყნის ლამაზები!

მღვდელ. მოგიყვანეთ, მოდით, ნახეთ, აარჩიეთ, შეიყვარეთ!..

კურობერ. რა ქალები, რა თვალები!..

თხაბერ. ჰინდუსტანის ლამაზები, მომცრო ტანის, ძვირი არ ღირს!

ტახბერ. აფრიკულთან ნაჯვარები, აზიურის განზავებით! იაფად და პირიანად!..

ვირბერ. გადავყაროთ ჯაგლაგები,
უშნო, ძუძუპატარები!..

უაყიჩა. შევიყვაროთ ლამაზები,
მოქნეული გავაზები!..

კვახაბერ. გეყოთ ძვლების ჩხარა-ჩხური,
პონტიურ და კასპიური,
ეკლესიის თვალთმაქცური სამსახური,

ყალბი მცნების — ყალბი თმენა.
გაცვეთილი გუთნისა და
აცა-ბაცა ფარცხის დევნა,
შევიძინოთ ერთდროულად,
სიამეც და განათლებაც!..

(კურობერისაკენ შემობრუნდება). რატომა აქვთ აბა მითხარი, აღმოსავლელ ქალებს, ვიწრო თვალები?

კურობერ. (უპასუხებს). — აღმოსავლელ ქალებს იმიტომ აქვთ ვიწრო თვალები, რომ... რომ... ამომავალი მზე პირველად მათ უმზერს, შიგ თვალებში და ამიტომაც უვიწროვებს თვალთაჭრილს მნათობი ქალებს...

კვახაბერ. (ბერიკებს). სახელდობრ... დაასახელეთ!...

მღვდელ. მარჯანას, აბრიზას...

თხაბერ. ნაჯიას, ნარგიზას.

ტახბერ. ნუზჰას და საბიჰას.

ვირბერ. ჰულვას და ზარიფას...

კვახაბერ. (დაჯამებით). — და კიდევ სხვას და კიდევ სხვას და კიდევ სხვას მრავალს და მრავალს, ნელ-ნელა, თანდათან... (ქალებს გასძახებს). ქალებო, მზად ხართ?

ხმები. (კულისებიდან). — მზადა ვართ, მზადა!..

კვახაბერ. (ბერიკებს). — წავიდეთ, რაღა!.. (იწყებს აღმოსავლურ ცეკვას, სიძღერას. დანარჩენებიც მას მიბაძავენ. ცეკვავენ და თან მღერიან).

კვახაბერ. (გასძახებს კვლავ ქალებს). — ისე დალაგდით, როგორც იმ ღამით. გამხდრები, მარჯვნივ, მსუქნები — მარცხნივ. მზად ხართ თუ არა?!

ხმები. მზადა ვართ, მზადა!

ბერიკები. აქეთ, ხანა,
ხალვათ-ხანა!
ჩაი-ხანა,
კახპა-ხანა.
ყავა-ხანა,
ოქროს-ხანა,
დაბა-ხანა,
ყომარ-ხანა!..

(ჩარდახს იქით გადიან)

ლალე. (ურემზე ადის, თვალს გააყოლებს). — აი, ესენი, ერთ დროს უბრალო გახდნენ გლეხები! (ხალხისაკენ შემობრუნდება). მიწასა ხნავდნენ, თესდნენ და ფქვავდნენ მთის წისქვილებში. პურსა

ჭამდნენ და მაწონს ატანდნენ კმაყოფილები... ვაზი სუყველას ნაქები ჰქონდა და ბადაგივით ღვინოსაც სვამდნენ წმინდა სტუმართან... ცოტაოდენი, მამაპაპური, ოპიზარების ნაშენ-ნაქოხი ოქრო და ვერცხლი რაც კი ებადათ ბეთლემსა ჰქონდათ გადანახული დიდი მყინვარის დიდ სალოცავში... ახლა, რა ხდება... ვინ დაგვწუეველა და ვინ შეგვაჩვენა?! ნუთუ გადატყდა სუყველა ჭალი ქართული ურმის, ფერსომაღალის და ჩემი ნაცვალის ხელნაკრავი გადაიჩეხა ღვინია ხარი!.. როგორ მოვიქცე, რითი დავიწყო... ან ის ვინ იყო, ია იყო თუ ვინმე სხვა იყო, ორთავიანი, ხმალივით ქალი. თუ ცხადში იყო, რად არ წაიღო ოქროს ქისა, თუ სიზმარში და... ოქროს ქისით რომ დამინახონ ვაითუ დამახრჩონ და მერე გაშძარცვონ... შოდი დავმალავ, ვითომ ჩავყლაპე. (აყვირდება). მიშველეთ, წყაალი!.. ოქრო გადამცდა სასულეში, ქრისტიანებო, მომხედეთ, ჩქარა!

(ლალეს ყვირილზე, ხვანჯრის სწორებითა და მთვრალი ხმებით გამოჩნდებიან ბერიკები).

მღვდელ. ვინა ღრიალებს?

ვირბერ. რათა ღრიალებს?

თხაბერ. რა აღრიალებს?

ტახბერ. (შენიშნავს ლალეს). — შენა ღრიალებ?

კვახბერ. რა გაღრიალებს, ერთი მითხარი?!

ლალე. ოქრო გადამცდა სასულეში და...

კვახბერ. ოქრო?!

კურობერ. რა ოქრო?!

ყაყიჩა. საიდან, ოქრო?!

ვირბერ. როგორ თუ ოქრო?!

მღვდელ. მაინც რამდენი?!

თხაბერ. საიდან, ვისი?!

კვახბერ. ჩემი თუ სხვისი?! (ახედ-დახედავს ლალეს). — ხელცარიელი, მარტო, ეული, ჰა-ჰა-ჰა!.. აღარ განახო აქ მოთრეული!.. გასწი, დაოთხე ჭენებ-ჭენებით!..

კურობერ. მათხოვარია, ოქროს თხოულობს!..

ტახბერ. ო, რა დრო დადგა, მათხოვარიც ოქროს თხოულობს?!

თხაბერ. აბა, თუ გახსოვს, რა ფერის იყო?!

კურობერ. წყალში ნახე, თუ ხმელეთზე, ბიჭო?!

ტახბერ. ეგება ჰქონდა ოდესღაც, საწყალს...

თხაბერ. მე კი მგონია, სიზმარში ნახა!..

ლალე. (ყვირის). წყაალიი!..

კვახბერ. წყალი — რა წყალი, ჰა, ოქროს წყალი?!

ტახბერ. თუ ვარდისწყალი გნებავს გლახაკო, ირან-გილანის?!

მღვდელ. ნაკურთხი წყალი მომთხოვოს იქნებ, ამ უმღვდლობაში!..

კვახბერ. (შემტევად). — ჰა, ამოშაქრე, ამოკაკლე, ამო, შე!..

ლალე. ლალე ვარ, ლალე, თავბერიკა, ველარ მიცანით?!

მღვდელ (ჩაშტერებით). ლალეო?! შენა დომხალი ხომ არა ჰაძე, ან ჭინკრის მხალი?!

კვახბერ. (გაფიცხებული). მაგ სახელს მეტად ნუღარ ახსენებ, შე ოხერო, თუ გინდა შეგრჩეს შენ დედის ხსენი და სამუდამოდ არ დაგავიწყდეს საკუთარი სახელი შენი! გესმის, რაც გითხარ, მათხოვრისფერო?!

გაცხარებული ბერიკები განზე გამოელენ და ავბედობას გაახერხებენ.

ტახბერ. არ გახსოვთ განა, ის ყიამყრალი?!..

გლეხბერ. ქრისტეს ბაძავდა. მცნებას ჰპარავდა, თავის თავსაც და ჩვენცა გვტანჯავდა...

ტახბერ. ტყუილუბრალოდ გადაგვკიდა დიდი თავადები!

ვირბერ. აყბედებული ენა-პირითა!..

კურობერ. გვერდები გვქონდა ლილისფერი მუშტიკრივითა...

თხაბერ. ბევრჯერ გაგვკრიჭეს, მაგის წყალობით, თავქვე დაგვკიდეს!

კურობერ. სამი ბერიკაც სტამბულს გაგვიყიდეს...

მღვდელ. სამაჩაბლოში, რაები გვიყვეს?!

ტახბერ. საინგილოშიც გვირტყეს რბილებში!

მღვდელ (ლალეს). მაშინაც გვეყო, როდესაც იყო! კიდევ აქა ხარ, შე ცრუმასხარავ?!

კვახბერ. (ბრძანებს). — გამოუტანეთ თავბერიკას ტანისამოსი, რაც კი გადარჩა, აი, ამ გლახას და თუ ეს ის არის, როგორც მიჰქარავს, რომ მოერგება, დაიბეგვება!.. მაგრამ, გირჩევთ, რომ წინასწარ სცემოთ, რათა ზომებში გაცთართოებულს არ ჩაეტიოს ის სამოსი, რასაც ჩემულობს და მიიბეგვოს განმეორებით!.. (მიესევიან საცემრად).

ლალე. (შეუტევს). — ვაი, თქვენს პატრონს! უმეცრებისგან ტანზე ნაწილი გადაგიგვარდათ: ერთის მაგივრად — მეორე გაზით, მეორის ნაცვლად პირველი გადგათ!

ტახბერ. ძმას უყურეთ, რაებსა გვკადრებს, რა ჭორსა ჩმახავს და სისხლზე გვაგდებს!..

ლალე. (ამოახველებს). აგერ, გაგორდა ჩემი ბაჯაღლო ოქროს კვერცხი, ხელი არ ახლოთ, გაიწით იქით!

(ლალე საითაც მიანიშნებს, იქით გაიქცევიან ბერიკები. მუხლიჩოქით დაეძებენ ოქროს).

თხაბერ. ჭია-ჭია მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ!

კურობერ. თითი მომტეხეს, ვაიმე, თითი!.

ვირბერ. ყურში ვინა მკბენს? შენა, კვახბერ?!

ტახბერ. ვაიმე თვალი, თვალი დავკარგე! თვალის ადგილზე მუშტი ვიპოვე! მუშტი ვისია — მეც იმისი ვარ! მუშტი ვისია — მეც იმისი ვარ!..

მღვდელ. ნეკნი მომაჭრეს, სულ ტყუილად, მღვდელი ვარ და ნეკნი მჭირდება, ოქროც არა სჩანს, ვიგინდარამ მოგვატყუილა!.. (გამოძვრება, ზედახორა დაიშლება. ლალესკენ წამოვლენ).

ლალე. (ქისას დააძრობს). — ბაჯაღლო ოქროს ათქისიანი ქისა ხელთა მაქვს, აჰა, შეხედეთ! ზედაც ბატონის ხელწერა აქვს, ნუთუ ვერ ხედავთ?! მეფისეული ბეჭედიც აზის! ხედავთ თუ ვერა?!

მღვდელ (შეჰყვირებს). ლალეა, ლალე!

უაყიჩა. მართლა ლალეა. სიტყვაზე ვატყობ, საქციელის სიმარჯვეზედაც ეტყობა, ხალხო!

ვირბერ. მართლაც ის არის, გამოვიცანი!

თხაბერ. ყურის ბოლოზე ლალესეული ხალი ვუნახე!.. ის არის!..

კვახბერ. ხალი — რა, მაგის მოგონილია? ბევრი მინახავს მე ხალიანი, კაციც და ქალიც, მერე რა არის?! (ლალემ ნახა, რომ ბერიკათა უმრავლესობამ ოტყდა, გადამწყვეტად შეუტია კვახაბერს).

ლალე. (მოსდებს). — აჰა, მიიღე ყველაფრისათვის, შე კვახისთავავ, გოგრუაშვილო! (გააგორებს). კვახის ყუნწზე რომ არ ებმის ნესვი, ნათქვამი გახლავთ, მაგრამ შევცდი... ასწით ყურები, ოინბაზებო, უფასურებო! აბა, ვის გინდათ ტვინის შეყვანა ცარიელ თავში, კუდუსუნიდან ხერხემლის გავლით?! შაშინ მიქარე, შევცოდე მაშინ, როცა უძაღლო ჩემს ქვეყანაში კატა ვაყეფე!..

მღვდელ (ევედრება). უნდა შეგვინდო, ადამიანო!

ლალე. მღვდელბერიკაზე, ამ ყოფილ კაცზე სიტყვას არ დავძრავ. თქვენ სად იყავით ან რად იყავით, ვირო-ვირთავავ, ქვეყანათაზე?! თხაო — თხაპთხაპავ, ტახო-კაპკაც? სად იყათ, სადა, მეზურნეებო, მეჭურჭლეებო, მეპურეებო, დიდ-პატარანო, ამქარო მთელო?! ან ეს რა არის, მითხარით აბა, ბერიკონია, თუ ჰარამხანა?!

კვახბერ. (ბერიკებს). — არ არის ლალე, მე დამიჯერეთ, ტყვილად არ აჰყვეთ. იმისეული არც ეგ ხალია! ქისაც ნამდვილად მონაპარია... ყაჩაღია და ონავარია!.. მე ვიყიველებ და გათენება, თქვენი იკითხეთ!.. ყიყლიყოო! (გამომწვევად დაიყივლებს. ვირბერიკა დიდ გოდორს დაამხობს თავზე კვახაბერს და მიაწყევლის).

ვირბერ. მიწამ პირი გიყოო!.. (გოდორზე ჩამომჯდარი მიმართავს ლალეს). უნდა მოგვხედო და გვიპატრონო, ლალუავ, ჩვენო, ოსტატო ძველო, შემოქმედო და სულის ჩამდგმელო!

ლალე. ვირო-ვირთავავ, სახედართმცოდნევ, კურცხალის ნაცვლად ჩონჩორიკი გცვივა თვალთაგან!..

ვირბერ. არა, ცრემლია სინანულისა, ცრემლია, ცრემლი!

მღვდელ. (ლალეს). — სხვა გზა არა გვაქვს, უნდა შეგვინდო, უპატრონობამ და მარტოობამ აგვაკრა გუდა, დაგვრია ხელი, გვაგლიჯა წვერი...

ლალე. (წამოენთება). — მიჰქარავს მღვდელი! ახი არ არის, რომ წა-

მოგხადო ანაფორა და წვერის მაგივრად სხვა რამ გინახო წაკვეთილი, შენს ღვთიურ რჯულს რაც რომ არ ეკადრება! ჰა, წამოგხადო?!

კურობერ. (ლალეს). ლუკმა ხომ უნდა ჩაგვედო პირში...

თხაბერ. შიმშილისაგან ძლივს დავფორთხავდით, რა უნდა გვექნა!

ყაყიჩა. (გოდორს მუშტს დაჰკრავს). აი, ეს იყო, ეს კვახაბერი წელან რომ ედო ნაღვლისფერი, ერთ დროს კი დიდი სიმართლის მთქმელის ფერს ისვამდა და თვალთმაქცურად იღებებოდა. აი, ამან ჰქნა სუყველაფერი!

მღვდელბერ. საღმრთო სჯული დაგვიწვა და ალჰამდულა გვიქადაგა.

თხაბერ. წყვილი თიკანი გამიყიდა შიგ თეირანში. იცოდეს ღმერთმა, ლუკმა პურის საშოვარზე ვიყავ წასული ჩემს ქალთან ერთად...

ვირბერ. ერთხელაც, ტვირთი ამკიდა დღდი... რომ ვერა ვზიდე, ამ ოხერმა, წიხლი მკრა და ხევში დამაგორა...

კურობერ. მოვკიდოთ ხელი, გადავუხადოთ სამაგიერო და ვაგორაოთ კლდეზე ეს ოხერი! (გოდორს ეცემიან).

ლალე. (თავისთვის). —

„არ ვეგონა, გორის ციხე,
საგორავად გახდებოდა,
ლაშქარშია თეთრი ცხენი
საგოგავად გახდებოდა...

ჩემი თავი — ცათა სწორი
ასე დამიდაბლდებოდა.
ჩემს უარეს, ჩემი სწორი,
ასე გამილაღდებოდა“.

(ისმის ბერიკათა ნაღვლიანი სიმღერა).

„ლალუაე, ჩვენსა ციხესა,
მარჯვენა კუთხე სკდებაო,
თავს შემომჯდარა ყორანი
ლიბოში გველი ძვრებაო“.

ლალე. (გული აუჩუყდება ამ სიმღერაზე). — იცით, რას გეტყვით! (ბერიკები მოწიწებით გაჩერდებიან ლალეს წინაშე). ვიცი, ბიჭებო, რისი მაქნისებიც ხართ თქვენ უჩემოდ, ან მე უთქვენოდ!.. ქვიცი ვიცი და ქიცმაცურიცა. ბევრი რამ მეცა მჭირს თქვენსავით! ვიცი, რომ ბევრი ტყუილიც დააზღერთეთ, ტყუილი — მეცა მჭირს ვიცი, ბოლომდე კაცს არ გააღმერთებთ — მეცა მჭირს, — ღმერთი მგონებია ბევრჯერ ჩემი თავი. და რაკი ასეა, ამ ქისას მე დავცლი თქვენს თვალწინ, მშიერი კაცი არც ბერიკად ვარგა და არცარა მღვდელთმთავრად... შეინახეთ და გამოიზოგეთ ლუკმა-პურისათვის, ცოლ-შვილისათვის, ხვალ-ზეგისათვის. (იმედიან გეგმებს გადაუშლის ბერიკებს).

„სანთლის გუთანს გავაკეთებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა.
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
ხმელზე ვნადირებ თევზსა“.

ლალე. თხის პატრონს — აღარც თხის კუდიო, თქვე კაი ხალხო?..

(ცარიელ ქისას შეათამაშებს).

ოხაპერ. (ჩაუდებს ერთ ოქროს). — აჰა, ესეც თხის კუდი...

(დანარჩენი ბერიკებიც იმეტებენ თითო ოქროს)

ლალე. (მღვდელბერიკას). — მღვდელო, მომხედე!

მღვდელ. (ოქროს აძლევს). — აჰა, ეს ერთი ოქროს კვერცხი... გისმენ.

ლალე. გამოვა რამე, ცოლი რომ შევირთო?.. მგონი, დავბერდი...

მღვდელ. შენი ტოლები შვილიშვილებს დაჰკაკანებენ, კარგა ხანია, მაგრამ.

ლალე. მაგრამ...

მღვდელ. მაგრამ, მე მახსოვს, ის ცხონებული დიდედაშენი ასრაღაცისა რომ მოიყარა, სწორედ მაშინ, იმ ცხონებულმა პაპაშენმა, ასნახევრისამან, ერთხელ კიდევ შეარყია ძველი ქვეყანა და მამაშენი, დიდბერიკა, დღის სინათლეზე გამოიყვანა...

ლალე. მოხსენი კიბე, პირდაპირა თქვი!

მღვდელ. პაპასა ჰგევხარ და ეგ ხალიც, ყურზე რომ გაზის ბაღლინჯოსავით, იმისი არის!..

ლალე. (გახარებული). მართლა?!

მღვდელ. ღმერთმანი!..

ლალე. აბა, მაშ მომყევ!..

მღვდელ. წადი და მოგდევ.

ყაყიჩა. (ლალეს) — ჩეროში გავალთ. ძალიან დაცხა.

ლალე. მუცელს არ გადაჰყვეთ, ქორწილისათვის თავი შეინახეთ!.. ტაში, ტაში! (ჩამოუვლის).

მღვდელ. ვინ არის და რა ქალია? მაღალია? დაბალია? მსუქანია? გამხდარია?!

ლალე. ყვავილის სახელი ჰქვია, გამოიცან!..

მღვდელ. (შეფორიაქდება). — ვისი სახელიცა ჰქვია, ის ყვავილი სადა ხარობს, სადა გვარობს?

ლალე. შენს ოჯახში, მღვდელო, შენს სახლში...

მღვდელ. რა სახლი, რი სახლი? ცაცხვიფუღუროს, შენ სახლს ეძახი?! (პაუზა). კრაზანა დაგვესხა ერთ ღამეს და ი გოგო წამართვა, ყვავილს რომ ვეძახდით!

ლალე. როგორ დაანებე უომრად, მღვდელო?! ხმა მაინც გაგეცა, სჯვა თუ არაფერი!

მღვდელ. წარბ-ულვაში ავატყავე, თავში საცეცხლური დავცხე, მეტი რა მექნა?.. განა მარტო იყო, ჩაჩნებით დაგვეცა!..

ლალე. მერე რა მოხდა, არ გაგიგია?

მღვდელ. სჯულგაყიდული შემოჰკვდომია... ქისა დაურტყია, თავი გაუპია..

ლალე. ეგ ხომ მე ვიყავი, თავადთან, ციხეში. ქისა მე დამარტყა... კინაღამ შევცდი, ცოტაღა დამაკლდა!..

მღვდელ. დედისერთაზე?

ლალე. არა, ქისაზე, ოქროს ქისაზე... ის იყო ვეცი და...

მღვდელ. დედისერთასა?

ლალე. არა, ქისასა, ოქროს ქისასა...

მღვდელ. ხომ არ შემცდარხარ?

ლალე. დედისერთაზე?

მღვდელ. არა, ქისაზე, თავბერიკავ, ოქროს ქისა, რომ შემოგიტანეს...

ლალე. დედისერთამ მიხსნა! სად გადამალე, მღვდელო, მითხარი?!

?ღვდელ. რაი, ქისაი? შენ არ დაცალე!..

ლალე. დედისერთაი, დედისერთა გამომიყვანე, თორემ!..

მღვდელ. (უ ხ მ ო ბ ს). — კარზე მოგადგა, ბედი, შვილო, ფერი-ფერსა და ჰადლი ღმერთსა ვთქვათ.

ლალე. (ი ა ნ ო ს). —

წყალში შეცურდა ირემი,
თან მელა მისდევს ტივითა,
გოგოვ, მე შენი სურვილი.
მაბრუნებს წისქვილივითა.

იანო. (ლ ა ლ ე ს, მ წ ყ რ ა ლ ა დ). —

„სადაც დაგიფქვავს იქა ფქვი,
ბაცაცურო, ჩემახაო,
ჯერ ისიც ამოუშლელად,
ჩემს გულში ჩაიმარხაო!“

ლალე (რ ბ ი ლ ა დ). —

„გული რად მიგდის, ჭალაო,
სიტყვა რადა გაქვს ავია?“

მღვდელ. (შ ვ ი ლ ს ა რ ი გ ე ბ ს). —

„საწყალო, ვის იმედი გაქვს,
ვინა გყავს მატირალია?“

ტახბერ. (ლ ა ლ ე ს). —

„თავსა ნუ მისცემ სევდასა,
გულს ცეცხლი მოეკიდება...

თხაბერ. (ლალეს ამშვიდებს). —

„ის უფრო ცუდი იქნება,
ვინც ამას წაეკიდება...“

ლალე. (ბერიკებს). —

„აბა რა გაგაგებინო,
თუ არ-რა გამიგონა რაⷭ“

იანო. (ლალეს). —

„სანამ ქალი ვარ გაჯავრებ,
არ დაგილევა ჯავრსაო,
გზაზე რომ შემომეყარო,
გირჩევ, გადადგე გზასაო.

გადავალ გომეწრისაკენ,
სანთლით შეეარჩევ ქმარსაო,
თუ იქაც ღერა ვიშოვე,
ხევსურს გადავყვები ყმასაო“.

ყვავლა. (ლალეს). —

„იარე, ბიჭო, წავიდეთ,
გზა შევკრათ ჩვენი მტრისაო“.

ლალე. (ცდილობს იანოს დაბრუნებას).

„ქალო, ამ თვალთა ნათელო,
ქალო, სახე გაქვს მზისაო,
ქალო, შვენება ვინ მოგცა
სამოცი ვარსკვლავისაო.

მთვარე ხარ მანათობელი,
იალბუზისა მთისაო,
შუქი ანათებს ქვეყანას,
მაგ შენი თვალებისაო.

ცაში ნაბანო ვარსკვლავო,
ხელთ დასაჭერო მზისაო,
გახსოვდე, მომიგონებდე,
მე შენთვის ცრემლი მდისაო“.

იანო. Მართლა, ბიჭო?! (სიყვარული მოერევა გოგოს).

ლალე. — მართლა, გოგო!...

იანო. „ვერცხლისა თასად მაქცია,
რო ღვინით აგევსებოდე“.

ლალე. „დაფერილი მქნა წითლადა,
შეგსვამდე, შეგერგებოდე“.

იანო. „ანა მქნა ოქროს ზურთვაი,
ქალთაში ჩაგეშლებოდე“.
ლალე. „ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზე შეგეკრებოდე“.
იანო. „ანა მქნა ვარდი, ყოილი,
რო პირზე დაგეყრებოდე“.
ლალე. „ანა მქნა მოეის პერანგი,
რო გულზე დაგადნებოდე“.
იანო. „ან შენი ნანდაური მქნა,
გულს ჯავრად ჩაგეპრებოდე“.

მღვდელ. (იწყებს საცეკვაოს, ლალე და იანო ცეკვავენ).

„ცანგალა და გოგონა და
ცაანგალა გოგონა,
გოგნი, გოგნი, გოგონა,
აი, გოგონა, გოგონა!..
ბანი გვითხარით, ბიჭებო,
სიმღერა ვთქვათ ხმიანი,
ხელ-ფეხი დროზე გაემართოთ,
ხვალ იქნება გეიანი.

ცანგალა და გოგონა,
ცაანგალა გოგონა.
ცანგალა და გოგონა,
გოგნი, გოგნი, გოგონა.

ეს ბიჭი კარგა თამაშობს,
ფეხის წვერებზე დგება,
ამან რო ცერი იტკინოს,
ნეტაე ეის დაბრალდება
ცანგალა და გოგონა...

იანო. (ლალეს). — დავიღალე, ბიჭო ლალე...
ლალე. (იანოს). — დაჯექი და დაისვენე, გენაცვალე.
იანო. შენ არ დაიღალე, ბიჭო?
ლალე. მუხრანული, შუშა კიტრივითა ვარ.
იანო. (არ ეშვება). — თავბრუსხვევა რამ იცის, ლალე?
ლალე. შიმშილმა და სიღარიბემ...
იანო. (არ ეშვება). — სხვამ არაფერმა?..
მღვდელ. (ნაზად). სიყვარულმა, შვილო, ჩემო, სიყვარულმა!
ვირბერ. მაგდენიც თუ იცი, მღვდელო, ჯვარი გამოსახე, იწვის, ვერ ხედავ?! რაღა ხელფეხს აქნევ და რაღად კარკლავ თვალებს?!

მღვდელ. ჯვარი რას გიშველით, შვილებო, ჩემო, როცა ხართ შიშველნი, აქ ტრიალ მინდორზე, თანაც ამ მზიგულზე, შუადღიგულზე... სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია! ფუღურო მაინც ნახეთ რამე, თავი შეაფარეთ...

იანო. შენ ჯვარი გამოგვსახე, მამავ, და მერე ჩვენ ვიცით, მივხედავთ ჩვენს საქმეს.

მღვდელ. (იწყებს ბერიკულ ჯვარისწერას). — ჯვარო-ჯვარუნაო, რკინავ-ქვარუნაო, ხეო-ვაზისაო, ვაზო-ქართველისაო. როგორც რომ გიხსხიავართ, შოგვხედე, გვიხსენი... (ბერიკებს). აბა, მეტი რა ვთქვა. აბა, მეტი რა ვქნა?! ღამე მაინც იყოს, უკუნი, ბნელი, რომ სასიყვარულოდ გაშალოთ ხელ-ფეხი!..

ლალე. (იანოს, დაბნეული). ახლა, რაღა ვქნათ, რა უნდა ვქნათ... როგორა ვქნათ?!

იანო. (ბრაზით). მაშ არ იცი, როგორა და რა უნდა ქმნა? ჰა, არ იცი?!

ლალე. ნატვრის თვალი მე არა მაქვს, სახლი, კარი-შესაფარი, ისე აბა რა უნდა ვქნა?!

იანო. (გაკაპასდა). — რაო, რა თქვი?.. ნატვრისთვალი არა მაქვსო?! შემომხედე, აბა კარგად, მე ვინა ვარ? წინდიჩხირი? თითის ტარი?! ღაზლი-ყაჭი-კოჭისძაფი?! აი, გაქრი, თუ ეგა თქვი. აი, გაქრი, აი, გაქრი!.. მე შენი ნატვრისთვალი ვარ, სახლი-კარი-შესაფარი, არა გჯერავს, ჰა, არა?! თუ აგრეა, მაშინ გეტყვი შენ ვინცა ხარ დღეის ამას-იმის იქით: არც კაცი ხარ და არც ქალი. აი, ეგრე! (ბერიკებს). რაკიღა ამ ოქროს ჰიას, გამრავლების ეშინია, ავდგები და გავარდები!..

ლალე. (გაფიცხდება). — ეგ რა მიჰქარე, ეგ რა თქვი, იანო?! იქნება დაფქვი, ჰა ტყუილუბრალოდ. ხმა ამოიღე?! მაშ ჯერ არ დაგიფქვავს, ისე როშავდი?! მე დაგაფქვევინებ. ო, რას დაგაფქვევინებ! თან გაგაცრევინებ! ქატოს — მახოხად ჩაგადებინებ, მუხლზე გახოხებ, ფქვილს — მოგაზელინებ, ჩაგაკვრევინებ და ამოგაყრევინებ! (ბერიკებს). აბა და ფერხული დავძალოთ ერთგული. შეჰკარით წრესრული, ზურგშექცეული!

ბერიკები ზურგშექცეულ წრიულ ფერხულს გაახურებენ. წრეში ლალეს და იანოს მოიქცევენ... წრე გაიხსნება, ფერხული შეწყდება. ნაბადს კევრივით მიათრევს ლალე. ნაბადზე იანოა ხურჯინგადაკიდებული. ხურჯინში ტიკინები უწყვია. ყოველ შეჩერებაზე თითო ტიკინა — თითო შვილიეთ ამოჰყავს).

იანო. (ტიკინას აღმართავს). ეს პირველი შვილია და რა დავარქვათ?..

ლალე. (გამოართმევს ტიკინას, მიეფერება). — მოდით, ფარნავაზს დავარქმევ, რაკიღა ბიჭი გამოდგა!.. (მღვდელს მისცემს მოსანათლავად).

მღვდელ. (შეიცხადებს). — აღარ დაგვადგა საშველი, კვლავ დასაბამიდან ვიწყებთ?! კარგით, იყოს ფარნავაზი!.. (ჯვარს გადაწერს).

იანო (ლ ა ლ ე ს). — ეს მეორეც ბიჭია და ამას რა სახელს დაარქმევ, ჩემო ლალე?..

ლალე. მაგას, მირიანი ერქვას, უაბულსა ხართ?

იანო. თანახმა ვარ მირიანის!

მღვდელ. ამინ, იყოს მირიანი!..

ბერიკები. ამინ, იყოს!..

(მესამე წრეზე, მესამე ტიკინას ამოიყვანს იანო ხურჯინიდან).

იანო. მესამეც რომ ბიჭი არის, ჰა, ლალე, ამას რაღას დაუძახებ?..

ლალე. მაგას ვახტანგი დავარქვათ, გორგასალი, ცუდი არი?!

იანო. თანახმა ვარ...

კურობერ. იქნებ, სხვა რამე დაგვერქვა...

იანო. ვითომ, რათა? როგორ, ვახტანგი არ ვარგა?!

კურობერ. ცხენი გაწყვა უჭმელობით და...

იანო. მართალი ხარ, ვახტანგს კი ვირზე ვერ შევსვამთ!..

უაყიჩა. მუზარადიც ძვირი ჯდება, ეგეც ჩადი!

მღვდელ. ახლა ისა, თვითონ თავი, რაზეც მუზარადი იდგმის?! ღირს?!

იანო. მერე, მგელის ამოტეიფრა მუზარადზე, ეს ცოტა ღირს?!

ვირბერ. ამდენ კუდბაწარობაში გადაშენდა ხელოსანი. აქა-იქა დიდოსტატი ასეთ წვრილმანზე მოცდება, როგორ არა!.. ისევ-ისე მე შევისვამ, ვირიცა ვარ, კაციცა ვარ, ოღონდ რამე გამოვიდეს მაგისაგან... სულაც ზურგით არ ვატარებ?!.. ნამდვილი ადამიანი...

ლალე. თუ ეგრეა, ვირბერიკავ, შენ მონათლე...

ვირბერ. მუტრუკაანთ გლახო ერქვას... ხელს გაანძრევს, სიბერეში პურს შეგაჭმევთ... ცოტას შეგიშეღავათებთ!..

იანო. (ყ ვ ე ლ ა ს). თქვენ – გგონიათ სახელებით ებადებათ საქმეებიც... ეეჰ! რამდენ მუქთახორას ვიცნობ დიდი-დიდი სახელებით: ბეჟან, ბეღე, ალექსიონ, მანუჩარ და ანდუყაფარ!.. ნაგავ-ნუგავს გააჩენენ, დიდ სახელებს დაარქმევენ... მერე, ფულით გატენიან აკვანში და, ოქროს შიბაჭს ამოსდებენ ლაჯებშიაც!..

ლალე. შვილი უნდა გააჩინო გონებითა, სამშობლოზე გოდებითა!..

იანო. (მ ა ც დ უ რ ა დ). — ტყუპი გოგო მომენატრა, გენაცვალე, მოდი, ერთხელ კიდევ სცადე! სცადე, ბიჭო!..

(კიდევ ერთხელ დატრიალდება საფერხულო წრე. მერე შედგება იანო. ხურჯინიდან ორ ტიკინას ამოიღებს).

იანო. (ლ ა ლ ე ს). — რას დაარქმევ?

ლალე. თამარი და ქეთევანი.

იანო. გამოვზრდი რომ, ცივ ნიავს არ მივაკარებ!

ლალე. (ე ხ ვ ე წ ე ბ ა). — მოდი, ჩემო თაფლის გუდავ, ერთი შვილი კიდევ ვცადოთ, ნაბოლარა დავუძახოთ..

იანო (უარობს). — ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ, ჩემო კაცო, მერე ვნახოთ... ცხრა თვე მუცლით მე ვატარებ, შენ კი არა! ათი შვილი — ათჯერ ცხრაა, ოცი კიდევ — ას ოთხმოცი! აბა, წლებზე გადიყვანე, წლები თვეებად დაშალე, თვე — დღეებზე გადიყვანე!... თელითაც დაიღლება კაცი... ქალმა რა ქნას?!

ლალე. ხუთიათას ხუთასი დღე გამოვიდა...

იანო. გამოთვალე? (გაუღიმებს). — დღეებს კიდევ დათვლი ლალე, მაგრამ, სხვაფრივ?! ვინ რა იცის, რა დრო დგება, მარტო პურიც გაჭირდება!.. ანდა, სხვა არა მოხდება?! წყალი აღარ მოვარდება?! წარღვნა არ განმეორდება?! თოფი აღარ გავარდება?! სხვას მოხვდება — ჩვენსას არა?!

ტახბერ. (შეაწყვეტინებს). — კარგი, მორჩით, გაათავეთ! გეყოთ, რაც დრო გაატარეთ!

კურობერ. ეგ ბალღები, რომ დაჩიქეთ მაგოდენი, მშივრები გყავთ... არც ხახლი გაქვთ, არც კარი გაქვთ... მართალი ვარ?..

ყველა. მართალი ხარ!

მღვდელ. აბა, სახლი ავაშენოთ, ბერიკებო, ჯამ-ჭურჭელით დავამშვენოთ!..

ვირბერ. წინაც ვაზი გავუშენოთ, ზედ მტევნებიც შევუფეროთ, საწნახელიც მივუშენოთ.

ტახბერ. ქვევრი, სარცხი, თუნგი, ხაპი, ორშიმო და მაწაწური!..

თხაბერ. აბა, ჰე და აბა, ჰერი! აბა, ქაფჩა, აბა, ხერხი, თარაზო და კუთხის ქვები, ხელეჩო და წალდუნები!

მაქაქოსა. „ეო, მეო, ბერიკავ ლალეო,
ქვეყნად სიმართლის ქადაგო,
შენ გენაცვალეო!

ყველა. (მინამღერი). — შენ გენაცვალეო!

იანო. ჰარალეო, ჰარიარალეო,
ბალღები ვინც დაგიჩიკა,
იმას მიხედეო...

ყველა. (ცეკვით, ფერხულით). —

მინანის დედა ნატრულობს,
მინანის გათხოვებასა,
მინანი კი არ ნანულობს.
ორი აკვანის რწევასა...
ფარნავაზ, ვახტანგი,
ერეკლე, თამარი,
პიპა და ქაქანა,
ქეთევან, ზაალი,
ამინ, იხარონ! ამინ!..

ᲡᲔᲛᲘᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

საბერიკო ურემი ქართულ საცხოვრისად მოჩანს: გოდორი, ხახალი, ურმის თვალი. ხამ-ხმარი ღოლო, სარცხები. ხელეჩო, წალდი, ჩირების აცმა. ხახვისა და ნივრის გალა. ღორის ბარკალი. იანო ჯარას ატრიალებს. ხასხლავი მაკრატლის ჩქამი ისმის საკმაოდ ხშირად. შემოდის წალამაკიდებული ლალე. კონას დადებს. კარებწინ დარგულ ბაბიღო ვაზს შეასხლავს რქას. ქამარზე ჩამოკონწიალებული მანეულის ხელეურიდან ერთ წნელს გამოაძრობს და ვაზსა ჰყელავს ღიღინით.

იანო. — მაინც და მაინც წითელ პარასკევს აიხირე და აიტეხე გასხვლა — შეყელვა. ვერ მოიცდიდი, ადამიანო, ორშაბათამდის?

ლალე. (ღ ი მ ი ლ ი თ). — ქალს ეღალატება გაზაფხულზე, ვაზს არა!.. სა-მამულე რქას წვენი მოაწვა, ჩემო იავ, დაგვიანდება; ცრურქა გაიწოვს სამტევ-ნე წვენს და მსხმოიარედ განზრახულ კვირტს ძალა წაერთმის... (შ ე ნ ი შ ნ ა ვ ს ა უ ლ ა გ ე ბ ე ლ ს უ ფ რ ა ს, ს ა ს მ ი ს ე ბ ს დ ა ი თ ვ ლ ი ს)... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთანა, ექვსანა, შვიდანა, რვა, ცხრა, ათანა, ათ-ერთმეტი, ათ-ორ-მეტი... ამოდენა ხალხს ვის უმასპინძლე, არც სტუმარი ჩანს?!.

იანო. შენი ბერიკები მოცვივდნენ. გაზაფხულდა და მოცუნცრუკდნენ. მო-გაკითხეს... ახალთ-ახალი ამბები დაფქვეს, ჰკუას გადაველ, ისეთები ილაპა-რაკეს!..

ლალე. (კ ე რ ძ ს დ ა ი ს ხ ა მ ს, ჰ ა მ ს). — მაშ მოცუნცრუკდნენ, არ დამივიწყეს?

იანო. დაგვიწყესო... საბერიკოდ ჩაცმულნი გახლდნენ. ბოხოხი, ტყავი, ახალთახალი... დამბაჩა, ხმალი, განა თუ ფუჭი, არა, ნამდვილი ტყვიით მაძღა-რი... ბათქი და ბუთქი არ გესმა განა, ვენახს რომ სხლავდი?..

ლალე. (ე მ ო ც ი ე ბ ს ე რ ი დ ე ბ ა). — ეს დაუცლელი ხელუხლებელი თასი ვისია, დედაკაცო?.. ნეტავ ვინ იყო, ვინ დაიწუნა, ლალესეული ნაფუძრის ღვინო?.. (ყ ნ ო ს ა ვ ს). ვისი სუნი სდის, ვერ გამოვიცან...

იანო. რა ვიცი, აბა... პირში ხომ არ შევუძვრებოდი ბუზანკალივით. ფი-ცხი ღვინოა, ყველას როდი რგებს... კუჭ-მაჭ-ნაწლავის მატკივარი თუ იყო უინმე...

ლალე. (შ ე ე ჭ ც ე ვ ა კ ე რ ძ ს). — მაგ შენ სიტყვაზე მომაგონდა, რა-

ღაცა მჭვალავს, ერთი ხანია... მოარულივით დამივლის რაღაც და გადამივლის... მერე არის და შუბლიც მაღონებს...

იანო. (ეხუმრება). — შუბლის ტკივილი, შაკიმა იცის, ბაჭიშვილებს შეალოცვინე და უმალ გაგივლის.

ლალე. სახსრები, ქალო, სახსრებს არ იტყვი?!.

იანო. სახსრებში, ალბათ, ჩაჩანაკი გჭირს...

ლალე. შენ ხუმრობ, მაგრამ, მე კი ვატყობ, დავჩაჩანაკდი...

იანო. მაგას მეც გატყობ... (ეშმაკურად იღიმება).

ლალე. მამლიყივილზე, ჩემო იანო...

იანო. მამლიყივილზეც არ გაგონდები, არ მომაკითხავ, ჩაჩანაკი ხარ!..

ლალე. გულმავიწყობა მე ჯერ არა მჭირს, სხვას გეუბნები... ჯარას დაეხსენ, ნუ აგრიალებ... გესმის, იანო...

იანო. საბერიკაო სამოსს გიმზადებ, ადამიანო, უნდა მოგისწრო... ისე იყვნენ გამოწყობილი შენი ბერიკები, რო, წუნს ვერ დასდებდი; ჭრაჭი და ჭრუჭი გაუდიოდათ... შენ ფართხუნები გაცვია ძველი...

ლალე. დამაცა, გეტყვი. სტუმრებზე მეტად, შენ დამითვერი, დედაკაცო, პირდაპირ ჯარად გადაიქეცი!

იანო. (ჯარას შეაყენებს) გისმენ, მითხარი...

ლალე. იმას ვამბობდი: ყოველ ცისმარე, ჩემო იავ, მამლიყივილზე განსაკუთრებით, ჯვარზე მგონია თავი გაკრული, სახსრებიც ისე ამტკივდებიან, თითქო ლურსმები მქონდეს დაკრული!..

იანო. (არხეინად). მგონი რაღაცას სულისწმინდაობ, ჩემო ლალე, აი, ეგა თქვი და გაათავე... ცხელ-ცხელ ჩონჩორიკს გაგიფენ ღამით, ის დაგიამებს. აჰა, ჩაიცვი! (ახალ ხალათს მისცემს). „ქანჭი-ჭუნჭი ქანჭარაო — გინდ იყავ და გინდ არაო“.

ლალე. „ქალი ქმარსა სწუნობდა და იყო იმის ამარაო“, — ეგრე მოგდის. **ბერიკები.** აგანგალა-განგალა, მართალს ამბობს ცანგალა ჰეი!

(დასჭექს ბერიკებმა ერთდროულად, მოცვივდნენ და ლალეს ახალი ამბები ჩაუკაკლეს, თანაც თხრობა-თხრობაში ახალი სეირისათვის მართავენ ურემს ლალეს დაუკითხავად).

კურო. სანთლის გუთანს გავაკეთებო, რო იძახდი, თავბერიკავ, ძველი ურმის ანაბარა დარჩენილხარ, ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

მღვდელბერი. ძველ ურემსაც რომ გვიმალავს სიძე-კაცი!..

ტახბერი. შენ ეგა თქვი! (ლალეს). თვითონაც იმალებოდა ძველ ვენახში...

ლალე. რა დაგემართათ, რა კატა გეცათ, ვენახსა ვსხლავდი, ნასხლავს ვყელავდი...

თხაბერი. ნეტავ, რა ჯანდაბად გინდა, თხამა შამოს ი, ვენახი! ხან ყინვა, ხან სეტყვა ხარობს!..

კურობერი. სულ ამოვკაფე ამას წინაზე, კარფუზი დავრგე ნავენახარზე...

ხსე მოედო — რიყექვასავით... მეცა ვძღები და სტუმარიც ძღება მუცლისხეთქამდე... კურკასა ვთესავ, ქერქს პირუტყვს ვაძლევ, ისიცა ძღება...

ლალე. ყოჩაღ, თქვენა!.. იყალთოში გაიგებდით, ემაგ რჩევას, ანდა გრემში!..

მაჭაჭო. გრემი ვიღას რად უგდია, გინდ იყალთო! მოხისელებს რა უქნიათ, გაიგებდი, უკუღმართებს, სასწაული მოუხდენიათ... არაფერი გაგიგიათ?!

ლალე. არა, სარებსა ვჩეკავდი, არაფერი გამიგია.

ყაყიჩა. სკამ ფუტკარი ვერ იტია, ძალიანმა, ნაყარი ტყეს შეესია, თაფლმა ხეები დახეთქა ლალიანმა. ახლა თურმე, ღარი გაჰყავთ, სადინარით პირდაპირ ქვევრებში ჩაჰყავთ თაფლი — ტყიდან მომდინარე.

ლალე. კარგი ნაწაფები ჩანხარ, ყოჩაღ, თქვენა, მოწაფენო!.. სხვას აღარას მომახსენებთ...

თხაპა. დიდი მუხა მოუჭრიათ, მოხისელებს, ძველისძველი, ათაბაბის ჩანარგავი, ყმათახევის სალოცავი. გოლიათი აუღიათ, მდინარეზე გაუდიათ, ცხრა ურემი ერთად გადის, მგონი, რავი... იმსიგანე ხიდი გასდეს გურჯის წყალზე, გურჯივით დაუდეგარზე, მაგ ოხერმა მოხისლებმა, წაღმის უკუღმა მქნელებმა!

ლალე. (წაუმატებს). ძროხა რომ სხვენზე აჰყავდათ, დასაკლავად. კარგად მახსოვს, აქაოდა დანა დაგვრჩა სხვენზედაო, სხვენში დაკლეს...

კაპა. ყველა რაღაცას ეწია, ჩვენღა დავრჩით მთხლეზედაო. (თან საცხოვრის ურემს კვლავ საბერიკაოდ აწყობს).

ლალე. სხვას აღარას წაუმატებთ, უფრო, ცხელ-ცხელ ფათერაკებს?

მღვდელ. მოხისელებს, თურმე, ლალე, ზღვა კოზით ამოუშრიათ. იმოდენი უხვრეპიათ, ქვიშა ბარით მოუთხრიათ, ნაზღვაური, იქვე ცხავში გაუცრიათ. მარგალიტი, ოქრო, ლალი, შინ ტომრებით წაუღიათ, დიდი საქმის საზღაურად!..

კურობერ. თევზი ცალკე გაუხმიათ, სამერიოდ ჩაუდიათ, ზუთხითა და ორაგულით კიდობნები აუვსიათ!..

ლალე. (ცერძს მიირთმევს). მერე, მერე...

ტახბერ. მერე და ტიკები ბერე!..

კურობერ. მისდგომიხარ მა ბოღლოწოს, თავბერიკაე, აინუწშიც აღარ გვაგდებ!

მღვდელ. პირობა რომ ცოლს წაგართმევს, სიძე-კაცო, აღარ გახსოვს?!

ვირბერ. თავადმა რომ უნდა ნახოს საგანგებო ბერიკონი, იქნებ ეგეც აღარ გახსოვს, თავბერიკაე, კარგო კაცო?!

იანო. (ბერიკებს ემხრობა). ახსოვს, მაგრამ, აღარ ახსოვს, მეხსიერება ღალატობს, ჭარებიც სჭრის ნიკრისისა. ჩაჩანაკი კოხიჯვრისა. კაცი ხელიდან მეცლება, ბერიკად ვერ გამოდგება. თავბერიკად სხვა ვინმე რომ მოგვეძებნა, თავბერიკად, ის დრო დგება.

(ლალე კერძს შეექცევა, ხუმრობას ყურადღებას არ აქცევს).

თხაბერ. (იანოს). — ზოგსა კაცსა — კაცი ჰქვია...

იანო. ზოგსა კაცსა — კაცუნაო (ლალეს გაახედავს).

ლალე. (თან ჰამს). — ზოგ დედაკაცს — დიაცი და ზოგსაც... (იანოს შეხედავს).

იანო. ზოგსა?..

ლალე. ზოგსა — დიაცმაცუნაო... ჰა-ჰა-ჰა-ჰა!..

იანო. (შემტევად). — გაცინება და გაცივება, ლაჩარო შენა!..

ლალე. ქალის ჰკუა თხამ ბარდზე მოჭამაო. (არ აჰყვა).

იანო. ზაჰრუმალაც შენ, ანდაზები რაკი გჯერა!..

ლალე. ჰირი, ხურვება, ეგ კიდევ შენა! (გაბრაზდა ლალე).

იანო. ყველა ჰირი შენ, ვერ მოსახადი, ძველიც, ახალიც! (აყვირდება). მიშველეთ, ხალხო, შომკლა, ოხერმა, მიშველეთ!.. (იანო საეჭვო იმპროვიზაციას წაძოიწყებს დალალეს პირს დააღებინებს. ვირბერიკა გაუგებს და აჰყვება იანოს. სასწრაფოდ გადაიცვამს იგი აზნოს სამოსს და წესრიგის დამცველად, ქალის მაშველად შემოვარდება).

აზნო. რა ამბავია, რაშია საქმე?!

იანო. აგე, იმ ოხერს, ხედავთ უფროსო? (ლალეზე ანიშნებს).

აზნო. ვხედავ, გოგონი...

იანო. გადამეკიდა პატიოსან ქალს, რა არ მაკადრა, რა დღე მაყარა! (კაბას მოიშიშვლებს ბარძაყზე). აგერა, ნახეთ დაკაწრული და დალურჯებული!..

აზნო. (აღელდება). — ამას უყურეთ, ამას შეხედეთ! (მივარდება ლალეს და მაგიდაზე დააბამს).

ლალე (ცოლის საქციელით აღშფოთებული). რას შვრები, ქალო, რა ხერხსა ხმარობ ცხრა შვილის დედავ, რაებსა ბედავ?!

აზნო (ლალეს დაუტევს). ჩუ, შე ოხერო, ჯაგების ღორო! (იანოს). იშიშვლე გენცვა, თანაც მიამბე, რაც რომ შეგემთხვა...

იანო (უფრო მოიშიშვლებს). როგორც აფთარი, ისე დამაცხრა პატიოსან ქალს. ხმა კი არ გამცა, ისე უეცრად თავზე დამაცხრა, კაბა გამხადა, ნიფხვისამარას მარბენინებდა. ძაღლივით მკბენდა თანაც, გზადაგზა, იმდენი ქნა, რომ ისიც გამხადა... აბა თუ ვინმე გამომესარჩლა, მე საცოდავსა!.. ძენწკვებიც შემხსნა, ოქრო, ლალები, ჩამომაგლიჯა დალალკავები... თანაც მბღალავდა... ბოლოს, ბატონო, რაკი დამღალა, დამცა იმ სერზე: სკამი რომ გვიდგას დიდი ხელმწიფის ჩამოსაჯდომ-წამოსაწოლად, იმ სკამზე დამცა და...

ლალე. (დაუტევს). — ხმა ჩაიწყვიტე, ზედმეტსა როხავ, დედაკაცო!..

აზნო. (ლალეს შეუტევს).— მე შენ დაგროხავ, ჯერ დამაცადე! (იანოს მოუბრუნდება.) მერე, გოგონი, მერე რა მოხდა?

იანო. თხელი აგური მომხვდა თავში, მაგის დარტყმული. ჩვენი, ქართული...

აზნო. რომ ვერას გახდა, აგური დაგკრა, ჩვენი, ქართული...

იანო. დიახ, ქართული. ზედ მეფის სახე, ფარნავაზისა, გახლდით აგურზე

გამოსახული... არ მოერიდა არც ამას მხეცი, წამაქცია და ორში ერთია: ან გამაბახა, ანდა, შემბღალა.. მგონი... არ ვიცი... თავბრუ დამეხვა, გულშემიღონდა და არ ვიცი-რა, თუ რა იღონა ამ ღორის-ღორმა!..

ლალე (იანოს უყვირის). საზღვარს გადახველ, არ გესმის, ქალო, რაებსა როშავ, შე ენამყრალო, შე ცეცხლის ალო, ნეხვზე მხრჩოლავო! რაებსა ბედავ, რაებს მიჰქარავ, კაცს მაინც ჰგავსდეს, ციხის ვირთხას ჰგავს!..

აზნო. მე გაგავირთხებ, დამაცა ჯერა, გაგაცამტვერებ...

იანო. (ჩირვეულობს). — არა ვიცი-რა, შემამოწმონ და პასუხი გამცენ. ან ჩემი ძველი სიქორფე მომცენ, ან საქონელი: მარცვალში ცხვარი, ხევსურთა წესით, თავთავში — ხარი... ჩქარა, ექიმი! ჩქარა, ვექილი!..

აზნო. ექიმიცა ვარ, შენ გენაცვალე, ვექილიცა ვარ!.. აიწიე და კარგად მიჩვენე!

იანო. აჰა, იხილე! (უფრო მეტად მოიშიშვლებს).

აზნო. ვა, რა თეთრია, სულ ბროლის-ბროლია!

იანო. მზე, პირველად, მაშინ ნახა, ა იმ სერზე, მეორედ კი აი, ახლა, დამიჯერებთ?..

აზნო. არა, მართლა?!.. სულ გარუჯული დადის ქვეყანა! (პაუზა). კიდევ აიწი კაბის კალთა, შემოგევლე და ფასიცა ბრძანე!

იანო. რისა, ბატონო, უმზეო ქვეყნისა?

აზნო. როგორ თუ რისა, ემაგ ბარკლისა!..

იანო. როგორ გავყიდო ცალი ქოში, ბატონო ჩემო?!.

აზნო. თუ კი ეგრეა, რა მოგცე ორში, თავის ამბებით?..

იანო. მაინც, რაებით?

აზნო. დიმტი-რამტებით, რამტი-რიმტებით... რამდენი უნდა გადავიხადო?

იანო. ბევრი არა, ერთი ნიფხავიცა კმარა... ახალ ნიფხავს ხომ მიყიდი?

აზნო. ჰაი, ჰაი, ზიზიასა!.. (თავისთვის). სულ ბავშვია!..

იანო. აბრეშუმის, სრიალასა?

აზნო. ჰაი-ჰაი, სრიალასა! ჰაი-ჰაი!

იანო. იმის ზედა ამხანაგსა?

აზნო. იმის ზედა ამხანაგსაც, მაშა-მაშა!

იანო. ამხანაგსაც პრიალასა?

აზნო. აბა, მაშა, პრიალასა, მერე როგორ პრიალასა!..

იანო. ძუძუ-გულის დამფარავსა?..

აზნო. ძუძუ-გულის დამფარავსაც, ჰაი-ჰაი!

იანო. სრიალასა, პრიალასა?

აზნო. ფაჩი-ფუჩას, შრიალასა, ჰაი, ჰაი!

იანო. ოქროს თორმეტ ფიალასა?

აზნო. ოქროს თორმეტ ფიალასა, ჰაი, ჰაი!

იანო. ბროლის ჭურჭელს, წკრიალასა, არ მიყიდი?!

აზნო. ბროლის ჭურჭელს, წკრიალასა, მაშა-მაშა!

იანო. კიდევ რასა, გენაცვალე, კიდევ რასა?!

აზნო. რაც შეგპირდი სუყველასა, იმასაც და ამასაცა, იმის ამის-იმასაცა!

იანო. ოქროს წითელ სამოვარსაც ხომ მიყიდი? (მიეკვრება საყვარელს).

აზნო. მაშა, მაშა! ოქროს წითელ სამოვარსა, ჰაი-ჰაი! შიშინასა, სისინასა, დაბღვერილსა, ქსიტინასა!.. ჰაი-ჰაი!.. (ეფერება თან).

იანო. ეს რაები მემართება, ვაიმე, დედავ! შემიბერე! (გული მისდის, აზნოს მკლავზე გადაესვენება).

აზნო. შეგიბერაე, მაშა-მაშა! (სულს უბერავს).

ლალე. (აღარ სიამოვნებს მეუღლის ოსტატობა). — მუხრანული შაირიც თქვით, ბარეღამ და სეირს მორჩით!..

(აზნო და იანო მღერიან).

„მუხრანელმა გოგომ მითხრა,
მუხრანამდე გამომყეო,
ღვინოს გასმევ, პურსაც გაჭმევ,
მერე ყანა მომიმკეო“ (გადიან სასეიროდან).

ლალე. (ცმაყოფილია ცოლის იმპროვიზაციით). — ვერ უყურებთ, ამ ჭიან გოგოსა, თუ აიწყვიტა, კაცი ვერ მოთოკავს! ცოტას კი ეღელავდი, უნდა გამოვტყდე. რამეთუ ცოლია ეგ ჩემი, ნამდვილი... (გასძახებს ორჭოფულ-იუმორში). ბუჩქზე არ დაგრჩეს წმინდა მანდილი! (ბერიკებს გასძახებს). სეირი დამთავრდა, ბიჭებო, ამიშვით!.. (თხაბერიკა გამოჩნდება).

ლალე. (თხაბერიკას მიმართავს). თივთიკაანთ ბიჭო, მოდი, შე თხაწყვერავ, რომ მიჭირს, ვერ ხედავ?..

თხაბერ. ძალიან გიჭირს?

ლალე. სული კბილით მიჭირავს!

თხაბერ. შენ კბილი მაინც შეგრჩენია, სული გიჭირავს. მე, ჩემო ძმაო, უკბილობა მჭირს. უფულობისაგან, უკბილობისაგან — შვრიის ფაფას ვჭამ, შვრიის ფაფისგან — ჭიხვინი მჭირს, ჭიხვინისაგან — კვიცის დედა მჭამს, როშსა მთხოვს, გროშსა მთხოვს, ირანულ ქოშსა მთხოვს! ბაჯაღლოზე იყიდება, ვერ ვუყიდე... სხვამ უყიდა... სხვას მისთხოვდა, შვილი მზითვად გაიყოლა... დავრჩი უკბილოდ, უცოლოთა და უშვილოდ!.. აგიშვა?..

ლალე. ამიშვი და ბედსა გწევ, თხაო!..

თხაბერ. ზღაპრების დრო წავიდა, ძმაო!.. სიტყვას ძალა წაერთვა, თორემ, შენ აბლა ხალიფა იქნებოდი, ჰარუნ-არ რაშიდი, მე კი შენი ვეზირი, ჯაფარ ბარმექიდი!.. (აუშვებს ლალეს).

ლალე. ჩვენ — ჩვენი ჭირი გითხარით, ხალხნო!..

იანო. (მხარში ამოუდგება ლალეს). ჯერი თქვენზეა, თქვენცა თქვით! (ხმას არავინ იღებს. სიჩუმეა. ლალე და იანო სეირს ამთავრებენ).

ლალე. (ი ა ნ ო ს).

— „მეუფესა სამი ვთხოვე:
ენა-პირი ხელოვანი...“

იანო. (ლ ა ლ ე ს).

— აკი მოგცა, რაღა გინდა,
ბერიკა ხარ ხელოვანი!

ლალე.

— „ზედ საჯდომად ლურჯა კვიცი,
წინ მინდორი, ეელოვანი...“

იანო.

-- „აკი, საქართველო მოგცა, ქართველი ხარ სხვა რა გინდა?

ლალე.

— „საკოცნელად თეთრი ქალი,
ტანწვრილი და ფეროვანი“ —

იანო.

აკი მოგცა, ჩემი თავი!

(მღერიან)

„ცაო, ვარსკვლავიანო, ჭილო თვალებმზიანო,
წითელო მოვისპერანგიანო,
ჩემითგან შეკრულო ღილით, ღილითა,
შენთან ყოფნით დამათრო.

ვერცხლის თასად მაქცია, ღვინით აგევსებოდე,
დაფერილი მჭნა წითლადა, წითლადა,
შემსვამდე და თერებოდე,
ჩემით თერებოდე.

ან შენი ნამგლის ყანა მჭნა, ყანა მე,
მომკელად შეგეყრებოდე მხოლოდ მე,
ანა მჭნა, ვარდი, ყვავილი, ყვავილი,
რომ, გულზე დაგადნებოდე მხოლოდ მე.

ქსნის და არაგვის კალმახი ნეტავ მჭნა,
ნეტავ მჭნა,
შენ ბადედ მომექცეოდე მე ბადედ,
მოგდევდე და გაგირბოდე,
მომდევდე და გეწეოდე, მსდიე მხოლოდ მე...

ან შენი ნამგლის ყანა მჭნა, ყანა მე,
მომკელად შეგეყრებოდე მხოლოდ მე,
ანა მჭნა ვარდი ყვავილი, ყვავილი,
რომ გულზე დაგადნებოდე მხოლოდ მე“.

იანო. (ლ ა ლ ე ს ხ ე ლ ში ხ ე ლს ჩ ა ა ვ ლ ე ბ ს). წამო, ჩემო თავბერიკავ, ერთი შვილი კიდევ ვცადოთ. სიყვარული გავაჩაღოთ, თავი მოვიგიჟიანოთ!..

ლალე. წამო, ვცადოთ... იქნებ მუზარადიც დაჰყვეს. ჯაჭვის კაბით დაიბადოს! (გადიან ფერებ-ფერებით).

კურობერ. (შემოდის, ურემზე ჩამოჯდება). ღმერთმა ნუ ჰქნას ბებრის ბუქნა! თავბერიკა გაჰაბუკდა, ჩვენი ლალე ახუნტრუცდა!

თხაბერ. აგვყვა, აგვყვა, როგორც იქნა, ჩაჩანაკი!

ვირბერ. ჩაჩანაკი კი არა და ძველი შიში სჭირს. ძველი! ვერც გაამტყუნებ: „შამფურები, სადგისები, მახათები, ნემსები“... ეხუმრები?! რაც მაგას უკაცრიელი პასუხია, უნახია!..

კურობერ. ეე, გალიიდან — გალიაში გადადიოდა ძველი თუთიყუშივით, ეხუმრები!..

თხაბერ. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“... ბრძენი შოთა ბრძანებს!.. უნახია თუ არ უნახია, ბერიკონი და სიტყვა-მართალი კვლავ მაგას უპყრია (შეაფასებს მსმენელი). სიტყვა-მართალი, გესმით რას ნიშნავს?! ფხა და გამბედაობა კი აკლია. ჰასაკმა იცის, მუცელს ხშირად იტკიებს და წამდაუწუმ ვენახში გარბის, ვენახი და ვენახიო!..

თხაბერ. (შხარს უჭერს მეგობარს). — ვენახს ყველა გასხლავს ძმაო, მაგრამ ჩვენსას სხვა ვერ იქმს და სხვა ვერ იტყვის! სიტყვა-მართალი, ჩვენი ნათქვამი, ჭვლად უნდა ადგეს ვერაგ თავადებს!... (მოეწონა გამართული სიტყვა, მეგობრებს გადახედა და სათქმელი ასე დაამთავრა). თორემ, ლამის არის ისევ გვიყმონ!..

კურობერ. (მღვდელბერიკას)... ჩვენ ვხუმრობთ და ერთიც ვნახოთ დავავიწყდით შენს სიძეს და შენს ქალიშვილს, ჰა, მღვდელო, ასე ვიდგეთ და ვუცადოთ, როდის მივა-მოვა ნავი?!

მღვდელბერ. (მოულოდნელად დასჭექავს). ყივჩაღგადავლილ მუხრანის ველზე, წამწამის სისწრაფით შემოაგელვებს... (ჩოგრს მოიმარჯვებს). ისლამიანთა ირანულ ზნეზე უარისმთქმელი, ბრძენზე ბრძენი და ქველზე-ქველი, ქართლოსიანთა უკანასკნელი დიდი თავადი, ბუთქუნ-ბუთქუნა ბაკენბარდებით, გასაოცარი სეირებით და დიდი ამბებით. ვიწყებთ და სმენად გადაიქეცით!.. (ბზუილს იწყებს ბუზანკალის ხმით. ბერიკები ხმებს გაინაწილებენ და პოლიფონიურად აბზუკდებიან. ჩამოყალიბდება ბზუილა გუნდი. ურმის სიღრმიდან — ურმის კოფოსაკენ გამოვა ლალე. დაბლა ჩამოვა. ერთ ხხარეს ჩაციებით გაიხედავს. მერე, მომღერალ მოზზუილეებს შეათვალიერებს, მათაც ჩაუვლის. შეჩერდება. თითქოს ჩამოჯდომა სურსო, ისე მოძრაობს. ერთბაშად ურემს შეხედა ლალემ, იანო ჩამომჯდარიყო კოფოზე და ბერიკათა ბზუილს-ბზუილს უმატებდა ქალური ჰანგით. ლალემ იანოს შეხედა).

მღვდელბერ. (ლალეს). თავბერიკავ, რა გემართება, აღარ დაიწყებ ახალ სეირს, რას გასცქერიხარ თუ ჩასცქერიხარ?!

ლალე. (უხალისოდ ჰოგრს მოიმარჯვებს). რაღაცა გზუის და...

ვირბერ. ეუხისოდენად ოღაც გამოირხდა (ხელებს ჰოგრივით აკეთებს).

თხაბერ. გაიზარდა და სულ გავირთხავდა!..

ლალე. ვირთხას რა უგავს, ვერ უყურებ თავადს ჩამოჰგავს!

იანო. (კოფოდან იძახის). რას ამბობ, კაცო, თავადს რა უგავს, ქაჩალია და არც ჩალმა ხურავს...

ლალე. ხარაბუზაზე ამხედრებულა, ცხენიც აღარ ჰყავს, არა, თავადი არ უნდა იყოს, თავადს არა ჰგავს...

იანო (კოფოდან). ვიღაცა მოჩანს კიდევ ახალი, ის ვინღა არის, ლალე, ნეტავი?..

ლალე. (ნაწყვეტ-ნაწყვეტ). კოჭლია, კოჭლი, კოჭლი მხედარი. ის ამათ მოსდევს, ნეტა ვინ არის?! (დაკვირვებით იხედება ჰოგრში). ჭრელ-ჭრელ სამოსზე ჰკიდია ხმალი... ცხენზე კი არა, ფეხზე ზის, ფეხზე, საკუთარ ფეხზე, ვინ უნდა იყოს?

მღვდელბერ. თავადი მოჰქრის, თავადი სჯობნის. ჩვენს ჩიხა-მახა ქუჩებს მოადგა, შენი გულისა! რომ გაიჩხიროს, თავბერიკავ, ჩხირი კედელს ვკრათ, თუ რა ჯანდაბა ვქნათ?!..

ლალე. ფეხცხენოსანი ეწევა მგონი, ღმერთო, მომკალი!

იანო. (კოფოდან). თავადი მოჰქრის, თავადი სჯობნის!

ლალე. განზე გავიდეთ, რომ არ გაგვთელონ. მე და იანო შინ შევარდებით, სტუმართმოყვარე ხალხი რაკი ვართ, ქვაბში ჩავძვრებით, თუ ვერაფერი მოვიძიეთ სტუმართა ყადრი, მოვიხარშებით, რიგრიგობით მიევრთმევით და ეგ იქნება ბოლო სეირი!..

(ყველანი გაიფანტებიან. სხვადასხვა ბერიკას — სხვადასხვა საჩის შექმნა აკისრია და ახალი სეირისათვის უნდა გაემზადონ. სასეირო მოედანზე ჯამბაკურად გადასახელი ბერიკა შემოვარდება, ჯამბაკურს საჭურველთმტვირთველი ახლავს, სახელად კრახამბერგ. აქოშინებული, ქანცგაწყვეტილები სულს მოითქვამენ. ჯამბაკური თავის საჭურველთმტვირთველს აზიან ზურგზე, ხელში ხმალის ნაცვლად ხმელი შოთი უკავია. კრახამბერგი წასწვდება შოთის წვერა კბილით, ლუკმას გაღეჯავს, თავზე, თანგირა-ქვაბი ახურავს კრახამბერგს).

ჯამბაკური. (ჩამოქვეითდება). — მოგვდევს და მოგვდევს, განა, კრახამბერგ?

კრახამბერგ. დიახ, ბატონო, მთელი გზა მოგვდევს!.. (შოთს წააკვნეტს ლუკმას).

ჯამბაკური. სიჩუმე რიღას ნიშანია: სიტყვას რომ არ სძრავს, ხმას რომ არ იღებს. უმეცარი თუ ვგონივარ ოხერს, ჰა, კრახამბერგ?

კრახამბერგ. ვერ მოგახსენებ. ალბათ ეგრეა, რაკი თქვენ ბრძანებთ მოგვდევს კია და!..

ჯამბაკური. მამა-პაპური ხერხი გვეხმარა რამე, ისეთი... საკარკლები რომ

გადაგვეყარა. ეგება, უღრან ტყეს გაეხარა, გზა ჩაეხერგა მაგ ოხრისათვის. ხელი შეეშალა...

კრახამბერგ. უწინ ეგ ხერხი აკი ვიხმარეთ, ცხრა სავარცხელი გადავუძახე, წალკოტში ჩაჯდა მთელი მუხნარი, ვერ შევაჩერეთ, მაინც მოგვყვება...

ჯამბაკური. მოგვყვება, განა! სალესავებიც გადაგვეყარა, ხელსაფქვავები, საგოზავები, სახიზავები!..

კრახამბერგ. სულ გადავყარე რაც-რამ გვებადა მამა-პაპური. სუყველაფერი. ისიცა ვცადე, ესეცა ვცადე; საგოზავები, სახიზავები... აღარა შველის აღარაფერი: ტყესა ჰკაფავს და კლდეს შუბლით აპობს, წყალსა ხვრეპავს და კალაპოტს აშრობს! კვალზე მოგვყვება, მაყალის კვამლზე, თანაც სიჩქარეს დიდს ანვითარებს აღმოსავლური მუსიკის ჰანგზე...

ჯამბაკური. სასწრაფოდ მაყალს გამოუკეთე, ხერხი იხმარე, ცეცხლი ჩააქრე! ეს ბერიკული, ლალესეული ძველი ურემიც აპროწიალე, თავბრუს დაახვევს...

კრახამბერგ. მარტო მე როგორ ვაპროწიალო, ეს ამოდენა ჯაბახანა, ამდენი სრბოლით, ძალაც აღარ მაქვს...

ჯამბაკური. ლალე სად არის, გამოუძახე, ხალხი მოლალოს ოკმელები და ნატახტრელები, ქვეყანა ჩართოს, აპროწიალოს... არ დაავიწყდეს, ფერსო გასაპნოს, რომე ურემმა არ იჭრიალოს... (მ ღ ე რ ი ს).

„მიუჯ-მოუშვი, კრახამბერგ,
არ იჭრიალოს ურემმა, ურემმა, ურემმა!“

კრახამბერგ. (წ რ ი პ ი ნ ა ხ მ ი თ). —

„მე უკვე მიუჯე-მოვუშვი,
მორჭმული დავიარებით“.

ჯამბაკური. „მოიხმე ოკმელები და ნატახტრელები, აქ ჩაასაფრე, ორღობეებში და ჰკა-მაგასა თქვან!“

კრახამბერგ. „შევებრძოლებით, ფარითა და ხმლით, საკაძედ მოვეველინებით!“.

ჯამბაკური. (ს ი მ ღ ე რ ი თ). არც ჩალმასა მთხოვს, ეგ ოხერი, ეგ ჩემი მტერი, ვინ უნდა იყოს?.. არც ცხენს, არც ძროხას, არც ქალიშვილებს ითხოვს მძევლებად, არცა ჭაბუკებს, გამაგებინეთ ვინ უნდა იყოს, ანდა, რას ითხოვს?!.

კრახამბერგ. ლალესა ეკითხოთ, ხალხში ტრიალებს, ის გამოიცნობს...

ჯამბაკური. ლალე, ჰოი, ლალე!

ლალე. (შ ე მ ო რ ბ ი ს). — გისმენთ, ბატო-ნო!

ჯამბაკური. სიტყვა, „ბატონო“ ორად რა გაჰყევ, შე ბატიტვინავ!

ლალე. ორნახადი ვსვით, დიდო ბატონო და ალბათ იმიტომ...

ჯამბაკური. საქმეს მიხედე რიგიანად, მერე თუ გინდა ცხრანახადი სვი, ყვახივით გასკდი!..

ლალე. სწორზე უფრო სწორი ბრძანდებით!

ჯამბაკური. ყური დამიგდე ა-ის ოხერი, ვინც რომ ჩვენ მოგვდევს, ვინ უნდა იყოს, ანდა რასა მთხოვს? ანუ რას ითხოვს? გამაგებინე...

ლალე. სამშობლოსა გთხოვთ, როგორც გავიგე... არც ქალი უნდა, არც ვაჟი, ხარი და ცხვარი, არავითარი, მარტო სამშობლო რა ბედენაა, სიტყვა სამშობლო, მივცეთ, გადვუგდოთ... სხვა ყველაფერი თქვენი იქნება... გადასახედი... გადმოსახედი, სასმელ-საჭმელი...

ჯამბაკური. ჯერ კარგად გავძლეთ, ჩემო ლალე, მამაპაპურად, თვალი არ გვცეს, მერე დავფიქრდეთ, როგორ მოვიქცეთ. (კ რ ა ხ ა მ ბ ე რ გ ს). სუკი კრახამბერგ! ოღონდ, მაყალი არ ააღრჩოლო, უცებცხლოდ სცადე, სუნი არ ეცეს იმ ოხერსა ვადაზე ადრე...

კრახამბერგი. ცივად გავათბობ. (გ ა დ ი ს).

ჯამბაკური. ოქმელები და ნატახტრელები მოილალე, ლალე?

ლალე. აგე, ბატონო, ოქმელები და ნატახტრელები, ბელტიყლაპია, რკინკვნეტია ტლუ-ტლუ ბიჭები. ხელცარიელი როდი გეახლნენ. ძღვენით არიან...

ჯამბაკური. (ქ მ ა უ ო ფ ი ლ ი). კარგი რამეა, ძღვენი, ჭამა-სმა, გამჩენსა ვფიცავ, დიდი რამეა! ჩემი ხალხი ხართ, არ დაგიმალავთ, ისე გავმგელდი, ბოლო ხანებში, ვერასდიდებით ვეღარა ვძღები!..

ლალე. განა მარტო თქვენ, დიდო ბატონო, ვეღარც ჩვენ ვძღებით. ჭაშასმა ჩვენი გმირობა გახდა. ბოლო ხანებში, მას აქეთ რაკი რბევა შეწყდა და ამანი გაჩნდა, ისე ვივარგეთ ამისთანებში, რომ დავფიქრდები, ასე მგონია მალე ვცხონდებით!..

ჯამბაკური. სხვისა რომ ეთქვათ, გავკვირდებოდი: კამეჩსა ვჭამ და ზაქით ვერთობი, ქვევრს დავხვრეპავ და ვეღარ ვითრობი!

ლალე. (ა ღ ტ ა ც ე ბ ი თ). — ჰოი, და-და-და!

ჯამბაკური. რაკი კარგად ხართ, მამულიშვილნო, რას გაიმეტებთ, ერთ ქათამს დაჰკლავთ?

ლალე. გარეული ჩოჩრები გვყავს, სახედრების უშობლები, იმათ დავკლავთ, წვნიან ბოღლამას ჩავადგავთ...

ჯამბაკური. (მ ა დ ი ა ნ ად). — ოჰო-ჰო-ჰო! ანატოლიაში ვჭამე ამასწინათ, ისეირიმ-ფაშამ მიგვიწვია, დედით ქართველი რომ გახლავთ, მამით თურქი, იმან დაჰკლა... ყოჩაღ, ლალე, ყოჩაღ, ბიჭო! აბა კარგად ჩამოთვალე, ჩამოკაკლე!..

ლალე. ჩოჩრის ბოღლამას მოგართმევთ, პიტნითა და ტარხუნითა... (წ ი ნ ს ა ფ ა რ ს ა ი კ რ ა ვ ს).

ჯამბაკური. თავის იჩინ-მიჩინითა?!

ლალე. თავის იჩინ-მიჩინითა, რა თქმა უნდა; კამითა და ქონდარითა, ქინძითა და რეჰანითა, პიტნითა და ტარხუნითა, ნივრითა და ალუჩითა, ცოტა მწვანე წიწაკითა, ცოტაც კიდევ პილპილითა...

ჯამბაკური. ოჰო-ჰო-ჰო!.. ყოჩაღ, ხალხნო, ყოჩაღ, ლალე..

აღმოსაელური ძლიერი ჰანგი შემოიჭრება სასეირო მოედანზე და ჯამბაკურს ჰამის მადა დაეკარგება. კრახამბერგი შემოვარდება მაცნესაით.

კრახამბერგ. მოდის, მოგვადგა, საით გავიქცეთ, რა ჯანდაბა ვქნათ?!.. (გარბის, ჯამბაკურიც მისდევს).

სასეირო მოედანზე თავჩალმიანი ბერიკა შემოაგორებს დიდ, სამფეროვან ყუთს, რომელსაც დიდი ფეხის ფორმა აქვს და ამავე დროს არღანიც არის. თავჩალმოსანი უკნიდან აწევება გოგორებზე შემდგარ ფეხ-კონტეინერს, თანაც არღნის სახელურს ატრიალებს, უკრავს. სასეირო მოედნის შუაგულში გააჩერებს არღანს მეარღნე. მელოდიას დაამთავრებს და ჩალმით ხელში ჩამოუვლის მსმენელთ ფულის შესაგროვებლად... ლალე, იანო და რამდენიმე ბერიკა გროშებს აძლევენ მოხეტიალე-მეარღნეს და თან ამ არაჩვეულებრივ ყუთს ათვალიერებენ. ლალემ ფრთხილად გადაატრიალა საკრავის სახელური. გაისმა კრიალი, ვეებერთელა, სამფეროვანი ყუთის ვერდი — კარიდან გაიღო და კბილებამდე შეიარაღებული, ჭითელ-ყვითელ-ყავისფერი შოსაცხამიანი, საშიში გარეგნობის, ბრწყინვალე ჩალმიანი, კოკლი მხედარი გადმოჩლახუნდა, კაშკაშა ხმალი თვალთმაქც მსახურს გადაუგდო და თვითონ მოსეირეებს ჩამოუარა ჩაცივებულ მზერით. მოსასხამზე გოჯისოდენა ადგილს ვერ უპოვიდა თვალი შეუიარაღებელი. ცალკე იარაღისაგან, ცალკე კიდევ სიმახინჯისაგან გაორკეცებულად საშიში გარეგნობისა გახლდათ მხედარი. უფრო საშიში დამპყრობი საქართველოს არც მანამდე და არც მას შემდეგ აღარ მოევლინა! თავზარდამცემი, სისხლის გუდა, დამპყრობთ-დამპყრობი — თემურ ლენგი გახლდათ.

ლენგი. (ლალეს მიადგება). — ვააზი-ააზი-ოოზი-უუზი! — (საშინელი, ხორხისმიერი ბგერებით წარმოსთქვამს ამ ოთხ სიტყვას, რომელიც ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს აღმოხდენია ქართველ კაცს).

ლალე. ვააზი-ააზი-ოოზი-უუზი! (ყარგად ვერ გაიმეორა).

ლენგი. (მეთოდურად, დაბეჯითებით). — ვააზი-ააზი-ოოზი-უუზი!

ლალე. (თითქმის მიამსგავსებს). — ვააზი-ააზი-ოოზი-უუზი!

ლენგი. (ქმაყოფილი ააქციენებს თავს). აბულ-აბულ, აბულ-აბულ!

ლალე. (ისეთივე ქიციენით). — აბულ-აბულ, თემურ-აღა, აბულ-აბულ!

ლენგი. (ქმაყოფილი ლალეთი). — ვააზი-მააზი-ყააზი-ლააზი! (ბრძანების კილო გაურია). — იოლღაზ-ბოლღაზ-არაყიი-ვარაყიი-აყყარა-ყოინ-ყო-ყო-ყო!.. (წარმოთქვა ლენგმა, ლალესეული სისო ხერხი ჩამოიღო თავხედან და ვაზის მოხერხვა იწყო. ქერიალი გაჰქონდა იარაღს მოსასხამზე ხერხვის პროცესში).

ლალე. (მორჩილად გაიმეორებს). — ვააზი-მააზი-ყააზი-ლააზი! იოლღააზ-ბოლღააზ, არაყიი-ვარაყიი-აყ-ყარა-ყოინ-ყო-ყო-ყო.

იანო. (ეცემა ლალეს). — ვაზი მოგიჭრა ლალე, მაგ კოკლმა ძაღლმა, შენი ხერხით, არ გესმის, კაცო, შენ ისე დგეხარ თითქოს ვერ ხედავ!..

ლალე. სსუ, ჩუუ. თემურ-ლენგია ეგ კოჭლი კაცი!

იანო. (ლალეს, მძაფრად). — მომეცი ხმალი, ორივეს ერთად წაგაძროთ თავი ლალე-ბაბალე, კაცო-კაცუნა!

ლალე. (ამშვიდებს). — ეგ მწარე იყოს ქალო, გაიგე, ველური ვაზი მქონდა დარგული, მოვატყუილე ეგ ოხერი! ქართული ვაზი, მამა-პაპური ძველ ვენახში მაქვს ახლადგასხლული...

იანო. თამარ-მეფის და რუსთველის საძვლეს, ქართველი კაცი ვეღარ მიაკვლევს, ის დრო დადგება და აი, ნახეთ, ამ კოჭლი ძაღლის, ამ ოხრის საფლავს თუ დაკარგულს ნახავთ, აი, ნახეთ!..

ლალე. ათას წელიწადს ყვავიც ვერ გაძლებს, დედაკაცო, ხომ არ გაგიჟდი, რა ნიძლავსა სდებ?!

იანო. შენ ყარყუმი ხარ, უფრო მეტს გაძლებ.. იქ ჩამომძახე ჩემი სიმართლე!.. (დაედევნება დამპყრობს სახასიათო, კოჭლური ცეკვითა და ბერიკული პამფლეტით).

„თათარო, თათარო,
შენი თავი გაეთალო,
შიგ მარილი ჩაეყარო,
ქუჩა-ქუჩა ვატარო“...

ლენგმა ფეხის კონტეინერში შეასწრო მდევარს, ბერიკებმა ბევრი უტრიალეს კარს, არღნის სახელურიც აბრუნეს. მუსიკის ხმები მოისმა, კარი კი ვერ გააღეს. არღნის აღმოსაელური მესიკის ხმებზე სახასიათო ცეკვას მოჰყვებიან ბერიკები. კარი ერთბაშად გაიღება და კონტეინერიდან ჯამბაკურად ჩაცმული ბერიკა ხოსრო გამოვა.

ლალე. (რიხიანად მიესალმება). —

„ჯამბაკურს გაუმარჯვნია,
თემურ-ლენგისა ჯარზედა,
მოუკლავს კოჭლი მხედარი,
საისრე უდევს მკლავზედა“.

ჯამბაკურის სახის ბერიკა — ხოსრო კოჭლურ ცეკვას წამოიწყებს არღნის აღმოსავლურ საცეკვაო ჰანგზე. ბერიკები სიცილითა და გამოჯავრებით ბუქნავენ მის გარშემო... მათ შორის ლალე პირველი მაჯავრებელია...

კატის ეჟვნის შესაბმელად განზრახულ თაგვების საკრებულოს მოულოდნელად რომ ჩაესმის ვეფხვა-კატა-ხატურის თავზარდამცემი კნავილი და შიშისაგან, მოულოდნელობისაგან რომ გაშტერდებიან, აი, ასეთი თავზარი დაიკრა ბერიკათა სასეირო მოედანზე, ასეთმა შიშმა მოიცვა ბერიკები, როცა საგანგებოდ, ქცევაში დამალული ნამდვილი თავადის, ჯამბაკურ მუხრან-ბატონის მრისხანე ხმამ იქუხა უბედურების მოულოდნელი მაცნესავით.

ხმა. აქ, ჩემს მამულში, ჩემს მიწა-წყალზე, ბაგრატოვანთა გვირგვინოსანი სამეუფეო წმინდა გვარის დიდი მდინარის მუხრანისეულ დიდ შენაკადზე, გვირგვინოსანთა კანონიერ დანატოვარზე, ღვთითკურთხეული იმპერატორის საკუთარს ხელით ბეჭედდასმულსა და ხელმეორედ მონაპოვარზე, ბოგანო გლეხო,

მთავარო უბედო, თავბერიკავ ისე ჩათვალე რომ ეგ თავი, გაუგებარი, ტყუილად გედგა ტანზე აქამდე! ხალოპ!..

(რისხვიანი სიჩუმე ჩამოწვა, ზვავის მოწყვეტის წინ რომ სუფევს თოვლით დამძიმებულ ხეობაში. თავადი შენიღბულად იჯდა რომელიღაცა ქვევრში და ლალე ამაოდ ცდილობდა მისი ზუსტი ადგილსამყოფელის გარკვევას. დაახლოებით განსაზღვრა რისხვის წერტილი ლალემ და ფონს გასვლა სცადა მიამიტური განმარტებებით).

ლალე. თუკი გახსოვართ, არ ვიცი, მაგრამ, ღვთითკურთხეული თქვენი მამის ბერიკები ვართ, დიდო ბატონო. მწყერჩიტაული გახლავარ გვარად. „გაზაფხულდაო“, — ოფოფმა მითხრა, — „ჰკაფე!“ — გუგულმა შემოგვძახა და ჩვენი აჩაჩა, სიტყვის გუთანი ავაღორღინეთ მოჩარდახებულ ბერიკულ ქოხში, ჩვენთვის ვეროხავდით ისე უწყალოდ, წისქვილის დოლაბს ენით ვკოდავდით, თქვენი ჰირიმე, ჩვენც ძლივს გვესმოდა ჩვენი სიბრიყვე.

ბერიკები იმედმოცემულები და გატვრენილები იდგნენ ლალეს მხარსუკან და თავებს აკანტურებდნენ. ლალეს მობოდიშებამ ვერ გასჭრა. უფრო მრისხანე იყო თავადის მეორე მეუქარიჯე ჭექა-ქუხილი.

ხმა. ხარებო, ცხვრებო და სახედრებო, თქვენ დამაცადეთ, როგორ განანებთ, როგორ განანებთ!.. მაჯლაჯუნებო, ჯუჯა-მუჯებო, ტაკიმასხარა თაბერიკას უტვინო ხნულის გუდაფშუტებო! ანასხლეტებო, ანახლეჩებო, ენაყბედებო, თქვენ დამაცადეთ, როგორ განანებთ. როგორ განანებთ!...

(ვიდრე მრისხანე თავადი საკადრის სასჯელს მოიგონებდა, ბერიკებს ცხრაჯერ მოელანდათ სახრჩობელის მარყუჟები თავს ზემოდ ჩამოშვებული. ზეაიხედეს და მარყუჟები გაქრა... ხორხებიდან ლაწის დაუსკდათ სიმშრალისაგან. ხმის ამოღება სცადეს, მაგრამ, ღრჩობამ მოიცვა და ჩაუკეტა მშვევრმეტყველების ყველანაირი სადინარები. ამასობაში თავადმა დაახუსტა სასჯელის ფორმა და კვლავ დაიქუხა).

ხმა. ცოცხლივ გაგფუფქავთ, ცოცხლივ გაგხდით ტყავს!..

(ბერიკები ერთბაშად, როგორც თაგვები ისე გაფრთხნენ სოროს საძებრად სხვადასხვა მხარეს. სასეირო მოედანზე, ჩარდახიანი ურმის წინ მხოლოდ ლალე და იანო დარჩნენ. ლალემ იანოს მოხედა. ერთხანს უყურა ცოლ-ქმარმა უხმოდ ერთმანეთს. მერე, იანო გავიდა ჩარდახის იქით. დარჩა ლალე, რომელმაც ხელახლა სცადა ენამშვევრობით თავადის რისხვის შერბილება).

ლალე. (თ ა ვ ა დ ი ს ხ მ ი ს ა კ ე ნ). — მთავარი სიტყვა სანაქებო და სადიდებელი, დიდო ბატონო, ჯერ ხომ არ გვითქვამს, ბერიკაობა-ყეენობის წესის მიხედვით ნებადართულ ხერხებს ვსინჯავდით მხოლოდ და მხოლოდ.

(შემოცვენილი, თავზარგაორკეცებული ბერიკების დედაკაცურმა წიოკმა გააყრუა იქაურობა და მათი სახეებისა და საქციელის მაყურებელ თავბერიკა ლალეს სიტყვის თქმის სურვილი დააკარგვინა).

მღვდელბერ. (გზა-გზა). — ვაიმე, თავო! ქვევრებში მჯდარან ჩასაფრებულნი! ქვევრები კიდევ შენიღბვის მიზნით ჯორცხენებზეა აკიდებული...

თხაბერიკა. საითაც მივდექ ჩაფრებისა და ციხისთავის ხმალი ელვარებს! ცოლო და შვილო!

(გზა-გზა იხდიან ბერიკულ სამოსს და საცვლებისამარა საშიშ წრეს ჰკრავენ ლალეს გარშემო).

მაქაქო. (ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ი მ ი უ ხ ტ ე ბ ა ლ ა ლ ე ს). — დიდი ნაჯახი მთვარესავით ჰკიდია ცაზე, თავბერიკავ, და ახლა გვიბრძანე, ვისზე როგორ ვთქვათ, „ციხის ვირთხა და სამგზის ცვედანი“ ვუძახოთ თავადს შენის ნებართვით, თუ რა ჯანდაბა და დოზანა ვქნათ?!

(ასეთმა პირდაპირმა, მოულოდნელმა, მაგრამ გამიზნულმა იერიშმა საგრძნობლად გატეხა ლალე, ბერიკებს კი ხელფეხი გაუხსნა და თავბერიკაზე საიერიშოდ განაწყო ყველა, უკლებლივ).

ვირაბერ. (ბ ე რ ი კ ულ ს ა მ ო ს ს დ ა ა ნ ა რ ც ხ ე ბ ს). — ნესტარი უნდა გედოთო პირში, შენ არ იყავი, რომ გვაქეზებდი და შეგვიკალი?!

კურობერ. (ლ ა ლ ე ს). — ბრძანე, გვითხარი! (თ ა ვ ა დ ი ს ხ მ ი ს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ მ ი მ ა რ თ ა ვ ს დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ს ა თ ქ მ ე ლ ს). — გინდა თუ არა, თავადს ჰგევხარო, ჩამაცივდა, დიდო ბატონო, თავადის სახე უნდა შეჰქმნა, გადამეკიდა, თავქვე დამკიდა იქამდე, ვიდრე, არ დავთანხმდი და არ მივეკარე!..

ლალე (არა შ ი შ ი თ, არამედ გ ა ნ ც ვ ი ფ რ ე ბ ი თ). — რა თავქვას ახლით, ძმებო, რას სჩადით?! ჭორით და ჩმახით, ძველი ლაფით, ხელახლა გიხდათ რომ მოთხვაროთ, ბერიკათა წმინდა ნიღაბი?! (რ ი გ რ ი გ ო ბ ი თ.) კაპავ და თხაპავ, ასე უეცრად, ერთის დაკვრით, როგორ დაჰკარგა სიტყვა-მართალმა ქვეყნად ფასი?! (ნ ა დ ა ლ ა ქ ა რ მ ა ქ ა ქ ო ს ა ს). კრიჭავ-მაქაქო, შე უდღეურო, მკვდრების დალაქო, შენც ამას სჩადი, შე საცოდავო, თავბერიკაზ ნაჯახსა ლესავ?!

მღვდელბერ. (კ რ ი ჭ ა ს გ ა მ ო ე ს ა რ ჩ ლ ე ბ ა). — აი, ხომ ხედავთ, დიდო ბატონო, რა დღეში ვყევართ, გვერდზე გახედვის არა გვაქვს ნება... და აი, ასლაც იგივე ხდება... სოფლის წყაროსთან, ენის საფხანი დიდი ხე რომ დგას, ჭორ-სადალაქო ჰქონდა ამ საწყალს, იმ დიდი მუხის ერთ ფუღუროში. ჰიანაჭამ კბილს უღებდა გლეხკაცს კაპიკის ფასად, წვერსაც ჰპარსავდა იმავ კაპიკად, განა თუ მეტად, თქვენი კვნესა მე... ყოველ ცისმარე, ეს უბედური, თითქმის უფასოდ მკურნალობდა და ალამაზებდა ადამიანებს... ახლა რაღა ჰქნას, ქვა ააგდოს და თავი დაჰკრას?!

(ბერიკული სამოსი ყველა ბერიკამ გაიძრო და ხანით მოსილნი გარშემოეხვიენენ თხებერიკას).

ლალე. (მ ღ ვ დ ე ლ ს). — სიმამრო ჩემო, მამაო ჩვენო, წმინდა სანთლების ჩამომქნელო, მეფუტკრე კაცო, ასე კვალწმინდად როგორ გაჰყიდე თაფლიც და ცვილიც, რომ მხოლოდ შხამით სავსე გაქვს პირი?!..

კაპა. (ლალეს შეუტევს თავხედურად). — რას ჩააცივდი ჩვენს მწიგნობარ კაცს, თავბერიკავ, რატომ არ იტყვი?! თაფლიც და ცვილიც გამოუთავე, აზირ ესა ვსთქვათ და ახლა შბამს ასმევ პატიოსან კაცს!.. (მღვდელბერიკას მიუბრუნდება). რატომ არ იტყვი ჩვენს გასაჭირს, მღვდელბერიკავ, შენ რომ აცი უბედურების ყველა სათავე, ისე ვინ იცის?! შენ თუ არ იტყვი მაშ ვიღა იტყვის თავადის ქისით, თავადის პირით, მეფისეული ბეჭდის გეირგვინით რომ გაგვაგიჟა, თილისმა და ჯადო წაგვისვა, რატომ არ იტყვი?! (თავადის კანწარმართა ბოლო სიტყვები).

მღვდელბერი. ლამის დავიწვა სირცხვილისაგან... განა ცოტა ვთქვით სულველამ ერთად, ეს არა კმარა?! შგონი რომ კმარა, დიდო ბატონო... კმარა, თუ არა?!...

ლალე. კმარა, სიმაპრო, როგორ არ კმარა! (თავადის ქვევრისაკენ). განა არა, ბორკილს ნაჰვევი სახსრები მქავა, ვიძახდი, მაგრამ, არა მჯეროდა სიზმრად ნანახი კისერს რომ მფხანდა შავი ნაჯახით დიდი სალახი!... რაკი გაუბედე, დიდო თავადო და მოგახსენეთ ზოგიერთი რამ, ვეტყვით მთავარსაც: მხოლოდ და მხოლოდ ბეშძარიტების კვალზე დავალ და ვერასდიდებით განზე ვერ გავალ, ჯამბაზი ვარ და ტაკიმასხარა, სწორედ ამიტომ, თოკზე ჰკიდია თავით-ბოლომდე ჩემი ცხოვრება, არჩევანი და არადანი მე სხვა არა მაქვს.

მაჭაჭო. (მღვდელს). რა ედო გულში, სიძებატონს, მღვდელო, ხომ ხედავ?! არა, ხომ ხედავ რაებსა ბედავს!

მღვდელბერი. ვხედავ და ვხედავ, მაგრამ, რაღა დროს, თქვენ შემოგეცლეთ, აბა, რაღა დროს?!

კურობერი. რაღა დროსაო?! სწორედ რომ დროა, მე თუ მკითხავთ, წუთის დაკარგვაც არ შეიძლება!.. (მაჭაჭოსას). კრიჭავ, არ გესმის? ჯადო-თილისმის ბურანიდან გამოსვლის დროა... წამის დაკარგვა არ შეიძლება... გამართე წვალდი, თუ ნაჯახი, რაც ხელთ გიპყრია და ერთი თავით, მრავალი თავი გადაგვირჩება! (ლალეს სტაცებს ხელს. მეორე მხრიდან მაჭაჭოსა ამოუდგება და თავბერიკას სამსხვერპლო ჯირკისაკენ წაიყვანენ).

ლალე. (ჯირკთან წარმოსთქვამს). — განა სიკვდილი მაშინებს მე, არა, სულ სხვა რამ: ნუთუ მისხალი აღარ შეგრჩათ ჩემი ამაგის? ნუთუ უდაბნო იყო ის მიწა, რაშიც ვთესდი მე მართალ სიტყვას?!

მღვდელბერი. მოინანიე, თავადი გისმენს!..

ლალე. „ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად და მრავალნი ვლიან მას ზედა!“.

მაჭაჭო. (მღვდელს განზე გაწევს). — მკვდრების დალაქად გამომაცხადა, დიდო ბატონო, წელან და ამით, ამა ცოდვილმა მე ჩამაბარა თავისი თავი!

(ნაჯახს დაუშვებს. ლალეს თავს მოჰკვეთს. თავი კალათში ჩაეშვა. კალათი მაჭაჭომ აიტაცა და თავადს მიმართა სიტყვით).

მაჭაჭო. უნდა გვიბრძანოთ ნება თქვენი, დიდო თავადო, და რასაც ინებებთ, ჩვენც ის ვიქნებით: გნებავთ დალაქად დავდგები კვლავ, გნებავთ სალახად, გნებავთ, ბერიკად დავრჩები და საშვილიშვილო ხოტბას შეგასხავთ?!...

(ბაჭაჭომ მორჩილად დახარა თავი პასუხის მოლოდინში. დანარჩენმა ბერიკებმაც მოიდრიკეს ქედი თავადის პასუხის მოლოდინში. ქვევრის მხრიდან კი აღარავითარი ჩამიჩუში აღარ მოისმა. ქედწახრილმა ბერიკებმა ნელ-ნელა ასწიეს თავები, თუმც ბოლომდე გამართვა ვერ გაბედეს და კითხვით ნიშნის ფორმა მიიღეს).

მღვდელბერი. გვიბრძანეთ. ნება-თქვენი, ბატონო!..

თხაბერიკა. დიახ, ბატონო!..

ვირბერი. ბატონო?!

ტახბერიკა. ბატონო?!

კურობერი. ბრძანეთ, ბატონო!

(ბატონს უხმობდნენ ბერიკები, მაგრამ მისხი აღარსად ჩანდა ბატონისა. აღარც ჩამიჩუმა ისმოდა რაიმე იქიდან, საიდანაც ახლამდე ბატონის რიხიანი ხმა ჰქონდა და ბერიკებს თავზარს სცემდა).

ვირბერი (ხ მ ი ს კ ა ნ კ ა ლ ი თ.) რაღაც არა ჩანს!..

ტახბერი. ახლა, რაღა ვქნათ?! (გ ა ი ქ ც ე ვ ა ა მ ბ ი ს დ ა ს ა ზ უ ს ტ ე ბ ლ ა დ).

თხაბერიკა. (მ თ რ თ ო ლ ა ვ ი ხ მ ი თ). — მართლა წასულა... ბატონო!

(ცარიელმა ქვევრმა ექო დაუბრუნა თხაბერიკას).

მღვდელბერი. როგორ თუ მართლა? ჩვენ რა უნდა ვქნათ?!

(მისი ექოც მოისმა ცარიელი ქვევრიდან).

ვირბერიკა. (შ ე მ ო ვ ა რ დ ე ბ ა). — არც ციხისთავი, არსად ჩაჩხნი, აღარ ჰაჰანებს... ყველა წასულა... (ე ქ ო დ ა უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა ნ ა თ ქ ვ ა მ ი).

კურობერი. იყო კია რო?.. იქნებ არც იყო?..

(„იყო — არც იყო“ — მოისმა ექო ცარიელი ქვევრიდან).

მაჭაჭო. (დ ა ბ ნ ე უ ლ ი, ლ ა ლ ე ს თ ა ვ ი უ ძ ე ვ ს კ ა ლ ა თ ს ი). — ხმა თუკი იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ ისიც იყო. ხმა ვისიც იყო...

მღვდელბერი. (შ ე უ ტ ე ვ ს). — რაებსა ბოდავ, შენა, მაჭაჭოს, შე უსირცხვილოვ და მართლა ქოსავ... აგითრევია თაებერიკა ლალეს თავი წნელის კალათით და აკონწიალებ ისე, თითქოს, ყიზილბაშის და უცხოსი იყოს!..

მაჭაჭო. ახლა განათლდით?! ყიზილბაშობა წეღან გენახათ რომ მომეძალეთ ქაჯებივით, „დაჰკარ-დაჰკარო!“ — რომ ჩამძახოდით! (კ ა ლ ა თ ს მ ი ა ჩ ე ჩ ე ბ ს).

კურობერი. (თ ვ ა ლ ც რ ე მ ლ ს მ ო ი რ ე ვ ს). — ვაიმე, ღმერთო!

ტახბერიკა. (მაქაქოს ! შეუტევს). — წვერის პარსვის დროს გითრთოლა ხელი ამას წინაზე, როდისღაც იყო, შე ოხერო, და წეღან კი ისე გამეტებით დაჰკარ ნაჯახი, აღა-მაჰმადის, მყრალი ყაჯარის გდებოდეს თავი ჯირკზე თითქოს!

ვირბერ. გააქრეთ თავი, თქვე ოხრებო! შარი არ გახდეს! (კრიჭა-მაქაქოს). გესმის რას ვამბობ? გაიტანე და დავითისა და კონსტანტინეს თავებივით სადმე მღვიმეში გადაინახე!

(მაქაქო გადის კალათით ხელში. ნისი გასვლა და ზარების რეკვის ატეხვა ერთი იყო. ბერიკები შეშფოთდნენ. გაიტვრინენ. ქალის შეკივლება მოისმა ზართაშუა. უფრო დაეხეთათ მუხლები ბერიკებს, ფეხი ვერ გადადგეს. ამასობაში ნადალაქარი მაქაქოსა შემოვარდა ძახილით).

მაქაქო. (ყვირილით). — ჰარიქათ, ბიჭი!.. ბიჭია, ბიჭი!

მღვდელბერ. რას ამბობ, მართლა?! რაკი აგრეა, აკვანი, ჩქარა!.. (გარბის აკვნის მოსაძებნად და მისართმევად.)

კურობერ. ‘ბიბაქი, ჩქარა, ჭერმის ხისაგან! (შიბაქს მოიძიებს).

ვირბერ. არტახი, ჩქარა!

ტახბერ. თასმები, ჩქარა!

(ჩარდახიანი ურმის ფარდასთან შეგროვდებიან ბერიკები თაეთავისი საჩუქრებით. ფარდის იქიდან ოდიშური ნანა ისმის).

„ოუ-ნანა, დიდა-ვოი, ნანა, ნანაია-ნა-ნი-ნა.
ბიჭის მამა შინ არ არის,
ნანაია-ნანინა, ოვ ნანა და.
ჩემო მზეო, მამის სიცოცხლეო,
თვალთა სინათლევ და ხვალინდელო დღეო“.

მღვდელბერ. ოდიშურ ნანას უმღერის ჩვილს ქართლელი დედა, მეგრულად აპირებს შვილის აღზრდას, რომ მისი სიცოცხლის უდროო მაძებრებს გზა-კვალი აურიოს... (ძალიან უნდა ჩარდახს იქით შეჰვრეტა).

ვირბერ. არც გასაკვირია დედის შიში, ცოტა გადახდათ?!

ტახბერ. ბერიკონს აღარ მიაკარებს ეგ საცოდავი, უეჭველად ხელოსნად აღზრდის!..

მღვდელბერ. არ ურჩევნია?! ერთი მაწანწალა ხელოსანი, დღეს შემოსავლიო თუ არა, ერთი კვირის ნაშოვნით, ბერიკათა მთელ დასტას დაჭირავებს ერთი თვის ვადით!

კურობერ. ქვას რომ ფეხი წამოჰკრა, ისეთი დროა, ბერიკა ვარო, დაიძახებს!

(იანომ სიმღერა ნოამთაცრა, პილოფი გასწია და აკვანი გამოაჩინა. აკვანი გადაფარებულია, არ ჩანს ბავშვი).

მღვდელბერი. (ლიჭვით). —

სუქ-სუქ-სუქ-სუქ,
გასუქდი და გაღღანდი!

(პირსაბურავის გადახდა სურს).

ტახბერიკა. დათვი — მჭლე და შენ — მსუქანი...

ვირბერიკა. ჩვენი დიდი ამირანი.

სუქ-სუქ-სუქ-სუქ!..

კურობერი. ჩვენი ციხე-გალავანი!

იანო. (დაუტევს ბერიკებს). — იქით გაიწით თქვე მასხარებო, ბავშვი აკვანში არ გამიგუდოთ! თქვენი მოთხვრილი, ლაფიანი დინგების ცქერას ის მირჩევნია ცას შეხედოს, სამშობლოს ზეცას!

მღვდელბერი. სახელს რას არქმევ, ჩვენო იანო, იქნება გეთქვა?

იანო. რაც მამას ერქვა, თავბერიკას, შვილსაც ის ერქვას, ლალე არ ერქვა? ლალე დაერქვას!

მღვდელბერი. ამინ, დაერქვას. ლალე დაერქვას!

(იანო ერთბაშად გადახდის ჩვილს თავსაფარს და აკვნიდან თავბერიკა ლალე წამოყოფს თავს. ბერიკები გაფრთხებიან).

მღვდელბერი. (კრიჭა-მაქაქოს). — თავი რა უყავ, რა უყავ თავი?!

მაქაქო. რომელი თავი?.. (ლალესაკენ იხედება შორიდან).

კურობერი. ეს არა, ისა?

ტახბერი. ეს ის არ არის?! არა, ის არის!.. (შიშით გული უსკდება).

მღვდელბერი. ის ხომ იქ არის, ის აქ არ არის!

მაქაქო. (ეძებს რაღაცას). — ჯერ ხომ აქ იყო, მე ასე მახსოვს, ვაზის საყელი მანეულისაგან მოწნულ კალათში...

მღვდელბერი. სად გაგონილა თავი კალათში, თქვე იუდებო, ეშმაკი-შვილნო, მწვანილი იყო?!

ლალე. (წამოჯდება აკვანში). — რა თავქვას ახლით, რომელ თავს ეძებთ?! აღარ დამაცდით წამოვდგე და სიტყვა გავმართო?! იქნებ არ მოგწონთ, ჰა, კეხიანი კოჟრებიანი ჩემი თავი, ღორის ტილებო, ციცაბოა და საშიში. განა?!

მღვდელბერი. (მოკატუნებული). — სათამაშო თავი რომ გვქონდა მანეულის ყვითელ კალათში, დაგვეკარგა, და იმას ვეძებდით...

ლალე. სათამაშო თოჯა-თავები თქვენს მხრებსა ჰკიდხეთ. მორჩეს თამაში, ხალხს ნუღარ დავღლით!.. (ხალხისაკენ). ვაზის ვარჯია სხეული ჩემი. თავით შეკრული როგორც მტევანით, სულიც შიგ არის ჩაბუდებული ქართველი კაცის — ქართულ ენახში! ვინ არა სცადა მისი პოვნა, მოჭრა და მოთხრა — ვერაფერს გახდა დღემდე ვერავინ. სარის მაგივრად მამულიშვილი — ქართველი ჰყავდა ვენახს შემდგარი. თუ ერთსა სჩეხდნენ — ათი ჩნდებოდა, გადანაჭერის ამონაყარი!..

იანო. (მ ხ ა რ შ ი ა მ ო უ დ გ ე ბ ა ლ ა ლ ე ს). — ერთი სხა გვყავდა ჩვენაო.

ლალე. მხარზე გაედო ენაო.

იანო. იმისი ნათქვამ-ნაქნარი.

ლალე. ქვეყანამ დაიჯერაო.

ბერიკები. (ე რ თ ხ მ ა დ).

ჰირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა!

ლალე. (დ ა რ ბ ა ზ ს). — ერთი უბრალო ბერიკები ვართ სამაჩაბლოდან, თუ მოგეწონათ სანახობა, ხვალაც აქ ვართ, მობრძანდით ხვალაც!

(ურემი სიღრმეში მიგორავს. ფარდა იხურება).

Introduction

ავტორი

ერთხელ სოფელში დაჭრილი ძაღლი ენახე. სანახაობამ შემზარა: ტყვიისაგან მოხლეჩილი ქვედა ყბა ენითურთ, უმწეოდ დაჰკიდებოდა კანზე, ქანაობდა. ჭრილობიდან სისხლი სდიოდა. წყაროსთან იდგა, ამაოდ ცდილობდა წყლის დალევას, წვეთ-წვეთად იღვენთებოდა ჯიშიანი, შავყავისფერი, სანადირო ძაღლის სისხლი წყაროს ანკარა აუზში. „ფუჰ, უჰ!“ იძახდნენ სოფლელები და აზიზღებულ სახეს არიდებდნენ ძაღლსაცა და სოფლის ანკარა წყაროსაც...

მერე ორღობეებში დასანსალებდა ყბამონგრეული, განწირული მდევარი... „ფუჰ, უჰ!“ — იძახდნენ გამვლელები და აზიზღებულ სახეს არიდებდნენ განწირულ ოთხფეხს...

სანადიროდ ჰყოლოდა პატრონს. თუმცა ნადირობა აკრძალული გახლდათ იმ ხანებში, მაგრამ, აკრძალვას ვინ დაგიდევთ: რას მიქვია, ვინ მიქვია, სად მიქვია, რად მიქვია!.. არის თოფი, არის ტყვია, არის შველი, არის მსრელი. მონკავშირის გამგეობას ქუდების არტელი აქვს გახსნილი, კერავენ ქუდებს, ხან სწორად, ხან მრუდედ, გააქვთ და გამოაქვთ...

შველისათვის ნასროლი ტყვია, საცოდავ მყეფარს მოახვედრა პატრონმა და ყბამონგრეული მდევარი განწირულად დასანსალებდა სოფელ-სოფელ, ვეღარც დაეყეფა, ვეღარც წყურვილი მოეკლა და იყო ასე გაკვირვებული. პატრონი კი, ამ დროს, დარდიანად ილოცებოდა ძმაკაცებთან ერთად: ხვრეპდნენ ღვინოს და აყოლებდნენ შვლის მწვადებს...

დაღამდა, გათენდა. ძაღლი ისევ დასანსალებდა, პატრონი კი ჭამდა და ხვრეპდა. „ფუჰ, უჰ!“ — იძახდნენ აზიზღებული სოფლელები. ძაღლი კი იდგა ანკარა წყაროს აუზთან. გაკვირვებული და ნაღვლიანი...

დაღამდა, გათენდა. კვლავ დასანსალებდა ძაღლი, ყბამოხლეჩილი და დადუმებული. „ფუჰ, უჰ!“ — იძახდნენ აზიზღებული სოფლელები. პატრონთან კვლავ ღრეობდნენ, ხბო დაეკლათ და ღრეობდნენ. კიდევ ერთი მდევარი ჰყავდა პატრონს...

დაღამდა, გათენდა. დაღამდა, გათენდა და ძაღლი აღარ დასანსალებდა; უბრალოდ ეგდო შარაზე. „ფუჰ, უჰ!“ — იძახდნენ აზიზღებული სოფლელები და ცხვირს იბზუებდნენ...

ღამით მანქანამ გადაუარა შარაზე დაგდებულ ოთხფეხს შემთხვევით,

მერე სხვა შანქანამ გადაუარა, მერე კიდევ... „ფუჰ, უჰ!“ — იძახდნენ აჩიჩქნებული გამვლელები და ცხვირს იბზუებდნენ...

თანდათან ქრებოდა ეს ყველაფერი შარაზე. მერე, კოკისპირული წვიმაც შოვიდა და გადარეცხა, გადალეკა შარა...

იმ ზაფხულს, იმ მშვენიერ სოფელში ვისვენებდი მეც ჩემი ცოლშვილით და მეც ვიძახდი „ფუჰ, უჰ! ფუჰ, უჰ!“..

აი, ეგრე!..

ვარგა?..

არ ვარგა!..

შერე?

შოლტი, მათრახი!..

აი, ეგრეე!..

—.—

წითელ ყელსახვევიანმა პიონერების რაზმმა გაიარა საყვირებითა და დაფდაფებით. კიდევ კარგი, კოკისპირული წვიმების შემდეგ გაიარეს პიონერებმა!..

— დამდგმელო, შეგვინდე მცირე რჩევისათვის:

1. პიესა უნდა მხოლოდ და მხოლოდ სამსახიობო ნიღბების საშუალებით წარმოდგინდეს!.. განსახიერება — განსხვისებით და არა საკუთრივ!.. სპექტაკლის შეძდეგ, შესაძლოა, ორი-სამი ცალი ნიღაბი მაყურებელსაც ვუსახსოვროთ.

2. ქართლის კუთხური დიალექტი განგებ გვაქვს გადაშარჟებული, ყოველი ფრაზა უნდა წარმოთქვას მსახიობმა, როგორც გვიწერია.

თუ გნებავთ დავიწყოთ ასე:

გამოდის დირექტორი, მას აცვია ჩვეულებრივი, თავისი საგარეო კოსტიუმი, თუკი არ დაენანება მისი სცენაზე გაოხრება, დიახ, გამოდის და ვიღრე ნიღაბს გაიკეთებს, ხალხს გააცნობს თავის როლს.

დირექტორი — ხალხო, გამარჯობათ! ამ სატირულ პიესაში მე უნდა შევასრულო მეურნეობის დირექტორის როლი. ეს, ჩემის აზრით, ისეთი პიროვნებაა, რომელიც, ერთის შეხედვით, საერთო-სამეურნეო საქმისათვის იღვწის, მაგრამ თავისი, ერთგვარი შეზღუდულობისა და ერთგვარი, ასე ვთქვათ, დეს̆პოტიზმის გამო, საქმეს ვერ წარმართავს ჯეროვან სიმაღლეზე, რის გამოც დაისჯება კიდევაც. (მსახიობი იკეთებს დირექტორის ნიღაბს.)

პირველი აგრონომი. მე უნდა წარმოგიდგინოთ მეურნეობის პირველი აგრონომი. ესეც კარგი ბედოვლათი გახლავთ: უპრინციპო და უნებისყოფო. მის გვერდით ბერდება იმავე მეურნეობის ვეტერინარი — ქსენია, უცოლო

აგრონომს კი, თავისი უთავობის და უპრინციპობის გამო, ვერ გადაუწყვეტია ქსენიას გაბედნიერება, ოჯახის შექმნა და ადამიანთა საზოგადოებაში იმ როლის თამაში, რასაც კაცური კაცი ჰქვია. ნებისყოფის სისუსტე მე მიმაჩნია ახალგაზრდა კაცის ყველაზე დიდ მტრად.

მეორე აგრონომი. მეურნეობის მეორე აგრონომს წარმოგიდგენთ მეხარი-ხართან დააბი, ასე გახლავთ მეორე აგრონომის ამბავიც. ბევრი არაფრით განსხვავდება იგი პირველი აგრონომისაგან და დროზე თუ არ მივეშველებით, გვიანღა იქნება...

ქსენია. ქსენიას როლი მე უნდა წარმოგიდგინოთ. რაც ამ თეატრში გეახლით, შესაბედ მიხდება უიღბლო ქალის როლის თამაში. მეშინია, რომ არ დამებედოს.

სიმონა. სოფელში დაბერებული, ქალწულობიდან სიქაჩლემდე მამაკაცის მოყვარული ქალის ქმრის, კანონიერი მეუღლის როლი უნდა წარმოგიდგინოთ. ერთი სიტყვით, სოფლის ჭუჭყის ნაღების ნაღები უნდა დავხატო. სიმონა მერქმევა მე, ტასა გახლავთ მეუღლე ჩემი. (ტასას როლის შემსრულებელზე მიუთითებს).

ტასა. (წაიკოპწიავებს, წაიღიღინებს). ერთხელ მიყვარდა ყმაწვილი კაცი.

ლევანა. მე სოფლის მჭედელ-ნალბანდი უნდა დაგისურათხატოთ. მოგეხსენებათ, სამჭედლო ოდითგანვე გახლდათ ახლო-მახლო მაცხოვრებელი თუ საზოგადოდ, გამვლელ-გამომვლელის, საქმიანისა თუ უსაქმოს თავშესაყარი ადგილი. მას აქეთ, რაც მსუბუქი ავტომანქანის რესორი და ზოგიერთი სხვა სათადარიგო ნაწილის შოვნა სპეკულანტის მეშვეობითაც კი გაჭირდა, ჩემს დანჯღრეულ სამჭედლოს, მე და ჩემ ენაბლუ ბოთე შეგირდს, ერთიორად დაგვედო ფასი. აგერ ჩვენი სამჭედლოს ერთგული კლიენტები (ხელს გაიშვერს.) შოფერი, კომბაინერი, ტრაქტორისტი და კიდევ სხვა მრავალი... რას არ გაიგონებთ ჩვენთან: მამაკაცის ჭორს, რაიც ამ ბოლო ხანებში დედაკაცის ჭორს ბევრად აღემატება ხარისხობრივად, მახვილგონივრულ თქმას, ერთი სიტყვით, ათას რამეს, უფრო ისეთს, რაც გაზეთში ნაკლებად წერია. ქალაქად ასეთ საჭორაო, საღლაბუცო ადგილად ჩვენ მიგვაჩნია ნესტიან სარდაფში ჩამხრჩვალი საბილიარდოები. სამჭედლოში რაღაც საჭირო და სასარგებლო მაინც კეთდება: თოხი, ცული, ბარი... ერთი სიტყვით, მზად ვარ ქურა გავახურო.

პირველი ბიჭი. ჩვენ, სამ ბიჭს, გვიყვარს ეს სამი გოგო. პიესაში ჩვენ ხელს არავინ გვიშლის, გვიყვარს ისე, როგორც გვინდა. მართალია თუ არა, გოგოებო?

პირველი გოგო. მართალია, მააშა!..

ჭორიკანა. სოფლის დედაკაცებში ყველაზე გრძელი ენა მე მაქვს, აქლემს ნემსის კუნწში გავაძვრენ, თუ დამჭირდა.

მაცნე. სახელად ილო მქვია, ქალები — ქალა-ილას მეძახიან, საერთო სახელი მაცნე გახლავთ, ენის ქირქილში, ვერც ქალი და ვერც კაცი ვერ მაჯობებს.

ბაგრატას ცოლი. მე უბედური ბაგრატას ცოლი უნდა წარმოგიდგინოთ. ჭორისაგან ახუნტრუცებული სოფელი ისე დაიბნა, რომ ამხანაგური სასამართლო გაუმართეს კინაღამ, ერთი წლის გარდაცვლილ, ჩემს უბედურ მეუღლეს. დიახ, ასეც ხდება.

ექიმი. ჩემი როლი გადამწყვეტია პიესაში, მე ექიმი უნდა წარმოგიდგინოთ არა ერთი რომელიმე სატკივარის მკურნალი ექიმი, არამედ ყოველივე იმისა, რაც ადამიანს გააჩნია სულითხორცამდე.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

დირექტორი და მაცნე.

სისხამი დილაა. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ჭარმაგი, საშუალო ტანის კაცი ელექტროსაპარსს ახრიალებს, წვერს იპარსავს თავის კაბინეტში. ალუმინის გასაშლელ საწოლზე ზის, ლოგინი აულაგებელია. დირექტორის კაბინეტისათვის საეალდებულო ნივთებს გარდა, ერთი გრძელი, ორი-სამი მეტრის სიგრძის ნარდია კედელზე აყუდებული. შორიდან ისმის მაცნეს ძახილი: — რა მომხდარა! რა მომხდარა! რა მომხდარა! მაცნეს ხმა თანდათან უფრო მკაფიოდ გაისმის, თანდათან ახლოვდება: — რა მომხდარა! რა მომხდარა! რა მომხდარა!.. დირექტორის კაბინეტთან შედგა მაცნე, შორიდებულად აკაკუნებს, თან გაიძახის: — რა მომხდარა! რა მომხდარა! რა მომხდარა! რა მომხდარა! — თანდათან ხმას დაუწია მაცნემ.

დირექტორი. მაცნე, შენა ხარ? როდის ამოვარდება შენი გასაგისი, როდისა, რო?!..

მაცნე. დიახ, პატივცემულო, რა მომხდარა! რა მომხდარა!..

დირექტორი. შემოდი! რა გაღრიალებს, შემო, შე!.. (*საწოლიდან წამოდგება გაბრაზებული*). კომბაინი გადაჩეხეთ?.. ხომ ვუთხარი იმ შობელგანათლებულებსა, რო ციცაბოებს ერიდეთ, ცელითაც იოლას გაეალთ ციცაბოზე-მეთქი!

მაცნე. (*სულ უფრო ხმადაბლა*). რა მომხდარა! რა მომხდარა!..

დირექტორი. (*საპარსი განზე გაიღო*). დროზე ამოშაქრე, შე სულძაღლო. თორემ, ვფიცავ სამშობლოს სიყვარულს, რო, შავ შაბათს გაგითენებ!..

მაცნე. რა მომხდარა, და, ქილიკაანთ ტასა...

დირექტორი. დენის მავთული ხო არ დასცემია ძროხებსა და ხო არ დაუხოცნია?

მაცნე. ქილიკაანთ ტასა, პატივცემულო, ხანს მიტანებული, დროული ქალი, პეპეროზაანთ საკარმიდამო ბუსთამში გადაჩაჩხულა, ნაქარი ვირგლა მსხალი

ეუკრეფია, მერე ლობიო დაუგლეჯია, ტომარა აუვსია, სუფრის ჭარხალიც დაუდღლეჭია თურმე სასწრაფოდ, ესეც ჩაუტენია, პატივცემულო და...

დირექტორი. (ცვლავ შეაწყვეტინებს). მერე ვიცი, რაც იქნებოდა: დაპურებულ იონჯაში გადავიდოდნენ ძროხები და დასკდებოდნენ იონჯიჭამითა...

მაცნე. (თავისას გაიძახის). და ის=ის იყო, ტომარაწამოკიდებული ტასა ყორეზე უნდა გადმოსულიყო, რომ, სად იყო და სად არა, პეპეროზაანი ბაგრატას წაუსწრია, ერთი კარგი პანღური უდრეკია კუკუზნაკში, ყორედან გადმოუბურთავებია, პატივცემულო, მერე მისდგომია და, ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი! — მიუსიკვდილებია ამხნის დედაკაცი. (როგორც იქნა დაამთავრა აქოშინებულმა მაცნემ).

დირექტორი. მსხვერპლი ხო არ არის?

მაცნე. არა, პატივცემულო, მაგრამ რაღა უკლია?! ისეა ტასა დაბეჟილ-შეფოთფლილი, ისე, რომა ჰა! კლავიც მოტეხილი აქ. ნეკნები შედრეკილი აქ. კბილები ჩაყრეინებული აქ...

დირექტორი. ენა გამოყავი! (ელექტროსაპარსი გადადო, სამართებელი ალესა).

მაცნე. რა ბრძანეთ? (ელაქუცება).

დირექტორი. ენა გამოყე-მეთქი! (მიუახლოვდება).

მაცნე. (უკან-უკან იხევს). რათა, პატივცემულო დირექტორო, რა დავაშავე?

დირექტორი. ნუ გეშინია, სულ პატარას, ერთი ბეწოს, ერთი ციცქნას მოგაჭრი. (მარცხენა, გაშლილ ხელისგულს პირთან მიუტანს მაცნეს; მეორე ხელში სამართებელს მოიმარჯვებს).

მაცნე. ვაიმე, რათა?! რათა, პატივცემულო?!

დირექტორი. (საყელოში სწვდება, შეაჯანჯღარებს). არ გაგაფრთხილეთ, რომა მოსავლის აღების პერიოდში მოსავალზე უნდა ვილაპარაკოთ, მარცვლეულზე, კომბაინებზე! კარგი ბიჭი ხარ და! (მაცნეს ისე შეათვალიერებს, თითქოს ახლა უნდა დაუდგინოს სქესი). ვინც არ უნდა იყო, აბა ოცდაორი ცენტნერი ნუ მოგიყვანია შენზე გაპირობებულ ფართობზე და, მაშინ მიყურე, შე!..

მაცნე. იქნება! მოვიყვან! საიდანაც იქნება, როგორც იქნება, ოცდაოთხამდე ავიყვან! შარშანდელსაც დავუმატებ და ავიყვან, სულაც ბაზარზე ვიყიდი და ავიყვან, მოვიყვან, ვაი!..

დირექტორი. (განაგრძობს ჯანჯღარს). სახლი დამიტოვებია, ხო ხედავ, სადა მძინავს. კარავში მძინავს. საჭორაოთა მცალია, შე!.. გითხარით თუ არა, ჩემს საკუთარ სახლსაც რო ცეცხლი გაუჩნდეს, უჩემოდ ჩააქრეთ-მეთქი! გითხარით თუ არა?! გაიგე თუ ვერა, შე ყბედო მამაძაღლო?! ტასა მინდა მე?! ბოზი ტასა მინდა?! აი, ხვალ-ზეგ რო შემოწმებაზე მესტუმრებიან ზევიდანა,

ტასა ვაჩვენო თუ დაკრიალებული, ხორბლით სავსე ტომრები, შე ყბედო, შენა?! ახლავე გამოყე ენა, ან არადა, ისე შეყა და ჩაიცემენტე მაგ ჟანგიან ყბაშია, რო სუნთქვა რო სუნთქვაა, ისიც მარტო ცხვირით შეისუნთქო და ცხვირით გამოისუნთქო, თორე!.. გადი, დაიკარგე! (*ხელი ჰკრა, მაცნე გააბურთავა*).

დირექტორი. (*ულვაშს იკოხტავებს სამართებლით, თან მღერის*), „სად ნახავ სამას ნამგლის ტრიალსა, კომბაინები ბრდღვნიან ყანასა!“..).

სურათი მეორე

ავტობუსის გაჩერებასთან

შაბათია, მოკლე დღეა. მეურნეობის კანტორის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან, რამდენიმე ადამიანი დგას, ავტობუსს ელოდებიან: მეურნეობის პირველი აგრონომი, მეორე აგრონომი და ვეტერინარი ქსენია. ისინი შინ, ქალაქში ბრუნდებიან.

პირველი აგრონომი. მგლებივით გვამუშავებს და ავტობუსის საკითხი ვერ მოუგვარებია, რომ მაშვრალი კაცი შინ დროზე მიბრუნდეს, საათობით უნდა ელოდო ამ ჯაბახანას!

მეორე აგრონომი. პირველი აგრონომი ხარ მეურნეობაში, დასვი საკითხი დირექტორთან, ავტობუსის საქმე მოაგვაროს, სოფელსაც ხომ ესაჭიროება?

პირველი აგრონომი. ეჰ, შვილოსა, მაგასა ეგ უნდა, რომ მინდორში გვეძინოს, საქმესთან ახლოს მეყოლებითო.

ქსენია. თქვენ რომ გიყურებთ, შთაბეჭდილება მეკარგება შარვლიანზე. ერთი კაცური კუნთი აღარსად გიტოკავთ.

პირველი აგრონომი. დარწმუნებული ხარ, ქსენია, რომ აღარც ერთი კუნთი? ვითომ ეგრე შავადაც არის ჩვენი საქმე?

მეორე აგრონომი. ჩემს მიმართ ნაღდად გეშლება, აქსინია! ეი ბოგუ!

ქსენია. შენ ჯერ ახალი ხარ, ქორფა, მალე შენც პირველი აგრონომივით დაგარბილებს. (*ქსენია მიეფერება პირველ აგრონომს, სიმკვრივეს გაუსინჯავს*).

პირველი აგრონომი. ხელი ფაფას, ქსიუშა, არ დაგეწვას!

მეორე აგრონომი. მოსაელის აღებას მოვრჩებით და ნარდის სეანსები დაგვეწყება, ეჰ, რას ვიზამთ?!

ქსენია. დუ იაქში უნდა ივარჯიშოთ ღამღამობით.

პირველი აგრონომი. დუ იაქის დასმა აღარ მეშლება, შენ სხვა თქვი რამე...

მეორე აგრონომი. მე სე იაქში უნდა წავიმეცადინეო, თორე უხერხულია, შენც დუ იაქი, მეც დუ იაქი, გაგვიგებს.

ქსენია. (*ენამოჩლექით. პირველს*). მოდი, აჩუკუდა-თაფლის გუდა ვითამაშოთ, ვიდრე ავტო მოვა, გავერთოთ. (*აგდებით*).

პირველი აგრონომი. (მოთენთილად). შეგეჭამ, ქსენია! (დაიხრება, ზურგს მიუშვერს).

ქსენია. ჰოპპა. (დაიძახებს და გადაახტება).

პირველი აგრონომი. შეგეშინდა, ჩემი, მოდი კიდე!

ქსენია. უხერხულია, ავტობუსის გაჩერებაა, რაც არ უნდა იყოს...

მეორე აგრონომი. (წახრილი დგას). კიდე რა, ქსიუშა. ერთხელ კიდევ, რა! (ეხვეწება).

ქსენია. ხაროშევო პანემნოშკუ, ზოგი მერე, ხვალ, ზეგ...

პირველი აგრონომი. მოგიტაცებ, იცოდე!

ქსენია. არსადა თქვა. (ეცინება).

მეორე აგრონომი. მოვბრუნდე? (ნელ-ნელა შემობრუნდება). უი, ეს რა ვნახე! უი...

შორიდან ისმის მაცნეს ძახილი: „რა მომხდარა! რა მომხდარა! რა მომხდარა!" მალე თვითონაც გამოჩნდება.

მაცნე. რა მომხდარა! რა მომხდარა! (შეჩერდება, აგრონომებსა და ქსენიას შეათვალიერებს). ისევ ძველებურად გაყურყუტებთ, გახა!

(თავს გააქნევს და „რა მომხდარას" ძახილით მიდის. უცნაური შარვალი აცვია მაცნეს, უფრო სწორად, გრძელი, ჩაფართხუნებული კაბა. ფეხებშუა, ორ-სამ ადგილას ინგლისური ქინძისთავით აქვს შებნეული და ამრიგად შარვლის ფორმა აქვს მიცემული).

პირველი აგრონომი. (ჩაიცინებს). ქილიკაანთ ტასა, ხანს მიტანებული, ქმრორორრიანი ქალი. .

მეორე აგრონომი. ბევრი „რ" რათა თქვი? რრორრა, ენა დაგება?

პირველი აგრონომი. ბევრი ქმრორორები ჰყავდა დაბმული ტასას, ენა კი არ დაშება, ქმრორორიანობა გამოვხატე.

ქსენია. (განაგრძობს). საკმაოდ ჯანგულა დედაკაცი გახლავთ, კეტი რომ ურტყა, მეურნეობის საკეთილდღეოდ ხელს ვერ გაანძრევინებ...

მეორე აგრონომი. ვიცი, ჩემს ზონაში შადის... (განაგრძობს ტასას ამბავს). პეპეროზაანთ საკარმიდამო ნაკვეთში გადაჩაჩხულა, ლობიო დაუგლეჯნია, სასწრაფოდ...

ქსენია. ზევიდანაც ჰაიჰარად დადღლეზილი სუფრის ჭარხალი დაუტენია და, ის-ის იყო, ნაქურდალწამოკიდებული უკანვე გადმოდიოდა ყორეზე...

პირველი აგრონომი. სად იყო და სად არა, პეპეროზაანთ ბაგრატას წაუსწრია, ერთი კარგი პანღური უდრეკია კუკუზნაკში, უკანვე გადმოუბურთავებია ტომარაწამოკიდებული ქილიკაანთ ტასა, წაქცეულს მოსჯდომია და ერთი თუ ორი! ერთი თუ ორი! კარგა გემოზე დაუბეჟია...

ქსენია. ახია ტასაზე! ერთი გაბაზრებული დედაკაცია, ყოველ ცისმარე დღე

ბაზარზე გდია, თესლებს, მწვანილს, წვრილმან ხაბა-ხუბას დაარბენინებს ზამთარ-ზაფხულ...

მეორე აგრონომი. ერთი სიტყვით, აიკლო ტასამ ხეობა. ძეგლი დაიდგა!..

ქსენია. ახლა ბაზარზე გაჩვენათ მაგისი ანცობა!.. ერთი პატარა, მრგვალი სარკე დააქვს ერთთავად, ხახვის კონაზე მიაყუდებს სარკეს, მიიპუდრ-მოიპუდრება და, როგორც კი ბაზარზე თვალმისასვლელი კაცი გამოჩნდება — ჰიტაა, მრგვალი სარკიდან ამოხედავს ტასოს ტასა და სავაჭრო-საწუწუნოდ დალაგებული ნაოჭების ქარგა შეეცვლება წამში, გაუღიმებს და აღიღინდება.

პირველი აგრონომი. რომ ვეტყვი ვინმეს, ამა და ამ ადგილზე ვმუშაობ-მეთქი, ეცინებათ, სადაო, ტასას მეურნეობაშიო? დამცინიან.

მეორე აგრონომი. ტასას ხიდი, ტასას წყარო, ტასას გაჩერება, ტასა და ტასა... ავტობუსი კი არსადა ჩანს. (გზას გახედავს).

ქსენია. ტასას ავტობუსი... მოდით, ფეხით გავუყვეთ, ეგებ გზაშიაც წამოგვეწიოს.

პირველი აგრონომი. თან ვიტასაოთ გზადაგზა — აჩუკუდა-თაფლის გუდა. (დაიკუზება, ზურგს შეუშვერს).

ქსენია. (შეაჯდება). შენცა ჰამე, მეც მაჰამე, ჩვენს შვილებსაც შეუნახე.

მეორე აგრონომი. (ზურგს შეაქცევს). რაც გინდათ, მოიმოქმედეთ, მე ვითომც აქ არა ვარ.

ქსენია. ეჰ, პირველი შენ მოსდებ ქვეყანას, რამე რომ მოხდეს...

პირველი აგრონომი. (ჩაიცინებს). ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს?

მეორე აგრონომი. (მოიხრება, ზურგს შეუშვერს). გადმოჯექ, თორემ ვიტყვი, იცოდე! გადმოდი, თორემ, ვიტყვი, ეხლა მე აგიჩუკუდაო თორე... ვიტყვი.

ქსენია. გამიშვი, თორემ მართლა ქვეყანას მომიდებს. (ჩამოდის, მიუახლოვდება მეორე აგრონომს და ზურგზე შეჯდომის ნაცვლად, კარგ, მაგარ პანღურს მიაკერებს სიცილით. აგრონომი წაბარბაცდება).

პირველი აგრონომი. (ნასიამოვნები აცხადებს). ახლა კი მჯერა, მაია წყნეთელის ამბავი!..

სურათი მესამე

სამჭედლო

მაცნე. „რა მომხდარას“ ძახილით გამოჩნდება სამჭედლოსთან, სადაც კარგა ბლომად ხალხია შეხროვილი: ლევანა მჭედელი, მისი თანაშემწე, ლაყე გარეგნობის, მეტსახელად — ბოთე, ტრაქტორისტები, კომბაინერები, შოფრები, გლეხობა. მაცნე გაჩერდება, მიაყურებს და. რომ დარწმუნდება საქმე კარგად მიდისო, ჩაიცინებს.

მაცნე. (ცმაყოფილი ღიმილით). ერთი ათასად! ერთი ათასად!.. (მიდის).

შოფერი. თურმე ნუ იტყვით და, ყორედან გადმობურთავებული ქილიკანთ ლიკლიკა ტახა ცემით ხო უცემია ომმოელილ პეპეროზაანთ კაჟ-ბაგრატასა და, ამ ბურგნაობა-ძალაობასა და ჟაპა-ჟუპში მოუკრეფავშიაც გადასულა თურმე! (ხვიხვინებს და ხელებს იფშვნეტს).

ლევანა. რაღა დროს ტასას მოუკრეფავობაზეა ლაპარაკი, მოსაკრეფი რომ აღარა აქ რა! (თქვა ლევანამ და ზედაც მცოდნე კაცის ღიმილი დააყოლა).

კომბაინერი. (ყელს უწევს). ტახას ჯეელობისა თქვი, ლევანა, რაფე.

ლევანა. რა ოფოფებიც ახლა დასტრიალებენ, მაშინაც ის ოფოფები არ ასვენებდნენ... ზოგი რო უკუღმა დაიბადება, თორე!.. (უროს ცემას უკლო ლევანამ, წარსულის დავთარში გააპარა თვალი).

შოფერი. (ევედრება). თქვი, ლევანა, ნუღარ გვაწვალებ ამოდენა ხალხსა!

ლევანა. (იწყებს მოყოლას. ყველა გაისუსება). ჰოდა, იმას ვამბობდი, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ცოლ-შვილს მოკიდებული ბა საიდან ვიქნებოდი, ჩვიდმეტისა — ჰა და ჰა! შეიძლება თვრამეტისაც ვყოფილიყავი, შეგირდათა ვმუშაობდი მუშტი-ვანასთან. ჰოდა, შინაც მე ვიყა და გარეთაცა. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გაგიტრიზავოთ, ერთი პატარა, საქადე მიწა გვქონდა. ერთ მშვენიერ დღესაც, შენ ხარ ჩემი ბატონი, გახურებულ კალორობაში რო ვარ, ფრონის პირასა მქონდა კალო შებმული, გავიხედე და წყლიდან რაღაცა ამოიზიდა. ჯერ ალი მეგონა, შემომხედა, შევხედე, გამიცინა, გავუცინე, თან პირჯვარის გადასაწერად მივაპარებ ხელს. რას ამბობთ, პირჯვარი ვიღამ მაცალა, ჰოპპაო! — ერთი კი დაიძახა, ამოწია, ამოიზიდა, არც აცივა, არც აცხელა, გაბოდგაფუნდა, ჩემკენ ისკუპა და ზედ კევრზე არ შემომიხტა! (იცინის ლევანა მჭედელი).

ბოთე. მაგასა, შვილოსა, დაბადებიდან შუბლზე თუ ეხატა, რა სულისაც იყო, თოლე, მაგას ლოგოლ გაგიბედავდა, ძია ლევანა, ეგლე ალი, ალი, თოლე, აგე მე, ცოი მინდა, ბოი მინდა-მეთქი, სოფელ-სოფელ დავდივალ და ელთი ალავინ მეტყვის, სენი ცოლი ვიქნებიო, ისე ვალ გამწვალებული, ისე ლო!..

ტრაქტორისტი. დააცა, ბოთე, ლევანამა თქვას. რა კვიცივით უსწრებ წინა, არ ვიცი! (გაუწყრა ამბავს მოწყურებული ტრაქტორისტი ბოთეს და მერე კვლავ ლევანას მიუბრუნდა). მაშ ლეწე და ლეწე, ჰა, ლევანა, კალოი...

ლევანა. გალეწილი გამოდგა, ღმერთი, რჯული!.. (იფიცება და იკრიჭება ლევანა).

შოფერი. ჰოი, რა ძველი ხარ, ლევანა! კაცმა რო შემოგხედოს, მჭედელია, დარბაისელიო და, რაც კი შენ სხვისი კალოები გილეწია...

ლევანა. რას იზამ, აგრეთი იყო მოჯამაგირის ხვედრი შავბნელ დროშია!..

კომბაინერი. ბაგრატას მაინც რა ელდა ეცა რო! საკვირველია პირდაპირ, მეტი რო აღარა ვთქვა რა! მაგისთანაზე როგორ წაიწყმიდა სული!

შოფერი. ქალი მაინც ქალია, რაც არ უნდა გაოხრებული იყოს. არა, ბანკი ხომ არ ედგა ეზოში ბაგრატასა, განა იმდენი რა უნდა წაელო ზურგითა ხნოვან ქალსა, რო იქაობას დასტყობოდა, ეხლა კი, ახტი-გადახტი, ჩვენო ბაგრატ, ნაპლენარო!..

ბოთე. თაფლში ლო ხელი გეყოს, არ გაილოკავ? ბაგლასაც ეგ მოუვიდა.

კომბაინერი. (ა გ დ ე ბ ი თ). გიყვარს განა თაფლი, ბოთე?!

ბოთე. მალტო მე ხო ალ მიყვალს, ტკბილია და!..

კომბაინერი. ზამთარწაპარებულ ვენახში არ ჩაგივლია, დაქიშმიშებულ. აქა-იქა მტევნის მოსამცვრევათა, ბოთიკო?! (ხ ვ ი ხ ვ ი ნ ე ბ ს კ ო მ ბ ა ი ნ ე რ ი. დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ე ბ ი ც ი ც ი ნ ი ა ნ).

ბოთე. ლოგოლ ალ ჩამივლია, ლთვილი ლო დაჰკრავს ხოლმე ძალუაჩემიანთ ვენახში. ჩვენ ვაზი ალა გვაქ, ქელი მოგვყავს საკალმიდამო ნაკვეთში. ყულძენს ბევლი მოვლა უნდა და ქელი კი ადვილია, ქელისაგან ლუდ გამოვხდით და საჭმელიცა გვაქ და სასმელიცა, მაშა!

ტრაქტორისტი. რავი, უბედურ სიმონას რომ ჰკითხო, უკაცრაული პასუხია, ტასას მეორე ნახევარსა, ისეთი მოჯირითე ვიყავიო, რო ხევსურეთში დავყავდი ცხენების სახედნავათო და...

შოფერი. მაგან ალბათ იმ ცხენების ხედვნაში გამოითქვიფა კაცობა და ტასამ რა ქნას, ნათქვამი აკია, მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო. ე, მაინც დამიპირეს, მაინცაო, მაინც მომეჭრა თავი, მაინცაო. ჰოდა, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო!

კომბაინერი. თავი მოეჭრა, თორე, დედიმაგისამა!.. კვირაში შვიდ დღეს ბაზარზე ალამ-ათენებს: ეს წვრილი ხილიო და, ეს ჰყინტი სიმინდიო და, ეს ხახვიო და, ეს კომბოსტო, თესლი, ჩირეული, წიწაკა... განა რა მოსდის იმ საკარმიდამოში მაგდენი, რო ბაზრის კარი შელეწილი აქ?!.

ტრაქტორისტი. შენ ეგა თქვი და! წლიდან წლამდე ორ-სამჯერ ძლივს გაბედავს ჩემი დედაკაცი ახალი კვერცხის ან თითო-ოროლა ვარიის ბაზარზე ჩატანას, ისიც, ჯამაგირის აღების წინა დღეებში, თუ...

ბოთე. (ლ ე ვ ა ნ ა ს). ტასა სიმონას მეორე ცოლია, არა, ლევანა?

ლევანა. ტასა სიმონას მეორე ცოლია, მაგრამ სიმონა ტასას მერამდენე ქმარია, ბევრმა როდი იცის.

შოფერი. დაწვრილებით მოჰყე, ლევანა, ნუღარ გვაცოდვილებ.

ლევანა. ერთხელ და ორჯერ მიამბნია, თქვე კაი ხალხო, რა გემართებათ?

კომბაინერი. (ც დ ი ლ ო ბ ს ლ ე ვ ა ნ ა ს ჩ ა ტ ყ უ ე ბ ა ს). კიდე კარგი, იბერწა სიმონას ხელში ტასიკომა, თორე... არა, ლევანა?..

ბოთე. ისიც ხო მართალია, ლევანა, ლო ტასამ სიმონას წამალი აატლეკი-ნაო...

ლევანა. ამბობენ. (მ ც ი რ ე პ ა უ ზ ა) სიმონას მოზრდილმა ბიჭებმა აღარ ინდომეს სიმონას მამობა, რუსთავში გადაიხვეწნენ, დალაგდნენ, დედაც თა-ვისთან წაიყვანეს. დარჩა წამალნაჭამი სიმონა უშვილო ტასას ამარად...

ბოთე. ქალის გულისათვის, დაფუძებული ოჯახი ლოგოლ უნდა დაანგ-ლიოს კაცმა, ხალხნო?! ვაიმე, ხალხნო!..

ტრაქტორისტი. (ხ ვ ე წ ნ ი თ). ადრინდელი გვიამბე, ლევანა, აი, კევრის შემდეგ რაც გადახდა.

მამაკაცები. ჰო, რა, ლევანა! ზოგში ჩვენც წაგეხმარებით, მიდი-შვიდი!..

ლევანა. მერე აჰყვა ხეობასა და ჰერიი. ჯერ გაღმიელ, ჭროღა ვეტექიმზე გათხოვდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი. წლისთავზე ძუძუთა ბავშვი დატოვა ჭროღაანთა და არხის მშენებლობის ბრიგადირს გაჰყვა ცოლათა.

კომბაინერი. ბრიგადირსა, ლევანა, თუ მთავარ ინჯილერსა?..

ლევანა. აკი ვამბობდი, ჩემზე კარგა თქვენ იცით-მეთქი!.. ერთ წელიწადს დაჰყო ი მთავარ ინჯილერთანა თუ მეტი, ასე იყო, თუ ისე, არხის სათავემდე ძიჰყვა, რო გითხრათ, ძთლად კვალში მისდია-მეთქი, არ გამომივა სწორი: ერთთავად აქეთურ-იქითურობდა ამ ხნის განმავლობაში... მერე იყო და ერთი კარგი, ჩაერბოკაკაებული ფერმის გამგე შეიგულა, ოჯახზე ხელი ააღებინა და ორი, თუ არ ვიცი, სამი წელი ჩიტის რძეში იბანავა. გასუქდა, გაღაღანდა, ერთი კვერცხიც ფერმის გამგეს ჩაუგორა უბეში და ახლა მწყემსს მისთხოვდა. ერთი ვეება, მოსტოლიკა მწყემსი იყო, ერთი ჭედილა არა ჰყოფნიდა ერთ ჭამაზე, წე-ლიწადში ორჯელ იპარსავდა თუ იჩეხავდა გაბარდღულ წვერსა ის მწყემსი: ერთი — გაზაფხულზე რო გაპარსავდა ცხვარსა და, მეორედ კიდე შემოდგომის მატყლის პარსვის დროსა... ზედ იალაღის წვეროზე დაასახლა, მწყემსური ქოხი კარგ შენობად გადუკეთა, ერთი მთა კარტოფილი დაუთესა. ისეთი ქოფაკები დაუყენა დარაჯებათა, რო ჭინჭველასაც საბუთებს უსინჯავდნენ, ისე არ აჭაჭა-ნებდნენ.

მსმენელები. (ა ღ ტ ა ც ე ბ ი თ). ჰოი, და-და-და-და-და!

ლევანა. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო და გავაჭრელო, შემო-დგომაზე მწყემსმა ყიშლაღებისაკენ დასძრა ცხვარი თუ არა, იშვირა ფეხი ტა-სამ და გადაღმა ხეობელ ფერშალზე გათხოვდა...

შოფერი. დანარჩენს მე მოვყვები, მეც კარგად ვიცი, მერე რაც მოხდა. მწყემსისა და ფერშლის ტყუპი ფერშალს დაუტოვა და ისევ გადმოღმა გადმო-ტოპა. მწყემსის დათესილი კარტოფილის მთა ზღვად ქცეულიყო. სულ მე ჩამა-ზიდინა ქალაქის ბაზარზედა. ბარე ათზე მეტი მანქანა გამოვიდა. კარგი ფასიც ჰქონდა კარტოფილსა იმ ზამთარ-გაზაფხულზე და კარგი მუთაქებიც დასტენა ტასიკომ იმ წელიწადსა, კარგი!..

ტრაქტორისტი. გასამრჯელოდ რა გქონდათ დათქმული, სწორე თქვი!

შოფერი. (შ ე ტ ე ვ ი თ). შენა შვილოსა, შენი თავი ნუ გგონია სხვაცა!..

ლევანა. მერე ხო ისევ იმ ჭროღა ვეტექიმს შეურიგდა. ისე გადაახდევინა იმ ციცარსა მეორე ქორწილი, რო თვითონ კაპიკიც არ გაუღია ქვეყანათაზე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი. ვინ გინდა სულო და გულო, იმ ქორწილში არ ჰყავდა დაპატიჟებული, ერთი კარგი, გამოჩინებული კაცი მეჯვარედ დაიყენა, სახელს არ ვიტყვი, თქვენც კარგა იცით, ვინა მყავს მხედველობაშია...

მსმენელებს. სსს, ჩუმად, გაგვიგებს!.

ლევანა. ტასას ი თავისი შვილი, კარგა მოჩიტული დახვდა ჭროღასთანა. ერთი კი მიეგლასუნა ხატაურივითა, მაგრამ ბავშვმა არ ინდომა იმისი არაფერი; აიბზუა, ახლოს არ გაიკარა. აბზუება ეგრე არ უნდაო, ტასამა და ერთ კვირაში ბავშვთა სახლში უკრა თავი, რაღა თქმა უნდა, ჭროღაც დაითანხმა ამ ამბავშია, აბა მარტო თითონ ვერ გაბედავდა... ის საბავშვო სახლი სხვა ადგილზე გადიყვანეს, სხვა ქალაქში, ბავშვი ვიღაცამ იშვილა და ჩაიყლაპა, დამრჩა ჭროღა ვეტექიმი და დარდით გასიებული. იტირა, ივაგლახა, თავი დაიავადმყოფა და ერთ წელიწადში გასჭიმა ქელეხი, ეგრე კი იყო ტასას ამბავი... ბოლოსაც ეს ჩვენი კავალერისტი სიმონა და...

ბოთე. ეხლა სიმონა ტკბება და ტკბებაა!..

კომბაინერი. შოთა რუსთაველის არ იყოს, როგორღაც რო აქ ნათქვამი. „სოფელო, სოფელო, შაირობა კარგიაო“, თუ როგორღაც არი...

შოფერი. სიმონას ხელშიც ერთი ხანობა კარგი შესახედი ქალი იყო ტასა.

ტრაქტორისტი. იყო, მა არ იყო?! ალერსში გართულ სიმონას უშვილობაზე არც კი უფიქრია, მერე რო ნახა, ოჯახიც დაკარგე და არც არაფერი გამოგვდისო, აბანოებზე აფრინა ცოლი. ერთხელ რო ქმარმა გაგზავნა, მეორედ უკვე ტასამ გაჰკრა ფეხი. გაეჩვია, ერთიდან ჩამოდიოდა და მეორეზე გარბოდა. დარჩა სიმონა ბუსავით ცარიელ სახლში...

კომბაინერი. მაშ, აუწყო პირი ჰა, ტასიკომა!..

ლევანა. ჰაიი, ჰაი!.. ფერუმარილს არც ადრე იკლებდა და რაც დრო გავიდა და ხანი მიემატა, სულ ფერებში გადაიპენტა.

პაუზა

შოფერი. (პ ა უ ზ ი ს შ ე მ დ ე გ). რა მაგის პასუხია, ლევანა და, „ვოლგის“ პასპორტი ჩავიგდე ხელთა და ნაწილები შენ უნდა გამომიჩარხო: მატორი, გლავნი ლისტი, დიფერები, აბლიცოვკა...

ლევანა. ერთი სიტყვით, ავტოქარხანად გინდა მიქციო ე ქანგიანი სამჭედლო-სანალბანდოი განა?! კარგი, აგრე იყოს.

ქალები წყაროსთან

ქალები წყაროსთან დგანან. ბოგირიდან კარგა მოშორებით მოჩხრიალებს ანკარა წყარო. ვედროები და კოკები ცალკე ჰორაობენ, მათი პატრონები — ცალკე. მაცნეს ხმა: „რა მომხდარა! რა მოხდარა! რა მომხდარა"! თვითონ მაცნე არ გამოჩენილა... რომელიღაც დედაკაცს ქმარი ეძახის. „გათბა წყალი, დედაკაცო, წამოიღე დროზე! აგრემც არა ხარ დროზე!".

პირველი ქალი. მოვდივარ, რა ნახე? მოვდივარ! (ქალმა თავშალი გაისწორა და, ვიდრე ხილაბანდის წვერს შემალავდა, ერთი თალიაც ჩაახვია). პირში მითხრა, არ დამიმალა, ბაგრატასთანა კაცი შინა მყოლოდა, ბარემ არამიშავდა, ბაზარზე წვრილი ხილის ზიდვას არ მოვუყვებოდიო. მაშ არა და ჩემი დავარდნილი სიმონაო, მაგის იმედით მტერი იყოსო!..

კაცის ხმა. გათბა, შე ალქანდევო, წყალი! რა დაგეცა?! რა ნახე?!

პირველი ქალი. მოვდივარ მეთქი, ადამიანო! რა დაუოკებელმა წყურვილმა შეგიპყრო, მაგ ვერგასანელებელმა! გამოსკდებოდი ხრაკიანითა ამ შუადღიპაპანაქებაზე და აზირ ეგა თქვა, რო! (ქალმა ვედროები წყაროს ნავში ჩაცალა და ახლად შეუდგა). ჩემ გუნებაზე მე შენ არ გადაგატარებ, სულაც რო მოკვეთილი ხელიკიბოლოსავით დაიხრუკო უწყლობითა, აი აგრე! (შეუთვალა ქალმა ქმარს და, ჯიბრზე კვლავ ჩააქცია ვედროები ნავში).

მეორე ქალი. (უზომო ცნობისმოყვარეობით). მართლა აგრე გითხრა ტასიკომა, ქა?

პირველი ქალი. ამ წყლად ვიქცე, დავიწვა და დავიხრუკო, თუ კი...

მესამე ქალი. კარგი, ადამიანო, გეჯერა, რას ამოითაქე?!

მეოთხე ქალი. გასწი ქა, კაცი გეძახის! იქნება რა მოსდის, გასწი!

პირველი ქალი. (წავა, წავა და კვლავ შემობრუნდება). კინაღამ დამავიწყდა, ის მუთაქები ულაგია ქვეშა, მაშინდელი გატენილი...

მეორე ქალი. (ძალით გაიყვანს პირველს, თან ეკითხება). მარტო თავითით, ბალიშქვეშ ედო მუთაქაი, თუ პლაშმოი, თავით ბოლომდინა?

პირველი ქალი. (ხელიდან დაუსხლტება მეორეს, წყაროსთან მოიჯრება). პლაშმოი, თავიდან ბოლომდე, როგორც ურემი გოგორებზედა, ისე!

როგორც იქნა, გაიყვანეს პირველი დედაკაცი. ორმა ქალმა ძალა-ძალით გაიყვანეს, „პლაშმოი!" — ჰყიოდა იგი. როგორც იქნა გასცდა საშიში ზონის საზღვარს პირველი ქალი და სახლისაკენ წათრაკუნდა. ერთბაშად შედგა, თავის სავსე ვედროს დაეწაფა და ლამის ამოაშრო, იმდენი დალია.

მეორე ქალი. (თვალს გააყოლებს პირველს). არა მგონია, რომ ტასა მაგასთან ლაპარაკის გუნებაზე ყოფილიყოს!

მესამე ქალი. არც მე მგონია. ჯერ ერთი, საიდან, როცა, ვინაიდგან, დილას მე თითონ, ჩემი ახალთახალი, ინგლისური, ჰრაჭუნა ბასანოშკებით შევიარე ქილიკაანთა. საქმე მოვიმიზეზე. ისე იყო ტასა დაბეჟილ-შეფომფილი, რო ცხვირის მეტი არა უჩანდა რა. სწორედ რომ მაგასთან გაბამდა ლიკლიკსა, ყბაახვეული და ნაცემი.

მეოთხე ქალი. მართლა იყავი, ქა? (ყური ცქვიტა საწყობის გამგის ცოლმა, რომელზედაც ამბობდნენ, ფერუმარილი გააქრო სოფლის მაღაზიაშიო. მან სავსე ვედროები ჩაცალა აუზში და ხელახლა შეუშვირა ჰურჰელი წყალს).

მესამე ქალი. ვიყავი, მაშ რა მრჯის, რო!..

მეოთხე ქალი. რაღა დროს ჩემი მოლზე გორიალი იყოვო ქა, რა თქვა? (არ ეშვება საწყობის გამგის ცოლი, თან სულ ტოკავს პასუხის მოლოდინში. კიდევ ჩაცალა ჰურჰული აუზში).

მესამე ქალი. ქმარიც თავს ადგა, ქა, მაგდენს რას გავუბედავდი, რო?! უხერხულიც იყო. (თქვა და ჰურჰელი ჩააცალა აუზში).

მეორე ქალი. (ერთბაშად აღელდება, იყვირებს). თავს ადგა განა?! კომპრესებს უცვლიდა, ეგ უკეთური განა?! (მანაც ჩაცალა ჰურჰელი).

მესამე ქალი. კომპრესებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ისე კი დაჰგურგურებდა, სუ ძალაზე სჩრიდა ხალიფაფასა, მააშა!

მეოთხე ქალი. სულ ემაგისთანა უკუღმართებს როგორა აქვთ ბედი. ეგეთ უენო და საწყალ ქმრებს რომ ჩაიგდებენ ხოლმე და ჰურჰლი ჩალასავითა საითაც ისეპრიანებათ, იქით გაუსვამენ და გამოუსვამენ, გაუსვაბენ და გამოუსვამენ?! (დიდი კოპწიაობითა და მანჭვით თქვა მან სათქმელი).

მეხუთე ქალი. (ის-ისარის შემოემატება წყაროსთან მდგარ ქალთა კრებას). ნეტა, თვითონ ბაგრატა რას ამბობს, ეგ მუდრეგი, ეგა! გაგონილა განა ეგეთი განადირება, რო?!... ბიძაშვილი ვარ ტასასი, ყველამ იცით და რაღაზე დავფარო, უცხო რომ ვიყო, რა მიშავდა, ესეთ სირცხვილ-პაზორში არ ამოვჩნდებოდი; ესე არ გავიხეთქავდი გულსა!.. ერთი მითხარით, განსაჯეთ, ბაგრატას მოსაპარავად ხომ არ იყო ი ქალი ღობეზე გადასული, თავს რო დაესხა ის მუდრეგი, ისა და ეგეთი უნამუსობა ჩასდინა და დაასხა, რომა, დილას აქეთია წყაროზე ჩამოსვლა მინდა, წყუურვილი გვკლავს მეცა და ჩემ ქმარსაცა, შვილებზე რო აღარაფერი ვთქვა, ერთი უმაღლესში აკი მყავს მოწყობილი, თქვენ კარგად იცით, და მეორესაც სამედიცინო უნდა, ყველაფერს გავყიდით და აუსრულებთ. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ უწყლობით ვიხოცებოდით,

მაგრამ ვითმენდით. სირცხვილით ვიწვოდი და ვიწვი, ქუჩაში როგორ გავიდე, ხალხს როგორ ვერჩვენო-მეთქი?! არ მოვდიოდი. მოვითმენ, ჩემ ქვეყით არი, ჩემ ზევით ხო არა, რო?! ვერა ვბედავდი! მე ოხერი! (ბოლოს იყვირა).

მეორე ქალი. (აწუნარებს). დამშვიდდი, ქა, თავ გაუფრთხილდი, ვერა ხედავ, რო ინფრაქტი ინფრაქტზე ხდება, მოსდით და მოსდით.

მეხუთე ქალი. კარდიონივრულში გასინჯული ვარ. მე ემაგისთანებისა აღარ მეშინია, გასინჯული ვარ!..

მესამე ქალი. (ჩაცლის ვედროს და კვლავ შეუდგამს). თითონ ბაგრატა რო არსადა ჩანს, გატვრენილი როა ეგ არდასაცალებელი, ეგა. სპილომ რო თაგვს შეუყო სოროში, ხორთუმის წვერი, გავგრილდები, თანაც ვერც მონადირე შემნიშნავსო, მაგასაც ეგრე მოსდის!..

მეოთხე ქალი. სიბერემდინ სიქაჩლეო, ისეა სწორედ. (მეხუთე ქალს მიმართა). ვერა და ვერ იქნა, ვერ დაშოშმინდა, ი, შენი გარებიძაშვილი ტასიკოი და ამ ხეობის ქალებს ერთიანად გაგვიტეხა სახელი, პირდაპირ მოსათითებელი გაგვხადა!..

მეორე ქალი. რას იზამს, კაცმოყვარე ქალია და ამან რა ქნას? (ყასიდად გამოესარჩლაიგი ტასას ბიძაშვილს და ვედრო ჩაცალა).

მეხუთე ქალი. ეეჰ, ზოგისა ბამბა ჩხრიალებს და ზოგისა კი კაკალიც ვერა, ჩემო ხუციკო. (ეს უთხრა და თანაც ისეთი თვალით გადაჩედა ტასას ბიძაშვილმა საწყობის გამგის ცოლს, რომ ეს უკანასკნელი ერთბაშად წამოენთო, აილეწა).

მეოთხე ქალი. (ამპარტავნად). ეგება გამიმარტივო ხათქვამი, ფეფელო, უფრო დამიწვრილმანო, რომ უფრო გასაგები შემექმნეს!

მეოთხე ქალი. (მიაყურა). სუ, ქა, დირექტორი! (დაიძახა საწყობის გაშგის ცოლმა, სავსე ვედროები წამოკრიფა და ისეთი გოგშანითშეუყვა შინისაკენ მიმავალ აღმართს, თითქოს ეგ არის და ოჯახის ქალობაში ტოლს ვერავინ დაშიდებსო. დანარჩენებმა დაცინვით გააყოლეს თვალი).

მეხუთე ქალი. ახლა მეცა მკითხოს, რა ქალწულიც ჩაბარდა ი ყურპარტყუნა ქმარსა! არ ვიცოდე მაინცა, რა ხერხები აღარ იხმარა გატეხილი კოკის გასამთელებლათა, დიახ?! ტასა და ტასა! ტასა და ტასა! არ ამოიჭამა?! თავის გომბიოს მიმიხედოს მაგანა, სარეცხივით ერთთავად ღობეებზე რო ჰფენია. არ ვიცოდე მაინცა?! ტასა და ტასა! თვეში ერთხელ ქალაქში რო ისტუმრებენ მუცლიმოსაშლელადა. ეგეც შენა, ტასა და ტასა! არ ვიცით, განა?!

მესამე ქალი. ფეფელო, დირექტორი მოდის მეთქი! (დაიძახა მეორე ქალმა, თავისი კოკა როგორც იქნა გამოარჩია წყაროსთან მიყრილ-მოყრილ წყლის ჰურჰელში, სასწრაფოდ შეავსო, მხარზე შეიდგა და წავიდა).

დანარჩენებმაც ააჩხრიალეს თუნუქისა თუ ემალის ჭურჭელი და, ერთმანეთის მიმდევრობით რომ გამწკრივდნენ, ისეთი გრძელი რიგი გამოუვიდათ, რომ ბოლო თუ არ გადმოეტანათ გზიდან, ნამდვილად გაუჭირდებოდა დირექტორს გაელა. ყველას ეგონა, რომ დირექტორი მოშხდარ შემთხვევას გამოიძიებდა. გამოჰკითხავდა. ან, ყოველ შემთხვევაში, მკაცრი გამომეტყველებით ჩაუვლიდა ჯგუფ-ჯგუფად შეკუჩებულ თანასოფლელებს, მაგრამ დირექტორმა ერთი წაიცეკცა კიდეც ვედროების რიტმულ ჩხარა-ჩხურზე.

დირექტორი. რა არი? წყარო ხო არ დაწყდა, რას დაგუბებულხართ?!

ხალხი შეიშმუშნა. ზოგმა ფეხიც აიდგა, თუმცა შორს არსად წასულა, ცოტაზე წაიტორღიალა: მე არაფერი მკითხოს დირექტორმაო, მოერიდნენ.

(*ომახიანად*). ხვალ ფოცხვაზე გამოხვალთ, ქალებო, უდანაკარგოდ უნდა ავიღოთ! მარცვლეულს მოვრჩებით და მერე, ჰარხლობამდე კარგა მეყოლეთ. ბრიგადირებიც გაგაფრთხილებენ დილაზე და თქვენ იცით. ერთი ანდაზისა არ იყოს, როგორღაც როა ნათქვამი, ისე არ მოგვიდეთ! (*ესა თქვა დირექტორმა, პატარა გოგონას წყლის წასაღებად ათრეული ჩაიდნის თავსახური მოუხადა, რამდენჯერმე შეავსო და გამოცალა წყაროს წყალი, თან სულ იფ-იფს იძახდა*). იფ-იფ! მე მოვკვდე, თუ ბორჯომის წყალს არ მერჩივნოს! (*ხუფი გამოავლო და კვლავ ჩაიდანს დაახურა*).

მეექვსე ქალი. რა ბრძანეთ, ნიკლიჩ?

დირექტორი. ბორჯომის წყალს აჯობებს ჩვენი წყაროს წყალი-მეთქი.

მეოთხე ქალი. ჰაი, ჰაი! მაშ არა და გაღმიანთ წყაროი, ბერავს და ბერავს.

მეხუთე ქალი. მერე და როგორა ბერავს?.. ბერავს და ბერავს!..

დირექტორი მიდის. მეხუთე ქალიც აედევნება დირექტორს შორიახლოს. მესამე ქალი კვლავ მივა წყაროსთან. თვალს გააყოლებს დირექტორსა და მეხუთე ქალს.

მეექვსე ქალი. (*ზიზღით*). ამ ნაბუშარს დამიხედეთ, რა დორბლები აფრქვია! მეც რო მაგაზე უწინ წავსულიყავი, მეც ეგეთ ლაფს დამაფრქვევდა თავზედა!

მესამე ქალი. ეგრე განა! ეგ უჯიშო, ეგა! ვერ აედევნა დირექტორსა? გახედეთ ერთი, როგორ მიაქნ-მიაკურტუმებს!.. ჩაობებული ეგა! ტასას აკადემია აბა მაგასა აქ დამთავრებული, თუ აქ! ნათესავია, ბიძაშვილი, უსწავლელს ხო არ დატოვებდა?!

მეოთხე ქალი. ბარემ ბავშვობიდან ააღორძინა ტასამა ეგ გულდამწვარი, ეგა! ვიცით!..

პირველი ქალი. არშიებიანი მოსულა, ირგოსლავიისა...

მესამე ქალი. დაუტაცნიათ, დაუტაცნიათ!..

მეექვსე ქალი. ჩამოსულა, უნახია, დაუკრავს ფეხი და ისევ წასულა...

მეოთხე ქალი. სუ შინაურებზე გაუციათ, უკანიდანა...

მეხუთე ქალი. გაუღია და ისევ დაუხურია, ანაღვლე!..

პირველი ქალი. უი, როდინდელი, როდინდელი!..

მესამე ქალი. მართლა, რო?...

მეშვიდე ქალი. მაშ არა და...

მეცხრე ქალი. მანქანა გადაგვიბრუნდა და ჩვენც ძლივს დავაღწიეთ თავი, ხილს ვიღა ჩიოდაო?!

მეშვიდე ქალი. აზღვევინე?

მესამე ქალი. შენზე მეტი რუსულიც ვიცი და ნემეცურიცა-მეთქი.

მეათე ქალი. თეთრი დათვის ბელი ჩამოუყვანია კილონახევარ ბროკკათა.

მეშვიდე ქალი. გავტიხრავ და გავალ, თუ კი ეგრეა!..

მეცხრე ქალი. წიწმატი ცხარეაო, უნიფხოსი იქნებაო...

მეექვსე ქალი. ირგოსლავიისა, ჰო, პერანგები ცალკე ეწყო, ნიფხვები ცალკე.

მეშვიდე ქალი. უი, დედიშობილა ყოფილა...

მეხუთე ქალი. მაშ არა და... წავედი (მ ი დ ი ს).

მერვე ქალი. ერთი პური მასესხეო. ასე ჰგონია, მეხალისება. მისცემ და ხაბაზს შეგარქმევს. მე ვერ ჩავეყუდებიო. ჩაგაყუდებს-მეთქი, თუ გაგიჭირდა, მა რას იზამ?!

მესამე ქალი. ცოტა დააგრძელე და აღარ გამოგიჩნდება-მეთქი. განა დაგიჯერებს, უფრო დავიმოკლეფო.

მეათე ქალი. ჯიბრი მზითვად მოჰყვა, თუ როგორა?!

მესამე ქალი. ისემც გიქნია, წელქვეით სულ შიშველად გივლია-მეთქი...

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

სიყვარული ორღობეში

დაბინდდა. ინსტიტუტში ვერ მოხვედრილი, გათხოვებამოწოლილი ქალიშვილები და ვაჟები მთვარით განათებულ ორღობეებში იმ საღამოს უფრო მეტ თავისუფლებას გრძნობდნენ.

პირველი ბიჭი. (ბ უ რ თ ს უ ტ ყ ა პ უ ნ ე ბ ს). პელე მისულა გარინჩასთან და უთქვამს ზაგალო, ზაგალოვო!..

მეორე ბიჭი. (მ ე კ ა რ ე ო ბ ს). მართლა?! ერთიც დამირტყი, რა!

ქალიშვილები სამაიასავით დგანან ხესთან და უგემურად შესცქერიან მობურთავე ბიჭებს.

მესამე ბიჭი. გარინჩა რო მისულა პელესთანა და უთქვამს: ესებიო, ესებიოვო!..

პირველი ბიჭი. ეგ კიდე არაფერი, რაპანა რო მისულა ფეოლასთან და უთქვამს: ფეოლა, პარანა და კრაცნიცკიო!

პირველი გოგო. იცოდეთ, მაგ ლაპარაკს თუ არ დაეხსნებით, დავკრავთ ფეხსა და წავალთ!

ბიჭები უყურადღებოდ ტოვებენ ქალიშვილების განცხადებას.

პირველი ბიჭი. მაროზოვი დაუნიშნიათ.

მეორე ბიჭი. სადა, ხოკეიში?

პირველი ბიჭი. არა, ფეხბურთში.

მეორე ბიჭი. მე ვთქვი თუ ხოკეიში. გვარიც ისეთი აქ, რო სულ ხოკეიში მგონია.

მეორე გოგო. გეყოთ რა, ბიჭებო, დავსუსტდით!

მესამე ბიჭი. თქვენ რო ჭაბუკიანზე ლაპარაკობთ, გიშლით რო?

მესამე გოგო. მაშ არა და, რარანა და პარანაო...

პირველი ბიჭი. (გოგოებს, აგდებით). გამოცდებს მაინც ვერ ჩააბრით...

პირველი გოგო. (ამხანაგებს). ვერ ჩავაბრით, გოგოებო?

გოგოები. ჩავაბრით, ჩავაბრით!..

პირველი გოგო. პარანა და პარანაო...

მეორე გოგო. რი ქარანა, რა პარანა?! (ცხარედ).

მესამე გოგო. რა პარანა, რი პარანა?!

მაცნეს ხმა შორიდან: „რა მომხდარა!“, „რა მომხდარა!“... ხმა მოახლოვდება, შემდეგ კვლავ დაშორდება. როგორც კი მაცნეს ხმა მიწყდა, ბიჭებმა გოგოები დაითითოვეს.

პირველი ბიჭი. (პირველ გოგოს კოცნის). გიყვარვარ, თუ არა, მითხარი?!

პირველი გოგო. ჯერ ჩამკოცნე და ეხლა მეკითხები?

პირველი ბიჭი. ეგრეც ხო ხდება ხოლმე, რო კოცნიან და მაინც არ უყვართ...

პირველი გოგო. ხდება, მაგრამ ეხლა ეგრე არ არის, ნამდვილად მიყვარხარ!

პირველი ბიჭი. ჩემმა კოცნამ ხო დაგარწმუნა, რო მიყვარხარ?

პირველი გოგო. დამარწმუნა, მაშა. შენ ისეთი ბიჭი არა ხარ, რო ტყუილად მაკოცო.

პირველი ბიჭი. (ეჭვით). სხვანაირებისა შენ რა იცი?

პირველი გოგო. გამიგონია, ისე, მაკოცე!

პირველი ბიჭი. (კოცნის). ხვალ მოგიტაცებ.

პირველი გოგო. კარგი, მომიტაცე. სად დაგელოდო?

პირველი ბიჭი. ავტობუსის სტაიანკაზე, ხოლოთ, ზედ სტაიანკაზე ნუ გაჩერდები, ბუჩქს ამოეფარე.

პირველი გოგო. რი ბუჩქსა, მაყვლი ბუჩქსა?

პირველი ბიჭი. ჰო, მაყვლი ბუჩქსა, ხოლოთ, ძალიან შიგ არ ჩაიმალო, ეკლიანია, ხო იცი, დაგაგაზავს.

პირველი გოგო. ვიცი, მა არ ვიცი.

პირველი ბიჭი. (ეჭვით). საიდან იცი, ჰა?

პირველი გოგო. რა ეჭვიანი ხარ!.. ბუჩქს მოვეფარები, თან მაყვალსაც შევჭამ. შენც მოგიკრიფო მაყვალი?

პირველი ბიჭი. მა, მარტო შენ უნდა ჭამო?..

პირველი გოგო. რა წამდაუწუმა ხუობ, პადაზრენიაში მაგდებ, განა? (მოიღუშა).

პირველი ბიჭი. (ამშვიდებს, კოცნის). არა, მე არ მოგიკვდე.

გოგოც მოლბა და გადიან აღერსით. ახლა მეორე წყვილი კოცნის ერთმანეთს...

მეორე გოგო. მერე რა ვქნათ, რითი ვიცხოვროთ?

მეორე ბიჭი. (ლიმილით). ერთმანეთის სიყვარული ვჭამოთ.

მეორე გოგო. თაფლს რო მოლოკავ, მერე?

მეორე ბიჭი. (არხეინად). მერე ფიჭაზე გადავალთ.

მეორე გოგო. ეგენებიც რო გამოგველევა?

მეორე ბიჭი. ცას ხო არ შევაბერდებით, რა, მაგი დედაცა!

მეორე გოგო. მა ორ თვეში ხო არ ამოვწყდებით?

მეორე ბიჭი. ვიშიმშილოთ სულაცა.

მეორე გოგო. ჰ!

მეორე ბიჭი. არა და სულაც გავიქცეთ აქედანა.

მეორე გოგო. (მეტი სინაზით). იქნებ არ გავიქცეთ და აქვე, მეურნეობაში დავრჩეთ?

მეორე ბიჭი. ვირი კი არა ვარ განა?! სადმე წავალთ, რამე ხელობაზე ვიმუშავებთ, დარდი ნუ გაქ.

მეორე გოგო. (გახარებული). რა ხელობა იცი?

მეორე ბიჭი. ჯერ არაფერი, მაგრამ ადგილზე რო ჩავალთ, იქ ვისწავლი.

მეორე გოგო. ჯარში რო წაგიყვანონ, მერე მე რა ვქნა?

მეორე ბიჭი. მე რა ვიცი, მე.... შარშან ასტროჩკა მომცეს, იქნებ წრეულსაც ასტროჩკა მოვაცემინო.

მეორე გოგო. მაშ ხვალ მომიტაცებ?

მეორე ბიჭი. ჰო, ხვალ უეჭველად.

მეორე გოგო. სად დაგელოდო?

მეორე ბიჭი. სტაიანკასთან, მაყვლი ბუჩქები როა.

მეორე გოგო. ოჰ, იმ ბარდებში რაღა ვიკაწრიალო?! ზედ სტაიანკაზე ვიდგები.

მეორე ბიჭი. არა-მეთქი, ბუჩქებს ამოეფარე!

მეორე გოგო. კარგი, თან მაყვალსაც შევჭამ, შენც მოგიკრეფავ, თუ გინდა

მეორე ბიჭი. აბა, ეხლა რო ეგრე მეუბნები, მერე და მერე რაღას იზამ?! მარტო შენ უნდა ჭამო მაყვლები?

მეორე გოგო. რას ამბობ, შხამად შემერგოს, თუ მარტო ვჭამო!

კოცნის. გადიან.

მესამე ბიჭი და მესამე გოგო. კოცნიან.

მესამე გოგო. ფეხმძიმეთა ვარ, როლანდი...

მესამე ბიჭი. მე რა ვქნა რო? ეხლა თქვენებს გამოართვი თუმანი.

მესამე გოგო. (მუქარით). იცოდე, გავაჩენ და თავს მოგჭრი!

მესამე ბიჭი. (მუქარითვე). თავის მოჭრები არ იყოს, თორე ისე მოგჭრი, რო ვერც ვერავინ დაადგინოს, გება თუ არა გოგრა!

მესამე გოგო. შეკრული ხარ, განა? დამაცა!

მესამე ბიჭი. ნააბაროტ, დავკრავ ფეხსა და წავალ, ღლაპი ხელში შეგრჩება.

მესამე გოგო. (ცრემლმორევით). ეჰ, რა იმედი მქონდა, რო სპეტაკი სიყვარული გვექნებოდა?!

მესამე ბიჭი. (მოლბა). განა გაკლებ რო სიყვარულსა?

მესამე გოგო. შენა სიყვარული ცალმხრივად გესმის. (მუცელზე დაიხედავს).

მესამე ბიჭი. კარგი, ჰო, დაშოშმინდი, მოგიტაცებ, რაც არი, არი!

მესამე გოგო. (გამხიარულდება). სად მოვიდე?

მესამე ბიჭი. მაყვლი ბუჩქებთან დამელოდე.

მესამე გოგო. იცოდე, როლანდი, იმდღევანდელივით ტყუილად არ მაღლოდინო!

მესამე ბიჭი. არა-მეთქი, მაყვლი ბუჩქებთან დამელოდე!

მესამე გოგო. იმ დღესაც გამოვძეხი მაყვლი ჭამითა და შენ კი არ მოხვედი_განა მაყვალი მენატრება რო, ჩვენ საკარმიდამოშიაც ბევრია...

მესამე ბიჭი. მოვალ-მეთქი, მეტიმეტად ნუღარ გამიტრიზავე!..

კოცნის. მიდიან.

სურათი მეექვსე

დაზარალებულთან

ტასას სახლი. ირგელივ, ყველგან, სადაც კი დაიდება თუ დაიკიდება, მუთაქებია. თვითონ ტასაც მუთაქებზე ასვენია. ტასას ქმარი სიმონა ხალიფაჭას აჭმევს ცოლს. ტასა, თავიდან ბოლომდე თეთრი მუშამბით არის შეხვეულ-შეფუთული. დიდ, ოეორ მუთაქას ჰგავს. მხოლოდ პირიღა მოუჩანს. სოფლის ერთი მთავარი ჰორიკანა დედაკაცი ხან ერთ მუთაქაზე გადაჯდება, ხანაც სხვაზე და ამრიგად უახლოვდება ტასას. თან მუთაქებს ჩქმეტს, სინჯავს.

ჰორიკანა. უჩივლე, ტასიკო, და ფულს მოუგებ, განა ცოტა აოხრია?! ჯერ მარტო, ომის დროს რაც მაგან პასილკები გზანა და გზანა! სუ საპონგადაკრული ოქროს საათები გზანა. უჩივლე, გესმის, ტასა?!

სიმონა. (თავისთვის). ვეუბნებოდი და ვეუბნებოდი, ვეუბნებოდი და ვეუბნებოდი.

ტასა. (თავისთვის). გორიჯვარი, მენჯი, ახტალა!..

ჰორიკანა. რაებს ახტალაობ, გამიგონე, ქალო! დავარდნილი ლადას ამბავი მაინც აღარ გახსოვს, თავი ნებით რო ჩაუგორდა ტაქსაბედას ბორბლებშია. სასამართლო სასამართლოზე ჩაატარებინა. წლების განმავლობაში სობესის პენსიასავით მოჰქონდა შოფერს ფული ლადათანა, ოღონდ პრავას ნუ დამაკარგინებ და თანხას არ დაგაკლებო...

ტასა. ახტა-ლა-ა-ა, გორი-ჯვარი-ი-ი, მენჯი, ახტაა-ლა, და გო-რი-ჯვაა-რი, („ერთხელ მიყვარდას" მელოდიაზე ღიღინებს ტასა).

ჰორიკანა. (სიმონას). რა მინდაო, რას ამბობს?

სიმონა. აი, უშვილობის აბანოებზე რო დამიდიოდა, იმას თუ იგონებს.

ჰორიკანა. უი, როდინდელი, ქა, როდინდელი? (თქვა ჰორიკანამ და თან მუთაქები მოჩქმიტა).

ტასა. მენჯი-გორიჯვარი! მენჯი-გორიჯვარი!..

ჰორიკანა. მაინც როგორ იყო, ჰა, სიმონა, ნეუქელია აგრე გაიმეტა ქალი, იმ ოხერმა ბაგრატამა, ჰა?!

სიმონა. ეჰ, სუ მაგას ვეჩიჩინებოდი, ნუ ადიხარ, ქალო, და ნუ ადიხარ-მეთქი, მაგრამა, ყოველდღე ადიოდა. არც იმ ჩვენი ცოდვით სავსე, ჭრელმა ქათამმა მოიშალა უადგილო ადგილზე კვერცხის დება და აღარც ეს ჩემის ცოდვით სავსე შეეშვა სხვენზე აჩაჩხვასა კვერცხის ჩამოსატანათა, არა და არაო, კვერცხი ქათამია, ქათამი კი — კვერცხიო...

ჰორიკანა. ეგ შესავალია, მერე, მერე?!

სიმონა. შესავალიც ეგ არი და გამოსავალიცა. რაღა მერე, აგერა, რა დღეში ჩაიგდო თავი. რო ადიოდა, მაშინა კიბე ჩაუტყდა და ჩამოვარდა. განა ძიელ მაღლიდან ჩამოვარდა, მაგრამა ხო ხედავ რა დღეშია, რო პირის ნასერეტი ველარ მიპოვნია, რო ხალიფაფა ვაჭამო.

ჰორიკანა. ბაგრატა ვინა გდია, უნდა უჩივლო, რო ერთი ქათამი კი არა და ბარე ასებსაც ააძრობთ. მითქვია და არ დავიხევ.

სიმონა. ვის უნდა ვუჩივლო, ქალო?!

ჰორიკანა. როგორ თუ ვისა?! (გაწითლდა). მომე ეგ ხალიფაფა, მე შევაჭმევ. შენ გადი, ეზო-ყარს მიხედე! (მათლაფას გამოართმევს სიმონას, ავადმყოფს მიუჩოჩდება და აჭმევს).

სიმონა. ძია, ძია, ძიბ-ძიბ! (საკენკის ჩხარუნით გადის).

ტასა. ფაიტონი, ავტობუზი. მატარებელიი!.. ყმაწვილი კაცი!..

ჰორიკანა. აღუ, ნეკზე არ მიკბინო!.. ყური დამიგდე, ტასიკო: შენ რო ამ შენზე უბედურ საქმეზე ბაგრატას არ უჩივლო, იცოდე, არ ვიცით, რას გი-

ზამთ!.. სულაც, ავდგებით და ბაგრატას: ვაჩიველებინებთ შენ წინააღმდეგ, იცოდე! (თან თითს უქნევს, ემუქრება).

ტასა. ერთხელ მეც ვიყა ლამაზი ქალი და მე მიყვარდა ლამაზი კაცი... (თავისთვის განაგრძობს ღიღინს).

ჭორიკანა. თან ჭამე, თანაც პასუხი გამეც, მისამარასი, თორე!.. (ერთ კოვზს ტასას ჩაუდებს, მეორეს თვითონ მიირთმევს).

ტასა. შინდისიი-ვარიანიი-ბრეთის გადასახვევიიი-აშენდა თუ არ აშენდა, ჩემი ჯავრიც ეგ არიი, გორიჯვარიც ზედ არიი...

ჭორიკანა. თან ჭამე, თან ჭამე, თან ჭამე! (იყრის და იყრის პირში).

ტასა. მეფაიტონე შალიკოს რამდენჯერ მუქთად ჩავუყვანივარ, შენ ფულს როგორ გამოგართმევ, ქალთამზეოო.

ჭორიკანა. მერე, ტასიკო, მერე? (ჭამს და ჭამს).

ტასა. სტაკანჩიკი გრანიონიე, უპალი სა სტალა. (გატაცებით).

ჭორიკანა. ჰაი დედასა, შენი სიმღერები, ტასიკოო! იმღერე, გენაცვა! კარგი ნიშანია, იმღერე! შენ შენი, ჩვენ-ჩვენიი!..

ტასა. უპაალი ი'რაზბილისია, რაზბი-ლას ჟიზნ მაიაა.

სურათი მეშვიდე

მეურნეობის კანტორა, დირექტორის კაბინეტი. კედელზე აყუდებული გრძელი ნარდი.

დირექტორი. (კმაყოფილი, ხელების ფშვნეტით). ესეც-ესეე, მარცვლეულის გეგმები გადაჭარბებით შევასრულეეთ!

პირველი აგრონომი. დღე და ღამე გასწორებული გექონდა, ნიკლიჩ, ძალიან კი შევეცადეთ!..

დირექტორი. რა ქენით, ინიციატორები გამოავლინეთ თუ ჯერ ვერა?

ქსენია. მწველავების სახით, კანდიდატები შერჩეული მყავს...

დირექტორი. (მხარზე ხელს დაადებს). ბარაქალა, ბარაქალა! ნუღარც თქვენ დამიყოვნებთ. (აგრონომებს მიმართავს).

პირველი აგრონომი. გამოვავლენთ, ნიკლიჩ, გამოვავლენთ, თითოროლა უკვე ჩანიშნული მყავს.

დირექტორი. აბა, თქვენ იცით, ვადაზე ადრე, იცოდეთ!..

პირველი აგრონომი. როგორ გეკადრებათ, ნიკლიჩ, გასაგებია. (ყველანი იჯინჭრებიან, წასვლა უნდათ, მაგრამ ვერ გაუბედავთ).

დირექტორი. (ღიმილით). აი, შაში-იაქით კარი რო აღებული გაქ, დუშაში გირჩევნიათ თუ დუბეში? (ნარდს მიუახლოვდება).

პირველი აგრონომი. ჩვენ უფრო დაბლობებში შეგვეკითხეთ, ნიკლიჩ, მაგ სიმაღლეზე გაგვიჭირდება. (დირექტორი ნარდს ერთი მხრიდან ასწევს, აგრონომები მეორე ბოლოდან შეუდგებიან).

ქსენია. მე ქალი ვარ, ნიკლიჩ, თანაც შინ სასწრაფო საქმეები მაქვს, თუ შეიძლება დაგტოვებთ.

დირექტორი. რას იტყვით, გავუშვათ? უქალოდ არ მოვიწყენთ?

პირველი აგრონომი. რა თქმა უნდა, ქალთა საზოგადოებაში ყოფნა უმჯობესია, გართობასაც მეტი აზრი აქ, მაგრამ...

დირექტორი. კარგი, წადი ქსენია. (აგრონომს). შენ მიდი, კარი ჩაკეტე და გასაღები უბიჯიბეში ჩამიდე, თორე თქვენც გამეპარებით.

პირველი აგრონომი. როგორ გეკადრებათ, ნიკლიჩ! (ქსენიას მიაცილებს კარამდე).

დირექტორი. (ქსენიას). ქსენია, მაინც მიდიხარ და, შენ ერთი ეს მითხარი, გაზომზომებული ოჯახი და კუტი ქმარი გირჩევნია თუ კარგი, შემართული ვაჟკაცი ქმარი და ისლიანი ქოხი?

ქსენია. (მორცხვად). რა თქმა უნდა, ნიკლიჩ, ქოხი. სიმდიდრისა და ოქროულის მოტრფიალე არც მშობლები მყავს და... ნახვამდის. (ქსენია გადის).

დირექტორი. (კამათლებს მოიმარჯვებს). მოიფიქრეთ რამე, თქვე ოჯახქორებო, ეგ გოგო ეგრე ობლად ნუ დამიდის, თორე, გეფიცებით, ადგილკომზე დავსვამ თქვენს საკითხსა. (კამათლებს აჰყრის). შაშვი ბნელში! (დაიძახებს და გადასვამს).

პირველი აგრონომი. დუიაქო, როგორ გაქო. (თამაშობს). დღეს შაბათია, აბანოში ზიმზიმოვობა იქნება.

დირექტორი. (გააგორებს). დიდუბეში შაშვი ვეჯამეე, ავჭალაში ჩიტებიო!

მეორე აგრონომი. (მეორე ფრთა მას აბარია. აგორებს). ვერა დჯ ვერ მომდის თქვენთან ხელი, ნიკლიჩ. (ქვას გადასვამს). სე-იაქი.

დირექტორი. რო არც სხვასთან უქნიხართ, დორ ჩარი! ადგილები შეიცვალეთ, ეგებ ტვინშიაც რამე გადაგიადგილდეთ, ცვლილებები მოხდეს.

პირველი აგრონომი. (შემკრთალი). რათა ნიკლიჩ? (გააგორებს). სე-ბა-დუ-სევდა-დუ! ვაჰ მე, ეს რა მომდის, კაცო!

დირექტორი. ჯერამც არ მოგსვლია! დუშეშ! (თამაშობს). ისე უსუსურათა ჰყრი კამათელსა, რო ან ეგ როგორ მოგდის!..

მეორე აგრონომი. (კამათლები უცახცახებს ხელში). თქვენი ბედი მომცა, ნიკლიჩ, და...

დირექტორი. მომიცია, მიდი, ჰყარე! (რიჩით).

მეორე აგრონომი. (აჰყრის კამათლებს). დუშეშიი! დუშეშიი! დუშეში!

დირექტორი. (პირველ აგრონომს). მიდი შენცა!

პირველი აგრონომი. (გახარებული). მეცა, ნიკლიჩ? მეცა, ნიკლიჩ?! (აჰყრის). დუშაშიი! დუშაშიი! დუშაშიი! (თამაშობს გახარებული).

დირექტორი. (აჰყრის). დორჩარი! (თამაშობს).

მეორე აგრონომი. კიდე, ნიკლიჩ? (ეკითხება, თან თვალები უციმციმებს).

დირექტორი. (ცოტას შეყოვნდება). მიდი, მიდი! ოღონდ კი და...

მეორე აგრონომი. დუბეშიი! დუბეშიი! დუბეშიი! (ლამის გადაირიოს, ისე ყვირის და თამაშობს).

დირექტორი. (აჰყრის). არც ბეშ-დორთია ურიგო! (თამაშობს).

პირველი აგრონომი. (აიტაცებს კამათლებს). კიდე, ნიკლიჩ?! კიდე, ჰა?!

დირექტორი. ჰი-ჰი-ჰი! თქვენა, შვილოსა, ერთი ბაღლინჯოსი არ იყოს, უკაცრაულ პასუხია და, კარგი, მიდი!

პირველი აგრონომი. დუშაშიი! დუშაშიი, დიდუბეშიი შაშვი ეჭამე, ალაზანზე...

დირექტორი. (მწყრალად). აბა, აბა! მეტისმეტი — რეტის რეტიო, ხო გაგიგონიათ! (კამათლებს დააყოვნებს ხელში). მართლა, იმ ამბავმა როგორ ჩაიარა, წანახედი გადუხადა ბაგრატასა ტასამა? (გააგორებს, კმაყოფილების ღიმილი დაეუფლა კვლავ).

მეორე აგრონომი. სება-დუ, სწორე გითხრათ, არაფერი გამიგია მაგ ამბისა.

დირექტორი. არც ეგრე ვარგა, ყურადღებით უნდა იყოთ, საქმესთან ერთად ხალხიც გაბარიათ, ნუ დაივიწყებთ! დიდუბეში შაშვი ეჭამე, ალაზანზე ხოხბებიო, ჭიორაზე — კალმახები, სარაბულში — ციკნებიო! (კარგა გულიანად ჩაახვია და ჩაახვია).

სურათი მერვე

ავტობუსის გაჩერება

სიმღერა მეორდება, ფარდა იხურება. სიმღერის ხმა ავტობუსის გაჩერებაზეც კარგა მკაფიოდ ისმის. გაჩერებასთან ქსენია დგას, ჩანს, ამაოდ დაშვრა ავტობუსის ლოდინში. შემოდიან პირველი და მეორე აგრონომები.

პირველი აგრონომი. ისევ ისლიანი ქოხი არა, ქსენიუშა?!

მეორე აგრონომი. (გაუბედავი სიბრაზით). აღბულაღში — აღლიბუღლი, დაღბულაღში — დაღლიბუღლი! საათში რამდენს გადის ადამიანი, ჰა?!

ქსენია. მგონი, ხუთ კილომეტრს. წააგებთ?

პირველი აგრონომი (წვრილი ხმით). ჰო!

ქსენია. ავტობუსის საკითხის მოგვარებაზე ხომ არაფერი გითქვამთ?

მეორე აგრონომი. აღბულაღში — აღლიბუღლი, დაღბულაღში — დაღლი-

ბუღლიიიი! აზარტში ვიყავით, ვერაფერი გავუბედეთ. (ცეკვავს ტემპში).

ქსენია. ყველამ წააგეთ?

პირველი აგრონომი. იმაზეც ჩვენ გვისაყვედურა, ბაგრატასა და ტასიკოს სიყვარულის გაფურჩქვნაში რატო ხელი არ შეუწყეთო.

მეორე აგრონომი. მე რაში უნდა ვაგო პასუხი, ტასა ჩემს ზონაში არ შედის.

ქსენია. ბაგრატა ხომ შედის შენს ზონაში?

მეორე აგრონომი. ბაგრატასთანა მშრომელი ნეტა ბევრი მყავდეს, თავაუღებელია.

პირველი აგრონომი. ახლა იმის ბიჭი!.. გასაოცარი ალღო აქვთ მიწისა. არსად არ უსწავლიათ და ამდენი ცოდნა! იგიგაცია გინდა, რთული შეწამვლები, თუ პლანტაჟი, თუ... პირდაპირ მინდიაა.

ქსენია. ჩუ! რაღაც ხმები მესმის! ჩვენი მანქანის თუხთუხსა ჰგავს: კუდახ-ტახ-ტახ, კუდახ-ტახ-ტახ!

პირველი აგრონომი. ჰო, ისმის, მომეცი, ქსიუშენკა, ჩემოდანს წამოგიღებ. (მიეხუტება).

მეორე აგრონომი. მე თვალს მივეფარები, ქოხის მშენებლობაში ხელს არ შეგიშლით. (გადის, თან მღერის). ტოროლებში ჩაგეხუტე, აღლიბუღლი პაწაწინა. აბა, თქვენ იცით! აბა, თქვენ იცით!

პირველი აგრონომი. გავიდეთ, თორე ვინმე მართლა რამეს იფიქრებს, (რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს ხელმკლავით).

ქსენია. (შეჩერდება). შენ თვითონ რას ფიქრობ, ან რას იფიქრებდი?

პირველი აგრონომი. მაგაზე მერე, ა კურიცა კუდახჩეტ, კუდახ-ტახ-ტახ, კუდახ-ტახ-ტახ!

ქსენია. (რიხით). მიკიბ-მოკიბულებს თავი დამინებე, თქვი!

პირველი აგრონომი. კუდახ-ტახ-ტახ, გავიდეთ ამ ბარდებიდან და... უჰ, როგორ გავიკაწრე ხელი, მგონი, ეკალიც შემერჭო.

ქსენია. (ხელს მოჰკიდებს, არ მიდის). რამდენი წელი გავიდა, ერთათა ვართ, ერთმანეთს შევცქერივართ, თითქმის ყველაფერი ვიცით ერთმანეთისა...

პირველი აგრონომი. (წასვლას ცდილობს). კუდახ-ტახ-ტახ... მაყვლის ბარდებია...

ქსენია. მე არ გეხუმრები! დიდი არაფერი ხარ, მაგრამ... ოცდაათს გადასცდი, მეც სადაცაა გადმოგყევები...

პირველი აგრონომი. კუდახ-ტახ... ამდენი მაყვალი გაგონილა, ვისი ზონაა?..

ქსენია. გესმის?.. რამე არ მივარგა? შემომხედე...

პირველი აგრონომი. ბნელა, ქსიუშა, მერე. კუდახ...

ქსენია. მოიცა! პირველად ხო არა მხედავ, გესმის? შემომხედე! აქამდე სასკოლო შვილები გვეყოლებოდა, თქვი, კაცის სათქმელსაც მე ხომ არ ვიტყვი? თქვი! თქვი! თქვი!..

პირველი აგრონომი. რა ვთქვა, აბა?.. კუდახ...

ქსენია. გეყოფა კრიახი, თქვი!.. თავს ნუ ისულელებ წლების განმავლობაში, თორემ ხახვივით შეგრჩება ხასიათში სისულელე, გესმის! ნუ ისულელებ, ნუ! ეგრეთი არა ხარ!

პირველი აგრონომი. რა ვთქვა?.. მერე... ვიღაცეები დადიან... მგონი, ავტობუსიც მოვიდა. როგორა ბნელა, კუდახ-ტახ-ტახ. (ქსენია ხელს გაუშვებს).

ქსენია. მართლა, რა ძალიან დაბნელდა. მთვარე მაინც მალე ამოვიდეს, სად გაიტრუნე, შე ლაჩარო!.. უნდა შეგამოწმო კაცობის საკითხში... როგორ დაბნელდა! ერთი ნათურა რა გახდა?!

პირველი აგრონომი. (სიბნელიდან). ა კურიცა კუდააჩეტ, კუდახ-ტახ-ტახ...

სხვადასხვა ადგილიდან მოისმის მისი სულელური კრიახი. ისმის მანქანის სულთმობრძოლი ფუხფუხი.

სურათი მეცხრე

მოტაცება

ისმის პაემანზე მოსული მესამე გოგოს ხმა.

მესამე გოგო. როლანდი, მოვედი!.. ამ სიბნელეში რო ფეხი რამეს წამოვკრა, მერე?! ბარემ, შენც ეგ გინდა, მაგრამ, ვეცდები არ წავიქცე, ჩემს გულზე არ გადაგატარებ, როლანდი, მოვედი, არ გესმის, ბიჭო?! (ხელებს აფათურებს, როლანდს დაეძებს).

მეორე აგრონომი. (ხელის ფათურით). აღლი-ბუღლი — აღბულაღში დაღლი-ბუღლი — დაღბულაღში, როგორა ბნელა?!

მესამე გოგო. (უახლოვდება). რას ბუტბუტებ ბიჭო? რი ბუღლიო. რა ბუღლიო? მოვედი-მეთქი!

მეორე აგრონომი. მე ვითომც აქ არა ვარ, აღლი-ბუღლი.

მესამე გოგო. გინდა კია, მაგრამ ვერ მოგართმევ! მისამარას, ნევრებს ნუ ამიშლი, თორე ერთი აბგა დარიშხანი მაქ გამოტანილი შხამ-ქიმიკატების სკლადიდანა, შეგაყრი და შევიყრი, დილაზე რო გვნახავენ გათხლაშულებსა, მერე იუარე ზოგი. (ხელს ჩაავლებს, აკოცებს). რითი წავიდეთ, ბიჭო?

მეორე აგრონომი. ბნელა, როგორა ბნელა! ვაიმე, აგრონომი ვარ, როლანდი კი მქვია სახელად, მაგრამ... აღლი-ბუღლი... აგრონომი ვარ.

მესამე გოგო (გახარებული). ეგ კაი ხელობა გქონია, შე ამოსაგდებო, და რაღაზე მიმალავდი?! (ხვევა, კოცნის). ბოლოს როგორც იქნა მოხვედი, აღარსად გაგიშვებ, სულ ერთად ვიქნებით, თუმნებიც დაგვეზოგება, კაკანასაც ვიკიდით, ბაიას შიგ ჩავაწვენთ.

მეორე აგრონომი. (იყვირებს). ვაიმე! მეურნეობის აგრონომი ვარ, როლანდი მქვია, მაგრამ ის როლანდი არა ვარ, შენ რომ გგონია, აღბულაღში — აღლი-ბუღლიი!

მესამე გოგო. (გახარებული). დაუსწრებელზე სწავლობდი და მიმალავდი განა?!

მეორე აგრონომი. დაღლი-დუღლი — დაღბულაღში!..

მესამე გოგო. მომეფერე, გენაცვა, როლანდი, დაღლი-დუღლი, დაღლი-დუღლი! (ეხუტება, იკრავს). ნუღარსად წავალთ, აქ ვიყოთ! ჩემო აგრონომო, აღლი-ბუღლო! გარიაჩო! ისეთი ხაჭაპურების გამოცხობა ვიცი, ისეთი, რომა, ჭამით ვერ გაძღები. შენ ხო გამახარე, მეც გაგახარებ, ისეთი დღეება ვიცი, რომა ჰა, თონეშიაც ჩავეყუდები, შემოგეცლე, ისეთ ლავაშებს დაგიცხობ. ისეთ ლიკნებსა, რომა ჰაა! სამ თონეს ისე დავაკრავ და ამოვყრი, რო ერთი კუტიც არ ერიოს. დაღლიდუღლი, დაღლიდაღლი! (მიიხუტებს).

მეორე აგრონომი. (მოთენთილი, ნაღვლიანი). ნერწყვი მომივიდა, ისე მშია. ამ ავტობუსის მოლოდინში... აგრონომი ვარ, როლანდი არა ვარ... როლანდი კი ვარ, მაგრამ ის როლანდი არა ვარ, შენ რომ იცნობ...

მესამე გოგო. მეც ეგ მინდა, რო ის როლანდი აღარა ხარ, შემოგეცლოს შენი თაფლოი, აბა ხაჭაპური ჭამე. სამგზაუროთა მქონდა წამოღებული, ნაზუქებიცა მაქ, კვერცხებიცა. (ამოალაგებს, მეორე აგრონომი ჭამს). სულ ჩემი დაცხობილია, ვჭამოთ, ვაცხოთ, ვიყოთ, ვიცხოვროთ. გვეყოფა ამდენი ტყუილები. ნახევარჩარექიანი ჭაჭის არაყიც წამოვიღე, აჰა, მოიყუდე. (არაყს მიაწოდებს. აგრონომი სვამს).

მეორე აგრონომი. (გამწარებული ამღერდება). მოლიპულ გზაზე, ყვავილი ვნახეე, და იმ ყვავილში მე შენ მოგნახეე.

მესამე გოგო. (აჰყვება). ბევრი გეძებე ბნელ-ბნელ ქუჩეებში, რომ დამეკოცნე ლამაზ ტუჩებშიი!

ორივენი მღერიან ამ სიმღერას. სიმღერის შემდეგ საქორწილო დოლ-გარმონი აჭყვიტინდება. შემდეგ ყველაფერი მიჩუმდება. სიბნელე მატულობს.

მეორე გოგო. (შემოდის ხელის ფათურით). ავთოო, სადა ხარ? ისე გამოვძეხი მაყვლი ჭამითა, ისე გავიბურთე, რომა სახლში რომ მივიდე, რამე ეგონებათ და ვერ მივალ იცოდე, ავთო! შენს იქით მე გზა აღარა მაქ, ავთო!

პირველი აგრონომი. ა კურიცა კუდახჩეტ, კუდახ-ტახ-ტახ, კუდახ-ტახ-ტახ. აქსინია! ქსიუშაა!

მეორე გოგო. მაგ რუსის გოგოების სახელების ხსენება ვეღარ უნდა მოიშალო, შე არ გასაშვებო, შენა! განა არა, თვეობით რო დაწანწალებ რუსეთის ბაზრებზე დამკრახული კეხურეებითა და ჭიან ჭუტას გვატენით და გვატენით, მარუსიას მოგცემ მე შენა!..

პირველი აგრონომი. კუდახ-ტახ-ტახ, ქსიუშა! ამ ბნელ ღამეში გადავწყვიტე, რომ ყველაფერი... კუდახ-ტახ-ტახ!..

მეორე გოგო. მე შენ გეუბნები, მოიშალე-მეთქი, თორე გაკრიახებ ძე შენა. მარტო კი არ გეგონო, მამა-ბიძებიც აქვე, მაყვლი ჩირგვებში არიან ჩასაფრებულები, შე ბაზრი წუწკო, შენა! (ხელს ჩაავლებს). აბა ერთი უარი გამიბედე, სამი ქოფაკით მარტო ბიძაჩემია მოსული, მეცხვარე აკი მყავ ბიძაი, ჰოდა...

პირველი აგრონომი. მე პირველი აგრონომი ვარ მეურნეობისა, თავი დამანებეთ, მე თქვენ არ გიცნობთ! (გაქცევას ცდილობს).

მეორე გოგო. დიდ ვინმეობასაც იჩემებ, აგრონომიო! თორე დიდი ვინმეა ის ბლაგვი და ის მუდოი, ისა! აგრონომიო, ფუი, შენ ყმაწვილობასა! ეგა მცოდნოდა, რო ჩვენი აგრონომისთანა დარბილებულ და უხერხემლო მასხარებს შეადრიდი თავსა, აქ არც მოვიდოდი!

პირველი აგრონომი. თავი დამანებე, ვიღაცაში გეშლები! ქსიუშა! აქსინია! კუდახ-ტახ-ტახ!

მეორე გოგო. პირველი აგრონომის სახელი აღარ გამაგონო, იმ ღობემძვრალასი, იმისი! უბან-ბუნ რო დაჭიქაჭიქაობს. ეგ საისტი ეგა! ჩვენი ვეტერინარის კაბის კალთაზე კოცნის ღირსიც არ არის! ხმა ჩაიკმინდე და მეორედ აღარ წამოგცდეს იმის სახელი! თორე თუ წამოგასიე მწყემსი ქოფაკები, ზოგი მერე ნახე!

პირველი აგრონომი (ცოტა არ იყოს შემკრთალი). მაშ რა ვთქვა? პირველი აგრონომი ვარ და მაშ რა ვთქვა, თანაც ავთანდილი მქვია!..

მეორე გოგო. (გასძახებს). პაპა ონოფრე, ეგ შენი მგელიჭამია ქოფაკები რამდენი დღის ნაშიმშილები არიან, ჰა!?

ხმა სიბნელიდან. ამ ორი კვირის წინათ ორი ძუ მგელი შეშჭამეს თავი ლეკვებიანათა და, ეგ არი და ეგა!

პირველი აგრონომი. (სუსტად). პირ... აგრ... ვრრ... ავ... ავ... ავ... თო... ავ კრც, კდხჩტ, აწრაკნ-აწრაკნ...

მეორე გოგო. (შეტევით). შენ კიდევ შენსას არ იშლი განა?! პაპა!

ხმა სიბნელიდან. რა იყო, პაპა გენაცვალოს, ჰა?

პირველი აგრონომი. პრრ, პრრ, წ, წ, წ, პრრ, ააგრრ, წპრრრ, წ... (ლამის გაქრეს შიშით). ავტბზ არმვდ, თრ, აბნშ წვდდ, წრრ-პრრ, წრრ-პრრ, აწრაკნ, აწრაკნ, წრრ-პრრ, წრრ-პრრ... (ჩამოჯდება მიხრწნილი).

მეორე გოგო. აგრონომო, აგრონომ ჭრრიაპოო, ჭრიამ-პოო, ეს რა გიყვეს, აგრონომო, ჭრრ-პპ, ჭჭრრ-პპ. (თან ცეკვავს თავჩაქინდრული პირველი აგრონომის გარშემო). ეს რა უყვეს მეფესაო, ჭრიაპოო, ჭრიემ-პოო, ტკ ჩააკეფესაო, ჭრიამ-პოო.

ცოტა განათდება.

ჭარიშხლის შემდეგ

ნელ-ნელა თენდება. ბურთის ტყაპუნით გამოდიან ჩვენი ნაცნობი ბიჭები, თან იხმორებიან, ამთქნარებენ, როგორღაც უხეიროდ აქნევენ ხელ-ფეხს. მერე ერთი უხმოდ დგება კარში, მეორე გამოქანდება და დაურტყამს ბურთს. მესამე ბიჭი ყირას გაკეთებას ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის. გოგოებიც გამოჩნდებიან, მოშორებით დადგებიან, ამთქნარებენ.

მეორე ბიჭი. (კარში მდგომი). ავთო, ისა, მართალია, ბასკელები რო ჩამოვიდნენ საბურთაოთა და მაიმუნი რომ ეყენათ კარებში, მეკარ მაგივრათა, ჰა? (თან მეგობრის დარტყმული ბურთი დაიჭირა).

პირველი ბიჭი. მართალია, მაშა! (გამოგორებულ ბურთს დაურტყამს).

გოგოები. დარტყმა, არის!

მეორე ბიჭი. (ბურთს დაიჭერს). შაგულიძის ამბავი მართალია?.. მარჯვენა ფეხი რომ შეკრული ჰქონდა, მარცხენათი რო დაურტყა და მაინც მოკლა ი მაიმუნი...

პირველი ბიჭი. (ურტყამს). მართალია, მაშა, ზედ შტანგაზე მიახვრიტა თურმე. (მესამე ბიჭს გასძახებს, ყირას რომ აკეთებს). როლანდი, მოდი, ახლა შენ დაუკა, მე გოგოებს მივხედავ, თორე არც ეგრე ვარგა, სუ გამოქერქეტდებიან და მერე ასეაო თუ ისეაო, როგორღაც როა ნათქვამი, ერთი ანდაზისა არ იყოს, ჩიტია, ჩიტიო, კინტო რო იძახდა ხიდზე, ქუდი რო ქვაფენილზე დაედო და ჩიტი ვის გინდათ! ჩიტი ვის გინდათო და.. (გოგოებისაკენ მიდის).

გოგოები. (იცინიან). ვიცით, ვიცით. ეგ ძველი დასხვა ახალი...

პირველი ბიჭი. (გოგოებს). გენერალმა რომ ჩამოიარა?

გოგოები. ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ვიცით, ვიცით!..

პირველი ბიჭი. ერთი კინტო რო დაენაძლია მეორესა, გენერალს დაგანახვებ ფანჯარაშიო?..

გოგოები. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

პირველი ბიჭი. საგიჟეთის დირექტორის ამბავი, გოგოებო?..

გოგოები. ჰი-ჰი-ჰი-ჰი-ჰი-ჰი-ჰი-ჰი!

პირველი ბიჭი. ინსპექტორისა და შოფრისაი?

გოგოები. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

პირველი ბიჭი. ღვდლისა და ფოფოდიასი, გოგოებო?

გოგოები. ვიცით, ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

პირველი ბიჭი. გიტარისაი?

გოგოები. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

პირველი ბიჭი. იმისი?

გოგოები. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!
პირველი ბიჭი. იმის-იმისი?
გოგოები. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა...
პირველი ბიჭი. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!
გოგოები. ჰი-ჰი-ჰი-ჰი! ჰი-ჰი-ჰი-ჰი!

სურათი მეთერთმეტე

კრაზანების ბუდე

გათენდა. ქალებს წყაროსთან მოუყრიათ თავი. მაცნეც მათ შორის დგას, ბას თავისი შარვალა კაბისათვის ფეხთაშუა გაბნეული ქინძისთავები დაუძერია და ძლივსღა გამოირჩევა დანარჩენი ქალებისაგან. არსად კოკა, არსად თუნგი, არსად ვედრო, ჩანს, ქალები წყლის წასაღებად არ არიან მოსულები. დროდადრო რომელიმე მათგანი ინსტინქტურად წაიღებს ხოლმე ხელს წყაროს მილისაკენ და ისეთ მოძრაობას გამოხატავს, თითქოს ჰურჰელს ავსებსო. შემდეგ კვლავ ჩაცლიან მოჩვენებით ჰურჰელს წყაროს აუზში.

პირველი ქალი. (ცხარედ). რაო? ბაგრატასა და ტაას ამხანაგური სამართლო უნდა მოვუწყოთო?! ვერ მივართმევთ, ვერაფრიდიდებითაც! ვოტ ი ვსიო!

მეორე ქალი. არა, ერთიც ვნახოთ და დამეგობრდნენ ტასა და ბაგრატა ამხანაგური სასამართლოს შემდეგა, მერე სადღა გინდა რო წახვიდე?!

მესამე ქალი. სასამართლო თუა, სასამართლო უნდა იყოს, ამხანაგობა სადღა გაგონილა?! ზაკონი-ზაკონია, ჰარიფანა კი არა!

მეოთხე ქალი. მაშ, ერთ მშვენიერ დღესაც, ბაგრატა იქნება თუ სხვა ვინმე, რო მოინდომოს და ორღობეში ქალი აღარ გაატაროს დაუტორავი, სამართალი იქნება განა ესა?! ანაღლეეე!

მაცნე. (ყველას. წვრილ ხმით). მე თქვენი მიკვირს, ქალებო და ქალწულებო! რო ჩაგიგუბებიათ ე წყაროს წყალი პირებშია და გადაჭრით არ ითხოვა პასუხს ამ უსირცხვილო საქციელზედა!.. განა მე დახვრეტის მომხრე ვარ, მაგრამ რაღა ჩვენს სოფლელ ქალს უნდა გაუტყდეს სახელი დუნიაზედა?!

მესამე ქალი. თქვენ ეგა თქვით და! როგორა რა, დაუსჯელი უნდა დავტოვოთ?! ბაგრატა კი არა და, ბაგრატ მეფესაც არ ვაპატიებდი ესეთ საქციელსა. გინდა ამიყვანეთ და ფეხებით ჩამომკიდეთ, ი სიო!

ერთი ხანობა, როგორღაც მიწყნარდნენ ქალები. პაუზა...

მეოთხე ქალი. ამას წინებზე, გზი პირას რო ალუმბლები გვაქ, ზედ შოშე გზიპირზედა, სუ კენწეროზე იყო შერჩენილი დამკრახული ალუბლები. ქმარს ვუთხარი, არა შკალია, პუნქტი გამგეს უნდა დავენახო, ეგება წწ-ნავის თანა-

შემწედ ამიყვანოს, უშტატოთაო, ბიჭებს ეუთხარი, და მომეწყინებაო, ბირჯაზე უნდა დავდგე, სავარიანტოთაო, რაღა მექნა, გავრისკე და ზედ კენწეროზე არ მოვექეცი მაგათ ჯიბრზედა. ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთი კუნწულა რო დამრჩა ზედ კენწეროს კენწეროზედა, ზეკარაც ამოქიქინდა და ის-ის იყო ხელი გაეიწვდინე, რო ბეღურა შემომაფრინდა, ხელიდან უნდა წაშგლიჯოს, მეტანება და მეტანება. აქეთ ისა, იქით მე. ზეკარამაც ჯიბრზე უმატა და უმატა: ხან აქედან შემომიბერავს, ხან იქიდანა! გამაქანა და გამომაქანა, გამაქანა და გამომაქანა. ვწივივად და ვკივივარ, ვწივივარ და ვკივივარ. ერთი სიტყვით, კარგა აშკარად მაქანავა. ბეწვზეღა ვეკიდე, ჰა და ჰა!..

მეხუთე ქალი. გასძელ, თუ ჩამოვარდი?

მეოთხე ქალი. თელი სოფელი იქ მოგროვდა და „ნუ გეშინია და ნუ გეშინიას" მეძახდნენ...

მეხუთე ქალი. გასძელ, თუ ჩამოვარდი, ადამიანო?

მეოთხე ქალი. ნელი-ნელა მოიდრიკა ალუბლი კენწეროი და სულ ციმციმ დავეშვი, ჭინჭრებშია. ჭინჭრი კბენას ვიღა ჩიოდა, მშვიდობით რო დავეშვი, არ გიკვირთ განა?!

მეექვსე ქალი. უი, ქა! უი, ქა!

მეოთხე ქალი. (გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს). მოვარდა ჩემი გადარეული ბიჭი. ალბერტი და გამოიტანა გაუფორმებელი ცენტრალკაი და მდო და მდო, მწყრის საფანტი ხალხსა, ზდო და ზდო! იმას ეგონა, რო ხალხი რამე შუაში იყო, ჰოდა, ზდო და ზდო! კიდე კარგი, უბნი რწმუნებული იქ არ შეესწრო, თორენა!..

მეხუთე ქალი. უი, ქა! უი, ქა!

მეოთხე ქალი. სუ წვრილი ყაისნაღით ვუღეი დაზარალებულ ხალხსა თერთმეტი ნუმერი საფანტი უადგილო ადგილებიდანა, მა ქალებო. ეგრე ტკბილი არი შვილის ჯიგარი... ზოგსა ისეთი გახევებული ჰქონია, რო ექთანიც დავიხმარიე, მაშა! ერთი რამეც ვუფეშქაშე გასამრჯელოთა...

მეშვიდე ქალი. ...თონეში ვერ ჩავეკიდე, რაც არ უნდა მომივიდესო. ჩაგკიდებენ-მეთქი.

მეექვსე ქალი. ჯანი არა მაქო. ერთხელაც შევუსწარი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და იმისთანას უდგლაფუნებდა სადღეებელსა, რო ლამის თავზე მოეგლიჯა.

მესამე ქალი. თითი რბილად შედის ხახვში, გაძრულიაო. გაძრული კი არა და მოხარშულია, ქათმი ბულიონიდან არი ამოღებული-მეთქი. ამოდონა უნდობლობა გაგონილა განა?

მეოთხე ქალი. მაგ სიმაღლეზე როგორ ახვედიო? როგორა და თონე გავახურე, დავკარ ფეხი და ამოვედი-მეთქი. დაიჯერა. კიდე კარგი, დროზე მიუსწრო დედამთილმა და უბედურება არა დატრიალდა რა!.. ახურებდა!

პირველი ქალი. რა უცნაური ხარ, ქა! რაებს არ შებედავ ხოლმე!

მეხუთე ქალი. დირექტორი მოდის, დირექტორი!

ქალები დაფაცურდნენ, ტანისამოსი მიისწორ-მოისწორეს.

მესამე ქალი. ნიკოლიჩ, გამარჯობათ! (წ ი ნ გ ა ი წ ე ვ ს, მ ი ე ს ა ლ მ ე ბ ა).

დირექტორი. გაგიმარჯოთ, მაგრა მაგარი ის არის, რო გამარჯობას წესითა, მომსველელი ამბობს, დამხვდურები კი გაგიმარჯოსო ეუბნებიან.

მესამე ქალი. ეგ მართალია, ნიკლიჩ, მაგრამ მღელვარეთა ვართ და გვეპატიება. (ც ო ტ ა ხ მ ა ა ი მ ა ღ ლ ა). ეგ საქმე თუ ეგრე მიფუჩეჩებული და. გიტოვებიათ, ნიკლიჩ, იცოდეთ, სათავეებამდე ვდევთ, არ მოვეშვებით! (თ ქ ვ ა დ ა დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ე ბ ს გ ა დ ა ნ ე დ ა).

დირექტორი. როგორა რა, თქვენ რო არ გაწყენინოთ, განა ცოტანი არიან?! ამხანაგური სასამართლო ოთხშაბათისთვისა გვაქ დანიშნული. ვნახოთ, გავიხილოთ, თუ საჭირო შეიქნა, ზედა სართულებშიაც გადავიტანოთ, რაიონს გადავცეთ, მაშა!

მეხუთე ქალი. ე დრო კი გარბის და გარბის, ნიკლიჩ, მიდის და მიდის!..

დირექტორი. ნეტა კი მუშაობაში იყოთ ეგრე მარჯვეები, ქალებო, ქვეყნის თვალებო!.. ან არა და ჭურჭელი რო წამოგეღოთ თანა და შინ წყალიც გაგეყოლებინათ, რა მუცლები წაგიხდებოდათ თუ როგორა?!

მესამე ქალი. ბოდიში კია, ნიკლიჩ, მაგრამა ხანდახან ძალიან იცით გრუბობაი და გვწყინს ხომე და. აბა, ეხლა მუცლიწახდომა რა აქ მოსატანი სიტყვა იყო? არ გეწყინოთ კია და!

დირექტორი ღრმად ჩაფიქრდა. შეატყო, რომ ქალები ზომაზე მეტად არიან გამძვინვარებულები და კეფა მოიქექა. ყველა გაიტვრინა რაღაცის მოლოდინში. დირექტორი კვლავ იქექავდა თავს.

პირველი ქალი. (ხ ე ლ ს ა ი ქ ნ ე ვ ს გ ა მ წ ა რ ე ბ ი თ). ჰაბუზა, შე ვერანა, შენა!

მეორე ქალი, ბუზი კი არა, ბზიკია, ბზიკი! ოჰოჰო, დახე, რამოდენაზე ჩაუჭრია ხორცი! ჰა, ჰა-ბზიკა!

თვითონაც აიქშია მწერი, ვერ მოზომა, ლოყაში იტკიცა სილაქი. რომელღაცამ გაიცინა, მაგრამ ახლა მას დააჯდა მწერი.

მესამე ქალი. ყაზარაა, ყაზარაი! ჰაი, ჰაი!

იყვირა და თანაც ჯარასაით დაბზრიალდა, რათა კრაზანის ნესტარი აეცდინა. მას შეეშველა სხვა, ღეწა სილაქი და ზედ ბარკალზე მიაჭყლიტა მწერი. დირექტორს გაეცინა.

მეოთხე ქალი. უი, უი, ყაზარების ბუდეზე ვდგევართ! დახეთ, რამდენი გამოესია! გამოდიან და გამოდიან! (გ ა მ წ ა რ ე ბ უ ლ ი ი რ ტ ყ ა მ ს, ს ა დ ა ც კ ი ხ ე ლ ი მ ი უ წ ვ დ ე ბ ა, კ რ ა ზ ა ნ ე ბ ს ი გ ე რ ი ე ბ ს).

დირექტორი კვლავ ჩაიცინებს; ჰკონია, მას საფრთხე არ ელის.

მეხუთე ქალი. ჰაე, ჰაე, ჰაე. ჰაე, ვაი, ვაი, დამაჯდა ეს უპატრონოი! დამაჯდა, მიშველეთ! ანიკო, სონა, ფეფე! ამიქშიეთ, ამიქშიეთ! (ისე აყვირდება და დაბუზარავდება, რომ ერთ ადგილზე ვეღარავინ აკავებს. ახტება და დახტება).

მეექვსე ქალი. (აფორიაქდება). შენ რა გიშველო?! ჰაეჰა! ჰაეჰა! მე უარესად დამდუღრეს ამ უვარგისებმა, ამათა! ვაი, ვაი! ჰაე, ჰაე!

მეშვიდე ქალი. არ მომერიდოთ, დამარტყით! ვაი, ვაი, მიშველეთ, ხალხი არა ხართ! ვაი! ჰაე! (ირტყამს და ირტყამს გამწარებული).

დირექტორიც შეიშმუშნა, დინჯად აქშია, ჯერ არ ღელავს.

პირველი ქალი. (დარბის). ჰაეჰა, ჰაეჰა! ოი, თქვე გასაჟუჟებო, თქვენა! გაგონილა განა ესე გამწარებული კბენა?! თანაც ზაფხულია, შიშველათა ვართ. ჰოი, როგორ დაგვაოსეს, ნიკლიჩ, ნუთუ, განა როდესაც, თუკი! ჰაე, ჰაე!..

ქალები გამწარებულები დარბიან, ერთმანეთს დასდევენ, ერთმანეთს უტყაპუნებენ, ხტიან. წყალს ასხმენ. რომელიღაც შიგ, წყლით სავსე აუზში ჩაწვა, წრივიან კივიან.

მეორე ქალი. (დირექტორთან მიიჭრება). მეტის მოთმენა აღარ შეიძლება! (ზურგს მიუშვერს დირექტორს). დამკარით, ნიკლიჩ, დამკარით! მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! შემჭამა ამ უღმერთომა! ნიკლიჩ, დამკარით!.. ვერა ვწვდები! (თვითონაც ცდილობს).

დირექტორი მერყეობს, ვერ გაუბედია, მაგრამ ამ დროს თვითონ მას უკბენს კრაზანა ღოყაზე. სილას გაირტყამს.

დირექტორი. ვაჰ, ვაჰ, ახლა მე გადმომაჯდა. ვერ უყურებთ ამასა?! ამხანაგური სასამართლო ოთხშაბათისათვის დავნიშნე და. ერთმა წრუწუნამაო, როგორღაც როა, ჰაბუზა, შე ვერანა! (ხელს დაჰკრავს ქალს თეძოზე).

მეორე ქალი. ეგრე, ნიკლიჩ! ეგრე! ოთხშაბათამდის ისე უნდა იპარპაშოს განა?! ჰაეჰა, ჰაეჰა! გადმოსწიეთ, ნიკლიჩ, გადმოსწიეთ! ბაგრატა იმასა და ჭირი და დოზანა ვერ მოსანელებელი!

მესამე ქალი. (მიიჭრება). გაჯდებათ, ნიკლიჩ, გაჯდებათ! (ხელს მიუღერებს). უნდა გადმოიტანოთ, გაჯდებათ!

დირექტორი. აბა, აბა! როგორა, რა, რაკიღა მაჯდება!.. სამშაბათს ღია გვაქ დანიშნული და როგორა?! (თვითონ გაირტყამს ხელს, კრაზანას მისრისავს). გეტირა ყოფა თუ არა?! რომლის ზონაში შედის ნეტა ეს ადგილი, ესე რო აუყრაზანებია!

მეოთხე ქალი. მაგდენს ვერ მოგახსენებთ, ნიკლიჩ, მაგრამა უნდა გადმოიტანოთ. გაჯდებათ, ჰაე, შე არგასაშვებო! (კრაზანას აუქნევს).

დირექტორი. გოგირდი მაინც ახრჩოლეთ! ვერ უყურებთ განა! ღია დავხუროთ და ამხანაგური გავაღო? (კრაზანას აიქშევს). არა, მართლა და

მართლა, სულაც ორშაბათს იყოს, მაგრამ თარსია ეგ ორბაშათიცა... და... გოგირდი აღრჩოლეთ-მეთქი, აკი ვთქვი?

მესამე ქალი. (თან ისილაქებს თავს). შხამ-ქიმიკატების გასაღები პირველ აგრონომსა აქ, რა ვახრჩოლოთ?

დირექტორი. ახრჩოლეთ რამეი, თქვე ოჯახქორებო! ნატისუსალიცა კმარა, დასწვით რამეი, თქვე ასეთ ისეთებო! ბაგრატას მივცემ მე იმასა!..

მეხუთე ქალი. (მიჰრება რტყმევა-რტყმევით). რას შვრებით, ნიკლიჩ, რას შვრებით? ნახეთ, რა დღეში ჩაგვყორეს ამ ხახის ხახუბით დამკათ, ნუ გერიდებათ! (ზურგს შეაქცევს. დირექტორი დაარტყამს).

დირექტორი. ქალები ხართ და როგორღაც მეუხერხულება, ხო იცით თქვენა. როგორღაც როა, გასწით, პაპიროსი მაინც მოიტანეთ სოფლმაღიდანა, ეგეც რამეა, ყაზარებს დაუფულლოთ, გასწით-მეთქი!

ერთი ქალი გარბის აგრონომის მოსაძებნად, დანარჩენები ადგილზე იტლინკებიან და ერთმანეთს უტყაპუნებენ.

მესამე ქალი. ამის ღირსიც გაგვხადა ბაგრატამა, განა?! თქვენ თუ დაიცავთ, ნიკლიჩ, ჩვენ არ მოვეშვებით, უზენაესამდე ვიქნებით, იმის იქითაც წავალთ!.. მაინც ჩავდივართ და ამოვდივართ ქალაქშია და მაინცა. სამშაბათიც გვიანია, ნიკლიჩ, უნდა გადმოვწიოთ, უეჭველად უნდა გადმოვწიოთ, იმე უნდა გადმოვწიოთ, რომა სუ გადმო... გადმო!.. (შემოირტყამს ხილაქს).

დირექტორი. გადმოვწიოთ და გადმოვწიოთ! სულაც დღეს იყოს რა! (გაიტყლაშუნებს). მართლა, პაპიროსზე მომაგონდა, კაცები სად ჯახრუ-ჯანდაბაში არიან, კვირა დღეა და მარტო მე რო ვწიო, რა... ერთი კაცი ჭამაშიაც ცოდოაო.

მეორე ქალი. (მაცნეზე მიათითებს). აგე, ილაც ხო აქ არი, შეგეშველებათ.

დირექტორი. (გაბრაზებული გაჰკრავს მაცნეს). შენ ისევ კაბა გაცვია, განა? მაიკწევ, შენცა თუ არ მაიკწევ?

მაცნე. (წრიპინ-წრიპინით). მაიჰვწევ, ნიკლიჩ, მაიჰვწევ! (ქინძისთავით ისევ გადაიბლანდავს კაბას, შარვლად გადაიკეთებს).

შემოდის ქალი, მოაქვს სიგარეტების დიდი შეკვრა.

პირველი ქალი. პამირი იყო, ნიკლიჩ, ფილტრიანი არა მაქ, ნარიადი გამითავდაო, ესეც დასირისტიანებულია.

დირექტორი. პამირი ჯობია, უფრო მყრალია. აგე, აგრონომიც მოდის.

შემორბის პირველი აგრონომი, იგი შორიდანვე იწყებს ტყაპა-ტყუპს.

პირველი აგრონომი. მოვედი, ნიკლიჩ. კიდევ კარგი, ავტობუსი გაოხრდა, თორე წასული ვიქნებოდი. ათი პაჩკა პამირი გამოვართვი ნისიათა. კი არ მენდობოდა. ერთხელ რომ მაგას კარგი მაგარი აქტი არ შევუყენეთ, იმისი ბრალია...

დირექტორი. დროზე მოუკიდე! რაო, ტრამლიორი ხო არ ჩაეშალა იმ საქერნესა, იმასა?

პირველი აგრონომი. (რატომღაც აყოვნებს მოკიდებას). არაო, კანიჩესკი მომიწყდაო...

დირექტორი. დროით მოუკიდე, დაგვჭამეს ყაზარეებმა. დამაცადოს!.. წაგვის მანქანიდან ავტობუსზე რო გადმომაყვანინა თავი! მაშ. ტრამლიორიო, ჰა?!

პირველი ქალი. არა, კანიჩესკიო. (ასანთს გაუკრავს იგი პირველ აგრონომს).

პირველი აგრონომი. თავი განებებული მაქ, ნიკლიჩ, და როგორ ვუყო? (დაიხრება მოსაკიდებლად და კვლავ გადაიფიქრებს).

დირექტორი. (ლოყაში გაირტყამს). ახალგაზრდა კაცი ხარ, ბიჭო, და იმის ნებისყოფა არა გაქ, რომა ერთი მოწევა ვერ გაგიბედნია? დროზე მოუკიდე!..

პირველი აგრონომი. ახალი დანებებული რო არა მქონდეს...

დირექტორი (დაუტევს). მიდი-მეთქი! (მოუკიდებს).

გაუბედავად აბოლებს პირველი აგრონომი.

(წყენით). მომეცი. მეც დავაფუილებ, თორემ, როგორღაც სული გეპარება. აფსუს!.. არა გძინებია, ბიჭო?

პირველი აგრონომი. როგორ არა, ნიკლიჩ, აჰა! (უფრო მონდომებით აბოლებს. ხველა აუვარდება).

დირექტორი. აბა, ნახეთ, სად ჩემი გაფუებული და სად მაგისი (ბოლს უშვებს).

მეოთხე ქალი. (დანარჩენებს გამოეყოფა, რომლებიც ერთმანეთს უქშევ-უტყაპუნებენ). ნიკლიჩ, ბოლო-ბოლო რა გადაწყვიტეთ? დაგვაოსეს, ბაგრატა ვინ ოხერი გდია! კი არა და, საკუთარ მეორე ნახევრებს არ აპატიებს კანონი უნებართვობასა, დიახ! (შემოიკრავს და შემოიკრავს).

დირექტორი. კაცები სად არიან, ჰოო-მეთქი!

მესამე ქალი. (ტყაპა-ტყუპით). რა ყრალია, ნიკლიჩ, ბაგრატას საკითხი გადმოგვაქ თუ არა დღეისაზე? ცოტა მგონი იკლო.

დირექტორი. გადმომაქ-მეთქი, ჰო, გადმომაქ!..

მეხუთე ქალი. (ტყაპა-ტყუპით). იკლო კი არა და იმატა, დავეაოსეს და მერე როგორა... დიახაც რო! ბაგრატა იქნება თუ სოგრატა, ოჯახის პატრონები ვართ და მაგათი შიშით შინიდან ფეხი ვერ უნდა გამოვდგათ? რაც არ უნდა

იყოს, თანამედროვე ცხოვრება შემოჭრილია, ზოგი მოკლე კაბითაც დადის და... მომახრჩოლეთ, ნიკლიჩ! (მხარს შეუშვერს).

პირველი აგრონომი. ხამათ რო ვარ, თავბრუ დამეხვა. (ბორიალ-ბორიალით ხან ერთ ქალს მიაბოლებს, ხანაც მეორეს).

დირექტორი. ახია შენზე, რო ჩაგიკეტია შხამქიმიკატების საწყობი და დადიხარ აღებლამესავითა...

პირველი აგრონომი. (დირექტორს). ბოლო წლებში აკი გადმომაბარეთ ეგ საწყობი, ჩემამდე ვინც იყო, რატომ იმას აღარა მოეკითხება რა...

დირექტორი. იქით გასწი, პირისახეში ნუ მაბოლებ! ყაზარებიც ისე აღარ იკბინებიან, ნუ აბოლებ!

პირველი აგრონომი. გადამცდა ნაფაზი, ნიკლიჩ, და ისევ მივეჩვიე. რატრატი გამიდის. (ერთიდან მეორეს უკიდებს).

მესამე ქალი. აღარ იკბინებიან, წავიდეთ, ნიკლიჩ, ნუღარ ვაყოვნებთ...

დირექტორი. ტასაც უნდა დაიკითხოს, ჯერ იქ შევიაროთ.

მეექვსე ქალი. (ღიმილით). ტასას რაღა დაკითხვა უნდა, ნეტა ვიცოდე? ერთი კარგი რუჟა შედგება მაგის ასავალ-დასავალზედა.

შემოდიან მეორე აგრონომი და ვეტერინარი ქსენია. აგრონომი პაპიროსს აბოლებს. ქსენია მოწუნილია.

დირექტორი. (მოსულებს). მაშ ვერ წახვედით, რა ვქნა? დამაცადოს იმ მენაგვემა, იმანა! მაშ ტრამლიორი ჩამეშალაო, განა?

მეორე ქალი. არა, კანიჩესკი მომიწყდაო... არ წავიდეთ?

მაცნე. (წვრილი ხმით). ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ ბაგრატაშვილსაა... (ქალებს ჩაუბამთ ფერხული და გასძახიან „არაგველებსა, ჰეი!“).

ქსენია აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს ამ ალიაქოთში, თავი ოდნავ განზე უჭირავს.

დირექტორი (ქსენიას). მიდი ერთი, ქსენია, და მაგ რჯულძაღლსა (მაცნეზე) ის წვრილი ძარღვი ამოაცალე, საიდანაც ეგ წრიპინი ამოსდის. (თვითონ ამღერდება დირექტორი). ჰეიიი, მუმლი და მუხასააოო, ჰეი, გარს ეხვეოდააოო.

პირველი აგრონომი. რა ბანი გაქვთ, ნიკლიჩ! წვრილ-წვრილად რომ ჩააპოს კაცმა, ბარე ათი პირველი ხმა გამოვა, თუ მეტი არა...

მეორე აგრონომი. ჩვენი ხეობის სასკოლო გუნდები რო ერთად ჩააყაურმო, ნიკლიჩ, თქვენი მეოთხედიც არ ექნებათ.

დირექტორი. ქსენია, ხო არაფერი გაწყენინე, თქვი რამეი!

ქსენია. ეს დუიაჩი რასაცა ბრძანებს, ნიკლიჩ, არც ისეა საქმე. ჩვენი პუნქტის გამგეს არაფრით თქვენზე ნაკლები ბანი არა აქვს.

დირექტორი. ვისა, დოლასა? რას ამბობთ, ქსენია, როგორღაც ქალური

მოგდით! აბა, სად პუნქტი გამგე დოლაი და სად მე. ტრაბახი არ მიყვარს, მაგრა მე იმასა! მე იმასა! არა, მე იმისი! მე იმისა!.. როგორც კეხურა და ბროცკი, ისეთი სხვაობაა. არა, ეს რა ვთქვი? კი არა და, კიდეც მეტი, აი, როგორც მზიგულის კეხურაი და ის კიდენ მარჟალოი, დათვიც რო უარს ამბობს, ისეთი.

ქსენია. ნება თქვენია, ნიკლიკიჩ, მაგრამ წითელ კალვილზე რომ შეჩერებულიყავით, კარგს იზამდით...

დირექტორი. სადღაა წითელი კალვილი, ქსენია, თორე, ჰო. სირმა აბილაური, თურაშაული ეგ ეერ მოგივიღი აწყობილი, ქსენია, როგორღაც ვერა, მე და ჩემმა ღმერთმა! სწორე მივდივართ ქალებო? (გასძახებს დირექტორი წინ წასულ ქალებს. „სწორე მივდივართ, სწორე. სულ მოკლე-მოკლეზე ვჭრით!“ იძახიან ქალები).

პირველი აგრონომი. (ქსენიას გულის მოსაგებად). პუნქტის გამგე დოლაც მაგარია, ქსენიუშა, მაგრამ შარშანდელს აქეთ ცოტა გაუწვრილდა ხმა, მაგდანაში რო ჰყიდა მზიგულის კეხურა ექვს-ექვს მანეთად, იქაურმა ყინვამ, ბარე ხუთი პირველი ხმის ტოლა ჩამოაკლო დოლასა.

დირექტორი. ხუთ და ათშაურზე ჩამოსულა, ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! (ბოხი ბანით იცინის დირექტორი). სემიჩკი ფულია! ჰა-ჰა-ჰა!

მეორე აგრონომი. კარგი მწვანეა, ნიკლიჩ, სადღა მიედივართ? ერთი კარგი შავი ციკანი მგელს შევაჭმევინოთ და...

პირველი აგრონომი. მდინარის პირია, ნიკლიჩ. ერთი ბულდოზერი და მაგის ჯანი, მდინარე გადავკეტოთ და... (ხელს იშვერს მდინარისაკენ).

დირექტორი. არა, არა, ბაგრატას თავხედობა უნდა დაისაჯოს! ეგენები მერე...

მეორე აგრონომი. სულაც დვიჟოკი ჩამოვიტანოთ, მაინც ერთი ნაპრაკატა კინო გადის...

დირექტორი. არა, არა, ბაგრატას თავხედობა თუ არ დავსაჯეთ, დაგვჭამენ კიდეცა ქალები! (ქსენიას). მაინც რა უქნია მაგ მამასულკეტიანსა, მაგასა, ჰა?! ქსენიასთან ბოდიში, ქალია და ქალწული, მაგრამ, ინტიმურად გეუბნებით. ქუდი რო შემიგდონ, მაინც ვერა! (მდინარისაკენ გაიხედავს). ოპ, მართლა კარგა კი მოჩუხჩუხებს ეს ჩვენი ფრონეი, ბულდოზერიც არ გვინდა. ხელდახელ გადავკეტავდით. აუ, რამხელა ციმორი ამოთამაშდა! მართლა, იმ დღეს გავიგე, რო ღვიძლი ვისაცა ვჭკივა, ცოცხალ-ცოცხალი ლიფსიტები უნდა ყლაპო აბებივითა თურმე, უებარი რამ ყოფილა. უკაცრაულ პასუხია და, ნაღვლი ბუშტსა თურმე ისე გამოგიჩოთქავენ, რომა, რი ბორჯომი, რა ბორჯომი!

ქსენია. მაგაზე უებარი, კაცრაულ პასუხია, ნიკლიკიჩ, და ღვიძლი თუ გაწუხებთ, უკაცრაული პასუხია და მაგაზე უებარი მაქვს გაგონილი, უკაცრაული პასუხია...

დირექტორი. თუ მეტიმეტი უკაცრაულია, რომც ვიცოდე, სატკივარი მომ-

კლავს, მაინც ვერ მივიღებ, ქსენია! ქუდი რო შემიგდონ, ვერა! ქალი ხო არ გაწყვა ქვეყანაზედა...

ქსენია. საცა ამდენი, ნიკლიკიჩ, უკაცრაული პასუხია, იქაც...

დირექტორი. ვერა-მეთქი, ქუდი რო შემიგდონ...

ქსენია. უკაცრაული პასუხია და, ნიკლიკიჩ...

დირექტორი. ქუდი რა ბედენაა, ვერა!..

ქსენია. ნიკლიკიჩ!..

დირექტორი. ვერა, ქსენია!..

ქსენია. უკაცრაული პასუხია და სად მივდივართ?

დირექტორი, ვერა, ქსენია!

ქსენია. სად მივდივართ-მეთქი, ამის თქმა მინდოდა...

დირექტორი. (გაოცებული). მთელი სოფელი ფეხზე დგას და რა ვქნა, აქამდინ არა გაგიგია რა? აგე, კაცების გუნდიც მოდის.

პირველი აგრონომი. (ქსენიას ხელმკლავს გამოსდებს) ეს გეიან მოვიდა, ნიკლიჩ, მე ავუხსნი საქმის ვითარებას. (განზე გაჰყავს აგრონომს ქსენია).

დირექტორი. (ულვაშებში ჩაიცინებს). ტარხუნებში არ გადახვიდეთ!

პირველი აგრონომი. (თავმომწონედ). ამდენი ოხრახუშობანაც აღარ შეიძლება, ნიკლიჩ.

ქსენია. (აგრონომს). ოღონდ შენ რამე გაბედე და, ისლიანი ქოხი კი არა და, არაფერი არ მინდა შენი, გაბედე, ჰა!

პირველი აგრონომი. (მამალივით აფახურდება ქსენიას გარშემო). ყიყლიყოო! ყო-ყო-ყო-ყო-ყო...

მეორე აგრონომი. (ზურგს შეაქცევს). მე ვითომ აქ არა ვარ.

პირველი აგრონომი. (ფაფხურობს, წვალობს). კუდახ-ტახ-ტახ! კუდახ ტახ-ტახ!

ქსენია. (ხელს ჩაიქნევს). ეეჰ, შენ აღარაფერი გეშველება!..

შემოუერთდება ლევანა მჭედლის გუნდი. ლევანა რაღაცას უჩურჩულებს ხოლმე თავის ხალხს და ერთბაშად ატეხენ ხარხარს. დირექტორი თითქოს თავს იკავებს, მერე კი მასაც გადაედება სიცილი.

სურათი მეთორმეტე

წლისთავი

დირექტორი. ოხრახუში ტარხუნებში. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ჭალები, კაცები, ყველა იცინის. შემდეგ, ლევანა მჭედელი წაიჩურჩულებს რაღაცას და კვლავ იფეთქებს სიცილი. უცბად ისინი ერთი ლამაზი ალაყაფის წინ აღმოჩნდებიან.

დირექტორი. (ხელს გაიშვერს სახლისკენ). აგრალე, მოვედით კიდეცა. ბაგრატა! (დაიძახებს).

ჩამიჩუმი არ ისმის სახლიდან. ალაყაფზე ორი ბრტყელი, სამგლოვიარო შავი არშიაა ჩამოკიდებული. ცოტა კი შეიშმუშნენ, ბაგრამ ჯერ ვერას მიხვედრილან.

დირექტორი. ბაგრატა, შე ქითაბძაღლო! (კვლავ დაუძახებს).
პირველი აგრონომი. მგონი, რაღაცა ამბავია (შემკრთალია).
დირექტორი. ჰა?.. (თავს მოიქექავს, ჩაფიქრდება),

პირველი და მეორე აგრონომიც მოჰყვებიან თავის ქექვას.

ნელ-ნელა გაიღება ალაყაფის კარები. შავადმოსილი ხნიერი ქალი გამოვა ეზოდან. ღია კარიდან მოჩანს ეზოში გაშლილი სამძიმრის სუფრა. ქალი ბაგრატას მეუღლეა.

ქალი. გამარჯობათ, ხალხნო! თქვენ კარგად იცით, რო დღეს წლისთავი გვაქ ჩემი უბედური ბაგრატას გარდაცვალებისა, მაგრამ ადათია და წესია, რომ, ვიდრე თამადა არ გამოაცხადებს ჭერის ახდასა, მანამდე სიცილი მიცვალებულის უპატივცემლობასა ნიშნავს. მობრძანდით. (თქვა ბაგრატას მეუღლემ და სტუმრებს ეზოში შეუძღვა).

დირექტორი. (აგრონომებს). თქვენ, ჰეი, დუიაქო, აქ მობრძანდით! (თავისთვის ბუტბუტებს). წლისთავიო, ჭერის ახდაო? (მისკენ წინ გამოჭიმულ აგრონომებს). რომლის ზონაში შედის ბაგრატაი, ჰა?!

მეორე აგრონომი. (შემკრთალი). ჩემ ზონაშია, ნიკლიჩ...
დირექტორი. (მკაცრად). მერე, სად არი ბაგრატაი, ჰა?!
მეორე აგრონომი. (დაბნეული. ფიქრობს). არ ვიცი... კარგა ხანია... სამუშაოდ აღარ გამოსულა... არ ვიცი... შევალ, წვრილად გავიგებ... (ეზოში აპირებს შესვლას).

დირექტორი. კრაზანა გაჯდება ლოყაზე, ყბა გაბერე! (მეორე აგრონომი ყბას მიუშვერს, დირექტორი გაჰკრავს). შე მამასულკეტიანო, წლისთავი ვისია დღესა?!

მეორე აგრონომი. (იგონებს, თავს იქექავს). ქიტესასი წინა კვირას იყო— ორი ხარი, ერთი მოზვერი და ერთიც თოხლი... სანდრასი, ორმოცი იყო, მაგაზე წინა — ერთი ჭრელი ძროხა და ერთიც უკუდო დედაცხვარი.

პირველი აგრონომი. სანდრასი წინა ხუთშაბათს იყო, წინა კვირას ლაღუნაანთ ლექსას ხარჯი იყო — ორი ხევსურული ძროხა, ორი სტავროპოლის ცოცხა ხარი და ერთიც თუშური დედალთოხლი, უკუდო და დუმიანი...

დირექტორი. მერე, მერე, შე მამასულკეტიანო!

მეორე აგრონომი. ბაგრ... ბაგრ... ბაგრრრატასი, მგონი, შარშან... შარშან... გარდაიცვალა, ჰო... ქელეხი მარხვით გადუხადეს და... იმიტომაც როგორღაც როა ნათქვამი...

პირველი აგრონომი. (შ ე ე შ ვ ე ლ ე ბ ა). ჰო, კირკაჟი ლობიო, ი ყრალი ჯონჯლის მწნილითა და მძაღე ზეთით... ხეკიცა ჰქონდათ გაყინული.

ლევანა. ჯონჯლი წნილი ისეთი მყრალი იყო, რო სუ სარეცხი სოდით ვიბანე გვამი.

დირექტორი. (დ ა უ ტ ე ვ ს ლ ე ვ ა ნ ა ს). შენ ვინა გკითხავს, ბალი ათი შაურიაო!..

ბაგრატას ცოლი. (ქ ვ ლ ა ვ შ ე ი პ ა ტ ი ჟ ე ბ ს). მობრძანდით, მობრძანდით, ერთი წლის შიმშილიც ეყოფა ჩემ უბედურ ბაგრატასა. რაც მალე შევჭამთ, მალე მიუვა, მობრძანდით. (შ ე ვ ა).

მეორე აგრონომი. აგერ, ხო თავისი პირითა თქვა, ერთი წლის ნაშიმშილებიაო. მა რა იქნება, ლობიო და ხეკი რო წლამდე ვერ ინახავდეს მიცვალებულსა მიწაში, ჩემი რა ბრალია, ნიკლიჩ?..

ქალები თანდათან თადარიგს იჭერენ, თმას იწეწავენ, ნელ-ნელა ცრემლსაც იდენენ თვალთაგან, ხალხი ეზოში შედის.

პირველი ქალი. (მ ო თ ქ მ ი თ). შე უბედურო, ოჯახისა და სოფლის ერთგულო, ერთი წელი როგორ გაატარე მაგ ქვესკნელში, ლობიოთი და ჯონჯლითაა!..

ქალები. (ე რ თ დ რ უ ლ ა დ). ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ! ქოთ-ქოთ-ქოთ!

(ყველანი გაშლილ სუფრას შემოუსხდებიან).

მეორე ქალი. ადრე ჩაშაქრებული ბადრიჯნი მურაბასავით ცოლ-შვილი ესე ხვთის ანაბარა როგორ დატოვე? შე უბედურო ბაგრატა, შენაა!

ქალები. (ე რ თ ა დ). ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ! ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ!..

მესამე ქალი. შენ რო თიბვა იცოდი, შე უბედურო ბაგრატა, რო გაუსვ-გამოუსვამდი, სრიალ-სრიალითა, ბაგრატაა!..

ქალები. (ე რ თ ა დ). ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ!

მეოთხე ქალი. შენ რო მორწყვა იცოდი, შე უბედურო ბაგრატა, შენ რო შეუგდებდი მეურნეობის ბოსტანში წყალსა და სანამ კარგა არ ჩააბუებუებდი, არ მოეშვებოდიი!

ქალები. ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ!

მეხუთე ქალი. ოჯახის მოყვარულო და ერთგულო მონა ბაგრატა, ვერ იქნა და ვერ გააძღე შენი დამწვარი ცოლი შენი სიყვარულითა, ბაგრატაა!..

ქალები. ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ!

მეექვსე ქალი. შენ რო თუთას დაარხევდი და დაარხევდი, შე უბედურო ბაგრატა, საფენზე დაცვენილს მეზობლებს მიართმევდი და შენ კი მიწიანსა ჭამდი. აკი მაინც ეგა ყოფილა ბოლოი, შე უბედურო ბაგრატაა!..

ქალები. ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ!..

მეშვიდე ქალი. შენ რო ხელაობა იცოდი თხელ ადგილებშია, ბაგრატა, ამოყრიდი და ამოყრიდი ცოცხალ-ცოცხალსა და თაბახით ჩამოატარებდი მეზობ-

ლებში ცოცხალ-ცოცხალსა და ნაყარ-ნუყრები შინ მიგქონდა, ავკარგიანოოოო!..

ქალები. ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ!

დირექტორი. კარგით, გეყოფათ, თქვე არგასაშვებებო! აბა... თუ რომელიმეს ფერმა გადაგკრათ და დაიმორცხვოთ!..

მერვე ქალი. არ გვეყოფა, ნიკლიჩ, სესხი და ვალია. ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ, ბაგრატაააა!..

ქალები. ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ!..

პირველი ქალი. ხილი ტონობით მოგდიოდა საკარმიდამოში, მაგრამ ზოგ-ზოგებივით მაგადნებში, ჩიტებებში და კრასნაიარსკებში არ გიზიდნია და ექვს-ექვს მანეთად არ გიყიდნია, ათშაურათა ჰყიდიდი ჩვენ საკოლმეურნეო ბაზრებზედა, შე უბედურო ბაგრატააააა!..

ქალები. ქოთ-ქოთ-ქოთ!..

მეორე ქალი. ზოგ-ზოგებივით შინჩამოსხმული გირები როდი დაგქონდა ბაზარზე, კილოში რო სამას გრამს ატყუებენ. იმათი დროც მალე დადგება, ბაგრატაა!

ქალები. ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ! ქოთ-ქოთ-ქოთ-ქოთ!

მაცნე. (წვრილხმით აჰყვირდება). კერესია! კერესიი!

დირექტორი. რა დროს კერესიაა, ჯერ ხაშლამა არ ჩამოთავებულა?!

მაცნე. კერესია, კერესიი! შილაფლავი მოდის, კერესია! კერესიი!

დირექტორი. (მაცნეს). აქმო, კრაზანა გაზის! (მაცნე მიუახლოვდება, ლოყას გაბერავს), რა გაღრიალებს?! კერესიაო, ჯერ ერთხელ ჩამოტარდა ხაშლამა და რა გაღრიალებს?! (ლოყაში გაჰკრავს. სხვებიც დაიძახებენ აქეთ-იქიდან: კერესია, კერესიაო).

პირველი აგრონომი. კერესია, ნიკლიჩ, კერესი! მართლა კერესია! შესაწირავის გამოცხადების დრო დგება. (წამოდგება და თითის ჭნევით ითვლის ხალხს). ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი, სამოცი, სამოცდაათი, ოთხმოცი, ოთხმოცდაათი, ასი, ასათი, ასოცი, ოცდაათი, ორმოცი... ათას კაცამდე გროვდება, ნიკლიჩ! ბარე, სუ ცოტა, ხუთი ათასი მანეთი მაინც შეუვა ბაგრატასა, ხუთმანეთობაზე რო ვიანგარიშოთ, სულ ცოტა...

დირექტორი. ხუთი ტონა კეხურა ვაშლის ანგარიშია, დეკემბრი ბოლოფასობაზე თუ ჩავაგდებთ, ჩვენში.

მეორე აგრონომი. ორტონანახევარი კეხურის ფასი, ადგილობრივ, ჩვენში, გაზაფხულზე, სანამ კლუბნიკა შემოვიდოდეს...

ქსენია. (აგდებულად). ერთი ტონა მაგადანში...

დირექტორი. (მაცნეს). რაკიღა კერესი ჩამოტარდა, დაიწყე!

მაცნე. კერესია, კერესიი!

დირექტორი. ჩემგან დაიწყე: შემიწევია ბაგრატას ოჯახისათვის, წლისთავის ხარჯზე, ღირებულება ოდენობით: ორი კილო კეხურა ვაშლი ფასი, უხალო, ნული, მაგადნი კვალობაზე.

პირველი აგრონომი. (დირექტორს). ტარა და მიდი-მოდი გამოვიდეს?

დირექტორი თავს უქნევს, მაცნე ღრიალებს.

მაცნე. (ჭყივის). ჩვენ დირექტორ ნიკლიჩსა შეუწევია დაზარალებული ბაგრატას ოჯახისათვის ორი კილო კეხურა, ნოლი, უხალო, მაგადანი კვალობაზე. ტარა და მიდი-მოდი გამოსულიააა!

აგრონომები, ხალხი: „შეეწიოს, ააშენოს!“.

დირექტორი. (ესიამოვნა და უმატებს). ხუთი კილოც მინდერი ლობიოს ადგილობრივი ღირებულება, თავისი ერთი კილო ნივრით, სახაშეს ღირებულებისა, შარშანდელი.

მისი ნათქვამი მაცნემ გამოაცხადა, ხმები: „შეეწიოს, შეეწიოს! ააშენოს, ააშენოს!“.

პირველი აგრონომი. (წამოდგება). დაზარალებული ბაგრატას ოჯახისათვის ერთი ყველეული, ბარბარობისწინა ფასითა, კუდახ-ტახ-ტახ!

მაცნე. (იმეორებს). მთავარი აგრონომი — ერთი ყველეული! შეეწიოს! (ხმები: „შეეწიოს! ააშენოს!“).

ქსენია. ერთი შინაური, კვერცხმოწყობილი, უმამლო დედლი ფასი, შემიწევია!..

მაცნე. ვეტერინარსა ქსენიასა ერთი შინაური, შეეწიოს!

ხალხი. შეეწიოს!..

დირექტორი. (წამოდგება). აბა, ნელ-ნელა დავიშალოთ. მეტი-მეტობა არ ივარგებს. მადლობთ, ბაგრატიაანო! ამის შემდეგ სუ ლხინსა და ქორწილში!

მაცნე. მეორე აგრონომი დაზარალებული ბაგრატას ოჯახსა დაეხმარა ათი კილო ნაქარი, ენესი ვაშლი ფასითა, წვენების ქარხანაში დაწესებული ფასის კვალობაზე, ტარა და მიდი-მოდი აქაც გამოსულია... და აგრეთვე, ერთი კილო ახალი პამიდვრის ფასითა! შეეწიოს, ააშენოს!

ხალხი. შეეწიოს!.. ააშენოს!..

დირექტორი ალაყაფს გარეთ გამოდის. ნელ-ნელა გამოჰყვებიან მას აგრონომები და ვეტერინარი.

მაცნე. (განაგრძობს). კოშკელიაანთ სონაი, ერთი კილო მაისის ბლი-ფასობით შეეწია ოჯახსა, ააშენოოოს!..

ხალხი. ააშენოს! შეეწიოს!

მაცნე. მუტრუკაანთ შაშოი შეეწია სამი კილო ახალი ჯონჯლიწნილი ფასითა, გაუწურავი, წვნიანათა და კონანახევარი ახალი ტარხუნი ფასითა, მანეულის წკეპლებზე როა გაკრული!..

ხალხი. შეეწიოს! შეეწიოოს!..

მაცნე. ბეხრეკაანთ მუშტი-ვანაი, შეეწია სამი კილო ბორჩალოდან შემოტანილი ახალი კარტოფილი ფასითა, სასწორის თეფშზე თითის დაკვრის გამოკლებითა! შეეწიოოს!

ხალხი. ააშენოს!.. შეეწიოს!..

მაცნე. ხეტარაანთ სოკრატი ოჯახსა დაეხმარა ორი კილო ვირგლა მსხლის ფასითა, მაისის გასულისასა, ააშენოს!

ხალხი. შეეწიოს! ააშენოს!

მაცნე. კოპვაჭრობის ჩვენი მაღაზიის ნოქარი, ზებზებოიაანთ ლევიაი, შეეწია ნახევარი დღის საკაჭრო კარაქის გასახვევი, კარდონივით სქელი ქაღალდის ფასითა, სასწორის მეორე თეფშზე დასადები ქაღალდის სრული გამოკლებითა!

ხალხი. (მ ძ ლ ა ვ რ ა დ). ააშენოს! შეეწიოს!..

მაცნე. მუხტარაანთ თემბოლაი შეეწია ერთი თავი სამჯერ მოხდილი ყველის ფასითა, შეეწიოს!

ხალხი. შეეწიოს! ააშენოს! აღარ მოახდევინოს!

მაცნე. ჰახრაკაანთ კოტეი, ტაქსის შოფერი შეეწია ტაქსი კარის ერთი გაღება-დახურვითა, შეეწიოს!.

მაცნე. ...უნივერმაღის უკანა კარებში ერთი შესვლა-გამოსვლითაა, შეეწიოს!

ხალხი. ააშენოს! შეეწიოს!

მაცნე. შეეწია სურამში ერთი წასვლა-წამოსვლითაა! ააშენოს!

პირველი აგრონომი შედის მაცნეს გამოსაყვანად.

დირექტორი. (ქ ს ე ნ ი ა ს ე კ უ რ კ უ რ ე ბ ა). ტარხუნებიი-ტურხუნებიი. მეტი-მეტებსა როშავს ეგ სულძაღლი, შეცდომაში არ შეიყვანოს ხალხი, არა ქსენიი.

ქსენია ჩუმად არის, არაფერს არ უპასუხებს, პირველ აგრონომს ამასობაში გამოჰყავს მთვრალი მაცნე. მაცნე დაუსხლტება მას ხელიდან და დირექტორის წინ აბორძიკდება.

დირექტორი. (მ ა ც ნ ეს). ხო არ დაგავიწყდა, შენა, ჰა?!

მაცნე. (მ ღ ე რ ი ს, ც ე კ ვ ა ვ ს, ა ღ ა რ ე პ უ ე ბ ა). ძროხის ენა. დაბუღუღი, ნივრით, ხშულათ შემწვარი, თავის აბიდუდულიით, გოჭის ხორცის ტაბუცუნი, აბი-დუდუმ-დუუდულიი! შეეწიოს! ააშენოს! ბი-დუდუ-დუუდულ! ნაკრძალების კალმახები კაკლის ფოთლით შემწვარი. შეეწიოს, ააშენოს, აბი-დუ დუმ-დუუდულ!

ხალხი. ტაში, ტაში, ტაში, ტაში!

დირექტორი. ყბაში! ყბაში! ყბაში! ყბაში! (მ ა ც ნ ე ზ ე გ ა ი წ ე ვ ს, ხ ა ლ ხ ი გ ზ ა ს გ ა დ ა უ ღ ო ბ ა ვ ს).

ხალხი. ტაში, ტაში, ტაში, ტაში!

დირექტორი. ყბაში! ყბაში! ყბაში! ყბაში!

მაცნე. (ე ნ ა ს გ ა მ ო უ ყ ო ფ ს). დიდუბეში შაშვი ვჭამე, ალაზანზე — ხოხბები, ჭიორაზე — კალმახები, სარაბუკში — ციკნები!

ხალხი. ტაში, ტაში, ტაში, ტაში!

დირექტორი. ყბაში, ყბაში, ყბაში ყბაში! (მ ა ც ნ ე ს დ ა ჭ ე რ ა ს ლ ა მ ო ბ ს, ხ ა ლ ხ ი ხ ე ლ ს უ შ ლ ი ს).

ბერიკაობად გადაიქცევა მთელი ეს ალიაქოთი. ისმის სასწრაფო-სამედიცინო მანქანების გაბმული საყვირის ხმები. ბერიკაობის აურზაური ნელ-ნელა ჩაჩუმდება. საყვირი თანდათან ძლიერდება. სცენაზე გამოჩნდება შავთეთრად აპრეხებული ხელის ურემი, რომელზედაც თავიდან ბოლომდე თეთრ მუშამბაში გახვეული ტახა ასვენია. ხელის სასწრაფო ურემს ტახას მეუღლე სიმონა მოაკორებს. მას გვერდით მოჰყვება თეთრხალათიანი, შაღალი, წარმოსადეგი გარეგნობის ექიმი. ურემი, თავის ეკიპაჟიანათა და თანმოყოლილი ექიმით, შუა სცენაზე შეჩერდება, თუმცა სასწრაფო საყვირები მაინც არ ცხრებიან. ექიმი ხელს მაღლა შემართავს და საყვირის ხმები დადუმდება.

მითქმა-მოთქმა, ჩურჩული.

ხალხი. ტახა და სიმონა! ტახა და სიმონა!.

ტახა (მოულოდნელად ამღერდება). წყალსა ნაფოტი ჩამოჰქონდა, ალვის ხის ჩამონატეხი.

სიმონა (ექიმს). წყალი სწყურია, ექიმო, და ეს წმინდა წყალი რომ დავალევინო, ხო არ აწყენს?

ექიმი. არაფერს არგებს, დაალევინეთ!

დირექტორი. (ექიმს). გამარჯობათ, ექიმო!

ექიმი. (მშრალად). გამარჯობას მომსვლელი ამბობს.

დირექტორი. დირექტორი ვარ, რაც არ უნდა იყოს. (როგორღაც ისე დაშარცვლა სიტყვა, რომ თვითონვე შეეშინდა მისი).

ექიმი. რაც არ უნდა იყოს!..

დირექტორი. ვაიმე! თაგვმა თხარაო, ისე მომივიდა, რაც არ უნდა იყოს! (ხშაშაღლა კვლავ დამარცვლა საბედისწეროსიტყვა). როგორა ვთქვა?.. რაც-რაც-რაც...:

ხალხი. ტაში, ტაში, ტაში, ტაში!

ექიმი ხელს აღმართავს, სირენები აყვირდებიან, ხალხი გაჩუმდება.

სიმონა. (ხალხს). წყლის ჭურჭული არა გაქვთ, ქალებო?

პირველი ქალი. (თავს იმართლებს). ძირგავარდნილი მაქ და არ წამოვიღე.

მეორე ქალი. (მორცხვად). ჩემიც მაგ დღეშია, ისეა დაფხავებული, რო სანამ სახლამდე მივიტან, იცლება და ისევ უკანა ვბრუნდები ხოლმე. ქმარი გამეყარა ამის თაობაზედა.

ექიმი ხელს მაღლა შემართავს, საყვირები ჩაერთვება და კვლავ სიჩუმე გამეფდება დარბაზში.

სიმონა. (თუშურ ქუდს მოიხდის, წყაროს წყალს გამოავლებს, შეავსებს და ტასას ასმევს). სულ იმას ვეჩიჩინებოდი, რომა, ნუღარ ადიხარ, შე ჩემის ცოდვით სავსე, ჩამოვარდები-მეთქი. აბა, მე სადღა მაქ თავი და... არც იმ ჩვენის ცოდვით სავსე ჭრელმა დედალმა მოიშალა უადგილო ადგილზე ასვლა კვერცხის დასადებათა და აღარც ეს ჩემის ცოდვით სავსე შეეშვა, ყოველ დღე ადიოდა სხვენზე ჭრელი ქათმის დადებული კვერცხის ჩამო-

სატანათა და, იმ დღესაც კიბე ჩამოუტყდა და ჩამოვარდა. კიბეზე ასულიც ბევრი მინახავს, ჩამოვარდნილიცა, მაგრამ ესე უბედურად დაცემულ-დალეწილი კი არა... (დაფერთხავს ქუდს, თავზე დაიხურავს.)

დირექტორი. მარცვლეულის დამზადების გეგმა შევასრულეთ და...

ექიმი ხელს შეაწართავს და სასწრაფო დახმარების საყვირების ხმები ჩაახშობს მის ბუტბუტს. კვლავ სიჩუმე გამეფდება.

ტასა. (მოულოდნელად). არღანჩიკო, დაუკა, ფაიტონჩიკო, გარეკე!

სიმონა. (ექიმს). მიმართულება მოგვეცით, ექიმო, მკურნალობა დაგვინიშნეთ.

ექიმი. სულ პირდაპირ იცლით! გზამ თუ მიუხვიოს, თქვენ მაინც პირდაპირ უნდა იაროთ. ხევი შეგხვდებათ — უნდა გადახვიდეთ, მთა შეგხვდებათ — უნდა გადაფოფხდეთ, მდინარე შეგხვდებათ — ფონი არ ეძიოთ!..

სიმონა. ამ სიგრძე გზაზე რა უნდა ვჭამოთ, ექიმო?

ექიმი. დღეში ერთი გირვანქა მზის სხივი, ნახევარი გირვანქა მთვარის შუქი, ^ვიდი შისხალი ვარსკვალთ ციმციმი, გირვანქანახევარი ზენა ქარი, ერთი მაგდენიც ქვენა ქარი. ეს ყველაფერი უძირო როდინში უნდა დანაყოთ დღეში სამჯერ. ფილთაქვის მაგივრად ყინულის ლოდი უნდა იხმაროთ. მკურნალობის ვადას იქ გეტყვიან!

ექიმმა ზეაწია ხელი, სიმონა დაიძრა, ტასა ამღერდა „სტაკანჩიკი გრანიონნიე ლეჟალი ნა სტალე...“ საყვირების ხმებმა ჩაახშო ტასას სიმღერის ხმა ერემი გადის. საყვირი დადუმდა. სიჩუმე გამეფდა. ყველა ელოდება ექიმის განაჩენს.

ექიმი. (დინჯად, დაბეჯითებით). ეს სენი, მეტ-ნაკლები სიმძაფრით ზოგიერთ თქვენგანსაც გადადებული აქვს!.. იგი გერია ჩვენი ცხოვრებისა, მაგრამ მოვადუნებთ თუ არა ყურადღებას, მყისვე ვრცელდება და ცუდ შედეგს იძლევა.

პაუზა

ექიმი. გვარს ნუ დავასახელებთ!

მთელი სცენა იმეორებს ჯერ ლათინურად, შემდეგ ქართულად.

საღი სული საღ ორგანიზმშია!
ყველაფერს საზღვარი აქვს!
ნუ დავივიწყებთ სიკვდილს!
რასაც ვერ განკურნავს წამალი, განკურნავს დანა დასტაქარისა.
რასაც ვერ განკურნავს დანა დასტაქარისა, ცეცხლი განკურნავს.
ხოლო, რასაც ვერ განკურნავს ცეცხლი, იგი განუკურნებელია.
მე როგორც შევძელი, ისე გავაკეთე, ვისაც შეუძლია, გააკეთოს უკეთესად.
დასასრული აგვირგვინებს საქმეს!

ყველასთვის
ყველაფერი

მოქმედი პირები

გოლათ, ინჟინერი, 35-40 წლის.
ზაურბეგ, ხელმძღვანელი მუშაკი, 60 წლის.
ქაძახბეგ. რევოლუციონერი, 80 წლის.
ასლან, ზეინკალი, 30 წლის.
გორგას, წესრიგის მცველი. 50 წლის.
ლენა, ზაურბეგის მეუღლე.
ზარეტა, ახალგაზრდა მთიელი გოგონა, 18 წლის.
სალა, მექანიკური ქარხნის დირექტორი.
რემვაზ, ხელმძღვანელი მუშაკი, ინჟინერი.
რენტორ, ხელმძღვანელი მუშაკი.
ჰამლეტი, ისტორიის მასწავლებელი, 40 წლის.
ბენო, ებრაელი, 40 წლის.
ნუნუ, მექანიკური ქარხნის ექთანი.
ვაჟა, საავადმყოფოს ახალგაზრდა ექიმი.
თბილისელი სტუმარი, ხელმძღვანელი მუშაკი.
ექიმი ნიღბით.
ნოდარი, მექანიკური ქარხნის კონსტრუქტორი.
ზაურბეგის მდივანი ქალი.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

პარტერიდან სცენაზე ამოდიან: ბოლათ, ასლან, ჰამლეტ, ბენო. ბოლათს შინმოუსვლელი გმირის, ბიძამისის სამხედრო ტანსაცმელი აცვია. ბენოს დიდი, ჰრელი ფუთა ჰკიდია. ჰამლეტს გრძელი ჭოკი უპყრია ხელთ. ასლანს დიდი საზეინკლო იარაღი უკავია. ადგან, სცენას აწყობენ.

ბოლათ. (ჰამლეტს). ჭოკით ხტომაში ვარჯიშობ, ბიჭო, თამარაშნელო ისტორიკოსო?. არავის მოსდო ეგ ჭოკი, ფრთხილად იყავი.

ჰამლეტ. განა ცოტა გვყავდა სახრით სატყეპი დიდი ლიახვის ხეობაში, გაღმა-გამოღმა?!

ბენო. მართალსა ბრძანებს ჩვენი ჰამლეტი, ჩვენი გიქმაჟი, თამარაშნელი ისტორიკოსი. ერთს დავუმატებ თქვენის ნებართვით, ჩვენო ბოლათ, გასაჯოხი და გასატყეპი მტკვრის ხეობაშიც გვყავდნენ, იცოცხლე!

ასლან. აქაც და იქაც, გაღმაც, გამოღმაც, იცოცხლეთ, გვყვანან ყურწაყრუების დროინდელი თვალხილული უსინათლონი, მეგობრობის და წინსვლის საქმეს რომ აბრკოლებდნენ ორჭოფული, უქმი ყაყანით, მოცლილი დგომით, მთქნარებით და უფრო მეტითაც, ავადმყოფური მანკიერებით, უკვე გმობილი საქციელით და საქმიანობით!..

ბენო. ჩვენი ძველი თეატრის ამ პაწია სცენაზე, (ნატვრით ჩაურთავს). ახალი შენობის აგებაზე თუ რეკონსტრაქციაზე დიდი ლაპარაკებია და იქნებ გვეშველოს! დიახ, ჯერჯერობით კი ამ ძველ სცენაზე დიდი ბრძოლები გაიმართება, მოწმე იქნებით გარდასულ დროის. ბევრს მოეწვება კუდიცა და ყურის ბიბილოც.

ასლან. ზოგი თავს იცნობს, ზოგიც ნათესავს...

ჰამლეტ. ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი გახლავთ, დაიმახსოვრეთ, თუნდ ოსი იყოს, თუნდაც ქართველი.

ბოლათ. კარგი, გვეყოფა, სადაც არის მობრძანდებიან „დიდი ბიჭები“ და აქ ნუ დავხვდებით, ჩვენს ჩანაფიქრს ნუ მივახვედრებთ.

ასლან. ჯერ იმათა თქვან, მერე ჩვენც ვიტყვით...

ბენო. მაგრადაც ვიტყვით, ყოფას ვუტირებთ!..

ჰამლეტ. მეგობრობის ხე უწყლოდ იდგა მეგობრობით სახელგანთქმულ კავკასიაში და მუმლი ურბენდა გარშემო, მუმლი გვიჰამდა.

ბოლათ. მუმლი მუხასაო.

ჰამლეტ. გარს ეხვეოდაო,

ახლან. მუმლი კვდებოდაო,

ბოლათ. ხე — ხედ რჩებოდაო.

გადიან.

(ოსური ხალხური საფერხულო მუსიკა, მექანიკური ქარხნის ყოფილი დირექტორის ზაურბეგ გულართეს მჭექარე ხმაზე „ჰოპ-ჰეი" ფეხისწვერებზე შემდგარი ნაქეიფარი მოცეკვავეები გამოდიან, ზაურბეგი ტაშით ახურებს მოცეკვავეებს, მჭექარე, საცეკვაო შეძახილებს კოვის ხანგამოშვებით).

ზაურბეგ. ჰოპ-ჰეი! რენკი-ტერეკე, რენკე-ტერეკე, რენკე-ტერეკე, ჰოპ-ჰეი! ფეხის წვერებზე! ფეხის წვერებზე!..

ხალა. ფეხის წვერებზე აღარ შეგვიძლია, თანაც ჩქარია, ზაურბეგ კაძაბეგოვიჩ, დაგვიშვი დაბლა და თუ გინდა დილამდე ვიცეკვებთ... ჩამოვწყდით ხალხი.

ზაურბეგ. კარგით, დაეშვით ფეხისგულებზე ჯერჯერობით. ოღონდ ტემპმა ომატოს. ჰოპ-ჰეი!.. რენკე-ტერეკე, რენკე-ტერეკე, ტერეკე... (განაგრძობს მოცეკვავეთა შეხურებას.) გათენებამდე უნდა ვიცეკვოთ! ჰოპ-ჰეი! ის მთაც ტორტმანებს, აგერა ისიც, მეორე მთაც, მესამეც, მიდი!.. წყალგაღმაც ბუქნავს კიდევ ორი მთა, ეგ რომელია?

გორგას. ეგ უკვე გორის რაიონია... „მოდი-მნახეა", ეროი, მეორე კიდევ...

ზაურბეგ. რას გაუყვია ჩვენი და სხვისი, ერთნი არა ვართ?! ცეკვავს ქვეყანა ეს დალოცვილი! ფეხი გაუსვი, გორგასლიუს, ერთი წრე კიდევ შეშვიაროთ (ცეკვავენ, ზაურბეგი სივრცეს გასცქერის, ტორტმანებს.) ის დიდი მთები, კავკასიონის გოლიათებიც შეინძრნენ მგონი! ჰო, ბარბაცებენ, თავებს ახლიან ერთი-მეორეს, ირღვევიან და... რაები ხდება. რევაზ, სალა, რევაზ, აქ მოდი!

რევაზ. მე მაგეებისა არა ვიცი რა, პატარა მთებს კი გოგასლას ვეტყვი და ახლავ დაკეტავს... ეყოთ, რაც ჭამეს! ახლავ დავიფრენთ, სულაც ჩამოვწერთ, თუკი აქტზე ხელს მოგვიწერთ.

ზაურბეგ. ჩამოსწერეთ და რაიონებს გადაეცით (ჰაერში მოხაზავს ფანტომილიებს). გაიქე ახლა და კუზიანი ღუმელი შემოიტანე, ჩემის ხელით ამ ოცი წლის წინ დამზადებული. სალა ვაკურთხოთ მექანიკური ქარხნის დირექტორად, ინჟინერია, საქმე იცის, ხუთი წელი ჩემს მოადგილედ მუშაობდა, ეგრე არ არის?

რევაზ. მეც მოადგილე გახლდით თქვენი, თუკი ეგრეა. დირექტორობა არც მე მაწყენდა.

ზაურბეგ. კარგი, ჯანდაბას!.. შეჯიბრს მოგიწყობთ და ვინც გაიმარჯვებს, იმას ერგოს, იმას დავნიშნავთ! (შეშფოთებული.) გორგასლიუს!.. შენ ეს მითხარი, კავკასიონის დიდი მთები რათა ტოკავდნენ?! ანდა, ის კაცი ვიღა იყო, მთებს რომ ღებავდა, წვერებიანი მოხუცი, ფუნჯით?..

გორგას. ზამთარი გახლავთ, წელიწადის დროთა ცვალებადობა, ერთი მეორეს ცვლის, ზოგი თეთრია, ზოგი მწვანე, ზოგიც ყვითელი...

ზაურბეგ. სხვა არაფერი?.. ეგ ხომ მეც ვიცი! მაგას რა დიდი გაგება უნდა! ჩვენ არ ვიცვლებით, მაგრამ ვდგავართ, ამ მთებზე მაგრად და ასეც ვიქნებით, ჰოპ-ჰეი!..

მოცეკვავენი. ასეც ვიქნებით, არ შევიცვლებით!.. ჰოპ-ჰეი!

(შეშოაგორებენ თეთრნაჭერგადაფარებულ წითელი ბაფთით შეკრულ თუნუქის ღუმელს, რომელიც ზაურბეგს თავისი ხელით დაუმზადებია, როცა ქარხანაში რიგით მუშად მუშაობდა, ისშის ფანფარების ხმა. დიდი საზეიმო განწყობილება სუფევს.)

ზაურბეგი. (ხელის აწევით ხალხს აწუნარებს). ზამთარი ზამთრობს, ჩემო ხალხო!.. ეს ღუმელი მე ჩემის ხელით გავაკეთე მექანიკურ ქარხანაში როცა ვმუშაობდი, ჯერ კიდევ მაშინ... მუშა ვიყავი, საამქროს გამგედ დავწინაურდი, დირექტორადაც დიდხანს გახლდით. აი ამ ხელებზე ჩაქუჩის ცემით დავიწყე წინსვლა, შრომა და წინსვლა. ბევრი ბრჭხილი გამოვიცვალე, ბევრზედ ბევრი, საწყალი კაცის ერთ თონესაც გაახურებდა, რამე რომ იყოს... ზოგს ჰგონია, რბილ სავარძელში დავიბადე.

ხალხი. კაძახბეგოვიჩ?!.

ზაურბეგი. ეგრე არ გახლავთ... ამაზე, მერე... დიახ, ეს ღუმელი ხომ ძველისძველია, ამან გაათბო კავკასიონის სამხრეთ კალთები, ომიც, მშვიდობაც, მრავალი წელი გამოგვატარა, ამ ჯადოსნურმა, კუზიანმა, პატარა კვიცმა თავის ძმებითურთ, ჩვენს ქარხანაში დამზადებული ზედადგრებითა და ტაფებითურთ. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დღემდე ანთია და მთელი ხალხის საოჯახო სამსახურში ჯერ კიდევ დგას.

გორგას. კმაყოფილია ჩვენი ხალხი, კაძახბეგოვიჩ, ყველას ახსოვს, ყველა გაფასებთ, ყველას უყვარხართ! (სტუმარი მაკრატლით ჭრის ლენტს, ღუმელს ხაჭერს გადახდიან. ამ დროს ღუმელი შეტოკდება, ზაურბეგსა და ვახტანგს შეშფოთებული სტუმარი ხელში აყვანილი წინა პლანზე გამოყავთ).

ზაურბეგ. გორგასლიუს, სეისმოლოგებს შეატყობინე მიწა იძვრა, თუ რაშია საქმე, მთების ამბავიც დამიზუსტე, ჰკითხე. გამიგე!..

სალა. ნასვამები ვართ, კაძახბეგოვიჩ, და გვეჩვენება. მექანიკური ქარხნის დირექტორის პოსტზე ჩემი დანიშვნაც გამოაცხადეთ, თორემ...

ზაურბეგ. იოლად გინდა თანამდებობა, ჩემო სალავ, იოლად გინდა, მაგ-

რამ, რევაზმა კარგი წინადადება შემოიტანა, ასე აჯობებს ყველას თვალში, მე როგორც ვფიქრობ... რევაზ და სალავ, გაახურეთ ჯადოსნური კუზიანი კვიცი ისე, რომ დაებრაწოს ორივე გვერდი, კარგად გაფიცხდეს. მერე, ვინც გაბედავს და ეამბორება ერთ-ერთ ლოყაზე, სულ ერთია, რომელიც გნებავთ, სთვითონ ირჩიეთ, ჰმის იქნება დირექტორის თანამდებობა: აბა, ჰოპ-ჰეი! ჩქარი ტაში და ცხელი პაჩი. (ღუმელის გარშემო გაჩაღდება ცეკვა).

რევაზ. ჰა, თუ მერყეობ, ჩემო სალავ, ჩამომეცალე, ვინც უფრო პირიანი ვაჟკაცი იყოს, თანამდებობაც იმისი იყოს!

სალა. იქით გამეცა, რევაზო, თუ არ ხარ გადარევასო! (კოცნის ღუმელს. ზედ ეკიდება, მივარდება ლენა და პირსაუკრავს.)

ლენა. რა საქციელია, მითხარი. ეს რა საქციელია, მოხუცებული მამაშენი რომ ჩაკეტე...

ზაურბეგ. მიეჭარე, ლენა, გამოვასწორებ...

ლენა. გითხარი თავის დროზე, ამ ზაფხულს მთაში გავუშვათ-მეთქი მოხუცებული, ბალახს მოძოვს-თქო, გითხარი, მაგრამ არ დამიჯერე...

ზაურბეგ. მიეჭარე, ჩემო ლენავ. მეტს აღარ ვიზავ, გამოვასწორებ! დიდ ბოდიშს გიხდით, ჩემო სტუმრებო, ამ პატარა დაუდევრობისათვის.

სტუმარი. რას ბრძანებთ, ზაურ კაძახბეგოვიჩ, არც ერთი წუთით, არც ერთი წამით! კავკასიურმა სიფიცხემ და ჟინის ჭენებამ გადაგვავიწყა... მოხუცებულიც მიჰქარავდა, მაგრამ, ეგ არაფერი... მთლიანობაში, გულწრფელად გეტყვით, შესანიშნავად უძღვები სუფრას და საქმეს, შეხამებულად! გეგმა, ამბები, დიმტირამტები — რამტირიმტები. (ცეკვავს თავისებურად).

ზაურბეგ. აქ, ჩვენს ქალაქში, პატივცემულო, თქვენის ნებართვით, ჩვენო ძმებო და უშუალო ხელმძღვანელებო, მექანიკური ქარხნის გაუდაბურებულს მიწაზე, იპოდრომის დიდ მშენებლობას ვიწყებთ... მაგრამ რა ვქნათ, კადრები არ გვყავს, არა და არა. თუ კი ვინმე ჩვენიანი რამეს ისწავლის და რამეს მიაღწევს, თბილისში გარბის, მოსკოვში და ვლადივოსტოკში. აქ დარჩენა ჩვენი პატარა ერის გასამხნევებლად და საქმის წასაწევად არავის უნდა, შუა თაობა გავწყდით წელში... ამოდენა კი აღარ შეგვიძლია!.. (შუბლს იწმენდს დიდად შეწუხებული).

სტუმარი. საყოველთაოდ აგრე გაბლავთ, ახალგაზრდობა მირბი-მორბის, ძველები ვდგავართ... უნდა გავუძლოთ, რაც შეეხება იპოდრომის მშენებლობას, ბიუჯეტშია, დაგაფინანსებთ. თქვენ ოღონდ მიდით, იჭენავეთ!..

ზაურბეგი. (ღუმელზე შეხტება). მშვიდობიან დროს, რაც მართალი-მართალია, ასეთ საქციელს ბევრი ვერ გვიჩვენებს, ყოჩაღ, სალა!

სტუმარი. დიდებულია! დიდებული! ცეკვა და სიტყვა ასე ლამაზად შეხამებული, ჩემო ზაურბეგ, არც მინახია და ვერცა ვნახავ, ამ ნიჭიერი ქალაქის გარდა, ყოჩაღ, შენ სალავ, მამაცობისათვის. ტაში! ტაში!

რევაზ. ზარეტასთანა მზეთუნახავი თუ დამზეთავდა, ღუმელს შევეჯამდი ნაკვერჩხლიანად. (ზაურბეგი ფეხს ჩაჩრის პირში). ვაშა ზაურბეგს! ჩვენს უბადლო ხელმძღვანელს!

ზაურბეგი. (ფეხს უსვამს ღუმელზე). ამოხტი ლენა! ახალგაზრდულად ამაჩუჩუნა მამაპაპურმა ცხელმა ღუმელმა.

ლენა. მაგ სიმაღლეზე რა ამომიყვანს!.. სიბერეს განა ვუჩივი, მაგრამ, გიჟური ცეკვა კაბის კალთებს ამიფრიალებს და იეჭვიანებ... მე აქ გავუსვგამოვუსვამ, ჩვენს სტუმართან (სტუმართან ცეკვავს).

ზაურბეგი. (ეძახის). ზარეტა, ზარეტა! (მოქეიფენი შემოიყვანენ ზარეტას). მოდი, ზარეტა, ცეკვა შენი მოგონილია... მოდი, არავინ შეგეპამს, ჰოპ-ჰეი!

ზარეტა. ცეკვას რა უნდა, ხელის გაშლა და ფეხის გასმა (შეხტება ღუმელზე).

ზაურბეგი. (ფრთხილად, რომ არ გადმოუხტეს ზარეტა, ხელს მოხვევს წელზე). ვინც რა უნდა თქვას, ჩემო ზარეტა, ჩემს ნათქვამს მაინც ვერ აჯობებს, ჰოპ-ჰეი! (გადმოხტება ღუმლიდან, ერთ წრეს უვლიან). სეზამ გაიღე! (დასჭექს ზაურბეგი და ზარეტას სცენის სიღრმეში გაიტაცებს. მოქეიფენი თან შეყვებიან, შუქი ქრება სცენაზე, გამოვარდება დამფრთხალი ზარეტა, ზაურბეგი მოსდევს ღამის ფარნით, ეძებს, დაინახავს და კვლავ დაედევნება სცენის სიღრმეში. გამოიკვეთება ზაურბეგის მამის, კაძახბეგის ფიგურა).

კაძახბეგი. რისხვა დაგეცეთ! ეგ პატარა გოგოც აიყოლიეთ, შეგრისხავთ ღმერთი! ჩააქრეთ ცეცხლი, სასწრაფოდ გამოუკეთეთ. სკამცხენოსნებო! მასხარებო! მედროვეებო!.. აფსუს, შვილებო, ბოლათ, ახსარ, ბერლინის კარს რომ შეალეწეთ მამაპაპური, ჯავშანი, გასაღებიც გამიკარგია თქვენი ოთახის, აფსუს!.. ზარეტა, ზარა!..

გორგას (თავზე წამოადგება). რას იქექები, მოხუცო, რა დაგიკარგავს, ჯიბეს რომ იხევ? (ცხენის კამიდან ჩამოქვეითდება).

კაძახბეგი. შინმოუსვლელი ჩემი ბოლათის თალხი კარის გასაღები დამკარგვია, მინდა მოვძებნო და იმ წმინდა ოთახს შევეხიზნო ერთიხანობა, ვიდრე სიგიჟე გადაგივლით და ჭკუაზე მოხვალთ. უგუნურებო! მწვანე ხალათი და შარვალი ჯარისკაცური დამტვერილი დევს მაგიდაზე, როგორც სანგარში... მინდა დავხედო, მტვერი გადავაცალო. ზარეტა! ზარა! სკამის დარაჯო, ჩააგე ხმალი, კინაღამ თვალი გამომთხარე მოხუცს, რა ჰქვია თავხედს, ნეტა ვიცოდე!..

ვახტანგ. ცოტა ჭკვიანად, ბერიკაცო! ხალხში გორგასალს მეძახიან შემართებისთვის, კარგოევი ვარ გვარად, მიცანი? მექანიკური ქარხნის ყოფილი დაცვის უფროსი... ახლა... ყველაზე უფროსი!..

კაძახბეგ. თვითნაკეთი ჩანს ეგ შენი დაშნა, მამა-პაპური ელვარება ზედ

არ ეტყობა. მუზარადი კი გადევს, მაგრამ, ეგ ის არ არის, გორგასალი რომ ატარებდა თავგრძელ ლომიანს, კოღოების საფრთხობელას ჰგავს. ო, მასხარებო, ცრუმხედრებო, ქვეყნის რისხვა დაიმსახურეთ. დაიმახსოვრეთ!.. გვიან იქნება... გვიან იქნება, მაგრამ იქნება... დაიმახსოვრეთ!.. ზარეტა! ზარა!.. სადა ხარ ყოგო!

გორგას. ჩვენი ზაურბეგის, ხელმძღვანელისა და დიდი მხედრის მამა არ იყო, მე გაჩვენებდი მაგ სიტყვებისთვის სეირს, ბებერო!

კაძახბეგ. ძალა აღმართს ხნავს ჯერჯერობით... ერთს კი—გეტყვით, რომ ცრუ ბოლს აყენებთ. დაშნა ხელთა გაქვს, მაგრამ გიხსოვდეს ჩემი ნათქვამი: [illegible] თქვეხსას აჯობებს და აი მაშინ, პირში კბილებიც რომ არა მქონდეს, ლიახვის კენჭებს ჩავიყრი და მაგ ჟანგიანს, მეფეჩოხის ქარხანაში ნაკეთებ დაშნას გადაგიკვნეტავ.

გორგას. ფეხებს ვერ მოგეჭამ, ბერიკაცო! ის დრო ისეთი გახლდათ და გმირიც გახდა შენი ბოლათი, ახლა ასეა, ასე სწირავს დიდი ბასილი, რესპუბლიკის პატრიარქი და მისი ქათქათა ფოფოდია, დიასახლისი. ვის რა ფეხებს შოჭამთ. პირი კი არა და, დიდი ლიახვის რიყითაც რომ ამოივსო სუყველაფერი!.. ჰოპ-ჰეი!.. ჩენკი-ტერეკე! (შეახტება ცხენს და გამოაჭენებს).

კაძახბეგ. შენი ოთახის გასაღები დავკარგე, შვილო, შინმოუსვლელო, ბერლინის გმირო... და მას შემდეგ ასე დავბორიალობ... ძალა არ შემწევს, რომ კარი შევანგრიო, შენს ფარაჯას გვერდით მოვუწვე და დავისვენო სამუდამოდ... მთაში წავიდე!.. აკსაკალი როგორ დავტოვო? (ნართებიდან იტყვის ტაეპს).

„ვიღას სცალია, რომ იარაღის
სიკეთე აქოს, მოსინჯოს ხმალი:
საქონელიც კი მოსპეს, შეჭამეს, —
არავის დარჩა არც ნატამალი“...

ზარეტა, ზარა, სადა ხარ, შენც დამეკარგე?.. შენცა, გოგო! ამ ჭრელ-ჭრელ სახლში უნდა შევიდე ისევ, ბროლბრულიანში და უთენებელი ღამე ვათიო!.. ო, ღმერთო ჩემო!

(გამოდის ზარეტა მოღლილი ნაბიჯით... გრძელი ნაწნავი აღარ ამშვენებს მის სადა კაბას და აღარც სადა კაბა ამშვენებს მის ნატიფ, ჭალწულის სხეულს, ღუმელთან ჩაიჩოქებს, თავს ჩარგავს მკლავებში).

გორგას. (შემოვარდება, დაინახავს, ფრთხილად მიუახლოვდება). ო, პატარა, ნარელო ჩიტო, ნარზე დაგძინებია. ნუ გეშინია, არაფერს გიზამს ალალი... რომ არ შეგცივდეს ფეხს გავახურებ, ნაღვერდალს გავქეჩავ ღუმელში (დაშნას ღუმელის სანათურ-საკმელს შეუჩიჩხვირებს).

ზარეტა. დავიყვირებ და ყველა აქ მოვა, სულ ერთიანად, წადი!

გორგას. (დაშნას უფრო ღრმად შეყოფს, ღუმელი აბრი-

ალდება). ჩემი შიშით დაბლა ჭიანჭველას და მაღლა ფრინველს ვერ გაუვლია... ნუ გეშინია, მე უბრალოდ გავიმეორე რაც უკვე იყო... (დაშნას ბოლომდე შეყოფს).

ზარეტა. აა! ნადირო! აა! (გადავარდება).

გორგას. (დაშნას გამოაძრობს). მორჩა, ნიბლიავ, ნარელო ჩიტო... ფაფუ-ფა... აჰა, შენ ფუ-ფუ-ფუ-ლი... იყიდე რამე რიგიანი..:. გაიხარე-გამახარე::: გვრიტები, მარგალიტები. (ფულის შეკვრას მიაჩჩებს).

ზარეტა. მე მაინც ნადირს დაგიძახებ, ნადირო, წადი!..

ვახტანგ. წავალ, ხოხობო, ხოხობობა დავამთავრე... თუ დაგჭირდე, აჰა, სადარბაზო ჩემი ფურცელი...

ზარეტა. ღამეში ორი ღამე ყოფილა...

გორგას. უფრო მეტიც, თავს შემოგევლე, ჯერ გარიჟრაჟიც არსადა ჩანს, განთიადისას რომ შეგაჟრჟოლებს, შენ თვითონვე დამირეკავ, მაგრამ ტყუილად, არა მცალია ხვალ და ზეგ, არც მაზეგ, პარასკევი, შაბათი და კვირა, თუ გინდა, ეგ დღეებია ჩვენში სანადიროდ დაშვებული... ზღვაზე სულ სხვაა..:: იქ გადამფრენი ფრინველებია. გინდა საუკეთესო საგზურს გიშოვნი... აგვისტო გაწყობს?

ზარეტა. მხეცი ყოფილხარ, სულ მთლად ნადირი!

გორგას. მონადირე ვარ... მონადირე! სეზამ, გაიღე! (გადის).

(ზაურბეგს შემოჰყავს სტუმარი და გზავნის ზარეტასთან)

სტუმარი. ო, ნარელო ჩიტო, საძაგელმა ალალმა შეგაშინა, განა... იმას ვაჩვენებ, თბილისში ჩავალ და ბრძანებას დავწერ მაგის მოხსნაზე. პირველი კაცი ჰგონია თავი... მაგას ვაჩვენებ სეირს, ნარელო ჩიტო.

ზარეტა. შენც ნადირი ხარ, იქით გამეცა!

სტუმარი. ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ... (შეტეხის ფულს ღუმელში, ღუმელი გავარვარდება...).

ზარეტა. მხეცო, ნადირო, მხეცო, ნადირო (მოიკუნტება ღუმელთან, მუხლებზე დაწყობილ მკლავებში ჩარგავს თავს, მხრები უთრთის).

სტუმარი. აქაურობას მიქებდნენ და სწორი გამოდგა... აჰა, შენი პატარა თოჯინა (აწვდის თოჯინას). თუ შეგაჟრჟოლოს, აჰა, ჩემი ულვაშის ღერი, ღუმელში შეუკეთე და მეც აქ გავჩნდები... კარგი? ნახვამდის, სეზამ, გაიღე!.. (გადის).

(ზარეტა წამოდგება, კაბას ჩააცვამს თოჯინას, ღილებს შეუკრავს. მაყურებლისაკენ შებრუნდება და მიმართავს):

ზარეტა. ვის გინდათ პატარა, ოსური თოჯინა... მთის სოფელში, სუფთა ნაჭრისაგან დამზადებული? (დარბაზს ათვალიერებს, თანთოჯინას ანანავებს). არავის გინდათ პატარა თოჯინა, სუფთა მიტკლისაგან

შეკერილი... ნუთუ არავის?!.. ცეკვავს ქიდევაც, მღერის და ლექსებიც იცის... აი, ნახეთ! გნებავთ, ლექსს გეტყვით:

„ორი პაწია კატუნია ჩვენი სახლის ბანზე ხტის და ერთობა,
მე უერთობი მათი ლამაზი თამაშის ხილვით“...

ზარეტა. ხალხო, აიღეთ, გამომართვით ზარეტას თეთრი თოჯინა. თამაშის უფლება აღარა აქვს მას ამიერიდან. რა საზარელი ამბავი მოხდა, თქვენ კი სხედხართ რბილ სავარძლებში და სეირს უყურებთ. აჰა, ვის გინდათ?! (ათვალიერებს). მაშ არავის?.. არავის გინდათ, აღარავის?

ზარეტა მთელი სხეულით გადაეფარება გავარვარებულ ღუმელს, ის წამია, რაც ზარეტამ თოჯინა დაწვა და თვითონაც გადაეფარა გავარვარებულ ღუმელს, რომ მექანიკური ქარხნის შესაშე ცვლის მუშები და ინჟინერი ბოლათი გამოჩნდებიან. სპეცტანსაცმელი არ გაუხდიათ, ჩურებით იწმენდენ ხელებს).

ბოლათ. (ერთი ნახტომით გაჩნდება ღუმელთან). რამ გააშწარა ეს უბედური? ვინც გინდა იყოს... ვაი... ზარეტა... მობარებული პატარა გოგოა — მთის გვირილა!

ასლან. რაო, ბოლათ? რა თქვი, ვინაო?.. დაშრული აქვს სახე მთლიანად, როგორ იცანი? ვაი, ზარეტა... ნარელი ჩიტი... მზეწვია გოგო... დამწვარა, ხალხო! (შეეშველება, ღუმელიდან იღებენ). სასწრაფო მოდის. ო, როგორ კივის!..

ბოლათ. ცარიელი კივილიღა შერჩათ თავის დანიშნულებიდან.

ნუნუ. მოვალეობიდან საყვირიღა შემორჩა, სწორია... ჰეშმარიტება ბრძანეთ, ცვლის ინჟინერო!

ასლან. წესრიგის მცველის სასტვენიც ახლავს... საქმის შედგენაც საჭიროა ასეთ შემთხვევაში.

ბოლათ. სასტვენი უსტვენს, საყვირი კივის... გორგასლურიც მობრძანდება.

გორგას. (ექიმებს). თქვენ გაემგზავრეთ... გვარი, სახელი, მამის სახელი? ოო, შენცა, ბოლათ?! ეს ბიჭები ვიღა არიან?

ბოლათ. ასლანი ჩემი საამქროს მესამე ცვლის ოსტატია. ეს ნუნუა, ჩვენი ექთანი... ძლივს ავაგლიჯეთ საცოდავი ზარეტა კუზიან ღუმელს, გვეურჩებოდა..:

გორგას. გეურჩებოდათ?

ასლან. ვიდრე შესწევდა, გვეურჩებოდა, მერე დადუმდა.

გორგას. ექთანმა როდის მოგიკაკუნათ, ადრე თუ გვიან?

ბოლათ. გვიან...

ნუნუ. კარის დარაჯი არ მიშვებდა...

გორგას. გასაგებია, თავის დროზე რომ მოსულიყო... არც სისხლი დაიღვრებოდა... და არც არავინ დაიწვებოდა, არა?

ასლან. რათა?

გორგას. მთლად არა, მაგრამ დაახლოებით — ორი ორზე იქნებოდით!..

ბოლათ. ყველაფერს გავიღებთ, ფრჩხილებამდეც რომ გავტყავდეთ...

გორგას. ცუდი ამბავი დაგემართათ, ბოლათ, ცუდი...

ბოლათ. თოჯინასავით გოგო დაგეკარგა, უბედურება დატრიალდა!..

გორგას. თავისუფალი ბრძანდებით, წადით!..

ასლან. ჯერჯერობით...

გორგას. დიახ, ჯერჯერობით! (გამომწვევად იტყვის და წავა. კუზიან ღუმელს წაიღებს თოკით).

ნუნუ. (ბოლათს). დაინახე, რა მოხდა? ჩვენ გვადანაშაულებს, ხომ დაინახეთ?

ბოლათ. რა თქმა უნდა, დავინახე, შენ, ასლან?

ასლან. რა თქმა უნდა, შენ, ნუნუ?

ნუნუ. რაღა თქმა უნდა. ვხედავ-თქო, მე პირველმა ვთქვი...

ასლან. არა, შენ მხოლოდ შეკითხვა დასვი: ხედავ რა ხდებაო?

ნუნუ. ნუთუ აქვს მაგას მნიშვნელობა? ვხედავ, მთელი ქალაქი ხედავს, დაინახა მთელმა ქალაქმა, ადრეც ხედავდა, მერე რა მოხდა? ქალაქი ხედავს ორმოცი ათასი წყვილი თვალით, ხედავდა, ხედავს, მაგრამ, მერე?.. „არ დავინახო“, რამდენჯერ უთქვამს და ამით მთავრდება ხოლმე „დავინახეს“ ამბავი. როცა ქალაქი იტყვის... „არ დამინახავს!“, „ვერ ვხედავ!“ შენ რას იტყვი, ბოლათ.

ბოლათ. მეც ვამბობდი „არ დამინახავს“, შენ ასლან?

ასლან. მეც ვამბობდი „არ დამინახავს“, შენა, ნუნუ?

ნუნუ. „არ დამინახავს“, „არ ვიცი“, „არ გამიგონია“. და ერთმა კუზიანმა ცხენმა აიკლო ქალაქი, როგორც ზღაპარში... დახტის, ჰიხვინებს, ჯეჯილს ქელავს, ნაცარს ამტვერებს, იკბინება, იწიხლება და „არ დაგვინახავს“, ვამბობთ ჩვენ...

ბოლათ. ქალიშვილებს რომ ითხოვდა გველეშაპი ბაჟად და ხარკად, წყალს იძლეოდა საძაგიეროდ, ახლა წყალი თავისთავად მოედინება, ქალიშვილებს კი ძაინც ძიირთმევს გველეშაპი... რა ხდება?!.. ზარა, ზარეტა! მარტოხელა მწყემსი გოგონა პაპაჩემმა კაძახბეგმა ჩამოიყვანა აღსაზრდელად, ბანს გვიდა, აბლაბუდებს აცლიდა ძველ იარაღს და ხალხურ საკრავებს, სუფთა წყალი აჰქონდა ბანზე, აკსაკლისთვის...

ასლან. ახლა ასე აღარ იქნება, არა!..

ბოლათ. დარწმუნებული ხარ, რომ ასე აღარ იქნება?..

ნუნუ. დარწმუნებული ხარ, ასლან?

ასლან. ვაიმე, როგორ მიყვარდა ზარეტა, ვაი!

ბოლათ. მერე, აქამდე სად იყავი, სად?..

ასლან. ზეინკლის მურიანი ხელების შეხება ვერ გავუბედე გვირილას, თანაც იმდენი წლით ვარ უფროსი...

ბოლათ. ზეინკალს რცხვენოდა თავისი ხელების! ხელები უკან დაგეწყო და ისე გეთქვა მიყვარხარ-თქო, ბრიყვო!

ასლან. ახლა თუ ცოცხალი დარჩა, ღმერთო, თუ ცოცხალი გადარჩა, ხე-

ლებს უკან აღარ დავმალავ, ხელებს მოვხვევ და ყველაფერს ვეტყვი... ვეტყვი! თუ არა და, თუ რამე მოხდა, მთელი ქალაქის მეშუშეებს გამოუძახეთ!

ნუნუ. მაშ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, დავინახეთ რაც მოხდა, დავინახეთ და გავიგონეთ!

ყველა. დავინახეთ და გავიგონეთ!

ბოლათ. ზარეტათი დაიწყო, მთის გვირილათი დაიწყო შემობრუნება და ასლანი იქნება პირველი რგოლი ჩვენი ქალაქის ჯაჭვურ რეაქციაში...

ასლან. არა, მეორე, პირველი რგოლი ამ ამბისა მთის გვირილა იყო. იყო კი არა და არის... არის... დარეკე ზარი! მესამე შენ ხარ, ბოლათ...

ნუნუ. მეოთხე მე ვარ, ნუნუ, ქარხნის ექთანი...

ბოლათ. ვინ გამოვა კარებიდან? ვინ იქნება მეხუთე რგოლი ამ მძიმე ჯაჭვში? ან იქნება კი? (*შემოდის ახალგაზრდა ექიმი ვაჟა, რომელიც ბოლათს გადაეხვევა*).

ვაჟა. ბიჭო, ბოლათ, ძმაო, ეს რა მომხდარა თქვენს სახლში, რა მოხდა, ჰა?..

ბოლათ. სიმართლის ჯაჭვური რეაქცია დაიწყო, ძმაო ვაჟა; მეხუთე რგოლი შენ იქნები, დაიმახსოვრე!

ვაჟა. მეხუთეო? პირველი ვიყავი რომ მოიყვანეს, მთის გვირილა, გვირგვინომოსწავარი, წვეთი სისხლი არა გვქონდა საავადმყოფოში, მე გადავუსხი სამასი გრამი. მე რას ვეყოფი, ქვეყნის სისხლი ჭირდება... არა და მარტო ეგ ხომ არ გვიწევს. გატენილია საავადმყოფო, კორიდორებში გვიწევს ხალხი, პალატებში რომ ვეღარ გვეტევა.

ბოლათ. (*მკლავს მოიშიშვლებს, ვაჟას მიუშვერს*). დროს ნუღარ კარგავ, ამიღე სისხლი.

ვაჟა. ახლავე, ბევრს არ გალაპარაკებ (*შპრიცს მოამზადებს*).

ბოლათ. სტუმართმოყვარეობით მოგვაქვს თავი კავკასიელებს, ერთმანეთს ვკოცნით ფეხის ნაბიჯზე და წვეთი სისხლი ვერ გაგვიღია იმისათვის, ვისაც პირზე კოცნითა და მხურვალე ხელისჩამორთმევით დავცილდით გუშინ, გუშინწინ. ამოქაჩე! ამოტუმბე! ყველაზე მეტი უნდა გავიღო დღეს მე, ბოლათმა, მექანიკური ქარხნის ცვლის ინჟინერმა... ბიჭოს! კაცი ვყოფილვარ, რამოდენა ტიტული მჭონია, ხალხო! და არ ვიცოდი!

ვაჟა. შენ, ჩემო ლომო, ტოლო და სწორო, ჩემო ბოლათ, დღესვე რომ გარეთ გამაპანღუროს მთავარმა ექიმმა საავადმყოფოდან, მაინც ორმაგს გამოგართმევ. მამაშენს რაკი ესეთ რამეს ვერ გავუბედავთ, იმისი წილიც შენ აგერთმევა. რა ვქნათ... ცოტა თავბრუ დაგეხვევა, ცოტაც თვალთ დაგიბნელდება, ძმაო, შაგრამ, ერთბაშად დაგეწმინდება გონება (*სისხლს უღებს*).

ბოლათ. ვაიმე, ღმერთო! ბავშვობას ვხედავ, თანაც რა ნათლად, რა მკაფიოდ!

ბოლათ. ბიჭებო, ერთი დიდი თერმომეტრი ან შკალა, სისხლისმრიცხველი რომ იდგეს კავკასიონზე და მშვიდობიან დროს ძმისთვის გაღებული სისხლი ინუსხებოდეს თმაჭაღარა დანაყოფებზე, ზიარ ჭურჭლებად ნაწილდებოდეს...

„ყველასაგან-ყველასათვის!“ — აი, ასეთი წარწერა უნდა გიზგიზებდეს ზედ, ამ საზომზე!.. აგერ, ვენაცვალე მეექვსე რგოლი, მეშვიდე, მერვე, მუშათა კლასო, ჩვენი ქალაქის ფოლადის ბირთვო! თქვენ გაგიმარჯოთ, ზეინკლებო და ხარატებო! ნღდო ბიჭებო! ვაქკაცურად რომ შემოაბოტეთ! თქვენი ჭირიმე, თქვენი! თქვენი! აი, ხალხნო, საიდან იწყება ჩვენი ქალაქი. (შემოდიან ახალგაზრდები).

ნოდარ. ქალაქი ყოველთვის მუშათა კლასით იწყება და მისით მთავრდება.

(მექანიკური ქარხნის მუშები სახელოებს იკაპიწებენ, რიგრიგობით მიიწევენ წინ)

გამოდის ჰამლეტი.

ჰამლეტ.

რა არის კაცი, თუ იგი თავის კმაყოფილებას,
ჭამასა და ძილში ჰპოვებს მხოლოდ.
მხეცია, სხვა რა? ვინც მოგვანიჭა ჭკუა-გონების შორს მხედველობა,
ჩაგვახედვინა მის წარსულსა და მომავალში,
ის არ მოგვცემდა ამ ღვთაების ნიჭიერებას,
თუ სასარგებლო მოხმარებას ვერ შეეძლებდით?!

მოქმედება მეოთხე

ორშაბათი. დილა. ზაურბეგის ფართო კაბინეტში შემოგრიალდება ავტომანქანა გაზ 24-ის იმიტაცია, იგივე კუზიანი ღუმელი. მანქანაში სხედან ზაურბეგი, სალა, ვახტანგი, რევაზ და რენატო ტანტომეთელი. ზაურბეგს ბორჯომს მიაწოდებენ, სვამს.

ზაურბეგ. რა კაი გამოგონებაა ეს ბორჯომი, ჰა?!

რევაზ. რა ვიცი აბა?! (გადმოხტება მანქანიდან, ათვალიერებს.) გაფხაჭნილია შენი კარი, ჩემო რევაზ, არ ეკადრება შენს წოდებას! მარჯვენა კარი გაბარია და მეტი სიფრთხილე გმართებს!...

რევაზ. თვალი მივლულე ის-ის იყო და კივილი მესმის ჩემი მეუღლის. გავახილე და რას ვხედავ, ხალხი, კუნელის ბუჩქზე ქანაობს კარი, ძლივს გადავრჩით...

ზაურბეგ. მეუღლე სახლში იყოვო, მითხრეს... სხვასთან, სხვა ქალთან ბრძანდებოდით, ქეც გადმომცეს და როცა აცნობეს, თქვენს ქალბატონს, მოირბინა და კუნელაზე გნახათ გადაკიდებული შენ და კაბა, ჩემო ბატონო. ქალს კი მელია მიირთმევდაო უფრო ქვემოთ, ასკილის ბუჩქთან. ეგრე არ არის?..

რევაზ. არა, გადარჩა. კაძახბეგოვიჩ... თუ მაპატიებთ, დიდსულოვნებას გამოიჩენთ... მეტს აღარ ვიზამ...

ზაურბეგ. არ გიჩივიან პატრონები? გორგასლიუსი რას გეეტყვის ამის შესახებ?

გორგას. კილოზე კილო გადაუხდია, მარჯვედ გამოძვრა. არ უჩივიან.

ზაურბეგ. მაშინ ჯანდაბას. საყვედურის ქაღალდსაც დავხევ (ხევს ქაღალდს). დანარჩენები სრულ წესრიგშია, მგონი. ო, არა, შევცდი, სალას კარები შეჭეჭყილია. რაღაც ბლაგვი, არც თუ მძიმე, მყარი სხეულის ანაბეჭდი აქვს. რაშია საქმე, პირახვეულო?

სალა. (დაიბუბუნებს ნახვევიდან) ბუ-ბუ-ბუ-ბუ-ბუ!

ზაურბეგ. ამის ბუბუნს ვეღარ ვიტან, მზარავს, რაო, რა თქვა ექიმმა, როდის ავხსნათო?

გორგას. დღეს უნდა ავხსნათ, გავიდა ვადა... რაც შეეხება კარს, ანტროკოტი აქვს დატაკებული, ხერხემლიანად.

ზაურბეგ. აკი ექიმმა წვეთოვანი კვება დაუნიშნა. ძვალი საიდან გაჩნდა კარებზე?

რენტორ. ეგ ძვლიანზეა აღზრდილი, კაძახბეგოვიჩ, და ვეღარ ითმენს, ძვლიანზე იწევს...

ზაურბეგ. მოკლედ, მიირთმევს იმას, რაც აუკრძალეს...

გორგას. დიახ, მიირთმევს...

ზაურბეგ. საკვირველია, როგორ ახერხებს? ალბათ, პირდაპირ, თორემ... რა თორემ? ფარში ვიფიქრე, ფარშს მიირთმევს-მეთქი, მაგრამ... ამასაც პირი უნდა ხომ? დღის ბოლოს ავხსნათ... დღეს რა დღე არის და რა გვაქვს, ხალხნო, ჯერ თათბირი და მერე გასვლა, თუ ჯერ გასვლა და მერე თათბირი? დღევანდელი დღე რითი დავიწყოთ, ხომ უნდა დავთქვათ... თუ ნაჭამი ხართ, მერე გავიდეთ, თუ არა და... ერთი სიტყვით, თავშივე დავთქვათ...

გორგას. ორშაბათია, თარსი დღე გახლავთ, მიღების დღე გაქვთ...

ზაურბეგ. ესე იგი, განტვირთვის დღე გვაქვს... ვინ არიან და რას თხოულობენ?

გორგას. სამი კაცია, ისევ ისინი, ყველა ორშაბათს მათი მიღება გვიწევს ამ ბოლო წლებში... ერთი ოსია ერმანელი, ერთი ქართველი თამარაშნელი და ერთიც ურია... ბაზრისუბნელი...

ზაურბეგ. (*რისხვით*). ებრაელი-თქო! დაბერდი კაცი და ეგ ვერ გასწავლე!

გორგას. ბოდიშს მოვიხდი, ებრაელი გახლავთ, ბინიაშვილი, არმენიაში გადავდივარო და სახლის გაყიდვის ვიზასა გთხოვთ...

ზაურბეგ. გამომაშტერა მაგ ებრაელმა, ოსმაც, ქართველმა თამარაშნელმა! სად არიან დანარჩენები? გერისთობის დღესასწაული გეგონებოდათ პირველ წლებში! ყოველი დღე რომ ორშაბათად გადაგვექცია, ვერ ავდიოდით, დოგა-დოგაზე გვაწყდებოდნენ! ახლა რა მოხდა? გაძღნენ, გაკეთდნენ, გამოიბესკნენ?!

ფიქრობს.

კარგი, ჯანდაბას, სამივე ერთად შემომიყვანე... უცბად მოვრჩები და ჰოპ-ჰეი, რენკე-ტერეკე. (*ზაურბეგის ამალა კუზიან ღუმელ-მანქანას—საწერ მაგიდად გადააკეთებს*). არმენიაში მივდივარო, სასომხეთში, ტვინი შეჭამა!.. მაშ ის თქმულება, ის ლეგენდა აღარ ლეგენდობს, აღარ მართლდება?..

გორგას. რომელსა ბრძანებთ?

ზაურბეგ. როგორ, არ იცით? ებრაელი კავკასიაში რომ მოდიოდა, სასომხეთს ჩამოუარა. იქ დასახლება გადაწყვიტა... მუცელშიშველი, ტიტლიკანა ბიჭი შენიშნა კარიბჭესთან, შაური გადაუგდო და უთხრა: ამ შაურით ისეთი რამ მომიტანე, რომ მეც ვჭამო, სხვასაც ვაჭამო, გამვლელ-გამომვლელს და არც ჩემი ცხენი დამრჩეს მშიერიო... გაიქცა ბიჭი და საზამთრო მოურბენინა: გული

თქვენ მიირთვით და გამვლელ-გამომვლელს უწილადეთო, ქვრქი ცხენსა და კურკა კი თესლად შემოინახეთო, — აქ მე აღარ მედგომებაო, თქვა ებრაელმა, შემოკრა დეზი სახედარს და ჩვენი ქალაქისაკენ გამოეშურა. გასაგებია?! შემოიყვანეთ. სამივე ერთად შემომიყვანეთ!.. ოსი ალექსა მახსოვს, ხარებსა დაობს, თამარაშნელმა რა მინდაო?

გორგას. ჰამლეტი გახლავთ, დათაშვილი, ისტორიის მასწავლებელი...

ზაურბეგ. ჰო, ჰო, ჰო, მახსოვს, მასალასა გვთხოვს... საშენ მასალას.

გორგას. სწორი ბრძანდებით. უილიამთან გიჩივლებთო, გაიძახის, მაჩაბლის სახლი ინგრევაო და...

ზაურბეგ. ვინ ილიამი? დანიშნეს ვინმე ახალი კაცი?..

გორგას. არა, მიჰქარავს, წინა ორშაბათს ერთი რეიკა გამოუწერეთ, წახნაგოვანი.

ზაურბეგ. მერე? მიართვით, თუ ვერ მიართვით?

გორგას. არა, იყნოსა და შინ მოცოცხა.

ზაურბეგ. შემომიყვანეთ!.. შემომიყვანეთ!.. (შეამჩნევს შკალას, პირობითად მაყურებელთა დარბაზს, შეშფოთებული უხმობს ვახტანგს). გორგასლიუს! (ყელში სწვდება, აჯანჯღარებს).

გორგას. რაშია საქმე, კაძახბეგოვიჩ? რა დავაშავე?

ზაურბეგ. წადით სუყველა (ყველა გადის, ვახტანგს). მაშ შენც დამიწყე ახალკაცობა? შენცა, ოხერო?! აქაც დამიდგი ეს რაღაც შკალა?! იქ არა კმარა? ჰა? სადაც მიჰქარეს, იქ არა კმარა, რომ აქაც შემოდგეს?.. აქაც ააგეს!.. ბალიშის ქვეშ რამეს დამიდებთ, მალე დამიდებთ! მომე ეგ დაშნა, თავში დაგცხებ, გაგათავებ! (თავს მუხლზე არტყამევინებს). მაიმუნების ფეხის ხმას აპყეე, შე ერამზადავ, ცრუგორგასალავ!

გორგას. კაძახბეგოვიჩ! კაძახბეგოვიჩ!... ჯერ მომისმინეთ და მერე დამსაჯეთ!..

ზაურბეგ. გააჭირავე თვალი და ყური, ჰა, შე ოხერო, გააჭირავე?! რამდენი მოგცეს ჩემს ღალატში, ათი ათასი, ასი ათასი? ახლავ მითხარი! (უტევს დაშნით).

გორგას. მოგახსენებთ, კაძახბეგოვიჩ, სუ-სუ-სუ... ყველაფერს, დასამალი აქ არც რა არის და არც რას დავმალავ... იმ ამბის შემდეგ... როცა გოგონა გახურებულ კუზიან ღუმელს გადაეფარა... სისხლი დასჭირდათ საავადმყოფოში... ჰოდა შეიკვრნენ ახალგაზრდები, სისხლი გაიღეს... მერე და მერე სხვებიც აჰყვნენ... ყველას მოედო...

ზაურბეგ. აქ როგორ დადგეს, აქ? ეგ მითხარი, თუ არ მიჰქარე და არ შეკარი?!

გორგას. ღმერთო, მომკალი, ღმერთო, მომკალი... ცამდე მართალი კაცი გახლავართ...

ზაურბეგ. დაგაწერინო განცხადება, დაგაწერინო?!

გორგას. როგორც გენებოთ, კაძახბეგოვიჩ, ისე ვინებებ, მაგრამ, გეტყვით, რომ ეგ მამასისხლად შეძენილი დანადგარი ბევრს რასმე გვამცნობს და გვაგებინებს... ხალხის განწყობის დონეს გვამცნობს, აქვე ვგებულობთ, და ზომებსაც ვღებულობთ სათანადოს, იქით დავაკლებთ, აქ მივუმატებთ. ანდა პირიქით, როგორც საჭირო იქნება, ამის მიხედვით ჩვენც გავირჯებით. ასეც ვიქცევით, კაძახბეგოვიჩ, თორემ აქამდე ჩვენი ბუნდღა არ იქნებოდა, გასაგისი... ახლა დამკარით დაშნა თავში! (ცისერგაწვდილი დგება ზაურბეგისწინ).

ზაურბეგ. კარგი, გასწორდი... იმისა რა ჰქენ?..

გორგას. ზარეტასი და ქარხნის ბიჭების? მაგაზე ცალკე ჩანაწერი მაქვს, მოგასმენინებთ, მოკლე ტალღებზე რაც დამიროშეს. გონს მოსვლა არც კი დავაცადე შეშინებულებს, ერთი ისეთი შევუძახე, პირი დააღეს და სიტყვებიც თავისთავად გადმოუცვივდათ, თქვენი ბოლათი რომ არ ერიოს, კარგი აგურის ათიანებს გამომტყუებდნენ და „კონჩინასაც“ დავამთავრებდით, მაგრამ...

ზაურბეგ. (აენთება). რა დაიბადა ეგ მამაძაღლი, ეგ ვირიშვილი, სახედრის შვილი?!. ოჯახი დათმო გაკეთებული, ემულაროვების დიდი ოჯახი, სუხარზე დაჯდა, ცივ წყალზე დაჯდა, სოსისზე დაჯდა გაციებულზე, ვიღაცა ექთანს გადაეკიდა, კატების ნათრევს... ქალისა რა მესწავლება და ღობეზე მიბმულს არ შევხედავდი ემაგ მაიმახს, თუ დამიჯერებ...

გორგას. ბესმის და მიკვირს, გაზომზომებულ სახლს წიხლი ჰკრა და ქარხნის მუშათა საერთო საცხოვრებელში გადასახლდა... მოგასმენინოთ დაკითხვის ოქმი?

ზაურბეგ. მოიცა, გული მოვიოხო!.. ხანდახან ისე ავღელდები მაგის ამბებით, ისე, რომ ვიტყვი ხოლმე, ხანდახან, ტანზე რომ მებას, ჩემს სხეულზე ჩემი შვილი, როგორც სხეულის რომელიმე ნაწილი, მაგალითად, მესამე მკლავად-მესამე თავად, მესამე ფეხად, ეგ მამაძაღლი აგრე რომ მებას, მებაღის ხერხით მოვიხერხავდი, არ ვაცოცხლებდი!.. მაგრამ, რა გინდა, ცალკე არის, თავისთვის ცხოვრობს, ქარხანაში ჭამს, ქარხანაში სვამს და რისთვის იკლავს თავს, რისთვის, კაცო?!

გორგას. ის დამტვრეული „ზაპოროჟეცი“ აკი გაჰყიდა და იმ გროშებით მურმანსკიო, კალინინი, სად არ ჩაფრინდა! ჩვენი ქალაქიდან, სხვადასხვა დროს წასული ხალხი მოძებნა, ინჟინრები, ექიმები, მეცნიერები, დიდ საქმეს ვიწყებთ, მოგვხედეთო.

ზაურბეგ. ვიცი და მიკვირს, ნეტა რას იწყებს? რისი იმედით? მეხივით ვდგავართ, ეგრე არ არის, ჰა, გორგასალავ?!

გორგას. ეგრე გახლავთ... მაგათი სისხლი ვის უნდა გასწვდეს?! წეღან აენთო, ორი ხაზით ასცილდა დონეს და ისევ დაცხრა, დაიწია. ხალხი ბევრია ჩაქშეული სხვადასხვა ჰირით. არა მგონია, რომ რაიმეს გახდნენ... უმეტეს წილად, ერთ დონეზე დგას მაჩვენებელი...

ზაურბეგ. დონე რომ გაჩნდა, რაღაცა დონე, ეგეც მაწუხებს, ეგეც არ ვარგა! ჰო, მართლა, ის კუზიანი ღუმელი სად დგას?.. უნდა შეღებოთ!..

გორგას. უკვე შევღებეთ, კვალი წავშალეთ, თეთრად ქათქათებს, აღარაფერი აღარ ეტყობა...

ზაურბეგ. იმპორტული საქონელი შემოინახეთ და როგორც კი რამე შეამჩნიოთ, გამოაფინეთ, ხელმისაწვდომად გამოყარეთ. ხომ გამიგონე, რაც გითხარით... მაშ ეგრე... ახლა, ეს სამი კაცი შემომიყვანე, მთხოვნელები, ვინ არიანო, რა მითხარი წეღან! გადამავიწყდა...

გორგას. ერთი ოსია, ერმანელი, მოხუცებული...

ზაურბეგ. რა, პერსონალურ პენსიას ითხოვს?.. მიეცით, მერე!

გორგას. არა, მეურმე გახლავთ, ხარები რომ შეუცვალეს ჩია მოზვრებით...

ზაურბეგ. ჰო, ჰო, მახსოვს, ინტრიგანია ეგ ოხერი, მეორე?

გორგას. მეორე, ჰამლეტ დათაშვილია, თამარაშნელი, ისტორიკოსი, ვიღაც შაჩაბლის სახლზე რომ დაობს, უილიამთან...

ზაურბეგ. ერთი რეიკა რა გაგიხდათ, წახნაგოვანი, გამოუწერეთ.

გორგას. მესამე კიდევ ურია არის, ბაზრისუბნელი...

ზაურბეგ. (ხ ი თ ხ ი თ ე ბ ს). ებრაელი-თქო, დაბერდი კაცი და ეგ ვერ გასწავლე. (გ ა ბ მ უ ლ ი ტ ე ლ ე ფ ო ნ ი ს ზ ა რ ი).

გორგას. მგონი, თბილისი უნდა იყოს, გაბმულად რეკავს...

ზაურბეგ. ჰო, თბილისია... დიდი რაინდის ხმა გაეიგონე, ომახიანი! ჰოპჰეი! (ფ ე ხ ი ს წ ვ ე რ ე ბ ზ ე შ ე დ გ ე ბ ა). გისმენთ, ბატონო!.. დიახ, გახლავართ ზაურბეგი. მონა-მორჩილი. (შ ე მ ო დ ი ან თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ი, ზ ა უ რ ბ ე გ ი ყ ურ მ ი ლ ს ხ ე ლ ს დ ა ა ფ ა რ ე ბ ს). დიდი მხედარი რეკავს, დიდი რაინდი, გადით გარეთ და მერე შემოდით! (გ ა დ ი ა ნ). არა გვიშავს რა, თქვენის შეწევნით, პატივცემულო, სული გვიდგას... შესანიშნავად მიდის საქმე ყველა სფეროში, თითქმის ბრწყინვალედ... ჰეშმარიტების ზარივით რეკავთ, პატივცემულო!.. ფოფოდია ხომ კარგად ბრძანდება, დიასახლისი?.. კულული ვთხოვეთ, ამას წინათ, კაბის კალთის სულ პატარა ჩამონახევი.. განა გვიჭირს რო... გულითადობის სიმბოლოდ გვინდა, გამოგვიგზავნის?.. დიდი მადლობა გადაეცით... დიახ... დიახ... ახლავე (მ ი კ რ ო ფ ო ნ შ ი). ხანძერ! მაჩ. ვეხებლები შეშოიტანე! (შ ე მ ო დ ი ს მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი ს ა ქ ა ღ ა ლ დ ე ე ბ ი ს დ ა ს ტ ი თ დ ა უ კ ა ნ ა ნ ა წ ი ლ ი ს ქ ნ ე ვ ი თ). კადრები მართლაც კარგები გვყავს, შესანიშნავი, ოთხ სულზე ერთი ექიმი მოდის. აბა, რა მეთქმის, იმის ფონზე უმორჩილესი მადლობის მეტი, გუდა მეკიდა, მწყემსი ვიყავი. ასკილის ეკალს სტვირებად ვთლიდი. ახლა რას ბრძანებთ, დავით სოსლანიც კმაყოფილი დახუჭავდა თვალს, ჩვენი შემყურე, ისე მივარღევეთ. (ყ უ რ მ ი ლ ს ხ ე ლ ს ა ფ ა რ ე ბ ს, ო თ ხ ე უ ლ ს გ ა ს ძ ა ხ ე ბ ს; ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი გ ა ა მ ზ ა დ ე თ დ ა გ ა დ ა ა ხ ვ ი ე თ, თ ა ვ ს რ ო მ დ ა გ ი ქ ნ ე ვ თ, მ ა შ ი ნ ვ ე დ ა ა ტ რ ი ა ლ ე თ, შ ე მ ო დ ი ს ო თ ხ ე უ ლ ი, კ ვ ლ ა ვ ყ უ-

რ მ ი ლ შ ი). ციეი ქარჯინაც მენატრებოდა, ახლა.. ახლა კი, მარტო სამ-ოთხჯერ კრიუზში გახლდით... პარიზ-ლონდონი მოვინახულე. კინაღამ გავიმეორე ჩვენი ცეკვა, ცოტა-ღა გაწყდა, დედოფალი რომ აალეკვა, ჩვენებურმა მოცეკვავემ, ის მომაგონდა იქ, ლონდონში და ჰოპ-ჰეი! ფეხის წვერებზე შევდექი კიდეც, მაგრამ, უმალვე გადავიფიქრე... თანამდებობა სხვასაც გვავალებს, ცეკვის გარდა, ჩვენს კავკასიურ თავშეკავებას!..

მრეწველობაში პატივცემულო, არა გვიშავს რა, ახალთახალი ჩანაწერი გვაქვს, ჩვენი ქარხნების რიტმული მუშაობის. მოგასმენინებთ. (ა ნ ი შ ნ ე ბ ს ო თ ხ ე უ ლ ს). ჩართეთ ქარხნები!

(ოთხეული ქარხნის იმიტაციას აკეთებს, ატყდება ერთი მეფეჩური ჯახა-ჯუხი და მექვაბეების კაკა-კუკი).

აი, ეს გახლავთ, საკმაოდ კარგად, საკმაოდ კარგად... გაფართოებას ვერ გადავიტანთ მრეწველობაში, ძველი ყაიდა გვირჩევნია ტექნიკაში, უფრო მწყობრობა და ჯიგიტობა გვირჩევნია... სოფლის მეურნეობა გვირჩევნია... შესანიშნავად, ათი ათასი, ასი ათასი... უფრო მეტიც. ლამის დაასკდეთ ჯიქნები ძროხებს... ძროხები ცალკე მოგასმენინოთ და ხბორები ცალკე?.. სუყველა ერთად? ეგრე აჯობებს, (ო თ ხ ე უ ლ ს მ ი მ ა რ თ ა ვ ს) ჩართეთ ხბორები, ჩართეთ ძროხები, მოზვრები და უშობლები.

ოთხეული იწყებს ბღავილს, ვახტანგი მილიციელის სასტვენზე სალამურის იმიტაციას აკეთებს.

სალამურს როგორ საამურად აკვნესებს მწყემსი, პატივცემულო, პატარაობა მაგონდება, ლაშის ვიტირო... ქათმები? ბლომად... ასი ათასი კვერცხმდებელი დედალი გვყავს, დებენ და დებენ ორგულა კვერცხებს... კარგი გაგებით, რაღა თქმა უნდა, (ო თ ხ ე უ ლ ს). ჩართეთ ქათმები, ჩართეთ იხვები, ბატები და ინდაურები (ი წ ყ ე ბ ე ნ ე რ თ კ რ ი ა ხ ს ა დ ა კ ა კ ა ნ ს).

არც ერთი წუთით, არც ერთი წამით, არ შევფერხდებით, პატივცემულო, ჩვენეულ ნაშხადს თუკი იკადრებს გზად მიმავალი დიასახლისი, საღოღაშეთთან მაინც დავხვდები. ჰენებ-ჰენებით, კუზიან ღუმელსაც დავახვედრებთ საიუბილეოს. ხაბიჟინებით, შახარჯინებით, ყველი ჰიპჰიპებს, ერბო მოჩქებს, ლუდი ქაფქაფებს. რიკოთამდე ვდევთ, თუკი ინებებს დიასახლისი, ოჩამჩირემდე, თვით ოდესამდე ჩავაცილებთ, თუკი გვიკადრებს... რა მოხდება, რომ ინებოს და ერთხელ ჩვენსკენაც ჩამოანათოს! სხვას რას გვიბრძანებთ? ხვნა-თესვას ბრძანებთ? შესანიშნავად, თითქმის ბრწყინვალედ. თან ვმკით, თან ვთესავთ, ვხნავთ კიდევაც. ახლათახალი ამდილანდელი ჩანაწერი გვაქვს, მოგასმენინებთ. (ო თ ხ ე უ ლ ს: ჩ ა მ ი რ თ ე თ ტ რ ა ქ ტ ო რ ე ბ ი დ ა კ ო მ ბ ა ი ნ ე ბ ი, ა ა გ უ გ უ ნ ე თ).

კარგი, გეყოფათ! (ა ჩ უ მ ე ბ ს). მთები გვიჭირებს საქმეს, მთები, პატივცემულო, სიმინდ-ლობიოს რაგატკით ვთესავთ, ლობიოს გეგმას თუ შეგვიმცი-

რებთ და ცოტაოდენს გვიდოტაციებთ, დიდად დაგვავალებთ, საშვილიშვილოდ!.. დიდი მადლობა, დიდი მადლობა... ახალგაზრდობა?.. ახალგაზრდობას მოგეხსენებათ მხარში ვუდგევართ... ცოტაოდენს კი იყინჩებიან და იბერებიან, როგორც სჩვევიათ, მაგრამ სადამდე, დიდი — დიდი ორმოც წლამდე, ორმოცდახუთი, სულ დიდი, დიდი... მერე და მერე რბილდებიან და ასი წლის კაცში ვერ გაარჩევს ადამიანი... მოგასმენინებთ..: ახლათახალი ჩანაწერი გვაქვს ახალგაზრდული, სახალხო ხმების! (ო თ ხ ე უ ლ ს). ახალგაზრდული ხმები ჩამირთეთ...

რაც იპოდრომის მშენებლობა წამოვიწყეთ, პატივცემულო, დიდი და პატარა ფეხზე დადგა. სულ ჟრუანტელი გვივლის ტანში, რომ გავიხსენებთ რა დოღები და ჭენება გაიმართება... არც გზა გვინდა და არც არაფერი, კავკასიონს ნუ შევაწუხებთ, ჩვენი ჯიგიტი, ოსი მხედარი იოლად გადის, მთებზე ევლება ერთი ფეხდაკვრით. (ო თ ხ ე უ ლ ს). ჩართეთ ჰიხვინი, თან მიაყოლეთ ჩვენი მხედრული შეძახილები! ჰოპ-ჰეი (წ რ ე ს უ ვ ლ ი ა ნ, ვ ი თ ო მ ც ხ ე ნ ე ბ ზ ე ა მ ხ ე დ რ ე ბ უ ლ ა ნ).

როგორცა ვყავართ საღოლაშენთან, ისე ვიდგებით, დიასახლისი თუ ჩამოხდება ორიოდ წამით, უმორჩილესად ვეამბორებით, ჯერჯერობით, ბატონო ჩვენო, ჯერჯერობით, ჯერჯერობით... (ყ უ რ მ ი ლ ს ე ა მ ბ ო რ ე ბ ა, ფ რ თ ხ ი ლ ა დ დ ა უ შ ვ ე ბ ს. ო თ ხ ე უ ლ ი ც ს ა თ ი თ ა ო დ ე ა მ ბ ო რ ე ბ ა).

წლევანდელმა წელიწადმაც შესანიშნავად ჩაიარა, (მ ი კ რ ო ფ ო ნ ში). ხანძერ! შაჩვენებლები გაიტანე! (შ ე მ ო დ ი ს ბ ა კ ა ბ უ კ ი თ მ დ ი ვ ა ნ ი ქ ა ლ ი, გ ა ა ქ ვ ს მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი).

ადვილიაო ჩვენი შრომა, ზოგი ფიქრობს. რამდენი ჭირი გადამხდა ამ თხუთმეტ წუთში, იცით?.. არ იცით... დახველება მინდოდა და ვერა და ვერ დავახველე, დაცემინება მინდოდა და ვერ დავაცემინე...

დიასახლისი ოდესაში წაბრძანებულა, უცხო თევზია გამორიყული, მარგალიტი აქვს ენის ძირში და ვერ იძირება. შველა სთხოვაო ფოფოდიას, სხვა არავინ არ მიიკარა. (ო თ ხ ე უ ლ ს). სუსტად მუშაობთ, ხმები არ გივარგათ! ძროხის ხმას ხბოს ხმაში ვერ გაარჩევს ადამიანი... ამასაც ჭამა ხომ არ უნდა... ქატო და თივა... ერთი ათასად უნდა აქციოთ, ძლიერი ხმები გამოარჩიოთ, გადაამრავლოთ, გადმოამრავლოთ, გასაგებია?..

რენტორი. გასაგებია, კაძახბეგოვიჩ. ერთი-ათასად! ერთი-ათასად! გადავამრავლებთ, გადმოვამრავლებთ. სამ ხმად ვიბღავლებთ, ხბოს, დეკეულს, მეწველს და ბუღას, ოთხ ხმად ვიბღავლებთ.

ზაურბეგ. ტექნიკა კარგად წარმოადგინე, რევაზ, კარგი იყო.

რევაზ. მაინც ვეცდებით, უფრო მეტად ავგრიალდები.

ზაურბეგ. ახალგაზრდული ხმები სუსტად ჟღერდა, სალას ხმა აკლდა... ძველი ჩანაწერი იყო ხომ?

სალა. ბუ-ბი, .ბუ-ბი... (პ ი რ ა ხ ვ ე უ ლ ი ბ უ ბ უ ნ ე ბ ს).

ზაურბეგ. ეჰ, ვინ იცის, რისი თქმა უნდა!.. გამოსაცდელი ვადა გავიდა, ავხსნათ, სალა, მე ნაჭრის ბოლოს ხელში დავიჭერ, შენ დატრიალდი... ჰოპ-ჰეი

(სალას შეუხსნის ყურთმაჯს, სალა იხსნის პირსახვევს მუხლზე ტრიალში, საცეკვაო ილეთს იყენებს).

სალა. (გახარებული, მონატრებული). ერთი მოზვერი, ერთი ბატკანი, ერთი ციკანი, ორი ბურვაკი, სამი დედალი, ლუდი ხავერდის, ერთი კასრი, ოცდათორმეტი ხაბიჯინი, ოცდათორმეტი შახარაჯინი იქ გველოდება, ჩაიხარშება, ჩაფლავდება, დაიხრაკება, უნდა ვიჩქაროთ...

ზაურბეგ. ოი გენაცვა, რა დაუზოგავს... ამან რომ ერთ წელიწადს არა ჰა-მოს.

ხანძერა. კაძახბეგოვიჩ, გელოდებიან! (შემრდის მდივანი).

ზაურბეგ. (მაყურებელს). ორშაბათია, მიღების დღეა. (ოთხეულს). შორს არ წახვიდეთ, ადგილობრივ, თქვენს ოთახებში იბორიალეთ, ჩემს ზარს ელოდეთ!.. ამ სამ კაცს უცბად მოვრჩები და გასვლას არ ჩავშლით, ჰოპ-ჰეი! ახლა დაშვით, თავმდაბლად გადით... ხალხია მაინც. ორშაბათია... (ისტუმრებს ოთხეულს, ემზადებახალხის მისაღებად). მობრძანდით, ხალხო! სუყველას ერთად გაგვიმარჯოს! ერთად მობრძანდით! ერთი მიწა-წყლის შვილები ვართ, ძმებს დასამალიც არაფერი გვაქვს. ერთი საქმისთვის ვართ გაჩენილი ამ ქვეყანაზე, ზოგი თუ დიდი ბორბალი ვართ და ზოგიც პატარა ჭანჭიკელა, ეს იმას ნიშნავს, რომ თავის ადგილზე ყველა კარგი ვართ. დღეს თქვენი დღეა, ამხანაგებო, ილაპარაკეთ, გული იჯერეთ. ეგ ფუთა გარეთ დატოვეთ, ძღვენებით მოსვლა აკრძალულია, რენკე-ტერეკე.

ბენო. ძღვენი არ გახლავთ, კაძახბეგოვიჩ. ჩემი ოჯახის უსულო საგნებია, ბარგია, არმეღაში გადავდივართ, სამთამადნო მრეწველობის ქალაქ კაფანში, სახლის გაყიდვის ნებას არ მაძლევს გორგასალა და მაგ საკითხზე გეახელით, ბარეზ კაძახბეგოვიჩ, ბარეზ!

ზაურბეგ. დარდუბალეს! გარეთ დატოვე ეგ ვაგონი... არა მცალია, ადრე თუ შარტო შობრძანდებოდით, ახლა რა გეცა? ცოტა ჩქარეს, ჩქარეს! ალექსი, ბრძანეთ!

ბენო. ადრე ცალ-ცალკე შემოვდიოდით და ხან ძია ალექსი რჩებოდა ბარგთან, ხანაც ჰამლეტი. ახლა, ერთად რომ დავვიძახეთ, ბარეს, ბარეს!

ზაურბეგ. ზახრუმალეს! აბა, ჰა, გისმენთ, ალექსი, ჰოპ-ჰეი!..

ალექსი. ამ ოთხი წლის წინ, კაძახბეგოვიჩ, თივა გავთიბეთ ერმანელმა ბერიკაცებმა. სამნი ვიყავით. მამა-პაპის მიტოვებული საფლავები გავაუფთავეთ. თივა კი ქალაქს ჩამოვიტანეთ სამნე ურმებით. ასე გავიგეთ, უძღები სპირსო კუზიან კვიცს, ასე გადმოგვცეს და თივის ურმებით ქალაქისაკენ გამოვეშურეთ.

ზაურბეგ. რენკე-ტერეკე, ცოტა მალ-მალე გამოუჯვარდი მაგ ხარებს, მერე? (მიკროფონში). სალა!

ალექსი. ის იყო გუფთას გამოვცდით. რომ გზაზე ნახირი წამოგვეწია. უკრაინაში ძვირად ნაყიდი, უპმელობის და მოუვლელობისაგან დალახული, საშინად აღარ ვარგებული ძროხები ჯავიდან ბოინს მოუდიოდათ.

ზაურბეგ. გამოუჯავრდი, გუფთის ხიდთან ცუდი გზა არის. გამოუჯავრდი, ჰოპ-ჰეი! (მიკროფონში). სალა! შავი და თეთრი ერთმანეთში გადაურიე, კარგად ჩაცივდეს!

ალექსი. ჩურჩულა წყაროსთან გვყავდა ხარები გამოშვებული. წამოგვეწივნენ, შემოგვესივნენ, თივა შეჭამეს, ჭალები დაღრღნეს, ჩვენზეც იწევდნენ...

ზაურბეგ. კაცმა რომ გკითხოთ, ყველა კრავი ხართ, არა და ნაკრავი იქნებოდით, არჩვის ხორციც გექნებოდათ, თან ქიპიტაურიც!

ალექსი. ეგ არაფერი, ამასობაში საჯიშე ფერმის გამცილებლებმა არეულობით ისარგებლეს უმთვარო ღამით და რქაწვეტიანი, გალაღებული ჩვენი ხარები ხინტლა-მოზვერებით შეგვიცვალეს, ნახირთან ერთად ბოინს ჩარეკეს და სალახებმაც ლიახვის ქვებზე ალესილი დანები დაჰკრეს.

ზაურბეგი. (მიკროფონში). სალა! ეხლავე მოვრჩებით და ჰოპ-ჰეი!

ალექსი. შინ დაბრუნების სირცხვილმა და დარდმა გადაიყოლა ორი მეურშე, მელა დავრჩი და მეცა ვბერდები.

ზაურბეგი. მეცა ვბერდები, ყველა ვბერდებით. ბუნების კანონს ვერ გავექცევით. ხარიც ბერდება, ცხვარიც და კაციც. თქვენი ხარები განა აქამდე იცოცხლებდნენ რო... არა, ამ ფაქტორს მე მხედველობაში არ ვღებულობ. სალახებსაც ტყავი გავაძრე ამას წინაზე და ხორცკომბინატის უფროსობაც კარგა დავლახე. მივხსენ-მოვხსენი. ისე გავირდნენ, ასე გასინჯეთ, ხელეჩოსავით სულ თავისკენ ითვლიდნენ, გადამალული თქვენი ხარების საყანწე რქებიც მოვატახიხე! აი, იხებეთ! (თოკზე ასხმულ ყანწებს გაუწვდის).

ალექსი. ამითი ვხნა და ამითი ვთესო?

ბენო. ახლა ვიღა ხნავს, ძია ალექსი. გამზადებული ფქვილები მიაქვთ მაღაზიიდან.

ზაურბეგ. ხელობა იცი, გამოიყენე, გამოიყენე!

ბენო. ერთ-ორ სიტყვასაც ამოაფხაჭნი, ძია ალექსი, ვაშა დამლევს-თქო და უქვსას მანეთად დაიტაცებენ დედაქალაქის დიდი ბიჭები, აშენდები, დიდ ფულს შოღუნავ...

ალექსი. მერე, ხარები?

ზაურბეგ. მსუბუქ მანქანას მოგიხერხებთ, ურიგოდ მოგცემთ. ააქროლე და ჩააქროლე, ააქროლე და ჩააქროლე.

ბენო. მტკიცე ფასებში ნაყიდ მანქანას, ძია ალექსი, ბესლანის ბაზრობაზე თუკი გაჰყიდი, არც იქ მოგცემენ ნაკლებ ფარას, მაგრამ, იმ ბაზრობაზე მთლად გაკეთდები, ათ ხარს იყიდი, უფრო მეტსაც, ქვეყანა ეგრე შერება, ძია ალექსი, დიდი, პატარა! (ალექსის აცილებს).

ზაურბეგ. (გამოჯავრებით). მერე, ხარები, მერე ურმები, მერე ჩალები. შეჭამა ტვინი!

ბენო. დაბერდა კაცი, კაძახბეგოვიჩ, და ამ ცხოვრებისა ვერა გაიგო, ვერ ისწავლა.

ჰამლეტ. (ერთბაშად დასჭექს ჰორაციოს ნაწყვეტს)...

მითხარ, თუ იცი
ამ შენეულ სამეფოს ხვედრი,
რომლის აცდენა წინდაწინვე შეიძლებოდეს;
იქნება სადმე მიწას გქონდეს ჩაფლული განძი,
მოგროვებული ძალადობით, რომლისთვისაც აჩრდილთ
ამბობენ, ღამე სიარული სასჯელად გმართებთ"...

ზაურბეგ. (შ ე კ რ თ ე ბ ა მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ო ბ ი ს ა გ ა ნ). მაინც დაიწყო, გააფრინა ამ უბედურმა! მოდი აქ, ბენო, შენი ვაგონიანად და მოჰყევი შენი სათქმელი. მე მაგას ცალკე ოთახში ვალაპარაკებ (მ ი კ რ ო ფ ო ნ შ ი გ ო რ გ ა ლ ი უ ს ს). ქაფი მოხადე! (შ ე მ ო დ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი).

ჰამლეტ. ქართული სიტყვის დიდოსტატის, გენიალური დიდი შექსპირის დიდი მთარგმნელის, ვანო მაჩაბლის, ქართველ და ოს მეგობრობის მამა-პაპიდან მოსურნე კაცის სახლი ქარს მიაქვს, თავზე გვენგრევა! ლიახვის პირას, ლიახვის ლოკვით, სიპ ქვასთან ერთად დაბადებული ქართული ენის ბურჯი, ქანაობს, მეგობრობის ხიდს ბზარი უჩნდება, როდესაც მაჩაბლის პაპა პირველთაგან პირველი გახლდათ, კავკასიონის ქირურგიული ოპერაციის ჩასატარებლად, ჩრდილოეთისკენ დიდი ძმობის გზის გასაყვანად სპეციალისტებს რომ მოუხმობდა იმპერიიდან, ჯერ კიდევ მაშინ, რომანოვების ბატონობისას ამას ფიქრობდა ჭკვიანი კაცი!.. ვანო მაჩაბელს ხომ ნუღარ იკითხავთ, ის ბუმბერაზი სტუდენტობის დროს პარიზიდან იწერებოდა: „აქ ღვინო ძვირია, ვერ შევწვდები, მაგრამ ლუდით მაინც დავილოცები, გადღეგრძელებთ ჩვენებურად, ოსურადაო".

გორგას. ერთი, ორი და ჰოპ-ჰეი, თამარაშნელო, მოკლე-მოკლედ ილაპარაკე. გასაგებია, თორემ ოთახში მარტო დაგვრჩები! წყლის მილი არის გახეთქილი, იქ გვეჩქარება და მაჩაბელი კი ვერ შეგვიდუღებს, მოკლედ, ჰოპ-ჰეი!

ბენო. მაგხელა მონოლოგები იცი, ჰამლეტ, გენაცვალე და, ის გავიწყდება, კურდღელი რომ გამორბოდა, ხარებს ჭედავენო... წადი გეთაყვა. შენ სათხოვარსაც მე ავუხსნი კაძახბეგოვიჩს დალაგებულად (გ ა ყ ვ ა ნ ა ს ც დ ი ლ ო ბ ს).

ჰამლეტ.

„ვითომ რადაო, ან რას უნდა ვერიდებოდე
ჩემი სიცოცხლე ჩალის ფასად არ მიმაჩნია".

ბენო. სხვა შეიცოდე თუ არად მაგდებ, მოსწავლეები გებრალებოდეს, შენსავით საგანს ვინ მიაწვდის იმ დამთხვეულებს.

„ბედისწერა ჩემი იქ მიწევს,
და ყოველ წვრილ ძარღვს ჩემ სხეულში აძლევს სიმტკიცეს
ნეშეის ლომის ძარღვის მსგავსად"...

ბენო. წადი, გენაცვა, მე მოვაგვარებ მასალის ამბავს...

ჰამლეტ. „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის".

ბენო. ჰო, კარგი, კარგი, არ დავივიწყებ. (გ ა ჰ ყ ა ვ თ).

ზაურბეგ. სკოლა არ უცდება მაგ უბედურს, გაკვეთილები, ეგრე რომ დადის?

ბენო. სკოლის დირექტორს ცხრილი ისე შეადგენინა, კაძახბეგოვიჩ, რომ ორშაბათობით თავისუფალი გახლავთ, გაკვეთილს როგორ გააცდენს... ცოტა მასალას თუ მოუხერხებთ, თქვენვე მოიგებთ, დიდი სახელი გაგივარდებათ, მოწყალე კაცის...

ზაურბეგ. შვილი არ ჰყავს იმ მაჩაბელს, ან შვილიშვილი, რაკიღა თვითონ არ შეუძლია აქ ჩამოსვლა.

ბენო. შთამომავლობა თბილისში სახლობს.

ზაურბეგ. საქმეც მაგაშია, ყველა თბილისში გარბის, მოსკოვში და ვლადივოსტოკში... დაგიტოვებენ პენსიონერებს და იხეთქე თავი, კაძახბეგოვიჩ...

გორგას. უილიამთან გიჩივლებთო, ამას წინათ გვემუქრებოდა....

ზაურბეგ. ჰო, (იწყებს ბოლთას ცემას, ემზადება წასასვლელად).

ბენო. მტერი წავიდეს უილიამთან!.. აღელვებული იქნებოდა, კაძახბეგოვიჩ! რომ იცოდეთ რა დღეში აგდებენ ვაშლის კრეფიდან დაბრუნებული მოსწავლეები, ან კაკლის ბერტყვიდან რომ ბრუნდებიან. თითო არაყსაც ხუხავენ ხოლმე მეცხრე, მეათე კლასელები და იეცი თავში მასწავლებელო... საღამოს პედაგოგიური მაქვს დამთავრებული, კაძახბეგოვიჩ, და ქუდი რომ შემიყდოთ, მე იქ ვერ შევალ!.. აინშტაინიც ღამის სკოლაში გადავიდოდა. მუშა-ახალგაზრდობის სკოლები რომ გვაქვს, კაძახბეგოვიჩ, იქ მაინც დაღვინებული ხალხი დადის...

გორგას. ბენო, გაჩერდი! შენ მაგაზე მეტი, რენკე-ტერეკე ნუ გიყვარს, გასაგებია!?

ზაურბეგ. აბა, ჰე, ბენო, პაპაშენ შალომეს ბაღით არ დამიწყო, შენი რეგლამენტი ამოიწურა! ჰეპ-ჰეი! (მიკროფონში). სალა, ახლავე მოვდივართ!

ბენო. პირველი კოლწვერი რომ იყო თამარაშენის კოლმეურნეობაში პაპაჩემი შალომი და ბოლდოზერის დანისხელა თოხს რომ უჩაკუნებდა საკოლმეურნეო მინდვრებს და ხუთას შრომადღეზე გამოდიოდა წელიწადში, არც ესა ვთქვა?

ზაურბეგი. (ღიმილით). ილაპარაკე, ილაპარაკე. (ოთხეული შეშოდის. საწერ მაგიდას ისევ მანჭანად გადააკეთებენ. ბენო განაგრძობს).

ბენო. პაპა შალომის ატმის ბაღი, თამარაშენში, ვაიმე, დედა! ეხლა რომ ბაზარზე ოთუსბირად ატამს ჰყიდიან, ისეთსა ხომ საარაყედ ჰყრიდა!.. სახრავი ატმები ჰქონდა, კაძახბეგოვიჩ, ისეთი, რომ სასწორის თეფშზე სამი ცალი ვერ ეტეოდა, კილოს აბაზად უჭამდნენ კრაზანები, ისეთი ტკბილი გახლდათ, ახლა ქაშერი! რა ღვინო ჰქონდა! თქვენც ხომ გარგებდათ.

ზაურბეგ. ბენო! (შეუბღვერს).

ბენო. ამხანაგურად, კაძახბეგოვიჩ. ადრე ფინგანში რომ მუშაობდით, რა

პურ-მარილი, რა ყველაფერი, ვირზე ეძინა, სახედარზე, თოხი კურტანში ჰქონდა გაყრილი. ეხლა რომ წითელ ბალიშ-მუთაქები უწყვიათ შიგ მანქანებში, ზოგ-ზოგ კოლწეერს, კაძახბეგოვიჩ. (მანქანაზე ამხედრებული კაძახბეგოვიჩი ოთხეულთან ერთად საღრეობოდ მიემართება).

ბენო. ეე... გული მოვიოხე, რაკი თავშივე გითხარით, იმიტომ თორემ, ამდენ დროს განა წაგართმევდით. მოკლედ მოგახსენებთ, კაძახბეგოვიჩ, არმენიაში გადავდივარ, სამხრეთ სომხეთის ქალაქ კაფანში, ისე იმცხოვრე მთელი ოჯახით, ჩემი ძმა გერშონი აკი გადავიდა, ამ სამი წლის წინათ, კარგად მოეწყო. ვიყავი, ვნახე. საზამთროს ამბავს რომ იძახიან ტყუილი გამოდგა... სუფთა მუშათა კლასი სახლობს. ორნახევარზე გამოდიან, სამას მანეთამდე... შვიდი ვაჟკაცი შვილი ჰყავს ჩემს ძმა გერშონს. თვითონაც მერვე. ახლა ქალებიც ხომ მუშაობენ, იშხანკონსერვში!.. ჩვენი აქაური დედაკაცებივით კი არ დაფლასტუნობენ ბალკონ-ბალკონ, ლაქ-ლაქ ლაქლაქ! იქ ყველა შრომობს. ვაჭრობისა და ყოფა-ცხოვრების ამბები სულ კნოპკებზე და ავტომატზეა გადაყვანილი. სასწორის თეფშზე რომ აქვთ თითი ჩამოძინებული ჩვენ გამყიდველებს, მაგისთანები იქ არ გამოდის... სახლის გაყიდვის ნებართვასა გთხოვთ. გორგასლან მითხრა და სინამდვილეშიც ასეც გახლავთ, რომ დანგრევის ზოლშია მოყოლილი და გაყიდვის გაფორმება არ შეიძლებაო. ახალ დიდ კორპუსს აშენებენ და ორ, სამოთახიან ბინას გვაძლევენ. ისე იმცხოვრე, მეც შვიდი შვილი მყავს, ხანაც მერვე, მე მეცხრე და იქ პატარძალიც ფეხმძიმედ გახლავთ. მე ვეუბნები, ვახტანგ გორგასალს, ვინც ჩემს სახლს ყიდულობს, იმას ოროთახიანი ბინაც აკმაყოფილებს, მოგებაში რჩებით მეთქი, პირიქით... არც მწვადი დაიწვება და არც შამფური... დამეთანხმებით, კაძახბეგოვიჩ... შალომის ხათრით, კაძახბეგოვიჩ (მიბრუნდება საწერ მაგიდისაკენ, იქ აღარაფერი არის).

ბენო. (გახცხადების ქაღალდს შეათამაშებს). ეეჰ, კაძახბეგოვიჩ. იქ მაინც წაგეყვანეთ თქვენს პურმარილზე, მილი რომ გასკდა!.. გახეთქილია ძილი, ხალხო, მოდის, და მოდის, მოდის და მოდის „მელეხ-მალეხი-ამელეხიმ“ „მელეხ-მალახი-ამელეხიმ!“ „მელეხ-მალახი-ამელეხიმ“ (ჯადოს წრეს მოხაზავს ქაღალდით ხელში). ყველაზე დიდი ქვეყნად ღმერთია! ყველაზე დიდი ქვეყნად ღმერთია!

(გამოდის ჰამლეტი).

ჰამლეტი.

„ყოფნა — არყოფნა, საკითხავი აი ეს არის!
სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის, რომ ტანჯოს?
თუ, შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და
ამ შებრძოლით მოსპოს იგი, მოსპოს სიცოცხლე?
ო, ავკაცობავ, გადაჰკეტეთ ყველა კარები,
იგი უნდა მოვნახოთ ყველგან“.

მოქმედება მესამე

(გულაროვების ეზო. მოჭარაყებული, მოოქრული მუხის კარი ზაურბეგისა ჯერ არ გაღებულა. აკაკაკის ბანზე დაქსელილი აბლაბუდების ნაწილი გაუცაფავს კაძახბეგს, ძველი სომარი იარაღების ნაწილი მოჩანს. ხალხური საკრავი იარაღიც მოჩანს. თვითონ კი ტახტზე დასთენებია. ბანზე სძინავს კაზახბეგს, თავზე ისტორიული მუზარადი ხურავს. ჩაფხუტი.

ელექტროშემდუღებელთა ვარსკვლავთცვენით იწყება დილა. ცადაზიდული რადიოქარხნის მშენებლობის ფინალი ისეთ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს, თითქოს სადღესასწაულო საღდგმოდ ირთვებაო რაღაც ახალი, დიდი და მძლავრი შენობა, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ.

ეზოში მაგიდაზე ტელეფონი და საინჟინრო-საამშენებლო გრაგნილებია უხვად. ბოლათის ბიძის, შინმოუსვლელი ბოლათის ოთახის კარი ჩაბნელებულ, თალხ ფერშია. ბანიდან უკვე რადიოქარხნის საამშენებლო ესტაკადა მიემართება. ტელეფონის საქალაქთაშორისო ზარის ხმაზე იხსნება ფარდა. ბოლათი ყურმილს იღებს).

ნუნუ. (გახარებული). ასლან, ნოდარ, ბოლათ, ბიჭებო!.. პირველი ლუკმა ჩავუდე ზარას დღეს, ჩემის ხელით, დღეს პირველად... გესმით, ბიჭებო?!

ბენო. მომილოცნია!.. მე ბენო ვარ, ბოლათმა იცის. ცოტას გამოვიძინებ. თან ტელეფონზეც დავიჭერ თვალს, კავშირგაბმულობა ბევრ რამეს ნიშნავს ამისთანა დროს...

ბოლათ. გისმენთ, თბილისო! დიახ, ბოლათი... მშენებლობის უფროსი. ახალი ქარხნის მშენებლობამ ცაში აზიდა ნახევარქალაქი.... მერცხლები კედლებს აპირკეთებენ, მხატვრულად რომ ვთქვათ... დიდი ლიახვის წმინდა წყალში ამოვლებული ფრთებით აჩუქურთმებენ, ქარგავენ კედლებს... საკუთარ ბუდეებს იშენებენ, ცხადია, მაგრამ ეს უკვე მშენებლობის პირველი რიგის ჩაბარებასაც უდრის... ვიღვიძებთ მძიმედ, ნაბიჯ-ნაბიჯ, თბილისო! ყურწაყრუების ბურანიდან ნელ-ნელა, ბუზღუნ-ბუზღუნით გამოდის ჩვენი კაცი. თვალების ფშვნეტით გაიძახის, რად გამაღვიძეთ, ჩემთვის მეძინა თბილ ღუმელთანო... დიახ, თბილისო!.. ასეთი ხმები ისმის ჯერ კიდევ, მაგრამ ფეხზე ვდგებით.. ახალგაზრდობის, დაფანტული ურთიერთობის და არა მარტო ახალგაზრდობის, გათიშული მეგობრების თაღი იკვრება... კომუნისტური ურთიერთობის წმინდათა წმინდა გუმბათის ამაღლება და აწევა ხდება კავკასიონის სამხრეთ კალთებზე... წინააღმდეგობა, ცხადია, არის, სხვადასხვა სახის გახლავთ იგი: წვრილხელოსნური, მაამებლური,

ვაჭარ-ვაჭშური, ყალბტრადიციებს მოფარებული ჩუმი ღიღინი ახლავს მეგ-ზურად ნამძინარევ ხმებს, მაგრამ, ნელ-ნელა ამოვდივართ... ვძლევთ, თბილი-სო, დავძლევთ.

...თქვენი წინსვლა და შემართება არის ჩვენი წინსვლის საფუძველი და ზურგის კედელი!..

კაძახბეგ. (შ ე მ ო დ ი ს).

ბოლათ. ერთი ქართული ზღაპარი მაგონდება. მაგ მამა-პაპურ იარაღში ჩამჯდარს რომ გხედავ (ი წ ყ ე ბ ს ზ ღ ა პ რ ი ს მ ო ყ ო ლ ას).

...სამაგიერო სამსახურისთვის ფასკუნჯს ვაჟი რომ ამოჰყავს ქვესკნელიდან დედამიწაზე... ფრთების ყოველ ტყლაშუნზე, თითო ხარის ბარკალს უდებდა პირ-ში ვაჟი ფასკუნჯს. სამშვიდობოზე ამოსვლის წინ, ვაჟს საგზალი შემოელია, აღარ ეყო და საკუთარი ბარკლის ნაწილი მიაწოდა ფრინველს... დედამიწაზე ამოსულმა ფასკუნჯმა ფრთის ერთი მოსმით გაუმთელა სატკივარი ვაჟს.

კაძახბეგ. ნეტავ კი ეგრე, ფრთის ერთი მოსმით შეიძლებოდეს ჩვენი სა-ტკივრის გამთელებაც და...

ასლან. ეგ ზღაპარშია, ეგრე... სინამდვილეში წლები უნდა ასეთ ამოსვლას, წლები.

ბოლათ. და აქამდე, ალბათ, დედაენის ანბანივით წაიკითხავდა კაცი ზეცას, ქვესკნელსაც, სამყაროს ყველა საიდუმლოს ამოიცნობდა, დროდადრო ასე რომ არ კოჭლობდეს ორაკიელივით გვერდში დაჭრილი, სწორად მავალი ადამი-ანი..

კაძახბეგ. აბა, გახედე, რა დღით, რა ამბით, რა ქარავნით ბრუნდება, შენი ღამურების რა ამალა მოსდევს ფეხდაფეხ, აბა, მიღება მაგან იცის ორშაბათ-ღამით!

ასლან. დაბადებიდან სიკვდილამდე ვისაც რა უჭირს, ამ სამღებროში უნდა მოხვდეს... ჯერ კიდევ სჯერათ, კიდევ ზიდავენ, იყო დრო, როცა მკვდარი ცო-ცხალში იცვლებოდა. ცოცხალი — მკვდარში, ფულს — ფარა ერქვა, — თეთრს — შავი.

კაძახბეგ. ვისაც რა ფერი სჭირდებოდა, იმფრად ღებავდა დედოფალი...

(ბოლათისა და კაძახბეგის თვალწინ, მედიდურად ჩამოატარებს ღენა დატვირთულ ავტომან-ქანათა მთელ ქარავანს, თან ბენო მოსდევს ფუთააკიდებული. მანქანებს აწვება, ბარგს ას-წორებს, თან დახმარებას სთხოვს).

ბენო. საღამო მშვიდობისა, ელენე სოლომონოვნა, უნდა მიმიღოთ, შინ ვესტუმრები ზაურბეგ კაძახბეგოვიჩს, ოჯახის სითბომ ეგებ გული მოულბოს, კიდევ ერთხელ გთხოვთ.

ლენა. გავიგე მეთქი, ბენო, დაწყნარდი.

ბენო. შინ შემოგყვებით, ელენე სოლომონოვნა, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ღმერთი, რჯული, თვალხილული ვილაპარაკებ, თვალს არ ავახელ, არც ოქროს-

სპილოს შევხედავ, არც ოქროს ჰალსტუხს დავინახავ, თქვენ შემოგევლეთ, ელენე სოლომონოვნა!

ლენა. კარგი, შემოდი!

ბენო. (ფუთაზე ანიშნებს). ბიჭებო!.. ამ ნაგავზე თვალი გეჭიროთ! (შედის ოთახში).

ბოლათ. სკოლაში ერთად ვსწავლობდით. ორ დაფას ერთად იმახსოვრებდა ფორმულებით გატენილს.

კაძახბეგ. სამხრეთ სომხეთში მიდის ოჯახით, ქალაქ კაფანში...

ბოლათ. ვიცი... ვყოფილვარ მივლინებით... ელექტრო-ლამპის დიდი ქარხნის შესანიშნავი ფილიალი აქვთ... ახლო-მახლო, შემოგარენის სოფლის ქალები თან ძროხას მწყემსენ, თანაც კიბერნეტიკულ მცირე დეტალებს ამზადებენ ღიღინ-ღიღინით. საღამოზე ჩამოუვლის ქარხნის წარმომადგენელი ორხიდიანი ავტომანქანით, წამოკრეფს და მზა დეტალები მიაქვს ქალაქში... ასე, ლამაზად, წინდიჩხირების ნაცვლად შეჰყავთ სომხებს კიბერნეტიკა — ისტორიაში.

ბენო. ეს რა დავინახე, დამზობილია, დამზობილია პირქვე, პირქვე ტახტზეა დამზობილი. იყო და არა იყო რა, ფაშვი ვერ' ამოიყორა.

ბოლათ. ჩვიდმეტიათას სამას ოთხმოცდა ცხრამეტი, ბენო, რომ გავამრავლოთ...

ბენო. იქნება... ორას ოთხი მილიონ ორას ცხრაათას ორმოცდათვრამეტი, ბოლოში რა გამეხარდება, ჩემო ბოლათ, რა მივუწერო, კგ. თუ მან. მან. თუ კგ. ბოლათ, ასლან, სლესარო! თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო, ვეღარ გიცანით, ლილიპუტების ქარავანში მოვყევი და ვეღარ გიცანით გოლიათები, მაპატიეთ, რომ ვერაფერში ვერ მოგეხმარეთ. ეს ამოდენა ქარხანა ისე ააშენეთ, ისე ააგეთ, დავიღალე, გავწყდი წელში, ბიჭებო, აი, ამ ჩემს ფუთაზე ჩამოვჯდები, დავისვენებ. ვინ მოიგონა ეს ორშაბათი, ისე იმცხოვრა. დავიღალე, ხომ იცით! შემიკლა ხელში ამ უთავბოლო ორშაბათობამ!

ბოლათ. დაჯექი, დაისვენე, თან ტელეფონზეც თვალი გეჭიროს, საგანგებოა, დაიმახსოვრე.

ბენო. ტელეფონზეც დავიჭერ თვალყურს და არც სხვას მოვაკლებ ყურადღებაშა, წადით, ტოლო ბიჭებო, წადით. დარეკვა თუ შეიძლება?

ბოლათ. დარეკე, ბენო, დარეკე.

ბენო. (რეკავს). ხანა! ხანა! ხანა ხარ?!.. კარგად.. კარგად ვარ მეთქი, ქალო, მოიცა! რა დაგემართა, ქალო, ყური მიგდე. ნუ დაიქოქე, ქალო, გაჩერდი. არ მოშიყვანო! სიტყვა გითხრა-თქო, დამაცადე!.. დაიცა ქალო, დამაცა მეთქი! ვაიმე, ხალხო!.. გაჩერდი მეთქი, ხანა, ქალო, დაწუნარდი! დაწუნარდი მეთქი.!. ოფიციანტებში ვგონივარ, ხალხო, ვერ გავაჩერე!.. რა გახეული ბატიგერმის ბალიშივით დაატრიალე კორიანტელი!.. ქარხანაში ვარ მიმაგრებული, ბოლათთანა ვარ, გაიგონე? დოლგარმონის ხმა გესმის ქალო, ქეიფში ხარო, როგორ გაიძახი?.. სმენა დავკარგე, ქალო, გაჩერდი, რითიღა გინდა მერე დავუკრა და თანაც ვიმღერო... (კაძახბეგს). რესტორანში ვგონივარ, ქეიფო-

ქეიფობაში, კაძახბეგ... ბოლათბეგოვიჩ გინახიათ ასეთი ქალი სადმე. მე რომ ხანა მყავს?!

კაძახბეგ. ქალმა თავი არ უნდა წაგართვას, ჩემო ბენო!..

ბენო. ჩემი ერთი სიტყვაც ვერ გავაძვრინე ამ თუშფალანგში, სულ ბრინჯივით შომაყარა, სულ ჩამაფარშა... (*უკრმილი დადო*). ბატის ფარში იცის, იცის რომა!.. რად მინდა, რა!.. ბოლო ლუკმა როდის ჩავიდე, აღარც კი მახსოვს...ჩემი დაბნეული სიტყვების კვალზე თუღა მივაგნებ ამ ოხერ პირს, თორემ, ისე განა ვიპოვნი!

კაძახბეგ. ქალმა თავი არ უნდა წაგართვას!..

ბენო. თავი წამართვას, თორემ, ერთბაშად, ქაქლინ-კენედივით ონასისმა არ მომტაცოს, ბერძენმა მილიარდელმა და მარგალიტის კუნძული არ აჩუქოს ნიშნობის ბეჭედათა... პაპიროსის წვეა დაუწყიაო ჩემს უმცროს ვაჟს, გაბოსა... ჯერ იშოვოს და მერე დაწვას-თქო, ეს უნდა მეთქვა, მაგრამ, არ დამაცადა... მაგის ხნისას დანებებულიცა მქონია, ბოლათბეგოვიჩ!.. ძილში ცოტა ყვირილი ვიცი, არ შეწუხდეთ... ან თუ წამოვხტე, სიზმრები ვიცი უბედური, წამომაგდებს და დამარბენინებს. განა მინდა რო! სტიქიური ძალით დავქრიავარ... განსვენებული დიდი რახილი, დიდედაჩემი, სოველ ტილოებს მიფენდა ხოლმე ფერხთით, მაშოშმინებდა. კავშირგაბმულობა ამისთანა დროს ბევრ რამეს ნიშნავს.

(*ბენო იძინებს ფუთაზე. რაღაც ზღაპრული ციმციმი და ჩუმადება გამეფდება, სცენაზე ბენო გაბრუნდება, გვერდს იცელის... ბერე შეიშმუშნება. წამოიწევს. შემოდის სახეწოწოლა, ტანჩაჩსა ჰამლეტ დათაშვილი, თამარაშნელი ისტორიკოსი, გრძელი ჰოკი შემოაქვს, რომელზეც თავი და ბოლო არ მოუჩანს*).

ჰამლეტ. (*ბუტბუტებს*).

„დაღამებამდე, სულო ჩემო, დადექ, დაწუნარდი!
ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა.
თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს...“

ბენო. (*მიეგებება*). ო, თამარაშნელო! რა დღით მოსულხარ!.. შუბი ხელთა გაქვს, ბედნიერო... სამურაბე ტაშტი გაკლია და სწორედ ისა ხარ. ის მეთქი... რა ჰქვიან?.. ოთხმა საუკუნემ რომ ვერ დააკლო... დონ-დონ-დონ-დონ-დონ...

ჰამლეტ. კი-კი-კი-კი-კი, ისა ვარ, ისა...
ბენო. ხო-ხო-ხო-ხო-ხო, ისა ხარ, ტი-ტი.
ჰამლეტ. დონ-დონ, დონ-დონ-დონ-დონ.
ბენო. კი-კი-კი-კი-კი.
ჰამლეტ. ხო-ხო-ხო-ხო-ხო.
ბენო. ტი-ტი-ტი-ტი-ტი. დონ-კი-ხტი ხარ, ხარ-ხარ-ხარ-ხარ-ხარ!
ჰამლეტ. სანჩო პანსა ხარ, ხარ-ხარ-ხარ-ხარ-ხარ!
ბენო. ვარ-ვარ-ვარ-ვარ-ვარ!

(იცინიან. საშურაბე თასს ამოიღებს ფუთიდან, ჰამლეტს მისცემს. ბენო თავის ფუთაზე შეჯდება, როგორც სახედარზე, ჰამლეტი კოკზე გადაალაჯებს).

ჰამლეტ. (მანქანებს შენიშნავს). ეს ქარავანი ვისი არის!.. ის შინდისფერი მანქანა, შავი, ყვითელი?!. საპალნეები მოხსნილი აქვთ. ვისია, სანჩო?

ბენო. გაიგებ? ერთისა არის — მეორეზეა გაფორმებული, მესამესია — მეოთხეზეა გაფორმებული, მეხუთესია — მეექვსეზეა გაფორმებული. ვერას გაიგებ, ის დრო ჰგონიათ, რაც რომ იყო და აღარ იქნება. მოაქვთ და მოაქვთ მოსაკითხები, განცხადებები, მოაქვთ და მოაქვთ. მიმღებსაც არა ენაღვლება რა, იღებს და იღებს! და ერთ მშვენიერ დღეს, რენკე-ტერენკე, დაჰკრავენ ფეხს და თავს უშველიან, გაიქცევიან, ან პენსიაზე გავლენ, კრიალოსნებით ჩამოსხდებიან. სკვერის სკამზე...

ჰამლეტ. უნდა ვეკვეთოთ არამზადებს, დაგვიანება საქმეს ავნებს!

„ჯოხის ცხენი
მოკვდა ჩვენი
საუკუნოდ მოსახსენი"... (ეკვეთნენ მანქანებს).

ბენო. ჯოხის ცხენი ჯერ ცოცხალია! რა სულელი ხარ! იარაღი აქვთ!.. რეიკა ვცემოთ და მურაბის ტაშტი, ხომ არ გაგიჟდი?!

ჰამლეტ. დღეს გაკვეთილი ავუხსენი მეათე კლასს, კავკასიონის გმირული დაცვა შევასწავლე!..

ბენო. აკი ამბობდი, ცოტნე დადიანს უნდა გავხადო, თაფლი წავუსვა-მოედანზე და მონღოლები სახტად დავტოვოო?!

(ბენო უკან მისდევს ცეკვით ჰამლეტს და გადაბრუნებულ სათამაშო მანქანებს ფეხზე აყენებს).

ჰამლეტ. დაბალ კლასში მოვიხსენიე ცოტნეს ამბავი, მეათეში კი კავკასიონის დაცვა გვჭონდა, მაგრად ავხსენი. მკერდით ჩავკეტე საცეცხლე წერტი.

ბენო. სამი ჭრილობა ჰქონდა, ჰოსპიტლიდან იწერებოდა, რაებს მიჰქარავ! ბოლო წერილი... მერე კი გაქრა...

ჰამლეტ. გულით ავადმყოფი იყო? ჰა-ჰა-ჰა. რომელ სანატორიუმიდან მოიწერა ბოლო წერილი? (თან ჭოკით გადააბრუნებს შინდისფერ მანქანას).

„ჯოხის ცხენი
მოკვდეს ჩვენი
საუკუნედ მოსახსენი".

ბენო. სამი ჭრილობა ჰქონდა, ჰოსპიტალიდან იწერებოდა, რაებს მიჰქარავ!

ჰამლეტ. შხდალო, რას შვრები? (შენიშნა ბენოს ოინები). მარტო სიმსხოთი ჰგევხარ სანჩოს!

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი! იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი. მცირე დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწევრი“. (ბ ე ნ ო ს, დ ა ჟ ი ნ ე ბ ი თ). გახსოვს მიტო გოგიშვილი. ქართულის მასწავლებელი?..

ბენო. მახსოვს-მეთქი.

ჰამლეტ. (თ ა ნ ი ბ რ ძ ვ ი ს). „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი. დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნეს, ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი!

ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარაჭცივეს ბევრი

მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწევრი. (ბ ე ნ ო ს შ ე ხ ე დ ა ვ ს). კიდევ მერყეობ?!

ბენო. რას მეჩერქეზები, ბიჭო, მართლა ჩერქეზი გგონივარ? ბენო ვარ, ბინიაშვილი, დიდი ლიახველი მხეცი! (გ ა გ უ ლ ა დ დ ე ბ ა).

ჰამლეტ. თუ მეგობრობის საქმეს უჭირს, ჩერქეზიცა ხარ, ებრაელიც, ოსიც, ქართველიც, დიდოც და დარღოც, ლეკიც და ღლიღვიც, ქისტიც, ჩეჩენიც! სულ უველანი ვართ, სულ უველა ერთად, იმათ ჯიბრზე, ვინც ოქროს მარხავს ლელვის ბის ქვეშ. ანდა, მარგალიტს, ოქროს თევზს სტენის პირში კაჭკალით, შიშით. ზღაპარიაო ეს ცხოვრება, რომ გაიძახის, ძარღვებს გვიდუნებს. ხვალინდელი დღის ოფლით მოყვანის იმედს გვიკარგავს და გვაძაბუნებს!.. დაჰკარი, თორემ დაგკრავ, იცოდე!..

ბენო. ჩვენი ქალაქის მუშათა კლასის მოცდენა არ მინდოდა თორემ... ვიზე ნაკლებად ჩავაბარე რუსულის მასწავლებელს მაზეპას ლექსი, უკრაინის მთავრიან ღამესა და გეტმანის პატიმრისა (ა მ ბ ო ბ ს ნ ა წ უ ე ტ ს).

«На завтра казнь, но без боязни.
Он мыслит об ужасной казни».

ჰამლეტ. ყოჩაღ, სანჩო! ყოჩაღ! მიდი (თ ვ ი თ ო ნ ა ც შ ე ე ბ მ ე ბ ა მ ტ ე რ ს).

ბენო. (დ ა ე ტ ა კ ე ბ ა ბ ე ნ ო ე რ თ-ე რ თ მ ა ნ ჭ ა ნ ა ს, დ ა ა მ ხ ო ბ ს). აკი გითხარი პატრონების პატრონები მოვლენ-მეთქი, მოაკითხავენ!.. აგერ, მთები მოდიან სპილოებზე ამხედრებული, უცხო ქარავნის მოსახმარებლად... მეწინავე მთა ასად-ად-დინი უნდა იყოს!..

ჰამლეტ. ნუ გეშინია, მაგას მე დავკრავ!.. (დ ა ე ტ ა კ ე ბ ა ა ს ა დ-დ ი ნ ი ს მ თ ა ს).

ბენო. ალბუბექარის მთა ლურჯ სპილოზე ზის, ხორთუმი მინდა მოვაწყვიტო ამ ოხერ სპილოს და იმითი ვცემო პატრონიცა და იმისი სპილოც (შ ე უ ტ ე ვ ს. ე ბ რ ძ ვ ი ს, ა მ ა რ ც ხ ე ბ ს).

კაძახბეგ. (ბ ა ნ ი დ ა ნ ლ ო დ ს გ ა დ მ ო ა გ დ ე ბ ს). ვმაგრდით სწორუპოვარო რაინდებო! ბოლათიც მალე ჩვენთან გაჩნდება!..

ბენო. მაშველს მოვუხმოთ, თორემ მარტოკას გაგვიჭრდება, ხუთი მთა არის და ორიც სპილო. ჩვენ კი სამნი ვართ. (იბრძვის, ხორთუმით ამა-თრახებს მტერს).

ჰამლეტ. ერთი უბადლო ლექსი ვიცი, საკმარისია ის წარმოვთქვათ და მტერი გაფრთხება: (იგონებს ლექსს, თან იბრძვის).

ბენო. თუ იცი რამე, დაიძახე, თორემ...

ჰამლეტ. (თან იბრძვის).

„თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი,
კახი, ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი“...

ბენო. შენი გულისა, თამარაშნელო!

„მკლავით ძლიერით ქართველი,
ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხმარდი, მთიული,
ბრძოლაში შეუპოვარი“.

(რადიო. ჭარხნის ბაღებლობიდან ჩამორბიან ბოლათი, ნოდარი, ასლან, ნუნუ, ძველ საომარ იარაღს ისხამენ ტანზე, ბრძოლაში ებმებიან).

ბოლათ. არა მგონია, მხნე რაინდებო, ჩემი ჩარევა იყოს საჭირო!

გორგას. ეგრე იდექით, როგორცა დგეხართ, შესაშინებლად ეგეცა კმარა!

ნუნუ. ვაჟა ექიმმა შპრიცი აძგერა უკუქცეულს!

ბენო. ქოლესტერინით იქნება სავსე, დონორის სისხლად ეგ არ ივარგებს, ტყუილად წვალობთ, ვაჟა-ექიმო!

ვაჟა. წნევა დაუწევს, ეგეც რამეა. ექიმი ვარ და მევალება! ო, წმინდაო მოვალეობავ!

ბოლათ. ცოცხალი არის ჯოხის ცხენი?

მებრძოლთა ეუნდი „ჯოხის ცხენი
მოკვდა ჩვენი,
საუკუნოდ მოსახსენი“.

(სიზმარი მთავრდება. შემოდის კუზიანი ღუმელი — მანქანა, თავის ეკიპაჟით, ზაურბეგი, სალა, რევაზ, გორგას, და ტანტობეთელი. გარშემო თოკი აქვთ შემოკერილი, რაც ნიშნავს დაკავებულნი არიან).

ზაურბეგ. (ვიზას უწვდის). ბარეზ, ბენო, აჰა!.

ბენო. დარდუბალეს, კაძახბეგოვიჩ!

ზაურბეგ. შენი სახლის გაყიდვის ნებართვა, ვიზაა, ბენო, მბარეს?

ბენო. ნიშე მბარეს! დარდუბალეს! ზაჰრუმალეს! (ვიზას ართმევს).

ზაურბეგ. აგიყოლიეს კოდალებმა, რენკე-ტერეკე!

ბენო. ტერეკე-რენკე... ტერეკე-რენკე... ტერეკე-რენკე.

ზაურბეგ. რეხკე-ტერეკე... ბენო! რენკე-ტერეკე (გაჰყავთ).

ბენო. შეჰეჰყილია თქვენი კარი, „ზაურბეგ კაძახბეგოვიჩ!“ რაღაცა ბლაგვი რეიკის მსგავსი სხეული გახლავთ დაძგერებული!

(ვიწისაგან აკეთებს ჩიტს და მაყურებელთა დარბაზში გააფრენს).

ბენო. ვინც ივანოს, იმისი იყოს!

(დარბაზიდან შემოდის ჰამლეტი).

ჰამლეტ. გააფრინე, ბენო!

ბენო. ეგ რა მოგაქვს, თამარაშნელო ისტორიკოსო?

ჰამლეტ. კეთილშობილი სითხეა, ბენო, შენ ვერ გაიგებ!

(დოქს გადასცემს ბენოს, რეიკას კავზე მიაყუდებს).

ხომ დავინახავ თუ ვერ გავიგებ!

ბენო.

დაღამებამდე. სულო ჩემო, დაღეჭ დაწყნარდი,
ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა,
თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს!“

ნამდვილი ღვინო ჩამოუტანია თამარაშნელ ისტორიკოსს!

(სინაზე დაწყობილ პაწია ჭიქებში ასხამს ღვინოს).

ასლან. (ესტაკადაზე მორბის ზემოდან). ბიჭებო!.. ბიჭებო!.. ზარეტას გამოგზავნილი გვირილებისაგან თოჯინა დავწანი...

(ჩამოაქვს დიდი თეთრი თოჯინა).

ვაჟა. აქ გახლავართ ვაჟა-ექიმი. ასლანისა და ზარეტას ხელის მომკიდე!

ბენო. არ ვადღეგრძელოთ, ხალხო, კეთილი საქმე? მე ვერ მოვითმენ, თქვენი არ ვიცი! (ჩადის დარბაზში სინით და დოქით, თვითონაც სვამს ნამდვილ ღვინოს და ხალხსაც სთავაზობს).

ბოლათ. თქვენ მანდ იდექით თქვენი ამალით, დანარჩენები აქ ჩამობრძანდით, ხალხში მობრძანდით, კეთილი საქმე ვაკურთხოთ!.. ავს შევუკურთხოთ (ჭიქებს ავსებს, ყველას სთავაზობს).

„ჯობის ცხენი
მოკვდა ჩვენი,
საუკუნოდ მოსახსენი“.

ჰამლეტ. ბოროტი კაცი, დანიაშიც ბოროტი არის! ყველა:

„ჯობის ცხენი
მოკვდა ჩვენი,
საუკუნოდ მოსახსენი“.

(ისმის გამარჯვების ოპტიმისტური მუსიკა).

ЗЛОБА
ИЗБАВИ

ბაგრატიონთა
ისტორია

მზეგადასულ ქსნისა და ცხრაძმულას ხეობებში ჩამობნელდა. ჯერ ყველაზე შორეული სოფლის კოშკზე აინთო ცეცხლი, მერე იმის გამოღმა და ასე რიგ-რიგობით, ძველ საომარ კოშკებზე დანთებული ცეცხლები ერთმანეთის მიმდევრობით აინთო და ორივე ხეობის გაღმა-გამოღმა ქედებზე ყვითელი ზოლებივით გაიჭიმა კოცონების შუქი.

ჯერ ერთი ცხენის დინჯი, მაგრამ მკაფიო ფეხის ხმა ისმის, მერე მეორე ცხენის ხმაც ემატება, მერე მესამე ცხენისა, და ასე ზედიზედ ემატება ერთიმეორეს რიტმული, დინჯი ხმა ცხენის ფლოქვებიდან გამოცემული: ათი ცხენისა, ოცისა, მეტისა. მერე ცხენთა ნაბიჯების დინჯი რიტმი თანდათან მატულობს, ასწრაფდა და ჭენებაში გადასული ასობით ცხენის ხმა ხევ-ხევში ჩამორღვეულ კლდესავით დათქლიშინდა, აზვავდა და მეცხვარული მგზავრულის ჭუხილად იქცა:

„გადამიშვი, ბიდარაო!
შენი არა მინდა რაო,
არცა თოხლი, არც ჰედილა
არც მარილი მინდა რაო!..“

ორივე ხეობის შესაყარ მოედანზე, ძველი ციხის ნანგრევების ძირას დაატრიალეს მხედრებმა გახურებული ცხენები. ციხის ნანგრევებზე გამოდის საბჭოს თავმჯდომარე ხერგო ყველაშვილი ისმის მისი ხმა.

— ლარგვისელებო, საითა ხართ?!

— აქეთა ვართ და არც არავინ გვაკლია! — დაიძახეს მარჯვნივ მდგომმა ლარგვისელებმა, ცხენები გაჭუსლეს და ნაბიჯი გადაადგმევინეს წინ.

— დადიანეთი და მარტიაანთი!..

— უჩვენოთ რა გაკეთებულა ხეობაში, რო! — დაიძახეს მხედართა ორ ჯგუფში და ადგილზე ააბორძიკეს ცხენები.

— მაგინი და კორა!

— ყველანი აქა ვართ! — იყო პასუხი.

— არავინ გაკლიათ?

— ხეობის სათავე ბაგიანია და სიმართლეც ჩვენგან მოდის! — უპასუხეს ბაგიანელებმა.

ხერგოს ღიმილმა გადაუარა სახეზე. მერე კიდევ იკითხა:

— პავლიაანი და ელოიანი!

— პავლიაანთში ქორწილია, ჩვენ სამმა ძლივს გამოვართვით თავი, ლადო გაბედნიერდა ზედ წასვლის წინ...

— მაშ ხვალ დილით ადრე ადგომა გაუჭირდება ლადიას.

— მარტო ლადიას კი არა, ბევრს გაგვიჭირდება! — დაიძახა რომელიღაცამ ბოლოდან.

— შენც დაქორწილდი, ბალთა?
ხმაზე იცნო ხერგომ მთქმელი.

— დაქორწილდა და ეგრე! პატარძლის კალთას ძლივას ავაგლიჯეთ, აქაც არ მოგვდევდა, მოვცდებიო!

სიცილმა შეაზანზარა იქაურობა...

სიცილ-ხარხარი და შეძახილები მიწყდა, ქსნისა და ცხრაძმულას ხუილისა და ცხენების ფრუტუნის მეტი აღარა ისმოდა რა.

ხერგომ დაბალი ხმით დაიწყო:

— ხვალ დილით ფარები სოფლებიდან აიყრება და თავქვე დაეშვება, გრძელ გზას შეუყვებით... ზაფხულის საძოვრებიდან ზამთრის საძოვრებამდე.

— დღეს, ამ მოედანზე იტყვით სათქმელს, რაც დაგიგროვდათ! იტყვით ვაჟკაცის სახელს, იტყვით ლაჩარისასაც.

ვაჟკაცს ვაჟკაცურად დააჯილდოებს ორივე ხეობის სასოფლო საბჭო და ლაჩარიც საკადრისს მიიღებს.

— უთქმელი არაფერი დარჩება!

— კარგიც ბევრი გაკეთებულა!

— ავიც საყოფია! — აზრიალდა და აყაყანდა საკრებულო.

—ჯერ სიათამა თქვას რაზედ მოსჭრა თავი ხეობას!

— რად შეგვარცხვინა საძოვრებზე?!

— თქვი, შუაღამევ!

— რას გაჩუმებულხარ!

— ხმა ამოიღე! — დასჭყივლეს აქეთ-იქიდან.

— მიდი!

— მიდი!

— ენა ხომ არ დაგცდა სასულეში! — აჩოჩქოლდნენ ყველდაბელები და თანასოფლელ სიათა ახლოურს მათრახები დაუკრეს ცხენზე.

სიათამ აღვირი მიუშვა გაცეცხლებულ ულაყს და თავ-პირის მტვრებით გადაგდო მოედანზე.

— რას იტყვი, სიათა! — დასჭექა ზემოდან ხერგომ.

— ერთხელა ვთქვი და გავათავე! — სიათამ ჯერ ხერგოს ახედა, მერე საკრებულოს მოავლო თვალი.

— ჩვენთან არ გითქვამს!

სიათა ხმას არ იღებს.

— მარტიასა ვკითხოთ! — თქვა ხერგომ.

მარტია ახლოური შუახანს გადაცილებული ჰაღარა მთის მგელია. მარცხენა ფეხი ბარძაყში აქვს გადაჭრილი და ხის ფეხს უზანგში არასოდეს არ უყრის.

მარტიამ ცოტა წინ გამოაგდო ცხენი და სანამ გააჩერებდა, მანამ თქვა სათქმელი:

— მანქანებით გადმოყვანას მოარიდა სიათამ ცხვარი, იქეგებაო, ხუთი დღით ადრე დაძრა, უგზოო გზებით ატარა და თურქულს მოაცელინა ფარა ერთიანად. განა მე არ გადაგიდექ წინა, ხელი მკარ და ძაღლივით მომიშორე, შენი დასარიგებელი უკან დარჩნენო!

სიათა გამეხებული იჯდა უნაგირზე.

— კრება რას იტყვის?! — თქვა ხერგომ.

სიჩუმეა.

უცებ ერთმა წვერაცანცარა ჭორჭოხელმა გამოაჩინდრიკა ცხენი და დასჭყივლა:

— საძოვრებზე აღარ გაიშვას, ამ ზამთარს ბუხარი ქექოს!

— სსს

— ჩუ, ყივანა! — შეუსისინეს აქეთ-იქიდან მხედრებმა. საკრებულო გაიხსნა.

— ხმა აშოიღეთ! — მიმართა ხერგომ საკრებულოს.

ისევ სიჩუმეა...

— კრების ბოლო სიტყვა შენია, მარტია! — დაუძახა ხერგომ.

მარტია დუმდა.

გამშრალი სიათა მარტიას შეაჩერდა.

— თქვი რამე, მარტია, აგრემც დაფლულა სიათა ზვავის ძირში!..

მარტია ისევ ჩუმად იყო.

— მაშ შორჩა, ჰა! — დავარდნილი ხმით შეეკითხა სიათა ხერგოს. მერე თავი დაღუნა და დაძმარებულმა, თრევა-თრევით გაიყვანა ცხენი რიყიან მოე-

დნიდან, მხედრებმა ერთ ადგილას გაიწიეს, სიათა გაატარეს. მათრახის ლაწანი გაისმა სიბნელეში, მერე თავდავიწყებით გაჭენებული ცხენის ფეხის ხმა მოჰყვა მათრახის ლაწანს და ჩაბნელებულ ხეობაში თანდათან უფერულდებოდა საჯიშე ულაყის ძლიერად დარტყმული ნალებიდან გაკვესილი ნაპერწკლების ძალა...

სიჩუმე ისევ ხერგომ დაარღვია:

— მწყემსის დამატება დაგჭირდება, მარტია!
— დავუმატებ, უმცროს ბალღს წავიყვან!

მარტიას უმცროსი შვილი 15 წლის ვაჟია, ცქვიტი და თამამი ბიჭი. რომელიღაც მეცხვარემ მათრახი გადაჰკრა ვაჟიას ცხენუკას. ქვიან მოედანზე წაიფორხილა ცხენმა, კრებას გაეცინა.

* * *

მოედანზე უბელო, თაფლისფერი საჯილდო ულაყი გაუშვეს, აღვირზე არავის უკიდია ხელი. ისმის ხერგოს ხმა:

— ორივე ხეობის სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებით, ას სულ დედაცხვარზე ასი ბატკანის გამოზრდისათვის გელა ახლოური დაჯილდოებულია რაიონის საუკეთესო ულაყით.

საჩუქარი მოედანზეა და მეცხვარეს უცდის.

მარტიამ ამაყად გადახედა გელას, სიყრმის შვილს. ოცდაშვიდი წლის შავგვრემანი, პირხმელი და ტანმაღალი ვაჟკაცი ჩამოხტა ცხენიდან და მოედანზე გავიდა. უმხედროდ მიშვებული თაფლა, საჯილდო ულაყი ხტებოდა და ყალყზე დგებოდა.

— ჰოოოოპ! — იძახდა საკრებულო ერთხმად, როდესაც გელა ახლოს ჩაუქროლებდა თავაშვებულ ულაყს.

— ჰოოოოპ! — იძახდა საკრებულო და გელა თანდათან უახლოვდებოდა ცხენს.

— ჰოოპ! — დაიძახა კიდევ ერთხელ ხალხმა და გელამ ლაგამში წაავლო ხელი ყალყზე დასადგომად გამზადებულ ულაყს და თვალის დახამხამებაში ზურგზე მოაჯდა. კიდევ რამდენჯერმე სცადა ურჩობა ულაყმა, მაგრამ გელამ ღონიერად დაჭაჩა აღვირი და მუხლებთან მიატანინა ლამაზი თავი.

როგორც კი ცა და დედამიწა ერთმანეთს გამოეყო, მაშინვე დასცხო სოფლის ზემოთ შეფენილმა 10.000 სულმა ცხვარმა და ისეთი ბღავილი ატეხა, რომ ყველოდაბას ყურები გამოუჭედა...

სოფელი იღვიძებს, მძიმედ დგებიან შარაზე დაყრილი ბებერი ჭოფაკები და ღრეებისაკენ იხევენ.

ქალები შერბი-გამორბიან, ფურნეებიდან გამოყრილ მთიულურ პურებს ტენიან ხურჯინებში და სხვა საგზალთან ერთად ჰკიდებენ შეკაზმულ ცხენებს. დაოთხილი ცხენები მიჰქრი-მოჰქრიან ხერგოს, ფერმის გამგისა და ბრიგადირების სახლებს შუა. დამფრთხალი ქათმები კრიახ-წიოკით გადადიან ღობეებზე.

— მიდიხარ ჰა, ვაჟი! — ეძახის ეზოში შემოსული მეზობლის ქალიშვილი.

— მივდივარ! — ამაყად უპასუხებს ვაჟია და უნაგირს ადგამს თავის თოხარიკს.

გელასა და მარტიას ცხენები უკვე შეკაზმულებია.

ქალიშვილმა კიბე აირბინა და ოთახში შევიდა. მარტია და გელა ხურჯინებს ალაგებენ გამალებით.

— დილა მშვიდობისათ! ხორაგამ გამომატანა! — თქვა გოგომ და პურები და რამდენიმე წყვილი წინდა მაგიდაზე დაალაგა.

— დილა მშვიდობისა, ნათია, რაზე ირჯებოდით!

— ეს რა გარჯაა! ხო არაფერი გჭირდებათო?!

— არაფერი, ჩემო ნათო, მადლობა უთხარი, თუ არ დაგვზარდებით, ხანდახან სახლ-კარს გადმოგვიხედეთ!

— არხეინად იყავით, ძია მარტია!

გოგო გაბრუნდა, მარტიამ თვალი გააყოლა.

— დადიხარ, დადიხარ, დალაღუნობ, არც შვილი გინდა, არც ძირი, აბაბა-ბა ქვეყანაზე, შენ არა გადარდებს რა!

— ოოჰ, მოჰყვები ხოლმე შენცა!

გელა წამოხტა, კედელზე დაკიდებული თასმები ჩამოიღო და ხურჯინში ჩატენა.

— მოგაყოლებ მე შენა! ეგება გგონია, რო ჭკუას ვერავინ დაგარიგებს! ვისზე ნაკლები გოგო იყო! — კარისაკენ გაიშვირა ხელი მარტიამ.

— კარგი იყო და კარგმა ბიჭმაც დაადგა თვალი!

— მე სხვებთან არა მესაქმება რა!

— ჩემგან რაღა გინდა, ცხვრის პარსვა არ ვიცი? დადოლება არ ვიცი, დედისა და ბატკნის ცნობა არ ვიცი?..

— ქალის ცნობა არ იცი, ქალისა!

— შენ დარდი ნუ გაქ, რომელმა გოგომ შემოგჩივლა, ჩემი ცნობა არ იცისო! — იცინის გელა და ხურჯინები გამოაქვს.

— გადი, დაიკარგე! — გარეთ გამოდის მარტია, — ქალებში წანწალს კი არ გეუბნები, ცოლს გეუბნები, შვილს გეუბნები, ოჯახსა, სახლსა, კარსა!

მარტია კარებს ხურავს და ჯოხს უყრის რაზაში.

ცხვარი თქრიალით მიიწევს სოფლის ორღობეებში.

უხალისოდ ეღვიძება ბალთას. წინადღის შერთული ცოლი თვალგახელილი უცდის, როდის გამოიღვიძებს სარეცლის მოზიარე.

აი, გააზილა კიდეც თვალი კაცმა და ალერსი და კოცნა უწყო.

— ადე, ბალთა, ცხვარი ყურილია! — ურახუნებს კარზე ნეფე-პატარძალს ბალთას მამა.

— ჯერ ხომ რიგიანად არც გათენებულა! — უღრენს ბალთა.

— ადე-მეთქი, ბალღო, ფარები დაძრულია!

— დაძრულია და იყოს რა! — უპასუხებს ბალთა, მერე ბრაზმორეული დგება და ტანთ იცვამს.

პატარძალი შიშით ადევნებს თვალს გაბრაზებულ ქმარს.

სახლში ჯერ ისევ აულაგებელია ნაქორწილარი მაგიდა. ღვინით შეღებილ სუფრაზე დოქები და ყანწებია მიყრილ-მოყრილი.

ფარებმა გაჭედეს სოფელი. ფარასა და ფარას შუა საზიდრები მოდის, საზიდრებზე მწყემსების ბარგი-ბარხანა აწყვია. ისმის სტვენა, ჭყივილი, შეძახილები. ეზოებიდან გამოდიან მწყემსები და თავ-თავიანთი ფარების თავსა და ბოლოში დგებიან.

პირველ ფარაში მამა-შვილები დგანან.

აგერ ერთ ეზოში შეკაზმულ ცხენებს ორი მთვრალი მეცხვარე მიჰყუდებია, რაღაცას მღერიან და აღვირს ეპოტინებიან. ცხენებს ცალ გვერდზე თუნუჭის ღუმელები ჰკიდია თავის მილებიანად. ამაოდ ანჯღრევენ დედაკაცები მთელი ღამის ნამთვრალევ ქმრებს. ბავშვებმა ჩაფებით მოურბენინეს წყალი ქალებს.

— მიდი, ხათუნა, ნუ გერიდება, გამოაღვიძე შენი კაცი!.. — ეძახის მარტია ერთ მათგანს.

ჩქაფანით ესხმით თავდაქინდრულ მეცხვარეებს წყალი პირისახეზე, თავებს აქეთ-იქით აქნევენ, ცხენებს ახტებიან ნახევრად გონსმოსულები. დაფეთებული ცხენები სოფლის თავქვეებში მიაჭენებენ აქეთ-იქით გადაკიდებულ მხედრებს. მერე ნელ-ნელა იოკებენ მთვრალი მხედრები ცხენებს, აბრუნებენ და ახლა ფარებისაკენ მიაჭენებენ სტვენა-ჭყივილით.

ცხვრის დინებამ ბალთას ეზოსაც ჩაუარა, აღრენილი გამოდის ბალთა და ფარაში დგება. ცოლი გვერდზე მიჰყვება.

თავ-თავიანთი სახლების ბანებზე მსხდომი ბებერი მეცხვარეები ფეხზე დგებიან და თვალს ადევნებენ ფარების მოძრაობას...

— ვაჟია! ვაჟი! — ეძახის ძმის გვერდით მიმავალ ვაჟიას ღობის იქიდან 13-14 წლის თმებგაბზეკილი გოგონა. ვაჟიამ სწრაფად მიიხედა. გოგონა რაღაცას აჩვენებდა ვაჟიას. ვაჟიამ გელას გახედა, მერე ისევ ღობისაკენ გაიხედა, ისევ გელას შეხედა და, რომ დარწმუნდა ძმა არ მიყურებსო, აღვირს ხელი ვაუშვა, ფრთხილად დასხლტა და ეზოში შეძვრა.

— მოიტა, ჩქარა! — გოგოს შინ ნაქსოვი ღაზლის ხალათი გამოართვა, ტყავისა გაიძრო.

— რატო წუხელ არ მოიტანე?

ხალათი ჩაიცვა, გულისპირზე თხები იყო ამოხატული.

— არ გამომიშვეს!..

ვაჟიამ სწრაფად ჩაიცვა ტყავის ხალათი და ზემოთა ღილამდე შეიკრა. ჯიბეზე იკრა ხელი, ერთი მუჭა ტყის თხილი მიაჩეჩა გოგოს და გარეთ გამოვარდა, წინ წასულ ძმას დაეწია. ვაჟიას ცხენის აღვირიც გელას ეჭირა. ფრთხილად გაჰყვა ვაჟია თავის ცხენს გვერდით, წაეპარა, მაგრამ გელამ მაინც გადმოხედა და აღვირი მიაწოდა.

სოფლიდან გასული ფარები თავქვე ეშვებიან. გამცილებლებიც მისდევენ ქვემოთ, მხოლოდ ბებერი მეცხვარეები დგანან ბანებზე, ქვემომდე ვეღარ ჩაჰყოლიან ცხვარს, მუხლები აჰკანკალებიათ, გულითა და თვალებითღა მისდევენ ისინი ხეობაში თიხისრად მოტორტმანე ნიაღვარს. მერე ისევ სხდებიან, წოწოლა ფაფახებით იწმენდენ ოფლსა და აქა-იქ ცრემლსაც. აქაჭანებული და ენაგამოყრილი ბებერი ჭოფაკებიც იქვე ფეხებთან მისწოლიან თავიანთ პატრონებს და ისინიც ქვემოთ, ხეობაში იცქირებიან.

„ბაუმ“, — დაიყეფებს რომელიმე მათგანი და ბებერ მუხლებზე წამოიწევს, თითქო საცაა ადგილს მოსწყდება და ცხვარს დაედევნებაო. ცოტა ხანს არის ასე წამოწეული და მერე ისევ გაიშოტება მეცხვარის ფეხებთან, ცხვარი კი მიდის და მიდის.

შემდეგ ვხედავთ სოფლის ბოლოს მდგარ მკერდშიშველა ქალებს, რომელთაც რძით გაჭედილ ძუძუებზე ბავშვები მიუკრავთ, ზოგს მოუცილებია ბავშვი და ქმრის ცქერაში გართულს რძემაწვეთარი ძუძუს დამალვა დავიწყებია...

ქსნის ხეობიდან გადმოსული ფარები შეჰფენოდნენ ლომისას ხეობას. ზოზირა მთელი ტანით გაიმართა ლომისას ტაძრის სამრეკლოზე, ტყავის ქურჭი გაიძრო და იქვე მიაგდო.

ზოზირა ბარე ასი წლის ჭაღარა მეცხვარეა. დაბერდა, მუხლში ძალა გამოელია, მაგრამ გული ვერ უსვენებს, რომ ზამთრის საძოვრებზე მიმავალსა და იქიდან დაბრუნებულ ცხვარს ლომისას გადასასვლელზე არ დახვდეს. ზოზირას დარეკილი ზარები ამცნობს ხეობებს, რომ დაძრულია ფარები.

ზარებმა ნელ-ნელა იწყეს რწევა:

— ჰე, ჰე, ჰეი! მოდიან! მოდიან!

ზარების რეკვაში არეული ზოზირას ქუხილი თავწართმეული ცხენივით გაჭენდა დიდი ხეობის შენაკად პატარა ხეობებში და იქიდანაც აიყარა და დაიძრა ცხვარი. ცხვარი უკვე აღმართზე ამოდის, ზოზირა ზარებზე ჰკიდია. ამოივაკეს კიდეც ფარებმა.

— ზოზირას სიცოცხლე! — ეძახის გელა.

— ქარჩოხელებო, თქვენი ჭირიმე! — მაინც ატანს ზარების ზათქში ზოზირას ხმა.

— ქარმა არ დაგკრას ნაოფლზე, ზოზირა!..

— ბატკანი ჭედილად გექციოთ! — ჰქუხს ზოზირა.

ფარები თქრიალით მიდიან ლომისას ტაძრის ძირში, ტევა აღარაა.

— ჯეელ მწყემსებს გაუფრთხილდით, თავჩობნებოო!..

— მშვიდობით იყავ, ზოზირაცა!..

— ბიდარას უთხარით, ლარგვისელებო, ზოზირაცა დგას, ჯერ არ წაქცეულა-თქო! — რეკენ ზარები...

ფარა-ფარას მისდევს. მთის ნეკერით ნალაღი ვაცები წინ უძღვიან ფარებს...

„ვისია, კაცო, ეს ფარა?!
ჩემია, კაცო, ეს ფარა!

ჰოი, ლომისა, ლომისა, ხო არას გვეტყვი ომისა?!
ომ'ში დადიხარ, ვაჟკაცო, რა უნდა გითხრა ომისა!...“

ირწევიან ზარები ლომისაზე...

იწურება ფარები ლომისაზე.

ფარების უწყვეტი ნაკადი მითქრიალებს დარიალის ხეობაში. კილომეტრების პირველი ბოძი, ბოძს ერთი მხრიდან ნული აწერია, მეორედან — შვიდასი.

შვიდასი ათასი მეტრის, დაახლოებით ერთი მილიონი ნაბიჯის გადადგმა მოუხდება მეცხვარეს ცხვრის დიდ გზაზე... ათჯერ და ოცჯერ გატკეპნილ გზას ისევე ტკეპნის მეცხვარის ნაბიჯები...

ნაბიჯები, ნაბიჯები, ნაბიჯები...

კილომეტრების ბოძები ერთმანეთსა ცვლის.

მზის სხივი აცურდა მთის ქიმზე, ღამდება ხეობაში. ყველდაბელებმა ფარები მთის კალთას შეაფინეს. სხვა ფარებიც გადადიან გზიდან ფერდობებზე და ანთებული მანქანების ნაკადი ავსებს გზატკეცილს.

ღამეა. მოსახვევში შემოსული მანქანები განუწყვეტლივ ანათებენ მთის კალთას. ვხედავთ კომბალზე დაყუდებულ გელას, დანარჩენი მეცხვარეები ნაბდებში გახვეულან, სძინავთ. სძინავს ვაჟიასაც...

რიყრაჟი... მზის სხივი ხვდება მთის წვერს! ფარები ისევ დაბლა ჩამოდიან. ცხვრის ფეხით დასხლტილი ქვები ხმაურით ეშვება ქვემოთ, ხევში. ჩახეთქებული ქვებისაგან წამით ყრუვდება ხეობა და მერე ისევ ისმის ცხვრის თქრიალი გზატკეცილზე.

ისევ კილომეტრების ჭრელი ბოძები. ვაჟია წამით ჩერდება ერთ ბოძთან, ბოძზე წარწერა აღარ ჩანს, პირიანი ქვით გამოჰყავს წაშლილი რიცხვი ვაჟიას. გელა უყურებს ძმას, ღიმინის. მერე ისევ ნაბიჯები, ნაბიჯები, ნაბიჯები... გელას ნაბიჯები, ვაჟიას ნაბიჯები, მარტიას ნაბიჯები, ბალთას ნაბიჯები, სხვათა ნაბიჯები...

ისევ აცურდა მზის უკანასკნელი სხივი მთის ქიმზე. ისევ დაღამდა ხეობაში. ისევ არეკეს ფარები მთის ფერდობზე და ფარებისაგან დაცლილ გზატკეცილზე ისევ დაჰქრიან ანთებული მანქანები. მანქანების ფარნები ანათებენ კალთებზე დაყრილ ცხვარსა და ნაბდებში საძილედ გახვეულ მეცხვარეებს. მანქანის სინათლეზე ვხედავთ კომბალზე დაყუდებულ ვაჟიას. გელას სძინავს, მარტიასაც. გელას ეღვიძება, დგება, ვაჟიასთან მიდის, რაღაცას ეუბნება, ვაჟია უარის ნიშნად თავს აქნევს. გელას ღიმილი ერევა და ისევ მიდის დასაძინებლად. ალბათ, ვაჟიაა მორიგე...

წვიმაში თენდება... ისევ აჰყარეს ფარები და გზაზე ჩამორეკეს. ისევ სხლტება ქვები და ცრიალით მიჰქრის ხევში... სველი გზა, სველი ფარები, სველი ცხენები, სველი მწყემსები... სველი ნაბიჯები, ნაბიჯები, ნაბიჯები. ჯვრის უღელტეხილის გვირაბში თქრიალით შედიან ფარები. გვირაბში გაუჩინარდა გელა, მარტია, ვაჟია, ბალთა, სხვა მწყემსები, სხვა ფარები. ერთი ათად გაზარდა გვირაბმა ცხვრის ფეხის ხმა, ძაღლების ყეფა, მწყემსების შეძახილები, კომბლების ჭახა-ჭუხი...

გვირაბიდან გამოდიან. თოვლი ბარდნის, ირგელივ ფიფქები მოფრინავენ... თოვლი ედება ფარებს, თოვლი ედება ცხენებს, თეთრად იპენტება მეცხვარეთა ნაბდები, ბოხოხები...

„გადამიშვი, ბიდარაო!
შენი არა მინდა რაო,
არც თოხლი, არც ჭედილა,
არც მარილი მინდა რაო...“

ჰქუხს მეცხვარული მგზავრული თოვლით დაყრუებულ დარიალის ხეობაში...

მერე ისევ გვირაბში შედიან და აათკეცებს მგზავრულის ქუხილს თაღებიანი გვირაბი.

ისევ გამოდიან გვირაბიდან, ისევ ბარდნის. ვაჟია ჩერდება თოვლით შეფიფქულ კილომეტრების ბოძთან. თოვლს აცლის და რიცხვს კითხულობს. გელა ძმისაკენ იხედება, რაღაცას ეძახის სიცილით და მათრახს უქნევს, ვაჟიაც უცინის და ისევ მიჰყვება ფარას...

თოვლი აღარ მოდის, მზე ანათებს, მანქანებზე ტვირთავენ ცხვარს, სახედრებს, ცხენებს. ძაღლებს. მიჰქრიან მანქანები დაკლაკნილ გზატკეცილზე და სწრაფად იცვლება კილომეტრების ბოძები.

ისევ გზა. ახლა ისევ ფეხით მიდის ცხვარი. ცხვრის დინება იკვეთება ჩამოკრიალებული მატარებლებით. მერე ისევ იხსნება გზა და ისევ მითქრალებს ცხვარი...

ვიწროებიდან გადიან ფარები. სტეპში დაუღამდათ. ცეცხლი უნთიათ მწყემსებს და გარშემო უსხედან. ცეცხლზე ქაბაბი უდგათ, ვახშმობენ. გამორბის ვაჟია სიბნელიდან, რაღაცას იძახის, ხელებს იქნევს, სასწრაფოდ ახტებიან ცხენებს, ზოგი შეკაზმულს, ზოგიც უბელოს, ფეხზე წამოყრილ ფარას გარშემო უვლიან. აი, გაირღვა ერთ ადგილას ფარა, მგელი გამოვარდა და სტეპს გაეკრა. მისდევენ ქოფაკები, მიჰყვებიან მხედრები. გელა დაწინაურდა, დანარჩენებმა უკან დაუხვიეს. ქოფაკები თანდათან ეწევიან მგელს, გელა ფეხდაფეხ მისდევს ძაღლებს. ცოტაც და ყურებში აქეთ-იქიდან გაჭაჩული მგელი ადგილზე გააშეშეს ქოფაკებმა. მძიმედ დაიზრიალა შემართულმა კომბალმა და კვინიხი გაუხეხა ნადირს.

თენდება. ფარებისაკენ მოდის გელა და უნაგირის ტახტზე თოკით გამობმულ მგელს მოათრევს.

თენდება ნოღაის ტრამალებზე. შორს გამოჩნდა ზღვა. ფარები შეუჩერებლივ მიიწევენ წინ, ზღვა თანდათან ახლოვდება. ზღვისპირა სოფლებიც თანდათან გამოიკვეთა და მკაფიო გახდა...

მეთევზეთა სოფელ ბელორიბეცს, რომელშიაც უნდა გაიაროს ცხვარმა, მდინარე თერგის ერთ-ერთი ტოტი ჰყოფს შუაზე.

შუაგაყოფილი სოფელი ერთმანეთს ათიოდე პატარა ხიდით უკავშირდება.

მდინარის ორივე ნაპირზე მეთევზეებს ბოსტნები აქვთ გაშენებული. ყოველ ბოსტანში თითო წყალსაჭაჩია.

შესართავში მდინარე ყურესა ქმნის. ამ ყურეში მეთევზეთა მოტორიანი ფლოტილია დგას. ყურეშივეა თევზის ქარხანა. ზღვაში გაჭრილ გრძელ პირზეა თევზის მიმღები პუნქტი.

შუადღეა...

როგორც კი ფარები მეთევზეთა სოფელს მიადგნენ, ცხენჯოხებზე გადამსხდარი ბავშვების რამდენიმე რაზმი გამოექანა მათკენ ჭენებ-ჭენებით.

მარტია დაიხარა, რომელიღაც ბიჭს დასწვდა და უნაგირზე შემოისვა. ზოგი გვერდზე აედევნა მეცხვარეებს, ზოგიც საჭიდრებს დაეკიდა.

ჯერ ფარებისგან ამდგარი ბუღი შეიჭრა სოფელში რამდენიმე მხრიდან, მერე ფარებიც.

მდინარეზე გასარეცხად ჩაფენილმა ქალებმა სასწრაფოდ წამოკრიფეს თეთრეული, ვარცლებში ჩაყარეს, ზედ თავშლები გადააფარეს, რომ თეთრეული არ გაეჭუჭყიანებინა მტვერს, დამფრთხალი ბატებივით ამოცვივდნენ და ეზოებს მიაშურეს.

ფარებმა გაჭედეს ბელორიბეცი. რამდენიმე ნაკადად დაყოფილი ცხვარი სხვადასხვა ადგილას გადადის თაღიან ხიდებზე, ხიდების თაესა და ბოლოში მწყემსები გალაჯულან და კომბლებით ითვლიან ცხვარს, ყოველი ათასი სულის შემდეგ წელში იმართებიან და კომბლებზე ჰდეები გამოჰყავთ.

ზღვიდან დაბრუნებული მეთევზეთა ნავები აღმა მოარღვევენ დინებას, ხიდების ქვეშ გამოდიან, ხიდებზე გალაჯულ მეცხვარეებს ესალმებიან. ზოგი ნავს აბამს და ნაპირზე ამოდის.

მეცხვარეთა ერთი ნაწილი ზეზეულა იღოცება სასადილოს წინ მეთევზეებთან ერთად. სასადილოსთან ჩამომხტარი მეცხვარეების ცხენები ბავშვებს უჭირავთ აღვირებით და წინ და უკან დაატარებენ, ზოგი მეცხვარე ცხენზე ჯდება და ფარას მისდევს...

მზე გადაიწურა... ფარები ისევ თქრიალით გადადიან ხიდებზე. მტვერში გაგუნგლული და ოფლიანი გელა ისევ ისე დგას ხიდზე და ისევ ითვლის ცხვარს.

სტეპში გასული ფარები სხვადასხვა მიმართულებით მიდიან. ყველდაბელებმაც ჩაუარეს გზის მაჩვენებელ ისარს:

„ყველდაბის საძოვრები“. მიდიან.

გამოჩნდა ყველდაბელთა ბინა, თივის ზვინები, ფარეხები.

ლელით ნაკეთებ ფარეხებში შერეკეს ყველდაბელებმა ცხვარი, მზე ჩადის, ღამდება...

ყველაზე ადრე ზღვაზე გარიჟრაჟდა. მაგრამ განთიადმა მაინც ვერ გატეხა ზღვაზე გადაკრული სიწყნარე.

ბადეების ამოსაკეცად წახრილმა მეთევზეებმა აღმოსავლეთს გახედეს და როგორც კი გასრიალდა მზის სისხლისფერი სხივი ლურჯ-მწვანედ გარინდულ ზღვის ზედაპირზე, რამდენიმე წყვილი ბადეებს ჩააფრინდა და ნავებში ჩაიბერტყა ბადეების პირველი სველი კალთა...

ბადეების ოთხკუთხა ხაფანგს ორი მხრიდან ავიწროებენ მეთევზეები. პარალელურად მდგარი ნავები სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს და ბადეებში შერეკილ თევზებს თანდათან უმცირდებათ სარბიელი.

კეება თართმა ამოარღვია წყალი, წითლად იელვა უგონო თვალმა ჰაერში. შუახნის ჩაფსკვნილმა მეთევზემ ღონივრად ხეთქა თევზს კეტი თავში ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, თართი ჯერ გადანდგალდა, მერე გასრიალდა და სისხლიან თავთან ერთად ტანიც ამოზიდა ზედაპირზე...

უკვე ყველგან ამოდიოდნენ კაცის სიგრძე თევზები. კეტების ხათქა-ხუთქისაგან წყალი შხეფებად ადიოდა ჰაერში, დაბნედილ თევზებს თავები ამოეყარათ და ხროტინებდნენ, ზოგიც გულაღმა იყო გადმობრუნებული.

ალაგ-ალაგ მუქი სისხლი ერეოდა წყალს.

ჩანგლებსა სდებდნენ ლაყუჩებში დარეტიანებულ თევზებს, ნავებზე ითრევდნენ. ნავები ივსებოდა თავსისხლიანი თართებით. სულთმობრძავი თევზები გამეტებით იქნევდნენ ღონიერ ბოლოებს და ნავებს ბაგა-ბუგი გაჰქონდა დარტყმებისაგან.

ისევ იქნევდნენ გაშმაგებული მეთევზეები მძიმე კეტებს, წითლად ტორტმანებდა ორ ნავს შუა მოქცეული ზღვის პატარა ნაწილი გაოგნებული თევზებისა და შეხეთქებული კეტებისაგან. ზღვა მაინც მშვიდი იყო და მზე მაინც ამოდიოდა.

თავისუფალ ღელეში იხვების გუნდი ამოფრინდა გრიალით. ისმის ცხენების ფრუტუნი და ლელის შრიალი. ორმა მხედარმა თვალი გააყოლა გაფრენილ იხვებს.

ლელი უცბად დადაბლდა და მხედრების წინ ზღვა გადაიჭიმა.

— ოჰო, ჰო! — იძახის ვაჟია და ცხენს აჩერებს. — ჩვენი მთები თუ ჩაიმალება, გელა!

— სადა, ბალღო!

— ამ ზღვაში!

ვაჟიამ ცხენი ისევ დაძრა.

— თუ ჩასდგამ, ჩაიმალება!

— ღორღიანა?

— ღორღიანა სუბუქია, იტივტივებს.

— იტივტივებს კი არა!

ლელი უცბად გათავდა. მომაღლო ნაპირზე იდგნენ ძმები, წინ ქვიშა იყო, ქვიშის იქით კი ზღვა.

ნაპირზე რამდენიმე დიდი შავი ნავი იყო ამოთრეული, ნავებთან ერთი დაკერებული კარავიც იდგა.

— მოვედით? — იკითხა ვაჟიამ.

— მოვედით, მაგრამ აქ არ არიან! — გელამ თავქვე დააქანა ცხენი, კარავთან გააგდო, ვაჟიაც ჩაჰყვა.

— სად არიან?

— აგერ! — გელამ მათრახი გაიშვირა ზღვისაკენ.

— მალე გამოვლენ?

— იმათ რო უცადო, დღე დაღამდება...

— მაშა?

— იქ უნდა გავიდეთ!

გელა ჩამოხტა და ცხენის გახურება იწყო.

ვაჟიამაც გაუქნია მათრახი.

მათრახის ყოველ გალაწუნებაზე ულაყი ყალყზე დგებოდა.

— რა პირი დაგიღია, მიდი, შემოჰკარ, გაახურე.

— აქ მოუცადოთ, გელა!

სთხოვს ვაჟია, თან ცხენს ახურებს.

— გეშინია?

— რის უნდა მეშინოდეს!

ვაჟიამ ზედიზედ დააყარა ცხენს მათრახი, ხან ზღვას გახედავს, ხანაც ძმას. გელა ზღვისაკენ იცქირება. ღიმილის შეკავებასაა ცდილობს.

კარვის კალთა გადაიწია და 17-18 წლის შოლტივით მოქნილი გოგო გამოდგა კარვის წინ. გაბურძგნულმა პატარა წითელმა სეტერმა ნაბული გააკეთა გოგოს გვერდით. გოგოცა და ძაღლიც გაოცებული შეჰყურებდნენ მათრახების ლაწა-ლუწში გართულ შავბოხოხიანებს. გოგო თმას ისწორებდა და ღილებს იკრავდა ათქვირებულ მკერდზე. ცალი ფეხის გაყოფა მოესწრო ფლოსტებში, მეორე ფლოსტს ვერ პოულობდა და ფეხშიშველა ფეხს აფათურებდა. მერე როგორც იქნა წაჰყო მეორე ფეხიც და რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა წინ. მაგრამ სწორედ ამ დროს მოახტა გელა გაფიცხებულ ყაბარდულს და დგაფა-დგუფით შეაგდო ზღვაში.

— მომყე! — დაუძახა გელამ ძმას.

ფერიფურნაცვალი ვაჟიაც მოაჯდა თავის თოხარიკს და ძმას დაედევნა.

ძაღლი თითქოს ამას ელოდებოდაო, ეცა ნაპირს და იქაურობა აიკლო ყეფით.

ჩქაფა-ჩქუფით შედიოდნენ ცხენები ზღვაში. ზღვა ჯერ მუხლამდე სწვდებოდა ცხენებს, მერე თანდათან გაღრმავდა.

— ღრმავდება გელა, ღრმავდება! — დაუყვირა გაფითრებულმა ვაჟიამ ძმას და აღვირი მოჭაჭა ცხენს.

— მოდი, მოდი! — გამოსძახა გელამ ძმას.

ვაჟიამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადაადგმევინა ცხენს.

— ღრმავდება, გელა! — ისევ გასძახა ვაჟიამ. გელამ ძმას გამოხედა და მკერდამდე ზღვაში შეგდებული ულაყი უკან შემოაბრუნა სიცილით.

— ლაჩარო, ლაჩარო! — უცინის გელა. ბოხოხი ჩამოაფხატა ძმას და ნაპირისაკენ გამოაქანა ფერდებამდე სველი ყაბარდული.

— მოიცა, ჯერ მარტიას ვუთხრა, არსადაც აღარ წამოგყვები! — ბუზღუნებს ვაჟია და დარცხვენილი მისდევს ძმას უკან.

— წადი, შე ლაჩარ-ვაჟო, არსად წამოგცდეს, თორე მასხარად აგიგდებენ! ვაჰა-ჰა! მართლა გეგონა, რომ მეთევზეებთან მივდიოდი? — სიცილით ამოავდო გელამ ცხენი ნაპირზე, ჩამოხტა და სველი შარვლის ბერტყვით ნავებისაკენ წამოვიდა.

ძაღლმა ყეფით შეუტია ძმებს.

გელამ თავი აიღო და კარავთან მდგარი ქალიშვილი დაინახა.

ძაღლი ყეფდა.

— დაიკარგე, პალმა, აქედან! — დაუყვირა ქალიშვილმა ძაღლს და ფეხები დაუბაკუნა.

გელამ მყეფარს გახედა, მერე ქალიშვილს დააკვირდა.

— დაიკარგე მეთქი, პალმა! — კიდევ შეუტია ძაღლს ქალიშვილმა, მერე გელას შეხედა და გაუღიმა:

— მამამ თქვა, მომიცადოსო!

— შენ პეტროს გოგო ხარ?

— ჰო, — ქალიშვილი გაწითლდა.

— მარია?

გოგომ თავი დააქნია.

გელამ ძაღლს დაუწრუწუნა, ძაღლი ლაქუცით მოუახლოვდა.

— დაბერებულა შენი პალმა!

გელამ ძაღლს თავი მოუჩეჩა, ისევ მარიას ახედა:

— ორი წელი გავიდა, — თქვა ქალიშვილმა.

— ეხლა რომ გამოუდგნენ ჩვენი ძაღლები შენ პალმას, იტირებს? — ჰკითხა გელამ.

ოდნავ გააქნია თავი ქალიშვილმა.

— კინაღამ დაახრჩო ჩვენმა სარმამ ეს ძაღლი! — მიუბრუნდა გელა ვაჟიას.

— კინაღამ, თორე გაუჭირდებოდა სარმას მაგ ბურტყლიანის წახრჩობა! — აგდებულად ჩაილაპარაკა ვაჟიამ, ძმამ ცხენი ვამოართვა და დასაბმელად გაიყვანა.

— თქვენ აღარ დაყვებოდით ცხვარს? — ჰკითხა მარიამ.
— როგორ არა!
— სხვა მოდიოდა ხოლმე ლელის წასაღებად!
— ვიცი, ისიც ჩვენი ბინიდან არი, შენ ყველაფერი გახსოვს!

წამიერი სიჩუმე ჩამოწვა.

— ეგ ბიჭი ვინ არის? — ვაჟიას გახედა მარიამ.

ვაჟიას ცხენები ნავზე მიება, ზღვასთან მისულიყო და გამორიყულ თევზებს ისროდა წყალში.
— ჩემი ძმაა!
— თქვენა გგავთ!

გელაზე გადმოიტანა მზერა მარიამ.

— ხო, არ მოგეწონა?
მარიას ლოყები აეწვა, შეუკრავ ღილს მისწვდა მკერდზე. რამდენჯერმე გაუსხლტა ღილი მოცვეთილი ღილკილოდან.

მოტორიანი ნავების ხმა გაისმა.

— კაბა დაგპატარავებია!..
— ჩვენები ბრუნდებიან! — თქვა აჭარხლებულმა მარიამ, კარავში შესხლტა და კალთა ჩამოშალა.

მოტორების გრიალი გაიზარდა, გელა ზღვისაკენ შებრუნდა. ზედიზედ ჩაქრა ორი ნავის მოტორი თავთხელში. მეთევზეები ნავებიდან ჩამოხტნენ და ტოპვა-ტოპვით წამოვიდნენ ნაპირისაკენ.

გელა ძმას მიუახლოვდა.

ვაჟიამ კიდევ ერთი მკვდარი თევზი გატყორცნა ზღვაში:
— ამდენხანს რას ელაპარაკებოდი? — წაიბუზღუნა ვაჟიამ.
— შენზე ველაპარაკებოდი! — გაეცინა გელას.
— ვიცი რაზეც ელაპარაკებოდი.
ვაჟია ისევ დაიხარა თევზის ასაღებად.

— შენზე მკითხა, ვინ არისო!
— მოსტაცე და ირბინე-თქო, მაგას ვინა ჰკითხავს, ვინცა ვარ! — ისევ გატყორცნა ნარიყი თევზი ვაჟიამ...

— დილა მშვიდობისა, ყმაწვილო!

შუახნის ჩაფსკვნილი მეთევზე წამოვიდა გელასაკენ, სველი ბადე ძირს დააგდო და გელას ხელი გაუწოდა.

— ადრე გელოდებოდით.

გელამ პეტრო იცნო, ხელი ჩამოართვა.

— დილა მშვიდობისა, ცოტა დაგვაგვიანდა.

— დილა მშვიდობისათ! — მიესალმნენ გელასა და ვაჟიას დანარჩენი მეთევზეებიც.

— დილა მშვიდობისათ! — მიესალმა გელაც.

მაგიდას მიუახლოვდნენ. პეტრომ მეტრიანი თევზი შორიდანვე დაათხლაშუნა მაგიდაზე, სველი ხელი ჩაიყო უბეში, ქაღალდი ამოიღო, გელას გაუწოდა:

— ათასი კონა დაგიმზადეთ, გეყოფათ?

ჯიბიდან დანა ამოიღო და მუცელზე გაუსვა თართს.

— როგორ არა, რა ადგილას არი?

— აქვეა, მანქანა სადა გყავთ?

—საცაა მოვა!

გელამ ხელი მოაწერა ქაღალდს.

— კეთილი, კეთილი!

პეტრომ საფანტისფერი ქვირითი ამოაცალა თევზს და ვედროში ჩაჰყარა.

— დროზე მარია, დაგვაგვიანდა! — გასძახა შვილს თავაუღებლად.

ისევ გადაიწია კარვის კალთა. მარიას სამუშაო ტანსაცმელი ეცვა. თავის ტანზე გადაკეთებული მეთევზის კაცური ტანისამოსი კოხტად უსახავდა ყოველ ნაკეთს.

— კრუკოვს გადაეცი, რომ დღესაც ორი კაცი გვაკლდა და რომ იმათ მაგივრად ჩვენ არ გამოგვებმება ოთხი ხელი, არც ერთია ავად და არც მეორე, თავიანთ საქმეებზე დაძვრებიან, ჩვენ კი კაცი გვაკლია, გესმის, ივანე! — ნავში დარჩენილ მეთევზეს გასძახა პეტრომ. — ამას თუ მოერიდოს თქმა, შენ მოახსენე! ჯერ კარგი ამინდებია და ისე არ გვიჭირს!..

პეტრო ყაყანს განაგრძობდა, თან ნაჯახით ჩეხავდა თევზს.

მარიამ ჩაუარა გელას, ზღვაში შეტოპა და ნავებისაკენ გაემართა. გელას მხოლოდ ზღვაში შემავალი მარიას ნაბიჯების ხმა ესმოდა.

— მოიხედავს თუ არა?! — ფიქრობს გელა, — სხვა ჩამოდიოდაო ლელის წასაღებად... ნეტავ ვინ ჩამოდიოდა?

ალბათ ფიდო, ან ნაზღო... სულ ერთია ვინც ჩამოდიოდა.

რომ მოიხედოს, მაშინ რა? ჰა?.. არაფერი! ასს დავთვლი!

ბევრია, ორმოცი იყოს ერთი, ორი, სამი — ითვლის გელა. თევზით სავ-

სე ნავები ძძიმედ მიარღვევენ წყალს მიმღები პუნქტებისაკენ. მარია იხედება
— მოიხედა! — ამბობს გელა.
ზემოდან მომდგარი მანქანა საყვირს იძლევა, ვაჟია მანქანისაკენ გარბის.

გელა შემობრუნდა. პეტროს გაუცინა და მხარზე ხელი დაჰკრა.

— ხო გითხარი, მოვა-მეთქი!

მანქანისაკენ მიდის გელა, პეტროც მიჰყვება.
ვაჟია მანქანაზე ახტა.

ხმელ-ხმელი, აწოწილი და დიდცხვირა შოფერი იქვე დგას, ხელები მოკლე ტყავის ჯიბეებში ჩაუყვია და ზღვიდან მობერილ ჰაერსა სუნთქავს...

— უჰ, რა ჰაერია! — იძახის შოფერი და ცხვირს აცმაცუმებს.
გელამ ლელის პირველ კონას ხელი დაავლო და მანქანაზე ისროლა.
— დაიჭი!

ლელით დატვირთული მანქანა ნელა გაგორდა ლელიანიდან სტეპში, სიჩქარეს უმატა და მტვრის ბუღში გაეხვია...
ღრუბლიანი დილა კასპიისპირეთისა. მანქანა ისევ ბრუნდება ლელის წასაღებად. სტეპი გამოლია, ლელიანში შემოიჭრა და კონების გროვასთან დადგა.

— უჰ, რა ჰაერია! — იძახის შოფერი.
ვაჟიამ პირდაპირ ლელის გროვაზე ისკუპა და მანქანის დატვირთვა იწყო. შოფერმაც იკადრა ხელის განძრევა.
გელა ნავებისაკენ დაეშვა. კარავთან არავინ იყო. კარავის კალთა აკეცილი დახვდა, არც კარავში ჩანდა ვინმე. წითელი სეტერი ლაქუცით მოუახლოვდა გელას.
ნაპირზე აშოყრილი ნავებისაკენ გაემართა გელა და ბადეების შეკეთებაში გართულ პეტროსა და ერთ მეთევზეს გადააწყდა.

— დილა მშვიდობისათ! — მიესალმა გელა.
— დილა მშვიდობისათ, მორჩით? — ჰკითხა პეტრომ.
— ჰო, უკანასკნელი გზობაა.

სეტერი გულაღმა აგორდა გელას წინ. გელამ ფეხი შეუღიტინა მუცელზე, ზღვას გახედა: ზღვაში გაჭრილი პირსი მკაფიოდ მოჩანდა ღრუბლების ფონზე.

— უკვე ჩააბარეთ თევზი? — იკითხა გელამ.
— კარგა ხანია! — უპასუხა პეტრომ, — მართლა, ერთხელ ვერ დაგეწვიეთ თევზზე! ივანე, მიდი ერთი ჩაადგი! ნახევარ საათში მზად იქნება!
— არა, გმადლობთ, მეჩქარება!
— რის მადლობა, მოიცადეთ!
— არა, ნახვამდის! — გელა გამობრუნდა.

შოფერი მანქანას ქოქავდა, ვაჟია ჩალებზე იჯდა. გელა ჩაჯდა მანქანაში. მანქანა დაიძრა.

ვაჟია გულაღმა იწვა ლელზე და ღრუბლების მოძრაობას ადევნებდა თვალს.

უცებ, მანქანამ მკვეთრად შეცვალა მიმართულება, ღრუბლები მარჯვნივ გაცურდნენ, სწრაფად გადმობრუნდა ვაჟია, მუხლებზე წამოიწია და გზას გახედა: მანქანა პირს უახლოვდებოდა.

მანქანა დადგა. გელა გადმოხტა და თევზის ქარხნისაკენ გაემართა.

— მალე მოვალ! — დაუძახა გელამ ძმას.

შოფერიც გადმოვიდა, მანქანა შეათვალიერა, ბორბლებს წიხლი მიუბრახუნა სათითაოდ, ვაჟია ძმას გასცქეროდა, გელა თევზის ქარხნის შენობებს მოეფარა.

— ჰე, რა ყურები ჩამოყარე, შენც ხო არ მოგინდა თევზები! — შოფერმა ორივე ხელი ერთმანეთის პარალელურად გააქანა წინ და უკან, — დილით ცხვარი! საღამოს ცხვარი, დილით ცხვარი — საღამოს ცხვარი, მობეზრება იცის, ძმაო! ხანდახან თევზიც კარგია, თლუმპ!

შოფერმა პირთან მიიტანა ხელი, ვაჟიას გაეცინა...

ზღვაში გაჭრილ გრძელ პირსზე ძიძგიჯგებს გელა, გზად შემოხვედრილთ ათვალიერებს, ზოგს სალამსაც აძლევს, წამით ჩერდება, მათრახს წინდის ყელში ირჭობს.

თევზის საზიდი ურიკა წამოადგა ზურგიდან პიპინით. წინდის სწორებით გადავიდა გვერდზე გელა, თან ზემოდან ამოხედა მძღოლს, მარია იცნო, სწრაფად გაიმართა წელში და გზა გადაუღობა ღიმილით:

— დილა მშვიდობისა, მარია!

— დილა მშვიდობისათ!

— საქმე მაქ, მარია!

— არა მცალია, ხალხი მელოდება!

— სალაპარაკო მაქვს შენთან, მარია!

— ჩქარა მითხარით, მეჩქარება, უიმე, არა! არა! ლუბა იცქირება, გამატარეთ, რაღა ახლა მოხვედით! არა მცალია, სულ არა მცალია!

— პატარა ხანს, მარია!

— ქარხნიდანაც დაგვინახავენ, პუნქტიდანაც, ძალიანა გთხოვთ, ახლა არა, სხვა დროს, გამატარეთ...

მარიამ ურიკა დაძრა. გელა არ გადადგა. ისევ შეაჩერა მარიამ ურიკა.

— ვაიმე, სირცხვილია, ხალხი მელოდება! გამატარეთ რა, გამატარეთ! მივალ და უკან გამოვბრუნდები!

გელა გადავიდა გზიდან, ურიკამ ჩაიგრიალა. გელამ თვალი გააყოლა, მიიხედ-მოიხედა და პირსს გაუყვა.

მანქანიდან საყვირს იძლევიან. გელა შედგა. მანქანას გახედა, მერე ისევ პუნქტისაკენ შებრუნდა. თევზით დატვირთული ურიკა გელასაკენ მოდის. გელა შუა პირსზე მიაბიჯებს.

ურიკა მოახლოვდა. ურიკაზე უცნო ქალიშვილი იდგა. გელა განზე გადავიდა, ქალიშვილმა თავითფეხებამდე შეათვალიერა გელა. გელას ღიმილი გაუკრთა სახეზე. ქალიშვილმაც გაუღიმა და რელა ჩაატარა ურიკა. გელამ თავი გააქნია და ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა.

შავი ღრუბლებით შედედებული ცა მუქი გუმბათივით ჩამოჰხურვია ზღვასა და ხმელეთს. თეთრი ტალღებით დაქოჩრილი ზღვა ნაპირისაკენ მოიწევს. დიდი კატერებიდან უკანასკნელი თევზები გადმოაქვთ და მიმღები პუნქტის გალიპულ სასწორებზე ყრიან.

ერთმანეთზე დაყრილი კაცის სიგრძე, თავსისხლიანი თართები უკანასკნელად ხროტინებენ უშნოდ გადმოყრილი ხორხებით. ვერცხლისფერი ქაშაყის გროვებშიაც ხანდახან გაიცახცახებს რომელიმე და ისევ გაშეშდება. რეზინის ჩექმებიანი მტვირთავი ქალები და კაცები მოურიდებლად დააბოტებენ თევზებში.

გელა და მარია ფარდულის უკან დგანან.

— აქ არ უნდა მოსულიყავით, არ უნდა მოსულიყავით!

— გზას ვადგავართ, დრო აღარ მქონდა! სულ ერთია, წეღან რომ მოდიოდით, ყველანი თქვენ გიყურებდნენ!

— არავინაც არ მიყურებდა!

— როგორ არა, ლუბამაც შემოგხედათ, მართამაც!

— მერე რა? — გელამ მაჯაში მოკიდა მარიას ხელი.

— რა გინდოდათ, მითხარით, ვინმე გამოივლის, იწვიმებს, უკვე წინწკლავს! — მარიამ ხელი გაითავისუფლა და გელას ტყავზე წკაპანით დაცემული მსხვილი წვეთი მოსრისა თითის სწრაფი მოძრაობით. მერე ისევ ჩამოიღო ხელი დაბლა.

— სალაპარაკო მაქვს შენთან, მარია! — გელამ ორივე მკლავში მოკიდა მარიას ხელი.

— თქვით მერე, ჩქარა თქვით, ვინმე გამოივლის!

— აქ ყველაფრის თქმა არ შეიძლება!

— აბა მაშ გამიშვით, გოგოები მეძახიან, წვიმს! ჯერ მე გავალ, თქვენ მაშინათვე ნუ გამოხვალთ, ცოტა ხანს იდექით. უკვე წვიმს, წვიმს, წვიმს!

გელა მაინც არ უშვებს ხელს მარიას...

ზღვაში დარხეული წვიმის ფარდა თანდათან ახლოს იწევს და ბოლოს ყველგან თანაბრად ასხამს კოკისპირულს.

წვიმა რეცხავს თევზების გროვებს. ქალები გარბი-გამორბიან. ფარდულს აფარებენ თავს... გელა და მარია ისევ ისე დგანან.

— როდის მოვიდე? — ეკითხება გელა მარიას.
— გამი'შვი, არ ვიცი, გოგოები მეძახიან!
— ჰა?

გელა ხელს უშვებს მარიას, მარია არ გარბის, ისევ დგას გელას წინ. წვიმის თქორები რეცხავს ორივეს.

— დავსველდებით!
— როდის?
— როცა გამოიდარებს!

მარია გელას უყურებს, თან შუბლზე ჩამოშლილ სველ თმას უბერავს ნაწვიმარი ტუჩებით.

— ვინ იცის, როდის გამოიდარებს?!
— სულ ხო არ იწვიმებს!

მარია მიბრუნდა და ფარდულისაკენ წავიდა. კუთხეში შედგა, გელას მოხედა, გაუღიმა და ფარდულებს შეაფარა თავი...

გელა ერთხანს იდგა წვიმაში. მერე ნელა დაიძრა, ფარდულს ჩაუარა, თავშეფარებულებს გაუღიმა, კრიალა კბილები გამოაჩინა.

— მოდი თავი შეაფარე, მალე გადაიღებს, შხაპუნაა! — ეძახის სასწორის პატარა სახურავის ქვეშ შეყუჟული მწონავი გელას.

— არაფერია, წვიმაა! — უცინის გელა და ფართო ნაბიჯებით მიპყვება პირსს.

მანქანიდან საყვირს იძლევიან.

გელამ კაბინის კარი გამოაღო. ვაჟიამ შოფრისაკენ მიიწია და ძმას ადგილი დაუთმო.

— ვა, 'შენ მართლა სათევზაოდ ყოფილხარ, აი! — ეუბნება შოფერი გელას. გელა იღიმება, ვაჟია იბღვირება.

მანქანა ადგილიდან დაიძრა.

ლელით დატვირთული მანქანა მალე გაუჩინარდა წვიმის ცხავში...

* * *

სტეპი განათებულია ამომავალი მზის სხივებით. შორს მოჩანს შავი წერტილი. წერტილი თანდათან იზრდება. ეს გელაა თავის ულაყზე ამხედრებული. გელამ გაგვიარა ჩვენ და ლელიანში შეგლიჯინდა...

ხან აქ, ხან იქ ფრინდებიან გარეული იხვები და ყანჩები აფორიაქებულ ლელიანში...

უკაცრიელ ნაპირზე დიდი შავი ნავი გდია...

დგაფა-დგუფით შეჰყავს გახურებული ულაყი ზღვაში გელას.

თხელი ზღვა მუხლს ქვემოთ სწვდება ცხენს.

მოტორიანი ნავი მოდის ზღვიდან ნაპირისაკენ. ნავში მარიაა. ნავი თავთხელში ჯდება, მოტორი ითიშება.

გელა უახლოვდება ნავს და ცხენიდან ხტება მუხლამდე წყალში.

ლელიანში მოღერებული თოფები წრეებსა ხაზავს, ბათქა-ბუთქი, იხვები ცვივიან ძირს. პალმა დაშლიგინებს და ნანადირევს ეძებს...

შურდულივით დატრიალებული სპინინგები ჰაერსა სერავს. ისმის მონოტონური ზუზუნი... მერე წუის გატყორცნილი ანკესი, ჰაერს მიაპობს. პირველს მეორეც მისდევს. ზღვის მწვანე ზედაპირის გასწვრივ მისრიალებს ორი სპინინგი და ჩქაფანით ეცემა წყალში...

გაცეცხლებული წმინდა ჯიშის ყაბარდული მძლავრად დაჭიმული თოკის გარშემო დაგრიალებს. ძაღლი ყეფით დასდევს წრეზე მორბენალ ულაყს.

სიმივით დაჭიმული თოკი ოთხ ხელს უჭირავს. მერე მხოლოდ გელას ხელებს უჭირავს თოკი. ნელ-ნელა იხვევს ხელებზე თოკს გელა, ულაყის სარბენი წრე კლებულობს, მცირდება, წამიცა და უბელოზე ამხედრებული გელა ხელებგაბორკილი მიჰქრის ლელიანში...

* * *

ისმის მარიას ხმა:

— სტეპში დავდიოდით გოგოები მატარებლის დასახვედრად... გაჩერება კი არ იყო ჩვენს სოფელთან, მაგრამ ყველა ფიქრობდა, რომ გაჩერდებოდა მატარებელი, ან გაქანებული მატარებლიდან გადმოხტებოდა ის...

ღამეა. გვერდგამონგრეულ ძველ ნავში გაფენილ ჩალაზე წვანან ორივენი და მთვარის შუქზე მოცახცახე ტალღებს უყურებენ.

ძაღლი გემბანზე წევს, ცხენიც იქვე აბია.

— ყოველ საღამოს, მზის ჩასვლისას ჩაიქროლებდა მატარებელი, —გაიგრძობს ფიქრებში წასული მარია, — ფანჯარა ფანჯარას მიჰყვებოდა, სახეებს ვერც კი ვარჩევდით, მაგრამ, როდესაც უკან ვბრუნდებოდით, ყველას თავისთვის სჯეროდა, რომ დაინახა, რომ იმანაც მოჰკრა თვალი მატარებლიდან, წამოიწია კიდეც გადმოსახტომად...

მარია გულაღმა ბრუნდება:

— მომეცი რამე, თავქვეშ დავიდებ!

გელა წამოჯდა, მიიხედ-მოიხედა, ბოხოხს მისწვდა და თავქვეშ ამოუდო მარიას. თითონ შიგნით შეიწია და ზურგით მიეყუდა ნავის გვერდს.

— მატარებლის დასახვედრად ყოველთვის ხელგადახვეულები მივდიოდით, ათას რამეზე ვლაპარაკობდით, ჩვენ სოფლელ ბიჭებზე ვლაპარაკობდით. იქიდან კი ჩუმად ვბრუნდებოდით. სოფლის თავში ბიჭები დაგვიხვდებოდნენ და მასხარად გვიგდებდნენ.

— თუ იცი, რად გიგდებდნენ მასხარად? — ეკითხება ბნელში გადაწოლილი გელა მარიას.

— ისე, ბიჭები იყვნენ, ყურს მიგდებ?

— ჰო!.. მერე ალბათ სახლამდე მოგყვებოდნენ.

— მართალია!

— მერე?

— მერე, დავწვებოდი და მატარებელი მესიზმრებოდა! მესიზმრებოდა, რომ ის მატარებლიდან გადმოხტა, ხელი მოიტეხა, სახე გადაიყვლიფა. გოგოები გარბოდნენ მე შიშისაგან ვკანკალებდი, მაგრამ მაინც ვერჩებოდი.

გელა ხმამაღლა ღიღინებს.

მარიამ იდაყვებზე წამოიწია:

— რა უცნაურია, გიყურებ, სიბნელეში ზიხარ და შენი სახე ვეღარ წარმომიდგენია, აღარც თვალები მახსოვს რა ფერისა გაქ, აღარც ტუჩები... ნუღარც ბღერი!

— მე მახსოვს შენი თვალები!

— არაფერიც არ გახსოვს!

— ტუჩებიც, ხელებიც!

— არაფერიც არა! ახლოს მოიწიე, გესმის?! — მარიამ მუხლებზე წამოიწია, გელას მოჰკიდა ხელი და სინათლეზე გადმოაწვინა.

გულაღმა წვება გელა, მარია ზემოდან დაჰყურებს, გელას სახეს აკვირდება. მერე ხელებს აფარებს სახეზე, სიბნელეში იცქირება.

— თმა შავი. წარბები შავი, თვალები უშნო, ცხვირი უშნო, ტუჩები უშნო, ყველაფერი უშნო! — იძახის მარია, მერე აცლის ხელებს სახიდან და ისევ ზევიდან დასცქერის.

— რამდენსა ლაპარაკობ, აქ მო! — იღიმება გელა, მარიას თავისკენ იზიდავს და ვნებიან კოცნაში იძირებიან ორივენი.

დილაა. ლელიანში მოდიან გელა და მარია. ძაღლი წინ მოუძღვით.

მარიას ზურგჩანთა და გელას თოფი აქვს გადაკიდებული. ლელიანი გალიეს, სოფელი გამოჩნდა. ჩერდებიან. ჰაერიც გაჩერებულია, ძვრა არაფერსა აქვს.

— უკვე ახლოსაა სოფელი! — ამბობს გელა, ზურგჩანთას იხსნის, მიწაზე დებს, მარიას თოფს ჩანთაზე აყუდებს.

— მერე რა, რომ ახლოსაა სოფელი! — გელას უყურებს მარია, სოფლისაკენ არც გაუხედავს.

— დაგვინახავს ვინმე!

— მერე რა? დაგვინახონ!

გელას ღიმილმა გადაურბინა სახეზე, წამით ჩააფიქრა მარიას კითხვამ, თუ სიყვარულით ანთებულმა ცისფერმა თვალებმა. მერე თავი გააქნია, ღიმილმორეულმა თავისკენ მიიზიდა მარია და ვნების ღამენათევ ტუჩებს დაეკონა.

თაფლა ულაყი გვერდზე იქნევს თავს აბეზარი მწერის მოსაგერიებლად, აღვირი ჭაჩავს გელას და კოცნა წყდება.

— როდის მოხვალ? — ეკითხება მარია.

— ყოველთვის, როცა დრო მექნება!

გელა უზანგში უყრის ფეხს და სხარტად ააქვს ტანი უნაგირზე.

ულაყი ადგილიდანვე ჭენებაზე გადადის. მარიამ თვალი გააყოლა.

— მოიხედავს თუ არა! — ჩურჩულებს მარია და გელას გასცქერის. ცხენის ზურგს გაკრული მხედარი ყვითლად გადარუჯულ სტეპსა ლანდავს. გელა იხედება...

— პალშა, წავიდეთ! — დაუძახა სახეგაბრწყინებულმა მარიამ ძაღლს, ჩანთა და თოფი გადაიკიდა და ლელიანზე გავლით ზღვას მიაშურა...

ერთ კილომეტრზე უფრო შორს გამოჩენილი სოფელი გაიზარდა და ყველაფერი დაფარა... მამალი შეხტა თიხის ღობეზე და დაიყივლა. ქუჩის გაყოლებით მეორე მამალი გამოეპასუხა. მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე და მამლის ყივილის ჯაჭვი გაიბა სოფელში.

ჩურჩულმა და მითქმა-მოთქმამ გაისრიალა მთავარი ქუჩის ორივე მხარეს. გაიელვეს მოჩურჩულეთა ტუჩებმა, თვალებმა. ჩურჩულის ტალღა აგორდა და რომელიღაცა სახლთან ჩაქრა... მომიჯნავე ღობეს ორი დედაკაცი აჰყრია, ქვებზე შემდგარან და ისე ექაქანებიან ერთმანეთს.

— ჩემი მარია და ჩემი მარია! — თითქოს მაგათ მარიაზე ნაკლები შვილები გვყავდა.

— ცით მოფრენილი სიძე უნდოდა, გაიგე, ადამიანო!

— აკი მოევლინა კიდეც, ჰა!

— ეჰ, შერჩა პირტალახიანიო, სწორედ პეტროზეა ნათქვამი!..

— მაინც მეცოდება, ხო იცი!

— რაღა თქმა უნდა!..

— ნეტა პეტრო რას უზამს? — იკითხა ფიქრებში წასულმა დახლიდარმა და ცარიელი ჭიქები ჩამოართვა სასაუზმის გარეთა დახლთან აყუდებულ სამ მეთევზეს.

— ყველაფრის ღირსია! — თქვა ერთმა მეთევზემ და ხელის ზურგი გაისვა ტუჩებზე.

— მაგის მეტი რო არავინა ჰყავს! — ჩაილაპარაკა ნოქარმა და ლუდით სავსე ჭიქა გადმოსდგა დახლზე.

— ჰოდა, ეგ უნდა სცოდნოდა მარიას, პირველ შემხვედრს რო გაუგორდა! — თქვა მეორე მეთევზემ.

— იქნებ შეუყვარდა ადამიანი? — ჩაურთო სიტყვა ნოქარმა და მეორე ჭიქა გამოდგა.

— შეიყვარე ქარი მინდორში! — თქვა მესამე მეთევზემ.

— დღეს აქ არი, ხვალ ცხრა მთას იქით, ზეგ იმის იქით!

— ისიაშოვნა და მორჩა, ისევ კომბალი აიღო ხელში! — თქვა პირველმა.

— ეჰ, სხვა სხვის ომში ბრძენიაო! — ჩაილაპარაკა დახლიდარმა და ლუდით სავსე ჭიქა მოაწოდა მეთევზეს.

* * *

პირსი. მიმღებ პუნქტში მომუშავე გოგოები წინსაფრებს იკრავენ.

— ორი დღის გაცნობილ კაცს კინოშიაც არ წავყვები!

— ადრე იცნობდა თურმე!

— ტყუილია, ერთი!

— იცნობდა, დედას გეფიცებით, ხო იცნობდა, ლუბა? — მიუბრუნდა ქალიშვილი მარიას შემცვლელს, რომელიც აქამდე ჩუმად იყო.

— ისე, — მხრები აიჩეჩა ლუბამ — ნანახი ჰყავდა!

ტალღიდან ტალღაზე გადადის ნავი. თოლიები წივილით მიჰყვებიან, ცივი ქარი ქრის ზღვაზე. მოტორის ხმა ხან სუსტდება, ხან ისევ ძლიერდება.

ნავის ქიმზე იმსხვრევა ტალღა. შხეფები ესხმის მარიას სახეზე. მარია ხელს ისვამს მარილიანი წყლის მოსაწმენდად.

ისევ ისე დგას დაკერებული კარავი. ისევ ისე ყრია დიდი შავი ნავები ნაპირზე.

შავი ნავების წინ მეთევზეები სხედან ქვიშაზე და ბადეებს აკერებენ.

მოტორიანი ნავის ხმაურზე ოთხივე მეთევზემ ზღვას გახედა. სამმა მეთევზემ ისევ დახარა თავი. პეტრო კიდევ გასცქეროდა მოახლოებულ ნავს, მერე იმანაც დახარა თავი და ხის დიდი ნემსი გაუქნია ბადეს.

ნავი თავთხელში დაჯდა, მოტორი ჩაქრა.

პალმამ ნავიდან ისკუპა და ცურვით ჩამოვიდა მეთევზეებისაკენ. მარიამ ღუზა ჩააგდო და ტოპვა-ტოპვით გამოსწია ნაპირისაკენ.

ხან მეთევზეებს გამოხედავს მარია, ხანაც უკან იხედება და დიდმა ტალღამ რომ არ დაასველოს, მაღლა ხტება.

ასე ტალღებზე ხტუნვა-ხტუნვით ამოდის მარია ნაპირზე და მეთევზეებისაკენ მიდის. პალმა იბერტყება და ქვიშაზე გორავს.

— ეს შენ, ივანე, ეს შენ, კარპ! ეს შენ, ვლას! — მარიამ შორიდანვე ესროლა თითო იხვი რიგრიგობით. მერე მამასთან ჩაიმუხლა და იხვი გაუშვირა.

— ესეც, შენ!

პეტრო აღარ ქსოვდა, დანარჩენები ისევ იქნევდნენ ხის ნემსებს. ხელშეშვებული ბადის კალთა მუხლებზე ჩაცურდა. ანთებულმა თვალებმა ღიმილი გაუქრო მარიას.

ცხვირწინ დაკიდებულ იხვს ღონივრად გაჰკრა პეტრომ ხელი და ფეხზე წამოიჭრა. მაშა და შვილი თითქმის ერთდროულად გაიმართნენ წელში. ჰაერში შემართულმა მამის ხელმა მიმართულება შეცვალა და მხრიდან თოფი ჩამოაბრდღვნა მარიას. მუხლის თავზე გადაიმტვრია პეტრომ შვილისათვის ნაჩუქარი ორლულიანი და ზღვაში გასტყორცნა ნამტვრევები.

— შეჰკარი ლოგინი!

ამღვრეული ტალღა ხუილით შეასკდა ნაპირს და მკვდარი იხვი აატივტივა. დიდ ტალღას დადევნებულმა წვრილმა ტალღებმაც რამდენჯერმე შეათამაშეს უსულო ფრინველი აქაფებულ ქოჩრებზე.

* * *

გავიდა რამდენიმე დღე...

ფქვილის ტომრებით დატვირთული მანქანა რწევა-რწევით მოგორავს ზღვისაკენ.

ჩვენი ნაცნობი შოფერი სულელურად იკრიჭება.

— რა გიხარია, ბიჭო?! — ეკითხება გელა.

— მაშ ამაღამ აქ დავრჩებით, ჰა? — უცინის გელას შოფერი, საჭეს ხელს უშვებს და ხელებს იფშვნეტს.

— წინ იყურე, არ გადააბრუნო!

მანქანა გათიშულ კვალში მიგორავს. შოფერი შუშას დაბლა სწევს, ცხვირს ფანჯარაში ყოფს:

— ცოტა ცივა, მაგრამ ჰაერი მაინც კარგია!

— ჰაერი არც ჩვენთან გაკლია, შენ სხვა თქვი, თორე!

— არა, აქ სულ სხვა რამეა! — მაინც თავისას გაიძახის შოფერი, — კი-კი-კი, მე-მე-მე-მე! აქ არ არი, აქ მარტო შუუჰ! შუუუჰ! — ზღვის შხუილის გადმოცემას ცდილობს შოფერი.

მანქანამ ლელიანი გალია და ზღვის ნაპირზე გაჩერდა.

— ვაჰ! — იძახის შოფერი და ნაპირს ათვალიერებს, გელაც წინ იხედება.

შავი ნავები ისევ ისე ყრია ნაპირზე, კარავი კი აღარა დგას. ცივი ქარი უბერავს ზღვიდან. ნაპირზე დაყრილ ნავებს ძირებს ულოკავს ტალღათა ქაფიანი ენები. გაცრეცილი მზე იცქირება იერდაკარგული ციდან.

* * *

მანქანა სოფლის მთავარ ქუჩაზე გაგრიალდა და მაღაზიასთან შედგა.

— ზემოთ დამელოდე! — უთხრა გელამ შოფერს, მანქანიდან ჩამოხტა და ქუჩას გაუყვა.

შოფერიც გადმოვიდა, მანქანის გარშემო შემოხვეული ბავშვები დააფორიაქა და მაღაზიისაკენ გაქანდა.

ნოქარი დახლზე გადმოწოლილიყო და გელას გასცქეროდა.

— ეგ არის? — ჰკითხა დახლიდარმა შოფერს და ხელით ანიშნა მარიას სახლისაკენ წასულ გელაზე.

— არა, შენა ხარ!

— მერე და სად მიდის?! — გაიოცა ნოქარმა.

— რა შენი საქმეა, დაასხი! — მოქნეული ხელით ნოქარიც დააფრთხო შოფერმა და თუმნიანიც დააკერა დახლზე...

რამდენიმე ლეკმა მეცხვარემ ჩამოუქროლა გელას.

— ას-სალამ ალეიქუმ, გელა! — გაიელვეს ლეკის თეთრმა კბილებმა.

— ალაიქუმ უსსალამ, ჯემალ! როგორა ხარ?! — მათრახი აუღო გელამ.

— თავად ხო საღათა ხარ?

— მეჩქარება მერე გნახავ!

გელამ თავი დაუქნია.

ღიმილით უახლოვდება გელა მარიას სახლს.

მარიას შემცველი ქალიშვილი, ლუბა შემოეფეთა.

— გამარჯობა! ვერ მიცანი?

ლუბამ დაბნეულად დაუქნია თავი და ჩაუარა.

გელამ მხრები აიჩეჩა და ეზოს კარის სახელურს დააწვა. მთელი ეზო ბადეებით იყო მოფენილი. ქათმებისთვისაც ძველი ბადით გადაეღობათ ეზოს ერთი კუთხე.

სახლის დარაბები დახშული იყო.

პალმა ლაქუცით გამოექანა გელასაკენ. გელამ მათრახის ტარი გადაუსვა ზურგზე ძაღლს და კიბეებისაკენ გაეშურა.

ეზოს მეორე მხრიდან გამოჩნდა პეტრო, სველი ბადე მხრიდან ძირს დაეგდო და შედგა.

— გამარჯობა! — მიესალმა გელა.

პეტრომ თავი დაუქნია, პაპიროსი გამოაფურთხა, დაიღუნა და ბადის გაშლა იწყო. გელა მიუახლოვდა.

პეტრომ ბადის ერთი კალთა მდინარისაკენ წაიღო და გაშალა, მეორე კალთა სახლისაკენ გამოათრია. ზურგით წამოვიდა გელასაკენ.

— საქმეზე მოხვიდოდი! — პეტრომ ბადეს აუარ-ჩაუარა და გაგლეჯილი ადგილები შეაკოწმა.

— ფქვილები გამოვიტანეთ და შემოვიარე...

— ზამთრისათვის იმარაგებთ, ალბათ!

— ჰო, ზამთრისათვის. თქვენ უკვე გადმოსულხართ ზღვისპირიდან.

— აცივდა.

გელა იდგა. პეტრო უკვე მერამდენედ ასწორებდა ბადეს.

— მანქანა მიცდის! — თქვა გელამ და წასვლა დააპირა. პეტრო წელში გაიმართა, გელა შეათვალიერა:

— მაშ მიდიხარ, ჰა?!

— ჰო, სხვა რამეების ყიდვაც უნდა მოვასწრო!

— და გაზაფხულამდე საქმე აღარ გექნებათ აქეთ!

— ერთხელ კიდევ მოგვიწევს, წუნდებული ცხვარი უნდა ჩავაბაროთ.

— მერე ერთს კიდევ ჩამოივლით და მორჩა!

— ეგრეა ჩვენი საქმე, რას ვიზამთ!

სიჩუმე ჩამოვარდა.

— საქმე მაქ შენთან! — პეტრო სახლისაკენ გაემართა. გელამ თვალი გაყოლა პეტროს და უკან გაჰყვა.

კიბეები აიარეს, პეტრომ კარი შეაღო, დერეფანში ბნელოდა. კედელზე დაკიდებულმა დიდმა ანკესებმა იელვეს გარედან შესულ სინათლეზე. დერეფნის ორივე მხარეს გამხმარი თევზის ასხმულები ეკიდა, კუთხეში ნავის მოტორი იდგა.

პეტრო წინ გაუძღვა, ოთახის კარი შეაღო, შევიდა, გელაც შეყვა.

ოთახში ბნელოდა. გელა იდგა, პეტროს ნაბიჯების ხმა ესმოდა.

პეტრომ დარაბა გამოაღო და ოთახი განათდა.

ამ ოთახის კედლები მარიას სურათებით იყო მოფენილი. ოთახის შუაგულში დიდი მაგიდა იდგა. მაგიდაზე საკერავი იყო გაშლილი.

პეტრომ მაგიდის ბოლოში გამოუწია გელას სკამი. თვითონ მაგიდის თავამდე მივიდა და გელასაკენ შემობრუნდა:

— რატო არ ჯდები?

გელა სკამის ქიმზე ჩამოჯდა. სიჩუმე ჩამოწვა...

— ყური დამიგდე! რაც თავსლაფი დამასხი და ხალხში თავი მომჭერი, შენზე იყოს. დღეის იქით კი ფეხი აღარ მოადგა აქ!..

— ჰ, ეგ არი და ეგა?!

— მე მაგის მეტი აღარავინ დამრჩა, გაიგე!

— მერე რა?

— არც მარიასა ჰყავს ჩემს მეტი ვინმე!

— შენი შვილის სიყვარულს შენ არავინა გკითხავს.

— რამდენი მაგისთანა გიყვარს ამ გზაზე?!

— ჩემ გზას შენ საიდან იცნობ?!

— ვიცნობ! როცა გეცლება, მაშინ ჩამოხვალ, ჰა?!

როცა ეცლება, როცა გზად გაივლის!.. ქვეყნის მასხარად არ გამხდიდი, შენ რომ კაცი ყოფილიყავი!

— მაგ სიტყვას თავი გაანებე! — გელა ფეხზე წამოდგა.

— შენ კიდე მარიას დაანებე თავი!

— ეგ თვითონ მარიამა თქვას!

— შეს რომ მარია გყვარებოდა, ტალახში არ ამოთხვრიდი იმის სახელს! ამ სახლისათვის ჯერ არავის შეუგინებია შენს მეტს!

— სიყვარული გინება არ არი!

— მე უნდა დავინახო სიყვარული აქ, სხვანაირ სიყვარულს, სხვა სახელი ჰქვია!

— ეგ შენა გგონია აგრე!

გაცეცხლებული გელა კარისაკენ წამოვიდა.

— მარიამ არ უნდა ატაროს ეგ სახელი!

გელა გარეთ გამოვარდა...

ხალხით გაჭედილი სოფლის კლუბი.

ქალების თეთრი თავშლები. მეთევზეთა დაჭყლეტილი კეპები, ალაგ-ალაგ მეცხვარეთა წოწოლა ბოხოხები.

წინა რიგში, შესასვლელთან ახლოს ლუბა და მარია სხედან.

კლუბში „წმინდა იორდანეს დღესასწაულს“ უჩვენებენ. ნაწილი გათავდა. მარია წუნარად ზის, წინ იხედება. თვალის უპეები ჩაღრმავებია მარიას, სახეს უწინდელი ღიმილი აკლია.

ბოლო რიგში მჯდარი შოფერი თავს აქეთ-იქით ატრიალებს, უცებ კარებში შემოსული გელა შენიშნა, გვერდითა სკამიდან ქუდი აიღო და დაუქნია:

— მოდი, მოდი! ნახე, რა ამბები ტრიალებს!

გელაც ბოლო რიგები მოათვალიერა, ლენტი აშრიალდა, სინათლე ჩაქრა.

ეკრანზე გამოჩნდა წმინდა იორდანეს ტაძარი. ხეიბრებსა და დავრდომილებს ყურთაგლეჯა გაუმართავთ ტაძრის წინ.

ლუბა ხან ეკრანს უყურებს, ხან დობილს ეჩურჩულება, მერე უცბად წყვეტს ჩურჩულს ლუბა, კარებში აყუდებულ გელასა ხედავს.

მარიამაც მიიხედა კარებისაკენ, წამის განმავლობაში ერთმანეთს უყურებენ მარია და გელა. მარიამ ისევ ეკრანს შეხედა.

რამდენიმე სწრაფი ნაბიჯით მივიდა გელა მარიასთან. მეზობელ სკამზე მჯდარი ბიჭი აიყვანა, დაჯდა და ბიჭი მუხლებზე ჩამოისვა.

ხეიბრები ფორთხავდნენ და წინ მიიწევდნენ, ყველას უნდოდა ახლოს მოქცეულიყო მღვდელმსახურთან...

— გავიდეთ, მარია!

სახეაჭარხლებულმა მარიამ გელას მოხედა, მერე ისევ წინ გაიხედა.

— ამაღამ აქა ვრჩები, მარია, გავიდეთ!

ოდნავ შესამჩნევად გააქნია მარიამ თავი.

— „გესმის წმინდა იორდანე“ — გასძახა მღვდელმსახურმა ტაძარს, ბრბო ფაისუსა.

— მესმის, მესმის! — დაიგრგვინა ხმამ მონასტრიდან. კარი გაიღო და თეთრი მანტიით შემოსილი „წმინდანი“ მოეელინა ბრბოს“...

— უნდა წამოხვიდე, მარია!

კინოლენტი შრიალით გაწყდა, გელა ფეხზე წამოდგა:

— ადექი, მარია!

ხალხი აქეთ იცქირებოდა.

გელა იდგა.

— მარია!

სინათლე ისევ ჩაქრა. ეკრანზე ისევ ათამაშდა გამოსახულებები: „წმინდა იორდანემ ბრძანა ერთ-ერთის განკურნება და სასწაული მოხდა. ფეხმორჩენილი ხეიბარი ყავარჯენს იქნევდა და დახტოდა“.

— მერე აღარ მეცლება, მარია!

წაღმა-უკუღმა დაუტრიალდა მარიას ეკრანი.

კიდევ ერთხელ აინთო სინათლე. გელა იქ აღარ იდგა, აღარც კარებში ჩანდა. მარიას გვერდით მჯდომი პატარა ბიჭი ცხვირს იქექავდა.

გელას ხმა

— დაღამდება — გათენდება, დაღამდება — გათენდება... მერე გადაიღებს, ყინვა მოუჭერს... მერე, თუ კიდევ მოიღრუბლა, თოვლს ჩამოჰყრის...

ხმა არ ამოუღია... მერე აღარ მეცლება-მეთქი, მობრუნდა, შემომხედა, ხმა მაინც არ ამოუღია...

— მეხუთე დღეა წვიმს... წვიმს, და ბალთა მაინც იცინის! ნეტა რა აცინებს ამ წვიმაში?! ერთ ღამეს არცა სძინებია ცოლთან. წერილი თუ მიიღო და ის უხარია... წერილმა როგორ დააშოშმინა ამოდენა კაცი, ან ვინ მოიტანა თავსხმაში წერილი? წერილი!..

— მეორე კვირა გადის წვიმაში. გამოდარებას აღარ აპირებს ტია-

ლი!.. აღარც მამაჩემი მაშორებს თვალსა! ალბათ გაიგო რამე... გაიგო და გაიგოს, დასამალი არა მაქ რა!

— ჰამის დროსაც წვიმას უნდა უყუროს კაცმა! ფუი, შენი მომგო-ნი დაიქცა!..

ბალთა ისევ წერილის საწერათა ჯდება, მოიდებს ცოლის წერილს გვერდზე და თავს აღარ აიღებს!

— მამაჩემი რაღას მომჩერებია! მიყურებს, მიყურებს, მიყურებს! ხმას კი არ ამოიღებს, არაფერს იტ-ყვის...

— შრება, შრება! ერთი დღეა, რაც აღარა წვიმს და მიწა უკვე მშრალია! ქვიშიანია აქაური მიწა და ქარი ადვილად აშრობს... აქაც ზღვა ყოფილა!..

თოვს! ერთი დღეც აღარ დააცა-და მიწას, წამოვიდა... ფეხი აღარ მოადგაო... ჰ, რა ადვილათა თქვა!..

— მარიას არაფერი უთქვამს, ხმა არ ამოუღია... ეგებ იმის პასუ-ხიც ეგ იყო, ჰა?

გამოსახულება

მოლოდინივითა დგანან შავნაბ-დიანი მწყემსები წვიმაში. შედედე-ბულივითაა ფარები შავნაბდიანთა გარშემო. ბოხოხების ბეწვი, ნაბდე-ბის ჟინჟღლები, წვიმისაგან წაგრ-ძელებული ცხვრის მატყლი და თვით წვიმა ერთნაირად ჩამოხაზულა დე-დამიწისაკენ. კომბლებს უჭახუნებენ მწყემსები რქებში ჰედილებს.

ფარეხებში ერეკებიან. სველ რქე-ბზე სხლტება კომბალი.

მერე ბინისაკენ მიძუნძულებენ გალუმპული მწყემსები. ფეხებს ატყაპუნებენ ბინის წინ, ნაბდებსა წურავენ. წურწურით გასდის ნაბ-დებს წყალი...

ღამეა. მწყემსები სარეცხს ირე-ცხავენ ბინაში. ორთქლისა და ნეს-ტის ბუღში გახვეული მწყემსები გულმოდგინედ ჰეჭყავენ სარეცხს გობებში...

ზოგიც უკვე აშრობს ღუმელთან გარეცხილს.

მწყემსები მაგიდას უსხედან და მადიანად ილუკმებიან. კოკ'ხებს ჩაჰა-ჩუხი გაუდის. უგემურად იღე-ჭება გელა, კოვზი ჰაერში უშეშდე-ბა, ფანჯარაში იცქირება...

ზოგმა უკვე მოათავა საჭმელი და ტყავებზე გორავს.

ვაჟია რადიომიმღებს აწვალებს.

მწყემსებს ცხვარი მოუდით სა-ძოვრებიდან, როგრც იქნა, დასკდა გადალესილი ცა და ღრუბელი აი-შალა...

თოვლი მოდის, ტრამალი თეთ-რად იპენტება. საძოვარზე გასული ცხვარი ფეხით ქექავს თეთრ საბანს. ბალახს ეძებს თოვლის საფარველის ქვეშ.

საღამოვდება, მარტია ცხვარსა ჩეხავს მაგიდაზე. მწყემსები თავ-თავიანთ საქმეს იკეთებენ, გელა მა-მის ნაჯახის მოძრაობას ადევნებს თვალს. ნაჯახის ხმა არ ესმის, მერე ფეხზე დგება, განზე გამოდის.

საღამოა.

მიწაზე ხელისგულის სიბრტყე ქათქათა თოვლი დევს...

— მარია!

ლიცლიცი ვედროები შეჩქაფუნდა მხარზე. მარია არ შეჩერებულა.

— მარია!

ისევ მიარწევს ვედროებს.

— მოიცადე, მარია! — გელა დაეწია, წინ გადაუდგა, ვედროებს წაატანა ხელი.

— ჩამოიღე!

მარიამ ვედროები გააცალა.

— ჩამოიღე-მეთქი, უნდა გელაპარაკო!

— არაფერია სალაპარაკო!

— არის, მარია, ყური დამიგდე!

— აღარაფერია, აღარაფერია, მამას ლაპარაკს გაექეცი!

— არ გავქცეულვარ, აქა ვარ!

— მერე რა, ისევ წახვალ! გაექეცი! ახლა გვიანაა! ყველას ლაპარაკს გაექეცი!

— არა-მეთქი!

— გამატარე, მამა მელოდება!

— არა, მარია!

— მამა მართალია! მართალია! მართალია!

— არა, მარია!

— ყველა მართალია. გაექეცი, გაექეცი! მე მარტო ვიყავი!

მარიამ ვედროები ჩამოიღო.

— არა!

— მარტო ვიქნები!

— არა-მეთქი! — გელამ ხელი მოჰკიდა და თავისკენ მიიზიდა.

— ყველაფერი ჩემი ბრალი იყო!

— არა!

— შენ მართალი ხარ, შენ გზაზე დადიხარ!

— არა, მარია!

— ჩემი ბრალი იყო, ჩემი!

— არა, არა, არა!

გელა თავს აქნევს, ცრემლებით დასველებული მარიას სახე სულ ახლოს მიაქვს. მერე კოცნის, თავდავიწყებით კოცნის გახურებულ ტუჩებს, მოწყურებულ ტუჩებს...

* * *

საღამოვდება. ყველდაბის ბინა. პატარა ოთახის ერთ მხარეს მსახიობები დგანან. მეორე მხარეს გრძელ სკამზე სხედან მარტია, ვაჟია, ბალთა, ფიდო და შოფერი. ოთახის ერთ კედელთან სუფრაა გაშლილი: სამი დიდი ხის ჯამი მოხარშული ხორცითაა თავშედგმული, მეოთხე ჯამში მარილი ყრია, დაუჭრელი ფურნის პურები ალაგია მაგიდაზე. ერთი ლიტრაცა დგას ნაქუჩდაცობილი.

— ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ... — დასჭექა მაღალმა მსახიობმა.

— ჩვენი კონცერტის მონაწილენი! — წაართვა სიტყვა დაბალმა მსახიობმა მაღალს.

— საქართველოს სსრ ფილარმონიის აკორდეონისტი თეგმუზ ხაიკიანი! — დაიძახა მაღალმა და აკორდეონისტისაკენ გაიშვირა ხელი.

აკორდეონისტმა ნელი ტუში დაუკრა.

— საქართველოს სსრ ფილარმონიის მეფანდურე ზაქრო ბოდბელი! — დაიძახა დაბალმა და ჯმუხი მეფანდურისაკენ გაიშვირა ხელი.

მეფანდურემ ფანდურს ჩამოჰკრა.

— საქართველოს სსრ ფილარმონიის ჟონგლიორი ისიდორე ქიდინაშვილი! — დასჭექა ისევ მაღალმა და პირხმელი, ჩიატანის კაცისაკენ გაიშვირა ხელი.

ჟონგლიორმა კბილებში მოქცეული ანთებული პაპიროსი ყბაში შეიბრუნა.

— მაღალ-მაღალი!

— დაბალ-დაბალი!

ორივემ ერთმანეთისაკენ გაიშვირა ხელი. მაღალ-მაღალმა და დაბალ-დაბალმა ბუქნი ჰკრეს.

კარი გაიღო, დათოელილი გელა შემოვიდა. გელას თან ვეება ქოფაკი — სარმა შემოჰყვა. მაღალ-მაღალმა და დაბალ-დაბალმა ბუქნი შეანელეს, ძაღლს გადახედეს.

ვაჟიამ გვერდზე გაიწია, ადგილი გაუთავისუფლა ძმას, მაგრამ გელა არ შეჩერებულა, ერთი კი მოავლო თვალი იქ მყოფთ, ოთახი გადაჭრა და მეორე ოთახში გავიდა.

მაღალ-მაღალმა ნომერი გამოაცხადა:

— თავისუფალ ვარიაციებს აკორდეონზე შეასრულებს თეგმუზ ხაიკიანი!

დამკვრელი წინ წამოდგა, თავი დახარა და აკორდეონი გაწელა. მარტია ადგა და მეორე ოთახში გავიდა.

აკორდეონისტი უკრავდა. მწყემსები წინ იყურებოდნენ. ვაჟია მეორე ოთახის კარებს გასცქეროდა და მოუსვენრად უსვამდა ქოფაკს თავზე ხელს...

წყლით სავსე ჯამი პირთან მიეტანა მარტიას, სიბრაზისაგან ცეცხლივით ანთებულს წყლის დალევა დავიწყებოდა:

— დადიხარ, დათარეშობ, ხალხი გინდა ამილაპარაკო?!

— ვისაც რა უნდა, ისა თქვას, ჩემი საქმისა მე ვიცი!

— აბა რა იცი, რა იცი? მითხარი ერთი!

— ვიცი! — ჯიუტად მოუჭრა გელამ და თვალებში შეაჩერდა მამას.

— ვიღაც ქალებში წანწალი!

— ჩემი ნებაა, რასაც მინდა, იმას ჩავიდენ!

— ჰკუას მოდი, ბალღო, ვის ელაპარაკები! —. პირმიუკარებელი, წყლით სავსე ჯამი ხელის მოკლე გაქნევით სახეში შეაჩქეფა მარტიამ, მოშორდა და მეორე ოთახისაკენ გაემართა. კარებზე დაკიდებული პირსახოცი ჩამოგლიჯა, უკან მიუხედავად გადაუგდო.

— გონს მოხვალ ღამენატეხი! — კარი გამოაღო, მეორე ოთახში გავიდა და ისევ თავის ადგილზე ჩამოჯდა...

ვაჟია მამას შესცქეროდა, ჭოფაკს აღარ უსვამდა თავზე ხელს.

აკორდეონისტი უკრავდა, მაღალი და დაბალი ხელგადახვეულები მღეროდნენ:

„ჩვენ თქვენთან ხშირად ჩამოვალთ,
გულს არ გაიელოთ დარდია!
სამშობლოს სახელს ადიდებს
თქვენი გაზრდილი ცხვარია!“

მსახიობებსა და მწყემსებს შუა გადაჭრა გელამ ოთახი. კედლიდან ნაბადი და თოფი ჩამოიღო, თოფი გადახსნა, ორად მოკეცა და ნაბდის ახვევა იწყო. მწყემსებმა თაკვები გელასაკენ მიაბრუნეს. სარმა ვაჟიას მოშორდა და გელასთან მივიდა.

გელამ ნაბადი აახვია, ხურჯინს წამოავლო ხელი, სხვადასხვა ადგილას პიყრილი ტანისამოსი წამოკრიფა, ისევ გადმოჭრა ოთახი და მეორე ოთახში გავიდა.

ჟონგლიორმა ღიმილით ჩამოუარა მეცხვარეებს, სამართებლები დაურიგა. აკორდეონისტმა რაღაც მარში დასცხო, ჟონგლიორმა სამართებლები წამოკრიფა და ყველას დასანახავად სათითაოდ იწყო ყლაპვა...

მარტია წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა, ვაჟიაც მიჰყვა მამას.

ბალთამ რაღაც ჰკითხა გვერდით მჯდომ შოფერს. მან პასუხი ყურში ჩასჩურჩულა. ბალთამ ჩაიცინა და თავი გააქნია.

მეორე ოთახში გელა გამალებით ტენის ხურჯინს. კედელს აკრული ვაჟია ხან. ძმას გახედავს, ხანაც მამას

მარტია სკამლოგინზე ზის, ძარღვებად ქცეული ტორები პატარა მაგიდაზე ჩამოულაგებია.

გელამ ხურჯინს პირი მოუკრა, ნაბადს თასმა შემოუჭირა, ბარგი წამოკრიფა და მეორე ოთახში გავარდა.

ვაჟიამ ძმას გააყოლა თვალი, მერე მამას შეხედა. მარტია გაუნძრეველად იჯდა.

კარის ჯახუნისაგან აპარპარებული ლამპა ჩაქრა. სიბნელე ჩამოწვა.

ვაჟიამ კარი გამოგლიჯა, მეორე ოთახი გაირბინა და ძმას დაედევნა. ქოფაკმა ვაჟიას გაასწრო კარებში.

მწყემსებიც წამოიშალნენ და გარეთ გალაგდნენ სათითაოდ. დინჯად გამოკიდა მარტია ჩაბნელებული ოთახიდან, მსახიობების წინ შეჩერდა, სათითაოდ გადახედა ხუთივეს:

— პური გეშიებათ! — თქვა მარტიამ და მაგიდისაკენ შებრუნდა.

მაგიდაზე ელაგა: ხორცით თაეშედგმული სამი დიდი ჯამი, ერთი ჯამი მარილი, რვა დიდი ფურნის პური და ერთიც ნაქუჩდაცობილი ბოთლი!..

ფარეხისაკენ დაძრულმა ცხვარმა გზა გადაუღობა გელას.

— სად ბიდიხარ, სადა?! რატო ბალთა არ მიდის?! რატო ფიდო არ მიდის?! რაღა შენ ბიდიხარ?! ყველანი გაიგებენ, სოფელშიც გაიგებენ, ფიდოზეც ხო ამბობდნენ, ვიღაცა ჰყავს მეთევზეებშიო! მამამ ხო გითხრა, ხო გითხრა დოლი გათავდეს, ზამთარი და საცა გინდა წადიო!..

გელა წამით შედგა, ძმას მოხედა, მერე ღონივრად დაიქნია ხელი, მკლავზე ჩაბღოჭიალებული ძმა მოიშორა და ცხვრის დინებაში შეერია. დინების აქეთ დარჩენილი ვაჟია მუშტებს იფარებდა თვალებზე და ბოღმისაგან ცახცახებდა.

ფეხებში აბლანდულ ცხვრებს გელამ მათრახი დაუშინა გამეტებით.

ტორტბან-ტორტმანითა და მათრახის ტყლაშა-ტყლუშით ის იყო დინებიდან გააღწია გელამ, რომ საღანღაც გამოვარდნილი ბალთა აეტუზა წინ:

— ცხვარმა რაღა დაგიშავა!.. ვიღაც ქალის გულისათვის! ფუი შენი!..

გაალმასებულმა გელამ წელს ქვემოთ შემოუქნია მათრახი. ბალთა უკან გახტა, ფეხები კი გააცალა დარტყმას, სახეზე აღარ უზრუნვია.

მოკლე თაური სჯეჯგეა გელამ და ძირს გააგორა ტოლი ბიჭი. მერე უზანგში გაყო ფეხი და ადგილიდანვე ჰენებით დაძრა აცეკვებული ყაბარდული...

სარმა უკან დაედევნა. ერთხანს სდია, მერე შედგა და რამდენჯერმე დაიყეფა...

საღამოა...

პეტროშ ქუჩა გადაჭრა და მაღაზია-სასადილოს მიაშურა.

— აქეთ პეტრო! — დაუძახეს ერთ-ერთი მაგიდიდან.

— მეჩქარება! — უპასუხებს პეტრო ღიმილით და დახლიდარისაკენ ბრუნდება. ღიმილი არა ქრება პეტროს სახიდან.

დახლიდარი მაკარონს უწონის ფაშფაშა დედაკაცს. პეტრომ დედაკაცი ჩაათვალიერა.

— ჰე?!

გაუკვირდა ქალს.

— სსსუ!

იღიმება პეტრო და ტუჩებთან მიაქვს თითი.

გაკვირვებულმა დახლიდარმა სასწორს ზემოდან გადმოხედა პეტროს. პეტრომ მასაც ანიშნა ტუჩზე მიდებული თითი: ხმა არ ამოიღოო.

დედაკაცმა ნავაჭრი აიღო და თეძოების რხევით გავიდა მაღაზიიდან. პეტრომ თვალი გააყოლა ღიმილით.

— კაი რამეები მინდა! — მიუბრუნდა პეტრო ნოქარს.

— გეტყობა, — ნოქარმა თვალი ჩაუკრა და მაღაზიიდან გასულ დედაკაცზე ანიშნა.

— არა, აქედან, — პეტრომ საქონლით სავსე თაროებისაკენ გაიშვირა ხელი.

— მაინც? — ეკითხება დახლიდარი.

— ჩამოვიდა, — ხმადაბლა ამბობს პეტრო და ისევ იღიმება.

— რა ჩამოგიღო?

— ეგ არ მითქვამს!

— დიდება შენდა ღმერთო! — დაიბნა დახლიდარი.

— არც ეგ მითქვამს! — ღიმილით აქნევს თავს პეტრო.

— მთვრალი ხო არა ხარ?

— ჯერ არა, ჩამოვიდა-მეთქი!

— ვინ ჩამოვიდა?

— ჰ, დაყრუვდი, ჩამოსაწერი ხარ! სიძე!

— ჰა?!

— ჰო, ჩამოვიდა!

— მერე, რას გაჩუმებულხარ?! ელას, კარპ, ივანე!

— გაუმარჯოს! — ყვირის ათამდე შეზარხოშებული მეთევზე და მობანდალე დახლიდარი.

დახლიცა და ახლო-მახლო მაგიდებიც ცარიელი ბოთლებითაა მოფენილი... კარგა-მაგრა შეზარხოშებულ პეტროს ხელებში საყიდლების გროვა უჭირავს.

— ახლა რაღას იტყვი, ბებერო?!
— ერთი ქვრივი ამასაც უნდა შევრთოთ!
— აბა, აბა! — უარობს პეტრო.
— თორე უარს იტყვი?!
— აბა, აბა! — იღიმება პეტრო.
— პეტროს გაუმარჯოს! — დაიძახა ვლასმა.
— გაუმარჯოს! — იძახიან მეთევზეები და ჭიქებს მაღლა სწევენ.
— მე რათა? მე რათა?
— როგორ თუ რათა?
— გაუმარჯოს!

ჭიქები გამოცალეს.

— ის მურაბები ჩამოუღე! — იძახის ვლასი და ფულს უწვდის დახლიდარს. მთვრალი ნოქარი ქილებსა ხვეტავს და პეტროს ულაგებს.
— ჩამოვიდა! — ბუტბუტებს პეტრო.
— ექვსი წყვილი დანა-ჩანგალი! — ყვირის კარპი. დახლიდარი დანა-ჩანგალს ბოჭავს თაროდან.
— ჩამოვიდა, საყოფია! — იღიმება პეტრო.
— ჭრელი ჩაიდანი და ოთხი ფინჯანი!..
საყიდლებით დატვირთული პეტრო გარეთ გამოდის, დანარჩენები უკან მოჰყვებიან...

დახლიდარი კლიტეს ადებს მაღაზიას.

ღამეა...
ქარი თოვლს აბორიალებს.
თორმეტამდე კაცმა სიმღერით გადასერა ქუჩა...
თოვლის კორიანტელში გახვეული ყველდაბის ბინა, ფარეხები თოვლითაა ამონამქრული.
ძლიერი ქარი ძარცვავს ბინის წინ დადგმულ ნახევრად დახარჯულ თივის ზვინს.

მაგიდას უსხედან მარტია, ბალთა და ფიდო, სადილობენ. მარტია დგება, ჯამს იღებს და ფანჯარასთან მიდის წყლის დასალევად. ფანჯარაში იხედება, თან ჯამს ვედროში ჰყოფს:

— ისე ანიავებს, თითქო თავის მოტანილი ყოფილიყოს!

თივის ღეროები ფანჯრისაკენ მოაქვს ქარს.

— ე ქარი ვიღამ მოიგონა ვერანი, წვიმა კიდევ მესმის, თოვლიც სარგებლიანია.

ჯამს ყინული დაუხვდა ვედროში. მარტიამ დაჰკრა, ყინული ჩაამტვრია და წყალი ამოიღო.

— დედაცხვარს უნდა გამოვუზოგოთ თივა, ჰედილებს ერთ ჯერზე მეტსნუ ვაჭმევთ. — თქვა მარტიამ და ჯამი მოიყუდა. ყინული ჩხრიალებს რკინის ჯამში.

— ეჰ შირაქი, შირაქი, ყვავილები იქნება შირაქში! — ამბობს ფიდო.

— ამისთანა ბალახი სად იცის შირაქში?! — თქვა ბალთამ.

„შირაქში ერთმა მეცხვარემ,
სიზმარი ნახა ზიანი!"...

წაიღიღინა მარტიამ.

კარი გაიღო და კორიანტელთან ერთად ვაჟია შემოვარდა ოთახში. თვალები უციმციმებდა ვაჟიას სიხარულისაგან.

სამივენი მას მიაჩერდნენ.

ვაჟიამ ქურქი გადაიწია და ქულა ბატკნის თავი გამოაჩინა, ბატკანმა სუსტი ხმით დაიბღავლა.

— დაიწყო! დოლი დაიწყო! — დაიძახა ვაჟიამ და ბატკანი მაგიდაზე დასვა.

— აი სიზმარი!

— ახდა სიზმარი!

ოთხივემ თოფებს წამოავლო ხელი, გარეთ გაცვივდნენ, ოთხმა თოფმა დაიჭექა და წაძით ჩაახშო ქარის ხლიწინი. სადღაც კიდევ გაისმა ეხოსავით თოფების ხმა. კიდევ და კიდევ. მწყემსები ბინაში შემოლაგდნენ. ბატკანს ჩვილი ფეხები გაუსხლტა და მაგიდაზე გაიფარჩხა. მარტიამ ბატკანი აიყვანა და თვალებთან მიუტანა დანარჩენებს.

— ნახეთ რა საყოჩეა! — მარტიამ შუბლზე აკოცა ბატკანს, ბალთას მიაწოდა, სკივრი ახადა და ერთი ბოთლი არაყი დადგა მაგიდაზე.

— რა ჭრელთვალაა! — თვალებში აკოცა ბალთამ და ბატკანი ფიდოს გადასცა, თითონ ღუმელს ეცა და თვალის დახამხამებაში ცეცხლი გააჩაღა, თვალებგაბრწყინებული ვაჟია მაგიდაზე არახუნებდა და საცეკვაო რიტმს გადმოსცემდა.

— დახე რა მუხლი აქ!

ფიდომ მუხლის თავები დაუკოცნა.

მარტიამ პატარა ყანწები დაჭყარა მაგიდაზე, ბალთამ ქვაბი შედგა, წყალი ჩაასხა. ფიდომ პურები ამოალაგა ტომრიდან.

ყველა ფაცურობდა.

ვაჟია ისევ აბარტყუნებდა ხელებს მაგიდაზე.

გარეკილი დოლის ხმა ისმის.

გარეთ კი ისევ წივის ქარი და ძარცვავს ბინის წინ მდგარ ნახევრად დახარჯულ თივის ზვინს.

ქარი ასკდება თივით დატვირთულ მანქანების კოლონას. ქანცგაწყვეტილი შოფრები თოვლს უხვეტავენ მანქანებს. მანქანები ღმუიან, წინ და უკან კორიკობენ. ბორბლები ბზრიალებს. კოლონა ისევ ადგილზე დგას. რამდენიმე მანქანას ააგლიჯა ქარმა ზედ გადაფარებული, გაკუპრული ბრეზენტები და ტყლაშა-ტყლუშით გაიტაცა ჰაერში. ქარი ისევ ასკდება და ძარცვავს თივით დატვირთულ მანქანებს.

ავტოკოლონის შორიახლოს შავთეთრად გამწკრივებული ბოძებია. ზუზუნებენ მავთულები.

—

—

— ჩორნი რინოკი ვარ!

—

—

მავთული წყდება ძლიერი ქარისაგან და წივილით მიაპობს ჰაერს...

— ტემპერატურა მინუს თექვსმეტი გრადუსია, ჩრდილო-დასავლეთის ქარის ძალა ცხრა ბალს აღემატება, ვიმეორებ ციკლონი...

— ალო, ალო, თბილისი ვარ! დამაკავშირეთ ჩორნი რინოკთან!

— ჩორნი რინოკია! ტყამალაიძე ვარ ხაზზე, ტყამალაიძე... ზედიზედ წყდება რამდენიმე მავთული და წუილით ჰკვეთს ჰაერს...

გრიგალმა ჭედილების სადგომს ჯერ ჭერი ააგლიჯა, მერე ერთი კედელიც მიაწვინა. ბღავილით გამოცვივდნენ დაფეთებული ჭედილები და გრიგალის მიმართულებით შთაინთქნენ. ჭედილების ათასეული თანდათან სცლიდა დანგრეულ ფარეხს და სასოწარკვეთილი ბღავილით მიიჭროდა კორიანტელში.

მარტია, ბალთა, ფიდო და ვაჟია დედაცხვრის ფარეხში იდგნენ და ახალდაბადებულ ბატკნებს ამშრალებდნენ ჩვრებით. ოთხივენი გაშეშდნენ.

ჭედილებმა დედაცხვრის ფარეხს ჩამოუქროლეს, მარტიამ ბატკანს ჩვარი გადაახვია, ძირს დასვა. კომბალს ეცა, ფარეხის კარი გამოაღო და გონდაკარგულ ჭედილების ფარას დაერია კომბლის ზრიალით.

დამფრთხალი და თავზარდაცემული ცხვარი ვეღარც ქოფაკების გააფთრე-

ბულ იერიშებსა გრძნობდა და ვეღარც კომბლების ცემას. უკანა ცხვარი თავის წინა ცხვარსა ხედავდა და იმას მიჰყვებოდა. შუა დინებაში მოქცეული ოთხი მეცხვარე ამაოდ იქნევდა კომბლებს.

— დადექ სამგლე! დადექ რეტიანო, დადექ ჭრელთვალა!

ბრა, ბრა, ბრაციუ! — ყოველ შეძახილს კომბლის ჰახანით აგვირგვინებდა მარტია.

ქარი აგლეჯდა ქურქების კალთებს გაშმაგებულ მეცხვარეებს.

— ბრა, ბრა, ბრაციუ!

— ყოჩი, აუჰ, აუჰ, აუჰ!

— მიდი სარმა, მიდი ქორია!

— ცხენები, ბალღო, ცხენები!

მწყემსები თავლისაკენ გაქანდნენ, ნაბიჯის გადადგმა ჭირდა ქარის საწინააღმდეგოდ.

მარტია აღარ იქნევდა კომბალს, ამღვრეული თვალებით დაჰყურებდა მარცხნივ და მარჯვნივ ჩავლილ რეტდასხმულ ჰედილებს.

ერთ, უკანასკნელ ყოჩს გააკლო რქებში ხელი, ჰაერში აიტაცა, შებრუნდა და ფარას გახედა: თვალსა და თვალს შუა იკარგებოდა ფარა. მარტიამ ყოჩს ხელი გაუშვა, ძირს დაცემულმა ყოჩმა ჩაიჩოქა, მერე წამოიჭრა და ფარას დაედევნა.

— დროზე, დროზე ცხენები, დაგვიანდა!

მარტიამ აღვირი გამოგლიჯა ბალთას და ცხენს მოახტა. კომბლების ზრიალით და ჰყივილით დაედევნენ მწყემსები გრიგალისაგან მოტაცებულ ფარას.

ჩვარშემოხვეული ბატკანი ფეხზე წამოდგა, დედაცხვარს შეუძგრა და რამდენჯერმე ამოუჯლიქინა თავი ჯიქანში.

ბინაში ცეცხლი გიზგიზებდა. ორმოცამდე ბატკანი დაბაკუნობდა ოთახში. ქარი კედელს ანარცხებდა და ჩენჩხავდა ბინის კარებს.

კარებში ქოფაკი იწვა და ახლოს მოსულ ბატკნებს უღრენდა...

— ზღვაში გადაჰყრის, ბრა, ბრა, ბრაციუ! დადექ სამგლე!

ჰო-ჰო-ჰო! სარმა, ქორია!

მიქრიან მხედრები, თვალს მიფარებული ფარა ისევ გამოჩნდა.

— მარცხნიდან დაუარეთ, ბალთა, ფიდო, ვაჟია! არ დაზოგოთ არა, ქორა! სარმა!

მწყემსები გვერდიდან უვლიან: ბალთა, ფიდო და ვაჟია მარხცნიდან, მარტია მარჯვნიდან.

გზას უღობავენ და დაუზოგავად უხათქუნებენ კომბლებს რქებში.

დაბრმავებული ცხვარი ვერაფერს ხედავს, მხოლოდ უკნიდან მოწოლილ ძალასა გრძნობს და მხოლოდ ამ ძალას ემორჩილება.

აქეთ-იქიდან უვლის ცხვარი მარტიას, ბალთას, ფიდოსა და ვაჟიას. მეცხვარეები ისევ ფარის უგონო დინებაში ექცევიან... მერე ისევ დინების გარეთ რჩებიან და თავშეუკავებელი ნაკადიდან გამოსულები ისევ გვერდებზე მიჰყვებიან ჯუვილითა და კომბლების ზრიალით...

—

—

სტეპში ისევ ისე დგას მანქანების კოლონა. სანახევროდ უკვე გაუძარცვავს ქარს მანქანებზე დატვირთული თივა...

გრიალით მიჰქრიან ტანკები ნამქერში, ათი ტანკი, ოცი, ოცდაათი. ტანკებს უკან გაშობმული აქვთ დიდი სამკუთხა თოვლის სახვეტები, რომლებზედაც თივის შეკვრები ალაგია. ზოგი ტანკი მანქანებთან ჩერდება, ზოგიც ისევ განაგრძობს გზას.

— არ დაზოგო, არაა! ბალთა, ფიდო, ბალღო. ბრაააააა! აუჰ!
აუჰ, აუჰ! ყოჩი, დადექ სამგლე!

ფარას დადევნებული მწყემსები წინ მხოლოდ ზღვასა ხედავენ.

— ჭორია, სარმა! ჭორია! სარმა! ბრაააააა! აუუუჰ! — კივის მარტია. ქარი ტუჩებიდანვე იტაცებს მარტიას ძახილს. ოციოდე ნაბიჯიღა დარჩა ზღვამდე. მწყემსებმა წინიდან დაუარეს, გზა მოუკრეს. ისევ აზრიალდა კომბლები.

ტალღა სკდება ნაპირზე, მერე ისევ უკან გარბის ზღვა. მარტია ცხენიდან ჩამოხტა.

ბალთა, ფიდო და ვაჟია ცხენდაცხენ იქნევენ კომბლებს. ვაჟიას, ფიდოსა და ბალთას გარს უვლის ცხვარი და ზღვაში შედის, მარტია უკან-უკან იხევს.

— დადექ, რეტიანო! სამგლე, რეტიანო! სამგლე, რეტიანო!
სამგლე, რეტიანო! სამგლე!

წელამდე წყალში მდგარი მარტია დაუზოგავად უხათქუნებს კომბალს ჰედილებს მარცხნივ და მარჯვნივ.

და როდესაც ფარის ბოლოში მოქცეულმა ბალთამ, ფიდომა და ვაჟიამ ცხენები შემოაბრუნეს და ზღვაში შეჰყარეს, გვიანღა იყო. უზარმაზარმა ტალღამ ფარის ნახევართან ერთად მარტიაც შთანთქა.

სახეშეშლილები გაშეშდნენ წამით სამივენი.
ნაპირზე დაჰქროდა უმხედრო ცხენი და ჭიხვინებდა...

ბნელდება. ტანკები ბელორიბეცში შემოდიან. მუხლუხების ღრჭიალმა გააყრუა სოფელი. სოფელში ადამიანის ჰაჰანება არ არის, მხოლოდ ჩაშავებული ტანკები მოძრაობენ...

მოსახვევიდან გამოსული ტანკების სინათლე პეტროს სახლს ანათებს და ფანჯარაზე აკრულ გელასა ვხედავთ. ეზოდან დროდადრო ისმის ულაყის ჭიხვინი. მეორე ფანჯარასთან მარიას სახე ჩნდება.

ტანკების სინათლე ცეკვავს მათ სახეებზე.

გელა უცებ შორდება ფანჯარას და წამის შემდეგ უკვე სახლის წინა დგას.

ქარი ახევს ტანსაცმელს. მოსახვევიდან გამოსული ტანკები პირდაპირ გელასაკენ მოდიან, მერე უცბად უხვევენ გვერდზე და მთავარ ქუჩაზე მიგრიალებენ.

მარია ისევ ისეა მიკრული ფანჯარაზე.

უკანასკნელმა ტანკმა ჩაუქროლა გელას.

გავიდა რამდენიმე დღე...

ზღვა ისეთი წყნარია, თითქოს თავის დღეში არ განძრეულიყოს. თევზის ამოსათრევი კაუჭი შემოდის კადრში და რუმბივით გაბერილ მოტივტივე ცხვარს ნავისაკენ მიათრევს. დამხრჩვალი ცხვრებითაა სავსე პეტროს ნავი. პეტრო ცხვარს ნავში დებს და ნავი ნაპირისაკენ მოჰყავს.

წყნარი ზღვა გაბერილი ცხვრებითაა მოფენილი.

დამხრჩვალი ცხვრით სავსე ნავები ნაპირისაკენ მოიწევენ.

დათოვლილი ნაპირის გასწვრივ შავი მარგილებივით გამწკრივებულან შაქურქიანი მეცხვარეები მუხლამდე ზღვაში.

ნავები სულ ახლოს არიან. მეცხვარეები ცხვრებს იკიდებენ და ნაპირზე ამოდიან.

საიდანღაც მოსული არხის მთხრელი მანქანა სულ უფრო და უფრო აგრძელებს სწორ შავ თხრილს.

ფრთხილად უშვებენ ცხვრებს თხრილში მეცხვარეები და განზე დგებიან დიდი ბულდოზერი აყრის მიწას თხრილს...

ნაპირებიდან გადმოვარდნილი ზღვა ყოველი მხრიდან შემორტყმია რომელიღაც ფარეხს... კუნძული ისეა ცხვრით გაჭედილი, რომ განაპირა ცხვრები მუხლებამდე დგანან წყალში. ზღვაშემორტყმულ ფარეხს ნავები მოსდგომია, მეცხვარეებს ნავებზე გადაჰყავთ ცხვარი.

ცხვრით გაჭედილი ნავები კუნძულს შორდებიან...

მოტორიანი ნავების ხმა გადადის ტანკების რახრახში.

ტანკები დარახრახებენ ყველდაბის ბინის გარშემო და ბაკებსა და ფარეხებს შორის შემოყრილ თოვლსა რეგვავენ...

ჩაშავებულია დანგრეული ფარეხი.

სხვადასხვა ბინიდან მოსული შავნაბდიანი მეცხვარეები დგანან ბინის წინ და ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

ბინის კარი იღება. შავ ნაბადში გახვეული მარტიას ცხედარი გამოაქვთ ოთხ შავნაბდიანს: ვაჟიას, ბალთას, ფიდოსა და ნაზღოს.

გარეთ მდგარი მეცხვარეები ჩურჩულსა წყვეტენ და ბოხოხებს იხდიან.

ოთხი ბებერი მეცხვარე საკაცესთან მიდის. სამი მეცხვარე შეენაცვლა ბალთას, ფიდოსა და ნაზღოს. ვაჟიამ თავი გაუქნია. საკაცის სახელური არ დაანება ბებერ გიორგის...

შავნაბდიანთა პროცესიამ მდუმარედ ჩაუარა დანგრეულ ფარეხს. ტანკები დადგნენ, აღარ რახრახებენ.

ოცამდე მეცხვარე უხმოდ მიჰყვება საკაცეს... ბინებს გასცდნენ და მიდიან.

ორი ხის ჯვარი და ახლად გათხრილი საფლავი მოჩანს... ყველაზე ბოლოს სარმა მოჰყვება პროცესიას.

საფლავის გარშემო დადგნენ, საკაცე ჩაუშვეს.

— ცხვარი გამრავლდება, შენ აღარა გეშველება რა! — თქვა ბებერმა არსენამ, დაიღუნა და ერთი მუჭა მიწა მიაყარა საფლავს.

— ბატკანი ჰედილად იქცევა, შენ აღარა გეშველება რა! — თქვა ბებერმა გიორგიმ და ერთი მუჭა მიწა მანაც მიაყარა.

— ომია გაუთავებელი, არავინ იცის ვინ როდის ჩაიქცევა! — კიდევ ერთმა მიაყარა მიწა საფლავს.

— ქარის წაქცეული არ არის ახლოური! — ამოიოხრა ბებერმა სერგომ და პეშვი ჩასცალა საფლავში.

— მარტიას წაქცევა მაინც ადრე იყო! — სთქვა შემდეგმა და მიწა მიაყარა.

ყველა მეცხვარე რაღაცას ამბობდა, მიწას აყრიდა საფლავს და განზე დგებოდა.

მარტიასა და არსენას შუაში ჩაეყენებინათ ვაჟია. მოთქმით ტიროდა ბიჭი.

შავი წერტილი შენიშნეს სტეპში. ყველამ იმ მიმართულებით იწყო ცქერა. მალე მხედარიც გაარჩიეს, გელა იცნეს.

— მოდის!

— ჰ, კაი დროსაც მოაკითხა!

— ეგება ეგონა, რომ მაგის დასამარხი გახდებოდა!

— ზოგიც ახლა ირბინოს წინ და უკან!

— მაგის დარდმა დაანელა კაცი!

გელამ რამდენიმე ნაბიჯზე გააშეშა გახვითქული ულაყი და ძირს ჩამოიშვრა... ცრემლმომსკდარი ვაჟია ერთხანს უყურებდა ძმას, მერე ზურგი აქცია, გიორგის და არსენას დაუსხლტა, წინ გაიქცა. მერე ისევ შედგა. მწყემსები სათითაოდ გვერდს აქცევდნენ საფლავისაკენ მიმავალ ქუდმოხდილ გელას და მო'მორებით ჯიუტად გაჩერებულ ვაჟიასაკენ მიდიოდნენ.

უცებ ფოცხვერივით შემოტრიალდა თვალებანთებული ვაჟია. მწყემსებს შუა გაირბინა და მამის საფლავთან თავჩაქინდრულ ძმას მივარდა:

— შენ მოჰკალი, შენა! შენ დაღუპე! შენი ბოღმა ჰქონდა და იმიტომ გაიმეტა თავი, იმიტომ გავარდა! ყველა მაგას ამბობს! ხო სწორეა, ძია არსენა? ფარა მაინც იღუპებოდა, იმაზე უკეთ ვინ იცოდა, რო ფარას აღარაფერი ეშველებოდა? ხო სწორია, ძია სერო?! ძია გიორგი, ბალთაც იქ იყო! ფიდოც იქ იყო! ხო სწორია, ბალთა?! ხო სწორია, ფიდო?! აბა გააცოცხლე! გააცოცხლე! გააცოცხლე ძია სერგო! ძია არსენა! ძია გიორგი! რათ გაჩუმებულხართ? რატო არაფერს ეუბნებით?!

არსენამ და გიორგიმ ხელი მოჰკიდეს ვაჟიას და წამოიყვანეს. დანარჩენებიც მიჰყვნენ უკან. შავნაბადიანთა პროცესია ფარეხებისაკენ გაემართა. გაქვავებულივით იდგა გელა მამის საფლავთან, სარმაც იქვე დაყუნცულიყო. ცხენიც გვერდზე იდგა.

მეცხვარეები თანდათან შორდებოდნენ იქაურობას. გელას გამოსახულებაც პატარავდებოდა და ბოლოს ისევ წერტილად იქცა.

—.—

ზამთარი გატყდა. პეტრომ ბაღის ბოლოს დამხობილი ნავი გადმოაბრუნა და მდინარეში ჩაუშვა. ნავმა ქიმი დაჰკრა ნაპირზე მოკიდებულ ყინულს და ჩქაფანი მოადინა წყალში. მდინარის ორივე მხარეს შერჩენილი ყინულები ჩახა-ჩუხით იმტვრევა ზედიზედ ჩამოშვებული ნავებისაკენ. დაიძრა ყინული და მოჰყვა ნავების ქარავანი.

შეინძრა შავი ანძებითა და გემბანებით ამოყრილი ყურე. ნელ-ნელა იწყო გამოსვლა ყურიდან დიდმა მოტორიანმა ნავებმა. დიდი და მცირე ნავების ქარავანი ჯაჭვით გაიჭიმა ზღვაზე, დაკოჭრილმა ხელებმა ნელ-ნელა ჩაცალეს ნაზამთრალი ბადეები ზღვაში.

ატყდა კეტების ხათქა-ხუთქი და აფართხალდნენ კაცის სიგრძე თართები პირსზე...

* * *

თევზის საზიდი ურიკა მოჰქრის პირსზე.

ურიკა ჩერდება თევზების გროვასთან. მარია ჩამოდის და მიდის პირსის

ბოლოსაკენ. ფარდულის უკან გადის მარია, ერთხანს დგას და ზღვას გასცქერის.

• • •

ბელორიბეცი თითქმის ცარიელია, პეტროს სახლის სახურავზე ვხედავთ გელას. თოვლის ჩამოსახვეტად ასული გელა ხის ნიჩაბს დაყრდნობია და სადღაც შორს იცქირება.

მოჩანს თოვლშერჩენილი სახლის სახურავები, სახურავებს იქით იწყება სტეპი. სტეპიც ისევეა აჭრელებული ნახევრად დამდნარი თოვლით, როგორც სახლის სახურავები...

თეთრ-შავად აჭრელებულ სტეპში მიაბიჯებენ გელა, მარია და პეტრო.

მიდიან...

მოჩანს ყველდაბის ბინა. მარტიას საფლავს უახლოვდებიან. ბინა მარცხნივ რჩება.

საფლავის ჯვარს იქიდან ვაჟია წამოდგა. ჯერ მისი ბოხოხი წამოიმართა, მერე მთლიანად. ერთი კი მოიხედა უკან ვაჟიამ და იქვე შორიახლოს მდგარ ფარას მიაშურა. ცხვარს დაურბინა და შინისაკენ დასძრა.

გელა ხედავდა ბინისაკენ მიმავალ ძძის ზრდადაუსრულებელ კისერსა და მხრებს. ხედავდა ფარას. დანგრეულ ფარეხს მართავდნენ მწყემსები და ჩაქუჩებისა და ნაჯახის ხმა ისმოდა...

ჯერ ისევ დილის ბინდბუნდია, ნიავმა წამოუბერა და დაფოთლილი ხეები შეაშრიალა.

გელა სახლის კიბეზე ზის საკინძგაღეღილი. სახლის კარი აჭრიალდა, გაიღო, ბადეებაკიდებულმა პეტრომ ჩაახველა და კიბეს ჩამოჰყვა. გელამ ცოტა გვერდზე მიიწია, გზა გაუთავისუფლა.

დაბლა არ ჩასულა პეტრო, გელას გვერდით გაჩერდა კიბეზე, პაპიროსი ამოიღო, გააბოლა და გელას გვერდით ჩამოჯდა საფეხურზე.

— დროზე, მარია! — გასძახა პეტრომ ღია კარში.

— მოვდივარ! — მოისმა მარიას ხმა.

მარია აჩქარებულად დაბაკუნებდა ოთახში.

— ქაშაყის დიდი ქარავნები გამოჩნდა ჩაჩანთან! — თქვა პეტრომ და გელას გადახედა.

— ჰოო? — სასხვათაშორისოდ იკითხა გელამ.

— მაშ, ქარი თუ არ იქნა ოციოდ ცენტნერს გავახვევთ!

— ქარი არ იქნება!
— მეც ეგრე მგონია. გუშინ თხუთმეტზე მეტი არ გამოვიდა!
— ჰოო?
— ჰო, ქარავნებს გვიან წავაწყდით.
— მაშ დღეს ბევრს დაიჭერთ.
— მე მგონი, ცოტა არც გუშინდელს ეთქმის.
— რა თქმა უნდა.

პეტრომ ისევ გადახედა გელას და წამოდგა.

— ქვემოთ დაგელოდები, მარია! — კიბეები ჩაათავა პეტრომ და მდინარისაკენ წავიდა. გელამ თვალი გააყოლა სიმამრს...

ეზოს კარმა დაიჭრიალა და გელამაც იქითკენ მიიხედა. ეზოს კარში ლუბა იდგა.

— მარია წავიდა?

ღია კარებში პირსზე მიმავალი ქალები იჭყიტებოდნენ დროდადრო.

— ჯერ არა, მარია! — დაუძახა გელამ, — ეზოში რატომ არ შემოდიხართ? — შემოიპატიჟა გელამ ლუბა.

— დაგვიანდება! — იღიმება ლუბა და ეზოში შემოდის.

— უთქვენოდ არ დაიწყება! — ძუნწად გაუღიმა გელამ.

მარიამ ჩამოირბინა, გელას წინ ჩაჯდა და წინსაფრის ზონარები შეაკვრევინა ზურგზე.

— მამა წავიდა?
— არა, გიცდით!
— საუზმე ტაფაზეა, თუ გინდა კიდე გაიკეთე რამე.
წამო! — დაუძახა მარიამ ლუბას.

მარიამ და ლუბამ ბოსტანზე გავლით მდინარეს მიაშურეს. გელამ თვალი გააყოლა.

ბინდი გაიყარა, მზემ ამოიწია. ერთხანს კიდევ იჯდა გელა კიბეზე, მერე წამოდგა და ბოსტანს მიაშურა.

მეზობლის ეზოებში უკვე ბრუნავდა ქარის წყალსაქაჩები. გელამაც აუშვა, აჩქაფუნდა დგუში, წყალი წამოვიდა ღარში. სადინარში ჩაფარებული ხელტი ფეხის წვერით ამოაგდო და გზამიცემულმა წყალმა კვლებში იწყო ჩუხჩუხი... ისევ ეზოში გაბრუნდა, ულაყი აუშვა და წყალზე მიიყვანა.

ცხენი წყალს დაეწაფა. გელა უსტვენდა, რომ ულაყს წყალი შერგებოდა...

მერე ცხენი ისევ დააბა, დამჭკნარი ბალახი დაუყარა.

ბადით გადალობილ კუთხეში ქათმები კრიახობდნენ, ბადეს აწყდებოდნენ და საკმელს მოითხოვდნენ, ბადის კალთა ახსნა, ქათმები გამოუშვა და იქვე დადგმული საკენკი მიუყარა.

წითელი და შავი მამალი გაიძაგრნენ და ერთმანეთს დაეტაკნენ. გელამ ფეხი ამოუქნია, მოჩხუბარი მამლები გააშველა და აუჩქარებლად გავიდა ეზოდან.

სახლის წინ იდგა...

— საქმეს მორჩი? დილა მშვიდობისა! — მიესალმა მაღაზია-სასადილოს ფანჯრიდან თავგამოყოფილი ნოქარი.

— დილა მშვიდობისა! რათა მკითხე, მორჩიო?

— ადრე გამოხვედი და იმიტომ.

— რაღა ადრეა, რვა საათია! — საათზე დაიხედა გელამ.

კაცის ჰაჰანება არ ჩანდა სოფელში, მთავარი ქუჩაც ცარიელი იყო. მხოლოდ ერთგან, ტიტლიკანა ბიჭები თამაშობდნენ ქვიშაში.

გელა მაღაზიისაკენ გაემართა. პალმა ხუსხუსით დაედევნა უკან.

— დღესაც მაგრა ეცხელება, — თქვა გელამ და დახლის დარაბასთან გაჩერდა.

— პო, — დახლიდარმა დაამთქნარა. — შემოდი, მანდ რას გიჩერდი.

— ორნი რო ვართ? — გელამ ძაღლზე ანიშნა.

— შემო, სამნი ვიქნებით!

— საქმე გაქ?

— არა, ისე ვილაპარაკოთ.

გელა მაღაზიაში შევიდა, პალმაც შეჰყვა.

— რაზე ვილაპარაკოთ? — კასრი მიაგორა დახლთან და ჩამოჯდა.

— ცივი ლუდი მაქ.

— დაასხი.

დახლიდარმა ძეხვის ნაჭერი გადაუგდო ძაღლს და ლუდი ჩამოასხა. მოიყუდეს.

— კარგია!

გელამ ნახევრად ჩაცლილი ჭიქა დახლზე დადგა.

— საღამოზე უკეთესი მომიყვა.

— დაცლაში მოგეშველები.

— შენ იცი!

ისევ მოიყუდეს ჭიქები: გამოსცალეს.

სიჩუმე ჩამოწვა.

— ცხვარი როდის მიდის? — იკითხა დახლიდარმა.

— ერთიც დაასხი! — გელამ ჭიქა შეუდგა ონკანს, — ნელა, ნუ ააქაფებ.

— თქვენებურები იყვნენ გუშინ.

— ამასაც გადმოუგდე რამე, დილას არაფერი მიჭმევია! — ძაღლს გადახედა გელამ.

— პირველი ფარები ხვალ წამოვლენ.

— მერე რა?

— ვაჰ, საქმე მექნება ბევრი...

— დაასხი! გელა ზურგით შებრუნდა დახლისაკენ და პალმას ღიტინი უწყო ფეხის წვერით.

— მეორე ფარები მაზეგ ჩამოიელიან, მაზეგ ვაჭრობა ნაკლები მექნება, გვიან ჩამოიელიან.

— ღამეც იმუშავე, ვინ დაგიშლის?

— ვნახოთ!

დახლიდარი ლუდს ასხამს. ჩხრიალით ჩადის ლუდი ჭიქაში...

უცებ გაირინდა გელა. თავი აიღო, მიაყურა. ნახევრად შებრუნდა დახლისაკენ, ხელი გაწია და ლუდის ონკანი ჩაკეტა, რამდენიმე წამის განმავლობაში ქანდაკებასავით გაშეშდა.

— ჩემთვისაც დავასხამ!

დახლიდარმა ისევ მოუშვა ონკანი. ისევ გაიშვირა ხელი გელამ და ლუდის ჩქაფანი შეწყდა. კარს მიაშურა გელამ. მწყემსის ყურმა სოფელს მიახლოებული ფარების შორეული ხმა გაარჩია.

ცხვრის ფეხის ხმა თანდათან გამოიკვეთა და, მალე, ხიდებისაკენ მიმავალ ორღობეებში მტვრის კორიანტელი ადგა...

— ბრა აუჰ! — გასროლასავით გაისმა მოკლე შეძახილი და ურჩი ცხვრისათვის ნატყორცნი კომბალი გელას ფეხებთან დაეცა.

— სალაში, ძია ბეშქა! — კომბალი მიაწოდა გელამ მეცხვარეს.

— სალაში ხვთისაა, ბრა, ბრა! — შეუტია ცხვარს მწყემსმა და გვერდით მიჰყვა.

— ახალი რამ გეთქვა!

— ძველიც საყოფია! — ჩაიბუტბუტა ბებერმა ბეშქამ და გელას გასცდა.

— თერქო, გამარჯობა! — მიესალმა გელა ორმოცი წლის მეცხვარეს.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოუშალოს ყველა კარგ ვაჟკაცსა!

— ლაპარაკი გისწავლია, თერქო! — გაუგებარი არ დარჩა გელას თერქოს პასუხი.

— სწავლისა არი ეს ქვეყანა, ჩემო გელა! ვადა, ვადა!

გელამ თვალი გაყოლა მეცხვარეს და სახლის წინ დადგმულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. გელას ფეხებთან მითქრიალებდა ცხვარი...

უწყვეტ ნაკადად გადადიოდა ცხვარი ხიდებზე. ხიდის ორივე მხარეს ჩაშ-

დგარი მწყემსები ათობით ითვლიდნენ ცხვარსა და ჯდეებსა სვამდნენ კომბლებზე...

— მალცაგო, გამარჯობა!

ისევ შიესალმა გელა მეცხვარეს.

— გაგიმარჯოს! ყოჩი, ასე მო, ბრაა აუჰ! — შესჭყივლა მალცაგომ და კომბალი აუჭახუნა რქებში გელასაკენ გამომხტარ ჯედილას.

— ნამატი კარგი გყავ, მალცაგო?

— ზოგისამ იმატა, ზოგისამ იკლო, — თავითფეხებამდე შეათვალიერა მალცაგომ გელა, — შენ რა ჰქენ, ვერაფერი ამეტებინე შენ დედაკაცსა?! — აუჰ, აუჰ! ბრა, ბრაა!

ქვემოთ გააქანა მალცაგომ ცხენი.

— იაფათა ჰყიდი სიტყვას, მალცაგო! — დაადევნა გაცეცხლებულმა გელამ.

— ზოგს სიტყვა ეიაფება, ზოგს საქმე! — ჩაილაპარაკა გელას გვერდზე ჩამოვლილმა მეცხვარემ. თვალის დახამხამებაში შებრუნდა გელა მთქმელისაკენ, აღვირში გაუვლო ხელი და თავისკენ შემოატრიალა მხედარი ცხენიანად.

ბებერი გიორგი დაჰყურებდა გელას ზემოდან.

— შენი რაღა მმართებს, გიორგი?!

— ყველას თავის თავისა მართებს, ჩემი რა უნდა გემართოს, ბალღო!

— ჩამო, ლუკმა გავტეხოთ, გიორგი! — გელამ ხელი შეუშვა აღვირს, გიორგიმ თავი გააქნია, ფარას დასჭყივლა და ცხენი დაძრა.

— ლუკმა გავტეხოთ, ძია არსენა, წამსვლელ-დამრჩენისა დავლიოთ! — ახლა არსენას გადაუდგა გელა.

— რა დროს ლუკმის ღეჭვაა, ბალღო! ბრა, ბრა! აუჰ! — არსენამაც ფარას შიაყოლა ცხენი.

— მაშ ეგრე ჰა?! ეგ იყო პასუხი! შენც მაგას მეტყვი, ბებერო სერო! — თვალით გააცილა გელამ კიდევ ერთი მეცხვარე და ზურგი აქცია დინებას. — ეგრე იყოს!..

მზე გადაწვერილია, თუმცა ისევ ისე აცხუნებს. გასუნთქულია სოფელი სიცხისაგან. ცარიელია ქუჩა. დახლზე თავჩამოგდებული ნოქარი სთვლემს. ხლიწინით იღება პეტროს ჰიშკარი და დახლიდარი უცებ ფხიზლდება.

გამოდის გელა, რომელსაც აღვირით გამოჰყავს შეკაზმული თაფლისფერი ულაყი. კარის ბოძებს მიაწყდა აცეკვებული ყაბარდული, მერე ყალყზე შედგომა დააპირა. ლაგამით ჩამოაბეგვა ლაშები გელამ, ყალყზე არ გაუშვა.

— საით შენი მგზავრობა? — უძახის დახლიდარი გელას გელა ყურს არ ათხოვებს დასიცხული დახლიდარის ძახილს, ქუჩას სერავს და თიხის ორღობეში იკარგება.

* * *

თევზის ქარხანა სამუშაოს შემდეგ. თევზის ქარხნის დირექტორი ღია ფანჯარასთან დგას. ფანჯრიდან მოჩანს შემდეგი სურათი: 3-4 კაცი ეხვევა გელას ულაყს და მსუბუქ, საჯდომ ეტლში შებმასა ცდილობს. დირექტორი, ხანმოსული ჭაღარა კაცი გასამხნევებელ სიტყვებს უძახის ულაყის გარშემო მოფუსფუსეებს:

— მიდი, ევსეი! სერგეი! ლაყე! ლაყე! გვერდებიდან მიდით!...

ეგნატე! ეგნატე! შენ რაღამ გამოგაჩერჩეტა მაგ ხნის კაცი, წინიდან რო ეპოტინები. ვაჰ, კიდევ თავისასა სჩადიან!.. ზოგი ახლა დამემალონ ბრაკონიერები, ყოფას ვუტირებ! არაა? ჰა?! შენ რას იტყვი, ალექსეი მაქსიმიჩ? — ჰიუბრუნდა ქარხნის დირექტორი ბუღალტერს.

— ვერსად წაგივლენ, ივან ალექსეიჩ, ველარსად! — ამთავრებს წერას ბუღალტერი, — მარცხნივ გამოუდგები, ცოპ, დაიჭერ, მარჯვნივ — ცოპ, ჭელშია!

ბუღალტერმა სათვალეს ზემოდან გადმოხედა საწერ მაგიდასთან აყუდებულ გელას. დაწერილი ქაღალდი აიღო და ხმამაღლა ჩაიკითხა:

„ნასყიდობის ქაღალდი. მე, გელა მარტიას ძე ახლოური, მცხოვრები დაღასსრ-ს სოფ. პელორიბეცში“, — გელამ საწერ მაგიდაზე დაგდებული ფულის შეკვრა აიღო, ჯიბეში ჩაიტენა და კარისაკენ გამოემართა...

ვხედავთ როგორ გამორბის მარია თევზის ქარხნისაკენ.

ისმის ბუღალტრის მონოტონური ხმა.

...ვყიდი ჩემ საკუთარ ცხენს (ულაყი თაფლისფერი, ოთხი წლის, ჯიში — ყაბარდული)...

მარია ჩერდება ეზოში, სულს იბრუნებს. კარი იღება და გამოდის გელა. აღელვებულ მარიას რომ ხედავს, ჩერდება, თვალს არიდებს, სადღაც იხედება და ნელა ჩამოდის კანტორის კიბეზე.

მარია თვალს არ აშორებს გელას, წინ უჩერდება:

— გამოართვი და დახიე, გამოართვი და დახიე! — სულმოუთქმელად მიაყარა მარიამ გელას. გელამ თავი გააქნია. მარია კიბეს ეცა. გელამ მაჯაზე წაავლო ხელი და კიდევ გააქნია თავი.

— წავიდეთ! — თქვა დინჯად გელამ, კიბეზე ჩამოდებულ უნაგირს დასწვდა და ჰი'შკარს მიაშურა.

* * *

ისევ გრძელი და ვიწრო თიხის ორღობე. წინ გელა მიდის უნაგირით ხელში, უკან მარია მისდევს.

— ას-სალამ ალეიქუმ, ძვირო სანახავო!

მოსახვევიდან გამოცვენილმა ოთხმა მხედარმა გელას წინ დაქაჩეს აღვირებს. გახვითქული ცხენები ჯერ გაიკლაკნენ და მერე გაშეშდნენ.

— ალეიქუმ სალამ! — გაუღიმა გელამ, უნაგირი მარიას გადასცა და ცხენიდან გადმოხტილი ჯაბალა გადაჰკოცნა. ჯაბალა ძირს გადმოხტა. დანარჩენებიც ჩამოხტნენ ცხენებიდან. გელა ხელს ართმევს და ჰკოცნის ყველას. მხრებზე განიერი ყავისფერი ყალმუხები ირიბად ახურავთ მხედრებს. ჯაბალა გელას ადევნებს თვალს და თავს აქნევს.

— ღმერთმანი, ძლივს გიცანი: მხრები ამოგიყრია, ყურები ჩამოგიყრია! — უცინის ჯაბალა.

მხედრებმა კედელთან მიმდგარი მარია შეათვალიერეს და მოკრძალებული აღმოსავლური სალამი მისცეს უხმოდ. მარიამ თავი დახარა.

— აქ რას გავჩერებულვართ, ჯამბალ, ბექირ?
— ჯერ აქ გავჩერდებით, მერე სხვაგან!

მხედრებმა მარიას გადახედეს.

— მოერევი, მარია? — მარიასთან მივიდა გელა.
მარიამ თავი დაუქნია.
— აჰა! ესეც დამიჭი! — მათრახიც მისცა გელამ.
მარია სახლისაკენ გაეშურა.
— მოდი, მე ერთ რამეს ვიტყვი! — დაიძახა ბექირამ.
— სსუ, არავინ არაფერს არ იტყვის, დღეს მე უნდა ვთქვა.
ჰეი, მოეშზადე! — გასძახა გელამ მთვლემარე დახლიდარს.

დახლიდარმა თავი შეყო...

მაღაზია-სასადილოს გვერდით ძველი კარუსელის მოაჯირზე ოთხი ცხენია გამობმული. პატარა ბიჭი გადამძვრალა კარუსელის მოაჯირს იქით და დიდი ვაჭირვებით ატრიალებს ბორბალს.

კარუსელი ნელა ბრუნავს, ფრთხილი ცხენები თავებს იქნევენ ხის ცხენების ყოველ ჩამოვლაზე და აღვირების აწყვეტას ლამობენ...

მზე ჩადის. სოფელი ნელ-ნელა ახმაურდა...

სასადილოდან გამოდიან ბექირა, ჯაბალა, რასულა, მუხტარა და გელა. რაღაც უცხო სიძღერას გაჰკივიან ლეკები.

მთვრალი ბექირა კარუსელს მიუახლოვდა და იმის ნაცვლად, რომ ცხენი აეშვა, მოაჯირს გადაევლო და ხის ცხენს მოაჯდა.

— დაატრიალე! დაატრიალე!
დასჭყივლა ბექირამ ბიჭს და მათრახი უჭირა ხის ცხენს.

ბიჭმა ეხა გამოუყო ბექირას, მოაჯირზე გადაძვრა და მოცოცხა.

— ვა, ჰა, ჰაა! მიდი, ბექირ, ჩვენც შენთან ვართ! — დაიძახეს დანარჩენებმა, მოაჯირზე გადაცვივდნენ და ხის ცხენებს მოახტნენ.

— რას გაჩერებულხარ, გადმოხტი! — შესძახა ჯაბალამ და გელას ხელი დაუქნია. გელამაც გადაალაჯა მოაჯირს...

ოფლში გახვითქული მუხტარა აბრუნებს ბორბალს და ბზრიალებს კარუსელი. დაფეთებულმა ცხენებმა ლამის არი დადღიძონ გულავშარები... ჯაბალა ჩამოხტა ხის ცხენიდან, მოაჯირს გადაევლო, ნახევრად გაგიჟებულ ცხენს მოახტა და გარშემო დაურბინა კარუსელს. კარუსელისაკენ გამორბიან პატარა ბიჭები.

გაშტერებული პეტრო მობზრიალე კარუსელს მისჩერებია.

— საღამო მშვიდობისა, პეტრო, მგონი კარნავალი იწყება, ჰა?! — სიტყვა გადაუკრა ფაშფაშა დედაკაცმა და კარუსელს გახედა.

პეტრომ შიიხედა, ტუჩი აუთამაშდა სათქმელად, მაგრამ პასუხის ნაცვლად პაპიროსი გამოაფურთხა, მობრუნდა და ეზოში შევიდა.

— მარია! — დაიძახა პეტრომ და მაგიდაზე დაგდებულ უნაგირს მიაჩერდა...

— მოძყეთ! მომყეთ! — გაჰკივის ჯაბალა და შლეგიანივით დააქროლებს ცხენს კარუსელის გარშემო... მუხტარას ხვითქი ასკდება.

— მიდი, მუხტარ!

— არ შეგვარცხვინო! — აქეზებენ ხის ცხენოსნები...

მერე ბექირა ჩამოხტა ხის ცხენიდან და ნამდვილ ცხენზე გადაჯდა, მერე რასულაც მიჰყვა დანარჩენებს. მუხტარაც გამოძვრა...

ბოლოს გელაც ჩამოხტა. კარუსელის ნავები და ცხენები დაჰქროდნენ გელას გარშემო. კიდევ რამდენიმე წრე დაურბინეს მხედრებმა, მერე სათითაოდ აუღეს მათრახი გელას, დაემშვიდობნენ და მტვრიან შარას გააკრეს ცხენები...

* * *

— ჰოოპ! — დაიძახა გელამ და კარს ხელი ჰკრა.

მარია და პეტრო ეზოში გამართულ მაგიდას უსხდნენ.

მაგიდაზე გელას უნაგირი დევს.

— რა ამბავია, რას გაჩუმებულხართ?! — გელა მაგიდას მიუახლოვდა, — ჰოპ! — ცალი ხელი უნაგირს დააყლო, ძირს გადმოიღო, მეორეთი ბოთლი ამოაძრო ჯიბიდან და მაგიდაზე დადგა.

— მაგრა დადექით! — პეტროსა და მარიას დაეყრდნო მხრებზე. აიწია და ჯამა-შვილს შუა ჩაჯდა. ხელები მოხვია, ორივენი თავისკენ გიიზიდა და სათითაოდ გადაკოცნა:

— არ მელაპარაკებით, განა?! ხმას არა მცემთ!

პეტრომ გაუღიმა, მაგრამ თვალზე გაიკრა ხელი, ცრემლი დამალა და წამოდგა.

— არ გივარგა სიძე, პეტრო, არ გივარგაა!

— მე ეგ არ მითქვამს! — უცინის პეტრო.

— ყველა მაგას ამბობს!

— მოტყუებულან!

— არა შვონია. ჯაბანია შენი სიძე, ლაყეა!..

— მარია! ეხლავე ჩამოვა, ვახშამს ჩამოიტანს. მე და შენ ვილაპარაკოთ!

— ბებერ კაცს ამუშავებს, თითონ ხელი არ გაუნძრევია!

— მე ეგ არც მიფიქრია, ეგ არ მადარდებს!

—ვიმუშავებ, ხვალ-ზეგ საქმეს ვიშოვი! მოკვდეს გელა ახლოური, ვეღარც გარეთ ვარგოს, შინაც არ უქნია ღმერთსა!

— მაგას რათ ამბობ?!

— ყველა მაგას ამბობს!.. ცხელა...

— ტყუილია!..

— აღარც შენ უყვარხარ, ლამაზო ქალო! — გელამ მარიას მოხვია ხელი. — რაზეღა ენდე, რაზედ მიეცი თავი ჯაბანსა?..

მარიამ ფრთხილად დაალაგა ჰურჯელი და ისევ აბრუნდა სახლში.

— ცხელა, სიმამრო, დამცხა! — გელა პეტროს გვერდით გადაჯდა.

— გული არ გაიტეხო, ყველაფერი კარგად იქნება!

— მეც ეგრე შვონია, ხვალ-ზეგ საქმესა ვნახავ, მუშაობას დავიწყებ!..

— რაც შალე მოეკიდები საქმეს, უფრო კარგია, დამშვიდდები!

— დავმშვიდდები, მა რას ვიზამ?! მარია?!

მარიამ გაუღიმა და თავი დაუქნია.

— ნურაფრისა გეშინია, პატარა ქალო! აქ მო!

მარია გელას მიუჯდა.

— დაასხი! საქმეს გაუმარჯოს! ხვალ-ზეგ საქმეს მოვეკიდები! სოფელი დიდია!..

გელამ ჭიქა აიღო.

— შენ ნუღარ დალევ! შენ მაგივრად მარია დალევს!

— მარია! ჯაბალა ხო გაგაცახი, ის გეტყვის, მარია!
კარგი ვაჟკაცია, ძმათნაფიცია, შენც ხო იცნობ, პეტრო?
დედასა!..
— როგორ არა?
— დაცხა, მაგარი სიცხე ეცოდინება ზაფხულში!..
— არც ისე!
— წყალი მომირბენინე, ზღვის ქალო, მარიამ! ხვალ-ზეგ საქმესა ვნახავ! ზოგს ეგება ჰგონია, რო!.. ოჰი-მე!.. მარია წყალზე მიდის...
— ვინც რა უნდა, ისა თქვას! — ამშვიდებს პეტრო.
— ერთ დროს შენზეც ვიყა ნაწყენი, სიმამრო! ეხლა აღარა ვარ, აღარა ვარ! დავიღალე!.. ჰეჰ, გელა დაიღალა! ნეტა რა გააკეთა, რო!.. ქარია, ქარი, ჯაბალა!.. ცივი წყალი, მარიამ!..
— წასულია, მოგიტანს!
— მოიწი, სიმამრო! — ხელი მოუპოტინა მხარზე გელამ.
— რო გცხელა, იმიტომ გერიდები!
— დავიღალე, ცხელა, ჰეჰ! — იღიმება გელა და თვალებსა ხუჭავს. — ჯაბალასა ჰკითხე, სიმამრო, მეტი აღარავინ დარჩა მთქმელი!.. ნეტა რათა ცხელა, ან რამ დამღალა? მოჭრილი ხესავით მიეყუდა გელა კედელს. ჩასთვლემა, ჩაეძინა...

მძიმედ ეკიდა ფიწალივით მარჯვენა პეტროს მხარზე, მარცხენა მკლავი მაგიდიდან მუხლზე დაუცურდა...

ჩაფით წყალი მოარბენინა მარიამ.

— გავაღვიძო?
— არა, დადგი, დღე ძლივს დააღამა!
პეტრომ ფრთხილად ჩამოიღო გელას ტორი მხრიდან, ცოტახანს ხელში გააჩერა, ნელა ჩამოსდო სკამზე და თავის ხელსაც დააკვირდა. მუშა-კაცის მარჯვენა ჰქონდა ორიენს...

მაგრად ეძინა გელას, კაეის ნატეხივით ხორხი ხან აიწევდა და ხან დაიწევდა ღონიერ ყელზე.

— ჰამე, მარია, გაცივდა!

მარიამ თავი გააქნია, მოწოლილი ბოღმა გადაყლაპა და კიდევ მოისვა ხელი თვალზე...

ღამდებოდა...

* * *

სისხამი დილაა, ნაეების ქარავანი დინებას მიჰყვება, ზღვას ეშურებიან ბელორიბეცელები.

როგორც კი მარია ნავში ჩაჯდა, პეტრომ მდინარეში შეაგდო ნავი, თითონაც შეტოპა და დინების საწინააღმდეგოდ იწყო შებრუნება.

— დილა მშვიდობისა, პეტრო!

— დილა მშვიდობისა, კარპ, დღეს მე ვერ გამოვალ! — ნავში ჩაჯდა პეტრო, მოტორი ჩართო და ნავმა დინება გააპო.

— საით, პეტრო? — უძახის გვერდით ჩავლილი მეთევზე. პასუხად პეტრო სიჩქარეს უმატებს. უხმოდ მიდიან კიდევ, რამდენჯერმე სცვლის სიჩქარეს პეტრო...

ნავებმა ჩაიარეს. სოფელს გასცდნენ, მიდიან...

ზედიზედ გამორთო სიჩქარე პეტრომ და ნავი ნაპირს მიაყენა. მარია ამოვიდა ნაპირზე. მამა-შვილმა ერთმანეთს გადახედეს, მარია შებრუნდა და თვალუწვდენელ სტეპს მისცა თავი... ზეზე ამდგარი პეტრო ერთხანს გასცქეროდა შვილს, მერე დაიღუნა და მოტორი ააგრიალა...

* * *

ლელით გადახურული გრძელი, ორკედელა ფარდული სტეპში. ფარდულის ახლო-მახლო მატყლის ზვინები დგას. მანქანებზე იტვირთება მატყლი... მგლისმახრჩობელა ქოფაკები დაბანდალებენ და ერთმანეთს უღრენენ... ფარდულთან მდგარი ოთხთვალა მოტორი განუწყვეტლივ რახრახებს და დენს აწვდის ფარდულში მომუშავეთ...

ფარდულის მთელ სიგრძეზე, მარცხნივ და მარჯვნივ, ცხვრები წამოუქცევიათ მწყემსებს და პარსავენ. ხრიალებენ და თახთახობენ ელექტროსაპარსები მწყემსების გაპობილ ხელებში. ტყავგამძვრალებივითა წვანან ფერდამობურთული ცხვრები საკუთარ მატყლში...

დაჩოქილი და თავდახრილი მწყემსები საქმეში არიან გართული. მარცხნივ ბალთა მუშაობს, მარჯვნივ — ვაჟია. მარცხნივ და მარჯვნივ ცხვრის პარსვაა გახურებული.

ბალთამ თავი აიღო და ფარდულის შემოსაველელისაკენ გაიხედა. ბალთას ცერი თითი ელექტროსაპარსის ღილაკზე აცურდა და საპარსი გამოთიშა. ვაჟია ისევ განაგრძობს პარსვას. მერე, ბალთას გვერდით მომუშავე ფიდომ აიღო თავი და მანაც გამორთო საპარსი.

ბალთამ ვაჟიას გახედა. ვაჟიამაც წამოსწია თავი, ბალთას შეხედა და უცებ მიიხედა შემოსასვლელისაკენ. ფარდულის თავში მარია იდგა. თვალები გაუფართოვდა ვაჟიას, საპარსის გამოთიშვა დააგვიწყდა და გამოურთველმა საპარსმა მკლავი აუცახცახა.

ბალთა წამოდგა, ბოძზე გაკეთებული მთელი ქსელის ჩამრთველი სახელურიც გადმოსწია და პარსვა შეწყდა. მწყემსებმა ჯერ ბალთას გამოხედეს, მერე მარიას მიაჩერდნენ.

— პური ვჭამოთ! — გამოაცხადა ბალთამ და გასასვლელს მიაშურა, მწყე-

მსები უხმოდ აიშალნენ, ნახევრად გაკრეჭილი ცხვრები მაშინათვე ფეხზე წამოხტნენ და თავის კანტური და ფრუტუნი იწყეს.

ფარდულიდან ძიმავალი მწყემსები მარიას ათვალიერებდნენ... მარიას და ვაჟიას გარდა ფარდულში აღარავინ დარჩა.

მარიამ უხერხულად მოისრისა თითები და ნელი ნაბიჯით გაემართა ვაჟიასაკენ...

რამდენიმე ნაბიჯზე მოახლოვებულ მარიას ვაჟიამ ზურგი აქცია.

— უფრო ადრეც უნდა მოვსულიყავი! — ფრთხილად დაიწყო მარიამ. ნაბიჯს მოუნელა, არ შეჩერებულა.

— არაფერიც, არა! — ჯიუტად მოუჭრა ვაჟიამ.

— რამდენი ხანია მინდოდა რო...

— არაფერიც არ გინდოდა!

— არავინ არ იცის, მე თუ აქ წამოვედი!..

— მერე რა?!

— არც გელამ.

— მერე რა?!

— შენი დარდი აქ.

— მერე რა?! მერე რა?! მერე რა?!

წააყარა აკანკალებულმა ვაჟიამ, მეტზე ვეღარ ეყო ნაძალადევი თავშეკავება და აღრიალებული შემობრუნდა მარიასაკენ:

— ყველას გიხარიათ, შენც გიხარია! მარტია აღარ არი! მამაჩემი!.. რო ყოფილიყო, მერე ნახავდით, სუ იმას ამბობდა... მამაჩემი ამბობდა... მაგისთანა ბიჭს ბევრი ვერ გაზრდისო!.. ასეთი რა უთხრა რო... რა უთხრა რო, შუა ზამთარში დაგვყარა და... მარტიამ წერილი დაუწერა, ვეღარ გამოგზავნა.. არც შენ მოგცემ, არც იმას მივცემ! აი წერილი! — უბიდან დააძრო დაჭმუჭნული კონვერტი ვაჟიამ და ისევ უბეში ჩაიტენა. — სუ დარდობდა, ფიქრობდა... მერე... მერე... გადი, ძაღლო! — დაუტია ვაჟიამ ახლოს მოსულ სარმას და ფეხი ამოუქნია. სარმა განზე გახტა, წონასწორობა დაკარგული ვაჟია გვერდშექცევით გაუჩერდა მარიას.

— უნდა მოხვიდე! — თქვა ცრემლმოწოლილმა მარიამ.

— მთელი დღე ფეხზე ვართ, მაინც მოცლა არა გვაქ, ცხვარი გასაპარსი გვყავს, მერე კრეოლინში უნდა ვაბანაოთ, ხვალ კიდეც უნდა დავძრათ ფარები, საზიდარიც გასამართი გვაქ!

ვაჟიამ თავი გააქნია... ერთხანს იდგა მარია, მერე მობრუნდა და გასაჭელელისაკენ წამოვიდა. ვაჟია ფარდულის მეორე მხარეს გაემართა. ფარდულის ბოლოს შედგა ვაჟია და უკვე კარგა შორს წასულ მარიას გამოხედა.

* * *

— გამეცალე ძმაო, ცოდვაში არ ჩამაგდო! — უყვირის გახვითქული ტრაქტორისტი გელას და ხელს უქნევს. გელა უკან იხევს. ცხვირწინ ჩაუარა უშველებელმა ტრაქტორმა, რომელსაც რამდენიმე კატერი ჰქონდა გამობმული...

ნავების სარემონტო ქარხნის ეზოს ბდღვინი ასდის. დიდი ტრაქტორები გარემონტებულ ბარჟებს ყურეში მიათრევენ. ყურედანაც მოაქვთ ტრაქტორებს ნავები, ბარჟები და კატერები. ტრაქტორების მუხლუხებისაგან გადაფქვილი მიწა მტვრად ადის ჰაერში.

წელზემოთ გაშიშვლებული, გაოფლილი და გამტვერილი მუშები გარბა-გამორბიან, საგორავებს უდებენ ბარჟებსა და კატერებს. დიდ ბარჟებზე მიდგმულ კიბეებზე არბი-ჩამორბიან ხელოსნები... დურგლები თლიან, რანდავენ, ხერხავენ, აჭედებენ. თუხთუხებს კუპრის ქვაბები, გამოცვლილ ძირებსა და ფერდებს უგლეთავენ კუპრით მუშები დიდ ბარჟებსა და პატარა ნავებს. შრომით, სიცხითა და მტვრით შედედებულ ჰაერს მექანიკური ხერხის წივილი ჰკვეთავს დროგამოშვებით...

ერთ ადგილას მტვერი გაიყარა. ვხედავთ სარემონტო უფროსსა და გელას. უფროსს ფეხი დამხობილ ნავზე შეუდგამს, მუხლზე ანკეტების დასტა დაუდვია და კალმისტარმომარჯვებული ქაღალდს ავსებს.

— გვარი, სახელი, მამის სახელი?

— ახლოური გელა, მარტიას ძე, — გელამ ანკეტას ჩახედა და ეზოს მოავლო თვალი.

— ახლოური, როგორ? — განმეორებით ეკითხება უფროსი.

— გელა მარტიას ძე, — გარკვევით იმეორებს გელა სახელსა და მამის სახელს.

— დაბადების წელი?

— ოცდაცამეტი.

— ათას ცხრაას ოცდაცამეტი. — მარცვლავს უფროსი და იწერს.

— თვე?

— ივნისი.

— ადგილი?

უცებ სარემონტოს ჭიშკართან გაჩერებულ ვაჟიას მოჰკრა გელამ თვალი. ვაჟია მისკენ იხედებოდა, თან მათრახის ენას ცლაწუნებდა ხელის ზურგზე.

— დაბადების ადგილი, ამხანაგო?! — ხმას აუწია უფროსმა.

— ყველდაბა! — უფროსმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ მაინც ჩაწერა ქაღალდზე დაბადების ადგილი.

— ხელობა?!

ვაჟია გაუბედავი ნაბიჯით დაიძრა გელასაკენ. გელას არ გაუგონია შეკითხვა.

— თქვენი პროფესია?! — ეკითხება უფროსი განმეორებით.

— არაფერი, — პასუხობს გელა და ნაბიჯს ადგამს.

— დამ-ხმა-რე მუ-შა, — მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამს უფროსი, თან იწერს.

გელა ვაჟიასაკენ გაემართა.

— აქ მომიწერე ხელი! — თითს ადებს ქაღალდს უფროსი, თავს მაღლა იღებს და გაკვირვებული გასცქერის გელას.

— ხელი მოაწერე და კანტორაში მომიტანე, — უყვირის უფროსი გელას, შევსებულ ანკეტას ნავზე დებს და ჟანგიან ჭანჭიკს ადებს ზემოდან, ნიავმა რომ არ გადმოაგდოს ქაღალდი. გელას არც კი მოუხედია უკან, ძმები ერთმანეთს მიუახლოვდებიან და შედგნენ. თავდახრილი ვაჟია ისევ იწკაპუნებს მათრახის ენას ხელის ზურგზე.

გელამ ვაჟია შეათვალიერა, ძმის ფეხსაცმელზე შეაჩერა თვალი, წინდას გამოეყო ცხვირი.

— ჩუსტები გაგცვეთია! — ფრთხილად თქვა გელამ.

— ჩვენ'ში უფრო ცვდება ხოლმე!

წამით ახედა ვაჟიამ ძმას და ისევ ააწკაპუნა მათრახი.

— ჩვენ'ში კლდიანია და!..

— მთელებიცა მაქ, ბინაში დაეტოვე! — ცერი თითი ასწი-დასწია ვაჟიამ გახეულ ფეხსაცმელში.

— გზაში მთელები ჩაიცვი, არ გაუფრთხილდე, ფეხს გაიფუჭებ!

— მთელებს ჩავიცვამ... აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ვაჟიამ და სარემონტო ეზოს მოავლო თვალი.

— საქმე მქონდა პატარა.

— მეც საქმეზე ჩამოველ!

— ჰოო?

— დაკეტილი დამხვდა საწყობი...

— შესვენება ექნებოდა! — გელამ საათი ამოიღო.

— საათი გიყიდია! — შენიშნა ვაჟიამ.

— არა, უწინაცა მქონდა. გამომართვი შენი იყოს.

— არ მინდა, ბალთასა აქ.

— გამომართვი შენცა გქონდეს.

ვაჟიამ საათი გამოართვა.

— ბალთაა თავჩობანი! — თქვა ვაჟიამ და საათი ჯიბეში ჩაიდო.

— კარგი ვაჟკაცია ბალთა!

— არა უშავს რა!

ვაჟიამ საათი ამოიღო, დაიხედა.

— გაიღებოდა უკვე! — თქვა ვაჟიამ და ჰიშკარს გახედა. მერე ისევ ძმას ახედა. უცებ უბეში ჩაიყო ხელი, დაჰმუჭნული კონვერტი ამოიღო და გელას გაუწოდა:

— მარტიასია!

გელამ წერილი გამოართვა.

— დამაგვიანდება! — თქვა ვაჟიამ და ძმას ხელი გაუწოდა, — მეც მოგწერ ხოლმე.

ვაჟია შებრუნდა და ეზოდან გავიდა.

გელა ერთხანს იდგა და წერილს დასცქეროდა, მერე წერილი უბეში ჩაიდო, გარეთ გავიდა და ქუჩას გახედა.

ვაჟია და ერთიც სხვა მწყემსი ცხენებს მიაჭენებდნენ. წინა მხედარი ვაჟია იყო...

* * *

მაისის ძთვარიანი ღამეა ბელორიბეცში... საკვამურების ჩრდილი დასცემია სახურავებს.

გელა და მარია გვერდი-გვერდ წვანან, სძინავთ. კარებზე გაშმაგებული ფხაჭუნი ისმის. გელა ბორგავს, ღონივრად ისვამს ტუჩებზე ხელს, თვალებს ახელს, მარიასაც ეღვიძება, ორივენი ლოგინში წამოჯდნენ და მიაყურეს. ფხაჭუნი არ შეწყვეტილა. გელამ მარიას გადახედა, მერე სწრაფად წამოხტა და კარი გააღო. უზარმაზარი თეთრი ქოფაკი შემოვარდა ოთახში. შეშინებულია მარია, კედელს მიეყრდნო.

— სარმა! — ყბებში წაავლო ხელი გელამ და ძაღლი შეაჯანჯღარა. მერე მარიას მოხედა, კარი გაღაკეტა, წამოვიდა, საწოლზე ჩამოჯდა. სარმა მაგიდის გარშემო აძუნძულდა. გელა ბალიშზე გადაწვა. მარიასაც ღია ჰქონდა თვალები. ოთახში ჩამოწოლილ სიჩუმეს მხოლოდ მაგიდის გარშემო მორბენალი ძაღლის ფეხის ხმა არღვევდა.

და უცბათ, თითქოს სეტყვა წამოსულიყოს ქვიშიან სტეპში, ისე რბილად და ხშირად ახმაურდა დაძინებული სოფლის მიწა. ათასობით ცხვრის ჩლიქებისაგან ამდგარი მოგუდული და ყრუ ხმა ჩრდილოეთის მხრიდან შემოაწვა სოფელს და მერე, თითქოს დიდი მდინარის ჯებირი გაირღვაო, ისეთი ხმა მოედო ყოველი მხრიდან და ათასობით ცხვრის მდინარეში ატივტივებულმა სოფელმა სუნთქი შეიკრა.

ძაღლი კარებს ეცა და ფხაჭანი აუყენა.

სწრაფად ჩაიცვა გელამ, ფანჯარას ხელი ჰკრა, გააღო და ცხვრის სუნით გაჟღენთილი ჰაერის სუნთქვა იწყო.

გელას თვალწინ მიდიოდა ცხვარი, ჰყიოდნენ მწყემსები, ჰრიალებდა საზიდრები, ხვიხვინებდნენ ცხენები, ჰქუხდნენ ქოფაკები! სოფლის ყოველი შესახვევ-გასახვევი, რასაც კი გელას თვალი მისწვდებოდა, მთლიანად ფარებით იყო გაჭედილი...

და უცბად ამ ჩვეულ ხმებთან ერთად, ლომისაზე დარხეული ზარების ხმაც გაისმა!.. გელა ხედავს ზოზირას ხელებში ათამაშებულ ლომისას ზარებს, ხედავს კოშკზე დანთებული ცეცხლებით განათებულ ხეობებს, მოედანს, რომელზედაც თავს იყრიან მეცხვარეები. კრება ღელავს, ტორტმანებს. გამოდის ხერგო და მარტიას სახელს ახსენებს, ვაჟიას სახელს ახსენებს... გელას სახელის ხსენებაზე საკრებულო აზრიალდა, აჰმაურდა... თავჩაქინდრული დგას გელა შუა მოედანზე და თანახეობელთა განაჩენს ისმენს...

მოჩვენებები უქრება გელას და ისევ ფარებსა ხედავს. ოფლი წურწურით მოსდის სახეზე.

— უკანა მხარე! მარტიაანი, მარტიაანო! ბაგინი და კორა!.. ჩიტიაანი!.. ჰორჰოხი, ჰორჰოხი!.. დადიანეთი ჩაივლიან და პორჩა, ციკანიც აღარ დაიკიკინებს ამ ადგილებში!.. პავლიანი! მიდელაანი! შველიანეთი!.. ყველდაბა, ყველდაბა! — გელამ ფანჯარა მოკეტა, ზურგით შებრუნდა ყველდაბელთა ფარებისაკენ.

— სანდრია, შაქრია, დათა — ათასი ჭედილა — და რვაასი დედა ცხვარი!.. გიორგი, შაქრო, ნანო — ათასორასი დედაცხვარი და ხუთასი ჭედილა! დაიძრა, ჰოი რა დაიძრა!.. დაიძრა და დაიძრეს... იარონ და იყვნენ! — გელა ფანჯარას მოშორდა. უკანასკნელი ფარა ჩიჩლიქინებდა სოფელში... ყველაზე კარგად ამ ფარასა სცნობდა გელა...

კარებთან დაყუნტული სარმა თითქოს ამას ელოდებოდაო, გამოექანა შუშიანჩარჩოიანად გაიტანა ჯარა და ეზოში გადახტა...

მარია წამოხტა საწოლიდან, პეტროც გამოჩნდა, გზადაგზა იცვამდა ტანისამოსს პეტრო...

ჩავლილი ფარების შორეული ხმები მოისმოდა ფანჯარაში. ეზოდან ძაღლების ყეფა და ბურგნაობის ხმები შემოესმა...

ქანდაკებასავით გაქვავებული გელა კარებს ეცა:

— სარმა!

ეზოში გავარდა გელა.

— სარმა!

სარმას აღარ მოუხედავს, ეზოს კარში დასხლტა და ჩავლილი ფარების მიმართულებით გაეკრა მიწას.

— სარმაა! სარმაა! — გარედ გამოვარდა გელა.

ჩქარი ნაბიჯით მიჰყვება მთავარ ქუჩას. მერე ჩერდება.

— სარმაა, ჰოი სარმაა!

თენდებოდა...

სოფლიდან გასული გელა იდგა და მტვერმოკიდებულ ჰორიზონტს გასცქეროდა...

მერე სოფლისაკენ შემობრუნდა...

ჯერ ისევ სიწყნარეა, მხოლოდ გელას ნაბიჯების ხმა ისმის თიხის ორღობეში...

მამლებმა იყივლეს, მაინც სიწყნარეა, ვიღაცამ წყალი გადმოღვარა და ამან უფრო გააძლიერა ძილ-ღვიძლში მყოფი სოფლის სიჩუმე...

მთავარ ქუჩაზე გამოვიდა გელა...

პალმამ დაიყეფა, მაგრამ უმალ იცნო და კუდის ქიცინით მიეგება კარებში...

კიბეები აათავა გელამ, დერეფანი განვლო.

ოთახის კარი ღია იყო, მარია და პეტრო ცარიელ მაგიდას უსხდნენ. გელას მოხედეს ორივემ...

ზღურბლს გადააბიჯა და იქვე კართან დადგმულ სკამის ქიმზე ჩამოჯდა. ერთხანს იჯდა, მერე თავი აიღო, ჯერ მარიას შეხედა, მერე პეტროს...

პეტრომ მარიას გადახედა... მარიას თავი დაეხარა და სუფრის ფოჩს აწვალებდა. პეტრომ ფრთხილად მოჰკიდა მარიას ხელში ხელი და სუფრას მოაშორა... მარიამ თავი აიღო, გელას გაუღიმა და წამოდგა...

დაიღრჭიალა სახარეო ნანქანის მუხრუჭებმა ქვიან ხეობაში. ვეება ბორბალი რიგიანად არც იყო დამდგარი: ჯერ უნაგირი დაეშვა რიყეზე, მერე მარიას თეთრი ფუთა, მერე მარია ჩამოსვა გელამ და თითონაც გადმოხტა...

და როდესაც მანქანა ჩამოეცალა მგზავრებს, მთაზე შეტყორცნილი სოფელი გამოჩნდა... პატარა ბილიკი მიჰყვებოდა მთას სოფლამდე...

ქართველი ერის ისტორია

დაუმთავრებელ რკინიგზაზე გამორბიან ზურა და თენგო. ლიანდაგი ქრება. მხოლოდ მიწაყრილიაა. მერე მიწაყრილიც დაბლდება და მინდორზე მორბიან ბიჭები. ყანაში ჩერდებიან მწყრის ბუდესთან. დატყვევებულ ბარტყებს ათვალიერებენ. მერე კვლავ გამორბიან პატარა ქალაქისაკენ. რუზე გადადებულ ბოგირზე გარბიან. მდინარეს ბოთლი მოაქვს. ბოთლს იჭერს ზურა, ჯიბიდან ლურსმანს ამოიღებს, ბოთლს გახვრეტენ, წყლით ავსებენ. გაწუწვენ ერთმანეთს, ღობეებს, ძაღლებს, კატებს, ყველაფერს.

— ბოთლი სად იშოვეთ? — ეკითხება 2-3 წლით უფროსი ბიჭი, ბოთლს გამოართმევს.

—რუს მოჰქონდა, წყალში დავიჭირეთ

— ვინ დაგიჯერებთ? მომე, ვნახო. — გამოართმევს. ასფალტზე დაწერს: 1944 წელი — წერა იცით?

— ჯერ არა, — ამბობს თენგო.

— ა — ვიცი — თქვა ზურამ.

— მარტო ა-თი ვერაფერს დაწერ.

წერს: ზურა. — შენი სახელია. დიდედაშენს რა ჰქვია?

— დიდედა.

— დედას?

— დიდედა.

— კარგი. დავწერ. დიდედა. წყალი გამოილია.

შენ რა გქვია?

— თენგო.

— წყალი რო გამოილია, გაიქე რუზე!

— არ მინდა. ჩხირით დაწერე.

— ჩხირით არ გამოვა. ბიჭმა მოკლე შარვლის ტოტი გაიწია, ასფალტზე წარწერა გაჩნდა: თენგო.

ქორივით წამოუარა დიდედამ, ბიჭი გაიქცა. ზურა და თენგო დაიჭირა. მოჰყავს. ყველა შესახვევთან დგანან ან სხედან დიდედები. შვილიშვილებიც ახლავთ.

— სად იყვნენ? — ეკითხებიან.

— ჯანდაბაში, — უპასუხებს დიდედა, — დამაცათ, მოგინდება კიდე, ზუ-

რა, გარეთ გამოსვლა. გოდორქვეშ დაგამწყვდევ. დიდედაშენსაც ვეტყვი, რომ ერთი კარგად დაგსაჯოს. — სტუქსავს ზურას დიდედა თენგოსაც.

— სად იყვნენ? — ახლა მეორე შესახვევის თავში მსხდომი დედაბრები ეკითხებიან ზურას დიდედას.

— ჯანდაბაში, გაიგებ? — დიდედა ქალებთან არ ჩერდება, ისე უპასუხებს, დიდედამ ბოთლი ჩამოართვა ზურას. გახვრეტილი ადგილი შენიშნა, თავი გააქნია.

— არა გრცხვენია, განა, ზურა?

— რა, დიდედ? ვიპოვე. რუმ ჩამოატარა, ჩემია.

დიდედამ თავი გადააქნია.

— მართლა, დიდედა, ჰკითხე! — თენგოზე ანიშნა.

— მელამ თავისი კუდი რომ იმოწმა, ხო იცი?

— ჩემია, ჩემია, წყალში ვიპოვე, რუს მოჰქონდა...

თენგომ თავის სახლს მიაშურა.

— მოვიყვანე, მათიკო! — გასძახა ზურას დიდედამ მეზობელს, თენგოს დიდედას.

— ხო არა ჩაუდენიათ რა, დარო?

— ჰკითხე და ჩაგიჩიკჩიკებს, ქვეყანა მოუვლიათ.

დიდედამ ზურა წინ გაატარა, ეზოში შევიდნენ.

— გახვრიტე ბოთლი, განა, ონავარო?!

— რუმ ჩამოატარა, დიდედ, რუზე ვიპოვე, ჩემია და გავხვრიტე, — აბუზღუნდა ზურა.

— მერე რა, რომ იპოვე, შვილო?! ვიცი, მჯერა, მაგრამ ახლა ომია, ისედაც ბევრი რამ იმტვრევა, შვილო, ყველაფერს უნდა გავუფრთხილდეთ, — ჩაილაპარაკა დიდედამ. ჯიბიდან თაფლის სანთელი ამოიღო, დაარბილა, ნახვრეტზე მიაკოპსა და გულმოდგინედ მილეს-მოლესა. ბოთლი გამთელდა. დიდედამ ონკანს შეუშვირა, კარგად გამორეცხა და წყლით გაავსო. ზურას ეგონა, დიდედამ ბოთლს უნდა ჩაუბეროსო, დიდედა კი ყლაპა-ყლუპით სვამდა წყალს.

— მამა როდის ჩამოვა, დიდედ?

— ყველა რომ ჩამოვა... ხელი დაიბანე.

— სულ წყალში მქონდა. ზურამ დიდედას ახედა და უგემურად შეუშვირა ხელები ონკანს.

— იმ ბიჭთან აღარა გნახოთ!.. — დატუქსა დიდედამ.

— ვისთან დიდ? თენგოსთანა?!

— არა, მეორესთან, ქუჩაში რომ იდგა.

დიდედა აივანზე ავიდა, ქვაბ-ქოთნიდან ლობიო ორ თეფშზე გაანაწილა. თვითონ მცირე ნატეხი პური ჩაიფშვნა ლობიოში, ზურას მოზრდილი ნაჭერი დაუდო ხმელი თონის პურისა. კედელზე კიდია იადონების გალია. შიგ ორი მომღერალი ჩიტი ზის. ზურა მაგიდას მიუჯდა.

— შენ უკვე ჩაიფშვენი პური, ხო, დიდედ?

— ჰო, შვილო, ჭამე! — დიდედამ ლობიოს სამი თითი ამოსდო. ზურამაც დაიწყო ჭამა. იადონები გალობენ გალიაში.

— დაროო! — მოისმა ძახილი.

დიდედამ ეზოს გახედა:

— რომელი ხარ? — იკითხა დიდედამ.

— მე ვარ, დარო, სოსანა ვარ. ძროხა თვალნაცემია და, ბოდიშს კი ვიხდი, უდროო დროს გეახელით, მაგრამ მარჩენალია და, მეტი ჯანი არ არი, უნდა შეულოცო, მარჩენალია და... — ეზოში ხანშიშესული ჭაღარა კაცი გამოჩნდა. ქუდმოხდილი მიუახლოვდა აივანს.

— დამაცა, ჩამოვალ! — ცოტა უკმაყოფილოა დიდედა.

— მიირთვით, დაგელოდებით, ძაან კია თვალნაცემი, სულ ღაპაღუპით მოსდის ცრემლი, თანაც მარჩენალია და... — წუწუნებს კაცი.

— გავიგე, ჰო, ნუღარა ბოდიშობ!

— ლუკმა კი დაგიყენეთ ყელზე და, რომ მცოდნოდა, რა ექნათ აბა, მარჩენალია და...

დიდედამ ხელი ჩაიქნია, ჯამი გაწია, წამოდგა: სუფრიდან შავტარიანი დანა აიღო. ბუხრიდან ნახშირი გამოიღო, კედელზე დაკიდებული ჭრელ-ჭრელი ღინჭილები ჩამოხსნა, მკლავი გაჰყო შიგ.

— გჯერავს, დიდედ ეგეთი რამეებისა? — ჩუმად ჰკითხა ზურამ. დიდედამ გაუღიმა და კიბეს მიაშურა.

ბინდია. სოსანას ძროხის წინ პატარა ჯირკზე ჩამომჯდარა დიდედა. ლოცვის აზარტშია შესული. ამთქნარებს, თვალები მილულული აქვს. შავტარიანი დანით თლის ნახშირს ჭიქაში, თან რაღაცას ბუტბუტებს. იქვე სანთელი დევს. ძროხის პატრონი სასოებით შესცქერის დაროს. დიდედამ ლოცვა გაათავა, ღინჭილები რქებზე დაჰკიდა საქონელს. ნახშირჩათლილი ჭიქა-წყალი ძროხას შუბლზე შეასხა, სანთელი აიღო და წამოდგა. სოსანამ მკლავში წაავლო ხელი და ხელზე აკოცა. დიდედამ მეორე ხელი თავში ჩააფარა.

— გადი დაიკარგე. მეორედ სულ რო კვახივით გაგისკდეს საქონელი, ფეხი აღარ მოადგა, თორე მე ვიცი, მე შენა! — სოსანამ თვალი გაადევნა, მერე კი ხელისგული მოისვა თვალზე და შელოცვილი ძროხა დასძრა.

ლოგინში წვანან ზურა და დიდედა:

— მამა როდის ჩამოვა, დიდედ?

— ომი რო გათავდება, დაიძინე, ზურა.

— ომი მალე გათავდება, დიდედ?

— როცა მამა ჩამოვა, დაიძინე ზურურა, ღამეა.

— არ მეძინება, დიდედ.

— თქვი: დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება.

— პირჯვარი რა არი, დიდედ?

— ქრისტიანული ძილისპირულია, შვილო, დაიძინე!

— გჯერავს მერე, დიდედ?

— რა გენაღვლება, ძილს კი მოგგვრის, ძილზეა ლაპარაკი.

— დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, — ბუტბუტებს ზურა. — ცხრა ხატი — ცხრა ანგელოზი სულ თავთით დამესვენება.

— ჟანასა სძინავს, დიდედ?

— გულის ძილშია, შვილო, დაიძინე.

— ჟანას დიდედასა?

— ჰო, ზურა. დაიძინე.

— ხვალ ადრესად წავალ, დიდედ.

— აბა შენ იცი. დაიძინე.

— დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, — ლუღლუღებს ძილმოძალებული ზურა.

დილაა, წუილ-წუილით მიაპობს ჰაერს ზურასა და თენგოს ნასროლი ქვები, შრიალით ეტაკება შეყვითლებულ კაკლის ფოთლებს და ჩხრიალით მოერეკება კაკალს მდინარისაგან დალოკილ სიპ ქვებზე.

— ეს შენა, ეს მე, ეს შენა, ეს მე. — ზურა და თენგო კაკლებს ინაწილებენ, უბეში იყრიან და ისევ უშენენ ფრიალა ქვებს კაკლის ხეს.

კაკლის ხე სხვისია. ზურასა და თენგოს ერთხელ და ორჯერ როდი მოხვედრიათ დიდედებისაგან ამ აკრძალული საქმიანობისათვის, მაგრამ მაინც არ იშლიან, მაინც აყრევინებენ სხვის კაკლებს.

— ეს შენა, ეს მე, ეს შენა, ეს მე, — ითვლიან და იყოფენ. თან ღობის იქით იხედებიან, ხომ არავინ გვითვალთვალებსო. ეზოს დარაჯი ჭოფაკი თავს იკლავს ჯაჭვზე, მაგრამ, ჩანს, შინ არავინ არის, რომ გამოიხედოს და ბიჭები დატუქსოს.

— გვეყო, წავიდეთ, — თქვა ზურამ.

— შენ რო ერთით მეტი გაქ?! — უარობს თენგო.

— კარგი, აი, ახლა კიდევ ვესვრი, ორი ცალი ჩამოვარდება, ერთი შენა, ერთი მე, და გავიქცეთ, კარგი?

— კარგი.

ზურამ კვლავ სტყორცნა ქვა. მიცვივდნენ. კვლავ კენტია, სამი კაკალი გდია ძირს:

— ერთი მე, ერთი შენა, ერთი მე... — ზურა დაიბნა.

— კიდევ ერთი კაკლით მეტი მოგდის, — შენიშნა თენგომ.

— ორი კიდევ ჩამოვაგდოთ.

— ორი რათა? ერთი, ან სამი.

— კარგი, — ზურამ ერთხელ კიდევ ამოირჩია ყველაზე ბრტყელი და სრიალა ქვა, თვალთან მიიტანა, კაკალს დაუმიზნა და სტყორცნა.

ლამაზმა ქვამ წუილით გააპო ჰაერი და შიგ თავში მოხვდა ყეფისაგან ხმაჩახლეჩილ ჭოფაკს. ჭოფაკმა ჯაჭვი გაწყვიტა, ღობეს გადმოევლო, კაკლებით უბეგატენილ თენგოს დაეტაკა და ეკლიან ჩირგვებში შეაბურთავა კბენა-კბენით.

იმის ნაცვლად, რომ გაქცეულიყო, ან ეკლებში აბურგნაებულ ამხანაგი-

სათვის ეშველა, ზურამ თენგოს დაბნეული კაკლების აკრეფა დაიწყო, სასწრაფოდ იყრიდა თენგოს კაკლებს ზურა უბეში. ეგონა, გავასწრებ ძაღლსო, მაგრამ თენგოს შარვლის გლეჯა მოსწყინდა გააევებულ ქოფაკს და უკანასკნელი კაკლის ასაღებად დაკუზულ ზურას ეცა. ეცა და ყეფა-ღრენით შეაბურთავა ეკლიან ჩირგვებში. კიდევ კარგი, ზურას საძებნელად გამოსულ დიდედას ჯოხიც თან წამოეღო!

დიდედამ ძაღლის პატრონის დახმარებით, როგორც იქნა, მოიგერია ქოფაკი.

— ეგრე უნდა აშიმშილო ძაღლი, არშაკ, რომ ბავშვებზე გაიწიოს? არ გეშავოს მაინცა?! — ერთი ჯოხი ძაღლის პატრონსაც მიაყოლა გაფიცხებულმა დიდედამ და შარვალგამოგლეჯილ ბავშვებს გაედევნა.

— შენ შენს ონავრებს მოუარე!.. მაშავია თუ მათეთრია — ჩემი ოფლით ნაშოვნია, — ჩაიბუზღუნა ძაღლის პატრონმა, მენავთე არშაკამ და ძაღლი შინ შეიყვანა. „ნავთი" — აწერია არშაკას კარებს. კასრებს, ყველაფერს.

— ხართ თუ არა ონავარი ბიჭები?! — მოერეკებოდა და მოსძახოდა დიდედა დარო აღრიალებულ ზურასა და თენგოს. პასუხის ნაცვლად მხოლოდ თავს აქნევდნენ ორივენი და შარვლის გამოგლეჯილ ადგილებს ხელით იფარავდნენ.

— სად იყვნენ, ქა? — ეკითხებიან უბან-უბან გამოფენილი ქალები.

— ჯანდაბაში, გაიგებ, რო? — გაურკვეველ პასუხს აძლევდა დიდედა მეზობლებს.

— ე, შარვლები სადღა გამოუგლეჯიათ, ქა?

— სამკერვალოში, ქა? — მწყრალად პასუხობდა დიდედა...

— მათიკოო! — შორიდანვე შეეხმიანა დიდედა დარო თენგოს დიდედას.

— უი, უი, უი, დამიდგეს დარებიი! — გამოქოთქოთდა თენგოს დიდედა, — როგორ შემოუფლეთია, უი, უი!.. მეტი არცა აქ, ამ უბედურიშვილსა, დამაცა, ჩამოვიდეს ჯერა მამაშენი!..

— „ჩამოვიდესო", ისე ამბობს, თითქო ახარაკიდან მოელის, — თავის ქნევით, გულდამწვრად ჩაილაპარაკა დიდედა დარომ და ზურას ეზოში შეუძღვა. მაშინათვე ჩახადა შემოფლეთილი შარვალი დიდედამ ზურას და ზურა შიშველაზე დიდედის სილაქების მოლოდინში, აბუზული გაჩერდა. დიდედამ ჯერ კარგად შეუთვალიერა სხეული, შეუმოწმა და მერე მუხლებზე დამხობილმა მთელი ტანი დაუკოცნა ზურას. ზურამ ახლა უკვე ნამდვილი ღრიალი მორთო.

— შენ რომ რამე მოგვიდეს, ი ბიჭს რა პასუხი შეუთვალო?! ღმერთოგამჩენო, შეიდობით ჩამოიყვანე! რა პასუხი უნდა გავცე, მითხარი ერთი, მითხარი?! — თვალცრემლიანი უკოცნიდა დიდედა აქვითინებულ ზურას სხეულის ყოველ ნაწილს, მერე უცებ გადასხვაფერდა დიდედა, წამოხტა, ორკაპა სარზე გაჰკიდა ზურას დაგლეჯილი შარვალი, სარი ღობეში ჩაარჭო და საფრთხობელასავით აფრიალებული შარვლისაკენ გაიშვირა თითი:

— თუ ზურიამ რა ნახოს — ქვეყანამ დაინახოს.

— ჩამოხსენი რა, დიდედ! — შეევედრა თვალცრემლიანი ზურა.

— ყველამ გაიგოს, რა ონავარიცა ბრძანდები, — თავი გააქნია დიდედამ და სახლისაკენ წავიდა.

ზურა იდგა კედელთან ატუზული. შიგადაშიგ კიდევ სლუკუნებდა...

— ტირი-ნანი-ნანინა, ტირი-ნანი-ნანინა. — გაისმა ზურნის მაგივრად აჭყვიტინებული ბიჭების ხმა შორიახლოს და ღობიდან გაიხედა. უბნის წვრილფეხობას საღამოჟამის საჭიდაო გაეხურებინა, მტვრის კორიანტელში გორავდნენ ფალავნებიცა და მაყურებლებიც.

— ზურა! — მოესმა ღობეზე აკრულ ზურას დიდედას ხმა.

— აქა ვარ, დიდედ! — გასძახა ზურამ და კვლავ ღობეს აეკრა.

მეზობელ სახლთან ორთვალა საზიდარი მოგრიალდა. ზურას არც ეს გამოჰპარვია. ჩამოსულები თბილისელები ჩანდნენ. ქალი, მამაკაცი და ორიც კარგა ჩათქვირებული უფროს-უმცროსი ბიჭი გადმოსვა მედროგემ. მერე ბარგის გადმოტვირთვა იწყეს. დამკვრელებიცა და მოჭიდავეებიც უმალ ახალმოსულებს დაედევნენ, პიდაობას თავი ანებეს. ზურა შიშველი იყო და გარეთ გამოსვლისა რცხვენოდა. თავი კი გაჰყო კარში, მაგრამ მეტს ვერ ბედავდა, ბოლოს ცნობისმოყვარეობამ დასძლია, ხალათი გაიძრო, შარვლის მაგიერ ამოიცვა, როგორღაც გაიმაგრა წელზე და გარეთ გაიძურწა.

ახლად ჩამოსულ კბილის ექიმს აბრა უკვე გაეკრა ღობეზე, დაზგაც გაემართა, მუშტარიც ეშოვა და იმისთანას ახრიალებდა ბურღს, რომ ხანშიშესულ მეზობელ გლეხს სოსანას თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა. სოსანას კალთაში ხენდროთი სავსე კალათი ედგა. ბავშვები ხან სოსანას შესცქეროდნენ დაღებულ პირში, ხანაც ნერწყვის ყლაპვით ხენდროთი თავშედგმულ კალათისაკენ აპარებდნენ თვალს. ქვეყნის ხალხი მოდიოდა ამ ეზოსაკენ, უმეტესობა ქალები იყვნენ. მოჰქონდათ კვერცხი, ლობიო, კარაქი, ხილი. კბილის ექიმის ცოლს პროდუქტებზე გადასაცვლელად ჩამოტანილი ტანსაცმელი გადაეფინა თოკებზე და დიდი აღებ-მიცემობაც გაეჩაღებინა: იქვე აზომებდა ქალებსა თუ ბავშვებს ტანსაცმელს; პროდუქტების შეკვრებს, კალათებს, პარკებს და სხვას კბილის ექიმის ბიჭები ეზიდებოდნენ ოთახში.

— აჰა, მზეო, შენი ოქროს კბილი, მომე ჩემი ვერცხლის კბილი, — გაუღიმა ექიმმა სოსანას, ხელში ის-ის არის ამოგლეჯილი ღრჯოლი ჩაუდო და ხენდროთი სავსე კალათიც ჩამოართვა.

— კალათი მჭირდება, ექიმო, — კვნესით შეესიტყვა ყბაზე ხელაკრული სოსანა.

— გეახლებით და მოგართმევთ, გამქცევები ხომ არა ვართ, — შეიჭმუხნა ექიმი, — ხვალაც ხომ უნდა მოხვიდე პროტეზისათვის...

— ხვალე რაღა ეღირება? — შეჰბღავლა სოსონამ,

— მოვრიგდებით, ძვირს არ გამოგართმევ... შემდეგი! — დაიძახა ექიმმა, თან ერთი ბღუჯა ხენდრო გაიქნია პირში. კალათი შვილებმა ჩამოართვეს მამას და იქვე დაიწყეს ხენდროს ჭამა.

— თუ ზურამ რა ნახოს, ქვეყანამ დაინახოს, — ჩაესმა ხენდროზე ნერწყვმოდენილ ზურას დიდედას ხმა ყურში. შეცბა და შეტრიალდა. დიდედას ორი ჰრელი დედალი ამოეჩარა იღლიაში და ოცამდე კვერცხიც დაეწყო ხახალზე.

— კვერცხი აღარ გვინდა, დაგვიძველდება, ქათმებს კი ავიყვანთ, რა გნებავთ სამაგიეროდ? — ჰკითხა კბილის ექიმის ცოლმა დიდედას და დედლები ჩამოართვა.

— ამის სარგო თუ გექნებათ რამე? — ზურას დაადო თავზე ხელი, თან კი თოკზე გაფენილი საქონელი შეათვალიერა დიდედამ.

— ჩემი მარლენის თითქმის უხმარი, შარშანდელი შარვლები კარგად მოუვა, — ექიმის ცოლმა საიდანღაც ჩამოხსნა შარვალი. დიდედამ გამოართვა და ზურას ზერელედ მიაზომა.

— მშვიდობაში, გაზრდა-გახარებაში! — ცას ახედა დიდედამ, მზე ჩადიოდა, მზით გაცვეთაში, მცმის მშვიდობით დაბრუნებაში. გაიქე, ჩაიცვი! — მისცა ხელში შარვალი ზურას დიდედამ. ზურამ მოცუცხა. კბილის ექიმის ცოლმა კვერცხებიც ჩამოართვა დიდედას.

— არა მგონია, რომ დაგიძველდეთ, ახალთ ახალია, — ექიმის ბიჭებმა კვერცხები შეარბენინეს...

ეზოში ბლომად არიან დიდედები.

— გუგასაგან წერილი ხო არა მიგიღია რა, დარო? — ჰკითხა თენგოს დიდედამ ზურას დიდედას.

— მეორე თვეა. — დარომ თავშლის ბოლოთი შეიშრო ცრემლი.

— ჩემიც მეორე დაიწყო.

— თქვენ რა გიშავთ, აგე წელი გადის, ბიჭისაგან არა ისმის რა, — თქვა კბილის ექიმის სახლის პატრონმა ტასიკომ.

— მე რაღა ვთქვა, მე უბედურმა, არსაიდან რომ აღარას მოველი. — ცრემლი წასკდა მეოთხე ქალს, — აღარც ქმარო, აღარც შვილო!

— ამოწყდეს და ამოითაქოს გიტლერი, აჰაანდე! — თქვა ერთმა.

— ეს ომიმც დაიწვება ჩვენის ცოდვითა, ადრე და მალე! — თავი გადააქნია მათიკომ, თენგოს დიდედამ.

— ცეცხლი და გენა, ჩვენზე ცეცხლის მაწვიმებელსა! — თქვა დარომ, ზურას დიდედამ.

მოდის და მოდის კბილის ექიმთან ხალხი — ქალები: საქონელი მოაქვთ, საქონელი მიაქვთ, ბჭობენ, იწყევლებიან. მერე ისევ მიდიან. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ხენდროს მფლობელი სოსანა იყო ერთადერთი მამაკაცი ამ ახლო-მახლოში.

კვლავ გაისმა ყალბი ზურნა-დოლის ხმა. კბილის ექიმის ბიჭები საჭიდაოსაკენ გაიქცნენ. ახალშეძენილ შარვალში გამოწყობილი ზურაც აქვე დგას თენგოს გვერდით. ერთი ფალავანი გაგორდა მტვერში, მეორე, მესამე.

— შენ ხო კარგი სარმა იცი, გადი, — აქეზებს თენგო ზურას.

— არა, დიდედა მიყურებს, — უარობს ზურა.

— ზურურაა! — აფრთხილებს დიდედას ხმა ზურას.

— არა, დიდედ, ისე ვდგევარ! — ამშვიდებს ზურა.

— შარვალს უფრთხილდები, განა?! — თენგოს ისევ ძაღლის დაგლეჯილი შარვალი აცვია. დაუკერებია კი დიდედამისს.

— შარვალი გენანება, განა?! ეგ ხო შენი არ არი, აგერა კბილის ექიმის ბიჭების შარვალია.

— ზურაა! დაბინდდა ზურურაა! — უძახის დიდედა ზურას, თან ჩალა-ბუღასა სწვავს ეზოს წინ. როგორც კი კბილის ექიმის ბიჭები, მამუკა და მარლენი შეუერთდნენ საჰიდაოს, ჰიდაობა შეწყდა. „მეზურნეები“ გაჩუმდნენ. მამუკამ და მარლენმა ბღენძვითა და რიხით ჩამოუარეს საჰიდაოს.

— რატომ აღარ ჰიდაობთ, იჰიდავეთ! — თქვა უფროსმა, მამუკამ.

„მეზურნეებმა“ ერთმანეთს გადახედეს და კვლავ ატეხეს ჰყვიტინი და დაჰეჰყილი ვედროს რახუნი. მაგრამ ჰიდაობას აღარავინ აპირებდა.

— ამას რომელი დაეჰიდებით?! — დაიძახა უფროსმა ძმამ, მამუკამ, ბომბორა მარლენს ხელი ჰკრა და წრეში შეაგდო. მარლენი წრეს უვლიდა ღიმილით.

— ტირი-ნანი-ნანინა, ტირი-ნანი-ნანინა! — ჰყიოდნენ „მეზურნეები“.

— მიდი, ზურა, დაეჰიდე, მიდი! — დაუყვირეს ზურას აქეთ-იქიდან.

— მიდი, მიდი! — აქეზებს თენგოც.

— ჩემზე დიდია, — თქვა ზურამ.

— თუ მაგისი შარვალი გაცვია, შენზე დიდი როგორღაა? — არ ეშვება თენგო ზურას ახალ შარვალს.

— შარვალი უფრო უწინდელია. ეხლა ეგ გაიზარდა, ნახე, ორი ჩემხელაა, — უკან-უკან დაიხია ზურამ, მისკენ წამოსულ მარლენს გაერიდა.

— მაშ, ძველი შარვალი მოუციათ, ვიჰ, — დაიჯღანა თენგო.

ზურა გაბრაზდა, ხელი ჰკრა თენგოს და შინ გაიქცა. წრეში ამაყად დაბორიალობდა ბომბორა მარლენი, რომელთანაც ჰიდაობას რატომღაც ვერავინ ბედავდა. ზოგს ალბათ მისი ქათქათა ტანისამოსის მოსვრისა ეშინოდა, ზოგსაც მისი ჰიდაობისა თუ ღონისა...

— არ ვიჰიდავე დიდედ, — ცრემლი ყელში ებჯინება ზურას, ისე იხდის ტანზე.

— კარგი გიქნია, გენაცვალოს დიდედა, შენა!

დიდედამ ჩაკოცნა შვილიშვილი.

— ძველი როა შარვალი, იმიტომ არ ვიჰიდავე! — ატირდა ზურა, ბალიშებში ჩაემხო.

— ძველი რათ არი, შვილო, ახალთახალივით არი. — დიდედამ ლამპის სინათლეზე შეატრ-შემოატრიალა მარლენისეული ზურას შარვალი.

— არ ჩავიცვამ, არა, ისევ იმისი იყოს, ვისიც იყოო! — მოსთქვამდა ზურა.

დიდედა ჩაფიქრდა, შარვალი მუხლზე დაუშვა. ერთხანს ეჭირა კალთაში

ორ ქათმად ნაყიდი შარვალი, მერე უცბად წამოხტა, შარვალი კუთხეში მიაგდო, კედლიდან ჭრელი ფარდაგი ჩამოგლიჯა, კისერზე გადაკიდებული სანტიმეტრით ზურას ლოგინშივე აუღო ზომები:

— სამოცდაათი, ოცდათხუთმეტი, ორმოცდაოთხი, გაზრდილხარ ზურურა, სიგრძეშიაც მეტი გინდა, სიგანეშიაც, ისე კი თითქოს არ გეტყობა, გენაცვალოს დიდედა, ორმოცდაოთხი გაქვს წელი, მერმის ორმოცდახუთი და იქნებ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდეს. ი ბიჭი შვიდობით დაგვიბრუნდეს და სულ ახალთახლებს ჩაგაცმევს. იმას ენაცვლება დედაი, შენ გენაცვლება დიდედა, — ჩაკოცნა დიდედამ ზურა, მაკრატელს დააველო ხელი, ფარდაგი ზომების მიხედვით დაჭრა და საკერავს მიუჯდა.

— დავწვები, დამეძინება... დავწვები, დამეძინება.

— პირჯვარი დამეწერება, ჯვარი მწყალობს — ჯვარცმული! — კარნახობს დიდედა, თან საკერავს აგრიალებს.

— გჯერა, დიდედ? — ლუღლუღებს ზურა.

— ძილზეა ლაპარაკი და ძილს მოგგვრის, — აგრიალებს საკერავს დიდედა. ზურა იძინებს. დიდედამ შარვლის შეკერვა დაამთავრა, ჭრელი ფარდაგის შარვალი ხელში შეატრ-შემოატრიალა და თავთით დაუდო ძილში წასულ შვილიშვილს.

დილა-ალიონია. დიდედას შეკერილ ჭრელშარვალში ჩამჯდარი ზურა კბილების ექიმის შვილების გამოჩენას ელოდება თენგოსთან ერთად, ზედ მეზობლის ჭიშკართან დარაჯობენ.

— მოდის, მოდის! — ჩურჩულებს თენგო. და მართლაც გამოდის უფროსი ბიჭი კბილის ექიმისა.

ნამძინარევია. ოთახის წინ თვალდახუჭულმა გადააფსა და ისევ შებრუნდა დასაძინებლად.

— ფუ! — იძახის ზურა.

— ფუ! — იძახის თენგო.

და კვლავ ელოდებიან.

— ამ დილაუთენია რა ეშმაკმა წამოგყარათ, ერთი მითხარით? — გამოიხედა სახლის პატრონმა ცოცხმომარჯვებულმა ტასიკომ ოდნავ გამოღებულ კარში.

— კბილი სტკივა, დიდედა ტასიკო, ზურას! — იცრუა თენგომ.

— შენც ხო არ გადაგედო მაგისი ტკივილი? ჯერ ადრეა, ესენი გვიან დგებიან, მზე რო კარგა ამოიწვერება. — ტასიკო შებრუნდა ეზოში და ცოცხი ააფხაკუნა. ზურა და თენგო ღობის გასწვრივ მიდი-მოდიან, თან პურს ღრღნიან.

მამლის ყივილსა და დიდედა ტასიკოს ცოცხის ფხაკუნში დგება დილა. მზე კარგად ამოდის. ცოტაც და მამუკამ და მარლენმა გამოყვეს კარში ზედმეტი ძილისაგან დამრგვალებულ-დაბრაწული თავ-პირი. ზურამ და თენგომ ერთმანეთს გადახედეს და გაეცინათ.

— რა გაცინებთ? — ჰკითხა მამუკამ.

— არაფერი, — თითქმის ერთდროულად მიუგეს ზურამ და თენგომ და კვლავ გაიცინეს.

— მოდი, ვიჭიდაოთ, — თქვა ზურამ და ქვას ფეხი გაჰკრა.

მარლენმა მამუკას გადახედა, მერე ზურა და თენგო შეათვალიერა.

— ჯერ არ გვისაუზმია, — თქვა მარლენმა.

ამის გაგონებაზე ზურასა და თენგოს ფხუკუნი აუტყდათ და კარგა ხანს იფხრიწებოდნენ სიცილით.

— რა გაცინებთ, ხომ არ გინდათ, რომ... — ჩაიბურტყუნა მამუკამ.

— ჭიდაობას რა საუზმე უნდა? ვიჭიდაოთ! — ზურამ მარლენს წააცლო ხელი მკლავში და კარგად შეაჯანჯღარა.

— ორივესთან? — იკითხა შემკრთალმა მარლენმა და ძლივს გაითავისუფლა ხელი.

— არა, მარტო ჩემთან, ან მარტო თენგოსთან, — უთხრა ზურამ და კვლავ წააცლო თონთლო მარლენს ხელი.

— მიდი, ნუ გეშინია!... — წააქეზა მამუკამ დამფრთხალი ფალავანი.

ძმის შეძახილით გამხნევებულმა მარლენმა ზურასაკენ გაიწია და მკლავები გაშალა. ზურა ამას ელოდა. გაშალა თუ არა მოწინააღმდეგემ მკლავები, მაშინვე ღოჯურში შეუძვრა, ერთი უბრალო გარე სარმა გამოჰკრა, მიწაზე გააგორა მარლენი, თვითონაც თავი ვეღარ შეიკავა და ზედ დაეცა. მამუკამ ძმის საშველად გაიწია, მაგრამ თენგომ ფეხი დაუდო, მამუკაც წაბარბაცდა და ისიც ძმის გვერდით გაგორდა.

— ახლავე კბილებს დაგაძრობთ! ახლავე კბილებს დაგაძრობთ! — ყვირილით გამოვარდა კბილის ექიმი, ხელში საექიმო გაზი ეჭირა. ზურამ და თენგომ ფხაჭა-ფხუჭით მოცოცხეს.

— გაჩერდით. კბილები უნდა დაგაძროთ, გაჩერდით! თქვე არამზადებო, თქვენა! — მისდევდა კბილის ექიმი ზურასა და თენგოს, მაგრამ ვერ დაეწია. გაჩერდა და ადგილზე ააბაკუნა ფეხები. თან გაზს უქნევდა და უყვიროდა.

კბილის ექიმის მუქარით გულგახეთქილი ზურა და თენგო თავთავიანთ ეზოებში შეცვივდნენ და დაიმალნენ.

კბილის ექიმი მობრუნდა.

— დაუკითხავად აღარ დაგინახოთ გარეთ! — დატუქსა შვილები, მტვერი ჩამოაბერტყა და შინ შერეკა.

მერე კლიენტს მიუბრუნდა აქოშინებული, გაზი მოიმარჯვა და მენავთე არშაკას ჩააფრინდა. იცოცხლეთ, არშაკამ სიმწრის ბღავილი მორთო. წამოუხტა კიდეც მენავთე სავარძლიდან. დარბის მენავთე ეზოში და გაზჩაფრენილი კბილის ექიმიც დასდევს, კბილს არ უშვებს გაზს. როგორც ძაღლს ისე დაარბენინებს. ბოლოს კბილი ხელთ უპყრია ექიმს.

— აჰა, შენი ოქროს კბილი, მომე ჩემი ვერცხლის კბილი, — უღიმის ექიმი.

— რა ხელობა გაქვთ, შენი გულისა! სული და ფული ერთად მიგაქვთ, — ამოიკვნესა მენავთემ და ფული ჩაუკაკლა ექიმს.

კბილის ექიმის ცოლი უკვე თოკებზე ჰფენს საქონელს: შარვლებს, ხალათებს, ფეხსაცმელებს, ხალხი მოდის...

ღამეა. ლოგინში წვანან ზურა და დიდედამისი.

— ზღაპარი მიამბე რა, დიდედ! — ეხვეწება ზურა.

— რად წააქციე კბილის ექიმის შვილები?! — გამწყრალია დიდედა დარო, თუმცა სახის რომელიღაცა კუნჭულში მაინც სიამაყის სხივი უდგას.

— მაშ რა უნდა მექნა, დიდედ, მარტო მე ხომ არ წავაქციე, თენგო?!

— სტუმრად ჩამოვიდნენ ჩვენს ქალაქში, შენ კი...

— ჩვენ რომ არ წაგვექცია, ისინი წაგვაქცევდნენ, დიდედ!..

— კიდევ იჭიდავებ?

— თუკი დამეჭიდა ვინმე?

— შენ არ უნდა დაეჭიდო, — ცალყბად არიგებს დიდედა.

— უფრო წამაქცევს, დიდედ, მიამბე რა, მიამბე რა!.. — ზურამ კედლის საათს შეხედა და თავის ქნევა დაიწყო.

— გააჩერე თავი!.. გვყავდა ერთი ჭრელი ხატაურა — ვეფხვა, — დაიწყო დიდედამ თხრობა და ზურამაც შეწყვიტა თავის ქნევა.

— თაგვის სინსილა გააწყო. — განაგრძობს თხრობას დიდედა. — ოთახის ერთი კუნჭულიდან მეორეში ისკუპებდა და სოროში თავწაყოფილ თაგვს თათის ერთი მორტყმით ამოისროდა. მეზობლის კატები ჩვენს ვეფხვია-კატასთან დადიოდნენ თაგვისა და ბეღურას ჭერის ოსტატობის შესასწავლად. ახლომახლო მეზობლობაში სულ ვეფხვა-კატისნაირი ჭრელი კატუნები გამრავლდა. ყველანი ვემადლიერებოდით, მაგრამ ერთმა შეცდომამ დაღუპა ვეფხვა. ერთი შემთხვევა ნამდვილ ვეფხვსაც მოსვლია ალბათ, თორემ ზოოპარკის გალიაში არ აღმოჩნდებოდა.

— ჩვენი ბაღის ბოლოზე სასადილო ააშენეს და ამის შემდეგ ხშირად ეყარა ბაღში სხვადასხვა ზომის კონსერვის ქილები. ვეფხვა-კატამ უღალატა თავის კატურ ხელობას, თაგვის ჭერაზე ხელი აიღო და კონსერვის ქილებში ჩარჩენილი გემრიელი წვენის ტლეკვას შეეჩვია. ერთხელ მოლოკა ქილა ვეფხვამ, მეორედ, მესამედ, ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ თაგვი დასანახავად შესჯავრდა. გასუქდა, გასისინდა. შინ აღარ უდგებოდა ვეფხვა-კატას გული. ბევრი ვტუქსეთ, ბევრიც ვარიგეთ, მაგრამ ყური არ შეიბერტყა და ჩვენც ხელი ჩავიქნიეთ. ერთ მშვენიერ დღეს კონსერვის ქილაში ვნახეთ ჩამხრჩვალი; პატარა ქილაში ჩაეყო თავი და უკან ვეღარ ამოეღო. ბევრი ერბინა ბაღში, მაგრამ ჩვენი სახლისათვის ვეღარ მოეგნო. აბა რაღას მოაგნებდა?! თვალებზე კოლოფი ჰქონდა აფარებული, ყნოსვაც დაჰკარგოდა გემრიელი წვენისაგან.

იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე დიდედა ვეფხვას ამბავს უყვება, ჩაძინებული პატარა ქალაქის ქუჩები ცხვრის ფარებით ივსება, ზაფხულის საძოვრებიდან გასაპარსად მოუდით ცხვარი ბებერ მეცხვარეებს. უხმოდ მიძუნძულებენ ქოფაკები. ერთი რომელიღაცა გოლიათი მწყემსი ბატკანს დასწვდა, იღლიაში ამოიჩარა და შეისახვევში გადაუხვია.

— საით შენი მგზავრობა, თიბო! — შეეხმაურა ტანმორჩილი, ბნელში გაურკვეველი სახის მწყემსი;

— გუგაანთა, ვინ იცის, როგორ უჰირთ. — მიუგო ორმეტრიანმა გოლიათმა და ბნელში გაუჩინარდა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა ათი თუმანი! — აცხადებს თიბო და ათთუმნიან ფულის შეკვრას გვერდზე სდებს... მოდი დარო, შენც მოგვეშველე დათვლაში, თორე მარტო მე ყიზლარში გასატარებელ დროს ამ ფულისთვლას გადავაყოლებ! — უძახის აივანზე მჯდომი თიბო დაროს, რომელიც დედალს დასდევს დასაჭერად. დაიჭირა დედალი. ზურას ხელს უქნევს.

— მე ვერა რა, დიდედ, მე ვერ დავკლავ, — უარობს ზურა ქათმის დაკვლას და თიბოს გადათვლილ ფულს ქვებს აწყობს, რათა ნიავმა არ გადაყაროს. დიდედამ ხელი ჩაიქნია, კაბა მუხლებშუა შეიკეცა, ხის ნატეხი მარგილი ფეხებშუა ჩაიდო მამაკაცობის ნიშნად და პრიალა ნაჯახი მოუქნია დედალს.

— ათი თუმანი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი, სამოცი, სამოცდაათი, ოთხმოცი, ოთხმოცდაათი. ასი თუმანი. — თიბომ ათი ათთუმნიანი შეკვრა გვერდზე გადასდო, ზურამ მოზრდილი ქვა დაადო ზედ.

— ამდენი ფული რომ გვქონდეს, რკინის გზას დავამთავრებდი. მატარებელი ჩამოვიდოდა ჩვენს ქალაქში. ჯარის ხალხს ჩამოიყვანდა და ომიც გათავდებოდა, — ამბობს ზურა.

— ომი რკინიგზის დამთავრებით რომ მორჩებოდეს, კარგია, მაგრამ აგრე არ არი, ზურია ჩემო. ეს ფულები მთავრობას უნდა შევწირო, სახელმწიფოსა, სახენწიფო ტანკებს დაამზადებს, ტანკში მამაშენი გუგა ჩაჯდება და გიტლერს დასცხებს, ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი, — განაგრძობს დათვლას.

— შენ რატომ არა ომობ, ძია თიბო? — ეკითხება ზურია.

— ბარემ გავიწიე, მაგრამ ვინ გამიშვა, ბებერი ხარ, დარჩი, ცხვარს მოუარეო. მე და ბებერი?!

დიდედა დაროც შემოუერთდა.

— ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი... ასი, — ითვლის დიდედა, თან ვიშვიშებს, — ეს ამოდონა ფული ცეცხლში როგორ უნდა დაიწვას! — თავს აქნევს დიდედა დარო.

— ამ ფულს ჩვენ ერთ თვეს ვერ დავთვლით. გაიქე, ზურა, ხალხი მოიყვა! — სთხოვა თიბომ.

ზურამ მოცოცხა. თიბოს მოყვანილ ბატკანს ჩაურბინა და გარეთ გახტა...

უკვე რამდენიმე კაცი ითვლის თიბოს ფულს აივანზე მაგიდის გარშემო. ზოგიც მაყურებლის როლში გამოდის, ყველას როდი ეყო ადგილი თიბოს ფულის დასათვლელად. დიდედა თვლის, თვლის, დროდადრო მცირე ეჭვით მიმოავლებს თვალს ფულის დამთვლელთ. „ოხერი რამაა“, — ფიქრობს დარო ვუნებაში, — კაცმა ეგება არც ინდომოს, მაგრამ ამ გაჭირებაში ფული თავისთავად მიძვრება ჯიბეში. არშაკა მენავთეც რომ მობრძანებულა უნამუსო პირითა, აბა ფული მაგასა აქვს! მაგრამ ასე კი არ დაახვევს ხალხსა“.

— და ეს ამოდონა ამბავი სახენწიფოს უნდა ჩააბაროს კაცო?! — გაკვირვებას ვერ მალავს მენავთე.

— შენ ეგა თქვი და, — თავს აქნევს სოსანა.

თიბო სახეგაბადრული ითვლის ფულს. ზურა და თენგო კენჭებს აწყობენ ფულის შეკვრებზე, რომ ნიავმა არ გაიტაცოს. გარეთ, ქუჩაში, ზურას სახლის მახლობლად ქალები და ბავშვები ირევიან. მეტწილს შავი სამოსი აცვია. შუადღე გადასულია, გამოდის თიბო, დიდი წითელი ჩემოდანი უჭირავს. მძიმედ მოაქვს ფულით გატენილი სკივრი. ჩემოდანს საკეტები აყრილი აქვს და მსხვილი თოკით აქვს შემოხვეული. ფულის შეკვრები მოსჩანს ჩემოდნიდან. ხალხმა გზა მისცა. კართან მდგომმა პატარა ტანის მილიციელმა მხედრული სალამი მისცა.

— სალარომდე ჩაგაცილებთ, — აედევნა მილიციელი.

— გუგას ამბავი მოგვწერე ხოლმე, დარო. მწყემსები გაიხარებენ! — გაუღიმა ძია თიბომ დიდედას და სახლს დაშორდა. მილიციელის ნათქვამი აინუნშიაც არ ჩაუგდია, მიაბიჯებდა გოლიათი.

— არსად წახვიდე, ზურა, ღოლოს შეჭამანდი გვაქ, მალე მზად იქნება.

— კარგი დიდედ, შენ რომ დამიძახებ — ზურა, მე გიპასუხებ — აქა ვარ!

კვლავ ლიანდაგზე გამორბიან ზურა და თენგო.

— სამი მწყერი მე, ორი შენა, თენგო, — ეუბნება ზურა თენგოს, თან შინაკეთ გალიას მოაქნევს.

— ჩემი გალია უფრო დიდია, ზურა, სამი მწყერი მე, ორი შენა, — უარსაა თენგო. ისიც გალიის ქნევით გარბის ლიანდაგზე.

მერე ლიანდაგი თავდება და მხოლოდ მიწაყრილიღა რჩება.

— ძუა ხომ ჩემი იყო, სამი მე და ორი შენა! — დაჟინებით ამბობს ზურა და წამით შეჩერებული კვლავ გარბის. თენგოც მიჰყვება გვერდით.

— ძუა მენავთე არშაკას ცხენისა იყო, შენი კი არა! სამი მწყერი მე, ორი შენა. ისიც გეყოს, კაკალი რო მეტი გერგო...

— მერე რა, რომ ძუა მენავთე არშაკას ცხენისა იყო, რატომ შენ არ მოაგლიჯე, შეგეშინდა, არა?

— არაფერიც, ღობეზეც ბევრი ძუა იყო ჩამოძენძილი, სულაც არ იყო საჭირო კუდიდან გამოგლეჯვა.

— არა და არა! — თქვა ზურამ და კოპებშეკრული გაჩერდა ყანის თავში.

— არა და არა! — უფრო მაგრად შეიკრა კოპები თენგომ.

— არა და არა! — წარბი წარბს მიადო ზურამ.

— არა და არა! — წარბი წარბს მიადო თენგომაც.

წუთის განმავლობაში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, ქსიტინით სუნთქავდნენ და მხრებს მაღლა-მაღლა წევდნენ ყვინჩილებივით.

„ქვით-კირო, ქვით-კირო“ — ისმოდა შორიდან ზურასა და თენგოს დატყვევებული მწყურების ძახილი მთელი ამ ხნის განმავლობაში, მერე რატომღაც მიჩუმდა მწყურების ხმა.

— არა და სულაც ჩემი იქნება, — მიაყვირა ზურამ თენგოს და თავქუდმოგლეჯილი გაქანდა ყანაში. თენგოც დაედევნა.

შრიალით მიაპობდნენ თეთრი გვირილებით მოხატულ ყანას, ხან ზურა გარბოდა წინ, ხან თენგო უსწრებდა ზურას. ორივე ცდილობდა, პირველი მივარდნილიყო ბუდესთან და ტყვექმნილი მწყურის ჩოჩრები მიესაკუთრებინა...

პირველმა მაინც ზურამ მიირბინა ბუდესთან, მაგრამ შემკრთალმა უკან დაიხია კინაღამ სახეში დაეჯახა ბუდიდან ფრთების ტყლაშ-ტყლუშით ავარდნილი მტაცებელი. კლანჭებში ერთი მწყერი ეჭირა, დანარჩენები ბუდეშივე დაებრდღვნა და შეეჭამა.

თეთრ გვირილებში ჩადგმული ბუდე მწყერის ბუმბულით იყო მოფენილი...

თავდახრილები იდგნენ ზურა და თენგო გალიებით ხელში განადგურებულ ბუდესთან, თვალები ცრემლითა ჰქონდათ სავსე, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდნენ. ანკი რა ეთქმოდათ, ორივე დამნაშავე იყო...

სახლის აივანი. მზე ჩასავალზეა. დიდედა და ზურა. კედელზე იადონების გალიებია.

— გავუშვათ რა, დიდედ, იადონები, გავუშვათ რა! — ეხვეწება და გულს უწყალებს ზურა დიდედას.

— რათა, შვილო, რათა, ძირო? რად უნდა გავუშვათ? — გაკვირვებული დიდედა კოხტად მოწნულ გალიაში მოჩიკჩიკე იადონებს საკენკს უყრის, წყალს უცვლის, გალიას უგვის პაწია, კოხტა ცოცხით.

— დაიხოცებიან, დიდედ, ცოდონი არიან, გავუშვათ, ბუდეებს გაიკეთებენ.

— მაშინ ქათმებიც უნდა გავუშვათ საქათმიდან, იხვებიც, ინდაურებიც...

— ქათმები და ინდაურები შინაური ფრინველებია!

— იადონებიც მოშინაურებულები არიან, აღარც კი ახსოვთ, სად იყო მათი სამშობლო. ან რა ეშმაკმა აგტეხა, ნეტა ვიცოდე?! — დიდედამ იცის ძუით დაბმული მწყურის ჩოჩრების ამბავი, იცის, მაგრამ გაჩუმებულია.

— გავუშვათ რა დიდედ, იადონები! ცოდონი არიან, გავუშვათ რა! — არ ეშვება ზურა.

— ეს რა ასოა? — ეკითხება დიდედა ზურას.

— გ... გავუშვათ რა, დიდედ! — ზურამ ასო ვერ გამოიცნო.

— მაშ არ გინდა, რომ ასოები ისწავლო და მამას ომში წერილი მისწერო, განა?! ეს რა ასოა? — ახლა სხვა ასოს უჩვენებს დიდედა ზურას.

— გ. გავუშვათ რა, დიდედ, მამაც ხო არ იწერება წერილებს, დიდედ, წერა იცის და მაინც რამდენი ხანია აღარ მოუწერია, გავუშვათ რა, ხო გამოვიცანი, გავუშვათ რა! გ... — კვლავ ვერ გამოიცნო ზურამ. მამის გახსენებაზე დიდედა კედლისაკენ შებრუნდა, ცრემლი მოიწურა თავშლის ბოლოთი:

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ღმერთო, მშვიდობით ჩამოიყვანე ი ბიჭი, და — წაიჩურჩულა დიდედამ.

— შენ არ ამბობ დიდედ, ომია, ჩიტის საკენკიც ჭირსო, გავუშვათ რა?

— კარგი, — დაეთანხმა დიდედა, — დედა და მამა იადონი გავუშვათ, ბარტყები კი დავიტოვოთ...

— არა რა, დიდედ, ბარტყებიც გავუშვათ, ცოდონი არიან, დაიხოცებიან!

— ორი ბარტყი დავიტოვოთ, როცა გაიზრდებიან და ბარტყებს დაჩეკავენ, დედ-მამა კვლავ გავუშვათ, ბარტყებიდან კი მხოლოდ ორი დავიტოვოთ, ის ორი ბარტყიც რომ გაიზრდება და ბარტყებს გამოჩეკენ, მათი ორი ბარტყი დავიტოვოთ, დედ-მამა კი გავუშვათ. მერე კიდევ, მერე კიდევ და ტყვე იადონები აღარ გვეყოლება.

—გალიაში ხომ მაინც დარჩება ორი იადონი? — ეშვიანად იკითხა დიდედას უცნაური ანგარიშით დაბნეულმა ზურამ.

— ის ორი იადონიც გავათავისუფლოთ და მხოლოდ მათი ორი ბარტყი დავიტოვოთ.

— რად უნდა დავიტოვოთ, დიდედ?

— მერე ის ორი ბარტყიც გაფრინდება და ჩვენ მხოლოდ მათ ორ ბარტყს დავიტოვებთ, ისიც დროებით.

ზურა მერყეობს, ჩაფიქრდა.

— მერე იმ ორ ბარტყსაც გავაფრენთ, დიდედ?

— ჰო, გენაცვალე, იმ ორსაც გავათავისუფლებთ და მათ ბარტყებს დავიტოვებთ, რომ მერე ისინიც გავუშვათ.

— მერე კიდევ და მერე კიდევ, არა დიდედ?

— ჰო, შვილო, მერე კიდევ და მერე კიდევ.

ამ ხელშეკრულება-შეთანხმებით დიდედაცა და მისი ონავარი შვილიშვილიც კმაყოფილები დარჩნენ, დიდედა თითქმის არაფერს კარგავდა: ორი იადონი მუდამ ეყოლებოდა გალიაში და მათი ტკბილი გალობა არ მოაკლდებოდა იქაურობას. ზურა კი იმით იყო კმაყოფილი, რომ ყველა იადონი იხილავდა თავისუფლებას...

ამრიგად შეთანხმებულმა დიდედამ და შვილიშვილმა გალიების კარები გააღეს და ყველა იადონი გაათავისუფლეს, ორი ბარტყის გარდა.

იადონებს ჯერ არ სჯეროდათ, რომ თავისუფლები იყვნენ და გალიას არ შორდებოდნენ, გარს ეხვეოდნენ. ზოგი თუნუქის სახურავზე შესკუპდა, ზოგიც გარედან ეკვროდა ოქროსფერი მავთულით მოწნული გალიის კედლებს,

თითქოს ისევ შიგ შესვლასა და ტყვეობას ითხოვსო. ზოგი იადონის გალიების გარშემო დაფრინავდა. გახარებული ზურა ცოცხს უქნევდა და „აქშა, აქშას“ ეძახდა.

ბოლოს, თითქოს იგრძნეს იადონებმა საუკუნეთა უწინ დაკარგული თავისუფლების სიტკბო, ფრენას უმატეს, ნელ-ნელა მოშორდნენ გალიებს, ეზოში მოშრიალე ატმისა და ბლის ხეებს მიაშურეს და გალობა დაიწყეს.

— მერე ეს ბარტყები, დიდედ? — მაინც ვერ ისვენებს ზურა.

— რაღაცა გაფორიაქებს, ზურა? — დიდედამ თვალებში ჩახედა შვილიშვილს.

— მწყრის ჩოჩრები ქორმა შეგვიჭამა, დიდედ, — გამოუტყდა ზურა დიდედას ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— ვიცი, შვილო.

— დაბმულები მყავდა ბუდეში და იმიტომ, დიდედ.

— ვიცი, შვილო, გაიღიმა დიდედამ და კოსროზე აკოცა ზურას.

— საიდან იცი, დიდედ?

— ვიცი, შვილო.

— რკინიგზას როდის დაამთავრებენ, დიდედ?

— როცა ომი დამთავრდება, შვილო.

— ომი როდის დამთავრდება, დიდედ?

დიდედა სუფრას შლის სავახშმოდ. უფრო სწორად, დოს ასხამს ორ ჭიქაში.

— როცა მამაშენი გაიმარჯვებს.

— სუფრას რათა შლი, დიდედ, ხო ცარიელი დო უნდა გადავკრათ, — ეშმაკურად გაეღიმა ზურას.

— ზოგს ეს დოც უჭირს, თვალი დაუდგეს გიტლერსა, შვილო, ადრე და მალე, — თითქმის ცარიელ სუფრას მიუჯდა დიდედა, დოს ქილა აიღო დასასხმელად.

— უი, დიდედ! — დაიძახა ზურამ და ძირგანიერ ქილას ხელი წაატანა. თიხის ქილას ძირზე წითელი სამთუმნიანი ჰქონდა აკრული. ზურამ ფული ააძრო.

— საიდან? — გაოცდა დიდედა და წამით ჩაფიქრდა.

— ძია თიბოს თუ დარჩა, დიდედ, — ზურამ იქაურობას მიმოავლო თვალი, წამოხტა და ახლა თახჩაში შედგმული ლობიოს ქოთანი აიღო. ფული ლობიოს ქოთნის ძირშიაც იყო დადებული.

— თუ ზურამ რა ნახოს — ქვეყანამ დაინახოს! — წაიღიღინა დაეჭვებულმა ზურას დიდედამ და თითთან ერთად თავის გადააქნ-გადმოაქნია.

— ვაიმე, დიდედ, არა, დიდედ, მე ისე ვნახე, განა ვიცოდი რო! — ზურას ეტყობოდა, რომ არ ტყუოდა. დიდედამ თავის ქნევა შესწყვიტა და სხვადასხვა ჭურჭელს მოუსინჯა ძირი. ყველგან აღმოჩნდა წითელი სამთუმნიანი...

— მე იმას ვაჩვენებ სეირსა, დამიცადოს! — ნაწყენმა დიდედამ ლოგინების გაშლა იწყო. — მაგან სულ ეგრე იცოდა, როგორა ბრაზობდა ხოლმე მამა-

შენი, როგორა რომა... — სიტყვა გაუწყდა დიდედა დაროს, ზურას ბალიშის ქვეშაც იდო წითელი სამთუმნიანი. თავისი ბალიშის ხელის ხლება აღარ უნდოდა დიდედას. დარწმუნებული იყო, რომ იქაც იდებოდა ფული.

— საიდანა აქვს ამდენი ფული ძია თიბოს, დიდედ?! — ჰკითხა ზურამ, თან დიდედას ბალიშის ქვეშ შეაცურა ხელი და წითელი სამთუმნიანი გამოაცურა, დიდედამ მერაძდენედ გადააქნია თავი.

— დღე და მოსწრება ცხვარში აღამ-ათენებს, ტანგაუხდელსა სძინავს წვიმასა და თოვლში. შვილი ზავმა დაუტანა, ცოლი დარდს გადაყვა, დადის მარტოხელა მთასავით ეგა უბედური ეგა, — გულით შეიცოდა დიდედამ, — კიდევ მაინც ათი კაცის ჯან-ღონე და შეძლება აქვს, — დიდედაც ჩაწვა ლოგინში.

— თქვი: დავწვები დამეძინება!..

— ცოტას ვიფიქრებ ძია თიბოზე, დიდედ, და მერე ვიტყვი, — სთხოვა ზურამ.

დიდედამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

ორივენი ჩაფიქრდნენ...

დილაა. კალათიანი ბიჭი მოსდგომია ზურაანთ ეზო-კარს.

— ნათლი დაროო! ნათლი დაროო! — იძახის ბიჭი.

— ვიღაცა გვეძახის, დიდედ! — ზურამ თვალი ჭყიტა და ლოგინიდან წამოხტა. მიიხედ-მოიხედა.

დიდედა უკვე მიდიოდა კარისაკენ, ზურაც დაედევნა. დიდედამ გზად პირზე წყალი შეისხა, ზურამაც შეისხა იგივე ფინჯნით წყალი პირი-სახეზე და დიდედას ალაყაფთან დაეწია. ორივემ ერთდროულად გამოაღო კარი. კარს იქით მყოფმა კალათიანმა ბიჭმა „ნათლი დაროს“ ძახილი შესწყვიტა, კალათში ხელი ჩაჰყო და მელიის ლეკვი ამოათრია.

— ვაიმე, დიდედ, მელიის ბარტყიი! — დაიძახა გახარებულმა ზურამ და ბიჭს ლეკვი ჩამოართვა.

— ტრაქტორი მიწასა ხნავდა, მელიის სორო ამოანგრია, დედა მელია გუთანმა გადაჭრა. ნათლი დარო, ლეკვები მე წამოვასხი. სამ-სამ თუმნად დავყიდე. ეს ერთიღა დამრჩა და თქვენთან მოვიყვანე, ნათლი დარო.

— ვინ ჭკვიანმა იყიდა დანარჩენი? — ღიმილით იკითხა დიდედამ და მელას თავზე ხელი გადაუსვა.

— ჩემი ბალიშის ქვეშ რომ იდო, იმ სამთუმნიანს გამოვუტანე, დიდედ. — ზურამ მელიის ბარტყი დიდედას მიაჩეჩა და ფულისთვის გაიქცა.

— ბუნების შვილია და ბუნებაში უნდა გაგეშვა. რო დაგყავს ამ გაჭირვებაში, თანაც ფასად ჰყიდი, ნათლი, ნათლი, გაგანათლიებ მე შენა! ხალხს თავისი პური უჭირს, მელიებისთვისა სცხელა?! ბალახის მძოველი მაინც იყოს. რომლისა ხარ?

ბიჭი თავჩაქინდრული იდგა. დანაშაულსაც გრძნობდა და ვერც ვინაობა-სადაურობის თქმას ბედავდა.

შუადღეა. ვიწრო, მტვრიან ქუჩაზე კასრის სალტეს მიაგორებს ზურა მო-

ღუნული მავთულით. გორგოლა მოულოდნელად შეხტა ქვაზე, გზიდან მარჯვნივ გადაუხვია და ძია სოსანას ღობის გასწვრივ გაგორდა. ზურა დაედევნა, გორგოლა დაიჭირა და, ის იყო, ქუჩაზე უნდა გადმოსულიყო, რომ ღობიდან გამომძვრალ მწიფე ხენდროს მოჰკრა თვალი. მიიხედ-მოიხედა და ნახა, რომ რამდენიმე ცალი ასეთი მწიფე ხენდრო გორგოლას გაეჭყლიტა.

მაყვალი და მოცვი ახლო-მახლო ჯაგებშიც ბევრი იყო, მარწყვიც უგემია ზურას, მაგრამ ხენდროს ნაყოფი მხოლოდ ნანახი ჰქონდა, ჭამით კი არ ეჭამა.

ზურას ღობიდან თავგამოყოფილი საღი ნაყოფისათვის ხელი არც უხლია, გაჭყლეტილ ხენდროს დასწვდა, შეუბერა და პირში იტაკა. ძალიან ეგემრიელა ხენდრო ზურას, კიდევ დაიხარა, გაჭყლეტილი მარცვლები წამოკრიფა და კვლავ ჩაიგემრიელა ყელი.

— მთელს რატო არ გლიჯავ, ზურა? — მოესმა თენგოს ხმა. შემკრთალი მოტრიალდა ზურა.

— მთელზე გამიჯავრდება სოსანა! — ზურამ გორგოლა აიღო, მავთული ამოსდო, მაგრამ ქუჩაზე კი არა, ძია სოსანას ღობის გასწვრივ დაუწყო გორიალი.

გააგორა და გამოაგორა, გააგორა და გამოაგორა.

— წავიდე, გორიალა მეც მოვიტანო. — თენგო შინ გაიქცა. ზურას გორგოლას არც ერთი ნაყოფი აღარ გაუჭყლეტია. ღობის იქით კი წითლად ხასხასებდა ხენდროთი გატენილი კვლები. კარგა ხანს უყურა ზურამ წითლად გაღვივებულ კვლებს და, ვერც კი შენიშნა, ისე წაატანა ღობიდან გამომძვრალ ხენდროს ხელი, მთელი ხენდრო გაჭყლეტილზე უფრო გემრიელი გამოდგა. ერთს მეორე მიაყოლა ზურამ, მეორეს მესამე, და როცა გორგოლიანმა თენგომ მოირბინა, ზურას უკვე ღობის ხვრელში შეეყო ხელი და იქიდან გამოჰქონდა მწიფე ნაყოფი.

— ხანდახან მეც შემაყოფინე ხელი, რა, — შეევედრა თენგო.

ზურამ მწიფე ხენდრო მიირთვა და მეორედ შეჰყო ხვრელში ხელი.

— ხანდახან მეც შემაყოფინე ხოლმე ხელი, რა, ზურა! — ევედრება თენგო და ზურას გვერდით ცუცქდება. ზურამ კიდევ გამოიღო ღობიდან ხენდროთი სავსე მუჭი და ნაყოფი, ყოველგვარი განაწილების გარეშე, ჩაიბრუნა პირში. ერთი ცალი დაუვარდა ზურას და თენგო ამითაც დაკმაყოფილდა.

— ხანდახან მეცა, რა ზური! — ელიჭინება თენგო.

და მესამედ რომ შეჰყო ხელი ზურამ ღობის ხვრელში ხენდროს გამოსაკრეფად, უკან ვეღარ გამოიღო, ჯერ ეგონა, ეკალს გამოვდე ხალათის სახელოო და მაჯა მისწი-მოსწია, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა ხელის გათავისუფლება. კიდევ სცადა, ისევ ვერაფერს გახდა და უცებ ფერი-ფური ეცვალა.

— დაგიჭირე თუ არა, დაგიჭირე თუ არა, ონავარო, ონავარო! — მოესმა ზურას ღობის იქით ჩახალული ძია სოსანას ბებრული ხოხინი. დაფეთებულმა ზურამ მთელი ძალით გამოსწია ხელი, მაგრამ ვერაფერს გახდა. თენგოც ეხმარებოდა ერთი ხანობა.

— უნდა მოგაჭრა, უნდა მოგაჭრა! — ხაოდა სოსანა.

— არა რა, ძია, — შეეხვეწა ზურა.

— არა, უნდა მოგაჭრა, რომ მეორედ არ გაბედო სხვის ღობეში ხელის ფათური, — ჩაიბურტყუნა ძია სოსანამ, მეორე ხელით ჯიბიდან დანა ამოიღო და ყუით გაუსვ-გამოუსვა ზურას მაჯაზე.

— ძია რა, ძია, არა რა! — აღრიალდა ზურა და ფართხალი დაიწყო.

— არა, უნდა მოგაჭრა! — ბუზღუნებდა სოსანა და უკუღმა უსვამდა მაჯაზე დანას.

— ვაიმე, დიდედა, დიდეედ, მიშველეე! — აღრიალებულმა ზურამ დიდედას უხმო საშველად.

— ძია სოსანა ზურას ხელს აჭრის! ძია სოსანა ზურას ხელს აჭრის! — ყვირილით გაიქცა თენგო ზურაანთკენ, მაგრამ ბევრი არ დასჭირებია; შავ დროშასავით მოფრიალებდა დიდედა დარო მათკენ.

— ეს ერთი მიპატიებია და მეორედ აღარ გაბედო! — უთხრა ძია სოსანამ და ხელი გაუშვა, ხელი კი თავისუფალი ჰქონდა ზურას, მაგრამ ღობეს მაინც არ შორდებოდა, ხტოდა და მოსთქვამდა.

— თუ რამე გინდა, მოდი სახლში, მთხოვე და მოგცემ, — აფრთხილებდა სოსანა ზურას.

— რის მიმცემ-გამმეტებელი ხარ, შე კუწუმწრახო შენა, სად ეპატიჟებიროო ეპატიჟები, შე მაჩვო, რომ შენ სახლში შენს მეტს ფეხი ჯერ არავის შეუდგამს, შე თხუნელა, შენა! — შორიდანვე გამართა დიდედამ სიტყვა და ისევ ღაუკაკანა სოსანას ღობე-ყორეს, რომ სულ აიბურძგნა ღობეს იქით მყოფი შუახნის გლეხი. სოსანას ყბა ახვეული აქვს. უკან იხევს.

— ჩემი შელოცვილი ძროხა როგორ დაგიწყევლო, შე უმადურო, შენა, ან. შენზე როგორ გავიმეტო წყევლა, ისედაც ღმერთს არ უქნიხარ. — ღობის იქით გადაყო თავი დიდედამ.

— ძია სოსანა ხელს მაჭრიდა, დიდედ! კინაღამ მომაჭრა, დიდედ! — ღრიალებდა ზურა.

ფერნაცვალმა დიდედამ ზურას ხელზე აკოცა, მერე ისევ აეკრა ღობეს და ისეთი დღე აყარა სოსანას, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა:

— არა გრცხვენია, სოსანა, ეგრე როგორ გაუხეთქე გული ბავშვს? არა გრცხვენია შე კუწუწმწრახო. შე მაჩვო, შენა! გრცხვენოდეს! გრცხვენოდეს! — ეუბნებოდა დიდედა და სულ თითს უქნევდა.

მერე კიდევ აკოცა დიდედამ ხელზე ზურას და შინ წაიყვანა.

— კინაღამ მომაჭრა, დიდედ, მაჭრიდა! — სლუკუნებდა შინისაკენ მიმავალი ზურა და ცრემლებს იწმენდდა მწიფე ხენდროთი მოთხუპნული თავპირიდან.

— სუ, გენაცვა! ჩუ, შვილო! — ამშვიდებდა დიდედა ზურას გაჯავრების მაგივრად.

— მამა როდის ჩამოვა, დიდედ? — ჰკითხა ზურამ დიდედას იმ ღამით..

— აქ არა ვარ, შვილო, აქ არა ვარ, ძიროო?! — დიდედამ ცხვირზე აკოცა ზურას, — დაიძინე გენაცვა, დაიძინე ზურურა!

ზურამაც ცხვირზე აკოცა დიდედას.

— გახსოვს, დიდედ... — ებლიტება თვალები გაქათქათებულ ლოგინში ზურას.

— მახსოვს, ზურურა, დაიძინე შვილო! — დიდედა თან აკერებდა, თან სთვლემდა.

— კაკალზე რომ დავეკიდე და ღამურები ფრინავდნენ, გახსოვს დიდ?..

— მახსოვს ზურურა, დაიძინე, შვილო! — თავს აკანტურებს დიდედა.

— მელას აჭამე, დიდედ?

— ბალახს მაინცა ძოვდეს ეგ ვერანი, ვაჭამე მაშა...

— გახსოვს, რუმ რო მომიტაცა, დიდედ?

— დამიდგეს თვალები! დამიდგეს თვალები! — ცოტა ფხიზლდება დიდედა.

— ტოტიდან-ტოტზე, დიდედ, ტოტიდან-ტოტზე? — ლუღლუღებს ზურა.

— წინათ როდი ჰიანდებოდა, სუ კრიალა, საღი იყო, მახსოვს... დაიძინე...

— კოხი რო წამოვიდა და მე რომ შინ არ ვიყავი?..

— უი, უი, მე ჩაქოლილსა, რა პასუხი უნდა გამეცა ი ბიჭისთვინა, დაიძინე, შვილო!..

— თვითმფრინავის ჩრდილს რო მიჰყვებოდნენ ძაღლები ყეფითა?..

— ციცინათელები ივლისში იცის, მახსოვს — ახლა კი ნამდვილად ძილი სძლევს დიდედა დაროს.

ı

— ოფ-ოფ! ოფ-ოფ! დიდედ?..

— გუ-გუ! გუ-გუ! — იძახის კედლის საათი.

ზურა და თენგო სერიოზულად ჩხუბობენ უბანში:

— ესეც შენა! ესეც შენა! — ქოშინებს ზურა და თენგოს ურტყამს.

— არაფერიც, არაფერიც არ მომხვდა! აი შენა! — ქოშინებს თენგოც და გამწარებული უქნევს ხელ-ფეხს. რამდენიმე ბიჭიც მოგროვდა მათი ჩხუბის საყურებლად.

— ძიძგი-ძიძგი მამალა, შენ იცი და მაგანა! — აქეზებენ ბიჭები მაჩხუბრებს.

— გააშველეთ, გააშველეთ! — ყვირის თენგოს დიდედა მათიკოც და ისიც მათკენ მორბის. დიდედა დარომ პირველმა მიატოვა პურის მაღაზია და მათიკოზე ადრე გაჩნდა მოჩხუბრებთან.

— უი, დამიდგეს თვალები! დამიდგეს თვალები! — ლოყაზე წაიტყაპუნა სილაქები დიდედა დარომ და მაჩხუბრები გააშველა. — არც კი გრცხვენია განა, ზურა? გრცხვენოდეს!

— არა, არა, არა მრცხვენია, არა! — იძახის ზურა.

და კვლავ იქაჩება თავისი მეგობრისაკენ.

— რათა, შვილო? რათა, ძირო? თქვენი ჩხუბი ვის გაუგონია?! — კაბის ბოლოთი უწმენდს ორივეს პირისახეს.

— ჟანა მე მიყვარსო, დიდედ! — აღრიალდა უცებ ზურა.

— ვინაო?! — სახტად დარჩა დიდედა მოულოდნელობით.

— ჟანა მიყვარსო, დიდედ, მე მიყვარსო, დიდეედ! ტყუის, დიდედ! მეე, დიდედ!

— ვინ ჟანა,. რომელი? — იკითხა აჭოშინებულმა თენგოს დიდედა მათიკომ.

ზურას დიდედამ მხრები აიჩეჩა და გაიღიმა:

— სადა ცხოვრობს? ვინ არი? — იკითხა დარო დიდედამ.

— მაგან არც იცის, სადა ცხოვრობს, დიდეედ! მე ვიცი, მაგან არც იცის! — ღელავს ზურა.

— დამაცა, თუ არ გაგშოლტო შე მუდრეგო, შენა! შენი თავი მაქ, ი კაცი ლოგინად მიწევს, შე მუდრეგო, გამოსწი სახლში. დღეს დაგაყრი, რო! — გაგულისებულმა მათიკომ თენგოს შინ წათრევა სცადა, მაგრამ ზურას დიდედამ გააშვებინა ხელი.

— დაეხსენ მათიკო, შენ გასწი, ამათ მე მოვარიგებ. თვალი გეჭიროს, მგონი პურის წიგნაკი დავკარგე.

— უი, ქა, ეგ რა მოგსვლიათ, უი, უი! — სულ გადაავიწყდა მათიკოს ბავშვების ჩხუბი. თვალიერება-თვალიერებით მოცილდა იქაურობას. მიდიოდა, თან მიწაზე იხედებოდა, დაროს დაკარგული წიგნაკის პოვნის მოლოდინში:

— თვალი დაუდგეს ჰიტლერსა! იმან არ გაიხაროს და იმის მოდგმას არ მოშლოდეს ეს დღეები! — მოქოთქოთებდა მათიკო.

— მართლა დაკარგე, დიდედ?! — უცბად დამშვიდდა ზურა. თენგოც გაისუსა.

— აბა გამოსწით. ვინ ჟანაა? მაჩვენეთ, სადა ცხოვრობს? — ორივეს ჩაკიდა ხელი დიდედამ.

— რუსები არიან, დიდედ, სახანძროსთან ცხოვრობენ.

— იქ რაღა დოზანამ მიგიყვანათ, იმ სიშორეზე? — თავი გადააქნია დიდედამ.

— ოთახს ხო არავინ აქირაებსო, მკითხეს და ვასწავლე. მართლა დაკარგე, დიდედ?

— ჰო. — დიდედამ თავი დაუქნია.

— მერე ეხლა რითი უნდა ვიცხოვროთ, დიდ?

— ერთ თვეს სოფელში გაგგზავნი.

— მერე შენა, დიდ?

— მე აქ დავრჩები, სახლს ხომ უნდა პატრონობა.

— ფიი! — თქვა ზურამ და მოიწყინა.

წითელმა სახანძრო მანქანამ ჩამოუქროლა ხმაურით და ზურამ ხელი გაიშვირა:

— აგე, დიდედ, რო ხტუნაობს. — მიუთითა ზურამ შვიდი-რვა წლის ცისფერთვალა გოგონაზე, რომელიც სახტუნაო თოკზე ხტოდა.

— ნეტა რა ახტუნავებს ამ გაჭირებაში? — ჩაილაპარაკა დიდედამ.

ზურა და თენგო ჟანასაკენ გაქანდნენ.

— ზრასტე! — მოესალმა შუა ხნის რუსი ქალი დიდედა დაროს.

— ზდრასტე... ჩასიძებულა ეს მამაგამარჯვებულიშვილი, — ღიმილით ჩაილაპარაკა სალამთან ერთად დიდედამ და მოხტუნავე ბავშვებს გახედა.

— მარუსია, — გაეცნო ჟანას დიდედა.

— ეჰ, თვალი დაუდგეს გიტლერსა, ჩემო მარუსია, რო თქვენ საიდან სად გადმოგხვეწათ. თვალი დაუდგეს ადრე და მალე! — წყრომით თქვა დარომ, ძელსკამზე ჩამოჯდა ჟანას დიდედის გვერდით. მხარზე დაადო ხელი დიდედა დაროს ჟანას დიდედამ.

— რას ჰამთ, ან რასა სვამთ, თქვე უბედურებო, თქვენა?! აქ ჩვენ რო გვიჭირს, ადგილობრივ მაცხოვრებლებს, თქვენა, თქვენ როგორღა, ჰა?! — თავი გადააქნ-გადმოაქნია ზურას დიდედამ.

— Перебъемся с божьей помощью.

— ჩარექნახევარს ძლივს იწველება, ის თხადქცეული ისა, ნახევარ ჩარექას მელას ვასმევთ, — მორცხვად ჰყვება ძროხის ამბავს დიდედა...

— Заплатим.

— ფული თორემ ზარაფხანა გაქვთ, კარგი, კარგი, — თავს უქნევს თანხმობის ნიშნად ზურას დიდედა.

— Кончится война, полностью отблагодарим.

— დამთავრდება მა რა ჯანდაბა მოუვა, — თავს უქნევს დარო.

ზურა და თენგო თოკს აქნევდნენ აქეთ-იქიდან, ჟანა კი ხტოდა.

— ნეტა რა ახტუნებს, ამ გაჭირვებაში. — თავი გადააქნია დარომ.

ღამე. ლოგინში წვანან დიდედა და ზურა.

— ომი რომ გათავდება, ჟანაანი წავლენ, არა, დიდედ?

— დაიძინე, შვილო, წავლენ მაშა...

— ხანდახან ხო ჩამოვლენ ხოლმე, დიდ?

— ჰო, შვილო, დაიძინე ზურურა; დავწვები დამეძინება, თქვი გენაცვა, დილაზე ადრე უნდა ავდგეთ, ავტობუსი არ გაგვეპაროს...

— ზღაპარი, დიდედ?

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი, რომელსაც ჰყავდა ერთი ვირი და ერთიც ხარი.

— მერე, დიდ?

— ვირი საჯდომად უნდოდა და სულ არ ამუშავებდა. ისე იყო გასისინებული ქერითა და შვრიით, რომ სულ ლურჯათა ბზინავდა.

— ხარი, დიდედ?

— ხარს დილიდან დაღამებამდე ამუშავებდა: მიწას ახვნევინებდა, ურემში აბამდა. ერთი სიტყვით, მუშაობით ტყავს აძრობდა.

— მერე, დიდ? — ლუღლუღებს ძილმორეული ზურა.

— შესჩივლა ხარმა ვირს თავისი გასაჭირი და რჩევა ჰკითხა. ვირმა უთხრა: თავი მოიავადმყოფე, საჭმელს ნუ შეჭამ და რომ გნახავს პატრონი ამ დღეში, აღარ გამუშაებს და დაისვენებო...

ზურას თვალები ეხუჭება. დიდედაც საძილედ ჭსიტინებს...

მალე ორივენი ძძინარაანთა მიეშურებიან.

ზაფხული გადის. კბილის ექიმს დასუქებული ცოლ-შვილი მიუდის აგარაკიდან. თუ ერთი საზიდარით ჩამოვიდნენ, ახლა მთელი ქარავანი ძლივს იტევს კაკლის ტომრებს. ხილის ყუთებს, ბოსტნეულს, ფქვილს, ფრინველს: ერთ საზიდარზე თვითონ ექიმი ზის, მეორეზე მუცელშებერილი ექიმის ცოლი, მესამეზე მამუკა, მეოთხეზე მარლენი.

— კარგა ბლომად დააყრევინეს კბილები! — თავს აქნევს თენგოს დიდედა.

— კარგი საქმეც ბევრი გააკეთეს, მათიკო, რაც მართალია, მართალია, — ზურას დიდედაც გამოსულა ექიმიანთ გასაცილებლად.

კბილის ექიმის ცოლი მენავთე არშაკას გვერდით ზის კოფოზე.

— ამბობენ, მესამე შვილი არშაკასაგან მიიმატაო, — ჩაიცინა ტასიკომ, კბილის ექიმის მასპინძელმა.

— შენგან მაინც არ ეკადრებათ გაჭილვა, ტასიკო, არ ეკადრებათ, — შენიშნა დარომ.

— ვითომ რატომაო. რა, ორი თვის ქირა ვერ გაიყოლეს განა. ორად ორი კბილი ამომიქოლა და თითბერი გადამიკრა. თონე იყო — მე ვიყა. შედღვება იყო — მე ვიყა. დაგვა-დასუფთავება იყო — მე ვიყა. მეტი პატივი არ მეკუთვნოდა, განა?! ან არა და პატივს ვინა ჩივის, ჩემი ორი თვის ქირა არ შეეტყაპუნებინა მაინცა. დახეთ, დახეთ, როგორ ეკურკურება, ხალხისა მაინც შერცხვეთ. ან არა და ის ყასაბი რასა ფიქრობს, წინ რო დამჯდარა სულთანივითა, — კბილის ექიმს გადასწვდა ტასიკოს ღვარძლი.

— კბილები კი დაგვილესა, მაგრამ საჭმელი რო წაგვართვა, ჭირი უნდა ვღეჭოთ ეს ზამთარი, — ჩაილაპარაკა მეოთხე ქალმა.

პატარა ქალაქის ბარაქა-დოვლათით დატვირთული ქარავანი კი უბანს გაცდა. სხვა ბავშვებთან ერთად ზურა და თენგოც გაედევნენ.

ერთი ჟრიამულით, ყირაზე ხტომით მიაცილებდნენ ახალგაზრდები და ბიჭბუჭები დაზვინულ ქარავანს. ზურამ და თენგომ ერთი ხანობა სდიეს მათ, მერე გამოეყვნენ და რკინიგზისაკენ გაიქცნენ. ლიანდაგზე გარბიან. სარკინიგზო ურიკა მოჰქრის მათკენ, საყვირს იძლევა პაწაწა ურიკის მმართველი ჭაღარა რკინიგზელი. ამ უცნაური ტრანსპორტის ნახვით გაოცებული თენგო და ზურა გზიდან გადახტნენ. მოერიდნენ.

— მალე გააკეთებთ, ძია?! — უძახის ზურა.

— მალე, მალე! — პასუხობს რკინიგზელი.

— ომი მალე დამთავრდება, ძიაა? — უძახის თენგო.

— მალე, მალე! — პასუხობს რკინიგზელი და თანდათან თვალს ეფარება.

ზურა და თენგო შინისაკენ მორბიან. ლიანდაგი თავდება. მიწაყრილი იწყება, მიწაყრილზე რელსები ყრია. ჩანს, მალე შეუდგებიან რკინიგზის მშენებლობას.

— თუ ზურურამ რა ნახოს, ქვეყანამ დაინახოს! — მოესმა ეზოში შესულ ზურას დიდედას ხმა.

— რკინიგზის გაკეთებას აპირებენ, დიდ, ომი მალე გათავდებაო, დიდედ! — ახარა ზურამ დიდედას, რომელიც ძროხას ჯიქანს უზელავდა მოსაწველად. ზურა დიდედას გვერდით ჩამოჯდა.

— რათ უნდა ამდენი ზელვა დიდედ, ჩამოწველე.

— უარს არი, აღარაო, ეს ზამთარი დამასვენეთო.

ზურამ საწველელში ჩაიხედა. ცარიელი იყო.

— მაშ, ჟანაანთა, დიდედ, ვეღარ მივუტანთ.

— ახლა თენგომ უზიდოს, მაგათი ძროხა გვიან გაშრება, — დიდედა წამოდგა, ძროხას გავაზე ხელი გადუსვა და აივნის კიბეს აჰყვა ცარიელი საწველელით, ზურაც გაედევნა.

— მელიაც უნდა გავუშვათ, ეს უკანასკნელი ბალასტიც ტყეში უნდა გავიდეს თავისი სარჩოს საშოვნელად.

— კაბა რომ შეუკერე დიდედ, მაგ ჭრელ კაბას გახდი? ზურამ მელას ხელი გადაუსვა, როგორ მოშინაურდა არა, დიდედ?

— ჩვენ ხელში გაიზარდა, რძის მეტი გემოთ არა უნახავს რა და მოშინაურდებოდა, მა რას იზამდა. რკინიგზის მშენებლობა მართლა განაახლეს, შვილო?

— მართლა დიდედ, რელსები მოუზიდიათ, რკინები, მელუკა როდის გაუშვათ ტყეში, დიდედ?

— გავღეჭოთ რამე და მერე. ჭრელი კაბაც თან გავაყოლოთ მზითვად, არ იტყვიან, ქალაქში გაზრდილი ქალი იყო და დედაშობილა გამოგზავნესო. დიდედამ ქოთხიდან თითო ჩამჩა დაასხა მათლაფებზე.

— კიდე ღვალოს შეჭამადია, დიდ? — უგემურად მიიწია ზურამ მათლაფა.

— ნიგვზით გახლავთ შეკაზმული, გითხარი მთაში გაგგზანი, მოკეთეებში-მეთქი და იუარე. რა ყველის ფაფებსა და ხაბიზგინებში იბანავებდი. მგონი სულ არ მინდა, არ მინდა, გეძახა, — დიდედამ პურის ნაჭერი ზურას მიუწია, თვითონ უპუროდ პირდაპირ ჯამიდან შეხვრიპა შეჭამადი...

საღამოხანია. ზურა და დიდედა თავგადაკრული კალათით ხელში უბნიდან გადიან. კალათის ერთ ყურზე დიდედას უკიდია ხელი, მეორეზე ზურას. მელა მიჰყავთ.

— საით თქვენი მგზავრობა, ქა? — ეკითხება მეზობელი ტასიკო, თან ეშმაკური თვალებით კალათში არსებულის ხილვასა ცდილობს.

— კბილის ექიმს დარჩა ნობათი და ვისიმე ხელიო გვინდა ქალაქს ჩავუგზავნოთ. -- ჯუმრობით იცილებს მეზობლის შეკითხვას დიდედა.

— დარჩა იმასა და დოზანაი, მერმის აღარ უნდა, დამაცადოს. — კბილის ექიმის მისამართით იმუქრება ტასო.

-- საით თქვენი მგზავრობა, დაროო? — ახლა უბნის ბოლოში მსხდომი დიდედები ეკითხებიან კალათით მიმავალ დაროსა და ზურას.

—· გალმა მივალთ, მოკეთეებში, — ღიმილს ძლივს იკავებს დიდედა.

— მოკეთეებში კი არა და, — ეჭვობენ დედაკაცები, — გაიგე, დარო, რკინიგზის მშენებლობა რო განუახლებიათ?

დარო თავს უქნევს და ახლა მეორე უბნელი დედაკაცების შეკითხვისათვის ამზადებს პასუხს.

— ამათ რაღას ეტყვი, დიდედ? — ზურა მეორე უბნელებისაკენ იქნევს თავს.

— იქნებ არაფერი გვკითხონ, — იღიმება დიდედა.

— არა, დიდედ, უეჭველად შეგვეკითხებიან.

პატარა ქალაქის მახლობელ სერზე, ტყის პირას გაუშვეს მელუკა დიდედამ და შვილიშვილმა. მელია ტყისკენ გაცუნცულდა. ტყის პირას ერთი შედგა, მოიხედა მათკენ და გაუჩინარდა.

— დავენანეთ არა, დიდედ? — ნაღვლიანად იკითხა ზურამ.

— დავენანეთ მაშა, ამ ურამეობაში ხელისგულზე ვინახავდით, თუკი რამე გვქონდა, არც მაგისთვის მოგვიკლია, დავენანეთ...

— კარგა მოშინაურდა არა, დიდ? ქათმებიც როგორ შეეჩვიენენ!.. — სინანულით თქვა ზურამ და ჩამოჯდა.

— ჩვენ სახლს თუ ხედავ, ზურა? — დიდედაც ჩამოჯდა ზურას გვერდით.

— აგერ დიდედ, ჩვენი დიდი ალვის ხე. საიდან სად მოჩანს. ოჰო-ჰო! თენგოანთი სახლი აქეთ გვერდზეა, ექიმიანი ჩვენ რიგზე არიან.

— ვინ ექიმიანი? — იკითხა დიდედამ.

— ტასიკოაანი, დიდედ.

დიდედა იღიმება:

— უკვე შეარქვით მეტსახელი განა?!

— ჰო, მერე ნუგოანი, მერე სოსოს სახლი მოჩანს.

— მერე...

— ადე წავიდეთ, ღამდება. — დიდედა წამოდგა. ზურაც ადგა. ერთხანს ასე იდგნენ და გადასცქეროდნენ თოვლიან მთებში ჩაფლულ პატარა ქალაქს.

— ძია თიბოს წითელი სამთუმნიანები გახსოვს, დიდედ? ზურა დიდედას გაედევნა.

— ერთი სამთუმნიანი ტყემ ჩაყლაპა. — დიდედამ იქით გაიხედა, საითაც მელია წავიდა.

— საიდანა ჰქონდა იმდენი ფული ჰა, დიდედ? გახსოვს, მთელი უბანი რომ ითვლიდა?

— მახსოვს, ზურურა, იჩქარე, ბინდდება.

— გეშინია, დიდ?

— არა, შვილო, შენ არაფერმა შეგაკრთოს, თორემ ხორცი ჩემი აღარ ვარგა და ძვალი. არც არასოდეს არა მშინებია, შვილო.

— წიგნაკი რო დაკარგე, დიდედ, და სოფელში მგზავნიდი, რო არ წავედი, ძალიან გეწყინა?

— არა, შვილო, გამეხარდა. ან კი სად გაგიშვებდი. ვიდრე ი ბიჭი არ ჩამოგვივა, თავს როგორ დაგანებებ. გენაცვა.

— მერე დამანებებ თავსა, დიდედ?

— არც მერე, შვილო, დიდედა შემოგევლოს, შენ როგორ შეგელევი, გენაცვა, ზურურა...

ლოგინში წვანან ორივენი. თვალები ელულებათ.

— გახსოვს, დიდედ, ძია სოსანა ხელს რო მაჭრიდა?

— მახსოვს, შვილო, — დიდედა ხელზე კოცნის, — დაიძინე გენაცვა, ჰაი, თავსლაფი სოსონასა, თავსლაფი!..

— ძაღლმა რომ დაგგვლიჯა მე და თენგო, გახსოვს, დიდედ? შარვალი რათ დამიკიდე მარგილზე? რათ დამიკიდე ჰა, დიდედ?

— ჩასაცმელად აღარ ვარგოდა. აღარც საკერებელს დაიდებდა. დაიძინე, გენაცვა, დაიძინე, ზურურა.

— ორი ქათამი და ორი ბოცი ღვინო რო შეხვრიპა ძია თიბომ, გახსოვს, დიდედ?

— ჰო, დაიძინე, თიბოზე ალალია, შვილო. ეგეთი ალალი ხალხი არც ისე ბევრნი არიან. გენაცვა, დაიძინე! — კარგა ხნით ჩასთვლიმა დიდედამ.

ზურასაც ერევა ძილი...

თოვლიანი დილა თენდება. დაბარდნულია ირგვლივ ყოველი. ხალხის ჩოჩქოლსა და ფეხის ხმაზე ეღვიძება დიდედას.

სწრაფად ადგა, თალხი ფართო კაბა გადაიცვა, სველი ხელისგულები სახეზე მიისვა, რაც სასწრაფო შემთხვევებში პირის დაბანვის მაგივრობას უწევდა ხოლმე და ის იყო თავშლის სწორებით აივანზე უნდა გამოსულიყო, რომ მომეტებული ხმაურისაგან გაღვიძებული ზურაც გადმოხტა ლოგინიდან.

— რა არი, დიდედ?! — იკითხა შემკრთალმა.

— დაწე, არ შეგციოდეს, შვილო, ჯერ ცეცხლი არ დამინთია. სამეზობლო ხმებია, შვილო, სასიკეთოდ იქნებიან მოსული, — მიუგო კარგა მაგრად გადაფითრებულმა დიდედამ და აივანზე გავიდა.

ზურამაც სწრაფად იწყო ჩაცმა, ფანჯრებში თოვლიანი სახურავები და თეთრი ფერით შემკული თუთისა და კაკლის ხეები მოსჩანდა. ათამდე ქალი და კაცი მოსდგომოდა აივანს. კაცებს ჯოხი, ორთითი და სხვა სასოფლო იარაღი ეპყრათ ხელთ. ძია სოსანას თოფიც კი წამოეღო ყოველი შემთხვევისათვის. ზოგი ამბობდა, შვიდი დედალი დავკარგეო, ზოგი ათს გაიძახოდა, ზოგიც მეტს.

ფერნაცვალმა დიდედამ სოსანას შეხედა, ცოტაოდენი სიბრაზე დაეტყო სახეზე შეიარაღებული სოსანას დანახვაზე:

— აკი ომი არ შეშეძლიაო, სოსანა? — გაიღიმა დიდედამ, — რაშია საქმე, რაზე შეწუხებულხართ? — დიდედა მოაჯირს მიეყრდნო.

— რაშია და ი ეშმაკად რო გაიჩინეთ ი მელაი, ვაშინაურებთო, ბიჭი რო გაიძახოდა, თქვენი შვილიშვილი, ზურაი, ჰოდა მობრძანდი ერთი, საქათმეები დაგვითვალიერე.

— დათვალიერება რათ უნდა რა. მამლის ყივილი რო აღარ ისმის უბანში, გახა ვერა ხვდება, რაშიც არის საქმეი?! — თავი გადააქნია ტასიკომ. — სამი დედალი მყავს და ერთი მამალი, — დიდედამ მარდად ჩაირბინა კიბეები და თვალისდახამხამებაზე გამოუშვა დასახელებული ფრინველი საქათმიდან, ჭრელძა მამალმა იმისთანა ყიყლიყო დასცხო, რომ მართლა სამაგალითო.

— განა შინაურებს ახლებდა პირსა, რო, — ჩაახველა ლულაში სოსანამ.

დიდედა დამშვიდებული ჩანდა, როცა ზურამ გამოაჭყიტა თვალი აივანზე. და უცბათ მოეკვეთა მუხლი დიდედას. ჯირკზე მოასწრო ჩამოჯდომა, ზურამ რაღაც იგრძნო, დათოვლილი კიბეები ჩამოირბინა და კალთაში ჩაუჯდა დიდედას. დარომ მოიხედა, ფერი კარგი შეექნა სახეზე.

— განა იმ მელიის საქციელია საწყენი, მეზობლებო, არა, — ღიმილით დასძრა სიტყვა დიდედამ. — საწყენი რა უნდა იყოს, ნადირმა რომ ინადიროს? თუნდაც შევცდი, ობლიაანთ ბიჭის ჩამოტარებული მელა რომ შევისყიდე. კარგით. შევცდი... კარგი, მაგრამ ე თქენ რაღამ გაგამწარათ, რომ ამ ომიანობა დროში, წუთი-წუთზე რომ ურიგოს მოელის ადამიანი, — ურიგოს ხსენებისას დიდედამ მცირე პირჯვარი გამოისახა ბაგეზე, — ასეთ დროს, უთენია რო მობრძანდით, რატომ არავის გაგკრათ გონებაში, რომა ურიგო ამბის მოლოდინში. ყავარიევით რო გამხეთქოდა გული, ჩემ თავს არ ვჩივი, მეზობლებო, მაგრამა ამის პატრონი თქვენისთანა მეწვრილმანე ხალხი ხო ვერ იქნებოდა?! აბა ერთი მითხარით?! — მშვიდად, დამაჯერებლად წარმოსთქვა დიდედამ და ისეთი სიყვარულით ჩაიხუტა ზურა გულში, ისე ნაზად გადაუვარცხნა თმა შვილიშვილს, რომ დარცხვენილმა მეზობლებმა თავები დახარეს და წასასვლელად შეიშმუშნენ.

— დედის სული წამიწყდეს, დარო, თუ ძალით არ გამოვეძახე სოსანასა, — თავი იმართლა ერთმა დედაკაცმა, — ქათმები კი დავკარგე, მაგრამ ესე აშრად არ შეგაწუხებდი, ღმერთმანი. ჰაი, ჰაი, შენა! — დაუტატანა ქალმა სოსანას და ცოტა ახლოს მიიწია დაროსთან. — ი ბიჭს კიდე გამოაყარა კისერზე და ერთ ფიორ თქვენს მალამოს თუ კიდე გვიბოძებთ, დარო, დიდი მადლობელი დაგრჩებით, გენაცვა, — გულით სთხოვა მეზობელმა. ჩაფიქრებულმა დიდედამ ნელა დააქნია თავი. თუმცა არ ამდგარა წამლის გამოსატანად. ზღარბივით აბურძგნული სოსანა ლამის მიწაში ჩამძვრალიყო.

— რატო მიწა არ გამისკდება და შიგ არ ჩავარდები ნათლია დარო, ესე რამ დამიბურა გონი, რო ამ მაჩვის ტრაკა-ტრუკს ავყე და აქ მოგადექი, დიდი

ბოდიში, თქვენი პირიმე, დიდი რო მეტი არ შეიძლება, პირსაც წაუღია მთელი საქათმეთი, ოღონდ კი ი ბიჭი ჩამოგვიდეთ ჯანმრთელი და გამარჯვებული, ჰადი, შე ზღარბო შენა, — დაუტატანა სოსანას ახლა მეორე მეზობელმა.

— მე ჩემით მოვედი, ჩემო დარო, თვალის კაპლი გამომელია და შუა წყალში ნუ დაგვტოვებ. შემოგევლე, რაკიღა სხივი ჩაუყენე შენი ოქროს ხელითა, ბარეღამ ბოლომდე უნდა გვიპატრონო, გენაცვა.

— მცირე ბოდიშს მოგიხდით, მეზობლებო, და ნაშუადღევს მობრძანდით, მალამო გასალესი მაქვს, თვალის წვეთებსაც დაყოვნება უნდა, მეც პატარა სულს მოვითქვამ, — გაიღიმა დიდედამ და კიბეებს აუყვა ზურასთან ერთად.

როგორც კი დარო დიდედა და ზურა შინ შევიდნენ, მაშინ წამოიფარფნენ ქალები. ხნიერმა ქალებმა ქოქოლა და „მეხი კი დაგაყარე“ აკმარეს სოსანას. ორი-სამი ახალგაზრდა ქალი ქოქოლას არ დასჯერდა, თოფი გააგდებინეს სოსანას, ლულები თოვლით დაუტენეს, თვითონ სოსანაც კარგა დაზილეს თოვლში; ღობის ძირას წაიგდეს და სულ ტიტველა ტანზე აყარეს თოვლი ჯირკივით გლეხკაცს.

— მაჩვო, მაჩვო, ფუი შენა! — ჩასძახოდა ერთი.

— სადა გაქ ოქრო-ვერცხლი ჩამალული, შე ზღარბო, შენა!

— ჩავიდე ჯერ კომისარიატში, ხვალ თუ ბერლინი არ აგაღებინო შე მუდო, შენა, ჩავიდე. — არ ეშვებოდა მესამე, ჯან-ღონითა და ქალობით გატენილი ახალგაზრდა ქალი.

ბოლოს თითოც მიაპანღურეს და მოშორდნენ. თოვლის ფერთხვით წამოდგა სოსანა ღობის ძირიდან, თოვლით გამოტენილი ფილთა აიღო და ყანყალით წავიდა შინისაკენ...

ჩიტმა ჩიორამა
— გაზაფხული დადგა,
ხეში წყალი ჩადგა,
საძირკველი გადგა.

— ამბობს ლექსს ზურა, თან დიდედას ყელს უწევს:

— წავალ რა, დიდედ, მატარებლის დასახვედრად, წავალ რა დიდედ, თენგოც მოდის, მთელი უბანი მიდის, მარტო ჩვენა, დიდ, მარტო ჩვენ არ უნდა წავიდეთ? — ყელს უწევს ზურა, თან ჩვილ ხბოს აკავებს, რათა ხბომ ძროხის წველაში ხელი არ შეუშალოს, აქაფებული რძის ჩხრიალი ისმის საწველელში:

— დეედო, მაამო, საწველელი გაავსო... წავალ, დიდედ! — არ ეშვება ზურა.

— ხბო მოუშვი! — განკარგულება გასცა დიდედამ. წველა დაამთავრა, წამოდგა და სახლს მიაშურა. ზურა უკან დაედევნა.

— მატარებლის მოსვლამდე ჯერ კარგი დროა, ვნახოთ, მარტო კი ვერ გაგიშვებ, იქ იმოდონა ხალხი აირევა, რო კალიასავით გაგსრესენ. ახლა მატარებ-

ლიდან ჩამოსულებიც დაემატება! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე. ღმერთო, უდანოდ ნუ დაგვჭრი ყელებსა და ერთი ჩვენი გუგუაც გაურიე ომიდან დაბრუნებულებსა! — დიდედამ ზურას არგასაგებად წარმოსთქვა ეს ვედრება და ზედ დაყოლებული ცრემლიც შეუმჩნეველად შეიხოცა ხილაბანდის ბოლოთი.

ფანჯარაზე თენგოს დიდედამ, მათიკომ მოაკაკუნა. დარომ ხმა გასცა. გადაიხედა:

— რა ვქნათ, დარო, წავიდეთ? — ჩურჩულით ჰკითხა მათიკომ.

— მე ვერა და შენი არ ვიცი. ერთიც ვნახოთ და ჩვენი გუგო არ ერიოს მომსვლელებში ან შავი ამბავი მაცნობოს რომელიმე ფრონტელმა, მერე რა თავში ქვა ვიცე, ვერა ვერ წამოვალ. ისევ აქ მოლოდინი მირჩევნია, ხაბიზგინებს დავაცხობ, შევემზადები და, თუ გაწირულები არა ვართ, ხო აქაც გავიგებთ.

— მეც მაგ აზრისა ვარ, ჩემო დარო. ბოლო წელიწადი ხო არც ჩვენ მიგვიღია ბიჭის წერილები. რა ვქნა, არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, არა და ი კაცი მახრჩობს: ჩქარა და ჩქარა გასწი მატარებელზე, ი ბიჭს დახვდიო. თითონაც წამოიკაკვა, საწოლიდან გადმოგვივარდა. ერთ ჯამ პურის ფქვილს ხომ ვერ გვასესხებ, დარო?

— რას ამბობ, როდის დამიჭერია, თუ გექონია, — დიდედა დარომ ჯამი გამოართვა, ფქვილი გადააწოდა. — თიბომ ჩამოგვიგზავნა ნახევარი ტომარა. თუ კიდე გინდა, ნუ მომერიდები, თენგოს გაუშვებ მატარებლის დასახვედრად?

— დილას აქეთი დაკარგულია, რას ამბობ? რა დაიოკებს! ან კი ზურა როგორ გაჩერდა აქამდე, მიკვირს? — თავი გადააქნ-გადმოაქნია თენგოს დიდედამ და ფანჯარას მოშორდა.

— ეგეც იმასა შიშობს, რასაც მე, ენაცვალოს მაგასა თავისი დამწვარი დიდედა! — შეიცხადა დიდედა დარომ და ფანჯარა მოხურა. მერე ისევ გამოაღო ფანჯარა:

— ზურა, ზურურაა! — მოიკითხა დიდედა დარომ შვილიშვილი.

ჩამი-ჩუმი არსაიდან იყო.

— ზურა, ზურურა, სადა ხარ?! — კვლავ გასძახა დიდედამ ეზო-მიდამოს.

ზურა უკვე უბნის ბოლოს გარბის. დიდედას ძახილზე ჩერდება.

— აქა ვარ, დიდედ! — ძლივს აღწევს დიდედას ყურამდე ზურას შორეული ძახილი. ისედაც დააგვიანდა ზურას მატარებლის დასახვედრად წასვლა და ახლა აღარ უნდა დროს დაკარგვა, გარბის თითქმის ცარიელ ქუჩაში. ხან ფართო ქუჩაზე გავარდება, ხანაც ვიწრო შესახვევში გარბის.

ყველაფერი ახალი სადგურისაკენ, ახალი მატარებლისაკენ მიისწრაფოდა. ქარიც იქით უბერავდა. გამარჯვების დროშები, ალმები თუ წარწერები ელავდა ყველგან.

ერთადერთი სულიერი, რომელიც ამ საზეიმო დღეს სადგურის მხრიდან უკან ბრუნდებოდა, ძაღლი იყო. დაბალი, ჯრელი, გრძელი, დიდყურა და მოკ-

ლეთათებიანი. ხვლიკს უფრო ჰგავდა, ვიდრე ძაღლს. ძაღლი სწორედ ზურასაკენ მოდიოდა. ზურამ მიიხედ-მოიხედა: ქუჩა ცარიელი იყო.

მატარებელი უკვე კიოდა და დინჯად მოიწევდა სადგურისაკენ. ხალხი მატარებლის შესახვედრად გარბოდა. ყველაზე წინ ცხენოსნები მოჯირითობდნენ, ყველაზე ბოლოს მოხუცი პაპები მიბაჯბაჯებდნენ. ისე მოუნდა ზურას მატარებლისაკენ გაქცევა, ისე, რომ მეტი არ შეიძლებოდა. დააპირა კიდეც, მაგრამ ძაღლმაც მისკენ გამოიწია ყურების პარტყუნით, ზურა ისევ გაჩერდა, ზურა და ძაღლი პირისპირ იდგნენ და ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ. მენავთე არშაკამაც ჩაიქროლა თავისი ცოლ-შვილით, არავის არ გამოუხედია ზურასაკენ.

— ვაიმე, დამაგვიანდა! — ზურამ კვლავ ძაღლს ჩახედა, — გადი, ცუგა! — დაუყვირა ზურამ, მაგრამ ცუგა არ განძრეულა.

— გადი, ყურშა! — ისევ დაუყვირა ზურამ და ფეხები დააბაკუნა. პასუხად ძაღლმა ყურები ააპარტყუნა და ზურასაკენ წამოვიდა. ზურამ მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ქვა ვერსად შენიშნა, რომ ძაღლისათვის ესროლა, სუფთად იყო ქუჩა დაგვილი.

სადგურის მხრიდან მუსიკამ დასცხო. მატარებელმა სვლას უკლო და შეგებებულ ხალხსა და მხედრიონთან ერთად შემოვიდა სადგურში. ახლადშეღებილი მწვანე მატარებლის ფანჯრებიდან და კარებიდან ომმოვლილი, სიკვდილს-გადარჩენილი ჯარისკაცები იხედებოდნენ გაფაციცებით. ყველა, დამხვდურიც და მომსვლელიც, მახლობელ თვალებს დაეძებდა, მატარებელი დადგა, ყველა და ყველაფერი ერთმანეთში აირია. მეზურნეებმა სიხარული დასცხეს.

— ჩვენ გელოდით, ჩვენ მოვესწარით, ჩვენ სიხარულს საზღვარი არა აქვს! — სიტყვა დაასრულა ორატორმა ქალმა და მკლავშეხვეულ ჯარისკაცს გადაეხვია. ხალხმა ტაში დასცხო.

— გადი, ჯეკა! გადი, ყურშა! გადი, თარეშა! — რამდენიმე სახელი ზედიზედ უთხრა ზურამ ძაღლს და ცრემლიც დაუგორდა ნაწყენი თვალებიდან. თვალცრემლიანი ზურა ხან მატარებელს გახედავდა, ხანაც ამ უცნაურ ძაღლს, რომელსაც არც ერთი ძაღლური სახელის გაგონება არ სურდა.

ჯიბიდან ხელი ამოიღო ზურამ. ხელს ხმელი პურის ნატეხი ამოჰყვა. პური ძაღლს გადაუგდო. ძაღლმა ჯერ ზურას ახედა, მერე ფრთხილად წაიგრძელა კისერი, პურის ნატეხს დასუნა, წკაპანით მოიგდო პირში და ხრამუნი აუყენა.

ზურას სახე გაებადრა, ისევ ჩაიყო ჯიბეში ხელი, კიდევ ამოიღო ხმელი პურის ნატეხი, ძაღლს გადაუგდო და თვითონ კი ფეხაკრეფით გაიძურწა სადგურისაკენ. კარგად რომ მოშორდა ძაღლს, ერთბაშად მოკურცხლა.

მშიერმა ძაღლმა სწრაფად შეახრამუნა პური და ზურას დაედევნა...

ახალი მატარებლისა და ომგადახდილი ნათესავების შესახვედრად წასული ხალხი უკვე შინ ბრუნდებოდა. ერთად-ერთი ზურა გარბოდა სადგურისაკენ. გარბოდა და თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ცდილობდა მამა ეცნო. მწვანე ტანსაცმლიანთა შორის, ერთმანეთს გადახვეული, გახარებული ხალხი შინ ბრუ-

ნდებოდა. სიხარულის ერთ მთლიან ჯაჭვად ქცეული მთელი ქუჩა იძვრისო თითქოს. მხოლოდ ზურა გარბოდა სადგურისაკენ თვალების ცეცებით. მას უკან ყურების პარტყუნით მისდევდა ახლადგაცნობილი უცნაური ძაღლი. ხან წინ გაუსწრებდა ძაღლი ზურას, ხან უკან ჩამორჩებოდა.

სადგური თითქმის ცარიელი იყო, როცა ცრემლიანმა ზურამ ორთქლმავალთან მიირბინა.

— მამაჩემი სად არი, ძია?! — ჰკითხა ზურამ ჭაღარა მემანქანეს და პასუხის მოლოდინში სმენად იქცა.

— გზაში არ შეგხვედრია, განა? — ჩაფიქრდა მემანქანე. ზურამ თავი გააქნია.

— იცი რა გითხრა, შვილო. ეს პირველი ეშელონი იყო, ხვალ და ზეგ მეორე და მესამე ნაკადი უნდა ჩამოვიყვანო. მაშა, შვილო, მამაშენსაც უეჭველად ჩამოვიყვან. დარდი ნუ გაქვს.

— მა, ხაშაპურები რო დააცხო დიდედაჩემმა? — ნაღვლიანად იკითხა ზურამ.

— განა გაფუჭდება რო, ხვალ უფრო გემრიელი იქნება, შენახული ქალი ჩანს დიდედაშენი და წითელი ღვინოც ექნება გადანახული. მეც არ გამომტოვოთ, იცოდეთ. შემატყობინეთ მამის ჩამოსვლა.

— კარგი. — წყნარად თქვა ზურამ და ჭრელ ძაღლთან ერთად ვაგონების თვალიერება იწყო.

სადგურის ქუჩა თითქმის ცარიელია. მოდის ზურა, ჭრელი, უცნაური, უკვე დამეგობრებული ძაღლი უკან მოჰყვება.

ზურას შორიახლოს სამხედრო ტანსაცმელში ჩამჯდარი მხედარი მოდის. ცხენიცა და კაციც ძლიერ არიან დაღლილები. კაცს ლაპარაკის თავი აღარა აქვს, მაღალი, გავაზე დადაღული თაფლისფერი ულაყიც ფრუტუნსაც ძლივს ახერხებს, ერთიანად აქაფებულია.

ერთი ორჯერ მოღლილად გამოხედა ბიჭს მხედარმა. ზურამაც გახედა. ეს იყო და ეს. მერე ცხენმა გაასწრო ბიჭსაც, ძაღლსაც. ზურას მეტი გამოსავალი არ ჰქონდა, ზურგში უნდა ეცქირნა მხედრისათვის. სანახავი არე მხედრის მხარბეჭისა იმდენად მცირდებოდა, რამდენადაც ბიჭი და ჯარისკაცი ერთმანეთს შორდებოდნენ.

ერთხელ კიდევ მოიხედა მხედარმა უკან და მარცხენა შესახვევში გაუჩინარდა. ზურამ თავისდაუნებურად აუჩქარა ნაბიჯს. შესახვევში როგორც კი შეჰყო თავი ზურამ, კვლავ დაინახა დაპატარავებული მხედარი. ის იყო და კიდევ გაუხვია მხედარმა, ახლა უკვე მარჯვენა შესახვევში გაუჩინარდა, ვიდრე დაიმალებოდა, გვერდულად გამოხედა ბიჭს და გაუჩინარდა.

ზურამ კიდევ უფრო აუჩქარა ნაბიჯს. და კიდევ ერთხელ მოჰკრა თვალი მხედარს, რომელიც კვლავ გაქრა მიხვეულ ქუჩაზე. ზურას ნაბიჯი აღარ ეყო და სირბილზე გადავიდა. ახალი შესახვევი. ზურა ვიღაცას დაეჯახა. ერთი შეხედა დამაბრკოლებელს და მთელი ძალითა და ღონით გაიქცა. შესახვევი — გა-

სახვევი, შესახვევი — გასახვევი. ახლა უფრო გამსხვილდა მხედრის გამოსახულება. ლამის გაუსკდეს გული ზურურას; ისე გარბის.

და როდესაც მხედარმა ზურას შესახვევში გადაუხვია:

— მამააა! მამიკოოო! მამააა! — აღრიალდა ცრემლებმომსკდარი პატარა ბიჭი და ისეთი თავგანწირვით გაქანდა სახლს მიტანებული სამხედროსაკენ, რომ რამდენჯერმე წონასწორობაც დაჰკარგა და ისე წახრილი წასაქცევად დაქანებული ცხენიდან გადმოფრენილი მხედრის ტყავის ჩექმებს მისწვდა და მკერდ ჰაერში იქნა შეტყორცნილი. იმოდენაზე აისროლა გუგამ შვილი, რომ კვლავ დაუპატარავდა ჰაერში აფრენილ ზურას მამის გამოსახულება და ზეციდან ზურამ დაინახა როგორ გამოქანდა დიდედა მამისაკენ.

და მერე დიდედას ზურა ეჭირა ჩახუტებული, ხოლო მამა-გუგას კი დიდედა ჰყავდა ხელში ატაცებული და სამსართულიანი სიყვარულის კოშკის წვერიდან ზურამ მთელი მეზობლები დაინახა. რამდენიმე ჯარისკაციც ერია მათ შორის.

იმ ღამეს მამასთან დაწვა ზურა. ხბოსავით ალოკა მამამ ზურა ლოგინში. მერე ჩაფიქრებული, თავქვეშ ხელებამოწყობილი იწვა მამა.

და როდესაც მამას ჩასთვლიმა, ზურა ფრთხილად ჩამოძვრა აივანზე გაშლილი მამის საწოლიდან და დიდედას შეუძვრა საბანქვეშ. დიდედას თავთან წმინდა სანთელი ენთო. სანთლის შუქი დაჰნათოდა ცრემლით დასველებულ ბალიშში ჩაფლული დიდედას გასხივოსნებულ სახეს.

მეორე დღე. ხუთი-ექვსი ბოხოხიანი თავი ტრიალებს ეზოში გაშლილ მაგიდაზე. გუგა სუფრის თავში უზით მწყემსებს და მკერდზე გაკრულ მედლებსა და ორდენებს უთვალიერებენ, ხელს უსვამენ.

ეზოს ბოლოს მთიელების ჯუჯა ცხენები ახრამუნებენ თივას, ცოტა მოშორებით კი აღტაცებული ზურა დასტრიალებს გარშემო მამის ჩამოყვანილ კავალერიის ცხენს. დიდედა კიბეებზე არბი-ჩამორბის, ხანდახან მოულოდნელად მივა შვილთან, გვერდით მოუჯდება:

— უი, თეფშები გამოსაცვლელი გქონიათ! — დაიძახებს დიდედა მოულოდნელად, კვლავ წამოხტება და არბის კიბეებზე.

— ოჰო, მე, მე რატო არ ვიყა ომში, რომა! — იძახის მწყემსი და მკერდში მჯიღს ირტყამს.

— ერთი წლით ადრე მორჩებოდა ომი, — ღიმილი ერევა ხნიერ მეცხვარეს.

— საბჭოთა კავშირის არც ერთი კუთხიდან არ გაუწვევიათ ომში მწყემსები.

— რათა მერე, სანდონი არ ვიყავით, თუ რა?! — ცხარობს მწყემსი თიბო და კვლავ იბრაგუნებს მკერდში მჯიღს. მეორე ხელში ბატკნის ბარკალი უჭირავს და სიქას აცლის.

— ნომრებიცა ჰქონია, მამი, ნომრები! — ყვირის ზურა და აღტაცებული ხტის, მამის ჩამოყვანილი დიდი თაფლა ულაყის გარშემო.

— დიდი მინდვრების ცხენია, მთელი ქვეყანა შემომატარა. ცხვარშიც მაგითი დაგათვალიერებთ ხოლმე. — ამაყად ამბობს გუგა, ზურას მამა.

— ძალიან მაღალია, არა მამი? — ეძახის ზურა.

— მაღალია და როგორი, მაგის მჯობნი ცხენი ჩვენში არც მეგულება.

— ძია თიბოს ცხენსაც აჯობებს, მამი?

— სულ ადვილად, შვილო, სადოღე-საჯიშედან გამოვიყვანე ავსტრია-ში, — უხსნის გუგა მწყემსებს.

— მუცლამდე ვერცა ვწვდები, მამი, ნახე, რა დიდია!

— ჰო, შვილო, დიდია, გამოდი, ფეხი არ დაგადგას! — გააფრთხილა მამამ ზურა.

— შემსვი-რა, მამი, გავაჭენებ.

— მთაში რომ წაყალთ, მაშინ შეგსვამ, მარტო არ იქნება, გადმოგაგდებს.

— შევჯექ ცხენზე, გავააჭენე, ჰარაალოო, ბილიმ-ბილიმ-ბას, — ღიღინებს მთვრალი თიბო.

— ძალიან კი მოენატრე მწყემსებსა, გუგა, ძალიან, რომა მეტი არ შეიძლება. ვიდრე შენი წერილები მოდიოდა, დედაშენი გვიგზავნიდა. ჩვენც ვსიამოვნებდით შენი წერილების კითხვით. მერე კი ჩამოვყარეთ ყურები, ღმერთსა მადლი, რომ გუგა მშვიდობით დაგვიბრუნდა. ჩვენი ვეტექიმის, ჩვენი გუგას მშვიდობით დაბრუნებისა იყოს. ეს ბოლო ჭიქა და წავიდეთ, თორე იქაც ხალხი გველის. — თქვა ხნიერმა მეცხვარემ და ჭიქა ასწია.

— გუგა, გეძახიან. — ჩამოსძახა თვალებაცომცომებულმა დიდედამ სუფრას.

გუგა გავიდა. მწყემსებმა სათითაოდ იწყეს გუგას ჩამოსვლის სადღეგრძელოს შესმა. გუგამ ზურა კისერზე შეისვა და ისე მივიდა ჭიშკართან.

— ჩვენი პურის გამყიდველია, მამი! — ზურამ პირველმა დაინახა ჭიშკარს იქით მდგარი ოცი-ოცდახუთი წლის მოხდენილი ქალი, რომლის სამოსელსაც არც ისე ეტყობოდა ომის ღარიბული დღეების კვალი.

მამამ ზურა ჩამოსვა. ზურა მამის გვერდს აეკრა.

— გაიქე, შვილო, სტუმრებს დაუტრიალდი, არ მოიწყინონ, ახლავე მოვალ. — მამამ ზურას აკოცა და ხელის ნაზი შეხებით აგრძნობინა, წადიო. ზურა იქაურობას მოშორდა ოდნავ ნირშეცვლილი. სახლის კუთხიდან ერთი გამოხედა მამასა და ამ დღისათვის საკმაოდ უცხო ქალს და აივანზე ავიდა.

— ვინ იყო, შვილო? — ჰკითხა აივანზე, ჭურჭლის რეცხვაში გართულმა დიდედამ.

— ვიღაც კაცია, — მიუგო ამრეზილმა ზურამ და სხვენზე შედგმულ კიბეზე აცოცდა.

— თუ ზურურამ რა ნახოს, ქვეყანამ დაინახოს, ჩამო შვილო. ამ ბედნიერ დღეს შარს არ გადაგვკიდო, ჩამოდი! — გააფრთხილა დიდედამ ზურა. ზურამ დაძველებული ყავარი გადასწია და იქით გაიხედა, სადაც მამა და პურის გამყიდველი ქალი მზია ეგულებოდა.

ზურამ დაინახა, რომ მამა რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო. მზია კი საკმაოდ ენერგიულად რაღაცას უხსნიდა. მამა დროდადრო შეხედავდა ხოლმე პურის გამყიდველს სახეში. მერე მზიამ უფრო დამშვიდებით იწყო ლაპარაკი. ბოლოს სულაც გაჩუმდა და გაილურსა. რამდენიმე სიტყვა მამამაც უთხრა, თანაც სულ ახლოს მივიდა მზიასთან. ისე იდგნენ გარინდებულები, მერე მამამ სახლისაკენ გამოიხედა და მზიას აკოცა...

ზურა სხვენზე დაყრილ მტვრადქცეულ მიწაში იწვა და სლუკუნებდა, როცა დიდედა დარომ ამოიხედა, ამოყო თავი სხვენზე და თავში შემოიკრა ორივე ხელი.

ღამეა. მთვარით განათებულ ეზოში მწყემსები წვანან ტახტზე. ზოგს ნაბადი ხურავს, ზოგს საბანი. მწყემსები ხვრინავენ. მამა აივანზე წევს. სძინავს. დიდედა და ზურაც წვანან ჩახუტებულები.

— სკოლაში ფრიადოსანი მეყოლები, მერე უმაღლესში ისწავლი და იქაც ფრიადოსანი მეყოლები, მერე იმსახურებ და წითელ კაკა-კუკებს მოუტან ხოლმე დიდედასა, დიდედა გენაცვალოს, ზურურა, დაიძინე, შვილო, დილაზე ადრე უნდა ადგე. ჰოი, როგორ გაიხარებენ მწყემსები! — დიდედამ თავი წამოსწია და ზურას დახედა. ჩასძინებოდა დიდედას სიყვარულით გამთბარ ონავარ შვილიშვილს.

დილაა. ალაყაფი ღიაა. თავიანთ ბაჯაჯგუნა ცხენებზე გადამსხდარი მწყემსები დიდედა დაროს ბოხოხებს უხდიან, ემშვიდობებიან. ზურას დავიწყებია გუშინდელი წყენა და მაღალ ცხენზე ამხედრებული სიხარულისაგან ცას ეწევა. გუგამ ხურჯინი გადაჰკიდა ცხენს და თვითონაც მოაჯდა. შვილი მაგრად ჩაიხუტა მამამ, ერთი დაჭაჩა აღვირი, ყალყზე ასწია მაღალი ულაყი. თვალის დახამხამებაში ღობეს გადაევლო და ნაპერწკლის კვესებით გავარდა ვიწრო შესახვევში. მწყემსებმაც გადაჰკრეს თავის ცხენებს მათრახები, მაგრამ მხარდამხარ შაინც ვერ მიჰყვნენ გუგას ცხენს. სწორ ქუჩაზე რომ გავიდნენ, გუგა უკვე შორს მიჰქროდა, მაინც ლეწეს მათრახები მწყემსებმა ცხენებს. ცხენები გზას გაეკვრნენ, მაგრამ დაწევით კი ვეღარ დაეწიენ წინ გაჭრილ მხედარს. ქუჩაში ხალხი გამოფენილიყო და სანახაობას აღტაცებული ადევნებდა თვალს.

თვალებგაბრწყინებული მამა-შვილი ქალაქიდან გაცვივდნენ:

— მიდი, მამი, მიდი! — ჰყიოდა თვალებგაბრწყინებული ზურა და ხელს უქნევდა ისედაც გაფიცხებულ თაფლას.

ქალაქს რომ გასცდა და მინდორი დაინახა, მაშინ სულ გადაირია სიხარულისაგან დიდი ტრამალების თაფლა-ულაყი. ალბათ, სამშობლო მოაგონა ამ პატარა მინდორმა. მთელ სიგრძეზე ჰიმავდა წინ გატყორცნილ ღონიერ ფეხებს. მიწას ბოლ-ბორიაყი ასდიოდა ღონიერი ფლოქვების ცემისაგან.

— ნახე-ნახე, მანქანებსაც გაასწრო, მამი! — ხელს იშვერდა ზურა.

— აკი გითხარი, ყველას გაასწრებს-მეთქი, — ამაყად ჩასჩურჩულებდა მამა შვილს ყურში...

ერთგან განგებ შეაჩერა გუგამ ცხენი, ბიჭიც ჩამოსვა.

— დავუცადოთ, რომ დაგვეწევიან, მაშინ კიდევ გავუსწროთ, გინდა? — მამამ ზურას აკოცა.

— მინდა! — მხარი დაუჭირა აზარტში შესულ მამას აღტაცებულმა ზურამ...

როგორც იქნა, ცოტახნის შემდეგ მწყემსები გამოჩნდნენ.

— რაშია საქმე? — დასჭყივლა რომელიღაცამ.

— არაფერში, აჭენეთ, მაინც გაგასწრებთ, — ხელი გაუქნია მთებისაკენ გუგამ.

მწყემსებმა გაქუსლეს.

კვლავ შესვა ზურა ცხენზე მამამ, თვითონაც შეჯდა და სულ მოკლე ხანში დაეწივნენ მწყემსებს და კვლავ გაუსწრეს.

ზურას სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. მინდორი თანდათან შეიკრა და ხეობა დაიწყო. თაფლა ულაყმა სისწრაფეს უკლო. მარცხნივ და მარჯვნივ აბრუნებდა თავს და საეჭვოდ ფრუტუნებდა. მერე ხეობაც შეეიწროვდა და მალე სრულიად შეიკრა. ულაყმა უფრო შეანელა სვლა და, ბოლოს, კიდეც ვაჩერდა დიდი მთის ძირში.

ბევრი უქნიეს ზურამ და მამამისმა ხელიც, ფეხიც, ქუდიც, მაგრამ ცხენი წინ არ მიდიოდა. ადგილზე ტორტმანებდა, ხვიხვინებდა, ფრუტუნებდა და დაძვრას არ აპირებდა. გაკვირვებულმა ზურამ მამას მიხედა:

— რად გაჩერდა, მამი?

— არ ვიცი, შვილო, დაიღლებოდა, შორი გზა გამოვიარეთ. ჩამოდი, დავისვენოთ, არ მოგშივდა?

მამა ცხენიდან ჩამოვიდა და ზურაც ჩამოსვა. ზურას მამამ ცხენს უნაგირი მოხსნა, აღვირი გამოაცალა პირიდან, ხელი გადაუსვა და საბალახოდ მიუშვა.

საუზმობენ. მაღალი ცხენი ბალახსა ძოვდა. ხანდახან შედგებოდა, თავს მაღლა აიღებდა, წინ აყუდებულ თოვლიან მთას შეხედავდა, ფრუტუნს და ტოკვას იწყებდა.

— რა ჯანდაბა მოსდის, ნეტა ვიცოდე, — ჩაილაპარაკა გუგამ.

— რა თქვი, მამი? — ზურაც წამოდგა.

— არაფერი, ხამად არის ამ ადგილებში და უცხოობს, შვილო, თანაც დაიღალა. დაისვენოს და მოძოვოს ბალახი; მერე ნახე!

ზურას გაეღიმა.

მალე მწყემსებიც მოადგნენ.

— ჩამოხტით, ლუკმა გაღეჭეთ, — სთხოვა გუგამ.

— არა გვინდა რა. გაგვიძეხ, ბერო მინდიავ. — გადმოსძახა თიბომ.

მამამ ჯერ ზურა შესვა, თვითონ აღვირში მოკიდა ხელი და წინ გაუძღვა. თაფლა-ულაყმა ფრუტუნსა და ტოკვას უმატა და, ბოლოს, სულაც გაჩერდა.

— რად გაჩერდა, მამი? — ჰკითხა ნაწყენმა ზურამ მამას.

— არ ვიცი, შვილო. ქვეყანა შემომატარა და ჯერ ასეთი რამ არ დამართვნია. — გუგამ ბიჭი ჩამოსვა და მათრახი ლეწა ზედიზედ ცხენს. ცხენი სულაც დაწვა.

— აჩუ, სამგლევ, გასწი, რა ჯანდაბა მოგდის?! — დაჰკივლა ზურას მამამ აცახცახებულ თაფლას და მათრახი დაუშინა:

— ნუ სცემ, რა, მამი, ნუ სცემ! — შეევედრა სირცხვილისაგან სახეაწითლებული ზურა მამას.

— ჩუ, შენ ვინა გკითხავს, ბალა ათი შაურიაო! — დაუტია მამამ ზურას და ცხენის ცემა განაგრძო. ცემამ და კიჟინამ არ გაჭრა.

— დამაცა, გუგა, — უთხრა ძია თიბომ მამას. ცხენი კვლავ ბარისაკენ შეატრიალა, შეჯდა და მათრახი არც კი დასჭირვებია, თავისით დაეშვა თაფლა ულაყი თავქვე და ჭენებაზეც კი გადავიდა. თიბომ ცხენი კვლავ მოიყვანა.

— არ გამოგადგება დიდი ტრამალის ცხენი ჩვენს მთებში, გუგო, — უთხრა თიბომ, — ამას არაფერი სტკივა, მთის შიშმა აიტანა, თქვა თიბომ და ცხენი მამას გადასცა.

— შენი უკან გაბრუნება არ ივარგებს, გუგა, მთაში ხალხი გველოდება. აჰა ცხენი, — დაუთმო ცხენი მწყემსმა.

— არა, ეგრე არ გამოვა, ამ ცხენს აქ ვერ დავაგდებ, დიდი ამაგი დამდო. — წყენით გააქნია თავი ზურას მამამ.

— ცხენს მე ჩავიყვან, გუგო, — გამოერია მწყემსი და აღვირი ჩამოართვა.

— დროზე, რაღასა ფიქრობ! — წაუმუჯლუგუნა თიბომ მამას. ზურას გადმოსწვდა უნაგირიდან, დაავლო ხელი, წინ დაისვა და ბაჩაცხენს აღვირი მიუშვა.

სულ ლაწა-ღუწით აჭენდა ძია თიბოს სიმძიმის ქვეშ დაზნექილი პატარა მთიულური ცხენი თოვლიანი მთის შეყოლებაზე. სხვის ცხენს მოაჯდა გუგა და ოდნავ ნაწყენი გაედევნა თიბოს.

დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ერთ-ერთ მწყემს უკან მიჰყავდა დიდი ტრამალების თაფლა ულაყი.

ზურამ რამდენჯერმე გამოხედა მამის ცხენს.

იმ ღამეს დიდედა დარო შამფურივით ბრუნავდა ლოგინში. თვალი არ მოუხუჭია, სულ ზურაზე ფიქრობდა. რამდენჯერმე აანთო სინათლე. ერთხელ საკერავს მიუჯდა და ჩვეული ოსტატობით ამოუკერა ზურას შარვალი. მერე გაზეთი აიღო, მერე ისევ ჩაწვა. გვერდით ზურურას ლოგინი რომ ცარიელი იყო, ეს არ ასვენებდა დიდედას. ერთხელაც ჩასთვლიმა თუ არა, შემკრთალმა გამოახილა თვალი მყისვე, აივანზე ზურას ნაპოვნი ჭრელი ძაღლი წამოხტა და დიდედას გარშემო ატორღიალდა. სკამზე ჩამოჯდა და მოაჯირს დაეყრდნო.

ღამეა.

მაღალ მთაზე საძილედ შეკრული ფარის გვერდში წვანან ნაბადში გახვეული მწყემსები.

ზურა მწყემსებს შორის წევს. ისიც ნაბადშია გახვეული.

სადღაც ქოფაკი აყეფდა. დანარჩენი ქოფაკებიც აყეფდნენ და ერთი მიმართულებით გაიჭრნენ. გუგა წამოდგა, ჯიბის ფარანი აანთო, თან აყოლილი ნაბადი მხრიდან მოიცილა და თოფი მოიმარჯვა. გუგას რომელიღაც მწყემსი გაედევნა.

— ბავშვი არ შეშინდეს! — გამოსძახა მწყემსებს გუგამ და სიბნელეში შეძვრა მცირე სინათლით. ზურას გაღვიძებოდა და ნაბადში გახვეული წამომჯდარიყო.

— ხო არ გეშინია, ბალღო? — კბილების კრეჭით ელაზღანდარება ძია თიბო.

— არა, — პასუხობს ზურა, თუმცა ოდნავ უკრთის ხმა.

— ჰაი, თუ დაიდო ნადირმა მამაშენი და, — როხროხებს თიბო. იქვე ღვინის დოქს. მისწვდა და კარგა ხანს პირიდან არ მოუშორებია. სულ ღარებად ჩამოედინა წითელი ღვინის ნაკადები დიდრონ ლაშებზე.

თოფის გასროლამ შეაწყვეტინა სიამოვნება თიბოს. დოქი მიდგა და თოფდაიღლიავებული წამოდგა. მეორედ იჭექა თოფმა და მაშინ კი დაიძრნენ მწყემსები.

გუგას ფარანი მიწაზე გაშხლართულ დათვს დაჰნათოდა.

მეორე დღეს დათვის მწვადებს აშიშხინებდნენ მწყემსები. უშველებელ ნაჭრებად დაეჭრათ დათვი, უგრძეს ხის შამფურებზე აეგოთ და ღრეობდნენ. დათვის ტყავი ბინაზე ჰქონდათ გაკრული. შეზარხოშებული გუგა ომის ამბებსა ჰყვებოდა.

— საიდან სადა სდიეთ, ბუნაგში შეუვარდით და ჰიტლერი როგორ ვერ დააღრჩე, გუგა? როგორ ვერა სწვდი და კედლებს ვერ შემოანარცხე ის მტარვალი, ისა. ჰოი, იქა ვყოფილიყავი. დედას ვუტირებდი, სულ ასო-ასო ავკუწავდი! — ბრდღვინავს თიბო და დათვის წვივის ძვალს ხელებში ამტვრევს.

— ეგრე გულდაგულ არ იყო, თიბო, საქმე, შენ როგორცა გგონია. ისე შევაღონეთ, ისე, რომა თითონ გამოიჭრა ყელი, თავის ხელითა, — უხსნის და ამშვიდებს გუგა თიბოს.

პატარა მთიულურ ცხენზე გადამჯდარი მხედარი გამოჩნდა, რომ მოახლოვდა, ყველანი წამოცვივდნენ და შეეგებნენ. მხედარი დიდედა დარო იყო. ღელავდა.

— ან კი რა ჭკუაზე დავდექი, ბავშვი რომ ამ კლდეებში გამოგატანეთ. დღეს დათვი მოგინადირებიათ და უწყალოთა ღრღნით, ხვალ რო დათვმა გიხელთოთ, ან ამ ბიჭს რამე მოუწიოს, სიზმრებმა აღარ მომასვენეს.

— ჩამობრძანდით, ნათლი დარო. — სთხოვა მწყემსმა.

— აბა-ბა-ბა, ბავშვი შემომისვით, წამოხვალ ზურა, ჰო, შვილო? — ზურამ თავი დაუქნია.

მწყემსები ხარხარებენ.

— რომელი შვილი მოგაწოდოთ, ნათლი დარო? — როხროხობს თიბო, გუგას ხელს დაავლებს და ცხენზე შესასმელად გაიწევს.

კვლავ სიცილ-ხარხარია.

თიბომ ზურა გადაკოცნა და დიდედას შემოუსვა ცხენზე.

— მეც წავალ, ბიჭებო, სახლი მისახედია, — თქვა გუგამ.

— დარჩი, ვიმხიარულოთ, სახლში წასვლასაც მოესწრები.

— მართლა, ნათლი, გუგას ჩამოყვანილი ულაყი როგორი ღალიანი გამოდგა, ხო ვერ გვეტყვი? — როხროხებს თიბო.

— ცხენი რომ ჩამომიყვანეთ, კინაღამ ჩემი დამემართა, მაშ არ გამოდგა სააქაოდ, ჰა? — იკითხა დარომ.

გუგამ მწყემსები გადაკოცნა.

— ქორწილი არ გამოგვაპარო, — ჩასჩურჩულა თიბომ.

გუგამ თავი გააქნია და მთიულურ ტანმორჩილ ცხენს მოახტა.

„ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავს.
დაბრუნება და შინ მისვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“...

გუგუნებს მწყემსების დაჭექილი სიმღერა მთებში.

ოდნავ ნაღვლიანი მიუძღოდა გუგა წინ დიდედასა და შვილიშვილს...

— მამა სად არი, დიდედ? — იკითხა აივანზე გამოსულმა ნამძინარევმა ზურამ.

— სამსახურში.

— მერე მეცხვარეები, დიდ?

— მამაშენი საქონლის ექიმია. დედა ენაცვალოს, სამსახურში აქ ჩაეწერება, ისე კი სულ მწყემსებში უნდა იაროს.

— კბილის ექიმი გახსოვს, დიდ? — ეღიმება ზურას. დიდედა ღიმილით უქნევს თავს.

— ერთი თვის შემდეგ სკოლაში უნდა წავიდეთ მე და შენ, — ამბობს დიდედა და ზურას ეხვევა.

— შენ რაღადა, დიდედ?

— წაგიყვან სკოლაში, დაგელოდები და წამოგიყვან ხოლმე.

— თვითონ ვივლი, დიდედ, მარტო ვივლი!

— როცა გაიზრდები, მარტო მაშინ იქნები.

— არა რა, დიდედ, შინ ვინღა იქნება, შენც რომ იარო?

— შინ დედაშენი იქნება.

— ვინ დედაჩემი, დიდედ? — თვალები დააჭყიტა ზურამ.

— პურის მაღაზიაში რომ კარგი დეიდა მზია, კარგ პურებს რომ აგირჩევს ხოლმე, ის ჩვენთან იცხოვრებს და შენი დედა იქნება.

— თენგოსაც კარგ პურჯებს ურჩევს ხოლმე, დიდედ, პურის გამყიდველი, — განზე გაუდგა ზურა საალერსოდ დახრილ დიდედას.

— დეიდა მზია ჩვენთან იცხოვრებს და შენი დედა იქნება! — ცოტა არ იყოს მკაცრი გამომეტყველება მიიღო დიდედამ.

— ჩემი რათა, დიდედ?! თენგოსი იყოს, თუ კარგია...

— კარგი, ზურა, არ გამაჯავრო! — ხმა აიმაღლა დიდედამ.

— თენგოსი იყოს, თენგოსი იყოს! — გაკაპასდა ზურა.

— ზურა, არ გამაჯავრო!!.

— გაჯავრდი რა, გაჯავრდი რა! — ზურა დიდედას დაეჯღანა და ენაც კი გამოუყო.

— უი?! — გაოცდა დიდედა, — არ გრცხვენია, ზურა?! — ნაწყენი დიდედა კიბეზე ჩამოჯდა.

— არა მრცხვენია! არა, არა! — უფრო გაკაპასდა ზურა. ცრემლებიც წასკდა, — ჟანას მამა დაიღუპა, შავი ქაღალდი მოვიდა. არა მრცხვენია, არა!

— რა ვქნათ, შვილო, ნახევარი ხეობა იქ დარჩა, შვილო, რძეში ფულს არ ვართმევთ, მაწონში — არა, ე პური ყველას თანაბრად გვეძლეოდა და ახლა შვება მოგვცა, სხვა რა ვქნათ, შვილო?! ჩვენ გადავრჩით და მთლად არ გავიპეპყეთ, ნახევარი ხეობა ქვის ქვეშა წევს. რა ვქნათ, შვილო, რა ვქნათ, იირო?! — მოსთქვამდა ატირებული დიდედა, კიბის თავში. კიბის ბოლოს კი ზურა ღრიალებდა. არც ზურა წავიდა პურზე, არც დიდედა გასულა. პურის გამყიდველმა დეიდა მზიამ თვითონ მოიტანა პური. და განა, მარტო პური. სათამაშოები, ტკბილეული. ზურამ დამალვა ვერ მოასწრო, ისე მოულოდნელად შემოვიდა დეიდა მზია:

— დღეს რატომ აღარავინ გამოჩნდით პურზე, გამარჯობა, ზურა, — გაუღიმა დეიდა მზიამ და ლოყაზე აკოცა ზურას.

— გაგიმარჯოს, — უთხრა ზურამ და ხელი მოისვა ლოყაზე.

დეიდა მზიამ თავზე რაღაც თავსაფარი მოახვია დიდედას და აკოცა კიდეც. ზურა სულ დაიბღვირა ამაზე. ერთ ხანს რაღაცაზე ისაუბრეს დიდედამ და პურის გამყიდველმა. წასვლისას დაემშვიდობა დეიდა მზია ზურას და კიდევ აკოცა. ზურამ ისევ მოისვა ხელი ლოყაზე. როცა დეიდა მზია ეზოდან გავიდა, მაშინ კი ძალიან გაუწყრა დიდედა ზურას.

— რად მოიწმინდე ლოყა, როცა დეიდა მზიამ გაკოცა?!.

— დამისველდა და იმიტომ, — ჯიუტად თქვა ზურამ.

— მოვიდეს მამაშენი, ვუთხრა!

— დამისველდა და იმიტომ მოვიწმინდე, — კვლავ თავისას ბუზღუნებდა ზურა.

იმ ღამეს რამდენჯერმე შეამოწმა ზურამ აივანზე გაშლილი მამის ლოგინი. ლოგინი ცარიელი იყო...

დილას მაინც გაუხარდა ზურას მამის გამოჩენა. დიდედასაც გაეხსნა სახე, მამამ კისერზე შეისვა ზურა.

— მალე მოვალთ! — დაუძახა დიდედას და ჭენებ-ჭენებით გავიდა ეზოდან, დიდედამ ჭიშკრამდე მიაცილა და თვალი გააყოლა...

მთელი ქალაქის მაღაზიები დაატარა მამამ. ზოგან სასკოლო ფორმა უყიდა, ზოგგან სათამაშოები. დედა ენა და სხვა წიგნებიც ბევრი უყიდა, ვინც კი შეხვდებოდა გზაში, ყველას შინ ეპატიჟებოდა მამა.

— ხვალ უეჭველად მობრძანდით ჩვენთან.

— ააა! — ღიმილითვე პასუხობდნენ ნაცნობები. — დიდი სიამოვნებით, — დასძენდნენ ხოლმე, უარი არავის უთქვამს დაპატიჟებაზე.

სულ ბოლოს პურის მაღაზიაში შეიყვანა მამამ ზურა.

— პური გვაქვს, მამი, დიდედამაც ძალიან ბევრი გამოაცხო. დღესაც მოზილა ცომი. აღარ გვინდა პური, მამი, რად გვინდა?!

— კარგი, შვილო, რა მოგვივიდა?! პურს არ ვიყიდით, მარტო დეიდა მზიას დავპატიჟებთ, — უთხრა მამამ და მაინც შეიყვანა ზურა პურის მაღაზიაში. დიდხანს ილაპარაკეს ზურას მამამ და დეიდა მზიამ. პურის გამყიდველის ახალთახალი, მოქარგული ქუდი დედოფალს ამსგავსებდა მოხდენილი გარეგნობის სისხლ-ხორცით სავსე ქალს.

ზურამ თავი ჩაღუნა და მამის კისერს ამოეფარა. იდგნენ და ლაპარაკობდნენ. ვინც კი შემოვიდოდა მაღაზიაში, ყველა იღიმებოდა მათ დანახვაზე. ხელს ართმევდნენ ზურას მამასა და პურის გამყიდველს. ხანდახან ზურასაც მიეცაცუნებოდნენ...

— ხვალ უეჭველად მობრძანდით ჩვენსა. — სულ ეს ფრაზა ეკერა მამას პირზე.

ბოლოს მაინც იყიდა ერთი პური ზურას მამამ, ღიმილმორეულმა დაუქნია პური დეიდა მზიას, მერე პურს აკოცა და მაღაზიიდან გამოვიდა.

— არ მოგშივდა? ჭამე, — მამამ პური მიაწოდა ზურას.

— არა, — თავი გააქნია ზურამ.

— მე კი მომშივდა, — თქვა მამამ და პურს უკბიჩა.

სახლში მისვლამდე, სულ გაათავა მამამ პური. ჭამდა და თან ღიღინებდა.

იმ ღამეს ძალიან ბევრი ილაპარაკეს დიდედამ და ზურას მამამ. ხან მხიარული და მომღიმარი სახე ჰქონდა დიდედას, ხანაც ეღრუბლებოდა გამოხედვა და ცრემლიც უკიაფებდა ღაწვზე. ბოლოს ისე გადაეხვია და ჩაჰკოცნა დიდედამ მამა, თითქოს პირველად ხედავს ომგამოვლილსო.

— იმოდენა ჭირს გადაგვარჩინეთ, შვილო, რომ ჩვენ ყველანი მტლედ უნდა დაგეღოთ, გენაცვალე. ეხლა მაინც გაიხარეთ თქვე გაუხარელნო! ლოცვასავით წარმოსთქვა დიდედამ და კიდევ ჩაიკრა შვილი...

თავის ლოგინში ჩაიწვინა მამამ ზურა და ათასი რამე უამბო...

მამას რომ ჩაეძინა, ზურა ფრთხილად ჩამოვიდა საწოლიდან და დიდედას ლოგინში ჩაწვა...

მეორე დღეს მთელი ეზო აავსეს სტუმრებმა. ამდენი სტუმარი არასოდეს ენახა არც ზურას, არც თენგოს, არც ჟანას, არც სხვა ბიჭებს. მოდიოდნენ და

მოდიოდნენ. მწყემსებიც ბევრი ჩამოვიდა მთებიდან. ყველა ეალერსებოდა ზურას და სათამაშოებს აძლევდა...

ბოლოს ერთხელ კიდევ გაიღო ეზოს კარი და მეზურნეებმაც დასცხეს ტუში.

ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი დეიდა მზია დაინახა ზურამ კარებში.

— ოოო!

— ოოოო!

დაიძახეს სტუმრებმა და დეიდა მზიასაკენ გაეშურნენ. დეიდა მზია ყველას უღიმოდა და ხელს ართმევდა. ამჯერად პური აღარ ეკავა ხელში.

— მიდი, ნუ იბღვირები, მიდი, ხელი ჩამოართვი დეიდა მზიას! — უთხრა დიდედამ ზურას და მცირეც წაუქისტურა, მაგრამ ზურა არც კი განძრეულა. დეიდა მზია თვითონ გამოეშურა ზურასაკენ, გაუღიმა, ხელში აიტაცა და ლოყაზე აკოცა. ზურამ მაინც მოისვა ლოყაზე ხელი, ჩამოხტა და დიდედასაკენ გაკუნტრუშდა.

— რა ხარ, ზურუა, ვინც არ გიცნობს! — მუჯლუგუნთან ერთად ჩასჩურჩულა დიდედამ და დეიდა მზია გადაჰკოცნა...

...ჰო-ჰო-ჰო-ჰო! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ბევრი იცინეს და იმხიარულეს სტუმრებმა, მწყემსებმა სულ ხმალ-ხანჯლითა და თოფის ბათქა-ბუთქით იცეკვეს.

ყველაფერი შეჭამეს და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

მხოლოდ პურის გამყიდველი დეიდა მზია დარჩა ზურაანთ სახლში...

...მახსოვს პირველად
სასწავლებელში,
წასაყვანადა რომ
მომამზადეს...

შორიდან დროდადრო კიოდა მატარებელი. ზურასა და დიდედამისს თენგო და ჭრელი ძაღლი მიაცილებდნენ სადგურისაკენ.

— ვეფხვა, ვეფხვა! — უძახდა ზურა ძაღლს (როგორც იქნა, მოუძებნა სახელი ძაღლს ზურამ, „ვეფხვა“ დაარქვა). ძაღლი ხანდახან მოხედავდა ხოლმე. კარგად არ ესმოდა ახალი სახელის მნიშვნელობა, ზურას ხმის გაგონებაზე იხედებოდა.

ახალი დედა შინ დარჩა, ათასი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი.

ზურას ზურგზე მამის ნაყიდი ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული პირველი კლასის წიგნებით სავსე. ახალი ფეხსაცმელები ეცვა, ახალი ქუდი ეხურა.

— მეცა მაქვს ახალი ფეხსაცმელები, — მოწყენილი ამბობს თენგო და ზურას ფეხსაცმელს ათვალიერებს.

— ვიცი. — ძლივს ლუღლუღებს დარდისაგან გაგუდული ზურა.

— ახალი ტანისამოსიც მაქვს, მარტო სკოლაში უნდა მეცვას, თორე დაგიცვდება და შიშველას გატარებთ სკოლაშიო, დიდედაჩემმა მითხრა. — კონტაქტის დამყარებას ცდილობს თენგო...

— რა ვქნა, დედი, განა გული არ მიკვდება, თქვენ რო სხვაგან გაგზავნით, მაგრამ ისე შემოგჩვევია ეგ ჩემი ბალღი, რო შენს მეტი აღარავინ უნდა და მეც რა ვქნა, ოცდაათისა ძლივასა ვარ, შენ თითონ უფრო არ დამაძალე ცოლის მოყვანა, დედი? ქალსაც მოვწონდი, ჯერ მაშინაც, რაღა დაგიმალო და, ცოლიც რო მყავდა, მაშინაც გაორებული ვიყავ, მაგრამ ოჯახის დანგრევას არა ვცდილვარ...

— როდის გამტყუნებ, შვილო, მაგრამ თოფის წამალივით იფეთქე, ბავშვსაც ხო უნდა შესჩვეოდი. ჯერ შენ არ მოგჩვეოდა და ახალი დედის შეჩვევა დასჭირდა. ე, პატარა გული უფანცქალებს, შვილო გუგა, და რა ქნას! განა ქვა იმიტომ ესროლა, რომ ეჯავრებოდა, არა, თავისი სასიყვარულო ადგილი სხვისა დაკავებულად ჩათვალა და ამის გამო მოხდა, თორემ...

— რა ვქნა, დედი, მე თქვენ ყურადღებას არ მოგაკლებთ, ხშირადაც გინახულებთ, ერთ-ორ წელიწადში მგონი თითონაც წამოიჩიტება, მიხვდება, შორიდან რომ არც მზია მოაკლებს მზრუნველობასა. ბალღსაც გული გამოუწევს და მერე ისევ ერთად ვიქნებით, დედი, დამერწმუნე!..

დიდედამ თავი დაუქნია:

— დროზე, ზურურა, მატარებელმა არ გაგვასწროს!.. — ეძახის დიდედა. მამაც უკან იხედება და ზურას უცინის. ზურამ და თენგომ ნაბიჯს აუჩქარეს, ვეფხვამაც უმატა ცუნცულს.

— სულ ხუთიანებზე უნდა ისწავლო, ზურა? — ეჩურჩულება გვერდით მიმავალი თენგო ზურას.

— ხუთიანებზე და ექვსიანებზე, — თავს უქნევს ზურა თენგოს.

— შვიდი, რვა, ცხრა, ათი, — აგრძელებს თენგო.

— თენგო, ვეფხვა შენ უფრო გამოგყვება, მამაჩემს კარგად არც იცნობს, შენი ძაღლი იყოს თუ გინდა, კარგი, თენგო. დეიდა მზიასაც კარგად არ იცნობს, შეიძლება ერთი კარგად უკბინოს კიდეც ფეხზე და მაშინ სულაც გააგდებენ. ვეფხვა შენი ძაღლი იყოს, თუ გინდა.

— ჩვენ ხო გვყავს ძაღლი, ბამბულა.

— ეგეც შენი იყოს, თენგო, ორი ძაღლი გეყოლებათ.

— დიდედაჩემსა ვკითხავ.

— სანამ ჰკითხავ, მანამდეც შენთან იყოს, თენგო.

— კარგი, ზურა.

— დროზე, ზურურა, მატარებელმა არ გაგვასწროს! — კიდევ აფრთხილებს დიდედა ზურას. მამაც იხედება და უცინის. საგარეოდ აცვია დიდედას: შუბლის ჭინჭისთავიც აქვს მიბნეული...

— რძე შენ მიუტანე ხოლმე, ჟანაანთა. — არიგებს ზურა.

— თქვენებმა თუ გამატანეს, მივუტან.

— დიდედამ გააფრთხილა ჩვენები, გაგატანენ.

— მივუტან.

ბიჭებმა ნაბიჯს აუჩქარეს.

— ომი რომ გათავდებოდა, მეგონა, ჟანაანი წავიდოდნენ, — მოწყენილი ამბობს ზურა.

— როცა დაგითხოვენ, ხო ჩამოხვალ, ზურა?

— ჩამოვალ, მა იქ რა მინდა?

— კარგ სახლში იცხოვრებთ, ზურა? — ისევ ეკითხება თენგო.

— მამას აურჩევია, კარგიაო... რამოდენა ვირთაგვა დაიჭირა გუშინ ჩვენმა ვეფხვამ, რამოდენა, რო! ვეფხვა! ვეფხვა! — ეძახის ზურა ძაღლს და სადგურის კიბეებზე არბის თენგოსთან ერთად.

ათასნაირი წამსვლელ-დამრჩენით არის აჭრელებული მთებში მომწყვდეული პატარა სადგური.

ოხრავს და ჭშინავს შავი ორთქლმავალი, ხალხით იტენება მწვანე ვაგონები...

დიდხანს ეჭირა ხელში ზურა მამას, ეჭირა და კოცნიდა:

— როგორ ისწავლი, შვილო?

— ხუთიანებზე, ექვსიანებზე, შვიდი, რვა, ცხრა, ათი...

— წერას როცა ისწავლი, წერილებს მოგვწერ?

— ჰო, — უთხრა ზურამ და კოცნა დაუწყო მამას.

— გაგისკდათ სიყვარულის ჭოთანი, გეყოფათ, არ დაგვაგვიანდეს! — გაიფრთხილა დიდედამ ორივე...

მამამ კიდევ ერთხელ აკოცა ზურას და სკამზე დასვა.

ზურამ და თენგომ არ აკოცეს ერთმანეთს, მხოლოდ ხელი ჩამოართვეს. სამაგიეროდ დიდედამ ჩაკოცნა თენგო, მერე მამამ და დიდედამაც გადაკოცნეს ერთმანეთი...

— კუ-კუუ! — დაუყვირა ორთქლმავალმა და ადგილიდან დაიძრა.

თვალებამოხალული, ბრმა მევიოლინე უკრავდა ვაგონში ზურასა და დიდედას მახლობლად, თან მღეროდა:

„ბახსოეს პირველად,
სასწავლებელში...“

ერთ თვეზე მეტია, რაც ზურა და დიდედამისი დიდი ქალაქის სკოლაში დადიან. სკოლის შენობას რომ მიუახლოვდებიან, ზურა დიდედას ეხვეწება:

— შინ წადი, დიდედ, მე მარტო შევალ სკოლაში, წადი რა!

— საკლასო ოთახამდე მიგიყვან და მერე წავალ, დილა მშვიდობისა, — მიესალმა დიდედა გამვლელს.

— არა რა, დიდედ, არა რა! სულ ეგრე იძახი და მერე კი აღარ მიდიხარ ხოლმე, წადი რა...

— დილა მშვიდობისა! დილა მშვიდობისა! — სალამს აძლევს დიდედა ყველა მასწავლებელს და კიბეებზე ადის ზურასთან ერთად.

— მშობელთა კომიტეტია დღეს. — უღიმის რომელიღაც მასწავლებელი ზურას დიდედას.

— ბავშვსაც თან წამოვიყვან, ისე ვერა.

— ბავშვით არ შეიძლება, — თავზე ხელს უსვამს ზურას შემხვედრი.

— მაშ ისე ვერა, გენაცვალეთ, პირველ რიგში მე ჩემი ზურურა მაბარია, მერე კომიტეტი. დილა მშვიდობისათ, — ახლა სხვას მიესალმა დიდედა.

— დილა მშვიდობისათ, დარო, დღეს უღმერთოების კომიტეტი გვაქ, წევრი ბრძანდებით, უნდა დაგვესწროთ.

— ბავშვით გეახლებით. შუადღის შემდეგ არი ხომა?

— სამზეა, ბავშვით კი არ შეიძლება, ვინმეს ჩააბარეთ.

— ჯერ მე ჩამაბარეს, ახლა მე სხვას ჩავაბარო. ერთიც ვნახოთ და ის სხვაც კრებაზე გამოიძახონ, იმანაც რო სხვას ჩამიბაროს ეს მარგალიტივით შვილიშვილი, მერე ვიღასა ვდიო. აღარც ღმერთი მიშველის და აღარც უღმერთობა, — იღიმება დარო დიდედა. ზურა კი სულ წითლდება და წითლდება...

დიდედა და ზურა პირველები შედიან კლასში. თანდათან ივსება კლასი მოსწავლეებით, მასწავლებელიც შემოდის.

— დილა მშვიდობისა, — თავს უკრავს დიდედა მასწავლებელს, — როდის ზარი დაირეკა, — შენიშვნას აძლევს დიდედა მასწავლებელს, კლასიდან გამოდის. კარში შედგება, ერთხელ კიდევ მიხედავს ზურას, მერე დამლაგებლის სკამს აიღებს დერეფანში, საკლასო ოთახის კარებთან მიიტანს და ჩამოჯდება.

დროდადრო გასაღების ჭუჭრუტანაში იხედება დიდედა და შვილიშვილს ხედავს.

ზურა გრძნობს დიდედის მზერას, თავს კარებისაკენ აბრუნებს და სახეალეწილი თვალს თვალში უყრის დიდედას, მერე კვლავ მასწავლებელს შესცქერის ზურა.

— ია, აი ია, — ამბობს მასწავლებელი.

— ია, აი ია, — იმეორებს ზურა...

ხანდახან დაფაზე დაწერს მასწავლებელი ასოებს ან ჯოხებს. დაწერს და წააკითხებს რომელიმეს:

— ერთი, ორი, სამი... ია, აი ია, — ამბობს ზურა. გაკვეთილი გრძელდება...

ზოგჯერ ჩურჩული გადაუფრენს მერხებს, მერე რომელიმე გაიცინებს, დანარჩენებსაც მოედებათ სიცილი და წესრიგი ირღვევა კლასში. ფრთხილად გაიღება საკლასო ოთახის კარი, ზურას დიდედა შემოიხედავს. რომ ნახავს, ზურა წესრიგს არ არღვევს, დანარჩენებს შეათვალიერებს, თავს გადააქნევს და ისევ გაიყურავს კარს. ზურა გაწითლდება დიდედას დანახვაზე, ტუჩს კბილებშუა მოიგდებს და მასწავლებელს მიანათებს შემკრთალ თვალებს.

თუ გარეთ გაუძახა მასწავლებელმა რომელიმე წესრიგის დამრღვევი, მას დიდედა შეეგებება.

— აღარ გინდა განა სწავლა?!

— მინდა.

— თუ გინდა, აქ ჩემთან რას გამორბიხარ, აგე მასწავლებელი, — საკლასო ოთახისაკენ მიუთითებს დიდედა დამნაშავეს.

სიჩუმე.

— რომლისა ხარ? — ისე ეკითხება დიდედა, თითქოს მთელი დიდი ქალაქის მოსახლეობას სახელითა და მამის სახელით იცნობდეს.

— ჰყონიასი, — თავდაბრილი ლუღლუღებს კამფეტივით კარგად შეხვეული ბავშვი.

— ვისიო? — გაკვირვებულია დიდედა.

— ჰყონიასი, — კვლავ იმეორებს ბავშვი.

— რას ამბობ, ბავშვო? — სახტად რჩება დიდედა, მერე ზარიც ირეკება. მასწავლებელი კლასიდან გამოდის. ბავშვებიც გამორბიან. დიდედა შემოდის კლასში, ზურას მერხზე ჩამოჯდება და ჰკითხავს:

— შენც ხო ცუდად არ იქცევი, ზურურა?

გაბრაზებული ზურა დგება და ფანჯარასთან მიდის. ფანჯრიდან მოჩანს დათოვლილი მთები: ერთი მთა, მეორე მთა, მესამე მთის ძირას ზურას პატარა ქალაქია...

გაკვეთილები რომ დამთავრდება, დიდედა და ზურა შინისაკენ მიეშურებიან ხელიხელჩაკიდულები. ბაზარზეც შეივლიან სანოვაგისათვის.

ომგადახდილ ბაზარს ლამის ცეცხლი წაეკიდოს.

— რა ღირს ხახვი? — ეკითხება დიდედა გამყიდველს.

— თუმანი.

— უი, უი, უი! ოქროსფერი როა, იმიტომ გინდა ოქროს ფასად გაყიდო? — თავს აქნევს დიდედა და დახლებს შუა მიიკვლევს გზას ზურასთან ერთად.

— ქინძი რა ღირს? — ეკითხება დიდედა ახლა სხვა გამყიდველს და ქინძის კონას იების კონასავით ყნოსავს.

— მანეთი, — აცხადებს ფასს ქინძის გამყიდველი.

— უი, უი, უი! მინდვრის ქინძი და ასეთი ძვირი?! ბელურების დათესილი, ტოროლების, მწყერჩიტების დათესილი ქინძი! უი, უი, უი! — თავს აქეთიქით აქნევს დიდედა და დახლებშუა მიცუხცუხებს ზურასთან ერთად.

— რა ღირს ნიორი? — კვლავ ჩერდება დიდედა.

— თხუთმეტი მანეთი, — ხვიხვინებს გამყიდველი.

— უი, უი, უი, არცა გრცხვენიათ! მიწიდან ამოსული მაინც არ იყოს! უი, უი, უი! — გარბის დიდედა და მიაქროლებს ზურას.

— მაშ არა და, მთვარიდან ჩამოგიკრეფავ! — ესმის ზურას გამყიდველის ჭიხვინი. უკან იხედება ზურა, გამყიდველს ენას უყოფს და ისევ დიდედას მისდევს.

— უღმერთოების კომიტეტიო, მშობელთა კომიტეტიო, ერთი რატო ბაზრის კომიტეტში არ დამიბარებენ, რო! მე ვიცი, მე მაგათა!.. — თავისთვის იმუქრება დიდედა...

— აფსუს, ჩვენი ეზოს ნიორი, ჩვენი შაქარივით ნიორი! აფსუს, ჩვენი ქინძი, პეპლებივით ფოთლები რომ ჰქონდა! ჩვენი ლურჯი ხახვი!... აფსუს!

აფსუს! — ისეთი სასოებით იგონებს თავის ბოსტანს დიდედა, თითქო ლოცულობსო.

ბოლოს მაინც ყიდულობს დიდედა მცირე სანოვაგეს, მწვანილს და ვიშვიშით ტოვებს ბაზარს... ტრამვაიში სხდებიან დიდედა და შვილიშვილი ზურურა და წკარა-წკურით ბრუნდებიან შინ.

უკანასკნელი ორი-სამი ასო ჯერ კიდევ არ იცოდა ზურამ და შინ გასაგზავნად დაწერილ წერილში ყველა სიტყვა როდი ჰქონდა დასრულებული. ზოგ სიტყვას ერთი ასო აკლდა, ზოგ სიტყვას ორი კბილი ჰქონდა ჩავარდნილი და, როდესაც მასწავლებელმა გაკვეთილზე უკანასკნელი სამი ასო: ხ, ჯ, ჰ, — გააცნო, ზურამ ვეღარ მოითმინა გაკვეთილის დამთავრებამდე, ერთი კი გაიხედა კარის ჰუჰრუტანისაკენ, დიდედა ხომ არ მიყურებსო და ახლად გაცნობილი ეს სამი ასო ჩასვა იქ, სადაც საჭირო იყო:

„დიდედა როცა კლასში იხედება, მასწავლებელი ჯავრობს ხოლმე. ჰაერი“.

ანბანის უკანასკნელი ასო „ჰ“ არ სჭირდებოდა წერილში ზურას, მაგრამ მაინც დაწერა „ჰაერი“.. და, ის იყო კონვერტში უნდა ჩაედო წერილი, რომ მასწავლებელმა ჩამოართვა:

— კლასგარეშე მუშაობა გაკვეთილების შემდეგ! — გაუწყრა მასწავლებელი. ზურა ძალიან გაწითლდა და საკლასო ოთახის კარს გახედა. კარი არ გაღებულა, მაგრამ ჰუჰრუტანაში მაინც დაინახა დიდედას თვალი. მასწავლებელმა რაღაც ჰკითხა ზურას...

ზურამ ვერ უპასუხა. მერე კიდევ რაღაც ჰკითხა მასწავლებელმა. ზურა გაილურსა. მასწავლებელმა საკლასო ჟურნალი გადაშალა და ზურას გვარის გასწვრივ... „2“ ჩაწერა.

ზარი დაირეკა. მასწავლებელი გავიდა. ბავშვები გარეთ გაიქცნენ. ზურა ისევ ისე იდგა გალურსული.

— ვაიმე, დიდედ, ორიანი მივიღე, დიდედ! — აღრიალდა უცებ ზურა და ნიაღვარივით წასკდა ცრემლები.

— სუ, შვილო, სუ, ძირო, სუ ჩემო მარგალიტის მტევანო, ნუ ტირი, ზურურა! — გულში იკრავდა და კოცნიდა დიდედა ზურას.

— ვაიმე, დიდედ, ორიანი! ხუთიანებზეო, დიდედ! — ვერ ჩერდებოდა ზურა.

— მერე ხუთიანს მიიღებ, ზურურა! ჩუ, შვილო, ჩუ, ძირო! — კვლავ ჰკოცნიდა და გულში იხუტებდა დიდედა ზურას. ზურა მაინც არ ცხრებოდა, ისევ ისე მოთქვამდა. მაშინ დიდედამ სასწრაფოდ ჩაალაგა ცრემლებით დამბალი ზურას წიგნები ჩანთაში, ზურას ხელი მოჰკიდა და შინ წაყვანა დაუპირა, მაგრამ ზურა კარებიდან გამოექცა და ისევ თავის მერხში შეძვრა:

— უნდა ვისწავლო, დიდედ, კიდევ ერთი გაკვეთილი, დიდედ! — ტიროდა ზურა.

ზარის წკრიალმა დააშორა დიდედა და შვილიშვილი ერთმანეთს.

— სწავლას ვინა ჩივის და ჭამის მადაც არ დაუკარგო! — მწყრალად წას-

ჩურჩულა დიდედამ მასწავლებელს და დერეფანში გავიდა. ბოლო გაკვეთილი დაიწყო...

იმ დღესაც შეიყვანა დიდედამ ზურა ბაზარში სანოვაგის საყიდლად. ყველაფერს ყიდულობდა დიდედა: ხახვს, ნიორს, ქინძს, ვაშლს, მსხალს, ქლიავს.

— ესა, შვილო? — ეკითხებოდა დიდედა და სანოვაგით გატენილ დახლებთან აჩერებდა ზურას.

ზურა თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად. დიდედაც ყიდულობდა და ყიდულობდა; არც ევაჭრებოდა, არც საქონელს იწუნებდა. თავისი ჩანთა რომ გაავსო სანოვაგით, დიდედამ თავშალი წაიძრო და ისიც გაავსო ხილ-ბოსტნეულით და სანოვაგით.

— ესეც ესე, ესეც ესე, ესეც ესე! — როგორღაც მკაფიოდ იძახდა დიდედა და სანოვაგეს სასწორის თეფშიდან ჩანთაში სცლიდა.

და მოულოდნელად თვალები გაუბრწყინდა ზურას:

— ძია თიბო, დიდედ, ძია თიბო, აგერ, დიდედ! ძია თიბოო! — იმხელა იყვირა ზურამ, რომ ყველამ მათკენ მოიხედა. სანამ დიდედა მიბრუნდებოდა, ზურა უკვე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა საზამთროს გორებისაკენ. ერთ დიდ შეკოკოლავებულ საზამთროს მთასთან აყუდებულიყო სახეგაბადრული ძია თიბო და თქაფა-თქუფით ნთქავდა სისხლივით წითელ ვეებერთელა საზამთროს. გარშემო ხალხი დახვეოდა. ძია თიბოს ფეხებთან დაყრილ საზამთროს ქერქებზე აძვრა ზურა.

— ეს მეცამეტეა! — იძახდა ვიღაცა კაცი აღტაცებით.

— არა, ბატონო, ეს მეთორმეტე საზამთრო გახლავთ! — გაიძახოდა ქალი.

ძია თიბო იღიმებოდა და საზამთროს კურკებს საფანტივით აფრქვევდა ვეება პირიდან.

— ძია თიბო, ძია თიბო! — იყვირა ზურამ, ახტა და ყელზე ჩამოეკიდა ძია თიბოს.

— ზურა! ზურურა! — დაიგრუხუნა გახარებულმა ძია თიბომ, დაუმთავრებელი საზამთრო ძირს დაადგა, ერთხელ კიდევ გამოაფრქვია საზამთროს კურკები და ორივე ლოყა დაუკოცნა ზურას. დიდედასაც ჩამოართვა ხელი ძია თიბომ და გადაკოცნა.

— დიდ საქმეებზე ვარ გამოძახებული! — აცნობა დიდედასა და ზურას. — სიზმარში რო მენახა, მაინც ვერ დავიჯერებდი, — სახე ებადრებოდა თიბოს. მთელი ბაზარი თვალწინ გადაეშალა ძია თიბოს მხარზე წამოსკუპებულ ზურას. ერთი ხელის დაკვრით გააპო ზვინზე საზამთრო, ნახევარი ზურას ააწოდა, ნახევარიც დიდედას მიართვა.

— ეს-ეს არის, გეახელით, — იცრუა დიდედამ და საზამთრო არ გამოართვა. ზურა ჭამდა და საზამთროს წვენი ზედ ჩამოსდიოდა ძია თიბოს, მაგრამ ის აინუნშიაც არ აგდებდა ამას.

— სანაძლეო წაგებული გაქ, წაგებული! სრული თორმეტი ცალი არ შეგიჭამია, ნახევარი გადააგდო, ხალხნო! — წრიპინ-წრიპინით წააყარა შაუულვაშა

და პატარა ტანის გამყიდველმა ძია თიბოს. ძია თიბომ საზამთროს პატრონს დახედა, გაიღიმა, სასაზე აკრული საზამთროს კურკა ენის წვერით ჩამოხსნა, რეუბერა და შიგ შუბლში სტკიცა საზამთროს პატრონს.

ხალხი ახარხარდა. ძია თიბომ ზურა ჩამოსვა, ახალი საზამთრო გააპო ხელით და ჭამას შეუდგა.

ზურა კისკისებდა და ისე მიჰყვებოდა დიდედას.

— ცუხის ქუჩაზე, თორმეტ ნომერში ვცხოვრობთ, მეექვსე სართულზე, გვინახულე, ისე არ წახვიდე! — სთხოვა დიდედამ ძია თიბოს. ძია თიბომ თავი დაუქნია და საზამთროს შეება. თან ჭამდა, თან იცინოდა, ხარხარებდა ძია თიბო. ზურაც იცინოდა, დიდედას მისდევდა, მაგრამ სახე ძია თიბოსაკენ ჰქონდა მობრუნებული.

— წალეკავს! — ჩაილაპარაკა ღიმილმორეულმა დიდედამ, ერთხელ კიდევ მიხედა ძია თიბოს და ნაბიჯს აუჩქარა.

— რას წალეკავს, დიდედ?

— მაგოდენა წყალს მონელება არ უნდა, შვილო?! — თავი გადააქნია დიდედამ და ისე აასწრაფა ნაბიჯი, თითქოს მართლაც წყალდიდობას უნდა გაასწროსო.

ზურა კისკისებდა, იცინოდა, კვდებოდა სიცილით.

ღამეა. ქალაქი ციმციმებს. გარედან შესული სინათლის შუქით სუსტად განათებულ პაწაწა ოთახში წვანან საძილედ გამზადებული დიდედა და შვილიშვილი.

— იყო და არა იყო რა... — დაიწყო დიდედამ ზღაპრის მოყოლა.

— რას მიამბობ, დიდედ?

— ზღაპარს, ზურურა... ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, — განაგრძო დიდედამ, — იყო სოფელი, სახელად კვიწიწი...

— კვიწიწი რა სახელია, დიდედ?

— ძია თიბოს სოფლის სახელია. — დიდედამ საბანი ამოუგო ზურას.

— ძია თიბოსი, დიდედ? მიამბე, რა!.. — ზურას სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

— იყო ერთი პაწაწა სოფელი, რომელსაც სახელად კვიწიწი ერქვა. ნაწვერალი წელამდე სწვდებოდათ კვიწიწელებს, წყარო — ყელამდე, თაგვიყანა — მუხლამდე. ხახვის კვლებისოდენა ყანები ჰქონდათ კვიწიწელებს. სამკალში რომ გავიდოდნენ, ფეხისწვერებზე შედგებოდნენ და მაინც დიდი გაჭირვებით სწვდებოდნენ თავთავს. პურსა თესავდნენ და კრუხ-წიწილს ზრდიდნენ. კვიწიწელების მოწეული ხორბალი ხელმწიფის კაცს მიჰქონდა, კვიწიწელების კრუხწიწილა კი ქორს...

— გახსოვს, დიდედ, ძია თიბომ ორი დედალი და ორი ბოცი ღვინო რომ გაათავა?

— მახსოვს, შვილო.

— მელა რომ ვიყიდეთ ძია თიბოს ნაჩუქარი სამთუმნიანით, დიდედ?

— მახსოვს, შვილო, დაიძინე, ზურუკა!

— რუმ რო მომიტაცა, დიდედ. გახსოვს?

— უი, უი, უი! — დიდედა წამოიწევს და კოცნის ზურას.

— ბოთლი რომ გავხვრიტე და შენ რომ დააკოწიწე?

— მახსოვს, ზურუკა, დაიძინე, შვილო, მეც მეძინება!

— ძია სოსანა რომ ხელს მაჭრიდა, დიდედ?

დიდედაც თავი დაუქნია და ორიეე ხელზე აკოცა ზურას.

— მენავთე არშაკას ძაღლმა რომ დაგვგლიჯა, დიდედ, მე და თენგო?

— კარგი, ზურუკა, გეყოფა, ძილის დროა, შუაღამეა!

— დაბმული მწყრები, დიდედ, გახსოვს?

— მახსოვს, დაიძინე! — ბუტბუტებს ძილმოძალებული დიდედა. ზურაბაც ერევა ძილი. ხან გაახელს თვალებს, ხან ისევ დახუჭავს.

— გახსოვს?

— მახსოვს. — უკანასკნელად უპასუხებს დიდედა ზურას და იძინებს.

კიდევ ერთხელ გახსნა ზურამ ტუჩები, მაგრამ თქმა აღარ დააცალა ძილმა.... ძილი და სიხარული არ მოაკლდეს არც ბავშვსა და არც მათ დიდედებს! ბავშვების დედ-მამამ რაღა დააშავა?

მათაც გაუმარჯოთ!..

ანკანი ჰეკლი

ლიდი

ძლიერი მამაკაცი ზის დროგზე, რომელიც სადაცაა უნდა შეიჭრას კოხტა, თანამედროვე სოფელში. მას საკმაოდ უხეშად აცვია, უკუღმა ჰკიდია ორლულიანი თავისი სამკაულებით.

სოფლისაკენ მიმავალი გზა საკოლმეურნეო ბაღ-ვენახებსა და მშენებლობებზე გადის. ყველგან გახურებული მუშაობაა.

ვაჟკაცური გარეგნობის 30-35 წლის მენახირეს სოსანა ჰქვია სახელად. მშენებლობებსა თუ სხვა სამუშაოზე მყოფი გლეხები თვალს გააყოლებენ მას.

ასფალტსაგები კომბაინი აყრუებს სოფელს; ქალაქიდან გამოგზავნილი გზის ოსტატების ბრიგადა ასფალტს აგებს.

გათხუპნული, ოფლში გაღვრილი მემანქანე გვერდით შესკუპებულ პატარა ბიჭს უთმობს საჭეს. გათხვრილ და გაოფლილ ხალათს გაიძრობს, დაკუჭავს და ღობის იქით ისვრის არსეინად ღიმილმორეული.

მენახირე სოსანას ეზო ასფალტის ბილიკებითაა დაქსელილი. სოფლური ეზო ბენზინისა თუ კუპრის კასრებითაა ამოხრჩობილი. აქა-იქ ჭუჭყიანი ლაქებია.

მშვენიერი გარეგნობის და არცთუ კაცთმოძულე ახალგაზრდა ქალი სარეცხს რეცხავს ეზოში. საგზაო ბრიგადის მშრომელთა გარეცხილი ტანსაცმელი შრება სოსანას ცოლის გარშემო გაბმულ თოკებზე. შიგადაშიგ ბავშვის, სოსანას ბიჭის ტანსაცმელიც გამოერევა თოკზე გაკიდულ სარეცხში.

ქალი, სოსანას ცოლი, ტრაქტორისტს გაუღიმებს, მის ნასროლ ხალათს დაიჭერს, აქაფებულ სარეცხის ტაშტში ჩააგდებს და ჭეჭყვას განაგრძობს. ტაშტი ბენზინის კასრზე დგას.

ასფალტსაგების გამაყრუებელი რახრახი მოულოდნელად შემოჭრილი დროგის ხმაურით იფარება. სარეცხის რეცხვაში გართული ქალი ერთბაშად აწრიალდა. დროგის ხრიგინი თანდათან ახლოვდება და ძლიერდება. სოსანას ცოლი პირიმზე გზას შეეყინა მზერით.

— მამა ჩამოვიდა, მამაა! — ისმის ბიჭის გახარებული კივინა. იგი ასფალტსაგები მანქანიდან ისკუპებს და მამის შესაგებებლად გარბის ახლადმოასფალტებულ სოფლის გზაზე.

პირიმზე გამოერკვა, ღობე-ღობე გაედევნა ასფალტსაგებ მანქანას.

— ჩამოდი, ალექსანდრე, ეზოში შემოდი, მარტო არ შევხვდები, გესმის, ჩამოდი!

რაღაც უდროოდ, გაურკვეველად და შეკრთომით გაიღიმა ტრაქტორისტმა:

— რას ამბობ, ალექსანდრე!

— უცხო ხო არ არი, შენი ქმარია!

— რა თქვი, ალექსანდრე? — მისდევს ღობე-ღობე გაფითრებული პირიმზე, — ჩამოდი, ალექსანდრე!

ტრაქტორისტმა თავი გააქნია.

— ალექსანდრე?! — გაფითრდა ისედაც წამხდარი ქალი და შედგა.

— დაიმალე, ჯობია, დაიმალე! — გააფრთხილა ალექსანდრემ.

ტრაქტორისტი გაცდა იქაურობას.

არარაობად ქცეული პირიმზე გაშტერდა.

— ვაიმე! ვაიმე! — თქვა გამშრალმა პირიმზემ. მერე კიდევ რაღაც წაიბუტბუტა, მაგრამ მოახლოებული სოსანას საზიდრის ხრიგინი ფარავს მის ჩმას, მხოლოდ ტუჩები კრთიან.

პირიმზე დროგს გასცქერის, ისე იწევა ფეხის წვერებზე. უკანასკნელი გადაწყვეტილებით დაძაბული ქალის სხეული მიწას ასცდა, ფიცრის ორ წვეტს შუა გაჰყო თავკისერი, მერე ფიცრებს ხელი გაუშვა და ჩამოსახრჩობად თავგანწირული ქალის სხეული უმწეოდ აფართხალდა...

სოსანამ ეზოს კართან მოაგროვილა დროგი, გადმოხტა. ბიჭი კისერზე აზის მამას. ჯერ ბიჭი ჩამოსვა მენახირემ ძირს. მერე ცარიელი ტომრების შეკვრა გადმოაგდო. კიდევ რაღაც გადმოიღო საზიდრიდან სოსანამ და ცხენებს ლაგმები დააძრო. ბიჭიც იქვე ტრიალებს.

ღობესთან ახლო მდგარ სოსანას რაღაც ბრაგა-ბრუგი მოესმა. კიდევ ერთხელ მიავლ-მოავლო თვალი ჯერ სახლს, შემდეგ ეზოს, მერე ერთბაშად გაეყინა სახე, გაფითრდა. ცოლის თავი დაინახა ჩამოკიდებული. გაქანდა, ღობეს დაეტაკა, ფიცრები შელეწა, შიგ შევარდა, სულთმობრძავი პირიმზე მაღლა ასწია, მკლავებზე გადმოიწვინა და მოჩხრიალე ონკანის ქვეშ დაემხო მუხლის ჩოქზე ცოლიან-თოფიანად...

— ვაი, დედიი, ვაიმეე! ვაიი! — მოსთქვამს ბიჭი.

ცივი წყალი თავიდან ბოლომდე ასველებს სოსანასაც, ცოლსაც, თოფ-იარაღსაც, ბიჭსაც. პირიმზე ნელ-ნელა ახელს თვალს, გახარებული სოსანა წყლის ჩანჩქერშივე დააკვდება ცოლის ტუჩებს, კოცნის, მერე შუბლზე, თვალებზე, მკერდზე.

როდესაც თავი მაღლა აიღო სოსანამ, მთელი სოფელი მოგროვილიყო ღობის იქით. გალუმპული სოსანა წამოდგა, ფრთხილად დააყენა ფეხზე მოსულერებული ცოლი. სოსანა, ცოლი და 7-8 წლის ბიჭი ერთმანეთს აჰკვრიან, ერთმანეთს აკავებენ. აცახცახებულმა სოსანამ თვალი მოავლო ღობის იქით მოგროვილ ხალხს, მერე უცბად მოწყდა ადგილს, გადარეული თვალი შეავლო გზის ოსტატთა ხარახურით ამოჩხორილ ეზოს, რაღაც ბიდონს დაავლო ხელი, ღობის იქით მოგროვილ ხალხს სტყორცნა ამოთხეულ გინებასთან ერთად:

— აჰაა... სეირიი, თქვენი?!.. — ჯარასავით დატრიალდა აწყვეტილი მე-

ნახირე და გარინდულ ჰაერში სხვადასხვა ზომის კასრებმა და რკინის ნაჭრებმა ატეხეს ხათქა-ხუთქი... — მაშ სოსანა, სოსანა არ იყოს... ეხლა დამადექით განა, თქვენიიი?! — უი, თქვე!.. ნადირმა რო ხბო დაგლიჯოს!.. ვის მოეკითხება?! ჰა, თქვენი?!. ეისა ვთხოვო?! ახლა დამადექით განა?! რატო თქვენ სახლებში არ შეუშვით?! ჩემი გაიმეტეთ ხომა?!

ბრდღვინავდა სოსანა და ეზოს აცარიელებდა რკინა-კავეულის ხარახურისაგან... როგორც აწყვეტილი ლომი, ისე ხტოდა კუთხიდან კუთხეში. ბოლოს ხელის სატკეპნს წააელო ტარში სოსანამ, გააქანა, შემონგრეულ ღობეს მიახეთქა, გარეთ გააგდო. ჯერ უხმოდ მიჰქრის ხელგაშვებული სატკეპნი ახლად დაგებულ ასფალტზე. მერე, როცა ასფალტი მოითავა, მაშინღა აგრიალდა და ახმაურებული დაეტაკა რაღაც ჭურჭელს.

ახლად მოასფალტებულ ცარიელ ქუჩაზე მიაბიჯებს დაღვრემილი, ფიქრებში წასული სოსანა. მოედანი გადასერა და კოლმეურნეობის კანტორის კიბეებზე აახმაურა მძიმე ნაბიჯები.

— ოო, სოსანას გაუმარჯოს! — მიესალმა ოთახში შესულ სოსანას საწერმაგიდიდან წამომდგარი ორმოცი-ორმოცდახუთი წლის კაცი. იგი წამოდგა, მაგიდას შემოუარა და სოსანას ხელი ჩამოართვა.

— გაგიმარჯოთ, — მიესალმა სოსანაც და ოთახი შეათვალიერა. ერთ კედელთან სოფლის დიდი მაკეტი შენიშნა სოსანამ და იმას შეაჩერდა.

— რაზე გარჯილხარ, დაჯექი... მოგწონს, ჩვენი სოფლის მაკეტია, ახალი გავაკეთებიხეთ, გახსოვს ძველი?

— ჰო... — სოსანა ჩამოჯდა, მაინც მაკეტისაკენ იხედება. იმდენი აძოვა თვალი სოსანამ მაკეტზე, რომ ბოლოს მაინც იპოვა თავისი სახლი.

— ვეღარ მოგაკითხეთ, ჰა, სოსანა, რა ამბებია ველზე, რასა იქმთ?

— არა გვიშავს... — სოსანამ მაკეტს თვალი მოაშორა.

— ბარემ გულით მინდა ხოლმე ჩამოსვლა, ჩემო სოსანა, მაგრამ რა ვქნა, დრო აღარა მრჩება. წინათ თვეში ერთხელ მაინც მოგაკითხავდი... აფსუს, გარეული ღორის მწვადები?!.

— ჰო, — წამით გაეღიმა სოსანას, მერე უცებ დაუმძიმდა სახე.

— მე მგონია მოვახერხებ, რამეს მოვახერხებ... ყურძენი, ყურძენი, ყურძენი! პატარა რომ ვიყავი ისე მეგონა, რომ მარტო ქართველი კაცი სვამდა ღვინოს.

— ჰო... — თქვა სოსანამ და წამოდგა, — უკვე გაშრა...

— რა გაშრა? დაჯექი.

— საქონელი... გაშრა... მოსაგებია და... აქა-იქ ვწველით.

— ნუღარ ჩააბარებ, სანამ არ მოიგებენ, თავისუფალი ხარ... აქა-იქა თქვენვე მოიხმარეთ. დაჯე, დაათვალიერე...

— ჰო, — სოსანამ თვალი გააყოლა.

— ვაზი, ვაშლი, ვაზი, ვაშლი... ჩამოვალ. უეჭველად ჩამოვალ... — თავმჯდომარე მაგიდას მიუჯდა.

სოსანამ ქუდი დაიხურა, მაკეტთან მივიდა, თავისი სახლისა ამოგლიჯა, ჯიბეში ჩაიდო და კარებისაკენ გაემართა. თავმჯდომარე სახტად დარჩა. ვეღარაფერი აწამა...

განთიადს წაპარებული ღამეა. ბოძზე ჯერ კიდევ ბუუტავს ელექტრონათურა. მენახირე სოსანა და მისი ცოლი პირიმზე დროგზე ბარგს ალაგებენ. ხანდახან მათი ბიჭიც გაირბენს, შემოდებს დროგზე რაიმე ნივთს და სახლისაკენ მოუსვამს.

სოსანა დროგზე დაჯდა, თოფ-იარაღი შეისწორა და სახლს გახედა. პირიმზემ კარები გამოიხურა, გასაღები გადაატრიალა, კიბეზე დადებულ აგურის ქვეშ ამოსდო. ერთ წამს ჩაფიქრდა, ხომ არაფერი დამავიწყდაო, კიბე ჩამოათავა, მოჩხრიალე ონკანი გადაკეტა, შუქი ჩააქრო ბოძზე... დიდი ყურადღებითა და სიყვარულით აკეთებს ყოველივეს.

ცოლ-შვილითა და ბარგით დატვირთული საზიდარი გრიალით გადის ეზოდან. უკან რჩება გაქალაქებული სოფელი, ასფალტსაგები ტრაქტორები, აქა-იქ მოასფალტებული მოედნები და შესახვევ-გასახვევები.

სოსანას გვერდით, კოფოზე, ზურგშექცევით ზის პირიმზე, კალთაში აბუზული ბიჭი უზის. დატოვებულ სოფელს გასცქერის პირიმზე, ფიქრს მისცემია სოსანაც.

ძლივს ჩანს მტვერში ჩაძირული სოფელი... და უცებ ძლიერმა აფეთქებამ შეაზანზარა უკან ჩამოტოვებული სოფელიცა და დროგზე მსხდარნიც. პირიმზემ მიიხედა და იქ, სადაც თავისი სახლი ეგულებოდა, ცაში ავარდნილი ბოლი დაინახა, ელდა ეცა. სოსანას მოხედა. სოსანა თავჩაღუნული იჯდა. პირიმზე მიხვდა, რომ სოსანას დატოვებულმა ნაღმმა სამუდამოდ მოუშალა მას ადგილ-სამყოფელი სოფელში. გაფითრდა ქალი.

— რათა?! რათა?! რათა ჰქენი?! — ბუდე რათ მოშალე, რათა, რათა?! — კატასავით ეცა ცოლი სოსანას, კბენს, წეწავს, — არ წამოვალ, იცოდე! არსადაც არ წამოვალ! შე ნადირო შენა! სახლს რაღას ერჩოდი! რაზე დაანგრიე?! რათ დაგვაქციე, შე ნადირო?! არ წამოვალ, არა, — დროგიდან გადმოხტა, სადღაც გაიქცა, სოსანა უკან გაედევნა.

ცოლი გარბის და ბოლმას ანთხევს გზადაგზა.

— იმ უდაბნოში გინდა რომ დამასახლო, არა?! რაკი მენახირის ცოლი ვარ, მეც ძროხად გინდა გადამაქციო, არა?! — ტირილით გარბის ქალი. სოსანა ნელნელა ეწევა.

— მამაშენი ხო მაგ ბუღამ წამოაგო, საქონლის რქებზე დალია სული იმ უბედურმა, შენი ბოლოც ეგ არი, იცოდე, შენც ეგეთი სიკვდილი მოგელის! ან შვილს რაღას ერჩი, ან მე, სახლი რად ააფეთქე? რა მინდა იმ ტრიალ საძოვრებზე?! არ წამოვალ!..

სოსანა დაეწია, მხრებზე სტაცა ორივე ხელი, პირიმზე მიწაზე დაეცა.

— ქალს რო ცოცხალი ქმარი სანატრელი გაუხდება, იმის სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა, აბა მითხარი?! ათი წელია შენ ხელში ვარ და... შენ ძროხებში ამოგდის სული... მე ცალკე გვდივარ სხვისა შემყურე... აგრონომთანაც მეძინა, მეველიანთ თენგოსთანაც მივლია...

— გაჩუმდი ქალო, მოგკლავ იცოდე! დაგახრჩობ. — მუხლის ჩოქზე მდგომი სოსანა ყელში უჭერს, პირზე ხელს აფარებს. პირიმზე ცდილობს კიდევ რაღაც სახელების დაძახებას. მერე წამოხტა, დროგისაკენ გაიქცა, აძვრა საზიდარზე.

— წამოდი! წამო! რატო აღარ მოდიხარ, რასა დგეხარ? წამო, წამიყვანე...

სოსანას ხმა არ გაუცია. ერთი გაძაგძაგდა ბნედამორეულივით, მერე ნელნელა დაცხრა. დროგზე ავიდა.

— ცოტ ხანს დავიცადოთ, თუ ვინმე დაზიანდა, მომაკითხაენ, — თქვა სოსანამ და თითქოს ბურანში წავიდაო, გაირინდა.

მზე გადაიწვერა.

— წავიდეთ, რაღას უცდი?! — ეუბნება პირიმზე სოსანას. ბავშვი დროგზე ზის და შეექცევა შინიდან წამოღებულ საუზმეს. სოსანას ცოლი შედარებით კარგ გუნებაზეა. სოსანა საზიდარზე აძვრა და სადავეები გამოართვა შვილს.

— გაგვეყიდა მაინც, რაღაზე ანგრევდი?! ფული ღირს! — უსაყვედურა ცოლმა და საჭმელი გაუწოდა სოსანას, -— სოსანამ არ გამოართვა.

— მერე შევჭამ, ჯერ არა მშია. წავიდეთ?

— წავიდეთ! ვინმე რო დაზიანებულიყო, აქამდე ცხრაჯერ შეგთოკავდნენ და ახიც იქნებოდა!

პირიმზემ ახლოს მიიწია ქმართან, ხელი გადახვია.

— შევრიგდეთ, — აკოცა სოსანას ცოლმა, — ბარი-ბარსა ვართ, გაუღიმა და აკოცა.

სოსანამ მწარედ გაიღიმა ცოლის უკანასკნელ სიტყვებზე.

გზა სხვადასხვა სოფელზე გადის:

— ნახირი როგორა გყავს, სოსანა? — უყვირის ვიღაცა სხვა სოფლელი გლეხი სოსანას. ახლო-მახლო სოფლებში ყველა იცნობს ამ თავისებური მოდგმა-გვარის შენახირეს.

— კარგა, სხვაზე ნაკლები არც მოვლა აქვთ... — უპასუხებს სოსანა ბიჭი ნაცნობ გლეხებს. ცოტათი გაეხსნა თითქოს სახე სოსანას. შვილს გადახედა.

— ნუ ყელყელაობ, უცბად რომ ჩაჰკრას ორმოში, გადაგაგდებს! — გააფრთხილა სოსანამ შვილი.

— დაჯექი ადგილზე, ლაპარაკს მოუკელი, ჭამე! — დაუტია პირიმზემ შვილს და ყველი და პურის ლუკმა ჩატენა ვიღაც სოფლელის საპასუხოდ დაღებულ ხახაში.

— გალობა-ძროხა ხო კარგა გყავს, სოსანა?! — უყვირის ვიღაც გლეხი სოსანას. სოსანა მას არც იცნობს.

— მალე უნდა მოიგოს ძიააა! —პასუხს აძლევს სოსანას შვილი.

— გაჩერდი-მეთქი, შენ ვინ გეკითხება?! — მკლავზე დაქაჩა პირიმზემ შვილს.

გზად ლათინური წარწერებია: მდინარის სახელწოდება, გზათა მიმართულება და სხვა, ჩანს, საკავშირო ტურისტული გზები გადის ამ მიდამოებში. სოსანას ცოლი ხან ერთი, ხან მეორე წარწერისაკენ მიაბრუნებს გაფაციცებულ სახეს. შვილმა იხელთა დრო და უპასუხებს სხვადასხვა სოფლელ გლეხებს ათასგვარ ჭკვიანურსა თუ სულელურ შეკითხვებზე.

ასო-ასო კითხულობს პირიმზე წარწერას.

კოფოზე ჯაყჯაყებს ძარღვებდაბერილი სოსანა.

„ერთხელ მაუნდა ალუდას
ერთხელ შობრუნვა თავისა“.. და ა. შ.

სადღაც გულის სიღრმესა, თუ შორეული მხრიდან მოისმის ეს სიტყვები.

ბიჭი კვლავ განაგრძობს ტლიკინს. პირიმზეც ასო-ასო მარცვლავს ლათინურ წარწერებს.

„გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა.
მტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვიეილი ქარისა“...

მოულოდნელად ყველაფერს იპყრობს სრულიად უცხო ბგერები. რაღაც ჯაზის მაგვარი, ხან მოგუდული, ხანაც ძლიერი, აღგზნებული, ზავის ცეკვას რომ თან ახლავს.

სოსანას დროგი ვიწრო ხიდთან დგას, გარშემო გაჩერებულა საბარგო და მსუბუქი მანქანები, ავტობუსები, ხოლო ხიდზე ნელ-ნელა, ტაატით მოდიან რაღაც უცნაური მანქანები — ჭრელი, დახურული ძარებით, მეწინავე მანქანას დინამიკი აქვს ძიმაგრებული და იქიდან ისმის შხიარულ-სევდიანი მელოდიები, რომელსაც დროგამოშვებით ხან ლომის, ხანაც სხვა მხეცის ღმუილი თუ ჭყივილი ფარავს. თუთიყუშებისა და კაჭკაჭების უცნაური ლაპარაკი ერევა საქმეში: „თამარა, თამარა“, — იძახიან კაჭკაჭები და თუთიყუშები.

ხალხი ძოაწყდა გზას. აქ არიან ნამთვრალევი შოფრები და ექსპედიტორები, ჭრელ-ჭრულებში მორთული ახალგაზრდა უსაქმო სოფლელები. კომფორტაბელური ავტობუსის ფანჯრის მინებზე გაკვირვებული სახეები მოუჭყლეტიათ თეთრპერანგა უცხოელებს.

პირიმზე და ბიჭი თვალებდაჭყეტილი ჩამოხტებიან საზიდრიდან და სხვებთან ერთად გაფაციცებით ათვალიერებენ მოძრავ ზოოპარკს. სოსანას წინ ჩავლილი მანქანის გალიიდან ლომის თავი გამოჩნდა. ლომის ღრიალმა შეაზანზა-

რა იქაურობა. დამფრთხალი ცხენები უკან მიაწყდნენ. სოსანას ეღიმება, ეტყობა, მოსწონს ნადირთა მეფე.

სხვადასხვა ზომის ყუთები და გალიები აწყვია სოსანას წინ ჩამოელილ ზოოპარკის მანქანებზე: ლომები, ვეფხვები, მაიმუნები, ზებრები. აგერ, სპილო მოუყავთ უშველებელ ძარზე შეყენებული, იგი ლორთუპით წვდება ბაღიდან გამოწვდილ ხის ტოტებს და ხილს შეექცევა. თანდათან მუსიკის ხმები ჩაჩუმდა. ღრიანცელი მიწყდა.

და უცებ, თითქოს კალიების შემოსევა ყოფილიყოს, ერთი ჯიჯინ-ჯიჯინითა და ყაყახით შემოერტყა სოსანას საზიდარს ბოშა მკითხავ ქალთა ჭრელ-ჭრული გუნდი. ზოგი წინიდან, ზოგი უკანიდან, ზოგიც გუდაში ჰყოფს ხელს, ზოგი პირიძეს ჩემოდნის გაღებას ცდილობს ლურსმნით.

— პაგადაი, პაგადაი.

— გიკითხაეო, ლამაზო, უიღბლო, მართალო, საწყალო, პაგადაი, პაგადაი...

— უი, რა ხელები გაქ, იცოდე კარგი ბედი გელის. გაშალე თითები, მაჩვენე გულები, ხელის გულიდან პრიამა შენ გულში ჩაგიხედავ.

— აჰა, წყალი დალიე, ობოლო, საწყალო, შენ რომ ესე საწყალი ხარ, შენი შვილიც საწყალი გამოვა, მამაშენი რო საწყალი იყო, შენ იმიტომ საწყალი ხარ...

— თავი დამანებეთ, -- დაუყვირა სოსანამ და ორივე ხელი წაართვა ორ მკითხავ ქალს. შოლტს დააელო ხელი, დააჯახუნა. შედარებით სუსტი ნებისყოფის მკითხავები დროგს მოშორდნენ, სხვაგან ატეხეს ყაყანი. სოსანასთან მხოლოდ ეს ორი მკითხავიღა დარჩა: ერთი — შავგვრემანი, ხნიერი, სახედაჭიშმიშებული დედაკაცი, მარჯვენა ხელში რომ სწვდა სოსანას თავდაპირველად. მეორე — ქერა 18-19 წლის ლამაზმა გოგომ მარცხენა ხელის გული დაისაკუთრა.

— ეგ ტყუილია, ეგ ნამდვილი ციგანი არ არის, ეგ თეთრია, ეგ ტყუილია, ეგ არა სუფთა ციგანია, მარტო მამა ციგანი, დედა არაა ციგანი... ნამდვილი ციგანი — მკითხავი, ზველი მაგათი მკითხავი მე, მე საწყალო, უბედურო, ეგ არ არის სიგანი, ეგ შკოლნიკია, მამა გიჟი, დედა გიჟი, აბა ჰა, პაგადაი, პაგადაი, პაგადაი.

— ტყუილს ამბობს, არ დაუჯერო, ეგ დედაჩემია, მე მამას ვგეევარ, არ დაუჯერო, პაგადაი! — ეხვეწება ახალგაზრდა ქერა მკითხავი სოსანას და ისე უღიტინებს ხელის გულზე და იღლიაში, რომ სოსანას ჯერ ხითხითი, ხოლო შემდეგ სიცილი აუტყდა.

არც ერთი მკითხავი ხელს არ უშვებს, ორივე უღიტინებს. სოსანა ხარხარებს. ბოლოს ქერა მკითხავმა ხელი გაუშვა. ენა გამოუყო, ამაზე უფრო გაეცინა სოსონას. ქერა გოგომ ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ჩულქს ისწორებსო, სინამდვილეში კი ფეხშიშველა გახლდათ, ჰოდა, კაბა იმ სიმაღლეზე აიჩაჩა ბარძაყზე, რომ მთელი სიღრმეები დაანახვა სოსანას. მერე კიდევ გამოუყო ენა და იქით გაიქცა, სადაც სხვა ბოშა ქალები მკითხაობდნენ სოფლის

მოედანზე თუ შესახვევ-გასახვევებში. მხოლოდ შავქიშმიშა ბებერ მკითხავსღა ეკავა სოსანას ორივე ხელი. კოფოზე ნათალი ჰიქა ედგა, შიგ წყალი ესხა და ხორბლის მარცვლები ეყარა. გაშეშებული თვალებით ჩასცქეროდა მკითხავი სოსანას. სოსანა აღარ იცინოდა, დაღვრემილი უგდებდა ყურს მკითხავ დედაბერს.

— შვილო, აი, თუ მე შენი ფული ავიღო, დამკალი. ფული არ მინდა, დაკარგული ქათამი საჭმელს ნახავს, შვილო, ყური დამიგდე, სუ ნაღდი გეტყვი, სახლი ხო დაანგრიე, დაანგრიე დენამეტით!

— სოფელში გამოგვილიათ: ხო არავინ დაშავებულა? — აფორიაქდა სოსანა და დედაბერს ხელი წაართვა.

— არა, შვილო, არავინ. მოიტა ხელი. ოქრო გული ხარ, შვილო, ეეჰ, აფსუსი არი აძდენი წვალობ, შენი ცოლი არ ვარგა, შენ რო ბუღა წიხლი მოკუდე, ის უნდა, ფული არ მინდა, შვილო, საწყალი ადამიანი ხარ.

— რათა ვარ საწყალი, აჰა ფული.

— არა, ფული არ გაკლია, მაგით არ საწღალი. მე ჩემი ქმარი მაგალო, პირველი ციგანი, ცხენის ქუსლი თავში მოკლა, — ცრემლი დაღვარა მკითხავმა. — მე ეხლაც ტირი, ხო ნახე?! შენ თუ მოკდე შენ საქმეზე არავინ იტირობ. ვაა, მაგალო, ვაა! — ცრემლი წასკდა ბოშას. სოსანა ამშვიდებს.

— შენ არ მოკდე, შვილო, შენი ბოლო კარგია. საქმე შენი ზნელია. კარგია, სიყვარულია დიდი! შენი საქმე, მამაშენის საქმეა, პაპის საქმეა, მაგრამ ფას არ არი, შენ ცოდო, მაგრა შენ არ მოკდე, დღეგრძელი, შენი ცოლი აღარ შენი ცოლი, მე ვიცნობ, მამაშენი, ბუღა რო მოკლა, მაშინ ჩვენი თაბორი იქ. ახლო ვიყა... შენ დიდი სიღვარული, შენ დიდი სუფთა გზა. შენი სიღარული, შენი ბედი-ჭალი, შენი სუფთა გზაში უნდა ნახუს, მალე, მალე. ოოჰ, ჩემი ბაგალო, პირველ კაცი ციგანში, კარგა იქნებ, შვილო! — მკითხავი საზიდარს მოშორდა თვალცრემლიანი.

— ფული, ფული წაიღე, გესმის, დედი! — დაუყვირა სოსანამ, მაგრამ მკითხავი არ მობრუნებულა. პირიმზე შეეფეთა მკითხავს, მთელი ტანი დაუჩხრიკა, კარგა ხანს უფათურა ხელები, სოსანას ბიჭს, კარგა დიდი შეკვრა წამოეკიდა ტახისამოსისა. თვალცრემლიანმა მკითხავმა ქალმა ერთხანს უყურა, მერე „ფუიო“ შეაფურთხა და გაიქცა.

— ფუი შენი და სიკვდილი! — გასძახა მკითხავს პირიმზემ და ჩემოდნები გადახსნა, — აჰა, ნახე, რო დაპოსკებულხარ კოფოზე, გაგიშლია ხელები და სიცილით იჭაჭები, ნახე, როგორ ამომიცარიელეს ჩემოდნები, — პირიმზე დროგზე აბობღდა, წაიკუზა და ჩემოდნებში აწყობდა მოტაცებულ თავის ტანისამოსს, რომელიც უკანვე წაურთმევია. — კიდე კარგი შენც არ გაგხადეს, არ გაგატიტვლეს, სამკითხაო ფულიც ხო წაგართვეს?!

— ეს შენი არ არი, ეს იმათია, აქ რო გოგო იყო! — სოსანამ წითელი, თეთრზოლებიანი თავსაფარი იცნო, ახალგაზრდა მკითხავს რომ ეხვია. — გესმის, ქალო, შენი არ არი-მეთქი!

— ვიყიდე, რა გინდა, რას ჩამაცივდი?! — პირიმზემ თავშალი წაართვა, ისიც ჩემოდანში ჩატენა, დაკეტა, სარკე ამოიღო, ფერუმარული მიისწორ-მოისწორა, სოსანას გვერდით მიუჯდა.

— წავიდეთ, რაღას უცდი?! — გასცა განკარგულება. ცეცხლი მოეკიდა სოსანას, სახეზე ალმური აუვარდა. ძლივს შეიკავა თავი, შოლტი ცოლის მაგიერ ცხენს გადაუჭირა და საზიდარი დაიძრა. კვლავ მიერეკება სოსანა დროგს მტვრიან გზაზე, უცებ, ძლივს მოასწრო სოსანამ გზის დათმობა, ისეთი დაუოკებელი სისწრაფით ჩაუქროლა ბრეზენტგადახურული სამცხენიანი საზიდრებით ბოშათა ქარავანმა. ერთი ყაყანით, გნიასითა და ჟრიამულით ჩაუქროლეს ბოშებმა. ვერავის გაარჩევდა კაცი. რაღაც საერთოს ისეთნაირად გადაედუღებინა ყველა ერთ მთლიან მასად. წითელი ტრანსპარანტები ჰქონდათ შემოკრული ჩარდახებზე...

— ამოწყდით და ამოითაქეთ, აჰაა! თქვე ოხრებო, ნელა ვერ წახვალთ, სად სიკვდილში მიგეჩქარებათ, — პირისახე სულ მთლად მტვერმა დაუფარა პირიმზეს. „გაკრანწული“ ქალი თვალის დახამხამებაში მეწისქვილეს დაემსგავსა. სარკეში იხედება, ცრემლი ჩამოსდის და ისე იწმენდს თავშლისა და ცხვირსახოცის ბოლოთი ცრემლებსა და მტვერს.

— ისე გარბიან ეგ ოხრები, თითქო კრებაზე სადმე აგვიანდებათო. თქვენა გნახეთ ერთ ადგილზე გაჩერებული! — წყევლასაეით დაადევნა პირიმზემ ბოშათა ქარავანს.

— გააჩერე, კაცო, — მიუბრუნდა ქმარს პირიმზე, — როდემდე უნდა ვიჭენაოთ ასე გაბუქულ-გამტვრიანებულებმა. ჩამო, არ დაგცხა მაინცა თუ მტვერი არა გჭამს? ე წყალში გავლრეჭილიყათ, გააჩერე!

სოსანამ ნელ-ნელა შეაყენა საზიდარი მდინარეზე გადაკიდული თაღიანი ხიდის გვერდით. სოსანას ცოლმა იქვე დროგზევე იშვლიპა ტანისამოსი. ბიჭს სძინავს.

— რასა შვები, ქალო, გამველელ-გამომველელს მაინც მოერიდე.

— ვინ გამველელს მოვერიდო?! ამ უდაბურ ალაგას მგონი წელიწადში ერთხელ არავინ გაიაროს! — თითქმის დედიშობილა პირიმზე ალივით ივარცხნის თმებს და ისე მიგოგმანებს მდინარისაკენ, ხიდქვეშ.

სოსანამ ჯერ ბავშვს დახედა. ეძინა, შემდეგ პირიმზეს გააყოლა თვალი და გამწარებით შემოიკრა უბეზე მუშტები, ძაღლივით დაიკბინა სხეული გაცოფებულმა, ერთი ხელის მოსმით ჩამოიკრიფა პირიმზეს კოხტა ტანსაცმელი, მოისროლა, შოლტს ხელი წამოავლო, გაირინდა გადაწყვეტილების ჟამს და დინჯი, ავაზის ნაბიჯებით ჩაუყვა მდინარეს შოლტით ხელში... ხიდქვეშ ექო ათკეცებს შოლტის ხმას.

კვლავ გზა. ხრეშდაყრილი და მტვრიანი კი არა, დაზეპილი, ნაწვიმარზე გამხმარი მინდვრის გზა. სოსანა ცხენს მიერეკება, პირიმზეს ძალზე უბრალოდ აცვია, აღარ ჰოსავს ჭრელა-ჭრელები და მძივ-საყურეები. იგი გაცილებით ლამაზი და მიმზიდველი ჩანს ასე. ქმარს მოხედავს შენელებული სიბრაზით. მკლა-

ვზე, სახელოს ქვევით შოლტის ნაკრავი მოწითალო-მოლურჯო ზოლი უჩანს. სოსანა მორცხვად, მაგრამ გამარჯვებულის მშვიდი ღიმილით იღიმება, აუწევს სახელოს და ნატკენზე კოცნის. პირიმზე გაათბო ქმრის ამბორმა, საღერღელი აეშალა. მკლავზე მინდობილი თავი აუწია სოსანას და ტუჩებში აკოცა.

— აი, თუ კიდე რამე ურიგო გავაკეთო, მომკალი, სოსანა, უშენობას მიჩვეული რო ვარ, ხან რას ვაკეთებ, ხანაც რასა. აი, სულ ერთად რომ ვიქნებით, მერე ნახე, მერე ნახე, სოსანა... არ მოგშივდა?

— წეღან არა ვჭამეთ?

— ბანაობის შემდეგ მომშივდა.

სოსანას გაეღიმა.

ამასობაში საზიდარმა ბორცვთან შეუხვია. სოსანამ და პირიმზემ დაინახეს ბალახზე მჯდარი, ატირებული ახალგაზრდა მკითხავი გოგო. გოგოს წამით გაეხარდა სოსანას დანახვა, თავი წამოსწია და ღიმილი შეანათა სოსანას, მერე პირიმზე იცნო, დაეჯღანა, ენა გამოუყო, ისევ ჩაქინდრა თავი და უფრო მეტად აქვითინდა. სოსანამ ცოლს შეხედა:

— ამოიღე და მიეცი თავშალი.

— მივცემ, მა რა თავში ვიხლი!.. — მორჩილად ჩაძვრა პირიმზე ჩემოდანში და ორივე ხელის გაშმაგებული ფათურით იწყო ხილაბანდის ძებნა.

— ნუ ტირი, ჰო, კარგი, იპოვის და მოგცემს... ხო ხედავ ეძებს, რაღა გაღრიალებს?

— მე ეგ არ მადარდებს, დიდი ამბავი ერთი დაფხრეწილი თავშალი, — გვერდზე გაიხედა ქალიშვილმა-მკითხავმა და კაბის სახელოთი მოიწმინდა ცრემლები. მერე უცებ წამოდგა და გზას გაუყვა.

სოსანას ცოლმა, როგორც იქნა, იპოვა თავსახვევი, ბაირაღივით ააფრიალა ჰაერში და გოგოს დაუძახა:

— შენ ეი, მკითხავო — მზეთუნახავო! დაიჭი თავშალი და ტირილს უკეღი, მოდი, თორემ ქარს გავატან!

გოგო ისევ მიდის, შიგადაშიგ კვლავ უკრთის მხრები, პირიმზე არ ეშვება, კვლავ უქნევს თავშალს.

— აბა მაშ მე რაღა უნდა მექნა, ყველაფრიდან რომ გამცალეთ. ოთხთვალა მკითხავ ქალი'შვილს გაუსწორდა, უცებ შემოტრიალდა მათკენ ქალიშვილი:

— ჩემგან რა გინდა, მე ხელიც არ მიხლია შენი ბარგისათვის, აბა მაგას ჰკითხე, — სოსანასაკენ გაიშვირა ხელი, — მე მხოლოდ მკითხაობა მინდოდა, შენი ტანისამოსისთანა ნაგავი ქვეყნისა მაქვს, ცოტა იქით მიიწიე, — იდაყვით წაუჯიკავა პირიმზეს და გვერდით მოუჯდა.

— ოჰო, დამიხედეთ! ნუ ყვირი, ბავშვი არ გაგვიღვიძო...

გოგო ისევ სლუკუნებდა, ისე მოხედა მძინარე ბავშვს:

— რა მშვენიერი ბავშვია, ანგელოზივით სძინავს, — სოსანას შეანათა კეთილი თვალები, — სულ მამასა ჰგავს, — თავსაფარი წაართვა პირიმზეს, ცრემ-

ლი მოიწმინდა და თავზე წაიკრა. მერე უცებ, როგორღაც მოულოდნელად იფეთქა.

— შენი ჭირიმე, გარეკე, გარეკე ერთი, დავეწიოთ იმათ, დავეწიო და მეტი არაფერი მინდა, ერთი მივაფურთხო, საძაგელი, გარეკე რა, გარეკე! ჩემი მძიევები, მძიევები, ისე გადმომისროლეს, რომ მძიევების აბმა გამოვდე მარგილს, ამიწყდა და სულ დამეფანტა. ერთი გარეკე, დავეწიოთ, რომ მივაფურთხო. მკითხაობა იმ ბებერზე უკეთ ვიცი, სუ ბრაზობდა, გააჩერე, — უცებ გზაზე რაღაც შენიშნა მკითხავმა, რაღაც კი არა და ჯულსაბნევი. დროგის გაჩერებას არც კი დაელოდა. ისევე გადახტა. დასწვდა, გახვრეტილი ნიკოლოზის მანეთიანი და ერთიც შავი შაურიანი, ისიც ნიკოლოზისდროინდელი, ერთ ბაწარზე აცმული ეგდო. გოგომ აიღო:

— ფუი, მენაგვეები, ეს ჩემი არ არი, რაც მაგათ გახვრეტილი ფულების (რკინების) აჩოჩხვა უყვართ, გაგიჟდება კაცი! — იქვე ორი-სამი ყაყაჩო მოგლიჯა გზის პირზე, ნაპოვნი ნივთის გადაგდება დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ისევ ოთხთვალაზე აძვრა, პირიმზეს გვერდით, კვლავ ბავშვს დახედა და ფულები ლოყასთან დაუწყო ძილში მყოფს:

— რო გამოეღვიძება, გაიხარებს, მაგოდენას მეც ძალიან მიყვარდა ეგეთი რამეები. — მკითხავმა ქალიშვილმა სამი ღერი ყაყაჩოც გაანაწილა: ერთი სოსანას მიუბნია ღილკილოში, ერთი პირიმზეს ჩაუდო გაპობილ მკერდში და ცოტა კიდეც შეუღიტინა, პირიმზე ახითხითდა და ხელი ააღებინა ძუძუებიდან. მესამე ყაყაჩო კბილებშუა გაიჩარა თვითონ. მერე კვლავ მოაგონდა, რომ ბოშებს უნდა დასწეოდა და ისევ დაუწყო ხვეწნა:

— გარეკე რა, გარეკე! მომეცი, მე გავრეკავ. — ბავშვს შეუღიტინა, გააღვიძა. — აჰა, ხო ღვიძავს, რას უცდი, ოღონდ დავეწიოთ და მეტი აღარაფერი მინდა. მიდი! — კვლავ წაატანა ხელი სადავეებს.

— ძალიან ახირებული და უცნაური ვაღაცა ხარ,—გაწყრა პირიმზე, — შენისთანას პირველად ვხედავ, — მერე ქმარს მიუბრუნდა, — ერთი ააჩქარე, თორემ შეგეჯაძს ეს ვიღაცა არი!

სოსანამ ჯერ მკითხავ ქალიშვილს მოხედა, მერე შვილს გადახედა, ბიჭი მკითხავის ნაპოვნ გახვრეტილ ფულებს ათამაშებდა. შოლტი შემართა სოსანამ და დროგი გაფრინდა...

სოსანას დროგი ნელ-ნელა ეწევა ბოშათა ჩარდახებიან ჭარავანს.

— მიდი, მიდიიი! — ყვირის აფორიაქებული მკითხავი და წითელ ყაყაჩოს უქნევს ისედაც გახელებულ, შესანიშნავ ცხენს, რომელიც თავს არ ზოგავს, ისე მიჰქრის უგზო გზაზე, გადაუთანაბრდნენ კიდეც.

— მიდიი, მიდი რაა, აჩუუ, მოოო! — გაჰკივის თვალებგაბრწყინებული მკითხავი ქალიშვილი და ლამის გადაფრინდეს საზიდარიდან.

— მიდი, მამი, მიდიი, აჩუ, მოო! — ჰყივის სოსანას ბიჭიც და ფულის ასხმულას აქნევს ჰაერში. სოსანას ცოლს პირიმზეს ეშინია გადმოვარდნისა და ოთხზე ფორთხვით გადმოჩოჩდა წინა სკამიდან პირდაპირ საზიდარში, მისი

ადგილი შვილმა დაიკავა. სოსანას დაოთხილმა ეკიპაჟმა ბოშათა ქარავნის მეწინავესაც ჩაუქროლა.

— ეჰეჰეი, გაგისწარით თუ არა, ჰეი, ალეკო ტრაბახა! რო მეფიცებოდი ჩემი ცხენების მჯობნი ჯერ არ გაჩენილაო, გაგასწარით თუ არა, ჰეიჰე-ჰეიიი, მკითხავებო, აშკარად ვხედავ, რა მოგელით — ყველას კოლექტივში გნახავთ... აჩუ ნოო!

ერთ ნახევრადცარიელ დროგში მყოფი მთვრალი ახალგაზრდა ბოშა ახალგაზრდა მკითხავის დანახვაზე რაღაც გაუგებრად აბღავლდა. უკან გადაიხარა, საზიდრის ბოლოში მიყრილ წყვილ ფეხსაცმელს დაავლო ხელი და ისე გასტყორცნა სოსანას ეკიპაჟისაკენ, რომ კინაღამ თითონაც თან გადაჰყვა. მკითხავმა თავისი ფეხსაცმელები დაიჭირა.

— აჩუ, ნიო! მიდი მამიი! — ჭყივის სოსანას ბიჭიც.

მკაფიო სურათივით ვხედავთ, წინ, კოფოზე, გვერდიგვერდ მჯდომ ამ სამეულს. მერცხალივით მიფრინავს სოსანას ოთხთვალა, სოსანასაც რაღაცნაირი აზარტი თუ სიმხიარულე გადაჰკრავს სახეზე, თვალები უბრწყინავს.

— ნელაა, ნელა წაიყვა, სოსანაა! სოსანაა, ნელა, ნელა მეთქი! გვერდები ჩემი აღარ არი, ნელა! ეგ ქაჯი საით ჯანდაბიდან გაჩნდა! ნელა სოსანაა! ნელაა! — კივის პირიმზე და ლოქოსავით ფართხალებს აცეკვებულ საზიდარში...

* * *

გზა ორად იყოფა. მთავარი გზა პირდაპირ რჩება და მარცხნივ მიმავალ საურმე გზაზე გადუხვევს სოსანას საზიდარი, მკვეთრად შეუხვევს მარცხნივ. ამ გადასახვევში დგას სამკუთხა საგზაო ნიშანი. სამკუთხედიდან კისერდადრეკილი მძლავრი ბუღის თავი მოჩანს.

— აგერა, მამი! — თითს იშვერს სოსანას ბიჭი საგზაო ნიშნისაკენ. სოსანა თავს უქნევს ბიჭს, ღვედებს ნელ-ნელა ჭიმავს და საზიდარი სვლას უკლებს, ბოლოს სულაც გაჩერდება.

— რა იყო? რა ნახეთ? რამ გადაგრია?! — წამოუდგა სოსანას ცოლი, — ამ ცინგლიანის ჟინს რო აჰყე და დოღი გამართე იმ გადარეულებთან, — უსაყვედურა პირიმზემ სოსანას. მერე ბოშა მკითხავს გაკრა იდაყვი, — ჩადი, ბოლო გაჩერებაა, — სოსანას გვერდით მოიკალათა პირიმზემ, ბავშვიც კალთაში ჩაისვა.

— რათ უნდა ჩავიდე? — გასაოცარი მიამიტობით იკითხა მკითხავმა.

— აქ საზღვარია, ხო ხედავ?! — სამკუთხა გზის ნიშანზე შეახედა, — ამის იქით წამსვლელს საბუთები უნდა ჰქონდეს გაფორმებული რიგზე.

პირიმზემ სალოკი თითი მიიჭირა საფეთქელზე და ქალიშვილი მიახვედრა, რომ ჭკუა გაკლიაო.

სოსანამ მკითხავ ქალიშვილს გადახედა:

— ჰო, ეს გზა მხოლოდ ჩვენი საძოვრისაკენ მიდის, შენ რას იზამ, იმ თქვენ ქარავანს დაელოდები, თუ?.. ეჭვი ჩაეხატა სოსანას თვალებში.

— ქარავანი ჩემი ალარ არის, — გოგო ფრთხილად ჩამოძვრა კოფოდან, — მეყოფა მაგათი დევნა, მომწყინდა კიდეც. ისიც ერთი შტერი გამოდგა, ხუჭუჭთმიანი... აფსუს მძივებო?! ფეხსაცმელებიც ხომ წამართვა, კიდევ კარგი, დამიბრუნა!

— სხვა რამეც ხომ არ წაგართვა იმ ხუჭუჭთმიანმა? — აგდებულად, ღიმილით ჰკითხა პირიმზემ და თავით ბოლომდე ჩაათვალიერა ქალიშვილის მოქნილი ტანი.

— ოოჰ, — თავი გადააქნია ნაწყენმა მკითხავმა, გუნებაში გაიფიქრა, შენი თავი მაცემინაო. მერე წვანკლიანი დაივიწყა, ბიჭს გაუცინა, ხელი გამოართვა, ღიტინი უწყო ხელის გულზე, თითქო მკითხაობსო.

დროგი მიგორავს. მკითხავი ღიტინ-ღიტინით მიჰყვება. ბიჭი იცინის.

ღიმილძორეული სოსანა მკითხავს ათვალიერებს.

მკითხავის მზერაც შეხვდა სოსანას.

ამ დროს ერთი გნიასითა და კივილ-ყიჟინით კვლავ ჩაიქროლა გზაზე ბოშათა ქარავანმა. გოგო უცებ გამოცოცხლდა, საზიდარში ნაგდები დიდი სარძევე ძაბრი მიიბჯინა პირზე და ერთი ჭუვიტინითა და ყიჟინით გამოაჯავრა ბოშებს.

კარგა ხანი ადევნებდა სოსანა თვალს უცნაურ მკითხავს. ხან ეცინებოდა, ხანაც ჩაფიქრდებოდა. ბოშების მისამართით მკითხავმა ერთი რთული ჯადოც დახატა ქვიშაზე, რამდენიმე კენჭიც ისროლა ზურგს უკან. ეს ყოველივე ოსტატობითა და სერიოზულობით შეასრულა მან.

— სახელი რა გქვია, მკითხავო? — გაუღიმა სოსანამ.

მკითხავმა საბაბი ნახა და კვლავ საზიდარზე აძვრა:

— ეგენი ბიბლიას მეძახდნენ, ისე სოფიო მქვია. რაც გინდა, ის დაშიძახეთ, ოღონდ დამაძინეთ, ფეხზე ძლივსა ვდგევარ. ბარე კვირაზე მეტია, ასე გიჟებივით დავქრივართ სოფლიდან სოფელში. რაღაც დღეობა გვაქვს, — ამ სიტყვებთან ერთად მკითხავი საზიდარში გადაწვა და მაშინათვე თვალები დაუხუჭა.

— ძროხის მოწველა თუ შეგიძლია? — ღიმილით ჰკითხა სოსანამ.

— შემიძლია, მაგათთან ცხენებს ვწველიდი!... სოფიო-მკითხავმა უფრო კარგად მოიკალათა საზიდარში...

— მოიცა, ჯერ კარგად გაგვარკვიე ვინაობაში და მერე დაიძინე.

— მოიცა, ჯერ გაგვარკვიე, ვინა ხარ, რა ხარ.

შეანჯღრია პირიმზემ, სოფიომ ძლივს გაახილა თვალები:

— მკითხავი ვარ... სოფიო მქვია... ბიბლიას მეძახიან... ცხენებსაც მოვწველი... ეშმაკსაც... მეძინება... ხალხი არა ხართ?

— დაანებე თავი... — სოსანამ ცოლი შემოაბრუნა.

მკითხავსა და სოსანას ბიჭს სძინავთ...

თითქმის უხმაუროდ მიგორავს სოსანას „ეკიპაჟი“ თანაბარ მწვანე ველზე. რაღაც უჩვეულო სილამაზეა ირგვლივ. მზე ახალი ჩასულია, ნისლი გაწოლილა მწვანე ბალახზე. ჰაერში გამოკიდებულივით მოცურავს საზიდარი. შორს, ნისლში თეთრი წაბოქცეული ფერმა ჩანს.

სოსანას მოადგილე მენახირე, ერთი მეტრისა და ოცდახუთი სანტიმეტრის სიმაღლის ჰორფლიანი, თმაწარბწითელი, ირლანდიური სეტერის ლეკვივით შესციცინებს სოსანას. საოცრად დამშვიდებული სოსანა მიჰყვება თავის წითელთმიან მოადგილეს ჩაბარებული ფერმისა და საქმის შესამოწმებლად. პირველად ბუღასთან მიჰყავს თანაშემწეს სოსანა. ნაცარა ბუღა უშველებელი გოლიათია. რქები, რომელზედაც დაამთავრა სიცოცხლე სოსანას მამამ, გადახერხილი აქვს ერთ მესამედამდე.

— საკვები მიეცი ოთხჯერ, როგორც წესია, პატივცემულო სოსანა...

— პატივისცემას თავი დაანებე, ველარ უნდა მოიშალო?!

— საბოლოო დღეა ჩემი აქ ყოფნისა, სოსანა და ეხლა მაინც მალაპარაკე ისე, როგორც მე მინდა! — სოსანამ ხელი ჩაიქნია...

ორი ჰექტარი ფერმის ტერიტორია მეჩხერი ღობით არის შემოღობილი, მსხვილფეხა პირუტყვი დაუკითხავად რომ არსად გაეხეტოს. ფერმას წრისებრი ფორმა აქვს და პატარა მდინარე ჰკვეთს მას მცირე ქორდაზე. ეს ანკარა მდინარე ადამიანისა და საქონლის სასმელი წყალია.

ფერმის ტერიტორიის თითქმის მთელ წრისებრ ფართობზე, ალაყაფის კარამდე, სარბიელი აქვს ცხვირში რგოლგაყრილ ნაცარა ბუღას. მისი რგოლი თავისუფლად დასრიალებს ღობის წრის პარალელურად გაბმულ მსხვილ მავთულზე, ბუღას ცალკე სადგომი აქვს.

აი, ახლაც ბუღა გვერდით დაჰყვება სოსანას და მის თანაშემწეს.

— მისმენთ თუ არა, პატივცემულო სოსანა, ოთხჯერ ვაჭამე. გუშინაც. დღესაც, დავაწყურე. ნახირი საძოვარზე მყავდა, როგორც წესია. დავუსუფთავე, ყველი ჩავაყენე. კიდევ ოთხი ძროხა გაშრა, საცაა მოიგებენ და, როგორც თქვენა ბრძანეთ, ლანდსა, ფარანას, წითელასა და ხიოს ნუღარ მოწველიო, მეც ისე მოვიქეცი. გალობა კარგაა, მე მგონი ორ კვირას აღარ გადააცილებს.

ერთ კოხტა ძროხასთან შევიდნენ ორივენი.

— გალობა, გალობა, — სოსანა უცებ შეიცვალა, ღიღინს თავი ანება და კინაღამ ალოკა მოსაგები ჰრელი ძროხა, იმდენი უფათურა ხელები და კოცნა...

— მაშ მიდიხარ, აღარ იშლი ჰა, გიორგი? — სოსანა ძროხას მოშორდა, წმინდა გიორგიც გაჰყვა.

— რა ვქნა, პატივცემულო სოსანა, აბა შემომხედეთ, სულ დავილიე, ცოდო ვარ, აღარაფერი შემიძლია, აი, აღარაფერი. მდინარეში შიშით პირი ველარ დამიბანია (იმოდენა ცა მოჩანს წყალში და), ისე პატარა ვჩანვარ, რო ასე მგონია, გავქრები-მეთქი. უცებ ვიხრუკები ამ ბოლო ხანებში და არ ვიცი, რისგან არი, რა მემართება.

— შენ თვითონაც ვეღარ ატყობ, გიორგი, რა გემართება? — როგორღაც ნაღვლიანად ჰკითხა სოსანამ მოლეულ თანაშემწეს.

— ვერა, გენაცვათ, ვეღარა. იქნებ იმ უბედურ ჩემ დედ-მამას უჭირს, ან იქნებ... რა ვიცი.

— რა იქნებ, თქვი, გიორგი.

— არ ვიცი, იქნებ როგორ უჭირთ, წყლის მიმწოდებელიც არავინ ყავთ ჩემს მეტი, იქნებ ცოლიც შევირთო, თუ ვნახე ჩემსავით დაქონდრილი ვინმე, პატივცემულო სოსანა, — იღიმება გიორგი.

— ნურც ეგრე დაიბეჩავებ თავსა, გიო, გულთბილი კაცი ხარ. შენ შენი ბედი არ მიგატოვებს... აი, მე კი მენანება შენი გაშვება და... შენი ერთგულების დაკარგვისა მეშინია, თორე სხვაფრივ მარტოც აუვალ...

— რა ვქნა, სოსანა, მე იქიდან ჩემსას ვეცდები, სულ ამ საქმის ლოცვაში ვიქნები... ეგებ ამ ჯერობაზე მაინც გამოჩნდეს თქვენი ნაცარას ბადალი ხბო...

— წადი, დაიძინე ახლა, — გაათავისუფლა სოსანამ თანაშემწე.

— ღამე მშვიდობისათ, პატივცემულო სოსანა.

ეზოში ბუღა და სოსანა დარჩნენ. ბუღა ზმუოდა, მიწას ტორავდა. სოსანას ეხახუნებოდა თავისი უზარმაზარი სხეულით, სოსანა ბეჭებზე ხელებს უბარტყუნებდა.

სოსანას ბინაში სიბნელეა. დიაფილმს უყურებს ყველა. სოსანას კალთაში უზის ბიჭი, რომელიც მართავს აპარატს, დანარჩენები უყურებენ კედელს.

— ჩააკრა თონეში ერთი გუნდა პეტრემ და იქიდან ორი პური ამოიღო, — კითხულობს ტექსტს სოსანა. პატარა რუხ კედელზე ფერადი კადრი მიჩოჩავს.

— ჩაუვარდა პეტრეს ქუდი თონეში და იქიდან ორი ქუდი ამოიღო, —. ახლა ახალი კადრის ტექსტს კითხულობს სოსანა.

— მურაბიანი პური რომ ჩავარდნილიყო, მამი?

— ორი ამოვიდოდა, პური მოუტეხე, პირიმზე, ზედ შაქარი მოუბნიე, — მიაბრუნა თავი ცოლისაკენ.

— მე მურაბიანი ვთქვი...

— რაცა ჰქონდა, იმას აგდებდა პეტრე თონეში, — იღიმება სოსანა. — აი, ხვალისათვის ისეთი რამე უნდა გაჩვენოთ, რომ მართლა კარგი, — იღიმება სოსანა და ახალი კადრის წასაკითხად ემზადება...

ღამეა. ძთვარით განათებულ პატარა სარკმელს სოსანას თავი ავსებს. ოთახში წვანან მხოლოდ ქალები და ბიჭი.

— პირიმზე, პირიმზე, მოვედი, მოო! — აღარ ამთავრებს სოსანა სიტყვას. პირზე ხელს იფარებს. სარკმელი შეეშალა მენახირეს. აქ სოფიოს საწოლი დგას, ჭრელ-ჭრელი კაბები უკიდია მკითხავს საწოლის ბოლოზე. პირიმზეს საწოლი მეორე სარკმელთანაა. სოსანა სახლს უვლის. მეორე სარკმელთან მიდის.

ახლა მეორე სარკმელში ჩნდება სოსანას თავი.

— პირიმზე, პირიმზე, მოვედი, ქალო, გესმის.

პირიმზე შეიშმუშნა, თავი წამოწია:

— რა სულიწმინდასავით მოსდგომიხარ ფანჯარას, შემოდი.

— მერე ბავშვი? — პირიმზეს გვერდით უწევს ბიჭი.

— სძინავს, მოდი.

— მერე მკითხავი?

— მკითხავს ვინა ჰკითხავს, მოდი თუ მოდიხარ.

— შენ გამოდი, პირიმზე, თბილა, დღესავით ღამეა. განმოიხედე, რა დღეშია აქაურობა, წყალიც ისეთი მოჩუხჩუხებს, თბილზე თბილი. მე სულ ამ დროს ვბანაობ ხოლმე, პირიმზე.

— ვაი, შე საწყალო, — თავისთვის ჩაიჩურჩულა პირიმზემ და ლოგინიდან გადმოუშვა ფეხები.

მთვარით განათებული მდინარე. მდინარის ნაპირზე ლამია დატკეპნილი. პირიმზეს ტანსაცმელი აცვია. გულხელდაკრეფილი დგას და სოსანას საქმიანობას ადევნებს თვალს მთქნარებითა და ზმორებით... დედიშობილა სოსანა დაბეპილ ლამს ნამავს წყლით, მერე გამორბის, უცბათ წვება მუცლით გალიპულ ლამზე, ხელფეხს მაღლა იშვერს და ისე მიცურავს კარგა მანძილზე. თითქოს მარხილზე ზისო, ისე კარგად მისრიალებს იგი პირიმზეს ფეხებთან. პირიმზე უკან იხევს. სოსანა დგება და ისევ მიდის გამოსარბენად...

— ერთხელ კიდევ გამოვქანდები და მორჩა... — აცხადებს სოსანა.

დილაალიონია. ქარხნის საყვირივით ბღავის ბუღა.

— რა უყა შენი ჭრელი ტანისამოსი, სოფიო-მკითხავო? — ეკითხება ღიმილმორეული სოსანა სოფიოს.

— შევინახე, მარტო მკითხაობაში ჩავიცვამ, — ქვემოდან ამოხედა სოფიომ სოსანას და უფრო ააჩქარა ძროხის წველა. მას უბრალო კაბა და გამჭვირვალე წინსაფარი აცვია. ჭრელი ტანსაცმელი გაუხდია, ჯინჯილებიც აუხსნია. კატის სიმარჯვით ჰპოტნის დატიკულ ძუძუებს ჭრელ ძროხას. უწყვეტ თეთრ ზოლებად ჩაედინება რძე კრიალა საწველელში.

— ცოტა ნელა, სოფიო-მკითხავო, ძუძუები არ ჩამოაძრო!

— ხომ გითხარი, ცხენის მწველავს, ძროხის მოწველა არ გამიჭირდება-მეთქი, შენ კი ჩემი წამოყვანა არ გინდოდა.

— შრომის წიგნაკში მკითხავი ჩაგიწერე, იცოდე, — იღიმება სოსანა და ახლა სხვა ძროხაზე გადადის დასაურვებლად, თან ღიღინებს.

პირიმზე წველის ძროხას. ძროხას მოაცილა საურველი სოსანამ, პირიმზეს ჩამოუსვა ალერსით. პირიმზემ აიცილა ქშრის კოცნა, სოსანამ ძროხას აკოცა...

საქონელი ბღავილით გადის ფერმიდან. წყალდაწაფებული სოსანა წამოდგა, ერთ-ერთი ძროხა ჩაბანა მდინარეში. წმინდა გიორგი ბინიდან გამოცუნცულდა, წითელი ხის ჩემოდანი უჭირავს. ჩემოდანი დადგა. მენახირის ჩანთა შოიხსნა, გაღიმებულ ბიჭს გადაჰკიდა, ხელში სახრე დააჭერინა იოთამს:

— აბა, შენ იცი, შენზე დიდი არც მე ვარ, ხო ხედავ, — ბიჭს დაეტოლა

პატარა ტანის მენახირის თანაშემწე, მერე ქალებთან მიირბინა, ფრთხილად, პატივისცემით ჩამოართვა ხელი, მობრუნდა, წითელ ჩემოდანს დასწვდა და ეზოდან გასულ სოსანას დაედევნა. იოთამიც გარბის. ფერმის ეზოში რჩებიან მხოლოდ ქალები.

— ესეც-ასე, დავსახლდით, — ზიზღით ამოიოხრა პირიმზემ, — ბალახი ბევრია, რძე არი, წყალი არი, ქმარი მყავს, შვილი მყავს, მეორე მეყოლება, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე, აგე იმ გორაზე სასაფლაო გაიჭრება, შვილები, შვილიშვილები, შენ იყეფე, მე ვიყივლებ და ქალაქიც აშენდება!.. — უცებ გაბრაზდა პირიმზე, ქვა აიღო და შიგ ფერდში სთხლიშა ამაყად მდგარ ბუღას, — ამის ჯიშის გაძრავლებას უნდა შეეწიროს ჩვენი ჯიში. ფუი! — ხელი ჩაიქნია, სოფიოს მიუბრუნდა, — შენ ალბათ ხვალვე გაიქცევი, მკითხავო, და მაშინ ლაპარაკის ძაგივრად ბღავილი უნდა ვისწავლო.

— მე ჯერ არსად გავრბივარ, — მშვიდად მოუჭრა ბოშამ.

— ეე, შენთვის ყველაფერი ადვილია, სადაც გინდა წახვალ, დაიკარგები, არავინ მოგიკითხავს ვისთან ხარ, სადა ხარ, სადაც გინდა გაგორდები, ვისთანაც გინდა იქნები. ზეგ ვის მოეწონები, ვინ მოგეწონება, დღეს ერთი, ხვალ მეორე, მესამე, — პირიმზე მდინარესთან მივიდა და ხელ-პირის ბანვა იწყო.

— შენ ვიღა გიშლის, როგორც გინდა ისე იცხოვრე, — ზიზღი გაურია სიტყვაში ნაწყენმა სოფიომ.

—ეეჰ, რო გითხრა ვერ გაგაგებინებ! — ხელი ჩაიქნია პირიმზემ და პირსახოცი აიღო ბალახიდან.

— საწყალი, ვერ გავიგებ, — ჩაიცინა თავისთვის მკითხავმა, წყალში შევიდა, კაბა წამოიწია და ფეხების ბანვა იწყო.

მუშტრის თვალით შეათვალიერა პირიმზემ ბოშა.

თავისუფალი მოძრაობით იბანს სოფიო ტანს.

— იცი, რა სოფლიდან წამომიყვანა? იცი, რამსიმაღლე სახლი დაანგრია?! მეორე სართული ჩვენი აშენებული იყო, ჯერ კირიც არ შეშრობოდა, ახლა სარდაფები! ხილით გატენილი სარდაფები! თითო ვაშლი თითო მანეთად გასულა ზოგ ქალაქში! გესმის, მკითხავო? დაანგრია! ააფეთქა! მიყვარხარო! შვილი მყავს თორემ... მერე მეორე მეყოლება, მესამე... მერე სასაფლაო გაიჭრება...

— წადი მერე, ეგრე თუ დარდობ...

— აკი გითხარი, ვერ გაიგებ, ვერ მიმიხვდები-მეთქი! — პირიმზემ პირსახოცი სარზე ჩამოკიდა, სახლისაკენ გაემართა.

ორთქლი ახალი ავარდნილია დედამიწიდან, თითქო ორთქლის ბოლქვებშუა გამოძვრაო წმინდა გიორგი, ისე მოულოდნელად გამოჩნდა. აქა-იქ ძროხის თავებიც მოკანტურობენ ნისლებიდან. ოთხკუთხედი, ხის წითელი ჩემოდანი მოაქვს მენახირის თანაშემწეს. მას ფეხდაფეხ მოჰყვება სოსანა:

— დარჩი, გიორგი, გესმის, აქეთ მოიხედე. ადამიანო!

გიორგიმ ცალუბად მოხედა დიდ მენახირეს, გაჩერებით კი არ გაჩერებულა.

— მშვიდობა მაინცა თქვი, გიორგი წმინდა!

გიორგი გაჩერდა, ერთი ამოიხვნეშა, ჩემოდანი დადგა, სოსანასაკენ შემობრუნდა. ორივე ხელი შეუყო სოსანას ცალ მტევანში, მერე თავი ვეღარ შეიკავა და ხელზე ემთხვია. სოსანამ ხელი გაითავისუფლა, გიორგი მიიზიდა და ფერდზე მიიხუტა. სოსანას იღლიაც კი ვერ ამოავსო წმინდა გიორგიმ.

— ქალების ანაბარა მტოვებ, ჰა, გიორგი?

გიორგიმ გაიღიმა, ცრემლი მოიწმინდა:

— რაღაცნაირი ადამიანი ხარ, სოსანა!..

— რანაირი, წმინდა გიორგი?

— არ ვიცი, ამდენი ხანია ერთათა ვართ ამ ველზე და თქმა მაინც მიჭირს.

— თქვი, ერთი, ვიცოდე... — თბილად იღიმება სოსანა.

— აი, როგორა ვთქვა, მეც არ ვიცი, აი... საწყალი მამათქვენი მაგონდება. არა, კიდევ ბევრი რამ მაგონდება, როგორ გითხრათ, ენაზე მადგია, აი, კარგი! კარგი! არა, კარგი კი არა. ვერა, ვერ ვიტყვი, მიჭირს.

— უთქმელი დარჩეს, რაკიღა ეგრე გიჭირს, — სოსანამ გიორგი გაათავისუფლა. გიორგი დაიხარა, სოსანას ბიჭი გადაკოცნა, უკან-უკან წავიდა, ნელ-ნელა შებრუნდა, მერე სულაც ზურგი აქცია და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

— შეწირულები, შეწირულ საქმეს, შეწირული იყო მამათქვენი, თქვენც შეწირული ხართ! — თავისთვის აბუტბუტდა გიორგი. უცებ შედგა, ცხვირაწეულმა რამდენჯერმე შეისუნთქა ჰაერი, ორი-სამი ნაბიჯი გადადგა, მიწას დახედა: ერთ მეტრამდე დიამეტრის შავად ჩაბოჭინებული სველი ლაქა დაინახა, დაიხარა, ფხვიერი მიწა წააყარა, დაფარა. მერე კვლავ აიღო წითელი ფანერის ჩემოდანი და გაიქცა. ცოტა რომ დაშორდა, კვლავ მობრუნდა. მიწაწაყრილი ადგილი უკვე შავად გაეღენთილიყო. კვლავ წააყარა მშრალი, ფხვიერი მიწა ლაქას და ახლა უკვე აღარ მობრუნებულა, ისე გაქუსლა...

— მართალია, მამი, რო პაპაჩემი ნაცარა ბუღამ ასწია რქებზე? — შემოესმა სოსანას.

— მართალია, შვილო, ნაცარამ დაღუპა, — თითქო შვილის სიტყვები გაიმეორაო ფიქრებში მყოფმა სოსანამ.

— თოფი ხო ჰქონდა, რატო არ ესროლა?

— პაპა გახსოვს, ბიჭო, — ახლაღა ამოტივტივდა ფიქრებიდან სოსანა.

— სულ მღეროდა... რატო არ მოკალით, ჰა?..

— ნაცარას, შვილო, არც შენ ესვრი, არც მე, არც არავის მოვაკვლევინებთ.

შუადღე გადასულია. მდინარის პირას ორი-სამი ხის ჩრდილში დაყრილი ნახირი უდარდელად იცოხნება.

— გამოქანდი, იოთამ, ნუ გეშინია, ერთი გაბედე და... აქ არა ვარ, ჭოდი! — ეძახის სოსანა ბიჭს, რომელსაც ვერ გაუბედავს გალიპულ ლამზე გამოცურება.

— ერთხელ კიდევ გამოქანდი და მერე მეც გავბედავ. — ეხვეწება ბიჭი.

თითქმის დედიშობილა სოსანა გამორბის, მდინარის პირას გალიპულ ლამის ბილიკზე წვება და შვილისაკენ მისრიალებს მუცელზე გაწოლილი. იოთამიც ბედავს და მეორე მხრიდან უკვე მამასთან ერთად მოსრიალებს...

მზე კარგა გადაწვერილია. საქონლის ნაწილი ფეხზე წამომდგარი იცოხნება, ნაწილი ახლომახლო წიწკნის ბალახს. ერთ ადგილას დაუგუბებია პატარა მდინარე სოსანას, ტოტებგანასკვული სველი შარვლები დაუბერიათ მამა-შვილს, ზედ გაწოლილები მოტივტივებენ. სოსანას გაბერილი შარვლის ტოტები დიდი, შავი მუთაქებივით ამოშვერილან წყლიდან. მუთაქებშუა ნასიამოვნები სოსანას თავი გარინდულა. შუადღის სიჩუმეს მხოლოდ მამა-შვილის ფეხთა ჩქაფუნი არღვევს.

დროდადრო ჩაყოფს ხოლმე სოსანა თავს წყალში გასაგრილებლად, კამკამა წყალს ჩაიგუბებს პირში, მერე თავი წყლიდან ამოაქვს და შადრევანივით ასხამს წყალს ბიჭს. იოთამიც იმეორებს მამის ოინებს.

მოულოდნელად აიმღვრა კამკამა წყალი, თიხისფერი ნაკადი მოაწყდა საბანაოს, სოსანა წამოხტა, ბიჭს ხელი დატაცა მკლავში და მამა-შვილი ფურთხვა-ფურთხვით და გალაფული სახის წმენდით ამოცვივდნენ ნაპირზე.

— რა ჯანდაბა იყო, რამა ქნა? — სოსანა მდინარეს აკვირდება.

— სულ მოლუნგული ხარ, მამი! — იცინის ბიჭი.

— ჩუ, ძოიკა! — აწრიალდა სოსანა, როგორღაც ყელყელაობს გოლიათი მენახირე, მერე უცებ გაირინდა. მოაყურა. შორეული მანქანის მძიმე ბღუილი მოიტანა სიომ და უმალ თან გაიყოლა. სოსანამ წყალს დახედა. — მდინარე კვლავ დაწმენდილიყო.

— მოდი, დაიბანე, — სოსანამ გათხვრილი შარვალი გამოართვა ბიჭს, წყალში გაავლ-გამოავლო თავის შარვალთან ერთად. მერე გაწურა შარვლები. ბუჩქებზე მიფინა და წყალში გადაეშვა. ბიჭიც შეცურდა. თითო დაყვინთეს მამა-შვილმა და ძლივს მოასწრეს წყლიდან ამოსვლა, რომ კვლავ მოასკდა თიხისფერი სითხე მდინარეს.

— ესე უცებ რათ ატალახდა, მამი, ჰა? — ჰკითხა წყალს დაშტერებულმა იოთამმა მამას.

— არაფერი ვიცი. ჩაიცვი, — სოსანამ ორივე ხელი შეყო გალაფულ მორევში, ნახევარწუთს იხელავდა და ორი თეთრი თევზი გადმოუყარა ბიჭს. კიდევ სცადა ხელაობა, მაგრამ უკვე სუფთა წყალი წამოვიდა. სოსანა წელში გასწორდა და მიაყურა. კვლავ აბღუვლდა მანქანა.

პირიმზე სარეცხს ფენს თოკზე და ველზე ქარავნად მომავალ ვეებერთელა საბარგო და სპეცმანქანებს გასცქერის. სოფიოს ბოსლიდან ხელის ურმით გამოაქვს პატივი, ისიც შეჩერდება და მდინარეზე გადმომავალ მანქანებს გასცქერის, მანქანების დიდი ნაწილი უკვე გადმოსულა მდინარეზე, ბოლოს ვილისი ჩადგლაფუნდა მდინარეში, წყალი ამოაშხეფა და სხვა მანქანებს გამოედევნა. როგორღაც უსწორ-მასწოროდ მობორგავს ეს უკანასკნელი სწორ ველზე; ხან

მარცხნივ მოხაზავს ზედმეტს, ხანაც მარჯვნივ გაიწევს. მთვრალივით მოირწევა ახალთახალი ვილისი ფერმის წინ. შოფერს საჭეზე დასძინებია. დროდადრო წამოსწევს იგი უაზრო თავს, მიაბრ-მოაბრიალებს ძალით გახელილ თვალებს და კვლავ საჭეზე დაყვინთავს. მის გვერდით ვიღაც ზის, კი არა ზის, სკამზე სძინავს. საჭესთან მჯდომი შოფერს არ გავს. ორმოცი-ორმოცდახუთი წლის ვაჟკაცია, შესანიშნავად აცვია. შოფერს მეორე უფრო ჰგავს. ეს მეორე ოცი-ოცდახუთი წლის ბიჭი ჩანს.

ფერმასთან მოახლოებულმა მანქანამ მოულოდნელად შეცვალა გეზი, წრე მოხაზა, ფერმის ნახევრად ღია კარს დაჰკრა დინგი, კარის ერთი ნახევარი ნაფოტივით ისროლა, მერე პირიმზეს სარეცხი გაყო შუაზე და, დროზე რომ არ გასცლოდა სოფიო პატივით თავშედგმულ ხელის ურემს, უთუოდ ბორბლებიდან გამოიხედავდა. გულგახეთქილი სოფიო განზე გახტა, ქვას დასწვდა და შიგ წინა შუშაში სთხლიშა. ჩალეწილი ფანჯრიდან ლომივით თავმა გაიღიმა და არანაკლებ შემკრთალი და გაბრაზებული პირიმზეს წინ ხლიწინით გაღებული ავტომანქანის კარიდან ტანკივით მამაკაცი გადმოეშვა:

— გათენებულაა. ვინც თქვენ გაწყენინოთ, ქალებო, ქვეყნის თვალებოო... ჭრელო დაო, მიმკითხავე, ა, ჩემი ხელი! — მთელი სამყარო ბრუნავს მთვრალი ვაჟკაცის თვალწინ, ტორტმანებს, ხან სოფიოსაკენ გაიწია ყელის წევით. ხან პირიმზისაკენ, მერე ხელი ჩაიქნია, მკვეთრად შებრუნდა და სახლისაკენ წაბანდალდა: — მორია, გვეყოფა, გარეთ გამოდი, შეერიგდეთ, სოსანა. გამოდი მეთქი! თან საქმე, გესმის?! სოსანა, გამო... გამორეკე, გამორეკე საქონელი! — უცებ გაქახდა კარებისაკენ, კარს მხარი დაჰკრა, ოთახში შეევარდა.

— რა იქნა ჩემი ქუდი, აბა, აბა! გამოდით გამო! — ახლა ოთახში დახლიწინებს. დაიჩოქა, ტახტის ქვეშ შეიხედა, მერე კვლავ წამობანდალდა. მხარზე გადაკიდებული ტრანზისტორი უთავბოლო მუსიკას აფრქვევს...

ერთხანს კიდევ ისმოდა მთვრალი შოფრის ღრიანცელი ოთახიდან. ქალები კარებთან იდგნენ გასუსულები და ყურს უგდებდნენ.

— თვალებშიაც შეეყრებოდა შუშები, ახია! — ჩურჩულებს სოფიო-მკითხავი.

ოთახში ერთი მაგრად დაიბრახუნა რაღაცამ და მთვრალი კაცის აბდა-უბდა ლაპარაკიც შეწყდა. მხოლოდ ტრანზისტორიდან ამოფრქვეული მუსიკის ხმები ისმოდა. ქალები ოთახში შევიდნენ. მთვრალი მამაკაცი საწოლის მახლობლად გაშხლართულიყო იატაკზე და ტკბილად დასძინებოდა.

— ამის გარეთ გატანა არ გინდა? — თქვა სოფიომ, დაიხარა და იატაკზე დაგდებული ტრანზისტორი გამოთიშა.

— ცოდოა, აქვე დავაწვინოთ, — შეიცოდა მთვრალი კაცი პირიმზემ.

— ცოდო არა!.. — იუარა სოფიომ.

— ამიწი, ბევრს ნუ ტლიკინებ! — პირიმზე მთვრალი კაცის თავთით დადგა.

— ვიცნობ რა ხალხიც არიან. გამოიძინებს და მერე გატეხილი შუშის ფულსაც მე გადამახდევინებს, — სოფიო ფეხებში სწვდა, პირიმზემ ბეჭებში

გაუგდო ორივე ხელი, ძალზე უჭირთ ქალებს ღვინით დამძიმებული მამაკაცის საწოლზე ათრევა... ერთის ხვნეშითა და ოფლის წურწურით როგორც იქნა ბალიშზე დაადებინა თავი პირიმზემ. კაცმა თვალი გაახილა, ანგარიშმიუცემლად მისწვდა პირიმზეს, ჩაბღუჯა და ისეთი კოცნა მიადაღა, რომ ძლივს დაიძვრინა თავი აქოშინებულმა ქალმა ვაჟკაცის მკლავებიდან. პირიმზე წელში გაიმართა:

— ამას ვერ უყურებ! — გაწყრა პირიმზე.

— მადლობა გადაგიხადა, საწოლში რომ მოასვენე, — სამგზავრო რადიომიმღები მხარზე გადიკიდა ბოშა მკითხავმა და ტრანზისტორიდან ამოვარდნილი მუსიკის ჰანგებზე ცეკვით გარეთ გამოვიდა. სახეგახსნილი პირიმზე მკითხავს გამოჰყვა. მანქანასთან ჩივიდნენ. სოფიომ ბოშური რიტმული ცეკვა გაახურა და მერე უცბად შეწყვიტა. რადიო მანქანაზე დადო და კარი გამოაღო. მანქანის კარზე მიყრდნობილი, მთვრალი ახალგაზრდა კაცი კინაღამ მანქანიდან გადმოუვარდა მკითხავს. როგორც იქნა, გაასწორა სკამზე. მთვრალს არც დაუპირებია თვალის გახელა, ხროტინით განაგრძო ძილი. სოფიომ ხელისგული გაუსინჯა:

— ეს არის შოფერი, ის კი არა; — თქვა სოფიომ და ხელი გაუშვა. მაჭოლებით ჰქონდა ხელისგული მოჭედილი ახალგაზრდას.

— მეც აგრე ვიფიქრე, — პირიმზეს სარეცხის თოკზე მოუვლია ზეაწეული ორივე ხელი. წინდაუკან ქანაობს ოდნავ შესამჩნევად, მოულოდნელი თავღასხმის ანალიზს თუ აკეთებს გონებაში.

დრო გასულია. მანქანა ეზოს გარეთაა გაყვანილი. მოტორი დაბალ ხმაზე თუხთუხებს. გამოძინებულ-გამოფხიზლებული შოფერი მორცხვად ზის საჭესთან. მეორე, უფროსი, პირიმზეს საწოლში რომ ეძინა, მორჩილად დგას ქალების წინაშე და ბოდიშს იხდის:

— ღმერთო მომკალი, ეს როგორ მომივიდა, დამილეწია აქაურობა. არაფერი მახსოვს. სხვა ხომ არაფერი დავაშავე? — იკითხა და პირიმზეს შეხედა პასუხის მოლოდინში.

— არაფერი, ყოველ შემთხვევაში ამჯერად გვიპატიებია, — გაუღიმა პირიმზემ.

— შესარიგებლად მოვდიოდი სოსანასთან და... ცუდი სიმთვრალე ვიცი, ვერიდები დალევას... დღეიდან თქვენი მეზობლები ვარო. ყველანაირად დაგეხმარებით... ტრანსპორტით, სურსათით... თუ რამე დაგჭირდეთ, ნუ მოგვერიდებით... სოსანას ვნახავ... ბოდიში. ხელი ჩამოართვა ქალებს და მანქანაში ჩაჯდა.

— თქვენ ნუღარ ატარებთ მანქანას! — გააფრთხილა პირიმზემ.

მანქანა აღმართს შეაფრინდა...

საღამოა. ნახირს მოერეკებიან მამა-შვილი. სოსანა მდინარეს ათვალიერებს გზადაგზა. ერთგან რაღაც შენიშნა და გაჩერდა.

— გასწი, საქონელს მიჰყე, მეც დაგეწევი, — სოსანა დაიხარა, შავი რეზინის კარგა მოზრდილი ნაჭერი აიღო მიწიდან. საიდანღაც მუსიკის ხმები მო-

ესმა, მიაყურა, მერე ფეხთ გაიძრო, ჩუსტები ხელში დაიჭირა და ისე გატოპა მდინარე. ერთხელ მოხედა ნახირს. ბიჭი მარჯვედ მიერეკებოდა საქონელს ფერმისაკენ. სოსანა აღმართს აჰყვა და მალე სერზე გადამდგარმა ჩახედა მორეცს იქითა ტაფობს. გეოლოგების ტექნიკას ამოეჩხორა ტაფობი, მანქანები, რკინები, კარვები. სოსანამ ქვაზე ჩამოდგა ფეხი. ბანაკში ადამიანები არ ჩანდნენ, მუსიკის ხმები კი უხვად იღვრებოდა.

— იმიტომ აწრიალდა გიორგი, იმიტომ აიკრა გუდა-ნაბადი, — თავისთვის ჩაილაპარაკა სოსანამ და ქვას ფეხის წვერი წაკრა სიბრაზით. ნელ-ნელა აგორდა ქვა და მერე სიჩქარემომატებული შეგლიჯინდა ბანაკში... არავინ გამოჩენილა. სოსანა შემობრუნდა, ხელი ჩაიქნია და თავქვე დაეშვა ფერმისაკენ.

სწორედ მაშინ გადახტა სოსანა ფერმის ღობეზე, როცა ერთ-ერთი გეოლოგის ფოტო-აპარატმა დაიჩხაკუნა და სინათლე გამოაფრქვია. ცხენგამოხსნილ დროგზე მიყუდებული რამდენიმე გეოლოგი, სოსანას ცოლ-შვილი და ტანსხმული სოფიო-მკითხავი აღიბეჭდა ფირზე. სოსანა შედგა. ფერმის ეზოს მოავლო თვალი. ერთი გეოლოგი პირს იბანდა მდინარეში, მეორე ბუღას უღებდა ფოტოს, დანარჩენებიც ქალებთან იდგნენ, ძროხები არ შეელალათ ბოსლებში და ეზოში დაეხერებოდნენ. პირველმა პირიმზემ შენიშნა ეზოში შემოსული ქმარი:

— დროზე სოსანა! ბნელდება და მერე ისე ვეღარ გამოვჩნდებით, დროზე! — გასძახა ნასიამოვნებმა პირიმზემ ერთ ადგილზე შეყოვნებულ სოსანას. (გადასაღებად მოღერებული კისერი ოდნავ შეაბრუნა სოსანასაკენ, პოზა რომ არ დაერღვია).

— ოო, სოსანას სალამი! — დაიძახა ერთმა გეოლოგმა და ხელი მაღლა შემართა, სალამთან ერთად ხელიც დაუქნია.

— აქეთ, აქეთ, სოსანა! — ხელს უქნევს მეორე, აპარატმომარჯვებული გეოლოგი სოსანას.

— ამხანაგს მივიყვან და მოვალ, — თქვა სოსანამ ბოლოს როგორც იქნა და ბოსლებს მიეფარა. ქალები, ბიჭები და გეოლოგები ერთხელ კიდევ გაირინდნენ კადრში. წამიც და კვლავ გამოჩნდა სოსანა, აშვებული ბუღა ხელგადახვეული მოჰყავდა მას.

— აბა, ამას გადაუღოს სურათი, ვინც კარგი გადაღება იცის! — დაიძახა სოსანამ და ბუღას ხელი დაჰკრა თავისუფლების ნიშნად. გოლიათმა მიწა დატორა. დაიზმუვლა და თვალების ბრიალითა და თავის უგონო ხეთქებით ეზოში დატრიალდა. კადრში გარინდულები აირ-დაირივნენ. პირიმზე ოთახში შევარდა ბავშვიანად. სოფიო თივის ზვინზე აიჭრა და კიბე გადმოაგდო. გეოლოგები უფრო თავდაჭერილად ირჯებიან, მაგრამ მაინც ტოვებენ არენას. საზიდრის მეორე მხარეს დგას მთავარი გეოლოგი არჩილი და ბრაზით გატენილი ელოდება ამაყად მომავალი სოსანას მიახლოვებას. სოსანა არ ჩქარობს, მდინარესთან შედგა, ხელი ამოიბანა, მერე თივის ზვინს ჩაუარა:

—ნუ გეშინია, კიბეზე არ ამოვა, — გაუცინა სოსანამ შეშინებულ სოფიოს და კიბე კვლავ მიაყუდა.

— მაგას ჭკუა არ მოეკითხება და შენი არ ვიცი! — სოფიომ თვალი გადაავლო არე-მარეს და კვლავ წაჰკრა ფეხი კიბეს. კიბე მიწას დაენარცხა. სოსანამ ხელი ჩაიქნია:

— მე როცა ეზოში ვარ, არავის ავნებს, — ამ სიტყვებთან ერთად მიუახლოვდა იგი გეოლოგს, რომელიც ლამის არის სიბრაზისაგან გასკდეს.

— შენსას არ იშლი, ჰა?! — გამოსცრა არჩილმა.

— თქვენ იშლით რო?! რას დაეხერებით, რა ნახეთ?

— სტუმარ-მასპინძლობაც დაივიწყე?!..

— როდის დაგპატიჟეთ, გამოსწი, კარებამდინ გამოგყვები! — სოსანა ჭიშკრისაკენ წავიდა. გეოლოგი საზიდარს მოშორდა:

— გონიერი კაცი იყავი, სოსანა!..

ფიქრებში წასულმა მენახირემ უპასუხოდ დატოვა გეოლოგი.

— ჩვენთვის სულერთი იყო, საქმეს საიდანაც დავიწყებდით!

— ახლა?!

— სულ განადირებულხარ!

— ახლა?!

— ახლა სადაც გაგვეხარდება, იქ გავარჭობთ ბურღებს. — გეოლოგმა ხელის გაქნევით განამტკიცა ნათქვამი, შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით შეუყვა აღმართს.

სოსანამ უხმოდ, თვალით გააცილა გეოლოგი ფერმამდე და შინისაკენ წამოვიდა.

— ჩამო, მკითხავო, ნუ გეშინია, აკი გითხარი, როცა მე აქა ვარ, ნაცარა არას გიზამს! — სოსანამ კვლავ მიუდგა კიბე.

— მამაშენსაც ეგრე ეგონა, არას მიზამსო! —. ჩაილაპარაკა სოფიომ და შუა კიბიდან გადმოხტა.

— მამაჩემისა შენ რა იცი? — სოსანამ მკითხავი შემოაბრუნა.

— მე ყველაფერი ვიცი, ხელი გამიშვი! — სოფიო გაუსხლტა და ოთახში შევარდა.

სოსანა ბუღისაკენ გაემართა. ბუღა ზმუოდა.

დილაა. სარძევე ვედროები. ამორეცხეს ქალებმა, მარგილებზე ჩამოამხეს. სწორედ ამ დროს ფერმის მახლობლად გრიალით მოხაზა წრე გეოლოგების მსუბუქმა მანქანამ. შოფერმა ფოტოები პაერში აჰყარა და, ვიდრე ქალები საქმის ვითარებაში გაერკვეოდნენ, მანქანა გაუჩინარდა.

პირიმზე მანქანას გასცქერის და ისე იწყებს ფერხთით მოფენილი ფოტოების წამოკრეფას. ისე სწრაფად დაურბინა პირიმზემ ფოტოებს, რომ ბოშა მკითხავს ერთის მეტი არ შეხვედრია. შეტევაზე წამოსული ბუღა აღბეჭდილიყო ფოტოზე. სოფიოს გაეცინა.

— აქაც კარგად გამოვსულვარ, აქაც კარგათა ვარ, აქ შენი ხელი მეფარება, შე ჯადო, შენა! აჰა, წაიღე, შენა გქონდეს, — სოფიოს გაუფრიალა ფოტო პირიმზემ. სოფიომ სურათი აიღო. პირიმზე მდინარის პირას ჩამოჯდა, მწვანილის კვლების მახლობლად, ფოტოებს ახარისხებს და ღიმილი უპობს ბაგეებს. თითქმის ყოველ ფოტოში მთავარი გეოლოგი პირიმზეს გვერდით დგას და ამის მიხედვით არჩევს პირიმზე სურათებს.

— ბიჭი ხელიდან არ გაუშვია, — ღიმილით აღნიშნავს პირიმზე მორიგი ფოტოს თვალიერებისას, სადაც არჩილს სოსანას ბიჭი მხარზე აზის, — მოგწონს სურათები, მკითხავო? — გასძახა პირიმზემ სოფიოს.

— არა უშავს, — სოფიო ზურგზე გადაწვა, შიშველ ფეხებს წყალში აჭყაპუნებს.

— რა უმადური ადამიანი ხარ! — ეწყინა პირიმზეს სოფიოს გულგრილი პასუხი.

— რათა ვარ უმადური?

— ხალხმა პატივი გცა და შენ კი! აბა ის გერჩივნა, გაქანებული ტაჩკიდან რო გადმოგაბურთავეს შენმა ნათესავებმა?

— ეგ მე აღარც მახსოვს, — განაგრძობს ბალახზე კოტრიალს სოფიო.

— აქაც კარგა გამოვსულვარ. რა უბრალო ხალხია! ესეც კარგია, ეს ყველას ჯობია. პირიმზემ თავი აიღო და ჩაფიქრდა... რაღაცას ფიქრობს, რაღაცას ეპოტინება ქალის გონება და უცებ ღიმილი დაეუფლა პირიმზეს. გაღიმებული წამოიმართა, ხილაბანდი მოიხსნა, თმა შეისწორა ხელის ნაზი გადასმით და საცალფეხო ხიდზე გავიდა. ქედზე ავიდა პირიმზე და გეოლოგების ბანაკს ჩახედა. სიჩუმეს მხოლოდ რიტმული რახუნი არღვევდა. საქმის მკეთებელი არავინ მოჩანდა ბანაკში, თითქოს თვით მიწა იძახისო, ისეთი უჩინარი იყო ხმა.

ერთრხანს უყურა პირიმზემ და მერე ჩამოჯდა...

საღამოვდება, მზე ჯერ არ ჩასულა, მაგრამ უსწორმასწოროდ მიყრილ ლოდებში, სადაც სოსანა და იოთამი დაეხეტებიან, მზის სხივი აღარ ანათებს.

— ამ ადგილებში ჩვენ ნაცარა ბუღაზე სამჯერ დიდი ბუღები უძოვებიათ იმ ადამიანებს. მაშინ მთელი დედამიწა საძოვარი ყოფილა, ხვნა-თესვას ნაკლებად მისდევდა ხალხი, — უამბობს სოსანა შვილს. აქა-იქ კლდეებს შორის გაკვირვებული იყურებოდნენ ძროხები.

— დაბნელდა, მამი. ეს ნახატი კარგა აღარა ჩანს. — სოსანას ბიჭი კედელზე ნაკვეთ ძველისძველ მხატვრობას შეჰყურებს, ხელებს უსვამს.

— სოსანამ ასანთი ამოიღო, პატარა კლდის ნატეხი გადააგორა ერთ ადგილას და ასანთი გაკრა. სანთლის ოდენა სვეტად აენთო მიწის სიღრმიდან ამომავალი ნავთობის ლავა. სოსანამ კლდეთა შუა ჩამოირბინა, ყველა კუთხე კუნჭულში ასანთს ჰკრავდა და, თითქო ვეება კელაპტრებიაო, ისე ენთებოდა კლდის ძირებში ცეცხლი. მიყრილ-მოყრილი ლოდების ჩამოთლილ კედლებზე უძველეს ადამიანთა სხვადასხვაგვარი სცენები გამოიკვეთა: ზოგან ნატყორცნი ის-

რები დასდევნებია გარეკილ ჯოგებს, ზოგან ღრეობის სცენები ამოუკვეთიათ პირველყოფილ ადამიანებს.

— ცეცხლი რას ეკიდება, მამი, მითხარი, რა?! — ეხვეწება იოთამი მამას და ბატკანივით დასდევს.

— ჰაერია ისეთი, ნავთიანი ჰაერი. ამათ დროსაც ასე ენთო ეს ცეცხლი ამ კლდეებში. იმიტომ ეტანებოდა ხალხი ამ ადგილებს, რო გამუდმებით ენთო ცეცხლი. ნადირსა ჰხოცდნენ. მწვადებს წვავდნენ. ზამთარში არა სციოდათ. შეშა არ უნდოდათ და არაფერი, აი, შეხე, რა რქებია, ჩვენ ნაცარასაც მაგსიმაღლე რქები ჰქონდა, რო დავახერხე. შეხედე, ამ რქებზე ლოცულობდნენ ისინი, — რქებს ჩამოუსვა ხელისგული სოსანამ. ბიჭს ხელით მიაწვა, კერპთან ახლოს მიიყვანა.

— ისე გევლოს — ეკალი არ შეგრჭობოდეს, მზეს არ დაესიცხო, უხსენებელს არ დაეკბინო. გამოსწი, წავიდეთ! — სოსანამ კერპის წინ ანთებულ კლაპტარს ხელისგული გაუსწორა და ნელ-ნელა დააფარა. გზად დანარჩენ ცეცხლებსაც აჭრობდა სოსანა და ბრტყელ ქვებს სარქველებივით აწყობდა ზევიდან. ბიჭმა ხელის გულზე დახედა მამას. ალს ამოეწვა კანი.

— არა გტკივა? — ჰკითხა გაკვირვებულმა იოთამმა მამას.

— შეჩვეული მაქ, — სოსანამ ხელი-ხელზე გაისვ-გამოისვა. თანდათან ქრება სინათლის ჯაჭვი კლდეთა შუა. ბოლოს ბნელი გამეფდა. მხოლოდ ცა იყო ნათელი. ღამურები ირეოდნენ.

— ხმა-კრინტი არავისთან დაძრა, შვილო, აქ რაცა ნახე. არავის უამბო, ხანდახან მოვალთ და დავანთებთ.

— არავის ვეტყვი.

— არც დედასთან წამოგცდეს.

— რატო?

— ქალია, შვილო, ენაზე არაფერი დაადგება.

— კარგი, — მისცა პირობა შვილმა...

— ჩაუვარდა პეტრეს ქუდი თონეში და იქიდან ორი ქუდი ამოიღო. ჯადოსნური თონე იყო და ყველაფერს აორებდა.

— თონე და თონე, პეტრე და პეტრე! — ისმის უკმაყოფილო პირიმზეს ხმა ტიხარს იქიდან, ფიცრებშუა მოჩანს მისი თვალი, — გამოიყვანე ბიჭი, ხო ხედავ, სძინავს! — ჩაჩხანებს პირიმზე მეორე ოთახიდან.

— უბრალო ფიცრებით გადაუტიხრავს სოსანას ერთადერთი საცხოვრებელი ოთახი და ორი პატარა ოთახი გამოუყვანია. ერთი შედარებით დიდია. მეორე კი პატარა. დიაფილმს პატარა ოთახში უჩვენებენ.

სოსანამ ბიჭს შეხედა, სკამზე დასძინებოდა იოთამს, სოსანამ აპარატი სოფიოს ჩაუდო ხელში, თვითონ წამოდგა, ბიჭი აიყვანა, მეორე ოთახში გაიყვანა და პირიმზეს ლოგინში ჩააწვინა. სოსანამ ღიმილი შეანათა ცოლს.

— სად ლაფში იგორავეთ მამა-შვილმა, ასე რომ ამოგიწუწიათ ტანისამოსი, — პირიმზემ ჭუჭყიანი სამოსი გობში ჩაყარა და რეცხვა განაგრძო.

სოსანა ცოლისაკენ დაიხარა. პირიმზემ ქმარი ხელისკვრით მოიშორა. ზიზღი გაუკრთა ქალს. სოსანამ ღიმილით მიაშურა მეორე ოთახს.

სოფიომ ჩქარა-ჩქარა დაატრიალა კადრები, კედელზე გაჩნდა წარწერა: დასასრული.

— ახლა უხმო კინოს გაჩვენებ, — იცინის სოსანა და ახალ ფირს დებს აპარატში.

სოფიო იღიმება.

— ჩემი გაკეთებულია. — სოსანამ კოჭი გადააბრუნა, კირით შეფეთქილ კედელზე ადამიანის გამოსახულება გაიჭიმა.

— ვინ ეშმაკია? — სოფიომ სოსანას მოხედა.

— ეს მე ვარ, ხელში წმინდა გიორგი მიჭირავს, საძოვარზე გულყრა მოუვიდა და ხელით მოვიყვანე.

— ბნედიანი იყო?

— ათასში ერთხელ ემართებოდა, თუ ეწყინებოდა რამე.

სოფიომ სოსანას შეხედა.

— რა იყო სოფიო-მკითხავო?

— არაფერი, ისე შემოგხედე, ეგ რაღაა?

— დიდი კვახია, თვისით ამოსულიყო წყლისპირზე, ძლივს მოვათრიე.

— შიგ ვინა ზის?

— წმინდა გიორგი ჩავსვი, თუ ჩაეტევა-მეთქი.

— ჩაეტია?

— ადგილიც დარჩა თავისუფალი, — იცინის სოსანა. შემდეგ კადრზე ქალი გამოჩნდა:

— ეს არაფერი, — თქვა სოსანამ და კადრი შეცვალა.

— თუ ავადმყოფი იყო შენი თანაშემწე, აქ რას აკეთებდა, რატომ სოფელში არა ცხოვრობდა, ექიმები, წამლები...

სოსანა იღიმება და თავს აქნევს.

— წყენას ვერ იტანდა. გულყრა მაშინ მოსდიოდა. აქ თავისუფლად იყო, წელიწადს არ დამელაპარაკებოდა თუ არ უნდოდა. სოსანამ კადრი შეცვალა.

— ეგ ვინაა? — ახალი კადრის შინაარსი ჰკითხა სოფიომ.

— მამაჩემია, ბუღამ მოკლა. გვერდით რომ უწყვია, ამ ბუღის რქებია, მოვახერხე და საფლავში ჩავაყოლე... მენახირე იყო.

— თავი უნდა მოგეხერხა, რქები კი არა! — მოისმა პირიმზეს ხმა.

— ანდერძი დაიბარა, ხელი არ აჰლოთო. — სოსანამ კადრი შეცვალა.

— ძალიან კი გაიგებდა მიცვალებული, დაკალით თუ ანდერძი შეინახეო. ეგ ხო თქვენი საკუთარი ბუღა იყო, ვერც კოლმეურნეობა შემოგედავებოდა, — გაისმა პირიმზეს მწყრალი ხმა. პირიმზემ სარეცხი გაიტანა გარეთ.

სოსანა კვლავ განაგრძობს თავისი ნახატი სურათების ჩვენებას. პრიმი-

.ჯიული, ალალი გაბოსახულებანი თავისებურს, სპეტაკ სამყაროსა ქმნის კედელზე. ბევრის ვინაობას აღარ ეკითხება სოფიო, ალბათ, გუმანით ხვდება.

— ეგ რა ხეა? — სოფიომ კადრი შეაჩერებინა.

— წმინდა გიორგი ღინჭილებს ჰკიდებდა ხოლმე, მშველისო, იძახდა.

— ღინჭილები რა არი?

— საქონლის კბილები, ეშვები, სხვადასხვა ფერის მძივებია, უფრო მოყვითლო ფერია მეტი. ძროხას თუ ცრემლის დენა აქვს, რქებზე უნდა დაჰკიდო და უეჭველად შეუწყდება, — რამდენჯერმე ზედიზედ გადაატრიალა კოჭი.

— ეგ რაღაა? — ხმადაბლა იკითხა კადრის შინაარსი სოფიომ.

— არაფერი, ყაყაჩოებმა წაგველეკეს იმ წელიწადს, დიდი გვალვა იყო და ძლივს გამოვკვებეთ ნახირი, მას აქეთ აღარც მინახავს... — გაირინდა სოსანა.

— რა?

— ეგეთი სანახაობა, თითქო საქონლის სისხლი ჩამოაქციესო ზეციდან, ისე მოედო სიწითლე აქაურობას.

სოფიო რაღაცას ფიქრობს.

— რას ჩაფიქრდი, მკითხავო? აი, წმინდა გიორგის საწოლი, — კადრში პატარა კოხტა ჩუქურთმებიანი საწოლი ჩნდება. საწოლში ქალი და კაცი წევნან: ქალს ფეხები საწოლისგარეთ აქვს გამოყოფილი, ჩანს, საწოლში ვერ დატეულა.

— გიორგის საწოლია, — ახსნა სოსანამ.

— ქალი ვიღაა?

— სიზმარში ენახა, ცოლთან ერთად ვიწექიო. მე ჩავხატე, იღიმება სოსანა.

— გინდა გიმკითხაო? — მოულოდნელად შეტრიალდა სოფიო სოსანასკენ და ფრთხილად მისწვდა სოსანას მაჯაში.

— რათ მინდა... — იუარა ღიმილმორეულმა მენახირემ.

— სხვები თუ მეხვეწებიან?

— სხვები სხვა რამეს გეხვეწებიან, — ეშმაკურად ჩაიცინა სოსანამ და ნიკაპქვეშ შეუღიტინა მკითხავს, — ეგრე არ არი, ლამაზო?!

სოფიოს ცრემლი მოაწვა, ქვედა ტუჩი ზედას აეკრა, კთრთოლდა, მერე უცებ დაუმშვიდდა სახე, თითქოს გულწრფელი ღიმილიც გამოკრთა სოფოს სახეზე. სოსანას ესიამოვნა ქალის ღიმილი, თითონაც გაიბადრა და თავი ისე დააკანტურა, რომ გაიგეთ, ქალის საქმეებში მეც გარკვეული ვარო, და სწორედ ამ დროს გაისმა კარგი ხმელი სილის ლაწანი და ორივე ლოყაში იელვა მკითხავის მოქნეულმა ვიწრო ხელმა. საქციელწამხდარი იდგა სოსანა.

— ჯერ შენ გამოგღადრავ, მერე შენ მზეთუნახავს. — ღაპაღუპით წასკდა ცრემლი სოფიოს, მაგრამ სიტყვა მაინც მკაფიო და დამაჯერებელი ფეთქავს ფერნაცემ ბაგეებიდან, — იმ ორმოც მოსაგებ ძროხას გამოგიფატრავ და შენ ურჩო ბუღასაც ფერდში მივცემ დანას! ისე გაქვს საქმე, კიდეც გაგეხარდება! შენისთანა რეგვენებს გამოვექეცი! — ნაბიჯ-ნაბიჯ იწევს დანაგაშიშვლებული

მკითხავი სოსანასაკენ, — ხიდთან რო ხელი მოგკიდე, გახსოვს? შემეცოდე და იმიტომ მოგკიდე! — სოფიო უკვე ღრიალებს, — თანაც კაცსა ჰგავდი, ეს შენი ნაჯღაბნიც მომეწონა! — ლოგინზე ჩაემხო მკითხავი და მთელი ტანით აცახცახებული აღრიალდა. სოსანა გამშრალი და დაბნეული იდგა, სეტყვასავით მოჩეთქილი მკითხავის დამშვიდება უნდოდა, მაგრამ ვერ გაებედა.

— პირიმზე! — უხმო სოსანამ ცოლს. არავინ გამოჩენილა.

— პირიმზე, სადა ხარ, გო?! — სოსანამ მეორე ოთახში გაყო თავი, პირიმზე არც იქ იყო. ყვირილზე ბიჭს გამოღვიძებოდა, ლოგინში წამომჯდარიყო და თვალებს ისრესდა შემკრთალი. სოსანა კვლავ მკითხავს მიუბრუნდა.

— ჩუ, მკითხავო! ჩუ, თორე მე თუ დავიწყე ღრიალი, აბა მაშინ ნახე. ვეღარავინ გამაჩერებს, ჩუ! — სოსანამ დასამშვიდებლად დაადო ტორი მთრთოლვარე ბეჭზე ქალს, ერთხანს კიდე შერჩა იმ ადგილს, მერე შემობრუნდა, აპარატი გამორთო და მეორე ოთახში გავიდა:

— დაწე, დაიძინე, რა ნახე? — რას წამომჯდარხარ? — დააწვინა სოსანამ ბიჭი. ოთახში ღამის პერანგისამარა პირიმზე შემოტლაკუნდა ფეხშიშველი.

— სად იყა, რამდენი გიძახე?

— ტიტლიკანა ვსლიკინებდი წყლიპირზე, — გამოაჯავრა პირიმზემ და ლოგინში შეძვრა.

— რა ყველა ერთბაშად ამეშალეთ, რა ნახეთ? — ჩაიბურდღუნა სოსანამ და გარეთ გავიდა.

შუადღე ჯერ შორსაა. ფერდობს, რომელზედაც პატარა, დაფარჩხული ხე დგას, ჯერ კიდევ მთლიანად არ გადმოსდგომია მზე. ხის გარშემო მავალი მლოცველი ხან ჩრდილში მოექცევა, ხანაც მზე დაჰნათის გარინდულ სახეზე. სოფიოს მთელი თავისი სამკაულები ტანზე აუჩონჩხლია, მისი ჭრელი ტანისამოსი სხვადასხვაფრად ელავს ჩრდილიდან მზეზე გამოსვლისას. სოფიოს თითქოს დახუჭული აქვს თვალები, ისე გაუტაცია მთელი მისი არსება გულმხურვალე ვედრებას. იგი ვერც პირიმზეს ამჩნევს, რომელიც წინდისჩხირების ქნევით მოჰყვება აღმართს.

— რაო, რას გეუბნება უფალი, აგისრულებო?! — დამცინავად გამოსძახა პირიმზემ მლოცველს და მისკენ გადმოუხვია. სოფიო კვლავ ლოცვაშია. ცხვირწინ ვერაფერს ხედავს, ვერას ამჩნევს, რამდენჯერმე წაიფორხილა კიდეც, ღორღს წამოსდო ფეხი, მაინც არ ფერხდება, მაინც უვლის პატარა დაკოჟრილ ხეს, რომელზედაც ჯუჯა გიორგის დატოვებული სხვადასხვა ფერის ღინჭილებია დაკიდებული.

— ლოცვა ვინ გასწავლა, ჯადო, ხმა ამოიღე! — არ ეშვება პირიმზე, თან ქსოვს, თან სოფიოს ეპაექრება.

თავის მშობლიურ ენაზე შესთხოვს სოფიო ბუნების ძალას, რომ ნატვრა აუსრულოს. რამდენჯერმე დაიჩოქა, წამოდგა. კვლავ შემოუარა ხეს ბუტბუტით. პირიმზე წამით ჩაფიქრდა, მერე კვლავ ახარხარდა.

— მაგას რომ რამე შეეძლოს, — ფრაზა აღარ დაამთავრა, ახალი დაიწყო, — ძაან კი იკლავ თავსა და არ იტყვი, რამ წაგკიდა ცეცხლი, აგრემც წაგეკიდება მართლა და მართლა, ხმა ამოიღე, შე ჯადო! რა ნახე!

არც ამჟამად გაუცია ხმა სოფიოს. მან ხელის ფათურით მოძებნა კარგი კოხტა ტოტი, სამკაული მოიხსნა, ტოტზე დაჰკიდა, ხელი ჩამოუსვა და წასასვლელად შემობრუნდა გაღიმებული. მთელ ქვეყანას ხედავდა სოფიო იმ წუთში და პირიმზეს მოხედა კიდეც, მაგრამ არ შეუნიშნავს იგი.

— გაწყდი აჰაანდეე! — ზიზღი გაადევნა პირიმზემ. იგი იდგა ხესთან, მაგრამ წინდისჩხირებს აღარ აქნევდა, ქსოვა შეეწყვიტა. მერე ნელ-ნელა მთელი ტანით შემობრუნდა ხისკენ, ჯერ ისე ათვალიერა სამკაულები და მერე უცებ გაირინდა თვალგაშტერებული. კვლავ მოეგო გონს, ქსოვილი გორგალს მოსწყვიტა, თვალით ტოტი ამოირჩია, ერთი წვერი ამორჩეულ ტოტს გამოაბა და კვლავ გაირინდა, მერე ნელ-ნელა შეინძრა ქალის ბაგე და საბლის დანგრევიდან დღემდე დაგროვილი დარდი და ბალღამი ერთბაშად ამოანთხია პირიმზემ გულიდან:

— ოღონდ სამშვიდობოზე გავიდე, ოღონდ მე ჩემი მქონდეს, ოღონდ მეშველოს და ამ მინდორში არ მოვკვდე, ამ უდაბნოში არ დავიმარხო! — სიტყვებთან ერთად ხეს გარშემო უწყო შემოვლა. თეთრი თოკი ნელ-ნელა ეხვეოდა ხეს და სულს უხუთავს. ტოტებს სუნთქვა უჭირთ, თავის დაღწევას ლამობენ, მაგრამ პირიმზე სულ უფრო და უფრო აჩქარებს ნაბიჯს და წრეს ავიწროებს... დადის აბობოქრებული ქალი და ხე უფრო და უფრო იგუდება, იღრჩობა. ხმელი ტოტების ლაწანიც გაისმა რამდენჯერმე.

— ჭირსაც წაუღია აქაურობა, ცეცხლშიამც ცდამწვარა ყველაფერი! მე აქ სოფლის ამშენებელი არა ვარ! მე აქ მაცხოვრებელი არა ვარ! არა! არა! არა!

დღეა. ცხელა. რამდენიმე მოსაგები. გაბურთული ძროხა ქაქანებს ჩრდილში. დასიცხული ნაცარა ბუღა ფშვინავს და ჭვრეპს კრიალა წყალს.

მცირე მორევში თევზებივით უხმოდ დალიფლიფებენ პირიმზე და სოფიო. მორევში შემოჭრილი დინება ოდნავშესამჩნევად აბრუნებს მათ წრეზე. პირიმზე ჯებირთან მიიტანა დინებამ. ჯირკზე გადასდო მან თავი და თითქოს რაღაცას უსმენს თუ ელოდებაო, ისე გაირინდა. ერთხანს ასე იყო, მერე ეტყობა სიცხემ შეაწუხა, ლოყაზე გადაივლო მუჭით წყალი, ესეც არ იკმარა, ჯირკს ჩამოეხსნა და ნელ-ნელა დაიძრა. მერე კვლავ ამოზიდა სველი თმით დამძიმებული თავი წყლიდან.

— რა თქვი? — ფრთხილად, თითქოს სიცხეში გზას მიიკვლევსო, ისე ზლაზვნით მოესმა სოფიოს.

— არაფერი, — თავი გააქნია სოფიომ და ნაკადს გაჰყვა წრეზე. ზურგზე გაწოლილმა პირიმზემ უხმოდ დაძირა სხეული წყალში, მერე ნელ-ნელა ამოტივტივდა და კვლავ ჯირკზე შედო თავი.

მანქანის შორეული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი გუგუნი მოისმა. ჯირკზე გარინ-

დულმა პირიმზემ ყური ცქვიტა, წყალში წამოჯდა. მანქანის ხმა უფრო გაიზარდა და მალე გეოლოგების ვილისმა ჩაუარა ფერმას და ბანაკისაკენ მიმავალ აღმართს აუყვა ბზუილით.

უცბად დაფაცურდა პირიმზე, მკლავის რამდენიმე მოსმით გაცურდა, ნაპირზე ამოტოპა და ჩქარ-ჩქარა იწყო ჩაცმა. სველ ტანზე ადვილად ვერ ეცმებოდა კაბა, ზედ ეტმასნებოდა. რამდენჯერმე ძალით ჩაისწორა და სველმა ტანმა შიგნიდან ამოხაზა სამოსი.

— წუხელ სად იყავი? — ჰკითხა სოფიომ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

ახლა სოფიოს უდევს თავი ჯებირზე.

— არ წახვიდე, პირიმზე, — თითქოს აფრთხილებსო, ისე გაისმა სოფიოს ხმა. ფოთოლივით ირწევა სოფიოს ტანი კამკამა წყალში. სოფიო ხედავს, თუ როგორ გაძვრა მეჩხერ ღობეში პირიმზე და როგორ შეუთავა გეოლოგებისაკენ მიმავალ აღმართს.

— ნუ მიდიხარ, პირიმზე, ნუ მიდიხარ! — ხმამაღლა უყვირის სოფიო. მერე აღარაფერს უყურებდა სოფიო, ისე იწვა, ხელები თავქვეშ ამოეწყო. იწვა და ფიქრობდა. მერე როგორღაც შეუმჩნევლად ჩამოცურდა ჯებირიდან და ნელ-ნელა შეჰყვა წრეში მბრუნავ წყლის ჰაერს. მერე ნელ-ნელა განზე გაიტყუა მთავარმა დინებამ სოფიოს ტანი და სანამ გამოერკვეოდა, უკვე მორევს გასცლოდა. თითქოს ამან გამოარკვიაო, სოფიო გადმობრუნდა და მდინარეს გაჰყვა ცურვით.

მდინარის პირას, ჩვეულ ადგილზე რამდენიმე დიდი ხის ჩრდილში დაყრილი საქონელი დინჯად იცოხნის. ერთ-ერთი ხის ტოტი დაბლაა გართხმული. ზედ პატარა რძის ქვაბი ჰკიდია, ქვეშ ცეცხლი უნთია. მამა-შვილი მოშორებით, მესამე ხეს მიჰყუდებიან ზურგებით, ფერხთით ნახევარი ყველი და კარაქის გუნდა უგდიათ წყლიან ჯამში. პური შეუჭამიათ, პატარა ქერქილა უდევთ ნაჭერზე. რაღაც იდუმალებით მოსილი სხედან და ნათალი ჩიქებით სვამენ რძეს. რძეს მოსვამენ, ჩიქებს ქვიშაზე დადგამენ და განაბულები ამღერდებიან. ბიჭი იწყებს სიმღერას. სოსანამ კვლავ გააქნია თავი. იოთამმა ხელები გაშალა, მე ესე ვიციო. სოსანამ გაუღიმა და გაჭირვებით აიღო მაღალი ჰანგი. მერე კვლავ გაიმეორა ბიჭმა მამის ნასწავლი მელოდია და საგალობელივით ჰაეროვანმა ძველთა-ძველმა ჰანგმა დაურბინა სიცხით შეყუნებულ ჰაერს. სოსანა ხან მეორე ხმას ეტყვის, ხანაც ბანებში ჩამოდის. რძე ადუღდა, გადმოვიდა და ჩუილით ჩააქრო მილეული ალი. ახლა წვრილი ბოლი აიკლაკნა ნელ-ნელა. არც ერთს არ მიუხედია ქვაბისაკენ, ისე იყვნენ სიმღერას აყოლილნი. სიტყვების გარჩევა შეუძლებელია, როგორღაც სვანურს წააგავს.

კიდევ შეაჩერა მამამ შვილი. თავი გააქნია და მაღალ ჰანგს შეება შინაგანი ცეცხლით. ორივენი ნახევრად შიშვლები არიან, სველი თითით დაუხაზავთ ტანი, მერე ზედ ცხელი ქვიშა მიუყრიათ და ასე ლამაზად მოხატულები მიჰყუდებიან განიერ ხეს.

სოფიო ფრთხილად მიცურდა ნაპირთან და სიმღერას მიუგდო ყური. ჰოი,

რას გალობდნენ მამა-შვილი! ასეთი სიმღერა ჯერ არ სმენოდა ბოშას. მუხლზე წამომდგარი შეჰყურებდა ერთხანს მომღერლებს. სოფიო ფეხზეც კი წამოდგა, მაგრამ ისე მთელი სულითა და გულით მისცქეროდნენ მამა-შვილი საგალობელს, რომ სოფიო ფეხზე ამდგარიც კი ვერ შენიშნეს. ერთხანს იდგა ფეხზე სოფიო, მერე ნელ-ნელა დაეშვა ქვიშაზე.

სიმღერა კი თავისას ამბობდა, თითქოს დედამიწის შექმნის ამბავსა ჰყვებაო. ხან ცხრებოდა და ხანაც მძლავრად გუგუნებდა ჰანგი, შესვენებისას უხმოდ სვამდნენ რძეს მამა-შვილი.

სოფიო წყალში იჯდა, მუხლებზე ედო თავი და მთელი სხეული ტირილისაგან უთრთოდა.

ათხვრილ-გაპუპყიანებული არჩილი მანქანიდან გადმოხტა არტეზიულ ჭასთან. ონკანთან თაროებია დაკიდებული, პირსახოცები, საპნები, ტაშტები, კბილის ჯაგრისები, ფხვნილები, პასტები.

— შიო, შიო, არ მომაშიო, მშია, შიო, არ მომაშიო! — ღიღინებს და ხელათს იძრობს, ხელ-პირს იბანს. — ძია შიო, გახსოვს, ღამე რო ვხარშავდით ხორცს და ბაყაყი რომ ჩამხტარიყო ქვაბში?! — იცინის არჩილი და მზარეულს უღიმის.

— მაშინ ღამე გახლდათ, არჩილ ბატონო, სინათლეც არა გვქონდა და, შიომ რა ქნას, ბაყაყებს უდარაჯოს თუ კერძი ხარშოს. — იცინის შუახანს გადაცილებული მზარეული და ხახვს ფენა-ფენა კეპავს.

— გახსოვს შიო, ჭყიიო, რომ დაიძახა კბილებქვეშ. — არჩილმა პირი დაიბანა და ხალათი გადაიცვა — ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, მალე იქნება? — მზარეულთან შედგა წამით.

— ემ დანკში ბუთი, სუ ბევრი ათი წუთი.

არჩილი თავს უქნევს თანხმობის ნიშნად და თავისი კარავისაკენ მიდის, თან მღერის —შიო, შიო, არ მომაშიო, ვაი შენ — შიო, რომ მომაშიო, შენ მა შიო, მე შვილი შიო, შიო, შიო არ მომაშიო!..

— ჯამაგირი როდის დარიგდება, პატივცემულო არჩილ, ცხრა მთას იქიდან ყვაა-ყვააას მეძახის ცოლ-შვილი, ყვა-ყვაა, აი ხო გესმით? მართლაც სადღაც ყვავის ჩხავილი ისმის: „ყვა-ყვაა“.

— ხვალ, ხვალ! — გაიცინა არჩილმა, და კარავს მიუახლოვდა. ვაი შენ, შიო, რომ მომაშიო. — არჩილმა კარვის კალთა გაწია და ნახევრად შემძვრალი გაჩერდა. კარავში პირიმზე იწვა, თავთით გეოლოგების გადაღებული ფოტოები ჰქონდა დაყრილი, ერთ-ერთიდან არჩილი და პირიმზე იხედებოდნენ.

— გამარჯობათ, — როგორც იქნა გაუღიმა არჩილმა და კარავში შეძვრა. პირიმზე წამოჯდა, სამოსი მოისწორ-მოისწორა.

— ამბავი-ხაბარი, ფოტოები მოგეწონათ? — კიდე მაქვს, უფრო კარგად დაბეჭდილი, საკავშირო კონკურსში სამჯერ გავიმარჯვე, აგერ ჟურნალ-გაზეთები, თითოში-თითო ფოტოა ჩემი გამოქვეყნებული. ახალგაზრდობაში ალპი-

ნიზმსაც მივდევდი. აგე, — კარვის ჯიბეში გადაყო ხელი არჩილმა, ალპინისტური ფოტოები ამოიღო, აჩვენა.

— ჩემს შესახებ მე მეტი არაფერი ვიცი, ჯერ თქვენ გისმენთ! — არჩილი პირიმზისაკენ შემობრუნდა და აღმოსავლურად მოირთხო.

პირიმზე ჯერ გარინდული ადევნებდა თავს არჩილს, ყოველ მიხვრა-მოხვრასა თუ მოძრაობას და, უცბად რომ მოუჭრა გეოლოგმა, მოულოდნელობამ დააბნია. ერთხანს დაბნეული იყო, მერე ნელ-ნელა შეაპარა არჩილს თვალი.

— იცით რა, მოდი, გარეთ გავიდეთ, დიდხანს თქვენი აქ ყოფნა მიზანშეწონილი არაა, გავიდეთ! — არჩილი მუხლებზე წამოდგა.

— არა, არა, მე გარეთ ვერაფერს ვერ გეტყვით, ყველაფრის თქმა მინდა და, გარეთ არა! უნდა დამეხმაროთ, მიშველოთ, მე დაღუპული ქალი ვარ, უსახლკარო, სახლი სოსანამ დამიქცია, ააფეთქა, სოფელში სახლი აღარ მაქვს. ბავშვი, მაგის ხელში ძნელია ცხოვრება, — პირიმზე ტირის, — ყოველთვის შიშში ვარ, აი ხომ ნახეთ, ბუღა რომ აუშვა, იმ ბუღამ დაჩეხა მამამთილი... მე აღარ შემიძლია, არა, არა, ქალი ვარ, ცხოვრება მინდა. კაცი რო თაფლობის თვეს ნახირში გაატარებს, აბა მითხარით!..

— იცით რა?!

— მოითმინეთ, არჩილ, მე ჯერ მთავარი არ მითქვია.

— იცით რა, პირიმზე, ჯერ ერთი, მე საშინლად მშია, მეორეც ის, რომ სოსანასთან ამაზე მეტად ურთიერთობის გაფუჭება არ შეიძლება. მესამეც ის, სოსანა თუ სულ ნახირშია, მე სულ ველზე ვარ. მეც მყავს ოჯახი, თანაც ცხრა მთას იქით. ყვა-ყვაა! გესმით! ისინი რომ ვინმეს მაადგნენ დახმარებისათვის. მე შეიძლება სახლთან ერთად ცოლიც ავაფეთქო, გესმით თუ არა?! — არჩილი წამოდგა.

კარიდან უთხრა. — ახლა თვალებში არ მიყურებ და შეიძლება უფრო გაგიადვილდეს. პირდაპირ მითხარ: სოსანასთან ცხოვრება არ შეგიძლია თუ სხვა რამე გაწუხებს. იქნებ სხვა რამისთვის მოხვედი ჩემთანა.

— აქედან არსად წავალ, არა, არა, არა! — თავი ჩაღუნა პირიმზემ და აქვითინდა.

არჩილმა თავი მტკიცედ გააქნია და გარეთ გავიდა. გზად ტანისამოსი გაისწორა, ვილისში ჩაჯდა.

მზარეული მათლაფით დაედევნა:

— არჩილ ბატონო, არჩილ, ჰყიი, ბაყაყი ჰყიი! ჩამოდით! — წინ გადაუდგა შანქანას შიო.

— რა ვქნა, შიო, მოვალ — შიო, მშია-შიო! მანდ, ჩემ კარავში ქალია. ჰკითხეთ იქნებ იმასაც შია! — არჩილმა მანქანა დასძრა. შიომ თვალი ჩაჰკუტა უშმაკურად და კარვისაკენ მიიხედა. არჩილმა თავი გადააქნია... — არა, უბედური ქალია...

დასიცხულ ჰაერში გაბმული ბზუილია, უამრავი ბზიკი არეულა, ყურებდაცქვეტილი და კუდაპრეხილი ძროხები ფრუტუნებენ, ფეხებს აბაკუნებენ, ერთმანეთს აწყდებიან, მაგრამ ჯერ გაქცევას არ აპირებენ, ჯერ კიდევ უძლებენ ბზიკების შემოსევას.

— დააჯდა, მამი, აგე! — ყვირის იოთამი.

— მიეპარე და დასცხე. აი ესე! — სოსანა ხელისგულს უტლაშუნებს გავაზე გაფაციცებულ ძროხას და ბზიკს კლავს. ახლა იოთამიც დარბის და ისიც უტლაშუნებს ბზიკებს ხელს.

— ფერდში ერიდე, ძალიან არ ჩაჰკრა, აფრთხილებს მამა შვილს, — დეედო, ჰოო! ჰოჰ! დეედო! საიდან დაგვეხვა ეს ამოდენა ბზიკი. ჰუჰი, თქვენი! — გაოფლილი მამა-შვილი არეულ ნახირში დარბიან. გარს უვლიან ბზიკებს, ხოცავენ. აღელვებული, შეშინებული, ბზიკის კბენის მოლოდინში გაფაციცებული საქონლის დაოკებას ლამობენ.

სულ უფრო ღელავს საქონელი. ბოლოს ერთ ალაგას გაირღვა წრე, თაფლა ძროხა გამოეშვა კუდაბზეკილი, მას სამი-ოთხი კიდევ სხვა მიჰყვა და დროზე რომ არ შეეკრათ მამა-შვილს გარღვეული ადგილი., უთუოდ სხვა ძროხებიც მიჰყვებოდნენ მათ. კიდევ დაურბინეს სოსანამ და ბიჭმა, კიდევ მიახოცეს რამდენიმე ბზიკი. ახლა მეორე ადგილას გაირღვა წრე და სანამ სოსანა მიასწრებდა, 7-8 სული საქონელი გამოეყო ჯოგს და სხვადასხვა მიმართულებით გაცვივდა.

— დეედო, ჰოო, ჰოჰ! დეედო ჰოო, თქვე უპატრონოებო, თქვენა. ჰოო, ჰოჰ! — ყვირის სოსანა, ცოტაზე კიდეც გაედევნა მათ.

— ესენიც გარბიან, მამი. გარბიან! — იოთამმა ვეღარ შეაჩერა დაბუზარაეებული ძროხები. სოსანა მობრუნდა და ახლა ამ ნაკადს დაედევნა. ბიჭმა დარჩენილი სამი ძროხა გამოდენა.

სოსანა და ბიჭი, დარჩენილი სამი ძროხა პატარა ბორცვის წვერზე მოექცნენ.

სოსანამ სხვადასხვა მიმართულებით გაცვენილ საქონელს გააყოლა თვალი და გაშრა ერთ ადგილზე: გეოლოგებს რამდენიმე ადგილას დაეყენებინათ ჭაბურღილები. ვანჭანები, მუშები, ხმაური, სიცილი ისმოდა ყოველი მხრიდან. ყველაზე ახლოს, იქ. სადაც კლდეში ნაკვეთი გამოსახულებანი იყო მიმოფანტული, სადაც ბიჭი მიიყვანა ამას წინათ სოსანამ. იქაც დგამდნენ ჭაბურღილს.

— შენ ხო არავის უთხარი, ბიჭო?! — თავისკენ შემოატრიალა ბიჭი სოსანამ. ბიჭმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

— მე არ მითქვია, — ამოილუღლუღა ბიჭმა.

— მაშ, აქ ვინ მორეკა ესენი! — თითი გაიშვირა კლდეებთან დადგმულ ჭაბურღილისაკენ სოსანამ და იგივე ხელი გამოჰკრა ლოყაში. ბიჭს აღარაფერი უთქვამს, გაშრა. გაცეცხლებული სოსანა სირბილით დაეშვა კერპებთან მოფუსფუსე გეოლოგებისაკენ.

— აქ რა გინდათ. თქვენი!... — ენაზე მომდგარი გინება უკან ჩაიბრუნა სოსანამ და ჭაბურღილთან მოფუსფუსე მუშათა გუნდში დატრიალდა...

— ცოტა წესიერად ილაპარაკე, ე, გლეხო! — დაუძახა ვიღაცამ.

სოსანამ მიიხედა, ეშვი ვერავისზე მიიტანა.

— ადგილი აღარსად იყო, აქ რა გინდათ-მეთქი? — წრეს ჩამოუარა გამ-ძვინვარებულმა მენახირემ.

— შუუუ! — დაიზმუვლა ვიღაცამ. სოსანამ მიიხედა.

— მუუუ! — ზედიზედ გაისმა აქეთ-იქიდან გამოსაჯავრებელი ბღავილი და მალე ყოველი მხრიდან მოისმა ხმები. უცბად შემოტრიალდა სოსანა, არც უფიქრია, თუ რომელს მოუნგრევდა ყბას, ისე გლიჯა თავი რომელიღაცას. გადათელა და თავქვე დაეშვა. რამდენჯერმე გააფურთხა გზადაგზა და გახეთქილ ტუჩზე მოისვა მაჯა. ორმა მანქანამ გადაუღობა გზა სოსანას. სოსანამ მანქანები გაატარა და ჩქარი ნაბიჯით გასწია მეორე ჰაბურღილისაკენ.

— ვისი ბრძანებაა, აქ რა გინდათ? — იყვირა შორიდანვე მეორე ჰაბურღილს მიტანებულმა სოსანამ. ხმა არავის გაუცია, ან ალბათ ვერც გაიგონეს მისი ყვირილი, ისეთი ხმაური იდგა ირგვლივ, სულ ახლოს გამაყრუებელი რაკრაკით ჩამოუარა ბულდოზერმა სოსანას, ბულდოზერი პირდაპირ კლდეებში შეიჭრა, შეანგრია, შელეწა ყველაფერი. სოსანამ რაღაც დაუძახა შოფერს, ხელიც დაუქნია, მაგრამ თითონაც არ გაუგია თავისი ძახილი. მობრუნდა და შორს, მესამე ჰაბურღილისაკენ წავიდა. ახლა ისე ჩქარა აღარ მიდიოდა. როგორღაც მოღლილი ნაბიჯი ჰქონდა...

მესამე ჰაბურღილიდან უკვე ნელ-ნელა ეშვება სოსანა, ტირის, ღაპაღუპით მოსდის ცრემლები.

ფერმის ეზოში შედის სოსანა, ნახირი უკვე მოურეკია ბიჭს, ყველგან დაეხეტებიან ძროხები ფერმის ტერიტორიაზე.

— პირიმზე! — უხმო სოსანამ ცოლს. პასუხი არსაიდან მოისმა. არც პირიმზე გამოჩენილა.

— პირიმზე! — დაიღრიალა სოსანამ და ისე შედგა ჩაფიქრებული.

— პირიმზე! — უფრო მძლავრად იყვირა მენახირემ. ძახილზე სოფიო გამოვიდა ოთახიდან და თავჩაღუნული გაჩერდა სახლთან.

— შენ როდის გეძახი? — იოთამ! — ახლა შვილს უხმო სოსანამ, — იოთამ!

სახლის უკნიდან სოსანას ბიჭი გამოვიდა დაბღვერილი.

— დედა სად არის? — დაუყვირა სოსანამ ბიჭს.

— არ ვიცი, — ძლივს ამოილუღლუღა ბიჭმა და გვერდშექცევით გაჩერდა. სოსანამ ახლა სოფიოს შეხედა.

— წავიდა, — ფრთხილად თქვა სოფიომ და თავი გეოლოგების მიმართულებით გაიქნია. წამით შეფიქრიანდა სოსანა, მერე სარი მოაძრო, ღობეს გადაევლო და შეუნელებლად აირბინა აღმართი, სერზე არც შეჩერებულა, ისე დაეშვა თავქვე.

— პირიმზე! — დაიძახა ბანაკს მიტანებულმა სოსანამ.

ჩამიჩუმი არსაიდან მოისმა.

— პირიმზე! პირიმზე! — ზედიზედ იყვირა სოსანამ და სათითაოდ დაურბინა კარვებს.

ერთ-ერთ კარავში პირიმზე მიყუჟულიყო.

— ვაიმე! — ამოხდა მენახირეს და კარვის კალთას ხელი შეუშვა. ერთხანს იდგა ჩაფიქრებული და გულღვიძლდაღრილი მენახირე კარვის წინ. ელდანაცემი პირიმზეს გულის ბაგა-ბუგი ისმოდა კარვიდან.

— ოჰ შენი! — ამოხეთქა სოსანამ და კარვის წინა ჯოხს ფეხი გაჰკრა. კარავი დაეშვა რისხვათქცეული მენახირის ფეხთით. სოსანა დასწვდა კარავს, ტომარასავით მობღუჯა, უკან-უკან დაიხია, ერთად აწყვიტა ყველა თოკი პალოს, ორ მუჭაში პირმოკრული კარავი რამდენჯერმე დაატრიალა თავის გარშემო.

— შემჭამე ჰა?! მომკალი ჰა?! უჰ, შენი! შენი! — ბღაოდა მენახირე და კალტასავით გაძოძწყვდეულ პირიმზეს ჰაერში აქნევდა კარვიანად.

— ეჰ! — ამოსკდა პირიდან სოსანას და კარავს ხელი გაუშვა. პირიმზეს კივილი გაჰყვა შორს გატყორცნილ კარავს. კარვიდან პირიმზე გამოფორთხდა, გამოქანებული ქმარი რომ შენიშნა, შებრუნდა, აღმართს აჰყვა სირბილით.

კარვის თოკის ქნევით მისდევს სოსანა ცოლს და გზიდან გადახვევის საშუალებას არ აძლევს. თოკის ნაწყვეტი ღმუის ჰაერში.

მერე ფერმის მიმართულებით გარბოდა პირიმზე. სოსანა აღარ მიერეკებოდა მას. იგი მიწაზე იჯდა და ბღაოდა...

ღამეა. ყველა ძილს მისცემია სოსანას გარდა. აულაგებელ მაგიდასთან ზის სოსანა. მოწყვეტილი და დაღლილი ჩანს იგი. მაგიდას მოავლო თვალი სოსანამ, მეოთხე მათლაფა ხელუხლებელი იდგა.

სოსანამ პირიმზეს ლოგინს მიანდო მოღლილი თვალი. ერთხანს შეჰყურებდა გარინდული და მერე საკინძის გახსნა იწყო. ხალათი გაიძრო, სკამზე მიფინა, მერე ფეხსაცმელებმა დაიბრაგუნა რიგრიგობით. ბრაგუნზე შეკრთა პირიმზე, საბანქვეშ შეიშმუშნა და ისევ გაირინდა. ქმრის ბალთამაც დაიჩხაკუნა სკამის ზურგზე. მერე სინათლე ჩააქრო, მაგრამ ოთახს ნაწილობრივ მაინც ანათებდა მთვარე. სოსანამ საბანი აწია და ცოლს მიუწვა. გულაღმა იწვა სოსანა, სადაც დააქროლებდა ფიქრი მენახირეს.

— ხეებსაც დავრგავთ, კვლებიც გვექნება, იმოდენა კვახი მოსულიყო ერთ წელიწადს, რომ ძლივს ამოვათრიე! საზამთროც კარგი მოვა, ოღონდ შენ პირი მოიბრუნე და სახლსაც დავდგამთ, გესმის ქალო, სახლსაც ავაშენებთ, ხეებს დავრგავთ! — ქმრის ხელმა გადმოაბრუნა პირიმზე. არც ერთი ნაკვთი არ შერხეულა ქალს. ისე იწვა გულაღმა. კი არ იწვა, ყინულივით იდო ზურგზე და არარაობადქცეული თვალებით ელოდა ქმარს. ერთხანს ათვალიერა იდაყვებზე წამოწეულმა სოსანამ ცოლი, მერე ნელ-ნელა დაეფარა ზედ, სოსანას უდ-

რეკ კისერსა და მხრებს შუა შეცივნულ მთვარესავით გამოჩნდა პირიმზეს სახე. იგი კვლავ არაფრის მთქმელი იყო. თითქოს ეს ამბავი არ ეხებაო მას...

სოსანამ ცოლის თავი თავისკენ მიიბრუნა და აკოცა. კოცნის შემდეგაც უგრძნობელი იყო პირიმზეს სახე. კიდევ რამდენჯერმე დაეწაფა ვნებიანად სოსანა ცოლის ლამაზ თავს, მაგრამ როგორც კი მოაშორა ტუჩები, კვლავ სიცივემ შემოაღანათა ქვეყიდან. ერთხანს დასცქეროდა სოსანა ცოლს, ზიზღის მეტი ვერაფერი ნახა, მერე მასაც შეერია ყინული სახეში. უცებ გაცეცხლდა და ძალით დააწთხია ვნებები.

დილაალიონია, განწირული ბუღის ბღავილზე გამოსახული სოსანა თავჩაქინდრული ძისჯდომია საწველელს და ძროხას წველის. საქმეს მიძალებული სოსანა თავით მინდობია ძროხას ფერდში.

სოფიოს ლანდი ხან გამოჩნდება, ხანაც ისევ მიეფარება თვალს.

ერთი ძროხა ჩამოწველა, ჯიქანი მოუთელა და ახლა სხვა ძროხასთან გადაინაცვლა, რძე აქაფდა საწველელში...

რძით სავსე ორი ვედროთი კარებისაკენ მოდის სოსანა. სოფიო არც შეუნიშნავს, სოფიო სოსანას ლანდივით დასდევს, თითქოს რაღაცის თქმა უნდა, ისე გამოვიდა ეზოში, ცეცხლზე შედგა დიდი ქვაბი და რძე შიგ ჩაუშვა...

ნახირი წყალსაა დაწაფებული. დინების გასწვრივ გამწკრივებული საქონლის თავებში სოსანას თავიც გამოერევა. ბიჭიც მამასავით სვამს წყალს მდინარედან. ნახირს მოერეკებიან მამა-შვილი საძოვარზე. ფერმასთან სულ ახლოს დაუდგამთ გეოლოგებს ახალი ჭაბურღილი. მუშები ფუთფუთებენ მის გარშემო.

ნაღველი ტყვიად ჩასხმია სოსანას, კი არ მიერეკება, თავჩაღუნული მისდევს ნახირს, მხოლოდ ბიჭი ბრუნავს ჯარასავით, საქონელს ურბენს სახრის ტურტურით. სოსანას ჭაბურღილისაკენ არც გაუხედავს, ისე მიდის, სახრე გავაზე გაუდევს და ზედ მოშვებული ტორები დაუკიდია. სანოვაგის ჩანთაც ცარიელი აქვს, რძის საჭყლურტავ ბოთლებს აღარა აქვთ ჩანთიდან თავი ამოყოფილი, როგორც უწინ.

— ინტერნატში მიგაბარებო, დედამა... — გაუბედავად დასძრა სიტყვა იოთამმა.

— სადაო? — მძიმედ შეაბრუნა თავი სოსანამ შეკითხვის შემდეგ.

— ინტერნატში, სკოლაშიო, — გაარკვია ბიჭმა.

— კარგია მერე, როდისაო?

— მალეო, დეედო, ასე მოდი, შე! — დასჭყივლა ბიჭმა ნახირს და კვლავ დაურბინა.

— შეშოდგომაზე ადრე სწავლა არ იწყებაო, — თავისთვის ჩაილაპარაკა სოსანამ და შეშხვედრ საბარგო მანქანას აერიდა, როგორც იქნა.

— მოგებამდე მაინც დაეცადათ! — ამოიოხრა სოსანამ და მანქანებს გახედა.

შძიმე მანქანები მოიკვლევენ გზას ნახირში, ორ ბორცვს შუა. საყვირს აჯღავლებენ შოფრები, ყვირიან, არახუნებენ. ბიჭი დარბის ნახირში. მანქანებს გზას უკვლევს დიდის გაჭირვებით.

— გიორგიც რა დროს გამექცა? — ამოიოხრა სოსანამ.

— გახსოვს, მამი, რო დამეტოლა, შენ სიმაღლე ვარო? — იცინის ბიჭი.

— მახსოვს...

— ნეტა სად იქნება? რას აკეთებს?

— სიკეთე იყო ჯუჯა გიორგი და სიკეთეს აკეთებს. მენახირეთაც კარგი იყო, თერძებსაც დასჭირდებათ ეგეთი კაცი და შეიძლება ინტერნატშიაც დაგჭედეს.

— დედოო, აქეთ მო, ჰოო-ჰო! — წამოურბინა შორს გასულ ძროხას ბიჭმა.

— აი, ძე რა ვქნა, რო გამაგრებულ მაქ ძვალი?! მეღორედ მე ვერ ვიქნები და ცხვრისა არა გამეგება რა... სხვა საქმის მწყემსად ვეღარ გამოვდგები! მენახირე ვარ და მენახირედ დავრჩები! მორჩა!

სოსანა ბალახზე დაჯდა და ზურგზე გადაწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო. ცრემლი მოსწოლოდა მენახირეს. რბილად იწვა ყელყელა ბალახებში...

მდინარის პირას, ჩვეულ ადგილზე ჩრდილში დაყრილი საქონელი უგემურად იცოხნის. პირქვედამხობილსა სძინავს სოსანას. ძილში გაგუდულ მენახირეს მზე მოსდგომია და ხვითქი გადასდის. წყალთან ისე ახლოს წევს, რომ დროგამოშვებით ძოძალებული ჰავლი ფეხის ჭუსლებზე ელამუნება... მოშორებით რამდენსამე ბუჩქს იქით სძინავს სოსანას ბიჭს.

სიცხით შეწუხებულმა სოსანამ თვალი გაახილა, ოფლი მოიწმინდა, იდაყვებზე სანახევროდ წამოიწია: თეთრი ბურთები მოჰქონდა მდინარეს. ასე მოეჩვენა სოსანას. დიდი მსუბუქი ბურთები აქა-იქ ხის ფესვებს გამოსდებოდა, ზოგი ბურთი ჰაერში ადიოდა, სოსანამ ნახირისაკენ შეაბრუნა თავი. ძროხები იწვხენ, ზოგიც წამომდგარიყო და იცოხნებოდა. სოსანამ გაღიმება დააპირა, მაგრამ ძილმა აჯობა და თეთრი ბურთებიც გაქრა. თვალებდახუჭული სოსანა იდაყვებს დააწვა. სიცხით გადამდნარი ტანი ჩრდილში შეათრია და კვლავ ძილს მიეცა.

ჩავლილი ბურთები ისე იყო დაბერილები, რომ მხოლოდ ერთ წერტილში ეხებოდა მდინარეს. ძილში იღიმება სოსანა. ერთი ბურთი სოსანას მახლობლად ტოკავს, დანარჩენები დინებას მიაქვს, ამას ყველაფერს სიზმარში ხედავს დასიცხული მენახირე. ნაპირზე გამორიყა ის ერთი დიდი ბურთი დინებამ და ახლა სულ ახლოს, სოსანას ფეხებთან ირხევა. მერე ლამაზი ბურთი ქრება და მდინარიდან სოფიოს ლანდი ამოცურდება. ლანდი თანდათან გამკაფიოვდა და...

სოსანას გვერდით დაეშვა სოფიო მუხლებზე, სოსანას ხელი ქვიშიდან წამოსწია და ჩურჩული იწყო:

— გაიღვიძე, გაიღვიძე, — უჩურჩულებს, — უნდა გითხრა რაღაცა... მი-

ყვარხარ, კოცნის, ეალერსება. მე არ დავბოცავ შენს ძროხებს, არც ბულას ვახლებ ხელს! არც შენ მოგკლავ, გესმის, სოსანა! არც იმას მოვკლავ. მიყვარხარ, მენახირე! შენი ვარ, სოსანა, გაიღვიძე! — ჩურჩულებს სოფიო და სულ ახლოს მიაქვს ცრემლებმოწოლილი სახე სოსანას გარუჯულ თავკისერთან. სოსანამ თვალი გაახილა, ისე წევს გაუნძრევლად, როგორც კი ყურთან ქალის სუნთქვა იგრძნო, ამოტრიალდა, წამოჯდა, სოფიოს წასწვდა და კოცნასთან ერთად აჰყვა მენახირე ცოტა არ იყოს შემკრთალ ქალს.

სოფიომ თავის დაღწევა სცადა, ხელი გააშვებინა და უკან-უკან წავიდა სწრაფი ნაბიჯებით. სოსანა მიჰყვა, მანძილი არ დაურღვევია, ისე გამოჰკრა ცერი ფეხში. ზურგით ჩაეცა სოფიო წყალში, ამოხტომა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს ზედ გადაემხო მენახირე, მთელი ტანით გადაკეტა თევზივით აცეკვებული სოფიოს სხეული და მერე კი, როგორც კი სოფიომ სახე წყლიდან ამოწია, სოსანამ ჩასუნთქვა აღარ აცალა, ისე დახუთა კოცნით.

პატარა, კრიალა მდინარის გაღმა ნაპირზე წყლიდან ნახევრად ამოზიდული წვანან მენახირე და სოფიო. წყლის ჭავლი ოდნავ შესამჩნევად არხევს ვნებით მოქანცულ ორ სხეულს.

— ვიტყვი! ყველაფერს ვიტყვი! — ამ სიცხე, სიჩუმესა და დამცხრალ ვნებათა თავზე ელვაჭექასავით გადაირბინა სოსანას ბიჭის ნერვიულმა ძახილმა. გაღმა ნაპირზე ატირებული იოთამი მირბი-მორბოდა.

სოსანამ წყალში ჩაყვინთა, სოფიომაც ჩაყვინთა. კარგა შორს გაცურდნენ წყალქვეშ და ერთმანეთის მახლობლად, ბუჩქებში ამოძვრნენ ორივენი. სულს ძლივს ითქვაშენ, ქოშინობენ.

— ვეტყვი, ვეტყვი! — შედარებით სუსტად ისმოდა აქვითინებული ბიჭის ძახილი.

— რა უკან დამდევ, სხვაგან ვერ ამოხვედი? გინდა ეხლაც ერთადა გვნახოს?

— გვნახოს?! — ქოშინთან ერთად ამოხეთქა სოსანამ და ირგვლივ მიმოიხედა.

— ცოტა კიდევ და დავიხრჩობოდი; ჰაერი აღარ მეყო! — ძლივს ამოსთქვა დაღლილმა სოფიომ.

— წყალსაც წაუღიხართ, თქვენი!... — აქ გაჩერდი, ბუჩქს მოეფარე! — მე გავალ რაბეს ვეტყვი... ბავშვია... ეს რა მომივიდა, ფუი!

სოფიოს საქციელი წაუხდა. ისედაც ძლივს ითქვამდა სულს და სოსანას ამ სიტყვებმა უცებ მოშალა ქალი.

— მაიხც საიდან მომელანდე, რა ეშმაკი გინდოდა? მანდ იყა! — სოსანამ გზადაგზა ჩაიცვა სველი ტანისამოსი და ბუჩქებიდან გასვლა დააპირა.

— არ მოხვიდე! არა! არა! ვეტყვი! ვეტყვი! არ მოხვიდე! — ქვას დასწვდა ბიჭი და შიგ იდაყვში სდო უკან დადევნებულ სოსანას, ნატკენი ემწარა, სოსანამ იდაყვზე მოიკლო მეორე ხელი და უკან შეტრიალდა. სოფიოც გამოსულიყო ბუჩქებიდან და მის ზურგსუკან ატუზულიყო ცრემლმოხეთქილი.

— რათ გამოხვედი, რათა? — გამწარებულმა გაჰკრა სოსანამ მკითხავს, — ვინა ხარ? საიდანა ხარ? სხვა ველარავინა ნახე, შენი, რას დამდევ, რას დამდევ!?

სოფიო ქვითინებდა.

— ჰოი, თქვენი ამძუებული დედა ვატირე! დაგახრჩობ, გამეცა, თქვენი! ქამარზე თუ არ მიგაბათ კაცმა, ისე სანდო აღარავინა ხართ, თქვენი!

კიდევ ერთხელ ლეწა სილა ქალს სოსანამ.

— ტყუი, მიყვარხარ, ტყუი, ტყუი! — ღრიალებს სოფიო და ზედ ეხუტება შენახირეს, აღარ ეშვება. ბიჭი გაჩუმებულია, დაბნეული და გაფითრებული აჰკვრია ხეს, ხელში ქვა უჭირავს.

— წადი, გასწი, თქვენი! სამჯერ ვაპატიე, სამჯერ, გესმის? მე მეტი აღარ შემიძლია! აბათ, კაცსაც ვაპატიე! — გეოლოგებისაკენ გაიშვირა ორივე ხელი სოსანამ. — ნადირსაც ვაპატიე! ქალსაც ვაპატიე! აბა ერთხელ მეც მაპატიოს ვინმემ, ყველა ერთბაშად რო მწვდა ყელში! აბა მაპატიოს! აჰა...

— მაპატიე! შენ მაპატიე! არ მიყვარდი და ისე შემოგბედე, ისე მომივიდა! მაპატიე! რას გაჩუმებულხარ, შენი!

— მე გაპატიებ! გაპატიებ, — ტირის სოფიო.

— ტყუი, შენი! — სოსანა ორი ხელით მისწვდა ქალს. სწორედ ამ დროს მოხვდა თავში ბიჭის ნასროლი ქვა და მკითხავის წასახრჩობად გაწვდილი ხელები დაბლა დაუშვა. მერე ბიჭს გაუღიმა და სისხლის შესახოცად წაიღო მოშვებული მარჯვენა ხელი:

— აი, ხედავ, არ მაპატია! — სოსანამ გაქცეულ ბიჭს გააყოლა თვალი, — ამ ტალახში მე სიყვარული აღარ შემიძლია, თავი დამანებეთ.

— ტყუიხარ! ტყუი! ტყუი!... — მიანთხია სასოწარკვეთილმა სოფიომ და ბიჭის ნაკვალევს გაჰყვა. მიდიოდა ატირებული მკითხავი და დარდითა და სინანულით აღსავსე სოსანას თვალები თან მიჰყვებოდა მათ.

სოსანამ ქალს თვალი მოსწყვიტა და მდინარესთან დაიჩოქა სისხლის მოსაბანად...

ფერმის ეზოში მკითხავის ტამისამოსში გამოწყობილი ჯინჯილებასხმული სოფიო წასასვლელადაა გამზადებული. ძირს დადებული ფუთა აიღო სოფიომ და ჭიშკარს მიაშურა. ლატანზე ჩამომჯდარი იოთამი ჩიჩქნის მიწას, დრო-დადრო სოფიოს გახედავს.

— მიდიხარ? — ჰკითხა ბიჭმა.

სოფიომ თავი დაუქნია.

— აღარ მოხვალ?

— არა.

სიჩუმეა. ბიჭმა ორივე ხელი გაუწოდა სოფიოს.

— რა გინდა? — სოფიომ ხელები დაუკოცნა.

— მიმკითხავე.

სოფიომ ბოხჩა დადო, ზედ მუხლებით დაენდო:

— ბოლია, ბოლია, კატა ჭრელია, ხბო წითელია, ამან დაკლა, ამან გაატ-

ყავა, ამან საჭმელი მოხარშა, ეს კი დაჯდა და ჭამაა! — უღიტინებს სოფიო ხელის გულებზე. ორივენი იცინიან. მერე სოფიო დგება, იღებს ბარგს და როგორღაც ნაღვლიანად ტოვებს იქაურობას.

ბიჭი ღობეზე ადის, ბოძზე ჯდება და ისე გასცქერის მწვანე ველზე მიმავალ ნაღვლიან სოფიოს.

ცისტერნებიანი ავტომანქანების მთელმა ქარავანმა ამოუარა ფერმას.

— ძია, პაკრიშკა დაეშვა, ძიააა! — ეძახის ბიჭი შოფერს.

შოფერმა თავი გადმოყო, ბორბალი შეათვალიერა, თავი გადააქნია და თითი დაუქნია ბიჭს. ბიჭი იცინის...

— ძია, პაკრიშკა დაეშვა, ძია! — მეორე შოფერს გასძახა ბიჭმა. შოფერი მიუხვდა ოინს. მანქანა გზიდან გადმოიყვანა, ფერმისაკენ გამოაქანა. იოთამმა მოკურცხლა.

უთენია დილაა. ძლივს მოჩანს ბოსელში ძროხის ლანდები. ფანჯრის რაფაზე მსხვილი სანთელი იღვრფება. მუხლისჩოქზე დგას სოსანა მომაკვდავი ძროხის გვერდით. მუცელზე მიუდვია თავი. უხმოდ ტირის.

— გალობა, რა მოგდის, უბედურო, პირველად ხო არა ხარ, გალობა? თავი წამოუწია, თვალებში ჩახედა, მერე ისევ დაუშვა მისუსტებული ძროხის თავი, — წამოდგა, პირი გაიღებინა და ფანჯარაზე შედგმული მთელი ბოთლი ჩაასხა კრიჭაშეკრულ ძროხას დიდის გაჭირვებით.

ერთხანს უყურა. მერე ბოთლი მიდგა, ხალათი გაიძრო, ბაგაზე მიაგდო. ვედრით მდგარ ცხელწყალში ამოაჩახჩახა მარჯვენა მკლავი თითისწვერებიდან მოყოლებული მხრამდე, კარგად გაიკრიალა ხელი, ძროხასთან დაიჩოქა და საქმეს შეუდგა...

უკვე კარგა გათენებულია. მკვდარცოცხალი ძროხა სოსანას დროგზე ასვენია. ოფლში გაწუწული გათხვრილ-ამოლუმპული სოსანა ბოსლიდან გამოდის, ხელში მკვდარი ხბო უჭირავს, ატირებული ბიჭი მოსდევს უკან სოსანას.

ოთახში შედის სოსანა, რაღაცას ეძებს.

პირიმზე ლოგინზე წევს, მას არაფერი ეხება.

— აქაურობას ყური უგდე. იოთამ, გესმის, შვილო?! — მე სოფელში წავალ, ექიმებში ჩავიყვან, წამლებს წამოვუღებ, იქნება გამოვიყოლიო, წმინდა გიორგისაცა ვნახავ, ყური უგდე. კარი ჩაკეტე, საჭმელი ორი დღისა უყრიათ, ორ დღეს არაფერი უნდათ, მაგრამ ამდენს არ დავიგვიანებ, — სოსანამ ბრეზენტი გადააფარა საზიდარს და კოფოზე შეხტა, ბიჭი კარის გასაღებად გარბის. ტირის, გზადაგზა ცრემლებს იწმენდს მაჯით:

— მალე ჩამოდი, გესმის, მამაა! — უყვირის შვილი სოსანას და საზიდარს მისდევს გვერდზე.

— აბა შენ იცი, ნუღარა ტირი, შეიძლება დილაზეც დავბრუნდე, ორი დღის საჭმელი მივეცი, მარტო წყალზე გამოველენ, აბა შენ იცი! — სოსანამ საზიდარი დასძრა.

ბიჭმა ალაყაფი მიხურა და ჩაკეტა.

ველზე ერთი-ორად მომრავლებულა ჭაბურღილები. ჭაბურღილებიდან გრძელი თხრილებია გაყვანილი. თხრილებში გადამუშავებული სითხე მოედინება. გზაზე სოსანას დიდი საბარგო ავტომანქანები ხვდება და იგი იძულებულია, გზა დაუთმოს.

იოთამი უკან ბრუნდება, ჭაბურღილებიდან გამოყვანილ თხრილს მოსდევს, პაპიროსის კოლოფს მიაცურებს სახრით იოთამი, ჭუჭყიანი, თიხისფერი, მოშავო სითხე მოდის თხრილში და პატარა მდინარეს უერთდება.

სოსანას საზიდარი ოღრო-ჩოღროებში მირიხინებს. ხდროდადრო მოხედავს სოსანა ძროხას და კვლავ მიერეკება ცხენს, კლდეებთან გააჩერა დროგი სოსანამ, თვალი მოავლო, არავინ ჩანდა, გეოლოგებს სამუშაო დღე ჯერ არ დასწყებიათ. გადმოხტა სოსანა და ლოდებშუა გაირბინა. კლდეში ნაკვეთ რქებთან შეჩერდა მენახირე. ბრტყელი ქვა გადააგდო და ასანთი გაჰკრა. მოგრძოდ აწოლილი ცეცხლის ალი აეკრა ქანდაკებას. გამეხებული იდგა სოსანა კერპთან. ვინ იცის, რამდენ რამეს შესთხოვდა დარდისაგან წამხდარი ვაჟკაცი ბუნებას, სათხოვარი ბევრი ჰქონდა, საზიდარზე დადებული, თავგადაგდებული ჭრელი ძროხა, გალობა რომ ერქვა სახელად, ბავშვის ამარა დარჩენილი ნახირი, დაკარგული საძოვარი, აწეწილი ცხოვრება.

— გაიგე, სოსანა, მტრები არა ვართ, — მოესმა ზურგს უკან მთავარი გეოლოგის ხმა. სოსანამ მხოლოდ თავი შეაბრუნა მისკენ, მერე ხმაამოუღებლივ დაიფარა ბრტყელი ლოდი ცეცხლის ალს, ჩააქრო და მთელი ტანით შემობრუნდა.

— შენ საძოვარქვეშ ჩვენი სულია, აი ეგეც ჩვენი სანთელი გენთო, სოსანა!...

სოსანა დაიძრა, თითქო არც ამჩნევსო, ისე ჩაუარა გეოლოგს.

— გამიგონე. სოსანა, მე ნუ მეძდური, თუ ძმა ხარ! აქაც რომ არა, სხვაგანაც მიდღეგრძელებიხარ, იცოდე, სოსანა! — როგორღაც აღტკინებული ელაპარაკებოდა არჩილი მიმავალ მენახირეს, სოსანა ლოდებშუა გაუჩინარდა...

ერთ ადგილზე მილიციელებმა გააჩერეს სოსანა. ბევრნი იყვნენ, გარდა რევოლვერებისა, სხვა იარაღიც ბლომად ჰქონდათ. რამდენიმე ურემიც გაეჩერებინათ. შეურმეები მორჩილად ისხდნენ ურემზე და პურს ჭამდნენ, სოსანამ ურმებს აუქცია და წასვლა დააპირა.

— გააჩერე. სად მიერეკები?! — დაუძახა ერთმა ოფიცერმა და ახლოს მივიდა.

— გამიშვით, თქვენი ჭირიმე, ფერმიდანა ვარ, ძროხა მიკვდება. ხბოც კვდარი დაიბადა, გამიშვით რა! — შეევედრა სოსანა მილიციელს.

— ლომია გაქცეული, ვერ გაგიშვებთ! — უარი უთხრა მილიციელმა.

სოსანამ თვალი მოავლო იქაურობას, კოფოდან ჩამოხტა და უფროს მილიციელთან მივიდა:

— მოსაგები ძროხა მეღუპება, უფროსო, ფერმის მენახირე ვარ, ხო მი-

ცნობთ, საშკურნალოში მიმყავს, თქვენ გენაცვათ, საქმეც ბიჭის ანაბარა მი-ვაგდე... გამიშვით რა, — შეევედრა სოსანა უფროს მილიციელს.

— იარაღი გქონია, — მილიციელმა იარაღში ჩამჯდარი სოსანა შეათვალიერა.

— მაქ, უფროსო, არაფრისა მეშინია, რომ შემჭამოს, მეც ის მინდა, გამიშვით...

— ეგრე რამ გაგამწარა, შე კაი კაცო. ტყვიები არა გაქ, — გაიცინა უფროსმა და სოსანას სავაზნეს ხელი ჩამოუსვა.

— რაღა რამ გამამწარა, გააოხრეს ეს ამოდენა საძოვარი.

— რას იზამ, ნავთია.

— ნახირი ველარ გამირეკია, თავმჯდომარეც აღარ გამოჩნდა, არც ახალ საძოვარს იძლევიან, ძველიც მეკარგება, სხვა კოლექტივს გადაქცემთო. ან ისე გადაწყდეს, ან ასე, თავგზააბნეული ვარ.

— კარგი, წადი, — ნება დართო უფროსმა. სოსანა კოფოზე შემოჯდა.

— კვდება, სადღა მიათრევ, — უფროსმა ძროხას დახედა.

— მაინც უნდა ჩავიყვანო, მიზეზი გავიგო. გალობა ჰქვია, უფროსო, ისეთი ხმა ჰქონდა, ისეთი რო!... — თვალები მოისრისა, ხელი ჩაიქნია და დროგი ადგილიდან დაძრა.

საღამოვდება, ჭაბურღილიდან ამონარეცხი შავი, ბლანტი სითხე ვიწრო არხში იქცევა, ასე მიბუყბუყებს მდინარემდე. მერე მდინარეს ერთვის, სქელ ლაქებად მიჰყვება წყალს, მერე ლაქები თანდათან იშლება და ფერმისაკენ უკვე შავი ფერის მდინარე მიედინება. ორი-სამი ასეთი არხი სხვაგანაც უერთდება მდინარეს.

შორიდან მოისმის საქონლის ბღავილი. ფერმასთან მით უფრო მატულობს ძროხების არეული ბღავილი, ძროხები თავაწეული დგანან მდინარესთან, ირევიან, სუნავენ წყალს, ფრუტუნებენ და კვლავ ბღავიან. ამღვრეული, დალაქავებული წყალი მოდის მდინარეში. წყალმოწყურებული, გამძვინვარებული ბუღა დააგელვებს მუცლებდაბერილ, მოსაგებ საქონელში, თანდათან ძლიერდება ჟავთულზე მოსრიალე რკინის ხრიალი. ოთახის ერთ-ერთ ფანჯრიდან ოდნავ ბჟუტავს სინათლე...

ღამეა. წყალში ჩამდგარი საქონელი გაბმულად ბღავის. ბუღა დაშლიფინებს წყალმოწყურებულ ნახირში, ტორსა სცემს, სახეს მანჭავს და საყვირივით ჰკივის. გაშავებულ მდინარეში ჩაგუბებული საქონელი წვიმის წვეთებს უშვერს ენას, წვიმით დასველებულ დრუნჩებს ილოკავენ ძროხები, გამძვინვარებული ბუღა საცაა აგლეჯს საბელს...

ყველაფერს თოფის გასროლის ხმა ფარავს. სიჩუმესა და სიბნელეში სოსანას საზიდრის ხრიგინი შემოდის. საზიდარი ახლოვდება, თანდათან თენდება და დილის ნათელს მოსდევს კოფოზე მჯდარი, ძილმოძალებული სოსანას მოქანავე მხარბეჭი. დილაა, მაგრამ ჩაძინებული სოსანა სიზმარსა ხედავს.

შორეული მუსიკის საოცრად სასიამოვნო, სევდიანი, ოდესღაც გაგონი-

ლი ხმები ესმის სიზმარში ჩაძირულ სოსანას. ხანდახან სუსტდება მუსიკის ხმები და მაშინ დაუზეთავი კარების ჭრიალი ესმის მას. ისევ მკაფიოვდება მუსიკის ხმები, ჭრელი შლაგბაუმი ზედ ცხვირწინ უკეტავს გზას. შლაგბაუმის იქით, რკინიგზის ლიანდაგზე ძალზე ნელი სვლით ჩამოიარა მოძრავი ზოოპარკის მანქანების ქარავანმა. ყოველი გალია ცარიელია, კარები ღიაა, ქარი არახუნებს და აჭრიალებს გალიის კარებს. შლაგბაუმის გვერდით, ჭრელი ჯიხურის წინ დადგმულ თავის პატარა საწოლზე ზის წმინდა გიორგი, ხელში წიგნი შავქობიანი კვირისტავი უჭირავს. იგივე კვირისტავით იწმენდს წმინდა გიორგი ცრემლებს. ზოოპარკის მანქანის კაბინებში თეთრხალათიანი მოშელელები სხედან, იღიმებიან და ხელს უქნევენ ხალხს ფანჯრებიდან.

უკანასკნელმა მანქანამაც გაიარა. მუსიკის ხმები თან გაიყოლა მოძრავმა ზოოპარკმა. წმინდა გიორგიმ გზა გახსნა, ნამტირალევი მიუახლოვდა სოსანას და ხელი ჩაშოართვა რამდენჯერმე ზედიზედ, დიდხანს ეჭირა სოსანას ხელი წმინდა გიორგის, გაშვება არ უნდოდა, სოსანას ელვიძება. უფრო სწორად მილიციელების ჩოჩქოლი და ხელის ჩამორთმევა აღვიძებს. საზიდარს ბრეზენტი გადახდილი ჰქონდა, უშველებელი ლომი ძლივს ეტეოდა საზიდარში. უკანა თათები მტვერში ჰქონდა ამოლუნგული მიწაზე თრევით.

— შენ შოკალი, კაცო? შენა? გესმის, გაიღვიძე! — უყვირის ერთი მილიციელი...

— თვალი გაახილე, ბიჭო! შენ მოკალი თუ ვინმემ გამოგატანა?

— ერთმანეთი დაუხოციათ, ამ საწყლებს! — წყნარად თქვა ჭაღარა მილიციელმა და ნიკაპი აუწია სოსანას. ძილში ტიროდა სოსანა. ნელ-ნელა თვალი გაახილა და ცრემლით დაბინდული თვალი მიმოავლო იქაურობას. მილიციელები, ისე მონადირენი თუ ქვეყნის მეურმეები, ერთმანეთში აერია სოსანას. გზა გაეთავისუფლებინათ და ურმების ლეგიონი თავის საქმეზე მიიჩქაროდა. მილიციელებიც ბარგს ჰკრეფდნენ გახარებულები და მილიციის სატყირთო მანქანაზე სხდებოდნენ.

— რა გატირებს, ბიჭო, ვაჟკაცი ყოფილხარ, სახელი რა გქვია, გესმის, აქეთ მოიხედე! — ჭაღარა მილიციელმა თავისკენ შემოაბრუნა სოსანას თავი, სოსანა ჩამოძვრა კოფოდან, საზიდრიდან ლომის საზარელი თავი ჩანდა. მილიციელები ექაჩებოდნენ, რაზე, დევა ვზიალი,... ჩააგდეს მტვერში.

— თავისთვის ეგდო ლელიანში, ძაღლივით ეძინა, უფროსო, მძინარე მოვკალი... სოსანა მქვია, — სოსანამ თოფი მოიძრო, მოიქნია და ზედ გადააჩეხა მკვდარ ლომს, რომელსაც უკვე მიათრევდნენ მილიციელები საზიდრიდან.

— ან გიჟია, ან ძალიან ჭკვიანი, — მხრები აიჩეჩა მილიციელმა, — ლომის ძაღლობა ვის გაუგონია?! — თავი გააქნია და უკან დაიხია მილიციელმა, რომ სოსანას საზიდარს ფეხზე არ გადაევლო. დაცარიელდა სოსანას საზიდარი და ახლა უფრო მეტად ჯაყჯაყებს. ტიროდა და იმიტომ ჩაქინდრა თავი, თუ კვლავ ჩაეძინა მენახირე სოსანას, ამას ჭაღარა მილიციელი ვერ მიმხვდარიყო.

საღამოვდება. ცარიელი ფერმის ეზოში დგას სოსანას საზიდარი. სოსანას ზედა სძინავს. სიჩუმეს შორეული ჭაბურღილის მონოტონური ჭრიალი არღვევს. ვიღაც უცხო კაცი დაბორიალობს ფერმის ეზოში, რაღაცას ეძებს მიწაში, ქექავს იქაურობას, დროდადრო სოსანას გადმოხედავს.

— ეე, გაიღვიძე, ძია, მოვედით! — დაუძახებს იგი სოსანას. მერე ხმამაღლა დასცხებს სიმღერის ერთი-ორ ფრაზას. ამით რომ ვერ აღვიძებს, ქვაბში ჩააგდებს რკინის ნაჭერს, სოსანასთან მიდის და ცხვირწინ უჩხაკუნებს.

უცებ გაახილა თვალები და კოფოდან ჩამოხტა სოსანა. კინაღამ ქვეშ დაიტანა უცნობი.

— შენ მენახირე ხო არა ხარ? — ჰკითხა ფრთხილად უცნობმა კაცმა. თან ეშინოდა სოსანასი.

— ჰო, ნახირი სად არი?! — ელვასავით აჯახა კითხვა.

— მერე და მე მეკითხები? ერთიც ვნახო და არაფერი ვიცი!

— თქვი თუ რამე იცი, რას იღეჭები?! ბიჭი სად არის?!

— ბიჭი დედამ წაიყვანა, შენი იყო რო?

— ჰო, — სოსანა დამშვიდდა, — ნახირი, — საქონელი რაღა იქნა?

— ცეცხლის წვიმა მოვიდა, ცეცხლის წვიმა!...

— ანდაზებს თავი გაანაბე, ნახირი სად არი?

— მიდი ნახე, რა წყალი მოდის, ჭუჭყი-ჭუჭყი, ნაგვის ნაგავი, ერთ დღეს ითმინეს, ორ დღეს, მერე დაჰკრეს ფეხი და გაცვივდნენ. აქ რა საქონელი გაჩერდება, იმ ურჭო ბუღამ აიწყვიტა, აგე იმ წაქცეულ ღობეს ხო ხედავ, დაჰკრა თავი ი შენმა ბუღამ და სუ ნაფოტებად აქცია...

— ნეტა ვინ აუშვა, ის ვერანი! — თავი გააქნია გაფითრებულმა სოსანამ.

— ჯაჭვები დაწყვიტა, იმას რა აშვება უნდოდა?!

სოსანამ ხელი ჩაიქნია და ბინაში შევიდა...

ადრიანი დილაა. შორს მანძილზე ჯერ ვერას არჩევს თვალი. ჭრიალით იღება კარი, სოსანა გამოდის ბინიდან. კარი მიხურა და ეზო მოათვალიერა.

— ნეტა ვინ იყო... ამდენი საიდან იცოდა? — გაკვირვებით იკითხა თავისთვის სოსანამ და ნელ-ნელა გავიდა ეზოდან. ირგვლივ თოვლი დევს, თხელი, ჭრელი თოვლი. დინჯად მიაბიჯებს სოსანა, თან მიდამოს ათვალიერებს. გზადაგზა ხვდება იგი ბოშათა ჯგუფებს. მათ ცეცხლები უნთიათ, სამგზავრო სამჭედლოები გაუმართავთ, საქმე გაუჩაღებიათ, ზინდალზე ჩაკუნობს ჩაქუჩი. ზოგს აცვია, ზოგს სანახევროდ აცვია, ზოგიც შიშველი გამოვარდნილა კარვიდან სასწრაფო საქმეზე. ჭრიალებს ჭაბურღილები სიფრიფანა თოვლით აჭრელებულ ველზე.

— რა დროს თოვლია, ეს ოხერი! — წყნარად წარმოსთქვა სოსანამ და გზა განაგრძო.

— დანა ხო არ გინდა, ძია, დანა, — აედევნა ახალგაზრდა ბოშა სოსანას.

— კარგია ძია, სუ ახალი, ნახე, — არ ეშვება ბიჭი, — მაშებიცა გვაქ,

ზედადგრებიც, — დანას უწვდის, სოსანამ გამოართვა, დახედა. მერე ორი თითით სულ თავისუფლად მოღუნა ფოლადი.

— მამაშენს მიუტა და უთხარი, კარგი გააკეთოს, — გაღიმებული სოსანა კლდეებში შედის და ცეცხლს ანთებს. ჯერ კლდეში ნაკვეთ რქებთან აანთო. ცეცხლი, მერე ყველა კუთხე-კუნჭულს ჩამოუარა.

ზოგგან დიდი ალი ჰქონდა ცეცხლს, ზოგანაც მცირე... იმ ერთ ბოშას სხვებიც ასდევნებოდნენ, თანდათან მატულობდა ხალხი კლდეთაშუა. ბოშების გარდა, სხვა ხალხიც მოსულიყო, ზოგი ცეცხლზე ხელს ითბობდა...

— ჰე, ჰე გამარჯობა საზღაპრო, სალამი სოსანა! — მოესმა სოსანას დედაბრის ჩიფჩიფი, მობრუნდა, სახედაჩამიჩებული ბებერი მკითხავი ხელს იფშვნეტდა. სოსანას უღიმოდა, ხანაც თვალს აცეცებდა, კიწაწებს ეძებდა, იღლიაში ფიჩხის კონა ჰქონდა მიხუტებული.

— ეე, შენ რო დაგინახო, ჩემი მაგალო დავინახო, ეეჰ მაგალო, პირველი ციგან იყო!..

— ეს თქვენი თაბორია? — ჰკითხა სოსანამ და ბოშათა ბანაკს მოავლო თვალი.

— ზოგი ჩვენია, ზოგი სხვა, ციგანიზ მეტი სხვები არიან, აქ დიდი სამუშაო, ქვეყახა აქ მოდის, შენი გული-ოქრო გული, შენ ვაქკაც, შენი გული არ გატყდე, შენი გზა დიდი გზაა. ლამაზ გზა, მე მართალი გეტყვი, დიდი კარგი სიხარული ენახე. შენი გზას! შენ რო გნახო ჩემი მაგალო ვნახო. ვაა, ჩემი მაგალო!... ჩემი პირველი ციგან მაგალო!...

— სოფიო ხო არ გინახია? — ჰკითხა უცებ სოსანამ.

— სოფიო? ვინ სოფიო? სოფერ... — ჩაფიქრდა მკითხავი და ნაფოტით მოიქექა თავშალქვეშ, — აბა, ბიბლია ამბობ, სოფეო. ბიბლია... — მერე ვიღაც თავისიანებს გასძახა ბოშა მკითხავმა. მათაც უპასუხეს. კიდევ კარგა ხანს ეჯაჯღანებოდნენ ერთმანეთს ბებერი მკითხავი და უცხო ბოშები მშობლიურ ენაზე, სოსანა ისე უგდებდა ყურს, თითქოს მათი ლაპარაკი ესმისო.

— აი, აქ სადღაზ ნახოს, ბიბლიამ აქ ნახოს, ეხლა აღარ არი, გუშინ აქ იყო. მეც ნახე, ჰაა, ჰა! — თითი დაუქნია ბოშამ ღიმილით, — მოიცა, შვილო, მე შენ კარგი ბედი გიკითხაო. სოსანას ფოლადის ბრჭყვიალა ყელსაბამის წკრიალი მოესმა და მკითხავი მოულოდნელად შიატოვა. ერთხანს მიდიოდა. ვიღაც ბოშა ქალმა ჩამოუქროლა, მაგრამ მისი სამკაულები სხვა ხმას გამოსცემდა...

სოსანა იქაურობას მოსცილდა, ხიდზე გადავიდა. მთიელები შემოხვედნენ რამდენიმე ვირს მოერეკებოდნენ. ზედ საგზლით გატენილი ხურჯინები ეკიდათ. ყელზე ეკვნები ებათ.

— თქვენ სადღა მიდიხართ? — ჰკითხა სოსანამ ერთ-ერთს.

— როგორ თუ სადა, სამუშაოზე. კარტოფილი დარგე — კარტოფილი ამოიღე, კარტოფილი დარგე — კარტოფილი ამოიღე. აქ ზამთარშიც გვექნება საქმე.

— ე, ჭუდზე კაცი კი გამოსულხართ, და... — გაიღიმა სოსანამ, მერე მიწას დახედა. ჯერ კიდევ ვერ გაედნო დილის სითბოს ნახირის ნაკვალევი. სოსანა ამ ნაკვალევს მიჰყვა... კვლავ მოულოდნელად აწკრიალდა რაღაც და სოსანამ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ერთხანს იდგა და ვერ მიხვედრილიყო, თუ საიდან ესმოდა ბოშური სამკაულის ნაცნობი წკრიალი.

მღვრიე ძდინარეს პატარა, სუფთა შენაკადი უერთდებოდა და იმ შენაკადს აჰყვა ბენახირე. სულ უფრო მკაფიოდ ესმოდა სამკაულების წკრიალი. მიდიოდა სოსანა და უცებ შეჩერდა პატარა, დაგვაჯულ ხესთან. ბოლომდე არც შეუთვალიერებია ხე, ადრევე შენიშნა ტოტზე სოფიო-მკითხავის სამკაული. წკრიალა ხმა აქედან მოდიოდა, სოსანამ სამკაული ჩამოხსნა. არც ხელში შეუწყვეტია ფოლადს წკრიალი...

სოსანა ძიდიოდა.

ქართული

ენა

შუა ქართლის სოფელ ქვაშავში დაბრუნდა ძროხის ჭურდობაზე ნასაშართლევი, ორმოცი წლის კაცი, ვაჟა ხრიოკაშვილი. ამნისტიამ უწია და ვადაზე ორი წლით ადრე დაუბრუნდა იგი გატიალებულ სახლ-კარს. ქვრივ დედას, კრამიტის ქარხანაში მომუშავე ქმარგანაყარ დასა და თორმეტიოდე წლის დისწულს, მეექვსე კლასელ გოგიას.

გიორგი სააკაძის ვეებერთელა ძეგლის შორიახლოს, მოედნის სადგურისკენა მხარეს, ბაქნიდან ჩამოსასვლელ კიბესთან მიეყენებინა ავტობუსი ტყავკურტაკიან სიძეყოფილს და ხუმრობა-ხუმრობით ეპატიჟებოდა ბაზრიდან შინდაბრუნებულ თანასოფლელებს. პატარა ავტობუსის გაღნიოშებულ კართან დამდგარიყო ვაჟას ყოფილი სიძე და მგზავრს არ ტოვებდა გასაუბრების გარეშე. საკმაოდ თავხედური, მოურიდებელი იუმორით აჯილდოებდა ავტობუსში ამავალ თანასოფლელებს შოფერი.

— მებლეებო, ჭირიმე თქვენი! — რა დრო იყო, ვანუა, ბალი ათი შაურიაო!.. თქვეხ რო არ დაბლიანობდეთ, თქვე ორდაათშაურიანებო ქალაქის დეზერტირებში, რა უბლობა ჩამოვარდებოდა თბილის ქალაქში, თქვე იღბლიანებო, თქვენა! ბლიყიდვით ოჯახაშენებულებო, თქვენა!.. ალია-ბალია აბაზი მოვიგო თითო მებლეზე და ისიც გშურთ.. აბა, აბა, კალათები ზევით, კალათები ზევით!.. სახურავზე შეჰყარეთ! თრითინებივით რომ დამიღრღენით ტყავის სავარძლები!.. ზევით, ზემოთ შეაგდე-მეთქი, ალექსა, ჯანდაბამ გაგლექსა, შენცა და შენი კალათიცა, ეა, ეა! გაუყიდავი მოგაქ შინა?! ბალი უკან მოგაქ, შე ბლიაშვილო?!

— სამი კალათი გავყიდე, სასვლეპი ბალი, აგე, კალათები, ზევით შევყარე. ეს კიდე სამეფო ბალია, სათავადო, თავადები საყდარში წაუყვანიათ, ჭიაღუა ბალხი კი ამის მუშტარი ვერ გახდება... მურაბას გავაკეთებ, შაქარი ამას არ უნდა და მაქარი, თაფლი სდის, თაფლი! კილოზე ხო კილო შაქარი უნდა უჯიშო ბლიმურაბასა, ეს კი უშაქროდაც მურაბაა და ოთხ მანეთზე აკი შემომწყრენეხ, დალოცვილიშვილები! ჰეჰ, არ უნდათ? — ნუ უნდათ! — მიროშ-მოროშა ალექსამ.

— სააკაძე გიორგისაც ეგრე აკი ჩამოჰქონდა გაუყიდავი ბლები შინა?! ჰაი, ჰაი!..

— საკაძესი მე არ მესაქმება რა, თუ გინდა გაიგო... შემიშვი ავტობუსში.

— გოდრებით ჩამოჰქონდა ჩალმიანი თავები, გოდრებითა!.. აი, თქვენც იტყვით, რაღა!

— ჩვეხ თუ არ ვიტყვით, შენ გვითხარი აბა. სად არი იმისი საფლავი? სადა?.. არ იცი? მე კიდევა მამა-დედის საფლავიც ვიცი და პაპისაცა, დემეხსენ! — ასასვლელად იწევს გლეხი.

— დიდი რამეცა გცოდნია მე და ჩემმა ღმერთმა, დიდი!..

— თორემ შენ არ დამატრაბახო გიორგობაი, ერთბაშათა... ანდა შენმა მოყვარემა, ვაჟა ხრიოკაშვილმა. — ალექსა წაიხარა, ყურთან ახლოს მიუტანა კუნწულასავით პაჭუა ცხვირი შოფერს და ციხემოელილი მოყვარის ჩამოსვლა ახარა. თქმა და დანახვა ერთმანეთს დაემთხვა და შოფერი დაიბნა, აირია.

— აგე, მოყვარე ჩამოგვიდა, ბიჭო, ძროხის ქურდი, ამკლები, გაიხარე! . პატიმრობიდახ დაგიბრუნდა... გეცა თუ არა პირკატაი, შე სულძაღლო, პროგრამაში რომ გიზივარ სულერთავად!.. მიდი, ჭრაღა, გადაკოცნე! ჰა, ვერ მოგაკეტინე?! — მიაროშა მოურიდებლად გლეხმა და ავტობუსში მოკალათდა...

ავტობუსმა საკაძის მოედანი გადასერა და გზას გაუყვა...

ზეზეულა მგზავრი ბევრი იდგა ჭერეხივით გატენილ ავტობუსში, მაგრამ ერთი ადგილი შოფრის გვერდით თავისუფალი დახვდა ვაჟას. ბერკეტი ვაჟამ მოსწია და კარი ჩაიკეტა. აღარც სიძეყოფილს უანგლია სადგურიდან სოფლამდე და გლეხებმაც სიჩუმით ამოპირეს გატენილი ავტობუსი...

მეტეხური აგურით მოსირმულ, შუბლგანიერ, რკინა-ბეტონალაყაფიან, ჩეენებიან სახლებთან ჩერდებოდა ავტობუსი დროდადრო და თითო-ოროლა მგზავრი აკლდებოდა...

ვაჟას არყოფნის ექვს წელიწადში სოფელს ბარე ექვსჯერ ათი ახალი სახლი მიმატებოდა, კრამიტის ქარხნის დიდი რეკონსტრუქციაც მომხდარიყო, კომბინატად გადაეკეთებინათ და ერთი ვებერთელა, თეთრი ფერმაც ალავერდივით წამოეშიმშილიყო ვრცელ ველზე. სადგურიდან სოფლამდე მიმავალ მთავარ ქუჩაზე დღის სინათლეები დაეყენებინათ, მოეასფალტებინათ გზა და ავტობუსის რეისიც გამოეყოთ სადგურიდან სოფლის ბოლომდე, კრამიტის ქარხნამდე. თითქმის ყოველ სახლს თავისი გარაჟი ჰქონდა დატანებული. მსუბუქი მანქანებიც ძრავლად დაჟივჟივებდნენ, დაბადქცეული სოფლის ქუჩებში...

ავტობუსში ხალხი თანდათან შეთხელდა და ნამოყვრალი და სიძეყოფილიღა შემორჩნენ საბოლოოდ მანქანას. სინესტეაწოვილ, ქვითკირშელახულ

სახლთან გაუჩერა ცარიელი ავტობუსი სიძეყოფილმა ნამოყვრალ-ნაპატიმრალს და მგზავრის ჩასვლის მოლოდინში გატვრინდა.

ავტობუსის ფანჯრიდან გასცქეროდა ვაჟა გასაცოდავებულ თავის ეზოკარს, უფრინველოდ და უძაღლოდ რომ გამოღამებულიყო და გარინდულიყო. საღამოჟამის საკენკის ჩხარუნით გამოწიავდა თავსაფრიანი ვაჟას დედა და ბოლომობდღენილ მამალსა და სამიოდ დედალს ნაკმაზი მიმოუყარა. მერე, ცერად გახედა დედაკაცმა ცარიელ ავტობუსს, წვრილნაკადა ონკანს შეუშვირა შინიდან გამოყოლილი მურიანი ქვაბი და ქვიშიანი ჩალა აუფანდურა.

— მოვედით! — დიდი სიფრთხილიდ შეახსენა სიძეყოფილმა გატვრენილ ვაჟას.

— მოვედით-მეთქი... — კვლავ გაუმეორა მძღოლმა მგზავრს.

— შენცა? — იკითხა ვაჟამ. სიძეყოფილს ახედა და წამოიწია. სიძეყოფილი სდუძდა. ვაჟას წამოდგომა ჩასვლად ენიშნა შოფერს და ძრავა ჩართო. ვაჟამ ჯიხ გადაინაცვლა მხოლოდ და მგზავრის მოწინავე სკამიდან ტყავგადაკრულ, სახელოსნო, შოფრულ ყუთზე ჩამოუჯდა მძღოლს.

— შენცა, მეთქი? — აუღელვებლად გაუმეორა კითხვა ნამოყვრალმა სიძეყოფილს და ანთებულ ასანთს დაადო ორგროშიანი სიგარეტის წვერი.

— მე, ძე არა... მე რაღათა?!

— დიდი ხანია? — ჰკითხა ვაჟამ და კიდევ მოქაჩა.

— ...ალიმენტს არ ვაგვიანებ. თვიდან თვემდე ვიხდი, ისედაც მიჭირავს თვალი: ბურთია, წიგნები, კეტები... უარს არც სხვა წვრილმან დახმარებაზე ვამბობ,... — ოჯახთან ურთიერთობის თავი და ბოლო გააცნო სიძეყოფილმა ნამოყვრალს...

— .

— .

— წავედით! — თქვა ვაჟამ მშვიდად.

— სადღა? აგე სახლი!..

— სოფელი დამათვალიერებინე!..

— .

— ის ხო აქ აღარა ცხოვრობს... ნუნუ...

— სოფელი დამათვალიერებინე მეთქი!..

სიძეყოფილი აიჯინჭრა და მანქანა უხმოდ დაძრა.

— თახ ელაპარაკე, სოფლისა მითხარი... ეგენები შენ აკი არ გიჭირს!..

— ახლა სხვა რაიონში მასწავლებლობს. მალე გადავიდა შენს მერეხომ იცი, პატარა ალაგია და გინდა არ გინდა, ჩანს...

— მორჩი ახლა, სხვაც თქვი! შენ მანქანაში კი არ ვაპირებ ძილსა... სოფ-

ლის ამბავი.. ვის სამძიმარი ეუთხრა, ვის კიდევ მივულოცო, რომ შემხვედ[-
პიან... მიდი შეთქი!..

ერთმგზავრიანი, ცარიელი ავტობუსი ნელ-ნელა დაგორავს ქუჩა-ქუჩა. შუქები აინთო სოფლად და სანახაობა გამქრალიყო. თუმცა, მზე ჯერ არ ჩასულა!..

— ეს სიძონას სახლია, რკინიგზელისა. მამა შენსობას მოუკვდა, დედა ცოცხალი ჰყავს... მებუფეტედ დასდევს სოჩა-თბილისსა. ათასხუთასი კაცი უჯდა ქელეხში, ექვსიათასი სუფთა ფული შეუვიდა. ერთი ცოლი იქა ჰყავს სოჩაში, მეორე აქა... სახლი რაც არი, შენცა ხედავ... დაბლა სართული ერთიანი ზალაა, სამასი კაცი დაეტევა ცალპირად. — სოფლის ავკარგს უყვება მძღოლი ნაპატიმრალს.

— ისა, კიდევა მიხას სახლია... თქვენი ოქროს მეზობლისა, მეგაგრისა. შგონი შენსობას ჩადგა... მას აქეთ უმატებს და უმატებს, უმართლებს ზოგსა და!.. ის კიდევ კაკლუასია, ბეღლისა ყარაულისა, მეორე მეტსახელი ბეღურა რომ შეარქვეს... შენზე უფროსი იყო. უნდა გახსოვდეს... უმცროსი — უფროსს უფრო ადვილად იმახსოვრებს კაცი...

— მახსოვს... განა მაგდენი რა იშოვნა, რო?! ფეხზე დამდგარხართ უჩემოდ, წავიდე, რა ქვნა?! — გაიღიმა ვაჟამ და ქუჩას გააპარა თვალი კვლავ.

— ვიხ გაკეთდა და ვინ კი ვერა... ჩემ აბაზიანზე უდგებათ თვალი ზოგიერთებსა და თვითონ კი გააქვთ და გამოაქვთ!... აბა, მაგადანში რომ ხილს წაიღებს, თახაც გაკეთებული გირებითა, ზოგი მამულიშვილი, ჩემი უნდა გაუკვირდეს ვინმესა?! მანქანის ქვეშა ვგორავ, ნაწილებსაც ჩემი ჯიბიდან ყყიდულობ...

— გავიხადო, ჩაგაცვა?! — აგდებულად ჰკითხა ვაჟამ სიძეყოფილს და გახუნებული სვიტრი გადმოიქაჩა კისერზე, ვითომც გასახდელად...

— არა, სამაგისოდ ღმერთმა ნუ გამიჭირვოს, მაგრამ... აგერა, ყასბის სახლი არაჭელიანისა... რაღა სახლი, სასახლეა... ერთ პოლკს თუ არა, ბატალიონს დააძინებს სანაძლეოზე, უშვილოსავით კი არის და, რა თავში იხლის!..

— უშვილო? შმაუნას არ ამბობ, ყასაბსა? გოგო ჰყავდა!..

— ვინც სად დაფხანა, იქ დაწვა... ერთი პრიუტი გაიხსნება მაგის სახელობაზე, რაძე რო იყოს... მაგისი კვერცხის ნაჭუჭი ქვეყანას მოედო. შმაუნ არტემიჩმა კი ერთიც არ შეიკედლა შვილიშვილთაგანი, ნაბუშარი გზამ მონათლოს, ჭუჩაძაო, ყველა გამოჰყარა...

— შეხი რომელიღაა? — ჰკითხა ვაჟამ მოულოდნელად.

— აგერ, ის ინტერნატია, საზეინკლო სკოლა, ის კიდევ საყოფაცხოვრებო მომსახურების ფილიალია, — სიტყვა ბანზე შეაგდო შოფერმა. — ერთ პე-

რანგზე ორ ძარცხენას ან ორ მარჯვენა სახელოს აკერებენ ეგ ჩვენი ატელიანტები...

— შეხი სახლი რომელიღაა, მეთქი?..

— ჩემი?.. ჩემი აბა რა მოსატანია აქა!!. შენ დას რო არ აერია, სხვაზე ნაკლებ არ გავიმართებოდით, მაგრამ, მაგრამ... აგერა ჩემი სახლი, გარედან მტერს უყეხებს თვალს და შიგნიდან მოყვარესაო, ეგრეა ჩემი საქმე... აი, ესე კაპიკ-კაპიკ ვცოდვილობ და ვრაღაცობ... ვეროს რომ არა აერია, შენ დასა, ბარემ იცოცხლე, მაგრამ... თავზე მიწა გეყურება ჩორნაპოლიდანა, ლამფა რა არი, ის ველარ ავაკარი...

— არა, ძართლა? — გაურკვეველად ჰკითხა ვაჟამ.

— მართლა, მაშა! ჩემზე უბედური სახლი — ჩემზე უბედურსაც კი აღარავისა აქვს ძთელ სოფელში. ერთ-ორ შაურსა ვშოულობ და ეგ არი... ალიმენტსაც დროზე ვიხდი... სხვაფრივაც თვალი მიჭირავს...

ვაჟამ საგზური აღრთვა ცხვირწინ სიძეყოფილს, ჩაათვალიერა:

— მე ძროხის ქურდი უნდა მერქვას და შენ კი შოფერი! მაშ, მანქანის ქურდი არ უხდა გერქვას შენა, ჰა?!

— მე ხომ არ შემირქმევია შენთვის ეგ სახელი და ჩემგან რა გინდა?

— არა, შენ რატომ არავინ შეგარქმევს მეთქი, მანქანის ქურდსა, შე, მე... ვერომ მიღალატო, ჰა?! აბა, ერთი ამოყარე დღის ნავაჭრი! ერთი... მიდი, ხო მართალი კაცი ხარ?! ამოალაგე! ბიჭო, შენ, მე რა ზღაპრებს მიამბობ! ნასევარს ჯიბეში იდებ, შე ნეხვო, შენა!..

— მიღალატა როდისა ვთქვი, ამირია-თქო. — თავი იმართლა სიძეყოფილმა.

— შეხ ჩემ დაზე აღარ დაიჩივლო დღეიდან, თორემ, ლაფშას ზეზეულად გაეკეთებ შეხი კანის ტყავისაგან!.. ზეზეულად მეთქი!.. წადი!..

— ბეხზიხი ნოლზე მაქ, ფარეხში უნდა დავბრუნდე...

— კალნკაზე მიდი, ჩაუმატე!.. ღამის მატარებელს არ დახვდები?..

— არა... ორი ღერი მგზავრი ჩამოვა ხოლმე და იმათაც კერძები იტაკებენ... ნახევარი სოფელი ტაქსაობს... დამემდურებიან ბიჭები, თავად, ისედაც არ მიყურებენ რიგიანი თვალით.

— მიდი, ჩაუმატე! — მშვიდად გაუმეორა ბრძანება ვაჟამ.

ბენზოკალონკის მუშაკმა, ვაჟას ყოფილმა ძმობილმა, თვალი მოჰკრა თუ არა ავტობუსის ერთადერთ მგზავრს, ვაჟას, სასწრაფოდ ამოიჭრა მანქანაში და ძმაკაცი გადაკოცნა:

— ჩამოხველ, ძმაო! ბიჭო ვაჟა, შენ გენაცვალე!.. დავკეტავ, წავიდეთ, ტკბილი პური ვჭამოთ... უარი არ გამაგონო, თუ ძმა ხარ!..

— არა, ძიტოჯან, ჯერ შინ არც მივსულვარ!.. ხვალ იყოს, ზეგა, წამსვლე-

ლი აღარა ვარ... განახავ... წავიდეთ! — განკარგულებასავით თქვა ვაჟამ. ავტობუსი დაიძრა. დაძრული მანქანიდან ჩამოხტა მიტო, ხელი დაუქნია მიმავალთ...

სოფლის კერძო ნახირმა მანქანის მოძრაობა შეაფერხა. საძოვრიდან შინ ბრუნდებოდხეხ მომცრო, ხევსურული ჯიშის ძროხები, სიძეყოფილი საყვირითა და კარებზე ხელის ბარტყუნით ცდილობდა გზის გათავისუფლებას. ჯერ-ჯერობით არა გამოსდიოდა რა და ტაატით მიჰყავდა ავტობუსი. სასადილოს რომ გაუსწორდა ნახირი, ერთბაშად ოცი-ოცდაორი წლის ვაჟი გამოხტა სასადილოს კარიდან და ნახირში შევარდა. ტოლი ბიჭი დაედევნა მცირე ხნის შემდეგ. მდევარს სისხლი სდიოდა ცხვირიდან. გახელებული ცდილობდა დაწევას, ცხვირსახოცაფარებული იგინებოდა. სანახაობას ხალხი დაეხვია და ფარეხივით შეკრეს ნახირი. საქონლის ლაბირინთებში დარბოდა ორი თანასოფლელი ერთმანეთის გასათელად. ძროხის მუცელქვეშ გაუჩინარდებოდა ხ:ლმე გაქცეული და მოულოდნელად სულ სხვა ადგილზე ამოჰყოფდა თავს. უშველი სიტყვებით აგინებდნენ ერთმანეთს, მაგრამ საქონლის ბღავილში არ ისმოდა მათი ლანძღვა-გინება. მოსეირეთა სარტყელი აგუბებდა ნახირს. ხ:ლო საქოხლის სიმჭიდროვეში კი ჭირდა მიახლოება. გაშმაგებული მდევარი მუშტსა და წიხლს ურახუნებდა პირუტყვს, ერეკებოდა. ერთი ხანობა იმდენად მიუახლოვდა მდევარი დევნილს, რომ ორი ძროხის ზურგი-ღა იდგა მათ შორის. დანამ იელვა მდევარის ხელში. ვერა და ვერ უწია დევნილს. ვიდრე სცემდა პირუტყვს გაშმაგებული. თავი და ბოლო ნახირისა ისე შეკრათ მანქანებსა და მოსეირეებს, რომ ძვრა აღარ იყო. ძროხის ზურგებზე გადაცოცდა მდევარი. დევნილი ჩაიმალა. მდევარიც გაუჩინარდა...

სუნთქვაშეკრულმა სიძეყოფილმა გვერდზე მოიხედა, ვაჟა მანქანაში აღარ იყო, აღარც სადმე ჩანდა. უბნის რწმუნებული, მილიციელი, მანქანის კაპოტზე შეძხტარი უსტვენდა და თან გაფაცებით დაეძებდა ნახირქვეშ გაუჩინარებულ მოჩხუბრებს... და ერთბაშად ვაჟას ზორბა ტანი აღიმართა ნახირის შუაგულში. ახალი ფიგურის გამოჩენამ უფრო დაძაბა სიტუაცია წამით. ვეღარაფერი გაიგო ხალხმა, ვიდრე ვაჟას გვერდით, ვაჟას მიერ განიარაღებული მდევარიც არ გამოჩნდა. ბოლოს მესამე ფიგურაც შენიშნეს მოსეირეებმა. ნელ-ნელა გზა მიეცა ნახირს და მოძრაობა გაჩნდა. რაღაცას გაფაცებით უჩსხიდა სიძეყოფილი მანქანის საფეხურზე შემომდგარ რწმუნებულს და თახ მანქანას მართავდა. მერე ჩამოხტა რწმუნებული და ჩქარი ნაბიჯით გაიკვლია გზა შემთხვევის ადგილისაკენ...

— ბიჭო, ვაჟა, გამარჯობა! — შორიდანვე ხელგამოწვდილი გამოემართა რწმუნებული ვაჟასაკენ. ვაჟამ ჩალის ღეჭვით გართულ ძროხის ზურგზე დადო წართმეული სანადირო დანა და რწმუნებულს ხელი ჩამოართვა:

— გაგიმარჯოს, ბიჭო!... ბიჭები ესენი არიან, — გაიღიმა ვაჟამ და მოჩხუბრებს შეავლო თვალი, არაქათგამოცლილნი რომ ჩამსხდარიყვნენ ფუნამოძეძგვილ ასფალტზე.

— რაც საჭიდაო მოედნებმა იკლო სოფლად, ჩხუბმა და იარაღმა იმატა, — მაიხც რა ზღაპარივით გაჩნდი, ჰა?! — დანა აიღო რწმუნებულმა, ჯიბეში ჩაიდო.

— ზღაპრების დრო წავიდა, ბიძინა.

— ჰო, სეირის მაყურებელი გამრავლდა. აი, ხო ნახე?! — ბიძომ მოედანზე მიმოფანტულ ხალხს გახედა და კვლავ ვაჟას მოუბრუნდა. — გამოშიარე, უეჭველად გამომიარე! — ტოლი ადამიანის თხოვნით მიმართა რწმუნებულმა ვაჟას.

— კარგი... ჯერ სახლშიაც არ მივსულვარ... დიდი ხანია, რაც წესრიგში ხარ?

— არც ისე. ერთ ვარსკვლავს შევცქერი, ვერა ხედავ?! — მხარი შეათამაშა სოფლის რწმუნებულმა და დაუმატა, — საბჭოს წინა დგას ჩემი შენობა, ფინურია, ყვითელი, დაბალი ღობე აქვს შემოვლებული. გელოდები...

ვაჟამ თავი დაუქნია:

— ავტობუსს გითმობთ, დაღლილები ჩანან ბიჭები, ფეხით სიარული გაუჭირდებათ, — გაუღიმა ვაჟამ მოჩხუბრებს და ისე გამოსწია შინისაკენ, რომ სიძეყოფილი აღარც გახსენებია.

ბიძინამ ავტობუსისაკენ მიიპატიჟა ბიჭები. ჯერ ერთი აუშვა, მერე თვითონ ავიდა და შემდეგ კი მეორე ბიჭს უბრძანა ავტობუსში ამოსვლა... დაიძრნენ.

— თითო წლით მენახირეობა უნდა მიუსაჯოთ ამათ, მშრალ ქუმელაზე და წყალზე დასვათ და ზოგიც მერე გამიმართონ ჯიხვთა ჭიდილი... სვადებნი ჰუტეშესტვია ძერგო დღეს ჩემმა მზემ, იქით მოყვარე, აქეთ ეს წყვილი მტრედი, შოფერი კი არა და, შაფირი ვარ... შაფირი! — ჩაიბურტყუნა მძღოლმა და მანქანა დაძრა.

* * *

დედის ძეკმაზულ მინდვრის ლობიოს შეექცევა ვაჟა საკუთარ სახლში. მარცხნივ და უზის, ვერო, მარჯვნივ დისწული გოგია. დედა თავს ადგია და ცრემლებს იწმენდს.

— იმოდენა ტელეატელიე გვიდგას და ნალბანდი გვყავს ხელოსნის მაგივრად, შეხ ვინ გეტყვის უარს, ვინ არ მიგიღებს, ოქროხელავ! — ეუბნებოდა ვერო ძძას და თვალებში შესცილინებდა.

— ახლა ატეკა აიღე, შვილო, ტოლიატიდანა ჰყავთ ორი რუსი ბიჭი ჩამოყვანილი, — ჩაერია დედაც...

— ტოლიატიდან კი არა და გორკიდან ჰყავთ ჩამოყვანილი, — თქვა გოგიამ.

— ჩაარჩვეს კია გაკეთებულ ღვინოშია და გაქცევაზე არიან. შენ როგორ არ მიგიღებეხ, — დაასრულა სათქმელი დედამ...

— ქვას წყალს გამოვადენ, დედი, დავტრიალდე რო!..

— შეხი იმედი გვაქ, თავშემოგევლე, თორემა, აგე, ხო გვხედავ...

ვერომ წაუმუჯლუგუნა დედას.

— გახა ვჩივი, შვილო, მაგრამ, უკაცო ოჯახი ჯერ ცეცხლში უნდა დასწვა და მერე კი წყალს გაატანო ნაცარი... — მაინც მოიფხანა გული დედამ.

— კერაძიკულ კომბინატშიაც რომ გაიგებენ შენს ჩამოსვლასა, ძმაო, იქაც დაფაცურდებიან, მოგიკითხავენ... ტრანსფორმატორი თუ რაღაც ჯანდაბა დაგვეწვა იმ დღეს და სანამ თბილისიდან არ ჩამოიყვანეს ოსტატები, მანამ ვერას გახდნენ, ოქროხელავ, არ მოგასვენებენ! — ედუდუნება და...

— ჟიგულის ძრავა ხომ იცი, ძია? — მოულოდნელად ჰკითხა დისწულმა გოგიამაც...

— ერთი პრინციპი აქვს ყველა შიდაწვის ძრავას, ვაჟკაც... რა იყო?

— სუ გორში და თბილისში დარბიან ჟიგულის პატრონები, — თვალები უბრწყინდება პიჭს...

— ჯერ სახლ-კარს მივხედავ. ცოტა რამ ჩამოვიყოლე ხელის ფულად. კრამიტს შევუცვლი, ქარხანა აქვე გვაქ, კავ-სტრაფილსაც შევამაგრებ, თანაც სამუშაოს გავიკითხავ... რწმუნებულთანაც მისასვლელი ვარ ამ საქმეზე. პიძინა დაუყენებიათ, ჩემი სკოლის ამხანაგი...

— ჰო, პიძინაა ჩვენი რწმუნებული, ეგ არის! რამდენჯერმე მკითხა შენი ამბავი. დედა შემოგევლოს! კარგი სახელი აქ ჯერჯერობითა....

— მასალა ხომ არა ჰირს აქა? უჰ, რაც რომ შორეულ წყლებში ხე-ტყეა დაძირული...

— მაგეებს ჯერ შეეშვი, შვილო, ხის მასალას ცეცხლი მოუკიდა ჩვენმა საწყობის გამგემ, დედაშვილობამ, შენ საქმეს მიხედე!..

— რაო, დაიწვა? — იკითხა ვაჟამ და ბოლო ლუკმა ამოიღო ჯამიდან.

— ჯერ არ დამწვარა, შვილო, მაგრამ მაგის დროც მოვა!.. ერთ ცალ კოჭს, სამ და ოთხ თუმნადა ჰყიდის, ეგ დასაწველი, ისე კავსა და სტრაფილს. ისეთ ფასს ადებს, როგორიც უნდა, მე ყური დამიგდე, შვილო: ჯერჯერობით ტოლი დავაფაროთ სახლსა, მერე შენც რომ ჩადგები და გაიმართები, სახლიც ფეხზე დადგება და გაიმართება. ვეროც კარგა ჯამაგირობს, ორ ნორმაზე გამოდის, მხატვრადაც გააფორმეს, გამოიხრუკა კია საკრამიტეში ეს საცოდავი, აგრემც გამოეხრუკება, დაუდნება ჯანი იმ ჩვენს სიძესა, ქონის გუდასავით რომ ჩამოიპოხა და ჩვენ კი შოფრისა ჯამაგირიდან გვიხდის ალიმენტსა, განა შემოსავლიდანა რო!.. ძმაკაცებიც მოგხედავენ, ალბათა...

— ყველაფერს მოეველება... ბიჭებშიაც გავიკითხ-გამოვიკითხავ, — თქვა ვაჟამ და ჯაჭი გასწია.

— ყველა კარგ საქმეზე დგას, შვილო, გადი-გამოდიან... ისე კი ფეხძვირად იყვნეხ შენს არყოფნაშია და...

• • •

ღამეა. ვეროსა და გოგიას თავის ოთახში სძინავთ. მეორე ოთახში ვაჟა წევს. თავქვეშ ამოუწყვია ძლიერი, მოღლილი მკლავები. დედა არ დაწოლილა, ტანისამოსს უმართავს ვაჟას, საგარეოს, საშინაოს, უკერებს, უუთოებს. ვაჟას ერთი სული აქვს, დედას ნუნუს ამბავი ჰკითხოს. ითმენს, დედაც ვერ უბედავს, თუ ვაჟას შეკითხვას ელოდება, ისიც ჩუმად შრომობს მაგიდის ლამპის შუქზე. მაგიდის ლამპას ჩაფხუტი ისე აქვს დაყირავებული, რომ ცალი მხარე სახლისა, სადაც დედა საქმიანობს, განათებულია. მეორე, ვაჟას მხარე კი შუქნაკლულ ფერებში ბინდბუნდობს.

— თქვი რამე, შვილო, თუ არ გეძინება... ნატრული ვარ.

— მეცა, დედი, მეცა...

— მე გახა ცოტა გიამბე და გელაპარაკე, შვილო, ახლა შენცა თქვი. გახსოვს ბარის ტარებს რომ იმტვრევდი კისერზე. ჰოი, დადადა, რას ბობოქრობდი?!

— ეკლესიის დიდი ზარი თავზე ჩამომხობილი რომ მივიტანე სკოლაში, არ გახსოვს?! სიმონა მიმიძღოდა თოკითა... ფეხებწინ ვერასა ვხედავდი!..

— მეტი-ძეტობდი, შვილო. მაგოდონა ძალის პატრონი იყავ და რა მოგასვენებდა!.. ქვითკირს არღვევდი დატაკებითა... გიჟი იყავ, შვილო, გიჟი!

— რაც დამირღვევია, მაშენებინეს, ვალში არა ვარ...

— არც არავისი?

— არც არავისი... შენი თუ და ვეროსიც...

— ნუხუსი?.. — ერთბაშად ჰკითხა დედამ და საქმე შეწყვიტა, ვაჟას შეაჩერდა... აკი გააწყალე მზეთუნახავი შენ მოლოდინში.

— ეგ კია, დედი... ნუნუი.. მაგრამ, მეც ხო გავწყალდი, ჰა? გავწყალდი... მაშა!..

— ბევრმა თავისი ჭირის სხვაზე აკიდება იცის, შვილო, და იმისი მასწავლებლობა აქ აღარ შეიძლებოდა...

— სულ წავიდნენ?.. სულ გადავიდნენ?

— როშელი ბევრნი ისინი იყვნენ? დედა იყო და შვილი... დედა აბა სადღა წავიდოდა, ქმრის საფლავს ვის დაუტოვებდა, ნუნუ კი გადაიხვეწა, სხვაგან სადღაც ძახწავლებლობსო, ვერომ მითხრა, ჩამოდის კიდეც არდადეგებზე თურმე. მე არ შემხვედრია, ვეროსაგან ვიცი... — მთხოვნელები განა დაჰკლებია, რო!.. სათოფეზე არავინ მიიკარა აქაური, აქ ყოფნისასა და იქითურობისა აღარა ვიცით რა...

— წყალი ნაწყლევს არ დაჰკარგავსო, დედი, ზოგიც ხვალეს ვათქმევინოთ. — თქვა ვაჟამ და მხარი იცვალა, ზურგი შემოაქცია დედას.

— სხვაზე გასატეხიც ბევრჯელ შენზე გატეხილა, თორემ, რა მაგისი პასუხია და, ის ზარი ახლაც სკოლაში არ უკიდიათ, რო?.. მიეტანათ, დაებრუნებინათ... ვიხ უშლიდათ?.. იღბალი გქონდა, და...

— იღბალი მართლა მქონდა, თორე...

— ძილი ხებისა, შვილო! — უსურვა დედამ, დაუთოვებული პერანგი სკამზე მიუკიდა და შუქი ჩაუქრო.

* * *

ახალი კრამიტი მოტანილი აქვს ვაჟას, ახალი კავ-სტრაფილიც წყობისად უწყვია საკარძიდამო ღობის ძირას.

ადრიახი დილაა. ძმაკაცები ეხმარებიან სახურავის აყრაში. ოთხი-ხუთი ვაჟკაცი ტრიალებს და ფრიალ-ფრიალით ისვრიან ძველ დაჟარულ კრამიტს ბიჭები, ანგალ-ცანგალობენ, ოსტატობასა და მარიფათს უჩვენებენ დიდი ხნის უნახავ მეგობარს.

— ნელა, არავის მოარტყათ!.. მიტო, სიმონა, ნელა მეთქი! — აფრთხილებს საბეგაბადრული ვაჟა ბიჭებს. დაბლა, ეზოში, ორნი დგანან. ერთს ჭედილა წამოუქცევია და ნადისათვის ატყავებს, მეორე ძმაბიჭს ორლულიანი შეუმართავს და ზევიდან ნასროლ კრამიტს მესტენდურივით უბათქუნებს. გააქვს და გამოაქვს. დისწული გოგია გატყავებაში ეხმარება უფროსს, თვალი კი მეთოფურისაკენ უპირავს.

— მარცხი არა მოგივიდეთ რა, შვილო, ვაჟა! ბიძინა, ბიჭო, შენ მაინც დაუშალე კახონის ძალით, არაფერი შეგვემთხვეს!

— ჩემს აქ ყოფნაში, პასუხს მე ვაგებ, დედი. — იღიმება ბიძინა, მიტოს თოფს ართმევს, ქარქაშში დებს...

— მოძეცი აქ მე ეგ თოფი და აპა შენ ქვაბი, ყაურმისათვის ჩამიკეპე ჯიგარი და მუცლის ფარი, შვილო, ბიძინა! — მისწვდება ვაჟას დედა და თოფს ჩამოართმევს. ბიძინა ქვაბს გამოართმევს და ჯიგრის ჩაკეპვას იწყებს ყურკამარა ქვაბ'ში...

შემდეგ თვითმცლელზე ჰყრიან ძველ კრამიტებს. ძველ კავ-სტრაფილს კი შეშად ხერხავენ. თავშიშველი დგას სახლი. ვერო სუფრას აწყობს აივანზე. მწვადებს გოგია-ბიჭი დასტრიალებს. დედა ეზოს ნამავს და გვის. ვინც საქმეს მორჩა, ხელ-პირს იბანს, იფერთხება და მაგიდისაკენ მიიწევს. თანდათან ყველანი შემოუსხდებიან მაგიდას.

— მარჯვენა დაგელოცოთ, შვილებო! — ამბობს დედა და კერძს ანაწილებს.

— მოდით, ბიჭებო, ბიძოს გაუმარჯოს, თამადად ეგ იყოს, — ამბობს მიტო.

— მე გაძიმარჯოს? რას ამბობ, შენა?! ჩამოსულა კაცი ვადღეგრძელოთ...

— თამადობა მოგილოცა მიტომ, ბიძინა... დაიცა... — უთხრა ვაჟამ.

— შეხ გაგიმარჯოს, ვაჟიკო... მე მალე უნდა წავიდე... — უარობს ბიძინა.

— შაბათია ხომა დღესა, უქმეა. — ამბობს ვაჟას დედა წყენით.

— აბა შაბათ-კვირა მაქვს საქმე, თუ მაქვს, ორშაბათამდე... ყირა-ყურაზე გადადიან რახი-რუხა ჯეელები, მოწმეა, აგერა, — ვაჟასკენ მიმართა ყველანი.

— მადლობთ, რაკი აგრეა, — მიიღო მიტომ შეთავაზება, ჰიქა აღმართა.

— ვაჟას გაუმარჯოს! შენ ჩამოსველას გაუმარჯოს, ძმაო! — ილოცება მიტო, ბენზოკალონკის გამყიდველი.

— გმადლობთ, ბიჭებო! — მადლობით უპასუხებს ვაჟა თითოეულს.

— შენ ჩაძოსელას გაუმარჯოს, ვაჟიკო, შენს ყისმათს! — ლოცავს ახლა სიმონა და ბოლომდე ცლის ჭიქას.

— ყისძათი, თორე მეც ოქროს ქოთანი მაქვს კუდიგორასთან ჩამარხული!..

— ოქროს დედა ვატირე, ვაჭრებისა და მიწისაა, ვაჟკაცი იყავ და ისევ შენს ვაჟკაცობას გაუმარჯოს! — ელოლიავება ერთ-ერთი ძმაკაცი.

— არა, ისე, ერთი ნახევარი კილო ოქრო კარაქივით რომ ამიწონოს ვინმემ და ფული არ გამომართვას, ამ სახლს სახლებს დაამგვანებდა კაცი! — გაიღიმა ვაჟამ და დაუმატა, — ოხრადამც დამრჩეს!.. ოქროს საბადოში ხელებგაყვითლებულიც შემხვედრია, მაგრამ, რას ამბობთ!.. ერთი ჩვენებური საშიდაო ზურნის ხმა რომ ქვეყნის გაჩენად გიღირს და არსად არის!.. მაგას შეეშვათ, წასულები გაანათლოს! — ჰიქა ასწია ვაჟამ.

— წასულები და არდაბრუნებულები, შვილო! საწყალი მამაშენი რომ ტყვიის მგელს არ შეეჯამა, ეგება არც შენ აგრეოდა გეზი და ჩვენი ბედი დღეს სხვას შეშურდებოდა, სხვასაც ენატრა დღესა, შვილო ვაჟა!

— ზოგს მგელი ჭამს, დედი, და ზოგსაც მგლისფერი, მე კიდევ ჯერ მრთელი ვარ და ვიქნები... წასულებისა იყოს! — ვაჟამ ჭიქა გადაკრა.

— გაახათლოთ!

— წასულებისა იყოს!

— დიდხახს ვიცოცხლოთ მოსაგონებლად!

სვამენ...

— ბიჭებო, ერთი სიმღერა! სკოლის გუნდში რო გვაწვალებდნენ, მოდით, რა!..

— სამხმიანი გაგიჭირდებოდა იქა, არა, ვაჟა? — ჰკითხა სიმონამ.

— აქაც ჭირს!.. ყველა თავისთვის მღერის, ქართლში ხომ ნაღდად გაქრა სამხმიანი... ჩვენი სიმღერა ჩვენვე გვიჭირს! — თქვა ბიძინამ და წამოდგა. — კახეთსა და იმერეთშია ხშირი, თორემ, ჩვენში... აბა-ბა-ბა, „გოგიასა, ბიჭო, გოგიასა, ჰაეჭავაძე გოგიასა...“ წამოიწყო ვაჟამ სკოლის გუნდში ნასწავლი სიმღერა. ბიჭები ნელ-ნელა აჰყვნენ... საკმაოდ წყობილად დაასამეულეს სიმღერა. ბიძინა აღარ უზის სუფრას. წასულა.

„ერთი ძირი ვაზი ჰქონდა ნეკერჩხალზე ამოსული,
ისიც ხარმა შეუჯამა, დარჩა ის წყალწაღებული...“

ამ სიმღერის ფონზე იშლებიან სტუმრები, ვაჟა აცილებს მათ. ალაყაფთან იმდენი „ქიგული“ და „ლადა“ დგას, რამდენიც კაცი გავიდა ვაჟას ეზოდან. ვაჟას ძეგობართა შვილები უსხედან საჭეს. სხვათაშვილებივით არიან ჩაცმულნი მაძებთან შედარებით. მორიდებით ხელს ართმევენ ვაჟას. ვაჟა მეგობარსავით უთათუნებს მათ ხელს. რაღაცას ესაუბრება, ეკითხება, ხან მიტოსა და სიმოხასაც გადაულაპარაკებს. მათაც რაღაცა თქვეს. ხელები გაშალ-გამოშალეს... შორიდან მაცქერალი თვალი მცირე სინანულს შენიშნავს ვაჟას მიხვრა მოხვრაში.

მეგობრები მიდიან.

— მიტოს ბიჭი ნახე, რამხელაა? — ეზოში შემოსული ვაჟა ეკითხება დედას.

— შვილიო? — შვილიშვილი ჰყავს... შარშანწინ შერთეს ცოლი! — ჩამოსძახა დედამ.

ვაჟამ დაფხავებული გარაჟის კარი გამოაღო და გაკოტრებული ძველი „შკოდა“ შეათვალიერა... გოგია-ბიჭიც გვერდით უდგას, არ შორდება... ორი გაცვეთილი საბურავი დაშვებული და კვეივით ჩაღეჭილია, ორი სულაც არ გააჩნია მახჭახას... დამტვერილი და დააბლაბუდებული იყო იქაურობა. ვაჟამ ზურგი შეაქცია სანახაობას, ფარეხის წინ დადგმულ, დაჟანგულ სავარძელზე ჩამოჯდა და გააბოლა. დედა და და სუფრას ალაგებენ. გოგია ძველ მანქანაში მოკალათებულიყო და ფიქრებს მისცემოდა. დროდადრო გაარხევდა ხოლმე გოგია ბიჭი სიჩქარის მოწყვეტილ სახელურს, ან სხვა ნაწილს.

— ამ ძახჭანის გამართვას ბევრი უნდა, ძია? — იკითხავს გოგია.

— არც-რო... ჯერ სახლი გადავხუროთ და მერე მაგასაც მოვუვლით, საპარადესავით გავაპრიალებ!..

* * *

მარტოდმარტო ზის გადახდილი სახლის თავზე ვაჟა. ღრუბლიანი დილაა. გოგია-ბიჭიც ხელ-ნელა ამოდის, სახლზე მოდგმული კიბის ბოლო საფეხურზე ჩამოჯდება და ისიც ელოდება დამხმარე ძალების მოსვლას. ჯერ არავინ მოჩანს. რამდენიმე მსუბუქმა მანქანამ ჩაიარა, მაგრამ, არც ერთი მათგანი არ გაჩერებულა ვაჟაანთ კარებთან. კავები სახლის კედელზეა აყუდებული, ასატანადაა გამზადებული.

— ჩვენ ამოგაწყდებთ, ვაჟა, შვილო, მე და ვეროი. მანდ კი შენ და გოგიამ აითრიეთ... მომსვლელები თუ იყვნენ, აქამდე მოვიდოდნენ, გესმის, შკილო... ღრუბელი ისე დაგვტრიალებს, რო ავდარს მოიყვანს და რაც გვაქ, ესეც თავზე ჩამოგვექცევა.

— კვირას შინ რას გაჩურდებიან. ან ქორწილში სადმე დაჰიხვინებენ, ანდა სულაც ორჯონიკიძეში გადაცვივდებოდნენ ფრინველზე... ცარიელი კავე-

ბის ამოწოდებას რა უნდა, ერთა-ა-თა! — იძახის ვერო და დედასთან ერთად აწვდის კავს სახურავზე მდგარ ვაჟასა და გოგიას.

— მაშ ორჯონიკიძეში დაგელაობენ ბიჭები? — კითხულობს ვაჟა.

— ერთი-ერთზე რჩებათ და რატომაც არა!.. სკორეთი კი უყართ მანქანები, შიგ არც ჩაიჯდომება... — კვლავ ახალ კავს აწვდიან ვერო და დედა.

— აბა თქვენი ცოდვილობით რას უნდა გავხდეთ. ვაჟკაცის ხელი უნდა... ჯერ ათი საათიც არ არი, გამოიცლიან... არა მგონი რო... გამოიცლიან. — იმედიანობს ვაჟა და ამოწოდებულ მასალას სახურავზე აწყობს.

ქარი თახდათან ძლიერდება, ღრუბელს-ღრუბელზე აკერებს და ამატებს. საავდროდ გაძზადებული ცა პირს იკრავს და საცაა წვეთიც დაიწკაპუნებს. ჯერ მასალის აზიდვაც არ გაუთავებიათ, გამართვაზე და კრამიტის გადახურკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შრომობენ...

— ვიდრე სახურავს გადახდიდით, შვილო, უნდა გეკითხნა მიტო-სიმონებისათვის შეორე და მესამე დღითაც თუ მოიცლიდნენ და ხელს გაგიმართავდნენ... ორ-სამ დღეში თუ მორჩებოდით და გადახურავდით... უნდა გეკითხნა, მაშა!

— რა კითხვა-პასუხი იყო საჭირო, არ ვიცი?! გადახდილს რომ დახურვა უნდა, ამას რა კითხვა უნდა, ჰა?! — თქვა ვაჟამ და მაჯაზე დაცემული წვეთი მეორე ხელისგულით შეიმშრალა.

— გამძარჯობაზე ახლა, შვილო, მარტო გაგიმარჯოს როდიღა კმარა... უნდა გეთქვა, შეგეხსენებინა.

— საშვილიშვილო მზე თავზე მადგა და აბა რის შიშითა და რა უნდა გეკითხნა რო?! — ახლა უკვე გახშირებული წვეთი შეიწმინდა ვაჟამ და ცას ახედა.

ქარმა იკლო თითქოს, მაგრამ მოქუფრული ცა რომ შეცდომის პატიებას არ აპირებდა, ცხადი იყო. წვეთი-წვეთს მოჰყვა, შხეფი-შხეფს. გადახდილ სხვენს ჯერ მტვერი ავარდა წვეთებისაგან, მერე კი თანაბრად დაასველა და დასცხო.

ის-იის იყო და ბიძინა-რწმუნებულის მოტოციკლი მოგრიალდა დაბრეცილ ჩიშკართან.

— ოჯახი'შვილებო! ოჯახიშვილებო!.. — მოაძახა ბიძინამ. დედამ გაუღიმა კარი და ეზოში შემოგრიალდა რწმუნებული.

— იღბალი თქვენი, რომ სოფელში მიცვალებული და ქელეხი არსად იყო, თორემ ამ საჭირისუფლე ბრეზენტს მე აქ ვინ გამომატანდა?! დამიცა, ვაჟა!.. ცალი ბოლო აიყოლე და ნელ-ნელა დანარჩენსაც აითრევ, ერთბაშად კი ვერ აზიდავ! — შეუძახა ვაჟას რწმუნებულმა და მოტოციკლის მისაბმელიდან გადმოთრეული ბრეზენტის საფენის ცალი ბოლო ვაჟას აწოდა.

— უჩიხძაჩინის სარკეში ხომ არ იხედებოდი, შე კაი კაცო, რამ მოგაფიქრებინა?! — დაიძახა ვაჟამ და მოწოდებული საფენი ზევით და ზევით აითრია.

— შენ კი გაიხარე, ბიძო, ღმერთიმც გიშველის, შვილო. — ლოცავს დედა და შინიდან გამოტანილ მაგიდის მუშამბას ხელს გაუშვებს.

— არა, გუშინდელი თაკარა ამინდის მერე, რას მოიფიქრებდა კაცი ამ თქეშსა! — უკვირს ვაჟას და გოგია-ბიჭის დახმარებით საფენს აფარებს ჭერს.

აივანქვეშ შემოაყუდა ბიძინამ მოტოციკლი.

ბრეზენტის ვეებერთელა საფენი უზომო ლაბადასავით გადმოეფარა თავგადახდილ შენობას და მასზე გადმოდენილი კოკისპირულის ღვარები რუებად დაიძრა ეზოში. ვაჟა და გოგია-ბიჭიც მორჩნენ საქმეს და თავით-ბოლომდე გალუმპულები ჭერქვეშ შემოეფარნენ.

— ძალიან კი დაგვავაჟკაცე, ბიძო, ეს ამოდენა ბრეზენტი ღვთის კალთასავით რომ გადმოგვაფარე! — სველი ხელი გამოუწოდა ვაჟამ ბიძინას.

— ცასა და დედამიწას შუა თავდები როცა არ გეგულება, შენ თვითონ უნდა ჩადგე და ითავმდებო... ეგრე ყოფილა და ეგრე იქნება. აკი შემპირდი, გამოგივლიო, სად დაიკარგე?.. — ბიძინამაც ჩამოართვა ხელი გაწუწულ ვაჟას.

— ნათესავებში, ბიჭებში გაველ-გამოველ და გადამიჭართულდა, — თავი იმართლა ვაჟამ და სველი ხალათი გაიძრო... — არც ამ წვიმას ველოდი და არც კიდევ ბიჭების მოუსვლელობას. — იძახის ვაჟა და დედის მიწოდებულ მშრალ ს ლაზს იცვამს.

— შენ ჩემთვის უნდა გეცნობებინა და იმდღევანდელ ბიჭებს მოგახმარებდი, სასადილოს წინ რომ გააშველე. თხუთმეტი დღითა მყავს დაკავებული... ხვალ-ზეგ მოგახმარებ... მუშა რომ მუშაა ამ სოფელში, ისიც თბილისიდან ან გორიდან მოჰყავთ.. ლომივით ბიჭები არიან ის ორნი, სასადილოს გოლიათები. გამოგიგზავნი.

— მაგას როგორ ვიკადრებ, რას ამბობს?! — მშრალ პერანგს შარვალში იტანს ვაჟა, იკაზმება.

— მე, ძმაო, ბრძანების უფლებაცა მაქვს სოფელში! — იღიმება ბიძინა და ლაბადას ისხამს ტანთ, წასასვლელად ეწყობა.

— შეხი აქედან გასვლა და შენი მოტანილი ბრეზენტის ჩამოთრევაც ერთი იქნება, ბიძო! ჩემს სახლში მე მაქვს ბრძანების უფლება! — ვაჟამ ლაბადაზე შეუვლო ხელი.

— ტაფამწვარისა და მწვანილის მეტი არა მაქ რა, მობრძანდით. — მიიპატიჟა დედამ.

* * *

სხვისა ტანისამოსივით ჩამოწლაწნოდა სველი ბრეზენტი ვაჟას სახლს.

დილა უთენია მოუყვანა ბიძინამ ვაჟას მისი გაშველებული, ჯან-ღონით სავსე მოჩხუბრები მშენებლობაზე დასახმარებლად.

ეზოს ონკანზე იბანდა პირს ვაჟა იმ დროს, ბიძინა რომ წამოადგა თავს ზურგსუკან აძომდგარი ვეფხვა-ბიჭებით და დილა მშვიდობისა დასძახა:

— დილა მშვიდობისა, ვაჟა! — მიესალმა ბიძინა.

— დილა მშვიდობისა, ძია! — მიესალმნენ ბიჭებიც.

ვაჟამ შუჯით წყალი შეისხა და ვიდრე წყალი ჩამოეწურებოდა, პასუხი შეუყოვნა, აძის გარდა, მზიანი დილა ჯერ ბინდბუნდად ჩასახულიყო და უშუქობამაც შეაფერხა, ერთბაშად ვერ იცნო და ვერ გაერკვა სიტუაციაში.

— ოჰ, გაგიმარჯოთ, ძმისშვილებო! — ჩაიცინა ვაჟამ და სასწრაფოდ შეშრალებული მარჯვენითი ბიძოს ჩამოართვა ხელი. — დილა მშვიდობისა, ბიძო!.. ვეღარ გაათენეთ რიგიანად! გისმენთ.

— ბიჭებს დაგახმარებ-თქო, აჯი შეგვირდი... მოგიყვანე კიდეც... სამ დღეს შენს განკარგულებაში იქნებიან...

— რას ამბობ, რასა?! ქვეყანა რომ ჩამომექცეს მე აბა მაგაზე დაგთანხმდები, ჰა, ბიძო?! რას ამბობ?!

— მორჩი ახლა, კარგი!

— ჩვენ-ჩვენით მოვედით, აქ, ძია ვაჟა, გვინდოდა და მოვედით. — თქვა ერთმა ყმაწვილმა.

— ვაჟკაცურად გეუბნებით, ძია ვაჟა... ქუჩებისა და მოედნის ხვეტას აქ გვირჩევნია... მყუდროდ ვიმუშავებთ. — თქვა მეორე ვაჟმაც.

— ა, ძმაო, დარიგებული პატიმარი ასე გულიანად გეტყვის?! აქ მუშაობა სხვაფრივაც ეხალისებათ ბიჭებს. — კვერი დაუკრა ბიძინამაც.

— არა, ძმაო, არა! — ვაჟა იღიმება, თავს აქნევს, ბიჭებს მიმართავს:

— მერე და თქვე მამაკეთილებო, იმ დღეს რომ კინაღამ დაჭამეთ ერთმანეთი, ახლა ხუროებად გინდათ დამისხდეთ აქა?!

— ჩვენ აქ მუშაობა გვინდა, კარგი რა, ძია ვაჟა! — შესთხოვა კვლავ ერთმა მოჩხუბარმა, რომელიც პირველი გამორბოდა სასადილოდან იმ დღეს... მდევარმაც თავი დაუქნია დასტურად. ისეთი სახით შესცქეროდნენ ვაჟას და სამუშაოზე დამვებას შესთხოვდნენ, რომ უცხოს შეეცოდებოდა კიდევაც.

— პროფტექნიკურში ნაჯახირები არიან, საქმე არ შეეშლებათ, — მხარს უჭერს ბიჭების გულწრფელ თხოვნას ბიძინა.

— არა-მეთქი, — ვაჟამ პირსახოცი კოჭზე მიკიდა, სარკის ნატეხში ჩაისწორა ხალათი, თმაც გადაივარცხნა. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავს აქეთიქით აქნევდა უარის ნიშნად. თან სიმღერას ღიღინებდა ოდნავ გასაგონად, — არა, არა, არა... შინ გაუშვი! — უარობს ვაჟა.

— ჰა, რა თავს აქნევ?! — შეუძახა ბიძინამ ვაჟას უფრო დაბეჯითებით.

— რას ამბობ, ბიძინა, რასა?.. ვარაუდი გასწიე, აბა! ახლა მე ერთი სოფელ-სოფელ გავვარდები. ძველ ძმაბიჭებს ჩამოვურბენ და იმდენი მენადე მეყოლება, რომ იქნება ორ კაცზე ერთი კრამიტი მოდიოდეს... წავედი, — ვაჟა აჩქარებული გადის.... მერე შემოტრიალდება:

— ბიძო, მოდი და ეგ ბიჭები სულაც შინ გაუშვი ჩემი ხათრით, თავის სახლებში იქნებ ლურსმანიც არ ჩაუჭედებიათ. გამიგონე!.. — ვაჟამ გაიღიმა და სხარტი ნაბიჯით გავარდა გზაზე.

— რა მოხდა, შვილო? რა იყოთ, შვილებო? რა ეწყინა? სად გავარდა, ჰა? — კითხვა-კითხვით გამოეგება ვაჟას დედა ბიძოსა და მის ვეფხვა-ბიჭებს.

— არაფერი არ მომხდარა, დედი, ოსტატები დამიწუნა თქვენმა ბიჭმა და უკეთესების მოსაყვანად გაიქცა, — ღიმილით აცნობა ბიძინამ ვაჟას დედას და მხარზე მოეხვია დასამშვიდებლად. — მალე მოვა, დედი, — დაუმატა ბიძინამ სამშვიდობო სიტყვაც.

— მიტო, ჰოო, მიტუშა! — დაიძახა ვაჟამ ალაყაფთან, სახელურს დაწვა და კარი გააღო. კარი გააღო თუ არა და ორი, პარალელურ მავთულებზე რგოლგაყრილი ქოფაკი გამოქანდა მისკენ. ჯერ შეკრთა, მერე კი მიხვდა ვაჟა, ქოფაკებს შორის ზუსტად იმდენი მანძილი რჩებოდა, რომ დაუზიანებლად გაძვრებოდა ერთი კაცი. უკან აღარ დაუხევია. „მიტო!“ — კვლავ დაიძახა ძმაკაცის სახელი და წინ გაეშურა. სიფრთხილით კი ფრთხილობდა ყოველი შემთხვევისათვის, მკლავებშემართული მიიწევდა, მოცეკვავის დახვეწილი მოძრაობით დუქმორეულ ქოფაკთა შორის. მართლაც რომ გულმაგარი ბიჭის მეტი ამ ორცეცხლშუა ბევრი ვერ გაივლიდა უხიფათოდ. მიტოს ჩაცმულ-ჩაქვირითებული მეუღლე გადმოეყუდა ერთბაშად აივანზე, აფუებული გულმკერდი გააბზეურა:

— მიტო სამსახურშია... უი, თავი მომიკვდეს, ვაჟა, მობრძანდით! სამსახურშია მიტუშა, მობრძანდით!... სულ კი არ გამოცვლილხართ... ბიჭს გავგზავნი, დავაძახებინებ. მობრძანდით...

— არა, თამარ, მეჩქარება... შაბათს ხელი წამახმარეს ბიჭებმა და არ შეყო... სახლი გადახდილი მაქვს... ეს ქოფაკები კი ძალიან მოგიფიქრებიათ... ვაჰ, ვაჰ.. თითო ათცხვარიანია... ვაჰ! — წასასვლელად აპირებს შებრუნებას. — ეს კი არცთუ ისე ადვილი საქმეა. ბეწვის ხიდზე შემობრუნებას უდრის.

— პირველი შემთხვევაა რომ უცხო კაცმა შემობედა. თუ დამიჯერებთ... ფრთხილად! ძიბრუნების დროს წონასწორობა არ დაგერღვეთ... ვაჟა, ფრთხილად!.. — აფრთხილებს გაფაციცებული დიასახლისი...

— ამისთანებზე გაძვილია. ნუ გეშინიათ! — იღიმება ვაჟა და უკან შემოსაბრუნებლად ემზადება. ტანი დაიწურა, ხელები ზევით შემართა.

— ან იქით არ მოგვიდეთ მეტი, ან აქეთ, თორემ, მტერს მოხვდა მაგათი კბილი! — აფრთხილებს მიტოს ცოლი.

—ჰოჰ! -- დაიძახა ვაჟამ და წკიპზე შეტრიალდა. ქოფაკებმა ლამის ჯაჭვები დაწყვიტეს, ისე გააფრთრებით მიეტიენენ. მეტისმეტად დავიწროვდა გასასვლელი.

— ქოფაკური. ასრულებენ. შენ დაუკა! — კივის ვაჟა და ფეხგასმით გადის ძაღლთაშუა. საცეკვაოს თვითონ დუდუნებს.

ფერადი კაფელით და მარმარილოს მოზაიკით მოხატულ-მოყვავილებულ ეზოს ტოვებს ვაჟა იძულებითი ცეკვა-ცეკვით.

— სიმონა, ჰოი-ჰოო, სიმონა! — დაიძახა ვაჟამ ერთი უშველებელი სახლის თვალუწვდენელ აივანთან და ღილაკს დააწვა.

— რომელი ხარ?! ღიაა! მოაწექი! — მოხუცი დედაკაცის გაბზარული ხმა შემოესმა ვაჟას და სახელურს დააწვა. კარი გაიღო. ხეივნით გადახურული ეზო ისე ჰგავდა წინამორბედს, როგორც გაჭრილი ვაშლი. სიმონას მოხუცი დედა სავარძელში იჯდა და მომხდურს ათვალიერებდა ჯოხზე დაყრდნობილი.

— რაკი სიმონა ახსენე, სიმონასი ხარ და აგერ ის დასიცხული ძროხა გადამიბი ჩრდილში, შვილო, აგრემც გაიხარებ... მოკვდა ეგ უბედური! — სთხოვა ძროხის გადაბმა დედაბერმა.

— დეიდა მაშო, გამარჯობა!.. ვაჟა ვარ... რა დაგმართნიათ?

— ვაჟა?. ჰაჰ?.. ჯერ გადააბი, შვილო, და მერე ვაჟა იყავი თუ არ ღაგიშლია...

ძროხა ისე გადმოაბა გაკვირვებულმა ვაჟამ ჩრდილოვან ადგილზე, რომ სიმონას დედისათვის თვალი არ მოუშორებია... მორჩა საქმეს და კვლავ მოხუცთან მივიდა.

— ვაჟა ვარ, დედი, სიმონის ამხანაგი, ხრიოკაშვილი. — გაუმეორა ვაჟამ.

— უიმე, შვილო! ვაჟა ხარ?! შე ლომის კვერცხო, შენა! გახსოვს ლომის კვერცხი რომ შეგარქვი... გახსოვს?!. ლომი კვერცხს ვერ დადებსო. მოზრდილობაშიღა ძიძიხედი, გახსოვს, ბიჭო? — დაჯდომილა გადაეხვია სიმონას დედა ვაჟას, ჩაიკრა და გაწურა...

— სიმონა სად არი? — იკითხა ვაჟამ ბოლოს, როგორც იქნა.

— სიმონა, შვილო, გუშინ გავიდა და ორ კვირას შინ ფეხს აღარ შემოდგამს: სოჭა-თბილისზე ბუფეტჩიკობს, გაიგებდი, აბა მა რა... მეორე პირო ცოლშვილი იქ აკი ჰყავს, სოჭაშია. გაიგებდი მა რა... ქვეყანამ იცის და... ერთ კვირას რო მატარებელს დასდევს, ერთ კვირასაც იქ ყოვნდება, მეორე ჯალაბში. მეორეჯერ რომ შედგება მატარებელზე და კვირას გალევს, მერე კიდევ აქა მდგმურობს, ერთ კვირას ჩვენთან ცხოვრობს... აი, ეგეც შენი სიმონა, და ჩვენაც კიდევა... დედაკაცი ქალაქში დარბის, „საყიდლებზედაო“.. ყიდის და ყიდულობს!..

— დაშვიდდი, დეიდა მაშო, დამშვიდდი!

— არ დაიმალება შუბი პერანგში, გაყიდის!. აგერა, სმაროდინებიდან რო ბოლი ამოდის, თითქო ჯაურა იწვისო, ეგა. სიმონას ბიჭები აფუილვებენ, ჩემი შვილიშვილები... კარტაობენ... მორეკავენ ტოლებსა, ჩასხდებიან და... ერთი, სულიკოა, შენი ნათლული... იქიდან აქ ვერ მომიყვანია, რომ ღვთის პირუტყვი მზეში არ მოკვდეს...

ვაჟამ ფიქრიანად გახედა საკარმიდამოს იმ კუთხეს, მოდავეთა ხმები და პაპიროსის ბოლი რომ ამოდიოდა და ხრჩოლავდა. ხანდახან შეჭანდ-შემოჭანდებოდა ხოლმე კენკროვანი ბუჩქნარი, თითქოს წვრილფეხი ერქინება ან დინგით თხრიანო.

— აგერა ეგრე, ჩასხდებიან კენკროვანში, აღრჩოლებენ, კარტაობენ და ოხრდებიან... პატრონები კი... რაც გითხარი, რაღათ უნდა გამამეორებინო. მე კიდევ, რომ ველარას გავხდი და ველარას გავწვდი...

— ფეხთ წაგერთვათ და დაკუტდით? — სწრაფად ჰკითხა ვაჟამ მოხუცს.

მოხუცმა მიმოიხედა, თითქოს უცხო ყურისმგდებელს ერიდებაო, თავის-თან ახლოს მიიხმო ვაჟა და ხმადაბლა გაანდო საიდუმლო.

— ველარაფერს გავხდი, შვილო, ლომის კვერცხო, და შენ გეუბნები, სხვისათვის უჩინარსა და უთქმელ ამბავს გაცნობ. კუტობა მოვიგონე, საპყრობა, დავჯექი და აღარ ავდექი... ლამის ბაღი გადასწვან, იმოდენა ბოლი ამოდის და წყლის მომწოდებელი კი არავინა მყავს... ეხა თუ აინუნში ჩაიგდო ვინმემ ჩემი დაკუტება... ნირი არავის შეუცვლია. მე კი ვთვალთმაქცობ, შვილო, ამ ხნის ადამიანი, როცა არავინ მიყურებს, მაშინ წამოვდგები და ვსაქმიანობ... შიშილით ხომ არ ამოვიხდენ სულსა?!

— ეგრე როგორ იქნება, დეიდა მაშო, ეგრე სად გაგონილა?!

— ცოცხალსა და მკვდარსაც ერთი ფასი დამედო...

— მაშ გაცლა-გამოცლა შეგიძლია, დეიდა მაშო, და ითმენ?..

— შემიძლია, შვილო, აჰა. — წამოდგა და მიხედ-მოხედვით გაიარა, — შემიძლია, ძაგრამ ვმალავ... რაც შეიძლება ვმალავ...

— შუბი რომ პერანგში არ დაიმალებაო, წელან აკი თქვი?! — ეცოდინებათ, რას გაძმოაპარებ.

— ეცოდინებათო?. — იციან, აბა მაშ სადილი რომ ცხელი დახვდებათ, ჭაჭი ხომ არ მოუხარშავდათ, ეცოდინებათ?.. აინუნში არავინ იგდებს, თორემ იცოდნ და იციან...

– მერე და რაღად იტანჯები, დეიდა, ახლა სწორად გაიარო?! ახლა სწორად გაისარჯო, ვიდრე შეგიძლია?! წაქცევა მაშინაც გეყოფა, როცა წაიქცევი... ადექ, დეიდა, გაიარე! გამოიარე! ჯიბრზე, თუ გინდა!... ზოგს ხომ მაინც გაეხარდება?! გაიარ-გამოიარე! აბა, მოდი, მოდი-მეთქი!.. გაიარე, დეიდა მაშო, გაიარე მეთქი, თორემ, ლომის კვეცხი ტყუილად შემარქვი? რომ არ ვისკუპებ, რომ არ დავიღრიალებ!.. ჩქარა, ჩქარა!..

მაშო დეიდა წამოდგება შემკრთალი და მოძრაობას იწყებს. პირველ ნაბიჯზე გაუბედავად, ახლა-მოხედვით გადადგამს. ვაჟას შეძახილზე უფრო გამხნევდება და მტკიცე, გამართული მოძრაობით იწყებს წინ და უკან სვლას.

— აი, ეგრე, აგრე, ეგრე, დეიდა მაშო, ჭირიმე შენი! თვალი დაუდგეთ ვისაც თვალი სათვალედ კი არა და სათვალთვალოდ სჭირდება. უნდა იარო, უნდა!

ბიჭები გაშლიან კენკროვანიდან და გაუბედავად უყურებენ ამ საოცარ ვარჯიშს... ვაჟა ბიჭების გასაგონად ჩასძახებს დედაბერს:

— ვინც შენ ბუზი აგიფრინოს, ჩემთან გამოგზავნე, სულ კომბოსტოსავით გავხდი და ტოლმასაკით შევახვევ!.. გამომიგზავნე!.. გამომიგზავნე!.. არ მოგერიდოს!.. — ვაჟა სიმონას ეზოდან გადის. სეირის მაცქერალი ბიჭ-ბუჭები გაიფანტნენ, დაიშლებიან. ლანდებივით გაქრებიან.

ბენზოკალონკასთან გრძელი რიგი იდგა მანქანებისა. მსუბუქი თუ სატვირთო მანქანები ძალად მორეკილებივით შეგროვილიყვნენ. იქ, სადაც ბენზინი იყიდებოდა, მიტო არ ჩანდა, მის ნაცვლად ბენზოკალონკის ღამის დარაჯი, ცალფეხა ილო უსხამდა ბენზინს. საქმიან მბარეს არ ჩანდა არც ერთი მანქანის პატრონი. სადღაც, საწყობის უკანა მხრიდან გამოდიოდნენ სათითაოდ, ხელჩანთებით ან ქაღალდის შეკვრებით დაიღლიავებულნი. ვაჟაც იქით წავიდა. შენობის უკან უშველებელი წყალსაზიდი ცისტერნა იდგა. შოფრების რიგი სწორედ ამ ცისტერნასთან იღებდა სათავეს. იქ, მსხვილდიამეტრიან. უჩვეულო ონკანთან მიტო მარჯვობდა: ხელბადეს მიუშვერდა ონკანის ტუჩს, საკეტს მოსწევდა და თქრიალით გამოჩქეფილი წყალი ხელბადეში იცრებოდა, წყალთან ერთად გამოყოლილი მსხვილ-მსხვილი თევზები ხელბადეში რჩებოდნენ.

ბეზმენტის სასწორზე უწონიდა მუშტარს მიტო თევზებს, ხელბადეს ცლიდა და ახლა მეორედ უშვებდა ონკანს ხელბადეს. გასტუმრებული მყიდველი მანქანისაკენ მიძუგძუგებდა...

— ვახ, ვაჟა! — დაიძახა მიტომ.

— ვახ, მიტო! — შეუძახა ვაჟამაც.

— გამოგზავნას ვაპირებდი... ღმერთმანი... თავფარავანისაა... ერთბაშად ვიშოვე... უჰ, სამი კალმახიც გადმოყვა შენ ბედზე, აჰა, დამიჭი... ძმაო!

— არ მითხრა, ახლა, ბიჭო, უფასოდ ყვიდიო. რა ღირს?

— მარტო ამის გამოგონებაში მეკუთვნის ერთი იმდენი, რასაც თევზში ვიღებ.

— თევზში რას იღებ?.. მართლაც რომ გეკუთვნის! სამოვარი რომ მიუშვა და შაქრებიც თან ჩამოცვივდეს, ისე მოგიფიქრებია...

— უშაქრო ჩაის ფულსაც არ გამოგართმევ, რად გინდა ეგეთები... ხელბადე კი უნდა დამიბრუნო, მჭირდება...

— რო არა მაქ რა თან წამოღებული?!

— ჩემი ჩანთა წაიღე, აჰა, ვაჟა. — ვიღაც უცხომ მიაწოდა ჩანთა.

— აჰა, ჩემი! — დაიძახა სხვა შოფერმა.

— ორი მაქვს, ჩემი წაიღე, ვაჟა! — ყველაზე მეტი მონდომებით თხოვა მესამე შოფერმა.

— ოჰ, ანდრო?! ბოდიში, ბიჭებო, ურიგოდ მიმაქვს...

— გამარჯობა, ვაჟა, მიშა ვარ!

— ოჰ, მიშა! გავქაჩლდით, ბიჭო!

— შე კაი კაცო, შენა!..

— მოდით ერთი ცისტერნას ქვეშ ცეცხლი შევუნთოთ, მარილი ჩავყაროთ და ერთად ვეპამოთ, ჰა, მიტო?! სულ ნაცნობები რაკი მოვგროვდით... ჰა?! ყაბულსა ხარ? — იცინის ვაჟა, ფულს მაინც უტენის ჯიბეში მიტოს, სიგარეტს ფეხით აჭრობს...

— ბენზინის კოლონა, კურიტ სტროგო საპრეშაიცა!... — ფულს არ გამოართმევს მიტო, დაკუჭულ ფულს თევზიან ჩანთაში ჩაუგდებს ვაჟას და განაგრძობს ვაჭრობას...

შინისაკენ მიმავალ ვაჟას საბარგო მანქანა წამოეწევა. „მიშა“ რომელსაც უწოდა, ის შოფერი ზის საჭესთან. ვაჟა უხმოდ ჩაუჯდება, სახლთან ჩამოხტება, მანქანა მიდის, ვაჟა ხელის აწევით დაემშვიდობება მიშას და ეზოში შედის. საღამოსპირია. თუთის ჩეროში ელოდებიან ბიძინას მოყვანილი ბიჭები. თვლემენ. ვაჟა ფრთხილად მიუახლოვდება გვერდიდან და სველ თევზებს გადააყრის თავზე. ბიჭები წამოხტებიან...

— ზოგი თქვენა, ზოგიც მენა, — იცინის ვაჟა.

— გელოდეთ, გელოდეთ და... — თავის მართლებით ამბობს ერთ-ერთი და უბიდან თევზი ამოყავს.

— ვისხედით, ვისხედით და... — უხერხულობს მეორეც.

— არა — არაა, უნდა იცოდეთ, ჰო კიდევ — ჰოა... ვითომც გვითევზავნია... ორი შენა, რა გქვია?

— ვასო მქვია, არა რა, ძია! — უხერხულობს ვასო, თევზის გამორთმევა არ უნდა.

— აბა! — მკაცრად მოუჭრა ვაჟამ და თევზი მიაჩეჩა.

— თენგო მქვია. — მეორე ბიჭმაც გამოართვა თევზი... დარცხვენილები იტკეპნებიან...

მხრებზე ხელის მოთათუნებით მიაცილებს ვაჟა მათ.

ბიძინას მოყვანილი ბიჭები უხმოდ გაიზუზუნენ ეზოდან.

ვაჟას თვითონ დედამ გამოურბენინა ბადია.

— შვილო?! — ბადიაში ჰყრის თევზებს დედა, ვაჟას შესძახებს.

— რა იყო, დედი? — მშვიდად მიუბრუნდება ვაჟა.

— გაგონილა ასე დაკარგვა, გაგონილა?!

— ახლა მსაყვედურობ?

— დღეს რომ გაქერი და დაიკარგე!..

— ჰო... სიმონასთან ვიყავი, მიტუშასთან...

— ნახე?..

— იმდღეანდელი მოსვლაც მიკვირს!. ერთი კაცი, თურმე, ორი კაცის საქმეს აკეთებს ამ სოფელში... ან კი როგორ ასდიან?!

— არ გეუბნებოდი, სულ ნუ აპყრი თქო, ახლა?!

— ხალხის ხმას ვიყავ მოწყურებული, დედი, ადამიანურ გადაძახებას. თორემ, მე და გოგია-ბიჭი ერთ კვირაში დახატულ სახლს ჩაგაბარებთ... გჯერა თუ არა?..

— მჯერა, მაგრამ...

— იცი რა შენობები ამიშენებია იქა? იცი?! მთელი ჩვენი სოფელი შეუტევა და შეზობელ სოფელს კი მდგმურად დაიყენებს... თანაც ორ კალატოზსა, დანარჩენები მომტან-მომწოდებლებათა გვყავდნენ... სომეხი ბიჭი იყო ჩემთახა... ნაპერწკალი იმისი გაჩენილი გეგონებოდა... არა, გოგია?! — ერთბაშად დასჭყივლა ვაჟამ და შორიახლოს გაჩერებულ გოგიას საჭიდაოდ გაუშალა მკლავები.

როგორც პაწია მიმინო, ისე ებდღვნა ღოჯურში გოგია-ბიჭი ბიძას და ცოტა შეაფარფატა კიდევაც...

დედა განაგრძობს თევზის გამოწვლას, თან სახემცინარი შესცქერის ბიძა-დისწულის ძიძგილაობას...

თითქოს გრძელდებაო საჭიდაო შერკინება, ისე შესჭიდებიან ბიძა და დისწული დილაუთენია სახლის გადახურვის სამუშაოს და ბდღვინს ადენენ... გოგია საჭირო მასალებს უმარჯვებს ბიძას და თითო დარტყმით ასობს ლურსმნებს ვაჟას მოქნეული ჩაქუჩი...

არა ერთი და ორი მეზობლის თვალი უპვრეტს ჩუმად ვაჟას წამოწყებულ სარემონტო საქმიანობას. ზოგს უნდა კიდევაც დაიჯეროს, რომ ეს სოფლის თავსატეხი პიჭი ახლა ჭკუაზე მოსულა პატიმრობის შემდეგ, სურს მაგრამ არა სჯერა. ბიუობიდან დიდობამდე აკლებული ჰქონდა ხეობა ამ პატარა, ლოდებშუა ჩაკარგულ მდინარესთან მოთამაშე ვაჟას. მდინარისა, რომელსაც წამიერი ადიდების მსჯელპლად არა ერთი და ორი სულიერი გაუხდია, ძროხა იყო ეს თუ ცხვარი, თხა, ადამიანი...

მოსახმარებლად არც ერთი მეზობელი არ გამოდის, რიგიანი გამარჯობაც კი უჭირთ. ვაჟას მჭრელი თვალი შეუნიშნავს არ ტოვებს მეჭუჭრუტანე მეზობლებს. განსაკუთრებით კარის მეზობელი მოხუცი მიხა იქცევა ურწმუნოდ და უკმეხად. ვაჟას დაძახებულ დილა მშვიდობაზე ბევრჯერ წაიყრუა ყური თავის ბაღში მოჩალიჩე ძველმა მებაზრე მიხამ, რომელზედაც თავის დროზე სოფელში ამბობდნენ: გარგარის კურკას ცალკე ყიდის მიხა და ნაყოფს კიდევ ცალკეო...

— სახელის გატეხვას თავის გატეხვა გერჩიენა შენა, შვილოსა, — ჩაიბურტყუნა თავისთვის მიხამ და დაუმატა: — თუმცა. არც არა შენს თავს დაჰკლებია კეტი და რეტი შიგამდებარე ჭკუისაგან...

ლარტყების დალურსმას ამთავრებდა ვაჟა იმ დილასაც, როგორღაც, უნე-

ბლიეთ ხელიდან ნაჯახი გაუვარდა, მიხას ატამს ჩაუქროლა და ერთი ახალგაზრდა, კარგა მსხმოიარე ტოტი ჩამოაკაფა. შეწუხდა ვაჟა. შარიც იყნოსა.

გოგია-ბიჭმა ბიძას შეხედა, უხმოდ ჩაირბინა კიბე, მეზობლის ბაღის ღობეს მიეყრდნო და ნაჯახის დაბრუნება სთხოვა მოხუცს.

— ის ძეახლოს, ვინც ეს საქმე ჩაიდინა. — მკაცრად მიუგო გოგია-ბიჭს მიხამ და მოკვეთილი ატმის ტოტი გულზე მიიფარა ერთი ხელით, მეორეში კი მეზობლის სახურავიდან გადმოფრენილი ნაჯახი დაიკავა...

გოგია-ბიჭმა იყნოსა არასაიმოვნო განწყობილება და დიდედას რაღაც წასჩურჩულა გზა-გზა... ვაჟამ ცხადია ეს ყველაფერი კარგად დაინახა ზემოდან და დაბლა დაეშვა.

— მაგის ეზოში გადაფრენილს ყვავსაც კი ენა ჩავარდნია, შვილო, ხმა არ გასცე, მე გამოვართმევ იარაღს, — სთხოვა დედამ ვაჟას.

— რას ამბობ, დედი, ხმის გამცემი არა ვარ. კარის მეზობელი ათ გამარჯობაზე ერთს გაგიმარჯოს რომ არ შემოგაწევს, ისა აბა რა სიტყვის ღირსია!.. მიყურე და იყუჩე! — ესა თქვა და მიხას პირისპირ მიეყუდა ღობეს ვაჟა, მკლავი ღობის იქით გადაამკლავა, მტევანი გაშალა და მიხას თვალებს უწყო ძებნა. „ნაჯახი მომეციო“, — ამას ნიშნავდა ვაჟას პოზა და გადატოტვილი მკლავი...

მიხა იდგა, იდგა და თუმცა ვაჟას უყურებდა, მაგრამ არა თვალებში, ისე, ვაჟას რადიუსში აპარპალებდა სახეს, ვაჟა იღიმებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა მიხამ და ვაჟას მიმართა.

— ეს ტოტი მიებმევა თავის ადგილზე, იხარებს და ინაყოფებს? — სულგრძელად წააყარა სათქმელი-შეკითხვა მოხუცმა ვაჟას.

ვაჟამ თავი გააქნ-გამოაქნია პასუხად.

— ჰოდა... ისე კიდევ შენა! — მოკლედ მოუჭრა ბაზარა მიხამ დიდი ხნის მოფიქრებული სათქმელი ვაჟას. მოკვეთილი ტოტი ნაჯახთან ერთად გადმოუგდო ღობის იქიდან და ბებრული ნაბიჯებით გაშორდა ადგილს.

— არ გაიხარებო?! უი, უი! მიხა კი არა და თიხა ხარ, თიხაი! ბალახიც რომ არ იზრდება ზედა, გახმი, თიხავ! გახმი, თიხავ! — დედამ მიხას ჭოჭოლაც წააყარა.

— მორჩი, დედი! — აწყნარებს ვაჟა.

— გახმი, ძიხავ! — არ ცხრება დედა.

— მორჩი-შეთქი! — ძლივძლივობით მოაცილა ღობეს ადევნებული დედა ვაჟამ.

— მაგ მიხაზე ამბობენ სოფელში, გარგარს ცალკე ყიდის და გარგარის კურკას კიდევ ცალკეო, — გულის გასაკეთებლად აცნობა დისწულმა ვაჟას.

— ეგ ადრე იყო, გოგია, ახლა სადღა აქვს ან ყიდვისა ან გაყიდვის თავი. ადრე იყო, როცა ბალზე საპარავად ასული კაცი ისე დაჭრა, კაცად აღარ გამოდგა... მაშა, გოგია!..

— თურმე, ძია, ბლის ჭურდი მოუკლავსო მაგასა. — თქვა გოგიამ.

— კი არ მოუკლავს და შემოაკვდა. -- გაიღიმა ვაჟამ და ონკანთან მივიდა ხელის დასაბანად. გოგიაც მასთან გაჩნდა.

— მერე მაგან ეგეთი მწარე სიტყვა როგორ უნდა გითხრას, ჰა?!

— ჰკითხე აბა!.. თანაც სიცოცხლის დამთავრების ჟამსა! — ხელს იმშრალებს ვაჟა. გოგიამ პირსახოცის მეორე ბოლოთი იწყო შემშრალება ხელის. ორივენი უახლოვდებიან მაგიდას დროდადრო გოგიას შეკითხვაზე შეჩერდება ხოლმე ვაჟა.

— მართლა ბებერსა კი ჰგავს, ისე აქვს სახე დანაოჭებული. — თქვა გოგიამ.

— აი, რომ დაუთოვდეს და გასწორდეს, შეეტყობა რა კაციც იყო, რა ფიქრითაც დაბერდა. — ვაჟა მაგიდას მიუჯდა. მწნილი აიღო ლობიოს მოლოდინში. დედა ლობიოს ამოზელვას ამთავრებს, უკანასკნელად უგლასუნებს ციცხვს ქოთნის კედლებს...

— მართლა ქვა და რკინისაა ციხე, ძიავ? — ეკითხება გოგია და ისიც კბეჩავს პაპიდორის მწნილს.

— რეზინისაა და იწელება, მორჩი ახლა. აგერ, დედაშენიც მოვიდა... ლობიოც მოდის. ჭალებთან არ მიყვარს მაგაზე ლაპარაკი.

დედა მოადგა ქოთნით მაგიდას, დადგა, დასხმა იწყო.

— მოვედი. — თქვა ვერომაც და ხელჩანთიანად ჩამოჯდა სკამზე. დროებით, დასასვენებლად ჩამოჯდა. ძმაც იქ იყო, გოგიაც, დედაც და იმიტომაც ჩამოჯდა კერამიკული ქარხნიდან დაბრუნებული.

— შეხა, დაო, ძალიან ადრე-ადრე იწყე შინ დაბრუნება და არ დაგაქვეითონ, იცოდე! — გააფრთხილა ვაჟამ.

— თიხის მზელავიდან ერთბაშად წყლის დამსხმელად არ დამაქვეითონ... ბიძინა იყო რაღაც საქმეზე კომბინატში და შენთან დამაბარა, იმიტომ ავჩქარდი... დილაზე უსიკვდილოდ გაიაროს ატეკაშიო... რაღაც ბელაზებიაო მოსული.

— ბელაზებიო? მართლა? ნეტა თქვენ კარიერზე მიიღეს, თუ ატეკაში... ოცდახუთტონიანი მხეცია, დედამიწას გაიწვეს. უჰ!

— ტრანსპორტი ჩვენ აღარა გვყავს, ძმაო, ატეკას ეკუთვნის... ბარე ორჯელაც გადავიდა ხელიდან-ხელში, — თქვა ვერომ.

— მაგოდონა კომბინატი გაქვთ, ის იმოდენა კარიერიც თქვენ გემორჩილებათ და ატეკას რად უნდა ეღრიჭინებოდეთ ყოველდღიურადა?

— ისევ-ისე ჩვენ დაგვიბრუნდებაო ტრანსპორტი, ეგრე ამბობენ. დირექტორი ყოფილა მეტისმეტად მოწადინებული და თავისას გაიტანსო, ყველა აბობს...

— გასწი, ვერო, მოშინაურდი... რაღას ჩამოჯექ? — გააფრთხილა დედამ ქალიშვილი და მასაც ამოუღო ლობიო.

ვერო წამოდგა, შინ შევიდა...

ყველახი სადილს შეექცევიან.

— ბოლო ორ წელიწადს მაგ ბელაზზე ვმუშაობდი... არც შენი ხმა გესმის და არც სხვისი, იმოდენას ბღუის... გადმოხვალ და ისევ ისეა, არც შენი გესმის და არც სხვისი... სახლივით შევეჩვიე... — თქვა სიამოვნებით ვაჟამ და წყალი დაისხა, დაყოლა ლობიოს.

— ვაჟა, ჰაი, ვაჟა! — დაიძახეს გარედან.

— რობელი ხარ? შემოდი!

— გამოიხედა, რა! — თავი შემოყო ჰიშკარში ვაჟას ნაცნობმა, საბარგოს შოფერმა მიშამ.

— ამბავი, ხაბარი? — მიეგება ვაჟა და ჰიშკარს იქითაც გაიხედა.

— ბუქსირით მოგიყვანე... სოხუმში მიმავალი კაცია, ფულის პალტო აცვია, ცოტა-მოტა მიჭკა-მოჭკა, კრილო-გრილო, ცხვირო-პირო... სიბრძნის კბილში პატარა სვარკა ჩაუტარე. ცოტა მოტორშიაც ჩასთვლიმე და სამას მანეთზე არ გალაპარაკებს... მოდის?.. დაგიტოვო?..

— არა, ჭიკჭიკა, არა, მიშა... არა მცალია... სამუშაოს ამბავზე ვარ მისასვლელი — მოსასვლელი... ეს სახლია და ესე ქუდმოხდილი შემომცქერის, — უარი უთხრა ვაჟამ.

— იქხებ როგორმე, ბატონო, გზად მიმავალი კაცი ვარ.. არ გაწყენინებთ, — მახჭანის ფანჯრიდან შემოეხვეწა უცხო.

— არა მცალია, გენაცვა, რა გიყო, ოც კილომეტრში აგე, პროფილაქტიკაა.. ოცდახუთში... გზაც იქითა გქონიათ.. რომ მეცალოს თავშემოგევლე... არ მცალია...

— სულ პატარა, სულ ცოტა.. — შემოეევედრა პატრონი.

ვაჟამ თავი გააქნია...

— მე — ჩემი, ძმაო ვაჟა, შენ — შენი... წავედით! — მიშა კაბინაში ახტა. მანჭანა დაიძრა თავის კუდიანად...

*

ადრიანი დილაა. ატეკის ეზოში ორი დიდი „ბელაზი“ დგას. შოფრები გარს ეხვევიან, ადიან, ჩამოდიან. ისე ათვალიერებენ, როგორც გემს, ან თვითმფრინავს.

— ნუ დაეხვევით ხოლმე, რამდენჯერ უნდა გითხრათ?! იქნება დახსნათ კიდეც ზოგ-ზოგი ნაწილი. ჩამოდით, თავი დაანებეთ! — უყვირის დარაჯი.

— დავხსნათ, თორემ, ერთბაშად „ლადას“ ან მოსკვიჩ-412-ს არ გამოადგეს ამისი ნაწილები. — დაიროხროხა ერთმა ტროაია შოფერმა და კაბინიდან ჩამოცოცდა...

სიძეყოფილი ჩამოივლის ავტობუსით. ბელაზებთან ჩერდება. ვაჟას ემლიქვნელება შუშაჩაწეული ფანჯრიდან:

— სანაძლეოსა ვდებ, ვაჟა, თუ ეს ამოდენა შოფრები ტყუილად არ ეხვე-

ოდნენ, ერთიც ვერ გაატარებს, თქვენი მანეთი და ჩემი ასი. გაატარებთ?! — ყვირის ყველას გასაგონად სიძეყოფილი, თან ვაჟას გამოხედავს დროდადრო.

— კრაზსა და ბელაზს შორის რა ისეთი განსხვავებაა, რო?.. არც არაფერი! — მეორე „ბელაზიდანაც“ ჩამოდის შოფერი.

— განსხვავება როგორ არ არის, მაგრამ სანაძლეოც არაფერია... ვისა აქვს გასაღები? — იკითხა ვაჟამ.

— დირექტორსა აქვს, — უპასუხა „ბელაზიდან“ ჩამოცოცებულმა შოფერმა ვაჟას.

— ბარე ორი კვირაცაა, ჯიბით დააქვს, — თქვა რომელიღაცამ.

— აქ, ეზოში ვინ მოიყვანა? — იკითხა ვაჟამ.

— ბუქსირით მოიყვანეს ალბათ. — იხუმრა ერთმა შოფერმა.

— დაჯდომას ხომ არ აპირებ? — ჰკითხა ვაჟას სიძეყოფილმა.

— ენახოთ...

— ეგ მაშონტები ჯერ მიღებულიც არა ჰქონდათ აქა, რომ ორმა კაცმა.. მაგათმა „პატრონმა“ კარგი სამალარიჩო ყულაბაც გატეხა... ძმაოჯან... ჰა... წაედი! — ჩაიყაყანა სიძეყოფილმა და ავტობუსი დაძრა.

— მაგისი გამტარებელი სამას მანეთს ისე შეიტანს სახლში ჯამაგირად, რომ უშიშრადა — თქვა ზორბა ტანის შოფერმა. ვაჟას გვერდით მდგომმა, გამხდარმა ახალგაზრდა შოფერმა კი ტუჩები სინანულით ერთმანეთს მიაწურა:

— მაგაზე ნაკლებ ტრანსპორტზე აღარც უნდა მუშაობდეს კაცი. — თქვა მან.

— სამას მანეთსაო? რატომ სამჯერ სამასსაც არა! — ჩაერია სხვა.

— მე ხელფასი ვთქვი, ალალი და უსაყვედურო, თორემ, ერთი გზობა ლევი პატივი რომ მიუტანო ვინმეს მაგითი, სამასმანეთიანი მაშინაც იქნება....

— ერთი ბელაზის პატივი ერთ სოფელს ქვეშ დაიტანს, ძმაო, ზვავივით ქვეშ მოიყოლებს... რას ამბობთ!.. — ამბობს სხვა.

— ერთბაშად, ლაფატკით არ შეაყაროთ, აი! — იცინის პირველი გამხდარი შოფერი.

— დამდებიც თავისას მიიღებს და ამაშია საქმე. — ამბობს სულ სხვა, მოშორებით მდგარი...

შოფრები აქეთ-იქით მიდი-მოდიან.

კანტორასთან განკარგულების გაცემით გასაქმებულ ატეკის გამგეს მიადგა ვაჟა და გამარჯობა უსურვა.

— გაგიმარჯოს!.. ვისაც თავი არ აბია, ბოინში ჩავიდეს. შენ გეუბნები შენა! ზეთი უნდა გააჩინო საიდანაც გინდა!.. მაშ რა იქნა ის იმოდენა ზეთი, ჰა?.. შეიჭამა?!

— კარებში ჯაჭვი ტყუილად არის გაყრილი... ყველა შინაურია. მოდიან, მეღრიჭებიან... ანდა სულაც ისე... კლდისა ხომ არა ვარ... სუყველა შინაურია!.. — თავს იმართლებს ბენზინ-ზეთის საწყობის გამგე...

— თქვენთანა ვარ. — შეახსენა ვაჟამ კვლავ.

— მე კიდევ ისეც იმასთანა ვარ და... ოჰ, ვაჟა! — ახლალა იცნო გამგემ თავისი თანაკლასელი, ხელი ჩამოართვა და კვლავ საწყობის გამგეს მიუბრუნდა, — მე არაფერი არ ვიცი, დანაკლისი უნდა დაფარო და მერე გინდა წადი, გინდაც წაბოდი. პატიება საბჭოშვო ბაღში მოდის... მერე კი კბილები არ უნდა გენძრეოდეს... — კანტორაში შედის გამგე.. ვაჟა შორიახლოს მიჰყვება.

— გისმენ, ვაჟა! — საკრძალთან არმისულმა ზურგიდან ამოიძახა ატეკის გამგემ, — დაჯექი, ბიჭო. — შინაურულიც დაუყოლა შემობრუნებულმა და წარბით ანიშნა სკამზე.

— ჩამოვედი...

— ჰო, კარგია, მერე?..

— შეიარეო და შემოვიარე...

— ვინა?..

— ბიძიხაშ...

— ჰო...

— ბიძო რწმუნებული გამხდარა... იმან მითხრა...

— ჰო, ჰო, მერე?.. — თან ქაღალდებს ფურცლავს, მაგიდაზე შარიშურობს.

— ბოლო ორ წელს ბელაზებზე ვიჯექი და... ვმუშაობდი...

მდივანი გოგონა შემოიხედავს:

—კამიწყლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გელოდებათ. — თქვა გოგომ.

— მოდიცადოს. — გასცა პასუხი მდივანს და ვაჟას მიაჩერდა სასმენად.

— დალოცვილი ბიჭანაა! მთა გადააქვს!.. მოიხედავ აღარაფერია, დაცლი და მთა დადგება, — ამბობს ვაჟა.

— მე კი საქმე გამიჭირა და... ბელაზი და ბელაზიო!.. საიდან აღარ დაბრეკეს! ორი მანქანაა და ოცი მთხოვნელი... თანაც ჯერ გადაწყვეტილი არც არის ჩვენ დაგვრჩება. თუ კერამიკულ კომბინატს გადაეცემა... იმათი უფრო უპრიანია, კაცმა რო თქვას... რა ჯანდაბად მინდა, ჩემსასაც ვერ ვუვლი!..

— ღორღილეთის თავმჯდომარეც მოვიდა, — კვლავ შემოიხედა მდივანმა.

— მოდიცადონ, კაცი მყავს! — გაისტუმრა მდივანი გოგონა და კვლავ ვაჟას მიაჩერდა. ვაჟა სკამზე ჩამოჯდა. გამგეს ეტყობა არ ეჭაშნიკა ვაჟას დაგვიანებული ჩამოჯდომა. მისი ვარაუდით წასვლის დრო იყო ალბათ.

— ციოდა? თბილოდა? მოხვედი ჭკუაზე? როგორ იყო? — ვაჟას ამბავი იკითხა გამგემ.

— ისე რა, გრილოდა, — თქვა ღიმილით ვაჟამ.

— შე კაი კაცო, შენა!... კაცი ვარ, სახლიდან ფეხი არ მომიცვლია, ორივე ხელით შეძაქვს შინა და მაინც ბევრზე ნაკლებადა ვარ გამართული... შენი სახლ-კარი ხო ნახე, რა დღეშია? ხო ნახე?!

— სასტუმროში კი არ ჩამოვხტარვარ, ვნახე... იმიტომაც მინდა რო საქმეში ჩავდგე.

— ბოლო ხანებში, რაც რომ უპრაგონობას ხელი მოუჭირეს, მას აქეთ ყველას ბელაზზე უნდა დაჯდომა... სამას მანეთამდე გამოდის ბელაზის მძღოლი თვეში, და საქმეც მაგაშია... დოცენტის ხელფასია, ძმაო, ეხუმრები?! ბელაზიო და ბელაზიო, საქმე გამიჭირეს!.. არა, ისე აშკარად აღარ მითითებენ ზევიდან, უწინ რომ იყო, უფრო მორიდებითა და შემოვლითა ხდება, მაგრამ, არც უმაგისობაა. ჰოდა, აგერ ორი კვირაა ვერც იქით და ვერც აქეთ ვერ გადაიწონა ეს უბრალო საკითხი. თუ მიაქვთ, წაიღონ და მომაშორონ, მე ჩემიც მეყოფა!..

— მოტორისტად ვიმუშავებდი, მაგრამ გყოლიათ ხალხი... მითხრეს...

— ჰო, გორკელები მყავს, მაგარი ოსტატები არიან, ორ და მეტ ნორმაზე ჩამოდიან, ისე კერძოებენ კიდეცა... მეც ვახალისებ... თითომ უკვე თითო „ლადას“ ფული გაიკეთა... მეც ხელს ვუწყობ... ერთ კალათა კარტოფილს მოხარშავენ და ერთ კვირასა ჰყოფნით... ჩვენსავით კი არა ცეკვავენ მუცლიდაირაზედა... დიდი ხალხია, ძმაო, დიდი!..

—თუ კერამიკულს გადაეცემა მეც იქ გადამიყვანენ და ეგ იქნება, თუ არა და ხომ აქ დავრჩები... თქვენ მიმიღეთ, იღუშა და... — კვლავ თავისი საქმელი თქვა ვაჟამ.

— სხვა დროა მეთქი, ჰიჭო, სხვა დროი... ისე მიიღოვო, უბრალოთაო, იმას კი არ იტყვიან... მამა-პაპას შიგ გაახვევენ. მაშა... მე მაინც გირჩევ, რომა კერამიკულშიაც შეიარო. იქაც გაიარე და აქაც გამოიარე ხოლმე... საითაც გადასძლევს, შენც იქით დადექი... გამიგე?..

— ფშახეთის თავმჯდომარეა და... — წამოყო თავი მდივანმა გოგონამ.

— მომიცადონ მეთქი!.. კაცი მყავს და ხომ არ გავაგდებ, ვაჰ, ბიჭო?! — გასცა პასუხი მდივან გოგონას და ისევ ვაჟას მიუბრუნდა.

ვაჟა წამოდგა.

— შეხა, ვაჟა, ჩემგან აბა რა გესწავლება ისეთი, მაგრამ, მაინც გეტყვი: გარაჟი გაქ, სამუშაო-სახელოსნო ორმოთი, ტრასა კარებზე გაგდის. შერეკე კერძო მანქანები, ოქროხელავ, ახადე, დახურე და ოცი მანეთი გვერდზე გდია... ია?!.

— ძირითადში სადღაც უნდა ჩავდგე. ეგრე არ გამოვა... ოც წელიწადში პენსიის დროც მომიკაკუნებს და მე კი ორი თვეც არა მაქვს გაბმული ნამუშევარი... ეგრე არ გამოვა. — ვაჟა კარებისაკენ გაეშურა.

— კერამიკულშიაც მიაკითხე, გული მითქვამს, რომ იმათ სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს ამ ოხერი ბელაზების საკითხი, შეიარე... თუ არა და აქ ვარ...

— კარგი... — ვაჟამ კაბინეტი დატოვა.

— შენ იცი, აბა! — თვალით გაჰყოლა გამგემ.

* * *

ვაჟამ შორიდანვე შენიშნა თავისი სახლის სიახლოვეს მოსეირნე ველოსიპედისტი ბიჭები. ვისაც როგორი ველო ჰქონდა, ისეთზე იჯდა. ზოგი ძალიან კარგზე, ზოგი შეუხედავზე. ვაჟას გამოჩენაზე ცოტა მოშორებით გადაინაცვლეს და ორი სახლის იქით იწყეს წრეზე რბოლა.

ვაჟა შინ შეცვიდა.

— რა ჰქვია ბელაზებისა, ძია, რა გაიგე? — ცნობისწადილით ჰკითხა გოგიამ.

— დგანან თავისთვისა და არიან... აბა, რა გავიგე!.. უ, რა მაანჭანები ცდება!

— არაო, ძია? — იკითხა კვლავ ჰერიდან ფერთხვა-ფერთხვით ჩამომავალმა გოგიამ.

— მარტოკინამ იმუშავე, ბიჭო? — კითხვით უპასუხა ვაჟამ დისწულს.

— რათა მარტო, ბიჭები მეხმარებოდნენ... ენდე... საბანაოდ წავიდეთო.

— წადი მერე... დედაშენი მომაწოდებს, მე დავაწყობ... დილაზე კი ერთად შევუბეროთ...

— შენც წამო რა, ძია! — შეეხვეწა გოგია ბიძას.

— რას ამბობ... მაისია, თოვლის წყლებია ჯერ ისევ...

— აკი ხათლიღებს, ყინულქვეშ ბანაობდაო!..

— მაშინ შენზე ექვსი წლით ვიყავი დიდი. ახლა კი ორმოცისა უნდა გავხდე, თუ გავხდი კიდეც, მგონი...

— დაბადების დღე გეშლება, ძია?! — გაოცდა გოგია.

— მე კი არა და დედაჩემს შეეშალა. — გაიცინა ვაჟამ და წინ გაიგდო ალერსით დისწული, — ან ისე გავეჩინე, რომ ხმალი მექნია ომში, ყიზილბაშის თავი ისე მჭეროდა როგორც პაატას თავი აბაზა-შაჰსა, ანდა, შენი ძმა და შენი ტოლი ვყოფილიყავი, ბიძაშენი კი არა... ჩვენა, ძმაო, სამხედროების გადაყრილ ნალებს ვაგროვებდით, ფეხებზე ვიკრავდით, მაშ! არაფერი კი არ გამოგვივიდა, ჯარისკაცები ვერ გავხდით...

— ძალიან გინდოდათ, ჰა, ძია?

— მაშა, ბიჭო... წადი ახლა იბანავე... გიცდიან ბიჭები... გაიქე... გვაქ კია მაგოდენა წყალი?.. კასპურაზე უნდა იწუწავოთ?

— არა, ძტკვარზე... ველოებით მივალთ...

— წადი... წადი, ველო გაქ?..

— შენეულით წავალ, ძია...

— ჩემეულითაო?! სადღა მაქ?

— შენეული ველოს ჩარჩო რომ ეკიდა გარაჟში... იმაზე ავაწყე.

— ბიჭოს!.. შენა ყოფილხარ!.. იმ ჟანგიან ჩარჩოზე რა ააწყე, მაჩვენე ერთი?! — დაიხტერესდა ვაჟა.

გოგია გაძვრა-გამოძვრა და კარგი შესაშური ველოსიპედი გამოაგორა საიდანღაც.

— ბიჭოს, მაჩვენე ერთი! — დაინტერესდა ბიძა და აღტაცებით გააგორ-გამოაგორა ველოსიპედი ხელდახელ.

— კარგია? — ამაყად იკითხა გოგიამ.

— რას აბობ, ახალიც არ იყო ესეთი. მოგინიკელებია... და-და-და — ვაჟამ გადაალაჯა და რამდენიმე წრე შემოიარა ეზოში.

— წამოდი, რა, ძია, საბანაოზე, წამოდი, რა... — ეხვეწება გოგია გულიანად.

თანდათან აასწრაფა რბოლა ვაჟამ, სიჩქარე გაზარდა...

— გიჟიაო, არ იტყვიან? — ღიმილით გადმოიძახა ვაჟამ.

— აღუ, ხეკზე არ მიკბინო! — გაეხალისა დედა შვილს.

ვაჟამ უფრო აასწრაფა რბოლა, კიდევ ერთი წრეც და ეზოდან გავარდა. დედა და ვერო გასცქეროდნენ სახტად დარჩენილები.

გოგია ვიღაცის ველოზე გადაჯდა...

ბიჭებიც მოსწყდნენ ადგილს და წინ გაჭრილ ვაჟას დაედევნენ...

მიდიან. შიდა ქართლის აღმა-დაღმებში, ხან ეწევიან, უსწრებენ, ხან პარიქით, უკან ჩამორჩებიან, უფროსს ახალისებენ... მატარებლის გასწვრივ გარბიან... ხიდქვეშ გადიან...

წინ მტკვარია, მომღვრიო, მოდიდებული...

მტკვარზე მიირწევა ვაჟა მანქანის კამერაზე გადაწოლილი. ტალღებზე ქანაობს მობახავე... ფიქრებში გართული ჩაუვლის საბანაოზე ბიჭებს. სადღაც რომელიღაც ჭოხიც გამოკრთება, სადღაც ნახირია შეფენილი... ერთბაშად ერთ ადგილზე, ღურღუმში დაბზრიალდა ვაჟა თავის კამერიანად. თავბრუდამხვევად დაატრიალა ჰაერმა ვაჟა. მერე ნაპირზე გარიყა. თვალი გაახილა და მწვანეში ჩაფლული ბაღი გადაეშალა თვალწინ... წამოდგა ხმელეთზე ამოვიდა. „ოოო!“ — იძახიან მოქეიფე ბიჭები: მიტო, სიმონა, ერთიც სხვა ბიჭია. მოკლეკუდა ქალები უსხედან ვაშლის ყუთებზე. მოხუცი მებაღე მწვადებს უწვავს მაყალზე...

ყველანი ერთად იცინიან, სველ ხელებს უტლაშუნებენ ერთმანეთს. თევზი ხვავად უყრიათ წინ. ცეცხლს ანთებენ... წვავენ, ხარშავენ, სვამენ, ქეიფობენ... ცეცხლზე ხტუნაობენ შუახნის, მსუქანი ქალები და ჰამენ და ჰამენ მხოლოდ.

გოგია და ბიჭები დაფეთებულნი ეძებენ... ეძებენ და ერთბაშად იპოვნიან. თავზე წაადგებიან... ჯერ არ შემთვრალან მოქეიფენი, გუნებაზე არიან. თევზებს გადმოუყრიან ბიჭებს. ბიჭები ველოსიპედებზე ჰკიდებენ აცმებს და შინისაკენ მოეშურებიან...

გოგიას ყველაზე მეტი მოაქვს, ყველაზე დიდი აცმა მას უკიდია საჭეზე...

საყარაულო ჭოხთან ძაღლი ყეფს...

აქეთ, პაღია. კერძო ნაკვეთი რკინიგზის ყარაულისა...

მერე უკვე ჩაცმულები სვამენ, ჭამენ და ღრეობენ „ბიჭები“...

„გოგიასა, ბიჭო, გოგიასა, ჭავჭავაძე გოგიასა“. — სიმღერა წამოიწყო ვაჟამ. შეპირველ-მეორეულდნენ, ბანიც დასჭექეს... მტკვარს მიაქვს მათი სიმღერის ხმები:

„ერთი ძირი ვაზი ჰქონდა, ნეკერჩხალზე ამოსული,
ისიც ხარშა შეუჭამა, დარჩა ის წყალწაღებული“...

* * *

დღის თორმეტი საათი იქნება. ვაჟას მეზობელი ბაზარა მიხა ავსიტყვაობს თავის ეზოში, დედაკაცი დამშვიდებას ცდილობს. გარაჟის ღობის შემცველ ფიცრულ კედლის ძირში თითსა სტაკებს მიწას მიხა და გაიძახის:

— მა ესა ბენზინი არ არი? უსუნე, აბა! თაფლწყალია მაშა ესა? უსუნე-მეთქი! — მიწაში მოთხვრილ თითს უშვერს მიხა დედაკაცს.

— არ არი-მეთქი, კაცო, და არ არი! შრატი მიეაქციე, შრატი, გაიგე! — უარობს ცოლი.

ეს ყაყანი თავისუფლად აღწევს ფარღალა, ფიცრული გარაჟის სამეზობლო კედელში და უცხო მანქანის შეკეთებაში გართულ ვაჟას ღიმილი დასთამაშებს სახეზე. შიგადაშიგ თვალს გააძევებს მიხაანთკენ...

— დიდი ონსილა და დიდი გაძლება გქონია, დიდი, ძმაო, ლამის მე გაუვარდე! — თავს აქნევს სკამზე ჩამომჯდარი უცხო კლიენტი, ქალაქური გარეგნობის კარგად ჩაცმული შუახნის მამაკაცი...

— თავში ალაოთ არი, — იცინის ვაჟა და პულვერიზატორით ღებავს ჰანქანის ფრთას... მიხას ყაყანი ისმის კვლავ:

— არა, არა, ბენზინია შემოქცეული და თანაც ხახვის კვალშია მოცემული!... მერე სპიჩკასაც გადმომიგდებენ და...

— შრატია-მეთქი, შრატი, ვაჰ! — არ ეთანხმება ცოლი მიხას.

— გაგაშრატებ მე შენა... შრატი თუ არი, რაღა მიწაში აქცევდი, ქათმებს ვერ დაალევინე?!

— გობი ხელიდან გამისხლტა, დამექცა, აღარ შემიძლია, გაიგე!

ვაჟამ ფული ჯიბეში ჩაიდო. „კეთილი მგზავრობა“ უსურვა კლიენტს და მიხას ჰიშკარს მიადგა და ეზოშიც შევიდა. მიხამ უკან დაიხია.

— დაეხსენ, შვილო, დაეხსენ! — ამშვიდებს მიხას ცოლი ვაჟას.

ვაჟა არ ღელავს, მიხას პირისპირ ჩერდება.

— მე მტყუანი, ძია მიხა, და შენ მართალი, მაგრამ, თვალებში ჩავხედოთ ერთმანეთსა და ვისიც განზე გაიქცეს, ის იყოს მტყუანი, ან ვინც დაახამხამოს, კარგი?

— იქით გამეცა, თორემა! — თვალს არიდებს მიხა მეზობელს, — ჩემ ეზოშიაც აღარ მაყენებ?!

— თვალი-თვალში-მეთქი, მიხა, მოდი! — არ თმობს ვაჟა.

— მაგაზეც გეტყობა, სწორედ რომ, მაგაზე გეტყობა, — თვალებს აცეცებს მიხა.

— შრატი იყო-მეთქი, შენ წაგეკიდოს ცეცხლი, შენა! — სწყეელის ცოლი.

— ჰო, კარგი, იყოს და იყოს! შრატი იყო, ჰო... წავიდეს!... ხო არ უნდა ვიშვილო ეს ოხერი ესა, წავიდეს რაღა, წადი! წადი!

— გახმი მიხა, აახლანდე, შაინც გამხმარი ხარ და მაინცა! მთავრობამ გამინთავისუფლა შვილი, მთავრობამა, თავი რო გაგიხმეს და ტანიც ზედ მიკვეს... ვინ უხდა იშვილო, ვინა?! უპატრონო ხო არა გგონია? შე უპატრონო, შე ბერწო, შეხა... გამოდი, შვილო, გამოდი, ემანდ მაგისი არავის ეგონო, გამო! — მოიოხა გული ვაჟას დედამ ღობის იქიდან.

— ეჰ, ძია მიხა, ჩემი ტოლი არცა ხარ და არცა გყავს და რა გითხრა, ბაბა?! — დაამთავრა ვაჟამ სათქმელი და ნელ-ნელა გამოვიდა მიხას ეზოდან.

* * *

სამუშაო დღე ახალი დამთავრებულია კერამიკულ კომბინატში, მაგრამ მუშებიცა და თანამშრომლებიც ეზოში ტრიალებენ, წუნდებული ჭურჭლისა და სხვა ნაწარმის სამსხვრევე მოედანზე გროვდებიან.

ბიძინა როდესაც მიუახლოვდა სანახაობას, კომბინატის ეზოს იმ კუთხეს, სადაც წუხდებული საქონლის მსხვრევა ტარდებოდა, ღონისძიება უკვე დაწყებული დახვდა. ვეროც იქ ტრიალებს თეთრ ხალათში გამოწყობილი, სამსხვრევ სტენდს აწყობს თანამშრომლებთან ერთად...

„წუნდებული საქონლის სამსხვრევი სტენდი“ — ასეთი აბრაა კედელზე გაკრული და საამქროები ბრიგადების მიხედვით ამტვრევდნენ დაწუნებულ ჭურჭელს. ჭურჭელი იმის მიხედვით ეწყო, თუ რომელ ბრიგადას უფრო მეტი ჰქონდა დაწუხებული. ნაკლებ წუნდებული საქონლის გამომშვები ბრიგადის მუშა, ან თვით ბრიგადირი, მოკლე, მძიმე კეტების სროლით, თხუთმეტი მეტრის მანძილიდან ამხვრევდა დაწუნებულ ჭურჭელს.

წარწერითაც აცნობდნენ დამსწრეებს თუ რომელ ბრიგადას ეკუთვნოდა ესა თუ ის წუნდებული ჭურჭელი და სიტყვიერადაც აცხადებდნენ:

„მიხა ბოცაძის გაკეთებული ვარ“ — ეწერა ერთ გასატეხ დოქს.

„მიშა გორისაშვილის გაკეთებული ვარ“ ეწერა ქვევრს.

— შეშეხვის ბრიგადა! სამი წუნდებული კოკა, შვიდი ლობიოს ქოთანი, ოთხი სურა, ორი ხელადა, თვრამეტი ჯამი! — ისმოდა ძახილი. — პირობები ისევ ისეთია, როგორც გასული თვის ბოლოს იყო. ნაკლები წუნდებული საქონლის გამომშვები ბრიგადის მუშა ან ბრიგადირი სამი კეტის სროლით ამტვრევს ჭურჭელს, რაც დარჩება დაუმტვრეველი, საკუთარი ბრიგადირი ესვრის კიდევ სამ კეტს, — აცხადებენ მიკროფონში.

იდგა ერთი ჩახა-ჩუხი და მტვრევის ხმები. ყველა ხმებს სძლევსო თით-

ქოს, ისეთი ჭახჭახი გაუდიოდა ავტობუსის მძღოლს, კაკოს, ვაჟას ყოფილ სიძეს. ავტობუსი გარეთ, თუჯის რიკულებიანი ღობის იქით დაეყენებინა, თვითონ კი სახლში ტრიალებდა. ხან იქ, ხან აქ ისმოდა მისი ხმა:

— ქალი და ქოთანი ერთია-მეთქი, ერთი!.. ძველ პურს მეორედ მოზილავ, გამოაცხობ, ახლად გაყიდი, აი, ჩვენში ხარა-ხურაც, ჟესტი-ჟუშტი, ვინტი-მინტი, [illegible] გატყდეს, გაცვდეს, გადაადნობ, ახალს გამოიყვან, ახალ მუშტარს უნახავ, დააყენებს, იხმარს თავის გემოზე... ძველი, გაბზარული ჭურჭელი და ძველი ქალი — ერთია, ისევ ძველი პატრონი თუ გამოიყენებს, თუ გაზდის — გალესავს, ანდა სულაც მარცვალს ჩაჰყრის, თავს დაუცობს, ნიგოზს შეინახავს... ესენი კიდევ ახალ ჭურჭელს ამტვრევენ. წუნდებულიაო!.. ბიძინას ვახლავართ ოთხმოცი ცხენის ძალით, — ხალხში შემორეულ რწმუნებულს მორჩილად მიესალმა სიძეყოფილი.

— ოჰ, აბაზ-აბაზ, ჩართული გაქვს მუქთა მრიცხველი? წერასა ხარ აცდენილი?..

— არა, ცუდს არაფერს ვამბობ... ძველი ხმის უფლების ძალით ვდაობ, ცოტას ვარახუნებ... რა ვქნა, აბა?.. იქ არაფერი თქვაო, აქ არაფერი თქვაო... ბიჭის სანახავადაც აღარ მიშვებენ, გაგიგია, აღარა!

— ჭკუით იყავ და მიგიშვებენ... უფრო ახლოსაც მიგიშვებენ... შემარიგეო, რომ მეუბნები, რაღას აფრენ, რომ აფრენ!..

— ლაძის აქედანაც კუკუ მკრას... ისე შემომბღვირა წეღან, რო!.. ბიჭს მამის სახელი დავარქვი, ჩემი კი არა, მაგათი მამის სახელი... მე განა უსახელო მამის შვილი ვარ!.. რათა რო?! მამაჩემი ბუდაპეშტში დაიღუპა, ცოტა აქეთ... მაგათი მამა ცოტა იქით, ვენაშია წაქცეული... ტიმირიაზევის აკადემია არც მე დავამთავრე და არც ეგენი მყავდნენ ლომონოსოვის უნივერსიტეტიდან გამორეკილები...

— ჭკუით იყავი და ვნახოთ, დაიცა, მორჩი, რა ონსილა გაქ, შე ოხერო?! ოთარი აქ არი, დირექტორი?..

— აქ არი. სადღაც ტრიალებდა... მოვრჩი, ჰო, მოვრჩი... ოთხმოცი ცხენის ძალით ვჩუმდები...

— მორჩი, მორჩი... ვნახოთ, მერე ვნახოთ, ხო შეგპირდი! — ბიძინა ხალხში შეერია.

ვეროს ხელი ჩამოართვა ბიძინამ, იმასაც მოშორდა და კერამიკული კომბინატის დირექტორიც შენიშნა.

— ოთარ, გამარჯობა! — ხმამაღლა მიესალმა და მაინც ძლივს მოახედა, ისე იყო გართული დირექტორი საქმით.

— გაგიმარჯოს, ბიძო, როგორია?! შენ გვიყურე და ცხარე ცრემლით ვაბღრიალოთ ზარმაცები. შემშენოვი, დასცხე! — ბრძანებს დირექტორი და მოქნეული კეტი მსხვრევით შეიჭრება წუნდებული ჭურჭლის ბანაკში.

— ისე უნდა ააწყო საქმე, რომ წუნდებული საქონელი არ გქონდეს! — ჩასძახის ბიძინა დირექტორს.

— რას ამბობ?! სად, რომელ ქვეყანაში ნახავ ისეთ კერამიკულ კომბინატს, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო წუნდებული საქონელი არ გააჩნდეს... აი, ამ მეთოდს კი ვერსად შეხვდები, ტყუილია!.. შემდეგი! ოტრუაშვილის ბრიგადა!

— ზევით თუ იციან? — იკითხა ბიძინამ.

— არა, ძაგრამ, გავაგებინებ. დავხვეწავ საკითხს და მერე გავაგებინებ... შედეგი ჯერჯერობით კარგი გვაქ, ყოველთვე კლებულობს წუნი... გინდა გასროლინო?..

— ყური დამიგდე. ისეთ აზარტში ხარ, რომ არა გცალია, მაგრამ ჩვენი დავალებისა რა ჰქენი?.. ვაჟა რომ გამოგიგზავნე?!

—ნელა ძანდ, თავი არ გაუტეხო! გამოვიდეს სამიზნედან არბიტრი, ნელა! — აფრთხილებს მსროლელს დირექტორი და კვლავ ბიძინას მოუბრუნდება... — ბელაზებზე დამსვითო, თუ თქვენ გადმოგცემენო... კი ბატონო-მეთქი, გადძომცემენ, დაგსვამ... ნელა, მანდ-მეთქი! — კვლავ ვიღაცას აფრთხილებს, — როცა გადმომცემენ დავსვამ... ესე ეუთხარი, სხვა რა მექნა?

— ხელოსანია, იქნება სხვა რამეში გამოიყენო, ოქროს ხელი აქვს, რკინას ცომივითა ზელს! — უხსნის ბიძინა ოთარს.

— გიძველა ღმერთმა... რკინას ზელსო. რუსთავში სანთლით ეძებენ ეგეთ ხალხს... მე აქ თიხას ვამუშავებ... ტრანსპორტი თუ გადმომეცემა, ვნახოთ... რუსთავში! რუსთავში!.. სანთლით დაეძებენ! — იღიმება და სადღაც გარბის, ვიღაცას რაღაცას უსწორებს. კვლავ დაბრუნდა ბიძინასთან ოთარი.

— რას ეგიჩემებია რუსთავი, ბიჭო! ამდენი ხნის შემდეგ, გამოსწორებული კაცი საშობლოში დაბრუნდა, დედასთან, დასთან... თაყვისიანებთან... სოფელთან.... აქ უნდა ყოფნა... შენ კი რუსთავი და რუსთავიო.

— იცი, რას გეტყვი, ბიძინა?! როცა გვინდა ჩვენ, ქართველებს, კასპიდან პონტოიამდე გვაქსო სამშობლო, ვიძახით და რაღა მაინცა და მაინც ახლა ამჯამად დამიპატარავეთ?.. რა გახდა ბოლოს და ბოლოს ეს ხრიოკი ქართლის სოფელი. ერთი პაწია ნაკადული ჩამოგვიდის და იელისის გასულს ისიც შრება. სიცხე ისეთი იცის, რომ, ლამის ღუმელები გავაჩერო ზაფხულში და კერამიკა მზეზე გამოვწვა...

— ვანო ხელაშვილის ბრიგადას სამი ხელადა და ერთიც ლობიოს ქოთანი აქვს წუნი... ჩამორჩენილთა რიგებიდან მოწინავეთა რიგში ჩადგა! — აცხადებენ.

— მე ეგეც არ მექნებოდა, გაზი გამოითიშა, ვა, მე ეგეც არ მექნებოდა! — ფიცხობს ვანო ხელაშვილი, — ოთარ ივანიჩ, წუნდებული არც ამაზე ითქმის, აბა ნახეთ!.. ცოტა გამოწვა დააკლდა, ნახეთ, შემიმოწმეთ! — წრიალებს ბრიგადარი.

— მიუმატე, რაც დააკლდა, თუ ბიჭი ხარ, მიუმატე! — ელაზღანდარაევე-

ბა დირექტორი ღიმილით და თან კეტებს იმარჯვებს საბოლოო, ყველაზე ნაკლები წუნდებულის მქონე ბრიგადის ჭურჭლის გასანადგურებლად.

— მიდი, შენც ესროლე, — დაუთმო კომბინატის დირექტორმა თავისი რიგი და კეტები გაუწოდა ბიძინას.

— წუნდებულ ქოთანს თავზე თუ დაიდგამ, ოთარ, არ აგაცდენ, — ხუმრობით მიუგო ბიძინამ და გამოსწია...

ლაწა-ლუწის ხმებში არეული აბაზა-კაკოს ყაყანა მონოლოგი თან დაედევნა ალაფაყისაკენ დაძრულ სოფლის რწმუნებულს.

კარის დარაჯს კარი მაგრად ჩაეკეტა და თვითონ კი მაღლა აჩაჩხულიყო სეირის საყურებლად: კარში შემომშვები ჯაჭვი ისე დაუშვა დარაჯმა, რომ ბიძინასაკენ არც კი გამოუხედავს, სეირს გასცქეროდა.. ბიძინამ თავი გააქან-გამოაქანა და მოტოციკლი კარში გააჭენა...

* * *

ატეკაში, ბელაზების შორიახლოს გამართული ბიძინასი და ატეკის გამგის, ილოს საუბარი დასასრულს უახლოვდება:

— ორი გამგის ერთმანეთში დავის გამო ეს ორი გორიგლეჯია მანქანა როგორ უნდა ცდებოდეს მთელი ორი კვირის განმავლობაში, ღმერთი არ არის?! — ფიცხობს ბიძინა.

— დღე-დღეზე მე ვიცი, რომ კუთვნილი ტრანსპორტის ნაწილი ისევ კერამიკულ კომბინატს დაუბრუნდება და ჩემი მიღებული კაცი რათ უნდა შევჩხირო სხვა წარმოებას, რათ ვაგინებინო თავი?!

— როგორ? მაშ ჩვენი მომართვა, კოლონიიდან ჩამოტანილი დახასიათება ალარაფერია, ვაგინებინოს რომ გაიძახი?.. კარგი და მატორისტად მიიღე სულაც, ორი გორკელი და ერთიც ადგილობრივი კაცი გყავდეს, დაშავდება?..

— ადგილი? ამ ერთიბეწო ორგანიზაციაში სამი მოტორისტი?..

— ისინი ხომ წავლენ?

— მოდი, გეტყვი და გამიგე... ვაჟა მე ისე გავუშვი სახლში, არაფერი სწყენია... ავუხსენი, დავარიგე,... გეფიცები..

— დარიგება ჭამოს, თუ შენი ფიცი?

— არც ერთი და არც მეორე...

— მაშა?..

— ნაპატიმრალია, ძმაო! ისედაც თოფიანი ყარაული მიყენია კარებში და ახლა ზარბაზნიანი დავაყენო?!

— ოჰო-ჰო-ჰო! — ბიძინა უკმაყოფილოა.

— ჰო, ჰო... მაგან რომ ნაწილების გაზიდვა დამიწყოს, ოქროხელამა, მერე რა ვქნა?... ჯერ ისე რა მომარაგება და სათადარიგო ნაწილები მაბადია, რომ რაცა მაქვს, ისიც ქარს გავატანო?!

— ქარს რომ შენ არას გაატან და არც არა ნაქარს იკადრებ, ჩემო ილო, მე

ეს კარგად ვიცი, არსენას ლექსივით ზეპირად გიცნობ, მაგრამ, აუდიტორია მაქვს პატარა და ვის წაუკითხო?..

— რას მექარაგმები, არ ვიცი, ბიჭო?..

— დასვი დროებით, შეამოწმე, იქაც ბელაზებზეა ნამუშევარი. ნახე!..

— შემოსავალში არ ამიყვანია ეგ მანქანები, არ ავიყვან, ვიდრე არ გაირკვევა ვისი უნდა იყოს... რა ვნახო?!

— საქმეს წინ წაიგდებ, გეგმას შეისრულებ...

— გაირკვეს და მერე. — ჯიუტად ამბობს თავისას გამგე.

— ვაჰ, რა მაგრები ხართ!.. თქვე ბელაზებო, თქვენა, უხამსობის თქმა ვერ გაბედა რწმუნებულმა, ბოლო სიტყვა გადააკეთა და მოტოციკლის საქოქს ჩამოჰკრა ფეხი.

— მე უარს არა ვარ, როცა გაირკვევა, მაშინ გამოიაროს. — სასწრაფოდ დაადევნა უპერსპექტივო, გალაყებული აზრი და სიტყვა გამგემ რწმუნებულს...

— აჰა, ძია, სწორი კრამიტი! — სახურავზე შემჯდარ ვაჟას აწოდებს გოგია-ბიჭი კრამიტს სხვენიდან, ვაჟა კი დაწუნებულს უბრუნებს.

— არც ეს არი სწორი, მრუდეა. — კვლავ უწუნებს ვაჟა მოწოდებულს.

— აჰა, აბა ესა, ძია... აქ სულ რჩეული ამოვზიდეთ, დაბრეცილები ქვევით დავტოვეთ.

— შეგშლიათ-მეთქი, სხვა მოიტა. — კიდევ უწუნებს კრამიტს ვაჟა გოგიას. გოგია, ცოტა არ იყოს, დაბნეულია.

— ესეცა, ძია? — კიდევ ახალ, მშვენიერ კრამიტს აწოდებს ფიქრებში წასულ ბიძას დისწული.

ჭერთახურვის დამთავრებას ბევრი აღარაფერი უკლია, მაგრამ, როგორღაც ჭიანურდება საქმე. რატომღაც შეფერხდა და დაირღვა ვაჟას მოცემული პირობა. აი, ახლაც, ხელისგული გაუსვა გამოურთმეველად ვაჟამ კრამიტს და უკან დაუბრუნა. კრამიტის ბუნებრივი ფორმა დაიწუნაო თითქოს ფიქრებში ჩაფლულმა, მერე, პაპიროსი შორს გასტყორცნა და სხვენზე ჩამოხტა.

— აბა ესა,ძია? — ორი კრამიტი, რჩეულზე-რჩეული შეაგება გოგიამ, მაგრამ ხელით ძოიშორა გამოწვდილი კრამიტები ვაჟამ ისე, რომ არც დაუხედია.

— არ არი-მეთქი სწორი, გოგია, არა! — როგორღაც გამოთიშულივით, საქმეში ჩაუხედავად უთხრა დისწულს ვაჟამ და ერდოზე მოდგმულ კიბეზე დაეშვა.

— სწორეები, ძია, დავაწყო? — დაადევნა შეკითხვა გოგიამ.

— დააწყე, მაგრამ... დამაცა, გოგია. შეგეშლება და მორჩა, — გაურკვეველი იყო ვაჟას პასუხი.

სწრაფად ჩარიხინდა ვაჟა და სავარეო ხალათს შარვალში იტანდა, როცა გოგიამ ერდოდან ჩამოიხედა.

გავიდა და წავიდა ვაჟა აჩქარებული ნაბიჯით.

რამდენიმე შესახვევ-გასახვევში შეუხვ-შემოუხვია ვაჟამ, რუზე გადებული ბოგირი გადაიარა და წამიერი შეყოვნებისა და ჰმუნვის შემდეგ შეძველე-

ბული, ძველჩუქურთმებიანი ხის ალაყაფის საქვეითო კარი შეაღო. რკინა-ბეტონის მკვრივ ნაგებობათა შემდეგ როგორღაც ძველი აბაჟურივით შემოანათა ვარდებსა და ზამბახებში ჩაკარგულმა ძველმა, მაგრამ საკმაოდ შეულახავმა სახლმა ვაჟას.

ოდნავ შენელებული ნაბიჯით აიარა ერთმარშიანი კიბე და კარზე დააკაკუნა. კარის გვერდზე, ოთახის ფანჯრის ერთი, ჩამსხვრეული თვალი მუყაოთი აეფიცრათ პატრონებს...

შავადმოსილმა, ჭაღარა მანდილოსანმა გააღო კარი კაკუნზე, გააღო და კედელს მიეყუდა ფერნაცვალი, სახსრებში დაშლილივით მიეყუდა კედელს. ვაჟა ხელებში ეცა, თქმა არაფრისა აცალა...

— ოღონდ არ დამწყევლო, მარო მასწავლებელო, ოღონდ აღარ დამწყევლო, მარიამ დეიდა ,შენი ჭირიმე! არა! არა, არა, არა! ისე დამცხე! ისე დამკარი!... დამაბით და ისე მცემეთ... კეტითა მცემეთ... ერთი აქაურობას დავსუნო, დეიდა მარიამ... იქნებ ჩემი ნუნუს კვალი ავიღო, იქნება!.. მიყვარდა... შენი ჭირიმე!.. აი, მივირბენ-მოვირბენ კუთხე-კუნჭულსა და გავვარდები... აქ დაბრძანდი... მე, ხელათა... — სკამზე დასვა და ნუნუს ოთახის ყველა წვრილმანი მიირბინ-მოირბინა, მოითარეშა იქაურობა.

— ჩამოხველ, ძროხის ქურდო, დაბრუნდი, ამკლებო?! — უღონოდ წარმოსთქვა მანდილოსანმა და სკამზეც მოწყდა, ჩვარივით გახდა.

— იქნება მეშველოს რამე, იქნება?! ორი უმაღლესის ოდენა დავყავი იქა... მასწავლებელო, ჩემო კარგო ქალო, ადამიანო... ორი უმაღლესი დავამთავრე...

— აგერა შენი გატეხილი ფანჯარა... ისევ ისეა, თათი რომ დასცხე, შენი უგუნური ტორი... რამდენი გასტეხე შენიც და სხვისიც, რამდენი!..

— ჩავსვამ, მარია მასწავლებელო, დეიდა, ჩავსვამ, ბევრი ჩავსვი და... ოღონდაც... ოღონდაც აი... სულ შუშაბანდს შემოვაველებ აქაურობასა, ახლავე, აი... ვნახოთ!.. გავარდა, დაბლა ჩაიჭრა, ბრაგა-ბრუგი, რაჩხა-რუჩხი... ერთი დიდი მტვრიანი შუშა მოაქვს, ფანერა ააგდებინა ფანჯარას, მიზომ-მოზომა. შავი კაჟის ნატეხი ეკავა ხელში. ფანერა შიმშად დაადო მინას და კაჟი დაუსვა, კაწვრისა და მსხვრევის ხმათა ფონზე ბუტბუტებდა თავაუღებლივ:

— პატრონმომკვდარიო, ჩემზეა ნათქვამი! ჯანი მჭონდა რო... ხო გახსოვთ რკინასა ვკვნეტდი... სხვა თუ მიტირებია, მეც მიტირია... იმაზე მეტი, მაშა! აქედან მიდიო, მესმოდა, იქიდან მოდი, ვაჟაო, და ხმა დამრიგებლისა ვიწრო ყოო, წამქეზებლისა ფართე და ბოხი... და წავწყდი... ჩემივე საკუთარ წლებს პირში მჩრიდა ვიღაცა და ჩალად მაჭმევდა.

— რათა მერე?. ამ ლამაზი ბუნებისშვილს, ათი წელი ორმოში რად უნდა ჭაგეტარებინა, რათა?!.

— ამოველი და დამხვდით აბა... ვაჟა ვარ და ნუნუ სად არი მეთქი?..

— წავიდა... არაფერი ვიცი...

— აჰა, — მტვრიანი მინის ჩანაჭერზე უსწორო გამონაშვერი კბილებით

შოკვნიტა ვაჟამ. ნაკვნეტი პირიდან ენით მოიშორა, ტუჩზე გამოსწია და ჩამოაგდო. მონაჭერი მინა ჩარჩოში ჩასვა და ლურსმებით უწყო გამაგრება. ცერით ასობდა ლურსმნებს ჩარჩოში.

— მაშ წავიდა? — იკითხა ვაჟამ და კიდევ ერთი ლურსმანი გააჭრო ცერით.

— სხვაგანა მასწავლებლობს... არ გეტყვი კია, — ჩვარით მოწმინდა მინა მარიამმა.

ბოლო ლურსმანიც ჩაასო ვაჟამ და უკან დაიხია.

— არ მეტყვით?..

— არა...

ვაჟა გაძოვიდა. ფანჯრის გარეთა პირი მტვრიანი იყო და მაჯით მოსწმინდა. გაპრიალებულ მინის იქით კვლავ „არა“ თქვა მარიამმა. წამოვიდა ვაჟა.

* * *

მსხვილფეხა მესაქონლეობის დიდი კომპლექსის ველზე მოჯირითობენ დირექტორი და ბიძინა. ტეხასურ ყაიდაზე ჩაცმული როლანდი მშვენიერ ცხენზე ზის. ბიძინა თავისი მოტოციკლეტით მოსდევს დირექტორს.

საქონელი... თვალუწვდენელი სიმინდები... კვლავ ჯიშიანი საქონელი... მენახირე-მბედრები ჩამოუქროლებენ ხოლმე მათ დროდადრო. მოღლილები და დასიცხულები ჩანან ორივენი. შემოვლას ამთავრებენ...

— ნახევარ საქართველოს ჩვენ უნდა ვაჭამოთ ხორცი, ძმაო. კოლორადის ტიპის მსხვილფეხა საქონლის კომპლექსია ესა, დღეს რასაც ხედავ და უყურებ, ხვალეს მეოთხედია. ათიათას სულ მსხვილფეხას, ოცი-თხუთმეტი ჩვენებური კოვბოი მოემსახურება...

—კევის ქარხანაც უნდა გახსნათ, როლანდ, საღეჭი რეზინი დაგჭირდებათ. — ეანგლება ბიძინა დირექტორს გზა-გზა.

— ბევრი იცინოდა, ამ საქმეს რომ იწყებდა ჩვენი რესპუბლიკა, ზოგს არა სჯეროდა, ზოგიც ჯიბრში გვედგა... ხორცი რომ ჩაიდეს პირში, გაჩუმდნენ... გემრიელია და...

— ვხუმრობ, განა საქმეს დავცინი... ბენზინი მითავდება...

— კომბინირებული საკვების ამერიკული ქარხანაც დავათვალიეროთ, გზად არი...

— გზად თუა, ხო, თორემ, ცხენის სათრევი გავხდები.. შენ ეს მითხარი, ფერმები სადა გაქვთ. ამდენი ათასები სად ეტევა?..

— საქონელი, ძროხა, ველზე იგებს ხბოს, ცხრა თვე დედის რძეზე იზრდება მოზარდი, ცის ქვეშ, მერე კი საძოვარი და კომბინირებული კვება ძღომაზე. ნახევარ ტონამდე ვასუქებთ წელიწადნახევარში.

ხელოვხური წვიმის ქვეშ შეადგო ცხენი როლანდმა.

— მოდი, არა გცხელა? — მიიპატიჟა ბიძინაც.

— მცხელა, მაგრამ რომ ჩავჯდე. — შეაგდო ბიძინამაც თავისი საბთელიანი და კინაღამ ჩაჯდა ნაწვიმარში...

— ცხენი შემოგთავაზე, ძმაო, და შემიშინდი, უარი მითხარი. ეგ კიდევ სააქაო ტრანსპორტი არ არის... უბრალოდ ვეღარ ვიტან, არ უხდება აქაურობას...

საქონელს მიერეკებიან ტეტია-კოვბოები, გამარჯობას ეუბნებიან. ჩალის ქუდებს იხდიან სასალმედ. ბიძინა და როლანდიც ესალმებიან მწყემსებს... კომბინირებული საკვების ქარხანას უახლოვდებიან. თეთრხალათიანი ლაბორანტი ქალიშვილები ბურთს თამაშობენ ჩრდილის მხარეს შესვენებაზე.

— ...ქარხნიდან გამოდიან...

— „ბიძია თომას ქოხში“ რომ არის, კეთილი პლანტატორი, რა ჰქვია? — ეკითხება ბიძინა როლანდს და თან ხელისგულზე დაყრილ ნაფქვსა სინჯავს ფრთხილად, ენით.

— მგონი სენ-კლერი... ჰო, სენ-კლერი. — ადასტურებს როლანდი.

— ერთ კეთილ საკითხშიც თუ დამეთანხმები, მთლად ის იქნები, სენ-კლერი, — იღიმება ბიძინა.

— ბრძახე... ოთხმოცი პროცენტი სიმინდია, მაგ ფქვილში, გაბედულად ჰამე, ბიჭო, ბიძინა! ნუ გეშინია!

— ერთი ჩვენი ძველი და ძნელი თანასკოლელის საქმეზე მოვედი შენთან, როლახდ, და თუ შეგიძლია უნდა დაგვეხმარო, — გვერდულად ჩამოჯდა მოტოციკლეტზე ბიძინა.

— ვაჟასი? — გაიცინა როლანდმა.

— ჰო, ვაჟასი... საიდან?..

— ამ დღეებში შემხვდა... და ჰყავდა კარგი, თუ გახსოვს, რა ერქვა?.. მერე?

— დაულაგებელი სახლია, უჰირთ. ხომ იცი ვაჟას ამბავი?..

— ვიცი.

— ჰოდა.

— რა, ჰოდა?.. — განზე დაიჩირა როლანდმა.

— მივდექ-მოვდექი და ვერას გავხდი, სამაგისოდ ვერავინ დავითანხმე.

— მაგარი ხელოსანი იყო, მახსოვს, შოფრობდა, ყველაფრობდა... ატკაში რაო?..

ბიძინამ თავი გააქნია.

— მე, ძმაო, მთლიანადა ვარ დაკომპლექტებული მაღალკვალიფიცირებული კადრებით, ასპირანტები, კანდიდატები. ეგეც რომ არ იყოს...

— რომ არ იყოს?

— აქლემების ფერმა არა მაქვს, მაგრამ...

— რა შუაშია?..

— ნემსისა და აქლემის ქურდობის სიაში ძროხა განა გამოტოვებულია,

თავისთავად იგულისხმება და ორგანოს მეშაკმა არ უნდა დაივიწყოს ეს მცნება...

— ხუმრობა იქით იყოს... ამოდონა საქმე გაბარია, ბიჭო, რაღაც უნდა ვუშველოთ... რესპუბლიკაში გიცნობენ...

— საიდან სადა გვყავს ჩამოყვანილი თითოეული ძროხა და თანაც რა ფასად, იცი შენა?.. ორი ასეთი ძროხა, ერთ „ზაპოროჟეცს“ იყიდის... ჩვენებურ, ჩაგველა ძროხუკებს ხომ ნუღარ ვტყვი, ერთი-ათს დაახურდავებს, ეე!..

— შენ რა, მართლა ფიქრობ?..

— ჩვეხი საქმე ფიქრის გარეშე არ გამოდის, მამაპაპური მენახირეობა კი არ არის, რთულზე რთული კომპლექსია. ხალხი ღამეებს ათენებს აქაც, რესპუბლიკაშიც, მააშ!..

— ქარხანაც გაქვს, ბიჭო, მთელი წარმოება, და... იქნება რამე... ჰა?

— ყური დამიგდე! ამ ერთი კვირის წინ ერთი ახალშობილი ხბო წაგვექცა, ფეხი მოიტეხა ზღვაზე და ხუთი სპეციალისტის თანდასწრებით შევადგინეთ აქტი, სამმაართველოდანაც დაგვესწრო წარმომადგენელი.

— რა შორიდან უცლი!

— ახლა მოკლედ გეტყვი: სოფლის ყაყანს რომ თავი დავანებო, ძმაო, ძროხის მკვლელსა და მარბევალს მე აქ ვერ მივიღებ. ჩემს წმინდა კრედოს ვერ ვუღალატებ! ახლა?!

— მორჩა? — ბიძინამ მოტოციკლეტს გადაალაჯა.

— შენ რას იტყვი?

ბიძინამ მოტოციკლი დაძრა. როლანდმა თვალით გააცილა და ფრენბურთელებისაკენ გაეშურა. ქალიშვილების მოწოდებულ ბურთს ხელი შემოჰკრა როლანდმა.

* * *

ცხელი შუადღეა. ბოლომობდღვნილი მამალი და სამი დედალი ჩეროში ქაქანებენ თუთის ხის ქვეშ. სკოლიდან მოსული გოგია ქართული ლექსის ზეპირობაში ვარჯიშობს. დიდედა ხელსაფქვავზე ფქვავს სახალიფაფე ხორბალს. ხელსაფქვავი დოლაბის ხრიგინი გოგიას მჭევრმეტყველებაში იკარგება დროდადრო.

— შოდი, გოგია, თან იზეპირე და თან ესა ფქვი. — სთხოვა დიდედამ გოგიას და თვითონ წამოდგა კალთის ბერტყვით.

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები“

— იზეპირებს გოგია, თან ხელსაფქვავს აბრუნებს.

ერდოდან სხვენზე ადის ვაჟას დედა ფეხაკრეფით, აქეთ-იქით იყურება. პური, ყველი, ხახვი და არყის ცარიელი ბოთლი დგას საკვამურთან. იქით კუთხეშიაც ელავს ორი ცარიელი ბოთლი...

სამერცხლულიდან აიხედავს დედა. ბოთლს უღიტინებს კრამიტებზე კადაწოლილ, ნახევრად შიშველ ვაჟას. გარუჯული ვაჟა უმალ ვერ გაიღვიძებს, მოგვიანებით წამოიწევს და დედას გაუღიმებს...

— რას შვრები, ბიჭო, ჰა? — ჰკითხა დედამ.

— სიცხეს ვაგროვებ, დედი, რა იყო? — უპასუხებს ვაჟა დედას და კვლავ გადაწვება.

— ე, კურტნების დაწყობა რა გაგიხდა, შვილო, მაინცა და მაინც ახლა დაგიძახა მუცელმა?

— ვიზოგავ, დედი, ვიზოგავ... მოვრჩები-მეთქი, ვაჰ, — ლუღლუღებს ვაჟა და თვლემა ერევა, ფიქრსა თუ ზმანებაში იძირება.

დედა დანარჩენ ბოთლებსაც წამოკრეფს სხვენზე და ერდოდან ჩამოდის კიბე-კიბე... გოგია ისევ ზუთხავს, თან ხელსაფქვავს ატრიალებს.

„ვინ მოგვითხრობს მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი“

— იზეპირებს გოგია აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ შესავალს...

* * *

— წამოდი, თუ ძმა ხარ, ვაჟა, წამოდი! — ეხვეწება ადრიანად მოსული რწმუნებული სახლის შესაკეთებლად გამოსულ ვაჟას. ვაჟა უარობს, სახელოსნო იარაღებს აწესრიგებს, ასამაგისებს...

— არა, ბიძო! უნდა მოვრჩე, თორემ სახურავზე ჯდომით, ვატყობ, ფრთები ამომდის, მეზრდება, საცაა ავიწევი და გავფრინდები, არა, ვერ წამოვალ...

— წამო რა, ძია! აი, შენ ხომ ჩემთვის არაფერი გაგიკეთებია, არა, ძია ვაჟა?! წამოდი რა, მეც დავენაძლევე ბიჭებსა, არა სჯერავთ, მეც დავენაძლევე, ძია და...

— რაზე დაენაძლევე, ბიჭო, გოგია?

— ორ საათში ამოიღებს-მეთქი ბიძაჩემი მანქანის ძრავას, სუყველასა ჰგონია, რომ ტყუილს ვამბობ, წამოდი, რა!..

— აი, გოგია რომ არ ჩარეულიყო, არ წამოგყვებოდი, ბიძო, იცოდე! — თქვა ვაჟამ, სადურგლო იარაღები კვლავ სარდაფში ჩაიტანა და სარდაფიდან კი ერთი ყუთი მანქანის საშალი გასაღებები ამოიტანა. ჟანგი მოჰკიდებოდა იარაღს. მოტოციკლის საბარგოში ჩადგა ყუთი და თვითონაც შიგ ჩაჯდა. ბიძინამ მანქანა დაქოქა. გოგია უკან შემოისვეს და ატეკისაკენ გაემართნენ.

ატეკის მოასფალტებული ეზოს შუაგულში სამი ძველი მანქანა შეეგორებინათ ორმოზე. კვირა დღის მიუხედავად სავსე იყო ეზო შოფრებით. სეირის მაყურებელიც ბევრი ირეოდა. სპეცტანსაცმელში გამოწყობილი, ორი გორკილი მექანიკოსი მზად იყო თავ-თავის ავტომობილთან, ვაჟას მოსვლას ელოდებოდა ფარეხის უფროსიც. ვაჟამ ხალხს გაუღიმა, ერთ-ორ შოფერს თავიც დაუკრა და გუმანით მივიდა მანქანასთან.

— ეს საქმე თქვენი წამოწყებულია, ბიძინავ, და საყვედური რომ საიდანმე მივიღო, ხალხის აი ასე, უსაქმური თავშეყრისათვის, მე პასუხს ვერ ვაგებ, — მოურიდებლად გააცნო თავისი პოზიცია ფარეხის გამგემ უბნის რწმუნებულს და მაგიდასთან მიიპატიჟა.

— დაზღვეული ბრძანდებით და ნუ წუხდებით, — ბიძინამ მაგიდის საათი თავისკენ შეატრიალა, — დამკვრელები აქ არიან? — იკითხა ბიძინამ.

— აქ არიან, მაგრამ, რა საჭიროა დაფდაფები?.. უბრალოდ ჩავატაროთ, — თქვა გამგემ.

— რაკიღა ამ ღონისძიებაზე მთლიანად ჩვენ ვაგებთ პასუხს, ჩატარდება ისე, როგორც დათქმულია. შეჯიბრის დანარჩენ ორ მონაწილეს რა ჰქვია?

— საშა და ივანე, გორკელები, ერთი წლის ვადითა გვყავს ჩამოყვანილები...

— გოგია, აქ მოდი, — გვერდით მოისვა ბიჭი რწმუნებულმა, — მთავარი არბიტრი მე და თქვენ ვიქნებით, გოგია ბიჭი კი სამივე მოტორისტის მეთვალთვალე... დავიწყეთ, რუსული ბრძანება იქნება, ვაჟა, თარჯიმანი ხომ არ დავჭირდება!

— მეოთხედი ბიჭობა იქა მაქ გატარებული, — ჩაიცინა ვაჟამ და გასაღები მოიმარჯვა.

ძრავის ამოსაღები სამი, ჯაჭვიანი ტალი, გილიოტინებივით დაკიდებული ხელოსანთა თავზე. მეზურნეები შუა მანქანის ძარაზე დამდგრები ელოდებოდნენ ბრძანებას.

— ჰანგი რა გინდათ, რომელი დავუკრათ? — იკითხა მედოლემ.

— საჭიროო იქნება, როცა დაიღლებით, შეისვენებთ. ამაზე თქმა აღარ დაგჭირდებათ, იცოდეთ!.. — გასცა ბრძანება ბიძინამ, მეზურნეებმა ჩაბერეს. საავტომობილო საქმის სამი ოსტატი მათთვის განკუთვნილ მანქანებს ეცა და თავდაუზოგავი მოძრაობით შეეჭიდა. ზურნის ჰანგმა ისე დაძაბა ჰაერი, რომ არც ერთი დამსწრე ამ სანახაობისა ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა: ცმუკავდნენ, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ მოსეირენი, ენაძლევებოდნენ, წრიულად მიმოდიოდნენ და ხან ჩამუხვლით, ხანაც ფეხისწვერებზე შედგომით თვალს არა სწყვეტდნენ სანახაობას.

რუსი ხელოსნები თავდაპირველად იცინოდნენ, მუსიკოსებს თვალს უკრავდნენ და „ასსა, ასსას“ იძახოდნენ. მერე და მერე ღიმილი გაუქრათ და მთელი შეძლებით შეებნენ საქმეს. ხან მანქანის ქვეშ, ორმოში ჩარბოდნენ ოსტატები და ქვევიდან ირჯებოდნენ, ხანაც ზევით ამოცვივდებოდნენ და ზე-

ვიდან ჩაჰკირკიტებდნენ ძრაველს. ერთხელ, ვანიამ საშას გაუცვალა რომელიღაც ნომერი გასაღები და მაშინვე ბიძინას სასტვენის ხმაც გაისმა. თითის დაქნევით დააფრთხილა შეჯიბრების უფროსმა არბიტრმა გორკელი ხელოსნები. მათ ბოდიში მოიხადეს გზა-გზა, საქმე-საქმე და შრომა განაგრძეს. საჭიდაო მუსიკის ჰანგი სამიეე ხელოსანს აღელვებდა და საქმეს ასწრაფებინებდა. ვაჟას კი ერთიათად აფიცხებდა და აგიზგიზებდა, სულ ნაპერწკლებს ჰყრიდა თვალთაგან და ხელთაგან ვაჟა ხრიოკაშვილი და დამსწრეთა აღტაცებულ შეძახილებს იმსახურებდა. ჰაერში აბზრიალებდა იარაღს ვაჟა, როცა კი ამას საჭიროება მოითხოვდა, მუსიკის რიტმში ჯდებოდა მისი ყოველი მოძრაობა... შეუმჩნეველად გაირბინეს წუთებმა: ათი, ოცი, ოცდაათი წუთი, საათი... ოთხმოცდამეათე წუთზე ეჭვი აღარავის ეპარებოდა ვაჟას გამარჯვებაში და ასეც მოხდა. მეასე წუთზე კავი ამოსდო ძრაველს ვაჟამ და ოწინარზე გადაგდებული ჯაჭვის მეორე წყება დაქაჩა. ხუთი წუთის შემდეგ იგივე გააკეთა ივანემ და საშაც მას მიჰყვა. ზურნა მაშინ შეწყდა, როცა ჰაერში შეჩერდა ვაჟას მიერ ამოღებული ძრავა. გამარჯვების ტუში ჩაბერეს ძველმა მოჭიდავე-მეზურნეებმა. გაცისკროვნებული უბერავდნენ და მედოლეც მწყობრად ურახუნებდა წყვილ ჯოხს დოლის პირს...

ივანეს გამარჯვების აღსანიშნავად „კატუშა“ დაუკრეს დამკვრელებმა, მედოლე აღარ სცემდა დოლს, „კატუშას“ მღეროდა. საკმაოდ ზუსტად უკრავდნენ ჰანგს დუდუკებზე, ოდნავი აქცენტით იმღერა ერთი ტაეპი მედოლემ, მას მოსეირეთა ნაწილიც აჰყვა. მღეროდნენ, მხიარულობდნენ. გოგია და მისი ტოლი ბიჭები ჰიდაობდნენ და მალაყებზე გადადიოდნენ.

გამარჯვებულებს ბლებჩაწნული მოკლე ღერები მიართვეს. ვაჟას ერთი წნული, ივანეს ორი, ხოლო საშას მესამე ადგილისათვის სამი წნული ბალი მიართვეს, საგანგებოდ გაფრთხილებულმა მოსწავლეებმა.

— ახლა რაღას იტყვი? — გამარჯვებული კაცის ღიმილით შეეკითხა რწმუნებული ატეკის გამგეს.

— რასაც აღრე გეუბნებოდი... მე განა მაგის სიმარჯვეში მეპარებოდა და მეპარება ეჭვი... არა, ბიძო, სულ სხვა რამეში, გენაცვალე!.. ამის გარდა, ორი მოტორისტი-მექანიკოსის ადგილი მაქვს და ხელშეკრულების ძალით ორივე გორკიდან ჩამოყვანილ ბიჭებს უკავიათ ამ შემოდგომამდე. ჯერ ისე მოვიდეს ხოლმე, იაროს რემონტებზე, მეც კარგად გამოვუწერ ჯამაგირს, ბიჭებიც არ დაამადლიან ორ და სამ მანეთს, ისე, რომ... ვნახოთ, თუ გორკელი ბიჭები აქ არ ჩაგვისიძევდებიან, მგონი რომ ადგილი გაგეთავისუფლდება, მანამდე კი, რაც ახლა ვთქვი, იმაზე მეტი არ მოხერხდება.

— კარგი ჯორზაქარა ხარ, — წყენით შეხედა ბიძინამ გამგეს და განაგრძო, — შენ რომ ყურიც დაგიდგოს კაცმა და დაგიჯეროს, ერთი ღერი ნაწილიც არ გეკარგებათ უმისამართოდ, ასე გამოდის, რომ მაინცა და მაინც ერთი ნაპატიმრალის მოსვლით განადგურდება შენი სათადარიგო ნაწილების საწყობი. შე კაი კაცო, მთელი რაიონის კერძო მანქანები ისე შედი-გადიან თქვენს ალა-

ყაფში, როგორც თავის საკუთარ სახლში და მაინცდამაინც ახლა დამიდექით ყალყზე შენცა და სხვაცა? ნეტა კი ეგრე იყოს, მაგრამ, თქვენი ერთი ბორბალი რომ წაღმა ბრუნავს, მეორე უკუღმა გაგირბით და საქმეც ამაშია, აი! — დაჭკრა მუშტი მაგიდას და ადგა.

— გახსენით, ბატონო, პროფილაქტიკა, გახსენით და ეს ლაპარაკიც მორჩება ერთხელ და სამუდამოდ. მეც დავისვენებ და ეგ ჩვენი ოქროხელაც სამუშაოს იშოვის, გახსენით. — დაადევნა ეზოს გარეთ გამოსულ ბიძინას გამგემ.

* * *

— ვაჟა რა იქნა? — იკითხა ხალხში შემორეულმა უბნის რწმუნებულმა.

— აქ იყო, ბიჭებში. — მიუგო თვითმცლელის შოფერმა მიშამ.

— ბიძაშენი რა უყავ, გოგია? — ტოლებში ჩამდგარ გოგია-ბიჭს მიუგორა მოტოციკლი ბიძინამ.

— რა ვიცი... იარაღები მე დამიტოვა და... — გაურკვეველად წარმოსთქვა გოგიამ, იარაღის ჩანთა მოტოციკლის მისაბმელში ჩააგდო და ხალხს დაურბინა ავალის ცეცებით... მერე გოგიაც გაქრა... ბიძინამ მოტოციკლი ჩააქრო და დაელოდა.

ხალხი გაშორეულდა, შორითღა ისმოდა ხმები.

ერთბაშად, სულ სხვა მხრიდან გამოვარდა გოგია-ბიჭი.

— აი, იქით, ვიღაც ქალს მისდევს, — თითი გაიშვირა და მოტოციკლზე შეხტა.

— ქალსაო? — ბიძინამ მოტოციკლი დაქოქა და დაძრა...

— აქეთა, ძია, აქეთ შეუხვიეს, აგერა, — ეშმაკეულივით შემოტრიალდა გოგია მოტიციკლზე, ხელს იშვერს...

— აქეთა, ძია, აქეთ! — კარნახობს გოგია მიმართულებას და უკვირს, რომ ბიძინას იქით არ მიჰყავს მოტოციკლი...

კაკლის ჩრდილებით აჭრელებულ ორღობეში ვაჟა ნუნუს მისდევს, ჩემოდნის გამორთმევას ცდილობს.

— ჩამოველ, ნუნუ, ჩამოვედი! — ეტანება ვაჟა მკლავში.

— გამეცა! — მეორე ხელში ინაცვლა ბარგი ნუნუმ.

— ჩამოვედი-მეთქი, ნუნუ, მოიცა! — მეორე მხრიდან წასწვდა ბარგს ვაჟა.

— ჩამოხველ და იყავი. — კიდევ დაინაცვლა ნუნუმ ჩემოდანი.

— დადექი, სიტყვა მათქმევინე! — შეაჩერა როგორც იქნა ვაჟამ.

— დაგრჩა-ღა?

— შენი სიყვარული, გოგო!

— გადავაგდე, მოვიშორე, ახლა?! — ნუნუმ ჩემოდანი წაართვა.

— თვალებში შემომხედე, აბა! — მიბრჯნით აესვეტა ვაჟა გოგოს.

— ვისიც გაიქცეს, არა, მოდი! — ნუნუც მიუახლოვდა. ჰაერი გაქრა მათ შორის.

— ვისიც გაიქცეს, ჰო, ვისიც გაიქცეს... — ბუტბუტებს ვაჟა.

— მოდი, აბა, მართალო, მოდი! — თვალი-თვალში ჩაუდუღა ნუნუმ.

დგანან, ნათქვამის სიმტკიცეს უმოწმებენ ერთურთს... დგანან...

— სადღა გაქ თვალები, გაქუცულხარ! — თქვა ნუნუმ.

პაუზა.

— გატყავებულხარ, ბიჭო! — თვალთაგან ნაპერწკალი სცვივა ნუნუს...

პაუზა.

— დამთავრებულხარ, ბიჭო!

ვაჟას მოღლილმა, ნათრევ-ნალანძღმა თვალმა ვეღარ გაუძლო ამოდენა შემართებას, ამხელა სიმართლეს და განზე გახტა, გაექცა თვალი... ვაჟამ უკან-უკან დაიხია. თავითბოლომდე შეიხვეტა ნუნუს მთელი გამოსახულება ორივე თვალში და მძიმედ შემობრუნდა...

დინჯად მიტკეპნიდა ვაჟას მძიმე, დაღლილი სხეული სოფლის ორღობეს.

შეუმკრთალი თვალით მიაცილებდა სოფლის თვალი-გოგო სოფლის ნარაინდალს.

* * *

— კრამიტი — კრამიტია, დედი, ტოლი კიდევ — ტოლი, ქაღალდია, ჩიტმა რომ ნისკარტი დაჰკრას, გახვრეტს. — ჩასძახებს ვაჟა დედას სახურავიდან.

როგორც იქნა, სახლის სახურავის რემონტს ამთავრებს ვაჟა. და აგერ უკვე სამერცხლურზე აწყობს დისწულის მოწოდებულ ბოლო კურტნებს.

— როგორი გამოგვივიდა, ხალხო, კარგია?! — იკითხა ერთბაშად ვაჟამ და ჯერ ეზოს მოავლო თვალი, მერე მეზობლის ეზოებსა და სახლებს გახედა და ბოლოს მთელ სოფელს გაუსწორა თვალი...

— აკი არ მოებმებაო ჰა, ძია მიხა? ვერ მოვაბი?! — ყვირის ვაჟა, მიხა არ ჩანს.

— შენ მაინც ამოიღე ხმა, გოგია, სადა ხარ, ბიჭო?! — შეეხმაურა დისწულს და ძებნა დაუწყო ვაჟამ.

— აქედან არაფერი ჩანს, ძია, ჩავალ და შორიდან შემოვხედავ, — თავი გამოჰყო გოგიამ სამერცხლურიდან და ისევ შებრუნდა...

— უჰ, დედა შემოგეცლოს, ახალივით არ დახატა ახალმა კრამიტმა მთელი შენობა!.. ჩამოდით, ივახშმეთ! — შემოუძახა ეზოდან დედამ.

— კრამიტმა კი არა და მე დავხატე, დედი, მე და გოგიამა! — იცინის ვაჟა, სიგარეტს უკიდებს და სამერცხლურზე ჯდება...

— სულ გაახლდა სახლი, ძია, სულა! — შორიდან მოთვალთვალე გოგიამაც შემოუფრინა აღტაცების ყიჟინა ახალ სახურავზე ჩამომჯდარ ბიძას და ონკანქვეშ გაწვა წელზევით გაშიშვლებული...

— ხო კარგია, მეზობლებოო! — კვლავ დაჰკივლა ზემოდან ვაჟამ.

— ხან როგორ გაისუსებიან ხოლმე, რომ სუნთქს ვერავისას გაიგებს კაცი. — ხმადაბლა თქვა და სათითაოდ მოიარა თვალით ახლო-მახლო ეზოები...

— კარგია-მეთქი, შვილო, კარგი, ჩამო. რაღასა ზიხარ. — შეეპასუხა დედა და თან გოგიას გაუსვ-გამოუსვა დაჟარული ხელის გულები გასაპნულ სხეულზე.

— მე განა თქვენ გეკითხებით, მეზობლებო-მეთქი, მეზობლების აზრიც მინდა გავიგონო ჩვენ ნამუშევარზე, კაცი-კაცითაო, არ გაგიგონია, დედი?!

— სამუშაოზე არიან გაკრეფილები, ვინ გინდა რომ ხმა გაქცეს?!

— ჰოდა ძაგაშია საქმე!

— რაში, ბიჭო?

— რაში და ვახშამში... ერთი ხელადა მოგვიხდებოდა სამაღარიჩოდ მე და გოგიასა... ეგ რომ არა ყოფილიყო, მე ამ საქმისა არც დამწყები ვიყავი და არც დამამთავრებელი... გაიქე, გოგია, ერთი-ორი ბოთლი „საერო“ მოარბენინე და ხელადაში ჩაასხი... შაქარწყლის ნამამაძაღლევს ისევ „საერო“ მირჩევნია...

— მოტანილია, შვილო, ხელადაშია... ჩამო! — შვილიშვილი გაბანა დიდედამ და შინ შევიდა... გოგიამ ტანის გამშრალება იწყო. ვაჟა არ ჩქარობდა სახურავიდან ჩამოსვლას... სოფელს გასცქეროდა და აბოლებდა... კვლავ ჩაიარა სოფლის კერძო ნახირმა და მათი ჩლიქინი და ზმუილიც თანდათან გაშორეულდა. ისეთი სიჩუმე გამეფდა ირგვლივ, რომ ჩქამიც კი აღარსაიდან მოისმოდა. ბელურა ჩიტბა გადაიფრინა ვაჟას წინ და მისმა გაჩქარებულმა სრბოლამ კიდევ უფრო გააჩუმა სოფელი...

— გამარჯობათ, მეზობლებო!.. როგორია, ჰა?! — თავისთვის ჩაილაპარაკა ვაჟამ და თითქოს თავისსავე ნათქვამს მიაყურაო, ისე გატვრინდა. აღარც გოგია ჩანდა ეზოში, აღარც დედა. მატარებელმა ჩაიარა, მაგრამ, თითქოს ნაბდიან ლიანდაგზე გარბისო, ხმა არ გაჩენილა მისგან და ერთბაშად, თითქოს მიწიდან ამოიზარდა ანუ ციდან სასწაულად დაეშვაო, ვაჟაანთ ეზოში თავი შემოყო უზარმაზარმა, რუსული ჯიშის საველე ჰრელ-წითელა ძროხამ და გაბმით დაიზმუვლა... ძროხა კარგი ნაპატიევები და მოვლილი ჩანდა. ნახევარ ტონიან სასწორს ისე დაზნექავდა, როგორც არაფერი.

— სოფელო, შენ გეკითხები! — გამოსცრა ვაჟამ და მუშტრის თვალი დაასო ძროხას ზემოდან.

თითქოს რაღაც კვალს მიჰყვაო, ისე იმედიანად და ბეჯითად შემოაყოლა სიმეტრიულ რქათავს ვეება ტანი ძროხამ, მარტო მისი ცური ფუთზე მეტი იქნებოდა.

— რა უნდა ამ ოხერს, ამასა! — შეიცხადა დედამ და გაძევება უწყო ეზოდან.

ძროხა თითქოს განგებო თავს არიდებდა მოქნეულ წკეპლას და უფრო

ღრმად მოიწევდა ეზოში. გაღნიოშებულ გარაჟშიც კი შეიხედა და გაძარცულ ძველ „შკოდას“ რამდენჯერმე დასუნა, რაღაცა ალოკა კიდევ დაქცეული...

ვერო ჯერ არ მოსულიყო კრამიტის ქარხნიდან, მეორე ცვლაში მუშაობდა. ბიჭმა გოგიამ ღეჭვას თავი ანება და ხელში შერჩენილი ლუკმა გაუწოდა საქონელს. სიამოვნებით შეჭამა ძროხამ პურის ნატეხი და ხელის გულიც აულოკა ბიჭს. ვაჟა ნელ-ნელა დაეშვა სახურავიდან ეზოში. იდგა და ათვალიერებდა პირუტყვს. თავხეზე შედებული ქვამარილი ჩამოიღო და ძროხას აალოკინა. დიდი სიამოვნებით ალოკა ძროხამ მარილი, იქვე მიატრიალა თავი ონკანისაკენ და ჩამონადენი წყლის ხვრეპა იწყო.

— როგორ ჩემეულივით შინაურობს! — თქვა ვაჟამ, დედას სახრე გამოართვა, გადატეხა და გადაყარა.

— რას სჩადი, შვილო? — შეკრთა დედა.

— ცემით რათა კლავ? იყოს, მიძოვ-მოძოვოს. აგერ, გაბალახებულია აქაურობა, მერე, პატრონიც გამოუჩნდება, ალბათ...

— სოფელში ასეთი ძროხა რომ არავისა ჰყავს, — თქვა გოგიამ და ბღუჯა ბალახი დაუყარა საქონელს...

— კარი ღია იყოს, თუ უნდა წავა, ანდა, პატრონი შემოიხედავს. საჭმელს კი ნუ მოვაკლებთ, ცოდოა საქონელი, — თქვა ვაჟამ.

— ამისთანა ძროხა ჩვენს მხარეში არავისა ჰყავს. ვისია ნეტავ? — ამოიკვნესა დედამაც.

— ვისიც უნდა იყოს, საქონელს მოვლა უნდა-მეთქი, ცოდოა! — თქვა ვაჟამ და ნამგალს პირი აუწყო. მერე, საკარმიდამოში გავიდა და ცოტახნის შემდეგ ახლად გამოთიბული ბალახის ზვინით დაბრუნდა ეზოში... ბალახი ბლომად დაუყარა ვაჟამ ძროხას. ნამგალი თუთის ხის ძირზე ჩამოსდო და აივანქვეშ დადგმულ ტახტზე გაწვა, თავქვეშ მუთაქა შეისწორა, გვერდზე გადმობრუნდა და ძროხის თვალიერება განაგრძო შორიდან. გოგია ძროხას ეალერსება. დედა ბუზღუნით ხვეტს ძროხის ახალ სკორეს. ეზოში გაზრდილივით შინაურულად მიირთმევდა მთასავით ძროხა ბალახს...

სისხამი დილაა. რომელიღაცა უცხო სოფელში ჩამოხტა ვაჟა ვეებერთელა თვითმცლელიდან, ხელის აწევით დაემშვიდობა შოფერს და ასიოდე მეტრის იქით ჩამდგარ ეზოკარიან ჭიშკართან ახლოს, ღობის იქით გადაიხედა...

— ლადო, ჰოი, ლადო! — დასძახა ეზოს, რომელშიაც ერთი სირბილი და კურდღლაობა იყო გაჩაღებული. მთელი ოჯახი დასდევდა კურდღლებს: ქმარი, ცოლი, ოთხი ბიჭი თავგანწირვით დათარეშობდნენ ეზოში, იჭერდნენ კურდღლებს და წასაყვანად გამზადებულ გალიებში ამწყვდევდნენ.

ცალყურად ჩაესმა კურდღლებატატებულ ლადოს ძახილი და ცალყბადვე გამოხედა დამძახებელს. წამით მოიხედა, კურდღლები გალიაში შელალა და ახლებს წაეტანა დასაჭერად.

— ლადო-მეთქი, არ გესმის! — ბრაზი გაერია ვაჟას მეორე დაძახებაში და

დამშერებიცა და კურდღლებიც ერთდროულად შედგნენ... აჭა-იქღა დაცუცუნებდა ორი სამი ბოცვერი...

— რომელი ხარ? — იკითხა ლადომ და ფერთხვა-ფერთხვით წამოვიდა კარისაკენ, ერთი ჯუჯა-მაჯუჯა ტანის, თვალებდაჭყეტილმა შუახნის ნაგლეხარმა ერთბაშად იცნო ვაჟა და გამოექანა მისკენ...

— ლადო მოგიკვდეს და აღარ იყოს! ლადო მოგიკვდეს და აღარ იყოს! — თვალცრემლიანი შემოეხვია ქამარზე ლადო ვაჟას და გულაჩუყებულმა ზედიზედ მიუბრაგუნა თავი მკერდზე.

— ჰა, წირპლიანო, არ დაიხრჩო, — სინაზეშერეული სიმკაცრით მოუჩეჩა ვაჟამ თავი მასპინძელს და ეზოში უცერემონიოდ შეაბიჯა.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, მოგიკვდეს! — წუწუნებს ლადო.

— აღრე და მალე! სადა ხარ წირპლიანო, მე უნდა მოგაკითხო? — ნაწყენია ვაჟა.

— თუ გამეგოს, მე მოგიკვდე, ჩემი სულდგმულებიანად ამოვწყდე, როდის ჩამოხველ, როდისა, რო აღარ ვიყვე?! — ორი ბოცვერი დაიჭირა გზად. ყელთავქვე უკავია მარცხენა ხელში.

— მეკურდღლეობას მიჰყე ხელი? ნადია. გამარჯობა. — ლადოს ცოლს მიესალმა ვაჟა.

— რა პირი დაგიღია, მეჯვარე ჩამოგვივიდა... დროზე!.. — დაუთათხანა ლადომ ცოლს და ბოცვრებს კისერში დაჰკრა სასიკვდილედ მარჯვენა.

— რას სჩადი, ოხერო?! — არ ესიამოვნა ვაჟას.

— უიმე, ნათლი! — დაიძახა ნადიამაც და ხელუკუღმა გაუწოდა მოხვრილი ხელი ვაჟას.

— ერთი ჩახოხბეთ, მეორე შეწვით! — გასცა განკარგულება ლადომ.

— არა მცალია, წირპლიანო... საქმე მაქ, გვერდზე გამოდი. — ბიჭებს კაბეტები გადაუყარა ვაჟამ.

— მეკურდღლეობას მივდევ... ორასი ბოცვერი წინა კვირას გავასალე, მუმლივით მოედო... უნდა გავაწყო, გავანახევრო... აქვე ტყეა... ლამის შინ შემომიცვივდნენ ტურები, ისე იწევენ და ძალაობენ...

— ტყუილად ნუ წუხდები, ნათლიდედ! — გასძახა ნადიას ვაჟამ და ლადო გვერდზე გაიყვანა.

— ბალახი ქვეყნისა, ნედლობას — ნედლად ვაჭმევ.. თივას ვახმობ.. უთვალავი მყავს, მუმლივით მოედო. ტურა-მელის ტყავს კიდევ ცალკე ვაბარებ, ბათქი და ბუთქი გაგვიდის...

— ძროხა ხომ არაფერი დაკარგულა ახლო-მახლოებში, წირპლიანო?!

— არაფერი... რა იყო?

— დიდი, ჭრელი... რუსული...

— არა მეთქი, რა იყო?

— სამი-ოთხი დღის ამბავია, დაფიქრდი!

— მარტკივით ეიცი მთელი სოფელი, რად ვინდა ლაპარაკი... არა!

— არავის დაუჩივლია, მაშა?..
— არა, არა და არა. ვაჰ!
— ზახრუმა! წავედი.. წაბლა სადა ვნახო?.. — ჰკითხა ვაჟამ.
— თავის სოფელში... ხოლოთ იქ აღარა დგას, არხიპირზე გადასახლდა...
— წავედი... კარგა იყავით, ხალხნო, ნადია!..
— ჩაითუშა კიდევაცა... — ნაწყენი დგას ნადია.
ვაჟა გადის.

* * *

ბატის ბუმბულით აკორიანტელებულ ეზოში გერმით გატენილ ბარდანაზე ზის ვაჟა და ძველ მეინახე-მეგობარს უგდებს ყურს... სამი ქალი ფეხებშეკრულ ბატებს პუტავს და არხში ჰყრის ფრინველს. გერმას ტომარაში ტენიან...

— ერთი დეკეული დაიკარგა ამ ორი კვირის წინათ და ეგ იყო... სხვა ზარალი ჩვენ სოფელში არა ყოფილა რა... ისიც, გითხარი და გაგიმეორებ, პატარა, ჩვენებური ჯიშის, მურა საქონელი იყო.

— მარტო ამ ბუმბულითა ცხოვრობ? დავიხრჩე... — ბუმბულს იქშევს ვაჟა.

— ქარია, ეს ოხერი და... ღმერთს რბილად დაეძინება... არა უშავს... აუზი მაქ-მეთქი, აკი გითხარი... ოცი-ოცზე... ლიფსიტები მომყავს ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე მკლავის სიმსხო ჭანარსა ვყიდი... წყალი უქლოროა... წამო გაჩვენო... გერმა კიდევ, თავისი წონა ვერცხლი ღირს... მაღაზიაში რომ ბალიშს იყიდი, იმას პატარძალს ვერ დაუდებ, გაგექცევა...

— წყალზე ცხოვრობ, წაბლავ, წყალზე... — ვაჟამ ამხანაგს შეხედა...

— სამაგიეროდ წმინდა წყალია... ღამით უხეიროდ არავინ დამიკაკუნებს... ის მძორი გავაგდე... ახლა ესა მყავს, ეთერა, ჩობანას გოგო... ღღეში ას ბატს ისე გაგერმავს, წელზე ხელს არ მოისვამს... ეგრე!..

— ეგრე და ეგრე... სამსახურში არ გინდა ჩადგე?..

— ვდგევარ, მა, რკინიგზის ყარაულათა. ერთ სუდკას ვმუშაობ, სამს კიდე ვისვენებ. რომელი მოსამსახურე მაჯობებს, მიიხედ-მოიხედე... მაჯობებს? — გამართული ეზო და ორსართულიანი, აივნიანი სახლი მოათვალიერა წაბლამ კმაყოფილი თვალით.

ვაჟა წაბოდგა...

— დარჩი, ამაღამ გერმაზე დაგაძინებ, ბე... ჰე... — ჩაიცინა წაბლამ და ისიც წამოდგა...

— არა... მიმინოც უნდა ვნახო ამაღამ... — იუარა ვაჟამ.

— რომელი შორს ის არი-რო, ოთხი ვერსია აქედანა... დავქოქო? თაფლისფერ მცირელიტრაჟიან მანქანას გადახედა წაბლამ...

— საქმეს მიხედე... გავივლი, ფეხდაფეხ გაგყვები. — არხზე დაგდებულ საცალფეხო ხიდზე შედგა ვაჟა, დააქანავა...

— გაგიძლებს...

ვაჟამ ხიდი გადაიარა...

— გერმა ჩემზე იყოს, თუ რამე დააპირო! — გასძახა წაბლამ.

არხის პირს გაჰყვა ვაჟა, მინდორ-მინდორ... არხი ბატებითაა გადათეთრებული...

არხსა და ახლადაშოლტილ ხილის ბაღს შორის გუთნიან ტრაქტორს სარწყავი კვალი გაუკრია ცოტაზე და დამდგარა. ირგვლივ დატბორილია სავალი გზა. ჯეელი, თმაქოჩორა ტრაქტორისტი ამაოდ გათხუპნულა. ცხვირს იხოცავს. იფურთხება... ერთი ფეხებაკაპიწებული თოხოსანი ბაღში, სარწყავში დატლაპუნობს, წყალსა ჰკვალავს, მეორე ტლაპოიანი გლეხი ტრაქტორისტს ეჩხუბება.

— დროზე ჰქენი, ბედოვლათო, თორემ მოვიდა თოხი და ეგ არი! — მშრალ კუნძულაკზე იბერტყავს ტლაპოიან ფეხებს ტრაქტორისტის სიახლოვეს გლეხი.

— მოვიდა კი არა და ტოროლაი! გუთანს ჩავაბავ, გაჩერდება, ვერ იწევს, ჩავხსნი გუთანს და მოდის...

— გააწევინე, თორემ, მოვიდა-მეთქი! — ბუზღუნებს მრწყველი.

— რა სახრე დავკრა? არ იწევს და! — ითხუპნება ხუჭუჭა ტრაქტორისტი.

— მა აქა საკატაოდ წამოვედით, რო ჩახსნა და ვარბენინოთ?.. მიდი მეთქი!

— ჩაგიფლავებიათ აქაურობა, გზასა რწყავთ თუ ბაღსა? — ვაჟა მშრალი კორტოხიდან-კორტოხზე ხტის, გზას იმრუდებს უნებლიედ. ახლოსაა, ტრაქტორთან შეჩერდება.

— ვერ იწევს, ეს ოხერი... არა და ახალია... ჩავხსნი გუთანს მიღავღავებს, ჩავუბამ და ჩერდება...

—ლამის კლუბშიაც ემაგითი დადიხარ და რა ხეირი დაეყრება, რო — ბუზღუნებს გლეხი.

— ბუქსაობს ალბათა, რას იტყვი? — ვაჟა ტრაქტორზე ახტა, დაქოქა.

—ბუქსაობა კი არა და, ტოროლაი. — უნდობლად იკრიჭება ბიჭი.

ტუჩზე თითი მიიდო ვაჟამ. „ჩუმად იყავიო“, ანიშნა ქოჩორას. ძრავის მუშაობას ყურს უგდებს... ხან უკან გადაიწია და ძრავის ხმას მიაყურა, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ იწევა მთელი ტანით. ჩამოხტა, სანთელი გასინჯა, შეყოვნდა.

— ჩააქრე, ტოროლავ, და კოლექტორი მოხსენი! — უბრძანა ვაჟამ ტრაქტორისტს და გვარჯილის ტომარაზე ჩამოჯდა.

— კოლექტორი?..

— ჰო. კლაპნები დაგიწვია... ცოტაცა და ცხვირს დააცემინებდა შენი მოტორი... მოხსენი...

— ცხელია, გაცივდეს... — ტრაქტორისტმა იარაღი ამოჰყარა ჩანთიდან.

კიტრის ჭამა-ჭამით გამოდის მეორე გლეხი სარწყავიდან, უბითაც მოაქვს კიტრი.

— თუ ეს ტრაქტორი გარჩენს და პურს გაჰმევს, უნდა მოუარო კიდეც. შვილოსა, — იძახის კიტრიანი მრწყველი და კიტრს სთავაზობს ვაჟას. ვაჟამ კიტრი ხელით შემოწმინდა და გაკბიჩა.

— რა, კიტრი გითესიათ? — იკითხა ვაჟამ.

— ჰო, — კბეჩით უპასუხა მრწყველმა.

— მე ბეგონა, ხილსა რწყავთ, — კბეჩს ვაჟა გემრიელად.

— ერთიც ირწყვის და მეორეცა... არა სჯერა თქვენი ნათქვამი, განა, ტო-ლოლასა? ჰი!..

ღრმა სარწყავი კვალი გაჰყავს გუთანს. წყობისად მუშაობს ტრაქტორი. ჩქაფუნით მიჰყვება მღვრიე ნაკადი თხრილს...

კიტრის კბეჩა-კბეჩით შედის ვაჟა სოფელში...

ვაჟასნაირი გაქეცილი, აყრილ-ჩაყრილი სახლი უდგას ვაჟას მესამე ამ-ქსონს, მიმინოს.. მთვრალი გდია, სძინავს... ერთი-ორჯერ ამოად შეანჯღრია იგი ვაჟამ და ისევ ტახტზე მიაგდო... შავი ყვავივით დახურულძარიანი მანქა-ნა დგას ეზოში...

— ასე უბედურად როგორ გატყვრა? — ჰკითხა ვაჟამ მიმინოს ცოლს, კა-რების წინ გასასყიდად გატანილ ღორის ხორცს რომ უქშევდა ბუზებს...

— კარგი თქვი, თორემ გატყვრომა და ჩაცეცხვლა მაგისი მოგონილი არ არის?! ვაივაგლახით გამოზრდილ ღორს მანქანამ გაჰკრა გზაზე... ასები და ორასები ვისაც აშავია განა იმათსას მოუვა რამე... გაჰკრა და დავკალით... ნახევარი ძმაკაცებს შეაჭმევინა, ხუთი ფუთი გამოვიდა... რაც მჭლე და კარგი იყო, აჭამა, ეს ქონი და ლურთები კი გზაზე გამიკიდა, გაჰყიდეო. სუნთქი რომ გაუქრეს და აღარ გაახილოს თვალი! ვერა გდია მიცვალებულივითა... მი-წაში რო ჩასდო, დალურსმული, იქაც იმას გააკეთებს...

— ბალღები სადა გყავთ, ცარიელია აქაობა? — იკითხა ვაჟამ და ჯირკზე ჩამოჯდა...

— ჯანდაბაში, მაგისი თავი და ტანი.. გაღმა მყავს, დედაჩემთანა... მეც იქა ვარ... ხანდახან გამოვხედავ ხოლმე რომ არ დაიხრჩოს ეგ უბედურის გა-მოგონილი ეგა... გავეყარე, ჩვენებთანა ვარ, მაგრამ, არ მითმენს ეს დამწვარი ჯული და გამოვხედავ ხოლმე დროდადრო, რა ვქნა, აბა?!.

— მუშაობს, რას აკეთებს? — იკითხა ვაჟამ და გააბოლა...

— ჭირში მუშაობს. კინოპერედვიჟკაზე გდია... სოფელ-სოფელ დაძრწის. ეგე, შავი კუბოსფერი მანქანითა.

— სამწვადეიო, დეიდა დუსა... — მტვერში ამოგუნგლულმა, ფეხშიშვე-ლა გოგონამ მოაკითხა ჯამით ხელში.

დუსამ შეატრ-შემოატრიალა დაკიდული ხორცი, ჩამოაშრა, ბერკეტის სა-სწორის კაუჭი ამოუყარა... უწონის... თან ქმარსა თათხავს და სწყევლის...

— მიდი, ვაჟა, ერთი კიდევ გაანჯღრიე, ეგ სამიწე, ეგა, იქნება ანდერძი

მაინც ამოახველოს.. ეგრე ხომ არ იჯდები ბუსავითა.. არა და ჩემი ტყაპ-ტყაპიც ყელში ამოგიყვანე...

— ეს დღეს თვალის გამხელი აღარ არი, მე წავალ, დუსა... რო გაიღვიძოს, მუთაქის ქვეშ ბარათი დავუტოვე და... ნახოს...

— ეგერა, მწვადიც მზად არი, — ზედადგრიდან შამფური ააძრო დუსამ, — დავსხდეთ ახლა მე და შენა და... პირში ლუკმა ვინ დამაცადა. თათრის ჯარივით შემომასია... მოდი ჯერ ნუ წახვალ... ეგება ესეც გაცოცხლდეს ამასობაში...

არა... წავალ, — ორი თვალი მწვადი გააძრო შამფურს ვაჟამ, ჭამა-ჭამით გავიდა ეზოდან.

— დარჩი რა, ბიჭო? შემოეხვეწა დუსა, — დილაზე გათევზავებს, დვიჟოკის დენით იჭერს თევზებსა, დარჩი. — გულწრფელი თხოვნით აედევნა დუსა ვაჟას...

— არა! — ვაჟა სოფლის მტვრიან ქუჩაზე გავიდა...

• • •

მეორე დილით გამოჩნდა ვაჟა მხიარული და გაღიმებული.

ძროხა ისევ ეზოში იდგა დაუბმელი და ახალ-ახალ ბალახს უმარჯვებდა გოგია-ბიჭი...

საჭმელი არ აკლდა ძროხას, არც მოვლა.

— დაარქვით რამე სახელი? — იკითხა ვაჟამ მხიარულად და ქედზე მოუთათუნა ხელი პირუტყვს.

— უბედურებას არას გადამკიდო, შვილო, თუ ღმერთი გწამს! აბა, რა უნდა დავარქვათ?! ვინ იცის ვისია და რა ჰქვია, რა გამწარებული დაეძებს პატრონი, ვინ იცის?! — შეიცხადა დედამ და ხელი გაასავსავა.

— ორი დღე და ღამეა სოფელი აღარ დამიტოვია ამ ხეობაში, ძირიკუთხე გადავქექე, ვის არა ვკითხე, არავინ გამოჩნდა მაგისი პატრონი. მე როგორცა ვხედავ, ღმერთისა უნდა იყოს ეგ დალოცვილი. ის კეთილი კი, ზემოდან დაგვცქერის და აქამდე რით ვერ დაინახა და ვერ ჩამომძახა, ჩემია ეგ ძროხა და ხელი არ ახლოვო, — თქვა ვაჟამ.

— იცოდე, შვილო, მაგ ფიქრებს დაეხსენ, შემოგევლე, დაეხსენ მეთქი! სოფელია, ქვეყანაა! — ატეხა ქოთქოთი დედამ.

— დედი, შენ შენს პატარა საქმეებს მიხედე, სოფელმა თავისას და ჩემი საქმე კი მე დამანებეთ! დღესაც თუ არ გამოჩნდა მაგისი პატრონი, მერე ვნახავ... რაიონის გაზეთში გამოვაცხადებ, რამეს ვიღონებ... დარდი ნუ გაქვს. — თქვა ვაჟამ, ჯიქანზე მოუთათუნა ხელი ძროხას და ერთი ძუძუც ჩამოუწველა ანაზდად. მღვრიე ხსენი ჩამოიხაზა მიწაზე...

შებინდებისას, როდესაც ერთხელ კიდევ ჩაიარა სოფლის ნახირმა ხრიოკაანთ წინ და მიწყდა მათი ზმუილ-ჩლიქინი, ვაჟაანთ ეზოში, უკან-უკან სელით

შემოგორდა დაბურული სატვირთო შავი მანქანა. ალაყაფი ვაჟამ გაუღო სიგნალზე მანქანას. გალიაში დამწყვდეულ მიმინოსავით იხედებოდა მძღოლი კაბინიდან. ტყავის კურტაკის ჯიბიდან ორი ფილა შოკოლადი დააძრო მიმინომ ჩამოხტა თუ არა და გოგიას მიართვა.

— ვაჟავ, შორი რეისი მაქ და ამაღამვე უნდა მოვრჩეთ რემონტს. დილაზე დიდი რეისი მელის, — უთხრა შოფერმა და ვაჟას დედასაც მიაწოდა შოკოლადის ფილა.

— პური შევჭამოთ და ხელდახელ, — თქვა ვაჟამ.

— მე არაფერი მინდა, აი, შენ ხელობის ფული, სათადარიგო ნაწილები კი შიგ მიწყვია. გამზადებული დამახვედრე მანქანა, დილაზე უთენია მოვალ. ბიძაშვილი მყავს უნახაობით მომდურებული და წავალ. კარებს შევუღებ, თორემ, სხვაფრივ არ იქნება, — ფულის შეკვრა მისცა ვაჟას შოფერმა, დედას ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა, ბიჭს თმა აუქოჩრა და გასაღების ტრიალით გზას გაუყვა.

— ვინ იყო, შვილო? რა უნდა, შვილო? რისა მოგცა მაგდენი? ჰა, შკილო?! — ჩააცივდა დედა ვაჟას.

— ეს ამოდენა ბეხლეწი მანქანა უნდა გავურემონტო და იმის ფული მომცა. დაწმვიდდი, დედი, ჩემგან სისულელე შორს არი! — დაამშვიდა ვაჟამ დედა და მანქანას დაუტრიალდა.

* * *

ღამეა. ელექტრონით განათებულ მანქანას არემონტებს ვაჟა. გოგია-ბიჭი შის გვერდით ჩაცუცქულა და იარაღებს უმარჯვებს ბიძას. დროდადრო ჩაეყვინთება. დედა აივანზე სთვლემს, გოლიათი, ჭრელი ძროხა კი იცოხნის შორიახლო. ხანდახან ცოხნას შეწყვეტს და დაიზმუილებს ჩუმად.

— რაღაც ურიგოთა ტოკავს და ზმუის ეგ ღვთისდაკარგული პირუტყვი ეგა და ერთბაშად რომ რამე დაემართოს! — გადმოიძახა დედამ რიკულგაშვიათებული აივნიდან.

— გასწით ახლა, დაწექით, რა ჰოტებად იქეცით რო არ ვიცი! გაიქე, გოგია ლოგინში... ემანდ ბენზინში ამოიბანე ხელები და გაიქე! — უბრძანა. გოგია წამოდგა, ბენზინი ამოხაპა ვედროდან, ხელების სრესით მიმოუარა ძროხას, დაუზმუელა მისებურად, ონკანზე გადაიბანა ხელები და შინ გასწია.

— გესმის, დედი, რა გითხარი და რას გეუბნები?! — კვლავ შეუძახა ვაჟამ მთვლემარე დედას.

— სანამ ვერო არ დაბრუნდება საკრამიტოდანა, მე ფეხს არ მოვიცვლი, — იუარა დედამ.

— აქ არა ვარ, შენ რაღასა ცოდვილობ, თუ გგონია, რომ ჩემი შიშით ვინმე ხმას გასცემს ვეროსა?! წადი-მეთქი! — გაუმეორა ვაჟამ, დედისაგან უხილავი მხრიდან წამოუწვა მანქანას, ძროხას გახედა და კარგა ხანს უყურა ისე. მან-

ჭანიდან ამოყრილ რბილ სავარძელზე გადაწვა მერე ვაჟა. სავსე მთვარეს მთლიანად ჩაეყლაპა მანჭანის თავთით გამოკიდებული ელნათურის შუქი...

დაღლილი ნაბიჯებით აიარა ვერომ დაბრეცილი აივნის კიბე. ვაჟამ წამოიწია:

— მოხვედი, ვერო! — ხმადაბლა მიადევნა დას და წამოჯდა:

— უი, როგორ ვერ დაგინახე! — შეიცხადა დამ და მარდად ჩამოირბინა კიბე. განა არა, ვიფიქრე, რას უზიხარ? ბელაზების საკითხი გადაწყდა. ჩვენ გადმოგვცეს — ახარა ვერომ ძმას.

— კარგი უქნიათ! ცოტაღა დამრჩა, ვერიკო, მივუკაკ-მოვუკაკუნებ და შემოვალ...

— პირველი დაიწყო, ზოგიც დილისათვის გადადე. — სთხოვა დამ.

— არა, საჩქაროა, უთენია სჭირდება პატრონს.

— მოადგილემ ვერ გადაწყვიტა შენი საკითხი, დირექტორი მივლინებაშია და...

— მოვლინდება, სად ჯანდაბაში წავა... გოგია კი ძალიან ბიჭია! საათივით უმუშავებს ტვინი, ხელიც კარგად მოსდევს... აქამდე არ მომშორებია.

— რას ამბობ! მაგისი ღმერთი ხარ!.. ბიჭებშიაც გაშალა მხრები. იცი როგორა ჰიდაობს! — ამოდი, ამოდი, ვაჟა! — მოფერებით ჩამოსძახა ვერომ ძმას...

ერთხანს კიდევ იჯდა ვაჟა, როდესაც სახლში ჩამი-ჩუმი მიწყდა, წამოდგა, სავარძლები ადგილებზე შეაწყო კაბინაში, ეზოში სინათლე ჩააქრო და სარდაფში ჩავიდა. სინათლე აანთო ჭერდაბალ სარდაფში ვაჟამ და სალეს ჩარხზე იწყო ჟანგმოკიდებული დანების ლესვა. ორი დანა გალესა. ერთი გრძელპირიანი და ვიწრო, მეორე კი თხელპირა და განიერი დანა ააფხავა, მკლავზე ჩაისხეპა ბეწვი მშრალად, დანები ხარახურით გაჭედილ თაროზე დააწყო უროს გვერდით და კვლავ ეზოში გამოვიდა, ჭიშკარს გარეთ გავიდა ვაჟა, დღის სინათლის ნათურებით გაკაშკაშებულ ქუჩას გახედა, მერე შემობრუნდა, ალაყაფი ჩახურა და ძროხასთან გაჩნდა... გარშემო შემოუარა ფერმკრთალ შუქზე ზვინად ამდგარ პირუტყვს, მერე დაკვირვებული თვალით მიაჩერდა დაწეულ მუცელზე და დაცურებულ საშოზე, ყური მიუგდო. ძროხა დიდხანს არ ჩერდებოდა ერთ ადგილზე, ზმუოდა ხმადაბლა, უთავბოლოდ მიდი-მოდიოდა კუთხიდან კუთხეში და თითქოს დაკარგულს დაეძებსო, ისე ყნოსავდა ხან მიწას, ხან რკინას, ხან ღობეს.

სარდაფთან მიდენა ვაჟამ პირუტყვი და ქვამარილის ლოკვით ფრთხილად ჩაიტყუა შიგა. ძლივს შეეტია ორყბიან კარში ძროხა, უკნიდან მიწოლაც კი დასჭირდა ვაჟას. ერთხანს უმოძრაოდ იდგა ძროხა ნესტიან სარდაფში, ზურგით კარებისაკენ. მერე, ერთბაშად გაიწია წინ და ლამის კედლამდე მივიდა. რაღაცა გატყდა, რაღაცამ დაიჩქარუნა.

დიდი ხუთასვოლტიანი ნათურა ჩახრახნა სასწრაფოდ ვაჟამ, პატარა ნათურის ნაცვლად მცირე წყვდიადში რამდენჯერმე გაბმით დაიზმუვლა პირუტყვმა და რაღაც ძველი ნივთის ჩხარუნი და დაცემის ხმა გაისმა კვლავ.

ხუთასვოლტიანმა ნათურამ სარდაფი გააკაშკაშა. ყველაფერი მიმოიძია

ძროხამ სარდაფში მოურიდებელი ბორძიკ-ბორგინით, ერთი კიდევ დაიზმუვლა და ვაჟასაკენ შემობრუნდა მთელი სხეულით.

ვაჟას მარჯვენა ხელში ურო ეჭირა...

კვლავ გაბმით დაიზმუვლა ძროხამ, დაკიდებული მუცელი ადგილზევე გააქანა და ვიდრე ვაჟა უროს შემართავდა, ძროხა მიწაზე დაეშვა. ერთბაშად მოწყვეტილი დაეშვა ძროხა, კვლავ დაიზმუვლა და კისერგაწეულმა დრუნჩი სხეულის სასრულამდე მიიტანა. იმ სასრულამდე, საიდანაც წამდაწამ ახალი ცხოვრების სათავე იწყებოდა, ახალი სულდგმული მოიწევდა წინგაწვდილი წყვილი ჩლიქითა და ზედ დანდობილი ლამაზი ჭრელი თავით.

ურო დაუშვა ვაჟამ, მიწაზე დააგდო, თაროდან ცარიელი ჯვალო ტომარა ჩამოაფრიალა და საფენად დაუგდო მომავალ სულდგმულს. მკლავებიც დაიკაპიწა, კიდევ ერთი ფალასი მოძებნა თაროზე და ხელსაფრიანი ხელებით მისწვდა ხბოს წინა ფეხებში.

ახალ გარემოს შემგუებელი ფრუტუნითა და ცხვირცემინებით მოიწევდა ჭრელი, ლაძაზი, შაქარჩლიქება არსება გარეთ, სამყაროდან — სამყაროში. უკანა ფეხებიც გამოუკრიბა ვაჟამ ხბოს და ფეხგართხმით დაჯდა გრილ მიწაზე. ერთხანს ასე იჯდა ვაჟა და მერე, ძროხის, ხბოსა და საკუთარი ნაფალავნარი სხეულით დავიწროებულ სარდაფის კედელს მიეყრდნო ბეჭებით. ძროხამ ჩუმად დაიზმუვლა და რამდენჯერმე აუსვა ენა ჭრელ ხბოს.

წამშესვენების შემდეგ წამოდგა ვაჟა, ჯვალოზე წამოჩოქილი ხბო დედას მიუცურა ტომრიანად, სალოკად უმარჯვა, იქვე კოფოდან მარილი გადმოიყარა ხელისგულზე და სველ სხეულზე მიმოუბნია ხბოს. მეტის გამალებით უწყო ლოკვა დედამ შვილს. უფანჯრო სარდაფში ჰაერი მოხრჩობილიყო. დახშული კარი გამოაღნიოშა და მაისის ღამის საამო ჰაერი მეკვლესავით შემოვიდა და შემოევლო იქაურობას.

მამლის ყივილზე აიღო მკერდზე დაგორებული თავი ნესტიან კედელზე მიყუდებულმა ვაჟამ. გალოკილ-დავარცხნილი, ჭრელი, ლამაზი დიდი ხბო ბზინავდა გადაკაშკაშებულ პატარა, ნოტიო სარდაფში.

ნელ-ნელა აიმაღლა მზერა ვაჟამ და მიმინოსთვალება, შავკურტაკიანი ამხანაგი დალანდა ზღურბლზე. ვაჟამ მას შეხედა. მიმინომ დიდხანს არ შეატოვა მზერა ვაჟას და ძროხა დაათვალიერა. ჯერ შორიდან, მერე ახლოსაც მოდგა. მის მოახლოვებაზე ერთბაშად წამოიხლართა უნდო ფეხებზე ხბო, დედაც წამოდგა, ვაჟაც ნელ-ნელა ადგა. მიმინოსთვალებამ ხბოს ჯერ ხელი გადაუსვა თავზურგზე, მერე კი ორივე ხელი ამოსდო მუცელქვეშ, რამდენჯერმე მოაცილა ჭილოფს ოთხივე ფეხით და კვლავ დაუშვა ძირს. ხბომ ცოტა ხანს იტოკა და უხეიროდ, მაგრამ ღამაზად გაწვა ტომარაზე..

შეკითხვის ნიშნად დაუქნია თავი მიმინოსთვალებამ ვაჟას. პასუხის ნაცვლად გააქან-გამოაქანა თავი ვაჟამ, წამოდგა და დაღლილი, მაგრამ თანაბარი, გადაწყვეტილი ნაბიჯით გავიდა გარეთ. ზღურბლს გადაცილებულმა ვაჟამ პაპიროსი გამართა და ასანთი გაჰკრა.

გეერდით გაუარა მას მანქანის პატრონმა და ეზოში გავიდა. ნელა, აუჩქარებლად ჩაჯდა იგი კაბინაში, ფანჯრის მინა ჩამოწია ვაჟას მხარეზე და მანქანა დაქოქა. ვაჟა ისევ ისე იდგა და აბოლებდა. შავკურტაკიანი, მიმინოსთვალება შოფერი ადგილზე ამუშავებდა მანქანას, შიგადაშიგ უსიტყვოდ გამოხედავდა ხოლმე იგი ვაჟას. ჩამოწეულ ფანჯარას მიუახლოვდა ვაჟა, ჯიბიდან ფულის შეკვრა ამოიღო და კაბინაში ჩაუგდო შოფერს. მანქანა შეუმჩნეველად დაიძრა ადგილიდან, დაბრეცილი ჭიშკარი ამოავსო შავი, დახშული ძარათი და თვალთაგან გაქრა. ჭიშკარი აღარ მიუხურავს ვაჟას, ღია დააგდო...

ბოლომობდღვნილმა მამალმა ისეთი ძალით იყივლა, რომ კინაღამ შეაკრთო სახლის კიბეზე ჩამომჯდარი ვაჟა.

თენდებოდა. ხმა და მოძრაობა ჩნდებოდა ირგვლივ. დედაზე ადრე ვერო გამოვიდა შინიდან, საქარხნო ტანისამოსში გამოწყობილი, საშესვენებო საუზმით ხელში გამოვიდა და ერთბაშად შეიდგა. არ მოელოდა იგი ამ უთენია კიბეზე მჯდარ ვაჟას. ცოტას შეყოვნდა ვერო და იმის ნაცვლად რომ კიბეზე ჩამოსულიყო, მოაჯირს ეცა და აივნიდანვე ჩახედა ძროხის ნადგომ ადგილს. ძროხა იქ აღარ ება. ვერო ადგილს მოწყდა და კიბეებზე ჩარიხინდა. გზად ერთი შეყოვნდა ძმის სიახლოვეს და თავქუდმოგლეჯილი გაიჭრა. ძროხის ადგილამდე აღარ მისულა ვერო, ისე შემობრუნდა ხუთასსანთლიანით გაჩახჩახებულ სარდაფის გასწვრივ და თითქოს სული მოითქვაო ღრმად ჩაისუნთქა დილის მაგრილებელ ნიავში განზავებული დედისა და ახალშობილი ჭრელი, საფურე ხბოს უჩვეულო სურნელი... ვერო სარდაფში ჩაქანდა და მუხლმოყრით მიეხუტა დიდ, ჭრელ ძროხასა და დედისფერ ხბოს... რამდენიმე ხნის შემდეგ დედა და ჩანთააკიდებული გოგიაც შემოემატა მნახველთა რიცხვს. აღარც სკოლა, აღარც საქმე, აღარც სამსახური. ყველა საქმე და ყველა საკითხი ერთბაშად გაუფერულდა და გაქრა ხბოსა და ძროხის გარშემო გარინდული სამი თაობისათვის, თანაბრად ბედნიერი ექვსი არსების სუნთქვით ივსებოდა და იტენებოდა დაობებულ-დანესტიანებული სარდაფის მთელი სივრცე. ეს ბედნიერი ამონასუნთქი უხმო ჟავლად მოედიხებოდა ორყბიან სარდაფის ღია კარში და უკომპრომისო რწმენით ავსებდა ეზოს, სახლ–კარს, ღია ალაყაფში მიედინებოდა და სოფლის სუნთქვას უერთდებოდა და ესადაგებოდა...

ამ სუნთქვას, ამ სახლისათვის უჩვეულო ჰაერის ნაკადს გაჰყვა ვაჟა ნელა, მოღლილი ნაბიჯითა და გაურკვეველი მიმართულებით მიდიოდა... სოფელში დღის სინათლის ნათურები ქრებოდნენ და მზის ნათელი კვალავდა გზას. ბენზოკალონკასთან დარაჯი ბორიალობდა, ვაჟას ძმაკაცი ჯერ არ მოსულიყო. სასოფლო საბჭოს წინ, რწმუნებულის პატარა ფინურ სახლთან ჯერ არა ჩანდა ბიძინას მოტოციკლეტი. უმისამართოდ, მაგრამ არა უაზროდ დადიოდა ვაჟა სოფლის ქუჩებში, და თითქოს პირველად ხედავსო, ისეთი მძაფრი ჭვრეტით ათვალიერებდა იგი ყოველივეს. შემხვედრი მეტი ჩანდა თანამგზავრზე. რამდენიმეს საპასუხო დილა მშვიდობისა გაუგზავნა ვაჟამ, თუმცა ცნობით კი არავინ უცვნია და კელავ სვლა განაგრძო...

როგორც დიდ სასოფლო სანახობისას, ახლაც ისე მოედინებოდა ხალხი. ვაჟაანთ ეზო ხალხით ივსებოდა, ივსებოდა და ისევ იცლებოდა. ერბო აიკრიფე-ბაო, ნათქვამი რომაა, ისე დაეკრიალებინათ მთელი ეზო ვაჟას დედასა და დას. მწვანე ბალახის მთელი გორა ეხვია ჭრელი ძროხის წინ. მსუყედ შეექცეოდა მოვლილი და ნაპატივები პირუტყვი მაჭარივით ბალახს, მუხლმომაგრებულა დიდი, ჭრელი ხბო თავდავიწყებით უკლიქინებდა ლამაზ თავს დედის ვეებერთელა ჯიქანს და თვალწინ იზრდებოდაო თითქოს... გოგიაც იქვე ტრიალებდა, ბალახს უმარჯვებდა საქონელს, ახალ-ახალ ნათიბს უმარაგებდა და უწვდიდა პირუტყვს. მეტისმეტად კი არ უტკბებოდა და არ ეფერებოდა; კაცი ვარ და გულჩვილობა რას მიქვიაო!

ღანდათან იკლო ხალხის რია-რიამ ვაჟაანთ ეზოში და ამბის ქარავანიც სოფლის სხვადასხვა კუთხეში გაიბნა და გადანაწილდა...

ყველაზე ბოლოს, მნახველთაგან ეზოში ბიძინას მოტოციკლი შემოგრიალდა, მსხვილფეხა კომპლექსის დირექტორი ეჯდა უბნის რწმუნებულს მანქანაში. საქონლის სადგომის მოშორებით დააყენა მოტოციკლი ბიძინამ და ჩამოქვეითდა. კომპლექსის დირექტორი ძირს ჩამოვიდა და საქმიანი იერით მიუახლოვდა ძროხას.

— მშვენიერი ნაყოლია, არავითარი გართულება! ნახე, რა ხბოა, თანაც საფურეა, იღბალი ჰქონიათ?! — თქვა დირექტორმა და რამდენჯერმე ჩამოწვა-ლა ძროხა.

— არაფერი რომ არ დაგვიკლია, არც ჩემს ვაჟასა, არც ჩვენა, შვილო, ღვთით მოგზავნილივით მივიღეთ და ვუპატრონეთ... აბა მე იმდენი რა გამეგება ძროხისა და ხბოსი, თუ დაგვიჯერებთ მეწველი თხაც არ გვყოლია, აი, ამ წყვილი ძუძუთი მყავს ორივენი დაზრდილები, თუ დაგვიჯერებთ.

— რას ამბობ, დედი, დავიჯერებთო, აბა მაშ როგორ, ვაჟა სად არი? — იკითხა რწმუნებულმა...

— ხალხს თუ მოერიდა, შვილო, სოფელსა, დილას სადღაც გავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა, დედა შემოეელოს! ეს იმან იმარჯვა, თორემ, მე მაგისთანა საქმისა არა ვიცი რა და იქნება კიდეც დამხრჩვალიყო ხბოცა და დედასაც გასჭირებოდა, ჩემ ვაჟას რომ ღმერთი არ ეთია და არ დახმარებოდა... არც მე მომიხუჭავს თვალი, ვჩუმჩუმელაობდი...

— ვიცი, დედი, ყველა წვრილად ვიცი... მე ადრეც ვიცოდი, მაგრამ ბევრმა ხეტარამაც გაიგო და ეს უფრო მეტად მახარებს! — თქვა რწმუნებულმა და აგდებით შეხედა მეურნეობის დირექტორს...

— მე ვაჟას სიმარჯვეში სულაც არ მეპარებოდა ეჭვი, — ჩაილაპარაკა დირექტორმა და განაგრძო:

— დედი, ახლა საქმე ასეა: ეს ძროხა კვლავ ფერმას დაუბრუნდება პირველ ხანებში თავის ხბოიანად, შემდეგ კი, როცა მოიჩიტება და ჰამას შეიძლებს, ხბოს თქვენ გადმოგცემენ და თქვენ იცით. მოუარეთ, იყოლიეთ, გაამრავლეთ, წველა გექნებათ, კარაქი, ყველი, გოგიაც არ დაიზარებს, მოუვლის...

— გოგია, შვილო! — გასძახა ვერომ შვილს, მაგრამ პასუხი არავის გაუცია...

უბნის რწმუნებული ერთბაშად გამოერკვაო თითქოს, ისე შეცბა და შექანდა... კომპლექსის დირექტორისთვის აღარც კი მიუქცევია ყურადღება, ისე მოახტა მოტოციკლს და მტვერიღა დარჩა მისგან...

ჩასვლისასაც შეინიშნებოდა გიორგი სააკაძის ძეგლთან მიჯუფული ავტობუსი, გლეხების ბუზღუნი და შოფრის ყაყანი, მაგრამ, გარკვევით კი მხოლოდ მაშინ გაარკვია ბიძინამ, როცა უკან გამოსწიეს და როცა მოტოციკლმა სააკაძის მოედანს შემოუარა. სიძეყოფილი, კაკო შოფერი, გოგია-ბიჭის მამა ცხვირმიჭეჭყილ ავტობუსთან მიეჯუფთათ საბაზრედ გამზადებულ გლეხებს და გასაქანს არ აძლევდნენ.

— შვილი ხარ, შვილო, თუ წინდიჩხირი, მოდი, მომხედე, შემჭამეს ბლიაშვილებმა, ვერა ხედავ. გინდა თუ არა ძალაზე გაგვიკეთე შტუკაო. აი, ამ ჩვენი დიდი მამულიშვილის სახელსა ვფიცავ, თქვე ორდაათშაურიანებო, თქვენა, ჭიფათი თავისთავად მოხდა, კრაზმა ბელაზს აუქცია, იქიდან კიდე ქიგულმა დაიძახა უკმელი გოჭივითა. უკნიდან ვოლგა მომდევდა, რა მექნა? იოლი ფათერაკი ვარჩიე. ბიძინა ბატონმა განსაჯოს... ეს ცეცხლწასაკიდი ბალი და საადრეო ატამია ზარალი, წყალი დაიქცა, სისხლი ხო არა! თქვე ურჯულოებო, თქვენა. ჩამომაწოდე დიდო გიორგი ეგ ხმალი, ჩამომაწოდე, რომ ერთი მუსრი გავავლო ამ გინგლიანებსა და მერე ერთი მეც დავითხლიშო შიგ თავში, რომ მეც აღარ ვიყო, არც მე ვარ კაი კაცი, შვილო გიორგი, ბიჭო-გოგია, მოდი, პატარა ხანს დამემძევლე ამ ნარდიბანდებში. გავიქცევი, კარგ რწმუნებულს მოვიყვან. სააკაძემ ირანში დაუმძევლა იმ სისხლისმსმელ აბაზა-შაჰსა თავისი პაატა-ბიჭი და პატარა ხანს აქ გაჩერდი, ხო არ შეგჭამენ. მეზობლები არიან, ჭართველები, ორი ატმის გულისათვის ხომ არ მოგაჭრიან თავსა, მოდი.

— მიდი, გოგია, მიდი გენაცვა, მართლა გასაჭირშია მამაშენი რაკიღა ეგრე გეძახის... დედაც თანახმაა შერიგებისა-თქო, უთხარი... მე კიდევ გლეხებთან მოვაგვარებ საკითხს, ზარალს აღვნუსხავ.

ბიძინამ გოგია მამისაკენ გაგზავნა, თვითონ კი გლეხკაცებს უხმო თავისკენ.

— დაზარალებულები აქეთ მოდექით, გავარკვიოთ! — გასძახა ბიძინამ საბაზრედ გამზადებულ გლეხებს.

— დაზარალებული ატამია, უფროსო, — დაიძახა კაკომ, — ნელა გადაიარეთ, აქაოდა ჩემი საზღვევია, ფეხით ნუ გამითელავთ. სხვა არა იყოს რა მოედანი გაბინძურდება... მოდი, შვილო! — მკლავები გაშალა კაკომ და გულში ჩაიკრა შვილი...

დიდი მინდორია მოსახნავად გამზადებული. ერთი ხნულით არის შემო-

არშიებული ველი. ეს კი იმის ნიშანია, რომ ოლეზე გაჩერებული ტრაქტორი დაიწყებს შემონიშნული ველის გადაბრუნებას. მაჟალოს ბუჩქნარში ოლეზე რომაა ამოსული, ვაჟა წევს. ტრაქტორთან არავინაა სხვა. ტუჩმოტეხილ ხელადას ბორხვენა ფოთოლი აქვს გადაფარებული ყელზე. ფოთოლი ჩამომჭკნარა გაგანია სიცხისაგან, ზედ ჩამოჰკოლგვია სურას. ვაჟას სიახლოვეს ბაბუაწვერები ქერქეტობენ, დროდადრო შეუბერავს ხოლმე ვაჟა მათ და თვალს აყოლებს თეთრი ფიფქების ფარფატს.

ვინ არის
რას ამბობს?!

ოცამდე კარგად შეიარაღებულმა მხედარმა, მარქაფა ცხენების თ.ხ-ხლებით, კავკასიონის სამხრეთი კალთა შეათავა. მხედრები შედგნენ, ცხენები შემოაბრუნეს და ალაზნის ველს გადმოხედეს. მზე დასავალს მიეშურებოდა. ვენახებითა და ყანებით მოხატული ალაზნის ველი თიღისმად ენთო.

ზურაბ ქართველაძე, ორმოციოდე წლის ვაჟკაცი მხედარი ჩამოქვეითდა, მუხლი მოიდრიკა და სამჯერ მხურვალედ გადაიწერა პირჯვარი. მხედრებმა ბატონს მიბაძეს. ყველა მხურვალედ იწერდა პირჯვარს, გარდა ერთისა, რაზმის მეგზური, დაღესტნელი, ჭუსლიმი ყონაღი გარდათ ზურაბ ქართველაძისა. იგი პირიქით, დაღესტნისაკენ შებრუნებული, მცირე ხალიჩაზე მუხლმოყრილი ალაჰის სადიდებელ ნამაზს აღავლენდა პირისახის სრესვით და ვიდრე ნურაბდალი ნამაზს აღავლენდა თვალებმილულული, მხედრებმა ცხენებს ნაბდები-ამოაკრეს ფლოქვებზე.

მეგზური ლოცვას მორჩა და ცხვირკეხიან ყაბარდულზე ამხედრებულმა რაზმს ანიშნა, მომყევითო. რაზმი ვიწრო ბილიკებით, უხმაუროდ დაეშვა დაღესტნისაკენ.

ალპური ზონა ჩაათავეს. ტყის პირას შეაჩერა მეგზურმა რაზმი. მისი უბმო წინადადებით, მხედრების ნაწილი, თავისი მარქაფა ცხენებითურთ ამ ტყეში ჩასაფრდა არიერგარდად. ზურაბმა თავისი რაზმის ნაწილით, მეგზურთან ერთად თავქვე განაგრძო გზა.

მიდიან ტყე-ტყე. ჩაივაკეს თითქმის. ბინდდება. ბანი-ბანად გადაბმული და პირამიდად აღმავალი ავართა აული მოჩანს ტყის პირიდან, სადაც ზურაბმა და მისმა რაზმელებმა დაიდეს საფარი. სოფლისაკენ მიედინება ნახირი, თხ-სა და ცხვრის ფარები. ქალი, კაცი, დიდი, პატარა, საღამოს ჟამს ფუსფუსს მისცემია. მიხარეთზე გადმომდგარი მუეძინი საღამოს ლოცვისაკენ მოუწოდებს მრევლს.

საფარში მყოფი მხედრები ცხენებს საკაზმს უხალვათებენ, ნაბდებს ხსნიან ფლოქვთაგან და ღამის გასატეხად ეწყობიან. ზურაბი და დაღესტნელი მეგზური, ნურაბდალი, ტყის პირიდან აკვირდებიან ავართა ფიჩხასავით აგებულ აულს.

დიდი აულიდან ხევისაკენ ეშვება საურმე გზა, ტყის პირის სიახლოვეს მოიგრაგნება, ფერდობზე ამოდის, გაიშვიათებულ კორომს გაივლის, შემდეგ, ცალი განშტოებით, კვლავ სოფელს უკავშირდება, აღმოსავლეთიდან, ხოლო, მეორე, გაშარავებული შტოთი ხევსგამოღმა გადმოხურჯინებული სოფლის მე-

ორე ფრთას ერთვის ერთი ნაკადით. დანარჩენი, დიდი ნაწილი გზისა სხვა სოფლებისა და მხარეებისაკენ მიემართება. გზის უხმო შესწავლის შემდეგ ზურაბმა პირჯვარი გადაიწერა, ხეს მიეყრდნო ზურგით და განთიადის მოლოდინში ფიქრებს ძიება ფხიზელს. ზურაბის ყონაღი, ნურაბდალი მუეძინის მოწოდების შესასრულებლად, მუხლმოყრით მოკალათდა მცირე ხალიჩაზე ფეხშიშველი და ჩამოწვერილი ლოყების სრესვით ნამაზის აღსრულება იწყო.

სისხამი დილაა. ზურაბის საფარიდან მთელი სოფლის ბოძრაობა მოჩანს. განსაკუთრებით გზის ის მონაკვეთი, რომელზედაც, ავარელი ყონაღის სიტყვით, ზურაბის ათი წლის დაკარგულმა ქალიშვილმა, პატარა ქეთომ უნდა გამოიაროს. დაობლებული მეგობარი ქალიშვილის, ყოფილი ნაიბის ასულის ნუგეშისაცემად ძიძავალმა ქეთინომ. ზურაბის გულის ბაგუნი მთელს ტყეში ისმისო თითქოს...

გაიარეს ბიჭიბავებმა უნაგირებში გაჩრილი ცელებით, რამდენიმე ჯგუფად გაიარეს.

სოფლის შუაგულში დაგროვილი ნახირიც დაიძრა და ძოვა-ძოვით გამოუარა საფარს. ნახირიც მითაკდა. ჩოჩიალა ცარიელი ურმების მცირე ქარავანმაც ჩაუარა ზურაბისა და დაღესტნელი ყონაღის საფარს...

ზურაბს ყელი უშრება მღელვარებისაგან, მათარას მოიყუდებს. საფეთქლებსაც შეიზელს წყლით. მარილით დატვირთული ხუთამდე ურემი შემოვიდა სოფელში. მეწინავე ურმის კოფოზე შეიარაღებული მეურმე ფხიზლობდა მხოლოდ, ძოძყოლ ურმების პატრონებს დახოცილებივით ეძინათ ტომრებზე...

მხარზე თუნგშედგმულმა, შარვლიან-ჩადრიანმა ქალების ჯგუფმაც ამოიარა ხევი, გამოღმა შეფენილ ბანიან ვიწროებში გაუჩინარდნენ თუნგიანი ქალები.

ზურაბი ყონაღს ხელებით ანიშნებს, როდის დადგებაო სანატრელი წამი. ყონაღი დარწმუნებული კაცის სიმშვიდით უქნევს თავს: „ყველაფერი რიგზე იქნება, ნუ ღელავო“, —ღაღადებს წვერგრძელი ავარელის მშვიდი სახე.

მზე ზენიტზე შემოდგა. მერე ნელ-ნელა გადაიხარა. ტყის სიღრმეში ათი თავგანწირული მხედარი მზადყოფნაშია განაპული...

მოთვალთვალე ავარელი ყონაღის თვალი ერთბაშად იძაბება: დაღესტნურ ჯაიდაზე, მდიდრული სინატიფით მოკაზმული ქალიშვილი ხევს ამოსცდა. თავისუფალზე გაშოსულმა გოგონამ ჩადრი აიხადა და ღიღინს უმატა...

ყონაღმა ზურაბს ქალიშვილზე მიუთითა. ზურაბს გული გახეთქვაზე უცემს. სახე ეხმუკნება, უთავისუფლდება და კვლავ ჰმუნვით ელარება. თხელ ტყეში შემოახათა ქალიშვილმა. ტკბილი აღმოსავლური ბაიათი ეფინება ტყეს.

ზურაბი ყონაღის ნიშანზე ზურგიდან აედევნა გოგონას. ერთი მწარედ იკბინა გულდაკოდილმა შამამ და მარჯვედ აითათა ღიღინით ტყიდან გამავალი ქალიშვილი.

— მამა ვარ, შენი, შვილო, მშობელი მამა! — შესძახა ზურაბმა.

ჩადრის ჩამოშლა ვერ მოასწრო ქალიშვილმა, შვილის სახეს მონატრე-

ბულმა მამის ფართო ტკერდმა გაუწია ჩადრობა თავადის დაქალიშვილებული ასულის უნაკლო სახეს.

მშვიდი ბაიათი თავგანწირულმა კივილმა შეცვალა. ფოცხვერივით გაიბრძოლა მშვეხიერმა არსებამ ვაჟკაცი კაცის ბკლავებში.

— მაძა ვარ შენი, შენი მამა! — სწრაფად და შთამაგონებლად ჩასძახა სანუგეშო სიტყვა ზურაბმა შვილს და, რომ ნახა ქეთომ კივილს უმატაო, აღარ დააყოვნა და ტყეს მისცა თავი ნადავლიანად.

ტყეშიაც ჰკიოდა ქეთო და დასხლტომას ლამობდა, მაგრამ, ზურაბი თავის საქმეს ელვის სისწრაფით აკეთებდა: მარჭაფა ცხენის უნაგირზე სათუთი სიმტკიცით აკრავდა შვილს ავარელი ყონაღის დახმარებით. ეს უკანასკნელი პირზე ხელს აფარებდა მაწივარ-მაკივარ ქეთოს და ვარულ ენაზე, სხაპასხუპით უყვებოდა მას, რომ: ზურაბ ქართველაძე მამა იყო მისი, ნამდვილი მშობელი მამა. „ყარა-ყურა, ყოინი-ყარ, ია-ყუურა ხეირი-ხაორ“, — უყვებოდა, რომ, ათი წლის წინათ ძოიტაცეს იგი, ორი წლის ჩვილი და ნაიბს, უშვილო ჰაიდარსა და მის მეუღლეს მიჰყიდეს, რომლებმაც იგი შვილივით გაზარდეს, ლაილა დაარქვეს ქართული სახელის, ქეთოს ნაცვლად.

ქეთომ პირბადიდან დაკბინა ავარი, არამკითხე თანამემამულე და, არც ერთი მისი სიტყვა ყურში არ შეუშვა...

მოდიოდხენ ჭენებით, ტყე-ტყე, ხევ-ხევ, მთა-მთა. დრო და დრო ისეთს დაიკივლებდა პატარა ტყვე, რომ ზურაბი გმინაედა და ცრემლიან თვალებს მუშტებით ისრესდა...

ქეთოს ძაძობილის სოფელი კივილმა შეაზანზარა. შუახანს გადაცილებული ნაიბი ბათრახს იცემდა სხეულზე მდევრის შეგროვების მოლოდინში. ჩადრით მოსილი ქალები კივილითა და სახის ხოკვით, უწყვეტ ნაკადად ემატებოდნენ აივახს და გულწასულ აიშეთს, ნაიბის მეუღლეს წყლით აბრუნებდნენ. მინარეთზე ძუებინი გაჰკიოდა ლოცვანს. სათვალთვალო კოშკებზე ცეცხლები ჩნდებოდა...

თითო-თითოდ ემატებოდა მხედარი მხედარს. ნელ-ნელა დგებოდა მდევარი. მძიმე თავის დახრით ესალმებოდნენ ეზოში გაბოსული მხედრები ნაიბს, რომელიც ცეცხლწაკიდებულივით მათრახით იცემდა სხეულს. საკინძეჩახეულ ხალათს ქვევიდან მათრახის ცემით დაზელილი კანი ლურჯ-წითლად უჩანდა ნაიბს. დროდადრო, იმამ-ჰაიდარი ლაგმიჭამია ულაყს მოევლებოდა, ეზოს მაღალ კედელთან ძიაგდებდა ჭენებით. შემობრუნდებოდა, მდევარს გადათვლიდა და მხედართა სიმცირისაგან თმენადაკარგული საშინელი ღრიალით შეიჭრებოდა საკუთარ რაზმში. ხმალგაშიშვლებული გამეტებით ეფარიკავებოდა მხედრებს, ყველას ერთდროულად, თითქოს საკუთარი რაზმის დაჩეხვა სწყურიაო... გამხეცებული ვარჯიშის შეჩერება მხოლოდ აიშეთმა მოახერხა, წამოიჭრა გულშემოყრილი, ხმალშემართული, აივნიდანვე მოახტა თაფლისფერ ფაშატს და ისეთი სისხარტით შეება მეუღლეს, რომ იძულებული გახდა ცხენიდან ჩამოქვეითებულიყო... ბინდისას შეგროვდა თითქმის სრული მდევარი, ნაიბ ჰაიდა-

რი ულაყს ძოახტა თავითფეხამდე შეიარაღებული, ორმოცი მხედარი ეზოდან გაიჭრა ნაიბის მეთაურობით... რაზმს აიშეთი დაედევნა თაფლისფერ ფაშატზე რაინდულად ‘შეჯურვილი. ნაიბმა მდევარი შეაყენა, მეუღლეს ეახლა. ცხენი-ცხენს გაუსწორა, თაფლისფერ ფაშატს ელვის სისწრაფით გაძრობილი დამბაჩა დაუდო საფეთქელზე და ჩადრწამოხდილ აიშეთს თვალი-თვალში გაუყარა. აიშეთმა დათმო, თავი გულზე დაიგორა, ჩადრი ჩამოიბურა სახეზე. ცხენი შეაბრუნა და ხელა დასძრა სასახლისაკენ. ქვითინებდა, ერთიანად ძაგძაგებდა ვაჟკაცური ეხშით აღვსილი მუსლიმი დედაკაცი. ეზოს მიტანებულ აიშეთს თავჩადრიახი ქალები გამოეგებნენ მოთქმითა და ზარით. მსახურმა ბიჭმა უზანგი დაუჭირა და ცხენი ჩამოართვა.

მდევარი ძიჰრის ტყე-ტყე, ხევ-ხევ, წყალ-წყალ, მთა-მთა. საგუშაგო კოშკებზე დანთებული ცეცხლი შემოანათებს ხოლმე ნაიბ ჰაიდარ-ბეისა და მისი მხედრების სახეებს. რაც უფრო ღამდება, მით უფრო მძლავრად აშუქებს კოშკებზე დანთებული ცეცხლი. ჰაიდარ ბეის გარდა ყველას უპყრია მაშხალა, მაშხალებით შედიან ტყეში, მაშხალებით გამოდიან. კვლავ საგუშაგო კოშკებს ჩაუქრელებენ. მხედრობა მატულობს, გატაცებული ქეთოს დაბრუნების შანსი კი წუთი-წუთს კლებულობს. განსაკუთრებით ღამის გაშუქებასთან ერთად იცრიცება იძედი ნაიბისა და მისი რაზმელებისა...

თოფი არ გავარდნილა არც ერთის მხრიდან, ისე განაშორა განთიადის მკრთალმა ბტრედისფერმა მდევარი დევნილს და დევნილი მდევარს. მამა-შვილს მიუახლოვდა და მამა-შვილისაგან განაშორა. მხედრები მაშხალებს მთის მჩქეფარე მდინარეში ყრიან რიგრიგობით. შავჭუჭყიანი ჩამქრალი მუგუზლები ჩამოატარა კაძკაძა წყალმა. ნაიბ ჰაიდარი მორევს ჩასცქეროდა და რა წამს თავისი ანარეკლი შენიშნა განთიადის შუქზე, დამბაჩა დასცა ჰაიდარ-ბეიმ ჰაიდარბეის გამოსახულებას, მდინარის სარკეში არეკლილს.

ხეობა დამბაჩის ჭექვამ შეარყია, მორევი ტყვიამ ააჩქეფა. გამოსახულება გაქრა. წყვილი კალმახი გულალმა ამოტივტივდა შემღვრეული მორევიდან. ჩანჩქერმა გაიტაცა გულგახეთქილი კალმახები.

* * *

მთელი ვეებერთელა სოფელი ვაშლოვანი, როგორც ერთი კაცი, თავად ზურაბ ქართველაძის სასახლისაკენ, ედემის ბაღივით მშვენიერი ეზო-კარისაკენ მოედინება. მაგდანის საყვარელი ვარდის ბაღი გოგო-ბიჭებითაა სავსე. სასეირნო გზა-ბილიკებზე, პარკს რომ მზის სხივებივით ხაზავს, მომსვლელნი ნაბიჯს ანელებენ. ახალგაზრდობა შორით-შორს, ხეებზე აცოცებულა სანახაობის უკეთ სახილველად.

გასაოცარი ამბის მოწმე უნდა შეიქნას სოფელი ვაშლოვანი წუთი-წუთს, სოფელი ვაშლოვანი კი არა და მეზობელი სოფლების დიდებულებიცა და უბრალონიც ზურაბ ქართველაძის სასახლისაკენ მოისწრაფიან. დიდკაცობა აი-

ვანთან იყრის თავს. ახლო ნათესაობა აივანზეა თავმოყრილი. სრული საზეიმო განწყობილებაა ირგვლივ. როგორც ალავერდობისას, ისე მხიარულ განწყობილებაზეა ხალხი, ერი. შეთქმულ ბატკნებს არბენინებენ წრიულად, ეკლესიის გარშემო. თეთრი სამოსელით შემოსილი მლოცველნი თეთრ ძაფებს ავლებენ ეკლესიას, რომელიც თანდათან მლოცველთა თეთრი ძაფის ქსელში ეხვევა და იბლანდება.

ერთგან ზურნა-დოლი და ჭიდაობაა გახურებული. ჭიდაობის ეშხით შეპყრობილნი ლამის წრეში გადაცვივდნენ.

— უჯეროა, უჯეროა! — ყვირის რომელიღაცა და წაქცეულის დაცვას ცდილობს.

ფალავანძა დამარცხებული მიატოვა და დამცველს წასწვდა მაჯაში:

— კოდალავ, შენ სულ ეგრე აკაკუნებ, მაგრამ, შენი გაკეთებული ხარატულები ვიხა ხახა? — ესა სთქვა და წრეში შეითრია ფალავანმა დამფრთხალი მოლაყბე...

მეორეგან ბერიკებმა ჩამოიარეს შაირითა და მალაყით.

— დედაშთილი რომ გიჩივის, — შეესიტყვა ტყაპუჭიანი ბერიკა ფანდურა ქალბერიკას.

—— რას მიჩივის ის სულძაღლი? — გაიკვირვა ქალბერიკამ.

— აი, სწორედ ემაგასა.

— რასა, ბიჭო, საკურდღლაო ორ გორასა, აი, ამასა? — ძუძუებზე დაიწყობს ხელს ბერიკა ქალი.

— არა, შაგის ემაგასა...

— რასა, ბიჭო, აბა რასა? — მუცელზე იფათურებს ხელს.

— მაგის ქვემოთ, ემაგასა. — ახლოს მიუდგება.

— რასა შეთქი, ეხა რასა? — არა ცხრება ბერიკა-ქალი.

— აი, აძასა, — ხელი უნდა ეტაცნა ქალისათვის. ბერიკა-ქალმა ფანდური ჩაუკვინიხა აბეზარს, ტყაპუჭიანმა გაწვდილი ხელი კვინიხზე წაიელო.

— ერთი პირუტყვი მინახავს, გორსა და ახალგორსაო, — ფანდურზე დაამღერა ბერიკა-ქალმა შაირი.

— თავისთვის მუტრუკს იკეთებს, სხვას კი უკეთებს ჯორსაო, — მეორე ხმით მიამღერა ტყაპუჭიანმა შაირი გოგოს.

ერთბაშად მალხაზო-ბიჭი შემოვარდა სახრით ხელში, ზურაბის ფარეში, სახრე შემოჰკრა მოზომილად ტოტებში გოგო-ბიჭებს, ტყაპუჭი წამოუწია და უკანალზეც დაჰკრა წკეპლა:

— ვარდხარს რომ მოსდებიხართ ბრმა დათვებივით, ჩაგიქელიათ აქაურობა, ტყე კი არ გახლავთ, უსიერი, სუნელო პიჰილინის, იტალიელი კათოლიკე-მისიონერის დაგეგმილი ბაღია, თავისით კი არ ამოსულა! — უყვირა მალხაზომ.

ტყაპუჭიანმა ბერიკამ სახრისაგან შეიკუნტრუშა.

— ოხრახუშ ნიახურაული ვარ და თუ დაგიჭირე ალაზნიჭალებში, მერე ნახე შენი ცოდვის კითხვა, — დაემუქრა ბერიკა მალხაზოს.

— აპრუწუწუმის წამალი პრასა და ნიახურია. ბატონის მზარეულის ლაფშას ქვაბში არა გნახო ჩაარტალ-ჩანიახურებული, ვიღაცა შენა მყევხარ! — მიაძახა მალხაზომ და ახლა ხეებზე გასულ ბიჭებს შეუტატანა, შეხტა და სახრე მოუქნია ბიჭ-ბუჭებს:

— მაგ სურნელოვან ხეებზე რომ შეხორხლილხართ, ტურტლიანებო, ცხვირისცემინება რომ აგიტყდეთ ერთბაშად და ძირს დაცვივდეთ, მე უნდა ვაგო პასუხი?! ჩამოდით, თორემ, ამოვედი! — კიდევ ერთხელ შეხტა სახრის ქნევით მალხაზო და ერთბაშად ფარეში გოგო, იანო შენიშნა რამდენიმე ხეს იქით. ბიჭების ტუქსვას თავი ანება და გულის მიჯნურთან გაჩნდა. ხეებს იქით გაიყვანა და გეძოზე ჩაიხუტა:

— ჩვენი დრო დგება, შენ შემოგევლე, იანო! თუკი ქეთოს დაიბრუნებს ბატონი, ოჯახში სიმხიარულე გაჩნდება, შენს თავსა ვთხოვ. ერთი პატარა წნული ქოხი იქნებ ჩვენც ჩავდგათ. იქნებ გაგვააზატოს ბატონმა, ოღონდ კი კეთილად ჩათავდეს ეს ყველაფერი და შენ ნუ მომიკვდები, ვთხოვ შენს თავსა.

— შენი თავიც სათხოვნელი გაქვს, ორივეს ერთად ვითომ გაგვიშვებენ?! — მალხაზოს ტუჩებს მიაწუწნა ტუჩები ბროწეულივით ფარეშმა გოგომა და ისეთი ტკრინი ძოედოთ ორივეს, რომ იქნება, ბალახბულახისთვისაც მიეკითხათ უნებლიეთ, თუ რომ ერთბაშად, ზღვა ხალხის ხმას ერთად არ ეპექნა.

— ბოდიან, მოჰყავთ!.. მოდიან, მოჰყავთ! — ამ იმედიანმა სმამ სიერცეებს გადაურბინა, ერთ წყვილ თვალად იქცა ყველა თვალი.

საზეიმოდ მორთულ აივანზე მაგდანის გარშემო მოფუსფუსე კნეინებმა თითქმის დააძთავრეს საქმე. დარბაისელი თავადების ყალიონის ბოლმა ლამის მთლად დაფაროს ქართული, მაგდანის საყვარელი საკრავებით მორთული კედლის ხალიჩები.

— მოდიან, მოჰყავთ, მოდიან, მოჰყავთ! — კვლავ გაისმა ძახილი და ამბის მახარობელი ცხენოსანი ბიჭების რაზმი შემოიჭრა ამ კიჟინით ჯერ სოფელში, მერე კი თავად ქართველაძის ეზოშიაც. მახარობელი ჯგუფის მეწინავე, თექვსმეტამდე წლის კოხტად მოსული მეზობელსოფლელი თავადიშვილი ოთარია, მისი ცხენი მშვენივრადაა შეკაზმული, უბელო ბიჭების სამეული მას, როგორც ჩანს, გზაში აედევნა. რაზმი სასახლისაგან შორს შეჩერდა. ყმაწვილი თავადიშვილი თეთრ ჩოხოსანია და თეთრი სამკლავეც უკეთია, სამახარობლო ნიშნად.

— მოდიან, ქალბატონო მაგდან, მოდიან! — მიეახლა და მუხლმოყრით მიახარა ამბავი თავადის მეუღლეს ყმაწვილმა კაცმა.

— სრულად არიან? — ღელვით იკითხა მაგდანმა.

— სრულად გახლავან, ბოფი არ გავარდნილა, — მიუგო ყმაწვილმა კაცმა.

— მადლი უფალს, — თქვა მაგდანმა, სამახარობლო ხელსახოცი მკლავიდან შეხსნა და ქართული თეთრით გაუვსო პირი მსტოვარს. მერე, სამახარობლო თეთრი ხელსახოცი ჩიხტიკოპიდან ამოღებული შუბლქინძისთავით მიამაგრა ხალიჩაზე, ქართული ფანდურის გვერდით და ქეთოს გადიას, კვლავ სა-

გადიოდ დაძახებულ მეზობელ სოფლელ დედაკაცს პირიმზეს გადაეხვია და აქვითინდა.

— ცივს ნიავს აღარ მივაკარებ ქეთოს, მაგდან, დედაკაცობას ვფიცავ, ისე გავზრდი, ისე, რომ, — ამოსთქვა გულამომჯდარმა გადიამ.

— ქეთო უკვე გაზრდილია, პირიმზეზე, ცამეტი წლისა გამიხდა სხვისა უბეში, სხვისა ხელში, გადამთიელების, ურჯულოების ხელში! — მოთქმით აქვითინდა მაგდახი.

— ჩუ, ღმერთს ნუ სცოდავ, მაგდან-ბატონო, ცოცხალი, საღ-სალამათი შვილი გიბრუხდებათ, — აწყნარებს გადია.

— რას ჭამდა, უჩვენოდ, რას სვამდა, სად ეძინა?! — ათი წელია, ათი პირჯვარი არ გადაუწერია, დედა არ უთქვამს დედის ენაზე, მამის ენაზე!.. ზურაბ! ზურაბ! — ძეჭყვირა გულმძლეულმა დედამ და დამბაჩების ბათქი დაფარა მაგდანის ხმაძ...

ქვეყანა ხეიმობდა, შეჰხაროდა ეზოში ზურაბსა და მის მკლავებზე ჩაძინებულ ქეთოს.

— ცოცხალია, მაგდან, უვნებელია ჩვენი ქეთო, შენი შვილი, ჩვენი დედისერთა!... — კიბეები აათავა ზურაბმა და შვილი დედას გადააწოდა მკლავებზე.

ტანჯვისა და განცდებისაგან მისუსტებული ქეთო დედის მკლავებს უანგარიშოდ მიეხდო. დაღესტნური, მშვენიერი სამკაულები უსწორ-მასწოროდ მიმობნეოდა სხეულზე. მაგდანმა ფრთხილად აყოცა სახეზე შვილს და შეტორტმანდა წამით, მყისვე გადიამ გადმოიწვინა ქეთო მკლავებზე.

— გაიღვიძე, ანგელოზო!.. სამშობლოს ზეცას შეხედე, შენს უბედურ გადიას შემოძხედე. შემარცხვინე, დამტუქსე!... ჩემის დამწვარი ხელებიდან მომტაცეს ლეკებმა შენი ლამაზი თავი ათი წლის წინ! მე ვარ დამნაშავე, მე, ბე! — ახლა გადია უკოცნის სახეს ქეთოს და ოთახში შეჰყავს. ფარეშმა იანომ შეუღო ოთახის კარი. ფარეში ბიჭი, მალხაზოც იქავ ტრიალებს.

— ხალხო და ჯამაათნო, ნათესაობავ და სრულიად ქართველობავ, ქართველთა ტანჯვის ზღვაში — წვეთია ეს სიხარული, ჩემი ქეთოს შინ დაბრუნება, მაგრამ. რაკიღა ეს წვეთიც სიხარულის ზღვად გვექცა, რაკიღა ქართველაძიანთ სახლი ათი წლის ჭირიდან და თმენიდან ლხინს უნდა მიეცეს, ათი წლის წინათ გატაცებული შვილის კვლავ დედის უბეში, სამშობლოში დაბრუნების გამო, უმორჩილესად გთხოვთ თქვენი ერთგული თავადი ზურაბ ქართველაძე, ილხინოთ ისე, როგორც ქართველთ სჩვევიათ. აზრით და გონებით!.. სვით და ჭამეთ!.. სიტყვა კაზმული ბრძანეთ!.. ჩემი ქვევრ-მარანი, წვრილფეხ-მსხვილფეხი თქვენის ნებისთვის მიმინდვია უკლებლივ და ინებიერეთ, მოილხინეთ, არა დაზოგოთ რა, ვითარცა ბრძანებს ბრძენი რუსთველი:

„უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგი ცა ვინ ორგულია;
სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცეშ შენია, რაც არა, დაკარგულია!“

ზურაბმა ყახჭი დაცალა, ფარეშს გადაუგდო და სახლში შევიდა.

ხალხი ლხინს მიეცა.

დაღესტხურ ყაიდაზე, მდიდრულად გამოწყობილი, თავჩადრიანი და ტანშარვლიანი ქალიშვილი დედის ლოგინზე იწვა. ტახტს აქეთ-იქიდან გადია და დედა მოსხდომოდნენ. ზურაბიც შევიდა, სარეცელს მიუახლოვდა. ხმაურზე თვალი გაახილა ქეთომ, სუსტი მზერა მიმოავლო იქაურობას, უღონო ხელით ჩამოიბურა ჩადრი სახეზე და კვლავ ძილს მიეცა.

— დიდებულად გაუზრდიათ, იმ ჩვენს დამაქცევართ, იმათ! — თქვა მაგდანმა და ფაქიზად დაუსვა ხელისგული ქეთოს ხელს.

— ძვირს ხუ ამბობ, მაგდან ჩემო, ნაიბ ჰაიდარსა და მის მეუღლეზე. უშვილონი იყვნეხ და იშვილეს. ამაგი და სიყვარული არ დააკლეს... ეგენი არაფერ შუაში არ არიან, მაგრამ, მაწანწალა, ბავშვიპარია ლეკუნებს თუ სადმე მოეკარ თვალი, არ დავინდობ, სახინკლედ ავკეპავ ჩემის ხელებით! — გულბრაზიანად თქვა ზურაბძა და მეუღლის გვერდით ჩამოჯდა სკამზე.

— ბევრი იწვალეთ, ზურაბ? — მოეხვია მაგდანი მეუღლეს და მხარზე გადაუდო თავი.

— ჩემი ავარელი ყონაღი, ყაზი ნურაბდალი თუ არ გვიმეგზურებდა, ვერას გავაწყობდით საიმედოს, — დასძინა ზურაბმა.

კარზე კაკუნი გაისმა. ზურაბი წამოდგა, კარი გამოაღო. რამდენიმე მეზობელი თავადი დაუხვდა. სუფრასთან იპატიჟებოდნენ. ერთი პირველთაგანი მბიძინა გახლდათ ყაფლანიშვილი, ახალგაზრდა მახარობლის ოთარ ყაფლანიშვილის მამა. სწორედ მან შეუძახა სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან“:

„ჩვენო ძმაო და პატრონო, თქვენგან არ გავიმწარებით;

თქვენ თუ არ ჴოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით“.

ზურაბი აივანზე გამოვიდა და მონადიმეებს გადაუძახა:

— „დღე ერთ გარდახდა. პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა,
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა“..

ზურაბი და მისი მიმპატიჟებლები აივანს ჩასცდნენ და სანადიმო სუფრას ჩაუყვნენ.

ბატონის დანახვა იყო და ბერიკული ნიღბებით შემოსილმა ოთხმა გლეხკაცმა სიმღერა სჭექა გაბედული:

— „მოდი, მოუდე კუდსაო,
ბატონი მოგცეშს ქუდსაო,
მოგვცემს და ისევ წაგართმევს,
ნუ დაგაკლდება გულსაო“.

ბერიკული სიტყვა-მართალი მიღებული გახლდათ და არც არა სწყენიათ მსმენელ თავადებს, პირიქით, შემხიარულდნენ და სიმღერის განგრძობა ითავეს:

— „მიმდევნი საჭუთროსაგან
ძისთა ნიეთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ,
ბოლოს ვერ გადურჩებიან“.

მშვენივრად ამბობდა პირველ ხმას ბიძინა ყაფლანიშვილი, ზურაბმაც ომახიანი მეორე უთხრა...

* * *

შუადღით გამართულმა ნადიმმა ღამეც ჩაიყოლა, მთვარის შუქი სადაც არ კმაროდა, სანთლები და ჩირაღდნები მიეშველებინათ და ასე განაგრძობდნენ მენადიმენი ჭამა-სმას, ცეკვა-სიმღერას და ზურაბისა და მაგდანის გამრთელებული ოჯახის დღეგრძელობას, საქართველოს სადიდებელ მჭევრმეტყველ სიტყვებს.

განთიადისას, სამგზავრო დაიგუგუნა სურონმა და აშლა დაიწყო. ჯგუფ-ჯგუფად ეახლებოდნენ ხოლმე წამსვლელები აივნისწინ, ხალხის გასაცილებლად მდგარ ძაგდანსა და ზურაბ ქართველაძეებს. მაგდანს ნაბადი წამოესხა, დილის სიგრილის უსიამობის თავიდან ასაცილებლად.

გლეხკაცთა ჯგუფები შორიახლოდან შეუძახებდნენ ხოლმე თავადის ოჯახს მომავალი ბედხიერების სურვილებს.

— იხარე ქართველაძიანთ ჭერო და მოკვდი საქართველოს მტერო!

— პური და გული სტუმარსა, წავა, შინ მოაგონდება!..

. . . . . .

თავად-აზნაურობა პირისპირ ეახლებოდნენ ხოლმე ზურაბსა და მაგდანს. ზურაბს გადაკოცნიდნენ, მახლობლობისდა მიხედვით, მაგდანს ხელზე ეამბორებოდნენ.

აი, ახლაც, ულვაშაღარა, ომაშეთხელებულმა თავადიშვილმა, ბიძინა ყაფლანიშვილმა მიაკითხა ზურაბსა და მაგდანს დასამშვიდობებლად. მაგდანს მტევანზე ეამბორა, ზურაბი გადაკოცნა. თავადის ჯალაბიც ასევე მოიქცა.

— მოდი, მახარობელო, ჩვენო გამხარებელო! — მაგდანმა გულზე მიიხუტა ოთარ ყაფლანიშვილი, ბიძინას ეაჟი, — აბა შენ იცი, თავადიშვილო, როგორც არ დაგვიწყებ, ხშირად გვინახულებ, ჩვენი გაჭირვება ჯერ წინ არის, შენც უნდა ახლოს იყო...

— სულ ახლოს გნებავთ, სულაც აქ ვიქნები! — დაბნევით წარმოსთქვა ვაჟმა და უკან-უკან დაიხია.

— მამაშენს, შვილო, ქართველაძიანთი არ გახლდეთ, შენს მეტი არავინ

უჭყივის და ძისამარეს შინ წამო, თორემ, თორემ, თორემ..., -- ვაჟს მოეფერა ბიძინა და სიმღერა შემოსძახა:

„წინ მივეგებოთ, შევძახოთ,
მთიულებს გაუძარჯოსო“ —

თქვა ბიძინამ ძეორე ხმით.
თავადის მთელმა ოჯახმა აიტაცა სიმღერა:

„ჰეი, ხარობდეს საქართველოი
ჰე-ჰე-ჰეი და
ხარობდეს საქართველოი
ხონთქალი დაუძარცხოსო,
ჰეი...“

ცხენებზე ამხედრებული ყაფლანიშვილები სასახლეს დაშორდნენ. ოთარიც, პირველი მახარობელი ქეთოს მოყვანისა, ცხენზე ჯდება და მშობლებს მიჰყვება. გული კი ქართველაძეანთა რჩება. დროდადრო შემობრუნდება ხოლმე უნაგირზე და ქარველაძიანთ სასახლეს გამოხედავს, სასახლეს, რომელშიაც ქეთო, დაბრუხებული, თუ, აცხადებული ლეგენდასავით ქალიშვილი, ზღაპარივით გოგო ეგულება და ეხატება. ჯერ არც ნახული წესიერად, მაგრამ, ლეგენდად ქმნილი ზურაბისა და მაგდანის ასული. ქეთოც რომ არა, ზურაბის გვერდით, ამ რაიხდთა რაინდი ქართველი ვაჟკაცის გვერდით ყოფნაც არანაკლებ სიამოვნებს ძოძავალ ქართველ მხედარს, თავადიშვილს ოთარ ყაფლანიშვილს.

* *

დარბაზის კუთხეში, დედმამისეულ ტახტზე სძინავს ქეთოს, ძმარ-წყალი და ტილო უდევს თავთით. იქვე გადია, პირიმზე უზის. დაღლილ-დაქანცულს, განცდილსა და ტირილისაგან თვალებდასიებულ გადიას რული ეკიდება, თავი მკერდზე უგორდება... ქეთო თვალს ახელს და შფოთიან მზერას მიმოავლებს იქაურობას. წამოიწევს. წამოჯდება. გადიას სძინავს. ფრთხილად გადმოცოცდება საწოლიდან ქეთო, კატის სიფრთხილით მიიპარება კარისაკენ, უახლოვდება, დიდი სიფრთხილით აღებს მკირედზე და ჭიატში იჭვრიტება. მერე კარს იმდენად აღებს, რომ გაეტიოს. გადის, ფოცხვერის სიფრთხილე და სინატიფეა მის ჩამოქნილ, მოღლილ სხეულში, რასაც დაღესტნური სამოსი ერთიათად უსვამს ხაზს. აივნის რიკულებს იქით, ნელ-ნელა გადადის, მოაჯირს გადაერთხმევა, დაბლა დაცოცდება, ბოძზე მიკრულ საბედნიერო ნალს დაადგავს ფეხის წვერს; შემდეგ, დაბლა, ხახვის გალა რომ ჰკიდია, იმ ლურსმანს მოინაცვლებს.

გარბის ბაღში, მერე, ღრმა ხევში ჩადის, ადის მეორე კბოდეზე. ნატანჯი და მოღლილი, ოლეზე, ჩრდილს შეფარებულ ცხენების მცირე რემას ეპარე-

ბა. ერთ-ერთი მათგანის ხელთ გდება, დაღესტანს გაპარვა თუ, გაქცევა სწადია. ცხენები ერთბაშად იხუვლებენ. ყალყზე შედგებიან, გარბიან, გრძელ თოკს ჩაფრენილი ჯერ ცალი ხელით წაიფორთხილებს, წინ წავარდება, მეორე ხელსაც ჩაავლებს თოკს, ველზე მიათრევს თოკიანად, ბალახ-ბალახ. მერე, ვეღარ უძლებს, ხელს შეუშვებს ცხენის საბელს. ძურწა ბალახებში გულწასულს დაღესტანი ეზმანება, საოცარი მამა, ნაიბ ჰაიდარი და მხედრული შემართების დედა. ყრუკედლებიანი მაღალი დიდი ეზო. დაღესტნელი მხედრები ილეთებს უჩვენებენ ნაიბის ოჯახსა და გვაროვან სტუმრებს. ყელთაქვე ეკიდებიან, ცერებზე დგებიან. თავბრუდამხვევ ილეთებს აკეთებენ, წრიულად ბრუნავენ, ყელთაქვე... ერთ-ერთი შმაგი. მხედართმხედარი ჯამბაზური ოსტატობით ააცეკვებს ცხენს ჰაიდარ ბეის ოჯახის წინაშე. ნაიბი ბავშვს მიაწოდებს მხედარს. აიშეთ-ხანუმი მკლავში სწვდება მეუღლეს, მაგრამ პატარა ქეთო უკვე საშიშ ილეთებს გადის მხედართან ერთად. მხედრის ყელზე შემოჭდობილი ასრულებს საშიშ ილეთს: ყელთაქვე დაკიდებულ ჯამბაზთ უსტაბაშს ცხენის მუცელქვეშ გაჰყავს პატარა დაღესტნელი... მაყურებელმა სუნთქვა შეიკრა. დაძაბულობა გამარჯვების ყიჟინად იფეთქებს, უნაგირზე გამართული მხედარი მკლავზე ჩამოსმულ ბალღიანად იღიმება და საპატიო წრეს უვლის. მხედარი, რომელიც ჯამბაზს შეეცილა ოსტატობაში, ნაიბი ჰაიდარია. არ ანდო-რა უცხო ჯამბაზს, თვითონ მოევლო ცხენს და საკუთარ ქალიშვილთან, ქეთოსთან ერთად, წრიულად მუცელქვეშ შემოუარა მოჭენავე ცხენს. ჯერ ცხენი არც შეჩერებულიყო, ისე გამოსტაცა აიშეთმა ქალიშვილი გამარჯვებულ მამას და გულზე მიიხუტა.

* *

ზურაბ ქართველაძის სახლი, ქეთო დაშავებული წევს. ექიმბაში დედაკაცი მას მალამოს საფენებს უცვლის: „ლურჯი წყალი, მწვანე თაფლი, შავი როდინი, მარტი-აპრილის ლოდინი. ჰზე, მთვარე და ვარსკვლავი... ლურჯი წყალი, მწვანე თაფლი“... — ასეთი ბუტბუტი-ლოცვა თან ახლავს ექიმბაშის, თოლიღე თურმანაულის სამკურნალო არსენალს...

თავთით ადგანან ქეთოს მაგდანი, გადია. ზურაბი. გადია დროდადრო სახეს ჩამოიხოკავს ხოლმე, როდესაც ქეთო ავარულ ენაზე იწყებს ბოდვას.

— ჩვენზე დიდებული ხალხი ისინი ყოფილან, ბარაქალა, რაკიღა ჩვენი ქეთოსათვის, ჩვენზე მეტად შეუყვარებიათ თავი! — გააზრებულად, ნაღვლიანად წარმოსთქვა ზურაბმა.

— დირ იას ქხიკ იგიმ? — ავარულ ენაზე ჩაეკითხა თოლიღე თურმანაული ქეთოს. ქეთომ თვალი გაახილა:

— ბარაქალა, ქვეშეჰო, — ამოილუღლუღა ავადმყოფმა და უღონო ხელით ჩამოიფარა ჩადრი სახეზე. აქაურობის დანახვის არაფითარი სურვილი არა ჰქონდა მას.

— ცოცხალია და იმედია, ზურაბ, თორემ, შვილი თუ დედას არ მეტყვის დედის ენაზე, ალაზანს ზღვად ვაქცევ დედის ცრემლით და კახეთთან ერთად დაღესტანსაც წავალეკინებ, — თქვა მუხლიჩოქზე მდგარმა მაგდანმა, დაჩადრულ შუბლზე ეამბორა ქეთოს და წამოიმართა.

— განეშორენით, რამეთუ არა მომკუდარ არსეგე, არამედ სძინავს, — თქვა მკაცრად თოლიღემ. ზურაბი და მაგდანი გარეთ გავიდნენ. თოლიღეს ლოცვანი გაჰყვა მათ:

— „და რაჟამს გამოასხა ერი იგი, შევიდა და უპყრა ხელი მისი და აღადგინა ქალი იგი“...

გარეთ გამოსულ ზურაბსა და მაგდანს ფარეში ბიჭი, მალხაზო შემოეგება მოწიწებით:

— უზბაშმა და მზარეულმა, რა ვაახლოთ, რას ინებებთო, — მოწიწებით შეეკითხა აივანზე გამოსულთ მალხაზო.

— გუთნეულის კაცნი არ მოგვიშიონ, ეგრე უთხარ, — მიუგო ზურაბმა.

— ჩვენ პურს არ გავტეხთ, ვიდრე ქეთოს ბაგენი არ განიხვნებიან, — თქვა აივანს მიყრდნობილმა დედამ.

— მოხდება ღვთის წყალობა, განიხვნებიან! — თქვა თავდახრილმა მალხაზომ და კვლავ განუმეორა: — მაინც რას ინებებთ, რა გაახლოთო?..

— მზარეულს უთხარ, — მიმართა ზურაბმა ფარეშს, — სურნელოვანი კერძი ქართული, ცხელ-ცხელი იქონიოს ნიადაგ ქეთოს ახლოს, ეგება მადა აღეძრას.

— გუშინდელიც უხლები ჩავიტანეთ, — ჩაილაპარაკა მორჩილად ფარეშმა.

— ნიადაგ ცხლად რომ იყოს კერძი სურნელოვანი და ოხშივარი ასდიოდეს, მალხაზო, გაიგე? — გაუმეორა მაგდანმა.

— გავიგე, ბატონო, მაგრამ, მზარეულ ლაფშუას ცოტა მძიმე ტვინი აქვს და იქნებ გაახლოთ და...

ამ საუბრით სამზარეულოს მიადგნენ. ზურაბმა შეაღო სამზარეულო სახლის კარი, მაგდანი და მალხაზოც შევიდნენ. დუღდა და გადმოდიოდა იქაურობა, მაძღარსაც მოაშივებდა ბარაქითა და დოვლათით აღვსილი ქართული სამზარეულოს სურნელი. მზარეული ბატკანს კეპავდა.

— დაღესტნური კერძებისა თუ გაგეგება, რამე, ლაფშუა? — ჰკითხა ზურაბმა მზარეულს სამზარეულოს თვალიერებით.

— ჩვენი კერძის ბადალი, სად გახლავთ დუნიაზე, — მორცხვად წარმოსთქვა ლაფშუამ და სახელოთი შეიხოცა შუბლი.

— თუ იცი მეთქი, რამე, იმათებური? — გაუმეორა კითხვა ზურაბმა.

— ჩვენს კერძსა ქოთანიცა სჭამს, ბატონო... სად იმათი კერძი და სად კიდევა ჩვენი!.. სამიოდე კერძის გარდა არა აქვთ რა ჩამოსათვლელი. მწვანილზე ხომ ძალიან ოხრახუშად გახლავან.

— ჩვენებურიც უნდა აკეთო და იმათებურიც, ახალ-ახალი უნდა შეგქონ-

დეთ და გამოგქონდეთ, ცხლად, ოხშივარმა და სურნელებამ რომ მადა აღუძრას ჩვენს ქეთოს, გაიგე? — შეეკითხა მაგდანი მზარეულს და დააკვირდა კიდევაც, ნათქვამის აღქმის შესამოწმებლად.

— მე გაუგებრობისა განა რა მჭირს, თქვენი კვნესამე, ბატკანს ბატკნის ენაზე ვალაპარაკებ, ქათამს — ქათმისაზე, ღორს — ღორისაზე, საქონელს — საქონლის ენაზე. —მცოდნე ადამიანის კვეხნა გაურია ლაფშუამ თქმულს.

— აბა, მაშ, თქვენ იცით, — თქვა ზურაბმა და სამზარეულო დატოვა მაგდანთან ერთად.

მსახურებმა ბატონები გაიგულეს და თავისუფლად ალაპარაკდნენ.

— ბუკნაჭოტად რომ უზის თავთით, გადია-პირიმზე, თუკი იმან არა ჭამა რა და პირი გაიხმო, მადა რაღამ უნდა მოჰგვაროს ტანჯულსა, — გაბრაზებით წარმოსთქვა ლაფშუამ.

— ეგ კარგი იაზრე, ლაფშუავ, ტვინი ხარ ცარიელი ძვლისა! — თქვა მალხაზომ, — ბატონებს მოვახსენებ, რომ ძალით გაუხსნან კრიჭა გადიას, რომ სულ პირდაღებული იყრიდეს ლუკმას-ლუკმაზე. იქნებ იმისმა მადამ წაიქეზოს ჩვენი ქეთოც! — მალხაზო გარეთ გავარდა.

— ჯანი მაინც მთელი შერჩეს ბალღსა, ქართველობასა და საქართველოზე გულს თუ ვერ მოიბრუნებს, ქართული კერძებისაკენ მაინც იბრუნოს პირი, — თქვა ლაშფუა მზარეულმა და საქმე განაგრძო.

ქეთომ თვალი გაახილა. გამშრალი ტუჩები აიცმაცუნა. გადია-პირიმზეც ჰამას უმატა. პურჩაბუჟებუჟებულ კერძს ხის კოვზი შეუთათა და პირში იტაცა. დაუღეჭავად იყრიდა პირში ლუკმას-ლუკმაზე. თან, თავის გაჩენის დღესა სწყევლიდა ლუკმით დამახინჯებული ენით: „შენ არა ჭამო რა, ქვეყანაზე, გადია პირიმზევ!“ „ქვად გექცეს გულჩუცელი და ქვად იქცე შენცა, გადია-პირიმზე!“

ცხელ შოთებს ბრაწი ასდიოდათ მაგიდაზე. თუშური ქარვისფერი ყველი ნესტოებს უწვავდა ქეთოს. ბარკლებშეშვერილ დედლებს ორთქლი ასდიოდათ. ნიორჩატნეული ცხვრის ბარკალი ჯერ კიდევ შიშინებდა თიხის კეცზე.

ქეთომ იდაყვებზე წამოიწია. ჩადრდაფენილი მზერა მიმოავლო მაცდუნებელ კერძეულს და გვერდით, სამფეხაზე მდგარ დოქს მისწვდა, მოიყუდა. ხარბად, ყლუპ-ყლუპით შესვა წყალი. დადგმისას დოქი ყელთავქვე წამოექცა. რაკრაკით იღვრებოდა წყალი იატაკზე. წამოყენების არც სურვილი და არც ძალი ჰქონდა, ბალიშზე გადაესვენა და დოქის ტუჩიდან გადმომდინარე წყლის რაკრაკი მშობლიური დაღესტნის წყაროს ჩუხჩუხად ჩაესმოდა.

ჩადრით მოსილი, ტანწერწეტა დაღესტნელი მხარზე თუნგებშედგმული ქალიშვილების ქარავანი წყაროდან, უწყვეტ ნაკადად მოედინება ნაიბის ეზოსაკენ, საქალებო განყოფილების ეზოში, ტირიფებქვეშ დამშრალი აუზია. იმ აუზს ავსებენ თუნგებით ქალიშვილები. ქეთო და მისი დობილი პირველები ჩადიან საბანაოდ. დანარჩენი ქალიშვილები აუზის კიდეებზე დგანან წრიულ მწკრივად და სავსე თუნგებს აუზში ცლიან. როგორც შადრევნიდან, ისე მოს-

ჩქეფს წყაროს გამჭვირვალე წყალი თუნგის პირებიდან. წრიულად, მთელი აუზის გარშემო. ერთსა და იმავე დროს, გოგონები ღობის როლსაც ასრულებენ, იმდენად მჭიდროდ იფარავენ აუზის კიდეზე განლაგებული, თუნგშემართული გოგონები, აუზში მობანავე ქეთოსა და მის დობილს უცხო თვალისაგან. თუმცა საქალებო ნაწილი უკვე ისედაც სანდოდ არის დაცული უცხო თვალისაგან. ქეთოსა და მის დობილს ფატმას პირი შეუშვერიათ თუნგებიდან გადმოდენილი წყაროს წყლის ნაკადისათვის. წრიულად მოძრაობენ და ყველა თუნგიდან ხვრეპენ თითო ყლუპს.

— ქეთომ წყალი დალია! — კივილივით ამოიჭრა ზღურბლზე გადმოძდგარი გადიას ხმა.

მისი ნათქვამი ფარეშმა ბიჭმა, მალხაზომ აიტაცა და ბაღიდან მომავალ მაგდანს მიახალა: ქეთომ წყალი დალია!

— ღმერთო! — დაიძახა მაგდანმა და პირჯვარის წერით სასახლისაკენ გამოენთო, ვარდების თაიგული ეპყრა ხელთ. ისე დაბცევიდა არც შეუტყვია... ჭენებით, უბელოზე გადამჯდარმა ჩაუქროლა მალხაზო ბიჭმა სოფელ ვაშლოვანს, ციხე-გალავანში შეიჭრა, სადაც ზურაბ ქართველაძე ტანაყრილ ვაჟებს ხმალში წვრთნიდა.

— ქეთომ წყალი დალია, ბატონო, წყალი!..

— შენს პირს შაქარი, ჩვენ კარგი ამბავი! — ზურაბმა პაწია ქისა ჩამოიწყვიტა ქამრიდან, მახარობელ ბიჭს გადაუგდო და ცხენზე ამხედრებული გალავნიდან თავქვე დააოთხა.

მალხაზომ ქისა ცხვირთან მიიტანა, თვალი სჭყიტა და დაამღერა:

„ჰოი, შენ ჩემო ქისაო,
ფერად ნარინჯისაო,
შიგან ნადები სიმდიდრეე,
ფასო ხმელეთისაო“ —

მოფარიკავე ბიჭებმა შაირი მიამღერეს:

„მალხო, შენი ქისა,
ბეშტი არის თხისა,
შიგ ნადები მარგალიტი
კუნწი მარილისა“.

— ვითომ, მართლა? — შეფიქრიანდა ფარეში ბიჭი.

— ააგდე, თუ არა გჯერავს, — მიუგო ხმალმარჯვე ყმაწვილმა. გულუბრყვილო ფარეშმა ქისა ჰაერში შეაგდო — შეათამაშა. მეკაფიავე-ხმალმარჯვე ყმაწვილის მოქნეულმა მახვილმა შუა გაჰპო ქისა. ქართული თეთრი თავზე გადაეპნათ ყმაწვილებს...

• • •

დასტაქარ თორღვა თურმანაულის ეზო-კარი ხეიბრებითაა სავსე. ზოვს მორჩენაზე აქვს ჭრილობა, ზოგსაც ახლად უწყებს მკურნალობას დასტაქარი და მისი ჯალაბი. ჭრილობამოშუშებულნი თავისი ფეხით, ყავარჯნით ან ცხენით მოსულან, ძძიმედ დაჭრილებს კი პატრონებიც ახლავთ. ურემზე, გულაღმა უწევეს თორღვას დაჭრილი მხედარი. ყაისნაღის მსგავს დასტაქრულ იარაღს სჩხვლეტს თორღვა ნატყვიარში ალაღმყოფს. ღრმად და ღრმად შედის ყაისნაღი იარაში. ავადმყოფი ითმენს, ითმენს, ძარღვები ლურჯად ებერება შუბლზე დაჭრილს. მალამომომარჯვებული დგას თოლიღე ქმრის გვერდით.

— თურმანაულო თორღვაო,
თათრული ჯიში მოგდგამსო,

— კბილებიდან სცრის დაჭრილი. თორღვა თან საქმეს განაგრძობს, თან ეკაფიავება ავადმყოფს:

— თათრის ნაკრავი შიგ გიძევს,
გავაჭს გაქვს, განა მკერდშია,
უკანალ მოგიშვერია,
ჯარა კბერია ხელშია.

— კაფიაც დაამთავრა თორღვამ და ჭრილობიდან ამოღებული ტყვია ცხვირთან მიუტანა დაჭრილს. თოლიღე შეუდგა საქმეს. მალამოთი გამაძღარი საფენი შეუჩურთა დაჭრილს ნაიარევში. ფშავურად აცვიათ სამოსი თორღვას ქალ-ვაჟს, ისინი სხვა ურემზე დასტაქრობენ.

ერთ ნაიარევთან შეჩერდა ენაკვიმატი მალხაზო:

— შაჰ-მირზას თავი მუქთად რომ მოგცა. პაჭუა, რას იზამდი?..

— ფურთხით გავხეთქავდი...

— არა, მხრებზე რომ გედგას, ბეყ-მურზა შაჰის თავი, მაშინ რას იზამდი?

— თორღვა თურმანაულს მოვაკვეთინებდი...

— თავათ კი არა, გავად რომ მოგცა, გავადა! — სხვა ხეიბარი ჩაერია.

— სანეხვეზე დავცუცქდებოდი, აღარ ავდგებოდი, ჰა-ჰა-ჰა!.. — სიცილმა იფეთქა. სიცილ-სიცილ მიადგა მალხაზო თურმანაულებს, თორღვასა და მის მეუღლეს, თოლიღეს. თოლიღე ჭრილობაზე მალამოს ადებდა დაჭრილს, არტახს ახვევდა.

— ამბავი ტარიელისა, მალხაზო? — ჰკითხა თოლიღემ.

— წყალი დალია, ჩვენი წყაროს წყალი, შოთიც მოციქნა, ჩვენი კახური შოთი, ქეთომ... მეორე კვირა მიილია, სიტყვას არა სძრავს.. მაგდანმა გამომგზავნა...

— ენა არ იცის ჩვენი, ენა, მალხაზო, შოთი — შოთია, წყალი — წყალია დაღესტანშიაც და ჩვენშიაც, მერე ხორცსაც შეჯამს, იქნებ ღვინოც დააყო-

ლოს, მაგრამ, ძირში ამორთმეულ, ფესვიანად ამოდღლეძილ დედის ენას, ქართულს, ჩვენი ქეთო ვეღარ ჩაიდგამს, ვერა...

— მოდიო, ბატონებმა, იმათებურად ელაპარაკეო...

— მოსვლით მოვალ, შებინდდება და... საქმეც შემოგველევა. ხედავ, რა ამბავია, მალამოს ხარშვას ვერ ავდივართ...

— მაშ, მობრძანდებიან-მეთქი, მოვახსენებ...

მალხაზო ღიღინით ჩაუვლის.

ქართველი ხაბაზების ოსტატობის სანახავად შეუყვანია მაგდანს ქეთო სათონე-სახაბაზოში. ხან ერთი ხაბაზი დაექანება ალმურმოდებულ თონეში და ხანაც მეორე. უკვე ამოღებული შოთები, კვერები და ბასილები წითლად ღვივიან ხონჩა-ხახლებზე.

— აი, შვილო ქეთო, როგორა ცხვება ქართული პური, — ესაუბრება მაგდანი ქეთოს, — აი, ტკბილი კვერი, აგერ, ბასილა-თოჯა... როგორ გიყვარდა ბასილებით თამაში პატარაობაში, — გატეხე პური, გემო გასინჯე, — შეუქცეველი მუდარითა სთხოვს მაგდანი ქეთოს და შოთის ყუას აწვდის. ქეთინო შოთს მოტეხავს, უხალისოდ მიაქვს პირთან. თვალნი კი გარეთ გაურბიან, ჩალურის კარს იქით, კავკასიონის თმაშეეერცხლილ მთებს იქით მიუდის ფიქრი ქეთოს, გამოქაჯული ფიჭასავით აბანიბანებული მშობლიური აული ეხატება მას. შინაური, ფურნის პურის გამოცხობის რიტუალს ხედავს იგი... ფურნის წინ დგას ნაიბის ასული ლაილა, აქ რომ ქეთოს უხმობენ, დგას და თხელი, შერუჯული ხის ნიჩბით გამოაქვს აფუებული, დაბრაწული ფურნის პურები. თითოეული პური მზესა ჰგავს. თვალებიცა აქვს ჩაჩხვლეტილი, ღოყებდაბრაწულ მზეს, მისი ტოლი, ხელმოკლე ოჯახიშვილი გოგონები თხუპნია კაბებითა და ნაკუწი ჩადრებით მოსილნი შემოსჯარვიან, რიგრიგობით, ასწრაფებით ითითოვებენ თოჯინა-პურებს და გახარებულნი დაირებივით აოა-მაშებენ ხელთ, ზეაწეულ, მხურვალე პურებს თან წიბოებს აცრცქნიან, ჭამენ, თან ცეკვავენ, წრიულ ტაშფანდურას უვლიან ქეთოს გარშემო.

სახაბაზოდან გამოდიან დედა და შვილი, მაგდანი და ქეთო. ზმანება გაქრა. სასახლისაკენ მიემართებიან. ზურაბი გამოჩნდა, ცხენდაცხენ შემოვიდნენ ზურაბი და მოურავი ეზოში მოურავმა ცხენი ჩამოართვა ბატონს, ზურაბი მაგდანსა და ქეთოს ეახლა.

— გამარჯობა, შვილო, აი, რა გიპოვნე, შენი დაკარგული სამკაულები. მეხრეს ეპოვნა, ოლეზე, — ზურაბმა ხელსახოცში სათუთად გახვეული დაღესტნური სამკაულები გაუწოდა.

ქეთოს სახე გაეხსნა. სიხარულით ჩამოართვა ბევრის მთქმელი სამკაულები, ოქროსა და ვერცხლის გულსაკიდრები, საყურეები... მდაბლად დაუკრა მამას თავი და სამკაულების მორგება-კეთებით აუყვა კიბეს. საყურე დაიკიდა თუ არა, ოქრო-ვერცხლის ჭედვით განთქმული დედის სამზითვო სოფლის კუბაჩის ოქროსფერი მამლის ყივილი შემოესმა. ოქროს ჩაქუჩებისა და ვერცხლის მაკრატლების ჩაკა-ჩუკი და წკაპა-წკუპი გამეფდა ქეთოს სმენაში.

ბანი-ბან მოხტის ქეთო, ერდოდან იჭერიტება. ოქრომჭედელთა ნატიფ სამუშაოს ჩასცქერის...

აგერ, ერთ ოქრომჭედელს ფრანგი ვაჭარი თუ მდიდარი ფილატერისტი ევაჭრება ნახელავს. თარჯიმანიც ახლავს უცხო ვაჭარს. თავჩადრიანი დედა, მეუღლე და უამრავი შვილი თუ ბადიში იქვე ტრიალებენ, ოქრომჭედელი უარობს შემოძლეულ ფასს, თავს უარყოფითად აქნევს აქეთ-იქით, სამკაულს უკან ართმევს უცხო ვაჭარს, ვაჭარი ათიდე თითს პარჭყავს და ზედიზედ იქნევს, ოცდაათს კიდევ უმატებს. კიდევ უარი. ბოლოს მორიგდნენ. სამკაულებს ჩემოდანში ილაგებს ფრანგი, ხოლო, ვაჭრე, დიდი სკივრი-ჩემოდნიდან კი ფაქიზად ნაკეთებ ფრანგულ ჭურჭელს ალაგებს ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობათა საფასურად.

ფრანგული ჭურჭლით მოხატული თითო ოთახი ყოველ კუბაჭელ ოსტატსა აქვს ბოლოს, მორიგებულიც და მომრიგებელიც შუა ოთახში, იატაკზე გაშლილ სუფრას უსხედან. ხინკალსა და წვნიანს მიირთმევენ. ბავშვებს ხელში ურიგებენ ხორცეულს, უფროსებთან არ აკარებენ. კედელთან ატუზული იძგნარებიან...

— ღმერთო, იმედი, ღმერთო, შეწევნა! — პირჯვარი გამოისახა ზურაბმა, კიბეზე ამავალი ქეთოს შემყურემ. თოლიღემ მოიცალა და ქართველაძეანთ ესტუმრა. იორღა, თოქმა ფაშატი მწყერივით შემოაგოგმანა ქართველაძიანთ კარმიდამოში. აგურმოყრილი კვალი გამოავლო, თამამად ჩამოხტა ცხენიდან მაშველი ბიჭების გარეშე.

— თავადი შინ გახლავთ, ქალბატონიც, — მიუგო მალხაზომ და კიბეზე აუძღვა.

— ბალღთან არიან ერთად, ბატონები თუ?.. — იკითხა თოლიღემ.

— თვალიდან რას მოიშორებენ, ერთად გახლავან. — მიუგო მალხაზომ და კარი შეუღო.

გამოჩნდა ფართო მაგიდა, სავახშმოდ გაწყობილი. ზურაბი ბოლთას სცემდა. მაგდანი მაგიდას მხარშექცევით, იდაყვდაყრდნობით უჯდა. გადია შლიდა სუფრას. ქეთოს ტოლი გოგონა ეხმარებოდა გადიას სუფრის გაშლაში.

— ღვინო მოგვართვი, მალხაზო! — გამოსძახა ზურაბმა ბიჭს და თოლიღეს შეეგება:

— მობრძანდი, თოლიღე ჩემო, თორღვა რატომ არ გვაახელი.

— მოცლა არა გვაქვს, ბატონო ჩვენო, ზურაბ, ხუნძებთან ახალდაჭრილნი ბევრი დაგვედო. მაშხალებიც დაგვჭირდა, თვალსინათლივ რომ ვერას გავხდით.

— ქართვლის ჭირი ვინ მოსთვალოს, ჩემო თოლიღე, ბატონიშვილები თავიანთ მამულებში მამის გვირგვინებს ხედავენ სიზმრად თუ ცხადლივ, ჩაკეტილან და ჯიბრობენ ურთიერთს.

— კიდევ კარგი, ქართლი და კახეთი ერთად დგანან, მცირედ მაინც ეწე-

ვიან ქართლოსიანთა სატკივარს. — ამოიოხრა მაგდანმა და თავის გვერდით შესთავაზა სავარძელი თოლიღეს.

— ხუთი-ექვსი ათასი მხედარი, ქართვლის ბედის სადარაჯოზე რა ბედნაა, ჩემო მაგდან, — თქვა ზურაბმა და მაგიდას მიუჯდა.

— ქეთოს მოუხმე, გადია-პირიმზეე, დროს ნუ წავართმევთ, — მიმართა მაგდანმა გადიას.

— ახლავ გაახლებთ, საღამოს ლოცვანს აღავლენდა ავართ ენაზე. რატომ არ მოუკვდება გამდელი, ჩემს ქეთოსა, ამის მნახველი — პირჯვარი გამოისახა გამდელმა და ქეთოს ოთახის კარი შეაღო.

— დიდს ცეცხლში ბრძანდებით, ბატონო ზურაბ, მაგრამ, წყალი-ნაწყლევს არ დაკარგავს, კაცი ნასიხლკარევსაო, იქნებ, ღვთის შეწევნით...

სათქმელი ვეღარ დაასრულა თოლიღემ. ქეთო შემოხტა დარბაზში. უკან გადია მოჰყვებოდა.

— იანო, შენ წადი! — ქეთოს ტოლი ლოყებღაჟღაჟა ქალიშვილი გარეთ გაისტუმრა მაგდანმა.

— თქვენი ჰირიმე, მაგის ყარ-ყარა სიტყვებს ვერ გავუძლებ... მერე გეხლებით! — შეეეედრა გამდელი და იანოს გაჰყვა გარეთ. დაღესტნურ ყაიდაზე მოსილი, შარვალ-კაბიანი, თავჩაღრიანი შოლტივით ტანაყრილი ქალიშვილი დარბაზში რომ შემოვიდა, ცამეტისაზე გაცილებით უფროსს ჰგავდა.

— დედა შემოგევლოს! — წაიწურჩულა მაგდანმა და ღაწვზე დაგორებული ცრემლი ლეჩაქის კიდით შეიმშრალა.

— დაბრძანდი, შვილო ქეთო! — ვაჟკაცური თავაზიანობა საძებნი არ ჰქონდა ზურაბ ქართველაძეს, მარჯვედ შესთავაზა სკამი შვილს. თოლიღეს პირისპირ ქალიშვილი მორჩილად დაჯდა.

— დი იას, ქხიკ იგი'მ? — სათნო სახით ჰკითხა თოლიღემ ქეთოს.

— ბარაქალა ქვეშეჭო, — მოუგო ქეთომ.

— რაზიგო იგიშ? —კვლავ ჰკითხა თოლიღემ.

— ქინაბ რაზიჩი ხაშუნ იუგიშულ. — იყო პასუხი.

ავარულ ენაზე გაუბა თოლიღემ მასლაათი ქეთოს. ქეთომ შედარებით მოახალვათა. რამდენიმე შეკითხვა თვითონაც მისცა თარჯიმან დედაკაცს. დაასლოებით შემდეგნაირი საუბარი იყო:

— რა უნდათ ჩემგან?

— შენი კარგად ყოფნა.

— მე კარგად ვიყავი იქ, საიდანაც ძალით წამომიყვანეს... ჩემს დედ-მამასთან ვიყავი კარგად...

— შენი დედ-მამა შენ გვერდით არიან, ნუთუ ვერ ხვდები.

— ჩემი დედ-მამა შორს არიან ჩემგან. ესენი ყაჩაღები არიან... ცუდები, საძაგლები, საზიზღრები...

— ეს არის შენი ნამდვილი სამშობლო, ვაშლოვანი, ესენი არიან შენი ნამდვილი მშობლები.

— ჩემი სამშობლო იქ არის, საიდანაც წამომიყვანა ამ კაცმა, — ქეთოშ ხელი ზურაბისაკენ გაიშვირა და განაგრძო. — ჩემი მამა ნაიბი ჰაიდარ-ბეგია, დედა ჩემი ნაიბის მეუღლე აიშეთ-ხანუმია. და ისინი ამათ არ აპატიებენ ჩემს მოცილებას. ქეთოს გული ამოუჯდა, მხრები შეუთრთოლდა...

კარს იქით მალხაზო, გადია და გოგო-იანო ყურყუტებდნენ. მალხაზოს ყური კარზე ჰქონდა მიდებული, ჭიატიდან გამოსხლტილ საუბარს აყურადებდა დიდი მცოდნესავით.

— რაო, გაგეგება, მალხაზო? — ჩურჩულით ჰკითხა პირიმზემ.

— ერთი უზალთუნის ოდენა გამეგება...

— მერე, რაო? — დიდის იმედით იკითხა გაძდელმა.

— ეჰვი შენზეა... თუ გამტაცებლებთან პირი შეკრული არა ჰქონდაო, რაღა მაინცა და მაინც ტყეში ასეირნებდა ბატონის ასულს, ამოდენა ბაღის პატრონიშვილსაო.

— მეხი დაგეცეს, ტყუე, მაგრამ, ჭრელ ჩიტს გამოუდგა, ჩიტი ბუჩქიდან ბუჩქზე გადაფრთხიალდა, შეჩვენებულო!.. — გადიას თვალწინ გათამაშდა ათერთმეტი წლის წინანდელი კადრი პაწია ქეთოს მოტაცებისა. მზე ახალი ჩასული იყო, ტყისაკენ მიმავალ ბილიკზე დღის ნათელი იდგა კვლავ. ჭრელი, მგალობელი ჩიტი, ფრთხიალ-ფრთხიალით გადადიოდა ბუჩქიდან ბუჩქზე, პაწია ქეთოც სიცილით მისდევდა. ტყის პირის ნათელი ტყის სიშავემ შეცვალა ერთბაშად.

— ქეთო, ქეთინო! — გული შეეკუმშა თვრამეტი წლის გადიას. თვალწინ, წამი-წამს ბინდდებოდა. ხედავდა ქეთოს, ჯერ კიდევ, დაეწია კიდეც, ხელიც წაატანა და ერთბაშად ყრუ ტკივილი იგრძნო კეფაში. ნაბდებში გამოხვეული თავბანჯგვლიანი ორი ლეკი ტყის მაჯლაჯუნებად დალანდა მიწას გართხმულმა გადიამ, დაცემის წინ. ქეთოს წივილმა გული გაუღადრა.

აივნის მოაჯირთან ჩოჩქოლ, გულშემოყრილ პირიმზეს გოგო-იანო და ბიჭი მალხაზო ასულიერებდნენ. წყალს ასხავდნენ, ხელს უთათუნებდნენ ლოყებზე.

— ოღონდ გაცოცხლდი, ახლა არ მოკვდე! ბოდიში, გადია-პირიმზე, ზურაბი მომკლავს, ტყავს გამხდის! გაცოცხლდი, შენი ჭირიმე, გაცოცხლდი! — ჩასჩურჩულებდა მალხაზო და შეშინებული, ფერდაკარგული მოულოდნელი გულშემოყრით, თვითონაც ისხმდა წყალს პეშვით, გოგო-იანოსაც მიუტკლაცუნა სველი ხელი რამდენჯერმე.

პირიმზემ თვალი გაახილა, მუხლზე კაბა გადაისწორა.

— შენ შეგაჩვენა ღმერთმა, ჩემის ცოდვით, მალხაზო, დაგწყევლა და შეგაჩვენა მამაზეციერმა, შე არგასაშვებო! — წამოდგა პირიმზე.

— ადრე და მალე, ადრე და მალე! — მორჩილად პასუხობდა დაფეთებული და დარცხვენილი მალხაზო გამდელს.

— მე კიდევ გულხეთქვა მინდა, შე ჩემის ცოდვით სავსევ. მითხარი, ერთი?! — ღამეა და ჩვენი საცოდავი ქეთოს ბოდვა მაღვიძებს, მთელი ღამე

დაღესტნურად ყარყარებს და გაიძახის! დღე არის და დედა-ენის მუნჯის ცქერა არ გინდა, სიტყვა აღარ ესმის ქართული. ხმას, კრინტს არ იღებს დედისა და მამის ენაზე. მეც ლამის დამამუნჯოს, ლამის, მაგრამ, ნეტავი მე დამამუნჯოს ღმერთმა და მაგას ენა ამოუდგას, ვინ ოხერი ყაბულს არ ვიყო, მალხაზო, ჰირმა დაგხაზოს, როგორც ჩემი გული დახაზა!..

— რა ამბავსა ხართ! — ხმადაბლა დაიგუგუნა ზღურბლზე გამოსულმა ზურაბმა. ზურაბს უკან თოლიღე და მაგდანი გამოვიდნენ.

— შედი, პირიმზე, ქეთოს მიხედე!... თქვენ რაღას უყურყუტებთ, ალაგას გასწით! — შენიშვნა მისცა მაგდანმა გოგო იახოსა და მალხაზოს...

დარცხვენილი გოგო-ბიჭი კისრისტეხვით ჩაგრიალდნენ კიბეზე.

მთვარიანი ღამეა. ფარანივით ჰკიდია მთვარე ხეთა ტოტებში. ზურაბმა და მაგდანმა გალავნის კარამდე მიაცილეს თოლიღე, მალხაზო ბიჭმა ცხენი დაახვედრა ალაყაფთან. აღვირი ჩამოართვა თოლიღე თურმანაულმა ბიჭს. მალხაზო გაუჩინარდა.

— იმედის ნატამალი, მცირედი ნატამალი, მეტი არა მინდა რა, თოლიღე. — ამოოხვრით ამოსთქვა მაგდანმა.

— ჯერ თვე გავიდა, მეტი ხომ არა. — თქვა თოლიღემ და ავშარა შეუსწორა ფაშატს.

— წელიწადი მგონია და შენ თვე უძახე, თოლიღე! — ამოიოხრა ზურაბმა.

— ჩვენი სიტყვა ლახვარივითა ხვდება, თოლიღე, — თქვა მაგდანმა, — რა წყალს მივეცე, არ ვიცი! — ოხრავდა მაგდანი.

— მოთმინებითა, ჩვენითა!... ღმერთი მოწყალეა! — თქვა თოლიღემ.

— ჩიტი სადაც დაიბადება, იმისი ბაღდადიც იქ არისო, — წამოიწყო გულდაბზარული ხმით ზურაბმა, — აქ არ დაიბადა, ჩვენგან, ჩვენს ხელში, მამაც ნათქვამი ჰქონდა, თავისი პირით, დედაც, დიდედაც, პური, წყალი, მშია, მწყურია...

— ბალღი იყო, ბალღი კი წარსულს მალე ივიწყებს. იგი აწდგომით ცხოვრობს. კეთილი და მოსიყვარულე ნაიბისა და დედობას მონატრებულ სიკეთით სავსე ნაიბის მეუღლის ხელში იზრდებოდა პაწია ქეთო, თავის ზრდას ძვითონვე დაჰხაროდა და...

— ჩვენ კი ვაკლებთ და არ დავხარით, არ დავხაროდით? — შეესიტყვა მაგდანი.

— ზრდა უთქვენოთ დაიწყო და უთქვენოდ დაამთავრა. აღორძინებული, ცამეტი წლის ნერგის კვლავ სადედე მიწაში დაბრუნება — გადმორგვა ხძოპითაც მთავრდება ზოგჯერ, ღმერთმა დაგვიფაროს, ზურაბ ბატონო, უკეთ მოგეხსენებათ ვაზიან-ხეხილიანი ბრძანდებით. თუშმა რა იცის ხილისა, თქვენია თურაშაული... სიტყვით ნუ შეაშფოთებთ, — განაგრძო თოლიღემ, ტოლები-სწორები მიუჩინეთ, მათგან უფრო აისხამს ქართული ენის მძივსა. სიკეთეს შეიტყობს, — თოლიღე ცხენზე ამხედრდა და გალავანი დატოვა...

უკან ბრუნდებიან ზურაბი და მაგდანი. მთვარის ნათელი ჩამოენთება ხოლმე ხეივანქვეშ და მოსაუბრე ცოლ-ქმრის ნაღვლიან სახეებს მკაფიოდ ასახიერებს.

— ღმერთი გაგვიწყრა და შვილი აღარ მოგვეცა, — ამოიოხრა ზურაბმა და მაგდანს ჰხარზე ეამბორა.

— ღმერთს ნუ სცოდავ, ზურაბ, ქეთო ჩვენი შვილი არ არის? დედა შემოევლოს, ჩემს მზეთუნახავსა და დედა მოუკვდეს, ადრე და მალე!

— ცოდვად არ მითქვამს, არა!.. და, ან ძმა რომ ჰყოლოდა, მსგავსი, მსგავსებას შენიშნავდა და გულს მოიბრუნებდა, მიჰვდებოდა...

— განა არა მგავს?! პაწიაც მგავდა და გულწასულს რომ დავხედე, პირველ დღეს, შინ მობრუნებულს ჩემს ქეთოს. ჩემი თავი აკი დავინახე, ძის ნატანჯ სახეში?

— მართალია, მაგრამ, თვითონ უნდა მიჰვდეს მსგავსებას, თვითონ უნდა დაინახოს...

— ჩადრი ვერ მოვაშორეთ, ზურაბ ჩემო და რანაირად? დედის ძუძუთი გაზრდილ შვილს დედის სახის ხილვა აღარა სურს... იქ, დაღესტანში ეგულება დედაც და მამაც, იქით მიუწევს სული და გული, იქა...

— ბარაქალა იმათ ვაჟკაცობას, ბარაქალა!... თითქოს და მადლობის მეტი არა უნდა გვეთქმოდეს რა, ამოდენა სიყვარული რომ შესძლებიათ, მაგრამ, ზურაბ და მაგდან ქართველაძეებმა რაღა დავაშავეთ. ჩვენი ღვიძლი შვილი რატომ ჩვენ არ უნდა გვეკუთვნოდეს, რად უნდა გაჰყურებდეს ჩვენი პირმშოს ქორფა სული და გული კავკასიონის მთის იქით კალთას, დედის კალთა ხომ აქ არის, ვაშლოვანში!..

ქეთო თოჯინებშია ჩაფლული. დედა და გადია სკივრიდან იღებენ ქეთოს ბავშვობის თანამგზავრებს, დიდი ოსტატობით დამზადებულ ნაჭრის, ხის და თიხის თოჯინებს და ქეთოსთან მიაქვთ რიგრიგობით, სიხარულით.

— ნამია, მაყვალა, მზიანა, ნუცა, რძიანა, თოჯა!.. დედა შემოგეელოს, შვილო, როგორ გიყვარდა მათთან თამაში. — ქეთო თოჯინებს გულისყურით ათვალიერებს და გვერდზე აწყობს. რომელიღაცა თოჯინა მცირე ხნით შეაყოვნა ხელში, საყელო შეუკრა, პაიჭები გაუსწორა. მაგდანსა და გადიას იმედი მიეცათ.

— ქონდარა რომ გვყავდა ჩვენი, ჩიტირეკია, კონკიჯღანია კაცუნა, გაბ-ლოვს, ყოველ ცისმარე ახალი თოჯინა, ან ჭრელი, მგალობელი ჩიტი უნდა მოერთმია შენთვის, ისე დღე არ გათენდებოდა, რომ არ გაეხარებინე.

ვერაფერი გაიხსენა ქეთომ დედისა და გადიას მონდომებული, გულითადი ნალაპარაკევიდან. რომ იტყვიან, ვერც ინჩი გაიგო და ვერც ბინჩიო. — ზედ გამოჭრილი ნათქვამია ქეთოს მდგომარეობაზე. ერთგვარი გაკვირვება და დაბნეულობა თუ რამ გაუჩნდა სახეზე, ისიც ქალების დიდი მონდომებისა და თავდაუზოგავი მეცადინეობისაგან უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე მისი საკუთარი გონების მიგნებისაგან.

— ჩიტებიც შემოვიყვანოთ? — მოისმა მალხაზოს ხმა კარს იქიდან.

— შენ არა, მალხაზო, ქონდარამ შემოიყვანოს, — გასცა პასუხი პირიმზემ.

მათ საუბარზე ქეთომ კარისაკენ მიიხედა.

კარი გაიღო და გალიებაჩონჩხლილი ქონდარა გამოჩნდა ზღურბლზე. კაცი-კაცუნა ძლივსღა მოსჩანდა გალიებისა და აფრთხიალებული ჩიტების კორიანტელში, ჩიტბატონები, შაშვები, ყაჯარები, ნიბლიები, მოლაღურები, ბზუწვიები ფრთხიალებდნენ, ჰყიოდნენ, წივწივებდნენ. ბუმბულისა და მტვრის ბღვირი დადგა ოთახში შემოსულ მზის სვეტზე. მალხაზომ კარი მიიხურა და ჰუჰრუტანიდან უწყო ჰვრეტა.

სათითაოდ დებდა მაგიდაზე, ქეთოს წინ ქონდარა თითო გალიას და შიგ მოფრთხიალე ჩიტს ზედმიწევნით ბაძავდა სტვენაგალობით. ჯერ ჩიტის სახელს იტყოდა ქონდარა, მერე სტვენას მოჰყვებოდა. წინა ტუჩები კურდღლის ტუჩებივით უთრთოდა სტვენა-გალობის დროს ქონდარას. სახეზე ძარღვები ებერებოდა მეტისმეტი განცდისა და მიბაძვისაგან. მკლავებს ოდნავ განზე იშვერდა ფრთებივით და ასე გალობდა თავდავიწყებით. ქეთო გამხიარულდა, გაიცინა კიდეც რამდენჯერმე, მაგრამ, ცხადია, ეს ღიმილი და მხიარული განწყობილება სრულიადაც არ იყო ბავშვობის მოგონებისაგან გამოწვეული. ყოველივე ეს ჯამბაზის ცქერით იყო აღძრული. ქეთო ისე გამხიარულდა, რომ ჩადრიც კი წამოიხადა სანახაობის უკეთ აღსაქმელად.

ქეთოს მხიარული განწყობილების გამოყენება სცადა მაგდანმა, მეორე ოთახში გაიყვანა, კარადა გამოაღო, ქართული კაბები გადმოულაგა, ჩიხტიკოპები, გულსაფენები.

— აი, შენი პატარაობის კაბები, შვილო, — მიაზომა პატარა ქართული კაბა მაგდანმა, სარკეშიც ჩაახედა. მერე, ნამდვილი, თავისი ქალიშვილობის ქათქათა კაბა ჩამოულო და ისიც მიაზომა. მხრებზე ქინძისთავებით მიუმაგრა, ხელი მოხვია და კვლავ სარკის წინ დააყენა:

— აი, ეს უნდა გეცვას, შვილო, ქართული კაბა, განა ეგ ჯაჯა-ჯუჯები, აჰლა რომ გაცვია. ნახე, როგორ გშვენის!..

ქეთომ სარკეში ჩაიხედა, ცხადია, თავისი თავიც კარგად შეათვალიერა და ის ქალიც, გვერდით რომ უდგა, მაგრამ, ძრავითარი ახალი გრძნობა მას არ გასჩენია. ჩადრი ჩამოიფარა და თავის ოთახს მიაშურა. გალიებით გადავსებულ მაგიდაზე ჩიტებს ათასგვარი ჟღურტული გაჰქონდათ. ქეთოს შესვლისთანავე დადუმდნენ ჩიტები, გაირინდნენ. ქეთომ ორივე ფრთით გამოაღო ფანჯარა და რამდენიმე წამში ყველა გალიის კარიც გახსნა. ჩიტები ჯერ ოთახში აფრთხიალდნენ ათასფრად და ათას ხმად, მერე, ერთმანეთის მიყოლებით ვაფრინდნენ გარეთ. ოთახში ერთბაშად ჩამოწვა სიჩუმე. ქეთო ღია ფანჯარაში გაფრენილ ფრინველთა კვალს გასცქეროდა. იმედგაცრუებულნი დედა და გადია კი ქეთოს მისჩერებოდნენ და არ იცოდნენ რა ეთქვათ და რა ეწამებინათ. ორივემ ნელ-ნელა მიატოვა ქეთოს ოთახი...

* * *

კაკლის ჩეროში გრძელ მაგიდას უსხედან ქართველაძიანთ მსახურნი, გლეხკაცები და დედაკაცები. გემრიელად შეექცევიან ლაფშა-მზარეულის მორთმეულ სადილს. ქალები მაგიდის ერთ მხარეს უსხედან, კაცები მეორე მხარეს... ქონდარაც იქა ზის, მალხაზოც, იანოც, ლაფშაც მიუჯდა მაგიდას, პირჯვარი გამოისახა და კერძის ჭამა იწყო. შინამოსამსახურეთა საუბარი, ცხადია, ქეთოს ირგვლივ უნდა წარმართულიყო და ასეც მოხდა.

— ვერ გასჭრა განა, შენმა ჭიკჭიკმა და ფრთხიალ-ფრთხიალმა, ქონდარავ, — თქვა ლაფშუამ და არტალა შეხვრიპა.

— ჩიტი დაღესტანშიაც ისე გალობს, რგორც ჩვენში, ვითომ მაგ ცდით რა უნდა გამოსულიყო, — თქვა ხაბაზმა ონისემ ჭამა-ჭამით.

— ბალღობის დროება უნდა გახსენებოდა, წესით, იმიტომ დამიძახეს, — თქვა ქონდარამ ლუკმის ღეჭვით.

— სკამზე რომ ზიხარ, ფეხები ჰაერში გაქვს, არა, ქონდარავ! — უკბილოდ წაიოხუნჯა რომელიღაცამ.

— ქალი — თმიანიო, მწყადი — ცვრიანიო, — წამოიწყო ლაფშუამ, — თქვენცა თქვით, ქალებო, იქნებ თქვენმა გაჭრას.

— ქვიდან ქვაზე გარდამავალს — წყალსაც ფერი შეეცვლებაო, — წამოიწყო რომელიღაცა დედაკაცმა, — ათ წელიწადში, ვინ იცის, რამდენ ქვას გადაურბინა ბატონიშვილი ქეთოს სულმა და გულმა.

— ათი წლის განმავლობაში ზღვაში ჩამდინარე წყალს კი უკან ვეღარ ამოაბრუნებ, — თქვა ფარეშმა მალხაზომ.

— საკუთარი დედ-მამის ცნობა-ვერცნობაც იქით იყოს, მდიდარი ნაიბის დედისერთას, ცამეტი წლის ქალიშვილს, ვინ იცის, რომელ იქაურ მოსხლეტილ დიდკაციშვილზე აქვს გული შეგორებული. დედ-მამა რომც იცნოს, იმ გულისთქმას რაღა უყოს, იმასაც მიწა მიაყაროს?! —თქვა იანომ და ჯამი განზე გასწია.

— შენ კი გენაცვალოს შენი მალხაზო, გოგოვ, მარტო მაგ ჭკუის სიმდიდრითაც მშვენიერად ვიცხოვრებთ. ბატონმა რომ გაგვაზატოს, ღმერთმანი, — მიეფერა მალხაზო იანოს.

— ქვეყანა იქცეოდა — ტურა ჭორწილს ექცეოდაო. აგერ, მოურავმა შემოაგდო იორღა, — თქვა ლაფშუამ და სუფრიდან წამოდგა.

— ბატონი რომ ხიდად გაგეგოთ, ზედ უნდა გაიაროთ?! — შემოუძახა მოურავმა შორიდანვე.

მსახურნი ჯამ-ჭურჭლის ჩხარა-ჩხურით წამოიშალნენ.

* * *

საღამოა. თოლიღე თურმანაულს სტუმრებია ქეთო ავარულ ენაზე სალაპარაკოთა და გულის მოსაოხებლად. გადია პირიმზე და ფარეში-გოგო იანო,

თურმანაულების სახლის ფანჯარასთან მიდი-მოდიან, როგორც სჩანს, ქეთომ არ ინება მათი შინ ყოფნა, თუმცა, ავარული ენის ინჩი და ბინჩი არ გაეგებათ არც გადიას და არც ფარეშ გოგონას.

თოლიღეს ქალიშვილები სუფრას შლიან. თოლიღე და ქეთო კი ერთმანეთის პირისპირ სხედან და ავარულ ენაზე ჰახჰახებენ. ქეთო ისე თავისუფლად ირჯება, როგორც თავისიანთან. ჯერ ქეთომ გაახურა სიტყვა ავარულ ენაზე:

— რა უნდათ ჩემგან? ნაიბ-ჰაიდარი, მამაჩემი და დედა — აიშეთი ბევრს ტირიან, სიზმარში ვხედავ. ორმოცდაათი ათი ათასი დინარი ოქროთი განა ცოტაა? თუ ეცოტავებათ, თავისი ფასი თქვას ნაიბ-ზურაბმა. როდემდე უნდა მტანჯონ, როდემდე, საცაა წელიწადი შესრულდება, რაც მომიტაცეს, როდემდე.

— შენ მათი შვილი ხარ, ზურაბისა და მაგდანის, ოქროში როგორ გაგცვლიან, ხომ არ გაგიჟდი. ნუთუ ცუდად გეპყრობიან? ნუთუ ვერ ატყობ, რომ შენზე ამოსდით მზე და მთვარე?..

— მე ვიცი, რომ თქვენ ჰაქიმი ხართ, თოლიღე, მე ვიცი, რომ თქვენი ქმარი ჰაქიმბაშია, მაგრამ, მე ვიცი, რომ ზურაბ და მაგდან ჩემი კარგი მტრები არიან, ისინი ტკბილად მექცევიან, თვალთმაქცობენ და ფეხქვეშ მეგებიან, მაგრამ, ცოცხალი მე აქ ვერ გავჩერდები. ეგრე უთხარი, თოლიღე-ხანუმ, რე თუ მოვკვდები არც ნაიბ-ჰაიდარი იცოცხლებს და არც აიშეთ-ხანუმი, დედაჩემი. ესენი კი უჩემოდ აქამდეც კარგად ცხოვრობდნენ. ახლაც და მერეც კარგად იცხოვრებენ. ესენი არ არიან ჩემი მშობლები, ესენი თავს არ მოიკლავენ, არა, არა! — ატირდა ქეთო, მდუღარე ცრემლებით.

— კარგი, ნუ ტირი, — ამშვიდებს თოლიღე და ეფერება, — მე ყველაფერს ვეტყვი ზურაბს და მაგდანს. ალბათ მიხვდებიან, რომ შენი ტანჯვა მეტად აღარ შეიძლება, ვეტყვი! ახლა კი ჭამე, ღონე მოიკრიფე, შენი ნაიბ-ჰაიდარი მამა და დედა აიშეთ-ხანუმი თუ გინდა კარგად გყავდნენ, შენც კარგად უნდა იყო, უნდა ჭამო...

— ვჭამ, შევჭამ! — კერძი ახლოს მიიდგა ქეთომ..

თურმანაულები ქეთოს მასპინძლობენ. ქაფიანი ლუდი ჩამოუსხა თოლიღემ მცირე კათხაში.

— ცუდები არ არიან, მაგრამ, ჩემგან და ჩემი მშობლებისაგან რა უნდათ? მეც ერთი შვილი ვყევარ ჩემს დედ-მამას, სხვას მოტაცონ, ვისაც ათი-თორმეტი ჰყავს და შენახვა არ ძალუძს, აზირ იმათ მოტაცონ შვილი, ნახევარი დაღესტანი მამაჩემის ქონებაა, მე ერთადერთი მემკვიდრე ვარ, თანაც გოგო, ქალი და იმასაც ტაცებენ საცოდავ ჩემს მშობლებს.

— მამა ეყოლება უშვილო, მდიდარი ნაიბი, თორემ, ერთ ცოლზე გაჩერება ისლამის რჯულში არ გაგონილა. — თქვა თორღვამ ჭართულად.

— ალბათ, დაეთანხმა თოლიღე ქმარს და ქეთოს ახალი კერძი მიუმატრჯვა. — ჭამე, შვილო, ჩვენი ხომ არ გერიდება, მიირთვი...

საღამოსაკენ გადახრილია დღე. გოგო-ბიჭები, წვრილფეხობას რომ ეტყვიან, ტაშფანდურობენ, დამალობანას თამაშობენ. ქეთო შორიახლო დგას, ჩადრი უფარავს სახეს. ვერ იქნა და ვერ გაბედა მისი მოცილება. აგერ, ერთერთი გოგონა გამოექანა ქეთოსაკენ, დაჰკრა ხელი და გაიქცა... ათი-თორმეტი ახალგაზრდა ერთბაშად მიჰყვა გაქცეულ გოგონას... ქეთოც დაედევნა ჯგუფს, რომელიმე მათგანის შეპყრობა სწადია... ბუჩქებში შეძვრა, ტოტი აიცილა სახიდან. ერთი დაუსხლტა, მეორეს წამოეწია და ისიც დაუსხლტა... თვალებში ებლანდება ჩადრი, ოფლით დამძიმებული. ანაზდად შეხლილმა ტოტმა მოაძრო საბურავი ქეთოს სახიდან. ქეთო წამით შეყოვნდა, ტოტზე შერჩენილი ჩადრისაკენ გაიხედა და მეტად აღარ მიუხედია ნაჭრისაკენ. ისე დაედევნა გოგონას, დაჰკრა ხელი და გამოექცა...

ბინდდება, დაღლილ-დაქანცული გოგო-ბიჭები თამაშს ამთავრებენ. წყაროს პირას შეგროვილნი ხელ-პირს იბანენ კამკამა, ცივი წყლით, ქეთომაც შეისხა წყალი სახეზე. მეორედ, მესამედ... მერე, ერობაშად გონს მოეგოვო, თითქოს, თვალებზე მოიფათურა სველი ხელი... ჩადრი მოისინჯა, თან სცხვენოდა კიდეც, თითქოს...

გოგო-ბიჭებს ნათელი, მხიარული, სანდო და საყვარელი სახეები ჰქონდათ... ქეთომ წამით შეაფასა, სათითაოდ შეაფასა თანატოლთა აჭარხლებული სახეები, ალალი, მართალი სახეები. არავის ებურა სახე, ბავშვებს ნათელი გადასდიოდათ...

ქეთომ გაიღიმა, სწორედ ისე, როგორც სხვები იღიმებოდნენ, მერე ერთბაშად ხელი დაჰკრა მხარზე იახოს და შორს არ გაქცეულა, ახლოს, ცხვირწინ გაურბ-გამოურბოდა დამჭერს და ისეთ სხარტ მოძრაობებს ახდენდა, რომ იანო მას ვერაფრით ვერ იჭერდა. დიოფალასავით სხარტად ირიდებდა მის ხელს... ამ ყოფით აღმოჩნდნენ სასახლის წინ...

— შვილო, ქეთო, შენ შემოგეელოს გადია შენი! —. შეჰყვირა ქეთოს ღია სახის დანახვაზე პირიმზემ. — ოღონდაც, ოღონდაც, შენი ჰირიმე, შენი!... მე თუნდ მიწამ მიყოს პირი, ოღონდ, ოღონდ...

ქეთოს სახე მოეღუშა... ხელისგული იჩრდილა, ისე აათავა კიბეები, მერე, ხელი კი ჩამოიცილა, მაგრამ სახე კუშტადშეკრული შერჩა. პატარა ხალიჩა გაშალა, ტაშტით წყალი დაიდგა, თუნგი იმარჯვა ჭრელყელიანი და ალაპის სადიდებელი ლოცვა-ნამაზი აღაელინა ზეცად... სულ მთლად გადასხვაფერდა გადიას თვალწინ.

* * *

თავად ბიძინა ყაფლანიშვილის ეზო. ჭიშკარი ორივე ფრთითაა ღია.

უზანგში წაჰყო ფეხი თუ არა ქეთომ, სხეული არც გადაუტანია უნაგირზე, ისე მოსწყვიტა ფიცხი ფაშატი ადგილიდან. მერეღა გადაიტანა მარჯვენა

ფეხი და სხეულიც მაშინ აღმართა უნაგირზე, ჭენებ-ჭენებით... უმალ მოსწყვიტა თავადიშვილმა ოთარმაც ყორნისფერი ულაყი და ქეთოს წამოეწია.

ახლადნასადილევი სუფრიდან წამოშლილი ქართველაძეები და ყაფლანიშვილები აივნიდან გასცქეროდნენ სასეირნოდ ამხედრებულთ.

— ფრთხილად, ოთარ, ორივეს თავი შენ გაბარია! — გასძახა მარიამმა. ბიძინას მეუღლემ ვაჟს...

— დარდი ნუ გაქვთ! — შემოუძახა ოთარმა მშობლებს, მარჯვნიდან შეუწონასწორდა ქეთოს ფაშატს, წინ უსწრო ერთი თავით და ისე შეავიწროვა, რომ კვლავ ეზოსაკენ დაახევინა. ახლა უკვე ქვემოდან ზემოთ ამოუქროლეს ყაფლანიშვილების ეზოს მხედრებმა და საჭირისპირო მხარეს გააქროლეს.

— გამოცდილი მხედრები აგვედევნებინა უჩუმრად, აჯობებდა, — გადაულაპარაკა სახეშეფაკლულმა მაგდანმა ბიძინას.

— მოურავო, გიორგი, აქმო! — მოურავს უხმო ბიძინამ.

— გისმენთ, ბატონო! — ეახლა მოურავი.

— შენ და რჩეული სამი კაი ყმა შორი-ახლოს მიჰყევით თვალუჩინრად სდიეთ ბატონიშვილებს, ხიფათი გვაშორეთ მოულოდნელი, — უბრძანა ბიძინამ მოურავს.

— მდინარისპირა ჭალები შეკრული მაქვს თადარიგად.

— მაინც მიჰყევით, სიფრთხილე უტკივარია! — არ მოეშვა ბიძინა.

მოურავი და სამი ვაჟკაცი უნაგირებს ადგამენ ცხენებს.

ახლა ქვემოთ ჩამოიქროლეს ოთარმა და ქეთომ, ყაფლანიანთ ეზო-კარს გასცდნენ და შეუჩერებლივ გაჭენდნენ.

— ამ თავქარიანობას არ გაპატიებ, ზურაბ, მაგდანი მოგიკვდეს თუ გაპატიო! — წყენით მიმართა მაგდანმა მეუღლეს და მხარი შეაქცია.

— შენი კარი გააღე და სხვისიც ღია დაგხვდებაო, — თქვა ანდაზა ზურაბმა და განაგრძო, — წლის გასულს მივეცით ჯირითის ნება, ნაიბის კარზე, მხედრულად აღზრდილს...

— უნდობლობამ და თვალჭერამაც დიდი ვერაფერი ნაყოფი გამოიღო, ჩემო მაგდან, — გამოესარჩლა ბიძინას მეუღლე, მარიამი ზურაბს.

— თუ ქეთოს სილაღე დავაკელი, არა მგონია, სოფლის უბრალოში ტრიალებს, რამდენადაც სურს, — თქვა მაგდანმა.

— მართალი ბრძანდები და სწორედ მაგ თავისუფლებამ ააღებინა ხელი ჩადრზე, — თავისი პოზიცია განიმტკიცა ზურაბმა.

— მაგ უჩადრობამ უარესი ლახვარი არ ჩამცა!.. შვილი სხვა დედას გასცქერის ცხრა მთას იქით, სხვა დედის სახე დგას მის თვალებში და ამის მოთმენა როდემდე შევძლო, — ნაღვლიანად თქვა მაგდანმა და თვალის უპეზე ცრემლი შეუგუბდა.

— მოთმინებამ, დრომ და მოთშინებამ უნდა გკიზღოს წანახედი, სხვა გზა მე არ მეგულება, — თქვა ზურაბმა და ბოლთა იწყო აივანზე.

— გული მეწურება როგორღაც, — თქვა მაგდანმა.

— ხილი, ლეკუაე! — გასძახა ბიძინამ ფარეშს და დააყოლა, — სადილს მერე ხილობაო, არის გვარიშვილობაო!..

ფარეშმა ხილით თავმედგმული ხახალი ამოარბენინა აივანზე.

— ინებეთ, ბატონო, — სათითაოდ შესთავაზა ფარეშმა ხილი სტუმრებს.

ჭალაში, მწვანე კორძზე გაუშლია ხელსახოცი ქეთოს, მუხლიჩოქზე დგას ფეხშიშველი და მზის ჩასვლის წინ, მხურვალე ლოცვანს აღავლენს, ზეცისაკენ შემართულ ღაწვებზე ცრემლის ნაკადები მოუდის. „ია, მუჰავილე ჰაალი ვალ აჰვაალი, ჰავილ, ჰალანა, ილალ აჰსანილ ჰაალი“. — არაბული ბუტბუტი ისმის ალყაღმემოკრული ქართველი მსედრების თვალწინ, რომლებიც პირჯვარს იწერენ წამდაუწუმ.

— ამისგან ქრისტიანი აღარ გამოვა, არა! — წაიბუტბუტა ყაფლანიანთ მოურავმა, ცრემლი მოიწურა და მლოცველს ზურგი შეაქცია. ბატონი იდგა ბიძის წინ, ბიძინა და ზურაბი გამოსულიყვნენ მოჯირითეთა საძებნელად.

— ქრისტეს დიდი ძალა აქვს, მოურავო, დიდი! ისლამის ალყაში მოქცეული ერს აძლებინებს, — პირჯვარი გადაიწერა ბიძინამ.

— მე ბალღზე მოგახსენებდით, — პირჯვარი გამოისახა მოურავმა გიორგიმაც და პაწია მლოცველს განერიდა. მჭედრებიც განერიდნენ, ველისპირს გაილალნენ ჭალაკიდან...

ქეთო ლოცვანს მორჩა, წამოდგა. საახალს დაუბრუნდა გულით, გონებით, მამის ხმა მოესმა, ზურაბის.

— წავიდეთ, შვილო ქეთო, დედა სწუხს. — წყნარად მიმართა ქალიშვილს და უზანგი დაუკავა.

ქეთომ დაკვირვებით შეხედა ფიქრადქცეულ ორმოციოდე წლის ვაჟკაცს. უარი არ უთქვია მამის შემოთავაზებულ უზანგზე, დინჯად გაუყარა ქოში და თანაპარი, აუჩქარებელი მოძრაობით გადაიტანა მეორე ფეხი უნაგირის იქით... და მამის გვერდით დასძრა ცხენი...

ბიძინა და ოთარი მხარმარჯვნივ, ოდნავ მოშორებით მიჰყვნენ წყვილად მიმავალ მამა-შვილს, რომელთაც საერთო აღარა გააჩნდათ რა. დამცველი რაზმი მერვედი ვერსის მანძილზე მიჰყვებოდნენ ბატონებსა და ბატონიშვილებს. გზაჯვარედინამდე მიაცილეს. იქ მაგდანი და მარიამი ელოდებოდნენ მცირე უშიშარი ამალით...

• • •

თავის ოთახში, სალოცავად განკუთვნილ მეორე ხალზე მუხლიჩოქით მდგარი ქეთო ლოცვანს-ლოცვანზე აღაელენს... შუადღეა...

შეაქვს და გამოაქვს ხელუხლებელი კერძები პირიმზეს. პირს არ აკარებს ქეთო... მალხაზოს კერძები მზარეულთან მიაქვს.

— ამას, ამ კერძს რომ ქრისტიანი ადამიანიშვილი არ შეჭამს. ამას, აბას რომ დაიწუნებს! — გაცოფებულია მზარეული.

— ორი დღეა პირი არაფრისათვის უხლია, წყლის გარდა, — ამოიოხრა მალხაზომ და დაწუნებული კერძი მოსინჯა.

— ის კი არა, ძმობილო, ეგება ეშლებათ ჩვენ ბატონებსა და მართლა სხვისი შვილი მოიტაცეს, მოიტაცეს და მწარედ სჩაგრავენ... ალბათ, თორემ, ცამეტი წლის გომბიოს ესეთი მტკიცე გულცივობა სად გაგონილა და სადა თქმულა, კაცო! — გამწარებით წამოიყვირა მზარეულმა და ისეთი ძალით დასცხო ცული დეკეულის ბეჭს, რომ განაჯერის ნახევარი მალხაზოს ყბაში ჰოხვდა და ჯამი ხელიდან გააგდებინა...

— ჩემგან რა გინდა, მხეცო?! — სახელოთი შეიხოცა ლოყა მალხაზომ.

— სანამ შენს გულღვიძლს არ ჩავუხოხბავ ბატონის ასულს, მე ვიცი, გუნებაზე ვერ მოვიყვანთ! — ესა თქვა და ისეთი სიმარდით გამოუდგა მალხაზოს, რომ, ამ უკანასკნელმა ძლივს გაასწრო კარში.

* * *

კვლავ უხმეს თოლიღე თურმანაულს. ბინდისას მოაკითხა... ძუნწი სალმით ჩაუარა ბატონებს თოლიღემ და ქეთოს ოთახში შევიდა.

— დირ იას, ქხიკ იგიშ? — ზეზეულ მოიკითხა თოლიღემ ქეთო.

— ქინაბ რაზიხი ხამუნ იუგიშულ, — მიიღო პასუხად.

— შენ გადი, პირიმზე, ვერა ხედავ დანახვა არ სურს შენი! — მკახედ მიმართა თოლიღემ.

პირიმზემ წაიტირა და ისე გავიდა თვალების ფშვნეტით.

— როდის გამიშვებენ შინ? — გამართული ქართულით ჰკითხა ქეთომ თოლიღეს და მერე, გულამომჯდარმა ისეთი სწრაფი ავარული ენით შეუტია თოლიღეს, რომ, ეს უკანასკნელი ძლივსღა ასწრებდა პასუხს. ჰახუნა სიტყვების ერთი კორიანტელი დადგა ქეთოს ოთახში. მეორე ოთახში გულშეკუმშულ ზურაბსა და მაგდანს ტყვიებივით ხვდებოდა ქეთოს მკახე-მკახე სიტყვები გულთ და დროდადრო კვნესა და ოხერა დასცდებოდათ ბაგიდან.

— რაო, თოლიღე?! — თითქმის ერთდროულად წამოდგნენ და მიეგებნენ ზურაბ და მაგდან, ქეთოს ოთახიდან გამოსულ თოლიღეს და სკამი შესთავაზეს.

— სამასლაათოდ არა გვცალია. ზურაბ ბატონო, მაგდან... გზა-გზა გეტყვით, საათქმელი ბევრი არ გახლავთ, — თქვა აჩქარებით თოლიღემ, მხედრული სისწრაფით ჩაათავა კიბე და წამოწეულ ზურაბს შეუტრიალდა. მაგდან მეორე მხრიდან წამოეწია თოლიღეს.

— მოგახსენებთ... დასარჩენი პირი მაგას არ უჩანს, როდის და როდისო, — გაიძახის...

— რას ბრძანებ!? — გულის სიღრმიდან შეწუხდა მაგდანი.

— რაც მოგახსენეთ... მსგავსი არც მრნახია და არც გამიგონია. შეცდომაც რომ იყოს თქვენის მხრივ და ეგ ის ქეთო არ იყოს; ერთი წლის განმავ-

ლობაში, ამოდონა სიყვარულისა და გულ-ჯიგრის მნახველი სხვა, სრულიად სხვა მაგისი ხნის ბალღი ცთუნების გზაზე შედგებოდა და მშობელოს გეტყოდათ, თუნდ თვალთმაქცობით, მაგრამ, მაინც, თავის ხვაშიადს გაგაგონებდათ. ეს კი.... არა, არა, გამიშვით და გამიშვითო...

— თუ სხვას ვერას გავაწყობთ სასიკეთოს, შევსვამთ და გადავიყვანთ. ჩვენზე დიდი ბუნებისანები სწორედ რომ ისინი ყოფილან! — მტკიცედ თქვა ზურაბმა.

— უწინამც ჩემი საფლავი აქ გაგიჭრია, ზურაბ! — შეატირა მაგდანმა და ხმა აუთრთოლდა.

— ჩემიც, თუ კი საჭირო იქნება, მაგდან ჩემო, მაგრამ, არა მაგისა. არა და არა! — გაფოლადებული სიჯიუტით ამოსთქვა ზურაბმა.

* * *

უქარო დილაა. ღრუბელი ირევა ცაში. კარგად შეიარაღებული ახალგაზრდა ოავადიშვილი ოთარ ყაფლანიშვილი წყვილი ცხენით ქართველაძიანთ სასახლესთან წრიალებს, ზურაბ ქართველაძის დარიგებას ისმენს.

— ბატონო ზურაბ, მამის ტოლი და მეგობარი ბრძანდებით, იმიტომ გიმხელთ ჩემს ხვაშიადს. ლამის დამწვას და ფეხფლად მაქციოს, თავს არ ვიცოცხლებ და მაგას კი დაღესტანში არ გავუშვებ. თქვენ რომ ჩაიყვანოთ და იმ მშობლებს მიჰგვაროთ, მაინც გამოვიტაცებ. გადავიხვეწები სულაც! — ქრემლი ყელში ებჯინება ოთარს.

— ნუ ფიცხობ, გონებით იყავ!... ძლიერი მხედარია, მაგრად გაუწვრთნიათ, კარგ ვაჟკაცს არ დაუდებს ტოლს ჯირითში, — დაარიგა ზურაბმა გულფიცხი ყმაწვილი კაცი.

— ფაშატი ფეხმოკლე შევურჩიე, სამაგიეროდ, — თქვა ოთარმა და ხელის ნაზი დასმით დაიურვა ცხენი.

ქეთოს დღეს განსაკუთრებით ამშვენებდა დაღესტნური სამოსი და საბაკულები. მაგდანმა ჩამოაცილა.

— დილა მშვიდობისა, შვილო, — მიესალმა ზურაბი ქეთოს.

— დილა მშვიდობისა, ბატონო! — მიუგო ქეთომ მამას და აღვირი ჩამოართვა.

ოთარმა უზანგი დაუკავა. ქეთომ შემოთავაზებულ უზანგს აუარა, მეორე მხრიდან მოახტა ცხენს და ადგილიდანვე მოწყვეტით დასძრა. ოთარმაც არ დააყოვნა. ალაყაფში პირველი გაიჭრა ოთარის ულაყი და ვაჟკაცის პირველობას ამით ხაზი გაესვა.

ეზოში ვახტანგი შემოვიდა, ზურაბის მოურავი, ხილისა და ყურძნის ნიმუშებით შევსებული ურემი შემოჰქონდა მოურავს.

—ბატონსა და ქალბატონს დღეგრძელობა არ მოუშალოს მამაზეციერმა, — თავი დაუკრა ვახტანგმა.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, მოურავო, ეგ რა ძღვენი გვაახელ? — სალამთან ერთად იკითხა ზურაბმა.

— რაც ელი უნდა დაგიძახოთ, ბატონო. დამკრახულია ზვრები, თანაც ჭარელი ლეკები გვესხმიან და ჩანაგდება...

— როგორ მოგვეპარა შემოდგომა, ვერც გავიგეთ, — თქვა ზურაბმა და გოდრიდან მტევანი აიღო. სიტკბო მოუსინჯა.

— წელიწადი შეგვისრულდა მწარე ბედნიერებისა, — თქვა მაგდანმა...

— წელიწადი გახლავთ, დიახ, — კვერი დაუკრა ვახტანგმა და კითხვა წაუმატა, — თუკი მიბრძანებთ, მამაო ილიას ვაკურთხებინებთ ყურძენს და რთველს დავიძახებთ...

— ეგ ურემი აკურთხებინე მამაო ილიას, რთველს კი ჯერ ნუ დავიძახებთ, საბაგისო გული და გუნება სადა გვაქვს! — თქვა მაგდანმა.

— ეგრე უნდა ვქნათ, მოურავო, — დაეთანხმა ზურაბიც მეუღლის გადაწყვეტილებას. — ისე, ჭარელთ საზღვრებთან რთველი რომ ვქნათ, ურიგო არ იქნება, მიდა ზვრები უჭლები დავტოვოთ ერთხანს, საშური არ არის. ჩვენი ქეთოს ამბავი ან აქეთ, ან იქით და მერე დავიძახოთ დიდი რთველი.

მაგდანმა ოთხი კელეპტარი მისცა მოურავს, მოურავმა მეურმეს გადასცა სანთლები, რომელმაც უმალვე ხარების რქებზე შეადუღა და ალი მისცა.

შემოდგომის ბარაქით დაზვინული ურემი ეკლესიისაკენ გაემართა...

* * *

ოთარის ხირიმმა იგრიალა. ისრად აჭრილი მამალი ხოხობი მოჭრილი ბეღტივით მოწყვეტით წამოვიდა ციდან..

მწყემსის ქოხთან სასროლი ბადე შრება ჩამდინარეში რეცხავს ოთარი გამოშიგნულ კალმახებს და ბორხვენას ფოთოლზე აწყობს. იარაღი ზედვე აქვს ასხმული ყმაწვილ კაცს. თვალი ქეთოსაკენ წასძღევს. ქეთო, ამასობაში, ხოხობს ღერ-ღერად აცლის მოხატულ ბუმბულს და თმაში იბნევს. იქარგავს, იქარგება, ისედაც ხოხბის სინატიფის ასული. მთლად ბუნების უმაღლეს მშვენიერებად ისახება ყმაწვილ მიჯნურის თვალში. ნელ-ნელა ირთვება ქალიშვილი. ხოხბის გაპუტვაზე იმდენად არცა ფიქრობს, რამდენადაც თამაშს გაუტაცია იგი... სუნთქვაშეკრულმა ჩაუარა ოთარმა მოხატულ ქალიშვილს და შუაცეცხლზე მოთუხთუხე ქოთანში ჩაუშვა კალმახები. მოხატული ასული მისკენ შემოტრიალდა.

— დედოფალო, დედოფალო ქეთევან! — ჩურჩულებს ქეთოს სილამაზით მონუსხული ყმაწვილი კაცი, — დედა ენა, ენა, როგორ დაგავიწყდათ, დედოფალო?! — ნაბიჯი წარსდგა წინ ოთარმა, თან ჩურჩულებს, საკმაოდ გასაგონად განაგრძობს, — მე გასწავლით, დედოფალო, მე... გამომყევით, ოღონდაც, აგერ, ცხენი, ცხე-ნი!

ცხენებზე სხდებიან და იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ კვალდაკვალ

დაჰქრიან ხოხბის ფრთებით მოხატული ქეთო და თავით-ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი ახლადშეღერილი ქართველი მხედარი.

— აგერ ხე, ხე, გაიმეორე! — ოლეზე მდგარ ხესთან შეჩერდება ცხენდაცხენ, ჰენებ-ჰენებით მიმავალი წყვილი და კადრიც, მათთან ერთად შედგება.

— ხე, ხე, — იმეორებს დედოფალი.

მიჰქრიან მხედრები, ვაჟი და ქალი. კურდღელი წამოუხტებათ, დაფეთებული, შედგება კადრი.

— კურდღელი! აი, კურდღელი! — ამბობს ოთარი.

— კურდღელი, — იმეორებს ქალიშვილის ხმა.

მიჰქრიან კვლავ.

— კა-მე-ჩი, კამეჩი! — ამბობს ოთარი და ალაზნის ნაპირთან შეჩერდება კადრი. კამეჩები წვანან წყალში და ზანტად იცოხნებიან.

— კამეჩი! — იმეორებს ქალიშვილიც.

— ურემი! — ამბობს ვაჟი და ქართული, ლამაზად გაწყობილი ურემი ჩნდება კადრში.

— ურემი, — იმეორებს ქალიშვილიც.

— აი, ყანა, ყანა! — ამბობს ყმაწვილი კაცი და ოქროსფრად მღელვარე ყანის წინ ჩერდება.

— ყანა, — იმეორებს ქეთო.

— ნამგალი, — ნამგალს უჩვენებს ქეთოს ოთარი.

— ნამგალი, — იმეორებს ქეთო.

ოთარი იქვე გამოუსვამს ყანას ნამგალს, ხელეურს შეკონავს და ქეთოს გაუწვდის.

— ხელეური, — ეუბნება ოთარი.

— ხელეური, — იმეორებს ქეთო და ხელეურს გამოართმევს.

— აი, კალო! — ამბობს ოთარი.

— კალო! — იმეორებს ქეთო.

— ეს, კევრია, — კევრზე შედგება ოთარი.

— კევრია, — იმეორებს ქეთოც და ისიც კევრზე დგება.

ოქროსფერ ბულულებზე დაჰქრის კევრი, ხარებს ოთარი ერეკება, ოთარის ზურგსუკან კევრზე ქეთო დგას...

— აი, ვენახი, ვენახი! — დამკრახულ ვენახში დგანან ქალ-ვაჟი.

— ვენახი, — იმეორებს ქეთოც.

— ეს, ვაზია.

— ვაზია.

— ეს, მტევანია, — მტევანს მოუწყვეტს ოთარი ქეთოს, ხელის გულზე დაუდებს.

— სამჭედლო...

— სამჭედლო...

— მჭედელი...

— მჭედელი...

— აგერ, მარანი, — ახლა მარანთან შეჩერდება კადრი.

— მარანი, — იმეორებს ქეთოც.

— საწნახელი, ქვევრი, თუნგი...

— საწნახელი, ქვევრი, თუნგი...

— აი, ბადაგი, — ფიალას შეუშვერს თაღარში საწნახელიდან მოჩუბჩუხე ყურძნის წვენს ოთარი, ქალიშვილს სთავაზობს.

— ბადაგი, — ამბობს ქეთო და ფიალა ტუჩებთან მიაქვს. სვამს ბადაგს...

საწნახელში სამი ქართველი ყურძნის მწურავი დათქლაშუნებს წყობისით წინ და უკანა სვლით...

— აი, ალაზნის ველი, კახეთი, საქართველო! — მთის წვეროდან გადმოჰყურებენ ბაღ-ვენახებით მოხალიჩებულ ალაზნის ველს ოთარი და ქეთო... ლურჯ ცაში წეროს გუნდივით გაჭიმულა თმაშევერცხლილი კავკასიონის ქედი.

— საქართველო, კახეთი, — ისმის ხოხობივით შეღერებული ქეთოს ტკბილი ჩურჩული.

— გენაცვალე, — ხელი ხელში მოჰკიდა, საკოცნელად მიიზიდა ვაჟმა ქალი.

— აი, შოთი! აი, შოთი! — ტაბლიდან ატაცებული შოთი ისეთი გამეტებით შემოჰკრა ქეთომ ოთარს, რომ მოულოდნელობისაგან იყო, თუ, დარტყმის სიძლიერისაგან ოთარი დაბარბაცდა და ქოხის კედელს მიეყრდნო ბეჭით...

წითლად ანთებულ სახეზე რომ ხელი ჩამოისვა ოთარმა, ქოხში აღარავინ დაუხვდა. გარეთ გამოიჭრა ვაჟი. მაღალ, ყორნისფერ ულაყზე ამხედრებული, ხოხბის ფრთებით მოხატული ქალიშვილი სოფლისაკენ მიჰქროდა... წვიმდა. წვიმა უფრო და უფრო მატულობდა.

ფეხმოკლე ფაშატის უნაგირს ზემოდან გასცქეროდა ოთარი ხელთაშუა გამჭრალი ქალიშვილის კვალს...

შუბლი შეასრისა წვიმით და ცრემლით დასველებული უნაგირის ფრთას ვაჟმა და ფეხათრევით შეჯდა ცხენზე...

* * *

— დირ იას ქხიკ იგიშ?! — აივანზე, ზურაბთან ნარდის თამაში მიატოვა ზურაბის დაღესტნელმა ყონაღმა, ყაზი ნურაბდალმა და ხოხბის ფრთებჩამოლეწილ, შინდაბრუნებულ ქეთოს ფეხზე ადგომით მიესალმა.

ქეთომ მოხედა თანამემამულეს. წამით შეყოვნდა, ოდნავ დაუკრა თავი სტუმრებს ხმიერი სალმის გარეშე და თავის ოთახს მიაშურა.

— არა შეჯდა მწყერი ხესაო, როგორღაც ამბობენ ხოლმე ქართველები ამ ანდაზას. — თქვა სტუმარმა და კამათელი გაუგორა...

— გვარი, ჩვენი გახლავს, ყაზი ნურაბდალ, სახელიც, სისხლიც, მაგრამ

ჭირი მართალსაო, ნათქვამია და ჭირიც ჩვენი სტუმარი შეიქმნა, — თქვა ზურაბმა და უგუნებოდ განაგრძო თამაში.

— ათასი მხედარი უყენია ფარქვეშ, ნაიბ ჰაიდარს, მისხალს არაფერს ახლოთო ხელი, გაუფრთხილებია, გარდა...

— გარდა ჩემი შვილისაო, განა?! — მწარედ ჩაეცინა ზურაბს.

— ირან-თურქეთი ზურგიდან ჰკვებაენ, ასიათასი დინარი ათასი მხედრისათვის ურიგო პირობა არ არის, — თქვა ბიძინამ და სახე მოისრისა

— შემოდგომაა, ხალხს მოსავალი დასაბინავებელი აქვს, თორემ, შევაწითლებდით ალაზანს... ათი ერთზე მიგვეღია და ორი ათასი ლეკი რა ბედენაა!.. ერთსაც და მეორესაც არად დაგიდებდით, შვილი, ქართველაძიანთ ერთადერთი ასული, ცალი ყბით მაინც რომ ჭეტყოდეს მამას... დედას რომ დედას ეტყოდეს, მაგრამ!.. — მწარედ წარმოსთქვა ზურაბმა და ნარდი დახურა.

— როგორ ვუთხრა, მაშ, ნაიბ ჰაიდარს? — იკითხა ნურაბდალმა.

— შენ როგორ იტყვი? — ჰკითხა ზურაბმა.

— ნება თქვენია, სიტყვა თქვენზეა, — სათქმელი შეინახა ყონაღმა.

— როგორ აჯობებს? — შეესიტყვა ზურაბი.

— თქვენ როგორ გიჯობთ? — კითხვა შემოაგება ნურაბდალმა.

— ვაიმე, შვილო! — სასოწარკვეთით აღმოხეთქა კვნესამ დედის გულიდან. ქართული საკრავებით მოკინძულ ხალიჩას მიაყრდნო მაგდანმა ზურგი. სახეზე ხელი აიფარა და აქვითინებული შეტრიალდა კარებისაკენ. ზურაბმა შეაშველა მკლავი ღონემიხდილ მაგდანს.

მალე უკანვე მობრუნდა ზურაბი. ფიქრობდა.

— დაქადებისა სიტყვითა არ გადასწყდების ვალიო! — თქვა ბიძინამ და ზურაბს შეხედა.

— ეშმაკის წინ მალაყს ვერ გადახვალ, ნათქვამია, და რას ვიზამთ, ხვალ-ზეგისათვის შევევზადებით, — თქვა ზურაბმა და ნურაბდალს ხელი ჩამოართვა.

გადაუღებლად წვიმს...

წვიმის სქელი ფარდა გაარღვია ნურაბდალის ცხვირკეხიანმა ყაბარდოელმა.

უბადლო დილა გათენდა. ბროწეულისფერი სხივი აიჭრა კამკამა მტრედისფერზე აღმოსავლეთის მხრიდან. ბულბულმა ნოტიო კოკორი შეაქანა ქართველაძიანთ ვარდების ბაღში და ისეთი საგალობელი წარმოსთქვა, თითქოს ჭვეყნიერება აი, ამ სწორუპოვარი დღიდან იწყებსო ცხოვრებას. მერე, მზე მთელად ამოეგზნო. ბულბულმა გალობას უკლო. ბოლოს სულაც მიჩუმდა. მისი დადუმება იყოვო თითქოს ნიშანი და ყველა ფრთოსანმა ერთად ამოიდგა ენა. ფრინველთ ჟრიამულმა მოიცვა ყოველივე.

აივანზე ნაბადწამოსხმული შეხვდა ზურაბი განთიადს. ტახტზე იჯდა, მაგდანი, ტახტზე იწვა, ნაბადი ეხურა მაგდანსაც. ქართველაძეებს, ზურაბს და

მაგდანს ჭირის ღამე აივანზე გაეტარებინათ. მაგდანის მუთაქა ცრემლით იყო დამბალი.

კარი გაიღო და ოთახიდან ქეთო და გადია-პირიმზე გამოვიდნენ. თუნკი და ტაშტი ეკავა პირიმზეს, პირსახოცი მხარზე ჰქონდა გადაგდებული.

— დილა მშვიდობისა, ბატონო! — შეებამიცემული ხმით, ქართულად მიესალმა ქეთო ზურაბს და პირის დასაბანად დაეშვა კიბეზე...

— დილა მშვიდობისა არ მოგაკლოს მამა-ზეციერმა, შვილო, — სიმწრით, მაგრამ, საკმაოდ გულთბილად დაადევნა ზურაბმა შვილს პასუხი. მაგდანიც წამოდგა. ნაბადმოსხმულმა გაიარ-გამოიარა მზედანთებულ აივანზე, მერე შედგა და პირის ბანვასა და თმის ვარცხნაში გართულ შვილს დააცქერდა.

— ქვა რომ ქვა არის, დაიჯიქებს და გახდება, ქვაზედ მეტი ყოფილა დედის გული, ზურაბ ჩემო, ქვაზედ მეტი.

— არც შენა ხარ ხერხში, ჩემო მაგდან და არც მე ვარ ტყეში. უნდა შევემზადოთ, ცოცხალია და იმედია, რას ვიზამთ!.. ქართული სამოსი, ქართული სამკაული, საშინაოც, საგარეოც, თეთრეულიც, ყველაფერი იმდენი გავატანოთ, რომ სიტყვაძვირი არ წამოსცდეთ ჩვენზე. ვითომც საქორწილოდ გაგვეშზადებინოს. მხედრულად გაუწვრთნიათ და წყვილი საუკეთესო ცხენიც, თავისი საკაზმით, ჩემი ფეშქაში იყოს!..

— ყველაფერი მზადა მაქვს მე გულმკვდარს, სამი დიდი ხურჯინი პირსავსეა, მაგდანმა ნაბადი ტახტზე მიაგდო და შინ შევიდა...

— დილა მშვიდობისა, ბატონის ასულო, ქეთევან ქართველაძე! — მიესალმა მალხაზო-ბიჭი სახედამშვენებულ ქეთოს და ვარდების დიდი, ახლად აჭრილი თაიგული მიუტანა ცხვირთან, — ქართულ ვარდს სხვა სურნელი აქვს, ბატონის ასულო, სამშობლოს ნექტარია შიგ ჩაღვრილი, არა, პირიმზეე? — ახლა პირიმზეს დააყნოსინა ვარდები მალხაზომ და აივანზე ავარდა.

— დილა მშვიდობისა, ბატონო, რას მიბრძანებთ? — მალხაზო ბატონის წინ შედგა თავდახრილი.

— მშვიდობა მოგცეს, ღმერთმა, მოურავს უხმე!

— თადარიგობს მოურავი, ახლავ გაახლებთ. — მალხაზომ საყვავილე ქოთანში ჩააწყო ვარდები და მოურავის დასაძახებლად გაქანდა.

ბიჭები ცხენებს კაზმავდნენ...

— ნალებს ახლა აკრავთ, გუშინ რას მიქეთებდით? მოურავი სად არის? ბატონი უხმობს! — ჩაურბინა მალხაზომ ბიჭებს.

— ლაფშასთან არის, მოურავი, საგზლის თადარიგზეა, — მიუგო ერთერთმა მსახურთაგანმა.

სამზარეულოში სტუცა თავი მალხაზომ.

— მოურავო ვახტანგ, ბატონი გიხმობს! — შეუძახა სამზარეულოში მალხაზომ.

სამზარეულოში, მზარეულისა და მოურავის გარდა ორი გლეხკაცი იზურ-

გებოდა საგზლით. ხურჯინებწამოკიდებულები გამოვიდნენ. მალხაზოსაც აჰკიდა ლაფშამ ხურჯინი.

— შენმა ოსტატობამაც ვერ გასჭრა, მახინჯო! — წააყვედრა მზარეულს მალხაზომ.

ნაწყენმა ლაფშამ ერთი ისეთი პანღური უთავაზა ხურჯინწამოკიდებულ, ენაკვიმატ ფარეშს, რომ, ეს უკანასკნელი კინაღამ ცხენებს შეუვარდა ფეხებში.

ოცამდე შეიარაღებული მხედარი და ორიც თავისუფალი ცხენი ზურაბ ქართველაძის სახლის წინაა ჩამწკრივებული, ქეთოს ელოდებიან...

ქეთო ოთახიდან გამოვიდა. გადია პირიმზე და ფარეში გოგო იანო გამოჰყვნენ. მაგდანი ზურგით მიყრდნობოდა აივანს და ბედსშეგუებული, მწუხარე სიდინჯით შეჰყურებდა ქეთოს, ქეთომაც შემოხედა დედას, შეცვალა რაღაც დააპირა, ნაბიჯი წარსდგა დედისაკენ და ისევ შედგა. ერთბაშად ჩამოიხსნა ძვირფასი გულსაკიდარი, სწრაფად მივიდა მაგდანთან, მულალიმური დამშვიდობების წესით გული გულზე მიადო, თავი მხარზე გადაუდო წამით, მერე დაღესტნური ყელსაბამი გადაჰკიდა ყელზე, კვლავ მიეყრდნო მკერდით და განშორდა. აღელვებული იყო, გული უფართხალებდა. ზედიზედ ჩამოიხსნა სამკაულები გზა-გზა და გადიას, იანოს და მალხაზოს ჩამოკიდა ყელზე. გადიას და იანოს მხოლოდ თითოჯერ მიადო მკერდი მკერდზე და კიბისაკენ წავიდა. მოჩუქურთმებულ სვეტზე დაკიდულ ფანდურს ჩამოჰკრა მტევანი გზად, ფანდურმა ხმა გაიღო. კიდევ ერთხელ მოხედა ქეთომ მაგდანს და კიბეზე დაეშვა. მაგდანმა ფანდურს შეხედა, სიმებისაგან გამოცემული ხმა ისევ იდგა დადუმებულ ჰაერში. ნაბიჯი წარსდგა მაგდანმა, ერთი მოძრაობით ჩამოწყვიტა არჩვის რქაზე დაკიდული ფანდური და ისეთი მოძრაობით წაიწია წინ, თითქოს მისი საჩუქრად გატანება სწადიაო. ქეთო უკვე ცხენზე ჯდებოდა, მაგდანი კიბის თავზევე შეჩერდა და ყოველგვარი მიყუდება-მოყუდების გარეშე ანდამატივით დადგა ფანდურით ხელში.

ოთარს მამის გვერდით ეყენა ცხენი და ქორფა ულვაშს იკვნეტდა გამალებით. ძლივს იკავებდა თავს, საცრემლე გადმოღვრაზე ჰქონდა. ბიძინა დროდადრო გადმოხედავდა ხოლმე შვილს და მუხლის წაკვრით აწესრიგებდა ყმაწვილი კაცის გულჩვილობას...

აქა-იქ მსახური ხალხი შეყუჟულიყო. დედაკაცები იცრემლებოდნენ მიფარ-მოფარებულად. ზოგი სახლის კუთხეში, ზოგიც ხეთა ზროებს აგვერდებულნი გულდათუთქულნი განიცდიდნენ უბედურ უკუქცევას ქართველაძიანთა ბედნიერებისა. ერთი მხნე გლეხი დედაკაცი შეუფერხებლად მიეახლა ქეთოს. უნაგირის კეხზე ჩამოუგო ქართული ჩურჩხელების კონა და მუხლზე ემთხვია. უკანასკნელი ყელსაბამი ჩამოიხსნა ქეთომ და ყელზე გადაჰკიდა გულკეთილ დედაკაცს...

და ყველა მოძრაობა, მიხვრა-მოხვრა, ჩურჩული თუ ჩქამი უცბად გაქრა, არად იქცა წამში, თვალდახელშუა. რაზმი, რომელსაც ზურაბ ქართველაძე

მეთაურობდა, ისე ჩუმად დაიძრა ადგილიდან, თითქოს ცხენები გაფრენილ ნაბდებზე ვლიანო.

ზურაბი უნაგირზე შემოტრიალდა, მაგდანს გადმოხედა და თითქოს ეს იყოვო ნიშანი, მაგდანის ხელებში გათანგულმა ქართულმა ფანდურმა ხმა გამოიღო. ათი წლის უმღერმა დედამ, კახეთში სიმღერით განთქმულმა მაგდან ქართველაძემ, ცოცხლივ გულმოკლულ დედის უბადლო ხმით იავ-ნანა დაიმღერა, ერთადერთ ქალიშვილთა საბოლოო განშორების ჟამს. „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო“..

ზურაბმა ქუთუთოები მიაწნეხა ერთმანეთს და დაგორებული ცრემლი სათავეშივე გაკვნიტა. ზურაბი უნაგირზე გასწორდა, ცხენს დეზი ჰკრა და გალავანს იქით გაიჭრა. ალაყაფში გამავალი მხედრები თვალებს ისრესდნენ. ცრემლს მალავდნენ თითონ ბედდამწუხრული ქვითინებდა, მთელი სხეულით თრთოდა უნაგირზე.

ქეთომ ჯერ მაგდანს მოხედა, მერე ალაყაფთან გარშემოჯარულ მხედრებს, თითქმის სათითაოდ, უსწრაფესად მიმოავლო თვალნი და წამით შეყოვნებულმა გაოგნებული სახით განვლო ზღუდის კარი. იქვე ქალი იდგა, კარს იქით და თითქოს მაგდანს წაართვაო სიმღერა, ახლა ამ დედამ განაგრძო გულიდან ამომავალი „იავ-ნანას“ ჰანგი. ეს დედაკაცი სხვა ხმით მღეროდა. მეორე ქალის ხმა, პირველისას არც ჰგავდა და კიდეც ჰგავდა.

—ქართველაძე შვილსა ჰკარგავს, იავ-ნანინაო“, — ახლა გზის მარჯვნივ მდგარმა ქართველმა დედამ დაირწია ძუძუზე მიხუტებული ჩვილი „იავ-ნანასთან“ ერთად. ქუჩა კი არა, „იავ-ნანას“ ხეივანი გაჩერდა თვალწინ. მარცხნივ კარებწინ აკვანს არწევდა დედა „იავ-ნანასთან“ ერთად. მარცხნივ, უაკვნოთა და უბავშვოდ, ბავშვივით მკერდზე მიხუტებულ ფანდურს ახმიანებდა ახალგაზრდა გოგო და ისიც „იავ-ნანას“ გალობდა.

მთელი შიდა კახეთი „იავ-ნანად“ აკვნესებული გამოფენილიყო სახლებთან, წისქვილთან, ურმებთან, ვენახებთან. არა ერთის და ორი დედის ძუძუ კვნესოდა დაკარგულსა და გარდახვეწილ ასულსა და ძეს...

„იავ-ნანას“ გუგუნის გვირაბში მიდიოდნენ მხედრები და ერთბაშად დადუმდა ყველა ხმა და დაყრუებული გვირაბის სიჩუმე ქეთოს გულსაკლავმა შეკივლებამ გააპო. „დედაო!“ — ისეთი ძახილი აღმოხდა დაღესტნურად შემკულს. მაგრამ, სულით და ხორცით ქართველ ასულს გულიდან, რომ ზურაბმა ვეღარაფერი იწამა და უნაგირის კეხზე ჩაქინდრა თავი.

— „იავ-ნანა“, დედავ, დედავ! — შეჰკივლა ქეთომ მეორედ და უკუქცეულმა, ჰენებ-ჰენებით გამოჰქუსლა შინისაკენ...

მოჰქროდა მხედარი ასული „იავ-ნანას“ ჰანგების ჰავლში და იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ ქართული ყოფის ამსახველი კადრები ერთმანეთს სცვლიდნენ. ყოველ კადრს ქეთოს ხმა ასახელებდა. „აი, კალო“, „აი, მუხა“, „აი, ვენახი“, „აი, მტევანი“. ცხენიანად აიჭრა აივანზე ქეთო. „იმღერე, დედავ!“ — დაიძახა და დედის გამოწვდილ მკლავებზე გადმოეშვა უნაგირიდან...

გადია-პირიმზე ფანდურს უკრავდა და შვილჩახუტებული დედა მაგვანი „იავ-ნანას“ მღეროდა აივანზე...

გუგუნებს ქართველაძიანთ ეკლესიის ზარი.

— შეუდგებიან ქრისტესა სჯულსა? — ეკითხება მამაო ილია სანთლებით გაჩირაღდნებულ საყდარში, ემბაზის წინ, ქართულ ტანსაცმელში მოკაზმულ ქეთოს.

— შევუდგებიენ, — პასუხობს ქეთო მცირე ბორძიკით. ქეთოს მარჯვნივ ქაიხოსრო ამილახვარი დგას, ძველი ნათლია, ხოლო, მარცხნივ, მეუღლე მისი, მაკინე. ისინი საგანგებოდ მოუწვევიათ ზურაბსა და მაგდანს ქართლიდან, ძაგდანის სამშობლოდან, ქეთოს მეორე ნათლობაზე.

— შევუდგებიენ! — იმეორებენ ნათლიებიც.

ზურაბი და მაგდანი მათ უკან დგანან ლაღად, რწმენით აღსავსენი. მათ შემდეგ ყაფლანიშვილები, ბიძინა, მარიამ და ოთარ იწერენ პირჯვარს.

— მოიკვეცს თმასა მონა ღმრთისა, ქეთევან, — ამბობს მამაო ილია და ფრთხილად შეაკვეცავს ქეთოს კულულის ბოლოს...

საყდრიდან გამოსულ ქეთოს თოლიღე თურმანაული დაუხვდა.

— დირ იას ქხიკ იგიშ? — ღიმილით ჰკითხა მან ქეთოს.

— ბარაქალა ქვეშეჯო! — გახარებული ქეთო ავარული ენის ერთადერთ მცოდნეს, თოლიღეს მოეხვია.

— მორჩა შენი ხრიკინ-ხრიკინი, თოლიღე, დედა ენაზე გალობს ჩვენი ბულბული! — ნიშნის მოგებით შეუძახა გადიამ. მაგდანმა, მოძიძგილე-მოდევეთა გამოსაჯავრებლად „შაშვი, კაკაბი შეიბნენო“ სიმღერა წამოიწყო. ქეთო მაშინათვე დედას აეკრა და სმენად იქცა. ბიძინამ მეორე უთხრა, ზურაბმა, ქაიხოსრომ და მამაო ილიამ ბანი ააგუგუნეს.

სიტყვაზე მეტად ფასობდა სიმღერა მაშინდელ საქართველოში და შესანიშნავი, მრავალხმიანი სიმღერა იცოდა დიდმა თუ პატარამ, ხალხმრავალი ეკლესიის ეზო სიმღერად იქცა. ამ სიმღერით დაიძრა მრევლი ეკლესიის ეზოდან.

რთველია გახურებული. „ვაზური“ ისმის ქართველაძიანთ ზვრებში, მთელს ვაშლოვანში. დამკრახული ყურძნით დატვირთული ურმები უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ზვრებიდან მარნებისაკენ. მღერის მეურნე. მღერიან საწნახლებში დაკაპიწებული ყურძნის მწნეხავები.

„ვაზო, შვილიეით ნაზარდო,
ულვაში გადგიგრეხია,
ჩაჰკონებიხარ ჰიგოსა,
შუაზე გადგიტეხია“.

დამკრახულ ვენახში, ის-ის იყო ახალი ვაზის საკრეფად გადაინაცვლა ქეთომ და კალათი წინ წარსდგა, რომ, ძურწა ბალახებიდან, ზედ ქეთოს ცხვირწინ, გრიალ-ფრთხიალით ამოიჭრა თვალის მომჭრელი ფერების, ბოლოხმლი-

ანი მამალი ხოხობი და ირიბად, შედლუხიცით ავარდა ვენახების თავზე გადაჭიმულ ცის სილაჟვარდეში. ხოხბის ამოფრენა იყოო თითქოს ნიშანი, სუნთქვაშეჩერებულმა ქეთომ სწრაფად მიმოავლო თვალი ზვარს ვაზებზემოდან. თოფი არ გავარდნილა. ნახევრად სავსე კალათი ანაზდად მიატოვა გადიას გვერდით და რიგთა შუა გასწია.

კიდევ ამოიჭრა ჰმალკუდიანი, მამალი ხოხობი ქეთოს ფერხთაგან. კვლავ განაგრძო სვლა ქეთომ ვაზთაშუა. ყოველ ათ-თხუთმეტ ნაბიჯზე ამოდიოდა და ამოდიოდა ულამაზესი ფრინველი ძურწა ბალახებიდან. ქეთო წამით შეყოვნდა და ისევ მიიწევდა წინ.

ვენახის ბოლოს, რუის პირზე ჭოხი გამოჩნდა, ჭოხის მახლობლად, ნერგების ჩრდილში ორი მშვენიერი, შეკაზმული ცხენი გარინდულიყო მხედრის ნოლოდინში...

— დირ იას ჭხიკ იგიშ? — დაღესტნური სალმით მოიკითხა ლაფშუა, — მწვადები მზადა გაქვს?

— აი, სალამ! — მიუგო ლაფშუამ, -- თითო გადაბრუნებაღა უნდა და მზად იქნება.

— „ბარაქალა ქვეშეტო“ უნდა გეთქვა, შე, ქვე რაჭველო, აი, სალამ, აი სალამს“ რომ გაიძახი ყველაფერზე. ენაც უნდა გადააბრუნო შამფურთან ერთად. — გაჰკილა ფარეშმა მზარეული და მაყალზე აშიშხინებულ მწვადებს დასუნა, ლაფშუამ მალხაზოს სწორედ ამ დროს წაუქისტურა და მწვადზე დააკვრევინა ცხვირი. — „ბარაქალა“, ქართულადაც „ბარაქალაა“, — სათქმელს მიაგნო მზარეულმა, „ქვე“ — „ქვეა“, ესეც ქართულია, „შე“, შე ყბედო, შენა, „შეა“, „ჰო“ — კიდევა, ქართულადაც „ჰოა“, „ჰო“, „ჯო“, არ გაგიგონია?!

— ვა, ჰო! ვა, ჯო! ე, რა კარგად გადმოაქართულე! — შეაქო მალხაზომ მზარეული და მწვადს ცოტაოდენი წააცილცნა.

— შენ აქ, ემაგ მწვადს წაუდარაჯე, მე გავალ, „ფერი-ფერსას“ შევძახებ ნეფე-დედოფალს, — თქვა ლაფშუამ და წინსაფრის მოხსნა დააპირა.

— „ფერი-ფერსას“, ქორწილში იძახიან, განა ნიშნობაში-რო! — მალხაზომ შამფურები აიტაცა მაყალიდან და გარეთ გამოვარდა...

აივანზე მცირე, მაგრამ, ლაზათიანი სუფრაა გაშლილი.

ქეთოს ნათლიები, ჭაიხოსრო ამილახვარი და მისი მეუღლე მაკინე, ბიძინა და მარიამ ყაფლანიშვილები ამშვენებენ სუფრას. დედ-მამის გვერდით სასიძო ზის, ოთარი. ზურაბი და მაგდანი მასპინძლობენ სტუმრებს. დარბაისელი, შუახნის მღვდელი, მამაო-ილიაც იქა ბრძანდება. აივანი, ბოძიდან ბოძამდე ჩურჩხელების ჩუქურთმაშია ჩამჯდარი; მოაჯირიდან თავხეებამდე, რამდენიმე რიგად არის გაკიდული ჩურჩხელები. ჩურჩხელებში გაცრილი მზე თაფლივით იღვრება მაგიდაზე. მალხაზომ მწვადი მოარბენინა, სტუმრებს შეუშვირა შამფურები.

— მწვადი კი გვაახელ, ზურაბ ბატონო და მაგდან, მაგრამ, სადედოფ-

ლოს ჩვენებას როგორღაც გვიგვიანებთ! — ღიმილით წარმოსთქვა ბიძინამ და ზურაბსა და მაგდანს გადახედა.

— დედის სიმღერას ელოდება, უთუოდ, — გაუღიმა ზურაბმა მაგდანს, — იმღერე, მაგდან! — ფანდური ზეზე აუდგომლად ჩამოხსნა ზურაბმა და მეუღლეს კალთაში ჩაუდო.

— კერძოდ ჩემი სიმღერა გნებავთ, თუ, ერთობლივი წამოვიწყო? — იკითხა მაგდანმა და სიმებს ჟღერადობა შეუმოწმა.

— დედა-შვილის სიმღერა უფრო გვესიამოვნებოდა, — თქვა ნათლი ქაიხოსრომ და ულვაშზე გადაისვა ხელი.

— სიტყვები ეჩოთირება, ჩვენს ქეთოს, დაღესტნური ქართულში ერევა, თორემ, ხმას მშვენიერსა ჰფლობს... უქეიფობა შევამჩნიე, როგორღაც, გუშინაც ვერ გახლდათ გუნებაზე, — მაგდანმა ერთბაშად ჩქარი ფანდური აახმიანა და „ვეფხვისა და მოყმის“ ბრწყინვალე სიმღერა დაიმღერა.

მეჩურჩხელეებმა, ეზოში, საჩურჩხელე თათარის ქვაბებს ციცხვის ბრუნვა შეუნელეს და ბოლოს სულაც შეწყვიტეს. ლაფშუამაც გაბედა სამზარეულოდან გამოსვლა. დაქინდრულ ურმის კოფოზე ჩამოჯდა მონუსხულივით, გაირინდა. ნალბანდმა ლევანმა საბერველი მიატოვა. აივნის ქვეშ, სვეტს მიყრდნობოდა მალხაზო და მთელი გულისყურით ისმენდა მაგდანის უბადლო ხმით შემკულ უბადლო ქართული, ხალხური ლექსის მომაჯადოებელ მელოდიას.

— ვაშა, ქართული სიმღერის დედას! — ტაში შემოჰკრა ქაიხოსრომ. ზღურბლზე ქეთო გადმოდგა. დაღესტნური სამოსი ეცვა, ხელთ გრაგნილი ეკავა.

— კვლავ დაღესტნურად გაწყობილა, შენი ნათლული, თავადო, — გადაულაპარაკა მამაო ილიამ ქაიხოსროს.

— ბედნიერია, ორი სამშობლო აქვს! — ჩვენ ვიდარდოთ, მამაო, ჩვენა, რომ დანაკუწებული საქართველოც ლამის გახლავთ ხელიდან გამოგვაცალონ!

— ქაიხოსრო წამოდგა და ქეთოს თავისი გვერდით, მეუღლესა და მასა შორის გამოუძებნა ადგილი.

— ნათლიას მოახსენე შენი შეგვიანების ამბავი, — სთხოვა დედამ.

— ხელთ რა გიპყრია, ნათლულო? — ქაიხოსრომ გრაგნილს ჩამორთმევა დაუპირა.

— ჩემი გაძ'ზრდელი დედ-მამა მესიზმრა... წერილი მაინც მოგვწერეო, მეევედრებოდნენ, თან ტიროდნენ, — გაბედულად თქვა ქეთომ და გრაგნილი დედას ჩაუდო კალთაში.

— ჩვენ დაგასწარით, შვილო, ნაიბი და მისი მეუღლე ქორწილში მოვიპატიჟეთ, — თქვა მაგდანმა და ქეთოსეული გრაგნილი-წერილი გაშალა. მშვენიერი, არაბული ჩუქურთმით იყო შესრულებული წერილი.

— ასლის შემოწმებას არ მოვყვებით, გეჯერა და ამ შენს უსტარსაც

ახლავე დავადევნებ მსტოვარს, შორს არ იქნებიან წასულნი, — ზურაბმა გრაგნილი კმაყოფილებით ჩაათვალიერა:

— შენმა ორმხრივ სიყვარულმა უნდა გააერთიანოს მეგობრობის ერთობით სისხლისაგან დაცლილი, უაზრო მტრობით მოღლილი საქართველო და დაღესტანი! — წარმოსთქვა ზურაბმა და ვრაგნილის ახვევას შეუდგა.

* * *

საღამოვდება. მდინარიდან ამოაჭენა ცხენი მალხაზომ და საგუშაგო კოშკთან მიაგდო:

— ეს კოშკი თქვენ გაბარიათ, მიტრუებო? — ჰკითხა კოშკის წინ, ძელზე ჩამომსხდარ გლეხკაცებს, პურ-ღვინოს რომ შეექცეოდნენ ღიღინ-ღიღინით.

— ჯერ დაილოცე და მერე გეტყვით, — ერთ-ერთმა მეინახემ აზარფეშა ღვინით აავსო და მალხაზოს გაუწოდა. მალხაზომ სიამოვნებით დაცალა თასი.

— ჩვენ გვაბარია, ჯეელო! — მიუგო ზარხოშში შესულმა გლეხკაცმა.

— ღმერთი არ გაგიწყრეთ. ემანდ და ისე არ გამოიბრუყოთ, რომ ნაიბის მობრძანება გამოგეპაროთ და მეზობელი კოშკის გუშაგებს არ შეატყობინოთ! — გააფრთხილა მალხაზომ გუშაგები.

— გამოგვეპაროს კი არა და!

— ერთი გემოზეც გამოგიბრუყავთ, იმ თქვენ ლეკბატონასა, დარდი ნუ გაქვს...

— ეს თივა, აქ რომ დაგიჯაურებიათ მიწაზე, ოჯახქორებო, კოშკზე როდისღა უნდა აზიდოთ, ვერა ხედავთ, საღამოვდება! — ახლა მეორე საგუშაგო კოშკთან მიაგდო მალხაზომ ცხენი. ამ კოშკთანაც მსგავსი სურათი დაუხვდა ფარეშს.

— ყველაფერი რიგიანად იქნება, მიირთვი, — აზარფეშა მიაწოდა მეორე კოშკის გუშაგმა მალხაზოს.

— ე, პურ-მარილს თუ კი თქვენეე გამოხრავთ, ერთიც ვნახოთ და გვშიანო, სტუმრებმა, მერე?! — მალხაზომ აზარფეშა სიამოვნებით გამოცალა და მომწოდებელს დაუბრუნა.

— ნახევარი საქართველო მაგათ გამოხრეს და მაგათ „გვშიაოს“ დავიჯერებთ! — ჯამი ჩამოართვა გლეხმა მალხაზოს.

— ძმობა და მეგობრობა უნდა იქნესო, ბატონმა ბრძანა.

ქეთოს ბედნიერების საბაბით ჩვენსა და დაღესტნელთ შორის დიდი ძმობის ხიდი უნდა გაიდოსო, რაც მტრობას დაუნგრევია, მოყვრობას უშენებიაო... თივა აზიდეთ! — მალხაზომ ერთი ჯამიც გამოსცალა და შემდეგი კოშკისაკენ ჰკრა დეზი ცხენს...

ბოლო კოშკი სოფლის თავში რომ იყო. მალხაზოს ებარა პირადად. ცხენიდან ჩამოხტა მალხაზო, კოშკის კარებთან დაყრილი საცეცხლე თივა დაბღუჯა და კიბეს აუყვა. ფანდურის დაკვრის ხმა ჩამოესმა ზევიდან. მიაყურა. ქალი მღეროდა.

„ღმერთო, დღეგრძელობა მიე
აქა მბრძანებელსა,
ნეფესა და დედოფალსა
სახე მშვენიერსა;
წყვილი ვაჟიშვილი მიე
საწლეულო წელსა...“

ფრთხილად აიპარა კოშკის წვერზე. თივას ამოფარებული მალხაზო. გოგო არხეინად მღეროდა და ლეკების მოსავალ გზას გასცქეროდა.

„ოჯახობა დაუქციე
ჩვენი ნეფის მტერსა,
ამათი ცხვარი და ღორი,
დააჭმიე მგელსა“.

უცბად მოესმა შარიშურით სიმღერაში გართულ ქალს და შემოტრიალდა. იანო იყო, მალხაზოს ტოლი, ქეთოს ფარეში.

— აქ რას აკეთებ, ჩემის ცოდვით სავსევ, რასა?! — იკითხა ღვინისაგან შეჯიკჯიკებულმა, მოულოდნელი შეხვედრისაგან წამოგზნებულმა მალხაზომ გულის კუნჭულის მიჯნური, მშვენიერი გლეხის ასული, თავითფეხებამდე შეათვალიერა.

— შენ გელოდებოდი, — გაეცინა იანოს და იქვე განუმარტა, — ქეთოს ვუთვალთვალებ, მერე დედ-მამის დასახვედრად გამოიჭრა მარტოკანა, გულმა ვეღარ მოუთმინა და...

— მერე, მე? — ამოილუღლუღა თივაჩაბღუჯულმა მალხაზომ და სულ ახლოს მივიდა გოგოსთან. ძლივს მიხვდა, რომ თივა ხელს უშლიდა და ხელი გაუშვა. თივის ბულული ჩადგა გოგო-ბიჭს შუა.

— მერე, მე? — გაუმეორა კითხვა მალხაზომ.

— შენ რა? — მაცდურად, ანცად ჰკითხა ფარეშმა გოგომ.

— მე რაო?! ათი წელია ვითმენ, ათი და შენ რაო?! ლამის გადაგვაყოლოს ბატონმა ქეთოს ბედს, გოგო და შენ რაო?! ჩვენ — ჩვენ როდისღა ვთქვათ, ჰა, როდისღა?! — თივაზე გადააბოტა, იანოს აეფოფრა. — ერთი პატარა, პატარა წნული ქოხი, უნდა ჩავდგათ, გოგო, გესმის?!... ქოხი, იანო. ქოხი, ქოხი, ქოხი!... — მალხაზომ იანოს ორივე მაჯა დაუჭირა, მოიზიდა და ყელუყურზე აუცურა გაფიცხებული ტუჩები. წკრიალა ფანდური ისე უხმოდ ჩაეცა აბრეშუმივით თივის ბულულში, რომ ჩქამიც არ გაღებულა.

— ჭირიმე, შენი, მალხაზო! — ორი ღერი სიტყვა ძლივს ამოათავა გათავისუფლებული ბაგეებიდან და თავისი ფანდურის გვერდით ჩაეშვა ფაფუკ თივაში, მალხაზოსთან ერთად.

ბინდდება. მიჯნურთა თივის სავანეს ერთბაშად ალი ავარდა. დანარჩენ

სანიშნე კოშკებზე კარგა ხანია ბრიალებდა ცეცხლი, დაღესტნელ სტუმართა მოსვლის მაუწყებელი.

ალანძული გოგო-ბიჭი, იანო და მალხაზო დაფეთებულები წამოვარდნენ თივიდან და ერთმანეთის სამოსზე წანაკიდები ცეცხლის ქრობით დაეშვნენ კოშკის კიბეებზე. გზადაგზა წამით შედგებოდნენ და შეტრუსულ ადგილებს კოცნით უამებდნენ ერთიმეორეს.

ის-ის იყო კოშკის კარიდან გამოჰყო თავი დაფეთებულმა გოგო-ბიჭმა, რომ წინასწარ შემზადებული ოინი, ცივი წყლით დააგვირგვინა ლაფშუამ, თითო თუნგი წყალი გადაავლო შეყვარებულებს. „ფერი-ფერსაო!“ — დაიძახა და გზის გადაღმა, ბუჩქნარში გაუჩინარდა... ის-ის იყო, დადევნება დააპირა გაცეცხლებულმა მალხაზომ, რომ ყურის ძირთან მოესმა ცხენების თქარა-თქური, მიიხედა და ნახა, რომ ნაიბის ცხენოსანი რაზმი ზედ იყო მომდგარი. გზის გადაჭრა და ლაფშუას გადევნება უაზროც იყო, უხერხულიც და საშიშიც. კოშკისაკენ დაიხიეს ხელი-ხელჩაკიდებულმა მალხაზომ და იანომ...

ცხრა კარგად შეიარაღებული და საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული ავარი მხედარი, შუქის წვერის წყობით განლაგებული, მეწინავედ მოუძღოდა ნაიბის ოჯახს. ასეთივე, მხოლოდ უკანშველილი მახვილის წყობით განლაგებული მოჰყვებოდა ცხრა მხედარი ნაიბის ოჯახს.

ნაიბ-ჰაიდარსა და აიშეთ-ხანუმს შუაში ჩაეყენებინათ ქეთოს ცხენი და სიყვარულით შემჭიდროვებულნი ერთ მთელს მოაგონებდა მნახველის თვალს. ამ სამეულის უკან ნომავალ ორ ფარეშს მზითვით დასაპალნებული ექვსი ცხენი მოჰყავდათ გამობმული. ხან მამობილს მიეხუტებოდა ხოლმე ქეთო ცხენდაცხენ, ხანაც აიშეთს, დედობილს ჩაეკვროდა...

ამასთან, დედობილ-მამობილსა და ქეთოს ისეთი დაღესტნური ჭახჭახი გაუდიოდათ, ისე მონატრებულად ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს ავარო ენაზე, თითქოს, პირაქეთ, საქართველოში კი არა, დაღესტანში ყოფილიყვნენ.

— რაზიგო იგიშ! — რაზიგო იგიშ! — ატეხა სალამ-კალამი ავარულ ენაზე ლაფშამ და სტუმრებს მშვენიერი ტაბლით გამოეგება ბუჩქნარიდან.

— ბარაქალა, ქვეშეგო! — სალამი დაუბრუნა ნაიბმა მზარეულს, პაწია ქისა აჩუქა და ტაბლა ფარეშებს გადააწოდა... ნაიბის ამალამ სვლა განაგრძო.

— გვაჯობე, განა, მახინჯო! — შეუძახა მალხაზომ მოხერხებულ მზარეულს და იანო ცხენზე შემოისვა.

— ქორწილიც მოასწარით, ქუდბედნიერებო, თქვენა და ლაფშასი რა გშურთ? — ცხენდაცხენ წამოეწია ლაფშა არამკითხე ნეფე-დედოფალს.

— რომ დავმწვარიყავით, შე თავქოთანავ, მერე?! —- გაუწყრა იანო მზარეულს...

— დამწვრები არა ხართ, ისეც და ასეც, აი, ქისა, ნაიბის ნაჩუქარი, ბატონი რომ გაგაზატებთ და ქოხს ჩადგავთ, ესეც მიიხმარეთ, ჯამ-ჭურჭელი და ქვაბ-ქოთნეულობა შეიძინეთ. ქისა გადააწოდა, ცხენდაცხენ ლაფშუამ, თან წაამღერა:

„ვაი, ჩემო ქისაე,
ფერად ნარინჯისაე.

იანომ და მალხაზომ მიამღერეს:

შიგ ნადებო მარგალიტო,
კვინწო მარილისაო“.

თვალსინათლივ მიუახლოვდა ნაიბის ამალა ქართველაძიანთ კარმიდამოს. ქეთო ერთბაშად მოსწყდა დედობილ-მამობილს, დაწინაურდა, გალავანში შეიჭრა, ხეივანი განვლო, ზურაბისა და მაგდანის შორიახლოს შეაყენა ცხენი, ჩამოხტა და გულამომჯდარი ჩაეკრა დედას:

— მოდიან, მოვიდნენ! — დაიძახა ქეთომ დედის უბეში, მერე დედაც და მამაც მიატოვა და ბაღში შეეფარა. ქეთოს ცხენი ოთარმა თავის ფარეშა მიაჩეჩა და ფეხდაფეხ მიჰყვა სატრფოს...

— მოურავო, ბიჭები! — დაიძახა ზურაბმა.

მოურავი, ქვეითი ბიჭებით ეახლა სტუმრებს. ნაიბსა და მის მეუღლეს აღვირები ჩამოართვეს, უზანგები დაუჭირეს და ჩამოაქვეითეს. ამალა თვითონ ჩამოქვეითდა.

— მობრძანდით, ბატონებო! — ზურაბისა და მაგდანისაკენ მიიპატიჟა მოურავმა ვახტანგმა და გაუძღვა.

ზურაბმა და მაგდანმაც რამდენიმე ნაბიჯი წარსდგეს სტუმართ შესახვედრად.

ორი წყვილი მშობელი ერთმანეთის პირისპირ შეჩერებულნი იდგნენ და ერთმანეთს ათვალიერებდნენ.

— ას-სალამუ ალაიქუმ, ნაიბ-ჰაიდარ, ვა, ქაიფა ჰაალუქა?! — ხელი ჩამოართვა და წმინდა არაბულად მოიკითხა აღელვებულმა ზურაბმა ნაიბი.

— ვა ალაიქუმ ას-სალამ, ბი-ხაირუნ! — მიუგო პასუხი არაბულსავე ენაზე ნაიბმა ზურაბს ხელის ჩამორთმევისთანავე.

მაგდანი და აიშეთი ერთმანეთს გადაეხვივნენ და დედური ცრემლებით ურთიერთს გულისპირები დაუსველეს.

ქორწილმა, რომელმაც სამ დღესა და სამ ღამეს გასტანა, დიდად დაამეგობრა სამი ძლიერი ოჯახი, ნაიბის, ზურაბისა და ბიძინა ყაფლანიშვილის ოჯახი. სამი წყვილი მშობელი უმშვენებდა მხარს ნეფე-დედოფალს, ქეთოსა და ოთარს. ქართველთა და დაღესტნელთა ერთ დროს განთქმულ მეზობლობა-მეგობრობას, ამ იშვიათმა ქორწილმა და დანათესავებამ ხელახლა და საშვილიშვილოდ ჩაუყარა საფუძველი...

ყოველ შემოდგომაზე, ენკენისთვეში, ნაიბი, თავისი მეუღლითა და ამალით რთველში ესტუმრებოდა ხოლმე ზურაბ ქართველაძესა და ბიძინა ყაფლანიშვილს მიუხედავად ქართული ადათისა, რომ, ქალი ვაჟიანთსა უნდა სახლობდეს და ცხოვრობდეს და მხოლოდ მოლოგინების დროს უნდა ბრუნდე-

ბოდეს მშობლებთან, ქეთო, უხმო, მაგრამ ყველასათვის გასაგები შეთანხმების ძალით თავის მშობლებთან, ზურაბსა და მაგდანთან დარჩა საცხოვრებლად, თავის მეუღლესთან ერთად, ოთარ ყაფლანიშვილთან ერთად, რაღა თქმა უნდა, რთველიანობის დროს, სამი სახელოვანი ოჯახი ერთ დიდ, სახელმწიფო მნიშვნელობის ოჯახად იქცეოდა ხოლმე.

„არა გვგონია, რომ ვისმე თავის სიცოცხლეში რთველი ისეთი სიამოვნებითა და ბედნიერებით ეტარებინოს, როგორც ატარებდა ქეთო.

მაგრამ, განა მარტო რთველობის დროს იყო ქეთო შვებითა, ლხენითა? არა, სხვა დროსაც.

ბრძენნი ამბობდნენ და ამბობენ, რომ საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულიაო.

ძლიერი, წმინდა სიყვარული მოყვარისადმი, თვით მოსიყვარულესაც უტკბობს სიცოცხლესა და მოყვასსაცაო. სიმდიდრეც შეიძლება ადვილად დაჰკარგოს ადამიანმა, სიმართლესა და სილამაზესაც მოაკლდეს, ნათესავებიც შეიძლება უდროოდ დამარხოს, მაგრამ მოსიყვარულე გული კი ათბობს და ანათებს მის სიცოცხლეს, თვით საძარის კარამდისაო.

ქეთოს დედისაგან დაჰყვა მეტად მოსიყვარულე გული და ამ გულს ძლიერ მოუხდა იშვიათი მისი თავგადასავალი. ამ თავგადასავალმა ძლიერნი მოძრაობანი გამოაცდევინა ქეთოს გულს და ავარჯიშა იგი. ღრმა გრძნობანი გულისა ჯერ დედ-მამის სიყვარულზე აღიზარდნენ, მერე ძლიერ ჯავრზე, რომელიც გამოაცდევინა მას მოტაცებამ ლეკების მიერ, შემდეგ, დედობილ-მამობილის სიყვარულზე. მას უკან ფრიად ღრმასა და ხანგრძლივს ნაღველზე, რომელიც მოჰყვა მამისაგან მოტაცებას, მას შემდეგ სიყვარული ღვიძლი დედ-მამისა და დედობილ-მამობილისა ერთად შეერთდა ქეთოს გულში, ბოლოს ამას დაემატა ღირსეული ქმრისა და შვილების სიყვარული, და ამ სახით ქეთოს გული გახდა დაუშრობელი წყარო კაცთმოყვარეობისა, გაუქრობელი ლამპარი სიყვარულისა მოყვასისადმი.

ქეთოს, გამომცდელს ცხოვრებაში დიდი ნაღველისაცა და ძლიერი სიხარულისაც, ყოველთვის და ყოველგან ტკბილი ალერსი ბავშვებისათვის, ცრემლი უბედურთათვის, ნუგეში დაჩაგრულთათვის, შემწეობა გაჭირვებულთათვის, მოწყალება გლახაკთათვის, მას თავისიანად მიაჩნდა ქართველებიც, საქართველოც და დაღესტანიც, და რადგან სიყვარული შობს სიყვარულს, ამიტომ ქართველები და ლეკები, თითქმის ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო მეტს პატივისცემას, მეტ ხათრსა და მეტს სიყვარულს უჩვენებდა ქეთოს. ქეთო, თავისი მოსიყვარულე გულით, გარშემო ჰფენდა ლხენასა და შვებას, როგორც ვარდის აყვავებული ბუჩქი ჰფენს თავის გარშემო საამურ სურნელებას, და როგორც ამ ბუჩქს ყველა შეჰხარის, ყველას უყვარს, ისე ყველა შეჰხაროდა და ყველას უყვარდა ქეთო, რომელიც ერთსა და იმავე დროს სტკბებოდა თავისი სიყვარულით მოყვასისადმი და მოყვასთა სიყვარულით თავისადმი. უკეთესიღა ბედნიერება განა იქნება ამ ქვეყანაზე?“

• • •

ამ სიტყვებით ამთავრებს იაკობ გოგებაშვილი ქეთოს ტანჯვისა და ბედნიერების მოთხრობას...

• • •

დაღესტნელ ძმადნაფიცებსა და მეგობრებთან მრავალწლიანი მეგობრობისა და ახლოდგომის შედეგად, მათი მისწრაფებებისა და სამეგობრო სურვილების ღრმად გაცნობისას იმ დასკვნამდე მიველი, რომ ქეთოს დედობილ-მამობილი, ნაიბიცა და მისი მეუღლეც საკმაოდ დაჩაგრულები აღმოჩნდნენ. მიუხედავად ორმხრივი დიდი, ქართულ-დაღესტნური ნათესაობისა და სიყვარულისა, მიუხედავად ზურაბ ქართველაძის რთველში გატარებული მრავალი სასიამოვნო დღეებისა, რაღაცით მინდოდა კომპენსაცია გამეწია უშვილძირად, უმემკვიდრეოდ დარჩენილი დაღესტნელი ნაიბისა და მისი მეუღლისათვის, რომლებმაც სრული ათი წლის განმავლობაში ღვიძლი შვილივით ზარდეს ქეთო, მთელი თავიანთი იმედები და გრძნობები მასში ჩააქსოვეს და პირამოხაფულები კი დარჩნენ.

• • •

„შენი ჭირიმე, ქართველო!“, „შენ გენაცვალე, ქართველო!“ — აი, ასე მამკობდნენ ხოლმე დაღესტანში ჩემი და ჩემი საქართველოს მოყვასნი: ავარები, კუმუხები, დარღოები და სხვანი, რომელთა გენებსა და გენეოლოგიაშიც ბევრი ქართული აღმოჩნდა... ბევრი მათგანის ოჯახებში, მათივე თხოვნით საზოგადოების ყველა ფენებში თავიდან ბოლომდე, მიამბნია იაკობ გოგებაშვილის პაწია, მაგრამ წინასწარმჭვრეტელი მოთხრობის მიხედვით დაწერილი ჩემი სალიტერატურო კინო-სცენარის სიუჟეტი და იმდენი დღე შეემატოს სცენარის მკითხველს, რამდენი ცრემლიც გადმოცურებულა ჩემი მრავალრიცხოვანი, დაღესტნელი მეგობრების, გნებავთ დიდების, გნებავთ პატარების თვალთაგან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მომავალი კინოფილმის სცენარიცა და თვით ფილმიც ნაიბის მიერ, ქეთოს ერთ-ერთი შვილის, დაღესტნელი ჰაპის მოსახელის, პატარა ჰაიდარ ქართველაძის გატაცებითა და მისი დაღესტანში გადაყვანით უნდა დამთავრდეს. ქეთოს შვილობით, დაღესტნელმა მშობლებმა იმდენი გულისხმიერება და განცდები გამოიარეს, რომ ღირსნი არიან ერთი მემკვიდრის, ერთი რომელიმე შვილიშვილის თავის კარზე ყოლისა. მარტო ქართველაძიანთ რთველში გადმოსვლა და მასთან დაკავშირებული თბილი ურთიერთობანი, დიდად ამაგდარი ნაიბისა და მისი მეუღლისათვის, ჩემის აზრით, საკმარისი საზრდო და სანაზღაური არ უნდა იყოს. ყვე-

ლაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაიბს, შვილი, შვილიშვილი და ბადიში თავისი მამულების, თავისი საქმის მემკვიდრედ, ხოლო რეზულტატის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაღესტნელთა და ქართველთა შორის კეთილმეზობლურ, კეთილნათესაურ, მოყვარული ურთიერთობის სადარაჯოზეც უეჭველად დასჭირდებოდა. ამდენად და ყოველმხრივ გამართლებულად მიმაჩნია, შვილიშვილის გატაცების ფინალური სცენა. ცხადია, ნაიბი ხელფეხშეკრულს არ გაიტაცებს შვილიშვილს, ამ უკანასკნელის ყვირილითა და „მიშველეთ, მიშველეთის“ ძახილით. არა, რა თქმა უნდა. დაღესტნელი, თავისებურებად საინტერესო და განსხვავებული ვაჟკაცი პაპის, ნაიბ ჰაიდარის დიდმა სიყვარულმა და კიდევ რაღაც. სიღრმისეულმა, შეცნობილ-შეუცნობელმა ძალამ უნდა გადაადგმევინოს ბავშვს დაღესტანში წასვლის ნაბიჯი, ნაიბი პაპის რჩევით, რა თქმა უნდა, და ეს ნაბიჯი არც ქართველაძიანთათვის უნდა იყოს უცხო და გაუგებარი...

შვილებს მოწყურებული მშობლების, როგორც დედობილ-მამობილის, ასევე ზურაბისა და მაგდანის სიყვარულით, სასურველი ქართველი ვაჟკაცის მშვენიერი ქართველი მეუღლის ოთარის ნება-შეწევნით, ქეთო, ყოველ შემოდგომაზე მომდევნო შვილიშვილით უგებებოდა სართვლოდ გადმოსულ ნაიბსა და დედობილს. რამდენიმე წელიწადში ქეთო ისე დაწვრილშვილდა, მას ან მის მეუღლეს თითო ჩვილი თუ ხელში ათათებულნი ეკავათ, მოზრდილ-მოჩიტულები უკვე იქაურობას იკლებდნენ ერთმანეთში ჰიდაობითა და სხვადასხვა თამაშობებით. სამი ამკლები შვილიშვილთაგან ერთს, უფროსს, ნაიბის ხათრითა და სიყვარულით, ჰაიდარი ერქვა, მეორეს ზურაბი, პაპის საპატივცემულოდ, ხოლო მესამე შვილიშვილს კი ოთარის მამის სახელი, პირძინა დაარქვეს...

შვილიშვილებს განსაკუთრებული სიხარული შეუდგებოდათ ხოლმე დაღესტნელი პაპა-დიდედის, ნაიბ-ჰაიდარისა და აიშეთ-ხანუმის ჩამოსვლით, მათი სამოსიდან მოკიდებული, ცხენის საკაზმით დამთავრებული, ხმალ-ხანჯალსა და თოფ-იარაღზე რომ არა ვთქვათ რა, თავის განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავდნენ ხოლმე ბიჭებში. ხმალ-ხანჯალს ქარქაშიდან ამოუძრობდა ხოლმე. ხუთი-ექვსი წლის, ნაიბი პაპის მოსახელე, ჰაიდარი პაპას და ფხას შეუმოწმებდა. ჩამოხტებოდა თუ არა ნაიბი ცხენიდან, სეხნიას მოსირმულ დამბაჩას მიაწოდებდა და ერთხელ გაასროლინებდა ნაიბის სტუმრად მობრძანების აღსანიშნავად. პატარა ძმები, ზურაბ და ბიძინა ხტოდნენ და კიჟინასა სცემდნენ უფროსი ძმის საქციელით გაამაყებულნი, პაპა-ჰაიდარის ჩამოსვლით გაცისკროვნებულნი...

ქეთო და მისი მეუღლე ოთარი, თავისი ქორფა, მაგრამ დაწვრილშვილებული ოჯახით ყოფილ ფარეშებს, ქეთოს თხოვნით გაზატებულ მალხაზოსა და იანოს ესტუმრებოდნენ ხოლმე, კარგა ბარაქიანი ძღვენითა და საჩუქრებით. მალხაზოც, თავისი იანოთი და წვრილშვილით, გემრიელ, გლეხკაცურ სუფრას გააწყობდა, თუ ზამთარი იყო, ბურღაკს გაბასრავდა სახელდახელოდ,

თუ წელიწადის სხვა დრო იყო, დროის შესაბამისად, გულნაკლულს არ გამოისტუმრებდა სათაყვანებელ სტუმრებს, წვრილფეხ-მსხვილფეხი იმდენი დაუდიოდა, რომ არც ითვლიდა გამრჯე და გამჭრიახი გლეხკაცი. ფრინველიც უთვალავზე-უთვალავი დაფორიაქ-დაკრიახობდა ამ ბედნიერ, ქართულ ოჯახში. დიდი, ცეცხლის მაკვესარი დედაკაცი გამოდგა იანოც. წვრილშვილს ხომ უვლიდა და დაგვირისტებული დაუდიოდა, ბატონიანთ გამონაცვალით იყო, თუ საკუთარი, ქალური ნახელავით და ამას გარდა, ისეთ თუშურ ხალიჩა-ფარდაგებს თელავდა და ქსოვდა, რომ, სწორს ვერ უპოვიდა ადამიანი მთელ დაბლობ კახეთში. დიდებული და საყვარელი სტუმრებისათვის თითო ხალიჩა თუ ფარდაგი მუდამ მზადა ჰქონდა იანოს, ჯერ წინ ფერხთით გაუგებდა, მერე კი, როცა შინ მიმავალთ, თვალისჩინებს ზედ გადაატარებდა, ხალიჩას აახვევდა და ძღვნად გამოატანდა...

გადია-პირიმზე ქეთოს წვრილშვილის აღსაზრდელად დარჩა ქართველაძიანთ ოჯახში. ქეთოს დაბრუნება-მოქცევის შემდეგ, ერთგულმა ქალმა, ღვთის წინაშე აღთქმა დასდო, რომ ამ ოჯახიდან ფეხს არსად მოიცვლიდა და მთელ თავის ჯან-ღონეს პატარების აღზრდას შეალევდა. შემთხვევით ატირებული პატარა, ქეთოს ასული იქნებოდა ეს, თუ, ძე, ხელში აყვანისთანავე ისე გატვრინდებოდა, როგორც ძუძუს გოჭი. ბევრი ურბინა და უგურგურა მზარეულმა ლაფშამ პირიმზეს, ბევრჯერ სთხოვა დამწვარმა მიჯნურმა ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა, 25-26 წლის გადიას უღლის ცალობა, მაგრამ, ვერა და ვერ დაიყოლია ამ თხოვნაზე. ქეთოს თავსგადანახედი განსაცდელში პირიმზეს იმდენად მიაჩნდა თავისი თავი დამნაშავედ, რომ, თავის ბედს თვითონვე გამოუტანა სასჯელი — საშვილიშვილო გადიაობა და ამ განაჩენისათვის მას სიკვდილამდე არ უღალატნია...

ბოლოს, ლაფშამაც აღყარა გული პირიმზეზე და სიბრაზით „არამზე“ შეარქვა სახელად, თავის გულის ყოფილ მიჯნურს. დარჩა მზარეული ქვაბებსა და ქოთნებს შუა, მაყლებსა და ზედადგრებშუა გამოკეტილ-გამომწყვდეული...

წავიდა დაღესტანს ჰაიდარი ერთხელაც, ერთ-ერთ გზობაზე, როგორც შეეთანხმდით და თან წაიყვანა პატარა ჰაიდარი, ქეთოს უფროსი ვაჟი, თავისი შვილიშვილი. გინდ გატაცება დაეუძახოთ ამ ნაბიჯს, გინდაც თანხმობით წასვლა. განა ერთი და ორი ქართველი წასულა საქართველოდან?! ზოგი სიყვარულს წაუყვანია, ზოგი მტრობას. ბევრი მათგანი სახელოვანი სწავლული, სახელოვანი მეომარი შექმნილა უცხო მხარეში. თავისი თავიც უსახელებია და თავისი სამშობლოც. დღესაც, არა ერთი, ან ორი ახალგაზრდა კაცი მიმართავს ხოლმე სამშობლოდან, საქართველოდან გამავალ დიდ გზებს ცოდნისა და შრომის ასპარეზზე...

შექმნილი სიტუაციის მიხედვით, ჩვენი ფსიქოლოგიურ-ლოგიკური ჩაძიებით, თვითონ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „იავ-ნანამ რა ჰქმნაშივე“. ჯერის საკმარისი წანამძღვრები იმ დანაკვის გასაკეთებლად, რომელსაც ჩვენ

ვახდენთ და აქედან გამომდინარე, მართებულია ნაიბ-ჰაიდარის გადადგმული ნაბიჯი, შვილიშვილის, პატარა ჰაიდარის დაღესტანს გადაყვანის თაობაზე...

პატარა ჰაიდარის დაღესტანს გადაყვანის საკითხი შესაძლოა წინასწარი შეთათბირება-შეთანხმების შედეგიც ყოფილიყოს უფროსებს შორის, მშობლებსა და პაპა-დიდედებს შორის, მაგრამ, სახვითად იგი მაინც მოტაცებით უნდა გადაწყდეს. ზედმეტი გაცილება-დარიგებისა და დედა-შვილური გულჩვილობის თავიდან ასაცილებლად, ნაიბმა, შვილიშვილთან და მეუღლესთან წინასწარი მოთათბირების შემდეგ, მოტაცების ყველა წესისა და ხერხის დაცვით, ღამით, ჩუმად, აჰყარა თავისი რაზმი, შვილიშვილი უნაგირზე შემოისვა და ისე მიატოვა ქართველაძიანთ ოჯახი, რომ ჩქამი არ გაღებულა.

ყოველ რთველობას, ცხადია თან მოჰყავდა ნაიბს თავისი შვილიშვილი და სეხნია, პატარა ჰაიდარი, კახეთს, ქართველაძიანთსა, წასვლისას კი თან მიჰყავდა. აიშეთი, ნაიბის მეუღლე, უზომო სიყვარულს აქსოვდა შვილიშვილის გაზრდაში, ალბათ უფრო მეტსაც, ვიდრე ქეთოს აღზრდისას. ორი ბრძნული ქართული ანდაზა ზედმოწეულია ამ მდგომარეობისათვის:

შვილსა ტკბილი სუნი უდის,
ნაშვილებსაც არ აქვს წუნი,
ვისაც ვარდი არ უნახავს
ასკილს რა აქვს დასაწუნი.

და

„შვილმა გული გაიარა,
შვილიშვილმა — გულისგული“.

პატარა ჰაიდარის დაღესტანს გადაყვანამდეც საკმაოდ შეძლებულად მეტყველებდნენ ნაიბი და მისი მეუღლე ქართულ ენაზე, ქეთოსი და მისი მოდგმის სიყვარულით, სამეგობრო-სანათესაოდ მიცემული სიტყვის პირობით, მაგრამ, პატარა ჰაიდარის შვილობის შემდეგ კი ზედმიწევნით დაეუფლნენ ქართულ ენას... არც ზურაბ და მაგდან ქართველაძეს არ გასჭირვებია ავარული ენის შესწავლა, ესეც, ცხადია, ქეთოსი და მისი დედობილ-მამობილის სიყვარულითა და პატივისცემით.

ასე, ერთ მწარე სიყვარულზე აშენდა ორი მეზობელი ხალხის მეგობრობა „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

დარდი
[illegible]
[illegible]

სოფელს რომ არ გასჭირვებოდა, ვინ გაუბედავდა ბარამაანთ ლადოს საკარმიდამოდან ყურძენი ჩაგვაბარეო.

„რა ჩამაბარე, რომ ჩაგაბარო?!“ — იმავ წუთს მიუგებდა კუწუმწრახი.

სეტყვა მოვიდა სოფელ ჩაჩხაანის სავენახე ფართობებზე. სეტყვა კი არა და, უფრო მეტიც, ბატკნის თავის სიმსხო ცვიოდა ბღავილ-ბღავილით ტყვიისფერიდან თეთრად ჩამოკაფული, რისხვის ზოლად ჩაუქროლა სეტყვამ იქაურობას, ნახევარძმასავით გააპო ზვრები ჩაჩხაანისა, მიტკალივით ჩააჯა-ა ერთი ნახევარი და სიმწიფეში შესული რქაწითელის ჯილდოსფერი მტევანი საღორედ აზილა დედამიწაში, ბინდისას მოხდა ეს ყველაფერი, ქურდულად მოხდა...

ღამით ვარსკვლავი აკიაფდა დამსხვრეულ კრამიტებში. დილისათვის უმანკოსავით მოიკრიჭა კაბადონმა, მზის ცხოველმა ჩამოსცინა დედამიწას, ლაშქარგადაელილივით აოხრებულ ზვრებსა და გლეხის ცრემლმომატებული მტევანი ყინულთან ერთად იწურებოდა დედამიწაზე. ალაფებული მოტკბო ღვარები ფერმებისაკენ მიექანებოდა. წუნწუხში ირეოდა და ალაზანს ადიდებდა.

არა იყო რა სადიდებელი...

დაძმარდა ნახევარსოფელი...

თვალწინ განახევრდა და გაცუდდა პირობა.

ჩასაბარებლად შეთქმული ორი თასი — ათასად იქცა, პირის გატეხა იქით იყოს და, ნახევარსოფელი პირამოხახული და უდღეგრძელებელი რჩებოდა.

შეყვითლებული, ძველი არყით დაითვრნენ დაზარალებული გლეხები და სულ ხმამაღლა, უჩოთიროდ აგინეს ზეცას თავის მთვარევარსკვლავიანად.

ამ ღრიანცელში მოევლინა ბარამაანთ ლადო დაზარალებული მეზობლების სიმწრის სუფრას საკუთარი პურ-ღვინოთი. „მეც თქვენთან ვარ, ბიჭებო!“ — დაიძახა ლადომ და სათავისო ზედაშეთი გამეტებით შეუვსო დამშრალი ჭიქები. სასხვისოს მიტანა ვერ გაბედა ბაზრიკაცმა.

გრძელი სუფრის ერთ მხარეს დაზარალებულები ისხდნენ, მეორე მხარეს კი გადარჩენილი მამულის პატრონები. ლადოც გადარჩენილების სიაში იყო. ნასეტყვის მიჯნაზე მოჰყვა ბარამაანთ ლადოს ვენახი, დაუზარალებელ მეორე ნახევარში...

თავმჯდომარემ ცოტა ხნით შემოიარა, იჯდა კრიჭაშეკრული, არც დაულევია, არც გაუღეჯია.

„მეც თქვენთანა ვარ, ბიჭებო!“ — კვლავ დაიძახა ლადომ. ნეტა რა მოარბენინებდა და რა აყვირებდა, ამ კუჭბაწარასა ამასა, კაცმა რომ თქვას?! სახელშელახულმა, გზასგაკრულმა გლეხმა, წახდენილი სახელის აღსადგენი ქამი იყნოსა და „ჩავაბარებო, უკლებლივ ჩავაბარებო!“ — დაიძახა და მერეც სულ იძახდა. კარგა კი ჰქონდა გამჯდარი სასმელი ძარღვებში. ერთი ხელადა სულმოუთქმელად გამოსცალა სახლში, მამულის გადარჩენის სიხარულით წამოგზნებულმა, მეორე ხელადაც დაზარალებულთა სუფრაზე შემოელია და, როცა შეეჭვებულმა თავმჯდომარემ დანისლული მზერა მისკენ გამოაძოვა, ერთხელაც მაშინ დაიძახა, „ჩავაბარებ. უკლებლივ ჩავაბარებ, ბიჭებო!“...

სხვა ჭიაცა სჭამდა ბარამაანთ ლადოს, თორემ მარტო სოფლად სახელის მოხვეჭისათვის ამ ნაბიჯს არ გადადგამდა, არა. ეს მეორე და მთავარი ჭია ქალაქში მაცხოვრებელ, დაოჯახებულ ვაჟთან უბრად ყოფნა იყო. თავისი კუჭბაწარაობითა და წუალ-წუალა წახწალით ისე გაეხადა საქმე, რომ ერთადერთი ვაჟიც გასხვისებულივით ცხოვრობდა დედაქალაქში და შინისაკენ ფეხდაშვიმებული უმამაპაპოდ ზრდიდა შვილებს...

„მგელმა თქვა ჭორწილს ვაპირებ, ღვინო ჩავასხი ნასეტყვი...“ — ციხარტყელასავით ააკრეს შვიდხმიანი გამწარებულმა გლეხებმა.

„ჩავაბარებ, უკლებლივ ჩავაბარებო!“... — შემოთავებულ სიმღერას დაეყოლა ლადომ და შინისაკენ გამოსწია.

— მგელმა თქვა... მგელმა, მგელმა თქვა“,. — გზა-გზა ღიღინებდა მხარში გასწორებული ლადო. ცოლს არაფერი უთქვამს, ისე შეხედა ერთი შეხედვითა და მერე ლოგინი დაუგო. კიდევ შეხედა, გვიან, როცა ლადო აღარავის უყურებდა...

მეორე თუ მესამე დღესაც, მანამდე უჩვეულო, მოკეთილო ზრახვებით შეზარხოშებულმა ლადომ საერთო კრებაზეც იძახა: „ჩავაბარებ, წმინდად ჩავაბარებ, ბიჭებო!“.

„ღვინო ჩავასხი ნასეტყვი“, — ღიღინებდა კრებიდან წამოსული ლადო, კრაკისჯანიანი ორმოცდაათი წლის თაღლითა გლეხკაცი, თან იღლიაში ამოდებული ადგილობრივი პაწია გაზეთის დიდ შეკვრას მოატოკებდა. გაზეთიდან პირობამიცემული ბარამაანთ ლადო იჭვრიტებოდა: „არც ეგრეა, ბიჭებო, ხალხნო და სოფელო, როგორც გგონიათ!“ — იძახდა ორი ლადო იღლიიდან და იღლიის ზემოდანაც, უპირო თავის სიმრგვალიდან...

დილით, ნაღვინარი ქუთუთოები რომ განაწება, წინა დღის ადგილობრივი გაზეთიდან თავისმა ორეულმა გამომცდელად შემოსჭვრიტა. ორი ათას კილოგრამ საღვინე ყურძენს ჰპირდებოდა ბარამაანთ ლადო ქვეყნიერებასა.

იმ დღეებში ვენახიდან მოკლეზე როდი ბრუნდებოდა, სოფლის ყველა ორღობე, შუკა და შარა უნდა მოევლო გაზეთებდაიღლიავებულს, ტოლებს

ეკაფიაევებოდა ენამჭრელი, უფროსებს დარიგებასა სთხოვდა მორჩილად თაკდახრილი, ყმაწვილებს კი დარიგებებს ურიგებდა გაზეთთან ერთად...

მეშვიდე თუ მერვე დილას რომ გაიღვიძა და გაზეთიდან მომზირალ თავის ორეულს თვალი ჩაუკრა, ერთბაშად ისეთი ცეცხლი შეუნთო და შეუკეთა მეუღლემ, რომ სულ ტკაცატკუცით წამოაფრინა ლოგინიდან.

— პირობა ცხვირის დაცემინება როდია, შე ცხრაპირავ და ცხრაკუდავ შენა, თანაც გაზეთშიც რომ გამომეჭიმე და ერთი ამბავი შეჰქმენი... აბა, გახედე ერთი, რა ყოფა აქვთ შენს დაბეჭებულ მუშტრებსა. გასწი, გახედე და პასუხი გაეც მისამართასა, თორე!.. არ გესმის, მაგათი მანქანების ჭყვიტინი?! — დასცაცხანებდა დედაკაცი და ცოცხით ფანჯრისაკენ მიუთითებდა.

ვიდრე ლადო ფანჯრიდან გასცქეროდა, იმის ზურგს უკან შოლტივით შხუოდა მრავლის თმენით მოღლილი მეუღლის სიტყვა და გასაქანს არ აძლევდა.

— გასწი, უთხარი, რომა წავიდნენ, — რაღაც უსაფუძვლოდ მიაროშა ლადომ როგორღაც უჩევულო შემართებით ალესილ მეუღლეს.

— გასწი და უთხარი, ჭირი მომჭამეთ იმათაც და შენცა, როგორც შეიპირე, ისეც განიპირე! — მიაკაფა ცოლმა...

— მე ვიცოდი, რო სეტყვა მოვიდოდა, ვიცოდი, რო... — ბუზღუნებდა ლადო. — აჰა, ვისიც რა არი, ცალ-ცალკე გაგიხვევ გაზეთში და მომწყდნენ თავიდან!... — თქვა დაბნეულმა ლადომ და ფულის გახვევა იწყო. ყველა გაზეთში ლადო იგრაგნებოდა ფულთან ერთად... ცოლს ხმა აღარ გაუცია, ცოცხის ფხაკუნით გაერიდა მეორე ოთახში.

დაბეჭებული მუშტრის გარდა, ჭიშკარს იქით, მეზობლებიც დატორღიალობდნენ სასეიროდ...

— იცი, რას გიზამ, იცი?!... — ემუქრებოდა ერთი მუშტარი.

— წელიწადი ატრიალე ჩემი ფული და ახლა, შე!... — გაცუდებულ ხეს ჯიბეში იჩრიდა მეორე მუშტარი, პირობიან გაზეთს ზედ ცხვირწინ უხევდა ლადოს და თან დახვეწილი ქალაქურით აგინებდა. მესამემ გაიწია კიდეც...

— ჯერ თაო და თაო, მერე კიდევ სხვაო... მე სოფელს ვერ ვუღალატებ, ვერა, ეხლავე რწმუნებულთან დავრეკავ და... ეხლავე! — უკან-უკან იხევდა ლადო...

— იქ არ ჩამოხვალ, ბაზარზე?! აი, მე თუ შენ დახლზე არ გაგრანდო, კაცი არ ვიყო! — მეოთხე მანქანაც გინებით მოშორდა ლადოს ალაყაფს...

სექტემბერი ნელ-ნელა გაშუალდა. სეტყვის მერე ბარე ათ დღემდე მზემ თვალი არ მოხუჭა და ისე დაამკრახა გადარჩენილი ზვრები, რომ დღე-დღეზე რთველს უნდა დაეძახნა...

უკვე ვენახში აღამ-ათენებდა გლეხობა..

ერთ საღამოსაც ბარამაანთ ვენახის ბოლოზე, სახრავი ატმის ქვეშ გამართულ ქოხში, კრაწაანთ კოტორამ მოაკითხა ჩალის კონაზე დაპირქვავებულ

ლადოს, ხმაამოუღებლივ ჩამოჯდა საჩელდახელო ტახტზე და კარგა ხანს გინგლს აცლიდა ატკმს მუხლისთავზე.

— მეტის გაჩერება აღარ შეიძლება, დაგვიჭამეს კრაზანებმა, — ამოისთქვა ბოლოს კოტორამ და ლადოს ფერხთით შეხორებულ ატმის კურკას კურკა მიამატა. ლადო ისევ ისე იწვა პირქვე და ჩალას ღეჭავდა წინა კბილებით.

— მუშტარი მოგიყვანე, მანეთნახევრიანია მგონი, — ამოთქვა ბოლოს კოტორამ, წამოდგა და ქოხის კარებში გაიჩხირა.

— არა მეკითხება რა! — თქვა ლადომ და დამბალი ჩალა გამოაფურთხა.

— ეგება წაამატოს კიდეც, მონდომებულია, — თქვა კიდევ კრაწამ და იღლიიდან გამოხედა მეზობელს: ლადომ არა უპასუხა რა...

— მა, ლეღვის ფასად ჩავაბაროთ დუნიასა?

— შენი მიეცი, — თქვა ლადომ და წამოდგა.

— ჩემი არა ყოფნის, მეტი უნდა, მგონი აბაზსაც წაუმატებს, — აედევნა ლადოს კოტორა.

რიგთაშუა ვიღაც შავპოსლიკა, უცხო კაცი ისვლიპებოდა, კრაწა და ლადო შენიშნა თუ არა, მაშინვე მათკენ გამოეშურა.

— ერთ კვირაში ჩამოვალ, ბეს ჰთლიანად გაძლევთ, — შორიდანვე დაიწყო მუშტარმა, მტევანს უკანასკნელი კომპალიც შეასვლიპა, მერე ნასვლეპი გადააგდო, წებოიანი ხელი ლადოს ხელის მტევანს შეაწება უბოდიშოდ და განაგრძო:

— ყირიმში, ჩორნი კამნის ბელმუსკატზე ეგრე იციან: მტევანს ყუნწში გადაგრეხენ ორ-სამჯერ, მაგრამ ზედ ტოვებენ: ერთი კვირის შემდეგ კრეფენ და მეც ეგრე მინდა, სწორედ, როგორც ყირიმშია, —- დაამთავრა შაეპოსლიკამ, ზედ ცხვირწინ გასვლიპა ახალი მტევანი და თავისუფალი ხელით ათმანეთიანების წითელი შეკვრა დაუძრო უბიდან ლადოს დასაბმელ-დასაბევებლად...

— შენ რა, კაკლის მურაბა გინდა? — ლადომ მუშტარი მიატოვა და ქვემოთ ჩაუყვა რიგსა.

— გაშრობისას დაგიმატებ, — აედევნა შავპოსლიკა...

— არ გამოვა, სიტყვა იღლიაში მიდევს, — თავი გაიქნია ლადომ.

— შენი სიტყვა ჩემს იღლიაში იყოს, — სხარტად აართვა გაზეთი მუშტარმა. ლადო შემობრუნდა.

— ჩემი სიტყვა კიდევ შენ იღლიაში იყოს, — იმავე წამს მუშტარმა ათმანეთიანების შეკვრა დაუიღლიავა ლადოს.

— არა, არა, — ლადომ ფული უკანვე გაუწოდა.

— სად ათი შაური, სად კიდევ მანეთნახევარი, შე კაი კაცო! — ნაბიჯი წინ წადგა მუშტარმა.

— არა, — თავი გაიქნია ლადომ.

— აბაზიც შრობისა იყოს, რუბსემდისიტ, ჯანი გავარდეს.

— ვერა!

— რუბსემდისიტ, კაცო!

— არა... — ძნელად თქვა ლადომ.

— ვა, ძირიანად ხომ არ გართმევ, დევინოსტო!...

— არა... — უფრო ძნელად თქვა ლადომ.

— ნუ გადაგრეხავ, ეგრე იყოს, როგორც არი, — სულ ახლოს მიიწია მუშტარმა ლადოსთან და კვლავ შეუტია შეკვრით.

— გესმის, ლადო! — ამოიხრიალა კრაწამაც.

— არა! — გაბმით თქვა ლადომ და სულიც შეუგუბდა...

— ხვალ მოისხამს, ჩააბარე, ზეგაც ჩააბარე, ვა! — არ ეშვებოდა შავპოსლიკა და თვალით დასდევდა ლადოს დაკარგულ თვალს.

— ჰა, ლადო! — კვლავ შეუძახა კრაწამ და მანაც ახლოს მიიწია ლადოსთან...

— კილოში ლიტრანახევრის ფასს ვაძლევ და კიდევ უარზეა? არა, არა, წავედით, ძალაა, აღარ მინდა ვა, წავედით! — ახლა მუშტარმა აქცია ზურგი, გასვლეპილი კლერტი ბრაზით დააგდო და გასწია. კრაწა მას აედევნა. ლადომ ღრმად ამოისუნთქა და უსწორმასწორო ტაატით ჩაუარა დამკრახულ ვაზებს, თითოს ოცი მტევანი ება, ზოგსაც მეტი დაუთვალა, ზოგი მტევანი ხელით გამოსწონა, გაიფიქრა, გამოიფიქრა. ერთბაშად მუშტრის დაგდებულ კლერტს დასწვდა და ახლომახლო ჩხები შეათვალიერა. სწადდა დაედგინა. თუ საიდან იყო მტევანი ართმეული, რომელი მუხლიდან. ბევრი აფათურა შემკრთალი ხელი რქებზე, თვალიც დაძაბა, მაგრამ მტევნის ნაადგილარს ვერაფრით ვეღარ მიაკვლია. მერე თანდათან უკლო ხელის ფათურს და ვაზის წინ მუხლიჩოქზე დაშვებული საკუთარ ფიქრებში ნელ-ნელა გაიბლანდა...

ბინდდებოდა; უმთვარო ღამე დგებოდა, მაგრამ, ღამის ფრინველის წყალობით, ჯერ კიდევ განირჩეოდა ცა დედამიწისაგან.

ძლივს გაბართა მუხლი ლადომ, მძიმედ წამოდგა და რიგთა შუა იწყო ბუტბუტი და ბორიალი:

— ჩემი არ არის, ეს ოხერი, ჩემი?! ჰოდა, თითო მტევანი რომ შევართვა, ვითომ ქვეყანა დაიქცევა!...

ამ ფიქრებით დაბორიალობდა ბარამაანთ ლადო დაღამებულ ვენახში და ერთი და იგივეს იმეორებდა ბუტბუტით. თავის აღმოჩენილ აზრს სარს უდგამდა, სხლავდა, ყელავდა, ამაგრებდა...

და იმ ღამეს თითო ძირს თითო მტევანი შეართვა ლადომ სულ ფეხაკრეფით, ერთი დიდი გოდორი გაავსო. გოდორი ფრთხილად დაუდო ურემს, მეტრის სიფრთხილისათვის სახედარიც კი გაამხნევა და ასე, საკუთარი დაგუდული წევით თავის ვენახში ნაპარავი ყურძენი შინ აიტანა და საწნახელში ჩაცალა...

ყურძენი რომ საჭყლეტად გაამზადა, გარეთ გამოვიდა, თამბაქო გააბოლა და ფეხაკრეფით აიარა კიბეები. ოთახში დღენიადაგ შრომით მოღლილი მეუღლის ქსიტინს მიაყურა და კვლავ მარანში დაბრუნდა. თამბაქო გარეთ ჩააქრო, მარანში არ შეიყოლა ბოლი... მარან-ქვევრების მოვლა კარგად იცოდა

და ყველა ჭურჭელი, — სასხვისოც და სათავისოც, გამართული და ყაიდაში ჰოყვანილი ჰქონდა. „ერთი ქვევრი, სამკვდრო-სასიცოცხლო, როგორ არ უნდა აივსოს კაცმა?“ — ჩაიჩურჩულა ლადომ და საჭყლეტი გადაატრიალა.

მაისის თაფლისფერმა ღვთიურმა სითხემ ქვევრი თანდათან მოპირა. ვენახიდან წამოღებული მანეულის წკეპლები გააწყო ქვევრზე, ზედ ვაზის ფართო ფოთლები დააფარა და სარქველიც მიამხო... ბადაგის სურნელმა გაავსო მარანი. ჭიქა ცალკე ქვევრში დააბინავა ლადომ, საქმემომთავრებული ფრთხილად გამოვიდა გარეთ და მარანს კლიტე დაადო...

მესამე მამლის ყივილს ეპირებოდა ჟამი, როცა ლადომ ფეხაკრეფით მიაშურა საწოლს. „საკუთარ ვენახს რომ თითო მტევანი შეამტვრიოს კაცმა და ერთი სამკვდრო-სასიცოცხლო ქვევრი შეივსოს, ვითომ ვის რა დააკლდება?!“ ძალისპირულივით ჩაიჩურჩულა ლადომ და ნაჯაფარი ცოლის სუნთქვას თავისი ხვრინვაც მიუმატა...

მეორე საღამოს, ჭარხლიდან დაბრუნებულ ცოლს მარნის გასაღები მოჰკითხა ლადომ, საგულდაგულოდ რომ ჰქონდა უბეში გადამალული. ცოლის უარზე „მე არ ვიცი რაო“, ლადომ ცრუ ქექვა იწყო კუთხე-კუნჭულში, მერე, ვითომ ხელი აიღო გასაღების ძებნაზე და ერთი პირობა კლიტის გატეხვაც დააპირა. მერე, „გასაღები სადმე ეგდება, კლიტის გატეხვა აფსუსიაო“, თქვა და მზის ჩასვლამდე კარგა ხნით ადრე ვენახს ჩააკითხა. ისევ ისეთი დახვდა ვენახი, გუშინ რომ იყო, არაფერი ეტყობოდა ნაკრეფი. გულშემაგრებულმა ღიღინით დაიარა ყველა ვაზი და მერე, კარგა ხანს მიირთმევდა სახრავ ატამს ქოხში.

ატმის ჭამით რომ თავი შეიქცია, გულაღმა გაიშოტა ჩალის კონაზე და ფიქრი იწყო. ნელ-ნელა ვენახს გასცდა ლადოს ფიქრი და მარანი დაათვალიერა. ერთადერთი სავსე ქვევრი ობოლივით ჩამდგარიყო უამრავ ცარიელ ქვევრსა და კასრს შორის. გული გაეწურა ლადოს მარტო ქვევრის ცქერით. ფიქრი მოიშორა, წამოდგა და გარეთ გამოვიდა. კიდევ აიარა რიგთაშუა და ერთი, მეტისმეტად დაჯონჯლილი ვაზის წინ შედგა გაკვირვებით და დიდხანს უყურა. „კი არ მოჰკლებიაო, თითქოს მომატებია კიდეცაო“, — გაუელვა ლადოს და დატენილ მტევნებს ხელი შეახო. „იქნება გამომრჩა წუხელ“, — გაიფიქრა და ახლა მეზობელ ვაზს მიაკითხა. ის კიდევ უფრო მეტად მსხმოიარე და დამკრახული შეეგება პატრონს, ხოლო როცა მესამე და მეოთხე ვაზმაც ისევ სიხარულით აუვსო გული, „დაგელოცოთ ბარაქა, მარჩენალებოო“, — რიხით წარმოთქვა ლადომ და ცარიელი გოდორი არბეინად გამოიტანა ქოხიდან.

დიდი ომის მომნელებელ სოფელს, დიდი სეტყვის მონელება არ გასჭირვებია. დიდმა მარანმა მძიმე ზამთრებით შეშინებული პირი გააღო და შარბათის მოლოდინში გაინაბა. კახელი გლეხკაცის ბარაქამ ნელ-ნელა იწყო ღენა. კრაზანამ, ფუტკარმა და ბუზმა საჰაერო გზა დაიგდო ვენახებიდან დიდი მარნისაკენ, აბზუებული მანქანა მანქანას მისდევდა...

გადარჩენილი საკარმიდამოებიდანაც თანდათან დაიძრა დამკრახული, ზოგთაგან გაუბედავად და ჭოჭმანით მიიზლაზნებოდა მტევანი, ზოგთაგანაც უფრო მეტის გაბედვითა და რიხით, აქა-იქობა სათვალავში მისათვლელი არც იყო. აქა-იქობა იმ დიდ ომსაც არ გაჰკვირვებია, შინმოუსვლელთა ოთხასკაციანი დაფა რომ შემოაწია სოფელს საშვილიშვილოდ.

ღამეული თითო-თითოობით ასე გამოკიაფნა ბარამაანთ ლადომ საკუთარი ვენახი, რომ მოსამცვრევს დაამსგავსა. გაუთვალისწინებელი შედეგით დაშფოთხალი ლადო საგულდაგულოდ ჩაკეტილ მარანში იმალებოდა აგერ უკვე მეორე დღე იყო და ვერც ცოლსა და ვეღარც რთველში დედის მიერ ჩამოტყუებულ ვაჟსა და რძალ-შვილიშვილს ვეღარ სჩვენებოდა...

— რატომ არ მოვკვდები და არ ჩავიმარხები, შვილო, ამისი შემყურე! — დაჰკივლებდა ხოლმე დროდადრო ლადოს ცოლი და დამაშრებული ჰაერით გაჟღენთილ მარნის კარებს მიეჯრებოდა გამეტებული რახარუხითა და წყეკლა-კრულვით. ლადო ამ დროს სუნთქვას შეიკრავდა და მხოლოდ მაშინ, როცა ცოლი კარებს მოშორდებოდა, საჩქაროდ გადაჰკრავდა ხოლმე არაყს და კვლავ გაჩინდებული მიაყურებდა გარესამყაროს.

შემწყრალ-შეუბრებულ მამა-შვილს შორის ხიდის გადების უკანასკნელი შემთხვევაც დაკარგულიყო. პურგაუტეხელი მიჰყუდებოდა აივნის სვეტს ლადოს ერთადერთი ვაჟკაცი შვილი და დიდი სნის არგაგონილ დედის ჩივილს უგდებდა ყურს.

„ეგ ცხრაპირა, ეგა, ეგ ცხრაკუდა, ეგა!“ — ქაქანებდა ცრემლმორეული დედაკაცი და თან მანქანაში ულაგებდა წასასკელად აბარგებულ შვილსა და რძალ-შვილიშვილს წლების განმავლობაში უარყოფილ ძღვენსა თუ მშობლიურ წილს...

„აპარატიც მე ვარ, შვილო, დედა შემოგეგლოთ, გოგირდიცა და სასხლეტიც,თქვენი კვნესამე, მაგისი წყალ-წყალა გარე-გარე ბაზარ-წანწალით ჩამწყდა და ჩამედრიკა შინ და გარეთი, დედა შემოგეგლოს!... ბრალი მაგისია, რომ ვერც და და ვეღარც ძმა ვეღარ შეგმატე შვილო. დედამც შემოევლება ჩემს შვილიშვილებსა. ამ ჩემს კოკრებსა, მაგათ უნახავად რომ ჩამოვჭკნი და ამოვშრი, რო გამომიკლდეს ადრე და მალე მამაშენის თავი! განა რამდენი ერთს უნდა გავწვდე, შვილო, საკოლმეურნეო ნორმაშიც ჩემი თოხი ტრალებს, ისე კიდევ სხვაგან. ეს ამოდონა საკარმიდამოცა და ვენახიც ხომ ჩემს კისერზეა და ჩემი საპირბოროტოა, მაპატიე, შვილო, შევცდი, რომ გაზეთში ნათქვამი მაგ შავუკუღმართის სიტყვა მოგაწოდეთ და ტყუილად ჩამოგიყვანეთ, დედა შემოგეგლოთ!“.

მოსთქვამდა ლადოს ცოლი, თან კიბეებზე ჩამავალ შვილიშვილებს კოცნით ჩასდევდა.

მარანში ჩაკეტილი ლადო, ჰუჰრუტანასთან მისვლასაც ვერა ბედავდა. გონებაწართმეული მიჰკერებოდა პაწია მაგიდას და არაყს უპაპუნებდა. დაც-

ლილი არყის ბოთლი დაგორებულიყო გაზეთზე, რომლიდანაც ლადოს გა-
ცრეცილი, დალაქავებული სახე იცქირებოდა.

დამაჭრებულ ქვევრებს მწყრალი ბუყბუყი გაჰქონდათ და გამეტებული ძალით ანთხევდნენ ერთი შეხედვით უმანკო ამონასუნთქს.

„ყირიმში რომ გადაგრეხავენ... დაშაქრებული, სუფთა წვენი... სამკვდრო-სასიცოცხლო ერთი ქვევრი როგორ არ ჩაასხას... ჩავაბარებ ხვალ, ზეგაც მოისხამს და ჩავაბარებ, სულ, სულ!“... — ლუღლუღებდა ლადო მაჭრის ნადული ჰაერით უზომოდ დაჭირხნულ მარანში და როგორღაც უჩვეულო, ზედმეტად გადამძიმებულ თავს უხახუნებდა შეჭუჭყული გაზეთიდან მაცქერალ დალაქავებულ თავის გამოსახულებას...

მანქანა დაჰკოცნა თვალცრემლიანმა დედამ და მანამდე გასცქეროდა შარას, ვიდრე არ მიეფარა... მერე შინ შემობრუნდა, ერთი კიდევ მიაწყევლა მარნის დაგმანულ კარებს და ჩაწყვეტილი ნაბიჯით აიარა კიბეები, შვილის ნაუუდარ სვეტს შემოეხვია და შეუკავებლად აქვითინდა...

მეორე დღეს როგორღაც უჩვეულოდ დამძიმებულიყო ბარამაანთ აივანი მეზობლებითა. იდგა ჩოჩქოლი, მიმსვლელ-მომსვლელი ემატებოდა, ეზოც ივსებოდა, ეზოს პირიც. მოდიოდა და მოდიოდა ხალხი ერთმანეთში გადალაპარაკებით. ბინას ძიტანებულები ხმას დაუწევდნენ და ჩურჩულით შედიოდნენ ეზოში. ისევ იმ სვეტს მიჰყუდებოდა ლადოს ცოლი, გუშინ რომ დაჰკოცნა შვილისა და რძალ-შვილიშვილის გასტუმრების შემდეგ... დიდ ოთახში გამართულ თალხსაფარიან ტახტზე ბარამაანთ ლადოს ასწორებდნენ მეზობლები. თავის ასამაღლებლად ლადოს ნაყიდი გაზეთების მთელი შეკვრა შეედოთ თალხი საფარის ქვეშ. შვილის წასვლის ღამეს დამაჭრებულ ქვევრებიდან ჭარბად ამონასუნთქით მოგუდულიყო დახშულ მარანში უპირო, კუჭბაწარა ლადო.

მესამე დღეს ისევ მოადგა შვილიშვილებით შევსებული მსუბუქი ავტომანქანა მამისეულ ეზოს. გაუგებარი პაპის გაუგებარი წასვლით დაბნეული ბავშვები მორჩილად ადიოდნენ ხალხით დამძიმებული სახლის კიბეზე.

სარჩევი

ამბები

სარკე	5
დათვები	59
ბერიკონი	109
არაფერი	159
ყველასაგან-ყველასათვის	207

კინოსცენარები

გზები და გზაჯვარედინები	245
დიდედები და შვილიშვილები	305
დიდი მწვანე ველი	356
ძროხის ჭურდი	405
იავნანამ რა ქქმნა?!	455
დურდო გიორგობისთვისა	515